

# პოლიტოლოგია

ნიკა ჩიტაძე

თბილისი - 2018

## პოლიტოლოგია - ნიკა ჩიტაძე

### რეცენზენტები

ქეთევან სიხარულიძე. ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი  
ამირან კავაძე. ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი. შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი. საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ბექა ჭედია. პოლიტიკის მეცნიერების დოქტორი

### დიზაინერი

### გამომცემელი

## ავტორის შესახებ

ნიკა ჩიტაძე დაიბადა 1969 წლის 22 იანვარს ქალაქ თბილისში.

1993 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური გეოგრაფიის სპეციალობით, ხოლო 1998 წელს უნივერსიტეტის ასპირანტურა იმავე სპეციალობით.

1996-2000 წლებში სწავლობდა საქართველოს დიპლომატიურ აკადემიაში, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 2000 წელს საერთაშორისო ურთიერთობები/დიპლომატიის სპეციალობით.

1998 წელს გაიარა სასწავლო კურსები პოლიტიკური მეცნიერებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საზაფხულო ინსტიტუტში (ქ. კრაკოვი, პოლონეთი), სადაც სალექციო კურსები იკითხებოდა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის წამყვანი უნივერსიტეტების პროფესორთა მიერ.

1999 წელს სწავლობდა გერმანიაში ჯორჯ მარშალის სახელობის უსაფრთხოებისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხების შემსწავლელ ევროპულ ცენტრში. ცენტრში სწავლების პერიოდში ასევე გაიარა სასწავლო კურსი ნატოს შტაბ-ბინაში ქ. ბრიუსელში (ბელგია).

2001 წლის ნოემბერ–დეკემბერში გერმანიაში (ქ. მანჰაიმი) მონაწილეობა მიიღო ევროგაერთიანების პროგრამა „ტასისის“-ის მიერ ორგანიზებულ სასწავლო კურსში მენეჯმენტის მიმართულებით.

2002 წელს გაიარა სამეცნიერო სტაჟირება ოქსფორდის უნივერსიტეტის (დიდი ბრიტანეთი) პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრაზე, ხოლო 2003 წელს ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტის (ქ. ბუდაპეშტი, უნგრეთი) საერთაშორისო ურთიერთობების კათედრაზე. ბრიტანეთში სამეცნიერო მოღვაწეობის პერიოდში მან დაასრულა სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა და 2004 წლის მაისში დაიცვა დისერტაცია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში თემაზე: “კასპიის სანაგებობო პროექტები და საქართველოს სატრანზიტო როლი. გეოპოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები”.

2005-2006 წლებში აქტიური მონაწილეობა მიიღო თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლის მიერ ევროპის საბჭოს მხარდაჭერით ორგანიზებულ სემინარებში “დემოკრატიული ინსტიტუტები და სამოქალაქო საზოგადოება”, ხოლო 2006 წლის ივლისში სასწავლო კურსი გაიარა ქ. სტრასბურგში (საფრანგეთი), ევროპის საბჭოს

პოლიტიკური სწავლების სკოლებისთვის ორგანიზებულ დემოკრატიის საზაფხულო უნივერსიტეტში.

2008 წლის ივლისში სასწავლო კურსი გაიარა ნატო-ს თავდაცვის კოლეჯში (ქ.რომი, იტალია), “პარტნიორობა მშვიდობისათვის კონსორციუმის” მიერ ორგანიზებული პროგრამის ფარგლებში.

2003-2005 წლებში მიწვეული იყო ლექციების წასაკითხად ნატოს სკოლაში (ობერამერგაუ, გერმანია), სადაც მისი სალექციო კურსი მიეძღვნა თემას “უსაფრთხოების გამოწვევები ევრაზიის გზაჯვარედინზე და მათი გავლენა ევრაზიაზე”.

2008 წლის ივლისში მიწვეულ იყო ექსპერტად ევროპის საბჭოში (სტრასბურგი, საფრანგეთი), სადაც მან გააკეთა მოხსენება თემაზე: “შავი ზღვის რეგიონში არსებული გეოპოლიტიკური ვითარება”.

2000 წლიდან ეწევა პედაგოგიურ მოღვაწეობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში. კერძოდ, პოლიტიკური მეცნიერებებისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებით მას ჩატარებული აქვს სხვადასხვა სალექციო კურსი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში, საქართველოს უნივერსიტეტში, ამერიკულ ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, თბილისის ეკონომიკისა და სამართლის აკადემიაში, კავკასიის აკადემიურ ცენტრში, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტში, ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტში.

პედაგოგიური მოღვაწეობის პარალელურად წიგნის ავტორი სხვადასხვა პერიოდში მუშაობდა საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტის საერთაშორისო ურთიერთობების სამმართველოში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროში - თავდაცვის მინისტრის მოადგილის მრჩეველად სამხედრო პოლიტიკისა და საერთაშორისო ურთიერთობების საკითხებში და საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიტიკისა და სტრატეგიული კვლევების მთავარ სამმართველოში, საქართველოს ნავთობისა და გაზის რესურსების მარეგულირებელ სახელმწიფო სააგენტოსა და ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის საერთაშორისო უსაფრთხოების დეპარტამენტში.

2002 წლიდან არის არასამთავრობო ორგანიზაცია “ჯორჯ მარშალის ცენტრის კურსდამთავრებულთა კავშირი, საქართველო – საერთაშორისო და უსაფრთხოების საკითხების კვლევის ცენტრის” პრეზიდენტი.

ავტორი ამჟამად გახლავთ შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი და ამავე ფაკულტეტის საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოლიტიკის სადოქტორო და სამაგისტრო პროგრამების კოორდინატორი.

სხვადასხვა პერიოდში 40-ზე მეტ ქვეყანაში მიწვეული იყო ექსპერტად სამეცნიერო კონფერენციებსა და სემინარებზე, მათ შორის აშშ-ში, იაპონიაში, თურქეთში, დიდ ბრიტანეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში, ნორვეგიაში, შვედეთში, პოლონეთში, უკრაინაში, რუმინეთში, ბელგიაში, სერბეთში და ა.შ.

არის 200-ზე მეტი სტატიისა და სამეცნიერო ნაშრომის, მათ შორის ექვსი წიგნის ავტორი.

## მადლობა

წიგნის ავტორი დიდ მადლობას უხდის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტს, რომლის, როგორც საქართველოს ერთ-ერთი წამყვანი უმაღლესი საგანმანათლებლო ინსტიტუტის უმნიშვნელოვანესი დახმარების გარეშეც წინამდებარე ნაშრომზე მუშაობა და მისი გამოცემა ვერ მოხერხდებოდა.

ავტორი დიდ მადლობას უხდის შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის რექტორს, ბატონ ილიას ჩილოღლუს და უნივერსიტეტის პრორექტორს, ბატონ მურად ერგუვანს და ყოფილ პრორექტორს, ბატონ ილიას უსტუნიერს, აგრეთვე სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს, ქალბატონ თამარ შიოშვილს და ამავე ფაკულტეტის ყველა თანამშრომელს, ასევე უნივერსიტეტის პრორექტორის ოფისის წარმომადგენელს ბატონ გივი ამალაშვილს და სხვებს წიგნის გამოცემის საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და გაწეული ძალისხმევისათვის.

ავტორი დიდად მადლიერია წიგნის რეცენზენტების, ქალბატონ ქეთევან სიხარულიძის, ბატონების ამირან კავაძის და ბექა ჭედიასი ხელნაწერის წაკითხვისა და გამოთქმული რეკომენდაციებისა და მოსაზრებებისათვის. ბუნებრივია, რომ ყველა შეცდომებსა და ხარვეზზე პასუხს მხოლოდ ავტორი აგებს.

ავტორი მადლიერების გრძნობით მიიღებს ყველა შენიშვნას.

## სარჩევი

ავტორის შესახებ .....	
მადლობა .....	

### ნაწილი 1. შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში: საგანი, მეთოდი, წარმოშობის ისტორია. პოლიტიკის თეორიები

შესავალი.....	9
თავი 1. პოლიტიკა როგორც სამეცნიერო დისციპლინა.....	10
თავი 2. პოლიტიკის განსაზღვრების მრავალფეროვნება: ძირითადი მახასიათებლები. პოლიტიკის სუბიექტები და ობიექტები.....	23
თავი 3. პოლიტიკის შემადგენელი ნაწილები, მისი არსებობის დონეები და ელემენტები. პოლიტიკის როლი საზოგადოებაში.....	28
თავი 4. პოლიტიკა და სამართალი.....	36
თავი 5. პოლიტიკა და ეკონომიკა.....	38
თავი 6. პოლიტიკა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.....	41
თავი 7. პოლიტიკა და მორალი.....	51
თავი 8. პოლიტოლოგიის შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრებები.....	56
თავი 9. პოლიტოლოგიის მეთოდები.....	59
თავი 10. პოლიტოლოგია სოციალურ-ჰუმანიტარულ მოდღვრებათა სისტემაში.....	66

### ნაწილი 2. პოლიტიკური აზრის ისტორია

თავი 11. ანტიკური პერიოდის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფციები.....	71
თავი 12. შუა საუკუნეების თეოკრატიული დოქტრინები.....	76
თავი 13. სამეცნიერო მიმდინარეობები აღორძინებისა და ახალი დროის პოლიტიკურ თეორიებში.....	79
თავი 14. დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკური მოძღვრებები.....	87
თავი 15. ქართული პოლიტიკური აზრი.....	92

### ნაწილი 3. სახელმწიფო და მისი არსი

თავი 16. სახელმწიფოს არსი, მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში.....	135
თავი 17. სახელმწიფო მოწყობის ფორმები. სახელმწიფოს ფუნქციები.....	139
თავი 18. ადგილობრივი მმართველობა.....	146
თავი 19. სამართლებრივი სახელმწიფოს გაგება.....	150
თავი 20. დემოკრატია და ადამიანის უფლებები.....	153
თავი 21. დემოკრატიის მოდელები.....	160
თავი 22. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება.....	165



**ნაწილი 4. პოლიტიკური ძალაუფლება და პოლიტიკური სისტემები**

თავი 23. პოლიტოლოგიაში ძალაუფლების ძირითადი კონცეფციები. პოლიტიკური ძალაუფლება,  
მისი რეალიზაციის მექანიზმები.....171  
თავი 24. კორუფცია.....180  
თავი 25. პოლიტიკური ხელისუფლების საფუძვლები, სტრუქტურა, რესურსები და ტიპები.....191  
თავი 26. პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობა და მისი სტრუქტურა.....195  
თავი 27. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება.....199  
თავი 28. საკანონმდებლო ორგანოები.....208  
თავი 29. აღმასრულებელი ხელისუფლება.....216  
თავი 30. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა: განსაზღვრება, სტრუქტურა, ფუნქციები.....227  
თავი 31. პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგიზაცია.....232  
თავი 32. მმართველობის ფორმები, სისტემები და რეჟიმები.....235  
თავი 33. პოლიტიკური სისტემის დინამიკა.....247  
თავი 34. საქართველოს პოლიტიკური სისტემა.....250  
თავი 35. პოლიტიკური რეჟიმი: ცნება, დამახასიათებელი თვისებები და ძირითადი სახეობები.....256

**ნაწილი 5. პოლიტიკური წარმომადგენლობა. არჩევნები და ხმის მიცემა**

თავი 36. საარჩევნო ტექნოლოგიები.....268  
თავი 37. იმიჯი და პოლიტიკა.....288  
თავი 38. პოლიტიკური მონაწილეობა, არჩევნები და მისი მონიტორინგი.....298  
თავი 39. პოლიტიკური მარკეტინგი.....304

**ნაწილი 6. პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობები**

თავი 40. პოლიტიკური პარტია: არსი, სტრუქტურა და ფუნქციები.....315  
თავი 41. თანამედროვე პერიოდის პარტიული სისტემებისა და პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგია.....320  
თავი 42. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები და მათი როლი საზოგადოების ცხოვრებაში.....326  
თავი 43. ინტერესთა ჯგუფები (ლობიზმი).....328

**ნაწილი 7. პოლიტიკური შეხედულებები და იდეოლოგიები**

თავი 44. პოლიტიკური ცნობიერება: შინაარსი. პოლიტიკური იდეოლოგიების არსი და ფუნქციები.....  
.....332

თავი 45. თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოქტრინები.....335

თავი 46. პოლიტიკური კულტურა: არსი, სტრუქტურა, ფუნქციები. პოლიტიკურ კულტურათა ტიპოლოგია.....34

**ნაწილი 8. პოლიტიკური ურთიერთობები და პოლიტიკური პროცესები**

თავი 47. პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაცია  
 პოლიტიკური სოციალიზაციის ეტაპები.....352

თავი 48. პოლიტიკური ურთიერთობები: მათი თავისებურებები  
 და არსებობის ფორმები.....361

თავი 49. პოლიტიკური პროცესი: არსი, განვითარების ძირითადი სტადიები და  
 სახეობები.....365

თავი 50. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები.....368

**ნაწილი 9. პოლიტიკური კონფლიქტი**

თავი 51. პოლიტიკური კონფლიქტი: არსი, ტიპოლოგია,  
 პოლიტიკური კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალებები.....381

თავი 52. საქართველოში არსებული კონფლიქტები,  
 ოკუპირებული რეგიონები და ქვეყნის ტერიტორიული  
 მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები.....388

**ნაწილი 10. პოლიტიკური ლიდერობისა და პოლიტიკური ელიტის ძირითადი თეორიები**

თავი 53. პოლიტიკური ლიდერობის გაგება და თეორიები. პოლიტიკური  
 ლიდერობის ტიპოლოგიები. პოლიტიკური ლიდერის  
 ფუნქციები.....403

თავი 54. პოლიტიკური ელიტა. ელიტის არსი,  
 სტრუქტურა და ფუნქციები.....410

**ნაწილი 11. საერთაშორისო ურთიერთობების, მსოფლიო პოლიტიკის და ეროვნული  
 უსაფრთხოების ძირითადი თავისებურებები**

თავი 55. ეროვნებათშორისი ურთიერთობები. თეორია და პრაქტიკა.....415

თავი 56. საერთაშორისო ურთიერთობები: განსაზღვრება, თავისებურებანი,  
 ძირითადი პრინციპები.....420

თავი 57. საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი თეორიები.  
 საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე  
 ტენდენციები.....426

თავი 58. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა.....431

თავი 59. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ასპექტები.....435

თავი 60. სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება და  
 მისი შემადგენელი.....442

თავი 61. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ.....	447
თავი 62. სამხედრო და პოლიციური ძალები.....	451
თავი 63. სახელმწიფოს საინფორმაციო უსაფრთხოება.....	464
დასკვნა.....	470
გამოყენებული ლიტერატურის სია.....	471

## შესავალი პოლიტიკურ მეცნიერებაში: საგანი, მეთოდი, წარმოშობის ისტორია. პოლიტიკის თეორიები

### შესავალი

ტერმინი “პოლიტიკა” პირველად ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსმა არისტოტელემ (IV ს. ძვ.წ.) გამოიყენა. ძველ ბერძნულ ენაზე “პოლიტიკა” “სახელმწიფო მართვის ხელოვნებას” აღნიშნავს (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 10).

რაც შეეხება პოლიტიკურ მეცნიერებას (Political Science), ან პოლიტოლოგიას (სხვადასხვა ქვეყნებში ამ მეცნიერებას პოლიტიკურ სოციოლოგიასაც უწოდებენ), სამეცნიერო დარგის აღნიშნულმა მიმართულებამ თავისი სახელწოდება ორი ბერძნული სიტყვისაგან მიიღო: “politeia” – რაც აღნიშნავდა პოლიტიკურ წესრიგს, მოქალაქეობის უფლებას, ხელისუფლების განხორციელების მექანიზმს და “logos” – ცოდნა (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 6).

მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური პროცესები უხსოვარი დროიდან ვითარდებოდა, საკუთრივ პოლიტოლოგია ახალგაზრდა მეცნიერებას წარმოადგენს. სამეცნიერო ასპარეზზე იგი ყოველგვარი ხმამაღალი დეკლარაციების გარეშე, XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე მოგვევლინა. აშშ-ში, მისი დამოუკიდებელი დისციპლინის სახით აღიარება დაკავშირებულია ფრენსის ლიბერის ინიციატივით 1857 წელს კოლუმბიის კოლეჯში (ამჟამად კოლუმბიის უნივერსიტეტი) ისტორიისა და პოლიტიკური მეცნიერების კათედრის ჩამოყალიბებასთან. 1880 წელს, ამავე კოლეჯში დაარსებულ იქნა პოლიტიკური მეცნიერების პირველი სკოლა, ხოლო 1903 წელს საფრანგეთში შექმნილ იქნა პოლიტიკურ მეცნიერებათა თავისუფალი სკოლა. 1895 წელს დიდ ბრიტანეთში დაფუძნებულ იქნა ლონდონის ეკონომიკისა და პოლიტიკურ მეცნიერებათა სკოლა (Myxaev. P.T. 2009. სტრ. 7).

დღევანდელ დღეს პოლიტოლოგია კომპლექსურ დისციპლინას წარმოადგენს, რომელიც თავის თავში მოიცავს მეცნიერებათა სისტემას პოლიტიკის შესახებ, ხელისუფლების დამოკიდებულებას ინდივიდთან და საზოგადოებასთან. მის გარეშე რთულია წარმოიდგინო სახელმწიფო ხელისუფლებისა და მუნიციპალური მმართველობის ორგანოების ნორმალური ფუნქციონირება, პოლიტიკურ პარტიათა საქმიანობის ეფექტურობა, ხალხის მიერ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა.

პოლიტიკის სამყარო მეტად მრავალფეროვანი და ცვალებადია, ასევე ერთმანეთისაგან განსხვავდება მისი არსის გამოვლინების ფორმები. ის თავის თავში მოიცავს პოლიტიკური ობიექტების ერთობლიობას, მოვლენებსა და მოქმედებებს, ასევე ცოდნას, წარმოდგენებს, სიმბოლოებს, მნიშვნელობებს, აზრს, რომელიც

განსაზღვრავს ინდივიდთა და ჯგუფების პოლიტიკურ ურთიერთქმედებას, და შესაძლებლობას იძლევა ახსნილ და გაანალიზებულ იქნეს სხვადასხვა მონაწილეთა ქცევები და ა.შ. და მაინც, პოლიტიკის მთავარი არსი გამოიხატება იმაში, რომ პოლიტიკური სამყარო წარმოდგენილია როგორც პოლიტიკურ ძალაუფლებასთან დაკავშირებული მყარი ურთიერთქმედების ფორმა, სახელმწიფო მმართველობის და კორპორატიული მიზნების მიღწევის შესაძლებლობა, რომლებიც ასოცირდებიან პოლიტიკურ ინსტიტუტებში, პოლიტიკურ ქმედებებში, პოლიტიკურ ორგანიზაციაში, პოლიტიკურ სტატუსში, პოლიტიკურ ძალებში და ა.შ. რეალურ პოლიტიკურ მოვლენათა, პროცესების, სტრუქტურების ყველანაირი მრავალფეროვნება, ეს გახლავთ ადამიანთა ქმედების შედეგი (Mykhayev. P.T. 2009. სტრ. 8).

პოლიტიკური მეცნიერების ქვეშ იგულისხმება შეხედულებათა, იდეათა, კონცეფციათა კომპლექსი, რომელიც მიმართულია პოლიტიკურ მოვლენათა ახსნაზე და რომელიც გვაძლევს ნათელ წარმოდგენებს პოლიტიკური რეალობის შესახებ და იძლევა სახელმწიფო-პოლიტიკური მოდელის საერთო პოლიტიკური კურსის განვითარების ფორმულირების საშუალებას. პოლიტიკური მეცნიერება წარმოადგენს პოლიტიკის მრავალფეროვანი სამყაროს გაცნობიერების ერთ-ერთ საშუალებას სხვა, მაგალითად თეოლოგიურ, ემპირიულ, ფილოსოფიურ წარმოდგენებთან ერთად. პოლიტიკური გაცნობიერების მეცნიერული ახსნა და სამყაროს გაგება ხორციელდება სხვადასხვა ინსტრუმენტის მეშვეობით, რომლებიც პოლიტიკური მეცნიერების შინაარსს წარმოადგენს, ის თავის თავში მოიაზრებს მეთოდებს, თეორიებს, კატეგორიებს, კონცეფციებს, მოდელებს. ამიტომაცაა, რომ პოლიტოლოგიაში თანაარსებობს და ურთიერთქმედებს მისი სხვადასხვა მხარე, ან შემადგენელი ნაწილები: პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკის თეორია, პოლიტიკური სოციოლოგია და სხვა.

### **თავი 1. პოლიტიკა როგორც სამეცნიერო დისციპლინა**

კითხვაზე: “რა წარმოადგენს პოლიტიკური მეცნიერების საგანს?” არაერთგვაროვანი პასუხები არსებობს, ხოლო პოლიტიკური მეცნიერების - როგორც აკადემიური დისციპლინის განსაზღვრება სხვადასხვა ქვეყნებში სხვადასხვაგვარია. მაგალითად, აშშ-ში, სასწავლო კურსები პოლიტოლოგიაში ცოდნის შემდეგი ბლოკების მიხედვით ფორმირდება: მმართველობის ამერიკული ფორმა, პოლიტიკური თეორია, შედარებითი პოლიტოლოგია, საერთაშორისო ურთიერთობების თეორია, პოლიტიკის სოციოლოგია, საჯარო ადმინისტრაცია. პირიქით, გერმანიაში პოლიტიკური მეცნიერება წარმოდგენილია შემდეგი დისციპლინების ნაკრებით: პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური სოციოლოგია, გერმანიის პოლიტიკური ისტორია, პოლიტიკური ინსტიტუტების (სამთავრობო და პარტიული სისტემები) თეორია და ისტორია, პოლიტიკური აზრის ისტორია (Robert E. Goodin. 2006).

თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების განსხვავებული გაგება არა მხოლოდ ეროვნული ტრადიციებით, არამედ პოლიტიკის მრავალგვარობითაც აიხსნება.

პოლიტიკის თანამედროვე გაგება მრავალფეროვანია. უებსტის საერთაშორისო ლექსიკონში პოლიტიკა განისაზღვრება შემდეგნაირად:

1. ეთიკის განხრა, რომელიც მთლიანობაში უფრო დაკავშირებულია სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ორგანიზმთან, ვიდრე ცალკეულ პიროვნებასთან; ზნეობრივი ფილოსოფიის ქვეგანყოფილება, რომელსაც საქმე აქვს ეთიკურ ურთიერთობებთან და მთავრობის პასუხისმგებლობასთან (სახელისუფლებო სტრუქტურებთან) და სხვა სოციალურ ორგანიზაციებთან; საზოგადოებრივი და სოციალური ეთიკა.
2. პოლიტიკური ქმედება, პრაქტიკა;
3. კონკურენტი ინტერესთა ჯგუფების პოლიტიკური ურთიერთობები ან საქმიანი კონკურენცია, ასევე ძალაუფლებისათვის მებრძოლ ლიდერთა და ინდივიდთა ბრძოლა; ქმედებები – სხვადასხვა მიზნების განხორციელების სფეროები - არასამთავრობო და არასახელისუფლებო ინსტიტუტები; პოლიტიკური ცხოვრება, როგორც საქმიანობის ძირითადი სფერო ან პროფესია;
4. პოლიტიკური ხელმძღვანელობა (პოლიტიკის გატარება) კერძო ურთიერთობებში;
5. პოლიტიკური პრინციპები, შეხედულებები ან ცალკეული პიროვნებების სიმპათია/ანტიპათია (გენდერული ან სხვა პოლიტიკა);
6. საზოგადოებაში მყოფ ადამიანთა შორის კონფლიქტური ურთიერთობების საერთო ერთობლიობა; ლიდერთა და არალიდერთა შორის ურთიერთობები ნებისმიერი სოციალური ორგანიზმის ფარგლებში (პოლიტიკური თანამეგობრობა, ეკლესია, კლუბი ან პროფკავშირი);
7. პოლიტიკური მეცნიერება (Myxაев. 2009. cтp. 9).

პოლიტიკა თავის გამოვლინებას რთული სტრუქტურების, დაწესებულებებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირების პროცესში პოულობს. გარდა ამისა, პოლიტიკა ასევე ვლინდება მიზნებში, მოტივებსა და ქცევებში. მიუხედავად ამისა, პოლიტოლოგია, როგორც აკადემიური დისციპლინა, ეროვნულ და მსოფლიო პოლიტიკურ პრაქტიკაში ბევრი საერთო და ტიპიური მახასიათებლებით გამოირჩევა.

### *ეროვნული პოლიტიკური სკოლები და მათი სპეციფიკა*

პოლიტიკური მეცნიერების მნიშვნელობა განისაზღვრება პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირების გაანალიზებით, ინდივიდსა და ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის საშუალებათა დაფიქსირებით, გლობალური პოლიტიკური განვითარების ტენდენციების გამოვლენით, საზოგადოების ცხოვრების სტილის

თავისებურებათა განსაზღვრით. ამავე დროს, კონკრეტული საზოგადოების კულტურულ და სხვა ღირებულებათა მიხედვით, ფორმირდებიან ეროვნული პოლიტოლოგიური სკოლები. გამოირჩევიან ფრანგული, გერმანული, იტალიური, ანგლოსაქსური და სხვა სკოლები, რომელთა ფარგლებში ჩამოყალიბებულ იქნა პოლიტიკური სამყაროს აღთქმის საკუთარი ტრადიციები. პირობითად, შესაძლებელია გამოიყოს ორი პოლიტოლოგიური ტრადიცია: ევროკონტინენტალური და ანგლოსაქსური.

**ევროკონტინენტალური ტრადიცია.** მასში ბატონობს ინსტიტუციონალური მიდგომა, რომელთა მიხედვით პოლიტიკური ინსტიტუტები წარმოდგენილი არიან როგორც ადამიანურ ურთიერთობათა მოდელი. ამ ტრადიციის მიმდევართა შესაბამისად, პოლიტიკური მეცნიერება წარმოადგენს ერთ-ერთ მეცნიერებას, რომელიც პოლიტიკას სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის გადასახედიდან შეისწავლის. მასთან ერთად არსებობენ პოლიტიკურ ცოდნასთან დაკავშირებული დამოუკიდებელი მიმართულებები: პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური ანთროპოლოგია, პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური ფსიქოლოგია და ა.შ. თითოეული მათგანი შეისწავლის პოლიტიკური ცხოვრების ერთ კონკრეტულ მხარეს, ანუ მას გააჩნია კვლევის დამოუკიდებელი საგანი.

**ანგლოსაქსური (ანგლო-ამერიკული სკოლა).** პოლიტიკურ მეცნიერებას იგი განიხილავს როგორც უფრო საერთო მეცნიერებას პოლიტიკის შესახებ, რომელიც თავის თავში ახდენს პოლიტიკური ცოდნის სხვადასხვა მიმართულებების ინტეგრაციას: პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური თეორია, პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური ანთროპოლოგია. თანამედროვე დასავლეთის პოლიტიკური მეცნიერების ანგლო-ამერიკული სკოლას დღევანდელ ეტაპზე დასავლურ პოლიტოლოგიაში წამყვანი მდგომარეობა უკავია (Political Science. N.Y. 1991, p.21).

ანგლოსაქსური სკოლა, ევროკონტინენტური ეროვნული სკოლისაგან რიგი თავისებურებებით გამოირჩევა. პირველ რიგში, ამ სკოლის ფარგლებში XX საუკუნის დასაწყისში განხორციელებულ იქნა გადასვლა შედარებითი– ისტორიული ანალიზიდან პოლიტიკური პროცესების ნორმატიულ-სამართლებრივ შესწავლაზე. ერთის მხრივ, ეს განხორციელებულ იქნა სოციალურ პროცესებთან უშუალო ურთიერთკავშირში და მეორეს მხრივ, ყურადღება გამახვილებულ იქნა ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიურ მოტივაციაზე. უშუალოდ, ცნობილი ჩიკაგოს სკოლის წარმომადგენელთა მიერ, პირველად იყო განხორციელებული მცდელობა საბოლოოდ გამოიჯნოდნენ XIX საუკუნეში ემპირიული რედუქციონიზმის სფეროში არსებულ პოლიტიკურ “მეტაფიზიკას”. ამ დროიდან დაწყებული, აბსტრაქტული პოლიტიკური გაგების ნაცლად, პოლიტიკურ ანალიზის პროცესში შეყვანილ იქნა ემპირიული სარწმუნო ფაქტები ინდივიდთა პოლიტიკური ქცევის შესახებ. ეს ფაქტები საშუალებას იძლეოდნენ მიღწეულ ყოფილიყო პოლიტიკური ცოდნის ობიექტური,



ნეიტრალური შეფასება. ეს პოზიტივისტური ორიენტაცია დღეს დამახასიათებელია მთელი დასავლური პოლიტიკური მეცნიერებისათვის და მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავს მისი განვითარების თავისებურებებს. მეორეს მხრივ, პოლიტიკური ანალიზის ყველა ძირითადი მიმართულებები (ბიჰევიორიზმი, სოციალური ქცევის თეორიები, და სხვ.) საკმაოდ ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი პოლიტოლოგიის სხვა ეროვნულ სკოლებში და თავისი წარმოშობით ისინი დავალებულები არიან ანგლო-ამერიკული მიმართულების პოლიტიკური მეცნიერებისგან. ყველა ეს მიმართულება თავის საწყისს იღებს იმ თეორიებში, რომლებიც შემუშავებულ იქნა აშშ-სა და დიდი ბრიტანეთის უნივერსიტეტებში გასული საუკუნის 20-50-იან წლებში.

ორი ალტერნატიული მიდგომის დაახლოების მცდელობა განხორციელებულ იქნა პოლიტიკურ მეცნიერებასთან დაკავშირებული პრობლემების შესახებ გამართულ საერთაშორისო კოლოქვიუმზე, რომელიც იუნესკოს ინიციატივით 1948 წელს პარიზში გაიმართა. ამ ღონისძიებაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ტერმინი “პოლიტიკური მეცნიერება” მხოლოდით რიცხვში ყოფილიყო გამოყენებული. ამასთანავე, განისაზღვრა პოლიტიკური მეცნიერების შემდეგი მიმართულებები: 1. პოლიტიკური თეორია (პოლიტიკური თეორია და პოლიტიკური იდეების ისტორია); 2. პოლიტიკური ინსტიტუტები (კონსტიტუცია, ცენტრალური მთავრობა, რეგიონალური და ადგილობრივი მთავრობები, სახელმწიფო ადმინისტრაცია, მთავრობის ეკონომიკური და სოციალური ფუნქციები, პოლიტიკური ინსტიტუტების შედარებითი ანალიზი); 3. პარტიები, ჯგუფები და საზოგადოებრივი აზრი (პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ჯგუფები, ასოციაციები, მოქალაქის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, საზოგადოებრივი აზრი); 4. საერთაშორისო ურთიერთობები (საერთაშორისო პოლიტიკა, საერთაშორისო ორგანიზაციები, საერთაშორისო სამართალი) (Myxaev. 2009. ctp. 12).

თანამედროვე დროის ახალი რეალიების გათვალისწინებით, შესაბამის ცოდნათა კომპლექსზე დაყრდნობით, განხორციელებულ იქნა ერთიანი პოლიტიკური მეცნიერების სტრუქტურირება: ა) პოლიტიკური თეორია; ბ) პოლიტიკური სოციოლოგია; გ) სახელმწიფო-ადმინისტრაციული მეცნიერებები; დ) საერთაშორისო ურთიერთობები, რომლებიც აღწერენ პოლიტიკური რეალობის განსაზღვრულ სეგმენტს.

### ***რას შეისწავლის პოლიტიკური მეცნიერება***

პრაქტიკულ ცხოვრებაში თავისი არსებობის ხანგრძლივი დროის მიუხედავად, პოლიტიკის შესახებ დამოუკიდებელ ცოდნათა კომპლექსის რანგში, ვერ იქნა დამკვიდრებული ერთიანი მიდგომა ტერმინის – “პოლიტიკური მეცნიერება” გარშემო. პოლიტიკური მეცნიერების წარმოშობის მომენტიდან მისი საგანი და კვლევის ობიექტი მუდმივად განიხილებოდა, იხვეწებოდა და მუშავდებოდა სხვადასხვა მეთოდები.

პოლიტიკური მეცნიერების ძირითადი ობიექტის რანგში (ანუ ობიექტურ რეალობასთან დაკავშირებული მოვლენები ან სფეროები), მკვლევართა ძირითადი ნაწილის აზრით, პოლიტიკური სამყარო გვევლინება. ხოლო პოლიტიკური მეცნიერების საგანს ცნებათა ერთობლიობა წარმოადგენს, რომლის მეშვეობითაც ხდება პოლიტიკისა ან პოლიტიკურ რეალობათა გაანალიზება. ამავე დროს, პოლიტიკის სამყარო დუალისტურია. პოლიტიკა ერთის მხრივ წარმოგვიდგება როგორც პრაქტიკა, ძალაუფლების შესახებ რეალური ურთიერთობები, ხოლო მეორეს მხრივ, ადამიანური ღირებულებების შესაბამისად, როგორც სუბიექტურ წარმოდგენათა, მსჯელობათა და განზრახვათა წარმოდგენა. პოლიტიკური მეცნიერების შინაარსზე და მის სხვადასხვანაირ აღთქმაზე თავისი დალი დაასვეს პოლიტიკური აზრის ეროვნულმა თავისებურებებმა, ეროვნული ტრადიციებისა და სკოლების ჩამოყალიბების სპეციფიკამ, ასევე კონცეპტუალურმა მიდგომებმა.

პირობითად, პოლიტოლოგიის საგანზე შესაძლებელია ორი მოსაზრება იყოს წარმოდგენილი, თუმცა მათ სიღრმეშიც არსებობს გარკვეული განსხვავებები.

*პირველი მოსაზრება.* ამ თეორიას ეფუძნებიან ე.წ. ნორმატიული პოლიტიკური მეცნიერების მიმდევრები, რომლებიც ცდილობენ შექმნან მთლიანი და უნივერსალური პოლიტიკური თეორია. ისინი პოლიტიკას განიხილავენ როგორც ფორმას, სახელმწიფოსა და მთავრობის მოღვაწეობასა და ორგანიზაციას, მის ურთიერთქმედებას მოქალაქეებთან და სხვა სახელმწიფოებთან სამართლიანობის თვალთახედვიდან, ასევე პოლიტიკური წესრიგისა და სარგებლიანობიდან გამომდინარე (Political theory and the modern state, chapter 4). პოლიტიკური თეორიის საგანს წარმოადგენენ პოლიტიკური ინსტიტუტები, რომელთა ფუნქციონირებაც გვაძლევს საშუალებას განვსაზღვროთ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები. ამასთანავე, თავად პოლიტიკური მეცნიერება განიხილება როგორც უფრო ფართო დისციპლინის ნაწილი, კერძოდ, საუბარია პოლიტიკურ ანალიზზე (Bowie N., Simon R. p.7). ეს მოსაზრება ძირითადად დასაფლეთ ევროპაშია გავრცელებული, სადაც პოლიტიკური მეცნიერება გამოეყო სახელმწიფოს თეორიის ან იგივე საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებას. “კონსტიტუციონალისტების აზრით”, პოლიტიკური მეცნიერება არ დაიყვანება სახელმწიფოს შესწავლასთან, მის ობიექტს ასევე წარმოადგენენ პარტიული სისტემები, ელიტები, პოლიტიკური ლიდერობა. ასე მაგალითად, საფრანგეთში ტერმინი “პოლიტიკური მეცნიერება” გამოიყენება როგორც პოლიტიკის სოციოლოგიური თეორიის (პოლიტიკური სოციოლოგია) სინონიმი - პოლიტიკის სფეროში ემპირიული სოციოლოგიური კვლევების საპირწონედ და რიგ შემთხვევებში ეს იმიტომაც ხდება, რომ წარმოდგენილ იქნეს ტერმინის “პოლიტიკური ფილოსოფია” ალტერნატიული ვერსია. ამავე დროს, ერთიანი სამეცნიერო ტრადიციის, მაგალითად ფრანგული სკოლის ფარგლებშიც, ხშირად გვხვდება პოლიტოლოგიის საგნობრივი ველის სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაცია. ასე მაგალითად, ფრანგი პოლიტოლოგი გრავიტსი მიიჩნევს, რომ “პოლიტიკური მეცნიერების მიხედვით ერთის მხრივ შესაძლოა განისაზღვროს როგორც ის, თუ როგორ იყენებენ ადამიანები იმ ინსტიტუტებს, რომლებიც მათ თანამედროვე ცხოვრებას არეგულირებს, ხოლო

მეორეს მხრივ იმ იდეათა შესწავლა, რომლებიც ხალხს გარკვეული ქმედებებისაკენ უბიძგებს, იმისგან დამოუკიდებლად, შექმნილი და ჩამოყალიბებულია ეს იდეები მათ მიერ თუ წინა თაობებისაგანაა მიღებული”. შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკური მეცნიერების საგანში მჭიდროდაა გადახლართული სხვადასხვა იდეები, ინსტიტუტები და ხალხი” (რ. პენტო მ. გრაეიტსი. 1972. გვ. 190).

პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთი პატრიარქი, მ. დიუვერჟე მიიხნევედა, რომ “პოლიტიკური მეცნიერება მისი ყველაზე უფრო ფართო ინტერპრეტაციით უნდა შეიცავდეს ცოდნის სამ ძირითად მიმართულებას: პოლიტიკის სოციოლოგიური ანალიზის შესავალი; დიდი პოლიტიკური სისტემების აღწერა და ბოლოს, ორგანიზაციების შესწავლა (პარტიები და ზეწოლის ჯგუფები)” (Duverger M. P. 1973. p. 5). ამ იდეათა საპირისპიროდ, პოსტსტრუქტურალისტი მ. ფუკო პოლიტიკურ მეცნიერებას განსაზღვრავდა როგორც “ძალაუფლების მეტაფიზიკას” (Foucault M. 1980. P. 101).

არსებობს მეორე მოსაზრება, რომელსაც ისინი გამოხატავენ, ვინც პოლიტოლოგიას როგორც ემპირიულ, გამოყენებით მეცნიერებას აღიქვამს. მათი აზრით, პოლიტიკური მეცნიერების საგანს წარმოადგენს ურთიერთობა ხელისუფლებასთან დაკავშირებით. ისინი აღიქვამენ პოლიტიკას, როგორც საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის დამოუკიდებელ სფეროს, რომელიც სხვა სფეროების (ეკონომიკური, სოციალური, სულიერი და ა.შ.) პარალელურად არსებობს. ის არ დაიყვანება ინსტიტუტებისა და დაწესებულებების ერთობლიობასთან, რომლებიც მას გარკვეულ ფორმას ანიჭებენ, არამედ იგი მოიცავს პრაქტიკული საქმიანობის ყველა სფეროს, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული სახელისუფლებო ურთიერთობებთან. პოლიტიკა ამ შემთხვევაში გვევლინება როგორც ადამიანთა ცხოვრების უნივერსალური განზომილება, რომელსაც შეუძლია ხელისუფლების მეშვეობით ადამიანთა შორის ურთიერთობათა დარეგულირება (Edward Elgar, 1990. PP. 126-142) მოახდინოს. მსგავსი მიდგომა გავრცელებულია ანგლო-ამერიკულ პოლიტიკურ მეცნიერებაშიც. თუმცა, აქაც არ არის ყველაფერი ერთგვაროვანი. ამერიკულ მიმართულებაში პოლიტიკური საგნის შესწავლის პროცესში უპირატესობა ენიჭებოდა პოლიტოლოგიის გაგებას - როგორც მეცნიერებას, ხელისუფლების შესახებ. ჩ. მერიამის, ტ. პარსონსის, რ. დალის განსაზღვრებით, პოლიტიკური მეცნიერება შეისწავლის იმას, თუ რა გზით ნაწილდება რესურსები საზოგადოებაში და როგორაა ამ საზოგადოებაში უზრუნველყოფილი პოლიტიკური წესრიგი. მათი აზრით, მარტო იმ პოლიტიკას, რომლის საფუძველსაც ხელისუფლება წარმოადგენს, გააჩნია ლეგიტიმური ძალის გამოყენების საშუალებები, როდესაც ხელისუფლების სხვა ფორმებს (რელიგიური, პარტიული, საინფორმაციო, ეკონომიკური) არ გააჩნიათ შესაბამისი უფლება. XX საუკუნის ბოლოს უკვე დომინირებდა პოლიტოლოგიის ძალზედ ვიწრო გაგება, რომელიც დაიყვანებოდა პოლიტიკურ ქცევამდე. მრავალი ამერიკელი პოლიტოლოგი თვლიდა, რომ “პოლიტიკური მოვლენა ყველაზე საუკეთესოდ შესაძლებელია გაგებულ იქნეს როგორც ქცევის შედეგების ერთობლიობა, რომელიც ინდივიდისა ან ჯგუფის დონეზე შესწავლას ექვემდებარება” (March J.G. and Olson J.P. 1989. P. 4).

გასული საუკუნის 70-იან წლებამდე, დამოკიდებულება პოლიტიკური რეალობისადმი და უშუალოდ რეალური ფაქტების განაალიზების აუცილებლობა განაპირობებდა გამოყენებითი პოლიტოლოგიის დომინირებასა და პოლიტიკური მეცნიერების კონცეფტუალური გააზრებისადმი ინტერესის შესუსტებას. “პოზიტივიზმის” (პოლიტოლოგიის მიმართულება) ბატონობის ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე პოლიტიკის შესწავლის ემპირიულმა მიდგომამ პოლიტიკური მეცნიერება პოლიტიკური ქცევის შესახებ მეცნიერებად გაადაქცია. შესაბამისად, პოლიტიკურ მეცნიერებაში “პოზიტივიზმის” მემკვიდრედ იქცა მეორე მიმართულება – “ბიჰევიორიზმი”. ბიჰევიორისტების ანალიზის ცენტრში იმყოფებოდა პოლიტიკური მოქმედება (საქციელი).

ორი მიდგომის დაახლოების პროცესს, რომელიც პოლიტოლოგიის განსაზღვრებას შეეხებოდა, XX ს. 80-90-იანი წლების ბოლოს ხელი შეუწყო მსოფლიო პოლიტიკაში არსებულმა გლობალურმა ცვლილებებმა. ისინი დაკავშირებულნი არიან კომუნიზმის კრახთან და პოლიტიკური წესრიგის ახალი კონფიგურაციის ფორმირებასთან, რამაც განაპირობა პრინციპიალურად ახალი რისკებისა და გამოწვევების წარმოშობა, პოლიტიკური ფაქტორების შესახებ არსებული წარმოდგენების ტრანსფორმირება. ამ ვითარებაში მხოლოდ პოლიტიკის ერთიანი თეორია წარმოადგენდა პოლიტიკის განსაზღვრის საუკეთესო საშუალებას. შესაბამისად, თანამედროვე პერიოდში, იმის განსაზღვრავად, თუ რითია დაკავებული პოლიტიკური მეცნიერება, შესაძლებელია ავლნიშნოთ შემდეგი: “პოლიტოლოგია – ეს არის მეცნიერება პოლიტიკური ხელისუფლების გავრცელებისა და განხორციელების შესახებ, რომელიც წარიმართება სახელმწიფო ორგანოების კომუნიკაციის (ურთიერთქმედების) ყველა ფორმის, ასევე ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთობის პროცესში, რომლის მიზანს წარმოადგენს პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა მიღება, რომლებიც მიმართულია ზოგად-საკაცობრიო მოთხოვნილებების დაკმაყოფილებისაკენ (Мухаев. Р.Т. Политология. 2009. стр. 16).

### **პოლიტიკის შესწავლის მეთოდები**

პოლიტიკურ საქმიანობასთან დაკავშირებით ხშირად უფრო მწვავე კამათი იმართება, ვიდრე პოლიტიკის, როგორც აკადემიური სამეცნიერო დისციპლინის შესახებ არსებული დავა. პოლიტიკას, ინტელექტუალური კვლევის ამ ერთ-ერთ უძველეს სფეროს, თავდაპირველად ფილოსოფიის, ისტორიისა და სამართლის ერთ-ერთ განხრად მიიჩნევდნენ. მის უმთავრეს მიზანს იმ პრინციპთა გამოვლენა წარმოადგენდა, რომელსაც საზოგადოება უნდა დაფუძნებოდა. თუმცა, XIX საუკუნის ბოლოდან მოყოლებული, ამგვარი ფილოსოფიური დატვირთვა თანდათანობით პოლიტიკის ვიწრო სამეცნიერო დისციპლინად გადაქცევის მცდელობით შეიცვალა, ეს პროცესი განსაკუთრებით 1950-1960 წლებში განვითარდა, როდესაც მოხდა ადრინდელი ტრადიციის, როგორც უაზრო მეტაფიზიკის, სრული უარყოფა. შედეგად,

თანამედროვე პერიოდში მიღებული დისციპლინა უფრო ნაყოფიერია და საინტერესოც, რადგან მრავალ თეორიულ მიდგომასა და ანალიზის მეთოდს მოიცავს (A.Heywood. Politics. New-York, 2007. P. 26).

### *ფილოსოფიური ტრადიცია*

პოლიტიკური ანალიზის სათავეები ძველ საბერძნეთსა და ჩვეულებრივ, “პოლიტიკურ ფილოსოფიად” მონათლულ ტრადიციას უკავშირდება. იგი გულისხმობდა არსებითად ეთიკური, დიდაქტიკური თუ ნორმატიული საკითხების კვლევას – ანუ იმის წვდომისა და შეცნობის სურვილს, თუ რა და როგორ “უნდა იყოს” და არა იმას, რაც უკვე “არის”. ამ ტრადიციის მამამთავრებად პლატონი და არისტოტელე ითვლებიან. შუა საუკუნეებში კი მათმა იდეებმა ისეთი მოაზროვნეების შრომებშიც იჩინა თავი, როგორებიც იყვნენ ნეტარი ავეუსტინე (354-430 წწ.) და თომა აკვინელი (1225-1274 წწ.). ასე მაგალითად, პლატონი უმთავრესად არა არსებული, არამედ იდეალური საზოგადოების ბუნების ახსნას იძიებდა და ასეთად “სიქველის დიქტატურა”, “მეფე-ფილოსოფოსთა” მმართველობა ესახებოდა. სწორედ ამ ხასიათის ნაშრომებში ჩამოყალიბდა პოლიტიკის შესწავლისადმი ე.წ. “ტრადიციული მიდგომა”, რაც ძირითადი იდეებისა და დოქტრინების ანალიტიკურ შესწავლას გულისხმობს. როგორც წესი, ეს ტრადიცია პოლიტიკური აზროვნების ისტორიად განიხილება, რომელიც გამოჩენილ მოაზროვნეებს (პლატონი იქნება თუ სხვები) და “კლასიკური” ტექსტების მთელ კორპუსს მოიცავს. ამგვარი მიდგომა გარკვეულწილად ლიტერატურულ ანალიზს ემსგავსება: მას უფრო მეტად დიდმოაზროვნეთა გამონათქვამები, მათი სიმწყობრე და დასაბუთება აინტერესებს, თუ რა ინტელექტუალურ კონტექსტში “ჯდებიან” ისინი. რაოდენ კრიტიკულადაც და ზედმიწევნით არ უნდა მიუდგეთ ამგვარ ანალიზს, მეცნიერული თვალსაზრისით, ის მაინც ვერანაირად ვერ იქნება ობიექტური: ამ დროს ხომ არაერთი ნორმატიული ხასიათის შეკითხვა იბადება – რატომ უნდა დავმორჩილდე სახელმწიფოს? ვის როგორ უნდა მიეზღოს სათანადოდ? ან თუნდაც, სად გადის პიროვნული თავისუფლების ზღვარი? (A.Heywood. Politics. New-York, 2007. P. 27).

### *ემპირიული ტრადიცია*

იმის მიუხედავად, რომ ემპირიული - ანუ სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ აღწერითი ტრადიცია, თავის დროზე შედარებით ნაკლებად იყო გავრცელებული ნორმატიულ მოძღვრებებთან შედარებით, მან პოლიტიკური აზროვნების დასაწყისშივე იჩინა თავი. მისი გავლენა ასევე მოჩანს წყობილებათა კლასიფიკაციის არისტოტელესეულ მცდელობაშიც, ასევე ქვეყნის მართვის მაკიაველისტურ რეალისტურ კონცეფციაშიც და მართვისა და კანონმდებლობის მონტესკისეულ სოციოლოგიურ თეორიაშიც. სხვადასხვა თვალსაზრისის შესაბამისად, თავის დროზე არსებულმა სწორედ ამგვარმა მოსაზრებებმა მოგვცა იმის საფუძველი, რომ დღევანდელ ეტაპზე

ერთმანეთისაგან მკაფიოდ გავმიჯნოთ მმართველობის სხვადასხვა სისტემა. ამავე დროს, სათავე დაედო პოლიტიკის, როგორც სამეცნიერო დისციპლინისადმი არსებითად ინსტიტუციონალურ მიდგომას. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ში, ამ მიდგომამ უკვე წამყვანი, ანალიტიკური ტრადიციის სახეც კი შეიძინა. პოლიტიკური ანალიზისის მიმართ ემპირიული მიდგომა, პოლიტიკური რეალობის აბსოლუტურად ობიექტურად აღქმას გულისმობს, ხოლო “აღწერითია” იმდენად, რამდენადაც იგი ცდილობს მოვლენათა მკაფიო გაანალიზებას. მეორეს მხრივ, ნორმატიული მიდგომა, “განსაზღვრებითია” იმ თვალსაზრით, რომ განსჯის საშუალებასა და რჩევებსაც იძლევა.

აღწერილობითმა პოლიტიკურმა ანალიზმა ფილოსოფიური მუხტი ფილოსოფიაში არსებულ ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებიდან, ემპირიზმისგან მიიღო. ამ მიმართულებას საფუძველი XVII საუკუნის ისეთი ფილოსოფოსების შრომებში დაედო, როგორებიც იყვნენ ლიბერალიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის ფუძემდებელი ჯონ ლოკი და დევიდ იუმი. ემპირიზმის დოქტრინამ კიდევ უფრო გაამყარა ის მიდგომა, რომ ცოდნის ჰიპოტეზა თუ თეორია სათანადო ცდით უნდა შემოწმდეს. უკვე XIX საუკუნეში მსგავსმა იდეებმა პოზიტივიზმის სახე შეიძინა – პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული იმ ინტელექტუალური მიმდინარეობის, რომელიც იტალიელი მეცნიერის ავგუსტ კომტის (1798-1857) სახელს უკავშირდება. პოზიტივიზმის მიმდევრები ამტკიცებდნენ, რომ არა მარტო სოციალური მეცნიერებანი, არამედ ფილოსოფიური კვლევის ნებისმიერი ფორმაც საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდოლოგიას უნდა მისდევდეს. რაკი მეცნიერება ჭეშმარიტების განმსაზღვრელ ერთადერთ სანდო წყაროდ იქნა მიჩნეული, უკვე გარდაუვალი გახდა პოლიტიკის მეცნიერულ საფუძვლებზე გადასვლაც.

### *მეცნიერული ტრადიცია*

პირველი თეორეტიკოსი, რომელიც პოლიტიკის გაანალიზებას მეცნიერული კატეგორიებით შეეცადა, გახლდათ მარქსიზმის თეორიის ფუძემდებელი კარლ მარქსი. საკუთარი ე.წ. “ისტორიის მატერიალისტური კონცეფციის” გამოყენებით, იგი შეეცადა დაედგინა ისტორიული განვითარების მამოძრავებელი ძალები და სწორედ ამ “კანონებზე” დაფუძნებით ეწინასწარმეტყველა მომავალი პროცესები, რომელთაც სანდოობის თვალსაზრისით იგივე სტატუსი მიენიჭებოდათ, რომელიც საბუნებისმეტყველო მეცნიერების მიმართულებით არსებულ კანონებს გააჩნდათ. მეცნიერული ანალიზის ტენდენციამ თავისი გავლენა იქონია მე-19 საუკუნის ტრადიციულ მეთოდებზეც: XIX საუკუნის 70-იან წლებში “პოლიტიკური მეცნიერების” კურსი იკითხებოდა ოქსფორდის, პარიზისა და კოლუმბიის უნივერსიტეტებში, ხოლო უკვე 1906 წლიდან დაიწყო American Political Science Review გამოცემა. თუმცა პოლიტიკურმა მეცნიერებამ თავის მაქსიმალურ განვითარებას 1950-

1960-იან წლებში მიაღწია, ამის თვასაჩინო მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ჩამოყალიბებულ იქნა პოლიტიკური ანალიზის ის ფორმა, რომელიც პირველ რიგში ბიჰევიორიზმის თეორიას ეფუძნებოდა. მან პირველად შესძინა პოლიტოლოგიის მეცნიერებას სანდო სამეცნიერო ავტორიტეტი, აგრეთვე ის, რის დეფინიციასაც აღნიშნული მეცნიერება ადრეულ პერიოდში განიცდიდა: კერძოდ, ნებისმიერი ჰიპოთეზის შესამოწმებლად აუცილებელი ობიექტური და აღნუსხვადი მონაცემების შესწავლა. ისეთმა წამყვანმა პოლიტოლოგებმა, როგორებიც არიან მაგალითად დევიდ ისტონი, განაცხადეს, რომ უკვე შექმნილი იყო იმის წინაპირობა, რომ განხორციელებულ ყოფილიყო პოლიტიკური მეცნიერების საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდოლოგიით აღჭურვა, რაც უკვე ისეთ სფეროში იქნებოდა გამოყენებული, სადაც რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სწორედ რომ უფრო ნათელ წარმოდგენას იძლევა კონკრეტული პროცესის შესახებ: ამის მაგალითია ამომრჩევლების, კანონმდებლების, პოლიტიკოსებისა თუ ლობისტების სამოქმედო სფეროს განსაზღვრის მექანიზმების შემუშავება.

მაგრამ გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ბიჰევიორალიზმი გარკვეულ წინააღმდეგობებს აწყდებდა: წარმოდგენილ იქნა რამდენიმე მოსაზრება, რომ ამ მიმართულებამ არსებითად შეზღუდა პოლიტიკური ანალიზის საზღვრები, რითაც იგი უშუალოდ დაკვირვების ობიექტის ფარგლებში მოექცა. ბიჰევიორალიზმმა, ეჭვგარეშეა, პოლიტიკურ მეცნიერებაში ფასეულ შედეგებს მიაღწია და დღესაც აღწევს წარმატებას ისეთ სფეროებში, როგორებიცაა მაგალითად საარჩევნო კამპანიასთან დაკავშირებული კვლევები, ოღონდ რაოდენობრივი მეთოდების მიმართულებით პროცესების გააზრებამ, პოლიტიკის საგანი არც მეტი და არც ნაკლები, შეიძლება მხოლოდ ამ ვიწრო ელექტორალური საკითხების ანალიზამდე დაიყვანოს. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ბიჰევიორალიზმმა პოლიტოლოგთა მთელი თაობა ნორმატიული პოლიტიკური აზრის ტრადიციას ჩამოაშორა. ისეთი ცნებები, როგორიცაა “თავისუფლება”, “თანასწორობა”, “სამართლიანობა” თუ “ადამიანის უფლებები”, ხშირად ერთი საბაბით იქნა უგულბელყოფილი – თითქოს ისინი არ ექვემდებარებიან არავითარ ემპირიულ შემოწმებას. XX საუკუნის 70-იან წწ. ჯონ როულზისა და რობერტ ნოუზიკის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომების წყალობით, ნორმატიული განსჯისადმი გამოღვიძებულმა ინტერესმა ბიჰევიორალიზმით გამოწვეული უკმაყოფილება კიდევ უფრო თვალსაჩინო გახადა.

უფრო მეტიც, გარკვეული დროის განმავლობაში, სხვადასხვა პოლიტოლოგმა, ბიჰევიორალიზმის მეცნიერული ღირებულებაც ეჭვის ქვეშ დააყენა. მის ობიექტურობასა და საიმედოობას ხომ “ფასეულობათაგან თავისუფლება” ელო საფუძვლად, ანუ, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ამ მეთოდით კვლევის შედეგებზე არანაირი ეთიკური თუ ნორმატიული მრწამსი თავის გავლენას არ მოახდენდა.

ღირებულებათა ამგვარი გადაფასება იმაშიც გამოჩნდა, რომ თავად “დემოკრატია” არსებითად, ახლებურად იქნა გააზრებული დაკვირვებისათვის ხელმისაწვდომი ფაქტორების გათვალისწინებით: ამგვარად, დემოკრატის, როგორც “სახალხო თვითმმართველობის” ცნება, დაპირისპირებული ელიტების მიერ საყოველთაო და გამჭვირვალე არჩევნების მეშვეობით ხელისუფლებაში მოსვლის პროცესამდე იქნა დაყვანილი. სხვაგვარად რომ ითქვას, დემოკრატია პრინციპში უკვე იმასთან ასოცირდება, რაც ხდება დასავლეთის წამყვან დემოკრატიულ პოლიტიკურ სისტემებში.

### *უახლესი ტენდენციები*

პოლიტიკისადმი თანამედროვე თეორიულ მიდგომებს შორის შეგვიძლია განვიხილოთ ე.წ. ფორმალური პოლიტიკური თეორია, რომელიც ხანდახან “პოლიტიკურ ეკონომიკად”, ხანდახან “საზოგადოებრივი არჩევანის თეორიად” და ხანაც “რაციონალური არჩევანის თეორიად” იხსენიება. ანალიზისადმი ამგვარ მიდგომას ბევრი აქვს გადმოდებული იმ ეკონომიკური თეორიიდან, რომელიც მეთოდოლოგიურ წესებზე დაყრდნობით, აგებს მონაწილე მხარეთა რაციონალური პირადი ინტერესებით განპირობებულ ქცევის მოდელებსა და ნორმებს (A.Heywood. Politics. New-York, 2007. P. 30). ამერიკის შეერთებულ შტატებში შექმნილი და ძირითადად ე.წ. “ვირჯინიის სკოლასთან” გაიგივებული ეს თეორია, იმ უაღრესად სასარგებლო ანალიტიკურ ინსტრუმენტს გვთავაზობს, რომელიც ნათლად წარმოაჩენს პოლიტიკის სუბიექტების - ამომრჩეველთა, ლობისტთა, ბიუროკრატთა თუ პოლიტიკოსთა ქმედებებს და ამავე დროს, ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტების განსაზღვრის მოტივაციებსაც საკუთარ ახსნას უძებნის. საზოგადოებრივი არჩევანის თეორიის წყალობით, ამ მიდგომამ პოლიტიკურ ანალიზზე დიდი ზეგავლენა მოახდინა. მოგვიანებით, ამ მიდგომის გამოყენება მოხდა ისეთი ავტორების მიერ, როგორებიც არიან ენტონი დაუნზი, მანკურ ოლსონი და უილიამ ნისკანენი, რომლებმაც სამეცნიერო კვლევის განხორციელების პროცესში, პარტიათა მეტოქეობის, ინტერესთა ჯგუფების ქცევებისა და ჩინოსანთა მიერ პოლიტიკური ბერკეტების გამოყენების ხერხები განიხილეს. ზემოაღნიშნული მეთოდი წარმოდგენილ იქნა “თამაშის” თეორიის ფორმითაც, რაც ეკონომიკური მეთოდების გამოყენებაზე უფრო, მათემატიკური მეთოდების გამოყენებას გულისხმობდა, ხოლო ცალკეული პიროვნებების უცნაური ქცევების ასახსნელად, აქსიომატურ ჭეშმარიტებებზე დამყარებულ ამოცანას – თავსატეხს იყენებდა. თუმცა რთულია იმის თქმა, რომ პოლიტიკური ანალიზისადმი “რაციონალური არჩევანის” მიდგომის გამოყენებამ მყარად დაიმკვიდრა ფეხი პოლიტიკურ მეცნიერებაში.

სხვადასხვა ხასიათის დაბრკოლებების მიუხედავად, ზემოაღნიშნულმა ფაქტორებმა თავისი ზეგავლენა მოახდინეს პოლიტიკური ანალიზის უფრო გამდიდრებაზე და მის



მრავალფეროვნებაზე. მანამდე არსებულ ტრადიციულ, ნორმატიულ, ინსტიტუციონალურ და ბიჰევიორისტულ მიდგომებს თანამედროვე პერიოდში არა მხოლოდ რაციონალური არჩევანის თეორია, არამედ ახალი იდეებისა და ტენდენციების ფართო სპექტრიც დაემატა. მაგ: XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, როდესაც ქალთა მოძრაობამ მსოფლიოში ახალი მნიშვნელობა შეიძინა, ფემინიზმის მიერ უპირველესი მნიშვნელობა მიენიჭა გენდერულ და პატრიარქალურ სტრუქტურებს, ამავე დროს, მან ეჭვქვეშ დააყენა “პოლიტიკური”, უკვე დადგენილი მიდგომები, რასაც თანამედროვე პერიოდში ახალი ინსტიტუციონალიზმი ეწოდება. ამავე დროს, “მწვანეთა” პოლიტიკამ ე.წ. ჰოლისტიური (ანუ გლობალისტური თეორია) მიდგომა წამოწია წინა პლანზე; თავის მხრივ, კრიტიკულმა თეორიამ, რომელმაც თავად კრიტიკის ცნება ნებისმიერ სოციალურ საქმიანობაზე გააგრძელა, მრავალი მეცნიერი – მათ შორის ზიგმუნდ ფროიდი და მაქს ვებერიც კი დააინტერესა. თავის მხრივ, პოსტმოდერნიზმმა ეჭვქვეშ დააყენა აბსოლუტური და უნივერსალური ჭეშმარიტების იდეა და სხვა მრავალთა შორის, დისკურსის თეორიასაც მისცა ბიძგი. და ბოლოს, ზოგადი, თუმცა უაღრესად მნიშვნელოვანი სიახლე გახლავთ ის, რომ როგორც პოლიტიკური ფილოსოფია, ასევე პოლიტიკა – როგორც მეცნიერება – სულ უფრო და უფრო იშვიათად აღიქმებიან კვლევის გარკვეულ მეთოდოლოგიად, მით უმეტეს მეტოქეებად: პირიქით, სხვადასხვა მკვლევარი მათ უბრალოდ პოლიტიკური ცოდნის გაზიარების განსხვავებულ გზად აღიქვამს.

### *არის თუ არა შესაძლებელი პოლიტიკის მეცნიერული მეთოდით შესწავლა?*

ეჭვგარეშეა, რომ პოლიტიკის, როგორც ზუსტი, კრიტიკული ხასიათის დისციპლინის შესწავლა, ზოგადსამეცნიერო მიდგომების საშუალებით უნდა განხორციელდეს; მაგრამ, როგორც უკვე აღინიშნა, სხვადასხვა ექსპერტი იმასაც ამტკიცებს, რომ პოლიტიკის სამეცნიერო ხასიათი უფრო მკაცრადაც განისაზღვრება და იგი ვალდებულია საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მეთოდოლოგიით იყოს “შეიარაღებული”. ამ თვალსაზრისს, ძირითადად, კარლ მარქსი და პოზიტივიზმის მიმართულების მეცნიერები გამოხატავდნენ, ხოლო XX საუკუნის 50-იან წლებში იგი “ბიჰევიორისტული რევოლუციის” საყრდენადაც კი გადაიქცა. პოლიტიკის, როგორც მეცნიერების ხიბლი აშკარაა: იგი “ტყუილ-მართალის” გარჩევის მიუკერძოებელ და საიმედო ხერხებს გვთავაზობს და პოლიტიკური სამყაროს შესახებ ობიექტური ცოდნის მიღების საშუალებად წარმოგვიდგება. ამ მეთოდის პრაქტიკაში დანერგვის მისაღწევად მთავარი ისაა, რომ მოხდეს “ფაქტების” (ემპირიული მტკიცებანი) და “ღირებულებების” (ნორმატიული თუ ეთიკური მრწამსი) ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ფაქტი – ობიექტურია იმ გაგებით, რომ მისი მოშველიება არაერთხელ და დამაჯერებლად შესაძლებელი და მისი დამტკიცებაც ხერხდება; ღირებულებებს რაც შეეხება, პირიქით – ისინი იმთავითვე სუბიექტურია, ანუ ისინი კერძო თვალსაზრისს უფრო გამოხატავენ (A.Heywood. 2007. P. 33).

ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პოლიტიკის მეცნიერებად აღთქმის მცდელობა სამ ძირითად წინააღმდეგობას აწყდება: მათგან პირველი – მონაცემთა ბაზას უკავშირდება: არ არსებობს არანაირი საშუალება იმისა, რომ მოხდეს ადამიანის – როგორც პოლიტიკის სუბიექტის მიკროსკოპის ქვეშ მოქცევა, ან მისი ლაბორატორიული წესით გამოკვლევა. ამიტომაც მეტად რთულია, სიღრმისეულად იქნეს გაანალიზებული პიროვნული ქცევის ასპექტები. ამავე დროს, ძალზედ რთულია ზუსტი მონაცემის გარეშე სხვადასხვა საიმედო ხერხების გამოყენებით ჩვენი ვარაუდების დამტკიცება. ამ შემთხვევაში რჩება ერთადერთი გზა – საერთოდ უარი ვთქვათ ადამიანის ქცევის ანალიზზე, როგორც მოაზროვნე სუბიექტზე და მთლიანად დეტერმინიზმის ტყვეობაში ავღმოვჩნდეთ. სწორედ ამის მაგალითს წარმოადგენს ბიჰევიორიზმიც (ბიჰევიორალიზმის საპირისპიროდ) – ფსიქოლოგიის ის სკოლა, რომელიც ჯონ ბ. უოტსონის (1878-1958) და ბ.ფ. სკინერის (1904-1990) სახელებს უკავშირდება (Baum, W.M. 2005. P. 22). მათი მიმდევრები ამტკიცებენ, რომ საბოლოო ჯამში, ადამიანის ცალკეული ქმედებები პირობით რეაქციებსა და რეფლექსებამდე დაიყვანება. ამ მიდგომის კიდევ ერთი მაგალითი გახლავთ “დიალექტიკური მატერიალიზმი” – ტოტალიტარულ სსრკ-ში გაბატონებული მარქსისტული თვალთახედვა.

მეორე წინააღმდეგობა – იგი დაკავშირებულია “ფესვადგმულ” ღირებულებათა არსებობასთან. საფუძვლიანი დაკვირვების შედეგად შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ საფუძველს მოკლებულია მოსაზრებები, თითქოსდა პოლიტიკის მოდელები და თეორიები ღირებულებებისაგან მთლიანად დაცლილი ყოფილიყოს. ფაქტები და ღირებულებები ისე მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ ხშირად შეუძლებელიც კი ხდება მათი ცალ-ცალკე შეფასებაც. ეს ხდება იმიტომ, რომ სხვადასხვა თეორიები იმთავითვე ადამიანთა ბუნების, საზოგადოების, სახელმწიფოს როლისა და მსგავსი მოცულობების გათვალისწინებით ყალიბდება, რასაც, თავის მხრივ, ფარული პოლიტიკური და იდეოლოგიური წინამძღვრები გააჩნია. ასე მაგალითად, კონსერვატიზმის პოლიტიკური იდეოლოგიის ძირითად პრინციპთა გათვალისწინება ხდება ბიჰევიორალიზმში, რაციონალური არჩევანის, და სისტემურ თეორიებში. ზუსტად ასევე, ფემინისტური მიმართულების პოლიტიკური თეორიები, თავის სათავეს იღებს გენდერული დაყოფის ხასიათსა და მნიშვნელობაზე არსებული წარმოდგენებიდან (A.Heywood. 2007. P. 33).

და ბოლოს, ისიც უნდა იქნეს აღიარებული, რომ წარმოუდგენელია საზოგადოებრივ მეცნიერებებში სრული მიუკერძოებლობა; ეს მხოლოდ საბუნებისმეტყველო დარგებშია შესაძლებელი, სადაც მიუკერძოებელმა მეცნიერმა თუ მკვლევარმა ხშირად წინასწარ არც იცის, თუ მის მიერვე რა ახალი აღმოჩენა შეიძლება გაკეთდეს. ამავე დროს, ეს ფაქტიურად შეუძლებელი გახლავთ პოლიტიკაში. როგორი ფორმითაც არ უნდა განისაზღვროს ცნება “პოლიტიკა”, ის მაინც იმ

საზოგადოებრივი წყობისა და ფუნქციონირების საკითხებს ეხება, რომელშიც ადამიანები ცხოვრობენ და მოღვაწეობენ: ოჯახური ტრადიცია, სოციალური გარემო, ეკონომიკური მდგომარეობა, პიროვნული მიდრეკილებები და სხვა მრავალი ფაქტორი ნებისმიერ ჩვენგანში წინდაწინვე აყალიბებს წარმოდგენებს პოლიტიკისა და ჩვენს გარშემო არსებული ვითარების შესახებ (A.Heywood. Politics. New-York, 2007. P. 33). ეს კი თავის მხრივ იმაზე მიუთითებს, რომ მეცნიერული ობიექტურობა, აბსოლუტური მიუკერძოებლობისა თუ ნეიტრალურობის გაგებით, პოლიტიკური ანალიზის განხორციელების პროცესში მუდამ მიუღწეველ მიზნად დარჩება, როგორც კვლევის მეთოდებიც არ უნდა იქნეს გამოყენებული. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ სარწმუნო ცოდნის შეძენას იმდენად მიკერძოება კი არ უშლის ხელს, რამდენადაც ყალბი განცხადებები პოლიტიკური მიუკერძოებლობის თაობაზე.

## **თავი 2. პოლიტიკის განსაზღვრების მრავალფეროვნება: ძირითადი მახასიათებლები. პოლიტიკის სუბიექტები და ობიექტები**

ქართულ ენაში, ისევე როგორც მსოფლიოს სხვადასხვა ენებზე, ტერმინი პოლიტიკა ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავრცელებულ და სხვადასხვა ფაქტორის განმსაზღვრელ სიტყვას წარმოადგენს. ამავე დროს, არსებობს პოლიტიკის განსაზღვრების ათეულობით სხვადასხვა ვარიანტი, თუმცა, ამავე დროს მეცნიერებაში თანამედროვე პერიოდამდე ვერ იქნა საბოლოოდ ჩამოყალიბებული ამ კატეგორიის საყოველთაოდ აღიარებული განსაზღვრება.

როგორც წიგნის შესავალში იქნა აღნიშნული, “პოლიტიკა” (ძველბერძნული სიტყვისგან - politika) ნიშნავს სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმეებს, საქმიანობის სფეროს, რომელიც სახელისუფლებო ურთიერთობების სფეროში ერთმანეთთან აკავშირებს ადამიანებს, სოციალურ ჯგუფებს, კლასებს, პარტიებს, ერებსა და სახელმწიფოებს.

სხვადასხვა მეცნიერი, პოლიტიკასთან დაკავშირებულ საერთო მიდგომებს (სოციოლოგიური, სუბსტანციონალური, სისტემური) შორის პოლიტიკის განმსაზღვრელ შემდეგ ფაქტორებს გამოყოფს: სოციოლოგიური, სუბსტანციონალური და მეცნიერულად კონსტრუირებული.

**პოლიტიკის სოციოლოგიური განსაზღვრება** - დაკავშირებულია სოციოლოგიურ მიდგომებთან, პოლიტიკას სხვადასხვა საზოგადოებრივი მოვლენების მეშვეობით ახასიათებს: ეკონომიკა, სოციალური ჯგუფები, სამართალი, მორალი, კულტურა, რელიგია. საზოგადოებაში გაბატონებულ სფეროებთან შესაბამისობაში, ეს მიდგომები შესაძლებელია დაკავშირებულ იქნენ ეკონომიკურ, სოციალურ, სამართლებრივ, ეთიკურ (ნორმატიულ) და ა.შ. პრინციპებთან.

**პოლიტიკის ეკონომიკური განსაზღვრება.** ეს განსაზღვრება ყველაზე უფრო ნათლადაა წარმოდგენილი ეკონომიკური დეტერმინიზმის სხვადასხვა კონცეფციაში. ამ შემთხვევაში პოლიტიკა - ინარჩუნებს რა შედარებით, შეზღუდულ ავტონომიას, კარგავს საკუთარ დამოუკიდებლობას. საერთო ჯამში კი ის ობიექტური ეკონომიკური კანონებით განისაზღვრება, რომლებიც დამოუკიდებელია პოლიტიკური აქტორების (სუბიექტების) ნებისაგან.

**პოლიტიკის სოციალური განსაზღვრება.** ხსნის სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს: კლასებსა და ერებს, ასევე დაინტერესებულ ჯგუფებს (ა. ბენტლი, დ. ტრუმენი) შორის მეტოქეობას.

**პოლიტიკის სამართლებრივი განსაზღვრება.** იგი პოლიტიკას როგორც სპეციფიკური საქმიანობის სფეროს განსაზღვრავს, რომლის მიზანსაც დაბადებიდან ადამიანისადმი მინიჭებული ფუნდამენტალური უფლებების დაცვა წარმოადგენს. აქ საუბარია ადამიანის სოცოცხლის, თავისუფლების, უსაფრთხოების, საკუთრების და ა. შ. უზრუნველყოფაზე.

**პოლიტიკის ეთიკური განსაზღვრება** მის განხილვას იდეალების, ღირებულებების, მიზნებისა და ნორმებიდან გამომდინარე გეთავაზობს, რომლებიც პოლიტიკის მიერ უნდა იქნენ რეალიზებულნი. შესაბამისად, პოლიტიკა თავის მხრივ წარმოადგენს საქმიანობას, რომელიც მიმართულია საყოველთაო კეთილდღეობის მიღწევისაკენ. პოლიტიკის ნორმატიული ხასიათის განსაზღვრებებს გააჩნიათ თავისი როგორც ძლიერი, ასევე სუსტი მხარეები. მათი ღირსება მდგომარეობს იმაში, რომ მათში განსახიერდება პუმანურობის იდეალი, რომლის შესაბამისადაც უნდა შენდებოდეს პოლიტიკა. ასეთი იდეალი პოლიტიკის მონაწილეებს საზოგადოებისთვის მისაღებ ღირებულებათა მიღებისაკენ მიმართავს. ამავე დროს, ნორმატიული მიდგომა საკმაოდ მრავალფეროვანი, და ბოლომდე განუსაზღვრელი კატეგორიებით ოპერირებს. აღნიშნული კატეგორიები საშუალებას იძლევიან საზოგადოებრივი კეთილდღეობის განსხვავებული აღთქმა მოვახდინოთ.

**პოლიტიკის სუბსტანციონალური განსაზღვრება** – ორიენტირებულია იმ პირველადი წყაროს დადგენაზე, რომლისგანაც შედგება პოლიტიკა. განსაზღვრების ამ ჯგუფში ყველაზე უფრო გავრცელებულად ითვლება პოლიტიკის ახსნა – როგორც მოქმედების, რომელიც მიმართულია ძალაუფლებისაკენ: მისი მოხვეჭისაკენ, შენარჩუნებისა და გამოყენებისაკენ.

**პოლიტიკის ინსტიტუციონალური განსაზღვრება** – იგი პოლიტიკას ორგანიზაციების, ინსტიტუტების მეშვეობით ახასიათებს, რომლებშიც მატერიალური ძალაუფლებაც და პირველ რიგში, ყველაზე მნიშვნელოვანი ინსტიტუტი – სახელმწიფო განსახიერდება.

*ანტროპოლოგიური განსაზღვრება* – ცდილობს პოლიტიკის უფრო სიღრმისეული ასპექტები განსაზღვროს, რომელთაც თავიანთი ფესვები ადამიანის ბუნებაში გააჩნია. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკა – როგორც ადამიანებს შორის ურთიერთობის ფორმა, საზოგადოების კოლექტიური არსებობის საშუალებას წარმოადგენს.

*პოლიტიკის კონფლიქტურ-კონსენსუსიონალური განსაზღვრება.* პოლიტიკის კონფლიქტური დეფინიციები ყურადღების აქცენტირებას პოლიტიკის სუბიექტების დაპირისპირებებზე ახდენენ, რომელთა ფესვებიც პოლიტიკის საფუძველშია ჩაყრილი. ისინი კონფლიქტის დინამიკას განსაზღვრავენ. ამ დაპირისპირებათა მიხედვით, პოლიტიკა განიხილება როგორც საქმიანობა, რომლის მიზანსაც კონფლიქტების ძალისმიერი თუ მშვიდობიანი გზით მოგვარების მიმართულებით გაწეული საქმიანობა წარმოადგენს.

*პოლიტიკის სამეცნიერო-კონსტრუირებული განსაზღვრება* - საქმიანობითი, ტელეოლოგიური და სისტემური ასპექტებისაგან შედგება.

*საქმიანობითი განსაზღვრება* ფარდას ხდის პოლიტიკის დინამიურ, პროცესუალურ ხასიათს და ახასიათებს მას როგორც მომზადების, მიღების და მთელი საზოგადოებისათვის აუცილებელი გადაწყვეტილებების პრაქტიკული რეალიზაციის პროცესს. პოლიტიკის საქმიანობითი ინტერპრეტაცია ფართოდ გამოიყენება პოლიტიკური გადაწყვეტილებების თეორიაში. ის ასევე გამოიყენება პოლიტიკის თელეოლოგიურ განსაზღვრებაში.

*პოლიტიკის თელეოლოგიური განსაზღვრება* - პოლიტიკას როგორც კოლექტიური მიზნების მიღწევის ეფექტურ საშუალებას განიხილავს.

*სისტემური თვალსაზრისით* – პოლიტიკა წარმოადგენს შედარებით დამოუკიდებელ სისტემას, რთულ სოციალურ ორგანიზმს, მთლიანობას, რომელიც დამოუკიდებელია გარემოსგან – საზოგადოების სხვა სფეროებისაგან და ამავე დროს, რომელიც გარემოსთან განუწყვეტელ ურთიერთდამოკიდებულებაში იმყოფება. პოლიტიკის სისტემურმა ინტერპრეტაციამ დეტალური განმარტება და განვითარება პოლიტიკური სისტემების სხვადასხვა თეორიებში მიიღო, რომელთა შორის პირველსა და ყველაზე მნიშვნელოვანს ამერიკელი პოლიტოლოგების – დ. ისტონისა და გ. ალმონდის კონცეფციები წარმოადგენდა.

მაშასადამე, პოლიტიკის ზემოაღნიშნული განსაზღვრებები არ ზღუდავს ამ მეცნიერების დახასიათების მრავალფეროვნებას, თუმცა მათგან ყველაზე უმთავრესს განასახიერებს. სამეცნიერო დამახასიათებლების ასეთი მრავალგვარობა პირველ რიგში პოლიტიკის რთული ბუნებით აიხსნება, იგი დაკავშირებულია მის შინაარსობრივ სიმდიდრესთან, თვისებათა და საზოგადოებრივ ფუნქციათა მრავალფეროვნებასთან. სხვადასხვა დეფინიციების განზოგადოებისას,

შესაძლებელია პოლიტიკის განსაზღვრება როგორც სოციალური ჯგუფებისა და ინდივიდების შეგნებებსა და წარმოდგენებში არსებული წინააღმდეგობრივი თუ კოლექტიური ინტერესებიდან მომდინარე საქმიანობა, რომელიც მთელი საზოგადოებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღებისაკენაა მიმართული და რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების მეშვეობით ხორციელდება (Каменская. 2005. Стр. 7)

განვიხილოთ პოლიტიკის სუბიექტები და ობიექტები. ნებისმიერი სახელმწიფოს პოლიტიკური სივრცე პოლიტიკის სხვადასხვა სუბიექტს ახასიათებს, რომლებიც ინტენსივობის სხვადასხვა ხარისხის მიხედვით, მონაწილეობას იღებენ საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში. პოლიტიკის სუბიექტებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ ისინი, ვინც მონაწილეობს პოლიტიკურ პროცესებში, ჩართულია პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში და თავისუფლად და დამოუკიდებლად მონაწილეობს პოლიტიკურ არენაზე.

პოლიტიკის სუბიექტებს შორის შესაძლებელია გამოიყოს ორი ძირითადი ჯგუფი: სოციალური საზოგადოებები და პოლიტიკური ინსტიტუტები. პირველებს, რომლებიც პოლიტიკურ არენაზე როგორც პოლიტიკური საქმიანობის კოლექტიური მონაწილეები ისე გამოდიან, შეგვიძლია მივაკუთვნოთ კლასობრივი, ტერიტორიული და კორპორატიული საზოგადოებები. კლასობრივი საზოგადოებების რანგში, პოლიტიკურ პროცესებში გვევლინებიან ბურჟუაზია, მუშათა კლასი, გლეხობა, ინტელიგენციის ფენა, ვაჭართა საზოგადოება, ხელოსნები და ა.შ. თანამედროვე პოსტინდუსტრიულ ქვეყნებში ეს გახლავთ ეგრეთ წოდებული “პაიკლასი” (სოციალური იერარქიის უმაღლესი ფენა), საშუალო კლასი და “ანდერკლასი” (დაბალი სტატუსის მქონე ფენები და ჯგუფები).

ტერიტორიულ საზოგადოებებს მიეკუთვნებიან ერები და ეთნიკური ჯგუფები. მათი მდგომარეობისა და ინტერესების გაცნობიერება, მათ აქტიურ მოქმედ პირებად აქცევს. ეს შეიძლება დავინახოთ გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს მაგალითზე, როდესაც ცალკეულმა ერებმა, მაგალითად ოსი და აფხაზი ეროვნების წარმომადგენლებმა ხმამაღლა განაცხადეს თავიანთი, როგორც პოლიტიკური სუბიექტების არსებობის შესახებ.

კორპორატიულ საზოგადოებებს მიეკუთვნებიან თემები, რომლებიც ადამიანთა ერთობლივი ქმედებების საფუძველზე იქმნება. ძირითადად ესენი გახლავთ სხვადასხვა პროფესიული გაერთიანებები, რომლებიც კორპორატიული სულით არიან გამსჭვალულები და რომლებიც კორპორატიულ ინტერესებსა და შესაბამის კორპორატიულ სტრუქტურებს იცავენ. ამ მხრივ, მაგალითად თვალშისაცემია მეშახტეთა გამოსვლები.

ზემოაღნიშნული სოციალური თემების პოლიტიკაზე ზეგავლენა სხვადასხვა ფორმით ხორციელდება. სახელდობრ, ეს გამოიხატება სხვადასხვა სახის მანიფესტაციებში, მარშებში, მიტინგებში, გაფიცვებში, პიკეტირებაში, საპროტესტო აქციებში, დაუმორჩილებლობაში, ხელისუფლების მხარდამჭერ დემონსტრაციებში, არჩევნებში საკუთარი აზრის გამოხატვის პროცესში, პლებისციტებსა და რეფერენდუმებში და ა.შ. პოლიტიკურ სცენაზე მათი გამოსვლების მამოძრავებელ ძალად საზოგადოებრივი ინტერესები და მოთხოვნები გვევლინებიან, რომლებიც სოციალური თემების რეალური ცხოვრებისეული მდგომარეობიდან გამომდინარე მოქმედებენ. მათი მატერიალური მდგომარეობის გაუარესება, სტაბილური არსებობის საფრთხე, წარმოქმნის მათი მხრიდან ლტოლვას არ დაუშვან ცხოვრების დონის დაცემა, გააძლიერონ თავიანთი პოზიციები სოციალურ სტრუქტურაში, აამაღლონ თავიანთი სოციალური სტატუსი, პრესტიჟი და ა.შ. და ეს ყველაფერი მმართველ ძალაზე სოციალური თემების ზემოქმედების პროცესში გამოიხატება.

ნებისმიერი სოციალური საზოგადოებები ფლობენ სპეციფიურ თვისებებს. მათ შორის გამოირჩევა: 1) საზოგადოების პოლიტიკური ინტერესები, მათი ურთიერთკავშირი ეკონომიკურ და სხვა სახის ინტერესებთან; 2) ერთიანობისა და შეკრულობის ხარისხი; 3) საზოგადოების პოლიტიკური განვითარების დონე; 4) პოლიტიკური ლიდერების, ავტორიტეტების არსებობა; 5) სოციალური საზოგადოების ადგილი სოციალურ იერარქიაში, რომლითაც მისი პოლიტიკური გავლენა განისაზღვრება; 6) ჯგუფის პოლიტიკური “წონა”, ე.ი. გათვალისწინებულია თუ არა მისი ინტერესები სახელმწიფო პოლიტიკაში; 7) პოლიტიკური ცნობიერების და კულტურის ტიპი და ხასიათი, რომელიც გავლენას ახდენს ჯგუფის საქმიანობის მიზნებზე. ამ თვისებათა ერთობლიობა საშუალებას იძლევა მივიღოთ ნათელი წარმოდგენა კონკრეტული სოციალური საზოგადოების – როგორც პოლიტიკის სუბიექტის შესახებ და განისაზღვროს მისი პოტენციური შესაძლებლობები პოლიტიკურ ურთიერთობებზე გავლენის მოხდენის შესაბამისად.

პოლიტიკის სუბიექტების სხვა ჯგუფს წარმოადგენენ სახელმწიფო ორგანოები, პოლიტიკური პარტიები, ორგანიზაციები და მოძრაობები, რომლებიც როგორც უშუალოდ პოლიტიკურ აქტორებად გვევლინებიან და რომლებიც თავის მხრივ პოლიტიკური სივრცის ფორმირებას ახდენენ. სოციალური საზოგადოებებისაგან მათი ძირითადი განსხვავება იმაში გამოიხატება, რომ ისინი მუდმივად და უშუალოდ არიან ჩართულები პოლიტიკურ პროცესებში. სხვა განსხვავებებს შორის უნდა აღინიშნოს მათი ცნობიერების უფრო მაღალი ხარისხი, ინტერესთა, მიზნების და მათი მიღწევის საშუალებების უფრო ნათელი გაგება და სხვ.

პოლიტიკის სუბიექტების ორივე ჯგუფი პოლიტიკურ არენაზე მოქმედებს, ისინი მუდმივად ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან, რადგანაც პოლიტიკური ინსტიტუტები მოწოდებული არიან სოციალური საზოგადოებების ინტერესები გამოხატონ.

სოციალური საზოგადოებების წიაღში ის პოლიტიკური წარმონაქმნები იშვება, რომლებიც მუდმივ მხარდაჭერას საჭიროებენ. ამასთანავე, პოლიტიკური ინსტიტუტები გარკვეული ხარისხით გვევლინებიან როგორც პოლიტიკის დამოუკიდებელი სუბიექტები, რადგანაც მათ შესაძლოა საკუთარი ინტერესები გააჩნდეთ, რომლებიც დაკავშირებულია მათ სურვილთან გაიმყარონ თავიანთი მონოპოლიური მდგომარეობა და საზოგადოებაში თავიანთი გავლენა გააფართოონ.

პოლიტიკის სუბიექტის რანგში შესაძლოა მოგვევლინოს პიროვნება, რომელსაც პოლიტიკურ ურთიერთობათა მონაწილეებს შორის ცენტრალური მდგომარეობა უკავია და ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ეს აიხსნება იმ ფაქტორით, რომ პოლიტიკა ხალხის მეშვეობით ხორციელდება. პოლიტიკური კავშირების მთელი სისტემა კონცენტრირდება ადამიანზე, რომლისთვისაც ფუნქციონირებს სახელმწიფო, მტკიცდება სამართალი, მიიღება კანონები, ხორციელდება ხელისუფლება. პიროვნება, როგორც პოლიტიკის სუბიექტი, პოლიტიკური კულტურისა და ცნობიერების, უფლებებისა და მოვალეობების, ასევე პრაქტიკაში მოქმედი პირის სახით ნებისა და ინტერესების მატარებლის რანგში გვევლინება. ის უზრუნველყოფს საზოგადოების მიერ დასახული მიზნებისა და ამოცანების მიღწევას, მისი აქტიური თუ პასიური პოზიცია პირდაპირ ზეგავლენას ახდენს საზოგადოებაში მომხდარ ცვლილებებზე.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პიროვნება, როგორც პოლიტიკის სუბიექტი, არა როგორც თავისთვის იზოლირებულ გარკვეულ სოციუმში არსებობს, არამედ იგი გარკვეული საზოგადოებრივი კლასის, სოციალური ფენის, ჯგუფის, ერის და ა.შ. შემადგენელ ნაწილად გვევლინება. ეს განსაზღვრავს პიროვნების ქცევის ხასიათს, აქცევს რა მას პოლიტიკური ზემოქმედების ობიექტად.

პოლიტიკის სუბიექტების საქმიანობა რაღაც კონკრეტული საგნისკენაა მიმართული, რომელიც როგორც პოლიტიკის ობიექტი განიხილება. პოლიტიკის ობიექტის რანგში გვევლინებიან სოციალ-კლასობრივი ჯგუფები, მათი ფორმირებები, ურთიერთობები მათ შორის, ინდივიდთა შორის ძალაუფლებისათვის ბრძოლა და ა.შ. ანუ, ისინი როგორც პოლიტიკის სუბიექტები, ფაქტიურად იგივე როლს ასრულებენ.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკის სუბიექტები თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში მათ ობიექტებად გვევლინებიან. ამავე დროს, პოლიტიკის ძირითადი ობიექტს უმეტეს შემთხვევაში უშუალოდ სახელისუფლებო ურთიერთობები წარმოადგენს. სავსებით ნათელია, რომ პოლიტიკის სუბიექტები და ობიექტები ორგანულ მთლიანობას წარმოადგენენ: არ არსებობს პოლიტიკის სუბიექტი პოლიტიკის ობიექტის გარეშე და პირიქით. პოლიტიკურ პროცესებში ისინი გვევლინებიან როგორც ორგანული ერთობა.



### **თავი 3. პოლიტიკის შემადგენელი ნაწილები, მისი არსებობის დონეები და ელემენტები. პოლიტიკის როლი საზოგადოებაში**

ადამიანური საზოგადოების განვითარების მთელი ისტორიის განმავლობაში პოლიტიკა ახდენდა და კვლავ საფუძვლიან გავლენას ახდენს ხალხებისა და ქვეყნების ბედზე. საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპი პოლიტიკის როლის გაზრდით ხასიათდება. ის საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე ზემოქმედებს. პოლიტიკაში განხილულია სხვადასხვა სოციალური ჯგუფების ინტერესები, კონცენტრირდება და ანალიზდება ადამიანური ყოფიერების უმნიშვნელოვანესი პრობლემები, შეიმუშავება მათი გადაწყვეტის სხვადასხვა საშუალებები.

სამეცნიერო ლიტერატურაში პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტები და შემადგენელი ნაწილები გამოიყოფა. პოლიტიკის სხვადასხვა შემადგენელ ნაწილებად დაყოფის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული საშუალებაა ფორმების, შინაარსისა და პროცესების ერთმანეთისაგან გამიჯვნა.

**პოლიტიკის ფორმა** – ეს არის მისი ორგანიზაციული სტრუქტურა, ინსტიტუტები (მათ შორის სამართლებრივი და ორგანიზაციული ნორმების სისტემა), რომლებიც პოლიტიკას სიმტკიცესა და სტაბილურობას ანიჭებენ და რომლებიც საშუალებას იძლევიან ადამიანთა პოლიტიკური ქცევა დაარეგულირონ. პოლიტიკის ფორმა რეალურად სახელმწიფოში, პარტიებსა და ინტერესთა ჯგუფებში (ასოციაციებსა და მოძრაობებში), აგრეთვე კანონებში, პოლიტიკურ და სამართლებრივ ნორმებში და ა.შ. განსახიერდება.

**პოლიტიკის შინაარსი** მის მიზნებსა და ფასეულობებში, პრობლემებში (რომელსაც ის წყვეტს), პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების მოტივებსა და მექანიზმებში გამოიხატება.

**პოლიტიკურ პროცესში** პოლიტიკური საქმიანობის რთული, მრავალსუბიექტიანი და კონფლიქტური ხასიათი განისაზღვრება, რომელიც სხვადასხვა სოციალური ჯგუფების, ორგანიზაციების და ინდივიდების ურთიერთობების სახით გვევლინება.

პოლიტიკაში შესაძლებელია შემდეგი ძირითადი ელემენტები გამოიყოს:

- 1) პოლიტიკური ცნობიერება, რომელიც შინაგან სამყაროს, მენტალიტეტს, ღირებულებით ორიენტაციებს და ინდივიდთა ქცევას, ასევე პოლიტიკურ შეხედულებებსა და თეორიებს გულისხმობს;
- 2) ნორმატიული იდეები: პოლიტიკური პარტიების პროგრამები და საარჩევნო პლატფორმები, ინტერესთა ჯგუფების მიზნობრივი ხედვები, პოლიტიკურ-სამართლებრივი ნორმები;

- 3) ხელისუფლების ინსტიტუტები და ხელისუფლებისათვის ბრძოლა;
- 4) ძალაუფლებრივი ურთიერთობანი – ბატონობა და დაქვემდებარება, ასევე აქ იგულისხმება პოლიტიკური ბრძოლა და თანამშრომლობა.

**პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებია** - პოლიტიკური შეხედულებები, იდეები, თეორიები, პროგრამები, ფასეულობითი ორიენტაციები, სტერეოტიპები და ა.შ. ჩვეულებები და ტრადიციები, ქცევის ნიმუშები, საზოგადოებრივი აზრი, სპეციფიკური პოლიტიკური ენა, ადამიანთა ფსიქოლოგია, სახელმწიფო, პარტიები, ინტერესთა ჯგუფები და მოძრაობები, კანონები, ადამიანის უფლებები და სხვა პოლიტიკური და სამართლებრივი ნორმები, ხელისუფლების დამოკიდებულება საზოგადოების მიმართ, პოლიტიკურ ლიდერთა, ელიტების, დაჯგუფებების ერთმანეთთან დამოკიდებულება და ა.შ.

პოლიტიკის შემადგენელი ნაწილებისა და ელემენტების პარალელურად გამოიყოფა პოლიტიკის არსებობის დონეები. ამ მიმართულებით, მაგალითის სახით შეგვიძლია განვიხილოთ ორი კლასიფიკაცია. მაგალითად, მეცნიერთა ნაწილი გამოყოფს პოლიტიკის ოთხ დონეს:

1. *უმდაბლესი დონე* გულისხმობს ადგილობრივი ხასიათის პრობლემებს (სკოლა, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, საცხოვრებელი პირობები და ა.შ.). ამ დონეზე პოლიტიკური საქმიანობა ძირითადად ინდივიდთა მიერ ხორციელდება, თუმცა პრობლემათა ნაწილი შესაძლოა გადაჭრილ იქნეს ადგილობრივი ასოციაციების მიერ.
2. *ლოკალური დონე* სახელმწიფოებრივ ჩარევას საჭიროებს. ყველაზე აქტიურად პოლიტიკა ჯგუფებისა და ასოციაციების მიერ ხორციელდება, რომლებიც თავიანთი რეგიონის ეკონომიკური განვითარებით არიან დაინტერესებულნი.
3. *ეროვნული დონეს* პოლიტიკის თეორიაში ცენტრალური ადგილი უკავია, რაც სახელმწიფოს, როგორც რესურსების განმანაწილებლის ძირითადი ინსტიტუტის მდგომარეობით განისაზღვრება.
4. *საერთაშორისო დონე*, რომელშიც პოლიტიკური საქმიანობის ძირითად სუბიექტებად ეროვნული სახელმწიფოები გვევლინებიან.

მეცნიერთა ნაწილი პოლიტიკის სამ ძირითად დონეს გამოყოფს.

- 1) *მაკროდონე* სახელმწიფოს ახასიათებს როგორც ერთიან, ძალაუფლების რესურსების მქონე ხელისუფლებას, ანალიზებს ქვეყნის პოლიტიკურ წყობილებასა და ფუნქციონირებას ცენტრსა და რეგიონებში;
- 2) *მიკროდონე* ცალკეულ ორგანიზაციებს მოიცავს, მათ შორის: პარტიებს, პროფესიულ კავშირებს, კორპორაციებს, ფირმებს და ა.შ. აქ, ისევე როგორც სახელმწიფოს შესახებ საუბრისას, მთლიანობაში, ასევე მიმდინარეობს შიდა მოვლენები და პროცესები, რომლებიც ღიდი პოლიტიკისათვისაა

დამახასიათებელი: კოლექტიური მიზნების წამოწევა და რეალიზაცია, გადაწყვეტილებების მიღება, თანამდებობათა და კეთილდღეობის გადანაწილება, სანქციების გამოყენება, ინდივიდთა და ჯგუფების მეტოქეობა ძალაუფლებისათვის ბრძოლაში, ინტერესთა კონფლიქტები და ა.შ.

- 3) *მეგაღონე* - პოლიტიკის ეს დონე საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაერო-ს, ეუთო-ს, ნატო-ს, ევროკავშირის და ა.შ. საქმიანობას მოიცავს.

აგრეთვე, ამ დონის ფარგლებში სხვადასხვა გლობალური მნიშვნელობის პრობლემა განიხილება.

პოლიტიკის ყველაზე უფრო საფუძვლიანი თვისებების შესწავლა შემდგომში გამოიხატება:

- 1) იგი თავის თავში მოიცავს დინამიურ, შემოქმედებით საწყისს. პირველ რიგში პოლიტიკა გვევლინება როგორც პოლიტიკური მოღვაწეობა, რომელიც მიმართულია პოლიტიკურ მოთხოვნილებათა და ამა თუ იმ პოლიტიკური და სოციალური სუბიექტების ინტერესთა დასაკმაყოფილებლად.
- 2) პოლიტიკის ფარგლებში როგორც წესი ორ მხარე განიხილება: ობიექტური და სუბიექტური. პოლიტიკის ობიექტური მხარე – ეს არის ადამიანთა პოლიტიკური საქმიანობისათვის არსებული პირობები, რომლებიც ცნობიერებისგან დამოუკიდებლად არსებობენ. პოლიტიკის სუბიექტური მხარე (პოლიტიკური ცნობიერება) – თეორიების, იდეების, შეხედულებების, კონცეფციების, აზრების ერთობლიობას წარმოადგენს, თითოეულს კი თავის მხრივ პოლიტიკური ხასიათი გააჩნია.
- 3) პოლიტიკა – ეს არის საქმიანობის სფერო, რომელიც მცირე და დიდ სოციალურ ჯგუფებსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის ურთიერთობებს გვთავაზობს. ესწრაფვიან რა დააკმაყოფილონ საკუთარი ინტერესები, ეს ჯგუფები ერთმანეთთან პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ფარგლებში პოლიტიკურ ურთიერთობებში ერთვებიან, ასევე განიხილავენ უმნიშვნელოვანეს საკითხებს პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ამ ურთიერთობათა ჩარჩოებში იკვეთება კლასების, ერების, სოციალური ჯგუფების, პოლიტიკური პარტიებისა და ცალკეული ინდივიდების პოლიტიკური ინტერესები. პოლიტიკური ურთიერთობები საჭიროებენ რეგულირებას, ამის გარეშე შეუძლებელია სტაბილურობის უზრუნველყოფა და პოლიტიკური პროცესებისა და მთლიანად საზოგადოების მდგრადი და სტაბილური განვითარება.
- 4) პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს დამახასიათებელ თვისებას პოლიტიკის სუბიექტთა საქმიანობა წარმოადგენს, რომელიც ან პოლიტიკური

ძალაუფლების შენარჩუნებისა და განმტკიცების, ან პოლიტიკის სხვა სუბიექტებთან ერთად ხელისუფლების მოპოვებულ უფლების მიზნით ხორციელდება.

პოლიტიკის ძირითადი ფუნქციებია:

- 1) საზოგადოების, როგორც რთულად დიფერენცირებული სოციალური სისტემის მთლიანობის მხარდაჭერა და მისი გაძლიერება, საზოგადოებრივი წესრიგისა და ორგანიზებულობის უზრუნველყოფა; საზოგადოების და მისი კოლექტიური სუბიექტების მიზნების შემუშავება, მასების ორგანიზება და რესურსების მობილიზაცია საბოლოო მიზნის მიღწევის მიზნით;
- 2) ძალაუფლებრივი, ყველასათვის აუცილებელი დეფიციტური ფასეულობებისა და კეთილდღეობის სავალდებულო გადანაწილება;
- 3) ჯგუფური კონფლიქტების აღკვეთა და რეგულირება.

პოლიტიკის მრავალ შემოთავაზებულ ფუნქციებს შორის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს გ. ალმონდის იდეა, რომელიც პოლიტიკის ორ ძირითად ფუნქციას გამოყოფს: საზოგადოების ზემოქმედება პოლიტიკაზე წამოყენებული მოთხოვნების ფორმის სახით, მათი ახსნა და დაცვა, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა და საზოგადოებრივი საქმეების მართვა და ნორმატიულ-სამართლებრივი აქტების შემუშავება, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღება, რომელიც პოლიტიკურ სისტემასთან მთლიანობაში ხელს უწყობს პოლიტიკურ აქტორებს შორის და მათი სახელმწიფოსთან ურთიერთქმედებას, ამ გადაწყვეტილებების პრაქტიკულ გამოყენებასა და კონტროლს.

#### თავი 4. პოლიტიკა და სამართალი

პოლიტიკა, როგორც ხელისუფლებისა და სახელმწიფო ორგანოების, პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების საქმიანობა - შესაძლებელია განხორციელებულ იქნეს მხოლოდ განსაზღვრულ სამართლებრივ ჩარჩოებში, სამართლის სისტემის ფუნქციონირების შემთხვევაში.

სამართალი თავის მხრივ წარმოადგენს ერთ-ერთ ნორმატიულ სისტემას, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს, ადამიანთა ქცევასა და ქმედებებს, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და სახელმწიფო ორგანოების ფუნქციონირებას. სამართალი ხასიათდება მისი წესებისა და ნორმების საერთო პრინციპებით, მათი განსაზღვრულობით, სხვადასხვა მოვლენებისა თუ სიტუაციების მიმართ ერთიანი მასშტაბისა და ზომების მიღებით, რომელთაც ერთნაირი სამართლებრივი ნიშნები გააჩნიათ. სამართლებრივი ნორმები და მოთხოვნები სახელმწიფოს ოფიციალურ

დოკუმენტებში ფიქსირდება. ისინი განსაზღვრავენ ადამიანთა უფლებების, საზოგადოებრივი გაერთიანებების, სახელმწიფო ორგანოების მოვალეობებისა და თავისუფლების დონეს.

სამართალი მიმართულია ორგანიზებულობის, მდგრადობის უზრუნველყოფაზე, მთელი საზოგადოებრივი ორგანიზმის ფუნქციონირებისათვის ოპტიმალური პირობების შექმნაზე.

საზოგადოებაში, სამართალის გარდა ადგილი აქვს სხვა ნორმატიული სისტემების: მორალის, რელიგიის, სხვადასხვა ეროვნულ-ტრადიციული ქცევითი სტერეოტიპების და ა.შ. ნორმებს.

სამართლებრივი სისტემის ძირითადი სპეციფიკა პოლიტიკასთან მის მჭიდრო კავშირში განისაზღვრება. პოლიტიკა და სამართალი განსაზღვრავენ და ავსებენ ერთმანეთს. სახელმწიფო ძალაუფლების მექანიზმების მეშვეობით, პოლიტიკა უზრუნველყოფს ადამიანთა ქცევების ერთიან, საერთო-სავალდებულო ნორმების შემუშავებას, რომელთა დარღვევას თავის მხრივ მოჰყვება სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული ზემოქმედებითი მექანიზმების ამოქმედება. ამავე დროს, სამართალი არა მხოლოდ თავის თავზე განიცდის პოლიტიკის მართულ ზემოქმედებას, არამედ, თავის მხრივ, მხარს უჭერს და უზრუნველყოფს შესაბამისი პოლიტიკის განხორციელებას, პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეალიზაციას. სამართალი გამოხატავს პოლიტიკის ღირებულებით ორიენტაციებს, ეწინააღმდეგება უკანონობისა და ძალმომრეობის მცდელობებს. შეიძლება ითქვას, რომ სამართალი გახლავთ არა მხოლოდ პოლიტიკური, არამედ საზოგადოების საერთო ღირებულებების მატარებელი; იგი აძლიერებს ძირითად ღირებულებით ფასეულობებს, აერთიანებს რა მათ თავისი სამართლებრივი დაცვის ქვეშ. საზოგადოების დამოუკიდებელ ღირებულებას წარმოადგენს კანონიერების პრინციპი, რომლის არსებობა თავის მხრივ განპირობებულია სამართლებრივი რეგულაციური სისტემის არსებობით. ამიტომაცაა, რომ სამართალი პოლიტიკისათვის განსაზღვრულ ორიენტირებს შეიცავს, იგი აყალიბებს საზოგადოების მიერ პოლიტიკური საქმიანობის დაშვებულობის საზღვრებს (მაგალითად, დასჯის მუქარის მეშვეობით ძალადობის ნებისმიერი ფორმის გამოვლენა, საქმიანობას – მიმართულს ქვეყანაში არსებული კონსტიტუციური წყობილების დამხობის წინააღმდეგ და ა.შ.)

პოლიტიკასა და სამართალს შორის არა მხოლოდ ურთიერთქმედებისა და ურთიერთგავლენის მდგომარეობა არსებობს, არამედ, ასევე შესაძლოა მათ შორის წინააღმდეგობანი და კონფლიქტური ურთიერთობებიც კი შეიქმნას. ასეთი სიტუაცია იქმნება იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური ხელმძღვანელობა მიდის გარკვეული სამართლებრივი ნორმების გვერდის ავლისა ან მათი დარღვევის მიმართულებით, უპირისპირებს რა კანონიერებას “მიზანშეწონილობას”, ან მოკლევადიანი

პოლიტიკური ინტერესების გამო ესწრაფვის არსებულ სამართალში ცვლილებები შეიტანოს. ამავე დროს, ამ პერიოდის განმავლობაში მიღებული გარკვეული ტაქტიკური წარმატება გადაიქცევა სტრატეგიულ პოლიტიკურ დამარცხებად, ან კანონიერების დარღვევად, როგორც მიზნებითაც არ უნდა აიხსნებოდეს ესა თუ ის ქმედება, ბოლოს და ბოლოს მას საზოგადოების მხრიდან არსებული პოლიტიკისადმი ნდობის დაკარგვამდე მივყვართ.

პოლიტიკასა და სამართალს შორის კონფლიქტური სიტუაცია – ეს გახლავთ დროებითი მოვლენა, რომელიც არც თუ ისე ხშირად იქმნება და მხოლოდ გარკვეულ სოციალ-პოლიტიკურ პირობებში იჩენს თავს. საერთო ჯამში კი, ორივე ამ ფენომენს წარმოშობისა და ფუნქციონირების საერთო ფესვები გააჩნიათ.

სამართალი და პოლიტიკა – ისტორიულ კატეგორიებს წარმოადგენენ. სოციალ-ეკონომიკური პირობების შეცვლა, საზოგადოების სოციალურ-კლასობრივი სტრუქტურის ცვლილება, რომელიც მის შემადგენლობაში მყოფ იდეოლოგიასა და ფსიქოლოგიაში, სოციალურ ფენებსა და ჯგუფებში ვლინდება, პოლიტიკური ბრძოლის თავისებურებებით ხასიათდება. ყველაფერი ეს წარსულშიც და დღევანდელ დღესაც განაპირობებს ხარისხობრივ ცვლილებებს სამართლის შინაარსში, მისი ნორმებისა და პრინციპების, მისი ინსტიტუტების ფუნქციონირების სტრუქტურაში. ამასთან ერთად, არსებობენ ისეთი სამართლებრივი პრინციპები და ნორმები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით ფუნქციონირებენ სამართლის სხვადასხვა სისტემაში, ინარჩუნებენ საკუთარ შინაარსს მრავალი საუკუნის განმავლობაში. ასე მაგალითად, ჩვენ ვხედავთ ანტიკური პერიოდიდან (ძველი საბერძნეთი, ძველი რომი) მომდინარე ტენდენციას - სამართლის თეორიაში ჩამოყალიბებულ სულ უფრო თანმიმდევრულ იდეას სოციალური თანასწორობის შესახებ, ბალანსირებულ, რაციონალურ თანაფარდობას თავისუფლებასა და ადამიანთა ქცევის ნორმებსა და მათი პოლიტიკური უფლებებისა და საზოგადოებრივ მოვალეობებს შორის. ამასთანავე, სამართლის ამ ნორმების ფორმულირება, აგრეთვე იურიდიული კანონების, მათი პრაქტიკაში რეალიზაციის ფაქტორები არა მხოლოდ საზოგადოების კონკრეტულ პირობებზეა დამოკიდებული, არამედ მნიშვნელოვანწილად ისინი დამოკიდებნი არიან ქვეყნის პოლიტიკური სისტემების ხასიათზე, პოლიტიკის სოციალურ მიმართულებაზე, რომელსაც სახელმწიფო ხელისუფლება ახორციელებს.

## **თავი 5. პოლიტიკა და ეკონომიკა**

პოლიტიკა განუყოფელია ხელისუფლებისაგან, როგორც პოლიტიკური, ასევე სახელისუფლებო ურთიერთობები მთელ საზოგადოებას მოიცავენ, რომელთა მხრიდანაც თავის მხრივ, ადგილი აქვს ეკონომიკურ ურთიერთობებთან გადაკვეთას. ამიტომაც არ არის გასაკვირი, რომ პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთქმედების

პრობლემა და შესაბამისად, პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებას შორის კავშირი ყოველთვის იმსახურებდა საზოგადოების ყურადღებას.

ბაზისისა და ზედნაშენის კონცეფციის ფუძემდებლები ერთის მხრივ, ერთმანეთთან მიჯნავდნენ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ძალაუფლებას და ამავე დროს, პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის მჭიდრო ურთიერთკავშირზე მიუთითებდნენ. ეკონომიკა, მათი მოსაზრებით, პოლიტიკაზე გარკვეულ ზემოქმედებას ახორციელებს და თავის მხრივ ეს უკანასკნელიც, ეკონომიკაზე შესაბამის გავლენას ახორციელებს.

პოლიტიკის, ეკონომიკის წინაშე უპირატესობა იმითაა განპირობებული, რომ პოლიტიკა, პოლიტიკური ძალაუფლება ეკონომიკისაგან გარკვეულწილად დამოუკიდებელია.

პოლიტიკური ძალაუფლების განსაკუთრებულობას კანონიერი უფლებების საფუძველზე იძულებითი ზომების მიღება წარმოადგენს და აღნიშნულ ფაქტორს ადგილი აქვს იმ მოქალაქეებთან მიმართებაში, ვისაც არ სურს დაემორჩილოს სახელმწიფოში მიღებულ ნორმებს, ქცევის წესებს ან მმართველი წრეების ნებას. ეკონომიკური ძალაუფლებისათვის კი პოლიტიკური ძალადობა არ არის დამახასიათებელი.

საკითხის სწორად აღთქმის თვალსაზრისით, განსაზღვრავს თუ არა ეკონომიკა პოლიტიკას და პირიქით, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი გარემოებები: ეკონომიკა – ეს არის საზოგადოებრივი კულტურის ისეთივე ელემენტი, როგორც პოლიტიკა და ეს ორივე კომპონენტი ერთმანეთთან ინტერესთა კატეგორიებით, მიზნებითა და საშუალებებითაა ურთიერთდაკავშირებული.

პოლიტიკაც და ეკონომიკაც საზოგადოებრივი ურთიერთობების გარკვეულ კატეგორიას წარმოადგენს. ეკონომიკა არ გახლავთ მხოლოდ წარმოება ან განაწილება, არამედ იგი წარმოების პროცესში საზოგადოებრივ ურთიერთობებს წარმოადგენს, ე.ი. ადამიანთა, კლასებს, პარტიებს და ა.შ. ურთიერთობას წარმოებისა და განაწილების პროცესში. პოლიტიკაც ასევე სოციალური ცხოვრების კვლავწარმოების პროცესის ფარგლებში ადამიანებს, კლასებს, პარტიებსა და სახელმწიფოებს შორის საზოგადოებრივი ურთიერთობების რანგში გვევლინება. ამიტომაც, ეს ორი ცნება ერთმანეთისაგან განუყოფელი და ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულია.

საზოგადოებრივ ურთიერთობებში, პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების მნიშვნელობა მუდმივი არ გახლავთ. პოლიტიკურ და ეკონომიკურ ასპექტებზე თავის დაღს ასვამს კონკრეტული სიტუაცია, საზოგადოების წინაშე არსებული ამოცანები, წარმოების საშუალებათა საკუთრების საკითხი, რომელიც თავის მხრივ,

ეკონომიკური და პოლიტიკური უფლებების განხორციელების საშუალებას იძლევა. მატერიალური საშუალებების მცირე მოცულობით ფლობის პირობებში, რომელიც იმ პირთა ხელში კონცენტრირდება, რომლებიც პოლიტიკურ ძალაუფლებას ახორციელებენ, პოლიტიკასა და ეკონომიკას შორის ურთიერთდამოკიდებულება არსებობს, მაგრამ ის ეტაპობრივად, მენეჯერების მეშვეობით რეალიზდება. როდესაც უზარმაზარი მატერიალური საშუალებები იმ პირთა ხელში კონცენტრირდება, ვინც ახორციელებს პოლიტიკურ ხელისუფლებას და ვინც ამავე დროს ფლობს წარმოებასა და განაწილებაზე კონტროლს, აქ სახეზეა პოლიტიკისა და ეკონომიკის განსაკუთრებული ურთიერთკავშირი, პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების მჭიდრო გადაკვეთა, პოლიტიკის დომინირება. ეს განსაკუთრებით დამახასიათებელია ავტოკრატიული საზოგადოებებისათვის, სადაც საკუთრება სახელმწიფოს კონტროლის ქვეშაა და ბიუროკრატიულ აპარატს გააჩნია შესაძლებლობა, იგი უკონტროლოდ განაგოს. შედეგად, ეკონომიკური ძალაუფლება, ეკონომიკური ურთიერთობები კარგავენ მათთვის დამახასიათებელ დამოუკიდებლობას და ამ შემთხვევაში მხოლოდ ძალაუფლებრივი ურთიერთობები დომინირებენ. ამ შემთხვევაში პირველ პლანზე საზოგადოების მართვის პოლიტიკური მეთოდები გვევლინება. მმართველი ელიტის მთავარ მიზანს წარმოადგენს ძალაუფლების შენარჩუნება და მისი გაძლიერება, საკუთრებაზე კონტროლი, რომელიც იძლევა ამ ძალაუფლებას და მისი მიზანია თავისი შეხედულების მიხედვით განკარგოს წარმოებული მატერიალური კეთილდღეობის განაწილების პროცესი.

პოლიტიკის ეკონომიკაზე სრული დამოკიდებულება ნათლად გამოჩნდა რუსეთში 1917 წლის შემდეგ, როდესაც სახელმწიფო ძალაუფლება პარტიულ-სამეურნეო ნომენკლატურის სახით, ეწეოდა რა სახელმწიფო საკუთრების უკონტროლო ბატონობას, კონტროლს უწევდა ეკონომიკურ პროცესებს და ქვეყნის მართვას და ეს ყველაფერი პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესებით აიხსნებოდა. ასეთი პოლიტიკის ეკონომიკასთან მიმართებაში მნიშვნელოვანი თანმიმდევრობა განსაზღვრავდა მის დაბალ ეფექტურობას, რადგანაც არ არსებობდა შესაბამისი სტიმულირება.

პოლიტიკისა და ეკონომიკის ურთიერთდამოკიდებულება განსხვავებულ ვითარებაშიც შეინიშნება, როდესაც წარმოების საშუალებები სახელმწიფო საკუთრების ქვეშ არ იმყოფებიან და საბაზრო ურთიერთობები ბატონობენ. ამაზე მეტყველებს ჩილეს გამოცდილება, სადაც დამყარებულ იქნა პინოჩეტის სამხედრო დიქტატურა, რომლის რეჟიმმა შეძლო ეკონომიკის განვითარება და ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანა. ასეთივე სიტუაცია არსებობდა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სამხრეთ კორეაში არსებული ავტორიტარული რეჟიმის პირობებში, რომელმაც უზრუნველყო ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის ზრდა.



პოსტინდუსტრიალური ტიპის დემოკრატიულ საზოგადოებაში, სადაც საბაზრო ეკონომიკა ბატონობს და დემოკრატიულად არჩეული პოლიტიკური ძალაუფლება ფუნქციონირებს, ეკონომიკა უფრო თავისუფალია, ხოლო ეკონომიკური ხელისუფლება შედარებით დამოუკიდებელია და იგი გარკვეულ გავლენას ახდენს სახელმწიფოს პოლიტიკაზე (მაგალითად სოციალურ პოლიტიკაზე). მაგრამ აქაც ეკონომიკა, ეკონომიკური ძალაუფლება პოლიტიკური სფეროსაგან განუყოფელია. სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ ფუნქციად ეკონომიკური სფეროს რეგულირება გვევლინება, ხოლო ეკონომიკაში გარკვეული ცვლილებების განხორციელება პირველ რიგში საშუალო კლასის ინტერესთა გათვალისწინებითაა შესაძლებელი. თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში, საზოგადოების მართვას მმართველი ელიტა ახორციელებს, მათ შორის ეკონომიკური პროცესების რეგულირების თვალსაზრისით, ხელისუფლება არა მხოლოდ საკუთარ ინტერესებს, არამედ პირველ რიგში მოსახლეობის ძირითად ინტერესებს ითვალისწინებს.

## **თავი 6. პოლიტიკა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებები**

თანამედროვე პერიოდში პოლიტიკურ პროცესებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს ერთ-ერთი მთავარი ადგილი უკავიათ. მათი ურთიერთდამოკიდებულება პოლიტიკასთან, მის სუბიექტებში სხვადასხვა ფორმებითა და გამოვლინებებით ყოველდღიურად იგრძნობა (J.M. Balkin. 1998. P. 12)

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები წარმოადგენენ დაწესებულებებს, რომლებიც სხვადასხვა მონაცემების სპეციალური ტექნიკური ინსტრუმენტების მეშვეობითაა შექმნილი და ღია, საზოგადოებრივი გადაცემების ორგანიზებისათვისაა განკუთვნილი. მათი განმასხვავებელი თვისებებია: საყოველთაობა (მომხმარებელთა განუსაზღვრელი წრე); სპეციალური ტექნიკური აღჭურვილობის (აპარატურა და სხვ.) ფლობა; არაპირდაპირი, დროსა და სივრცეში განაწილებული საკომუნიკაციო სფეროში ჩართული პარტნიორთა ურთიერთქმედება; აუდიტორიების არამუდმივი, დისპერსიული ხასიათი, რომელიც საერთო ყურადღების არსებობის შედეგად დროდადრო იქმნება და რომელიც ამა თუ იმ გადაცემასა თუ სტატიაში გამოხატული. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს მიეკუთვნება პრესა, მასობრივი კითხვარები, რადიო, ტელევიზია, კინო და ხმის ჩამწერები, ვიდეოჩანაწერები. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში კომუნიკაციის საშუალებები საფუძვლიან ცვლილებებს განიცდიან, რაც დაკავშირებულია თანამგზავრული კავშირების განვითარება-გავრცელებასთან, საკაბელო, რადიო და ტელემაუწყებლობის, ელექტრონული ტექსტური საკომუნიკაციო სისტემების (ვიდეო, საეკრანო და კაბელური ტექსტები), ასევე ინფორმაციის დაგროვებისა და ბეჭდვის ინდივიდუალური საშუალებების (კასეტები, დისკები, დისკეტები, პრინტერები) ფუნქციონირებასთან. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სხვადასხვა

შესაძლებლობისა და ზემოქმედების ძალა გააჩნიათ, რომელიც ყველაზე უფრო დამოკიდებულია მიმღების მიერ მათი აღქმის საშუალებებთან. ყველაზე უფრო მასობრივ და პოლიტიკურ ზემოქმედებას ახორციელებენ აუდიოვიზუალური მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და პირველ რიგში, რადიო და ტელევიზია.

მასობრივი ინფორმაციის საშუალებების პოლიტიკური შინაარსი განსაკუთრებით შეიმჩნევა საზოგადოებრივ ურთიერთობათა სისტემაში არსებულ სხვადასხვა ცვლილებების პერიოდში, სახელმწიფო მმართველობის ფორმებში.

მასმედიის საშუალებებზე ზემოქმედების მთავარ სუბიექტს წარმოადგენს სახელმწიფო, ხელისუფლების ორგანოთა სისტემა. სახელმწიფო, ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტისა და მართვის სისტემების მეშვეობით განსაზღვრავს მასმედიის საქმიანობის სტატუსსა და ნორმებს, რაც ხორციელდება ქვეყნის პარლამენტის მიერ კანონების მიღების, სამთავრობო დადგენილებებისა და პრეზიდენტის ბრძანებულების გამოცემის შედეგად. ასეთი აქტებით, მაგალითად, აკრძალულია ძალადობის პროპაგანდა, არსებული კონსტიტუციური წყობის დამხობის მოწოდება და ა.შ. ანუ, მასმედიის საშუალებებს არ შეუძლიათ წარმართონ თავიანთი საქმიანობა სახელმწიფო პოლიტიკის მიზნებისა და ინტერესების წინააღმდეგ.

სახელმწიფო გავლენას ახდენს მასმედიის მიერ საკუთრების მფლობელობაზე, მის გამოყენებაზე, კერძო პირებსა და საფინანსო-სამრეწველო ჯგუფებზე მას-მედიის საშუალებების მიყიდვაზე და ა.შ. ამ ეკონომიკურმა ბერკეტმა შესაძლებელია გავლენა მოახდინოს მასმედიის საქმიანობის პოლიტიკურ მხარეზე. მასმედიის საშუალებები გარკვეულ ზემოქმედებას პოლიტიკის სხვა სუბიექტებისაგანაც განიცდიან, მათ შორის: პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მმართველი ელიტის შიგნით ცალკეული პოლიტიკური დაჯგუფებებისაგან, სამხედრო მმართველობის ორგანოებისაგან და ა.შ. ისინი ესწრაფვიან მასმედია თავიანთი ინტერესების რეალიზებისათვის გამოიყენონ. მეორეს მხრივ, მასმედია, წარმოადგენს რა სისტემას, მართულს პოლიტიკის მხრიდან, მასზე გავლენასაც ახორციელებს. თანამედროვე პირობებში ეს გავლენა იმდენად დიდია, რომ მასმედია ხასიათდება როგორც “მეოთხე ხელისუფლება” (საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების პარალელურად). რა თქმა უნდა, მსგავსი დახასიათება პირობითია, რადგანაც მასმედია არ ფლობს ხელისუფლების ატრიბუტებს; მისი იდეები, რეკომენდაციები არ არის აუცილებელი და სავალდებულო, რათა ისინი განხორციელებულ იქნენ ქვეყნის მოქალაქეთა მიერ.

მასმედიის ფუნქციები მრავალფეროვანია. უმნიშვნელოვანესს მათ შორის წარმოადგენს *საინფორმაციო ფუნქცია*. იგი საზოგადოებისათვის მიმდინარე მოვლენების შესახებ ინფორმაციის გავრცელებას მოიცავს. მასმედიის მიერ

ინფორმაციის მოპოვება და გადაცემა მოიცავს ამა თუ იმ ფაქტების არა მხოლოდ მიუკერძოებელ, ფოტოგრაფიულ გაშუქებას, არამედ მათ კომენტირებასა და შეფასებასაც.

*საგანმანათლებლო ფუნქცია.* მოქალაქეებისათვის ცოდნის მიწოდებაში გამოიხატება, რომელიც შესაძლებლობას იძლევა ადეკვატურად შეაფასოს მონაცემები, რომელსაც ისინი მასმედისა და სხვა წყაროებიდან მიიღებენ, რათა შემდგომში რთულ და წინააღმდეგობრივ საინფორმაციო ნაკადში ცალკეულ მოქალაქეებს პოლიტიკური მოვლენების ობიექტურად შეფასება შეეძლოთ.

*კრიტიკისა და კონტროლის ფუნქცია.* ამ ფუნქციას პოლიტიკურ სისტემაში არა მხოლოდ მასმედია ახორციელებს, არამედ ოპოზიციაც, ასევე პროკურატურის, სასამართლო და კონტროლის სხვა სპეციალიზირებული ინსტიტუტები. ამავე დროს, მასმედის კრიტიკა თავისი ობიექტის სიფართოვითა და განუსაზღვრელობითაც კი გამოირჩევა. ასე მაგალითად, თუ ოპოზიციის კრიტიკა ძირითადად მთავრობასა და ხელისუფლების მხარდამჭერ პოლიტიკურ პარტიებზეა კონცენტრირებული, მასმედის ყურადღების ობიექტს წარმოადგენს პრეზიდენტი, მთავრობა, ასევე სასამართლო და სახელმწიფო პოლიტიკის სხვადასხვა მიმართულებები, ასევე თვით მასმედიაც კი.

მასმედის საშუალებებს სახელმწიფო და სამეურნეო კონტროლის ორგანოებისაგან განსხვავებით არ შეუძლიათ გამოიყენონ ადმინისტრაციული და ეკონომიკური სანქციები დამრღვევების მიმართ, მაგრამ მათი კონტროლი ძალიან ხშირად არანაკლებ ეფექტურია და უფრო მკაცრიცაა, რადგანაც ისინი ახდენენ არა მხოლოდ იურიდიულ, არამედ მორალურ შეფასებას სხვადასხვა მოვლენებისა და ცალკეული პირების მიმართ.

*სხვადასხვა საზოგადოებრივი ინტერესების არტიკულაციის ფუნქცია* სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლებისათვის უზრუნველყოფს შესაძლებლობას საზოგადოდ გამოხატოს თავისი მოსაზრებები, იპოვოს და შემოიკრიბოს თანამოაზრეები, გააერთიანოს ისინი საერთო მიზნებსა და მოსაზრებებზე დაყრდნობით და ა.შ.

*სამობილიზაციო ფუნქცია* გამოიხატება მოსახლეობის შთაგონებაში, რათა ამ უკანასკნელმა განახორციელოს გარკვეული პოლიტიკური ქმედებები (ან მიზანმიმართულად იყოს უმოქმედო მდგომარეობაში), უზრუნველყოს მოსახლეობის პოლიტიკურ პროცესებში ჩართვა. მასმედიას დიდი შესაძლებლობა გააჩნია გავლენა მოახდინოს ადამიანთა გრძნობებსა და გონებაზე, მათი აზრების ფორმირებაზე, შეფასების შესაძლებლობებსა და კრიტერიუმებზე, პოლიტიკური ქცევის სტილზე და კონკრეტულ მოტივაციაზე.

მასმედიის პოლიტიკური ფუნქციების არეალი მხოლოდ ზემოაღნიშნულთ არ შემოისაზღვრება. ზოგიერთი მეცნიერი, რომელიც ამ საკითხს სხვა პოზიციიდან აფასებს, გამოყოფს მას-მედიის ისეთ ფუნქციებს, როგორცაა *ინოვაციური*, რომელიც გამოხატულია პოლიტიკური ცვლილებების ინიცირებაში გარკვეული საზოგადო პრობლემების ფართო დაგეგმვისა და მათ მიმართ ხელისუფლებისა და საზოგადოების მიზიდვის საშუალებით; *ოპერატიული* – მასმედიის მიერ პოლიტიკის საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მიმართულებით სამუშაოს წარმოება.

მოქალაქეებისათვის და სახელმწიფოს დემოკრატიული წყობილებისათვის ყველაზე დიდ საშიშროებას მასმედიის პოლიტიკური მანიპულირებისათვის გამოყენება წარმოადგენს.

*პოლიტიკური მანიპულირება* – ეს გახლავთ პოლიტიკური ცნობიერების და ადამიანთა ქცევის ფარული მართვა, რომლის მიზანია მოსახლეობის გარკვეული მოქმედების (ან უმოქმედობის) სტიმულირება, რათა ხშირ შემთხვევაში ადამიანებმა საკუთარი ინტერესების საწინააღმდეგოდ იმოქმედონ, თუმცა, ამავე დროს თავისუფალი ქმედების ილუზია იქმნება. მანიპულირება დაფუძნებულია ტყუილსა და სიცრუეზე. ზოგიერთი მეცნიერი აღნიშნავს, რომ მანიპულირებასთან სათანადო ბრძოლის გარეშე, ის შესაძლოა მასმედიის მთავარ ფუნქციად გადაიქცეს და მიწასთან გაასწოროს სახელმწიფოს მიერ ოფიციალურად გამოცხადებული დემოკრატიული პრინციპები. მანიპულირებას, როგორც სოციალური მართვის საშუალებას, მის სუბიექტებზე დომინანტობის ძალისმიერი და ეკონომიკური მეთოდებისაგან განსხვავებით რიგი უპირატესობანი გააჩნია. ამ შემთხვევაში მორალური პრინციპების საწინააღმდეგო ქმედება მართულებისათვის შეუმჩნევლად ხორციელდება, იგი არ იწვევს პირდაპირ მსხვერპლს და არ საჭიროებს იმ დიდ მატერიალურ დანახარჯებს, რომელიც მრავალრიცხოვანი პოლიტიკური მეტოქეების მოსყიდვისა თუ დაშოშმინებისათვისაა საჭირო.

თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური მანიპულირების თეორიამ და პრაქტიკამ საკმარისად საფუძვლიანი სამეცნიერო დამუშავება და პრაქტიკული გამოყენება მიიღო. საერთო-სახელმწიფოებრივი, გლობალური მანიპულირების საერთო ტექნოლოგია მთლიანობაში სოციალ-პოლიტიკური მითების და ილუზორული იდეების მასობრივ ცნობიერებაში სისტემატიურ დანერგვას ეფუძნება, რომლებიც გარკვეულ ღირებულებებსა და ნორმებს ქადაგებენ და აღქმის პროცესზე რაციონალური, კრიტიკული გაცნობიერების გარეშე მოქმედებენ.

პოლიტიკური მითები მსოფლიოს ილუზორული სურათის ფუნდამენტს შეადგენენ, რომლებიც მანიპულატორების მიერაა შექმნილი. მაგალითად, კომუნისტური სისტემის პირობებში, მანიპულირების საშუალებას წარმოადგენდა მითები კერძო საკუთრების, როგორც სოციალური ბოროტების მთავარი წყაროს შესახებ, ასევე

ვრცელდებოდა მტკიცებულება კაპიტალიზმის კრახისა და კომუნიზმის გამარჯვების, მუშათა კლასისა და კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი როლის შესახებ, მარსიზმ-ლენინიზმის – როგორც ერთადერთი ჭეშმარიტი სწავლების შესახებ.

ამერიკელი ლიბერალი პროფესორის შილერის აზრით, მთავარ იდეებად, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში მმართველი ელიტის ბატონობას განამტკიცებენ, ხუთი სოციალური მითი გვევლინება: ინდივიდუალური თავისუფლებისა და მოქალაქეთა პირადი არჩევანის შესახებ; უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტების – საკანონმდებლო ორგანოს, მთავრობის, სასამართლო და საპრეზიდენტო ძალაუფლების ნეიტრალობის შესახებ; აგრეთვე, ადამიანის უცვლელი ეგოისტური მიზნების, მისი აგრესიულობის, დაგროვებისადმი და მოხმარებისადმი მისი მიდრეკილების შესახებ; საზოგადოებაში სოციალური კონფლიქტების არარსებობის, ექსპლუატაციისა და დევნის არარსებობის შესახებ; მასმედიის პლურალიზმის შესახებ, რომელიც სინამდვილეში, მისი მრავალფეროვნების მიუხედავად, ბევრ ქვეყანაში მსხვილი სარეკლამო მენეჯერებისა და მთავრობის მიერ კონტროლდება და საერთო ილუზორული ცნობიერების ერთობლიობას წარმოადგენს (გ. შილერი. 1980. გვ. 22).

სოციალური მითების დანერგვის მიზნით, მანიპულირების ტექნოლოგია ადამიანთა ცნობიერებაზე ზეგავლენის კონკრეტული მეთოდების უმდიდრეს არსენალს გვთავაზობს. მათ მიეკუთვნება არა მხოლოდ ფაქტების პირდაპირი გაყალბება, არასასურველი ინფორმაციის დამალვა, ცილისწამებისა და ტყუილის გავრცელება და ა.შ. არამედ უფრო ვიწრო, რაფინირებული საშუალებები: ნაწილობრივი სიმართლე (როდესაც, აუდიტორიის ნდობის მოპოვების მიზნით, ობიექტურად და დეტალურად შექდება კონკრეტული, ნაკლებად მნიშვნელოვანი დეტალები და არ შექდება ბევრად უფრო მნიშვნელოვანი ფაქტები ან კეთდება მოვლენათა საერთო, ცრუ ინტერპრეტაცია), იარლიყების მიკერება (როდესაც მსმენელთა ყურადღების მიპყრობისა და პირებისა და იდეების კომპრომენტაციის მიზნით, ყოველგვარი მტკიცებულებების გარეშე გადმოცემულია არაკეთილსინდისიერი განსაზღვრება, მაგალითად “დიქტატორი”, “ფაშისტი”, “შოვინისტი” “ავტორიტარი” “ხელისუფლების აგენტი” ან “უცხო ქვეყნის აგენტი” და ა.შ.)

არსებობს ლინგვისტური, ენობრივი მანიპულირების მრავალი მეთოდი, რომლებიც ერთი და იგივე მოვლენის მიმართ სხვადასხვაგვარ მიდგომას გვთავაზობენ. მაგალითად, ადამიანს, რომელიც შეიარაღებულ ბრძოლას ეწევა კონკრეტული რეგიონის დამოუკიდებლობის მოპოვების მიზნით (საქართველოს შემთხვევაში აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სეპარატისტების ბანდფორმირებების ბრძოლა და მათი ე.წ. “დამოუკიდებლობისაკენ” მისწრაფება იყო სრულიად უკანონო), სხვადასხვა მასმედიის საშუალებები პოლიტიკური შეხედულებისამებრ

დამოკიდებულებაში ამ მებრძოლეს უწოდებენ “სეპარატისტს”, “ტერორისტს”, “პარტიზანს”, “თავისუფლებისათვის მებრძოლეს”, “ბოევიკს” და ა.შ.

თითოეული საინფორმაციო ჟანრისათვის მანიპულირების საერთო მეთოდებთან ერთად სხვადასხვა სპეციალური მეთოდებიც არსებობს. ტელევიზია, მაგალითად, მაყურებელთა შორის ამა თუ იმ პოლიტიკოსის ნეგატიური გარეგნობის შექმნის მიზნით არამიმზიდველ რაკურსებს იყენებს და კონკრეტული პირის სხვადასხვა მეთოდით ჩვენების დროს ამონტაჟებს უკვე გადაღებულ კადრებს. სხვადასხვა პოლიტიკური იდეების მასების ცნობიერებაში ფარული დანერგვის მიზნით, ტელევიზია ხშირად უწევს ორგანიზებას ხმაურიან გასართობ შოუებს და ა.შ.

თანამედროვე მანიპულატორები კვალიფიციურად იყენებენ მასობრივი ფსიქოლოგიის კანონზომიერებებს. ასე მაგალითად, ყველაზე უფრო გავრცელებული და გარეგნულად უბოროტო მანიპულაციური მეთოდი, რომელსაც “გაჩუმების სპირალი” ეწოდება, შედგება ისეთი ძირითადი კომპონენტებისაგან, როდესაც საზოგადოებრივი აზრის “გამოკითხვაზე” ფაბრიკული დაყრდნობით ან სხვა ფაქტებით, მას-მედიის საშუალებები (რომლებიც ხშირად სხვადასხვა პოლიტიკური ძალების მიერ კონტროლდება) მოქალაქეებს უნერგავენ აზრს, რომ მათ მხარი დაუჭირონ მანიპულატორებისათვის საჭირო და მისაღებ პოლიტიკურ პოზიციებს და ამით უზრუნველყონ კონკრეტული პოლიტიკური ძალის გამარჯვება. აღნიშნული ფაქტი ხშირ შემთხვევაში აიძულებს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელსაც განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებები გააჩნია, გაუჩინდეს გარკვეული შიში იმისა, რომ იგი შეიძლება სოციალურ-ფსიქოლოგიურ იზოლაციაში აღმოჩნდეს, ან იმის შიში, რომ ცალკეული მოქალაქეების მიმართ შესაძლოა გარკვეული სანქციები გატარდეს, აიძულებს ადამიანებს რათა მათ დამალონ საკუთარი აზრი ან შეცვალონ ის. ოპონენტების პოზიციის დასუსტების მიზნით, ნამდვილი და წარმოსახვითი “უმრავლესობის” ხმა უფრო ძლიერი ხდება და ეს კიდევ უფრო აიძულებს იმათ, ვინც კონკრეტული პოლიტიკური ძალის იდეოლოგიას არ ეთანხმება და მერყეობს “საყოველთაოდ მიღებული” აზრის გაზიარებაზე, შეცვალოს თავისი პოლიტიკური მრწამსი და ა.შ. შედეგად, “გაჩუმების სპირალი” კიდევ უფრო მყარდება, რამაც შესაძლოა მანიპულატორთა გამარჯვება უზრუნველყოს.

მანიპულირება ფართოდ არა მხოლოდ ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სახელმწიფოებში ვრცელდება, სადაც მასმედიის საქმიანობა პროპაგანდისტულ მეთოდად გამოიყენება, არამედ მის დანერგვას ადგილი თანამედროვე დასავლურ დემოკრატიებშიც გააჩნია, განსაკუთრებით პარტიული პროპაგანდისა და საარჩევნო კამპანიის დროს. დღევანდელ დღეს, დასავლეთის ქვეყნებში ან მრავალ სხვა ქვეყანაში ვერც ერთი საპრეზიდენტო ან საპარლამენტო საარჩევნო კამპანია ვერ მოქმედებს მანიპულირებისა და სარეკლამო მეთოდების გამოყენების გარეშე,

რომლებიც, ნათლად გადაიკვეთებიან რა ერთმანეთში, მაყურებელს ამა თუ იმ პოლიტიკოსის შესახებ რეალობისაგან მეტად დაშორებულ წარმოდგენებს უქმნიან.

როგორც ემპირიული კვლევები გვიჩვენებს, “საშუალო” ამომრჩეველი საპრეზიდენტო კანდიდატზე ან პარლამენტარზე იმ იმიჯის მიხედვით მსჯელობს, რომელსაც მას ტელევიზია და სხვა მასმედიის საშუალებები უქმნიან. დასავლეთის ქვეყნებში, და ბოლო დროს საქართველოშიც წარმატებით ვითარდება სარეკლამო ბიზნესის მთელი მიმართულება – “იმიჯმეიკინგი”, ანუ ამომრჩევლისათვის მიმზიდველი პოლიტიკური მოღვაწის სახის ჩამოყალიბება. მნიშვნელოვანი ფულადი სახსრებით დაქირავებული პროფესიონალი იმიჯ-მეიკერები და საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორები პრეტენდენტებს არა მხოლოდ ჩაცმის სტილსა და ქცევის მანერებზე მიუთითებენ, არამედ პოტენციური ამომრჩეველებს გამოსვლების შინაარსსაც სთავაზობენ, რომელიც მრავალი მიმზიდველი დაპირებებით გამოირჩევა და რომლებიც ბევრ პოლიტიკოსს ხშირად ავიწყდება არჩევნებზე გამარჯვების შემდგომ პერიოდში.

მასმედიის მიერ საფუძვლიანად მომზადებული სარეკლამო შეფუთვის შედეგად, ამომრჩეველს უძნელდება გაარჩიოს კანდიდატთა გულწრფელი და საქმიანი ხარისხი, განსაზღვროს ამა თუ იმ პოლიტიკური მოღვაწის პოლიტიკური პოზიციები. ასეთი სახის სარეკლამო-მანიპულაციური საქმიანობა მოქალაქეთა არჩევანს თავისუფალი შეგნებული გადაწყვეტილებიდან ფორმალურ ქმედებაში გადააქცევს, რომელიც წინასწარაა დაპროგრამირებული სპეციალისტთა მიერ მასობრივი ცნობიერების ფორმირების მიზნით.

### *პროპაგანდის ხერხები მედიაში*

მცდარია შეხედულება იმის შესახებ, თითქოს მას-მედია და ხელისუფლება მუდამ კრიჭაში ედგნენ ერთმანეთს. პირიქით - მედია ხშირად ყოფილა უშუალოდ თუ არაპირდაპირ კონტროლირებადი ხელისუფლების მხრიდან და მას პროპაგანდისტული მიზნებისათვისაც მშვენივრად იყენებდნენ. ამის კლასიკურ მაგალითს ნაცისტურ გერმანიაში იოსებ გებელსის მიერ შექმნილი პროპაგანდისტული მანქანა წარმოადგენდა, სადაც საზოგადოების შედუღება მძლავრი იდეოლოგიური წნეხის მეშვეობით ხდებოდა. 1933 წ. გებელსმა ახალი სპეციალური დეპარტამენტიც კი დაარსა – ინფორმაციის და პროპაგანდის რაიხსამინისტრო და ცენზურის უმკაცრესი სისტემა შემოიღო. გებელსი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რადიომაუწყებლობას, ხოლო 1935 წელს დაიწყო მსოფლიოში პირველი ტელეგადაცემებიც. მართალია, არეალი მხოლოდ ბერლინს მოიცავდა, მაგრამ მაუწყებლობა ლამის II მსოფლიო ომის დამთავრებამდე არ შეწყვეტილა (A.Heywood. 2007. P. 314).

## *მას-მედიის მოდელები*

მედია თავისი პოლიტიკური მნიშვნელობა მას შემდეგ შეიძინა, რაც XIX საუკუნის ბოლოს, მსოფლიო მოსახლეობაში საგრძნობლად იმატა წერა-კითხვის მცოდნეთა და შესაბამისად, ჟურნალ-გაზეთების რაოდენობამ. ახლა უკვე არავინ დაობს იმაზე, რომ თანდათანობით, სოციალური და ტექნოლოგიური ცვლილებების ფონზე, მასმედია გავლენიან პოლიტიკური ძალად გადაიქცა და რიგ შემთხვევებში მას პოლიტიკური პროცესების წარმმართველი როლიც კი ეკისრება. ამ მხრივ საგულისხმო გახლავთ სამი უმთავრესი მომენტის გათვალისწინება: ჯერ ერთი, შესუსტდა პოლიტიკური სოციალიზაციის იმგვარი “პირველადი” რგოლების გავლენა, როგორებიცაა ოჯახი და საზოგადოებრივი კლასი. თუკი ადრინდელ პერიოდში ადამიანი იშვიათად თუ შეიცვლიდა – ყოველ შემთხვევაში, რადიკალურად მაინც ახალგაზრდობის პერიოდში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ შეხედულებებს, თანამედროვე საზოგადოებაში ინდივიდუალისტურმა და სამომხმარებლო ღირებულებებმა და მათმა გავრცელებამ, საგრძნობლად შეცვალა წინა პერიოდში არსებული ვითარება. ამის შედეგად, გაფართოვდა მედიის პოლიტიკური გავლენის არეალიც – რადგან სწორედ მედია გახლავთ ის უმთავრესი მექანიზმი, რომელიც პოლიტიკურ ინფორმაციას ავრცელებს და ხშირად საზოგადოების არჩევანსაც განაპირობებს.

მეორე: ტელევიზორიისა და ინტერნეტის ქსელში ჩართულთა რაოდენობის განუხრელი ზრდის შედეგად, საინფორმაციო საშუალებებმა პრაქტიკულად თითოეული მოქალაქის ყოველდღიურ ცხოვრებაში დაისადგურა. აღნიშნული ფაქტი კი იმაზე მიუთიღებს, რომ დღეს სხვადასხვა ქვეყნების მოსახლეობა უფრო მეტად არის დამოკიდებული მედიაზე, ვიდრე ეს წინა პერიოდებისათვის იყო დამახასიათებელი. მაგალითად, სხვადასხვა სატელევიზიო პროგრამები პოლიტიკური ინფორმაციის თვალსაზრისით ახლა უფრო მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს, ვიდრე ნებისმიერი საზოგადოებრივი თავყრილობა თუ ნაბეჭდი ტექსტი. სხვათა შორის, ბევრი ადამიანი სპორტული გადაცემების ყურებას უფრო ანიჭებს უპირატესობას, ვიდრე ვარჯიშსა თუ რაიმე სპორტულ ღონისძიებაში მონაწილეობას. ეს კი არა და ბევრ ადამიანს ხანდახან საყიდლებზე გასვლაც კი ეზარება და საჭირო საქონელს ინტერნეტით უკვეთავს. გასათვალისწინებელია ინტერნეტის მზარდი პოლიტიკური მნიშვნელობაც: 2006 წ. უკვე მილიარდზე მეტ ადამიანს მიუწვდებოდა მასზე ხელი: ამერიკაში – 62%, ავსტრალია/ოკეანეთში – 51%, ევროპაში – 36%; თუმცა მომხმარებლების რიცხვი იზრდება აფრიკაშიც, ლათინურ ამერიკასა და ახლო აღმოსავლეთშიც (A. Heywood. 2007. P. 304).

მესამე: მედიის გავლენა ეკონომიკურ სფეროშიც საგრძნობლად გაიზარდა. არა მხოლოდ მთავარი მედია-კორპორაციები გახდნენ მსოფლიო მნიშვნელობის “მოთამაშეები”, არამედ უამრავი წვრილ-წვრილი კომპანია ჩაერთო ერთ დიდ



“ინფონდუსტრიაში”, რაც საგამომცემლო საქმეს, ტელევიზიას, კინოს, მუსიკას, კომპიუტერების წარმოებასა და ვიდეოკომუნიკაციებს მოიცავს.

თანამედროვე ეტაპზე აღარავინ დავობს, რომ თუ მედია მთლიანად არ განსაზღვრავს პოლიტიკურ სიმპათიებსა და ღირებულებებს, ყოველ შემთხვევაში, მოქალაქეთა პოლიტიკურ შეხედულებებსა და პოლიტიკურ არჩევანზე მაინც დიდ გავლენას ახდენს. საკამათო გახლავთ მხოლოდ ამ პოლიტიკური გავლენის დონე. პოლიტიკაზე მას-მედიის საშუალებების მხრიდან ზემოქმედების რამდენიმე განსხვავებული მოდელი არსებობს და მათგან ჩვენთვის საინტერესოს ოთხი წარმოადგენს:

- პლურალისტული;
- გაბატონებულ-იდეოლოგიური;
- თავისუფალი-საბაზრო;
- ელიტის მორჩილი.

(A. Heywood. 2007. P. 304).

#### *პლურალისტული მოდელი*

საერთო ჯამში, პლურალიზმი - განსხვავებულობასა და მრავალფეროვნებას ნიშნავს. მას-მედიის პლურალისტული მოდელი მედიას როგორც ერთგვარ იდეოლოგიურ ბაზაარს განსაზღვრავს, სადაც საზოგადოების წინაშე პოლიტიკური შეხედულების ფართო სპექტრია წარმოდგენილი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე არავინ უარყოფს მოსაზრებას, რომ მედიას იმის საშუალება გააჩნია, რომ ზეგავლენა მოახდინოს პოლიტიკურ შეხედულებებსა და სიმპათიებზე, მაინც იმთავითვე იგულისხმება, რომ ეს გავლენა გახლავთ არსებითად მიუკერძოებელი, ანუ მედიის მიზანს საზოგადოებაში არსებული განსხვავებული ძალების დაბალანსება წარმოადგენს.

პლურალისტული კონცეფციის თანახმად, მედიას განსაკუთრებით პროზიტიური როლი აკისრია, იგი გახლავთ საზოგადოების “ინფორმატორი”. ის დემოკრატიის ხარისხსაც უზრუნველყოფს და ხელისუფლების კონტროლსაც ახორციელებს. მას-მედიის, როგორც “დემოკრატიის დარაჯის” ფუნქცია კარგად გამოჩნდა 1974 წ. როდესაც “უოშინგტონ პოსტმა” უოტერგეიტის სკანდალი გამოიძია და პრეზიდენტი ნიქსონი აიძულა, რომ ამ უკანასკნელს თანამდებობა დაეტოვებინა. უფრო მეტიც, ბევრი ამტკიცებს, რომ ინტერნეტის ფართოდ გავრცელებამ ხელი შეუწყო პლურალიზმისა და პოლიტიკური კონკურენციის კიდევ უფრო გაზრდას, რადგან დღეს ნებისმიერ პროტესტანტთა ჯგუფს, მაგალითად ანტიგლობალისტებს, საკმაოდ ოპერატიულად, იაფად და შედეგიანად შეუძლიათ საკუთარი ინფორმაციის გავრცელება და პოლიტიკური კამპანიების წარმოებაც.

ამავე დროს, პლურალისტულ მოდელს სერიოზული ნაკლოვანებებიც გააჩნია: ასე მაგალითად, ქვეყანაში მოქმედ შედარებით სუსტ და არაორგანიზებულ ჯგუფებს ხელი არ მიუწვდებათ მთავარ გამოცემებზე თუ საეთერო “პრაიმ-ტაიმებზე”. ამის ძირითადი მიზეზი გახლავთ ის, რომ მედიის იდეოლოგიური ბაზარი მაინც შედარებით ვიწროა და ისტებლიშმენტზე ორიენტირებული. მით უმეტეს, კერძო საკუთრება და ხელისუფლებისაგან ფორმალური დამოუკიდებლობა შეიძლება საკმარისი საფუძველი გამოდგეს მედიის ოპოზიციურობისათვის, თუკი მხედველობაში ვიქონიებთ საკმაოდ არაერთგვაროვან ურთიერთობებს ხელისუფლებას, მას-მედიის წარმომადგენლებსა და მედია-მაგნატებს შორის.

### *გაბატონებულ-იდეოლოგიური მოდელი*

გაბატონებულ-იდეოლოგიური მოდელის თანახმად, მედია პოლიტიკურად კონსერვატიულ ძალად არის წარმოდგენილი, რადგანაც აღნიშნული მოდელი ძირითადი ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ელიტის ინტერესებს გამოხატავს და საზოგადოების ფართო მასების მორჩილებასა და პოლიტიკურ პასიურობას უწყობს ხელს. მემარცხენე შეხედულებების იტალიელი მეცნიერის, გრამშის აზრით, მედია მხოლოდ ბურჟუაზიული იდეების პროპაგანდას ეწევა და მმართველი კლასის კაპიტალისტურ ჰეგემონიას განამტკიცებს. სხვაგვარად რომ ითქვას, მას-მედიის ცალკეული საშუალებების მფლობელობა განსაზღვრავს მის მიერ გავრცელებული პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების ხასიათს, მესაკუთრეებად კი, როგორც წესი, მცირერიცხოვანი საერთაშორისო მედია-კორპორაციები გვევლინებიან. მათგან ყველაზე გაგვჩინიანი ექვსია: AOL – Time Warner, News Corporation, Viacom, Disney, vivendi Universal, Bertelsmann. ამ მიდგომით, მედია გლობალური პროცესების განვითარების მიმართულებით უდიდეს როლს ასრულებს (A. Heywood. 2007. P. 306).

გაბატონებულ-იდეოლოგიური მოდელის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ვერსიას ნოამ ხომსკისა და ედ ჰერმანისეული “პროპაგანდისტული” ფორმა წარმოადგენს, რის შესახებაც ისინი აღნიშნავენ თავიანთ წიგნში “თანხმობის ფაბრიკა” (ხომსკი, ჰერმანი. 1988. გვ. 63). ავტორები საუბრობენ ხუთ ფილტრზე, რაშიც თავად მედია ატარებს პოლიტიკურ “ნიუსებს”.

- მფლობელთა ბიზნეს-ინტერესები;
- რეკლამის დამკვეთთა და სპონსორთა ინტერესები;
- ხელისუფლების წარმომადგენელთა და საქმიანი წრეების ლობისტთა ინტერესები;
- ჟურნალისტთა მიმართ სავარაუდო მუქარა და წნეხი;
- საბაზრო კონკურენციისა და სამომხმარებლო კაპიტალიზმის უპირატესობათა ურყევი რწმენა (A. Heywood. Politics. 2007. P. 306).

### *ელიტის მორჩილი მოდელი*

ეს მოდელი იმისკენაა ორიენტირებული, რომ განსაზღვრულ იქნეს, თუ ვის კონტროლქვეშაა მოქცეული ასე ვთქვათ, არა ნედლეული, არამედ უკვე მზა პროდუქცია: რედაქტორები, ჟურნალისტები, ანალიტიკოსები თუ მიმომხილველები საკმარისად დამოუკიდებელი არიან, რათა ნებისმიერმა მედია-მაგნატმა მათ ყოველდღიურ საქმიანობაში პირადად ვერ ჩაეყოს ცხვირი და მხოლოდ ზოგადი პოლიტიკის განსაზღვრით შემოიფარგლოს. საქმეც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ნებისმიერი საბჭო თუ მას-მედიასთან დაკავშირებული სხვა მმართველი სტრუქტურა წარმოდგენილია იმ ხალხით, ვინც საკუთარ პოლიტიკურ სიმპათია - ანტიპატიებს მისდევს. ზოგიერთი ექსპერტის აზრით, სწორედ ესაა მიზეზი, რომ მატერიალურად უზრუნველყოფილ ელიტას არაფერზე თავის შეწუხება არ უნდა, ხოლო კონსერვატორები კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებენ, მათი აზრით, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განათლებამიღებული, ლიბერალი ინტელექტუალების ღირებულებები და შეხედულებები შორს დგას ხალხის მასების მოთხოვნებისაგან. თავის მხრივ, ფემინისტების აზრით, ტელეარხებზე მამაკაცთა დომირებას აქვს ადგილი.

ე.წ. “ელიტარულ მოდელს” თავისი გარკვეული ნაკლიც გააჩნია. უპირველეს ყოვლისა, იგი საკმარისად ვერ ითვალისწინებს იმ ზეწოლის არსებობას, რასაც ჟურნალისტების სფეროში მოღვაწე ადამიანები განიცდიან – თუნდაც მფლობელთა ინტერესების, კომერციულ მოსაზრებებისა და ე.წ. “სარეიტინგო მონაცემების” თვალსაზრისით.

### *საბაზრო მოდელი*

მას-მედიის საბაზრო მოდელი სხვა მოდელებისაგან ისეთი მნიშვნელოვანი კრიტერიუმით განსხვავდება, რომ საერთოდ არ აღიარებს მედიაში რაიმე მიკერძოებას რომელიმე პოლიტიკური თუ კომერციული ორგანიზაციის მხრიდან. ამ მოდელის თანახმად, ბეჭდური თუ ელექტრონული მედია კი არ განაპირობებს, არამედ მხოლოდ ასახავს საზოგადოების განწყობილებებს. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მფლობელებისა თუ წამყვანი პროფესიონალების პირადი სიმპათია-ანტიპატიების მიუხედავად, მედიის საქმიანობა უპირველეს ყოვლისა ბიზნესია და ბაზარზე ადგილის შესანარჩუნებლად, მაქსიმალური მოგების უზრუნველყოფას ცდილობს. შესაბამისად, მედია იმას აძლევს ხალხს, რაც “მომხმარებელს სურს” და არა მისთვის საკამათო ან მიუღებელ პოლიტიკურ ინფორმაციას (A. Heywood. Politics. 2007. P. 308).

იმის მიუხედავად, რომ ეს მოდელი მედიის კერძო საშუალებებს პოლიტიკური პროცესის აუცილებელ ნაწილად არანაირად არ განიხილავს, იგი მაინც იძლევა იმის საშუალებას, რომ უკეთესად იქნეს გაანალიზებული პოლიტიკური ცხოვრების

გარკვეული ტენდენციები. საბაზრო მოდელის განხილვის პროცესში ერთ-ერთ უარყოფით მხარედ შესაძლოა დასახელდეს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მხრიდან პოლიტიკური ხასიათის შესაბამისი თემების დუნედ, ერთფეროვნად გაშუქების ფონზე - პოლიტიკისადმი სულ უფრო მზარდი გულაცრუება. კომერციულ ბაზარზე ადგილის დაკარგვის შიშით, რიგმა სატელევიზიო კომპანიებმა საგრძნობლად შეამცირეს სერიოზული პოლიტიკური დებატების ხვედრითი წილი ეთერში და, ასე ვთქვათ, “ინფოსეირის” სასარგებლოდ, მოქალაქეების პოლიტიკური გათვითცნობიერების ვალდებულებაზეც ხელი აიღეს და კომერციულ ინტერესებს საბოლოო უპირატესობა მიანიჭეს.

## თავი 7. პოლიტიკა და მორალი

პოლიტიკას საზოგადოებაზე სხვადასხვანაირად ზემოქმედება შეუძლია: ერთის მხრივ, იგი შესაძლებელია გაბატონებული უმცირესობის ინტერესთა გათვალისწინებით როგორც მასობრივი ძალადობის იარაღი ისე მოგვევლინოს, ხოლო მეორეს მხრივ, ასევე როგორც მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინსტრუმენტს წარმოადგენდეს, რომელსაც ძალუძს დაიცვას საზოგადოებრივი წესრიგი, კანონიერება და სოციალური სამართლიანობა. საზოგადოებაში პოლიტიკის ჰუმანისტური როლი მისი მორალურ და ზნეობრივ ნორმებზე ორიენტაციის საშუალებითაა განპირობებული.

მორალი, საზოგადოებრივი ცხოვრების განსაკუთრებულ სფეროს წარმოადგენს, რომელიც დაფუძნებულია სიკეთისა და ბოროტების თვალთახედვიდან ნებისმიერი ქმედებისა და საქციელის შეფასებაზე და ა.შ. ჰუმანიზმის იდეები, ე. ი. თითოეულ ადამიანთან, როგორც უმაღლეს ღირებულებასთან დამოკიდებულება, მორალის საერთო სახალხო შინაარსის ბირთვს წარმოადგენს.

ზნეობრივ საქციელს მაღალჰუმანური მოტივაცია ახასიათებს. იგი წარმოადგენს ადამიანური ღირებულებების შენარჩუნების წინაპირობას, ასახიერებს ადამიანთა შორის ურთიერთობების მრავალსაუკუნოვან გამოცდილებას და აფიქსირებს იმ მოთხოვნებს, რომელთა შესრულება საზოგადოებისათვის და მთელი კაცობრიობისათვისაა აუცილებელი. მეორეს მხრივ, როგორც ისტორიის გამოცდილება ცხადყოფს, ამორალიზმი საერთო ჯამში იწვევს როგორც ადამიანის განადგურებას, ასევე მთელი საზოგადოების დეგრადაციას.

დეტალურად განვიხილოთ კატეგორიები: “პოლიტიკური ზნეობა” და “პოლიტიკური ეთიკა”, რომლებიც ერთმანეთისაგან თავისი საგნით და შინაარსით განსხვავდებიან.

*პოლიტიკური ეთიკა* – ეს გახლავთ პოლიტიკური საქმიანობის საყოველთაოდ აღიარებული ნორმების ერთობლიობა, პოლიტიკურ მოღვაწეებს შორის ურთიერთობა,

ხელმძღვანელებსა და ქვეყნის მოქალაქეებს შორის ურთიერთობა, მათ მიერ უფლებებისა და მოვალეობების პატივისცემა. პოლიტიკური ეთიკა გარკვეულწილად პოლიტიკის შიგნით არსებობს, იგი პოლიტიკური ლიდერისათვის “მორალურ სახელმძღვანელოს” წარმოადგენს.

**მორალი** – ეს გახლავთ პრინციპების, ნორმების ერთობლიობა, რომლებითაც ადამიანები ერთმანეთთან ურთიერთობისას თავიანთი საქციელის ფარგლებში ხელმძღვანელობენ. ამ პრინციპებისა და ნორმების პოზიციებიდან ფასდება სხვადასხვა ტიპის სოციალური ხასიათის, მათ შორის პოლიტიკური მოვლენები. პოლიტიკური ზნეობა – დამოუკიდებელი მოვლენაა, იგი პოლიტიკის გვერდით როგორც მასთან მიმართებაში მყოფ გარე ფაქტორს წარმოადგენს. პოლიტიკასა და მორალს შორის დგას ადამიანი, ხალხი. შესაბამისად, პოლიტიკა და მორალი დამოუკიდებელი სოციალური მოვლენების რიცხვს მიეკუთვნებიან. ამასთანავე, როგორც ისტორიული გამოცდილება ცხადყოფს, მათ შორის კონკრეტული ისტორიული ურთიერთკავშირი ყოველთვის არსებობდა. ამ ურთიერთკავშირში მორალი, როგორც წესი, პოლიტიკის ოპონენტად გვევლინებოდა, რომელიც პოლიტიკურ დოქტრინებსა და ქმედებებს ადამიანის, როგორც პიროვნების განვითარების გადმოსახედიდან აფასებდა. პოლიტიკის მორალური ხარისხის შეფასებისას, ჩვენ თანაფარდობას ვახდენთ მოცემული პოლიტიკურ აქციების საერთოსაკაცობრიო პრინციპებთან და ნორმებთან ადამიანებს, ხალხებსა და სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებთან მჭიდრო კავშირში. ამიტომაც პოლიტიკა შეიძლება მორალური იყოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი იდეათა, მიზნებისა და იდეალების სისტემა შეესაბამება ადამიანის სოციალურ არსებობას და მიმართულია ჰუმანიზმისა და სოციალური თანასწორობის პრინციპების განხორციელებისაკენ. პოლიტიკა, რომელიც იგნორირებას უწევს აღნიშნულ პრინციპებს, ამორალურია.

პოლიტიკასა და მორალს შორის ურთიერთქმედება წარმოადგენს მუდმივად არსებული პრობლემებიდან ერთ-ერთს, რომელიც ყოველთვის იღვას კაცობრიობის წინაშე. ამავე დროს, ნათლად იკვეთება პოლიტიკასა და მორალს შორის ურთიერთქმედების ორი ძირითადი ხაზის განსაზღვრა. პირველი – ეს არის ერთიანობა, პოლიტიკისა და მორალის კავშირი და მეორე – პოლიტიკისა და მორალის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. ასე მაგალითად, ჯერ კიდევ ანტიკურ პერიოდში პლატონი და არისტოტელე პოლიტიკასა და მორალს როგორც ერთ მთლიანობას განიხილავდნენ. კერძოდ, პლატონი პოლიტიკას აფასებდა როგორც მოქალაქეთა სულიერი და მორალური მდგომარეობის ხელოვნებას. ის თვლიდა, რომ იქიდან გამომდინარე, როგორი ადგილი უკავია ადამიანის სულში მორალურ პრინციპებს და როგორია მათი შინაარსი, ბევრადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ხასიათი.

არისტოტელე კი იქიდან გამოდიოდა, რომ პოლიტიკა ეთიკასა და ეკონომიკასთან ერთად წარმოადგენდნენ პრაქტიკულ ფილოსოფიას, რომლის მთავარი მიზანია სამართლიანობის ინტერესებზე დაყდრდნობით კანონთა შემუშავება (Mc Leisch, Kenneth Cole. 1999. P. 12-13). ანუ, ყველა მოქალაქისათვის საერთო სარგებლის მოტანა. იგი საერთო პრინციპების კერძო პრინციპებზე უპირატესობას და ზომიერებას, როგორც პოლიტიკაში არსებულ მორალურ იდეალს ამტკიცებს. მეცნიერის აზრით, პოლიტიკით მხოლოდ ღირსეული მოქალაქეები უნდა იყვნენ დაკავებულნი. პოლიტიკასა და მორალს შორის უფრო მჭიდრო კავშირი ფიქსირდება ციცერონის ნაშრომებში (Mellor R. 2004. P. 45.). გვიანდელ პერიოდში პოლიტიკისა და მორალის ურთიერთქმედების აუცილებლობის შესახებ წერდა ჟან ჟაკ რუსო. მორალი მასთან მჭიდროდაა დაკავშირებული ბუნებრივ სამართალთან. იგი მოუწოდებდა, რომ საზოგადოებაში შენარჩუნებულ ყოფილიყო ყველაფერი საუკეთესო, რაც არსებობდა ადამიანებს შორის საყოფაცხოვრებო ურთიერთობების ფარგლებში. აქედან გამომდინარეობს: “ყველაფერი, რაც წარმოდგენილია მორალურ ბოროტებად, გვეკლინება ბოროტებად პოლიტიკაშიც” (Jean-Jacques Rousseau. 1964).

პოლიტიკისა და მორალის ურთიერთქმედების მეორე მიმართულება მათ ურთიერთგამიჯვნასა და ამა თუ იმ კონკრეტული პრიორიტეტულობის დასაბუთებაში გამოიხატება. ამ მიმართულების თვალსაჩინო წარმომადგენლად უნდა აღიარებულ იქნეს ნ. მაკიაველი. თავის ნაშრომებში იგი ესწრაფვოდა დაემტკიცებინა ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების დამკვიდრების აუცილებლობა და მისი აზრით ამ მიზნის განსახორციელებლად ნებისმიერი საშუალებები უნდა ყოფილიყო გამოყენებული და ამავე დროს, უარყოფილ ყოფილიყო საერთოაღიარებული მორალური ნორმები. მაკიაველი გამოდიოდა იმ პრინციპიდან, რომ მიზანი განსაზღვრავს საშუალებათა არჩევანს, მათი არჩევანის მორალურობა კი თვით მიზნის მორალურობით განისაზღვრება. მისი აზრით, ხელმწიფეს (მმართველს) შეუძლია ისეთ საშუალებებს მიმართოს, როგორცაა ტყუილი, ფიცის გატყვევა და ა.შ. ამასთანავე, უმაღლეს ფასეულობას წარმოადგენს სახელმწიფოს ინტერესები, რომელთა განსახორციელებლად მორალურად ყველა საშუალებაა გამართლებული. პოლიტიკოსის მიერ ბოროტების გამოყენება გარდაუვალია, სიკეთის პრინციპებს არ მოაქვთ შესაბამისი შედეგი, რადგან ისინი სხვა ადამიანებს შორის ურთიერთობისას მოქმედებენ, რომლებიც მორალის სხვა ნორმებს ეყრდნობიან. ამით მაკიაველი ეთიკას პოლიტიკური მოღვაწეობისაგან აცალკევებს, რადგანაც იგი ხელს უშლის პოლიტიკოსს საკუთარი მოვალეობა შეასრულოს (მაკიაველი ნ. 2006. გვ. 196).

პოლიტიკასა და მორალს, როგორც ადამიანთა ქცევის რეგულაციაზე სპეციალიზირებულ საზოგადოებრივ სექტორებს, გააჩნიათ როგორც საერთო, ასევე განმასხვავებელი ნიშნები. ორივე ეს სფერო ერთი წყაროდან ვითარდება – ადამიანის ინდივიდუალურობასა და უნიკალურობას შორის წინააღმდეგობის არსებობით ერთის მხრივ და მეორეს მხრივ, მათი კოლექტიური ბუნებიდან გამომდინარე.

მორალი წარმოადგენს პიროვნებათშორის საშუალებას, რათა ადამიანი საზოგადოებისათვის საშიში მიდრეკილებებისაგან შეაკავოს და გადაჭრას წინააღმდეგობა ინდივიდსა და მთელ საზოგადოებრიობას შორის. თავდაპირველად, როდესაც ცივილიზაციის გარიჟრაჟზე ადამიანთა მცირერიცხოვან კოლექტივებს – გვარს, ტომს, პოლიტიკის გარეშე ყოფნა შეეძლოთ, ადამიანთა აღნიშნული ჯგუფები ადამიანთა შორის ურთიერთობებს არეგულირებდნენ და წესების, ადათების, ტრადიციების და ა.შ. მეშვეობით საზოგადოებრივ წესრიგს უზრუნველყოფდნენ. საზოგადოების სხვა საფეხურზე გადასვლის შემდეგ დაინერგა სოციალური კონტროლის ისეთი ისტორიული ინსტიტუტები, როგორებიცაა ოჯახი, თემი, რელიგიური რიტუალები და ა.შ.

მას შემდეგ, რაც საზოგადოების სტრუქტურა უფრო რთული გახდა და სოციალური კონტროლის ტრადიციული, ადამიანთა ქცევის რეგულირების რიტუალურ-მორალური ფორმები არასაკმარისი აღმოჩნდა, გაჩნდა სახელმწიფო და ძალდატანების სპეციალური აპარატის მეშვეობით შექმნილი ადამიანთა ქცევის რეგულირების განსაკუთრებული საქმიანობის ფორმა, ანუ პოლიტიკა.

ამგვარად, მორალისა და პოლიტიკის მთავარი საზოგადოებრივი ფუნქციები ერთმანეთს ემთხვევა. პოლიტიკას, ისევე როგორც მორალს, საფუძველი გააჩნიათ პრეტენზია განაცხადონ საერთო კეთილდღეობისა და სოციალური თანასწორობის დაცვაზე, თუმცა პოლიტიკა ხშირად შორსაა ამ ჰუმანური ამოცანების შესრულებისაგან. პოლიტიკა იქმნება მორალის – როგორც მისი სპეციფიკური დანამატის რეგულარული უკმარისობის შედეგად. არ არის შემთხვევითი, რომ ადრეული პერიოდის მოაზროვნეები პოლიტიკას როგორც ეთიკის ერთ-ერთ განშტოებას განიხილავდნენ. პოლიტიკა გარკვეულწილად მორალური თვითკონტროლის გარეგანი განსახიერებისა და მატერიალიზაციის სახით გვევლინება.

საერთო დამახასიათებელი და განსხვავებული ელემენტების მიუხედავად, პოლიტიკას მორალისაგან პრინციპული განსხვავება ახასიათებს. ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს კი პოლიტიკის კონფლიქტურობა წარმოადგენს. როგორც უკვე აღინიშნა, პოლიტიკა სოციალური კონფლიქტების მოგვარების ერთ-ერთ საშუალებაა, რომელიც მთელ საზოგადოებას მოიცავს და რომელიც ძალაუფლების გამოყენებას მოითხოვს. მორალისათვის კი დამახასიათებელია ორდინარული, ადამიანთა შორის ყოველდღიური ურთიერთობები, სადაც კერძო შემთხვევებად შესაძლოა მოგვევლინოს კონფლიქტური ურთიერთქმედებანი, რომლებიც ვერ აღწევენ შესაბამის პოლიტიკურ სიმწვავეს.

პოლიტიკის უშუალო წყაროს წარმოადგენენ ეკონომიკური და ადამიანთა ინტერესების სფეროში მოქცეული სხვა ასპექტები, მათ შორის პირველ რიგში

გვევლინება მსხვილი სოციალური ჯგუფების ინტერესები: ერების, კლასების, ფენების და ა.შ. სახით. მორალის უშუალო წყაროს სახით კი გვევლინება ზოგადსაკაცობრიო, ასევე სხვა კოლექტიური ღირებულებანი, რომელთა დაცვას ადამიანისათვის არანაირი პირადი და მატერიალური კეთილდღეობა არ მოაქვს. ამგვარად, ქცევის მორალურ და პოლიტიკურ მოტივებს შორის მეტოქეობა – ეს გახლავთ ბრძოლა პირველ რიგში სულიერ ფასეულობათა და პირადი კეთილდღეობის სფეროში არსებულ ინტერესთა შორის.

მორალის მრავალი იმპერატივი მეტწილად იდეალისტურ ხასიათს ატარებს, რომლებთანაც თითოეულმა ადამიანმა საკუთარი ქმედებანი უნდა შეათანხმოს, მაგრამ მათი სრულყოფილი მიღწევა რეალურ ცხოვრებაში პრაქტიკულად შეუძლებელია. ასე მაგალითად, ფაქტიურად შეუძლებელია იპოვო ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში არც ერთხელ არ უთქვამს ტყუილი, ყოველთვის ამბობს სიმართლეს ან ქრისტიანულ მოძღვრებებზე დაყრდნობით თავისი ახლობელი როგორც საკუთარი თავი ისე შეიყვარა.

მორალური იმპერატივების აბსტრაქტულ-ნორმატიული ხასიათისაგან განსხვავებით, პოლიტიკის მოთხოვნები კონკრეტულია და ჩვეულებრივად ხორცშესხმულია სამართლებრივი კანონების ფორმით, რომელთა დარღვევა იწვევს რეალური დასჯის მექანიზმის ამოქმედებას.

პოლიტიკა მიზანმიმართულია და ორიენტირებულია გარკვეული მიზნების მიღწევაზე, შედეგებზე. მორალი კი თავის მხრივ სუბიექტურ, ქცევათა შინაგან განცდებს აფასებს. მისთვის მნიშვნელოვანია არა იმდენად მიღწეული შედეგები, არამედ თვით საქციელი, მისი მოტივები, მიზნები და საშუალებები, დამოუკიდებლად იმისგან, მიღწეულ იქნა თუ არა ესა თუ ის პოლიტიკური მიზანი.

მორალი და ზნეობა ყოველთვის ინდივიდუალურია, მათი სუბიექტი და მოპასუხე – ცალკეული ადამიანია, რომელიც თავის მორალურ არჩევანს ახორციელებს. პოლიტიკას კი გააჩნია ჯგუფური, კოლექტიური ხასიათი. მასში ინდივიდი გვევლინება როგორც ნაწილი, როგორც სოციალური კლასის, ერის, ან პარტიის წარმომადგენელი. რეალური პოლიტიკა თავის მხრივ, როგორც სიტუაციური ელემენტი, ორიენტირებულია რა წარმატებაზე, მოწოდებულია პირველ რიგში რეალური სიტუაცია, ყველა არსებული ფაქტორი გაითვალისწინოს, კერძოდ კი ის ასპექტები, რომლებსაც პოლიტიკური მიზნის მიღწევაზე გარკვეული ზემოქმედების მოხდენა შეუძლიათ. მორალური მოთხოვნები კი თავიანთ ფუძეში უნივერსალურია და როგორც წესი, ისინი დამოუკიდებლები არიან კონკრეტული მდგომარეობისაგან.



პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ განმასხვავებელ თავისებურებას ასევე ძალაზე დაყრდნობა, ძალადობრივი სანქციების გამოყენება წარმოადგენს. მორალი, რომელიც გმობს ძალადობას, ძირითადად სინდისის “სანქციას” ეყრდნობა. საკუთარი სინდისის ძალას, შესწევს უნარი აპატიოს სხვა ადამიანს რაიმე კონკრეტული ხასიათის დანაშაული, პოლიტიკა კი სჯის არა მხოლოდ მოწინააღმდეგებსა და კანონის დამრღვევებს, არამედ ავტორიტარული და ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ხშირად უდანაშაულო ადამიანებიც ისჯებიან, ეს კი თავის მხრივ მოსახლეობაში შიშისა და პანიკის არსებობის საფუძველს განაპირობებს.

## **თავი 8. პოლიტოლოგიის შესახებ არსებული სხვადასხვა მოსაზრებები**

როგორც უკვე ჩვენთვის ცნობილია, საერთო ჯამში პოლიტოლოგია (ბერძნული სიტყვა – politika - “პოლიტიკა” და logos – “სიტყვა”, “მოძღვრება”, “მეცნიერება”) პოლიტიკის შესახებ მეცნიერებად მოიაზრება.

პოლიტოლოგიაში, როგორც სხვა მეცნიერებათა უმრავლესობაში, პოლიტოლოგიის საგნის განსაზღვრა არაერთგაროვნადაა წარმოდგენილი და მეცნიერებათა სისტემაში მის როლთან დაკავშირებით სხვადასხვა მოსაზრება არსებობს. ამ მოსაზრებებიდან ყველაზე უფრო აღსანიშნავია პოლიტოლოგიის საგნის განსაზღვრასთან დაკავშირებული სამი პოზიცია.

**პირველი მოსაზრება:** პოლიტოლოგია საკუთრივ, ვიწრო გაგებით პოლიტიკის მხოლოდ ერთ ერთ-სფეროს წარმოადგენს, მისი საგანი არ მოიცავს მთელ მის პოლიტიკურ პრობლემატიკას. პოლიტოლოგიის შესწავლა არა მხოლოდ პოლიტიკური მეცნიერების (პოლიტოლოგიის) ფარგლებში ხორციელდება, არამედ მისი “შეესება” ასევე ხდება ისეთი მნიშვნელოვანი პოლიტიკური დისციპლინების მეშვეობით, როგორებიცაა პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური ანთროპოლოგია, ასევე სხვა, შედარებით უფრო პერიფერიული პოლიტიკური მეცნიერებებით, კერძოდ: პოლიტიკური ფილოსოფიით, პოლიტიკური გეოგრაფიით, პოლიტიკური ფსიქოლოგიით და ა.შ.

ამ მიდგომის ფარგლებში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია პოლიტოლოგიასა და პოლიტიკურ სოციოლოგიას (ორი პოლიტიკური დისციპლინა) შორის თანხვედრასა და განსხვავებაზე. ამ მოსაზრების ღირსებად პოლიტიკური მეცნიერებების მიმართ დიფერენცირებული მიდგომა გვევლინება, რომელიც უზრუნველყოფს შემეცნებითი პროცესის გადრმავებას, პოლიტიკურ ობიექტთა ანალიზის სხვადასხვა მეთოდების გამოყენებაზე ორიენტირებასა და პოლიტიკური ცოდნის განსხვავებული სპეციფიკური მიმართულებების გამოყოფაზე.

ამავე დროს, ზემოაღნიშნულ პოზიციათა საფუძველიანი სისუსტე პოლიტიკური სფეროს მთლიანობის არასაკმარის გათვალისწინებაში გამოიხატება.

**მეორე მოსაზრება:** პოლიტოლოგია და პოლიტიკური სოციოლოგია იმ მეცნიერებებად მოიაზრებიან, რომელთაც ყველაზე უფრო ახლო კავშირი გააჩნიათ პოლიტიკასთან. პოლიტოლოგიისა და პოლიტიკური სოციოლოგიის ერთიანობა და მოსაზრება მათი ერთიანობის - პოლიტიკის როგორც საერთო მეცნიერების შესახებ, საშუალებას იძლევა პოლიტიკურ კვლევებში განსახიერებულ იქნეს პოლიტიკური სფეროს მთლიანობა და ამით თავი დაავადწიოთ პოლიტიკური ცნობიერების ფრაგმენტაციას. ამავე დროს, ამ შემთხვევაში ქრება პოლიტიკის მიმართ დიფერენცირებული მიდგომა და ყოველი შემთხვევისათვის არასაკმარისადაა გათვალისწინებული მრავალი პოლიტიკური დისციპლინის მრავალფეროვნება, ნაწილობრივ კი პოლიტიკის სოციოლოგიური ანალიზის სპეციფიკა. ამავე დროს, პოლიტიკური სოციოლოგიის პოლიტიკურ მეცნიერებასთან ერთიანობის შემთხვევაში ისმება კითხვა არასოციოლოგიური პოლიტიკური დისციპლინების პოლიტიკასთან დამოკიდებულების შესახებ. აქ იგულისხმება ისეთი დარგები, როგორებიცაა პოლიტიკური ფილოსოფია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტიკური ასტროლოგია და ა.შ.

ამავე დროს, არსებობს მოსაზრება, რომ ზემოაღნიშნული მინუსებისაგან თავის არიდების მიზნით რომლებიც პირველ ორ მოსაზრებასთანაა დაკავშირებული, ასევე განიხილება **პოლიტოლოგიის მეცნიერების მესამე მოსაზრებაც**. იგი პოლიტოლოგიას განიხილავს როგორც საერთო, პოლიტიკის შესახებ ინტეგრირებულ მეცნიერებას ყველა თავისი კომპონენტით, მათ შორის პოლიტიკური სოციოლოგიის, პოლიტიკური ფილოსოფიის, სახელმწიფოსა და სამართლის თეორიის, პოლიტიკური გეოგრაფიისა და სხვა პოლიტიკური დისციპლინების ჩათვლით.

დღევანდელ ეტაპზე პოლიტოლოგია ორ ძირითად – თეორიულ და გამოყენებით დონეზე ვითარდება.

პოლიტოლოგიის თეორიული ნაწილი შეისწავლის პოლიტიკის არსს, მის ბუნებას, მის მნიშვნელობას ადამიანისა და საზოგადოებისათვის, კლასებს, ერებს, სახელმწიფოებს, ასევე ადამიანებს, მოსახლეობასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთობებს. ის ავლენს და იკვლევს იმ კანონზომიერებებს, რომლებიც განაპირობებენ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას, ცალკეული პოლიტიკური მოვლენების, პროცესების მიმდინარეობას. ეს კანონზომიერებები კანონების სახით ვრცელდება. მათ შორის შესაძლოა დასახელებულ იქნეს შემდეგი კანონზომიერებანი:

- 1) სოციალური სუბიექტებში პოლიტიკური ინტერესების წარმოშობა და განვითარება, მათი ურთიერთქმედება ეკონომიკურ და სხვა სოციალურ ინტერესებთან;

- 2) პოლიტიკური მოღვაწეობის, პოლიტიკურ ურთიერთობათა და პოლიტიკური პროცესების წარმოშობა, ფუნქციონირება და განვითარება;
- 3) პოლიტიკური ძალაუფლებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება, ფუნქციონირება და განვითარება;

გამოყენებითი პოლიტოლოგია იკვლევს კერძო პოლიტიკურ პრობლემებს, აყალიბებს შესაბამის ცოდნას, რომელიც საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების ყოველდღიური პრაქტიკული ამოცანების გადაწყვეტისკენაა მიმართული. პოლიტიკური მოვლენების მონაწილეებისათვის ცოდნის საფუძველზე პრაქტიკული რჩევები და რეკომენდაციები ყალიბდება, რომლებიც განსაზღვრავენ, თუ როგორი ქმედებები უნდა იქნეს განხორციელებული კონკრეტული სიტუაციის დროს. როგორც წესი, რეკომენდაციები მიმართულია პოლიტიკური მოვლენების იმ მონაწილეებისათვის, რომლებსაც თავისი სტატუსიდან, დაკავებული თანამდებობიდან გამომდინარე გარკვეული ძალაუფლებრივი უფლებამოსილება გააჩნიათ და ისინი მოვლენათა მსვლელობაზე გარკვეულ გავლენას ახდენენ. გამოყენებითი პოლიტოლოგიის ფარგლებში არსებული რეკომენდაციები არც თუ იშვიათად მიმართულია კონკრეტული სახელისუფლებო სტრუქტურების ეფექტურობის ამაღლებაზე.

პოლიტოლოგიის საზოგადოებრივი ფუნქცია განისაზღვრება იმ ფუნქციებით, რომლებსაც იგი ინდივიდისა და საზოგადოებისათვის ასრულებს. როგორც სხვა ნებისმიერი მეცნიერება, პოლიტოლოგია შემეცნებით ფუნქციას ახორციელებს.

პოლიტოლოგიის პროგნოზირებადი ფუნქცია პოლიტიკური პროცესების პროგნოზირებას ეწევა, რომლის საფუძველს წარმოადგენს ცხოვრების სოციალურ და პოლიტიკურ სფეროებში არსებულ ტენდენციათა ობიექტური კანონზომიერების გაცნობიერება, რეალური პოლიტიკური სიტუაციის ანალიზი. აღნიშნული მიმართულებით პოლიტოლოგიას შეუძლია შემოგვთავაზოს შემდეგი:

- 1) ამა თუ იმ ქვეყნის კონკრეტულ ისტორიულ ეტაპზე პოლიტიკური მოვლენების განვითარების გრძელვადიანი პროგნოზი;
- 2) მომავალი პროცესების ალტერნატიული სცენარების წარმოდგენა, რომლებიც დაკავშირებულია მსხვილმასშტაბიანი პოლიტიკური მოქმედების არჩევით ვარიანტებთან;
- 3) მოსალოდნელი დანაკარგების გაანალიზება, თითოეულ ალტერნატიულ ვარიანტზე, უკუჩვენებითი ეფექტის ჩათვლით.

მაგრამ ყველაზე უფრო ხშირად პოლიტოლოგები ქვეყანაში და მის სხვადასხვა რეგიონებში პოლიტიკური სიტუაციის განვითარების მოკლევადიან პროგნოზებს

იძლევიან, აანალიზებენ რა ამა თუ იმ პოლიტიკური ლიდერების, პარტიების და ა.შ. პერსპექტივებსა და შესაძლებლობებს.

პოლიტოლოგიის ექსპერტული ფუნქცია პოლიტიკური მეცნიერების თვალსაზრისით ამა თუ იმ პოლიტიკური პროცესის შეფასებას ითვალისწინებს, აგრეთვე, იგი თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივ მოთხოვნილებებსა და საზოგადოებაში მიღებული პოლიტიკური და მორალური ღირებულებების განსაზღვრას.

პოლიტოლოგიის ნორმატიულ-ფასეულობითი ფუნქცია მიმართულია იქითკენ, რომ გამოიშუშავებულ იქნეს პოლიტიკური ცხოვრების გარკვეული ფასეულობები და იდეალები.

პოლიტოლოგია ასევე ასრულებს იდეოლოგიურ ფუნქციას. ამ თვალსაზრისით, იგი განიხილება საზოგადოების პოლიტიკური ცნობიერების სტრუქტურის შემადგენელ ნაწილად, როგორც მისი ფუძემდებელი თეორიული ელემენტი.

დემოკრატიულ ქვეყნებში პოლიტოლოგია პოლიტოლოგიური სოციალიზაციის ფუნქციასაც ასრულებს, რომელიც ხელს უწყობს მოქალაქეობის ფორმირებას, მოსახლეობის დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებას.

მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური ცოდნის ათვისება პოლიტოლოგიას საშუალებას აძლევს რათა მან მოტივაციურ-რეგულაციური ფუნქცია იტვირთოს, ე.ი. განახორციელოს პირდაპირი გავლენა პოლიტიკურ ქცევაზე.

პოლიტოლოგია აგრეთვე ასრულებს პოლიტიკური ცხოვრების რაციონალიზაციის ფუნქციას: რაც პოლიტიკური ინსტიტუტებისა და ურთიერთობების, პოლიტიკურ - მმართველობითი გადაწყვეტილებების, ქცევის და ა.შ. ერთობლიობას წარმოადგენს.

პოლიტოლოგიას სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავების პროცესში უშუალო პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია. პოლიტოლოგიურ კვლევებზე დაფუძნებით პოლიტიკურად მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემების კრიტერიუმების შემუშავება ხორციელდება, ამ მიზნით აუცილებელი ინფორმაცია მუშავდება, ფორმირდება მთავრობის სოციალური, ეროვნული და თავდაცვითი პოლიტიკა.

## **თავი 9. პოლიტოლოგიის მეთოდები**

პოლიტოლოგიაში კვლევის სამი ძირითადი მეთოდი გამოიყენება: თეორიული, ემპირიული და ზოგადსამეცნიერო.

თეორიული მეთოდები პოლიტიკური რეალობისა და პოლიტიკური ქცევის რთულ, აბსტრაქტულ კონსტრუქციას წარმოადგენენ. ისინი პოლიტიკის შესახებ ისეთი ცოდნის შესწავლისათვის არიან მიმართულნი, რომლებიც უშუალო დაკვირვებისათვის მიუწვდომელია. თეორიული მეთოდები ძირითადად ცნობიერების ლოგიკას წარმოადგენენ.

რიგი მეცნიერები თეორიულ მეთოდებს ყოფენ ორ ჯგუფად. მეთოდების პირველი ჯგუფი განკუთვნილია ცნობიერებისა და პოლიტიკური რეალობის ანალიტიკური კონსტრუირებისა, ხოლო მეორე – ადამიანთა პოლიტიკური ქცევის ახსნისაკენ. დაწვრილებით განვიხილოთ შემოთავაზებული კლასიფიკაცია. თეორიული მეთოდების პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან შემდეგი:

1. *სტრუქტურალიზმი*. ამ მეთოდის საფუძველში დევს იმის მტკიცება, რომ საზოგადოებასა და პოლიტიკაში არსებობენ მყარი სოციალური და პოლიტიკური წარმონაქმნები – სტრუქტურები. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ ინსტიტუტებს, ნორმებს, ჯგუფებს, თემებს. პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების გაანალიზებისას, თითოეული მათგანი როგორც რაღაც დამოუკიდებელი მთლიანობა განიხილება. კონკრეტული ადამიანების ქცევის ნორმები სტრუქტურალიზმის ფარგლებში არ განიხილება, რადგანაც ითვლება, რომ ინდივიდი თავისი მოქმედების ფარგლებში, პირველ რიგში ამა თუ იმ სტრუქტურის მოთხოვნებს ექვემდებარება.
2. *ფუნქციონალიზმი*. სტრუქტურალური მიდგომისაგან განსხვავებით, ეს მეთოდი პოლიტიკურ ინსტიტუტების, ორგანიზაციებისა და პოლიტიკური რეალობის სხვა ელემენტების შორის ურთიერთქმედების ფაქტორებზე ამახვილებს თავის ყურადღებას. ფუნქცია ამ შემთხვევაში როგორც ობიექტური მოთხოვნილება განიხილება. კლასიკური ფუნქციონალიზმის ფარგლებში, რომელიმე პოლიტიკური ინსტიტუტის გამოჩენა საზოგადოებაში განპირობებულია პოლიტიკურ სისტემაში შესაბამისი ახალი მოთხოვნის არსებობით.
3. *სისტემური ანალიზის* ფარგლებში, მეცნიერები იკვლევენ პოლიტიკური სისტემისა და გარემოს ურთიერთხემოქმედების ხარისხს, პოლიტიკური სისტემების ადაპტაციის, მისი ფუნქციონირებისა და განვითარების მექანიზმებს. პოლიტოლოგიაში სისტემურ-ფუნქციონალური ანალიზი 1950-იანი წლებიდან ყალიბდება და იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ორი წინა მეთოდის სინთეზი, რომელსაც ფართო განვითარება გააჩნდა ძირითადად პოლიტიკური მეცნიერების ჩამოყალიბების საწყის პერიოდში.
4. *ტოპოლოგიური* მეთოდი - (ბერძნულიდან topos - ადგილი). ამ მეთოდის ფარგლებში პოლიტიკა განიხილება პოლიტიკური სივრცის თუ პოლიტიკური ველის კატეგორიის ფარგლებში. შემოთავაზებულია, რომ თითოეული ადამიანი ფლობს გარკვეულ რესურსებს, კაპიტალს, რომელიც განსაზღვრავს მის

ადგილს სოციალურ და პოლიტიკურ სივრცეში. ადამიანები, რომლებიც ფლობენ რაღაც საერთო რესურსს (განათლების დონე, მატერიალური მდგომარეობა, პოლიტიკურ იერარქიაში არსებული სტატუსი და ა.შ.), პოლიტიკურ და სოციალურ სივრცეში პოზიციების დაკავების შემდეგ, ერთმანეთის მიმართ მიიღწვიან. შედეგად, საზოგადოებაში შეიქმნება ჯგუფები, რომლებიც ობიექტურად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან და რომლებსაც პოლიტიკურ სივრცეში უფრო და უფრო ხელსაყრელი პოზიციები უკავიათ. პოლიტიკურ სივრცეში დაკავებული პოზიცია თავისი ობიექტურობის ძალიდან გამომდინარე, თავის გავლენას ახდენს ადამიანის ინდივიდუალურ ქცევაზე, განსაზღვრავს მისი ცხოვრების არსს, მისწრაფებებს, პოლიტიკურ პრიორიტეტებს. ეს მეთოდი საზოგადოებაში პოლიტიკური ელიტის მდგომარეობის აღწერის პროცესში გამოიყენება, ისევე როგორც მისი გამოყენება ხდება სხვადასხვა სოციალური და პოლიტიკური ჯგუფების საქმიანობის აღწერის პროცესში. ამ მეთოდზე დაყრდნობის შედეგად, სულ უფრო ნათელი ხდება საზოგადოებაში შექმნილი კონფლიქტების წარმოქმნის სურათი, როდესაც ინდივიდებსა და ჯგუფებს შორის არსებული წინააღმდეგობა წარმოდგენილია როგორც შექმნილი ჯგუფების მისწრაფება, შეცვალონ თავიანთი მდგომარეობა პოლიტიკურ სივრცეში.

თეორიული მეთოდების მეორე ჯგუფი ორიენტირებულია პოლიტიკური ქცევის მეთოდების ახსნაზე:

1. *ბიჰევიორიზმი* – მეთოდოლოგიური მიდგომა, რომელიც ჩამოყალიბებულ იქნა ამერიკელი ფსიქოლოგის ბ. სკინერის მიერ. ამ მიდგომის საფუძვლად გვევლინება წარმოდგენა, რომ ადამიანის ქცევა, ეს გახლავთ რეაქცია სხვადასხვა გამაღიზიანებელზე, სტიმულებზე. გვიანდელ ვერსიებში ბიჰევიორისტულმა მიდგომამ უფრო რთული ფორმა შეიძინა, ადამიანის რეაქცია სტიმულებზე უკვე განიხილებოდა როგორც რთული, ცნობიერებაში შექმნილი პროცესთა პროცესი, რამაც ამავე დროს, არ შეცვალა ამ მეთოდის შინაარსი. პოლიტოლოგიაში აღნიშნული მეთოდის საშუალებით საერთო ჯამში აღწერილია ადამიანის პოლიტიკურ ქცევაში არსებული ცვლილებანი, რაც დაკავშირებულია ცხოვრების პირობების შეცვლასთან, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებასთან და ა.შ.
2. *რაციონალური არჩევანის თეორია*. ამ მეთოდოლოგიური სქემის საფუძველში ადამიანის უნივერსალური მისწრაფების შესახებ არსებული მოსაზრება გვევლინება, სადაც საუბარია იმაზე, რომ პოლიტიკოსმა მაქსიმალური ჯილდო მინიმალურ ფასად უნდა მიიღოს, ანუ მოქმედებდეს ე.წ. “სარგებლიანობის კანონი”. ამ ვითარებაში ადამიანის რაციონალობა განისაზღვრება მის შესაძლებლობებში გააკეთოს არჩევანი ქცევის

სხვადასხვა ვარიანტს შორის და უპირატესობა მიანიჭოს იმ პოზიციას, რომელიც ყველაზე უფრო მეტად პასუხობს მის ინტერესებს და აძლევს მას საშუალებას, რათა დასახულ მიზანს მიაღწიოს. ამ შემთხვევაში ადამიანი შესაბამის ურთიერთობას ამყარებს საზოგადოების სხვა წევრებთან, იმედოვნებს რა მიიღოს რაიმე ამ ურთიერთობათა სანაცვლოდ, კერძოდ: ჰქონდეს მაღალი მატერიალური ანაზღაურება, პირადი უსაფრთხოება, მოიპოვოს სიყვარული, სტატუსი და ა.შ. პოლიტოლოგიაში ეს მიდგომა ხშირად გამოიყენება ხელისუფლების დამოკიდებულების აღწერის დროს, როდესაც სხვა პიროვნებისადმი დაქვემდებარება აიხსნება როგორც ადამიანის მისწრაფება მიიღოს სანაცვლოდ რაღაც რესურსი (ემოციონალური, მატერიალური და ა.შ.). მაგალითად საარჩევნო პროცესის დროს გაკეთებული არჩევანის ახსნისას, მოსალოდნელია, რომ ადამიანი ხმას აძლევს იმ კანდიდატს, რომლის პროგრამა ყველაზე უფრო პასუხობს მის ინტერესებს და ა.შ.

3. *პიროვნების ფსიქოდინამიური თეორია.* ისევე როგორც რაციონალური არჩევანის თეორია, აღნიშნული მიდგომაც ადამიანის საქციელს შინაგანი ფაქტორებით ასაბუთებს, მაგრამ ამავე დროს, აქტიურობის დონე ამ დროს განისაზღვრება როგორც რთული, ხშირად ირაციონალური პროცესი. ფსიქოდინამიური პროცესები სხვადასხვაგვარია, მაგრამ ისინი პოლიტოლოგის შეგნებაზე ახდენენ ორიენტაციას ან ყოველ შემთხვევაში ცდილობენ გაითვალისწინონ ის რთული შინაგანი პროცესები, რომელსაც განიცდის ადამიანი, რომელიც პოლიტიკურ ურთიერთქმედებაშია ჩართული.
4. *კოგნიტიური თეორიები* ამავე დროს იმაზე ამახვილებენ საკუთარ ყურადღებას, რომლის მიხედვითაც ქცევის მიზეზები უნდა ვეძიოთ იმ მენტალურ პროცესებში, რომელთა მეშვეობითაც ადამიანი გარემომცველ გარემოს აცნობიერებს. ადამიანი მოქმედებს იმ ფაქტორების გათვალისწინებით, თუ როგორ აღიქვამს, აფასებს და ინტერპრეტაციას უწევს არსებულ სიტუაციას. პოლიტიკური ქმედებების ხასიათი და ფორმები ადრე შექმნილი ინსტრუქციების თანახმად განისაზღვრება, ასევე, მათი დამუშავება ხორციელდება აღქმის პროცესისა და ახალი ინფორმაციის გაგრძელების დროს.

რამდენიმე მეცნიერი პოლიტოლოგიის თეორიულ მეთოდებს სოციოლოგიურ, ნორმატიულ-ფასეულობით, ინსტიტუციონალურ, ანთროპოლოგიურ, ფსიქოლოგიურ, სოციალ-ფსიქოლოგიურ და სხვ. ფაქტორებს უკავშირებს. განვიხილოთ ისინი უფრო დაწვრილებით.

*სოციოლოგიური მეთოდი* პოლიტიკისა და საზოგადოების ურთიერთდამოკიდებულების განსაზღვრას გვთავაზობს, იგი ყურადღებას

ამახვილებს პოლიტიკური მოვლენების სოციალურ დატვირთვაზე, მათ შორის ეკონომიკურ ურთიერთობათა პოლიტიკურ სისტემაზე ზემოქმედების თვალსაზრისით, აგრეთვე, შეისწავლის საზოგადოების სოციალურ სტრუქტურას, იდეოლოგიას და კულტურას. სოციოლოგიურ მეთოდს პოლიტიკურ მეცნიერებაში სამართლიანად უჭირავს ერთ-ერთი ცენტრალური ადგილი, რადგან იგი ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავს პოლიტიკური სოციოლოგიის სპეციფიკას.

*კულტუროლოგიური მეთოდი* თავის მხრივ მოითხოვს ახსნილ იქნეს პოლიტიკური პროცესების დამოკიდებულება პოლიტიკურ კულტურაზე.

*ნორმატიულ-ფასეულობითი მეთოდის* მთავარ მიზანს წარმოადგენს გამოვლენილ იქნას პიროვნებისა და საზოგადოების როლი პოლიტიკურ მოვლენებში, რათა მოხდეს ამ მოვლენათა შეფასება მატერიალური კეთილდღეობის, სამართლიანობის, თავისუფლების, ადამიანური ღირსების პატივისცემის და ა.შ. თვალსაზრისით.

*ინსტიტუციონალური მეთოდი* მიზნად ისახავს იმ ინსტიტუტთა შესწავლას, რომელთა მეშვეობითაც პოლიტიკური საქმიანობა ხორციელდება, ამ ორგანიზაციების ფარგლებში მოიაზრებიან სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, სხვა გაერთიანებები და ორგანიზაციები, სამართალდამცავი სტრუქტურები, სამთავრობო პროგრამები და პოლიტიკური საქმიანობის სხვა რეგულატორები.

*ანთროპოლოგიური მეთოდი* პოლიტიკის შესწავლას მოითხოვს არა სოციალური ფაქტორების გათვალისწინების გზით, არამედ ადამიანის ბუნების ახსნის საშუალებით, ვინაიდან ადამიანს გააჩნია სხვადასხვა ტიპის მოთხოვნები (კვება, ტანსაცმელი, საცხოვრებელი, უსაფრთხოება, თავისუფალი არსებობა, სულიერი განვითარება და ა.შ.)

*ფსიქოლოგიური მეთოდი* პოლიტიკური ქცევის სუბიექტური მექანიზმების შესწავლას გულისხმობს, მათ შორის მისი მიზანია განსაზღვროს ინდივიდუალური თვისებები, პოლიტიკოსთა ხასიათის თავისებურებები, არაცნობიერებადი პოლიტიკური პროცესები და ასევე ფსიქოლოგიური მოტივაციის ტიპური მექანიზმები და ა.შ.

*სოციალ-ფსიქოლოგიური მეთოდი* მოითხოვს ინდივიდთა სოციალურ ჯგუფებში ჩართვის პროცესში ინდივიდთა შორის ქცევის დამოკიდებულების განსაზღვრას, ასევე სხვადასხვა ჯგუფების (ერების, კლასების, მცირე ჯგუფების, მასის და ა.შ.) ფსიქოლოგიური ხასიათის გამოკვლევას.



ემპირიული მეთოდების ძირითადი შემადგენელი ნაწილი გახლავთ შემდეგი: სტატისტიკის, პირველ რიგში ელექტორალური სტატისტიკის გამოყენება; დოკუმენტების ანალიზი; საანკეტო გამოკითხვა; ლაბორატორიული ექსპერიმენტები; დაკვირვება, რომელიც მკვლევარის მიერ ხორციელდება და რომელიც როგორც რეალური პოლიტიკური მოვლენების უშუალო მონაწილედ გვევლინება; ასევე მნიშვნელოვანია იმ ადამიანთა ქცევაზე დაკვირვება, რომლებიც ექსპერიმენტალური სიტუაციის პირობებში იმყოფებიან და ა.შ.

პოლიტოლოგები ესწრაფვიან მიიღონ ინფორმაცია მოსახლეობის ელექტორალური არჩევანის შესახებ, ისინი ცდილობენ პოლიტიკური ლიდერების რეალური განზრახვების გაანალიზებას, ასევე შეისწავლიან სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების ფასეულობით ორიენტაციას და პოლიტიკურ მიდგომებს, მასების დამოკიდებულებას სახელმწიფოს მმართველი ორგანოების გადაწყვეტილებებზე და მათ რეაქციას პოლიტიკური პროპაგანდის მიმართ. ასეთი ტიპის ინფორმაციის მისაღებად პოლიტოლოგები შემდეგ ემპირიულ მეთოდებს იყენებენ.

1. *დაკვირვება* – ეს გახლავთ პირველადი ემპირიული მონაცემების შეგროვების მეთოდი, რომელიც წინასწარი, მიზანმიმართული, სისტემატიური, უშუალო აღქმისა და პოლიტიკური ფაქტების რეგისტრაციაში გამოიხატება. ერთ შემთხვევაში დაკვირვების პროცესში მოვლენები და ფაქტები გარედანაა დანახული, ხოლო მეორე შემთხვევაში ე.წ. “ჩართვადი” მეთოდის მეშვეობით, ანუ დაკვირვება ამა თუ იმ მოვლენისა თუ ორგანიზაციის საქმიანობის და ა.შ. ფარგლებში უშუალო მონაწილეობას გვთავაზობს. დამკვირვებელი ხდება მიტინგის, დემონსტრაციის და ა.შ. მონაწილე, აკვირდება პოლიტიკური პარტიის საქმიანობას, დამყარებული აქვს ურთიერთობა პოლიტიკური პარტიისა თუ მოძრაობის ხელმძღვანელ ორგანოსთან და ა.შ.
2. *გამოკითხვა* - ეს გახლავთ მკვლევარის მხრიდან ადამიანთა გარკვეული ერთობისადმი, ჯგუფისადმი, რესპოდენტებისათვის ზეპირი ან წერილობითი სახით კითხვით მიმართვა. გამოკითხვის შინაარსი თავის მხრივ უკვე შესწავლილ ან ჯერ კიდევ შესასწავლ პრობლემას მოიცავს. პოლიტოლოგიაში საზოგადოების გამოკითხვა პრობლემათა ყველაზე ფართო სპექტრის შესწავლის მიზნით ტარდება.

ამ მეთოდის განვითარებამ თანამედროვე პოლიტიკური მეცნიერების ხასიათზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა, იგი თანამედროვე პერიოდში წარმოდგენილია არა მარტო როგორც თეორიული დისციპლინის სახით, რომელიც ხსნის პოლიტიკური ცხოვრების საერთო ტენდენციებს, არამედ იგი წარმოგვიდგება იმ მეცნიერების სახით, რომელსაც შეუძლია გადმოქცევს პოლიტიკური განწყობილების,

მოლოდინების შესახებ არსებული პრაქტიკული ცოდნა. გამოკითხვის მეთოდი დაკვირვებისაგან განსხვავებით (სწორად შერჩეული სამეცნიერო მეთოდის დროს) შესაძლებლობას იძლევა გავიგოთ იმ პროცესების შესახებ, რომლებიც პიროვნების პოლიტიკურ ცნობიერებაში მიმდინარეობს. მაგ: რაზე ფიქრობს ადამიანი, სახელმწიფოს რომელი ტიპი მიაჩნია ყველაზე უფრო მისაღებად, რომელ ლიდერებს ანიჭებს უპირატესობას და ა.შ.

კიდევ ერთი მეთოდი - *კონტენტ-ანალიზი* განსაზღვრული დოკუმენტების (კონსტიტუცია, კანონმდებლობა, პარტიული პროგრამები, ინსტრუქციები, პოლიტიკური ლიდერების გამოსვლები პრესაში ან ელექტრონულ მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში) მიზანმიმართულ შესწავლას გვთავაზობს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონტენტ-ანალიზი პოლიტოლოგიაში – ეს გახლავთ ნებისმიერი სახის ინფორმაციის რაოდენობრივი ანალიზი. თანამედროვე პერიოდში მისი გამოყენება კომპიუტერული ტექნოლოგიების ფართო გამოყენებასთანაა დაკავშირებული. ამ მეთოდის უპირატესობა ობიექტურ ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამა თუ იმ პოლიტიკური მოვლენის შესახებ ფაქტოგრაფიული მონაცემების ოპერატიულ მიღებაში გამოიხატება.

კონტენტ-ანალიზი საშუალებას გვაძლევს გავიგოთ, თუ როგორი სახის ინფორმაცია არსებობს, განასახიერებს თუ არა ესა თუ ის დოკუმენტი საზოგადოებრივი განწყობის რეალურ მდგომარეობას, მასების მოთხოვნილებებსა და ინტერესებს. კონტენტ-ანალიზი განსაკუთრებით სასარგებლოა იმ შემთხვევებში, როდესაც არ არსებობს საანკეტო გამოკითხვის წარმოების საშუალება, მაგრამ ამავე დროს, უკიდურესად მნიშვნელოვანია ინფორმაციის მიღება ამა თუ იმ ორგანიზაციის, სახელმწიფო დაწესებულების, პოლიტიკური ლიდერის პრიორიტეტული მიზნების განსაზღვრის და ა.შ. შესახებ.

კონტენტ-ანალიზთან მეტად ახლოსაა *ფაქტობრივი ანალიზის* მეთოდი, რომელიც მრავალ ემპირიულ მონაცემებს ძირითად მოვლენებთან აკავშირებს. აღნიშნული მეთოდოლოგიური მეთოდი საშუალებას იძლევა შექმნილ იქნეს კოგნიტიური რუკები, რომლებიც ამა თუ იმ პოლიტიკური ქცევის ყველაზე უფრო ტიპურ გამოვლინებებს ავიქსირებენ.

პოლიტოლოგიაში *ემპირიული მეთოდები* თეორიულ მეთოდებთან მიმართებაში დაქვემდებარებულ როლს თამაშობენ, რომლებიც ნებისმიერი პოლიტიკური კვლევის საერთო მიმართულებას განსაზღვრავენ. ისინი ესწრაფვიან არა იმდენად ფაქტების გამოვლენას, რამდენადაც მათ ახსნას, აგრეთვე, ფაქტებს შორის დამოკიდებულების ძიებას, განვითარების ტენდენციათა გამოვლენას.

*ზოგადსამეცნიერო (ლოგიკური) მეთოდები.* საერთო სამეცნიერო ცოდნის განვითარებისას და პირველ რიგში ფილოსოფიური ტრადიციების ჩარჩოებში, შექმნილ იქნა შემეცნებისა და ობიექტური რეალობის ახსნის ყველა მეცნიერებისათვის მისაღები საერთო მეთოდები. ლოგიკური მეთოდები თავის მხრივ უნივერსალურ წესებს წარმოადგენენ, რომლებიც რაციონალური დასკვნების მისაღწევად შესაბამის პროცედურებს აყალიბებენ. მათ მიეკუთვნებიან შემდეგი მეთოდები:

*მონაცემთა კლასიფიკაცია* საშუალებას იძლევა მიღწეულ იქნეს შეთანხმებები მეცნიერების ძირითადი კატეგორიების და მათი რიგითობის განსაზღვრების შესაბამისად.

*შედარება* ერთ რიგში მდგომი პროცესების, მოვლენების ერთმანეთთან დამოკიდებულების განსაზღვრას უზრუნველყოფს. ეს მეთოდი შედარებითი პოლიტოლოგიის საფუძველში წარმოდგენილი და პოლიტიკური ფენომენების შედარებაზე კლასიფიცირდება. აღნიშნული მეთოდი სხვადასხვა ქვეყნებსა და რეგიონებში ვითარდება.

*ანალიზი და სინტეზი* - მეთოდი, რომელიც საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს შინაგანი კომპოზიცია, რთული პოლიტიკური წარმონაქმნების წყობა.

*ინდუქცია და დედუქცია* – მეთოდები, რომლებიც განსაზღვრავენ აზრობრივი ოპერაციების ლოგიკასა და თანმიმდევრობას პოლიტიკური მოვლენებისა და ფაქტების შეფასების პროცესში კერძოდან საერთოზე (ინდუქცია) და პირიქით (დედუქცია) გადასვლის დროს.

*მოდელირება* - მეთოდი, რომელიც აბსტრაქტული მოდელების აგებას გვთავაზობს, რომელიც ხსნის პოლიტიკური ობიექტის როგორც შინაგან წყობილებას, ასევე მის ელემენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებას. მოდელირების ერთ-ერთი მიზანია პოლიტიკური ანალიზის პროცესში კომპიუტერული ტექნიკის დანერგვა, რაც საშუალებას იძლევა განხორციელებულ იქნეს სხვადასხვა იმ ფაქტების წარმოდგენა, რომლებიც პოლიტიკურ პროცესზე ზემოქმედებენ.

*ისტორიული ანალიზი* საშუალებას იძლევა განხილულ იქნეს პოლიტიკური მოვლენების რეტროსპექტივა, განსაზღვრულ იქნეს მომხდარი ცვლილებების ხასიათი.

*ლოგიკური მეთოდები* პოლიტიკის შემეცნების აღქმის პროცესს არეგულირებენ. მაგრამ პოლიტოლოგიის ჩარჩოებში, ისინი ისევე როგორც ემპირიული მეთოდები, თეორიულ მეთოდებთან მიმართებაში დაქვემდებარებულ როლს თამაშობენ.

მაგალითად, შედარებითი ანალიზი გვთავაზობს პირველად აბსტრაქტულ კონსტრუირებას, კატეგორიული ასპექტების გამომუშავებას, რომელიც მხოლოდ განსაზღვრული თეორიული მეთოდით მიიღწევა. არ შეიძლება შედარებულ იქნეს სხვადასხვა საზოგადოებათა პოლიტიკური კულტურები, თუ ამავე დროს არ იცი, რა დგას ამ განსაზღვრების (პოლიტიკური კულტურა) უკან.

ამგვარად, წამყვანად ითვლება ის თეორიული მეთოდები, რომლებიც პოლიტიკური კვლევების საერთო მიმართულებას წარმოგვიდგენენ და გავლენას ახდენენ ფაქტების არჩევანზე, ემპირიული მეთოდის გამოკვლევაზე და ლოგიკური განზოგადების საფუძველში გვევლინებიან.

### **თავი 10. პოლიტოლოგია სოციალურ-ჰუმანიტარული მოძღვრებათა სისტემაში**

ერთიან მეცნიერებად ჩამოყალიბების მიუხედავად, თავისი არსით, შინაგანად პოლიტოლოგია დიფერენცირებულია და თავისი სტრუქტურის ფარგლებში სხვადასხვა კერძო დისციპლინას მოიცავს, რომლებიც პოლიტიკის ცალკეულ ასპექტებს, პოლიტიკის მხარეებსა და მის საზოგადოებასთან ურთიერთდამოკიდებულებას განიხილავს.

პოლიტიკა, როგორც სამეცნიერო ანალიზის ობიექტი, საკუთარი პოლიტიკური ცოდნის პარალელურად, საზოგადოებათმცოდნეობის დაახლოებით რვა ტიპის ფარგლებში შეისწავლება, კერძოდ, აუცილებელია განვიხილო იქნეს: ფილოსოფიური, სოციოლოგიური, ფსიქოლოგიური, ანთროპოლოგიური, იურიდიული, ისტორიული, კულტუროლოგიური და ეკონომიკური ფაქტორები.

განვიხილოთ პოლიტიკის, როგორც ერთიანი დისციპლინის საგნობრივი დამოკიდებულება პოლიტიკის სხვადასხვა ასპექტის შესწავლის პროცესში არსებულ სხვა კერძო პოლიტოლოგიურ დისციპლინებთან.

ფილოსოფია პოლიტიკას როგორც მსოფლიო განვითარებისა და მსოფლიო ცივილიზაციის ფენომენს შეისწავლის. სოციოლოგიის ინტერესების სფეროდ სოციალური გარემოს პოლიტიკურ სფეროზე ზემოქმედება, მაგალითად, საკუთრების ქვესისტემების ურთიერთქმედება სულიერ კულტურასთან და სახელისუფლებო ურთიერთობების სფეროსთან მიმართებაში განიხილება. იურისპრუდენცია იკვლევს სამართლებრივ და სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ნორმებს შორის არსებულ შეხების სფეროებს. ისტორიას აინტერესებს პოლიტიკური ინსტიტუტებისა და იდეების განვითარების ფარგლებში არსებული ფაქტების ქრონოლოგიური შეგროვებისა და აღწერის საკითხები. ეკონომიკა იკვლევს წარმოებით ურთიერთობებს და ეკონომიკურ მექანიზმებს, როგორც ხალხთა პოლიტიკური საქმიანობის მატერიალურ საფუძველს. ფსიქოლოგია შეისწავლის ადამიანთა ქცევის ფსიქოლოგიურ მექანიზმებსა და სტერეოტიპებს, მაშინ როდესაც ანთროპოლოგია (ან

ეთნოგრაფია) და კულტუროლოგია ინტერესდება შესაბამისად სახელისუფლებო ურთიერთობების გენეზისით და პოლიტიკური ტრადიციებით, ფასეულობებითა და ნორმებით. ამგვარად, დღევანდელ დღეს დაახლოებით ათამდე სოციალური და ჰუმანიტარული მეცნიერება არსებობს, რომლებიც სხვადასხვა კუთხიდან შეისწავლიან პოლიტიკის ობიექტებსა და ფენომენს.

პოლიტიკის შესწავლასთან დაკავშირებული ყველა მეცნიერება ორ ძირითად ჯგუფად იყოფა: დისციპლინები, რომლებიც შეისწავლიან უშუალოდ პოლიტიკას, და მეცნიერებები, რომლებიც პოლიტიკის ურთიერთობას დანარჩენ მეცნიერებებთან შეისწავლიან. პირველებს მიეკუთვნებიან პოლიტიკური ფილოსოფია (იმ ფარგლებში, რომელშიც იგი პოლიტიკის ბუნებასა და მის საერთო კანონებს შეისწავლის), მოძღვრებას პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ, საერთაშორისო პოლიტიკის თეორიას, პოლიტიკის ისტორიას, ხოლო მეორე ჯგუფს პოლიტიკური სოციოლოგია, პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური გეოგრაფია და ა.შ. მიეკუთვნებიან.

*პოლიტიკური ფილოსოფია* – ეს გახლავთ ცოდნის მიმართულება, რომელიც შეისწავლის პოლიტიკას როგორც ერთიან ორგანიზმს, მის ბუნებას, მნიშვნელობას ადამიანისათვის, ურთიერთქმედებას პიროვნებას, საზოგადოებასა და სახელმწიფო ხელისუფლებას შორის, რომელიც გამოიმუშავებს პოლიტიკური მოწყობის იდეალებსა და ნორმატიულ პრინციპებს, ასევე პოლიტიკის შეფასების საერთო კრიტერიუმებს.

პოლიტიკური ფილოსოფია პოლიტიკური ხასიათის კვლევების საერთო მეთოდოლოგიურ ბაზად გვევლინება, იგი განსაზღვრავს სხვადასხვა კონცეფციათა აზრს, ააშკარავებს ადამიანის, საზოგადოებასა და ხელისუფლებას შორის ურთიერთქმედების უნივერსალურ პრინციპებსა და კანონებს, მათ მორალურ კრიტერიუმებს და სამოტივაციო საფუძველს, განსაზღვრავს სახელმწიფო ხელისუფლების მოქმედების საზღვრებსა და პრინციპებს და ა.შ.

*პოლიტიკის თეორია* უფრო კონკრეტულად იკვლევს ინდივიდსა და საზოგადოებას შორის ურთიერთქმედების პოლიტიკურ ნაწილს. თავის მხრივ, პოლიტიკის თეორია გამოყოფილია სახელმწიფოსა და სამართლის თეორიებისაგან და თავის მხრივ რიგ იურიდიულ დისციპლინებთან უფრო ახლოს მდგომ მიმართულებად განიხილება. ამ დისციპლინებიდან შესაძლებელია გამოიყოს: სახელმწიფოსა და სამართლის თეორია, საკონსტიტუციო სამართალი, საერთაშორისო საჯარო სამართალი და ა.შ. ამ პრობლემატიკის ფარგლებში პოლიტიკის თეორია იკვლევს სახელმწიფოსა და სამართლის წარმოშობის ძირითად მიზეზებს, მათ პრინციპებს, და ა.შ. ამ პრობლემის გადაწყვეტის ფარგლებში ხდება იურიდიულ მეცნიერებათა და პოლიტოლოგიის კვლევის საგანთან დაკავშირებული ძირითადი საკითხების ერთმანეთთან გადაკვეთა. ამავე დროს, პოლიტოლოგია სახელმწიფოებრივ-სამართლებრივი ურთიერთობების

საკითხს იურიდიულ მეცნიერებებთან შედარებით უფრო ახლოს უახლოვდება. იგი სახელმწიფო-სამართლებრივ მოვლენებს პირველ რიგში როგორც სოციალურ მოვლენებს, პოლიტიკურ ინსტიტუტებს, საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის ფორმებს განიხილავს, რომელთა მთავარი მიზანია სოციალურ ინტერესთა რეალიზაცია. პოლიტიკის თეორიის ერთ-ერთი ცენტრალური პრობლემა – ეს გახლავთ პოლიტიკური ძალაუფლების, მისი არსებობის, თავისებურებების, რესურსების, საფუძვლების, ლეგიტიმაციის და ა.შ. პრობლემები. ამის პარალელურად, პოლიტიკის თეორია განიხილავს პოლიტიკურ სისტემას, სახელმწიფოს ინსტიტუტებს, პოლიტიკურ რეჟიმებს, პოლიტიკის სუბიექტებს და ა.შ.

პოლიტიკის თეორიის შექმნაში განსაკუთრებულ როლს შედარებითი პოლიტოლოგია თამაშობს. შედარებითი პოლიტოლოგიის ფარგლებში ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნისა და რეგიონის პოლიტიკურ კულტურათა კვლევა, პოლიტიკური სისტემების, ორგანიზაციების, პოლიტიკური ანთროპოლოგიისა და ფსიქოლოგიის დეტალური ანალიზი.

*პოლიტიკური ინსტიტუტების* შესახებ არსებული სწავლება პირველ რიგში საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის თეორიებით, სახელმწიფოსა და სამართლის, პოლიტიკური პარტიებისა და სხვა ინსტიტუტებითაა წარმოდგენილი. ამ სწავლების ფარგლებში სახეზეა მრავალი შედარებით დამოუკიდებელი დისციპლინის არსებობა. ასე მაგალითად, სახელმწიფოსა და სამართლის მოძღვრება - სახელმწიფოს საერთო თეორიის პარალელურად, შეიცავს იურიდიულ დისციპლინათა მთელ კომპლექსს. პოლიტიკურ ინსტიტუტებს, რომლებიც ტრადიციულად პოლიტიკური კვლევების საფუძველში მოიაზრებიან, პოლიტიკის სფეროში დღესაც ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავიათ.

*საერთაშორისო პოლიტიკის თეორია* – ეს გახლავთ პოლიტიკური კვლევების სფერო, რომლის საგანსაც საერთაშორისო ორგანიზაციები და გაერთიანებები (გაერო, ნატო, ეუთო, ევროკავშირი და ა.შ.), სახელმწიფოთა, პარტიებისა და მოძრაობების საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა წარმოადგენს. ის მოიცავს ასევე ომისა და მშვიდობის პრობლემებს, საერთაშორისო კონფლიქტების აღკვეთისა და დარეგულირების საკითხებს, ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირების თავისებურებებს.

*პოლიტიკური ისტორია* პოლიტიკურ თეორიებს, შეხედულებებს, ინსტიტუტებსა და მოვლენებს მათი ქრონოლოგიური მიმდევრობის შესაბამისად და მათ შორის ურთიერთკავშირს შეისწავლის. მთელი კაცობრიობის ისტორია გარკვეული თვალსაზრისით – ეს გახლავთ პოლიტიკის წარსული. ისტორიის ცოდნის გარეშე შეუძლებელია იწინასწარმეტყველო მომავალი. ამიტომაც, ნებისმიერი მნიშვნელოვანი

პოლიტიკური კვლევები ასე თუ ისე პოლიტიკური ისტორიისაკენ ორიენტაციას გვთავაზობს.

*“მოსაზღვრე” პოლიტიკური დისციპლინები* თავის მხრივ იმ მეცნიერებებს მოიცავენ, რომელთაც შუალედური მდგომარეობა გააჩნიათ პოლიტოლოგიასა და სხვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს შორის. მათ შორის უმნიშვნელოვანესად ითვლება პოლიტიკური სოციოლოგია – მეცნიერება პოლიტიკასა და საზოგადოებას, სოციალურ წყობილებასა და პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და პროცესებს შორის ურთიერთობათა შესახებ.

*პოლიტიკური სოციოლოგია* იყენებს როგორც მაკროსოციოლოგიურ მიდგომებს, რომელიც ხელისუფლების სოციალური საფუძვლების გარკვევას გვთავაზობს, ასევე იგი იკვლევს სხვადასხვა სოციალურ ჯგუფს შორის პოლიტიკურ პროცესებზე კონფლიქტების გავლენას და ა.შ. ასევე მიკროსოციოლოგიურ მეთოდს, რომლის არსიც კონკრეტული პოლიტიკური ინსტიტუტების - როგორც სოციალური ორგანიზაციების განხილვას გვთავაზობს.

კონკრეტული ემპირიული პოლიტიკურ - სოციოლოგიური გამოკვლევები თავის მხრივ, გამოყენებითი პოლიტოლოგიის საფუძვლად გვევლინებიან.

*გამოყენებითი პოლიტოლოგიას* უშუალო პრაქტიკული მიმართულება გააჩნია და იგი იკვლევს სახელმწიფოს, პოლიტიკური პარტიების, სოციალურ ჯგუფებსა და ინდივიდების ცხოვრებაში არსებულ კონკრეტულ მოვლენებსა და სიტუაციებს. გამოყენებითი პოლიტოლოგია პრაქტიკულ რჩევებსა და რეკომენდაციებს გამოიმუშავებს, იგი პოლიტიკური პროცესების კონკრეტულ მონაწილეებს მოკლევადიან პროგნოზებს სთავაზობს, რომელთა გამოყენება ამ თუ იმ პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ხორციელდება.

*პოლიტიკური ფსიქოლოგია* პოლიტიკოსთა ქცევების სუბიექტივისტურ მექანიზმებს შეისწავლის, მისი მიზანია აგრეთვე სხვადასხვა ქმედებებზე ცნობიერისა და ქვეცნობიერის გავლენის დადგენა, ადამიანის ემოციების და ნების, მისი მრწამსისა და ფასეულობითი ორიენტაციების და ა.შ. განსაზღვრა. აღნიშნული დისციპლინა ადამიანთა საქციელს როგორც ინდივიდისა და გარემოს ურთიერთქმედების პროცესსა და შედეგს განიხილავს, რომლის დროსაც პიროვნების საქციელი გარეგანი ზემოქმედების ფაქტორებით განისაზღვრება. ზემოაღნიშნული ფაქტორები ფსიქოლოგიური ანალიზის უშუალო საგანს წარმოადგენს.

პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური გამოკვლევები განსაკუთრებით ფართოდ ელექტორალური და სხვა პოლიტიკური ქცევის შესწავლის პროცესში, აგრეთვე პოლიტიკური ლიდერობის, პოლიტიკური სოციალიზაციის, პოლიტიკური კონფლიქტისა და თანამშრომლობის კონტექსტში გამოიყენება. ამ მეცნიერების

შედარებით დამოუკიდებელ მიმართულებებად პოლიტიკური ფსიქონალიზი განიხილება, რომელიც ზ. ფრეიდის, ბ. ბულიტის, გ. ლასეულას, ე. ფრომის ნაშრომებშია წარმოდგენილი.

*პოლიტიკური ანთროპოლოგია* პოლიტიკის დამოკიდებულებას ადამიანის პიროვნულ თვისებებთან მიმართებაში შეისწავლის, სადაც თავის მხრივ მოიაზრება ბიოლოგიური, ინტელექტუალური, სოციალური, კულტურული, რელიგიური და სხვ. ფაქტორები, ასევე, არსებული პოლიტიკური წყობილების გავლენა პიროვნებაზე. ეს მეცნიერება დიდ ყურადღებას უთმობს პოლიტიკის ელემენტების გამოკვლევას პიროვნების ეთნიკური წარმოშობის კონტექსტში.

*პოლიტიკური გეოგრაფია* იკვლევს პოლიტიკური პროცესების ურთიერთკავშირს მათ გეოგრაფიულ და სივრცობრივ მდგომარეობასთან (მაგალითად, ზღვისა და ოკეანის, რელიეფის, ჰავის გავლენა ერის ცნობიერებაზე, კონკრეტული სახელმწიფოს ფიზიკურ-გეოგრაფიული და ეკონომიკურ-გეოგრაფიული მახასიათებლები და ა.შ.).

*პოლიტიკური ასტროლოგია* კოსმოსის, მზის აქტივობის, მთვარის ფაზების და ა.შ. პოლიტიკურ მოვლენებსა და პოლიტიკურ ქცევასთან მიმართებაში გავლენის გამოკვლევითაა დაკავებული. მიუხედავად იმისა, რომ ამ დისციპლინაში არსებულ დასკვნებს ჰიპოთეტური და მეტად საეჭვო ხასიათიც კი გააჩნიათ, მისი ცალკეული ასპექტები, მაგალითად მზის აქტივობის გავლენა მასობრივ პოლიტიკურ ქცევაზე, პოლიტიკური აქტიურობა - განსაკუთრებით კი კრიზისული ვითარების შესწავლის პროცესში ყურადღებით შესწავლას იმსახურებს.

პოლიტოლოგიის დისციპლინათშორისი ხასიათის ახსნის პროცესში, წარმოდგენილ იქნა პოლიტიკური მეცნიერების სხვა მონათესავე ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებებთან კავშირი, მათ შორის: ფილოსოფიასთან, ისტორიასთან, სოციოლოგიასთან, ფსიქოლოგიასთან ურთიერთქმედებისა და ურთიერთზემოქმედების ხასიათი.

საბოლოო ჯამში, ჩამოთვლილი იქნა თეორიული მეთოდების ის ნაწილი, რომლებიც პოლიტოლოგიაში გამოიყენება. მათი მრავალფეროვნების მიზეზი გახლავთ პოლიტიკის სირთულე და მისი წინააღმდეგობრივი ხასიათი.



## ნაწილი 2

### პოლიტიკური აზრის ისტორია

#### თავი 11. ანტიკური პერიოდის პოლიტიკურ-სამართლებრივი კონცეფციები

ანტიკურ პერიოდში პოლიტიკური ცოდნა ფილოსოფიურ-ეთიკური ნორმების ფარგლებში არსებობდა. ძველი ბერძენი მოაზროვნეების მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური ხასიათის კონცეფციები მათი კოსმოცენტრიული წარმოდგენების ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ მოსაზრებების ფარგლებში მათი კოსმოცენტრიული თეორიებია დამუშავებული, რომლებშიც გაბატონებულია იდეა სამყაროს მთლიანობის, ბუნებრივი ურთიერთდამოკიდებულების, საზოგადოებასა და ადამიანს შორის ურთიერთობების შესახებ. მათში ჯერ კიდევ არ შეიმჩნევა დიფერენციაცია საზოგადოებასა და პოლიტიკას შორის და პოლიტიკა სოციუმის მთლიანობის მთავარ მახასიათებლად გვევლინება. ანტიკური პერიოდის პირველ მოაზროვნეთა შორის პოლიტიკური კონცეფციის გაანალიზების რეალურ საფუძვლად გვევლინება პოლისი (ქალაქი-სახელმწიფო), რომელშიც არ არსებობს მკაფიო განსხვავება სახელმწიფოსა და საზოგადოებას შორის. პოლისის თითოეული მოქალაქე წარმოდგენილია ერთდროულად როგორც კერძო პირი, რომელიც ქალაქის თემში შედიოდა, ასევე როგორც სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების სუბიექტი, რომელიც მართვის პროცესში მონაწილეობს. როგორც წიგნის პირველი ნაწილის სხვადასხვა თავში უკვე აღინიშნა, სიტყვა “პოლიტიკა” სიტყვასიტყვით “პოლისის მართვაში მონაწილეობას” (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. გვ. 6) ნიშნავდა.

ანტიკური მოაზროვნეების მიერ პოლიტიკასთან დაკავშირებული გარკვეული იდეები ძირითადად ჩვენს წელთაღრიცხვამდე V-IV საუკუნეებში იყო წარმოდგენილი.

ძველი ბერძენი ფილოსოფოსი დემოკრიტე, პოლიტიკას როგორც ხელოვნების უმაღლეს ფორმას ისე აფასებდა (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 55). მაგრამ, ესა თუ ის წარმოდგენები პოლიტიკის შესახებ პირველად სოფისტების მიერ იქნა ფორმულირებული, კერძოდ, პითაგორეს, პროდიკუსის, არაზიმაქეს და ა.შ. მიერ.

სოფისტებმა პირველად ღიად განაცხადეს, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება, პოლიტიკის სამყარო - ადამიანის ნახელავს წარმოადგენს. მათი აზრით, “ადამიანი არის ყველა საგნის საზომი” (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 55). სოფისტები თავიანთ ყურადღებას სამართლებრივი ნორმების პირობითობასა და სახელმწიფოს მიერ დადგენილ წესებზე ამახვილებდნენ.

სოფისტების პოლიტიკური იდეების კრიტიკით გამოვიდა ანტიკური სამყაროს უდიდესი წარმომადგენელი პლატონი (427-397 წწ. ჩვ-ად-მდე). სოფისტების მოძღვრება

პლატონს არასწორად და საზოგადოებისათვის მავნედ მიაჩნდა, ვინაიდან სოფისტები მისი აზრით, ხალხს სახელმწიფო ხელისუფლების დაუმორჩილებსაკენ მიდრეკილებას უჩენდნენ. სოფისტების საწინააღმდეგოდ, პლატონი ესწრაფვოდა დაემკვიდრებინა სახელმწიფოს მიერ დაწესებული სამართლებრივი და მორალური ნორმები. “მე ვხედავ ახლო სიკვდილს იმ სახელმწიფოსი, სადაც კანონს არ გააჩნია ძალა და იგი ვიღაცის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება. იქ სადაც კანონი ბატონობს მმართველებზე და სადაც ისინი მისი მონები არიან, მე ვხედავ სახელმწიფოს გადარჩენას და ყველანაირ კეთილდღეობას, რომელიც სახელმწიფოს შეუძლიათ ღმერთებმა აჩუქონ”, წერს პლატონი თავის ცნობილ ნაწარმოებში “კანონები” (Bobonich, Christopher 2011.16). დიალოგში “სახელმწიფო” პლატონმა, ერთ-ერთმა პირველმა დაახასიათა პოლიტიკური მოწყობის ფორმები. ტიმოკრატია, ოლიგარქია და დემოკრატია. ამ უკანასკნელს ცნობილი ფილოსოფოსი პოლიტიკის მთავარ უბედურებას უწოდებდა.

ტიმოკრატია – პატივმოყვარეთა ძალაუფლება. პატივმოყვარეობას თავის მხრივ მოაქვს სწრაფვა გამდიდრებისაკენ. შედეგად, ტიმოკრატია გადაიქცევა ოლიგარქიად – რამდენიმე მდიდარი ადამიანის ბატონობა. საზოგადოებრივი წყობილების ამ ფორმის არსებობის დროს სახელმწიფო და საზოგადოება ორ ნაწილად იყოფა: პირველი – მდიდრები, მეორე-ღარიბები. მათ შორის იმართება ბრძოლა, ხოლო ეს ბრძოლა სრულდება დემოკრატიის დამყარებით – უმრავლესობის ბატონობა. დემოკრატიულ სახელმწიფოში, პლატონის აზრით, ხორციელდება დემოსის, მასის, ბრბოს ძალაუფლება. დემოკრატიული სახელმწიფო “ზღვარს ზემოთაა თავისუფლებით დამთვრალი (Plato. Pp. 543-550). გონიერი მმართველის გარეშე, თავისუფლებას მივყავართ ანარქიისაკენ, ქაოსისაკენ სახელმწიფო საქმეებში. საზოგადოებრივი არეულობის პირობებში, ძალაუფლებას რომელიმე ძლიერი გვარი მოიპოვებს, ხოლო მათ შორის ყველაზე მოქნილი და დაუნდობელი ხდება ტირანი. ასე, დემოკრატია გადაიქცევა ტირანიად – სახელმწიფო წყობილების უარეს ფორმად.

სახელმწიფოს არასრულყოფილ ფორმებს პლატონი იდეალურ სახელმწიფოს უპირისპირებს – “არჩეულ ბრძენთა სამართლიანი მმართველობა” (Plato. 1995. Pp. 543-550).

პლატონის თანახმად, ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეთ ფილოსოფოსებს, რადგან ნამდვილი ცოდნა და კეთილშობილება მხოლოდ ამ კეთილი ადამიანებისათვისაა მიღწევადი. ამიტომაც, ფილოსოფოს-მმართველთა ძალაუფლება მხოლოდ ამ “იშვიათი ადამიანებისათვის” უნდა იყოს ხელმისაწვდომი. ფილოსოფოს-მმართველთა ძალაუფლება უნდა იყოს აბსოლუტური და უპირობო. პლატონთან, პოლიტიკური იდეალის ფარგლებში - პიროვნება, საზოგადოება და სახელმწიფო - პოლისში განსახიერდება. დარწმუნებული იმაში, რომ რიგითი ინდივიდისათვის ნამდვილი

ცოდნა არ არის დამახასიათებელი, პლატონი ცდილობდა ამ ინდივიდთა სახელმწიფოსადმი დაქვემდებარებას. მას ფენების მკაცრი იერარქია შემოაქვს: ფილოსოფოსები-მმართველები (უმაღლესი კლასი), მცველები და მეომრები და საბოლოოდ, ხელოსნები და მიწათმოქმედები, რომლებიც ფიზიკურ შრომას ეწევიან. მისი აზრით, ასევე უნდა არსებობდეს მკაცრად კონტროლირებადი საგანმანათლებლო და აღმზრდელობითი სისტემა. ამავე დროს, სახელმწიფოს ქვეშევრდომებს არაფერი საკუთარი არ გააჩნიათ: არც ოჯახი, არც საკუთრება-ყველაფერი საერთოა.

პლატონის აზრით, უმაღლესი კლასები ასევე არ უნდა სარგებლობდნენ სახელმწიფოს მიერ მონიჭებული კეთილდღეობებით. ჩვენ უნდა შევქმნათ არა ისეთი სახელმწიფო, აგრძელებდა პლატონი, “რომ მასში მხოლოდ ვიღაცა იყოს ბედნიერი, არამედ ქვეყანა ყველასათვის ბედნიერების მომტანი უნდა ყოფილიყოს” (Plato. 1995. Pp. 471-502). პლატონის პოლიტიკურ მოძღვრებაში, შესაძლებელია ტოტალიტარიზმის ნიშნების დანახვაც. ბერძენი ფილოსოფოსის ტოტალიტარული ტენდენციების შესახებ წერდნენ ისეთი გამოჩენილი თანამედროვე ფილოსოფოსები, როგორებიც იყვნენ ბ. რასელი, კ. პოპერი და ა.შ. მაგრამ ამ ნაკლოვანების გვერდით არ შეიძლება არ შევამჩნიოთ მოქალაქეობის, მაღალი მორალური სულის შესახებ გამოთქმული ბრძნული მოსაზრებები.

პლატონთან პოლემიკაში ფორმულირებულ იქნა არისტოტელეს (384-322 წწ. ჩვ.-აღმდეგ) პოლიტიკური მსოფლმხედველობაც. თავისი იდეები არისტოტელემ ჩამოაყალიბა ტრაქტატებში “პოლიტიკა”, “ნიკომაქეს ეთიკა”, “ათენური პოლიტია”.

არისტოტელეს სახელთან დაკავშირებულია პოლიტიკური მეცნიერების, როგორც ცალკეული დისციპლინის ჩამოყალიბება. იგი აანალიზებს და სრულყოფს იმ მოსაზრებას, რომლის ფარგლებშიც უნდა ოპერირებდეს პოლიტიკური აზრი. არისტოტელეს თანახმად, პოლიტიკური მეცნიერება სწავლობს სახელმწიფოს, პოლისს. ის ამტკიცებს, რომ სახელმწიფო, ეს არის პოლიტიკის უმთავრესი ინსტიტუტი. ფილოსოფოსის აზრით, ადამიანს, როგორც “პოლიტიკურ ცხოველს” (A. Heywood, 2007. P. 13) “ერთობლივი ცხოვრებისაკენ” ინსტინქტური სწრაფვა გააჩნია. საზოგადოების განვითარება ოჯახიდან კონკრეტული გეოგრაფიული დასახლების მიმართულებით მიმდინარეობს, ხოლო ამ დასახლებათა ერთობის შედეგად იქმნება სახელმწიფო (ქალაქი-პოლისი). მაგრამ, ლოგიკური თვალსაზრისით, მაინც სახელმწიფოა პირველადი, რადგან სწორედ ის წარმოადგენს საზოგადოების მამოძრავებელ ძალას, აქტიურ საწყისს და ა.შ.

არისტოტელეს აზრით, “სახელმწიფო, თავისი ბუნებით, ინდივიდის წინამორბედია” (Myxaev. P.T. სტრ. 62). ამიტომაც, სახელმწიფოს ბუნება ოჯახისა და ინდივიდის ბუნების წინ იმყოფება: “აუცილებელია, რომ მთლიანი წარმოადგენდეს ნაწილებს” (Myxaev. P.T. სტრ. 62).

გამოჩენილი ბერძენი ფილოსოფოსის აზრით, სახელმწიფო თავისი მოქალაქეებისათვის უკეთესი ცხოვრების მისაღწევად არსებობს. მხოლოდ ასეთ საზოგადოებაში, კონკრეტული სახელმწიფოს შიგნით გააჩნიათ ადამიანებს განვითარების შესაძლებლობა, რადგან სწორედ ასეთი სახელმწიფო წარმოადგენს სიმართლისა და სამართალის განსახიერებას, რომელიც თავის მხრივ იცავს მოქალაქეთა საერთო ინტერესებს.

ბერძენი ფილოსოფოსი სახელმწიფოს არ განიხილავს საზოგადოების ცალკეულ ნაწილად. როგორც პლატონის, ასევე არისტოტელეს მოძღვრებებშიც, ტოტალიტარული ტენდენციები შეიმჩნევა. ამ პოზიციათა მთავარ არგუმენტს წარმოადგენს მოსაზრებები, რომ ადამიანი სახელმწიფოს ნაწილს წარმოადგენს, ხოლო ინდივიდის პირადი ინტერესები საზოგადოებრივ კეთილდღეობაზეა დამყარებული. არისტოტელეს შეფასებით, მოქალაქე, ერთიანი პოლიტიკური ერთობის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს. იგი მოქალაქეებს თავისუფალ ადამიანებს უწოდებდა, მაგრამ თავისუფლებას იგი როგორც მონობის საწინააღმდეგო ცნებას განიხილავდა. “მოქალაქეები არ არიან მონები, მათ არავინ არ ფლობს. მოქალაქეები ჩართულნი არიან მხოლოდ სამხედრო, კანონშემოქმედებით და სასამართლო საქმეებში. რაც შეეხება სასოფლო-სამეურნეო და სახელოსნო წარმოებას, ეს მონების ხვედრია” (Aristotle. 1952. P. 61). მოქალაქეებს შეუძლიათ ფლობდნენ კერძო საკუთრებას, მაგრამ ამ საკუთრებით მათ ურთიერთშეთანხმებით უნდა ისარგებლონ: მფლობელს უნდა ახასიათებდეს ისეთი კეთილშობილური თვისება, როგორიცაა “სიუხვე” (Aristotle. 1952. P. 61). არისტოტელეს ემინოდა მნიშვნელოვანი უთანასწორობის არსებობის, რადგან ეს მისი აზრით სახალხო მღელვარებისა და გადატრიალებების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა.

არისტოტელე განიხილავს არსებული სახელმწიფო მმართველობის სწორ და არასწორ ფორმებს. ამ კლასიფიკაციის საფუძველში დევს პრინციპი: “რას ემსახურება ესა თუ ის მმართველობის ფორმა, საერთო კეთილდღეობის მიღწევას თუ მმართველთა პირად კეთილდღეობას?” (Каменская. Е. Н. Стр. 58) სწორად მას მიაჩნია სახელმწიფო მმართველობის ის ფორმა, რომელშიც როგორც მმართველთა, ასევე საერთო-სახალხო კეთილდღეობა მიიღწევა. ანუ, იგი მართებულად მიიჩნევს სახელმწიფო მმართველობის იმ ფორმას, რომლის დროსაც საერთო კეთილდღეობა შეინიშნება, იმისგან დამოუკიდებლად, მართავს თუ არა სახელმწიფოს ერთი, რამდენიმე თუ მრავალი ადამიანი. არასწორ ფორმად კი მას მიაჩნდა ისეთი სისტემა, რომლის დროსაც მხოლოდ კერძო მიზნები მიიღწევა. ამ ორ ჯგუფს შორის იგი გარკვეულ ურთიერთკავშირს ამყარებს. მისი აზრით, არასწორად, მართებულისაგან გადახრილი ფორმები გვევლინებიან. სახელმწიფო მმართველობის მისაღებ ფორმებს, ანუ პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან მონარქია, არისტოკრატია და პოლიტია.

მონარქიისაგან გადახრას წარმოადგენს ტირანია, არისტოკრატიისაგან ოლიგარქია, პოლიტიისაგან – დემოკრატია. ამავე დროს, თუ პლატონი “იდეალური სახელმწიფოს” ფორმას გვთავაზობს, არისტოტელე მისაღებ სისტემებს შორის ერთ-ერთი არსებული ფორმის მიმართულებით იძლევა რეკომენდაციას. ამ სისტემის ფარგლებში იგი გვთავაზობს პოლიტიას. პოლიტიაში, მისი აზრით, მართავს უმრავლესობა საერთო კეთილდღეობის მისაღწევად. სახელმწიფო მმართველობის მოცემული ფორმა თავისუფალია უკიდურობებისაგან და არასრულყოფილებისაგან. მასში დომინირებს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არსებული საშუალო ელემენტი: მოქალაქეთა უფლებებში – დაცული ზომიერება, ქონებრივი თვალსაზრისით – საშუალო თვითკმაყოფილება, ხელისუფლების სათავეში – საშუალო ფენის წარმომადგენლები. საერთო ჯამში კი არისტოტელე, ისევე როგორც პლატონი, პირადი ინტერესების სახელმწიფო ინტერესებზე დაქვემდებარების აუცილებლობას ამტკიცებს (Aristotle. 1952. P. 65).

რომის რესპუბლიკის პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენელი იყო გამოჩენილი ორატორი მარკ ტულიუს ციცერონი (106-43 ჩვ-ად-მდე). იზიარებდა რა პლატონის იდეებს, მან თავისი პოლიტიკური სწავლება ჩამოაყალიბა დიალოგებში “სახელმწიფოს შესახებ” და “კანონების შესახებ” და ა.შ.

ციცერონის აზრით, სახელმწიფო, წარმოადგენს არა მხოლოდ მისი ყოველი თავისუფალი წევრისათვის არსებულ საერთო ინტერესების განსახიერებას, რაც ასევე დამახასიათებელი იყო ძველბერძნული კონცეფციისათვის, არამედ კონკრეტული სახელმწიფო გვევლინება როგორც შეთანხმებული სამართლებრივი ურთიერთობა. პლატონისა და არისტოტელესაგან განსხვავებით, რომელთათვისაც ბუნებრივი სამართალი (ჭეშმარიტი კანონი) და სახელმწიფო განუყოფელია, ციცერონი ამტკიცებს, რომ ბუნებრივი სამართალი (ჭეშმარიტი კანონი) შეიქმნა უფრო ადრე, ვიდრე რომელიმე დაწერილი კანონი, ანუ მანამდე, ვიდრე რომელიმე სახელმწიფო საერთოდ არსებობდა (Цицерон. 1966. Стр. 32).

თვითონ სახელმწიფო თავისი არსით წარმოადგენს იმის გამოხატულებას, რაც ბუნებით სამართლიანობასა და სამართალს წარმოადგენს. ამგვარად, ციცერონი დგას “სამართლებრივი სახელმწიფოს” დასაბამთან. ადარებდა რა ერთმანეთს სახელმწიფო მმართველობის მარტივ ფორმებს: სამეფო ხელისუფლება, ოპტიმატების (არისტოკრატების) მმართველობა და სახალხო მმართველობას (დემოკრატიას), ის აღნიშნავდა, რომ “თავისი კეთილშობილებით ჩვენ გვიზიდავენ მეფეები, სიბრძნით – ოპტიმატები, თავისუფლებით – ხალხები” (Цицерон. 1966. Стр. 32).

ჩამოთვლილი ღირსებებიდან, ციცერონის აზრით, სახელმწიფო შესაბამისი შერეული ფორმით უნდა იყოს წარმოდგენილი. სწორედ აღნიშნული სტრუქტურა, სადაც მმართველობის თითოეული დადებითი ღირსება პრაქტიკაში იქნებოდა

დანერგილი, უნდა ყოფილიყო ყველაზე მისაღები იმდროინდელი საზოგადოებისათვის.

ანტიკური პერიოდის პოლიტიკურ აზრს რიგი საერთო თვისებები გააჩნია. ანტიკური მოაზროვნეების შრომებში პოლიტიკა განიხილება როგორც ადამიანის ცივილიზებული ყოფის ერთადერთი ფორმა. სახელმწიფო და საზოგადოება ერთმანეთისაგან გამოყოფილნი არ არიან. სახელმწიფოს მიზანია – შეიქმნას შესაძლებლობა ბედნიერი ცხოვრებისათვის. მაგრამ, ადამიანს თავისი შესაძლებლობების რეალიზება შეუძლია არა ნებისმიერ, არამედ მხოლოდ სწორედ ორგანიზებულ და სამართლიან სახელმწიფოში. ამ მიზეზის გამო, ანტიკური მოაზროვნეები განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებდნენ სრულყოფილი სახელმწიფო მოდელის დადგენას. ანტიკური პერიოდის მოაზროვნეების შრომებში სწორედ ამ ფაქტორთანაა დაკავშირებული მკვეთრი ზღვარის არარსებობა ფილოსოფიას, ეთიკასა და პოლიტიკას შორის.

## **თავი. 12. შუა საუკუნეების თეოკრატიული დოქტრინები**

შუა საუკუნეების პირველ ნახევარში პოლიტიკური მოძღვრება მკვეთრად გამოხატული რელიგიურ-ეთიკური ფორმითაა წარმოდგენილი. თუ ანტიკური პერიოდის პოლიტიკური მსოფლმხედველობა თავისი არსით კოსმოცენტრიულია, შუა საუკუნეების პირველ ნახევარში არსებული დოქტრინები თეოცენტრიულ ხასიათს ატარებს. შუა საუკუნეების სამეცნიერო შემოქმედებაში ბუნებაში ღმერთის განმსაზღვრელი როლის შესახებ არსებული წარმოდგენები ბატონობს, შესაბამისად, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებაში ორიენტაცია “სულის გადარჩენაზე” აგებული. ეს კონცეფციები საშუალებას იძლევა განსაკუთრებული კუთხით დავინახოთ იმ დროს მიმდინარე საზოგადოებრივი პროცესები, ადამიანური მიზნები და ფასეულობები. შედეგად, ადამიანის ცხოვრება იძენს ორ ძირითად მნიშვნელობას: პირველი, დაკავშირებულია ადამიანისა და ღმერთის ურთიერთობასთან. მეორე კი თავის მხრივ ხალხებს შორის ერთმანეთთან ურთიერთობას ანიჭებს უპირატესობას. ამასთანავე, განმსაზღვრელი როლი პირველ ურთიერთობას ენიჭება, რადგან სწორედ მასშია გაანალიზებული ადამიანის ცხოვრების აზრი. მეორე ურთიერთობა კი – მეორეხარისხოვანია.

ამ პრინციპებიდან გამომდინარე, შუა საუკუნეების პოლიტიკური აზრის ფარგლებში ხელისუფლების ქმედებები ღმერთის ნების შედეგს წარმოადგენს. სახელისუფლებო ძალაუფლებისათვის დაქვემდებარება, ქრისტიანული მორალის ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს.

შუა საუკუნეებში გაბატონებული ქრისტიანული ურთიერთობების ყველაზე უფრო გავრცელებული კონცეფცია ფორმულირებულ იქნა ქრისტიანული რელიგიის ერთ-

ერთ ყველაზე უფრო დიდ და ავტორიტეტულ მოაზროვნესთან – ავრელიუს ავგუსტინესთან (354-430 წწ). თავის ცნობილ ტრაქტატში “ღვთის ქალაქი”, მსოფლიო ისტორია წარმოდგენილია როგორც ჭიდილი, თავისი ინტერესების მიხედვით ორ საწინააღმდეგო ძალას: მიწიერ და ღვთის ქალაქებს შორის.

ავგუსტინე წერდა – “ჩვენ კაცობრიობას ვყოფთ ადამიანთა ორ ძირითად კატეგორიად: პირველი შედგება იმათგან, ვინც ცხოვრობს ადამიანური სტანდარტების მიხედვით, ხოლო მეორე იმათგან, ვინც ცხოვრობს ღვთაებრივი ნების შესაბამისად”(Каменская. Е. Н. 2005. Стр. 60).

ამ მიდგომის მიხედვით, არსებობს ორი ტიპის სახელმწიფო: ე.ი. არსებობს ადამიანური მოდემის ორი ძირითადი თანამეგობრობა, რომელთაგან ერთ-ერთის დანიშნულებაა იმყოფებოდეს მარადისობაში ღმერთთან, მეორეს კი, მუდმივად იმყოფებოდეს ეშმაკის გვერდით. ავგუსტინეს მიხედვით, ეს ორი ქალაქი-სახელმწიფო, სხვადასხვა ცხოვრებისეულ ნიადაგსა და ორიენტაციაზე დაფუძნებით იქნა წარმოშობილი. “მიწიერი სახელმწიფო შექმნილია სიყვარულით საკუთარი თავის მიმართ, რომელსაც ღმერთის უარყოფამდე მივყევართ, ზეციური ქალაქი კი ღმერთისადმი სიყვარულითაა გამსჭვალული, რომელსაც საკუთარი თავის უარყოფამდე მივყევართ” (Каменская. Е. Н. Политология. Москва. 2005. Стр. 61.).

ქრისტიანული მსოფლმხედველობის სულიერ-მორალური ორიენტაციის შესაბამისად, ავგუსტინე ორი ქალაქის ქვეშ პირველ რიგში აცნობიერებს არა რაიმე პოლიტიკურ წარმონაქმნებს, არამედ სულიერ-მორალურ საზოგადოებებს. ეს საზოგადოებები რეალურ ცხოვრებაში ადამიანებთან ურთიერთობაში შერეულები და განუყოფლები არიან. არავის არ შეუძლია იცოდეს, ვინ რომელ ქალაქს ეკუთვნის. ამის შესახებ იცის მხოლოდ ღმერთმა.

ავგუსტინეს აზრით, სახელმწიფო ხელისუფლების არსებობა ღმერთის მიერ დართულია მხოლოდ იმისათვის, რომ მან გამოასწოროს ზნედაცემულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი. ამგვარად, როდესაც არსებობს სახელმწიფო ხელისუფლება, ის შეიძლება განვიხილოთ როგორც შედარებითი კეთილდღეობა, რომლითაც შესაძლებელია ისარგებლო, მაგრამ ვერ დატკბე მისი არსით. ტკობა კი შესაძლებელია ისეთი აბსოლუტური კეთილდღეობის ფარგლებში, რომლის გამომხატველად ამ ცხოვრებაში ქრისტიანული ეკლესია გვევლინება.

ავგუსტინეს ამ გამონათქვამებიდან შეგვიძლია გავაკეთოთ დასკვნა, რომ ის ამტკიცებდა სახელმწიფოს ორი ხელისუფლების – სასულიეროსა და საეროს არსებობას.

ავგუსტინეს მსოფლმხედველობის მიხედვით, სახელმწიფოს შეუძლია გახდეს ღვთის ქალაქის ნაწილი მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის ეკლესიას

დაექვემდებარება. ავგუსტინე სახელმწიფოს განიხილავს როგორც “ღმერთის იარაღს”, მმართველებს კი “ღვთის მსახურებად” და ამტკიცებს ხელისუფალთა უფლებას გამოიყენონ ზემოქმედების მეთოდები ეკლესიის ინტერესებიდან გამომდინარე. ამიტომაც, ავგუსტინეს ნაშრომებზე დაყრდნობით, თავის პოზიციებს იცავდნენ როგორც კლერიკარიზმის, ასევე სასულიერო და საერო ხელისუფლების დაყოფის მომხრეები. კლერიკარისტები თავის მხრივ ეკლესიის ყველა სახელმწიფო ინსტიტუტზე პრიმატს ამტკიცებდნენ. შუა საუკუნეებში გაბატონებული იყო თეოკრატიული, ავგუსტინეს კონცეფციის კლერიკარისტური მიმართულება. მთელი ამ ეპოქის განმავლობაში, ავგუსტინეს კონცეფცია საეკლესიო პოლიტიკის იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენდა, რომელიც ესწრაფვოდა დამორჩილებინა სახელმწიფო.

სახელმწიფოსა და ეკლესიის როლის შესახებ არსებული ავგუსტინეს იდეები კონკრეტიზებულ და განვითარებულ იქნენ სხვა უდიდესი ქრისტიანული მოაზროვნის, თომა აქვინელის (1225-1274) ნაშრომებში.

მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობა წარმოდგენილია ტრაქტატებში “თეოლოგიის საფუძვლები”, “სამეფო ხელისუფლების შესახებ” და ასევე კომენტარებში არისტოტელეს ნაშრომებზე - “პოლიტიკა” და “ეთიკა”.

ავგუსტინესა და აქვინელის ნაშრომებსა და მოსაზრებებს სახელმწიფოს თეოკრატიული კონცეფცია აერთიანებს. თომა აქვინელი მიიჩნევდა, რომ საერო ხელისუფლებას ექვემდებარება მხოლოდ ადამიანთა სხეულები და არა მათი სულები. უხენაესი ყოვლისმომცველი ხელისუფლება, რომელიც ადამიანთა სულიერ ცხოვრებას განაგებს, ეკლესიას წარმოადგენს. რამდენადაც ღმერთი მადლა დგას ადამიანზე, ამდენადვე სასულიერო ცხოვრება ბევრად მადლა დგას მიწიერ სახელმწიფოზე.

თომა აქვინელი არა მხოლოდ ღმერთის მიერ სახელმწიფოს მტკიცებას ახდენდა, არამედ სახელმწიფოს წარმოქმნის აუცილებლობას რაციონალური არგუმენტებით ასაბუთებდა. იგი შემდეგნაირად მსჯელობს: ცხოვრება სოციალურ საზოგადოებაში თითოეული ადამიანისათვის ბუნებრივ აუცილებლობას წარმოადგენს. მაგრამ ყველანაირი თანამეგობრობა გარკვეულ მიზნებს ახორციელებს, რომელთა რეალიზაციის დროს მას არ შეუძლია ყველაფერს თავი ჰკეგემონის გარეშე გაართვას. ამიტომაც იქმნება იმის აუცილებლობა, რომ ვიღაცამ უხელმძღვანელოს ამ თანამეგობრობას და ამ მიზნამდე უმოკლესი გზით მიიყვანოს. ამ ხელმძღვანელად სწორედ რომ სახელმწიფო გვევლინება.



თომა აქვინელის აზრით, სახელმწიფოს მთავარი დანიშნულებაა რომ ადამიანთა საზოგადოება ღმერთის მიერ დადგენილი წესების მიხედვით აცხოვროს, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მათი სულების გადარჩენას.

თომა აქვინელის დროს უკვე თვალსაჩინოდ გამოაშკარავდა კონფლიქტი და დაპირისპირება საერო და საეკლესიო ხელისუფლებას შორის. ეკლესიის ინტერესებში შედიოდა დაემტკიცებინა საეკლესიო ხელისუფლების საერო ხელისუფლებაზე უპირატესობის აუცილებლობა. მეცნიერი ასევე აღნიშნავდა, რომ ეკლესიის ჩარევა სახელმწიფოს პოლიტიკურ საქმეებში, უკიდურეს შემთხვევაში არსებული ხელისუფლების დამსობის ჩათვლით, სრულიად გამართლებულ ნაბიჯს წარმოადგენდა. ამისათვის კი აუცილებელი იყო იმის დასაბუთება, რომ ხალხს გააჩნია უფლება გამოვიდეს ტირანის წინააღმდეგ. ამ ამოცანას ხსნის თომა აქვინელი, როდესაც იგი წერს ხელისუფლების არსსა და მის ფორმას შორის არსებულ განსხვავებაზე. არსებითად, ყველანაირი ძალაუფლება მოდის ღმერთისაგან, ე.ი. უნდა არსებობდეს რაღაც ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს წესრიგს და რომელიც ადამიანთა თანამეგობრობას განსაზღვრულ მიზნებამდე მიიყვანს. სხვაგვარად რომ ვთქვათ, სახელმწიფოს არსში თვით სახელმწიფოს ინსტიტუტი ასოცირდება, რომლის გარეშეც საზოგადოების არსებობა შეუძლებელია. ფორმის ქვეშ კი მმართველობის მეთოდი და სტრუქტურა იგულისხმება.

აქვინელის აზრით, მმართველობის იდეალურ ფორმად, არისტოტელესა და ციცერონის მოსაზრებების კვალდაკვალ, სამი შერეული “სუფთა” ფორმა განიხილება, როდესაც პირველ შემთხვევაში მონარქი განასახიერებს ერთიანობას, მეორე შემთხვევაში არისტოკრატია – მოპოვებული და არსებული დამსახურებების ფლობას განასახიერებს, ხოლო მესამე შემთხვევაში დაქვემდებარებულები (ხალხი), რომლებიც ასევე ერთგებიან მმართველობის საქმეებში, სოციალური მშვიდობისა და თანხმობის გარანტიად გვევლინებიან. აქვინელის აზრით, მონარქის ძალაუფლება კანონებით უნდა იქნეს შეზღუდული. გარდა ამისა, მეცნიერი საუბრობს “ხალხის ნების” შესახებ, რომლის გათვალისწინება აუცილებელია. აქედან გამომდინარე, ძალაუფლება თავისი არსით ყოველთვის ღვთის ნების გამომხატველად დარჩება. შესაბამისად, აქვინელი სასიკვდილო ცოდვად განიხილავდა სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ გამოსვლას. თუმცა, ტირანიული მმართველობისადმი დაქვემდებარების შეუძლებლობის პირობებში, ტირანის მოკვლაც გამართლებულად მიაჩნდა (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. გვ. 26).

ადრეული შუა საუკუნეების პერიოდის დასრულებასთან ერთად, პოლიტიკურ მოძღვრებაში სუსტდება რელიგიური, როგორც დომინირებული კონცეფციის პერიოდი. მომდევნო პერიოდში, ქრისტიანულ კონცეფციას კვლავ ეკავა თავისი

ადგილი დასავლური მეცნიერებების ძირითად მოძღვრებებში, მაგრამ მან ვერ შეძლო პოლიტიკის რელიგიის დაქვემდებარებაში მოქცევა.

### **თავი 13. სამეცნიერო მიმდინარეობები აღორძინებისა და ახალი დროის პოლიტიკურ თეორიებში**

აღორძინების ეპოქის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი ფაქტორი გახლავთ ღვთაებრივ ნებასა და სასულიერო-რელიგიურ ფასეულობებზე დაფუძნებული იდეოლოგიიდან მიწიერ, რეალურ მოთხოვნებსა და ადამიანის ინტერესებზე დაფუძნებულ იდეოლოგიაზე გადასვლა.

პოლიტიკის თეოლოგიურ, რელიგიურ-ეთიკურ კონცეფციას მისი რაციონალური, კრიტიკული გაგება ენაცვლება. ამ ეპოქის მოაზროვნეები სახელმწიფოს იდეალური მოდელისა და მორალური პრინციპების ახსნის სწავლების პროცესში კი არ არიან ჩართულნი, არამედ ისინი უფრო ესწრაფვიან ახსნილ იქნეს არსებული პოლიტიკური ურთიერთობების ძირითადი ბუნება.

ამ ეპოქის ერთ-ერთ პირველ თეორეტიკოსად და საერო პოლიტიკური მეცნიერების დამფუძნებლად იტალიელი მეცნიერი ნიკოლო მაკიაველი (1469-1527) გვევლინება. მაკიაველის პოლიტიკური მსოფლმხედველობა ყველაზე უფრო სრულყოფილადაა წარმოდგენილი ნაწარმოებებში “მსჯელობა ტიტუს ლივიუსის პირველი დეკადის შესახებ”, “მთავარი,” “ფლორენციის ისტორია”.

მაკიაველის მთავარ მრწამსად მის მიერ წამოყენებული პოლიტიკური რეალიზმის პრინციპი გვევლინება, რომელიც კეთილშობილური, მორალური სქემების უარყოფასა და ასევე, პოლიტიკაში რეალური პირობების არსებობის გათვალისწინებას გვთავაზობს. თავის ნაშრომებში იგი პოლიტიკური ქმედებების პრაქტიკული ინტერესებისადმი დაქვემდებარების საკითხს განიხილავს.

მაკიაველი უარყოფდა აბსტრაქტულ პოლიტიკურ იდეალებს და პირველ რიგში სიტუაციის რეალური ახსნის საკითხებით ოპერირებდა (მაკიაველი ნ. გვ. 175). მის მიერ აღმოჩენილ იქნა პოლიტიკის შედარებითი შეფასების ფართობითობა. მისი აზრით, პოლიტიკური მიზნების მისაღწევად არ არსებობს მხოლოდ კარგი და მხოლოდ ცუდი საშუალებები. მისი მთავარი პრინციპი გახლავთ “მიზანი ამართლებს საშუალებას” (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. გვ. 26). ეს ფორმულა ამა თუ იმ პოლიტიკურ სიტუაციასთანაა დაკავშირებული. მაკიაველის პოლიტიკური რეალიზმი გამოიხატა იმაში, რომ მან მორალის სფერო განსაზღვრა როგორც აბსოლუტური სფერო, ხოლო პოლიტიკა, როგორც შეფარდებითი სფერო და აღნიშნა, რომ არ არის საჭირო პოლიტიკის სფერო აბსოლუტური სტანდარტებით იქნეს შეფასებული. პოლიტიკა, მაკიაველის აზრით, არ შეიძლება ხელმძღვანელობდეს “სიკეთისა და ბოროტების”

გაგებით და სხვა მორალური კატეგორიებით, რადგან ეს კატეგორიები შეფარდებითი სფეროს საზღვრებს გარეთ გვევლინებიან (მაკიაველი ნ. გვ. 178). ამგვარად, მაკიაველიმ პოლიტიკა მორალისაგან გამოყო. პოლიტიკა (დაწესებულება, ორგანიზაცია და სახელმწიფოს საქმიანობა), იტალიელ მეცნიერთან როგორც ადამიანის საქმიანობის განსაკუთრებულ სფეროდ განიხილება, რომელსაც საკუთარი კანონზომიერებანი გააჩნია და რომლებიც შესწავლილ და გაანალიზებულ უნდა იქნენ.

კონკრეტული საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების გაანალიზების პროცესში, მაკიაველი მასში ურთიერთდაპირისპირებული სოციალური ჯგუფების – ელიტისა და უბრალო ადამიანების, მდიდრებსა და ღარიბებს შორის ბრძოლის დიდ ზეგავლენაზე მიუთითებს. საზოგადოებაში ერთმანეთთან მეზობლი ძალების შედარებისას, იგი სახელმწიფოს კონკრეტულ ფორმებს გვთავაზობს: მათ შორის, “სწორი” ფორმებია - მონარქია, არისტოკრატია, დემოკრატია, ხოლო “არასწორი” ტირანია, ოლიგარქია და ოხლოკრატია (მასის დომინირება). იდეალად მაკიაველი სახელმწიფოს შერეულ ფორმას გვთავაზობს, რომელშიც ერთმანეთთან დაკავშირებული იქნებოდა ხელისუფლების: მონარქიული, არისტოკრატიული და დემოკრატიული ელემენტები (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. გვ. 27).

საერო პოლიტიკის თეორიის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ფრანგმა იურისტმა ჟან ბოდენმა (1530-1596). ნაწარმოებში “ექვსი წიგნი სახელმწიფოს შესახებ” მან პირველად მოახდინა სუვერენიტეტის, როგორც სახელმწიფოს მთავარი დამახასიათებელი ნიშნის ფორმულირება. სუვერენიტეტი, ბოდენის აზრით, პირველ რიგში ნიშნავს სახელმწიფოს ეკლესიისაგან, სოციალური ფენებისაგან და სხვა სახელმწიფოსგან დამოუკიდებლობას. სუვერენიტეტი, როგორც უმაღლესი ხელისუფლება, თავის თავში მოიცავს კანონების გამოცემისა და მათი გაუქმების, ომის გამოცხადებისა და ზავის დადების, უმაღლესი თანამდებობის პირების დანიშვნის უფლებას, ასევე, მისი კომპეტენციაა უზენაესი სამართლის წარმოებისა და შეწყველების უფლების ფლობა, მონეტის მოჭრის უფლება, გადასახადების აკრეფა (Каменская. Е. Н. Стр. 65).

სახელმწიფოს ბოდენი განსაზღვრავს როგორც სამართლისა და სამართალმცოდნეობის ერთობლიობის სამართლებრივ რეგულირებას სუვერენულ ძალაუფლებაზე დაყრდნობით. ოჯახს ბოდენი სახელმწიფოს მთავარ ბირთვის უწოდებდა.

ბოდენმა, ისევე როგორც მაკიაველიმ, საერო პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლების თეორია ჩამოაყალიბა. მან პოლიტიკა, როგორც ცოდნის დამოუკიდებელი სფერო განსაზღვრა, რომელიც თავის მხრივ არ არის დაკავშირებული სქოლასტიკურ კონსტრუქციებთან.

აღორძინების ეპოქა, ისტორიული ქრონოლოგიის მიხედვით, გვიანდელი შუა საუკუნეების პერიოდად ითვლება და გარდამავალ ხასიათს ატარებს. ამ ეპოქის განმანათლებლების ნაშრომებში რელიგიური იდეოლოგია ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გავლენას იწარმოებს. ძალაუფლების დეტაბრივი წარმოშობის შესახებ არსებული რელიგიური წარმოდგენები ახალ დროში ბუნებრივი სამართლის წარმოშობასა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის განვითარებასთან დაკავშირებული წარმოდგენებით იცვლება.

საზოგადოებრივი ხელშეკრულების კონცეფციის თვალსაჩინო თეორეტიკოსად დიდი ბრიტანელი მეცნიერი თომას ჰობსი (1588-1679) გვევლინება.

თ. ჰობსმა თავისი პოლიტიკური მოძღვრება ჩამოაყალიბა ფილოსოფიურ ნაშრომში “მოქალაქის შესახებ” და ტრაქტატში “ლევიათანი, ანუ სახელმწიფო მმართველობის საეკლესიო და სამოქალაქო ფორმა.” იგი სახელმწიფოს როგორც ადამიანურ და დეტაბრივ დაწესებულებას განიხილავდა. მისი აზრით, სახელმწიფოს შექმნა მოხდა საზოგადოებრივი ხელშეკრულების საფუძველზე. ჰობსის კონცეფციაში მთავარ პრინციპად განიხილება ისეთი ვითარება, რომლის დროსაც ყველა ადამიანი ბუნებით თანასწორია როგორც ფიზიკური, ასევე გონებრივი შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

თითოთეულ ადამიანს ბუნებრივ მდგომარეობაში ყველაფრის უფლება გააჩნია, ბუნებამ ადამიანებს ყველაფერი უბოძა, რადგანაც ადამიანებს ყველაფერზე თანაბარი უფლება გააჩნიათ და ისინი ესწრაფვიან განახორციელონ თავიანთი უფლებები. ამ პროცესში მათ შორის გარდაუვალია ბრძოლა. შესაბამისად, ინგლისელი მეცნიერის აზრით, ბუნებრივ მდგომარეობაში საყოველთაო პრინციპს წარმოადგენს “ყველას ომი ყველას წინააღმდეგ” (ჰობსი თ. გვ. 114).

ამ ომის შედეგად ნორმალური ცხოვრება შეუძლებელი ხდება. ბუნებრივ მდგომარეობაში ყველას ერთნაირად განადგურების საშიშროება ემუქრება. ამიტომაც, სიკვდილის შიში ადამიანებს მშვიდობისაკენ განაწყობს, ხოლო “გონება კარნახობს მშვიდობის ხელსაყრელ პირობებს, რომელთა საფუძველზე ადამიანებს შეუძლიათ შეთანხმების მიღწევა” (ჰობსი. გვ. 115). ამგვარად, საზოგადოებრივი შეთანხმების შედეგად, ჰობსის აზრით, იქმნება სახელმწიფო.

სახელმწიფოს შექმნისას, ადამიანებს მათ მიერ კუთვნილი უფლებები გადააქვთ ან ერთ პირზე, რაც ქმნის მონარქიას, ან ყველა ფენის წარმომადგენლისაგან შექმნილ გაერთიანებაზე, რაც აყალიბებს რესპუბლიკას, ან ერთი ფენის წარმომადგენლებზე, რაც ქმნის არისტოკრატიას. მაგრამ, ყველა შემთხვევაში მთელი ძალაუფლება ამა თუ იმ პირისა თუ ორგანოს ხელში იმყოფება.

ჰობსი - აბსოლუტური მონარქიის მომხრე იყო. არავითარი შერეული მმართველობა, რომლის დროსაც მეფემ თავისი ძალაუფლება ვინმეს უნდა გაუყოს, ჰობსის მიხედვით არ იყო დასაშვები. ის ასევე შეუძლებლად თვლიდა სახელმწიფოს სხვადასხვა სტრუქტურებს შორის ძალაუფლების ამა თუ იმ გადანაწილებას.

გამოჩენილი ინგლისელი ფილოსოფოსის ჯონ ლოკის (1632-1704) პოლიტიკური თეორია – ეს გახლავთ პოლიტიკის სამოქალაქო კონცეფციის კიდევ ერთი ბრძნული და გამბედავი ფორმულირება. ლოკის სწავლება, გახლდათ ყველაზე რეალისტური და გავლენიანი იმ პერიოდის სწავლებებს შორის. ლოკს სრულიად მართებულად უწოდებენ ლიბერალიზმის მამამთავარს. დააყენა რა პიროვნება საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე უფრო მაღლა, მან პირველმა მოახდინა ისეთი მოძღვრებების ერთმანეთისაგან გამოიჯვნა, როგორებიცაა “პიროვნება“, “საზოგადოება” და “სახელმწიფო”. ლოკის თანახმად, ადამიანი დაბადებიდანვე ფლობს განუყოფელ, ბუნებრივ უფლებებს. ასეთ უფლებებად იგი თვლიდა უფლებას “სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე და საკუთრებაზე.” უნდა აღინიშნოს, რომ ლოკს კერძო საკუთრებაზე განსაკუთრებული შეხედულება გააჩნდა. იგი საკუთრებას განიხილავდა როგორც ადამიანის ბუნებრივ უფლებას. გააჩნდათ რა ბრძნული აზრი, წერდა ლოკი, ადამიანები მივიდნენ დასკვნამდე, რომ აუცილებელია არსებობდეს შესაბამისი ორგანო, რომელიც მართლმსაჯულებას განახორციელებდა. სწორედ ამან მიგვიყვანა საერთო შეთანხმების მიღწევამდე, ანუ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებამდე.

ჰობსიც და ლოკიც აღნიშნავენ, რომ მეფეს არ გააჩნდა ურთიერთობა საზოგადოებრივ ხელშეკრულებასთან, რომელსაც საზოგადოება აყალიბებდა. მაგრამ თუ ჰობსი ამტკიცებდა, რომ საზოგადოების ჩამოყალიბების შედეგად სამეფო ძალაუფლება არ შეიძლებოდა შეზღუდული ყოფილიყო და მეფეს სახელმწიფოსა და პიროვნებაზე უფრო მაღლა აყენებდა, ამავე დროს, ლოკი აბსოლუტურად საწინააღმდეგო დასკვნას აკეთებდა. ამ უკანასკნელის აზრით, “სახელმწიფო ემორჩილება საზოგადოებას, რომელიც თავის მხრივ ემორჩილება პიროვნებას. რადგანაც სახელმწიფო და საზოგადოება – ეს არის ერთი და იგივე, სახელმწიფო ხელისუფლების დაცემა არ ნიშნავს საზოგადოების დაცემას. საზოგადოებას შეუძლია შექმნას ახალი სახელმწიფო ხელისუფლება, თუ მას არ აკმაყოფილებს უკვე არსებული” (ლოკი ჯ. გვ.145).

ჰობსისგან განსხვავებით, ჯ. ლოკი კონსტიტუციური მონარქიის მომხრე იყო. თავის მტკიცებულებებში კონსტიტუციური მონარქიის შესახებ, ლოკმა ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ლიტერატურაში პირველად წამოაყენა სწავლება ხელისუფლების დანაწილების შესახებ. მისი აზრით, უნდა მომხდარიყო საკანონმდებლო, აღმასრულებელი და საკავშირო (ფედერაციული) ხელისუფლების დანაწილება. მისი

აზრით, საკანონმდებლო ხელისუფლება იტოვებს უფლებას გამოსცეს კანონები, აღმასრულებელი ხელისუფლება ნერგავს კანონებს ცხოვრებაში, ხოლო საკავშირო ჩართულია პოლიტიკის საკითხებში.

ფრანგი განმანათლებელი შარლ ლუი მონტესკიე (1689-1755) პოლიტიკური აზრის ისტორიაში ცნობილია თავისი ნაშრომით “კანონთა სული”, ან “მმართველობის ფორმა”.

“ყველა სხვადასხვა ფაქტორი – აღნიშნავდა იგი, მართავს ადამიანებს: კლიმატი, რელიგია, კანონები, მმართველობის პრინციპები, წარსულის მაგალითები, მორალური ნორმები, ჩვეულებები: ამ ყველაფრის შედეგად იქმნება ადამიანის ერთიანი სული (Монтескье III. 1955. Стр. 25).”

ამგვარად, მონტესკიეს პოლიტიკური სფეროს ანალიზში შემოაქვს არა მხოლოდ სხვადასხვა სოციალური (რელიგია, ჩვეულებები, ხასიათის თავისებურებები, ცხოვრების ფორმა, სპეციალობა და ა.შ.) არამედ გეოგრაფიული გარემოს ფაქტორიც. ამგვარად, ის ამტკიცებს, რომ ცხელ ქვეყნებში კლიმატი ხელს უწყობს მმართველობის დესპოტური ფორმის ჩამოყალიბებას. სიცხე იწვევს სიმამაცის დაქვეითებას, ხალხის მდაბიო სულიერებას და ხალხს არ ძალუძს გამოვიდეს მმართველთა თავაშვებულობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების წინააღმდეგ. შედეგად, იგი (ხალხი) ეგუება მონურ მდგომარეობას. პირიქით, ცივი კლიმატი ხელს უწყობს გამბედაობის შენარჩუნებას და ასეთი კლიმატის ქვეყნებში უფრო ხშირად იქმნება რესპუბლიკები. ევროპის ზომიერი კლიმატი ხელს უწყობს მონარქიების ჩამოყალიბებას. იმ ფაქტორთა შორის, რომლებიც ზემოქმედებას ახდენენ მმართველობის ფორმაზე, მონტესკიე აღნიშნავს ნიადაგის, ლანდშაფტის, ქვეყნის ტერიტორიის სიდიდის ფაქტორების შესახებ. ის ამტკიცებდა, რომ “რესპუბლიკას თავისი ბუნებიდან გამომდინარე, შედარებით მცირე ტერიტორია ესაჭიროება, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერ შენარჩუნდება, მონარქია კი თავისი ბუნებით საჭიროებს საშუალო ზომის ტერიტორიას, ხოლო დესპოტიისათვის კი დამახასიათებელია სახელმწიფოს ფართო ზომები” (Монтескье III. 1955ю стр.26).

ხელისუფლების დანაწილების თეორია – ეს გახლავთ მონტესკიეს მეორე მიღწევა.

ხელისუფლების დანაწილების მიზანია მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა ხელისუფალთა თავაშვებულობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისაგან, მათი თავისუფლებების უზრუნველყოფა. ფრანგი მეცნიერის მტკიცებით, ყოველთვის ხდება პოლიტიკური ძალაუფლების ბოროტად გამოყენება. მონტესკიეს თანახმად, ხელისუფლების უზურპაციის მცდელობა ადამიანის ბუნებიდან გამომდინარეობს. უფლებათა უზენაესობა შესაძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ ხელისუფლების დანაწილებით

საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებად. მიზანს კი წარმოადგენს ის, რომ ხელისუფლების სხვადასხვა შტოებმა შეძლონ ერთმანეთის შეკავება.

ჟან-ჟაკ რუსო (1712-1778) თავის ნაშრომებში “უთანასწორობის მიზეზების შესახებ” და “საზოგადოებრივი შეთანხმებისა თუ პოლიტიკური უფლებების პრინციპების შესახებ” პოლიტიკის აღქმის სოციოცენტრისტულ მიდგომას აღრმავეს.

სახელმწიფოს წარმოქმნას რუსო ადამიანთა შორის უთანასწორობას უკავშირებს. რუსო ერთმანეთისაგან უთანასწორობის ორ ძირითად სახეობას ანსხვავებს:

ფიზიკური - რომელიც ასაკობრივ სხვაობებთან და ჯანმრთელობის მდგომარეობასთანაა დაკავშირებული და პოლიტიკური მდგომარეობა, რომელიც მეცნიერის აზრით სხვადასხვა პრივილეგიებით არის წარმოდგენილი და რომლებითაც ხალხის ერთი ნაწილი სხვათა საზიანოდ სარგებლობს. პოლიტიკური უთანასწორობა, რუსოს აზრით, არ წარმოადგენს ბუნების კანონს, ადამიანის ბუნებრივ მდგომარეობას, იგი საზოგადოების ხანგრძლივი განვითარების შედეგს წარმოადგენს.

სახელმწიფოს წარმოშობის მიზეზთა ახსნის პროცესში, რუსო საზოგადოებრივი ხელშეკრულების თეორიის მომხრედ გვევლინება. სახელმწიფოს საფუძველში, მისი აზრით, დევს შეგნებული გეგმა – “ადამიანთა შორის შეთანხმება” (რუსო ჟ.ჟ. გვ. 218).

საზოგადოებრივი შეთანხმების სწავლება დემოკრატიის შესახებ არსებული პრინციპების დასაბუთებად გვევლინება. სახელშეკრულებო სახელმწიფოში უზენაესი ძალაუფლება უნდა ეკუთვნოდეს ხალხს. სახალხო სუვერენიტეტის მოთხოვნა რუსოს პოლიტიკური სწავლების საფუძველს წარმოადგენს და ეს სუვერენიტეტი არის განუყოფელი.

რესპუბლიკანიზმის თეორეტიკოსთა შორის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლად გვევლინება ამერიკელი ჯეიმს მედისონი (1751-1836). ის ემხრობოდა იმ მოსაზრებას, რომ ხალხია პოლიტიკური ხელისუფლების ერთადერთი წყარო, ხოლო არჩევნები – რესპუბლიკური მმართველობის დამახასიათებელი თვისება.

მედისონის ავტორიტეტი დღევანდელ დღემდე უდიდესია მისი მონტესკიეს “ხელისუფლების განაწილების” პრინციპის გაზიარების გამო. თუმცა, მედისონი ფრანგი განმანათლებლის თეორიას უფრო შემოქმედებითად უდგება. როგორც ცნობილია, მონტესკიეს არ გააჩნია ძალაუფლებათა თანასწორობის პრინციპი, რადგანაც იგი უზენაესად საკანონმდებლო ხელისუფლებას მიიჩნევდა. მედისონმა კი თავის მხრივ შექმნა ურთიერთშეკავების ისეთი სისტემა, რომლის მიხედვითაც ხელისუფლების სამ შტოს შორის თითოეული თავისი წონით თანასწორია.

შეკავებათა ეს მექანიზმი აშშ-ის პოლიტიკურ სისტემაში დღემდე მოქმედებს (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 30).

პოლიტიკური იდეების განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეტანილი აქვს გერმანელ მოაზროვნეს იმანუელ კანტს (1724-1831). კანტი თავის ნაშრომებში: “საყოველთაო მშვიდობა” და “სამართლის მოძღვრების მეტაფიზიკური საწყისის შესახებ” ლიბერალიზმის იდეის განვითარებას დიდ ყურადღებას უთმობდა. მისი თეორიის ძირითადი პოსტულატი იმაში მდგომარეობს, რომ თითოეული ადამიანი ფლობს აბსოლუტურ ღირებულებას და არ შეიძლება განხილულ იქნეს როგორც მხოლოდ საშუალება რაღაც გარკვეული მიზნების მიღწევისათვის. პოლიტიკაში, კანტის აზრით, აუცილებელია მიზნებისა და საშუალებების ჰარმონიზაციისაკენ სწრაფვა.

სამართლებრივი სახელმწიფოს არსებობის შესახებ კანტი მიდის იმ მოსაზრებამდე, რომელიც პიროვნების თავისუფლებას უზრუნველყოფს.

სამართლებრივი სახელმწიფოს შესახებ მოძღვრების შემდგომი განვითარება ასახულია ჰეგელის შრომაში “სამართლის ფილოსოფია”. პიროვნების თავისუფლება და მისი უფლებები, ჰეგელის მიხედვით, პირველ რიგში საკუთრების მეშვეობით რეალიზდება.

თავისუფლება და კერძო საკუთრება, ჰეგელის მიხედვით - განუყოფელი ცნებებია. ჰეგელის დამსახურება მდგომარეობს კატეგორიების “სამოქალაქო საზოგადოება” და “სახელმწიფო” შემუშავებასა და დანაწილებაში (ჩიტაძე ნ. გვ. 78).

ჰეგელის მიხედვით სამოქალაქო საზოგადოება, ეს არის კერძო ინტერესთა ბატონობის სფერო, მათი თავისუფალი თამაში, რომელიც ამავე დროს ორგანიზაციის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. საზოგადოებრივი ერთიანობა შესაძლებელია მიღწეულ იქნეს კერძო ინტერესთა შეთანხმების გზით მათი სახელმწიფო ორგანოებში წარდგენის მიზნით. მრავალ ინტერესთა განსაზღვრისათვის და შეთანხმებისათვის საჭიროა სახელმწიფოს – როგორც უმაღლესი მოსამართლის ინსტრუქტის არსებობა. ამ შემთხვევაში საზოგადოება ხდება სამოქალაქო, რადგან ის იმართება სახელმწიფოს მიერ.

ახალი დროის პოლიტიკური აზრის ფარგლებში ლიბერალიზმის იდეოლოგიას ეწინააღმდეგებოდა კონსერვატიზმი. ლიბერალიზმის იდეოლოგია ბურჟუაზიული ფასეულობებისა და წარმოების კაპიტალისტური წესის მართებულობას ამტკიცებდა. კონსერვატიზმი კი იქმნება როგორც ანტიბურჟუაზიული, ფეოდალურ-კლერიკალური იდეოლოგია, რომელიც წინ აღუდგა საზოგადოების რევოლუციურ გარდაქმნას. კონსერვატიზმის იდეოლოგიის მამამთავრებად გვევლინებიან ბრიტანელი (ირლანდიური წარმოშობის) პოლიტიკოსი და მოაზროვნე ედმუნდ ბერკი (1729-1797),



ფრანგი საზოგადო მოღვაწეები ჟოზეფ მარი დე მესტრი (1734-1821) და ლ. დე ბონალდი (1753-1840).

კონსერვატიზმი როგორც თავისუფლების, თანასწორობის, პროგრესისა და თავისუფლების იდეალების უარყოფად გვეკვლინება.

კონსერვატიზმი თავისუფლების, თანასწორობის, გონიერებისა და პროგრესის უარყოფის პრინციპებს ეფუძნებოდა, რომლებიც საგანმანათლებლო ეპოქისა და საფრანგეთის რევოლუციის წარმომადგენელთა მიერ იქნა წარმოდგენილი. საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური ინსტიტუტები, პირველ რიგში ოჯახი და სახელმწიფო, კონსერვატორთა აზრით, წარმოადგენს მოვლენათა ჩვეულებრივი განვითარების განსახიერებას. შესაბამისად, იმისათვის რომ არ იქნეს დაშვებული საზოგადოების როგორც სიცოცხლისუნარიანი სისტემის რღვევა, არ არის საჭირო ცხოვრებისეული გამოცდილების თვითრეალიზაციაში ჩართვა. ე. ბერკი თავის ნაშრომში - “მსჯელობანი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ”, აკრიტიკებდა ბუნებრივი სამართლისა და საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეას, თვლიდა რა, რომ სახელმწიფო ბუნებრივი ევოლუციის შედეგს წარმოადგენს (A. Heywood. 1998. 66).

ისეთი პოლიტიკური იდეების, რომლებიც კაპიტალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმოშობასა და დამკვიდრებას ასაბუთებდნენ – ლიბერალიზმი და მასთან დაპირისპირებული კონსერვატიული იდეოლოგიის განვითარებასთან ერთად, XVI საუკუნეში და XIX საუკუნის პირველ ნახევარში ვითარდება უტოპიური სოციალიზმი, რომელთა წარმომადგენლები თავიანთ ნაშრომებში როგორც ძველ ფეოდალურ, ასევე ახალ ბურჟუაზიულ სოციალ-პოლიტიკურ წყობილებას უარყოფდნენ. უტოპიური სოციალიზმის ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან ინგლისელი თომას მორი (1478-1535), იტალიელი თომასო კამპანელა (1568-1639), ფრანგები ჟან მელიე (1664-1729), ანრი სენ-სიმონი (1760-1825), შარლ ფურიე (1772-1837) და ინგლისელი რობერტ ოუენი (1771-1858).

ამ განმანათლებელთა სამეცნიერო ნაშრომებში პრინციპიალურად ახალი წესრიგის აუცილებლობის დამკვიდრება იყო აღიარებული, რომელიც დაფუძნებული იყო საზოგადოების ყველა წევრის თანასწორობაზე, კოლექტიურ საკუთრებაზე, ყველასათვის აუცილებელ შრომაზე, საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე. მომავალ საზოგადოებას ისინი ხალხის მმართველობასთან აკავშირებდნენ, სადაც საზოგადოებრივ საქმეებში მშრომელებს ყველაზე ფართო მონაწილეობა უნდა მიეღოთ.

იდეალური საზოგადოების პროექტის შექმნის კვალდაკვალ, სოციალისტ-უტოპისტების ნაშრომებში სახელმწიფო ხელისუფლების ინსტიტუტების კრიტიკაა ასახული.

სახელმწიფოსა და საზოგადოების შერიგების პრობლემა, როგორც ეს XIX საუკუნის გამოჩენილმა მოაზროვნეებმა წარმოადგინეს, დღევანდელ დღესაც აქტუალური რჩება. თანამედროვე დასავლური პოლიტიკის თეორეტიკოსებს, რომელთა შორის ბევრი გამოჩენილი სახელია წარმოდგენილი, თავიანთი წვლილი შეაქვთ ამ პრობლემათა გადაწყვეტაში.

#### **თავი 14. დასავლეთის თანამედროვე პოლიტიკური მოძღვრებები**

პოლიტიკის პრობლემატიკისა და სხვადასხვა მიმართულებების შესწავლის მეთოდების მრავალფეროვნება, თეორიები, პარადიგმები და მიდგომები – თანამედროვე პოლიტოლოგიური მოძღვრების საერთო სურათს წარმოადგენს.

რიგ პოლიტიკოსთა აზრით, პოლიტიკის მრავალი თანამედროვე კონცეფცია **მარქსიზმის** უშუალო გავლენითა ან მასთან დაპირისპირებით იქნა ფორმულირებული.

მარქსისა და ენგელსის პოლიტიკური სწავლების კონცეფციები შემდეგ პოსტულატებზეა ბაზირებული:

- პოლიტიკური სფეროს ეკონომიკურ სფეროსთან მჭიდრო ურთიერთობა. პოლიტიკური სფერო კონკრეტული ბაზისის ზედნაშენს, ერთობლივად კი – წარმოებითი ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენს.

- პოლიტიკის ეკონომიკასთან და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებთან მიმართებაში პოლიტიკის შედარებითი დამოუკიდებელი და აქტიური როლი. პოლიტიკა ეკონომიკურ ურთიერთობათა არა მხოლოდ განსახიერებად, არამედ მისი ფორმირების მნიშვნელოვან ინსტრუმენტად გვევლინება.

- პოლიტიკა ეს არის კლასობრივი ბრძოლის შედეგი და ფორმა. კლასობრივ-ანტაგონისტურ საზოგადოებაში პოლიტიკა კლასებს შორის არსებული დაპირისპირების მოგვარებითაა დაკავებული, რომელთაც განსხვავებული და ხშირად ურთიერთსაპირისპირო კლასობრივი ინტერესები გააჩნიათ. ეს კლასობრივი ბრძოლის სხვადასხვა ფორმებში, მათ შორის სოციალურ რევოლუციებში გამოიხატება.

მარქსისტული კონცეფციის მიხედვით, არსებობს კაცობრიობის ისტორიაში არსებული კლასების განადგურებისაკენ მიმართული და უკლასო საზოგადოების შექმნის მოთხოვნილება. აქედან გამომდინარეობს პოზიცია სახელმწიფოსა და

ყველანაირი პოლიტიკის კვდომის შესახებ. კომუნისტურ საზოგადოებაში მიღწეულ უნდა იქნეს კერძო და საზოგადოებრივი ინტერესების ჰარმონიზაცია (Маркс К. Энгельс Ф. 1955. стр. 32-33).

პოლიტიკის მარქსისტული თეორია პოლიტიკური პროცესების სხვადასხვა სიღრმისეულ ფაქტორებსა და პოლიტიკური ქცევის მოტივებს აყალიბებს და პოლიტიკური თეორიის განვითარებაში მისი წვლილი ამაში გამოიხატება. ამავე დროს, მარქსიზმში ხშირად ხდებოდა სხვა გარკვეული პოლიტიკური აქტივობების, მათ შორის სოციალ-ფსიქოლოგიური, სოციო-კულტურული, სამართლებრივი, დემოგრაფიული და ბიოლოგიური ფაქტორების იგნორირება.

მარქსის იდეების ზეგავლენის შედეგად თანამედროვე დასავლურ პოლიტიკურ აზრში **სოციოლოგიური მიმართულება** იქმნება, რომელიც მთავარ აქცენტს სოციალურ ურთიერთობებთან პოლიტიკის კავშირების გამოვლენებაზე (გ. სპენსერი, ე. დიურკეიმი) აკეთებს. აქ ფართოდ გამოიყენება **შედარებითი ისტორიული** მეთოდი, რომელმაც შესაძლებლობა მოგვცა ახსნილ ყოფილიყო ხელისუფლების გადანაწილების სოციალური წინამძღვრები და პოლიტიკური რეჟიმებისა და ინსტიტუტების განვითარების ძირითადი ასპექტები.

ახალი ისტორიის პერიოდში, პოლიტიკაზე როგორც კლასობრივ ბრძოლაზე არსებულმა შეხედულებებმა თავისი გავლენა მოახდინა პოლიტიკის **კონფლიქტოლოგიური** მიმართულების განვითარების საქმეში (კ. შმიდტი, პ. დარენფორდი, ლ. კოზერი და სხვ.)

**სოციოლოგიურ** მიმართულებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია გერმანელ სოციოლოგ მაქს ვებერს (1864-1920). ვებერი თვლიდა, რომ პოლიტიკა – ეს არის საზოგადოებრივ ურთიერთობათა სფერო ხელისუფლების ან ხელისუფლების განაწილებაზე გავლენის მოხდენის შესახებ, მიუხედავად იმისა, ეს ურთიერთობა ხორციელდება სახელმწიფოებს შორის, თუ სახელმწიფოს შიგნით ადამიანთა გარკვეულ ჯგუფებს შორის. თუმცა, ვებერისეული მიდგომა მარქსისტულისაგან განსხვავდება, იგი თავის აქცენტს ახდენს პოლიტიკური განვითარების (ფასეულობები, მრწამსი, იდეალები და ა.შ.) სოციოკულტურულ ფაქტორებზე.

თავის მხრივ, ამერიკელმა პოლიტოლოგებმა ყურადღება გაამახვილეს სახელმწიფო მოღვაწეობის, სამთავრობო და სხვა პოლიტიკური ინსტიტუტების ფუნქციონირების **ემპირიულ** მიდგომაზე. ამ ტენდენციის ჩარჩოებში პოლიტიკური კვლევების **ბიპვეიორისტული** მიმართულებაა წარმოდგენილი. მისი ძირითადი არსი პოლიტიკურ პროცესებში დაინტერესებული ჯგუფების ქცევის გამოკვლევაში მდგომარეობს. ბიპვეიორიზმის თვალსაჩინო წამომადგენლებად გვევლინებიან გ. მერიამი და გ. ლასუელი.

ბიჰევიორიზმი განყენებული პოლიტიკური დოქტრინების მწვავე კრიტიკის ტალღაზე იქნა შექმნილი. მისი მიზანია ისტორიული რეალობის სამეცნიერო კვლევითი ველის გაფართოება და განვითარება.

ბიჰევიორისტ-მკვლევართა ინტერესთა სფეროში პირველ რიგში არაფორმალური, ხელისუფლების ჩრდილოვანი (დაფარული) სტრუქტურები აღმოჩნდნენ: მთავრობაზე ზეწოლის ჯგუფები, პროპაგანდისტური ცენტრები, მაფიოზური დაჯგუფებები.

მეთოდოლოგიური აგრეთვე გახდა *ემპირიული რელუქციონიზმის* პრინციპი, რომელიც ნეოპოზიტივიზმის ფილოსოფიიდან იქნა გადმოღებული და რომელიც სამეცნიერო ანალიზის საგნობრივი სფეროს ანალიზის საფუძველზე – ინდივიდთა პოლიტიკურ ქცევებზე ფაქტების შეგროვების შედეგად ყალიბდება.

ბიჰევიორიზმისა და პოზიტივიზმის კრიტიკამ ახალი მიმართულებების ფორმირებისაკენ მიგვიყვანა: **პოსტბიჰევიორიზმი და პოსტპოზიტივიზმი.**

პოსტბიჰევიორისტული თეორიის ფარგლებში ფორმირდება და ვითარდება პოლიტიკური კვლევების ისეთი ტიპები, როგორც **ფუნქციონალიზმი და სისტემური ანალიზი.**

ტ. პარსონსი, როგორც სტრუქტურული ფუნქციონალიზმის ფუძემდებელი, სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის კონცეპტუალური და თეორიული პრინციპების შემუშავების მომხრედ გვევლინება. თავისი მთავარი ყურადღება ამერიკელმა სოციოლოგმა პოლიტიკური სისტემების ფუნქციონირების ანალიზზე გაამახვილა, რადგანაც მის მიზანს ფუნქციონალური მიდგომის სისტემური გაერთიანება წარმოადგენდა. ფუნქციონალური ანალიზი - პოლიტიკურ მეცნიერებაში ერთ-ერთ თანამედროვე მიდგომას წარმოადგენს. ის ითვალისწინებს პოლიტიკური სისტემის ელემენტების ფუნქციონალური დამოკიდებულების შესწავლას, ხელისუფლების პოლიტიკური ინსტიტუტების, პოლიტიკური სუბიექტების მოთხოვნებთან მათი ქმედების (ფუნქციონირების) შესაბამისობას. იმის გამომზეურობას, თუ როგორ რეალიზდება მოთხოვნები ცვალებადი გარემოს სისტემასთან ადაპტაციის პერიოდში.

პოლიტიკური მეცნიერებაში ფუნქციონალურ ანალიზს ავითარებდნენ ამერიკელი მეცნიერები გ. ალმონდი და გ. პაუელი, რომლებმაც ანალიზის სამი პირობა შეიმუშავეს: სისტემა და გარემო; სისტემის შინაგანი ფუნქციონირება; მისი შენარჩუნება და ადაპტაცია.

**თეორიული პოლიტოლოგია** ასევე სისტემური ანალიზითაა წარმოდგენილი, რომლის საერთო კონცეფცია პოლიტიკურ მეცნიერებასთან მიმართებაში დ. ისტონმა შეიმუშავა.

სისტემური ანალიზის თვალსაზრისით, საზოგადოებრივი ცხოვრების პოლიტიკური სფერო არსებულ საზოგადოებაში გარკვეული სახით განსაზღვრული პოლიტიკური ურთიერთობების ერთობლიობას წარმოადგენს, რომლის შესაბამისადაც ფასეულობათა ნებაყოფლობითი გადანაწილება ხორციელდება. არსებული ერთობლიობა პოლიტიკურ სისტემას აყალიბებს, რომელიც მოცემულ სოციალურ გარემოში მოქმედებს და თავის თავში მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა სფეროებსაც (ეკონომიკური, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური), ასევე საგარეო სისტემებსაც.

სისტემური და ფუნქციონალური ანალიზის თეორიული მიდგომების ფარგლებში თანამედროვე დასავლურ პოლიტოლოგიაში გარკვეული კონცეპტუალური პარადიგმები (პრობლემის დასმისა და მათი გადაწყვეტის საერთო პრობლემები) იქნა ფორმულირებული. ესენია *კონფლიქტის, თანხმობისა და პლურალიზმის* პარადიგმები.

კონფლიქტის პარადიგმა პოლიტოლოგიის კონცეფციას პოლიტიკურ ურთიერთობათა წინააღმდეგობრივ ანალიზში განიხილავს. თანხმობის პარადიგმის მიზანია პოლიტიკური ძალების კონსოლიდაციის, კონსენსუსის, პოლიტიკური სისტემის სტაბილურობისა და შეთანხმების, დაპირისპირებულ მხარეებს შორის პრობლემათა აღმოფხვრის გზების ძიება.

პლურალიზმის პარადიგმა - უარყოფს რა კლასობრივ და სოციალურ დაპირისპირებას, საზოგადოებაში თანხმობის მიღწევის ძირითად პრინციპად გვევლინება.

სამივე პარადიგმა პოლიტიკური კვლევების მიზნობრივ ფაქტორებს სტრუქტურებისა და პროცესების შესწავლის მიზნით უზრუნველყოფს, რომელთაც პოლიტიკურ ინტეგრაციასა და პოლიტიკური სისტემების თანასწორობასთან საერთო ელემენტები გააჩნიათ.

დასავლურ სოციოლოგიაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს *ინსტიტუციონალიზმი* (სეიმურ მარტინ ლიფსეტი, ჩარლზ რობერტ მაილზი და სხვ.). მისი წარმომადგენლები ორგანიზაციის და პოლიტიკური და საზოგადოებრივი ცხოვრების რეგულირების მყარ ფორმებს შეისწავლიან. ძირითად ცნებას, რომელსაც აღნიშნული მიმართულებები იყენებენ, “პოლიტიკური ინსტიტუტი” წარმოადგენს, რომლის ქვეშ იგულისხმება გარკვეული პოლიტიკური მიზნებისათვის შექმნილი პოლიტიკური დაწესებულება, რომელსაც გააჩნია შიდა სტრუქტურა და რომელიც დაფუძნებულ წესებსა და საქმიანობის ნორმებს ექვემდებარება.

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებებში თვალსაჩინო ადგილი ელიტის თეორიას უკავია. ამ მოძღვრების თვალსაჩინო წარმომადგენელია იტალიელი ეკონომისტი და

სოციოლოგი ვილფრედო პარეტო (1848-1923), რომელსაც ეკუთვნის კიდევ ტერმინი “ელიტა”. პარეტო ცდილობდა საზოგადოებაში არსებული გაბატონებული ჯგუფების თვისებების გამოვლინებას და იმ პროცესების აღწერას, რომლის დროსაც კლასობრივ სტრუქტურაში შესაბამისი ცვლილებები ხორციელდება.

ბოლო ათწლეულების განმავლობაში მსოფლიო გავრცელება ჰპოვეს **ტექნოკრატიულმა თეორიებმა**. ტექნოკრატიული დოქტრინების ისტორიაში მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა ჯოზეფ ბარნჰემის (1905-1987) კონცეფციამ. მისი აზრით, რადიკალური ტექნოლოგიური პროცესების განვითარების შედეგად, პოლიტიკურ ძალაუფლებასა და სახელმწიფო მმართველობაში “რევოლუცია” განხორციელდა, რამაც საბოლოო ჯამში მენეჯერთა კლასის შექმნა გამოიწვია. სახელმწიფოსგან დამოუკიდებელი ეკონომიკა მეწარმეთა პოლიტიკური ბატონობის საფუძველს წარმოადგენს. ბარნჰემი ამტკიცებს, რომ სახელმწიფო სულ უფრო და უფრო ექცევა მენეჯერთა კონტროლის ქვეშ. მათი “კონტროლიორთა” საზოგადოებაში დაკავებული პოზიციების გამო, ისინი სულ უფრო ხშირად გადაიქცევიან პრივილიგიურულ კლასად. ბარნჰემის აზრით, მომავალში პლანეტაზე დამყარდება ერთიანი ტექნოკრატიული სახელმწიფო დირექტორ-ტექნოკრატთა კომიტეტის ხელმძღვანელობით (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 76).

ტექნოკრატიული იდეები სულ უფრო სცდებიან სოციალური დოქტრინის ჩარჩოებს და უერთდებიან სხვა წამყვან თეორიებს (კონვერგენცია, ელიტიზმი, პლურალისტური დემოკრატია და სხვ.).

რაც შეეხება **პოლიტიკურ ფსიქოანალიზს**, მის განვითარებაში გასული საუკუნის 30-იან წლებში საფუძვლიანი წვლილი შეიტანა აროლდ ლასუელმა (1902-1978). ლასუელის მეთოდოლოგიურ პოსტულატად განიხილება ზიგმუნდ ფრეიდის მტკიცება იმის შესახებ, რომ პოლიტიკური და სოციალური მოვლენების ფესვები ინდივიდუალური ფსიქიკიდან გამომდინარეობს, მათ შორის “არაცნობიერში”, რომელიც ადამიანის ცნობიერების მიღმა არსებობს. თავის ნაშრომში “ფსიქიკის ფსიქოპათოლოგია” (1930 წ.) მეცნიერი ამტკიცებდა, რომ პოლიტიკური ქმედებების მთავარი მიზეზები - თავისის ბუნებით არაცნობიერია და სექსუალურ ასპექტებს შეიცავს. თვითონ პოლიტიკური აქტორი შეიძლება ვერ ხვდებოდეს ამ მოტივების შესახებ, მაგრამ მეცნიერ-ფსიქოანალიტიკოსის ვალდებულებაა მათი გამოაშკარავება. ლასუელი თავის ნაშრომში ფსიქობიოგრაფიის მეთოდს იყენებს, რომელიც საშუალებას იძლევა ახსნილ იქნეს პოლიტიკური ქცევის გამომწვევი მოტივები. თვითონ გ. ლასუელი თავისი ნაშრომის აზრს იმაში ხედავს, რომ “ნაპოვნი იქნეს პიროვნების განვითარების ის გამოცდილება, რომელიც ნათლად განსაზღვრავდა ჯანსაღ პოლიტიკურ ხასიათსა და ინტერესებს”(Lasswell H.D. 1930. P. 1). პოლიტიკა განიხილება როგორც საბავშვო წყენების კომპენსაცია, შელახული თავმოყვარეობის,

შიშების, კონფლიქტების, შურის, ეჭვიანობის ფაქტორებად, რომლებიც მისი შემდგომი ქმედების განმსაზღვრელ მოტივებად გვევლინებიან. ის თვლიდა, რომ “ძალაუფლებისაკენ სწრაფვა – ეს არის სწრაფვა არასრულყოფილებიდან ძალაუფლებისაკენ”, რადგან “ძალაუფლება პატივისცემის დაბალი თვითშეფასების დაძლევაში ეხმარება” (Lasswell H.D. 1930. P. 65), რაც ბავშვობის პერიოდთანაა დაკავშირებული. ფსიქობიოგრაფიის მეთოდის მეშვეობით, ლასუელი ცდილობს პოლიტიკურ ლიდერთა გარკვეული დამოკიდებულებები მათი ხასიათის ფსიქოლოგიურ თავისებურებებში გამოააშკაროს. მას შემოაქვს განსაზღვრება, რომელიც ახასიათებს პროფესიონალი პოლიტიკოსის მომავალს და მას “ძალაუფლების მაძიებელს” უწოდებს. ლასუელის განსაზღვრების მიხედვით, “ძალაუფლების მაძიებელი” არის ის, ვინც თავის ცხოვრებას უძღვნის ისეთი თანამდებობების მოპოვებასა და გამოყენებაში, რაც მისცემს მას მართვის საშუალებას. პოლიტიკური ტიპის განსაზღვრის პროცესში, გ. ლასუელი საბაზისო თეზისიდან გამოდის: ძალაუფლების მსურველ სურვილი ბავშვობის დროს არსებული კონფლიქტებიდან გამომდინარეობს და ეს სწრაფვა ადამიანს თან ახლავს მთელი ცხოვრების განმავლობაში.

**საერთაშორისო ურთიერთობების თეორია** შემუშავებულ იქნა ისეთი წამყვანი ამერიკელი პოლიტოლოგების მიერ, როგორებიც არიან ჰანს მორგენტაუ, ნიკოლას სფაიქმენი, ზბიგნევ ბჟეჟინსკი და სხვ. ამ თეორიამ თავისი ასახვა ჰპოვა ინგლისელი გეოპოლიტიკოსის ჰელფორდ მაკინდერის, ფრანგი ფილოსოფოსის რაიმონდ არონის და სხვა წამყვან ევროპელ მეცნიერთა შრომებში (რონდელი ა. 2003. გვ. 5-8).

ამავე დროს, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თანამედროვე პოლიტიკური აზრი მხოლოდ ზემოაღნიშნული მიმართულებებითა და კონცეფციებით არ შემოიფარგლება.

## **თავი 15. ქართული პოლიტიკური აზრი**

### ***ქართული პოლიტიკური აზრის სათავეებთან***

საქართველოს სახელმწიფოებრიობას სამი ათას წელზე უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია. ერთის მხრივ, აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ხოლო მეორეს მხრივ, ჩრდილოეთისა და სამხრეთის გზასაყარზე მდებარე საქართველოს -შორეული წარსულიდან მჭიდრო დიპლომატიური და სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები ჰქონდა დამყარებული ევროპისა და წინა აზიის ქვეყნებთან, რაც ქართველი ხალხის პოლიტიკურ აზროვნებაში უშუალო ასახვას ჰპოულობდა.

ქართველი ერის ცნობიერების ჩამოყალიბებაზე განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა იმ ფაქტმა, რომ ჯერ კიდევ გვაროვნული ურთიერთობების საფეხურზე თანამედროვე საქართველოს ტერიტორიაზე სახელმწიფო წარმონაქმნები არებობდა.

ძველი წელთაღრიცხვით პირველი ათასწლეულის მეორე ნახევრის დამდეგს საქართველოს ტერიტორიაზე ორი დიდი პოლიტიკური ერთეული იქნა ჩამოყალიბებული – აღმოსავლეთ საქართველოში იბერია და დასავლეთ საქართველოში კოლხეთი.

მეფე ფარნავაზ პირველის მმართველობის პერიოდში, კერძოდ, ჩვენს წელთაღრიცხვამდე მეოთხე საუკუნის დასასრულს და მესამე საუკუნის მეორე ნახევარში საქართველოში ქართლისა და ეგრისის სამეფოები ფუნქციონირებდა. ორივე სამეფოში განვითარებული სახელმწიფო ინსტიტუტები არსებობდა, რაც თავის მხრივ განაპირობებდა მათ მჭიდრო კავშირს იმდროინდელი მსოფლიოს ცივილიზებულ სამყაროსთან. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სახელმწიფოს ფუნქციონირებისა და ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ მოვლენებთან დაკავშირებული საკითხები მუდამ იმყოფებოდა ქართველ მოაზროვნეთა ყურადღების ცენტრში. ეს გარემოება კი პოლიტიკური პრობლემატიკის საკმაოდ ფართო სპექტრსა და საკითხებს წარმოშობდა. ძველი ქართული სახელმწიფოები იმდროინდელ მსოფლიოში ცნობილი იყვნენ კულტურული და სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულებებით. ამ მხრივ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ კოლხეთის აკადემიაში, რომელიც მესამე და მეოთხე საუკუნეების განმავლობაში ფუნქციონირებდა, განათლებას იღებდნენ არა მხოლოდ ქართველები, არამედ უცხოელებიც, მათ შორის ბერძნებიც, ანუ იმ ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებმაც მთელ მსოფლიოს გამოჩენილი ფილოსოფოსები, მათემატიკოსები, პოლიტიკური მოაზროვნეები და სხვა სფეროს წარმომადგენლები “აჩუქეს”. კოლხეთის აკადემიის მდიდარ სამეცნიერო ტრადიციებზე აღზრდილმა ქართველმა სწავლულებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ანტიკური, ელინისტური, ადრინდელი შუა საუკუნეებისა და შემდგომი პერიოდის სამართლებრივ-პოლიტიკური აზრის გავრცელებაში. მათი საქმიანობის შედეგად, საქართველოში განვითარება ჰპოვა მძლავრმა ჰუმანისტურმა მოძრაობამ. შეიქმნა ნაყოფიერი ნიადაგი ქართული რენესანსისა და მისი იდეოლოგიისათვის, რომელიც თავის მხრივ გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს მდიდარ მატერიალურ და სულიერ წინამძღვრებს ემყარებოდა. ქართული რენესანსის ეპოქის სამეცნიერო წყაროებში ფართოდ არის გამოყენებული ძველი აღმოსავლეთის და ანტიკური ქვეყნების მოწინავე მოაზროვნეების, მათ შორის, სოკრატეს, პლატონის, არისტოტელეს, ლაო-ძის და სხვათა პროგრესული ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრებები, რომლებიც ხშირად გვხვდება რუსთაველის, შავთელის, ჩახრუხაძის,



პეტრე იბერის, იოანე პეტრიწის, არსენ იყალთოელის და სხვა ქართველ მოაზროვნეთა ნაწარმოებებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში.

იმდროინდელი მსოფლიოს ინტელექტუალური ელიტის უშუალო ზეგავლენის შედეგად, ქართული რენესანსის ეპოქაში არსებულ ისტორიულ დოკუმენტებში უხვადაა წარმოდგენილი საქართველოს სინამდვილის შესაბამისად ჩამოყალიბებული და ორიგინალურად გადამუშავებული შეხედულებები სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების, პოლიტიკური პროცესების რეგულირების, სწორი სამართლებრივი პოლიტიკის გატარებისა და სხვა საკითხებზე. საქართველოში რენესანსის პერიოდმა კი იმდენად აამაღლა და გაამდიდრა ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრება, რომ ჰუმანისტური მოძრაობის შედეგად მიღწეული დონე დიდხანს, საქართველოს ცალკეულ ფეოდალურ სამეფო-სამთავროებად დაშლის დროსაც კი არ დაქვეითებულა.

ზემოაღნიშნულის შედეგი გახლავთ ის ფაქტი, რომ XIX საუკუნის ქართული ინტელიგენციის მოწინავე წარმომადგენლები, რომლებმაც საფუძვლიანად შეისწავლეს დასავლეთ ევროპის ფილოსოფიურ-პოლიტიკური მოძღვრებები, საქართველოში ავრცელებდნენ სპინოზას, ვოლტერის, რუსოს, მონტესკიეს და სხვათა მიერ წარმოდგენილ კონცეფციებს. ქართველი განმანათლებლები ამუშავებდნენ, თარგმნიდნენ და პოპულარიზაციას უწევდნენ წამყვანი ევროპელი მეცნიერების ნაწარმოებებს, მათში გადმოცემული იდეების საფუძველზე აყალიბებდნენ საქართველოს რეალობის შესაბამის თეორიებს.

ქართული პოლიტიკური აზრის აღმოცენებისა და განვითარების გენეზისი ადასტურებს, რომ იგი ვითარდებოდა თანმიმდევრულად, იმ ისტორიული პროცესების შესაბამისად, რომელშიც ქვეყანა და მთლიანად მსოფლიო იმყოფებოდა.

საქართველოს ტერიტორიაზე არსებული პოლიტიკური აზროვნების ადრეულ საფეხურს ქართული მითოლოგია წარმოადგენს. ამ ეტაპზე ერთმანეთშია არეული რეალური მოვლენები და მითები. ადამიანი წარმოსახვით, ფანტაზიით ერკვევა არსებულ გარემოებებში.

ამის ერთ-ერთი მაგალითი გახლავთ მითი ამირანის შესახებ, რომლის მიხედვითაც ამირანი ებრძვის ღმერთს, რის საბოლოო მიზანსაც ადამიანებისათვის ბედნიერების მოტანა წარმოადგენს. ქართული მითოლოგიური გმირის ბრძოლა ზეცის წინააღმდეგ საკაცობრიო ინტერესების მატარებელია. სწორედ ცეცხლის გამოგონებამ და მისმა გამოყენებამ გადაიყვანა ადამიანი ცივილიზაციის ახალ ეტაპზე. უკვე შემდგომ ეტაპებთანაა დაკავშირებული ბრინჯაოს და ფოლადის გამოღობა, შრომის იარაღების შექმნა, მიწათმოქმედებასა და მემცენარეობაზე გადასვლა და საერთო ჯამში, ცივილიზაციის ეპოქაზე გადასვლა.

ქართული პოლიტიკური აზროვნების განვითარებაში მნიშვნელოვან პერიოდს აღრეფეოდალური ხანა (იგი საქართველოში IV საუკუნიდან იწყება და X საუკუნის ბოლომდე გრძელდება) წარმოადგენს. სწორედ ამ პერიოდში, კერძოდ 337 წელს, ქრისტიანობა ქართლში სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა, განხორციელდა ცვლილებები სახელმწიფო-პოლიტიკური მმართველობის სისტემაში, რისი ერთ-ერთი დამადასტურებელი გახლდათ გარკვეული დროის მონაკვეთში მონარქიის გაუქმება და ერისმთავრის ინსტიტუტის წარმოქმნა, ხოლო მოგვიანებით კი ახალი სამეფო-სამთავრობოების წარმოშობა და ბრძოლა საქართველოში ცენტრალიზირებული სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით.

ჯერ ქართლში, ხოლო შემდგომში თანამედროვე საქართველოს სხვა რეგიონებში ქრისტიანობის გავრცელებას სულიერი და პოლიტიკური დანიშნულება გააჩნდა. ახალი რელიგიის მიერ სულის პერსონალური უკვდავების იდეა იყო წარმოდგენილი. ქრისტიანობა ემსახურებოდა მონათმფლობელური სისტემის გაუქმებას და ახალი საზოგადოებისათვის ფეოდალური ურთიერთობების დამკვიდრებას. როგორც დიდი ილია აღნიშნავდა, ქრისტიანობამ შეაკავშირა საქართველო. “იგი ქრისტეს მოძღვრების გარდა, ჩვენში ნიშნავდა მთელი საქართველოს მიწა-წყალს, ნიშნავდა ქართველობას” (შუბითიძე ვ. ფერაძე ვ. 2005. გვ. 61).

ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება გარკვეულწილად ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ პრიორიტეტებთანაც იყო დაკავშირებული. მაგალითად, კოლხეთი, ხოლო შემდგომში ეგრისის სამეფო ჯერ რომის, ხოლო შემდგომში ბიზანტიის გავლენას განიცდიდა, რაც მისი გეოგრაფიული მდებარეობით იყო განპირობებული. აღმოსავლეთ საქართველოს კი თავისი არჩევანი უნდა გაეკეთებინა ქრისტიანულ ბიზანტიასა და სპარსულ ზოროასტრიზმს შორის. ერთის მხრივ, საგარეო ორიენტაცია განპირობებული იყო ჯერ რომის, ხოლო შემდგომში ბიზანტიის იმპერიის კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური გავლენის არსებობით, რაც კონკრეტული ისტორიული ვითარებიდან გამომდინარე მეტნაკლებად გამწვავებულ ხასიათს იღებდა. შეიძლება ითქვას, რომ განვითარების ამ ეტაპზე ქართული პოლიტიკური აზროვნების ორი ძირითადი ხაზი განპირობებული იყო ერთ შემთხვევაში ეკონომიკურ-პრაქტიკული ინტერესებით (კოლხეთი), ხოლო მეორე შემთხვევაში პოლიტიკური რეალობების (საორიენტაციო ინტერესებიდან გამომდინარე) გათვალისწინების შედეგად მიღებული ქრისტიანობის დაცვა-განმტკიცებით (იბერია). პოლიტიკურ ორიენტაციათა საერთო-საგანმანათლებლო საფუძველს წარმოადგენდა საეკლესიო თეოლოგია და ანტიკური ფილოსოფია, ამას ადასტურებს კოლხეთის აკადემიის საქმიანობა. პოლიტიკური მოძღვრების თეორიული და პრაქტიკული ასპექტების დაახლოების იდეა თანდათან განვითარებას პოულობდა. ამაზე ნათლად მეტყველებს მე-6 საუკუნის მეორე ნახევარში კოლხეთის სამეფოს საგარეო ორიენტაციასა და პოლიტიკური ინსტიტუტების საკითხებზე

გამართული მწვავე დებატები, რომელიც ორ ქართველ მოაზროვნეს, აიეტსა და ფარტაძის შორის გაიმართა. 554 წ. კოლხეთის მოკავშირე ბიზანტიელების მიერ კოლხეთის მეფის - გუბაზის მკვლელობა, სახალხო კრების მოწვევის საბაბი გახდა. კრების მონაწილეებმა განიხილეს ქვეყნის საგარეო პოლიტიკის გადასინჯვის საკითხი და გამოითქვა ორი საპირისპირო მოსაზრება-აიეტის და ფარტაძის მხრიდან.

აიეტი კოლხეთის წარჩინებულთა წარმომადგენელი იყო. მისი აზრით, ბიზანტიის სახელმწიფო თავისი ქმედებებით თელავდა კოლხეთის სახელმწიფოს სუვერენიტეტს. ამიტომ იგი სპარსელების მხარეზე გადასვლას მოითხოვდა. სახელმწიფო, ამტკიცებდა აიეტი, “ადამიანების მიერ შექმნილი რთული დაწესებულებაა, რომლის მიზანია ადამიანთა ბედნიერი ცხოვრების უზრუნველყოფა. ამ მიზანს სახელმწიფო უშუალოდ უნდა ახორციელებდეს” (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 32). აიეტის აზრით, “იდეალური ის სახელმწიფოა, რომელსაც მეზობელი ქვეყნები ანგარიშს უწევენ, რომელიც საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში დამოუკიდებელ პოლიტიკურ კურსს ახორციელებს და საკუთარი სახელმწიფოებრიობის სარეალიზაციოდ მას არ სჭირდება უცხო გარეშე ძალების გამოყენება. ყველა პოლიტიკური მოღვაწის მიზანია იმდენად ძლიერი გახადოს სახელმწიფო, რომ მას ყოველთვის საკუთარი თავის იმედი ჰქონდეს. მაგრამ სახელმწიფოს ბედს მარტო პოლიტიკურ მოღვაწეთა ნიჭი, გამოცდილება, უნარი და ცოდნა არ განსაზღვრავს”, მიუთითებდა აიეტი და განმარტავდა: “სახელმწიფოთა განვითარების კანონზომიერება ხშირად ემყარება ჟამთა ტრიალს, ბედის უკუღმართობას ან ორივეს ერთად”(შუბითიძე ვ. ფერაძე ვ. 2005. გვ. 62). ის, რომ აიეტი სახელმწიფოსა და სხვა სოციალური მოვლენების განმსაზღვრელად ჟამთა ტრიალს ან ბედის უკუღმართობას და სხვა მიზეზებს ასახელებს, არ ნიშნავს მის მიერ ღმერთის სრულ იგნორირებას. აიეტი იმასაც აღნიშნავდა, რომ ყველაფრის განმგებელი იყო ღმერთი. სწორედ იგი ანიჭებდა ადამიანებს ინტელექტსა და გონიერი აზროვნების უნარს და დახმარებას უწევდა მათ ძნელბედობის ჟამს. “ვინც უზენაესის ნებას არ მისდევს, ღმერთი მათ ურისხდება და პირიქით, გონივრული მოქმედება, უზენაესსაც სიამოვნებს” (შუბითიძე ვ. ფერაძე ვ. 2005. გვ. 61) – აღნიშნავს აიეტი.

მეტად საინტერესოა აიეტის შეხედულებები თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოს პრობლემებზე. მისი აზრით, დამოუკიდებელი და ძლიერი სახელმწიფო შეურიგებელი უნდა იყოს ყველა იმ უკანონობის მიმართ, რომელიც ლახავს ხალხის ღირსებას. საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ ჩადენილი დანაშაული სახელმწიფომ არასდროს არ უნდა დატოვოს უყურადღებოდ, თუ მის რეალურ მიზანს ქვეშევრდომთა უსაფრთხო ცხოვრება წარმოადგენს.

კოლხი მოაზროვნის შეხედულებებში ნათლად ჩანს საზოგადოებაში ჩამოყალიბებული ადათ-წესების პატივისცემა, თუმცა თავის მხრივ, ისინი არ

გამორიცხავდნენ გაკვეთილი სიახლეების მხარდაჭერას, თუ ამ სიახლეების დანერგვა საზოგადოების ფართო ფენების ინტერესებს ემთხვევა.

აიეტის თანამედროვე, დიდ სწავლულსა და ორატორს – ფარტაძეს (ფარტაძი) განსხვავებული მოსაზრება გააჩნდა ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტისა და სპარსელების მხარეზე გადასვლის შესახებ. ფარტაძე საკუთარ არგუმენტს იმით ასაბუთებდა, რომ სპარსელები ქრისტიანობის მტრები იყვნენ, ბიზანტიელები-მართლმორწმუნენი. აქედან გამომდინარე, მისი აზრით, კოლხეთის სახელმწიფოსათვის მიუღებელი იქნებოდა ქრისტიანობის ღალატი და წმინდა სარწმუნოების მტრების მხარეზე გადასვლა, რითიც შეიბღალებოდა “მართლმორწმუნეობა და წმინდა საიდუმლოთა უმწიკვლობა” (შუბითიძე ვ. ფერაძე ვ. 2005. გვ. 63). ფარტაძის აზრით, ქვეყნის ეროვნული ინტერესებისათვის შესაფერისი საუკეთესო გადაწყვეტილება მხოლოდ საყოველთაო განხილვის გზით შეიძლებოდა ყოფილიყო მიღებული. კოლხეთის სახელმწიფოში დაფუძნებულ სახალხო კრებას გადამწყვეტი როლი უნდა შეესრულებინა არსებული პოლიტიკური ვითარების შეცვლაში. აიეტის პოზიცია კი, ბიზანტიასთან კავშირის გაწყვეტის შესახებ, ქართული სახელმწიფოსა და საზოგადოების ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. შექმნილ რთულ ვითარებაში, არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, ფარტაძემ წინა პლანზე ორი უმთავრესი – სარგებლიანობისა და უკეთესობის პრინციპი წარმოადგინა, რომლის საფუძველზეც მან მოკავშირის არჩევასთან დაკავშირებით საკუთარი პოზიციის შემდეგნაირი ფორმულირება მოახდინა: “თავდაცვის მიზნით სუვერენიტეტის შეზღუდვა, როგორც უმცირესი ბოროტება” (შუბითიძე ვ. ფერაძე ვ. 2005. გვ. 63). ამ შემთხვევაში, ფარტაძე პოლიტიკური რეალიზმის მიმდევრად გვევლინება.

ქართულ რელიგიურ-ფილოსოფიურ აზროვნებაში დიდი მნიშვნელობა შეიძინა ქრისტეს ორი ბუნების – ღვთაებრივისა და ადამიანურობის შესახებ პრობლემის განხილვამ. რომელია განმსაზღვრელი – მიწა თუ ზეცა, კაცი თუ ღმერთი? ეს გახლდათ ის კითხვა, რომლის პასუხიც განაპირობებდა იმდროინდელი ქართული სამეფოების პოლიტიკური აზრის ხასიათს. ამ საკითხის გარკვევაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა იმ ეპოქის ქართული აზროვნების კანონმდებელმა - პეტრე იბერმა.

პეტრე იბერის სახით ქართული რელიგიურ-ფილოსოფიური მიმდინარეობის პროგრესული ფრთა დაინტერესებული იყო არა იმდენად ღმერთის განკაცებით, რამდენადაც კაცის გაღმერთებით, ადამიანის ღმერთთან გათანასწორობით. ამ პრობლემის პოლიტიკური დატვირთვა უშუალოდ უკავშირდება ერთისა და სიმრავლის პრობლემას.

პეტრე იბერი, რომელსაც, თანამედროვენი, მოწაფეები და ბიოგრაფები “მეორე მოსეს” უწოდებდნენ, ერთისა და სიმრავლის განუყრელობის იდეას ქადაგებდა. იგი

ერთდროულად მონოფიზიტიცაა (ქრისტეს ერთბუნებიანობის-ღვთაებრიობის რწმენა), რამდენადაც ყველაფერი ერთადერთზე, ღმერთზე დაჰყავდა და დიოფიზიტიც (ქრისტეს ორბუნებიანობა-ღვთაებრიობა და ადამიანობა), რამდენადაც ღმერთში (ერთში) ხედავდა ადამიანურ მსოფლიოს. პეტრე იბერის თანახმად: “არ არის ერთი, სიმრავლის გარეშე და პირიქით, სიმრავლე ერთის გარეშე”(პეტრე იბერი. 2012. გვ. 50-51).

აღნიშნული პრობლემის თეორიული დამუშავებით პეტრე იბერმა ნიდაგი მოამზადა იოანე პეტრიწის მიერ ამ საკითხის კლასიკური განხილვისათვის.

VII-VIII საუკუნეების მიჯნიდან XI საუკუნემდე პერიოდი ქართული აზროვნების ისტორიაში სქოლასტიკის პერიოდად არის ცნობილი. საქართველოს ისტორიის დროის ამ მონაკვეთში პოლიტიკური აზროვნების თავისებურებანი არსებითად განისაზღვრებოდა ერთის მხრივ, ქვეყნის შიგნით სოციალური ბრძოლის გამძაფრებით და მეორეს მხრივ, არაბთა სახალიფოს მიერ საქართველოს ტერიტორიის დიდი ნაწილის დაპყრობით.

ამ დროის პოლიტიკური ცნობიერების არსებითი დამახასიათებელი ნიშანია საერო და სასულიერო ხელისუფლების დაახლოება, რის შედეგადაც X საუკუნის დასასრულისათვის საქართველომ ერთგვარ ეროვნულ და სახელმწიფოებრივ კონსოლიდაციას მიაღწია. პოლიტიკური ყოფიერება წარმოდგენილი იყო ოთხი ძირითადი სოციალური კლასით: მდაბიონი და სოფლის მუშაკნი, დიდაზნაურნი, ეკლესია და ინტელექტუალური ელიტა.

შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული პერიოდში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები ამ ოთხი მებრძოლი ძალის პარტიულ-იდეოლოგიური ცნობიერების გამოხატვას წარმოადგენდა. უმთავრეს თეორიულ იდეას “ერთმმართველობისათვის ბრძოლა” წარმოადგენს.

ერთმმართველობის თეორიული იდეის არსი იმაში გამოიხატება, რომ იერარქიულად განლაგებულ სოციალურ ფენებს სათავეში ერთი საწყისი ჰყავს. ამ საწყისის ბუნების გაგება კაცობრიობის პოლიტიკური აზროვნების უმნიშვნელოვანესი თეორიული პრობლემაა.

იმდროინდელ პერიოდში იგი ძირითადად აბსოლუტიზირებული იყო (მაგ: ბიზანტიის იმპერიაში). საქართველოში ერთმმართველობის როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ გაგებაში აისახა იმ ეპოქის ქართული ყოფიერების თავისებურებანი.

ერთმმართველობის სახელმწიფო სისტემის პრაქტიკაში დანერგვა დაით IV აღმაშენებელმა განახორციელა, რაც მნიშვნელოვანწილად განპირობებული იყო მისი პიროვნული თვისებებით. დავითის პოლიტიკური მოღვაწეობა ძალისა და

სამართლიანობის, სამართლიანობისა და ძალის ერთიანობას წარმოადგენდა. სამართლიანობა იცავს ძალას დესპოტიზმისაგან, ხოლო ძალა იცავს სამართლიანობას ხელისუფლებითი პარტიკულარიზმისაგან.

### *დავით აღმაშენებელი (1089-1125) – უდიდესი ქართველი პოლიტიკოსი და მოაზროვნე*

საქართველოს უდიდესი პოლიტიკური მოღვაწე და მეფე დავით IV აღმაშენებელი ქვეყნის სახელმწიფოს მეთაური გახლდათ იმ პერიოდში, როდესაც კიევის რუსეთში ვლადიმერ მონომახი (1113-1125) ყველანაირი საშუალებით ცდილობდა ფეოდალური დაშლის შეჩერებას; ბიზანტიაში ალექსი კომნენოსის (1081-1112) მმართველობის პერიოდში სახელმწიფო ინსტიტუტების დასუსტებას ჰქონდა ადგილი; ინგლისში ჰენრი I-ის ცდას ძლიერი ცენტრალიზირებული სახელმწიფოს შექმნის მიმართულებით შესაბამისი შედეგი არ მოჰყოლია; გერმანიაში ჰენრი V (1106-1125) – ძლიერი სახელმწიფო ხელისუფლების შექმნისათვის ბრძოლაში მსხვილ ფეოდალთა მხრიდან დამარცხებული – იძულებული ხდება 1112 წელს კომპრომისული ხელშეკრულება გააფორმოს რომის პაპთან, ხოლო საფრანგეთში ჯერ კიდევ ფეოდალური შინააშლილობის მძიმე პერიოდი ბატონობს. მეფე ლუი VI (1108-1137) რომელიც ქვეყნის მმართველობას დამოუკიდებლად ვერ ახორციელებს, იძულებული ხდება სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დელეგირება მოახდინოს მის ფაქტიურ თანამმართველთან, აბატ სუგერთან და ამ კომპრომისის შედეგად მხოლოდ იმას ახერხებს, რომ კონტროლს ამყარებს რამდენიმე ფეოდალურ სამფლობელოში (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 156).

დიდი ქართველი მეფის, დავით აღმაშენებლის პოლიტიკურ შეხედულებებზე წარმოდგენას იძლევა მის მიერვე დაწერილი “გალობანი სინანულისანი”, აგრეთვე უცნობი ავტორის თხზულება “ცხოვრება მეფეთ-მეფე დავითისი”, 1103 წლის რუის-ურბნისის კრების მიერ მიღებული დადგენილება, 1123 წელს შიო-მღვიმის მონასტრისადმი ბოძებული ანდერძი და 1125 წელს გარდაცვალების წინ მემკვიდრეებისადმი დატოვებული ანდერძი.

დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებული ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური რეფორმები ცხადად მოწმობენ, რომ იგი იყო ეპოქის როგორც უძლიერესი სახელმწიფო მმართველი, ასევე დიდი თეორეტიკოსი და მოაზროვნე.

ქართველი მონარქი ერთ-ერთი პირველთაგანია შუა საუკუნეებში, რომელმაც უდიდესი წვლილი შეიტანა ფეოდალიზმის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემის სრულყოფის საქმეში, მტკიცედ ჩამოაყალიბა რა XI-XII საუკუნეების საქართველოში ფეოდალიზმის ეპოქის საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის თითქმის უცნობი ფორმა – აბსოლუტიზმი და მეცნიერულად

დაასაბუთა აღნიშნული სახელმწიფო მმართველობის, როგორც ახალი პოლიტიკური სისტემის უპირატესობა ფეოდალურ დაქუცმაცებულობასთან შედარებით.

მართლმადიდებელ მორწმუნე მეფეს ღრმად სწამს, რომ ღმერთის ნება განსაზღვრავს საზოგადოების განვითარების კანონზომიერებას, უზენაესის ინიციატივით ხორციელდება სამეფო ტახტზე მეფეთა ასვლა და სახელმწიფოთა დამხობა, ღმერთი ანიჭებს კონკრეტული ქვეყნის ჯარს მტერზე გამარჯვების შესაძლებლობას. დავით აღმაშენებელს სრულად აქვს გათვითცნობიერებული ის ფაქტი, რომ სამეფო ხელისუფლების განხორციელებისას იგი ღვთაებრივი ძალის თანაგრძნობითა და წყალობით სარგებლობს, თუმცა, რადგან შუა საუკუნეების რელიგიურ-სქოლასტიკური მოძღვრების მიხედვით ყველა ადამიანი ცოდვილია, დავით აღმაშენებელსაც არ მიაჩნია თავი უცოდველად.

დავით IV, როგორც ძლიერი ცენტრალიზებული სახელმწიფოებრივი ხელისუფლების იდეოლოგი, ფეოდალური შინააშლილობის დაძლევის, ქვეყნის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მოქმედი სხვადასხვა მსხვილი ფეოდალის დამარცხებისა და სამეფო ხელისუფლების ავტორიტეტის ამაღლების მიზნით, თავის ზოგად-საკაცობრიო და ზოგად-ფილოსოფიური მსოფლმხედველობის განმსაზღვრელ ფაქტორებს მოხერხებულად იყენებს სახელმწიფო ხელისუფლების წარმოშობის ასახსნელად. მისი პოზიციის მიხედვით, სამეფო ხელისუფლება ღვთაებრივი წარმოშობისაა, ღმერთი ანიჭებს უფლებას მეფეებს განახორციელონ სახელმწიფოთა მართვა-გამგეობა და ამავე დროს, მონარქი, ამქვეყნიური გამგებელია, რომელსაც სახელმწიფოში ყველა პიროვნება უნდა დაემორჩილოს.

ამავე დროს, ეკლესია-მონასტრები – როგორც სასულიერო ფასეულობათა კერები, წარმოადგენენ შუამავლებს ღმერთსა და ქვეშევრდომებს შორის, მაგრამ ქართველი მეფის აზრით, ეს სრულებითაც არ ნიშნავს რომ სასულიერო ხელისუფლებას საერო ხელისუფლებაზე რაიმე უპირატესობა გააჩნია. პირიქით, ხელისუფლება, როგორც ღმერთის ნების გამტარებელი, რიგ შემთხვევებში ვალდებულია ჩაერიოს საეკლესიო ხელისუფლების საქმეში და ღმერთის ნების შესაბამისად მოაწესრიგოს იგი, თუ ეს სამეფოს ინტერესებს შეესაბამება. დავით აღმაშენებელი ქვეყნის პოლიტიკური ხელისუფლების ძლიერებაზე საუბრობს იმ დროს, როდესაც დასავლეთ ევროპაში რომის პაპებმა იმპერატორებიც კი დაიმორჩილეს. როგორც საქართველოს ისტორიდანაა ცნობილი, დავით აღმაშენებელმა 1103 წელს რუის-ურბნისის საეკლესიო კრების მოწვევით, მიზნად დაისახა და განახორციელა თურქ-სელჩუკთა ბატონობითა და ფეოდალური დაქუცმაცებულობის შედეგად გამოწვეული შერყეული ზნეობის აღდგენა და გარდა ამისა, მწიგნობართ-უხუცესის და ჭყონდიდელის თანამდებობის გაერთიანებით, პრაქტიკულად განახორციელა საერო ხელისუფლებისადმი საეკლესიო ხელისუფლების დაქვემდებარება.

დავით აღმაშენებელი სამეფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში აბსოლუტიზმის იდეებით (ერთმმართველობის იდეით) ხელმძღვანელობს. მისი მმართველობის პერიოდში სამეფო ხელისუფლება აქტიურად ერევა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგში, განსაზღვრავს დაწესებულებისა და ორგანიზაციის საქმიანობის ძირითად პრიორიტეტებს. დავითის ისტორიკოსი, ანალიზებს რა დავით IV-ის შეუზღუდავი აბსოლუტური ხელისუფლების ჩარევას საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, აღნიშნავს: “რაოდენ ვინ აღმოუწყუნდეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოსა, რომელთა შინა ვერვინ ძველთა და ახალთაგან მეფეთა ემსგავსა”, ე.ი. სამეფო ხელისუფლების მოვალეობანი უფსკრულსა ჰგავს და ვინ უგუნური იქნება, ამ უფსკრულის ძირი იპოვოს და სიდრმე გაზომოსო (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 158). დავითის თანამედროვე აღწერს მეფის უმძიმეს ტვირთს და ყოველდღიურ საქმიანობას, რისი შედეგიც გახლავთ საქართველოს აღმაშენებლობა: “ვინ აღრაცხნეს, რაოდენნი საქმენი ეთხოვებიან მეფობასა, რაოდენნი მართებანი და განსაგებელნი, კიდეთა პყრობანი, ნაპირთა ჭირვანი, განხეთქილებათა კრძალვანი, სამეფოსა წყნარებისა ღონენი, ლაშქრობათა მეცადინეობანი, მთავართა ზაკვისა ცნობანი, მხედართა განწესებანი, საერონი შიშნი, სახელთა და საბჭოთა სჯანი, საჭურველთა შემოსავალნი, მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, მეძღვენეთა ჯეროვანნი მისაგებელნი, მოციქულთა შემთხვევანი და პასუხნი, შემცოდეთა წყალობითნი წვრთნანი, მსახურებელთა ნიჭმრავლობანი, მოჩივართა მართალი გამოძიებანი, მოსაკითხავთა შესატყვისი მოკითხვანი, სპათა დაწყობანი და ღონიერნი მიმართებანი. და რაოდენნი ვინ აღმოწყუნეს სიტყვითა უფსკრულისაგან სამეფოთა საქმესათა რომელთა შინა, ვერვინ ძველთა და ახალთაგან მეფესა ემსგავსა, ვითარცა საქმენი წამებენ მზისა შარავანდედთა უბრწყინვალესნი და ცხადნი, რომელთა სიბრძნითა თვისითა ქმნნა“ (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 158).

ცენტრალიზებული სამეფო ხელისუფლების მიერ მნიშვნელოვანი ძალაუფლების ფლობასა და საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა დარგებში მისი ჩარევის შესაძლებლობას დავითის მემატინე უძირო უფსკრულს ადარებს და ამ შესანიშნავი მხატვრული შედარებით მოკლედ და ლაკონურად ახასიათებს აბსოლუტური სამეფო ხელისუფლების პოლიტიკურ მოძღვრებას, რომელიც დასავლეთ ევროპის რიგ წამყვან სახელმწიფოებში მხოლოდ რამდენიმე საუკუნის შემდეგ იქნა განხორციელებული.

როგორც უკვე აღინიშნა, აბსოლუტიზმისა და ცენტრალიზმის იდეების სრული განვითარება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი პრაქტიკული დანერგვა დავით აღმაშენებლის მმართველობის პერიოდში იქნა განვითარებული. აბსოლუტიზმის პოლიტიკური მოძღვრება გაერთიანებული ქართული სამეფოს ინიციატივით შექმნილ მრავალეროვან სახელმწიფოში მხოლოდ საქართველოს პოლიტიკური და სოციალ-



ეკონომიკური განვითარების ადრინდელი რენესანსის პერიოდის დროს არსებული პოლიტიკური გარემოებებით უნდა აიხსნას. ჰუმანიზმი და კაცთმოყვარეობა, რწულშემწყნარებლობა და სხვა ერებისა და კულტურებისადმი პატივისცემა, წინანდელი ეპოქების სხვა ცნობილ სახელმწიფო მოღვაწეთა და მხედარმთავართა გამოცდილების გათვალისწინება სახელმწიფოებრივი პოლიტიკის განხორციელების პროცესში, სხვადასხვა პოლიტიკურ-რელიგიური და ფილოსოფიურ მეცნიერებათა წარმომადგენელთაგან სწავლულთა რაზმის შექმნა, ქვეყანაში განათლებისა და კულტურის დანერგვა, სახელმწიფოში სტაბილურობის უზრუნველყოფა და ხელისუფლების პასუხისმგებლობის ამადლება, ეროვნული შეგნების ჩამოყალიბება და საგარეო და საშინაო პოლიტიკის განხორციელებისას ეროვნულ, პატრიოტულ ძალებზე დაყრდნობა, გვაროვნული და წოდებრივი წარმოშობის უარყოფა, ნიჭისა და პირადი უნარის მიხედვით ადამიანთა დაწინაურება, რეალიზმი პოლიტიკაში, ეს გახლავთ ყველა ის ძირითადი მახასიათებლები, რითაც ხელმძღვანელობდა დავით აღმაშენებელი განათლებული აბსოლუტიზმის იდეებზე მრავალეთნიკური და მრავალკონფესიური სახელმწიფოს მართვის განხორციელებისას (ვ. შუბითიძე, 2009. გვ. 93-95).

დავით IV-ის აზრით, სახელმწიფო მმართველობის საუკეთესო ფორმას მონარქია წარმოადგენს, თუმცა გენიალურ ქართველ მეფეს შესწავლილი აქვს ფეოდალური სახელმწიფოს სხვა ფორმებსაც - ტირანია და რესპუბლიკა. მონარქი დარწმუნებულია, რომ იმ დიადი ისტორიული მისიის შესრულება, რომელიც უფალმა საქართველოს დააკისრა - კავკასიის ხალხთა განთავისუფლება უცხოელ მოძალადეთა ბატონობისაგან და მრავალეროვანი ცენტრალიზებული სახელმწიფოს შექმნა - შესაძლებელია მხოლოდ აბსოლუტური მონარქიის პირობებში. სწორედ ეს გახლავთ იმის ძირითადი მიზეზი, რომ იგი ვერ ეგუება თავის სახელმწიფოში რესპუბლიკურ პრინციპებზე დაფუძნებულ ფეოდალურ ქალაქებს (მაგალითად თბილისის საამირო) და მათთან შეუპოვარ ბრძოლას აწარმოებს. მაგალითად, თბილისის განთავისუფლებამდე თავისი არსებობის უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, საქართველოს დედაქალაქში ჯაფარიდების დინასტიის მმართველობის ქვეშ რესპუბლიკური წყობილება არსებობდა. აღფრთოვანებას იწვევს დავითის წინდახედულობა და პოლიტიკური რეალიზმი. სწორედ დავითისა და მისი პოლიტიკური გუნდის დიპლომატიური ნიჭის გამოვლინება გახლდათ ის საოცარი ფაქტი, რომ ევროპის რელიგიურ აღტკინებაში - ჯვაროსანთა ომებში დავითმა და მისმა მემკვიდრეებმა მონაწილეობა არ მიიღეს და სომხეთით თავი სასაკლავოზე არ მიიტანეს. შედეგიც მალე გამოჩნდა, სომხური სახელმწიფოებრიობა დიდი ხნით გაუქმდა, საქართველო კი გადარჩა. ქართველობა და კერძოდ დავით აღმაშენებელი კარგად აცნობიერებდა, რომ ევროპელები ადრე თუ გვიან შინ დაბრუნდებოდნენ (ასეც მოხდა), საქართველო კი მარტო დარჩებოდა პირისპირ მაჰმადიანთა მტრულ გარემოცვასთან.

დავით აღმაშენებელს საკუთარი ნათელი შეხედულებები გააჩნია მმართველსა და მეფეზე. მისი აზრით, მონარქი უნდა იყოს განათლებული, ჰუმანისტი, მართლმსაჯული, ქველმოქმედი და ქვეშევრდომთა მოწყაღე. განათლებული აბსოლუტიზმის ამ პრინციპებზე დაფუძნებით დავით აღმაშენებელი უდიდესი ბერძენი ფილოსოფოსის, არისტოტელეს მსგავსად, მონარქიას ტირანიისაგან ანსხვავებს. დავითის აზრით, ტირანთა გულქვაობა, სისასტიკე, სიხარბე, შეუბრალებლობა და ძალადობა აკნინებს სამეფო ხელისუფლების ღვთაებრივი წარმოშობის პრინციპს და სწორედ ამიტომ, ღმერთი ტირანებსა და მათი პოლიტიკის გამზიარებლებს, ყოველთვის სამაგიეროს მიაგებს.

დავით აღმაშენებელი სამართლის ნორმებს, რომლითაც ადამიანებმა საზოგადოებრივ ცხოვრებაში უნდა იხელმძღვანელონ, 3 კატეგორიად ყოფს: ბუნებრივი, ღვთაებრივი და დადებითი. თავის ცნობილ ნაწარმოებში “გალობანი სინანულისა”, რომელიც დავით აღმაშენებლის უფლისადმი აღსარებას შეიცავს, და სადაც აღწერილია მეფის მიერ ჩადენილი საქმეები და ზოგჯერ უმართებულო თვითბრალდებებიც (“რა ცოდვა გქონდა ასეთი მეფეო” – ანა კალანდაძე), აღნიშნულია, რომ თითქოს დავითმა ფეხქვეშ გათელა და არ შეასრულა არა მარტო ბუნებითი სამართლის, არამედ ღვთაებრივი სამართლის მოთხოვნებიც და დაემონა ხორციელი, ამქვეყნიური გატაცებისა და ინტერესების მიხედვით გათვალისწინებულ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილ სამართალს. ეს ყველაფერი კი მსოფლიოს ყველა დროის ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მეფის მაღალ პიროვნულ ღირსებებზე მიუთითებს, რადგანაც უძველესი ჩინელი ფილოსოფოსის, კონფუციუსის მტკიცებით, მხოლოდ დიდ ადამიანს შეუძლია იყოს კრიტიკული საკუთარი თავის მიმართ (Конфуций. 2002. стр. ). შესაბამისად, ისტორიული სინამდვილე სხვას დალადებს. წყაროების მიხედვით, დავითი იყო არა მარტო ძლიერი ნებისყოფის, მტრისათვის შიშის მომგვრელი მეფე, არამედ ამავე დროს იგი ცნობილი იყო როგორც რჯულშემწყნარებელი, მართლმსაჯული, ქვრივთა და ღარიბთა დამხმარე, სამართლიანობისა და მშვიდობის დამცველი. მნიშვნელოვანია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ დავითი ქველმოქმედებას სახელმწიფო ხაზინის სახსრებით კი არ აწარმოებდა, არამედ საკუთარ ქონებას არიგებდა. მეფემ გელათთან ააშენა ქსენონი, საავადმყოფო, სადაც ხშირად სტუმრობდა ავადმყოფებს და ანუგეშებდა მათ. დავითზე ხალხი ლეგენდებს თხზავდა, ამიტომაც უწოდეს მას სრულიად დამსახურებულად აქამდე გაუგონარი სახელი “აღმაშენებელი”. ქართველი მონარქი 1125 წლის 24 იანვარს შაბათ დღეს გარდაიცვალა, რომელმაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში თანმიმდევრულად გაატარა ყველა ის რეფორმა, რომელმაც უზრუნველყო საქართველოს გადაქცევა იმდროინდელი მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სახელმწიფოდ, კერძოდ:

- დავითმა შექმნა სამშობლოს პატრიოტთა, ღირსეული ქართველებისაგან შემდგარი ადამიანთა გუნდი;
- განახორციელა ეკონომიკის რეფორმა, რამაც უზრუნველყო მიწათმოქმედებისა და ვაჭრობის განვითარება და სახელმწიფო შემოსავლების ზრდა;
- ჩაატარა სამხედრო რეფორმა, რისი საბოლოო შედეგი გახლდათ რეგულარული ჯარის ჩამოყალიბება;
- უზრუნველყო ანტისახელმწიფოებრივი და პროფესიონალიზმს მოკლებული ელემენტების ჩამოშორება მართვის სადავეებიდან;
- გადადგა უმნიშვნელოვანესი დიპლომატიური ნაბიჯები, მაგალითად, ჯერ ეკონომიკური და სამხედრო თვალსაზრისით მოაძლიერა ქვეყანა და მხოლოდ ამის შემდგომ შეწყვიტა ხარკის გადახდა და დაუპირისპირდა თურქ-სელჩუკებს;
- სამეფოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, ჩამოაყალიბა სახელმწიფო უშიშროების უძლიერესი სისტემა, რომლის საფუძველზე იგი საკუთარი მსტოვრებისაგან სისტემატიურად ღუბულობდა ქვეყნისათვის უმნიშვნელოვანეს ინფორმაციას, როგორც ქვეყნის შიგნიდან, ასევე მის გარედან;
- მოახდინა სახელმწიფო მმართველობის რეორგანიზაცია, შექმნა ვაზირთა ინსტიტუტი;
- ჩაატარა საეკლესიო კრება და რეფორმა, ეკლესია დაუმორჩილა სახელმწიფოს, ასევე ერთმანეთისაგან გამიჯნა საერო და საეკლესიო უფლებამოსილებანი;
- ჩაატარა სასამართლო რეფორმა, ჩამოაყალიბა სააჯო კარი, შექმნა სწავლა-აღზრდის ერთიანი სისტემა;
- მტერს თანმიმდევრულად, ნაბიჯ-ნაბიჯ წაართვა და კონტროლი დაამყარა სტრატეგიულ ქალაქებსა და რეგიონებზე;
- გაიმარჯვა ყველა, მათ შორის ყველაზე დიდ გენერალურ ბრძოლაში და მნიშვნელოვნად გააფართოვა ქვეყნის საზღვრები (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 160-161).

***შოთა რუსთაველის სოციალურ-პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებები “ვეფხისტყაოსნის” მიხედვით***

გენიალური ქართველი პოეტის, შოთა რუსთაველის “ვეფხისტყაოსანში” მხატვრული ფორმით გადმოცემულია XII საუკუნის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა. პოემაში ასევე ბრწყინვალედ არის აღწერილი სამეფო ხელისუფლების ის დიდი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები და შეხედულებები, მათ შორის რელიგიურ საკითხებიც, რომლებიც ქართული სახელმწიფოებრიობის გაძლიერებისა და განმტკიცების აუცილებლობის დასაბუთებას ისახავს მიზნად. ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების საკითხებზე, შოთა რუსთაველის მიერ “ვეფხისტყაოსანში” გაანალიზებული და გააზრებული თეორიული

დასკვნები და სახელმწიფოს მართვის რეკომენდაციები, არა მარტო XII საუკუნის საქართველოს (დავით აღმაშენებლის ეპოქიდან დაწყებული თამარის ეპოქის ჩათვლით) სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის ანარეკლს წარმოადგენს, არამედ, პარალელურად ნაშრომში წარმოდგენილია გარკვეული რჩევა-დარიგებები სამეფო ხელისუფლებისა (მაგალითად ხატაეთის სამეფო) და ურჩ ფეოდალთა მიმართაც. ანუ, იგულისხმება - საქართველოს მეთაურობით შექმნილ საერთო კავკასიურ სახელმწიფოში არსებული რეალობა, სადაც ქართული სამეფოს ხელისუფლება ქვეყნის შემადგენლობაში შემაგალ და ასევე საქართველოს ყმადნაფიც სამთავროებში მცხოვრებ მრავალმილიონიან მოსახლეობასა და სხვადასხვა სარწმუნოებისა და ჩვევების მქონე ხალხებში საყოველთაო მშვიდობისა და კლასობრივი ზავის პოლიტიკას ატარებდა. ყველა დროის მსოფლიო ლიტერატურის ერთ-ერთ უბრწყინვალეს ნაწარმოებში მშვენიერადაა აღწერილი ტახტის მემკვიდრეობის უფლება, მამაკაცთა და ქალთა თანასწორუფლებიანობის პრინციპი, ფეოდალური საზოგადოების თითოეული წოდებისათვის სავსებით გარკვეული უფლებებისა და მოვალეობის, ასევე ყმადნაფიცობის ინსტიტუტის განსაზღვრა, ომი და მშვიდობა, აი ის მთავარი საკითხები, რომლებიც წარმოადგენას გვაძლევს შოთა რუსთაველის სამართლებრივი შეხედულებების შესახებ, რომელიც პოეტს განსაზღვრული აქვს ე. წ. “მართალი სამართლის” მოძღვრების (სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად) ანუ ბუნებრივი, ღვთაებრივი სამართლის მიხედვით. “ვეფხისტყაოსანში” რუსთაველი ძალიან დიდ ყურადღებას ამახვილებს სოციალურ-პოლიტიკურ და რელიგიურ პრობლემებზე. შესაბამისად, რუსთაველის მიერ წარმოდგენილი საზოგადოება იერარქიული კუთხით შემდეგნაირადაა წარმოდგენილი:

წოდებრივი თვალსაზრისით, სახელმწიფოს მეთაურია მეფე, მას მოჰყვებიან ვეზირები და დიდებულები, შემდეგ მოდის სპა ანუ ლაშქარი, მიწის მუშაკნი და ვაჭრები, ხოლო სულ ქვედა საფეხურს მონები წარმოადგენენ. რუსთაველის მიერ დახატული მეფე სრულად არ ჰგავს ფეოდალურ პერიოდში მმართველ მონარქს. იგი არის პირველი თანასწორთა შორის (“პრიმუს ინტერ პარეს”) და პირიქით, არავის არ შეუძლია მასთან გათანაბრება. მეფე ფლობს განუსაზღვრელ ძალას, რაც მისი ღვთაებრივი წარმომავლობითაა ახსნილი. მეფეა გაერთიანებული ქვეყნის თვითმპყრობელი. ნაწარმოებში ნათლადაა წარმოდგენილი, რომ მცირე ქვეყნის მეფე სარიდანი უარს ამბობს ტახტზე დიდი მეფის ფარსადანისა და სრულიად ინდოეთის ინტერესების სასარგებლოდ და სამაგიეროდ, სარიდანი ამირბარის საპასუხისმგებლო და მეტად მაღალ თანამდებობაზე ინიშნება. ამ წესის მიხედვით განხორციელდა ქვეყნის მშვიდობიანი გზით გაერთიანება და საერთო ცენტრალიზებული მეფობის დამკვიდრება. ერთი ხალხი - ერთი მეფე, ეს პრინციპი სახელმწიფოს პოლიტიკურ იდეალს წარმოადგენს. მეფის სურვილი კანონია, მას წინ ვერავინ დაუდგება. საერთო ჯამში, რუსთაველის მიერ წარმოდგენილი მეფე არის თვითმპყრობელი, აბსოლუტური

მონარქი, რომელსაც მორჩილებს თითოეული სოციალური ფენა და შესაბამისად მთელი ერი. როგორ იყენებს მეფე ამ დიდ ძალაუფლებას? იგი თავის უფლებამოსილებას იყენებს საკუთარი მოსახლეობის სასარგებლოდ. მეფე (არაბეთის მეფე როსტევეანის მაგალითზე) გახლავთ “მაღალი, უხვი, მდაბალი, ლაშქარ-მრავალი ყმიანი, მოსამართლე და მოწყალე, მორჭმული განგებიანი” (შოთა. 2010. გვ. 17). იგი (მონარქი) ყოველთვის გამოხატავს თავის მზადყოფნას მხარში ამოუდგეს გაჭირვებულთ და დავრდომილთ, ებრძვის სიავეს და ბოროტებას, აწარმოებს ფართო ქველმოქმედებას. მეფე არის “გონიერი, გული ღბილი”, და ასეთი მმართველობის პირობებში მეფის ქვეშევრდომნი თავს ბედნიერად გრძნობენ, ვინაიდან მეფე:

“ყოველთა სწორად წყალობასა, ვითა თოვლსა მოათოვებს,

ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს, და გლახაკნი არ ითხოვდეს,

ავის მქნელნი დააშინნეს, კრავნი ცხვართა ვერა სწოვდეს,

შინა მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთგან სძოვდეს” (შოთა. 2010. გვ. 318).

ამრიგად, რუსთაველის იდეალია მეფე თვითმპყრობელი, მეფე რეფორმატორი, მეფე მოსიყვარულე და ქვეშევრდომთათვის სიმართლის მომნიჭებელი. ასეთი იდეალური მეფის სურათი რუსთაველმა დახატა იმდროინდელი, XII საუკუნის საქართველოს რეალური შიდა და საგარეო პოლიტიკური რეალობების გათვალისწინებით, რომელიც პირველ რიგში თამარ მეფის მოღვაწეობასთან იყო დაკავშირებული. როგორც მემატეანეები გვამცნობენ, ტახტზე ასულ 18 წლის თამარს დაუპირისპირდა დიდებულთა ჯგუფი ყუთლუ-არსლანის მეთაურობით. დიდებულთა მთავარი მოთხოვნა გახლდათ ისანში კარვის დაარსება, სადაც იმდროინდელი პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლები წარმოდგენილნი იქნებოდნენ როგორც “თავის უფლებათა მსხდომარენი, რათა მივსცემდეთ და მივიღებდეთ, რომელთამე ვრისხავდეთ და რომელთამე ვწყალობდეთ, ამას ესრეთ ვაკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა და მულა სრულ იქნებოდეს განგებულნი ჩვენნი” ე.ი. ყუთლუ-არსლანის დასი მოითხოვდა მთელ კანონმდებლობასა და მმართველობის სისტემაზე კონტროლის დამყარებას, მეფის ფუნქცია კი ამ გადაწყვეტილებათა მხოლოდ დამტკიცებით იქნებოდა შეზღუდული. ერთის მხრივ, ეს იყო ხელისუფლების დანაწილების პროგრესული, მაგრამ იმდროინდელი საქართველოსათვის ნაადრევი იდეა, რადგანაც არსებობდა იმის საფრთხე, რომ ცენტრალიზებული სახელმწიფო დასუსტებული და დანაწევრებული აღმოჩენილიყო. რუსთაველი, რომელმაც ნათლად გაანალიზა ქვეყნის ეროვნული ინტერესები, ამ დიდ პოლიტიკურ დავაში გადაჭრით დადგა მეფის მხარეს, ხოლო ამ უკანასკნელმა საბოლოო ჯამში შეძლო სამეფოს პოლიტიკურ სისტემაში ცვლილებების შეტანის ინიციატორთა დაშოშმინება. რუსთაველმა ეს არ იკმარა და საჭიროდ ჩათვალა მეფის უფლებების ხალხში იდეური თვალსაზრისით გამყარებაც. მან პირველმა შემოგეთავაზა ლიტერატურაში თვითმპყრობელობის თეორია და მეფე შესაბამისი იდეალური

თვისებებით აღჭურვა. ამის საფუძველს მას დავით IV-სა და თამარის მოღვაწეობა აძლევდა. თამარმა პირველმა გააუქმა საქართველოში სიკვდილით დასჯა, ასოების მოკვეთა, თვალების დათხრა. ცნობილია თამარის საქველმოქმედო პოლიტიკაც. ივანე ჯავახიშვილის მიერ ჩატარებული სამეცნიერო გამოკვლევების შედეგად ირკვევა, რომ თამარის ეპოქაში საშინაო და საგარეო შემოსავლის 10% ქველმოქმედებაზე იხარჯებოდა. ამისათვის კი შესაბამისი საგანგებო უწყება იქნა დაარსებული (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 153).

რუსთაველის მიხედვით, მეფე - თვითმპყრობელი, თავის პოლიტიკას დიდებულებთან თათბირის და იქ მიღებული გადაწყვეტილებების შესაბამისად ატარებდა. ეს წრე მოიცავდა პირველ რიგში ვეზირებს, შემდეგ კი სპასპეტებს. ივანე ჯავახიშვილის აზრით, “დიდება” ძველ თანამდებობასა და მასზე დაფუძნებულ პატივს ნიშნავდა. დიდებული, იმავე დროს დიდი მოხელე იყო. რუსთაველის იდეალია თავისი საქმის მცოდნე მოხელე, სახელმწიფო სამსახურის ერთგული პირი და არა გვარიშვილობა, რაც სრულად ეთანხმება მის პოლიტიკურ კონცეფციას. “ვეფხისტყაოსანი” შეიცავს მითითებას იმის შესახებ, რომ ადამიანთა უფლებრივი მდგომარეობა საზოგადოებაში მარტო წოდებრივი წარმოშობით კი არ უნდა განისაზღვროს, არამედ მასზე მადლა დგას ადამიანთა პირადი ღირსება. რუსთაველის ეს მოსაზრება, რომელიც თავის დროზე გიორგი მთაწმინდელმაც შემოგვთავაზა და იგი საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში მტკიცედ დანერგა ჯერ დავით აღმაშენებელმა და შემდგომში გიორგი III-მ, წითელი ზოლივით გასდევს “ვეფხისტყაოსნის” ტექსტს. რუსთაველი არ იყენებს სიტყვა აზნაურს, არამედ საუბრობს თავადზე, მაგრამ არა თანამედროვე მნიშვნელობით. მისთვის თავადი ნიშნავს არა წოდებრიობას, დიდგვაროვნებას, არამედ ღიღერობას, მეთაურობას, წინამძღოლობას (“ჩემ წილ დაგადებ პატრონად, თავადად ჩემთა სპატათა”), ამ მმართველთა წრეს მოსდევს სპა, ანუ ლაშქარი – რომელიც ქვეყნის დამოუკიდებლობისა და სამხედრო ძლიერების სიმბოლოს წარმოადგენს. ამავე დროს, სახელმწიფოს ეკონომიკურ საფუძველს მიწაზე მომუშავე და ხელოსნობაში ჩართული ადამიანები წარმოადგენენ. ამ პოზიციის შესაბამისად, პოეტი ერთმანეთისაგან მკვეთრად მიჯნავს მეომართა და მიწათმოქმედთა და მეომართა ფუნქციებს“, “მუშა მიწივი მუშაკობდეს, მეომარი გულოვნებდეს” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 153).

მაშინდელ ისტორიულ ეპოქაში, საომარი მოქმედებები მუდმივად მიმდინარეობდა და აქედან გამომდინარე, წარმოებაში ჩართვა მხოლოდ ბრძოლებისაგან განთავისუფლებულ ხალხს შეეძლო, თუმცა გლეხებსა და ხელოსნებს სახელმწიფოს წინაშე არანაკლები პასუხისმგებლობა ენიჭებოდათ, რადგანაც გლეხთა ომში ჩაბმა ნიშნავდა მთელი საზოგადოების შიმშილით ამოწვეტას, მატერიალური საფუძვლის მოშლასა და ჯარისათვის სურსათ-სანოვაგითა და სხვა საჭირო დანიშნულების ნივთებით მომარაგების შეწყვეტას. მწარმოებელთა კლასში არ შედიოდა ვაჭართა ფენა, თუმცა ეკონომიკის ამ სფეროს წარმომადგენელთა ჩართვაც ომში არ იყო გათვალისწინებული, წინააღმდეგ შემთხვევაში მოიშლებდა ვაჭრობაც – ეკონომიკის უმნიშვნელოვანესი დარგი. ამიტომ ვაჭრებმა ომი არც კი იცოდნენ (“თქვენ ვაჭარნი

ჯაბანნი ხართ, ომისაცა უმეცარნი”)( შოთა. 2010. გვ. 207). ამავე დროს, ომში ჩასართველად მზადყოფნას გამოხატავდნენ დიდგვაროვანი აზნაურები. მათთვის ლაშქრობა ხელობად და შემოსავლის მიღების წყაროდ იქცა და ისინი პირადად ითხოვდნენ მეფისაგან ლაშქრობის უფლებას იმ დროს, როდესაც მშვიდობა ჩვეულებრივზე უფრო მეტად გახანგრძლივდებოდა. “ვეფხისტყაოსანში” შეიარაღებულ ძალთა წარმომადგენლებს შორის ხშირად ვხვდებით მონებს, რომლებიც ერთობ დიდ როლს თამაშობენ მეფის გარშემო. ამ შემთხვევაში ტერმინი “მონა” არ უნდა იყოს გაიგივებული იმ უფლებამოკლებულ სოციალურ კლასთან, რომელიც მონათმფლობელური საზოგადოების პერიოდში ცხოვრობდა. “ვეფხისტყაოსანში” მოხსენიებული მონები, წარმოადგენენ “მონა-სპას”, მეფის პირად მცველთა ჯარს, ანუ მუდმივ გვარდიას.

ვაჭართა ფენას რუსთაველი ორ ნაწილად ყოფს, ვაჭარნი და დიდვაჭარნი. ეს უკანასკნელნი დაახლოებულიები არიან მეფის სასახლესთან.

ყველა ზემოაღნიშნული სოციალური კლასები და ფენებ, თავისუფალი ადამიანებისაგან შედგებიან.

ამრიგად, რუსთაველის პოლიტიკური დოქტრინაა განათლებული აბსოლუტიზმი, რომელიც რეფორმებზეა დამყარებული. პოეტი მეფეს ადარებს მზეს, რომლის სხივები ყველას ერთნაირად ეფინება. პოეტის იდეალია არა თვით მეფე – როგორც სახელმწიფოს მეთაური, არამედ მხოლოდ ისეთი მონარქი, რომელიც მუდმივად ფიქრობს სამშობლოს კეთილდღეობაზე, დახმარებას აღმოუჩენს ღარიბებს, მონებს ათავისუფლებს, იცავს სიმათლეს (“ჰქმნა მართლისა სიმათლისა”) – ერთი სიტყვით, უმაღლესი კაცთმოყვრული თვისებებით დაჯილდოებული, “რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია” (შოთა. 2010. გვ. 160) – ამ გზით იზრდება მეფის, როგორც სიმათლისა და სამართლის გარანტის ავტორიტეტი და ძლიერდება სახელმწიფო.

იმავე პოლიტიკურ მიზანზე დაყრდნობით საუბრობს რუსთაველი თავის რელიგიურ დოქტრინაზეც. შუა საუკუნეების ქრისტიანულ სამყაროში არ დაწერილა არც ერთი პოემა თუ პროზაული ნაწარმოები, სადაც არ იყოს ქრისტიანობის აპოლოგია, ქრისტეს მოძღვრების ქებათა-ქება. ჯვაროსნული ომები სწორედ იმ ეპოქაში წარმოებდა. ამ საერთო რელიგიური აღტკინების პერიოდში საქართველოში დაიწერა “ვეფხისტყაოსანი” და შიგ ერთი სიტყვითაც არაა ნახსენები არც ქრისტიანობა, არც სამება, არც მართლმადიდებლობა და არც მისი რელიგიური დოგმატები. შესაძლებელია ეს დაკავშირებული იყოს იმ ფაქტთან, რომ პოეტის აზრით ღმერთი – როგორც სიკეთის სიმბოლო, არის ერთი ყველა რელიგიური კონფესიის წარმომადგენელთათვის. აქედან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ რუსთაველი რელიგიური მონიზმის მიმდევარია – ღმერთი ერთია. პოემაში ღმერთი ნახსენებია

193-ჯერ და ყოველთვის ერთი და იმავე აზრით. პოეტი ჯერ კიდევ წინასიტყვაობაში გვაძლევს წარმოდგენას თავისი რელიგიური შეხედულების შესახებ, რაც გატარებულია მთელ პოემაში:

“ჰე ღმერთო, ერთო შენ შეჰქმენ სახე ყოვლისა ტანისა,

შენ დამიფარე, ძლევა მეც, დათრგუნვად მე სატანისა” (შოთა. 2010. გვ. 11).

ე.ი. ღმერთი ერთია, ქვეყნის გამჩენი, მაგრამ არის აგრეთვე ბოროტების სიმბოლო სატანა, მაცდური, რომლის დათრგუნვა ღვთის დახმარებით შეიძლება. ეს შეიძლება ითქვას, საკაცობრიო-სახალხო რწმენაა და ღმერთსა და სატანას შორის, როგორც სიკეთესა და ბოროტებას შორის ბრძოლის საკითხები მრავალ რელიგიურ მიმდინარეობაშია მოხსენიებული. საერთო ჯამში, რუსთაველის რელიგიური მსოფლმხედველობა არ არის დაკავშირებული რომელიმე კონკრეტულ რელიგიასთან, არამედ იგი გახლავთ საყოველთაო, საკაცობრიო, ადამიანური.

სხვადასხვა არაქრისტიან ქვეყნებსა და ერებს შორის მოქცეული მცირერიცხოვან ქართველ ერს მხოლოდ საკუთარი რწმენით გაუჭირდებოდა თავის გადარჩენა, ამიტომაც შუა საუკუნეების გამოჩენილი ქართველი მოღვაწეები ნათლად აცნობიერებდნენ რეგიონში არსებულ პოლიტიკურ რეალობას და თვლიდნენ, რომ საქართველოს სამეფოს საერთო ენა უნდა გამოენახა იმ მეზობელ ერებთან, რომლებიც სხვა კონფესიის წარმომადგენლები იყვნენ. საერთო ენის გამონახვა კი შესაძლებელი იქნებოდა სახელმწიფო ინტერესების საფუძველზე. სხვა სარწმუნოებებისა და ტრადიციების პატივისცემა, რელიგიის საკითხების თითოეული ხალხის შინაურ საქმედ აღიარება და ამის პარალელურად სახელმწიფო ინტერესებზე დამყარებული პოლიტიკის მთავარ პრიორიტეტად გამოცხადება – აი, რით ხასიათდება საქართველოს მეფეთა პოლიტიკა ერთიანი სამეფოს არსებობის პერიოდში, დაწყებული დავით აღმაშენებლის ეპოქიდან. ამ ტენდენციამ კიდევ უფრო მეტი განვითარება ჰპოვა თამარის მეფობის პერიოდში. როგორი პოლიტიკა უნდა გაეტარებინა თამარს მის საბრძანებელში შემავალი უამრავი ეროვნების ასი ათასობით ადამიანთა ერთი ინტერესით შესაკვრელად? მხოლოდ ერთით: შემაკავშირებელი ასპექტებისა და შეხების წერტილების წინა პლანზე წამოწევით და რელიგიური საკითხების გვერდზე გადადებით. ამრიგად, რელიგიური ტოლერანტობა, ყველა რელიგიური მიმდინარეობების პატივისცემა და სხვადასხვა კონფესიის წარმომადგენელთა სახელმწიფო დაცვის უზრუნველყოფა საქართველოს სამეფოს პოლიტიკის მთავარ მიზანს წარმოადგენდა.

ერთი სიტყვით, თამარ მეფის ეპოქაში დომინირებადი პოლიტიკა მოითხოვდა რელიგიური საკითხების უკუგდებას და საერთო პოლიტიკურ და სოციალურ ინტერესებზე დაფუძნებული სახელმწიფოს შემდგომ აღმშენებლობას. რუსთაველი,



როგორც თამარის იდეების გამტარებელი, სწორედ ამ პოლიტიკას სცემდა პატივს. რელიგიური დოგმატიზმისაგან განზე დგომა, შოთა რუსთაველის პოლიტიკური აზრის ერთ-ერთ ძირითად შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. თავის უკვდავ პოემაში ის აღიდებს არა კონკრეტულად ქრისტიანს ან მაჰმადიანს, არამედ ადამიანს, საზოგადოებას, რომელსაც მეთაურობდა გონიერი ქართველი მეფე, ქალი, რომლის პოლიტიკის მიმდევარიც გახლდათ თვით უდიდესი მგოსანი.

*ხელისუფლების დანაწილების ქართული მოდელი (ყუთლუ-არსლანის დასი და “ისნის კარავი”)*

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამის შესახებ სამეცნიერო კვლევა პირველმა ივანე ჯავახიშვილმა განახორციელა, რომელმაც XII საუკუნის საქართველოსა და მსოფლიოს კულტურის ისტორიაში სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართულ ამ პოლიტიკას შესაფერისი ადგილი მიუჩინა. დავით აღმაშენებლის მიერ განხორციელებულმა საზოგადოებრივ-პოლიტიკურმა რეფორმებმა საქართველოში ფეოდალიზმის ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების სისტემა განამტკიცა, უზრუნველყო ვაჭრობის და ხელოსნობის განვითარება. ფეოდალური ურთიერთობების განვითარებასა და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებასთან ერთად ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ სისტემაში ჩნდება ახალი ბურჟუაზიული წყობილების წინამძღვრები, ჩნდებიან ახალი სოციალური ძალები, რამაც გააძლიერა სხვადასხვა საზოგადოებრივ ფენებს, მათ შორის როგორც სამეფო ხელისუფლებასა და დიდგვაროვან აზნაურთა, ასევე დიდგვაროვან აზნაურთა, სამეფო ხელისუფლებასა და დაბალი წარმოშობის წარმომადგენელთა შორის დაპირისპირება. დიდგვაროვან აზნაურთა ნაწილი, უკმაყოფილო იყო იმ პროგრესული პოლიტიკური რეფორმების განხორციელებით, რომელიც ფეოდალურ საქართველოში დავით აღმაშენებლის მეფობის პერიოდში დაიწყო, შემდგომში თამარის მამამ, გიორგი III-მ განავითარა – უგვაროთა, მაგრამ საქართველოსათვის საჭირო ნიჭიერ ადამიანთა დაწინაურება. გიორგი მესამის გარდაცვალების შემდეგ, დიდგვაროვანმა აზნაურებმა დრო იხელთეს და თამარის წინააღმდეგ შეთქმულება მოაწყვეს. მთავარი მოთხოვნა გახლდათ უგვაროთა გადაყენება და კვლავ დიდ აზნაურთა დანიშვნა საკვანძო სახელმწიფო თანამდებობებზე. ახალგაზრდა მეფე იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა. დიდგვაროვან აზნაურთა მიერ ორგანიზებული შეთქმულება ჯერ კიდევ დამცხრალი არ იყო, რომ სამეფო ხელისუფლების წინააღმდეგ ყუთლუ-არსლანის მეთაურობით მეორე გამოსვლა დაიწყო, რომლის მსგავსი თავისი ორგანიზაციულ-პოლიტიკური სიმტკიცითა და დასახული პროგრამის მიხედვით საქართველოს ისტორიას არ ახსოვს. აი როგორ გადმოქცემს ანონიმი ავტორი თავის თხზულებაში “ისტორიანი და აზმანი შარავანდედნი” ამ პოლიტიკურ პროცესს: “და ესეცა უცხო მოსაგონებელი, ყუთლუ-არსლან მცხოვარმან ჯორის სახედ ორ ბუნებისა მყოფელმან,

ვითარ მისცეს ბიჭთა გონებისა მზაკვარება მომღებელმან წესსა რისამე სპარსთა განაგისსა, ითხოვა კარავი დადგმად ველსა ისნისასა და სანახებსა სალოდებლისასა და თქუა: დასხდომილნი მუნ შიგა განმგებელნი მიცემისა და მოღებისა, წყალობისა და შერისვანისანი, ვკადრებდეთ და ვაცნობებდეთ თამარს მეფესა და დედოფალსა. მაშინდა სრულ იქნებოდეს განგებულნი ჩვენნი” (ვ. შუბითიძე. 2009. 104). ამრიგად, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური დასი მოითხოვდა, ისანში სამეფო ხელისუფლების რეზიდენციის გვერდით სრულიად ახალი სახელმწიფო ინსტიტუტის - კარავის ჩამოყალიბებას. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გუნდის წევრთა მთავარი მოთხოვნა იყო ხელისუფლებისაგან დამოუკიდებელი დაწესებულების ჩამოყალიბება, სადაც ეს სტრუქტურა წარმოდგენილი იქნებოდა როგორც “გამგებელი მიცემისა და მიღებისა, წყალობისა და შერუსხვისანი“ და მის გადაწყვეტილებას მეფისათვის მოხსენების შემდეგ “მაშინდა სულ იქნებოდეს განგებულნი ჩვენნი”. ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ პროგრამაში ორი პუნქტია მთავარი: ა) პარლამენტის მსგავსი დაწესებულების შექმნა; ბ) სახელმწიფოებრივი ხელისუფლების სტრუქტურებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების გადანაწილება (ვ. შუბითიძე. 2009. 104). ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამის მიხედვით სასამართლო და საკანონმდებლო ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობა ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური გუნდის წევრებს უნდა აეღოთ, ხოლო აღმასრულებელი ხელისუფლება მეფის კომპეტენციის ფარგლებში უნდა დარჩენილიყო.

ყუთლუ-არსლანის პროგრამაში უცნობი ისტორიკოსის მიერ გამოყენებული ტერმინები: “განგება, სრულქმნა, წყალობა და შერუსხვა”, როგორც ეს ივანე ჯავახიშვილმა ცხადყო, ნიშნავს “კანონმდებლობას, აღსრულებასა და მართლმსაჯულებას” (ი. ჯავახიშვილი. 1919. გვ. 45). ყოველივე ზემოაღნიშნული ქართული სახელმწიფო სამართლისა და პოლიტიკური აზროვნების დიდი განვითარების დამადასტურებელ საბუთს წარმოადგენდა. მართლაც, ყუთლუ-არსლანის პოლიტიკური პროგრამა, როგორც საერთოდ შუა საუკუნეებში ფეოდალიზმის ხანაში დაწყებული იდეოლოგიური ბრძოლის მანამდე უცნობი მიმართულების გამოვლენა, სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების თეორიის საფუძველზე, მსოფლიო ისტორიის კულტურის ახალი ფურცელია და მას მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა ენიჭება.

შუა საუკუნეებში გამეფებული პოლიტიკური აზრის ძირითადი პრინციპები სახელმწიფოსა და სამართლის ყველა საკითხს მხოლოდ ღმერთის ნებას უკავშირებდა. ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა მთლიანად თავისუფალია ღვთაებრივ-რელიგიური წარმოდგენებისაგან და საერო მოძღვრებებს ემყარება. ეს დოკუმენტი კონკრეტული პოლიტიკური პროგრამითაა დასაბუთებული. ამ პოლიტიკური კონცეფციის ფარგლებში მთელი ფეოდალური საქართველოს

სახელმწიფო წყობილების რეფორმირების სამართლებრივ საფუძვლად მიჩნეულია სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების საერო პრინციპები.

ივანე ჯავახიშვილის სამეცნიერო კვლევების საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოდ, რომ ყუთლუ-არსლანი, ერთ-ერთი თვალსაჩინო ვაზირი, მეჭურჭლეთუხუცესი ანუ ფინანსთა მინისტრი, დაბალი სოციალური წარმოშობის უნდა ყოფილიყო. მისი პოლიტიკური გუნდი – დასიც, შედგებოდა როგორც დაბალი სოციალური წარმოშობის საქალაქო წრეების, ასევე განსაკუთრებული ნიჭის და უნარის წყალობით სამეფო ხელისუფლების მიერ ყუთლუ - არსლანივით აღზევებულთა წარმომადგენლებისაგან.

თუ საფუძვლიანად გავაანალიზებთ იმ ისტორიულ მოვლენებს, რომლებიც წინ უძღოდა ყუთლუ-არსლანის დასის გამოსვლას, შეიძლება გააკეთდეს დასკვნა, რომ ეს გამოსვლა ე.წ. მესამე წოდების სოციალური მოძრაობის შედეგი იყო. ყუთლუ - არსლანის დასის წევრები დიდგვაროვანი აზნაურები რომ ყოფილიყვნენ, მაშინ ისინი თამარის წინააღმდეგ მათზე ადრე გამოსულ დიდაზნაურებთან ადვილად დაამყარებდნენ კავშირს. ყუთლუ-არსლანის დასი დიდი ხნის განმავლობაში ამზადებდა გამოსვლას და ხელსაყრელ დროს უცდიდა. ამასთანავე, მათი პროგრამა მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დიდაზნაურთა პროგრამისაგან. თუმცა, ერთი დიდი საერთო ორივე ჯგუფი მიზნებს შორის მაინც არსებობდა, რადგანაც ამ ორივე პროგრამის საბოლოო შედეგი სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა უნდა ყოფილიყო, თუმცა, ყუთლუ-არსლანის ჯგუფს სამეფო ხელისუფლების შეზღუდვა განსხვავებულად ჰქონდა წარმოდგენილი. სწორედ ამით უნდა აიხსნას, რომ დიდგვაროვან აზნაურთა შეთქმულების შედეგად ქვეყანაში დავით IV-სა და გიორგი III-ის მმართველობის პერიოდში არსებული პროგრესული პოლიტიკური რეჟიმის (რომლის დროსაც უგვარო, მაგრამ ნიჭიერ ხალხს გზა ეხსნებოდა ხელისუფლებისაკენ) შეცვლა ყველაზე მწვავედ დაბალი წარმოშობის სოციალურმა ფენებმა განიცადეს, რადგანაც ამან მნიშვნელოვნად შეზღუდა დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლების და ამავე დროს, ნიჭიერი ადამიანების ხელისუფლებისაკენ აღმასვლა, სწორედ ამიტომ, დიდაზნაურთათვის თამარის მხრიდან გაწეულ კომპრომისს და ნიჭიერი, მაგრამ უგვარო ხალხის ხელისუფლებისაგან ჩამოშორებას დაბალი სოციალური ფენების წარმომადგენლებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს დიდი აჯანყებით, რომელიც ანტიფეოდალურ ხასიათს ატარებდა. აჯანყებულთა მოთხოვნა მიზნად ისახავდა სამეფო ხელისუფლების მნიშვნელოვან შეზღუდვას სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დანაწილების გზით (ნ. ასათიანი. 2003. გვ. 180).

ყუთლუ-არსლანის ანტიფეოდალური იდეოლოგიის იდეურ-პოლიტიკური ფესვები დავით აღმაშენებლის მიერ თბილისის განთავისუფლებამდე ქალაქში არსებულ რესპუბლიკურ წყობილებაშია საძიებელი. მართალია, ყუთლუ-არსლანის ჯგუფის

გააქტიურება თბილისში არსებული რესპუბლიკური წყობილების დამხობიდან 60-ზე მეტი წლის შემდეგ მოხდა, მაგრამ როგორც აღიარებულია, თბილისის მოსახლეობაში და საქალაქო ცხოვრებაში ძველი რესპუბლიკური წყობილებისათვის დამახასიათებელი თანამდებობრივი ინსტიტუტები და შეხედულებანი დიდხანს შემორჩა.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკური პროგრამა გამოხატავდა XII საუკუნის საქართველოს განვითარებული ფეოდალური ურთიერთობების, კერძოდ, განმანათლებლობის ეპოქის იდეოლოგიას. ეს იდეოლოგია რომ XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს ეკონომიკას შეესაბამებოდა, იქიდანაც ჩანს, რომ სამეფო ხელისუფლებამ, რომელიც ფეოდალური აბსოლუტიზმის იდეოლოგიას ეფუძნებოდა, ვერ გაბედა მესამე წოდების ინტერესთა გამომხატველი ყუთლუ-არსლანის პროგრამის უგულვებლყოფა (რაც ფაქტიურად თამარის მეფობის დასასრულს მოასწავებდა) და მან ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ დასთან კომპრომისის და მორიგების გზა არჩია. მიუხედავად იმისა, რომ სამეფო ხელისუფლებამ უარყო სათათბირო და საკანონმდებლო ორგანოს შექმნისა და ხელისუფლების ცალკეულ შტოებად დანაწილების იდეა, სამაგიეროდ ყუთლუ-არსლანის პოლიტიკურ გუნდთან გამართული მოლაპარაკებების შედეგად, მონარქმა სახელმწიფოებრივი საკითხების გადაწყვეტისას უკვე თანადგომისა და ურთიერთკომპრომისების პრინციპებით დაიწყო ხელმძღვანელობა, ხოლო სახელმწიფო დარბაზში მესამე წოდების წარმომადგენლებს თავიანთი მოსაზრებებისა და პოზიციების წარმოდგენისა და დაფიქსირების საშუალება მიეცათ.

ყუთლუ-არსლანის დასის პოლიტიკურმა პროგრამამ და მისმა პოლიტიკურმა იდეოლოგიამ თავისი დადებითი ასახვა ჰპოვა XII საუკუნის საქართველოს სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. აღნიშნული პროგრამა წარმოდგენილ იქნა XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში, როცა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონემ ისეთ საფეხურს მიაღწია, რომ უკვე არსებობდა ფეოდალური ურთიერთობების რღვევისა და ახალი (ბურჟუაზიული) ურთიერთობების ჩასახვა-ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი წინაპირობა.

მართალია ყუთლუ-არსლანის დასის პროგრესული, მაგრამ ცოტაოდენ ნაადრევი პოლიტიკური პროგრამა ბოლომდე ვერ განხორციელდა, მაგრამ მეფის ოპონენტთა აქტიურობის შედეგად სამეფო ხელისუფლება ნაწილობრივ შეიზღუდა და ამ მოვლენას, როგორც ივანე ჯავახიშვილი წერდა, “იმ ეპოქის მსოფლიო ისტორიაში ანალოგია შეიძლება მოეძებნოს მხოლოდ ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიაში (XIII ს.)” (ი. ჯავახიშვილი. 1919. გვ. 51). ეს კი ამ მოძრაობის მსოფლიო-ისტორიულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.

*ალექსანდრე ამილახვარის პოლიტიკური შეხედულებები*

ალექსანდრე ამილახვარმა (1750-1802) საფუძვლიანად შეისწავლა ფრანგი განმანათლებლების, რუსოსა და მონტესკიეს სამეცნიერო ნაშრომები. მისი პოლიტიკური ტრაქტატი, “ბრძენი აღმოსავლეთისა”, ევროპული აზროვნების ნიადაგზეა შექმნილი და მასში დეტალურადაა გაანალიზებული სახელმწიფოებრივი წყობილების ყველაზე მისაღები მოდელი. იგი პირველი ქართველი მოაზროვნეა, რომელიც ღიად ქადაგებდა მეფის ხელისუფლების შეზღუდვის აუცილებლობის შესახებ. იგი დიდ ყურადღებას უთმობდა ადამიანთა ბუნებრივი თანასწორობის, ვაჭართა წახალისებისა და გლეხთა დაცვის იდეებს.

ალ. ამილახვარის აზრით, ადამიანები, განურჩევლად წოდებრივი კუთვნილებისა, ბუნებით თანასწორნი არიან. “ყოველნი ერთსად და თანასწორად ვმობილვართ და არავინ არის უმჯობესი ერთისა, არცა ვინ უარეს მეორისა”(ვ. შუბითიძე, ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 35). ქართველი მეცნიერის აზრით, დაუშვებელია ერთი ადამიანის მიერ მეორე ადამიანის შეურაწყოფა და მისი ღირსების შებღალვა, რომელი სოციალური წოდებისაც არ უნდა იყოს ესა თუ ის პიროვნება, ამის ძირითადი მიზეზი კი გახლავთ ის, რომ ადამიანები ერთნაირად იბადებიან და ერთნაირად კვებიან: თვითონ მეფეც უფროსი ძმია თანასწორთაგან, რომელსაც ხელისუფლება ღმერთმა კი არა, ხალხმა მიანიჭა. მეფის ძალაუფლება არ უნდა იყოს შეუზღუდავი; მეფეს სახელმწიფოს წინაშე თავისი პასუხისმგებლობის ფარგლებში ის უფლება გააჩნია, რაც მას ხალხმა პირობით გადაუნაწილა, ამიტომ ხალხს, შეუძლია წაართვას კიდევ ხელისუფლება იმ ხელმწიფეს, რომელიც საკუთარი ძალაუფლებით ბოროტად სარგებლობს, რათა ეს უფლება ღირსეულ მმართველს გადაეცეს. ამ გზით, ამილახვარი ხალხს მეფის არჩევის უფლებას ანიჭებს. ამავე დროს, მონარქი განათლებული უნდა იყოს, ხოლო მასზე უფრო განათლებული - კანონმდებელი უნდა იყოს, რათა ისეთი კანონები დაწეროს და გამოსცეს, რომელიც გაითვალისწინებს ქვეყნის ინტერესებს, ხალხის ზნე-ჩვეულებებსა და ადამიანთა თანასწორობის პრინციპს. თავის პოლიტიკურ კონცეფციაში ამილახვარი აყალიბებს სამეფო ხელისუფლების კანონით შეზღუდვის აუცილებლობას, რათა მომავალში აღკვეთილ იქნეს მოსალოდნელი ძალადობა მეფის ხელისუფლების მხრიდან. ქართველი განმანათლებელი გმობს თვითმპყრობელურ დესპოტიზმს და მიაჩნია, რომ ქვეყნის მართვის საკითხი ერთ კაცზე კი არ უნდა იყოს დამოკიდებული, არამედ სახელმწიფო ხელისუფლება დანაწილებული უნდა იყოს (ოღონდ არა წოდებათა შორის) და ქვეყანას ხალხის რჩეულნი უნდა მართავდნენ, რომელებიც მაღალი სოციალური წრიდან იქნებიან გამოსულნი.

ამილახვარი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვაჭართა კლასს, რომელსაც იგი ქვეყნის გამამდიდრებელ და გამაძლიერებელ ძალად აღიქვამს და ამავე დროს, იგი გლეხობის დაცვასაც მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ გლეხს სამართლებრივი და პოლიტიკური თვალსაზრისით უფლებები შეზღუდული აქვს, მისი შრომა ქვეყანას

სიცოცხლეს ანიჭებს, ამიტომ გლესს დაცვა და გამხნელება ესაჭიროება. ამავე დროს, აღ. ამილახვარი საზოგადოების სრულუფლებიან წევრად ფეოდალურ არისტოკრატias განიხილავს. აქედან შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ ამილახვარი კონსტიტუციური მონარქიის მომხრეა.

### ***სოლომონ დოდაშვილის პოლიტიკური შეხედულებები***

XIX ს. პირველი ნახევრის ერთ-ერთი გამოჩენილი მოაზროვნეა ს. დოდაშვილი, რომლის მსოფლმხედველობა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის, ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩამოყალიბდა. მან განსაზღვრა მეფის რუსეთში საქართველოს სამართლებრივი მდგომარეობა, ეროვნულ-პოლიტიკური მოწყობის მთავარი პრინციპები, ქართული სახელმწიფოს ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის გზები და საშუალებები. აღ. ამილახვარისაგან განსხვავებით, ს. დოდაშვილი რესპუბლიკური იდეალების თანმიმდევრული მომხრეა, რაც XIX ს. პირველი მესამედის დესპოტური და ტირანული მმართველობის კლასიკურ ქვეყანაში – რუსეთში, აბსოლუტურად ახალ, პროგრესულ იდეას წარმოადგენდა.

ს. დოდაშვილი XIX ს. პირველი ნახევრის ქართველ მოაზროვნეთაგან ერთ-ერთი პირველი იყო, რომელმაც ქართველი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლა სოციალურ და კლასობრივ ურთიერთობებს დაუკავშირა. მისი აზრით, მაღალი იდეალებისათვის ბრძოლის პროცესში აუცილებელია ერის კონსოლიდაცია და მნიშვნელობა არ აქვს მის მონაწილეთა გვაროვნულ წარმომავლობას. ამიტომ იგი მაქსიმალურად ცდილობდა გლესთა ფართო მასების ჩაბმას 1832 წლის აჯანყებაში. ამასთანავე, იგი გარკვეულწილად სკეპტიკურად იყო განწყობილი შეთქმულების მონაწილე თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილის მიმართ, რომელთაც ერის დამოუკიდებლობის იდეალებზე უფრო მეტად ხელისუფლების დაუფლების სურვილი ამოძრავებდა. მისი აზრით, თუ შეთქმულები გაიმარჯვებენ და საქართველო გამოვა რუსეთის იმპერიის შემადგენლობიდან, “მაშინ თავადები იტყვიან: მე ერისთავი ვარ, მე ორბელიანი ვარ და თქვენ კი ვინა ხართო?” (გ. მკურნალიძე. მ. ხამხაძე. 2002. გვ. 35).

აჯანყების მონაწილე თავადაზნაურების იმ ნაწილის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, რომელიც საქართველოს რუსეთიდან ჩამოშორებასა და მონარქიის აღდგენაზე ოცნებობდა, ს. დოდაშვილს განსხვავებული პოლიტიკური პროგრამა ჰქონდა ჩამოყალიბებული. მისი აზრით, ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემთხვევაში, ხელისუფლებაში მოსული თავადაზნაურობა მონარქიულ წყობილებას დაამყარებდა. თავისუფალი საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელებაში კი, დოდაშვილის აზრით, მთელ ხალხს უნდა მიეღო მონაწილეობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქართველი მოაზროვნის

პოზიციის მიხედვით, ქართული სახელმწიფოს ყველაზე მისაღებ პოლიტიკურ სისტემას რესპუბლიკა წარმოადგენდა. რესპუბლიკურ საქართველოში ხელისუფლებაზე პასუხისმგებლობა უნდა აეღოთ ხალხის წრიდან არჩეულ თანამდებობის პირებს, განურჩევლად მათი წოდებრივი და გვაროვნული წარმომავლობისა. “სასამართლოებში უნდა იყვნენ არჩეული ადამიანები, რომლებიც ზედმიწევნით იცნობენ ხალხს, რასაკვირველია ისინი უნდა იყვნენ მიუდგომლები და კეთილნი” (გ. მკურნალიძე. მ. ხამხაძე. 2002. გვ. 35).

### *ილია ჭავჭავაძის სოციალურ-პოლიტიკური შეხედულებები*

XIX საუკუნის პირველ ნახევარში ქართული სამეფო-სამთავროების მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ პირველად სოლომონ დოდაშვილმა დასვა რუსეთის იმპერიაში ქართველი ხალხის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ორი უმთავრესი პრობლემის, კერძოდ სოციალ-პოლიტიკური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სამართლებრივი გადაწყვეტის საკითხი, რომელმაც შემდგომში განვითარება ჰპოვა ქართველი თერგდალეულებისა და მათი ბელადის – ი. ჭავჭავაძის საბრძოლო მოთხოვნაში: “ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს”(ილია. 2011. გვ. 31).

საუბრობდა რა ადამიანისა და ერის დანიშნულებაზე, ილია ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ “ადამიანი, თუ მთელი ერი, იმისათვის კი არ არის გაჩენილი, რომ პური ჭამოს, არამედ პურსა სჭამს იმიტომ, რომ კაცურ-კაცურად იცხოვროს და აცხოვროს თავის შთამომავალი”(ილია. 2009. გვ. 291). ე.ი. ილია გადამწყვეტ პრიორიტეტს სულიერ მოღვაწეობას ანიჭებდა.

შესაბამისად, უდიდესი ქართველი მოღვაწე ადამიანებსა და ერებს იმის მიხედვით კი არ აფასებდა, თუ ვის რა ასაკი ან უფრო ხანგრძლივი ისტორია გააჩნია, არამედ “ამ სისრულის გზაზე, ვინ რამოდენად წინ წამდგარა, ვის რამოდენად აღფრთოვანებული აქვს სულთასწრაფვა ამ გზაზე დაუღალავად სიარულისათვის, აი, საწყაო, როგორც ცალკე ადამიანის ღირსებისა, ისეც მთელი ერისა” (ილია. 2009. გვ. 292).

ილია ჭავჭავაძე სახელმწიფოს და საზოგადოებრივი წყობის საფუძვლად სამართლიანად თვლიდა კერძო საკუთრებას და მისი დაცვის აუცილებლობაზე მიუთითებდა ქართველობას: “კერძო საკუთრება ჯერ კიდევ ქვაკუთხედად უდევს არამცთუ მთელს სახელმწიფო და საზოგადოებრივ წყობას, არამედ მთელს ცხოვრებას დაწინაურებული ქვეყნისას მთელ დედამიწის ზურგზე. კერძო საკუთრება სამართლიანად თუ უსამართლოდ, ჩვენდა საბედნიეროდ თუ საუბედუროდ, ჯერ კიდევ დიდხანს იქნება დიდ პატივში და მის სარბიელზე ძალმომრეობა, ერთმანეთზე მისევა, ვინც ვინც იყოს, იაფად არ დაუჯდება”(ილია. 2009. გვ. 292).

უდიდეს ინტერესს იმსახურებს ილიას პოზიცია ერის და მისი ნიშნების შესახებ. ი. ჭავჭავაძის აზრით, “ერი ეს გახლავთ ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური წყობის ერთობისა და ერთიანი ბუნებით განსაზღვრული სულისა და ხორცის (ფსიქიკური წყობა, კულტურა და ა.შ.) ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული კავშირი. ხალხების ერებად ჩამოყალიბება წარმოუდგენელია ერთიანი ერის არსებობის გარეშე: “არსებითი ნიშანი ეროვნებისა, მისი გული და სული ენაა”, წერდა ილია (ვ. შუბითიძე. ვ. ფერაძე. 2005. გვ. 79). გარდა ენისა, რომელიც ერის ერთ-ერთი მთავარი დამახასიათებელი თვისებაა, ეს გახლავთ “ისტორიის ერთობით” განმტკიცებულ ადამიანთა გვარტომობითი კავშირი, ანუ ილია ჭავჭავაძის მტკიცებით, ერი ესაა ისტორიულად ერთმანეთთან დაკავშირებული, სულით და ხორციით ურთიერთმონათესავე ადამიანთა ერთობა: “ერის როგორც კრებული ისტორიით შედუღებულ ერთ-სულ და ერთ-ხორც მკვიდრთა” ერთობაა (ვ. შუბითიძე. ვ. ფერაძე. 2005. გვ. 79). ილია ამ ნიშანს (ისტორიულ ერთობას), გადამწყვეტ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგანაც “ერის პირქვე დამხობა, გათახსირება, გაწყალება იქიდან დაიწყება, როცა იგი თავის ისტორიას ივიწყებს, როცა მას ხსოვნა ეკარგება თავისი წარსულისა, თავისი ყოფილ ცხოვრებისა”. ასეთი ერი უბედურია, რადგან მას “რა იყო – ის დავიწყებული აქვს და მაშასადამე, რა არის – არც ის იცის. შვილმა უნდა იცოდეს, სად და რაზედ გაჩერდა მამა, რომ იქიდან დაიწყოს ცხოვრების უღელის წევა”(ილია. 2011. გვ. 444).

ილია ჭავჭავაძის მტკიცებით, ერი ერთ კონკრეტულ ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა ერთობისაგან შემდგარი მთლიანი ორგანიზმია. სანამ ერი მთლიანი და ერთიანია, იგი უძლეველია, როცა ერში დაიწყება “განთვითეულობა”, იგი გარდაუვალი დაღუპვის წინაშე აღმოჩნდება: ““ვაი იმ ხალხს, რომელსაც საერთო ძარღვი გაუწყდა; ვაი იმ ქვეყანას, საცა საერთო ძარღვებში სისხლი გაშრა, საცა ყველაში თითო არ არის, თითოში ყველა, საცა თითოეული ყველასათვის არ ფიქრობს და ყველა თითოეულისათვის, საცა “მე” ხშირია, “ჩვენ” იშვიათი””. იქ, სადაც საზოგადოება ურთიერთდაპირისპირებულ წოდებადაა დანაწევრებული, სადაც გაბატონებულია ცალ-ცალკე წევა ცხოვრების უღელისა, ცალ-ცალკე თლა ღხინისა თავისკენ და ჭირისა სხვისკენ, ადამიანთა ასეთ ერთობას ერი არ ჰქვია” (ილია. 2009. გვ. 293).

აღნიშნულ კონცეფციაზე დაყრდნობით ილია აყალიბებს “საერთო ნიადაგის” თეორიის ქვაკუთხედს: “ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდ-პატარაობის განურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ცდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად საყოველთაოდ” (ილია. 2009. გვ. 293).



უდიდესი ქართველი მოღვაწე აღნიშნავდა, რომ ერის და საზოგადოების პრობლემების გადაჭრა ადგილობრივი ძალების კონსოლიდაციის გზით უნდა მომხდარიყო და აქედან გამომდინარე, ილია თითოეული პრობლემის არსის ღრმად შესწავლისა და გაცნობიერების აუცილებლობაზე ამახვილებდა ყურადღებას. ამასთანავე, ილია არ უარყოფდა საგარეო დახმარების შესაძლებლობას, მაგრამ დაუშვებლად და გაუმართლებლად მიაჩნდა საკუთარი საქმეების სხვაზე მინდობა და მინებება. მისი აზრით, ტერმინი “შენს თავს შენვე მოუარო” ისტორიული კანონზომიერებითაა ნაკარნახევი, იგი შესაძლოა ადამიანთა გარკვეული ჯგუფისათვის მიუღებელი იყოს, მაგრამ მისი ძირითადი პრინციპების გათვალისწინება აუცილებელია. “ბევრიც რომ ვივაგლახოთ, ბევრიც რომ ვატაროთ უბეში სხვაზედ დამყარებული იმედი, ბოლოს მაინც “ქამთა სვლა” ამ კანონზედ დაგვაყენებს და დრო წარსული ჩვენთვის სამუდამოდ დაკარგული იქნება. ჩვენ ვამბობთ, რომ ხალხი თვითშემოქმედებით არის მხოლოდ ძლიერი და ნაყოფიერი სულით და ხორციით. რაც მალე დავიჯერებთ ამ ჭეშმარიტებას, რაც მალე შევითვისებთ, მით მალე გამოვიხსნით თავს ამ გაჭირვებიდან, რომელშიც ასე სასოწარკვეთილებით დღეს ვიმყოფებით” (ილია. 2009. გვ. 294).

ილია ჭავჭავაძე, როგორც ერის ღირსეული წინამძღოლი, შესაბამის დასკვნას აკეთებდა და მიუთითებდა, რომ ჩვენი ბედის პატრონი მხოლოდ და მხოლოდ ჩვენვე, ქართველობა უნდა გავხდეთ.

ილია აანალიზებს იმ ძირითად ფაქტორებს, რომელიც უზრუნველყოფს ერებისა და სახელმწიფოების სიძლიერეს და იმ ფაქტორებსაც, რომელთა მოქმედების შედეგად იწყება ერების პოლიტიკური და სულიერი დაკნინება და გაქრობა. ილია იკვლევდა, თუ რა იყო იმის ძირითადი მიზეზი, რამაც შესაძლებლობა მისცა ქართველ ხალხს გამოეარა მძიმე ქარტეხილები და რა სახის კრიზისულმა ვითარებამ გამოიწვია ქართული სახელმწიფოებრიობის გაუქმება და მისი რუსეთთან ძალით მიერთება: “საქართველო დღედაღამ იარაღით ხელში იდგა. მტერი ყოველი მხრიდან მოწოლილი იყო. ჩვენი ხალხი თითქმის ათასი წელი იბრძოდა, ომობდა, სისხლს ღვრიდა და ბოლოს, მეთურამეტე საუკუნის დასასრულს თვითმყოფობით სული ისე დალია, რომ ჩვენს ქვეყანას არავის ვახში და ვალი არ დასდებია. ვსთქვათ, მკლავმა და გულმა შესძლო ეს გოლიათობა, საკვირველი ის არის რა ქონებამ გაუძლო ამისთანა ყოფასა?.. ეს ერთი მუჭა ხალხი თითქმის ქუდზედ კაცად უნდა მდგარიყო იარაღით ხელში, რომ მტრისაგან მტრად არ აღგვილიყო და საზრდოებას ვინ აძლევდა და რა აძლევდა?” სვამს ამ კითხვას ილია ჭავჭავაძე და თავის მოსაზრებებსაც გვთავაზობს. მისი აზრით, ქართველ ერს ისტორიის კონკრეტულ მონაკვეთში რომ დროთა შესაფერისი ხერხი, დროთა შესაფერისი ცოდნა გააჩნდა: “ვიცოდით, იმ დროს რა უნდოდა, რა იყო მისი ციხე-სიმაგრე, მისი ფარ-ხმალი. ვაჟკაცობა უნდოდა, ვაჟკაცნი ვიყავით, ხმალი უნდოდა, ხმლის ჭედვა ვიცოდით, ომის

საქმეთა ცოდნა ვიცოდით. რამ შეგვაძლებინა, რამ გვიხსნა, რამ შეგვინახა! იმ დროთა ჩარხზე გაჩარხულნი ვიყავით, იმ დროთა ქარცეცხლში გამოფოლადებულნი, იმ დროთა ნამჭედურში ნაჭედნი!“ მეორე და უმთავრეს მიზეზს იმისას, თუ რამ გაგვაძლებინა, ილია ჩვენს ეკონომიკურ სტრუქტურასა და წყობაში ხედავდა: “უეჭველია ჩვენი ეკონომიკური წყობა ისეთი ყოფილა, რომ ხალხს იქიდან ჰქონია ის ქონებითი ძალ-ღონე, რომლითაც იგი გასძღოლია ამოდენა ვაივაგლახსა და ომებსა ამოდენა ხნის განმავლობაში” (ილია. 2009. გვ. 295).

ილია ჭავჭავაძის აზრით, სხვა სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, საქართველოს ეკონომიკური წყობილების თავისებურება იმაში მდგომარეობდა, რომ უძველესი დროიდან ქვეყნის ეკონომიკაში გაბატონებული იყო არა “საკომლო”, არამედ “სასოფლო” საკუთრება მიწაზე, რომელსაც ხალხი და სახელმწიფო უფრთხილდებოდა და იცავდა. როცა ერთიანი ქართული სახელმწიფო ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, “ამ უკეთეს მხარეს ჩვენი ეკონომიკური წყობისას ყური აღარ ათხოვეს, გაიდგა ფეხი განსაკუთრებამ და კომლექსობამ, ჩამოყალიბდა უსწორმასწორობა მიწის მფლობელობაში, არამც თუ კომლთა შორისაც არამედ სოფელთა შორისაც”, რამაც საბოლოო ჯამში ეკონომიკური თვალსაზრისითაც დაასუსტა საქართველოს ერთ დროს ძლიერი და მდიდარი სახელმწიფო” (ილია. 2009. გვ. 295).

ილია ჭავჭავაძის აზრით, საქართველოს რუსეთის იმპერიაში ყოფნა დიდი პრობლემებისა და საშიშროების წინაშე აყენებდა ერს. მისი აზრით, ახალი პრობლემების წარმოქმნა სწორედ ამ დროიდან დაიწყო ქართველთა ცხოვრებაში: “ხმლიანმა მტერმა ვერ დაგვათმობინა, ვერ წაგვართვა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ქვეყანა. ხმლით მოსულმა ვერ დაგვაკლო რა, შრომით და გარჯით, ცოდნით და ხერხით მოსეული კი თან გაგვიტანს, ფეხქვეშ დამ მიწას გამოგვაცლის, სახელს გაგვიქრობს, გაგვიწყვეტს, სახსენებელი ქართველისა ამოიკვეთება და ჩვენს მშვენიერ ქვეყანას, როგორც უპატრონო საყდარს სხვები დაეპატრონებიან” (ვ. შუბითიძე. ვ. ფერაძე. 2005. გვ. 81). ეს რომ არ მოხდეს, უკვე დროის შესაბამისი ქმედებანი უნდა განახორციელოს ქართველობამ: “ეხლა ან ადლი უნდა გვეჭიროს ხელში, ან გუთანი, ან ჩარხი ქარხნისა, ან მართულები მანქანისა. ახლა ვაჟკაცობა ომისა კი არ უნდა, რომ სისხლსა ჰღვრიდეს, ვაჟკაცობა უნდა შრომისა, რომ ოფლი ჰღვაროს. კიდევ ვიტყვით, ქვეყანა ახლა იმისია, ვინც ირჯება და ვინც იცის წესი და ხერხი გარჯისა, ვინც უფრო უფრთხილდება ნაშრომს, ვინც იზოგავს ნაღვაწს. დღეს მძლეა მძლეა მარტო ის, ვინც მცველია და ბეჯითი სულითა და ხორცითა, ცოდნითა და მარჯნითა, ეხლაც ომის, ხოლო სისხლის ღვრისა კი არა, ოფლის ღვრისა, ომი უსისხლო, მშვიდობიანი, წყნარი. ეს ომი შრომისაა და ვითარცა შრომა – პატიოსანია, ნამუსიანია და ისეთივე თავმოსაწონებელი, თავგამოსაჩენი, როგორც უწინ თოფისა

და ხმლის ომი იყო ვაჟკაცობა, ამისთანა ომში ბევრით წინ არის სისხლის ომის ვაჟკაცობაზე” (ილია. 2009. გვ. 295).

ერის გაძლიერების და დარაზმვის, მისი ფეხზე დაყენების საქმეში ილია დიდ როლს ანიჭებდა ქვეყნის ხელისუფლებას, მთავრობას, მის მორალურ პრინციპებსა და პროფესიონალიზმს. ამავე დროს, ილიას კარგად ესმოდა, რომ მარტო მთავრობის და მის მოხელეთა იმედად ყოფნა არ შეიძლებოდა, იგი ასევე დიდ პასუხისმგებლობას აკისრებდა ქვეყნის ინტელექტუალურ ელიტას, განათლებულ და ზნეობრივ ნაწილს, რომლებიც მაშინაც და ახლაც პასიურობას იჩენდნენ.

ილია სრულიად მართებულად აღნიშნავდა, რომ ქართველობამ მეტ სულიერებაზე უნდა იზრუნოს და გათავისუფლდეს დამპყრობელთაგან გამომდებელი ბევრი უღირსი ჩვეულებისაგან, მაგალითად პირფერობისაგან, “ჩვენ საწყალ ქართველებს, წერდა იგი, ერთი სხვა საძაგელი სენიც გვჭირს – ყიზილბაშობა, გულის შემაზრხენი, კაცის ღირსების დამამდაბლებელი პირფერობა, ურცხვი ტყუილი, ქება, საძაგელი კლაკენა და პირიდან თაფლის დენა, რომელსაც ქართველი “ზრდილობას” ეძახის, ესენი ერთად შტოები არის დამპყრობი ყიზილბაშობისა” (გ. შუბითიძე. გ. ფერაძე. 2005. გვ. 83). ილია რელიგიური ტოლერანტობისა და სარწმუნოებრივი თავისუფლების პატივისმცემელი იყო და მიუთითებდა, რომ სარწმუნოება სინდისის, სასოების საქმეა, აქ ყველა თავისუფალია და ხელშეუხებელი. ილია ჭავჭავაძის პოლიტიკური მმართველობის ყველაზე მისაღები ფორმა გახლდათ ადგილობრივი თვითმმართველობით განმტკიცებული საპარლამენტო რესპუბლიკა, ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მმართველობის უნიტარული ფორმით. შესაბამისად, ილიასთვის ყველანაირად მიუღებელი გახლდათ დიქტატორული მმართველობა და ისეთი სახელმწიფოს არსებობა, რომელიც სპობს ყოველგვარ თვითმმართველობას და ადგილობრივი საქმეების გამგებლობასაც ცენტრს უმორჩილებს.

ილია ჭავჭავაძე საქართველოს თავისუფლებაზე ოცნებობდა, მაგრამ იყო რეალისტი და კარგად ხედავდა, რომ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის რთულ გზაზე საჭირო იყო ქართველი ხალხის სათანადო მომზადება. სანამ ერი სახელმწიფოს აღადგენდა, ილია კმაყოფილდებოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიით, თვითმმართველობით. მისი აზრით, ქართველობას საშინაო საქმეები თვითონ უნდა განეგო და გადაეწყვიტა. ილია ამბობდა, “ერთს უდიდეს საპოლიტიკო საგანს რუსეთისას შეადგენს ის, რომ სხვადასხვა ტომის ერნი როგორ უნდა მოეწყონ შინაობაში სათითაოდ და მერე, როგორ უნდა მოთავსდნენ სახელმწიფოსთან”(გ. მკურნალიძე. 2000. გვ. 37).

რაც შეეხება ილიას დამოკიდებულებას წარმომადგენლობით მონარქიულ სახელმწიფოსთან დაკავშირებით, ჭავჭავაძეს იგი წარმოდგენილი ჰქონდა

კონსტიტუციური მონარქიის სახით. მისთვის მისაღებია ინგლისის საპარლამენტო მონარქია, მაგრამ არსებულ სახელმწიფოთა შორის ყველაზე მისაღებად რესპუბლიკური აშშ მიაჩნდა. მისი აზრით, რესპუბლიკის მონარქიისაგან მთავარი განმასხვავებელი ფაქტორი იყო ის, რომ რესპუბლიკა მონარქიაზე უფრო სრულად გამოხატავს მშრომელი ხალხის ინტერესებს და სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საქმეში მონაწილეობის უფრო მეტ საშუალებას აძლევს ხალხის ფართო მასებს, საზოგადოების სხვადასხვა ფენების წარმომადგენლებს.

### *ნიკო ნიკოლაძის (1843-1928) პოლიტიკური შეხედულებები*

ქართული პოლიტიკური რეალიზმის და ეკონომიკური პრაგმატიზმის ერთ-ერთი უდიდესი წარმომადგენლის ნიკო ნიკოლაძის მრწამსი ორ მთავარ პოსტულატს ემყარება:

1. პრაგმატული - რა არის საქართველოსათვის ძირითადი საჭიროება და რა არა;
2. რეალისტური – ქართველი მოაზროვნის აზრით, “საჭიროა არამეტაფიზიკური აზროვნება და ქმედება, რომელიც სინამდვილის მოთხოვნებს უპასუხებს. უშედეგო და არაფრისმომტანია აბსტრაქტული მსჯელობა და აზროვნება, რომანტიკული ჭკრეტა და ოხვრა, დროა ჩვენც ავიხილოთ თვალი სინამდვილეზე, იმის გარჩევა ვისწავლოთ, ჩვენს გარშემო რა ამბავია, რა ნამდვილი წამალი უშველის ჩვენს ჭირს? თვალუწვდენელ ოცნებას ეს მცირე ამაგი სჯობია” (ნ. ნიკოლაძე, 2009. გვ. 320).

ნიკო ნიკოლაძეს უპირველესი მნიშვნელობის იდეოლოგიურ ამოცანად მიაჩნდა იმის გარკვევა, თუ რა კონკრეტული ორიენტაცია უნდა აირჩიოს ერმა სამომავლო ცხოვრებისათვის, “როგორც ჭკვიანი ირჩევს ტანსაცმელს მას რა მოერგება და რა მოუხდება სხეულის აღნაგობის მიხედვით, ასევე უნდა მოიქცეს ერი ამა თუ იმ მოძღვრების არჩევისას. ჯერ ერთი, თუ შეუძლია ის მოძღვრება, რაც მას სჭირდება, მან თვითონვე უნდა შექმნას, მეორეც, თუ ამისათვის ჭკუა-გონება არ ჰყოფნის და აუცილებლად სხვას უნდა დაესესხოს, მაშინ ის უნდა აიღოს, რაც მას უეჭველად გამოადგება, თუმცა ამასაც დიდი გონიერება სჭირდება” (ნ. ნიკოლაძე, 2009. გვ. 320). ნიკოლაძე საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული დადებითი გამოცდილების საქართველოს თანამედროვე ცხოვრებაში დანერგვასა და ეროვნული მოდელის შექმნას უჭერდა მხარს და თვლიდა, რომ შეუძლებელი იყო უცხოელს, ქართული სპეციფიკის არმცოდნეს, ქვეყნისათვის ზუსტად მისადაგებელი განვითარების რეცეპტი მოენახა.

ნიკო ნიკოლაძე პირველ რიგში მხარს უჭერდა ქვეყნის შიდა საქმეებში არსებული პრობლემების მოგვარებას და აღნიშნავდა: რომ “მხოლოდ შინაგანი საქმეების გონივრულად და დამაკმაყოფილებლად მოგვარება უზრუნველყოფს გარედან

მოსალოდნელი საშიშროების თავიდან აცილებას და მოგვიტანს საგარეო დიდებას” (ნ. ნიკოლაძე, 2009. გვ. 321).

ზემოთ აღნიშნული დებულების ქართული საზოგადოებისათვის წარსადგენად ნიკო ნიკოლაძემ კარგად შეისწავლა და გაანალიზა XIX საუკუნის II ნახევრის იაპონიის ე.წ. “მეიძის რევოლუციის” პერიოდი, რომლის დროსაც ამომავალი მზის ქვეყნის საზოგადოების ყველა სფეროში სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის მიმართულებით რადიკალური ცვლილებები განხორციელდა.

ნათლად გააცნობიერა რა საკუთარი პასუხისმგებლობა თავისი ერის წინაშე, იაპონიის პროგრესულად მოაზროვნე მთავრობამ და მმართველმა ელიტამ რაციონალურად დასახა სახელმწიფოს მომავალი პოლიტიკური და სოციალური მოწყობის მეცნიერული კონცეფცია, რომელიც ახალი საზოგადოებრივი ცხოვრების მამოძრავებელ ძალად იქნა აღიარებული იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პარალელურად უნდა შენარჩუნებულიყო საკუთარი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა, წინაპართა მიერ დანერგილი ტრადიციები და წეს-ჩვეულებები, იაპონური ცხოვრების წესის მდიდარი ეროვნული შინაარსი. ნიკო ნიკოლაძეს სამაგალითოდ მიაჩნდა ისტორიის მცირე მონაკვეთში ქვეყნის ასეთი აღორძინება და ილიასავით გონიერი მთავრობის აუცილებლობაზე და პასუხისმგებლობაზე მიანიშნებდა ქართველობას: “იაპონია ერთობ დიდ და ნათელ მაგალითს წარმოგვიდგენს იმისას, თუ რა ადვილი ყოფილა თითქმის სრულიად ველური და უკან ჩამორჩენილი ხალხისათვის სწავლითა და რიგიანი წესით წელში გამართვა და ძალის შექმნა, როცა მას გონიერი მთავრობა ჰყავს და ბეჯითი სურვილი აქვს რიგიანი ადგილი დაიკავოს სხვა ერსა და სამეფოებს შორის” (ნ. ნიკოლაძე, 2009. გვ. 326). ნედლეულისა და სხვა სახის სტრატეგიული რესურსების სიმწირის მიუხედავად, იაპონიის გაძლიერება, ნიკოლაძის სამართლიანი მოსაზრებით დაკავშირებული იყო შრომის ჭკვიანურ ორგანიზაციასთან, შრომის ნაყოფიერებასთან, რამაც თავის მხრივ საშემსრულებლო დისციპლინის მაღალი დონე განაპირობა, რაც მას ასევე სანიმუშოდ მიაჩნდა. ნიკო ნიკოლაძე ამასთან დაკავშირებით აღნიშნავდა, რომ იაპონიის სოციალ-ეკონომიკური განვითარება დაკავშირებული იყო სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან, ახალი ტექნოლოგიების სწრაფ დანერგვასთან და არა ქვეყნის სიდიდესა და მოსახლეობის მრავალრიცხოვნობასთან. ამ მხრივ, დიდი ქართველი მოაზროვნე ერის განვითარების პროცესში გადამწვეტ ფაქტორად შრომის ნაყოფიერებისა და შრომის კულტურის საკითხს განიხილავდა და ამის დასადასტურებლად მოყავდა დასავლეთ ევროპის წამყვანი ქვეყნების მაგალითი და აღნიშნავდა, რომ უზარმაზარ და ნედლეულით უმდიდრეს რუსეთზე გაცილებით წინ იყვნენ პატარა ქვეყნები - შვეიცარია, ბელგია, ნიდერლანდები და სხვა, რომლებმაც განავითარეს საწარმოო ძალები, ტექნიკა, ცოდნა და დისციპლინა.

ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გადამწყვეტ ფაქტორად ქართველი საზოგადო მოღვაწე ქვეყნის ეკონომიკურ აღორძინებას განიხილავდა. შესაბამისად, ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების უმთავრეს პირობად ნიკო ნიკოლაძეს, ილია ჭავჭავაძის მსგავსად, თავნახურელი შრომა, თვითგანვითარება და სწავლა მიაჩნდა. ამასთანავე იგი ფიქრობდა, რომ “სანამ უმოქმედო ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა შრომას და თავის რჩენას არ შეეჩვევა, სანამ ჩვენი ხალხი მეწველი ძროხის მდგომარეობიდან არ გამოვა, შეუძლებელია ჩვენში ნამდვილი ერთობა დაარსდეს, ან გულწრფელი ძმობა, ან ხეირიანი განწყობილება” (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 327).

საქართველოს სოციალ-ეკონომიკური და სახელმწიფოებრივი აღორძინებისა და აღმშენებლობის პროცესში ნიკო ნიკოლაძეს ასევე აუცილებლად მიაჩნდა ადამიანში იმის შეგრძნების გაჩენა, რომ სწორედ კონკრეტული პიროვნება უნდა ყოფილიყო საკუთარი თავის ბატონ-პატრონი და საკუთარი ბედის განმსაზღვრელი და არ უნდა დარჩენილიყო სხვა ადამიანის იმედის ამარა. აგრეთვე, ქართველი მოაზროვნე თვლიდა, რომ აუცილებლობას წარმოადგენდა იოლი გამდიდრების განწყობილების დაძლევა და მოითხოვდა ამგვარი ილუზიებისაგან დროზე განთავისუფლებას. როგორც რეალისტურად მოაზროვნე ადამიანი, ნიკო ნიკოლაძეც მთავარ პრიორიტეტს ანიჭებდა უმთავრესად საკუთარი რესურსებით და შრომით ქვეყნის განვითარებას და უცხოელთა ფინანსური და ეკონომიკური დახმარების შეზღუდვას, რაც არასოდეს უანგაროდ არ ხდებოდა.

ნიკო ნიკოლაძე კარგად აანალიზებდა იმ ფაქტს, რომ მცირერიცხოვანი და ეულად დარჩენილი ქართველობა მრავალრიცხოვანი და ძლიერი მტრებით იყო გარშემორტყმული და შესაბამის დასკვნას აკეთებდა: “ჩვენ ჩვენი ვიმეცადინოთ, ჩვენი ქვეყნისათვის ვიზრუნოთ. მარტო ჩვენი თავის იმედი ვიქონიოთ, მარტო ჩვენს ძალას მივუდნოთ, მარტო ჩვენს გაძლიერებასა და განათლებაზე ვიმუშაოთ, მაშინ მეგობარიც გაუჩნდება ჩვენს ხალხს და დამხმარებელიც” (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 329).

ნიკო ნიკოლაძემ ქართველ მოღვაწეებს შორის ერთ-ერთმა პირველმა წინა პლანზე პრაქტიკული და პრაგმატული საკითხები წამოსწია, რაც სრულიად შეესაბამებოდა ქვეყნის განვითარების მოთხოვნებს. ის კარგად აცნობიერებდა, რომ თითოეული ქვეყნის ეკონომიკური ძლიერება სამ მთავარ ბურჯს ეყრდნობოდა-თავისუფალი მეწარმეობისა და მრეწველობის განვითარებას, სოფლის მეურნეობასა და ცივილიზებულ ვაჭრობას. იგი მართებულად მიუთითებდა, რომ “ყოველი ერის საფუძველი, ძალა, მომავალი, უფრო მის მეურნეობაზეა დამყარებული, მის მწარმოებლობაზე. სხვა ყველაფერი თითქმის უმნიშვნელოა ამასთან შედარებით” (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 329).

ნიკო ნიკოლაძე, ილიასავით, საქართველოს მომავალ ბედს რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ფართო ავტონომიის მიღებას უკავშირებდა, მაგრამ ი. ჭავჭავაძისაგან განსხვავებით იგი მოესწრო საქართველოს დამოუკიდებლობას (1918 წ. 26 მაისი) და პირველი დღეებიდანვე ჩადგა დამოუკიდებელი სახელმწიფოს სამსახურში, როგორც უკვე ეროვნული მოღვაწე და დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი. იგი მართებულად აძლევდა რეკომენდაციებს ხელისუფლებაში მყოფ გამოუცდელ სოციალ-დემოკრატებს, რომ “როცა არ გვაბადია წარმოება და არც შემოსავალი, ვერ გვიხსნის ვერავითარი გადასახადი. წარმოების გაჩაღება არის ერთადერთი ჩვენი ხსნა. უნდა მოვახერხოთ გარეთ მეტი გავიტანოთ გასაყიდი, ვიდრე უცხოელს ვთხოვთ საყიდ საქონელს. სანამ მოსაზიდი მეტი გვექნება ვიდრე გასაზიდი, მონობას ვერ ავცილდებით” (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 330). ნიკო ნიკოლაძე პირველია ქართველ მოაზროვნეებს შორის, ვინც ვაჭრობის, აღებ-მიცემობის პროპაგანდა დაიწყო და მისი ფასი კარგად იცოდა. მისი აზრით, არსებობდა იმის საშიშროება, რომ მრეწველობასა და სოფლის მეურნეობის დარგებში მიღებული შემოსავალი წყალში გადაყრილიყო, თუ ეკონომიკის შესაბამის დარგებზე გონიერი და შორსმჭვრეტელი მეწარმეები არ აიღებდნენ პასუხისმგებლობას. “ვაჭრობა აგრეთვე წესრიგია, ანგარიშიანობაა, აწყობილი საქმეა. ყოველი ქვეყნის ერთიანობა-მთლიანობას ორი საძირკველი უდგას-რელიგია და ვაჭრობა. საქართველოში ყოველთვის ათვალწუნებით უყურებდნენ ვაჭრობას, რაც ქართველი ხალხის წინააღმდეგობას ძალას აცლიდა. დისციპლინის, წესრიგის, აწყობილი საქმიანობის შინაგანი მოთხოვნილება გამქრალი იყო, რაკილა ესენი ვაჭრობის თანმხლებნი არიან. ვაჭრობა შრომაა და ისევე პატივსაცემი, როგორც ყოველგვარი შრომა” აღნიშნავდა ნ. ნიკოლაძე (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 330).

ნიკო ნიკოლაძე ეროვნული საქმეების გადაწყვეტის პროცესში გადაჭრით უარყოფდა ყოველგვარ რადიკალიზმს და წერდა: “ქართველების მიზნები მხოლოდ ზომიერების გზით მიიღწევა” (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 331).

ნიკო ნიკოლაძე მარტო სიტყვით როდი არწმუნებდა ვინმეს, არამედ მისთვის უმთავრესი იყო კონკრეტული საქმის კეთება და ამიტომაც, სრულიად საფუძვლიანად უწოდა მას არჩილ ჯორჯაძემ “უღმობელი საქმის კაცი”.

ნიკო ნიკოლაძეს უდიდესი ღვაწლი აქვს შეტანილი ქ. ფოთის აღმშენებლობაში, პორტის ელექტრიფიკაციასა და მექანიზაციაში, მან მოიარა ევროპის წამყვანი სახელმწიფოების ნავსადგურები და მიიღო შესაბამისი გამოცდილება. 1894 წელს, როდესაც იგი ქალაქის თავად აირჩიეს, ფოთის ბიუჯეტი 75 ათას მანეთს შეადგენდა. იგი ამ თანამდებობაზე 20 წლის განმავლობაში იმყოფებოდა და მისი უდიდესი გარჯის შედეგად, ქალაქის ბიუჯეტი 10-ჯერ გაიზარდა (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 330). მან ფოთის პორტის ამოქმედებით საქართველოსათვის გაჭრა ფანჯარა ევროპაში. უმნიშვნელოვანესია ნიკო ნიკოლაძის წვლილი ტყიბულის ქვანახშირის საბადოს

ათვისებისა და ჭიათურის მანგანუმის წარმოების გაფართოების საქმეში. მან მოახერხა დიდი ბრიტანეთის ერთ-ერთი კომერციული ბანკიდან კრედიტის აღება, მიღებული თანხით გაიყვანა შორაპან-ჭიათურის სარკინიგზო გზა, ამით მანგანუმის გადაზიდვის საქმეც მოაგვარა და ტრანსპორტირებაც უფრო იაფი გახადა. სარკინიგზო ლიანდაგის მონაკვეთის ფარგლებში არსებობდა პლატფორმაც კი – “ნიკო ნიკოლაძე”. მანვე დაამკვიდრა სიტყვები “ლიანდაგი”, “ორთქმავალი”. ნიკო ნიკოლაძე აქტიურად მონაწილეობდა თბილისის წყალსადენის მშენებლობაში, კახეთის რკინიგზისა და სურამის გვირაბის გაყვანაში. ქუთაისის აღმშენებლობაში, ტრანსციმბირის რკინიგზის მშენებლობაშიც კი. მისი ინიციატივით ამიერკავკასიას ეწვია როტშილდი. ნიკო ნიკოლაძე პრინციპულად დაუპირისპირდა ნობელს (ცნობილი პრემიის დამაარსებელს) და მენდელეეფს და მათ დავა მოუგო.

ნიკო ნიკოლაძემ ფოთის ქალაქის თავად ყოფნის პერიოდში დაარსა თანამედროვე ბანკი. ქართულ სინამდვილეში ნიკო ნიკოლაძის ინიციატივით პირველად იქნა დაბეჭდილი ფასიანი ქაღალდები, კერძოდ, ობლიგაციები და ლატარიის ბილეთები და მათი გაყიდვის შედეგად მიღებული მთელი შემოსავალი ქალაქის კეთილმოწყობას მოხმარდა, რაც იმ დროის საქართველოში დიდად ნოვატორულ და პრაქტიკული ნაბიჯად იქნა აღთქმული.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდში, უდიდესმა ქართველმა საზოგადო მოღვაწემ გერმანელ დიპლომატებთან ოფიციალური მოლაპარაკებების ფარგლებში წამოაყენა იდეა ევროპის შორეულ აღმოსავლეთთან სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების პროცესში ტვირთების ფოთის პორტის გავლით გატარების თაობაზე (ბერლინი-ფოთი-პეკინი). როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, აღნიშნული პროექტი დღევანდელ ეტაპზე უკვე პრაქტიკულად ისხამს ხორცს ევროპა-აზიის სატრანსპორტო დერეფნის, იგივე “ახალი აბრეშუმის გზის” სახელწოდებით.

ნიკო ნიკოლაძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პოლიტიკური ლიდერის პიროვნულ თვისებებს, მის მიერ დახასიათებულ იქნა კიდევ პოლიტიკოსთა ცალკეული ტიპები. მისი აზრით, იმ ორგანიზაციაში, სადაც ყველაფერი ერთი კაცის ნება-სურვილზე ტრიალებს და არა კონკრეტული დაწესებულების პოლიტიკაზე, ხდება მმართველის მიერ ძალაუფლების ხელყოფა, რადგანაც: “ის კაციც ნელ-ნელა იმ შეხედულებებს იღებს, რომ მე ვარ სხვა არავინაო, ყველა მე უნდა მემსახუროს და არა ქვეყანასაო. ქვეყნის ერის, იდეალის ხსენება თანდათან ქრება დიდში და პატარაში. ერთის მხრივ დესპოტის, ხოლო მეორეს მხრივ ქვეყნის და იდეალების სამსახური, დიდად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან”.

ნიკო ნიკოლაძე მიუთითებს, რომ “ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მთავარ როლს ჩვეულებრივ ორი ტიპის მოღვაწენი ასრულებენ ხოლმე - ფანატიკოსები და



მონაგარეები, რას ვხედავთ ამ მხრივ ჩვენში? საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის მომზადებული ადამიანები, რომლებიც ამ საქმიანობისათვის საჭირო ცოდნით და ნიჭით იყვნენ აღჭურვილნი, ჩვენში ძლიერ ცოტაა. კიდევ უფრო ნაკლებად გვყვანან ფანატიკოსები, რომლებიც იკისრებდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეთა რკინის ბორკილების ტარებას. სამაგიეროდ ჩვენ გვყვანან უამრავი შესანიშნავი და კეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებსაც ალალი და წრფელი გულით სურთ სამშობლოსათვის ერთგვარი სიკეთე, მაგრამ რომელთაც არ შეუძლიათ ამის გამო უარი თქვან ისეთ სიამოვნებაზე, როგორც არის პაპიროსის მოწევა ან ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა წვიმიანსა და ცივ ამინდში. ამათ გარდა, კიდევ უფრო მეტი რაოდენობით გვყვანან სავსებით მოუმზადებელნი პირნი, რომლებსაც ბრწყინვალე საზოგადოებრივი მდგომარეობის უზომო მადა აქვთ, მაგრამ სრულიად არ გააჩნიათ არც მშვიდი ანგარიშიანობა, არც გამძლეობა, არც უნარი, რომ საკუთარი ძალ-ღონით და მეტნაკლებად რიგიანი საზოგადო საშუალებებით მიადწიონ თავიანთ მიზანს და რაკი სხვა ტიპის საზოგადო მოღვაწენი ჩვენ არ გაგვაჩნია, ამიტომ ბურთი და მოედანი რჩება ხოლმე ორ ტიპს, ზემოთ რომ დავხატე. სათნო აზიზ-მაზიზებს - ერთი მხრივ და არაკეთილსინდისიერ ინტრიგანებსა და მონაგარეებს-მეორეს მხრივ” (ნ. ნიკოლაძე. 2009. გვ. 329).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ნიკო ნიკოლაძე სინანულით აღნიშნავდა, რომ “მოდოდნენ ჩვენში მეთაურად ვიდაც სრულიად უცნობი და უზრდელი კინტოები. არავინ იცოდა თუ ვინ იყვნენ, საიდან მოსული, რა რჯულის ან რა აზრის, სახელი რა ერქვათ ან გვარი მათი რა იყო, როგორი წარსული ჰქონდათ. ამბობს და ვიწყოთ, დაიძახებდნენ და მათ ყველა გაყვებოდა, თითქოს თხას-ცხვრის ფარა. ჭკუაში არავის მოსვლია, მოეთხოვა მათგან ახსნა, ან ცოდნა ან სიმტკიცე. იფარფაშებდნენ, სანამ გასაჭირი არ მოახლოვდებოდა და მაშინ კი მოქუსლავდნენ და გაქრებოდნენ”.

ამასთან დაკავშირებით, ქართველი საზოგადო მოღვაწე სვამს კითხვას, “გინახავთ სადმე სხვა ერი, ასე მჩატედ რომ გააჰყოლოდეს პროვოკატორებს?”(ვ. შუბითიძე. 2006. გვ. 90).

ასეთი “ლიდერებისა” და “მოღვაწეების” ჩამოყალიბებაში ნეგატიურ როლს ჩვენი საზოგადოებაც ასრულებდა, მისთვის დამახასიათებელი ისეთი თვისებებით, როგორიცაა პირმოთნეობა, მლიქვნელობა, პანეგერიკი (ანუ ყიზილბაშობა, როგორც ილია უწოდებდა).

საქართველოს პარალელურად, ნიკო ნიკოლაძეს მოჰყავს განვითარებული ქვეყნების მაგალითი: “საზღვარგარეთ კი ყველა პოლიტიკური პარტიის კადრი და შტაბი სხვადასხვა სპეციალისტების საჩინო მოღვაწეებისაგან არის შემდგარი. პარტიებს იქ მეტად რთული სასიცოცხლო საქმეები მორიგად უდგათ წინ, რომლის მართვა ერთობ მარჯვე ღონისა და ცოდნის მოხმარებას თხოულობს: ამიტომაც

მეთაურებს გავლენის შერჩევა როდიდა შეუძლიათ მარტო ფრაზების რახარხით, ან მიუწვდომელ სიმაღლისაკენ ფრთების ფართხალით (ვ.შუბითიძე. ვ. ფერაძე. 2006. გვ. 91).”

და ბოლოს, კიდევ ერთი საკითხი, რომელსაც შეიძლება პირობითად ნიკო ნიკოლაძის პოლიტიკური ანდერძი ვუწოდოთ და რომელიც მან დაუტოვა სათაყვანებელ საქართველოს: “ერთი იარაღი გვაქვს ჩვენ, მარტო ერთი-აზრის სისწორე, სინდისის სიმართლე, გონიერება, საქმის სიწმინდე, მარტო ამით შეგვიძლია ჩვენ გავიმარჯვოთ შემდეგში, მომავალში, როდესმე. მაშ, ჩვენ უმანკოდ და გაუსვრელად უნდა შევინახოთ ეს ჩვენი მხოლოდა იარაღი, თორემ იმ დღეს, როცა ჩვენი მტერნი, რიცხვით და ძალით ძლიერნი, ჩვენს წინააღმდეგ სიმართლესაც მოიპოვებენ, ჩვენი საქმე ფიზიკურად და ზნეობრივად დაღუპული იქნება.”( ვ.შუბითიძე. ვ. ფერაძე. 2006. გვ. 91).

### *ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებები*

ცნობილი ქართველი პოლიტიკოსის, ნოე ჟორდანიას (1868-1953) პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწეობა 3 ძირითად პერიოდად შეიძლება დაიყოს:

1. 1892-1918 წწ. – მეფის რუსეთში ოპოზიციური მოღვაწეობის პერიოდი;
2. 1918-1921 წწ. – პერიოდი, როდესაც ის გახლდათ დამოუკიდებელი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკური ლიდერი და მთავრობის თავმჯდომარე;
3. 1921-1953 წწ. – საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდგომ, ემიგრაციაში (საფრანგეთში) პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეობის პერიოდი, როცა ნოე ჟორდანია სხვა ქართველ ემიგრანტებთან ერთად იბრძოდა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის და ბოლშევიკური ტოტალიტარული საბჭოთა რეჟიმის საერთაშორისო მხილებისათვის (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 180).

როგორც ნოე ჟორდანიას მემუარებიდან (“ჩემი წარსული”) ირკვევა, იგი დაიბადა 1868 წელს ლანჩხუთში, ღარიბი აზნაურის ოჯახში. საქართველოს მთავრობის მომავალმა თავმჯდომარემ დაწყებითი განათლება ლანჩხუთის სკოლაში მიიღო, საიდანაც იგი გადავიდა ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელში. შემდეგ იგი თბილისში ჩამოვიდა და სწავლა თბილისის სასულიერო სემინარიაში (1884-90 წწ.) გააგრძელა. სწავლასთან ერთად, იგი იწყებს პოლიტიკურ მოღვაწეობასაც, როდესაც იგი გაწევრიანდა მოსწავლეთა არალეგალურ წრეში და გახდა ნაროდნიკული მიმდინარეობის წევრი.

1891 წელს ნოე ჟორდანია სწავლის გასაგრძელებლად გაემგზავრა ვარშავაში, სადაც თანდათანობით იცვლება მისი პოლიტიკური მოსაზრებები, კერძოდ იგი

“სოციალისტ-ნაროდნიკიდან” მარქსისტად ყალიბდება და 24 წლის ახალგაზრდა შესაბამის დასკვნებსაც აკეთებს: იგი აცნობიერებდა რუსული უტოპიური სოციალიზმის რეაქციულ და ბარბაროსულ ხასიათს და ჩამოაყალიბა საკუთარი პოზიცია, კერძოდ, მისი აზრით ჩამორჩენილ ქვეყნებში ჯერ პოლიტიკური რევოლუცია უნდა მომხდარიყო და დემოკრატია დამკვიდრებულიყო, ხოლო უკვე შემდგომში უნდა დაწყებულიყო ხანგრძლივი ბრძოლა სოციალური რევოლუციისათვის. სწორედ ამ პოლიტიკურ პოზიციაზე დაყრდნობით წარმართა ქართველმა პოლიტიკოსმა მთელი თავისი თეორიული და პრაქტიკული მეცადინეობა.

ამავე დროს, ნოე ჟორდანიამ პირველმა მარქსისტულ თეორიაში წარმოადგინა ახალი კონცეფცია – სოციალური რევოლუციის პროცესში მუშათა კლასისა და გლეხობის ერთიანობის იდეა. ამ მიდგომამ განსაზღვრა ქართული მარქსიზმის სპეციფიკური ხასიათი. ამავე დროს, ვარშავაში სწავლის პერიოდში ჟორდანიას ეროვნული საკითხით ინტერესდება. იგი გაეცნო და ეზიარა პოლონელთა ეროვნულ დარაზმულობას, რომელიც ჯერ კიდევ უცხო იყო იმდროინდელი საქართველოსათვის. ეროვნულ საკითხთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთი რაციონალური დასკვნა გააკეთა: პოლონეთში, როგორც ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლები, ასევე სოციალისტები ცდილობდნენ ავტონომიის მოპოვებას რუსეთში არსებული რეჟიმის შეცვლითა და უფრო ლიბერალური წყობილების დამკვიდრების მეშვეობით. ბურჟუაზიული წრეების წარმომადგენლები პოლონეთის პოლიტიკური და სამართლებრივი სტატუსის მიღწევას განიხილავდნენ არა რევოლუციური გზით, არამედ ოპოზიციური მოძრაობის გააქტიურებით. ამავე დროს, განიხილებოდა რუსეთის ოპოზიციასთან კავშირის იდეაც. განსხვავებული პოზიცია ეკავათ სოციალისტებს, რომლებიც რუსეთის რევოლუციონერებთან ერთად რევოლუციის მოხდენას აპირებდნენ. ყოველ შემთხვევაში, ცვლილება უნდა მომხდარიყო საერთო ძალისხმევით, სრულიად რუსეთის მასშტაბით. ამასთან დაკავშირებით ჟორდანიას წერდა: “ჩვენი პატარა ერისათვის ეს ტაქტიკა თავისთავად საგულისხმო და მისაღები იყო, მარტო ქართველობა ხომ ვერ გაუმკლავდებოდა რუსეთის ვეშაპს. ჩვენთვის საჭირო იყო მოკავშირე ბრძოლაში, რომ იზოლაციაში არ მოვხვედრილიყავით და არ გავსრესილიყავით” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 181).

ვარშავაში და ევროპის სხვა ქვეყნებში თითქმის 5 წლის მანძილზე ყოფნის პერიოდში ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხზე გაამახვილა საკუთარი ყურადღება. XIX საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსათვის დასავლეთში ბევრი მარქსისტისათვის ცხადი გახდა, რომ მარქსიზმის ძირითადი დებულებანი საკმაოდ მოძველდა და თანამედროვე რეალობას ვეღარ პასუხობდა. შესაბამისად, მარქსიზმს დასავლეთ ევროპაში, პირველ რიგში კი გერმანიაში, თანდათან ცვლის ალტერნატიული მემარცხენე იდეოლოგია, კერძოდ სოციალ-დემოკრატიზმი. იგი

ფართოდ გავრცელდა ევროპული ქვეყნების საზოგადოებაში. მარქსიზმის ყველაზე სერიოზული კრიტიკა კარლ კაუცკიმ და ედუარდ ბერნშტეინმა (გერმანია) მოახდინეს. მათ მიერ უარყოფილ იქნა მარქსიზმის რამდენიმე უმთავრესი დებულება, კერძოდ:

- ა) კაპიტალიზმის რევოლუციითა და სისხლით მოსპობის აუცილებლობა;
- ბ) პროლეტარიატის დიქტატურის გარდაუვალობა.

მათ აღიარეს და მოითხოვეს:

1. რეფორმების გზით კაპიტალიზმის პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია;
2. ეკონომიკური ბრძოლის გაძლიერებით მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება;
3. ხელისუფლებაში მოსვლა არა რევოლუციის ან გადატრიალების, არამედ ლეგიტიმური – კერძოდ, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების გზით.

ნოე ჟორდანიამ, რომელიც საქართველოს შემდგომი განვითარების მიმართულებებზე ფიქრობდა და მუშაობდა, სწორად შეაფასა, რომ მარქსიზმის რადიკალურ მიმდინარეობასთან შედარებით, სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია უფრო ზომიერი, პროგრესული, დემოკრატიული და საქართველოსა და ქართული საზოგადოებისათვის შედარებით უფრო მისაღები შეიძლება ყოფილიყო. შემთხვევითი არც ის იყო, რომ შემდგომში, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში, ნოე ჟორდანიამ და საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის სხვა წევრებმა მარქსიზმის ყველა ძირითადი დებულება უარყვეს უკვე არა მარტო თეორიულად, არამედ პირველად საერთაშორისო დემოკრატიული მოძრაობის ფარგლებში, მსოფლიოში პირველმა სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ – პრაქტიკულად უარყო ულტრამემარცხენე, რადიკალური ბოლშევიკური იდეოლოგია და ამით გარკვეულწილად სათავე დაუდო თანამედროვე სოციალ-დემოკრატიულ მოდელს, რომელიც ძალზე პოპულარულია დღევანდელ მსოფლიოში.

1892 წლის დეკემბერში ყვირილაში, 1893 წლის თებერვალში კი თბილისში ჩატარდა ქართველ მარქსისტთა პირველი შეკრებები. ამ ღონისძიებათა ფარგლებში, ეტაპობრივად დაიწყო ჩასახვა პირველმა ქართულმა პოლიტიკურმა პარტიამ, რომლის ლიდერად თავიდანვე მოგვევლინა ევროპაში განათლებამიღებული ნოე ჟორდანია.

1893 წლის თებერვლის კონფერენციაზე მან წარმოადგინა იმ პერიოდში არსებული პროგრამებისაგან მთლიანად განსხვავებული და ორიგინალური პროგრამა – “რა ვაკეთოთ?”. “რა ვაკეთოთ” მე დავუტოვე “ივერიას” დასაბეჭდად

და არ დაბეჭდა, შემდეგ გაუუგზავნე “მოამბეს” და დიდი ყოყმანის შემდეგ მან გამოაქვეყნა 1894 წელს. შემდეგ პროგრამას გამოვუცვალე სახელი და დავარქვი “ეკონომიკური წარმატება და ეროვნება” - წერდა ნ. ჟორდანიას (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 182).

ნოე ჟორდანიამ თავის პირველ სერიოზულ ნაშრომში პოლიტიკური შეხედულებების 2 ძირითადი მიმართულება წარმოადგინა – ეროვნული და ტაქტიკური.

მოგვიანებით ნოე ჟორდანიას წერდა: “უნდა მომენახა ისეთი ღერძი, რომლითაც შეიძლებოდა ძველი საზოგადოების გადატრიალება. ასეთ პიონერებად მიმაჩნდა მუშები და ეს ელემენტები უნდა მომენახა ჩვენს ცხოვრებაში”. ამასთან, ნოე ჟორდანიას კარგად ესმოდა, რომ საფუძვლიანად უნდა ყოფილიყო შესწავლილი ეროვნული პრობლემის გადაწყვეტის გზები. ევროპისა და ამერიკის ძირითად ქვეყნებში ერის დამოუკიდებლობისა და სახელმწიფოთა სუვერენიტეტის პრობლემა კარგა ხნის გადაწყვეტილი იყო, ხოლო დაპყრობილი ქვეყნების წარმომადგენლები ამ დებულებას მაშინ არ აყენებდნენ, რუსები პირიქით, მას ებრძოდნენ და ნოე ჟორდანიამ ამ საპროგრამო დოკუმენტში პირველმა დააყენა ერის თავისუფლების იდეა: “ჩემი დებულება იყო საერთო ხასიათის და მოკლებული იყო კონკრეტულ ფორმას. არ იყო ნათქვამი საქართველოს განთავისუფლებაზე (ამ იდეაზე ვერც ილია და ნიკო ნიკოლაძე საუბრობდნენ ქვეყნის სათანადოდ მომზადების გარეშე), თუმცა მასში სწორად ამას ვგულისხმობდი, რა ძირითადი მოსაზრებიდან გამოდიოდა ერის თავისუფლება? მხოლოდ ერთიდან, დემოკრატიული მსოფლმხედველობიდან. თუ კი პიროვნება უნდა იყოს თავისუფალი, თუ მთელი საზოგადოება თავის თავს უნდა მართავდეს, რატომ ერი, როგორც ეთნიკური საზოგადოება, არ უნდა მართავდეს თავის თავს, არ ჰქონდეს თავისი სახელმწიფო?” წერდა ნ. ჟორდანიას (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 183).

ნოე ჟორდანიას მიერ შექმნილი საპროგრამო დოკუმენტი შემდეგ ძირითად პოსტულატებს შეიცავდა:

1. “ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედაბოძი ადამიანის ცხოვრებისა;
2. თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელშემწყობი პირობა უმთავრესი მიზნის მისაღწევად და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა;
3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნეს ეკონომიკურ ნიადაგზე” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 183).

ეს გახლდათ იმ პერიოდისათვის უადრესად პროგრესული და აქტუალური მოთხოვნა და მას დიდი მნიშვნელობა გააჩნდა არა მარტო საქართველოსათვის.

თანამედროვეობის სამი უმთავრესი იდეალი – ერისა და პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებები – ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ XIX საუკუნის ბოლოს აქცია თავისი და მესამე დასის მოქმედების ქვაკუთხედად და ცივილიზაციის უმნიშვნელოვანესი მონაპოვარი – უცხო ქვეყნის კოლონიური ბატონობისაგან განთავისუფლების იდეა, რომელიც აშშ-ის დამოუკიდებლობის აქტშია (1776 წ. 4 ივლისი) აღიარებული და ადამიანის, პიროვნების თავისუფლების იდეა, რომელიც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ დიდ საკაცობრიო ღირებულებად აქცია (1789 წლის 14 ივლისი) ერთმანეთთან დააკავშირა და საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე ღირებულებად აქცია. იგივე შეიძლება ითქვას ადამიანის უფლებებზეც, რომლის სრულყოფა მხოლოდ XX საუკუნეში მოხერხდა (1948 წ.)

ნოე ჟორდანიას დამსახურება ამით არ ამოიწურება. მან ერისა და პიროვნების თავისუფლება, ადამიანის უფლებები, პიროვნების ნივთიერი ანუ სოციალური კეთილმოწყობის უმნიშვნელოვანეს იდეასთან დააკავშირა (რაც დღეს ყველა ცივილიზებული ქვეყნის უმთავრესი საზრუნავი და სამოქმედო გეგმაა) და ამით გადალახა არა მარტო მარქსიზმის კლასობრივი ბრძოლის საზღვრები, არამედ გააფართოვა დემოკრატიის ცნების საზღვარიც (რისი რეალურად განხორციელება საქართველოში იწყება 1918 წლის 26 მაისიდან – როდესაც დაიწყო სოციალური დემოკრატიის იდეოლოგიაზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობა).

მოგვიანებით, საზღვარგარეთ მოღვაწეობის პერიოდში, ნოე ჟორდანიამ კიდევ უფრო დახვეწა მის მიერვე შედგენილი პროგრამა, როდესაც მან საზოგადოებას გაეფროპელების იდეა და ჩვენი ქვეყნისათვის ახალი სამოქმედო პროგრამა წარუდგინა: “ჩვენ ქართველებს, - წერდა იგი, რომლებმაც ერთი ევროპული ხანა – ფეოდალური უკვე გავიარეთ, ევროპა ვერას დაგვაკლებს. ის ჩვენი მტერი არ არის, პირიქით, მისი არის სისხლი სისხლთაგანი ჩვენი და ხორცი-ხორცთაგანი ჩვენი. ჩვენ ჩვენივე ევროპელებით და მაშასადამე, მის გვერდით, მასთან შეკავშირებით ჩვენივე უნდა ვიცხოვროთ. 1. ქართველობამ თვითონვე უნდა განავითაროს ძალა, აღძრას ენერჯია, გაანაყოფიეროს შრომა, თვითშემოქმედება, თვითმოძრაობა, თვითაზროვნება – აი, რა უნდა ეწეროს მის დროშაზე. ყველაფერი ის, რაც ამ გზაზე გვაბრკოლებს, ძიძაობას გვიწევს, ასპარეზს გვივიწროებს, გვაძინებს, გვაზარმაცებს – აი, ეს ჩვენი პირდაპირი მტერია, მომავლის ორმოს ამომთხრელია” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 185).

ამ დასკვნებში გადმოცემული იდეები საინტერესოა იმ თვალსაზრისითაც, რომ ნოე ჟორდანიას გაეფროპელება შესაძლებლად მიაჩნდა მხოლოდ ქართული ტრადიციებისა და ზნე-ჩვეულებების გათვალისწინებით და არა ყოველივე

ევროპულის ბრძად და ხელოვნურად გადმონერგვის გზით. ეს ეხებოდა მარქსიზმის თეორიასაც, რომელიც ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა, ქართული რეალობიდან გამომდინარე, ფაქტობრივად ეროვნულ ნიადაგზე გადაიყვანეს. თუმცა ცალკეული შეცდომები თავიდან ვერ აიცილეს.

შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ 1891-1898 წლებში ნოე ჟორდანიამ თავისი დროისათვის უმნიშვნელოვანესი პროგრესული მოთხოვნები დააყენა. მან ერთმანეთთან მჭიდროდ დააკავშირა ეროვნული და სოციალური საკითხები. საინტერესოა აღინიშნოს იმის შესახებ, რომ 1891-93 წლებში, პროფ. ვახტანგ გურულმა გამოიკვლია, რომ ნ. ჟორდანიას ყოფილა პატრიოტული ორგანიზაციის - “საქართველოს თავისუფლების ლიგის” წევრი და ერთ-ერთი ხელმძღვანელი.

ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 1898 წლიდან 1913 წლამდე ნოე ჟორდანიას პოლიტიკური შეხედულებებში სერიოზული რეგრესი შეინიშნება, რამაც თავისი ასახვა ჰპოვა კიდევ “მესამე დასის” პოლიტიკური ბრძოლის ტაქტიკასა და ნოე ჟორდანიას მოღვაწეობაში. ახალი პოლიტიკური შეხედულებების ჩამოყალიბება 1893 წლიდან დაიწყო და ნელ-ნელა ვითარდებოდა.

ხალხის პოლიტიკური აქტივობის ამადლები და თავის მხარეზე შემოკრების მიზნით, ნოე ჟორდანიამ და სოციალ-დემოკრატებმა კლასობრივი ბრძოლის ქადაგება დაიწყეს. კლასობრივი ბრძოლის მნიშვნელობის გაზვიადებამ და არასწორმა წარმოდგენამ, რომ ეროვნული განვითარება შეუძლებელია კლასობრივი ბრძოლის გარეშე, ქართულ საზოგადოებას მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა და ეროვნული კონსოლიდაციისკენ მიმართულ გზას მნიშვნელოვნად ააცილა. ეს განსაკუთრებით კარგად გამოჩნდა ეროვნულ საკითხებთან მიმართებაში. 1898 წლიდან ნოე ჟორდანიამ და მისი პოლიტიკური ჯგუფის წარმომადგენლებმა კლასობრივ ბრძოლას უმთავრესი პრიორიტეტი მიანიჭეს, რასაც ეროვნული საკითხის ფაქტიურად დღის წესრიგიდან მოხსნა მოჰყვა. ეს კი ნოე ჟორდანიას მიმდევრების მხრიდან დიდ ტაქტიკურ შეცდომას წარმოადგენდა.

ზემოაღნიშნულს თან დაერთო 1902 წლიდან ტაქტიკური მოსაზრებით “მესამე დასის” გაერთიანება რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში, რაც ასევე უკან გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

”მესამე დასის” ამ ქმედებების შედეგად, მოხდა ამ პოლიტიკური ჯგუფის დაპირისპირება ილია ჭავჭავაძესა და სხვა ქართველ ეროვნულ მოღვაწეებთან, რამაც მწვავე ხასიათი მიიღო.

ილია ჭავჭავაძე, რომელიც კარგად აცნობიერებდა სოციალური უსამართლობის აღმოფხვრის აუცილებლობას, ნეგატიურად განეწყო სოციალ-დემოკრატიული მოძღვრების მიმართ, რაც ძირითადად განპირობებული იყო იმ მოსაზრებით, რომ

დიდ ქართველ მამულიშვილს “მესამე დასის” საქმიანობა ეროვნულ მოძრაობაზე დარტყმად და მისი გათიშვის მცდელობად მიაჩნდა.

ვითარების გართულება გამოიწვია იმან, რომ ერთმანეთთან თანამშრომლობის მიუხედავად, 1893 წლიდან ილია და ნოე ჟორდანიას იდეურადაც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ნოე ჟორდანიას, ერთის მხრივ დიდ პატივს სცემდა ილიას მეთაურობით 60-იან წლებში ასპარეზზე გამოსულ თაობას (რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი შეიტანა სრულიად საქართველოს განვითარებაში, კერძოდ, შეგვიქმნა მწერლობა, შეგვიმუშავა სალიტერატურო ენა, შევბრძოლა ძველ წესებს და ჩაგრულთა მომხრედ გამოვიდა. ერთი სიტყვით, ეს თაობა იბრძოდა წინსვლის, პროგრესისათვის და თვით ეს ბრძოლა გულწრფელი, უანგარო იყო. მეორეს მხრივ ჟორდანიას თვლიდა, რომ მეოცე საუკუნის დასაწყისში ეროვნული მოღვაწეები ისევე ძველი მეთოდებით აგრძელებდნენ მუშაობას, “ეს თაობა დღევანდელ ცხოვრებასაც მესამოცე წლების სათვალეებით უცქერის, მაშინ როდესაც თვით ეს ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადნენ ახალი პირობები, აღმოცენდნენ ახალი საკითხები, ახალმა თაობამ უნდა განაგრძოს ილიასა და სხვათა მიერ დაწყებული საქმე, ოღონდ თანახმად ახალი ცხოვრებისა და მისი მოთხოვნებისა” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 186).

მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძეს ამ პერიოდის ნაშრომებში პერსონალურად არ შეხებია, მაგრამ ილიას თაობისა და ილიას პოზიციების კრიტიკა ირიბად ილია ჭავჭავაძის კრიტიკასაც ნიშნავდა. ილიას, რომელიც ილაშქრებდა კლასობრივი ბრძოლის ქადაგების წინააღმდეგ, სამართლიანად მიაჩნდა, რომ აღნიშნული ბრძოლა ქართული ინტერესების სასიკეთოდ ვერ იმოქმედებდა, ამიტომაც მან ნოე ჟორდანიას და “მესამე დასის” მიმართ მკვეთრად უარყოფითი პოზიცია დაიკავა, თუმცა ეს ყველაფერი არ მისულა პიროვნებებს შორის დაპირისპირებამდე.

უთანხმოებამ მომდევნო წლებშიც იჩინა თავი და კულმინაციას 1900 წელს მიაღწია. ამ დაპირისპირებაში ნათლად იგრძნობოდა ილიას პოზიციის მართებულობა. ამას, როგორც ჩანს, თავად ნოე ჟორდანიაც გრძნობდა და 1937 წელს პარიზში, იგი წერდა, რომ “ეს იყო მეტად თავხედი დროშა, რომლის აღმართვა მხოლოდ ახალგაზრდობაში შეიძლება” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 186).

ამრიგად შეიძლება გავაკეთოთ დასკვნა, რომ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება – ეს გახლდათ თაობათა ბრძოლის (მამათა და შვილთა ბრძოლის) გაგრძელება ახალ ისტორიულ პირობებში, რომელიც, მათ შორის ტაქტიკური განსხვავებების მიუხედავად, არა პირადულ დაპირისპირებას, არამედ საქართველოს უკეთესი მომავლისათვის უკეთესი გზის შერჩევას ემსახურებოდა.

თაობათა შესახებ ძალზე საინტერესო მოსაზრება აქვს გამოთქმული დიდ ესპანელ მოაზროვნეს ხოსე ორტეგა ი გასეტს, იგი წერს: “ერთი თაობის საზოგადოებრივი



ცხოვრება დაახლოებით ოცდაათ წელიწადს გრძელდება. ეს ცხოვრება შეიძლება ორ პერიოდად და მათსადაშე ორ ეტაპად დაიყოს. დაახლოებით თხუთმეტი წლის განმავლობაში ახალი თაობა ცდილობს დაამკვიდროს ახალი იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები და ბოლოს და ბოლოს მიზანსაც აღწევს: მისი იდეები დომინანტური ხდებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში. თუ თაობა აღზრდილია მშვიდობიან ვითარებაში, სადაც ბატონობს წინა თაობის, ესე იგი მამების აზროვნების მანერა, მაშინ ის ცდილობს, ახალი იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები თავს მოახვიოს საზოგადოებრივი ცხოვრების ატმოსფეროს. თუ უფროსი თაობის იდეები, მისწრაფებები და წარმოდგენები ექსტრემისტული ხასიათისაა, მაშინ ახალი თაობა ანტიექსტრემისტულად და ანტირევოლუციურად იქნება განწყობილი, ანუ რესტავრაციის მომხრე იქნება. სწორედ ესაა ახალი თაობის ნებისმიერი მოღვაწეობის არსი. რა თქმა უნდა, რესტავრაცია სულაც არ ნიშნავს წარსულისაკენ უბრალო მიბრუნებას, რაც კაცმა რომ თქვას, არც არასოდეს მოჰყოლია შედეგად არავითარ რესტავრაციას” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 186).

თუ ამ კუთხით გაგანალიზებთ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას თაობათა მოღვაწეობას, მაშინ შემდეგი სურათი წარმოგვიდგება: ილია და მისი დასი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდნენ XIX საუკუნის 60-იან წლებში და თავიანთი იდეების დამკვიდრება დაიწყეს ძველ თაობასთან (მამებთან) ჭიდილის ვითარებაში. 70-იანი წლების ბოლოს ილიას თაობის შეხედულებანი და აზრები უკვე გაბატონებული ხდება ქართულ საზოგადოებაში. ეს ეტაპი გრძელდებოდა 90-იანი წლების დასაწყისამდე, როცა ასპარეზზე გამოვიდა ნოე ჟორდანიას თაობა. ახლა მათ დაიწყეს მამათა თაობასთან პოლემიკა, იდეური ჭიდილი, თავისი აზრებისა და მრწამსის დამკვიდრება, რაც XX საუკუნის 10-იანი წლების დასაწყისამდე ფაქტიურად შეიძლება. შემდგომში კი მათი შეხედულებები გაბატონებულ მდგომარეობას იკავებენ, რასაც თან ერთვის საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა.

პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წწ.) მიმდინარეობის წლებში ნოე ჟორდანია ფაქტიურად კვლავ დაუბრუნდა თავის პირვანდელ ტაქტიკას - აღიარა ჯერ საქართველოს ავტონომიის მოთხოვნა, მერე კი, პირობების შეცვლის შემდეგ, მან მხარი დაუჭირა საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნას და მის პრაქტიკულ განხორციელებაში მთავარი წვლილი შეიტანა.

საქართველოს I ეროვნულ ყრილობაზე (1917 წლის 19-24 ნოემბერი) ნოე ჟორდანიას მიერ გაკეთებულ მოხსენებაში ნათლად გამოჩნდა მისი რეალისტური მიდგომა საქართველოში განვითარებული მოვლენების მიმართ. მის მიერვე იყო გამოცხადებული საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისს, ხოლო დამოუკიდებლობის სამწლიანი პერიოდის განმავლობაში, ნოე ჟორდანია იყო ქვეყნის ნამდვილი პოლიტიკური ლიდერი, მთავრობის თავმჯდომარე.

ბოლშევიკური რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციისა (1921 წლის 25 თებერვალი) და ანექსიის შემდეგ, ნოე ჟორდანიას ხელისუფლების სხვა წევრებთან ერთად იძულებული იყო საქართველო დაეტოვებინა, სადაც ქვეყნის მოსახლეობის მიერ არჩეული პარლამენტის დადგენილებით უკვე ევროპიდან აგრძელებდა უთანასწორო ბრძოლას კომუნისტური ტოტალიტარიზმის წინააღმდეგ, საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მოთხოვნით. ემიგრაციაში გატარებულმა წლებმა კიდევ ერთხელ ცხადყო ნოე ჟორდანიას, როგორც მოაზროვნისა და როგორც პოლიტიკური მოღვაწის, განსაკუთრებული შესაძლებლობანი. მის მიერ გამოქვეყნებულმა პოლიტიკურმა ნაშრომებმა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში დიდი აღიარება მოიპოვა. მან ჯერ კიდევ 20-იანი წლების დასაწყისში იწინასწარმეტყველა და ზუსტად დაასაბუთა საბჭოთა კავშირის და სოციალიზმის მომავალი კრახის ეკონომიკური, სამხედრო და პოლიტიკური მიზეზები, რაც მოგვიანებით, დაახლოებით 30 შემდეგ მერე გააკეთეს ცნობილმა სოვეტოლოგმა რიჩარდ პაიპსმა და აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში ზბიგნევ ბუჟეინსკიმ.

საქართველოს თავისუფლებისათვის უთანასწორო ბრძოლას ნოე ჟორდანიას სიცოცხლის ბოლომდე აგრძელებდა. ამ ბრძოლას მას მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული და მისი მომავლის რწმენა შთააგონებდა.

“ბევრი რამ შეუძლია პატარა საქართველოს?” - ეკითხებოდნენ ნოე ჟორდანიას.

“ათენა იყო მხოლოდ ერთი პატარა ქალაქი, მაგრამ მან შექმნა ცივილიზაცია” პასუხობდა ის (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 187).

### ***ვაჟა-ფშაველა კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ***

უდიდესი ქართველი მგოსნის, ვაჟა-ფშაველას ნაშრომში კოსმოპოლიტიზმისა და პატრიოტიზმის შესახებ, ნათლად გამოჩნდა ის დიდი სიყვარული, რომლითაც დიდი ვაჟა, როგორც უმაღლესი მორალური და სულიერი თვისებებით შემკული ადამიანი, გამსჭვალული იყო როგორც საკუთარი სამშობლოს, ასევე მთლიანად კაცობრიობის მიმართ. იგი წერდა: ”ზოგს ჰგონია, ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს, მაგრამ ეს შეცდომაა. ყველა ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია, როგორ? ასე, რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავისი სამშობლო აამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით იგი უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილგონიერებას. თუ მთელი ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანის აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულს ჯგუფსა. თუ კერძო ადამიანისათვის არის

სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველი ერისათვის სასარგებლოა ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის საღაროში.

ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახურებოდეს, მთელი თავის ძალდონით თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და რამდენადაც გონივრული იქნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშრომელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქნება მთელი კაცობრიობისათვის. ედისონი ამერიკელია, ამერიკაშივე მუშაობს, მაგრამ შრომის ნაყოფს მთელი კაცობრიობა გებულობს, შექსპირი ინგლისელია, ინგლისში მუშაობდა და ცხოვრობდა, მაგრამ, მისი ნაწერებით მთელი კაცობრიობა სტკება დღესაც. აგრეთვე სერვანტესი, გოეთე და სხვა გენიოსები თავის სამშობლოში, თავის თანამოძმისათვის იღწვოდნენ, მაგრამ დღეს ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვიძლ შვილებად.

ყველა გენიოსი ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად. მაშასადამე, გენიოსებმა თავის სამშობლოს გარეშეც ჰპოვეს სამშობლო – მთელი ქვეყანა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გენიოსთა ნაწარმოებები უფრო გასაგებია ეროვნული ნიადაგისათვის. გენიოსს, როგორც პიროვნებას, ინდივიდს აქვს თავისი სამშობლო, საყვარელი, სათაყვანებელი, ხოლო მის ნაწარმოებებს არა, ვინაიდან იგი მთელი კაცობრიობის კუთვნილებაა, როგორც მეცნიერება.

მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით. განავითარეთ ყოველი ერი იქამდის, რომ კარგად ესმოდეს თავისი ეკონომიკური, პოლიტიკური მდგომარეობა, თავის სოციალური ყოფნის აკარგი, მოსპეთ დღევანდელი ეკონომიკური უკუღმართობა და უეჭველია, მაშინ მოისპობა ერთისაგან მეორის ჩასანთქმელად მისწრაფება, ერთმანეთის რბევა, ომები, რომელიც დღეს გამეფებულია დედამიწის ზურგზე.

პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე, დაბადებისთანავე ჰყვება ადამიანს და შეიცავს ისეთ ნაწილებს, რომელთაც ვერც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ უარყოფს, როგორც მაგ: არის დედა ენა, ისტორიული წარსული, სახელოვანი მოღვაწენი და ეროვნული ტერიტორია, მწერლობა და სხვა. იმავე წამიდანვე როცა ბავშვი ქვეყანას იხილავს, მას გარდა ჰაერისა, სადგომ-საწოლისა, ესაჭიროება აღმზრდელი, რძე-საზრდოდ, ნანა-მოსასვენებლად.

ყველა ეს ხდება ოჯახში, დედის ხელმძღვანელობით და სწორედ აქ არის დასაბამი პატრიოტიზმისა, ყმაწვილი იმ თავითვე მჭიდრო კავშირს იმათთანა

გრძნობს, ვინც იმას ესაუბრება, ვინც გარშემო ახვევია – ვისგანაც პირველ შთაბეჭდილებას ღებულობს. ამიტომ უყვარს ის ენა, რომელიც იმას სიყრმის დროს ესმოდა და ის ადამიანები მიაჩნია თავისიანებად, რომელნიც ამ ენაზე ლაპარაკობდნენ თუ მღეროდნენ. თავის სოფელელთა სრულიად უმნიშვნელო სხვებისაგან განმასხვავებელი საუბრის კილოც კი მშვენიერებად მიაჩნია, თავისი სოფელი, თუნდ უკანასკნელი ადამიანი, უცხო ადგილას, უცხო მხარეს რომ შეხვდეს, დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს, ვიდრე გაფართოვდება ბავშვის მხედველობა და გაიზრდება მისი პატრიოტიზმი. მას მხოლოდ განსაკუთრებით ის სოფელი, ან დაბა უყვარს, სადაც დაბადებულია და ბავშვობა გაუტარებია.

ვერ წარმომიდგენია ადამიანი სრულის ჭკუისა, საღის გრძნობის პატრონი, რომ ერთი რომელიმე ერი სხვებზე მეტად არ უყვარდეს, ან ერთი რომელიმე კუთხე, რატომ? – იმიტომ, ერთი და იგივე ადამიანი ათასს ადგილას ხომ არ იბადება, არამედ ერთს ადგილას უნდა დაიბადოს, ერთს ოჯახში, ერთი დედა ენა ჰყავდეს. თუ ვინმე იტყვის ამას: ყველა ერი ერთნაირად მიყვარსო – ტყუის, თვალთმაქცობს, ან ჭკუანაკლებია, ან რომელიმე პარტიის პროგრამით არის ხელფეხშებოჭილი. სამოწყალო სახლში აღზრდილი ბუშიც კი რომელსაც შეიძლება ათასი ლალა გამოუჩნდეს და გარშემო ათასი ენა ესმოდეს, ბოლოს ერთს რომელიმე ენას იწამებს და ერთს ქვეყანას მიიჩნევს სამშობლოდ.

პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილგონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია. ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურების ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს.

ამიტომ კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა. იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს. ვინც უარყოფს თავის ეროვნებას, თავის ქვეყანას იმ ფიქრით, ვითომ და კოსმოპოლიტი ვარო, ის არის მახინჯი გრძნობის პატრონი, იგი თავისავე შეუმჩნეველად დიდი მტერია კაცობრიობისა, რომელსაც ვითომ ერთგულებას და სიყვარულს უცხადებს. ღმერთმა დაგვიფაროს, ისე გავიგოთ კოსმოპოლიტიზმი, ვითომ ყველამ თავის ეროვნებაზე ხელი აიღოსო. ყველა ერი თავისუფლებას ეძებს, რათა თვითონ იყოს თავისთავის პატრონი, თვითონ მოუაროს თავს, თავის საკუთარი ძალ-ღონით განვითარდეს. ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა” (ვაჟა. 2011. გვ. 369-372).

## ნაწილი - 3

### სახელმწიფო და მისი არსი

#### თავი 16. სახელმწიფოს არსი, მისი როლი საზოგადოებრივ ცხოვრებაში

სახელმწიფო წარმოადგენს საზოგადოებრივი პოლიტიკური ცხოვრების ცენტრალურ ინსტიტუტს, შესაბამისად, იგი პოლიტიკის მთავარ სუბიექტად გვევლინება. სახელმწიფო ინსტიტუტების საქმიანობის პროცესში რეალიზდება ის სახელისუფლებო მექანიზმი, რომელიც შესაბამის პრინციპებსა და ნორმებზე დაყრდნობით კონკრეტულ საზოგადოებაშია მიღებული. ტერმინი “სახელმწიფო” ჩვეულებრივად ორი მნიშვნელობითაა დატვირთული. ფართო გაგებით, სახელმწიფო აღიქმება როგორც ქვეყანა, ადამიანთა თანამეგობრობა, რომელიც გარკვეულ ტერიტორიაზეა განლაგებული. ვიწრო გაგებით, სიტყვა “სახელმწიფო” წარმოადგენს პოლიტიკურ ორგანიზაციას, ხელისუფლების ორგანოთა სისტემას, რომლებიც მართავენ ქვეყანას. სახელმწიფოს გარშემო ასოცირდება ყველა დანარჩენი პოლიტიკური ორგანიზაცია და საზოგადოებრივი მოძრაობები. მათი საქმიანობა რიგ შემთხვევებში შეესაბამება, ხოლო ზოგჯერ ეწინააღმდეგება ხელისუფლების ინტერესებს.

სახელმწიფო საზოგადოების ისტორიული განვითარების შედეგად წარმოიშვა, რომლის ფარგლებში იგი მოგვევლინა როგორც გარკვეულ გეოგრაფიულ არეალში ხალხთა პოლიტიკური ინტეგრაციის ძირითადი ფორმა. სახელმწიფო – როგორც პოლიტიკური ერთობა ხელს უწყობდა ადამიანთა ერთობის სხვა, კერძოდ – ეკონომიკური, ეროვნული, სასულიერო, კულტურული, სამხედრო ფორმების ჩამოყალიბებას. მხოლოდ სახელმწიფოს ფარგლებშია შესაძლებელი ოჯახის ნორმალური ფუნქციონირება, დაცულ იქნეს სოციალური ერთობის ყველა ფორმები და თვით ადამიანი როგორც პიროვნება.

განვიხილოთ სახელმწიფოს წარმოშობის რამდენიმე თეორია.

**პატერნალისტური თეორია** (ლათინურიდან – pater - მამა). აღნიშნული თეორია სახელმწიფოს წარმოშობას განიხილავს როგორც მცირე ოჯახების დიდ ოჯახში მამის ხელმძღვანელობით გაერთიანების პროცესს, როდესაც ბელადი ან მმართველი “მამობრივ” ყურადღებას იჩენდა თავისი ქვეშევრდომების მიმართ და რომელიც პოლიტიკურ ხელისუფლებას ასორციელებდა. ამ თეორიის საფუძვლები მოამზადეს არისტოტელემ, კონფუციმ და სხვა უძველესმა მოაზროვნეებმა. ისინი მიუთითებდნენ სახელმწიფოს ოჯახთა ერთობიდან ჩვეულებრივ წარმოშობაზე, როდესაც ერთობლივი ცხოვრების მიზნით მოხდა ოჯახთა გაერთიანება. სწორედ აქედან მომდინარეობს პატრიარქალური (საოჯახო) ხელშეკრულებითი თეორია. ეს თეორია

ამტკიცებს სახელმწიფოს წარმოშობას როგორც შეთანხმების, ხელშეკრულების შედეგს, როდესაც ისტორიულ წარსულში ტომების ბელადებსა და გვარების ყველა წევრს შორის წესრიგის უზრუნველყოფისა და საერთო ცხოვრების ორგანიზების მიზნით ადგილი ჰქონდა ისტორიულ შეთანხმებას. ეს შეთანხმება ხშირად მიიღწეოდა სხვა ტომების თავდასხმისაგან თავდაცვის უზრუნველყოფის მიზნით. საზოგადოებრივი ხელშეკრულების იდეები განსაკუთრებით სრულყოფილად წარმოდგენილ იქნა თ. ჰობსის, ჟან-ჟაკ რუსოს, ჟ. ლოკისა და XVII-XVIII სს. სხვა მოაზროვნეთა მიერ. ისინი თვლიდნენ, რომ ისტორიული განვითარების გარკვეულ ეტაპზე ადამიანები მივიდნენ იმ შეგნებამდე, რომ მცირე ერთობებით შემდგომი ცხოვრება შეუძლებელი იყო და ისინი ნებაყოფლობით გაერთიანდნენ უფრო მსხვილ ორგანიზაციაში - სახელმწიფოში. ამ უკანასკნელმა კი თავის თავზე აიღო ვალდებულება დაეცვა თავისი ქვეშევრდომების ბუნებრივი უფლებები და უზრუნველყო მათი ერთობლივი ცხოვრება.

**ძალადობრივი (დაპყრობითი) თეორია.** აღნიშნული თეორია ჩამოყალიბებულ იქნა XIX საუკუნეში ფ. ოპენჰეიმერის, ლ. გუმპლოვიჩის, ე. დიურინგის და სხვა სოციოლოგთა შრომებში. ამ მიდგომის მომხრეები სახელმწიფოს წარმოშობის ძირითად მიზეზად ასახელებდნენ დაპყრობით ომებს, როდესაც მსხვილი, ძლიერი ტომები ილაშქრებდნენ სუსტების წინააღმდეგ. მცირერიცხოვანი ტომების დამორჩილების შედეგად გამარჯვებულებმა თავისი განსახლების არეალში მიიზიდეს ხალხის დამატებითი რაოდენობა და საკუთარ თუ დაპყრობილ ტომებს თავს მოახვიეს ახალი ორგანიზაცია – სახელმწიფო, რომელიც თავის მხრივ გადაიქცა როგორც გამარჯვებულების, ასევე დამარცხებულების სახელისუფლებო ინსტიტუტად.

**ეკონომიკური დეტერმინიზმის თეორია.** ამ თეორიის ყველაზე უფრო სრულყოფილი შინაარსი წარმოდგენილია მარქსიზმის კონცეფციაში. იგი სახელმწიფოს წარმოშობას კერძო საკუთრების გაჩენასა და საზოგადოების კლასებად დანაწილების პერიოდთან აკავშირებს. ეს პროცესი წარმოდგენილია შემდეგი სახით. ისტორიული განვითარების შედეგად წარმოებითი ურთიერთობების სრულყოფამ მიგვიყვანა იქამდე, რომ თითოეულმა ადამიანმა მისი პირადი და ოჯახის წევრების ცხოვრების პირობების გაუმჯობესების მიზნით დაიწყო დამატებითი პროდუქტებისა და სხვა მატერიალური კეთილდღეობის საგნების იმაზე მეტი წარმოება, ვიდრე საჭირო იყო. შეიქმნა იმის შესაძლებლობა, რომ მომხდარიყო ზედმეტი პროდუქტის გადანაწილება. აქვე გაჩნდნენ ადამიანები კონკრეტული ტომის ელიტური ფენიდან, რომლებმაც დაიწყეს ზედმეტი პროდუქტის ხელში ჩაგდება. ასე შეიქმნა კერძო საკუთრება, ხოლო საზოგადოება გაიყო მდიდრებად და ღარიბებად ან საზოგადოებრივ კლასებად.

იმისათვის, რომ დაცული ყოფილიყო მდიდარი ადამიანების საკუთრება, ხოლო ღარიბები ჩართულნი ყოფილიყვნენ იძულებითი შრომის პროცესში, ასევე, საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფის მიზნით, რათა უზრუნველყოფილიყო ადამიანთა შორის საქმიანობის პროცესში პროდუქტების ურთიერთგაცვლა, გაჩნდა სპეციალური ორგანიზაციის შექმნის საჭიროება. ამგვარად, ეკონომიკური დეტერმინიზმის თეორიის მიხედვით, სახელმწიფო შეიქმნა იმ ადგილზე და მაშინ, სადაც ჩამოყალიბდა შრომის საზოგადოებრივი დანაწილება, კერძო საკუთრება და წარმოიშვნენ ურთიერთდაპირისპირებული საზოგადოებრივი კლასები.

სხვა თეორიები სახელმწიფოს წარმოშობას აკავშირებენ საზოგადოების ისტორიული განვითარების ძირითად პროცესებთან.

თავისი წარმოშობის დღიდანვე, სახელმწიფო, როგორც გზითაც ის არ უნდა ყოფილიყო შექმნილი, ხასიათდება იმ ცალკეული ნიშნებით, რომელიც მას განასხვავებს ნებისმიერი სოციალური ორგანიზაციისაგან. ასეთ ნიშნებად შეგვიძლია მივიჩნიოთ შემდეგი:

1. *საჯარო ხელისუფლების საზოგადოებისაგან და მთელი მოსახლეობისაგან გამოყოფა, პროფესიონალი - მმართველების ფენის წარმოშობა.* ეს ნიშანი სახელმწიფოს განასხვავებს ტომობრივ-გვაროვნული ორგანიზაციისაგან, რომელიც თვითმმართველობის პრინციპზე იქნა შექმნილი.
2. *ტერიტორია, რომელიც სახელმწიფოს საზღვრებს განსაზღვრავს.* სახელმწიფოს კანონები და უფლებამოსილება ვრცელდება იმ ადამიანებზე, რომლებიც განსაზღვრულ ტერიტორიაზე ცხოვრობენ. ტერიტორიულ საფუძველზე მოსახლეობის განსახლება ხშირ შემთხვევაში ადამიანთა ეთნიკურ ერთობას ემყარება.
3. *სუვერენიტეტი, ანუ გარკვეულ ტერიტორიაზე უმაღლესი ხელისუფლების განხორციელების პრინციპი.* ნებისმიერ თანამედროვე საზოგადოებაში მმართველობის მრავალფეროვნება არსებობს: საოჯახო, წარმოებითი, პარტიული და ა.შ. მაგრამ უმაღლეს ხელისუფლებას, რომლის გადაწყვეტილებებიც ყველა მოქალაქისათვის უზენაესია, აღნიშნული ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფ ორგანიზაციებსა და დაწესებულებს, სახელმწიფო აკონტროლებს. მხოლოდ მას გააჩნია კანონების გამოცემისა და სამართლებრივი ნორმების შემუშავების უფლება. ხოლო აღნიშნული კანონების შესრულება კი მთელი მოსახლეობის აუცილებელ ვალდებულებას წარმოადგენს.
4. *მონოპოლია ძალის ლეგალურ გამოყენებაზე, ფიზიკური იძულება.* სახელმწიფო იძულების დიაპაზონი ადამიანის თავისუფლების აღკვეთიდან ფიზიკურ ლიკვიდაციამდე (უკიდურეს შემთხვევაში) ვრცელდება. რიგ შემთხვევებში, მოქალაქეებისათვის ისეთი უმაღლესი ღირებულებების წართმევის

შესაძლებლობა, როგორებიცაა თავისუფლება და სიცოცხლე, სახელმწიფო ხელისუფლების განსაკუთრებულ ქმედუნარიანობას განსაზღვრავს. იძულებითი ფუნქციის განსახორციელებლად, სახელმწიფოს სპეციალური საშუალებები (იარაღი, ციხეები და ა.შ.) გააჩნია, მის დაქვემდებარებაშია შესაბამისი ორგანოები – არმია, პოლიცია, უშიშროების სამსახური, სასამართლო, პროკურატურა.

5. *მოსახლეობისაგან გადასახადის აკრეფის უფლება.* გადასახადების მობილიზება აუცილებელია სხვადასხვა სოციალური პროგრამების განსახორციელებლად, საჯარო სექტორში (თავდაცვა, ეკონომიკა, სოციალური საკითხები, ადგილობრივი თვითმმართველობა და ა.შ.) დასაქმებული ადამიანებისათვის ხელფასების გასაცემად, სახელმწიფო შეკვეთების განსახორციელებლად და ა.შ.
6. *კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეობის აუცილებლობა.* მაგალითად, ისეთი ორგანიზაციისაგან განსხვავებით, როგორც გახლავთ პოლიტიკური პარტია, რომელშიც ყოფნა ნებაყოფლობითია და მოსახლეობისათვის სავალდებულო არ გახლავთ, სახელმწიფოს მოქალაქეობის სტატუსი ადამიანს დაბადებიდანვე (ან ნატურალიზაციის გზით) ენიჭება.
7. *საერთო ინტერესებისა და კეთილდღეობის დაცვის მიზნით - საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნებისა და მისი წარმომადგენლობის პრეტენზია.* არც ერთ სხვა ორგანიზაციას, მათ შორის ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში მოქმედ პოლიტიკურ პარტიას, არ გააჩნია პრეტენზია ყველა მოქალაქის წარმომადგენლობაზე და მათი დაცვის უზრუნველყოფაზე. ერთადერთ ასეთ ორგანიზაციას წარმოადგენს სახელმწიფო.

სახელმწიფოს როლისა და ფუნქციების განსაზღვრის ფარგლებში საერთო ნიშნების არსებობას, არა მხოლოდ სამეცნიერო, არამედ პრაქტიკული პოლიტიკური მნიშვნელობაც გააჩნია. ამ მხრივ, განსაკუთრებით დიდი როლი საერთაშორისო სამართალს ენიჭება. თანამედროვე საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოს სამი ძირითადი ნიშანია წარმოდგენილი: ტერიტორია, ხალხი - რომელიც მოქალაქეთა სამართლებრივი კავშირითაა (მოქალაქეობით) გაერთიანებული და სუვერენული ხელისუფლება.

სახელმწიფოები შესაძლებელია განვასხვაოთ მათი ისტორიული ტიპების მიხედვითაც: მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური.

### **თავი 17. სახელმწიფო მოწყობის ფორმები. სახელმწიფოს ფუნქციები**

სახელმწიფოები ერთმანეთისაგან მმართველობის და სახელმწიფო მოწყობის (ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფის) ფორმების მიხედვით განსხვავდებიან.



*მმართველობის ფორმა* – ეს გახლავთ უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების საშუალება, სხვადასხვა სამთავრობო ინსტიტუტის ურთიერთქმედების ფორმა, გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსახლეობის მონაწილეობის ხარისხი. იმის გათვალისწინებით, თუ ვინ და როგორ ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას, როგორი გახლავთ მისი მოწყობის ფორმა, რამდენად ორგანიზებულად მოქმედებენ შესაბამისი ორგანოები და ა.შ. (Myxaev. P.T. 2009. სტრ. 207)

ერთმანეთისაგან გამოყოფენ მმართველობის ორ ძირითად ფორმას: **მონარქია და რესპუბლიკა.**

**მონარქია** – მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც სახელმწიფოს მეთაური გახლავთ მონარქი.

დღევანდელ მსოფლიოში მონარქიის ორი ძირითადი ფორმაა ცნობილი: **აბსოლუტური და კონსტიტუციური.**

*აბსოლუტური მონარქია* - ეს გახლავთ მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც ხელისუფლება მონარქის მიერ ერთპიროვნულად ხორციელდება (საუდის არაბეთი, ყატარი, ომანი, ბრუნეი).

*კონსტიტუციური მონარქია* – ეს გახლავთ მმართველობის ისეთი ფორმა, რომელშიც მონარქის ხელისუფლება შეზღუდულია ხელისუფლების სხვა შტოების მიერ, რომლებიც კონსტიტუციის (ბრიტანეთის შემთხვევაში დაუწერელი კონსტიტუციის) საფუძველზე მოქმედებენ. თავის მხრივ, კონსტიტუციური მონარქია იყოფა დუალისტურ და საპარლამენტო მონარქიებად.

*დუალისტური მონარქიის* დროს, რომლის დროსაც მონარქი უმეტესწილად აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობაშია ჩართული და საკანონმდებლო საქმიანობაში ნაწილობრივ ერევა (იორდანია, ქუვეითი, მაროკო).

*საპარლამენტო მონარქია* - მმართველობის ისეთი ფორმა, რომლის დროსაც მონარქი, მიუხედავად იმისა რომ იგი სახელმწიფოს მეთაურად ითვლება, მას პრაქტიკულად ძირითადად წარმომადგენლობითი ფუნქციები გააჩნია და ნაწილობრივ აღმასრულებელი. რიგ შემთხვევებში, მონარქს პარლამენტის გადაწყვეტილებებზე “ვეტოს” უფლება გააჩნია, თუმცა აღნიშნულ უფლებას იგი პრაქტიკულად არ იყენებს (ინგლისი, შვედეთი, ბელგია, ესპანეთი, ჰოლანდია, ლუქსემბურგი, ნორვეგია, იაპონია და ა.შ). საპარლამენტო მონარქიებში მთავრობა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ფორმირდება და ექვემდებარება პარლამენტს და არა მონარქს.

საპარლამენტო და საკონსტიტუციო მონარქიები რესპუბლიკებისაგან ბევრად არ განსხვავდებიან.

**რესპუბლიკები** – მმართველობის ფორმა, სადაც უმაღლესი სახელმწიფო ხელისუფლება ეკუთვნით წარმომადგენლობით ორგანოებს - პარლამენტს, პრეზიდენტს. ამგვარად, რესპუბლიკებში ხელისუფლების წყაროა ხალხი, რომელიც გარკვეული დროის განმავლობაში ირჩევს ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებს. არსებობს რესპუბლიკების შემდეგი ფორმები - საპარლამენტო, საპრეზიდენტო და შერეული.

*საპარლამენტო რესპუბლიკის* მთავარ განმასხვავებელ ნიშანს საკანონმდებლო ორგანოს მიერ (ძირითადად საპარლამენტო უმრავლესობის მიერ) მთავრობის შექმნა წარმოადგენს, ხოლო ეს უკანასკნელი პარლამენტის წინაშეა პასუხისმგებელი. მთავრობა ფლობს აღმასრულებელ ხელისუფლებას და რიგ შემთხვევებში საკანონმდებლო ინიციატივას. მთავრობის შესაძლო გადაყენებასთან დაკავშირებით, პარლამენტი ხანდახან პრეზიდენტის შუამავლობით სარგებლობს.

მთავრობის თავმჯდომარე – პრემიერ-მინისტრი, საპარლამენტო იერარქიაში პირველ პირს წარმოადგენს, პრეზიდენტის უფლებამოსილება კი წარმომადგენლობითი და საცერემონიო ფუნქციებითაა შეზღუდული, რითაც ეს უკანასკნელი ნაკლებად განსხვავდება კონსტიტუციურ მონარქიებში მოქმედ სახელმწიფო მეთაურისაგან (მონარქისაგან).

*საპრეზიდენტო რესპუბლიკების* (აშშ, ლათინური ამერიკის ქვეყნები, რამდენიმე აფრიკული და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ქვეყანა) მთავარ თავისებურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პრეზიდენტი ერთდროულად გახლავთ როგორც სახელმწიფოს მეთაური, ასევე მთავრობის მეთაურიც, იგი კოორდინაციას უწევს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და არის ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი. გარდა ამისა, ადგილი აქვს სახელისუფლებო ფუნქციების (საკანონმდებლო, აღმასრულებელი, სასამართლო) მკაფიო დანაწილებას. პარლამენტს არ შეუძლია მთავრობისადმი უნდობლობის ვოტუმის გამოცხადება და თავის მხრივ, პრეზიდენტს არ გააჩნია უფლება დაშალოს პარლამენტი.

*ნახევრადსაპრეზიდენტო (შერეული)* მმართველობის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ძლიერი საპრეზიდენტო ხელისუფლება პარლამენტის მთავრობის საქმიანობაზე ეფექტური კონტროლითაა დაბალანსებული, ხოლო მთავრობას ორმაგი პასუხისმგებლობა აკისრია როგორც პარლამენტის, ასევე პრეზიდენტის წინაშე (ავსტრია, ირლანდია, პორტუგალია, პოლონეთი, ფინეთი, ბულგარეთი და სხვა). აღნიშნული სისტემის ფარგლებში მთავრობის

დაკომპლექტება იმ პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლებისაგან ხორციელდება, რომელმაც საყოველთაო საპარლამენტო არჩევნებზე საკანონმდებლო ორგანოში ყველაზე მეტი ადგილი მიიღო. მთავრობაზე საპარლამენტო კონტროლი დაკავშირებულია საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობასთან - გამოხატოს უნდობლობის ვოტუმი აღმასრულებელი ხელისუფლების მიმართ ან დააფიქსიროს საკუთარი პოზიცია სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცების პროცესში.

საერთო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა სახელმწიფო მმართველობის სისტემა სხვადასხვა – კონკრეტული ისტორიული პროცესის პირობებში ჩამოყალიბდა და იგი რამდენიმე განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი.

სახელმწიფოს მოწყობის ფორმა – ეს არის მის შემადგენლობაში შემავალი პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობა, რომელიც სახელმწიფოს მოწყობის და ორგანიზაციის საშუალებას განსაზღვრავს. იგი წარმოდგენილია მმართველობისა და სახელმწიფო მოწყობის ფორმით, პოლიტიკური რეჟიმის ტიპით. სახელმწიფოს ადმინისტრაციულ – ტერიტორიული მოწყობის ფორმები შესაძლოა იყოს სხვადასხვა. პოლიტოლოგიაში და სახელმწიფო სამართალში გამოიყოფა ისეთი ფორმები, როგორებიცაა უნიტარული სახელმწიფო, ფედერაცია, კონფედერაცია, იმპერია.

*უნიტარული სახელმწიფო* – ეს გახლავთ სახელმწიფო მოწყობის ისეთი ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია: ერთიანი ტერიტორია, ერთიანი კონსტიტუცია, ცენტრალიზებული სასამართლო სისტემა, სახელმწიფოს უმაღლესი ორგანოების ერთიანი სისტემა, ერთიანი მოქალაქეობა. უნიტარული სახელმწიფოს ტერიტორია შედგება შემდეგი ადმინისტრაციული ერთეულებისაგან - რაიონი, ოლქი, მუნიციპალიტეტი, გუბერნია და ა.შ. თანამედროვე უნიტარული სახელმწიფოების რიცხვში შედიან დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, იტალია და სხვ.

*ფედერაცია* წარმოადგენს საკავშირო სახელმწიფოს, რომელიც შედგება სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისაგან, რომლებიც ფლობენ გარკვეულ სუვერენიტეტს თავიანთ ტერიტორიებზე. ფედერაციის თითოეულ სუბიექტს გააჩნია საკუთარი საკანონმდებლო, სასამართლო და აღმასრულებელი ხელისუფლებები. სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლეს ორგანოსა და ფედერაციის სუბიექტებს შორის, როგორც წესი, არსებობს უფლებამოსილებათა გამიჯვნა. თანამედროვე ფედერალურ სახელმწიფოებს მიეკუთვნებიან აშშ, რუსეთი, კანადა, მექსიკა და სხვ. ფედერაციულ სახელმწიფოებში არსებობს ერთიანი სოციალ-ეკონომიკური სივრცე, ფულადი სისტემა, კონსტიტუცია, მოქალაქეობა, ტერიტორია, საზღვრები, უმაღლესი ხელისუფლება. ფედერაციის სუბიექტებს, როგორც წესი, არ გააჩნიათ უფლება გავიდნენ ამ კავშირის შემადგენლობიდან.

*კონფედერაცია* წარმოადგენს სუვერენული, დამოუკიდებელი სახელმწიფოების მჭიდრო კავშირს, რომელიც შექმნილია კონკრეტული საერთო მიზნების მიღწევის მიზნით - საგარეო-პოლიტიკური, თავდაცვითი, ეკონომიკური კავშირები და ა.შ.

*კონფედერაციული კავშირი* - წარმოადგენს სახელმწიფოთა ნებაყოფლობით გაერთიანებას, სადაც თითოეული ქვეყანა ახორციელებს თავისი უფლებების დელეგირებას საერთო მმართველ ორგანოში. ის საერთო გადაწყვეტილებები, რომელიც მთელ კონფედერაციას ეხება, მიიღება მხოლოდ და მხოლოდ ამ კავშირში შემავალი ყველა სახელმწიფოს თანხმობის გზით და ძალაში შედის მხოლოდ ეროვნული საკანონმდებლო ორგანოების მიერ საერთაშორისო ხელშეკრულებების დამტკიცების შემდეგ. კონფედერაციული კავშირის მაგალითად შეგვიძლია განვიხილოთ ევროპის კავშირი. თანამედროვე პერიოდში, ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, ადგილი აქვს მცდელობას - შეიქმნას კონფედერაციის მსგავსი გაერთიანება - დსთ - დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა. ასევე არსებობს სახელმწიფოთა ისეთი გაერთიანებები, რომელშიც ცენტრად გვევლინება ყოფილი კოლონიების მეტროპოლიები. სახელმწიფოს მშენებლობის ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ კონფედერაციები არ წარმოადგენენ მჭიდრო გაერთიანებებს.

*იმპერია* - ეს არის ფედერალური სახელმწიფო წყობილების თავისებური ფორმა, რომლისთვისაც დამახასიათებელია ფართო ტერიტორია, ძლიერი ცენტრალიზებული ხელისუფლება და დაქვემდებარებული ადგილობრივი ხელისუფლება, მოსახლეობის მრავალფეროვანი ეროვნული და კულტურული შემადგენლობა. კაცობრიობის ისტორიის სხვადასხვა პერიოდში, სხვადასხვა რეგიონში არსებობდნენ ცნობილი იმპერიები: ჩინეთის, ბრიტანეთის, საფრანგეთის, მონღოლეთის, ბიზანტიის, რომის, სპარსეთის, ოსმალეთის და ა.შ. იმპერიები იქმნება ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს მიერ ახალი ტერიტორიების ძალადობრივი მიერთებისა ან შედარებით მშვიდობიანი გზით. იმპერიათა უმრავლესობას წარმოადგენდნენ სახელმწიფოები, რომლებიც დაფუძნებული იყო ერთი იმპერიული ხალხის დამორჩილებულ ხალხებზე ეკონომიკური, პოლიტიკური, სოციალური ბატონობის საფუძველზე და რომლებიც კოლონიათა ძარცვის ხარჯზე ცხოვრობდნენ.

*სახელმწიფოს ფუნქციები* - ეს გახლავთ საქმიანობის სფერო, საზოგადოების წინაშე აღებული ვალდებულებები. სახელმწიფოს ფუნქციები ორ ნაწილად იყოფა - საგარეო და საშინაო. საშინაო პოლიტიკა დაკავშირებულია ქვეყნის შიგნით მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან, ხოლო საგარეო - მიმართულია კონკრეტული სახელმწიფოს ადგილისა და როლის დამკვიდრებაზე მსოფლიო თანამეგობრობაში.

*სახელმწიფოს შიდა ფუნქციები*. მათ რიცხვს პირველ რიგში ეკონომიკური ფუნქცია მიეკუთვნება. დროთა განმავლობაში, მისი შინაარსი და მოცულობა წარმოებითი ურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე იცვლებოდა. როგორც ცნობილია, წარმოებითი ურთიერთობების ცვლილებას ისტორიული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე ჰქონდა ადგილი. საზოგადოებრივი განვითარების მონათმფლობელურ სტადიაზე სახელმწიფო მკაცრად

აკონტროლებდა სამეურნეო ცხოვრებას, რადგანაც სახელმწიფოს ჩარევის გარეშე კერძო მფლობელებს არანაირი რესურსი არ გააჩნდათ მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა ინფრასტრუქტურულ პროექტებში, მაგალითად, შეექმნათ მძლავრი საირიგაციო სისტემები (ეგვიპტე, ასურეთი, ბაბილონი) ან აეშენებინათ ქალაქები და აეგოთ ციხესიმაგრეები (მაგალითად საქართველოს ტერიტორიაზე). კაცობრიობის ცივილიზაციის უფრო გვიანდელ ეტაპებზე, კერძო მეწარმეობის განვითარებასთან ერთად, საწარმოო სფეროში სახელმწიფოს ეკონომიკური ფუნქციები შესუსტდა, რაც გამოწვეული იყო კერძო მესაკუთრეთა შორის არსებული ურთიერთობების სამართლებრივი რეგულირებით, შრომითი კანონმდებლობის შემუშავებით, ან საზოგადოებრივი წარმოების პროცესის პირდაპირი რეგულირებით, რისთვისაც სპეციალური სახელმწიფო ორგანოები იქნა ჩამოყალიბებული. ამ უკანასკნელთა პირდაპირი ჩარევას ეკონომიკურ პროცესებში (პირდაპირი რეგულირება) ომების ან საბრძოლო მოქმედებების მზადების პერიოდში ჰქონდა ადგილი, როდესაც მთავრობას კანონის ძალით გადაჰყავდა რიგი საწარმოები და ხანდახან მთელი დარგები სამხედრო წარმოების ყაიდაზე.

თანამედროვე პირობებში სახელმწიფოს მონაწილეობა ეკონომიკაში ეკონომიკური პროგრამების შემუშავებასა და რეალიზაციასთანაა დაკავშირებული, რიგ შემთხვევებში ადგილი აქვს ეკონომიკური სანქციების გამოყენებასა და ეკონომიკისა და ბიზნესის განვითარების სტიმულირების, ასევე საგადასახადო პოლიტიკის განხორციელების პროცესებს.

*პოლიტიკური ფუნქცია* - თანამედროვე სახელმწიფოს აღნიშნული ფუნქცია პოლიტიკური ხელისუფლების განხორციელებასთანაა დაკავშირებული: მაგალითად, მმართველის პარტიის პოლიტიკური პროგრამის რეალიზაცია, სახელმწიფოში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა, პოლიტიკურ პარტიებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება, სახელისუფლებო უფლებამოსილების რეალიზაცია. ამ ფუნქციის ფარგლებში საპროგრამო მიზნების და საზოგადოების განვითარების ამოცანები შემუშავდება, ადგილი აქვს ეროვნულ ურთიერთობათა რეგულაციას (მრავალეროვანი სახელმწიფო).

*ორგანიზატორული ფუნქცია* – დაკავშირებულია სახელმწიფო აპარატის მიერ წარმოდგენილი პოლიტიკის რეალიზაციასთან, კანონების შესრულებაზე სახელმწიფო და საზოგადოებრივ კონტროლთან, მმართველობის აპარატის ფორმირებასთან, პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა სუბიექტთა საქმიანობის კოორდინაციასთან და მთლიანად საზოგადოებრივ ურთიერთობებთან.

*სოციალური ფუნქცია* – მთავარ ამოცანას წარმოადგენს სახელმწიფოს მიერ მოსახლეობის უზრუნველყოფა საცხოვრებელი და სამუშაო ადგილებით, სოციალურ დაცვას და სადაზღვევო პოლიტიკას. მაგალითად, აღნიშნული ფუნქციის ფარგლებში განიხილება შემწეობებისა და პენსიების გადახდა, უფასო დაწვევითი განათლება, ჯანდაცვა და ა.შ. მაგ: დიდ ბრიტანეთში მუშებისათვის კოტეჯების მშენებლობა, იტალიასა და ესპანეთში – ახალგაზრდობის შრომითი დასაქმებისა და დაცვის პროგრამების შემუშავება და ა.შ.

*სამართლებრივი ფუნქცია* – უკავშირდება სამართალწარმოებას, კანონების მიღებას და მოქალაქეთა ქცევისა და საზოგადოებრივი ურთიერთობების რეგულირების ნორმებისა და წესების შემუშავებას.

ნებისმიერი სახელმწიფოს მნიშვნელოვან ფუნქციას წარმოადგენს საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა და მოქალაქეთა საკუთრების დაცვა. თანამედროვე პერიოდში, სახელმწიფოს აღნიშნული ფუნქცია წამყვან როლს ასრულებს.

დღევანდელ დღეს, განსაკუთრებული აქტუალობა შეიძინა სახელმწიფოს *ეკოლოგიურმა ფუნქციამ*. მრავალი საუკუნის განმავლობაში კაცობრიობა არ ფიქრობდა იმაზე, რომ ბუნებას, გარემოს, შესაძლებელია ეკოლოგიური ზიანი მიაღწეს. ამიტომაც, აუცილებლობას წარმოადგენს, რომ საზოგადოება განიხილავდეს არა მხოლოდ ბუნების წიაღიდან მინერალური რესურსების მოპოვებას, არამედ გეოგრაფიული გარემოს დაცვის აუცილებლობის საკითხს. უკვე გასული საუკუნის შუა წლებიდან, ეკოლოგიური საფრთხე აღიქმებოდა როგორც საშიშროება არა მხოლოდ ცალკეული რეგიონისა თუ ქვეყნისათვის, არამედ მთელი კაცობრიობისათვის, პლანეტის თითოეული ადამიანისათვის. ეს კი თავის მხრივ იძლევა იმის საფუძველს, რომ გაერთიანებულ იქნეს ძალისხმევა და პლანეტის ყველა ქვეყნის გაერთიანება პლანეტის წინაშე არსებული ეკოლოგიური კატასტროფის აღკვეთისა და ბიოსფეროს შენარჩუნების მიზნით.

თანამედროვე სახელმწიფოს კიდევ ერთ მნიშვნელოვან ფუნქციას სახალხო განათლების და საზოგადოების სულიერი კულტურის განვითარების ხელშეწყობა წარმოადგენს. ჩვენს დროში საგანმანათლებლო ფუნქციას გაფართოებისა და საქმიანობის გარღმავების ტენდენცია გააჩნია. ეს განპირობებულია ობიექტური გარემოებებით, და პირველ რიგში, საინფორმაციო და სამრეწველო წარმოების ტექნოლოგიების მზარდი განვითარებით. თანამედროვე წარმოება მაღალკვალიფიციურ კადრებს საჭიროებს, მათ შორის სპეციალისტებს არა მხოლოდ საინჟინრო და ტექნოლოგიურ სფეროში, არამედ მუშათა კლასის რიგებიდანაც. დღევანდელ დღეს, განვითარებული სახელმწიფოები არ ზოგავენ თანხებს განათლებაზე, სხვადასხვა სფეროს სპეციალისტთა მომზადებაზე. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ ამ დანახარჯების კომპენსირება ხდება წარმოების სფეროში შრომის ნაყოფიერების ამაღლების საშუალებით, უფრო კვალიფიციური ადამიანების მიერ წარმოებული პროდუქციის ხარისხის მეშვეობით.

თანამედროვე სახელმწიფოები რიგ შინაგან ფუნქციებსაც ასრულებენ, მათ მიეკუთვნება: საზოგადოების სოციალური სტაბილიზაცია, მეწარმეებსა და მუშებს, დაქირავებულებსა და დამქირავებლებს შორის, ერებს (მრავალეროვან ქვეყნებში), საქალაქო და სასოფლო დასახლებებს შორის ურთიერთობათა რეგულირება და ა.შ.

*სახელმწიფოს საგარეო ფუნქციები*. ქვეყნის ძირითადი საგარეო - პოლიტიკური პრიორიტეტების ფარგლებში ორი ძირითადი ფუნქცია შეგვიძლია განვიხილოთ – სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების განვითარება და საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

კონკრეტული ქვეყნის უცხო სახელმწიფოებთან ხელსაყრელი ურთიერთობების განვითარება ისტორიის ყველა პერიოდში სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფუნქციას წარმოადგენდა. მოცემული ამოცანების განსახორციელებლად, თითოეულ სახელმწიფოში ფუნქციონირებს სპეციალური ორგანო – საგარეო საქმეთა სამინისტრო. ასევე, ყალიბდება შესაბამისი სახელმწიფო ორგანოები საგარეო ვაჭრობის რეგულირების სფეროში, სხვადასხვა სამინისტროებსა თუ სახელმწიფო დეპარტამენტებში ფუნქციონირებს საგარეო ურთიერთობათა სამმართველოები ან განყოფილებები. ყველა აღნიშნული ორგანოს და განსაკუთრებით საგარეო საქმეთა სამინისტროს მთავარ ამოცანას სხვადასხვა სახელმწიფოსა და საერთაშორისო ორგანიზაციასთან თანამშრომლობის განმტკიცებას წარმოადგენდა, გარდა ამისა, უმნიშვნელოვანესია მოკავშირე ქვეყნებთან ურთიერთობათა უზრუნველყოფა როგორც მშვიდობიანობის, ასევე განსაკუთრებით ომიანობის პერიოდში, რათა მოხდეს მოწინააღმდეგე ქვეყნების არახელსაყრელ მდგომარეობაში ჩაყენება ან მათი ნეიტრალიზება და ა.შ.

სახელმწიფოს მეორე უმნიშვნელოვანეს საგარეო ფუნქციას საკუთარი უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ანუ წარმატებული თავდაცვითი პოლიტიკის განხორციელება წარმოადგენს. აუცილებელია აღინიშნოს, რომ თავდაცვითი პოლიტიკა არა მხოლოდ საგარეო ფუნქციის შემადგენელ ნაწილად შეიძლება იყოს განხილული. ერთის მხრივ, საგარეო ფაქტორი იმიტომ არსებობს, რომ ქვეყნის თავდაცვა გარეშე ძალის თავდასხმის შემთხვევაში ხორციელდება. ამავე დროს, თავდაცვისა და უსაფრთხოების ინსტიტუტების გაძლიერება და სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერის უზრუნველყოფა ქვეყნის შიგნით, მათ შორის მოსახლეობის ძალისხმევითაც ხორციელდება. ასევე, უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფოს მიერ სამხედრო ძალის ამოქმედებას არცთუ ისე იშვიათად ადგილი აქვს ქვეყნის შიგნითაც – რომელიც მიმართულია არსებული კონსტიტუციური წყობილების მტრებისა და ხანდახან აჯანყებული და ამბოხებული ხალხის წინააღმდეგ.

საერთო ჯამში, სწორედ ზემოაღნიშნული გახლავთ, სახელმწიფოს - როგორც საზოგადოების მთავარი პოლიტიკური ინსტიტუტის ფუნქციები. მუშაობს რა მათ შესრულებაზე, იგი უზრუნველყოფს საზოგადოებრივი სისტემის სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

### **თავი 18. ადგილობრივი მმართველობა**

ადგილობრივი ხელისუფლება, ყველაზე ფართო გაგებით, ესაა ამა თუ იმ დასახლებული ადგილის, დაბის, პატარა თუ დიდი ქალაქის ანდა ოლქის უშუალო ხელისუფლება. უფრო კონკრეტულად კი, ეს მმართველობის ფორმაა, რომელსაც დამოუკიდებლობის შედარებით მცირე ხარისხი გააჩნია და დიდწილად დაქვემდებარებული ცენტრალური ხელისუფლების (ფედერალურ სისტემებში – შტატისა თუ რეგიონალური ხელისუფლება) მიერ გატარებულ პოლიტიკაზე. სხვათა შორის, მმართველობის ეს ყველაზე დაბალი დონე საყოველთაოდაა გავრცელებული და როგორც უნიტარულ, ასევე ფედერალურ თუ კონფედერაციულ სისტემებსაც ახასიათებს. აშშ-ს ადგილობრივი მმართველობის 86000 ორგანოში, 11 მილიონი ადამიანია დასაქმებული, მაშინ როცა ფედერალურ და შტატების დონეებზე ერთად – 8 მილიონზე ნაკლები

(Heywood. 2007. P. 231). რაც შეეხება უნიტარულ სისტემებს, აქ ადგილობრივი მმართველობის მნიშვნელობას ისიც აძლიერებს, რომ ის ცენტრს დაცილებული ხელისუფლების ერთადერთ ფორმას წარმოადგენს და შეცდომა იქნებოდა იმის ფიქრი, თითქოს ადგილობრივი მმართველობის კონსტიტუციურად დაქვემდებარებული მდგომარეობა, მათ პოლიტიკურ მნიშვნელობას აკნინებდეს. თუნდაც მხოლოდ მათი საყოველთაო არსებობა ადასტურებს, რომ ადგილობრივი მმართველობები ადმინისტრაციულად აუცილებელ რგოლს წარმოადგენენ და უფრო ხელმისაწვდომნიც (ხალხთან მეტი “სიახლოვის გამო”) არიან. მეტიც, ადგილებზე არჩეულ პოლიტიკოსებს დემოკრატიული ლეგიტიმაციის ისეთი ხარისხი გააჩნიათ, რაც საკუთარი ძალაუფლებისა და პასუხისმგებლობების გაფართოების საშუალებას აძლევს. ხშირად ეს იმასაც ნიშნავს, რომ ცენტრისა და პერიფერიების ურთიერთობა უფრო გარიგებებისა და მოლაპარაკებების გზით ხორციელდება, ვიდრე ზემოდან დიქტატის მეშვეობით. ცენტრსა და პერიფერიებს შორის წონასწორობას ასევე განაპირობებს პოლიტიკური კულტურა (კერძოდ, ადგილობრივი ავტონომიების მიერ ჩამოყალიბებული ტრადიციები და რეგიონალური ნიშან-თვისებები) და პარტიული სისტემის ხასიათი. ასე მაგალითად, ადგილობრივი პოლიტიკის მზარდი ტენდენცია “პოლიტიზირებისაკენ”, იმ თვალსაზრისით, რომ ამ სფეროში სულ უფრო მეტად იზრდება ზოგადეროვნული პარტიების გავლენა, თავისთავად უწყობს ხელს მეტ ცენტრალიზაციას. როცა ფედერალური სისტემებისაგან განსხვავებით, უნიტარულ სისტემებში არ არსებობს ჩამოყალიბებული კონსტიტუციური ჩარჩოები, ადგილობრივი ავტონომიების დაცვა თავიდან ბოლომდე იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოინდომებს და მოახერხებს ცენტრი “თავის მოთოკვას”. ეს კი იმას ნიშნავს, რომ უნიტარულ სისტემებში დეცენტრალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად განსხვავებულია როგორც ისტორიულად, ისე ქვეყნების მიხედვითაც. ამის ნათელ მაგალითად გაერთიანებული სამეფოსა და საფრანგეთის სრულიად სხვადასხვაგვარი გამოცდილება გამოდგება.

გაერთიანებულ სამეფოში ტრადიციულად შედარებით დეცენტრალიზებული ადგილობრივი მმართველობის სისტემა არსებობდა, სადაც ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტის მიერ დადგენილ კანონიერ ჩარჩოებში მნიშვნელოვანი თავისუფლებით სარგებლობდნენ. მართლაც, გაერთიანებულ სამეფოში ადგილობრივ დემოკრატიის პატივისცემა იმთავითვე მიაჩნდათ დაუწერელი კონსტიტუციის ერთ-ერთ უმთავრეს დამახასიათებელ ნიშნად. უ.ს. მილიოდან მოყოლებული, ადგილობრივ მმართველობებს ბრიტანეთში მუდამ ცენტრალური ხელისუფლების ძლიერ მაკონტროლებლად და სახალხო წარმომადგენლობის გაფართოებისა და აქედან გამომდინარე, მეტი პოლიტიკური გათვითცნობიერების საშუალებადაც მიიჩნევდნენ. მეორე მსოფლიო ომის შემდგომ, სახელმწიფოს ეკონომიკური და სოციალური ფუნქციების ზრდასთან ერთად, ადგილობრივ ხელისუფლებას სულ უფრო მეტი და მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებოდა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებების ადგილებზე აღსასრულებლად. თუმცა, ამგვარი პარტნიორული ურთიერთობანი ცენტრსა და პერიფერიებს შორის მოულოდნელად დაირღვა XX საუკუნის 80-90-იან წლებში – კონსერვატორების ზეობის დროს, რომლებიც როგორც ადგილობრივ მმართველობებს, ასევე ნებისმიერ სხვა შუალედურ რგოლს,



საკუთარი რადიკალური, ბაზარზე ორიენტირებული პოლიტიკური კურსის გასატარებლად ზედმეტ წინაღობად მიიჩნევენ.

80-იანი წლების ფისკალურმა რეფორმებმა ადგილობრივ ხელისუფლებებს უმნიშვნელოვანესი უფლება ჩამოართვა – დაბეგვრის ადგილობრივი ტარიფების დადგენაში მათ უკვე აღარ შეეძლოთ და ვეღარც საკუთარ ხარჯვით პოლიტიკას შეიმუშავებდნენ. რიგი ადგილობრივი ორგანოები საერთოდ გაუქმდა და მათი უფლებამოსილებები მუნიციპალურ და საოლქო საბჭოთა უფრო უფრო დაბალ დონეებზე განაწილდა. ადგილობრივი მმართველობის უფლებამოსილებანი კიდევ უფრო შეიკვეცა ზოგადეროვნული სასკოლო პროგრამებისა და იმგვარი კანონების შემოღებით, რომლებიც სკოლებს საშუალებას აძლევდა თავად გადაეწყვიტათ, დარჩენილიყვნენ თუ არა ადგილობრივი ხელისუფლების ეგიდის ქვეშ. ამ პოლიტიკის საბოლოო მიზანს ადგილობრივი მმართველობების სრული გარდაქმნა და იმ ე.წ. “უფლებამოსილ” საბჭოთა მომრავლება წარმოადგენდა, რომლებიც თვითონ კი არ გაწევდნენ ამა თუ იმ სახის სამსახურს, არამედ მხოლოდ ზედამხედველობას გაუწევდნენ ამგვარი საქმიანობით დაკავებულ კერძო სტრუქტურებს.

დაახლოებით იმავე პერიოდში, საფრანგეთში სრულიად საპირისპირო მოვლენები განვითარდა. პრეზიდენტი მიტერანი მიზანმიმართულად ცდილობდა შეეცვალა ფრანგული საზოგადოებრივი წყობილების ხასიათი და შეემუშავებულ იქნა დეცენტრალიზაციის მთელი პროგრამა, რომლის განხორციელებაც თავის თავზე აიღეს 1982-86 წლებში საფრანგეთის შინაგან საქმეთა და დეცენტრალიზაციის მინისტრებმა (Heywood. 2007. P. 233). თუ მანამდე ცენტრსა და რეგიონებს შორის ურთიერთობას მკაცრი ადმინისტრაციული კონტროლი ახასიათებდა, რასაც შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ დანიშნული პრეფექტები ახორციელებდნენ, რეფორმების შედეგად ადგილობრივი თვითმმართველობები გამოცოცხლდა, პრეფექტის აღმასრულებელი ხელისუფლება ადგილებზე არჩეულ თავმჯდომარეებს გადაეცა, ხოლო თავად პრეფექტის ინსტიტუტი რესპუბლიკის კომისრებმა შეცვალეს.

## ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში

### *ტერიტორიული მოწყობა და მმართველობა*

საქართველოში ტერიტორიული მოწყობის პრობლემას „ორგანული კანონი - ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ არეგულირებს. ეს კანონი განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებებს, მათი შექმნისა და საქმიანობის წესებს, მათ ფინანსებსა და ქონებას, ურთიერთობებს მოქალაქეებთან, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებთან და საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან, აგრეთვე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე სახელმწიფო ზედამხედველობისა და პირდაპირი სახელმწიფო მმართველობის განხორციელების წესებს.

კანონის მიხედვით, თვითმმართველი ერთეული არის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტი არის დასახლება (თვითმმართველი ქალაქი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები, ან დასახლებათა ერთობლიობა (თვითმმართველი თემი), რომელსაც აქვს ადმინისტრაციული საზღვრები და ადმინისტრაციული ცენტრი. მუნიციპალიტეტს გააჩნია არჩევითი წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები.

კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოს ტერიტორიაზე დასახლებულ პუნქტებს მიეკუთვნება სოფელი, დაბა და ქალაქი. ქალაქის კატეგორიას შეიძლება მიეკუთვნოს დასახლება, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე მეტია. დასახლებას, რომლის რეგისტრირებულ მოსახლეთა რაოდენობა 5000-ზე ნაკლებია, ქალაქის კატეგორია შეიძლება მიენიჭოს, თუ იგი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციული ცენტრია ან მას აქვს შემდგომი ეკონომიკური განვითარებისა და მოსახლეობის ზრდის პერსპექტივა.

რაც შეეხება მუნიციპალიტეტის ორგანოებს, ესენია, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანო - კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო. მუნიციპალიტეტის საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ, პირდაპირი არჩევნებით, საყოველთაო, თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრთა რაოდენობა და არჩევის წესი განისაზღვრება საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილებებს განეკუთვნება: ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ორგანიზებისა და მისი იდენტურობის განსაზღვრის სფეროში: ა.ა) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა და გაუქმება, მათი საზღვრების დადგენა; ა.ბ) მუნიციპალიტეტის შექმნის/გაუქმების, ადმინისტრაციული ცენტრის დადგენის/შეცვლის და ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ შუამდგომლობების წარდგენა; ა.გ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მუნიციპალიტეტის სიმბოლოების (გერბის, დროშისა და სხვა სიმბოლოების) დადგენა; ა.დ) მუნიციპალიტეტის საპატიო წოდებებისა და ჯილდოების შემოღებისა და მინიჭების წესების დადგენა; ა.ე) ისტორიულად ჩამოყალიბებული უბნის, ამა თუ იმ ზონის, მიკრორაიონის, წყაროს, მოედნის, პროსპექტის (გამზირის), გზატკეცილის, ქუჩის, შესახვევის, ჩიხის, გასასვლელის, სანაპიროს, ესპლანადის, ბულვარის, ხეივნის, სკვერის, ბაღის, პარკის, ტყე-პარკის, ადგილობრივი მნიშვნელობის ტყის, სასაფლაოს, პანთეონის, შენობა-ნაგებობის, სატრანსპორტო სისტემის ობიექტის სახელდება და ა.შ.

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი. მერი წარმოადგენს მუნიციპალიტეტს და უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებას ამ კანონის, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებისა და შესაბამისი მუნიციპალიტეტის ნორმატიული აქტების შესაბამისად. მერი ანგარიშვალდებულია მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მოსახლეობის წინაშე.

### **საქართველოს ტერიტორიული მოწყობის ძირითადი პრინციპები**

საქართველოს უზენაესი კანონის - კონსტიტუციის თანახმად, საქართველო არის დამოუკიდებელი, ერთიანი და განუყოფელი სახელმწიფო. საქართველოს ტერიტორიული სახელმწიფოებრივი მოწყობა განისაზღვრება კონსტიტუციური კანონით, უფლებამოსილებათა გამიჯვნის პრინციპის საფუძველზე ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენის შემდეგ.

საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განსაზღვრულია 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა და სახელმწიფო საზღვრის ხელშეუხებლობა დადასტურებულია საქართველოს კონსტიტუციითა და კანონებით, აღიარებულია სახელმწიფოთა მსოფლიო თანამეგობრობისა და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ.

საქართველოს პრეზიდენტისა და მთავრობის წარმომადგენლობას საქართველოს ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში უზრუნველყოფს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი, რომელსაც პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შემდეგ თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს მთავრობა (კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებამდე საქართველოს პრეზიდენტი).

სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი კანონით დადგენილი წესით ახორციელებს სახელმწიფო ზედამხედველობას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობაზე და ახორციელებს კანონით განსაზღვრულ სხვა უფლებამოსილებებს.

თვითმმართველობის მეშვეობით, სახელმწიფო სუვერენიტეტის შეულახავად, საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების ხელმძღვანელთა თანამდებობა არჩევითია.

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი, უფლებამოსილება და სახელმწიფო ორგანოებთან ურთიერთობა განისაზღვრება "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით. საქართველოს იმ ტერიტორიაზე, სადაც არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, ადგილობრივი

თვითმმართველობის ორგანოების შექმნის წესი და უფლებამოსილება, "ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონით დადგენილი პირობების გათვალისწინებით, განისაზღვრება საქართველოს იურისდიქციის აღდგენის შემდეგ.

ქალაქ თბილისის საკრებულო არის ქალაქ თბილისის თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო, რომელიც შედგება 50 წევრისაგან, რომელთაგან 25 წევრი აირჩევა ადგილობრივი ერთმანდატიანი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების მიხედვით, ხოლო 25 წევრი - პროპორციული წესით თბილისის მთელ ტერიტორიაზე, 10 საარჩევნო ოლქის მიხედვით (საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. თავი 1.).

ქალაქ თბილისის მერი არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი და მთავრობის ხელმძღვანელი. მერი აირჩევა პირდაპირი არჩევნებით, 4 წლის ვადით.

დედაქალაქის ტერიტორია დაყოფილია რაიონებად. რაიონის გამგეობას უძღვება რაიონის გამგებელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს ქალაქ თბილისის მერი.

დედაქალაქის შემადგენლობაშია 6 რაიონი: ძველი თბილისის, დიდგორის, გლდან-ნაძალადევის, ვაკე-საბურთალოს, ისანი-სამგორის და დიდუბე-ჩუღურეთის რაიონები.

საქართველოს განუყოფელი ნაწილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა - ტერიტორიული ერთეული, სადაც სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება საქართველოს კონსტიტუციით დადგენილი პრინციპების საფუძველზე. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ბათუმი. აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას აქვს თავისი დროშა და გერბი, რომლებიც განისაზღვრება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციით. ის საკითხები, რომლებიც საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს კონსტიტუციური კანონით „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ“ შესაბამისად არ განეკუთვნება საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განსაკუთრებულ გამგებლობას, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით რეგულირდება. დაუშვებელია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკისათვის საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული უფლებამოსილებების დელეგირება.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, რომლის კანდიდატურას წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი და თანამდებობაზე ამტკიცებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭო.

საქართველოს საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში შემავალი ავტონომიური ერთეულებია, ასევე, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე არის აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი თანამდებობის პირი და წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას. მის კანდიდატურას წარადგენს საქართველოს პრეზიდენტი და თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს აფხაზეთის უმაღლესი საბჭო.

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიაზე დროებით ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულს სათავეში უდგას ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ აღნიშნული თანამდებობის პირი თავის უფლებამოსილებას ქ.თბილისიდან ახორციელებს).

#### **თავი 19. სამართლებრივი სახელმწიფოს გაგება**

საზოგადოების ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, სახელმწიფო პოლიტიკური რეჟიმისა და სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ფორმებით იყო წარმოდგენილი. მისი ევოლუციური განვითარების მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენდა აბსოლუტური და ტოტალიტარული მოდელიდან სამართლებრივ მოდელზე ეტაპობრივი გადასვლა.

სამართლებრივი სახელმწიფო – ეს გახლავთ ისეთი სახელმწიფო, რომელშიც კონსტიტუციური მმართველის რეჟიმი ფუნქციონირებს და ეფექტური სამართლებრივი და სასამართლო სისტემაა დაწესებული, სადაც ადგილი აქვს ხელისუფლების შტოების თანაბარ დანაწილებას ურთიერთკონტროლის მექანიზმის მეშვეობით, აგრეთვე, უმნიშვნელოვანესია საზოგადოებრივი ინსტიტუტების მხრიდან ხელისუფლების ორგანოთა საქმიანობაზე ეფექტური კონტროლი.

სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის იდეა უძველეს პერიოდში ჩაისახა, იგი გვევლინებოდა როგორც თვითმპყრობელობის უარყოფი და უმაღლესი ხელისუფალის თვითნებობის საწინააღმდეგოდ მიმართული ინსტიტუტი. ძველი ბერძენი ფილოსოფოსი პლატონი წერდა: “მე ვხედავ უახლოეს სიკვდილს იმ სახელმწიფოსი, სადაც კანონს არ გააჩნია ძალა და ვიდაცის ძალაუფლების ქვეშ იმყოფება. იქ, სადაც კანონი მმართველების ბატონად გვევლინება, ხოლო ძალაუფლებაში მყოფი ადამიანები კი კანონის მონები, მე ვხედავ სახელმწიფოს

გადარჩენას და ყველა კეთილდღეობას, რომლებით შესაძლებელია რომ აჩუქონ ღმერთებმა სახელმწიფოებს”(პლატონი. 2006. გვ. 43).

სამართლებრივი სახელმწიფოს ფორმირების პრობლემები ახალი და უახლესი ისტორიის პერიოდში მოღვაწე მოაზროვნეთა მიერ იქნა შემუშავებული. სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპების ცხოვრებაში დანერგვის მცდელობა გახლდათ XVIII საუკუნის საფრანგეთის რევოლუციის კონსტიტუცია. მაგრამ, ნაპოლეონის მიერ ძალაუფლების უზურპაციის შედეგად აღნიშნული კონსტიტუციის რეალიზება ვერ მოხერხდა. სამართლებრივი სახელმწიფოს პრაქტიკული ფორმირების საფუძვლები აშშ-ის 1787 წელს მიღებულ კონსტიტუციაში იქნა ჩადებული.

საქართველოში სამართლებრივი სახელმწიფოს საკითხებმა განსაკუთრებული აქტუალობა XVIII და XIX საუკუნეებში შეიძინა. ისინი წარმოდგენილ იქნა ალექსანდრე ამილახვარის, სოლომონ დოდაშვილის, ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ნიკო ნიკოლაძის შრომებში. სამართლებრივი სახელმწიფოს შექმნის მცდელობა არსებობდა 1918-1921 წლებში, როდესაც საქართველომ მოახერხა (სამწუხაროდ დროებით) ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენა. საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წლის 25 თებერვალს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციის გამო, ეს იდეა 70 წლის განმავლობაში დასამარებული იყო. საბჭოთა ტოტალიტარული და ავტორიტარული რეჟიმები ყველანაირი საშუალებებით ზღუდავდნენ დემოკრატიის ელემენტარული ფორმების გამოვლინებასაც კი. საბჭოთა თვითმპყრობელობა სრულად განასახიერებდა საკუთარ თავს საბჭოთა საზოგადოებასთან და განუყოფლად მბრძანებლობდა მასზე.

1991 წლიდან მოყოლებული, როდესაც სსრკ-ის დაშლის შედეგად საქართველომ კვლავ აღიდგინა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, ჩვენს ქვეყანას შესაძლებლობა მიეცა, ჩამოაყალიბოს სამართლებრივი სახელმწიფო. უკვე 1995 წელს საქართველომ ახალი კონსტიტუცია მიიღო, რომელშიც 2004-2018 წლებში მნიშვნელოვანი ცვლილებები შევიდა.

სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად მახასიათებლებს შემდეგი კრიტერიუმები წარმოადგენს:

- კანონის უზენაესობა საზოგადოებრივი და სახელმწიფო ცხოვრების ყველა სფეროში. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, თითოეული მოქალაქის საქმიანობა ეფუძნება მოქმედ კანონებს და პირველ რიგში კონსტიტუციის პრინციპებს. მათი შეცვლა შეუძლებელია რომელიმე უწყებრივი ორგანოს, მათ შორის მთავრობის

- მიერ. ნებისმიერი დადგენილებები, ხელისუფლების ორგანოების განკარგულებები, რომლებიც ეწინააღმდეგება კონსტიტუციას, არ წარმოადგენენ კანონიერ გადაწყვეტილებას და არ უნდა იქნენ შესრულებულნი.
- სახელმწიფოს მხრიდან, პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრი გარანტია, მოქალაქეთა სამართლებრივი დაცვის უზრუნველყოფა. იმის აღიარება, რომ ადამიანის ძირითადი უფლებები და მოვალეობები ბუნებრივ ხასიათს ატარებენ, ისინი არიან განუყოფლები და ადამიანს დაბადებიდანვე ეკუთვნიან. ეს გახლავთ უფლება სიცოცხლეზე, თავისუფლებაზე, პიროვნულ ღირსებაზე, კერძო საკუთრებაზე. სახელმწიფოს როლი მდგომარეობს იმაში, რომ მოხდეს ამ უფლებათა რეალიზაცია საზოგადოების თითოეული წევრისათვის, რათა მოხდეს ეფექტური რეაგირება იმ თითოეულ ქმედებაზე, რომელიც ადამიანის უფლებათა დარღვევისკენაა მიმართული.
  - სახელმწიფოსა და პიროვნების პასუხისმგებლობა ერთმანეთის მიმართ. ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო მოსახლეობის წინაშე იღებს პოლიტიკურ, სამართლებრივ, მორალურ პასუხისმგებლობას თავისი ქმედებების გამო, მმართველობითი გადაწყვეტილებების შედეგებზე. თავის მხრივ, საზოგადოების თითოეული წევრი პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე სამოქალაქო ვალდებულებების შესრულების, კანონების დაცვის, ხელისუფლების ორგანოთა განკარგულებების შესრულების კუთხით და ა.შ. არ არსებობს უფლებები მოვალეობების გარეშე, ისევე როგორც არ არსებობს ვალდებულებები უფლებების გარეშე.
  - ხელისუფლების შტოების რეალური დანაწილება. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილება სამ შედარებით დამოუკიდებელ შტოებზე – საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო. ეს პრინციპი პრაქტიკულად ყველა თანამედროვე სახელმწიფოშია დეკლარირებული. თუმცა, ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სახელმწიფოებში ეს დანაწილება ფორმალურ, ნომინალურ ხასიათს ატარებს. რეალური ძალაუფლება ეკუთვნის ან დიქტატორს, ან იმ პირთა დაჯგუფებას, რომლებიც ძალაუფლებრივი სტრუქტურების ოლიმპზე იმყოფებიან. სამართლებრივი სახელმწიფო თავის მხრივ ხელისუფლების შტოების რეალურ დანაწილებას გვთავაზობს, რომელიც ურთიერთკონტროლისა და ბალანსის საფუძველზე - სახელისუფლებო ურთიერთობების მექანიზმის ფარგლებში მოქმედებს. ეს თავის მხრივ, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების გარანტიას, მათ სამართლებრივ დაცვას უზრუნველყოფს.
  - სოციალური ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მხრიდან ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის ეფექტური კონტროლი. აღნიშნული კონტროლის მექანიზმები და ფორმები ნათლად უნდა იყოს გარანტირებული და კანონებში გაწერილი. ამ უფლებათა ნებისმიერი ფორმით დარღვევა, უნდა იყოს დასჯადი.

პოლიტოლოგთა და იურისტთა გარკვეული ჯგუფი სამართლებრივი სახელმწიფოს ძირითად პრინციპებს შემდეგი ძირითადი მახასიათებლებით “ავსებენ”: 1. სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა ფუნდამენტალური უფლებების სახელმწიფოს მიერ დეკლარირება; 2. თავისუფლებებისა და უფლებების გარანტიების მექანიზმის დამკვიდრება; 3. სახელმწიფოს მოვალეობების კონსტიტუციით გამყარება, მისი ორგანოების, დაწესებულებების, თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა მიერ კონსტიტუციის ფარგლებში მოქმედება; 4. სასამართლოს დამოუკიდებლობის კონსტიტუციური გარანტია; 5. სხვა კანონებთან მიმართებაში კონსტიტუციის უზენაესობის პრინციპი; 6. საერთაშორისო სამართლის ნორმების ეროვნული ნორმებზე პრიორიტეტის აღიარება.

საქართველო (ისევე როგორც ისტორიის სხვადასხვა პერიოდში არსებულ სახელმწიფოთა უმრავლესობა) საუკუნეების განმავლობაში სამართლებრივ სახელმწიფოს არ წარმოადგენდა. სამართლებრივი პრინციპების დანერგვასა და ფორმირებას ძალიან დიდი ხანი სჭირდება. საჭიროა შეიქმნას მწყობრი, კანონმდებლობის სრულყოფილი სისტემა, რომელიც ყველა სახელისუფლებო ინსტიტუტის საქმიანობის დემოკრატიულ მექანიზმს უზრუნველყოფდა პრინციპით – “ქვემოდან ზევით”, ჩამოყალიბებდა ჭეშმარიტ სახალხო ძალაუფლებას, უზრუნველყოფდა მოქალაქეთა მიერ უფლებებისა და თავისუფლებების მკაცრ დაცვას. ამავე დროს, ამ პრინციპების დანერგვის ერთ-ერთ უმკაცრეს პირობას მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურის ამაღლება წარმოადგენს, სადაც კანონმორჩილი და სახელმწიფოს წინაშე მაღალი პასუხისმგებლობის კონტექსტში მოქალაქეთა პოლიტიკურ აღზრდას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება.

## **თავი 20. დემოკრატია და ადამიანის უფლებები**

დემოკრატიის არსი. დემოკრატია (“დემოს” - ხალხი და “კრატოს” -მმართველობა) ხალხის მმართველობის ძირითად ფორმას წარმოადგენს. დემოკრატიის მაგალითები არსებობს ძველ საბერძნეთსა და რომში. მას შემდეგ გაიარა ხანგრძლივმა პერიოდმა, ვიდრე დემოკრატიის ახალი გაგება და დემოკრატიული ქვეყნები ჩამოყალიბდებოდა. ეს XX საუკუნეში მოხდა.

თანამედროვე დემოკრატია შემდეგი ნიშნებით ხასიათდება:

1. უმრავლესობის მმართველობა;
2. მოქალაქეთა პოლიტიკური თანასწორობა;
3. აზრის, სიტყვისა და რწმენის თავისუფლება;
4. შრომის პატივისცემა და პირადი ღირსება;



5. წარმომადგენლობით ორგანოთა არჩევითობა და მათი პერიოდული ანგარიშვალდებულება ამომრჩევლის წინაშე;
6. მოქალაქეთა ფართო უფლებების უზრუნველყოფა, მათ შორის მოქალაქეთა უფლება აირჩიოს და არჩეულ იქნეს სახელმწიფო ორგანოებში და ამ გზით, შესაბამისი მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი საკითხების გადაწყვეტაში;
7. ყოველივე ეს ემყარება ერთ უმთავრეს დებულებას – კანონის საყოველთაო ბატონობას, რაც ნიშნავს კანონის წინაშე ყველას თანასწორობას.

დიდი ბერძენი ისტორიკოსი, ჰეროდოტე აღნიშნავდა: “სპარტელები თავისუფლები არიან, მაგრამ სრული თავისუფლება მაინც არა აქვთ, რადგან მათ ჰყავთ უფალი - კანონი”( Herodotus. 430 BC).

თუ ტერმინ “დემოკრატია” ამ სიტყვის ზუსტი მნიშვნელობით აღვიქვამთ, მაშინ ჭეშმარიტი დემოკრატია არასოდეს არსებულა და არც იარსებებს. როგორც დიდი ფრანგი განმანათლებელი ჟან ჟაკ რუსო აღნიშნავდა - “ბუნებრივი რიგის საწინააღმდეგოა, რომ ხალხის უმრავლესობა იყოს მმართველი, უმცირესობა კი – მართულნი, შეუძლებელია იმის წარმოდგენა, რომ ხალხი დაუსრულებლად იკრიბებოდეს საზოგადოებრივ საქმეთა აღსასრულებლად”( Jean-Jacques Rousseau. 1754).

დემოკრატია არ გახლავთ მმართველობის იდეალური სისტემა. მას ბევრი უარყოფითი მხარე გააჩნია და იგი მიწიერ სამოთხეს არ წარმოადგენს, კერძოდ:

- დემოკრატია არ იძლევა პასუხს ყველა იმ სოციალური პრობლემის გადაწყვეტაზე, რომელსაც ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანები ეჯახებიან;
- დემოკრატია – ეს მხოლოდ ერთ-ერთი რესურსია იმ ერთმანეთის გვერდზე დასაქმებული კეთილი ნების მოქალაქეებისათვის, რათა მათ მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილების მიღების პროცესში და მართონ ქვეყანა;
- დემოკრატია არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ მიღებული გადაწყვეტილებები ყველაზე საუკეთესო და უნაკლო იქნება;
- დემოკრატის ფარგლებში ადგილი აქვს სხვა სახის დაპირისპირებასაც: ხელისუფლება გადაწყვეტილების მიღების პროცესში დგას დილემის წინაშე, გაითვალისწინოს პოლიტიკურად გაუთვითცნობიერებული უმრავლესობას პოზიცია თუ დაეყრდნოს კონკრეტული ინტერესებით გაერთიანებულ ჯგუფებს, რომლებსაც შესაბამისი კომპეტენცია და პასუხისმგებლობა გააჩნიათ? (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 121).

დემოკრატია დადებითად აღიქმება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლეობას მაღალი პოლიტიკური კულტურა და შესაბამისი ეკონომიკური და სოციალური საფუძვლები გააჩნია. დემოკრატიული ინსტიტუტების

ჩამოყალიბება მეტად გართულებული იქნება ისეთ ქვეყანაში, სადაც არ არსებობს ჯანსაღ კონკურენციაზე დაფუძნებული თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. ჭეშმარიტი (და არა მოჩვენებითი) სამეწარმეო ბაზრის არსებობა ხელს უშლის ეკონომიკური და პოლიტიკური ძალაუფლების კონცენტრაციას საზოგადოების რომელიმე ერთი ჯგუფის ხელში. იგი წარმოადგენს მოქალაქის ავტონომიის გარანტს, იცავს თითოეულ ადამიანს ტოტალიტარული სახელმწიფო კონტროლისაგან, ხელს უწყობს მასში დემოკრატიული პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელი ისეთი აუცილებელი თვისებების განვითარებას, როგორცაა მისწრაფება პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისა და თავისუფლებისაკენ, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, მეწარმეობა. ჭეშმარიტი ღია კონკურენციის გარეშე არ შეიძლება ჩამოყალიბდეს სამოქალაქო (ღია) საზოგადოება, რომელსაც ეყრდნობა დემოკრატია.

შესაბამისად, დემოკრატიის ჩამოყალიბებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს:

1. სოციალ-ეკონომიკური განვითარების მაღალი დონე;
2. ურბანიზაციის (მრავალრიცხოვანი განვითარებული ქალაქები) პროცესის განვითარება;
3. პოლიტიკური პლურალიზმი და სოციალური ჯგუფების მრავალფეროვნება, ძლიერი საშუალო ფენის არსებობა;
4. მოსახლეობის ინტელექტუალური განვითარებისა და პოლიტიკური და სამოქალაქო პასუხისმგებლობის მაღალი დონე (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე, 2005. გვ. 121).

სხვადასხვა სახელმწიფო შეგვიძლია დემოკრატიულად მივიჩნიოთ იმ შემთხვევაში, თუ:

1. საარჩევნო უფლებების მქონე მოქალაქეთა უმეტესობას შეუძლია საარჩევნო პროცესში მონაწილეობა;
2. ხმის მიცემა არის თავისუფალი და ფარული, სადაც გამორიცხულია ყოველგვარი ძალდატანება;
3. ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოებს ირჩევენ თავისუფალი არჩევნების გზით, რომელშიც მონაწილეობს სულ ცოტა, ორი ერთმანეთის კონკურენტი პარტია და თანამდებობაზე ყოფნის ვადა არის შეზღუდული;
4. ხელისუფლება კანონიერების განმტკიცებისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ეფუძნება მოქალაქეთა ნებას;
5. რიგითი მოქალაქეები და თანამდებობის პირები სარგებლობენ ერთნაირი სამოქალაქო უფლებებით, მათ შორის: სიტყვის, პრესის, შეკრების, რელიგიური თუ ეროვნული კუთვნილების თავისუფლებებით და ა.შ.

ადამიანის უფლებები. ამა თუ იმ ქვეყანაში ჭეშმარიტი დემოკრატიული ნორმები მხოლოდ მაშინ მოქმედებს, როდესაც მაღალ დონეზეა დაცული თითოეული მოქალაქის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, სამართლებრივი, ეროვნული და რელიგიური კუთვნილების და სხვ. უფლება. როდესაც თითოეული ადამიანისათვის ერთნაირი პოლიტიკური უფლებები არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა მოქალაქეებს მათი ცხოვრების განმავლობაში სხვადასხვა ინტერესი გააჩნიათ, არსებობს საერთო ძირითადი ინტერესები, კერძოდ:

სიცოცხლის უსაფრთხოება;

საკუთრების ხელშეუხებლობა;

პიროვნული დამოუკიდებლობა;

შრომის უფლება და სხვა (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 122).

ზემოაღნიშნულ ყველა პრინციპს ადამიანის ბუნებრივი უფლებები ეწოდება. ბუნებრივი უფლებების ცნება განსხვავდება სამართლებრივი უფლებებისაგან, რადგან ეს უკანასკნელი განსაზღვრულია ქვეყანაში მოქმედი კონკრეტული კანონმდებლობითა და სამართლებრივი ნორმებით. ბუნებრივი უფლებები თავის მხრივ ზნეობრივი კოდექსის ფარგლებში მოქმედ მორალური უფლებებისგანაც განსხვავდება.

ბუნებრივი უფლებების თანამედროვე მიდგომა ჯონ ლოკის მიერ იქნა ჩამოყალიბებული. სწორედ მისი თეორიის ძირითადი ასპექტები იქნა ასახული ამერიკის ადამიანის უფლებათა დეკლარაციაში, რომელიც ფილადელფიის კონგრესმა 1771 წელს მიიღო და სადაც მოთხოვნის სახით იქნა დაფიქსირებული “სიცოცხლის, თავისუფლების და საკუთრების” უფლება (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 121).

ადამიანის ბუნებრივი უფლებები მალე ევროპაშიც იქნა აღიარებული. მე-18 საუკუნის ბოლოს, საფრანგეთში მიღებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებების დეკლარაციაში ვკითხულობთ: “ყველა პოლიტიკური გაერთიანების მიზანია დაიცვას ადამიანის აუცილებელი უფლებები; ეს უფლებებია: თავისუფლება, საკუთრება, უსაფრთხოება” (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 122).

ყოველივე ამის მიუხედავად, მეორე მსოფლიო ომამდე მსოფლიოს უდიდეს ნაწილში ჯერ კიდევ არ იყო დამკვიდრებული ადამიანთა ბუნებრივი უფლებების ხელშეუხებლობის პრინციპი. თუმცა, აღიარებული იყო ის თეორიები, რომელიც კანტის, ლოკის, ჰეგელის და სხვა განმანათლებლების მიერ იქნა ჩამოყალიბებული.

ჰეგელი და მისი მიმდევრები უარყოფდნენ ნებისმიერ მოსაზრებას ადამიანის უფლებების საყოველთაო ხელშეუხებლობის შესახებ. მათთვის პრიორიტეტს სახელმწიფოს ძალაუფლება წარმოადგენდა, სადაც მოქალაქეს არ შეიძლება ჰქონოდა ისეთი უფლებები, რომელიც სახელმწიფოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. მარქსისა და ენგელსისათვის კი ადამიანის უფლებები საერთოდ ბურჟუაზიული კლასის მოთხოვნას წარმოადგენდნენ, რომელიც ეფუძნებოდა ინდივიდუალურ დაშვებებს და არა სოციალურ მოთხოვნებს.

ადამიანის უფლებების დაცვის იდეამ საყოველთაო აღიარება და გავრცელება მხოლოდ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ (1945 წლიდან) მოიპოვა. ნაცისტური გერმანიის და შემდგომში მილიტარისტული იაპონიის (ნიურნბერგისა და ტოკიოს ტრიბუნალები) ლიდერების გასამართლება მოხდა იმ დანაშაულისათვის, რომელსაც აღნიშნული რეჟიმის წარმომადგენლები ეწოდნენ კაცობრიობის წინაშე და ამ დანაშაულის სამართლებრივი ასპექტები არ ფიგურირებდა არც ერთი ქვეყნის სასამართლო კოდექსში.

1948 წელს გაეროს სპეციალურმა კომიტეტმა შეიმუშავა, ხოლო გენერალურმა ასამბლეამ გამოაქვეყნა “ადამიანის უფლებათა დეკლარაცია”, რომელშიც ჩამოყალიბებულ იქნა ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები აუცილებელი საერთო სტანდარტები, რომელთა პრაქტიკაში დანერგვა სავალდებულო ხასიათს ატარებს. დეკლარაციაში ჩამოთვლილია შემდეგი უფლებები:

1. მოქმედების პერსონალური უფლებები (სიცოცხლის უფლება, თავისუფლება, საკუთრება, ემიგრაცია, სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლება, სინდისის თავისუფლება);
2. კანონის მხრიდან დაცულობის უფლებები (თანასწორობის უფლება კანონის წინაშე, უმიზეზო, დაუსაბუთებელი დაპატიმრების დაუშვებლობა, მიუკერძოებელი მოსამართლის მიერ გასამართლება);
3. პოლიტიკური უფლებები (თავისუფალ, საყოველთაო არჩევნებში მონაწილეობა);
4. ეკონომიკური და სოციალური უფლებები (თანაბარი შრომის უფლებების ჩამოყალიბება, თანაბარი ანაზღაურება, ფასიანი შვებულება, სოციალური დაცვა, განათლების უფლება და სხვა) (Basic Facts About the United Nations. New-York, 2004. P. 228)
5. 1960 – იან წლებში უფლებების სფეროში ახალი ტერმინი დამკვიდრდა - ღირსების დაცვის უფლება, რომლის გავრცელება ამერიკელი ფილოსოფოსის - დეორკინის დამსახურებაა, რომელმაც თავის პოლიტიკის თეორიაში ყველა მოქალაქის მიმართ უპირატესობა მორალურ და

ადამიანური ღირსების დაცვის უფლებებს მიანიჭა (A. Leroy Bennett, James K. Oliver. 2002. P. 401-412).

ზემოთ ჩამოთვლილი ეს უფლებები ბუნებრივად გულისხმობს იმას, რომ ადამიანის მიერ მოხდეს მისთვის დაკანონებული უფლებების სხვა ადამიანის, თანამოქალაქისათვისაც აღიარება. ანუ, ადგილი უნდა ჰქონდეს იმის შეგნებას, რომ კონკრეტული პიროვნება მოითხოვს თანასწორობასა და თავისუფლებას და სხვა ადამიანი ასეთივე უფლების ღირსია და შესაბამისად, აღნიშნულ ბუნებრივ თუ სამართლებრივ უფლებებს უნდა ფლობდეს სხვა ნებისმიერი პიროვნება, რომელიც ასევე უნდა იყოს თავისუფალი.

ეს პირველ რიგში მიანიშნებს იმაზე, რომ თითოეული მოქალაქე უნდა იყოს შემწყნარებელი სხვა ადამიანის მიმართ და მან არ უნდა შელახოს სხვისი უფლებები იმის გამო, რომ მეორე პირს განსხვავებული პოლიტიკური მოსაზრებები ან სხვა სახის ცხოვრებისეული ხედვები გააჩნია. ე.ი. დემოკრატიული სტანდარტები ლოგიკურად მოითხოვენ ისეთი ღირებულების აღიარებას, როგორცაა ტოლერანტობა (შემწყნარებლობა).

1966 წელს გაეროს გენერალურმა ასამბლეამ შემდეგი კონვენციები მიიღო:

- ა) “სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ”, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის ისეთი ტრადიციული უფლებების დაცვას, როგორცაა წამების, დაუსაბუთებლად დასჯისა და დაპატიმრების აკრძალვა, აზრის, რწმენისა და სხვადასხვა ორგანიზაციებში გაერთიანების თავისუფლება (ვ. ქარუმიძე. 2004. გვ. 357);
- ბ) “ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურული უფლებების შესახებ”, სადაც საუბარია კვების, საცხოვრებლის, განათლების, სამედიცინო მომსახურების უფლებებზე (ვ. ქარუმიძე. 2004. გვ. 362).
- გ) როგორც ცნობილია, მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა პერიოდში ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა მასობრივ დარღვევას. ამის ერთ-ერთი გამოვლინება გახლდათ ადამიანის უფლებების დარღვევა სქესობრივ-ასაკობრივ სფეროში. წნეხის ქვეშ იმყოფებოდნენ ქალები და ბავშვები. 1967 წლის 7 ნოემბერს, გაეროს გენერალურმა ასამბლეამ მიიღო ქალთა მიმართ ყოველგვარი დისკრიმინაციის აკრძალვის დეკლარაცია, ხოლო 1979 წელს კონვენცია (ვ. ქარუმიძე. 2004. გვ. 345).

1989 წელს მიღებულ იქნა ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია, რომლის თანახმადაც ყველა ბავშვს აქვს უფლება, იზრდებოდეს უსაფრთხო პირობებში, ხოლო მათი აზრებისა და გრძნობებისადმი პატივისცემა, ერთ-ერთ უმთავრეს პრინციპს წარმოადგენს (ვ. ქარუმიძე. 2004. გვ. 349).

გაეროს მიერ, თარიღი - 10 დეკემბერი დაწესებულ იქნა, როგორც ადამიანის უფლებათა დაცვის დღე. ადამიანის უფლებების ფარგლებში ორი ძირითადი ჯგუფი გამოიყოფა:

1. მატერიალური (მოიცავს ადამიანის კონკრეტულ უფლებებსა და თავისუფლებებს);
2. საპროცესო (ადამიანი, შესაბამისი ინსტიტუტების დახმარებით ცდილობს აიძულოს ხელისუფლება დაიცვას მისი უფლებები).

ერთმანეთისაგან გამოარჩევენ პოზიტიურ და ნეგატიურ უფლებებს. პოზიტიურია ის უფლებები, რომლებიც ხელისუფლების თითოეული მოქალაქის მიმართ მოვალეობებს გულისხმობენ. ხოლო ნეგატიურია ის უფლებები, რომლებიც სახელმწიფოს ჩვენი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ჩარევას უკრძალავს.

ამრიგად, ადამიანის უფლება – ეს არის ადამიანისათვის აუცილებელი კონკრეტულ მოქმედებათა განხორციელების შესაძლებლობა, რომლიც წართმევა ან რაიმე სახით დაბრკოლება დაუშვებელია სახელმწიფოს, მისი ორგანოებისა და ცალკეული პირების მხრიდან.

სამართლებრივ სახელმწიფოში ადამიანის უფლებებს წარმოადგენს:

1. უსაფრთხოების დაცვა; 2. სიცოცხლის დაცვა; 3. თავისუფალი შრომა; 4. თავისუფალი აზრი; 5. საოჯახო საიდუმლო; 6. ენის არჩევა; 7. სოციალური დაცვა; 8. ღირსების დაცვა; 9. კერძო ცხოვრების ხელშეუხებლობა; 10. საცხოვრებლის ხელშეუხებლობა; 11. შრომის ჰუმანური პირობები; 12. სახელმწიფო ორგანოებისადმი მიმართვის თავისუფლება; 15. განათლება; 16. ჯანმრთელობა და სამედიცინო დახმარება; 17. ალტერნატიული სამხედრო სამსახური; 18. სახელმწიფო საქმეების მართვის უფლება; 19. სახელმწიფო სამსახურში თანაბარი დაშვება; 30. უმუშევრობისგან დაცვა; 21. საკუთარი თავის შესახებ ინფორმაციის მიღების უფლება; 22. კულტურული დაწესებულებებით სარგებლობა; 23. რეფერენდუმში მონაწილეობა; 24. სიტყვის და აზრის გამოთქმის თავისუფლება; 35. ბოროტებისადმი წინააღმდეგობის გაწევის უფლება; 26. საკუთრება; 27. სასამართლო დაცვა; 28. პირადი საიდუმლო; 29. მემკვიდრეობა; 30. მეწარმეობა; 31. კავშირების უფლება; 32. უმუშევრობისგან დაცვა; 33. პირადი საიდუმლო; 34. თავისუფლება და პირადი ხელშეუხებლობა; 35. სამართალწარმოებაში მონაწილეობა; 36. გაფიცვის უფლება; 37. ჯანსაღ გარემოში ცხოვრების უფლება; 38. კულტურულ ფასეულობებზე ხელმისაწვდომობა; 39. რეფერენდუმში მონაწილეობა (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 125).

მოგვიანებით, გაერომ მიიღო ყოველგვარი დისკრიმინაციის (რასობრივი, ეროვნული, რელიგიური და სხვ.) აკრძალვის დეკლარაცია, ხოლო 1979 წელს – კონვენცია.

ასევე, ეროვნული კანონმდებლობებით განისაზღვრა დაკავებულის უფლებები, კერძოდ:

- თქვენ გაქვთ დუმილის უფლება;
- ყველაფერი, რასაც იტყვიot შეიძლება თქვენს წინააღმდეგ იქნეს გამოყენებული სასამართლოზე;
- დაკითხვამდე გაქვთ უფლება გაესაუბროთ თქვენთვის სასურველ ადვოკტს;
- თუ არ გაქვთ სახსრები დაიჭირავოთ ადვოკატი, ადვოკატიot უზრუნველყოფილი იქნებით უფასოდ (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 125).

უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანს უფლებებთან ერთად ვალდებულებებიც აკისრია, რომელთა აღსრულება ასეთივე აუცილებლობას წარმოადგენს.

## **თავი 21. დემოკრატიის მოდელები**

ბევრი პოლიტოლოგის აზრით, დემოკრატია განუყოფელ, ერთგვაროვან ფენომენს წარმოადგენს. მრავალი ადამიანი მიიჩნევს, რომ დასავლური დემოკრატია დემოკრატიის ერთადერთი, ყოველ შემთხვევაში, ლეგიტიმურობის მხრივ, მისაღები ფორმაა. რიგ შემთხვევაში, დემოკრატიის ამ ცნებას ტერმინ “ლიბერალურსაც” უწოდებენ ხოლმე და უკვე ლიბერალურ დემოკრატიად იხსენიებენ. თავად ლიბერალური დემოკრატია კი ერთგვაროვანი ცნება არ გახლავთ, რადგან დემოკრატიული სისტემის არაერთი, ერთმანეთისაგან განსხვავებული ლიბერალური თვალსაზრისი არსებობს. დემოკრატიის ოთხი, განსხვავებული მოდელი შეიძლება გამოვყოთ:

*კლასიკური დემოკრატია*

*დამცავი დემოკრატია*

*ხელშემწეობი დემოკრატია*

*სახალხო დემოკრატია* (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 109)

***კლასიკური დემოკრატია***

დემოკრატიის კლასიკური მოდელი გახლავთ ძველბერძნული პოლისი, ანუ “ქალაქი-სახელმწიფო”. იგი წარმოადგენს მმართველობის ისეთ სისტემას, რომელიც ძველი საბერძნეთის ყველაზე დიდ და ძლევამოსილ ქალაქ-სახელმწიფოში, ათენში განვითარდა. ჩვ.წ. აღ-მდე V-IV საუკუნეებში, ათენში დაფუძნებულ პირდაპირი დემოკრატიის ფორმას, ხშირად სახალხო მმართველობის ერთადერთ იდეალურ

სისტემად მიიჩნევენ ხოლმე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულმა მოდელმა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საგანმანათლებლო და რეფორმაციის ეპოქის ისეთ მოაზროვნეებზე, როგორებიც იყვნენ რუსო, მონტესკიე, ლოკი და სხვები, ათენური დემოკრატია მაინც ბოლომდე პირდაპირი სახალხო მმართველობის უნიკალურ ნაირსახეობად დარჩა და მისი მოდელი მხოლოდ უმნიშვნელოდ იქნა დანერგილი თანამედროვე სამყაროში. ათენში დემოკრატიის მთავარ ინსტიტუტს მოქალაქეობის სტატუსის მქონე ადამიანებისაგან შემდგარი სახალხო კრება წარმოადგენდა, შესაბამისად, სწორედ იგი, ანუ Ecclesia იღებდა ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. კრება სულ ცოტა, წელიწადში ორმოცჯერ მაინც იკრიბებოდა. საჯარო მოხელეთა არჩევა გარკვეული ვადითა და კენჭისჭრით, ისევე მოქალაქეთა რიგებიდან ხდებოდა: თანამდებობაზე ყოფნა დროებით იმიტომაც იყო, რომ რაც შეიძლება მეტ მოქალაქეს მისცემოდა საშუალება ჩართული ყოფილიყო სახელმწიფოსათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. სახალხო კრების აღმასრულებელი საკრებულო 500 მოქალაქისაგან შედგებოდა და მას 50 - კაციანი საბჭო წარუდგენდა ხოლმე იმ დღისთვის განსახილველ საკითხთა სიას. საბჭოს თავმჯდომარე მხოლოდ იმ ერთი დღით ირჩეოდა და არც ერთ ათენის მკვიდრს არ ჰქონდა უფლება, რომ ეს თანამდებობა ორჯერ დაეკავებინა. ერთადერთ გამონაკლისს სამხედროები წარმოადგენდნენ, სხვა საჯარო მოხელეებისაგან განსხვავებით, ერთ თანამდებობაზე მათი რამდენჯერმე არჩევა იყო შესაძლებელი.

ის მთავარი განმასხვავებელი, რაც ათენურ დემოკრატიას სხვა პოლიტიკური სისტემებისაგან გამოარჩევდა, მისი მოქალაქეების პოლიტიკური აქტივობის ხარისხი გახლდათ. ათენის მკვიდრნი არა მარტო მუდმივად ესწრებოდნენ სახალხო კრებას, არამედ, ყოველი მათგანი მზადყოფნას გამოხატავდა, რომ პასუხისმგებლობაც აეღო მიღებულ გადაწყვეტილებებზე. ამავე დროს, აღნიშნული პოლიტიკური სისტემის შეურიგებელ კრიტიკოსად თავად პლატონი გვევლინება. პოლიტიკური თანასწორობის იდეას იგი იმ მოსაზრებით უარყოფდა, ადამიანთა დიდ უმრავლესობისათვის მართვისათვის არც ჭკუა-გონება ეყოფა, არც გამოცდილებაო. დიდმა ბერძენმა ფილოსოფოსმა, თავის ნაშრომში “რესპუბლიკა” შექმნილი ვითარებიდან გამოსავალიც შემოგვთავაზა – მან ქვეყნის მართვა-გამგეობაზე პასუხისმგებლობა მეფე-ფილოსოფოსებს გადააბარა და გარკვეულწილად “განათლებული დიქტატურის” მოდელიც წარმოგვიდგინა (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 110). თუმცადა, ათენურ დემოკრატიას სხვა მნიშვნელოვანი ნაკლიც გააჩნდა: ამგვარი პოლიტიკური სისტემა მოსახლეობის უდიდეს ნაწილს პოლიტიკური საქმიანობიდან მიჯნავდა – მმართველობაში თანამონაწილეობისათვის მხოლოდ ათენშივე დაბადებული, 20 წელს გადაცილებული მამაკაცები დაიშვებოდნენ; მონებს (მოსახლეობის უმრავლესობას), ქალებს და უცხოტომელებს საერთოდ არანაირი პოლიტიკური უფლებები არ გააჩნდათ. ამასთანავე, ათენელ მოქალაქეებს იმიტომაც რჩებოდათ ამდენი დრო



პოლიტიკისათვის, რომ მონობის ინსტიტუტი მძიმე ფიზიკური შრომისაგან ათავისუფლებდათ და საოჯახო ცხოვრების მთლიანად ქალებისთვის გადაბარებაც, ბევრ ყოფით საზრუნავს ააცილებდათ თავიდან. თუ ანტიკურ პერიოდში არსებულ ამ სისტემას უფრო ჩაფურცავდებით, ათენური პოლისი თანამედროვე დემოკრატიული იდეალის სრულ ანტიეთეზადაც შეგვიძლია მივიჩნიოთ. მიუხედავად ამისა, პოლიტიკურ ცხოვრებაში პირდაპირი და მუდმივი თანამონაწილეობის კლასიკური მოდელის ანარეკლი მსოფლიოს ბევრ რეგიონში გვხვდება – მაგალითად აშშ-ში, სადაც ახალი ინგლისის ქალაქებში დღესაც სახალხო კრება განიხილავს მნიშვნელოვან საკითხებს. ანალოგიური მოდელი შვეიცარიის მცირე კანტონების სათემო გაერთიანებების მმართველობაშიც ფუნქციონირებს. აღნიშნულ მოდელს ეფუძნება რეფერენდუმის და პლებისციტის საყოველთაო პრაქტიკაც, კერძოდ – საკონსტიტუციო საკითხებთან დაკავშირებული გამოკითხვები თუ ახალი დემოკრატიული ექსპერიმენტები – “ეგზიტ-პოლემისა” და “ინტერნეტ-გამოკითხვების” სახით.

### **დამცავი დემოკრატია**

დემოკრატიულმა იდეებმა ახალი სიცოცხლე XVII-XVIII საუკუნეებში შეიძინა, თუმცა ახალი ლიბერალური იდეოლოგია საფუძვლიანად განსხვავდებოდა ანტიკური საბერძნეთის კლასიკური დემოკრატიის სტანდარტებისაგან. მაგალითად, დემოკრატია ნაკლებად აღიქმებოდა როგორც საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში თანამონაწილეობის მექანიზმი – ის ახლა უფრო იმ საშუალებად მოიაზრებოდა, რომელიც იმის შესაძლებლობას იძლეოდა, რომ მოქალაქეებს შეძლებოდათ ხელისუფლების მხრიდან ძალაუფლების გადამეტების შემთხვევაში თავის დაცვა ხელისუფლების ე.წ. “მოთოკვის” საშუალებით. სწორედ ამ ფაქტორმა შექმნა საფუძველი, რომ დამკვიდრებულ ყოფილიყო “მეურვე დემოკრატიის” ცნება.

აღნიშნულ მიდგომას იზიარებდნენ იმ დროის ლიბერალი მოაზროვნეები, ვინც პირველ რიგში პიროვნული თავისუფლების ძირითადი პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას ისახავდნენ მიზნად. ძალაუფლების მქონე სახელისუფლებო ინსტიტუტებისაგან პიროვნების დაცვის სურვილი მოჩანს სავარაუდოდ, იმ ყველაზე ადრეულ, სწორედაც რომ დემოკრატიულ განწყობაში, რაც არისტოტელესეულ კონტრ-შეკითხვაში გამოსჭვივის: quis custodiet custodiet? (“თავად მეურვეებს ვინლა გაუწევს მეურვეობას?”) (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 111).

იგივე, “ნებას მიშვებული” ძალაუფლების საკითხი აფიქრებდა ჯონ ლოკსაც. იგი დარწმუნებული იყო, რომ არჩევნებში საყოველთაო მონაწილეობა თანდაყოლილი უფლებებიდან გამომდინარეობდა და პირდაპირ გახლდათ დაკავშირებული საკუთრების უფლებებთან. იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება ისეთი ტიპის ბეგარას შემოიღებდა მოსახლეობისათვის, რომ მთავრობას მოქალაქისათვის

საკუთრების ჩამორთმევეც შესძლებოდა, მაშინ მოქალაქეებსაც უნდა ჰქონოდათ საშუალება, გაუსაძლისი ბეგარისაგან კანონიერად დაეცვათ თავი. სხვანაირად რომ ვთქვათ, დემოკრატია “შეუთანხმებელი მმართველობის” სისტემასთან გაიგივდა და ის უკვე წარმომადგენლობითი ასამბლეის მეშვეობით უნდა განხორციელებულიყო. მნიშვნელოვანი ხაზი გაესვას იმ გარემოებას, რომ რომ თავად ლოკის სამეცნიერო კონცეფცია ბოლომდე არ ემთხვეოდა თანამედროვე დემოკრატიის სტანდარტებს; მისი პოზიციის თანახმად, ხმის მიცემის უფლება მხოლოდ მესაკუთრებს უნდა ჰქონოდათ, რადგან სწორედ მათ თანდაყოლილ უფლებას უქმნიდა საფრთხეს ხელისუფლების თავგასულობა. საყოველთაო საარჩევნო უფლების უფრო რადიკალური მოთხოვნები XVIII საუკ.-დან მოყოლებული გაისმის და ისეთი განმანათლებლების სახელებს უკავშირდება, როგორებიც იყვნენ ჯერემი ბენტამი და ჯეიმზ მილი (1773-1836). ამავე დროს, დემოკრატიის პირდაპირი გაგება პიროვნების ბუნებრივი, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვა უფლებების დაცვასა და ხელშეწყობასაც გულისხმობს. ბენტამს მიაჩნდა, რომ თუკი ნებისმიერი ადამიანი სიამოვნებას ესწრაფვის და ტკივილის თავიდან აცილებას ცდილობს, საყოველთაო საარჩევნო უფლება (რაც იმ დროისათვის მამაკაცთა პრივილეგია იყო მხოლოდ) ერთადერთი გზაა – მეტი ადამიანის მეტად დასაკმაყოფილებლადო (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 112).

მაგრამ, დემოკრატიის მხოლოდ დამცავი ფუნქციის აღიარებით, დემოკრატიული მმართველობის ძირითადი პრინციპების მხოლოდ ნაწილის გაგება შეგვეძლება. მოკლედ, დამცავი დემოკრატია ამ ფართო ცნების მხოლოდ შეზღუდული და არაპირდაპირი გამოვლინებაა. ხელისუფლებისადმი ნდობის ხარისხი საყოველთაო და მრავალპარტიულ არჩევნებში მონაწილეობით გამოიხატება. ამ გზით იქნება შესაძლებელი, რომ მმართველები ანგარიშვალდებულები იყვნენ ამომრჩეველთა წინაშე. პოლიტიკური თანასწორობა პირველ რიგში უბრალოდ ტექნიკურ ტერმინს წარმოადგენს, რომელიც მოქალაქეთა თანაბარ საარჩევნო უფლებებს განსაზღვრავს. მეტიც, იგი გახლავთ კონსტიტუციური დემოკრატიის ისეთი სისტემა, რაც ფორმალური თუ არაფორმალური წესების შესაბამისად, ხელისუფლების მიერ ძალაუფლების გამოყენებას აკონტროლებს.

### ***ხელშემწყობი დემოკრატია***

რეფორმაციის პერიოდში განვითარებული დემოკრატიული თეორია მთავარ პრიორიტეტად პიროვნების უფლებებსა და მისი ინტერესების დაცვას განიხილავდა, მაგრამ მოგვიანებით შემუშავებულ იქნა განსხვავებული თვალსაზრისიც: პიროვნებისა და საზოგადოების შემდგომი განვითარების აუცილებლობა. შედეგად, ჩნდება დემოკრატიული მმართველობის ახალი მოდელებიც, რომლებსაც ზოგადად “ხელშემწყობი დემოკრატიის” (developmental democracy) სისტემა შეიძლება ეწოდოს.

მათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ადგილი უნ-უაკ რუსოს მოდელს უკავია. მრავალი თვალსაზრისით, დიდი ფრანგი განმანათლებლის პოზიციამ დემოკრატიის გაბატონებული ლიბერალური თეორია შეარყია და შემდგომში მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა როგორც მარქსისტულ და ანარქისტულ ტრადიციებზე, ასევე ახალი მემარცხენეობის მიმდინარეობებზეც. რუსოს დემოკრატია პირველ რიგში ესმოდა როგორც იარაღი, რითაც ადამიანს თავისუფლება და დამოუკიდებლობა უნდა მოეპოვებინა – “საკუთარი თავისთვის დაწესებულ კანონთა მორჩილების” თვალსაზრისით (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 113). სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოქალაქე მხოლოდ იმ შემთხვევაში გახლავთ “თავისუფალი”, როცა პირადად განუწყვეტლივ და უშუალოდ მონაწილეობს საკუთარი თემის საქმიანობაში. ეს იდეა საკმაოდ სცილდება არჩევითი დემოკრატიის საყოველთაოდ მიღებულ გაგებას და პირდაპირი დემოკრატიის უფრო რადიკალური იდეალის დამცველად გვევლინება. მართლაც, განმანათლებლობის ეპოქის ერთ-ერთი უდიდესი მოღვაწე ბრიტანელი ტიპის არჩევნების შეურიგებელი კრიტიკოსი გახლდათ, თავის სოციალურ კონტრაქტში (1762) იგი წერდა:

“ინგლისელები ფიქრობენ, თავისუფლები ვართო, თუმცა მწარედ ცდებიან – ინგლისელი მხოლოდ მაშინაა თავისუფალი, როცა პარლამენტის წევრს ირჩევს: არჩევანი გაკეთდება და ხალხიც ისევ მონობას უბრუნდება. მათი “თავისუფლება” – წამიერი ილუზიაა, არადა, ხეირიანად ამ ერთადერთ წამსაც ვერ იყენებენ – და მე თუ მკითხავთ, ახიცაა მაგათზე.” (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 113).

რუსოს მოდელის ორიგინალობა კი იმაში გამოიხატება, რომ თავისუფლება, საბოლოო ჯამში, საერთო ნების მორჩილებას ნიშნავს. მეცნიერი სწორედაც ამ “საერთო ნებაში” ხედავდა თითოეული მოქალაქის ჭეშმარიტი ნების გამოვლინებას და არა მათ კერძო თუ სათავისო სურვილებში. იმ შემთხვევაში, როდესაც მოქალაქე საერთო ნებას ემორჩილება, ის უბრალოდ, თავისივე “ნამდვილი” ბუნების კარნახსაა აყოლილი – საკუთარი ეგოიზმის დაძლევის შემთხვევაში, იგი სწორედაც რომ ასე მოიქცეოდა. თუ რუსოს იდეებს გავიზიარებთ, ხელშემწყობი დემოკრატიის რადიკალური გამოვლინება არა მარტო პოლიტიკურ თანასწორობას, არამედ ეკონომიკური თანასწორობის შედარებით მაღალ ხარისხსაც მოითხოვს. მიუხედავად იმისა, რომ ფრანგი ფილოსოფოსი არასოდეს უჭერდა მხარს კერძო საკუთრებას, იგი მაინც კატეგორიულად აცხადებდა: “არც ერთი მოქალაქე არ უნდა იყოს იმდენად მდიდარი, მეორეს ყიდვა რომ შეეძლოს და არც ერთი – ისე ღარიბი, თავის გაყიდვა მოუწიოსო” (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 113).

მოგვიანებით გაჩნდა ხელშემწყობი დემოკრატიის შედარებით ზომიერი ფორმაც, რომელიც წარმომადგენლობითი მმართველობის ლიბერალურ მოდელთან აფიქსირებს საკუთარ მსგავსებას და ჯონ სტიურტ მილის მიერ წარმოდგენილ

კონცეფციას უკავშირდება. ბრიტანელი მეცნიერისათვის დემოკრატიის უმთავრესი ღირსება პიროვნული შესაძლებლობების “უკიდურესი ჰარმონიული განვითარების” ხელშეწყობასთანაა დაკავშირებული. პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობით, მოქალაქეები თვითშეგნებასაც იმაღლებენ, პოლიტიკურ აღლოსაც იძენენ და საბოლოო ჯამში პოლიტიკური კულტურაც ვითარდება. შედეგად, მიღმა უკვე პოლიტიკურ საქმიანობაში ხალხის უფრო ფართო ფენების თანამონაწილეობის იდეა წარმოადგინა.

### **სახალხო დემოკრატია**

ცნება “სახალხო დემოკრატია” მას შემდეგ გაჩნდა, რაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში, და პირველ რიგში აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში საბჭოური ტიპის რეჟიმებმა წამოიყვეს თავი. თუმცა, ჩვენ აქ უფრო ფართო გაგებით მოვიხმართ ამ ტერმინს – მარქსისტულ ტრადიციაზე დამყარებული სხვადასხვა დემოკრატიული მოდელის აღსანიშნად. მიუხედავად იმისა, რომ ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან, მაგრამ მაინც ერთნაირად უპირისპირდებიან ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელებს. აღნიშნული იდეები თავდაპირველად მარქსიზმის მიმდევრების მიერ იყო მიღებული. მარქსს სჯეროდა – “კაპიტალიზმის დამხობა ჭეშმარიტი დემოკრატიის აყვავებას მოგვიტანს”.

გასული საუკუნის “კომუნისტური დემოკრატია”, პირველ რიგში, ვ.ი. ლენინისაგან უფრო იყო დავალებული, ვიდრე მარქსისაგან. 1917 წელს რუსეთში გაჩენილი დევიზი: “ხელისუფლება საბჭოებს”, სწორედ რომ “კომუნისტური დემოკრატიის” მოთხოვნას წარმოადგენდა. სულ მალე, მუშათა კლასის ავანგარდად წოდებულმა კომუნისტურმა პარტიამ, თავი პროლეტარიატის ინტერესთა ერთადერთ ჭეშმარიტ დამცველად წამოაყენა. ბოლშევიკური დიქტატურის დამკვიდრების შემდეგ, უკვე აღარ არსებობდა კომუნისტური პარტიისათვის რაიმე მაკონტროლებელი ორგანო. მოკლედ, არისტოტელეს ნათქვამი რომ მივუსადაგოდ – “ვინდა გააკონტროლებდა თავად კომპარტიას?” (Heywood. Politics. New-York, 2007. P. 116).

### **თავი 22. სამოქალაქო საზოგადოების თანამედროვე გაგება**

სახელმწიფოს წარმოშობასა და სახელისუფლებო სტრუქტურების განვითარებასთან ერთად, ისტორიული პროცესების მსვლელობისას არასახელმწიფოებრივი სტრუქტურების განვითარებაც მიმდინარეობდა, ანუ საუბარია იმ სფეროზე, რომელიც არ იყო მოქცეული სახელმწიფოს სექტორის ფარგლებში. საზოგადოებრივი ცხოვრების ამ მიმართულებამ სამოქალაქო საზოგადოების სახელი მიიღო. თანამედროვე პოლიტოლოგიურ ლიტერატურაში სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვაგვარ განსაზღვრებასთან გვაქვს საქმე.

*სამოქალაქო საზოგადოება* - ეს გახლავთ საზოგადოებრივი ცხოვრების არასახელმწიფო სფერო, რომელიც თავის თავში მოიცავს პიროვნებათშორისი, საოჯახო, საზოგადოებრივ-ეკონომიკურ, კულტურულ და რელიგიურ ურთიერთობათა ერთობლიობასა და სტრუქტურებს, რომლებიც საზოგადოების ფარგლებში სახელმწიფოს უშუალო ჩარევის გარეშე ნებაყოფლობით საფუძველზე ვითარდება და ინდივიდთა თუ საზოგადოებრივი ჯგუფების მოთხოვნილებებსა და თვითრეალიზაციას უზრუნველყოფს.

სამოქალაქო საზოგადოების იდეა ახალი არ გახლავთ, მას თავისი ისტორიული ტრადიცია გააჩნია. ამავე დროს, თავდაპირველად სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო როგორც ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ცნებები ისე განიხილებოდნენ. მხოლოდ XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან პოლიტიკურ აზროვნებაში უკვე ახალი მიდგომები შეინიშნება, რომლებიც ამ სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების განსაზღვრებების დანაწილებასთან არის დაკავშირებული. ანტიკური პერიოდიდან დაწყებული, მრავალი ცნობილი მოაზროვნე (არისტოტელე, ნ. მაკიაველი, თ. ჰობსი, ჯ. ლოკი, შ. მონტესკიე, ჟ. ჟ. რუსო და სხვ.) საზოგადოების ცხოვრების პოლიტიკური და კერძო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს განიხილავდნენ, ცდილობდნენ რა აეხსნათ მათ შორის ურთიერთობები და ერთმანეთისაგან გაემიჯნათ პოლიტიკური და არაპოლიტიკური სფეროები და შესაბამისად როგორმე გაეყოთ ერთმანეთისაგან სახელმწიფო და სამოქალაქო საზოგადოება (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 141).

კერძოდ, ა. ფერგიუსონი საუბრობს დესპოტიზმის შეჩერების შესაძლებლობაზე (როგორც ოლიგარქიული სახელმწიფოს ფორმა) იმ შემთხვევაში, თუ მოქალაქეები შეძლებენ აამაღლონ სამოქალაქო შეგნება და მხარი დაუჭირონ სხვადასხვა საზოგადოებრივ კავშირებს. ამისათვის კი საჭიროა მოქალაქეთა ასოციაციების შექმნა, რომლებიც მთელ სამოქალაქო საზოგადოებას მოიცავენ.

სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ფუნქციების დანაწილების უფრო თვალსაჩინო მიდგომა დაკავშირებულია ცნობილ ამერიკელ პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწესთან, ტ. პეინთან. მან თავისი პოზიცია იმასთან დაკავშირებით გამოხატა, რომ რაც უფრო სრულყოფილია სამოქალაქო საზოგადოება, მით უფროა იგი თვითრეგულირებადი და უფრო ნაკლებად საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან ჩარევას. ის სამოქალაქო საზოგადოებას დიდ სიმდიდრედ განიხილავდა, ხოლო სახელმწიფოს – გარდაუვალ ბოროტებად. ამიტომაც, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების მიზნით, მისი აზრით სახელმწიფო ხელისუფლება უნდა შეიზღუდოს (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 141).

ცნობილი გერმანელი ფილოსოფოსი ჰეგელი კიდევ უფრო აკონკრეტებდა სამოქალაქო საზოგადოების ძირითად პრინციპებს, იგი ამ უკანასკნელს

განიხილავდა არა როგორც მხოლოდ ინდივიდთა და ურთიერთობათა ერთობლიობას, არამედ როგორც სხვადასხვა საზოგადოებრივი ინსტიტუტების საქმიანობის სფეროს. ძირითადი პრინციპების რანგში, რაზედაც სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს, იგი გამოყოფს კერძო საკუთრებას, კერძო ცხოვრებას, ინდივიდუალურ თავისუფლებას, საზოგადოებრივი აზრის თავისუფალ ფორმირებას და ასევე სამართლიან კანონებსა და მათი მკაცრად დაცვის აუცილებლობას (Перегудов С. 1992).

მიუხედავად იმისა, რომ ჰეგელი სამოქალაქო საზოგადოებას განიხილავს როგორც დამოუკიდებელ, სახელმწიფოსგან განსხვავებულ წარმონაქმნს, ამასთანვე იგი აცნობიერებს, რომ მათი დანაწილება გახლავთ პირობითი, რადგან, სამოქალაქო საზოგადოება გარკვეულწილად წარმოადგენს სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილს. ეს ორი სფერო არა უბრალოდ მჭიდროდ დაკავშირებულია ერთმანეთთან ერთ მთლიანში, არამედ წარმოადგენენ ერთი მედლის ორ მხარეს. ასეთი მიდგომა სახელმწიფოს განიხილავს როგორც “ღვთაებრივი ნების” კონცეფციას, “ხალხის სულის განსახიერებას”, რომელიც შეღწეულ უნდა იქნეს ყველა ურთიერთობაში. ამასთანავე, სახელმწიფო ჰეგელისათვის – ეს არის “პოლიტიკური სხეული”, რომელსაც ის პირდაპირ აპირისპირებს სამოქალაქო საზოგადოებასთან. მაგრამ, ყოფს რა ერთმანეთისაგან ამ ორ ფენომენს, იგი პეინის პოზიციის საწინააღმდეგოდ, პრიორიტეტს სახელმწიფოს ანიჭებს. ჰეგელი გამოდის იქიდან, რომ სამოქალაქო საზოგადოებას არ ძალუძს დაუპირისპირდეს კონფლიქტებს და მხოლოდ სახელმწიფოს, პირველ რიგში კი საკონსტიტუციო მონარქიას, ძალუძს მოქალაქეთა განსხვავებული ინტერესების ერთიან თანამეგობრობაში ინტეგრაცია (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 141).

ამგვარად, პოლიტიკური სახელმწიფოსგან განსხვავებით, სამოქალაქო საზოგადოება, ჰეგელის მიხედვით, წარმოადგენს ადამიანთა კერძო ინტერესების სფეროს, ანუ საუბარი მიმდინარეობს იმაზე, რომ ადამიანთა ინტერესი კმაყოფილდება კერძო ცხოვრების სფეროებში (ოჯახი, კორპორაციები, ინსტიტუტები,) და თვითნებობისა და ძალადობისაგან ისინი კანონითა და სამართლებრივად არიან დაცულნი. ამავე დროს, გერმანელი მეცნიერი ანაწილებს გავლენის სფეროებს სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის, აღიარებს რა სახელმწიფოს გადამწყვეტ ძალად, ერთმანეთისაგან გამოყოფს პოლიტიკურ და არაპოლიტიკურ სფეროებს.

შემდეგი მოსაზრება ა. ტოკვილის პოლიტიკურ მოსაზრებებთანაა დაკავშირებული, რომელიც კვლავ ასევე ამახვილებს თავის ყურადღებას საზოგადოების ხელისუფლების ძალაუფლებისაგან დაცვის საკითხებზე. ამავე დროს, იგი არ უარყოფს სახელმწიფო ინსტიტუტების ანგარიშგასაწევ როლს,

მაგრამ განიხილავს ძალთა ბალანსის შექმნის აუცილებლობას, რომელიც თავის მხრივ წინ აღუდგება სახელმწიფოს მიერ ძალაუფლების გამოყენებას. ხელისუფლებათა დანაწილება და მოქალაქეთა მიერ სხვადასხვა ასოციაციების შექმნა იძლევა იმის საფუძველს, რომ აცილებულ იქნეს ამგვარი საშიშროება. ამავე დროს, თვითორგანიზებადი სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც სახელმწიფოსაგან დამოუკიდებელი იქნება, საზოგადოებას ანიჭებს დემოკრატიის იმ დონეს, რომლის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა სახელმწიფოს მონოპოლიის პირობებში (Кин. Д. 1988).

სამოქალაქო საზოგადოების საკითხებზე მატერიალისტური პოზიციებიდან ასევე მსჯელობდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, თუმცა სამოქალაქო საზოგადოებისადმი მათი მიდგომა მეცნიერთა ადრინდელ და შედარებით უფრო გვიანდელ შრომებში, ფართო თუ ვიწრო გაგებით შედარებით განსხვავებულად აიხსნება. მარქსის მიხედვით, სამოქალაქო საზოგადოებასა და სახელმწიფოს შორის მნიშვნელოვანი ურთიერთდამაბალანსებელი ურთიერთობები არსებობს.

მარქსი და ენგელსი, ჰეგელისაგან განსხვავებით, საუბრობენ რა სამოქალაქო საზოგადოების როლზე, მას მატერიალისტურ სახელმწიფოს უწოდებენ, რომელიც თავის მხრივ არ გახლავთ პოლიტიკური ერთეული. ხოლო საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა ურთიერთობების შედეგად აღილი პქონდა პოლიტიკური სახელმწიფოს შექმნას.

სამოქალაქო საზოგადოება განიხილება როგორც მატერიალური ცხოვრებისეული ურთიერთობების ერთობლიობა. ეს გახლავთ ის საფუძველი, რომელიც ადამიანთა საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის საფუძველს წარმოადგენს. სწორედ რომ სამოქალაქო საზოგადოება გვევლინება ისტორიული პროგრესის მთავარ მამოძრავებელ ძალად.

ამავე დროს, სამოქალაქო საზოგადოება განიხილება როგორც საფუძველი, სახელმწიფოს ბაზისი და იდეოლოგიური ზედნაშენი. ამგვარად, პოლიტიკური წყობილება წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ოფიციალურ განსახიერებას (Маркс К. Энгельс Ф. 1955).

ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სამოქალაქო საზოგადოების ამა თუ იმ ქვეყანაში წარმოშობა დაკავშირებული იყო სხვადასხვა თვითშემოქმედი გაერთიანებების წარმოშობასთან, მაგალითად, ადამიანთა ასოციაციებთან, რომლებიც საზოგადოების ინტერესებსა და უფლებებს გამოხატავდნენ. ასეთი სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფოს ერთობლივი თანაარსებობის პირობებში, ორი მხარე ერთმანეთთან აუცილებლად გარკვეულ ურთიერთობებს ამყარებს, ეს კი თავის მხრივ, პოლიტიკური ხელისუფლების ხასიათს განაპირობებს.

კარგადაა ცნობილი, რომ აქტიური სამოქალაქო საზოგადოების ფუნქციონირების ფარგლებში, ქვეყანაში მოქმედებს პოლიტიკური რეჟიმის დემოკრატიული ფორმა, თუმცა, როგორც ცნობილია, სახელმწიფოში დემოკრატიული ფორმის გარდა, არსებობს მმართველობის დიქტატორული და ავტორიტარული ფორმებიც. ამიტომაც, შესაძლებელია გაკეთდეს დასკვნა, რომ თუ რა დონეზეა განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება, სწორედ ამ ფაქტორზეა დიდწილად დამოკიდებული დემოკრატიული განვითარების ხარისხი. სამოქალაქო საზოგადოების სიძლიერე სახელმწიფოს დემოკრატიული ფორმების განვითარების უფრო მეტ შესაძლებლობას იძლევა, ხოლო ჩამორჩენილი სამოქალაქო საზოგადოება პოლიტიკური ძალაუფლების ავტორიტარული და ტოტალიტარული ფორმების ჩამოყალიბებას განაპირობებს.

მაღალგანვითარებული სამოქალაქო საზოგადოება შეიძლება სტაბილური პოლიტიკური სისტემის საფუძვლად მოგვევლინოს, შესაბამისად, სწორედ ასეთ საზოგადოებას ძალუძს წარმატებით წინ აღუდგეს პოლიტიკური ძალაუფლების ავტორიტარულ ტენდენციებს. ზემოაღნიშნულ ასპექტებზე თავის დროზე ყურადღება გაამახვილა მემარცხენე იდეოლოგიების მხარდამჭერმა, ცნობილმა პოლიტოლოგმა ა. გრამშიმ. ის აღნიშნავდა, რომ დასავლეთის განვითარებულ ქვეყნებში სამოქალაქო საზოგადოება მეტად რთულ ინსტიტუტად გადაიქცა, რომელსაც შეუძლია გაუძლოს გარკვეულ კატასტროფებს, მაგალითად ეკონომიკურ კრიზისებსა და დეპრესიებს და ა.შ. შესაბამისად, როდესაც სახელმწიფოს შიგნით ადგილი აქვს პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ რყევებს, ამ დროს წინა პლანზე გვევლინება სამოქალაქო საზოგადოების მყარი სტრუქტურა, რომელიც თანამედროვე ომის პირობებში გარკვეული სანგრის როლს ასრულებს. ამავე დროს, მეცნიერის აზრით, აღმოსავლეთის ქვეყნებში, სადაც ყველაფერს სახელმწიფო წარმოადგენდა, ასეთი განვითარებული ბურჟუაზიული სამოქალაქო საზოგადოება არ არსებობდა (Грашши. 1959).

დასავლეთის ქვეყნებში, სამოქალაქო საზოგადოება დიდი ხნის განმავლობაში ყალიბდებოდა, ეს პროცესი მიმდინარეობდა ეტაპობრივად და დაკავშირებული იყო კაპიტალისტურ პერიოდამდე ადამიანისათვის სიცოცხლის უფლების დაკანონებიდან დაწყებული ინდუსტრიულ საზოგადოებებში ფართო პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და სხვ. უფლებების მოპოვებით დამთავრებული. ამავე დროს, სამოქალაქო საზოგადოების ფარგლებში მოქმედი სტრუქტურების საქმიანობაში ერთვებოდნენ არა მხოლოდ ურბანული დასახლებების შედარებით მაღალი შემოსავლის მქონე პირები, არამედ სასოფლო დასახლებებში მცხოვრები და შედარებით დაბალი შემოსავლის მქონე ადამიანებიც. საზოგადოებრივი ორგანიზაციების ქსელის გაფართოებასთან ერთად, ერთის მხრივ, სახელმწიფომ გადადგა ნაბიჯი, რომ ეღიარებინა სხვადასხვა ასოციაციების არსებობა და მეორეს



მხრივ, ხელისუფლებამ მთელ მოსახლეობასთან სამართლებრივი ურთიერთობა უზრუნველყო. ასე იქმნებოდა სამოქალაქო საზოგადოებისა და სამართლებრივი სახელმწიფოს საფუძვლები.

თანამედროვე გაგებით, სამოქალაქო საზოგადოება სტრუქტურულად თავის თავში შემდეგ ელემენტებს მოიცავს:

1. არასახელმწიფო, არასაბიუჯეტო საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომლებიც მათი დამფუძნებლების მიერ ნებაყოფლობით საფუძველზე იქმნება. ესენი არიან საწარმოო, საშუამავლო, სავაჭრო გაერთიანებები, სააქციო საზოგადოებები, კერძო ბანკები, სკოლები, სამკურნალო დაწესებულებები, უმაღლესი საგანმანათლებლო სასწავლებლები და ა. შ. მათი მფლობელები ამ ორგანიზაციათა საქმიანობის ყოველდღიურ ცხოვრებაში სახელმწიფო ჩარევისაგან თავისუფლები არიან. ამავე დროს, სახელმწიფო – თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს მათ პროფესიულ საქმიანობას, რომ ის შეესაბამებოდეს სახელმწიფოს სტანდარტებს, ხოლო ამ ორგანიზაციათა თანამშრომლები სახელმწიფო სტრუქტურებში მოღვაწე ადამიანების პარალელურად, სოციალურად იყვნენ დაცულნი. მაგალითად, არასაბიუჯეტო უმაღლესი სასწავლებლების საქმიანობა სახელმწიფოს საგანმანათლებლო სტანდარტების მეშვეობით კონტროლდება.
2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები და მოძრაობები. მათ შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი პოლიტიკურ პარტიებს უკავიათ. პოლიტიკური პლურალიზმი, მრავალპარტიულობა – სამოქალაქო საზოგადოების ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს, რითაც დიდწილად განისაზღვრება ამ სახელმწიფოს დემოკრატიულობის ხარისხი. პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივი მოძრაობები და ა.შ. სამოქალაქო საზოგადოების ძირითად ინსტიტუტებს წარმოადგენენ, ისინი წარმოადგენენ გარკვეულწილად შუამავლებს სახელმწიფოსა და სახალხო მასებს შორის, რომლებიც იცავენ მოქალაქეთა ინტერესებს სახელმწიფო ორგანოების წინაშე. საქართველოში, ბოლო პერიოდში სულ უფრო მზარდ როლს ასრულებენ რელიგიური ორგანიზაციებიც. მათ პოზიციას, მათი ლიდერების მოსახრებებს პოლიტიკური ლიდერებიც ითვალისწინებენ, რადგანაც მორწმუნეთა რაოდენობა საქართველოს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.
3. უშუალო დემოკრატიის ინსტიტუტები და ორგანიზაციები. მათ მიეკუთვნებიან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები, რომლებიც არ შედიან სახელმწიფო ხელისუფლების სისტემაში (სოფლის საკრებულო, ბინების ამხანაგობები, სპორტული ორგანიზაციები და ა.შ.), საზოგადოებრივი

ორგანიზაციები, რომლებიც მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ინტერესებს (“საქართველოს ქალები,” ჯარისკაცთა უფლებების დაცვის საზოგადოებები და ა.შ.) გამოხატავენ. მოქმედებენ რა კანონის ფარგლებში, ეს ორგანიზაციები სამართლებრივი თვალსაზრისით ნებისმიერი სახელმწიფო ორგანოს ჩარევისაგან არიან დაცულნი.

4. მოქალაქეთა პროფესიული, საქმიანი და პირადი ცხოვრება სამართლებრივი ნორმების სისტემის მეშვეობით რეგულირდება, აღნიშნული ნორმები კი თავის მხრივ ხელისუფლების უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერაა შემუშავებული. მაგალითად, კანონი შრომითი საქმიანობის შესახებ, ოჯახისა და ქორწინების შესახებ და სხვ. აღნიშნულ კანონებში შრომითი პროცესების მონაწილეების უფლებები და მოვალეობები, მეუღლეთა ურთიერთვალდებულებები, ბავშვთა და მშობლების მოვალეობები და ა.შ. არის წარმოდგენილი.

ამგვარად, სამოქალაქო საზოგადოება და სახელმწიფო ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულ სოციალურ სფეროებს წარმოადგენენ. მათ შორის ურთიერთიერთობები ყოველთვის წარმოადგენდა კვლევის, საზოგადოებრივი მეცნიერებების დისკუსიის საგანს. ეს პრობლემა ცალკეულ ადამიანთა განსჯის საგანს წარმოადგენდა, იგი წარმოადგენდა მრავალი სახალხო მოძრაობების, პოლიტიკური გადატრიალებებისა და სოციალური რევოლუციების ძირითად მიზეზს.

## ნაწილი 4. პოლიტიკური ძალაუფლება

**თავი 23. პოლიტოლოგიაში ძალაუფლების ძირითადი კონცეფციები. პოლიტიკური ძალაუფლება, მისი რეალიზაციის მექანიზმები**

ძალაუფლების საკითხის გაგების მნიშვნელობა უკვე დიდი ხანია მუსირებს ადამიანთა აზრებში. ბევრი მოაზროვნე და მეცნიერი ცდილობს გაიგოს აღნიშნული ფენომენის ბუნება, მისი როლი და ადგილი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მისი ფუნქციონირების კანონზომიერებანი. ძალაუფლებასთან ადამიანებს შეხება ყოველთვის გააჩნიათ, რომელიც სხვადასხვა დონეზე ვითარდება – ოჯახში მამის ძალაუფლება, შეიარაღებულ ძალებში მეთაურის ძალაუფლება, წარმოების დირექტორის ძალაუფლება, ტომის ბელადის ძალაუფლება და ა.შ.

თვით ამ მოვლენის სირთულე ძალაუფლების კვლევისა და მისი განსაზღვრის პროცესში მიდგომათა მრავალფეროვნებას განაპირობებს.

*ძალაუფლების თეოლოგიური კონცეფციები.* თეოლოგიური კონცეფციის მომხრეები გამოდიან იქიდან, რომ პოლიტიკური ძალაუფლება ყოველთვის არსებობდა და მას ღვთაებრივი წარმოშობა გააჩნია. ისინი მიუთითებდნენ იმაზე, რომ გარკვეული მიზნების მიღწევის მიზნით, ადამიანები გარკვეული მოსაზრებით კონცენტრირებულ იქნენ იმ საზოგადოებაში, რომელშიც ეს ძალაუფლება იჩენს თავს. მათი უმრავლესობა ნათლად აცნობიერებს, რომ ასეთი ორგანიზაცია აუცილებელია, შესაბამისად, ამ კონცეფციის მიმდევრები ძალაუფლების სასიცოცხლო მნიშვნელობას აღიარებენ (Шиллер. 1980).

*ძალაუფლების რელიატივისტური კონცეფცია* (ინგლისური relation - ურთიერთობები). აღნიშნული კონცეფციის მიმდევართა მიერ ძალაუფლება განიხილება როგორც პიროვნებათშორისი ურთიერთობა, რომელშიც ერთი ადამიანი (სუბიექტი) მეორე ადამიანზე (ობიექტზე) გარკვეულ ზეგავლენას ახორციელებს. სუბიექტისა და ობიექტის რანგში შესაძლოა მოგვევლინონ როგორც ცალკეული ადამიანები, ასევე ჯგუფები, მოსახლეობის ფენები; წამყვანი პოლიტიკური პარტიები და ა.შ. ამავე დროს, წამყვან პოლიტიკური პარტიას შეუძლია გავლენა მოახდინოს ოპოზიციაზე, მოახდინოს მისი “ნეიტრალიზაცია”, შესთავაზოს მას “გავლენის ზონები”. ძალაუფლების რელიატივისტური კონცეფციები ფლობენ მეთოდებისა და საშუალებების კომპლექტსა და სტაბილურობის მიღწევის მიზნით საზოგადოებაზე ზეგავლენის სხვადასხვა გზას. მათ შორის მოიაზრება შრომითი საქმიანობის სტიმულირება, საზოგადოებრივი ქცევის ნორმების დაცვა და სხვ. (Грязнова А. Г. Завялов В.Г. 2002).

*ძალაუფლების ბიჰევიორისტული კონცეფცია* (ინგლისურიდან – behavior-ქცევა). ისევე როგორც ძალაუფლების რელიატივისტურ კონცეფციაში, ბიჰევიორისტული მიდგომაც მისი ძირითადი განსაზღვრებიდან გამომდინარეობს. აღნიშნული

კონცეფცია აღიქმება, როგორც ურთიერთობა ადამიანებს შორის, რომლის დროსაც ისინი ბატონობენ, მეთაურობენ, ხელმძღვანელობენ, ხოლო სხვები ემორჩილებიან და ასრულებენ პირველების გადაწყვეტილებებს. ამავე დროს, ბიჰევიორისტული მიდგომის თავისებურება ძალაუფლებისათვის ბრძოლის პროცესში ადამიანის ქცევის მოტივაციაზე კონცენტრაციის მოხდენის მიმართულებით მიმდინარეობს. ძალაუფლებისათვის ბრძოლის პირველადი იმპულსები, ამ სკოლის წარმომადგენელთა აზრით, ცალკეული პიროვნებების ბუნებაში არსებობს, რომელიც მათი ძალაუფლებისაკენ ლტოლვაში (ნება) და შესაძლებლობაში გამოიხატება, რომლის საბოლოო მიზანი გახლავთ ბატონობა (“პოლიტიკური ენერჯის” ფლობა). ასევე, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ის პრივილეგიები, რომლებითაც ის ადამიანები სარგებლობენ, რომლებიც ფლობენ ძალაუფლებას. ძალაუფლების მოპოვებასთან როგორც წესი, დაკავშირებულია სიმდიდრის მოპოვება, თავისუფლება, პრესტიჟი, უსაფრთხოება და სხვ. ბევრისათვის ძალაუფლებისათვის ბრძოლა თვითდამკვიდრების საშუალებას წარმოადგენს, იგი გვევლინება როგორც თანდაყოლილი თუ შექმნილი ნაკლოვანებების კომპენსაცია. გარდა ამისა, ბევრისათვის სხვებზე მბრძანებლობის არსებობა, სიამოვნების გარკვეულ ფორმას წარმოადგენს. ძალაუფლების მოპოვებისათვის ლტოლვას სხვა მოტივებიც გააჩნია. მაგალითად, შესაძლებელია საჯარო ან ფარული შეთანხმება იმ სუბიექტებს შორის, ვინც დაინტერესებულია გარკვეული კანდიდატურის მხარდაჭერაში, რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონკრეტული პოლიტიკოსის ძალაუფლებისათვის ბრძოლის ფინანსირება(Грязнова А. Г. Завялов В.Г. 2002).

ბიჰევიორისტული სკოლის წარმომადგენლები გამოდიან იქიდან, რომ საბაზრო ეკონომიკის პირობებში ძალაუფლება ასევე იქცევა საქონლად. ამ საქონელზე, ისევე როგორც სხვა პროდუქტზე, არსებობს მოთხოვნა და მიწოდება. ყალიბდება გარკვეული “ძალაუფლების ბაზარი” თავისი მენეჯერებით, რომლებიც მზად არიან გამოხატონ პრეტენზია ძალაუფლებაზე და მათ მიერ წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში სწორედ წარმოებული მენეჯმენტი განაპირობებს მათთვის გამარჯვებას არჩევნებზე. ამიტომაც ნათელია, რომ ძალაუფლებისათვის ბრძოლა მუდმივ მოვლენას წარმოადგენს. პოლიტიკური ძალაუფლება როგორც წესი, პოლიტიკურ ძალებსა და ცალკეული პიროვნებების დაპირისპირების პროცესში იბადება. ასეთია ძალაუფლების აღქმის ბიჰევიორისტული კონცეფცია.

*ძალაუფლების სისტემური კონცეფციები.* მოცემული კონცეფციის მიხედვით, ძალაუფლება საზოგადოების პოლიტიკურ სისტემაში, როგორც სისტემათა შემქმნელ ურთიერთობად განიხილება. ამ სისტემის სხვა დარჩენილი ელემენტები ერთმანეთთან უშუალოდაა დაკავშირებული. პოლიტიკური ძალაუფლების დანიშნულება – ეს არის ადამიანთა შორის და მთლიანად საზოგადოების ფარგლებში (სახელმწიფო-პოლიტიკური ინსტიტუტების ჩათვლით) ურთიერთობათა

რეგულირება. პოლიტიკური ძალაუფლების დანიშნულებაა – ურთიერთობათა განვითარება საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ყველა ელემენტებთან ერთად ისეთი სახით, რომელიც ხელს შეუწყობს გაწონასწორებულ, აღნიშნული სისტემის დაბალანსებულ მდგომარეობას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, პოლიტიკური ძალაუფლება საზოგადოებაში პირველ რიგში როგორც პოლიტიკური, ასევე ეკონომიკური სტაბილურობის დანერგვას უნდა ესწრაფვოდეს.

ძალაუფლების ფენომენის შემდგომი ანალიზისათვის საფუძვლად უნდა მივიღოთ შემდეგი განსაზღვრება: ძალაუფლება – ეს არის შესაძლებლობა და საშუალება, განახორციელო გარკვეული ზემოქმედება ადამიანთა საქმიანობასა და ქცევაზე სხვადასხვა საშუალებების, მათ შორის ნების, ავტორიტეტის, სამართლისა და ძალდატანების მეშვეობით.

*ძალაუფლებისა და მართვის განზოგადება.* ნათელია, რომ მართვის გარეშე შეუძლებელია ძალაუფლების რეალიზაცია და ამავე დროს, შეუძლებელია ძალაუფლების გარეშე მართვა. მართვა უფრო ფართო ცნებაა ვიდრე ძალაუფლება. ძალაუფლება – ეს არის მართვის ელემენტი, მისი ძალის წყარო. მართვის პროცესი წარმოადგენს ძალაუფლებრივი ნების მიღწევის რეალიზაციის პროცესს მბრძანებლის მიერ მიზნების რეალიზაციის მიზნით.

ძალაუფლების რთულმა ფენომენმა განაპირობა მისი ბუნების შესახებ მრავალი წარმოდგენის ჩამოყალიბება. ყველაზე უფრო ფართოდ გავრცელებული წარმოდგენები ძალაუფლების შესახებ გვთავაზობს როგორც მისი არსის, ასევე ძალაუფლების სისტემის ჩამოყალიბების ფარგლებში არსებულ ურთიერთობათა გაგებას.

ძალაუფლების, როგორც არსის განხილვა გამომდინარეობს იქიდან, რომ ერთის მხრივ, შემოთავაზებულია აბსტრაქტული ძალაუფლება, ხოლო მეორეს მხრივ, ძალაუფლება განიხილება როგორც არსი, რომლის მიმდევრებს წარმოადგენენ ცალკეული ინდივიდები, რომლებიც ფლობენ როგორც ფუფუნებას, ასევე ძალას. “ძალაუფლება წარმოადგენს ლოკალიზებულ ენერგიას, რომელიც გამოიხატება სახელმწიფოს მეთაურის პიროვნებაში ან საერთო აღიარებულ პრინციპებში, ხოლო მმართველები წარმოადგენენ მის დროებით დამცველებს” (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 80). აქ იგულისხმება, რომ მაგალითად მეფე, ფლობს განსაკუთრებულ რეგალიებს და ამიტომაც უფრო ადვილია ძალაუფლების შეგრძნება ენერგიის, ძალის უფრო გაგებით, ვიდრე ზემოქმედების ბერკეტების გამოყენებით.

ძალაუფლების, როგორც ადამიანთა შორის ურთიერთობათა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი, გამომდინარეობს იქიდან, რომ ძალაუფლება – “ეს არის საშუალება და შესაძლებლობა, გამოიყენო რა ამისათვის გარკვეული მეთოდები,

გაატარო საკუთარი ნება, განახორციელო გარკვეული ზემოქმედება ადამიანთა ქცევაზე” (მ. ვებერი). ამ შემთხვევაში ძალაუფლების განსაზღვრებას საკუთარი ფსიქოლოგიური ასპექტიც გააჩნია, ე.ი. მისთვის დამახასიათებელია, რომ პროგნოზირებულ იქნეს ის, რაც შეიძლება მოხდეს ან მოხდება, და არა ის, რაც უკვე მოხდა ან ხდება. რიგი სხვა მკვლევარი (გ. ლასუელი, რ. დალი და სხვ.) ძალაუფლებას სოციალური ქცევის კუთხით განიხილავენ. ამ მიდგომის შესაბამისად, ძალაუფლების ფლობა ნიშნავს მისი განხორციელების შესაძლებლობას. არარეალიზებული პოტენციალი, ეს არ არის ძალაუფლება, ძალაუფლებრივი ურთიერთობები იქმნება მხოლოდ მაშინ, როდესაც წარმატებით ხორციელდება არსებული პოტენციალის გამოყენება. ძალაუფლება წარმოადგენს სუბიექტის შესაძლებლობას, უზრუნველყოს ობიექტის დაქვემდებარება თავისი ძირითადი მიზნების შესაბამისად. გავლენისაგან განსხვავებით, ძალაუფლება გამოხატავს არა მოვლენას (ქმედებას), არამედ ფსიქოლოგიურ დისპოზიციას, შესაძლებლობას. ძალაუფლება – ეს არ არის შესაძლებლობა უბრალოდ ზეგავლენა მოახდინო რაიმე პროცესზე, არამედ იგი ხორციელდება ადამიანებზე, მათ ქცევასა და ცნობიერებაზე. ძალაუფლების შედეგი შეზღუდულია ობიექტის მიერ სუბიექტის ნებაზე დაქვემდებარების თვალსაზრისით (Шиллер. 1980).

პოლიტოლოგიის შესწავლის ერთ-ერთ მთავარ საგანს პოლიტიკური ძალაუფლება წარმოადგენს. ამიტომაც კონცენტრირება უნდა მოვახდინოთ პოლიტიკური ძალაუფლების თავისებურებებზე. პოლიტიკური ძალაუფლება მეორადია ინდივიდუალურ ძალაუფლებასთან მიმართებაში. მისი ფორმირება მრავალი ადამიანის ნების კონცენტრაციისა და უფლებათა ნაწილის ერთ სუბიექტში დელეგირების დანერგვის მეშვეობით ხორციელდება.

პოლიტიკური ძალაუფლება, როგორც ძალაუფლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი განსახიერება, გამოირჩევა მოცემული ინდივიდის, ჯგუფის ან სოციალური ერთობის ხელში კონცენტრირებული რეალური შესაძლებლობებით, რათა მათ მიერ შესრულებულ იქნეს კონკრეტული მიზნები, რომელიც პოლიტიკურ პროცესებში პოულობს თავის გამოხატულებას.

პოლიტიკური ძალაუფლება – ეს გახლავთ ცნება, რომელიც განსაზღვრავს განსაზღვრული კლასის, ან რომელიმე მსხვილი სოციალური ჯგუფის, ან არსებული საზოგადოებრივი უმრავლესობის, ასევე მათთან დაახლოებული ორგანიზაციებისა და ინდივიდების რეალურ შესაძლებლობას, გატარებულ იქნეს თავიანთი ინტერესი სხვა ჯგუფებთან, ცალკეულ ინდივიდებთან მიმართებაში და შედეგად, განხორციელებულ იქნეს საერთო მიზნები ძალადობრივი ან არაძალადობრივი (დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ პოლიტიკურ რეჟიმზე) მეთოდებით.

ძალაუფლების სხვა ფორმებისაგან განსხვავებით, პოლიტიკურ ძალაუფლებას საკუთარი სპეციფიკა გააჩნია. მის განმასხვავებელ ნიშნებს წარმოადგენს:

- 1) უზენაესობა, მთელი საზოგადოებისათვის ხელისუფლების გადაწყვეტილებების შესრულების ვალდებულება. ხელისუფლებას ძალუძს ძალაუფლების სხვა ფორმების გავლენის შეზღუდვა და სხვ.
- 2) საყოველთაობა – საჯაროობა. ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკური ძალაუფლება მოქმედებს მთელი საზოგადოების სახელით და კონკრეტულ სამართლებრივ ნორმებზე დაყრდნობით;
- 3) ქვეყნის ფარგლებში ძალაუფლებისა და ძალის გამოყენების ლეგიტიმურობა;
- 4) მონოცენტრულობა, ანუ გადაწყვეტილების მიღების პროცესში საერთო - სახელმწიფოებრივი ცენტრის (სახელისუფლებო ორგანოების სისტემა) არსებობა;
- 5) ძალაუფლების მოპოვების, შენარჩუნების და რეალიზაციის საშუალებათა გამოყენების ფართო სპექტრი. ამრიგად, პოლიტიკური ძალაუფლება ხასიათდება იმ შესაძლებლობათა არსებობით, ვინც მათ ფლობს და ახორციელებს საკუთარ ნებას პოლიტიკური ხელმძღვანელობის და მთელი საზოგადოების (სახელმწიფოს) სახელით, რითაც ხდება გარკვეული ზეგავლენის დანერგვა სახალხო მასების ქცევაზე იმ რესურსების მეშვეობით, რომლებიც სახელმწიფოს გამგებლობას მიეკუთვნება. ამ დროს, დასახული მიზნებისა და პროგრამების მიღწევის მიმართულებით, ფართო მასების მობილიზაცია, აგრეთვე ადამიანთა ცალკეულ ჯგუფებს შორის (მათ შორის სტაბილურობისა და საერთო თანხმობის მიღწევის მიზნით) ურთიერთობათა დარეგულირება ხორციელდება.

პოლიტიკური ძალაუფლების ძირითად კომპონენტებად გვევლინებიან მისი ობიექტი, სუბიექტი, საფუძველი, ძალაუფლების რესურსები და ის პროცესი, რომელსაც მოძრაობაში მოჰყავს მისი ყველა ელემენტი - ძალაუფლების განხორციელების პროცესი.

სუბიექტი და ობიექტი – ძალაუფლების ძირითად აგენტებად გვევლინებიან. ისინი შეიძლება იყვნენ ცალკეული ადამიანები, ორგანიზაცია, სოციალური ერთობა, საერთაშორისო საზოგადოებაც კი, რომელიც შესაძლოა რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის სახელით მოქმედებდეს.

სახელისუფლებო ურთიერთობების წარმოშობისა და განვითარებისათვის აუცილებელია, რათა სუბიექტი ფლობდეს რიგ თვისებებს. პირველ რიგში, ეს ძალაუფლებისადმი სწრაფვასთანაა დაკავშირებული, რაც ხშირ შემთხვევებში გამოიხატება გარკვეული განკარგულებებისა თუ ბრძანებულებების მიღებასთან და ა.შ. ადამიანთა დიდი ნაწილი ფსიქოლოგიურ კმაყოფილებას ძალაუფლების ფლობის გამო არ განიცდის. შესაბამისად, ძალაუფლება მათთვის დიდ ღირებულებას არ წარმოადგენს. ბევრ ადამიანს არ გააჩნია იმის სურვილი, რომ ხელმძღვანელი თანამდებობები დაიკავოს, იგი თავს არიდებს მათთან დაკავშირებულ

პასუხისმგებლობას. სხვა შემთხვევაში, იმის გათვალისწინებით, რომ ძალაუფლება სხვადასხვა სახის კეთილდღეობის მისაღწევად ფართო შესაძლებლობებს იძლევა: მაღალი შემოსავალი, პრესტიჟი, ხელსაყრელი კავშირები, პრივილეგიები და ა.შ. ამ მიზეზის გამო რიგი ადამიანებისათვის ძალაუფლებისაკენ სწრაფვას უფრო ინსტრუმენტალური ხასიათი გააჩნია, ანუ იგი სხვა მიზნების მიღწევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას წარმოადგენს.

ხელმძღვანელობის სურვილი და თავის ხელში პასუხისმგებლობის ადების მზადყოფნის სურვილის პარალელურად, ძალაუფლების სუბიექტი უნდა იყოს კომპეტენტური, იცოდეს საქმის არსი, მას უნდა გააჩნდეს კონკრეტულ სფეროში არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნა, იგი უნდა ითვალისწინებდეს ქვეშევრდომთა მდგომარეობასა და განწყობას, იცოდეს რესურსების გამოყენება, ფლობდეს ავტორიტეტს. პოლიტიკური ძალაუფლებისათვის უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება სუბიექტის ორგანიზებულობას. ძირითადად, ძალაუფლების რეალური მატარებლები სხვადასხვა ხარისხით ფლობენ ამ თვისებებს.

პოლიტიკური ძალაუფლების სუბიექტებს რთული, მრავალსაფეხურებიანი ხასიათი გააჩნიათ. ამ შემთხვევაში, პირველად აქტორებად ინდივიდები და სოციალური ჯგუფები, მეორედ – პოლიტიკური ორგანიზაციები გვევლინებიან. რაც შეეხება ყველაზე მაღალი დონის სუბიექტებს, რომლებიც უშუალოდ წარმოადგენენ ძალაუფლებრივ ურთიერთობებში სხვადასხვა ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, ესენი არიან პოლიტიკური ელიტები და ლიდერები. ამ დონეებს შორის კავშირი შესაძლოა დაირღვეს. ასე მაგალითად, ლიდერები ხშირად ემიჯნებიან მასებს და საკუთარ პარტიებსაც კი.

ძალაუფლებრივ ურთიერთობებში, სუბიექტის პირველხარისხოვანი როლის მაგალითს წარმოადგენს ფართოდ გავრცელებული ძალაუფლების დაკავშირება მის მატარებელთან. ამის ნიმუშს წარმოადგენს ხელისუფლების გადაწყვეტილებები, ხელისუფლების ქმედებები და ა.შ. ამ შემთხვევაში, ხელისუფლებასთან მმართველი ორგანოები ასოცირდება.

სუბიექტის ძალაუფლებრივი ურთიერთქმედების შინაარსი ხშირად განკარგულების ან ბრძანების გამოცემის მიხედვით განისაზღვრება, რომელშიც ძალაუფლებრივი სუბიექტის საქციელია შეფასებული. ბრძანებაში შემავალი მოთხოვნების შინაარსიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაანალიზოთ ამ დოკუმენტის (ბრძანება ან განკარგულება) მიმართ შემსრულებელთა დამოკიდებულება, ანუ, ძალაუფლების მეორე უმთავრესი ელემენტის - ობიექტის რეაქცია და საქციელი.

ძალაუფლება ყოველთვის ორმხრივია, ასიმეტრიულია, რომელიც მბრძანებლის დომინირებადი ნების და მისი სუბიექტისა და ობიექტის ურთიერთდამოკიდებულებით



ფასდება. იგი წარმოუდგენელია ობიექტის დამორჩილების გარეშე. თუ ასეთი დაქვემდებარება არ არსებობს, მაშინ არ არსებობს ძალაუფლება, მიუხედავად იმისა, რომ ძალაუფლებისადმი ლტოლვის მქონე სუბიექტს გააჩნია ნათლად გამოსატყულები ნება ბატონობაზე, და იგი ზემოქმედების მძლავრ საშუალებებსაც კი ფლობს. საბოლოო ჯამში, სახელისუფლებო ნების ობიექტს ყოველთვის გააჩნია თვით უკიდურესი, მაგრამ მაინც არჩევანი – ან დაიღუპოს, მაგრამ არ დაექვემდებაროს. დაქვემდებარებისადმი ძალაუფლების დამოკიდებულებამ თავისი პრაქტიკული გამოსატყულება კპოვა სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციებში, რომელიც ფართოდ გამოიყენება თანამედროვე მსოფლიოში, როგორც არაძალადობრივი გზით ბრძოლის წარმოების ერთ-ერთი საშუალება.

ობიექტის მხრიდან სუბიექტის ძალაუფლებისადმი დამოკიდებულების საზღვრები უკიდურესი წინააღმდეგობიდან დაწყებული, მაგალითად შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა (ამ შემთხვევაში ძალაუფლება არ არსებობს), ნებაყოფლობით, სიხარულით აღთქმად დამორჩილებამდე ვრცელდება. პრინციპში, დაქვემდებარება ასევე ჩვეულებრივად დამახასიათებელია საზოგადოებისათვის, როგორც ხელმძღვანელობა. დაქვემდებარებისადმი მზადყოფნა რიგ ფაქტორებზეა დამოკიდებული. იგი დამოკიდებულია ძალაუფლების ობიექტის პირად თვისებებზე, მისდამი წაყენებული მოთხოვნების ხასიათზე, კონკრეტულ ვითარებაში არსებულ იმ ზემოქმედების საშუალებებზე, რომლებსაც ფლობს სუბიექტი და ასევე ხელმძღვანელის მიერ შემსრულებელთა ქმედებების შეფასებაზე, ავტორიტეტის არსებობისა თუ არარსებობის გამო. პოლიტიკური ძალაუფლების ობიექტის თვისებები პირველ რიგში მოსახლეობის პოლიტიკური კულტურიდან გამომდინარე განისაზღვრება.

*პოლიტიკური ძალაუფლების რეალიზაციის მექანიზმი.* ამ ცნებით ძალაუფლების განხორციელების სხვადასხვა შესაძლებლობები და საშუალებები განისაზღვრება. პოლიტიკური ძალაუფლება პროცესზე ზემოქმედების მოხდენის რამდენიმე მეთოდის მეშვეობით აღიქმება. მათ შორის: პირდაპირი ფიზიკური ძალადობა, თანამშრომლობა, შეთანხმება ან პირიქით, კონფრონტაციული ურთიერთობა, საინფორმაციო ზემოქმედება, ინფორმაციის გაშუქება. ხშირად, აღნიშნული მეთოდების პრაქტიკაში დანერგვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობებისა და ორგანიზაციების მეშვეობით, იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედებით ხორციელდება.

ამგვარად, პოლიტიკური ძალაუფლების განმტკიცება ხშირ შემთხვევაში პირდაპირი უხეში ძალის ჩარევით, ძალის გამოყენების მუქარით, ხისტი დამოკიდებულებით, სიმდიდრის, პრესტიჟის, წახალისების, კონტროლის, პირადი სიმპათიების, ქარიზმის გამოყენებით და სხვა გზებით ხორციელდება. იგი ხან საერთოაღიარებულ ფასეულობებსა და კულტურულ ტრადიციებს ეფუძნება, ხან კი

ადგილი აქვს რაღაც წარმოსახვითი რწმენის არსებობას პიროვნების ზებუნებრივი შესაძლებლობების შესახებ.

**პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციები.** პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციონირება აუცილებელია საზოგადოების ერთიანობისა და მთლიანობის შესანარჩუნებლად, მისი სტაბილურობისა და მდგრადი განვითარებისათვის. ეს კი ითვალისწინებს კოორდინაციას, საზოგადოებრივი პროცესების შეთანხმებას, რომელთა რეალიზება პოლიტიკური ურთიერთობების სუბიექტების (ინდივიდები, პოლიტიკური ინსტიტუტები) მიერ მიზანმიმართული ურთიერქმედებების პროცესში ხორციელდება. შედეგად, საზოგადოებაში ყალიბდება ასე თუ ისე სტაბილური წესრიგი, რომელიც არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს. საზოგადოებრივი წესრიგი, რომლისთვისაც ყველა ხელისუფლება ესწრაფვის, თავის თავში ისეთ კომპონენტებს მოიცავს, როგორცაა სტაბილურობის განმტკიცება, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა, სოციალური გარანტიები, სახელმწიფოებრიობის განმტკიცება, მოქალაქეებისათვის ნათელი მომავლის შექმნა, ცხოვრების დონის ამაღლება და სხვ. აქედან გამომდინარეობს, რომ მხოლოდ ის პოლიტიკური ხელისუფლება იქნება წარმატებული, რომელიც შეძლებს საზოგადოების უმრავლესობისათვის (ანუ ქვეშევრდომებისათვის) მისაღები საზოგადოებრივი წესრიგის მიღწევას, რომელსაც შეეძლება იქონიოს წარმატების იმედი, მასების მხარდაჭერა და შესაბამისად, სწორედ ასეთ მთავრობას ექნება უფრო მეტი შანსი, რომ დარჩეს ხელისუფლების სათავეში ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფა ითვალისწინებს სპეციალური ორგანოების (პოლიტიკური ინსტიტუტების) შექმნასა და ფუნქციონირებას, რომლებიც ერთის მხრივ, განახორციელებენ მოქალაქეთა სხვადასხვა ჯგუფების ინტეგრაციას და მეორეს მხრივ, ისეთი ქმედებების ბლოკირებას იმ ძალების მხრიდან, რომლებიც არსებული საზოგადოებრივი წესრიგის შერყევას შეეცდებიან. ამგვარად, ძალაუფლებრივი ურთიერთობები პირველ რიგში, საზოგადოებრივი წესრიგის მხარდაჭერის აუცილებლობიდან გამომდინარე ყალიბდება. ეს ფუნქცია საზოგადოების მხრიდან განიხილება როგორც პირველხარისხოვანი, რადგანაც იგი საზოგადოების ნორმალური ფუნქციონირებისათვის ყველა აუცილებელ წინაპირობას აკმაყოფილებს.

პოლიტიკური ძალაუფლების ფუნქციონირების პროცესში, ოთხი ძირითადი დონე გამოიყოფა, რომელიც სხვადასხვა პოლიტიკური ინსტიტუტების საქმიანობასა და სახელისუფლებო ურთიერთობების სისტემას მოიცავს. შესაბამისად, სწორედ ამ ოთხ დონეზე ხორციელდება საზოგადოებრივი წესრიგის მხარდაჭერა:

1. მეგადონე - პოლიტიკური ძალაუფლების გლობალური დონე, რომელიც გამოსულია ერთი სახელმწიფოს ჩარჩოებიდან და რომელიც თავისი გავლენისა და ზემოქმედების გავრცელებას მოხდენას ცდილობს საერთაშორისო საზოგადოებაზე.
2. მაკროდონე - ცენტრალური სახელმწიფო ინსტიტუტებისა და პოლიტიკურ ურთიერთობათა ფუნქციონირების უმაღლესი დონე, რომელიც ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის ურთიერთობებში ვლინდება.
3. მეზოდონე - პოლიტიკური ძალაუფლების საშუალო დონე, რომელიც ერთმანეთთან პოლიტიკურ და სახელისუფლებო ურთიერთობებს აკავშირებს.
4. მიკროდონე - სახელისუფლებო ურთიერთობა პიროვნებათშორისი ურთიერთობების, მცირე ჯგუფებს შიგნით მიმდინარე პროცესების ფარგლებში ა.შ.

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს საშუალო დონე. ამ დონეზე ხელისუფლებას, რომელიც სხვადასხვა დაწესებულებებითაა წარმოდგენილი, შეუძლია აწარმოოს საზოგადოებისათვის დაფარული საქმიანობა, თუმცა იგი არ კარგავს არც თავის მნიშვნელობას, არც თავის ფუნქციებს. გარკვეულ ფარულ საქმიანობაში ჩართულ სუბიექტებად შეგვიძლია განვიხილოთ მმართველი ძალები, მსხვლი ბიზნეს-ორგანიზაციები, ჩაკეტილი - ხშირად კონსპირაციული კლუბები, რომლებიც საზოგადოების შეძლებულ ნაწილს წარმოადგენენ, მმართველი ელიტები, მაფიოზური სტრუქტურები. ძალაუფლების ფარული ფორმები ყოველთვის იწვევენ მკვლევართა ინტერესს. კერძოდ, სხვადასხვა პოლიტოლოგთა მიერ “ფარულობის” მიხედვით ხელისუფლების სამი ძირითადი ფორმა გამოიკვეთება, რომელიც დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან სახეს წარმოადგენს: 1. ქვეყნის მართვაში ჩართული საჯარო ხელისუფლება; 2) ნახევრადფარული ხელისუფლება; 3) ფარული ხელისუფლება.

საზოგადოების დიდი ნაწილისათვის “უხილავი” მმართველობის ქვეშ იგულისხმება გარკვეული სოციალური სივრცე, რომელიც დაკავებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური ინსტიტუტების, ინტერესთა ჯგუფების მიერ, რომელთა მეშვეობით ხორციელდება ეკონომიკური პოლიტიკა, ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების მართვა. უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში, ეს სივრცე საგრძნობლად გაფართოვდა. ეკონომიკა - საზოგადოებაზე ფარული მმართველობის გავრცელების მხოლოდ საფუძველს წარმოადგენს. ამავე დროს, სხვადასხვა ფარული ჯგუფების საქმიანობა მჭიდროდაა დაკავშირებული მთავრობის პოლიტიკასთან. ამავე დროს, ამ კავშირს ორმაგი დანიშნულება გააჩნია. ერთის მხრივ, გარკვეული პროცესები სახელმწიფო დაწესებულების მმართველი პერსონალის მეშვეობით რეგულირდება, ხოლო ეს პერსონალი თავის მხრივ თვით მთავრობის მიერაა დანიშნული და მეორეს მხრივ - ადგილი აქვს ფარულ, საიდუმლო ოპერაციებს, რომელიც ერთმანეთთან

აკავშირებს მთავრობას და პოლიტიკურ პარტიებს, უზრუნველყოფს გარკვეული ჯგუფების დაფინანსებას და ა.შ. ფარული მმართველობა, საზოგადოებაში ხელისუფლების სტაბილურ, მუდმივ სტრუქტურას აყალიბებს, თავის მხრივ ნაკლებად მოსალოდნელი ცვლილებებით დაწესებულებათა პირად შემადგენლობაში, რომლებიც ნაკლებად ექვემდებარებიან კონტროლს. ხშირ შემთხვევაში, “უხილავი” ჯგუფები უფრო მდგრად ფენას წარმოადგენენ “ხილულ” მმართველობასთან შედარებით. მთავრობები შესაძლოა შეიცვალონ, ხოლო ფარული მმართველობა - რომელიც ხელისუფლების მემკვიდრეობას უზრუნველყოფს, რჩება.

პოლიტიკურ ძალაუფლებას სივრცობრივი და დროის განზომილებანი გააჩნია. სახელისუფლებო ურთიერთობები მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა სოციუმების მეშვეობით იჭრებიან, ისინი მოიცავენ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს. ამავე დროს, პოლიტიკური ძალაუფლების სხვადასხვა იერარქიისათვის მმართველობის სხვადასხვა დონე არსებობს. მაგალითად, ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებას სხვადასხვა სივრცითი განზომილება გააჩნიათ.

პოლიტიკური ხელისუფლება ასევე გარკვეული დროის ინტერვალში ხორციელდება. აქ იგულისხმება ის, რომ მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკური ხელისუფლება ამა თუ იმ ქვეყანაში განუწყვეტლივ არსებობს, პერიოდულად ხდება ერთი ხელისუფლების მეორეთი შეცვლა. ახალი ტიპის პოლიტიკური ხელისუფლების წარმოშობის მომენტიდან, მის მიერ გასატარებელი პოლიტიკის პრაქტიკულ ცხოვრებაში დანერგვამდე, გადის დროის გარკვეული მონაკვეთი. კონკრეტული პოლიტიკური ხელისუფლების ფუნქციონირების ხანგრძლივობა კი რამდენიმე სხვადასხვა ფაქტორზეა დამოკიდებული. ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ ნებისმიერი ხელისუფლება ესწრაფვის შეინარჩუნოს საკუთარი პოლიტიკური პოზიცია რაც შეიძლება უფრო ხანგრძლივი დროის განმავლობაში, თუმცა ამ მიზანს იგი ყოველთვის ვერ აღწევს. ხშირ შემთხვევაში, ეს დამოკიდებულია კონკრეტული ხელისუფლების მხარდაჭერის დონეზე ქვეშევრდომების მხრიდან. ამავე დროს, ცნობილია, რომ ტირანებსა და დიქტატორებს შეუძლიათ ძალაუფლებაში უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში იმყოფებოდნენ, ხოლო დემოკრატიულ ქვეყნებში პრეზიდენტის და მმართველი პარტიის ხელისუფლებაში ყოფნის ვადები კონსტიტუციითაა შეზღუდული.

## **თავი 24. კორუფცია**

კორუფცია გახლავთ საჯარო ხელისუფლების ბოროტად გამოყენება პირადი ან ჯგუფური გამორჩენის მიზნით. 1979 წლის 17 დეკემბერს გამართულ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 34-ე სესიაზე, ფორმულირებულ იქნა ამ მანკიერი მოვლენის შემდეგი განსაზღვრება: “კორუფცია ნებისმიერი ფორმის საზღაურის სანაცვლოდ,

საზღაურის გამღების ინტერესებიდან გამომდინარე, თანამდებობის პირის მიერ, მისი თანამდებობრივი უფლებამოსილების სფეროში, გარკვეული მოქმედებების შესრულება ან უმოქმედობა” (ვ. შუბითიძე, ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 140).

**კორუფციის სახეები და მოდელები.** არსებობს კორუფციის ორი მთავარი კატეგორია: მცირე ანუ მასობრივი და ელიტური. მცირე, ანუ მასობრივი კორუფციის მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს სამოქალაქო მოსამსახურეთა “გადარჩენის მიზნით” წარმოებული კორუფციური გარიგებები. ამ ტიპის სახელმწიფო მოხელეები ოფიციალურად იღებენ ძალზე დაბალ ხელფასს, შესაბამისად, მათ გააჩნიათ დაბალი შემოსავალი და ისინი ცდილობენ საზოგადოებისაგან მიიღონ რაც შეიძლება მეტი ფინანსური რესურსი. ამ შემთხვევაში, ქრთამის აღებისა და სხვა უკანონო ფინანსური საქმიანობის საფუძველს წარმოადგენს ოჯახის გამოკვების, შვილების სკოლაში სწავლის, მკურნალობის საფასურის გადახდის აუცილებლობა. მასობრივი კორუფცია მოიცავს ძირითადად სხვადასხვა მოქალაქეთა ყოველდღიურ ურთიერთობას ხელისუფლების შესაბამის სტრუქტურებთან – მაგ: საგადასახადო, საბაჟო, მარეგისტრირებელ, სალიცენზიო და სხვ. საჯარო დაწესებულებებთან. კორუფციის აღნიშნული სახეობა საშუალო და დაბალი რანგის მოხელეების მიერ მატერიალური რესურსების მოსახლეობისაგან უშუალო გამოძალვას გულისხმობს.

ელიტარული კორუფცია თავის მხრივ, ხელისუფლების მაღალ ეშელონებში არსებობს, ის ძირითად შემთხვევებში დაკავშირებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხებისა თუ მატერიალური სიკეთეების მითვისებასთან.

კორუფციას ღრმად აქვს ფესვები გამჯდარი როგორც განვითარებული, მაგრამ უფრო განვითარებადი ქვეყნების სახელისუფლებო სტრუქტურებში.

შესაბამისად გამოყოფენ კორუფციის 3 მოდელს (რ. ალემანის განსაზღვრება):

- ა) შავი მოდელი (პოსტინდუსტრიალურ ქვეყნებში გავრცელებული, საკანონმდებლო ნორმებზე ფარული ძალადობა);
- ბ) თეთრი მოდელი (ტოტალიტარულ ქვეყნებში, პატრონ-კლიენტური სისტემისათვის დამახასიათებელი საზოგადოების აშკარა იძულება);
- გ) ნაცრისფერი მოდელი ((გავრცელებულია კონსტიტუციური და გარდამავალი პერიოდის ქვეყნებში – მაგ: პოსტსაბჭოთა ქვეყნები, (მათ შორის საქართველო 2004 წლამდე) და ემყარება ამ ბოროტებისადმი საზოგადოების შეგუების გრძნობას). (ვ. შუბითიძე, ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 140).

კორუფციის მასშტაბი განსაკუთრებით თვალშისაცემია ეკონომიკურად ჩამორჩენილი ქვეყნების სახელმწიფო ინსტიტუტებში. თუ ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში კორუფცია მოიაზრება, როგორც დემოკრატიულ

პრინციპებზე დამყარებულ თამაშის წესებზე განხორციელებულ ძალადობად, განვითარებად და პოსტ-სოციალისტურ ქვეყნებში იგი თავად წარმოადგენს არსებულ რეალობას - თამაშის წესს და მას სისტემური ხასიათი გააჩნია. ამასთანავე, განვითარებად ქვეყნებში კორუფციაში ჩართული პირები ყოველთვის როდი არიან ადგილობრივი მოქალაქენი. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე, ადგილი ჰქონდა რიგი განვითარებული ქვეყნის არაერთგზის ჩარევას განვითარებად სამყაროში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში, როდესაც დემოკრატიული ქვეყნების ლიდერები ხშირად ხელს უწყობდნენ “მესამე სამყაროს” ქვეყნების ხელისუფლებაში კორუმპირებული და ავტორიტარი ლიდერების მოსვლას. მრავალი ქვეყნის შიგნით დემოკრატიული და ინდუსტრიულად განვითარებული ქვეყანა ორმაგი სტანდარტების პოლიტიკას აწარმოებდა საგარეო ურთიერთობებში, ხელს უწყობდა რა დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებასა და ადამიანის უფლებათა დაცვას შინ და ავტორიტარს (ან დიქტატურას) უცხოეთში.

აღნიშნული ორმაგი სტანდარტების პრაქტიკაში გატარება ასევე გამოხატულ იქნა დასავლეთის მიერ განვითარებად ქვეყნებში განვითარებული ქვეყნების მექრთამეობის საწინააღმდეგო კანონების იგნორირებაში. მაგ: გერმანიის კანონმდებლობა მკაცრად ებრძოდა კორუფციის ნებისმიერ გამოვლენას გერმანიის ტერიტორიაზე, მაგრამ დაუსჯელს ტოვებდა გერმანული კომპანიების ანალოგიურ საქმიანობას განვითარებად ქვეყნებში. აღნიშნული პოლიტიკის გატარება აშკარად აბრკოლებდა ახალი დემოკრატიის ქვეყნებში ლიბერალურ ფასეულობათა დამკვიდრებას. დასავლეთის ე.წ. ჰუმანიტარული დახმარების მიზანიც, რომელსაც ადგილი ჰქონდა “ცივი ომის” დასრულების შემდეგ, ხშირად ნიშნავდა არა კონკრეტული, გაჭირვებაში ჩავარდნილი მოქალაქეებისათვის დახმარების აღმოჩენას, არამედ მოსყიდვის საშუალებით “მეგობრების” გაჩენას მესამე სამყაროს ქვეყნებში. მაგრამ ასეთი პოლიტიკა, საბოლოო ჯამში, თვით დასავლეთის ქვეყნების ეკონომიკას აზიანებს. აშშ-ის მთავრობის ოფიციალური მონაცემებით, კორუფციის გამო, ამერიკულმა ფირმებმა 1994-1996 წლებში საერთაშორისო კონტრაქტების დადებისა და შესრულების პროცესში დაახლოებით 11 მილიარდი დოლარით იზარალებს. კორუფციის მასშტაბები მთელს მსოფლიოში განსაკუთრებით გაიზარდა “ცივი ომის” დამთავრების შემდეგ. კორუფციის განვითარებას ასევე ხელს უწყობს კონკრეტულ ქვეყანაში არსებული გარდამავალი პერიოდიც.

კორუფციის შესახებ საუბრის დორს, აუცილებლელია ახსნილ იქნეს ამ მანკიერი მოვლენის განვითარების ძირითადი მიზეზები პოსტ-კომუნისტურ ქვეყნებში. ამის მიზეზები გახლავთ შემდეგი:

- ტოტალიტარული მემკვიდრეობის შედეგად ახალი დამოუკიდებელი ქვეყნების წინაშე წარმოშობილი სიძნელეები;

- პოსტსაბჭოთა ქვეყნებში “ცივი ომის” დასრულების შემდეგ არსებული პოლიტიკური არასტაბილურობა და ეკონომიკური დაქვეითება, სოციალური კრიზისი;
- კანონმდებლობის არასრულყოფილება, კანონთა წინააღმდეგობრივი ხასიათი;
- სახელმწიფო ინსტიტუტების სისუსტე;
- სამოქალაქო საზოგადოების ჩამორჩენილობა და ხელისუფლებისაგან მისი მოწყვეტა;
- დემოკრატიული პოლიტიკური ტრადიციების უქონლობა.

*კორუფციის განვითარების შედეგად მიღებული ზიანი.* კორუფცია საზიანოა ნებისმიერი, მათ შორის ეკონომიკურად მაღალგანვითარებული ქვეყნებისათვის. უფრო ნეგატიური შედეგები მას მოაქვს განვითარებადი სახელმწიფოებისათვის. რა ზიანი მოაქვს მას?

ეკონომიკური შედეგები:

1. ფართოვდება ჩრდილოვანი ეკონომიკის როლი;
2. იწვევს საქონლისა და მომსახურებაზე ფასებისა სახელმწიფო ვალის ზრდას;
3. ადგილი აქვს ბაზრის კონკურენციის მექანიზმების რღვევას;
4. არაეფექტურად გამოიყენება საბიუჯეტო სახსრები;
5. იწვევს სტანდარტების დაქვეითებას, ვინაიდან ბაზარზე შემოდის მეორეხარისხოვანი საქონელი და ხდება არაშესაბამისი ანდა არასაჭირო, მოძველებული ტექნოლოგიების შექენა;
6. იკარგება სამეწარმეო წრეებისა და უცხოელი ინვესტორების ნდობა სახელმწიფო სტრუქტურების მიმართ;
7. ფართოვდება კორუფციის მასშტაბები კომერციულ სტრუქტურებში.

სოციალური შედეგები:

1. ხდება სახელმწიფოს წინაშე მდგარი პოლიტიკური მიზნების ცვლილება, როდესაც საერთოეროვნული განვითარება ფერხდება ოლიგარქიული დაჯგუფებების ინტერესების დაკმაყოფილების შედეგად;
2. მცირდება სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ნდობა;
3. ეცემა ხელისუფლების პრესტიჟი საერთაშორისო არენაზე, კლებულობს ინვესტიციები;
4. პოლიტიკური კონკურენცია არის არაჯანსაღი;
5. იზრდება ახლადჩამოყალიბებული დემოკრატიული სისტემის ნგრევის საფრთხე.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ჩინოვნიკების კორუფციაში ჩართვას არ მოაქვს არანაირი დადებითი შედეგი თვით ამ ადამიანებისათვისაც (მიუხედავად იმისა, რომ მათ გაკვეთილი დამატებითი შემოსავალი გააჩნიათ). ამის

ძირითადი მიზეზები გახლავთ ის, რომ მაგ: თანამდებობაზე დანიშვნის დროს არსებულ კორუფციულ გარიგება იწვევს მნიშვნელოვან დანაკარგებს, ვინაიდან, კონკრეტულ ორგანიზაციაში ხელმძღვანელ თანამდებობას არაკომპეტენტური ადამიანი იკავებს. უმაღლეს სასწავლებლებში მისაღებ გამოცდებზე კონკრეტულ ფაკულტეტზე ადგილების განაწილებისას კორუფციული საქმიანობის შედეგს შეიძლება წარმოადგენდეს პროფესიის დაუფლებისას სწავლის ეფექტურობის დაკნინება და ა.შ. ვინაიდან კორუფცია თავისთავად წარმოადგენს ორგანიზებულ არასამართლიანობას, მას აუცილებლად მოსდევს სასამართლო პროცესები და რიგ შემთხვევებში ცილისწამების გავრცელებაც, რომლის საშუალებითაც ცდილობენ თვით პატიოსანი ჩინოვნიკის შანტაჟირებასაც.

კორუფციის სრულად და საბოლოოდ მოსპობა შეუძლებელია. ამ მანკიერი მოვლენის მოსპობის მიმართულებით გატარებულმა სწორხაზოვანმა მიდგომამ (მხოლოდ სადამსჯელო ღონისძიებებმა) შეიძლება ნეგატიური ასახვა ჰქონდეს პიროვნების თავისუფლებისა და ადამიანის ფუძემდებლური უფლებების ხელყოფის მიმართულებით. კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის მიზანია არა “სრული წესიერების მიღწევა” (რაც ძალიან რთულ ამოცანას წარმოადგენს), არამედ პატიოსნების დონის მნიშვნელოვანი ამაღლება და ამგვარად, სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტურობისა და ქმედუნარიანობის გაზრდა.

კორუფციის წარმოშობა შესაძლებელია მოხდეს როგორც სიმდიდრისა და კეთილდღეობის, ისე სიღარიბის პირობებში.

კორუფციული გარიგებების მოსახდენად ხელისუფლების მოღვაწეობის ყველაზე ხელსაყრელ სფეროებს წარმოადგენს:

- სახელმწიფო შესყიდვები მაგ: შეიარაღებული ძალებისა და პოლიციისათვის ტანსაცმლის ან პროდუქტებით მომარაგება;
- პრივატიზაცია;
- გადასახადების აკრეფა;
- ხელმძღვანელ პოსტებზე “თავისი ხალხის” დანიშვნა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში სხვადასხვა დოკუმენტის გაცემა;
- არჩევნები.

ანტიკორუფციული სტრატეგიის ფარგლებში წარმატების მიღწევა ძალზედ გართულდება ამ პროცესში საზოგადოების ჩართვის გარეშე. კორუფციის შემცირების პროცესი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული არა მარტო მატერიალური პრობლემების მოგვარებასთან, არამედ შესაბამისი ეთიკური ნორმების დამკვიდრებასთან, მმართველობისა და ადმინისტრირების ფარგლებში ზნეობრივი და მორალური



პრინციპების დაფუძნებასთან. 1995 წელს მოლანის კომისიის (დიდი ბრიტანეთი) მიერ შემუშავებულ იქნა 7 პრინციპი, რომელიც ხელს შეუწყობდა კორუფციის აღმოფხვრასა და ძლიერი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას: 1. უანგარობა (გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ საზოგადოებრივი და არა პირადი ან მეგობრების ინტერესებიდან გამომდინარე); 2. მოუსყიდველობა; 3. ობიექტურობა (თანამდებობებზე დანიშვნის, კონტრაქტებისა ან ჯილდოების გაცემისას პირების წარდგენის პროცესში); 4. ანგარიშვალდებულება (თანამდებობის პირები ანგარიშვალდებულნი არიან საზოგადოების წინაშე, მზად უნდა იყვნენ საფუძვლიანი შემოწმებისათვის); 5. ღიაობა (გადაწყვეტილებათა ღიად მიღება, საკუთარი გადაწყვეტილების მიღების მართებულობის დასაბუთება); 6. პატიოსნება (მიღებული შემოსავლების გამოქვეყნება); 7. ხელმძღვანელობა (ამ პრინციპების პროპაგანდა და განხორციელება პირადი მაგალითის მითითებით) (ვ. შუბითიძე, ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 143-144).

ძლიერი ხელი თუ ძლიერი სახელმწიფო? კორუფციის აღკვეთა საჭიროა, მაგრამ რა გზით? აქ საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების გატარება:

- ძლიერი სახელმწიფო ინსტიტუტების არსებობა;
- ეკონომიკაში სახელმწიფოს მინიმალური ჩარევა;
- ქმედუნარიანი ანტიკორუფციული სამსახური და პოლიტიკური ნება;
- სამართალდამცავი ორგანოების გააქტიურება;
- სამოქალაქო საზოგადოების განვითარება;
- დემოკრატიული მექანიზმების გამოყენება, მათი ფართოდ დანერგვა;
- სწრაფი ეკონომიკური ზრდა, ხელფასების მომატება;
- დაუსჯელობის სინდრომის დაძლევა;
- სრული გამჭვირვალობა და საჯაროობა;
- სამეწარმეო გარემოს შემდგომი ლიბერალიზაცია;
- მკაცრი კონტროლის დამყარება ფისკალურ სფეროში, აღრიცხვასა და სტანდარტიზაცია-სერტიფიცირებაში;
- სახელმწიფო სახსრების მკაცრი კონტროლი, საბიუჯეტო პროცესის სრულყოფა;
- სწორი, ობიექტური და უანგარო საკადრო პოლიტიკის წარმოება;
- სახელმწიფოს მიერ რეგისტრირებულ უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდების გამჭვირვალე და სამართლიანი სისტემის შექმნა;
- საზოგადოების და განსაკუთრებით მესამე სექტორის (თავისუფალი მასმედია და სამოქალაქო საზოგადოება) გააქტიურება კორუფციის დაძლევის საქმეში და ა.შ.

### კლიენტელიზმი და ინსტიტუციონალიზმი

რა არის კლიენტელიზმი? კლიენტელიზმი წარმოადგენს სოციალურ და პოლიტიკურ ფენომენთა ერთობლიობას, რომელიც პატრონსა და კლიენტს შორის

არასიმეტრიული ურთიერთობების ფორმის მქონე ორმხრივი გაცვლის მექანიზმებს ეფუძნება.

ეს მოვლენა ძირითადად სუსტად ინსტიტუციონალიზებულ საზოგადოებას უკავშირდება და შესაბამისად, თვით ინსტიტუციონალიზმის მთავარ არსს უპირისპირდება (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. 145).

კლიენტელიზმი, თავისი კლასიკური სახით თავს იჩენს ძველ რომში, სწორედ აქედან წარმოდგება თვით ეს ტერმინიც. რესპუბლიკური (დემოკრატიული) სისტემის არსებობის ბოლო ეტაპზე, ხოლო შემდგომში უკვე რომის იმპერიის ეპოქაში, ჩამოყალიბებულ იქნა მოქალაქეობის უფლების მქონე დეკლასირებული ელემენტებისაგან შემდგარი სოციალური ფენა. ამ ადამიანებს საარჩევნო ხმის უფლების გარდა სხვა მოქალაქეობრივი უფლებები ფაქტიურად წართმეული ჰქონდათ, ამიტომაც, მათ კლიენტელიზმის ფაქტორი უკანასკნელი არსებობის ერთადერთ წყაროდ აქციეს.

შექმნილი ვითარებით კარგად ისარგებლა რომაულმა არისტოკრაციამ და პლუტოკრაციამ და მათი ძალისხმევის შედეგად, საფუძველი დაედო მოქალაქე-ამომრჩევლებთან მასობრივი გარიგებების დადებისა და მათი მასობრივი მოსყიდვის პროცესს. მიზერული კომპენსაციის (ყოველდღიური სადილები, გართობა, იაფფასიანი საჩუქრები) სანაცვლოდ, რომის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებმა მიიღეს საარჩევნო ხმების გარანტირებული მინიმუმი, რაც მათ სახელმწიფოს არჩევითი თანამდებობების დაკავების საშუალებას აძლევდა. კლიენტელიზმი მხოლოდ ეკონომიკურ საფუძველს არ ემყარებოდა. პოლიტიკური ანარქია, იმპერიის სხვადასხვა რეგიონში სიტუაციის დესტაბილიზაცია და მმართველ ძალებში არსებულ სხვადასხვა დაჯგუფებებს შორის არსებული კონფლიქტი, სხვადასხვა სოციალურ საფეხურზე მყოფ მოქალაქეებს აიძულებდა, ეძებნათ ძლიერი მფარველი. ამრიგად, ადგილი ჰქონდა ორმხრივ დაინტერესებას – პოტენციური კლიენტი ეძებდა დამცველს, ხოლო პოტენციური პატრონი კლიენტთა მასას, რომელიც, საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თავისი პოლიტიკური მიზნების განხორციელების გზაზე პატრონის მიერ ყოფილიყო გამოყენებული.

“კლიენტელიზმის დევიზია, დამოკიდებულება და სოლიდარობა” (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. 145).

შემდგომ საზოგადოებრივ - ეკონომიკურ ფორმაციაზე, ფეოდალიზმზე გადასვლის შედეგად, მოხდა პატრონ-კლიენტური ურთიერთობების ინსტიტუციონალიზირება. ფეოდალური ვასალიტეტი სწორედ კლიენტელიზმის ძირითად პრინციპებს ეფუძნებოდა.

რამდენიმე საუკუნის შემდეგ, საგანმანათლებლო და სამეცნიერო-ტექნიკური რევოლუციის პირობებში, დასავლური, ქალაქ-ბურჟუაზიული დემოკრატიის წარმოშობამ დასაბამი მისცა კლიენტელური ურთიერთობების ახალი ფორმის დამკვიდრებას. ასპარეზზე გამოჩნდა კოლექტიური პატრონი (ქალაქის ადმინისტრაცია, ამქარი და ა.შ.) და კოლექტიური კლიენტი (მოქალაქეები, ხელოსნები და სხვ).

ამავე დროს, ბურჟუაზიული ურთიერთობების დამკვიდრებისა და გაძლიერების პირობებში კლიენტელურ ურთიერთობებს ნაკლებად მნიშვნელოვანი როლი ენიჭებოდა. ევროპაში მიმდინარე დემოკრატიულმა პროცესებმა და სამართლებრივი სახელმწიფოების წარმოშობამ მნიშვნელოვანი პოზიტიური როლი შეასრულეს საზოგადოებრივ ცხოვრებაში აღნიშნულ ურთიერთობათა გავლენის შემცირების საქმეში.

დღევანდელ ეტაპზე, დემოკრატიულ საზოგადოებაში მყოფი თანამედროვე, ინსტიტუციონალიზებული, სამართლებრივი სახელმწიფო თავის თავზე იღებს მოქალაქეთათვის იმ მფარველობით ფუნქციებს, რომლებიც კლიენტელურ ურთიერთობათა პირობებში პატრონებს ეკისრებოდათ. ამასთან დაკავშირებით შესაძლებელია აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე თვით სახელმწიფო გვევლინება პატრონის როლში, ხოლო ქვეყნის მოქალაქენი, სახელმწიფოს წინაშე თავისი უფლებებითა და მოვალეობებით, კოლექტიურ კლიენტს წარმოადგენენ. გაჩნდა იმის იმედი, რომ კლიენტელური ურთიერთობები საბოლოოდ ამოწურავდა თავის თავსა და შესაძლებლობებს.

თუმცა, კონკრეტული ფაქტები ადასტურებს, რომ საზოგადოებრივი პროგრესის მიუხედავად, კლიენტელიზმი არც დემოკრატიულ ქვეყნებშია საბოლოოდ აღმოფხვრილი. დღეს უკვე გაქრა იმის ილუზია, რომ XX საუკუნის ინდუსტრიული საზოგადოება ვერ მიიღებდა კლიენტელიზმის გარკვეულ ფორმებს.

მოხდა პრიმიტიული “ბოსიზმის” გადაზრდა ლობიზმში, ანუ ძველი დროის საკრალური კლიენტელური ურთიერთობები შეიცვალა ახალი დროის, მატერიალიზებული და ფორმალისტული კლიენტელური ურთიერთობებით, ანუ სახელმწიფოებრივ დონეზე ასული კლიენტელური ურთიერთობებით.

რიგ შემთხვევებში თანამედროვე ბიუროკრატია, რომელიც სახელმწიფო კლიენტელიზმის უმთავრეს საყრდენს წარმოადგენს, დღესაც აყალიბებს მეორად კლანებს, რომელთა საფუძველშიც მოიაზრება არა “ოჯახისადმი” გენეტიკური კუთვნილებაა, არამედ პატრონისადმი ნებაყოფლობითი მორჩილება. ფაქტია, რომ თანამედროვე სახით წარმოდგენილი კლიენტელიზმი ბიუროკრატიის შემადგენელი

ნაწილია და არსებობას განაგრძობს როგორც განვითარებად, ასევე განვითარებულ ქვეყნებშიც.

კლიენტელური ურთიერთობების ფორმებია:

1. ადგილობრივი, პიროვნებათშორისი;
2. პატრონი, შუამავალი-კლიენტი;
3. ორგანიზაციული შუამავლობა (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. 146).

თანამედროვე კლიენტელური ურთიერთობები არ შეიძლება წარსულის უბრალო გადმონაშთად იქნეს მიჩნეული. ტერმინი “ნეოპატრიმონიალიზმი”, რომელიც უ.ფ. მედარმა პირველად უგანდაში გაკეთებული მოხსენების დროს დააფიქსირა და შემდეგ აფრიკის მთელი კონტინენტის საზოგადოებრივ ურთიერთობათა დამახასიათებელ მოვლენად მიიჩნია, მომდინარეობს არა მარტო ტრადიციებიდან, არამედ ახალი რეალობიდანაც (ე.ი. გარკვეულწილად ჰიბრიდულია). ამავე დროს, ეს არ გახლავთ მხოლოდ აფრიკისადმი დამახასიათებელი მოვლენა და იგი მეტნაკლებად მთელ მსოფლიოშია გავრცელებული სამივე ზემოაღნიშნული ფორმით.

*კლიენტელიზმის საფუძველი.* თანამედროვე კლიენტელიზმის გავრცელების ძირითად მიზეზს რესურსების სიმცირე (ისევე, როგორც რომში) და სახელმწიფო აპარატის ხელში მათი კონცენტრაცია წარმოადგენს. არასაკმარისი სუბსიდიების განაწილების საკითხი თანამედროვე ბიუროკრატის მიერ ისევე მტკივნეულად აღიქმება, როგორც ანტიკური პერიოდის რომის სოციალურად, ეკონომიკურად და ფიზიკურად დაუცველი მოქალაქის მიერ. ამავე დროს, კლიენტელიზმი არა მარტო აუცილებელი და სასურველი რესურსების, არამედ ნდობის მონოპოლიასაც წარმოადგენს.

რიგ შემთხვევებში, კლიენტელური ურთიერთობები შედარებით ამცირებს სოციალურ წინააღმდეგობებს და ხელს უშლის საზოგადოების მეტისმეტად მარგინალიზებას. სახეზეა “ზედმეტი მოსახლეობის” რაოდენობის ნაწილობრივი შემცირება. თანამედროვე საზოგადოებაშიც კი შენარჩუნებულია სამსახურში აყვანის პატრიარქალური წესი (ნაცნობობით მიღება), რომელიც თანამედროვე დემოკრატიული სამყაროსათვისაც კი დამახასიათებელ მოვლენას წარმოადგენს.

კლიენტელიზმის ამ “დადებითი” სოციალური ასპექტის არსებობა სრულებითაც არ მიაჩნიათ საზოგადოებრივ დაზავებას დაპირისპირებულ სოციალურ ფენებს შორის, ვინაიდან არ მცირდება საზოგადოებისათვის დამახასიათებელი მარადიული შიდადაპირისპირება ფორმულით: “ყველას ომი ყველას წინააღმდეგ” (ჰობსისეული განმარტებით). ამავე დროს, კლიენტელიზმში დესპოტიზმის ნიშნებიც შეიმჩნევა. მაგალითისათვის შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს “ტრადიციული” ქართული საოჯახო კლანების იერარქიული, ე.წ. “დონების” სისტემა, სადაც საზოგადოებრივ

ასპარეზზე (ბიზნესი, პოლიტიკა, მეცნიერება და სხვ.) შედარებით წარმატებული პირი ფაქტობრივად გავლენას ამყარებს და მართავს თავის, სოციალურ კიბეზე უფრო დაბლა მდგომ, შედარებით “უიღბლო” ნათესავთა საქმიანობას. მსგავსი ტიპის “მფარველობა” უმეტეს შემთხვევებში საკმაოდ ავტოკრატიული მეთოდებით ხორციელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კლიენტელიზმი საფუძველშივე არაჰუმანურ მოვლენას წარმოადგენს.

მეორე პრობლემას, რასაც ნათესაური, “ნეპოტისტური” მიმართულების კლიენტელიზმი ქმნის, წარმოადგენს “უცხოთა” (არანათესავთა) დისკრიმინაცია გლობალურ (მაგ: ბიზნესი, პოლიტიკა და სხვ.) საკითხებშიც და ყოველდღიურ ცხოვრებისეულ წვრილმანებშიც (მაგ: სამსახურში მიღება ნათესაური და მეგობრული პრინციპის მიხედვით).

კლიენტელიზმის უმთავრეს შედეგს კორუფცია წარმოადგენს. რუსეთის იმპერიის მიერ საქართველოს დამპყრობის დროისათვის (1801 წ.) ქართული საზოგადოებისათვის ჯერ კიდევ შუასაუკუნეობრივი მენტალიტეტი იყო დამახასიათებელი, რამაც ცარისტული რუსეთის მმართველობის პერიოდში კიდევ უფრო ნათლად იჩინა თავი. ქართველ თერგდალეულთა მცდელობას, პოლიტიკურად დაქუცმაცებულ და ეკონომიკურად მოშლილ ქვეყანაში ევროპული აზროვნების წესი დაემკვიდრებინათ, შესაბამისი პოზიტიური ცვლილება არ მოუხდენია. უცხო ქვეყნის ადმინისტრირების სისტემის ძალდატანებითმა დამკვიდრებამ და ტრადიციული სამართლებრივი ინსტიტუტის გაუქმებამ საზოგადოებრივი ნიჰილიზმის წარმოშობა-გაძლიერებას შეუწყო ხელი, რასაც ხელს უწყობდა თვით რუსული საზოგადოების მხრიდან არსებული ტოტალური უნდობლობა საკუთარი სახელმწიფოებრიობის მიმართ.

ბიუროკრატიული აპარატის გაძლიერებამ, საზოგადოებრივი ნდობის შემცირების ფონზე, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა კლიენტელური ურთიერთობების გაძლიერებაზე. საქართველოში ამ ტენდენციამ თავი უკვე XIX საუკუნის ბოლოდან იჩინა და განსაკუთრებით გაძლიერდა კომუნისტური მმართველობის პერიოდში, როდესაც ყოფილ საბჭოთა კავშირში ჩამოყალიბებულ იქნა დატაცების იერარქიული სისტემა და გაძლიერდა შუამავლობის ინსტიტუტი (ე.წ. “მოლარეები”). საბჭოთა სისტემის კლიენტელიზმისათვის მთავარი იყო არა პიროვნული თვისებები და ინტელექტუალური შესაძლებლობები, არამედ პარტიული ნომენკლატურის წევრობა.

იმის მიუხედავად, რომ გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში საქართველომ შეძლო თაობათა ნანატრი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღდგენა, პირველ ეტაპზე, პოლიტიკური და ეკონომიკური არასტაბილურობის პირობებში,

საზოგადოება მეტად უკმაყოფილო გახლდათ, რადგან ვერ იქნა შესაბამისად ჩამოყალიბებული პოლიტიკური ინსტიტუტები.

საქართველოში, დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში საკმაოდ მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ ჩვენ დიდად ჩამოვრჩებოდით იმ “დასავლეთს”, რომლის განუყოფელ და ორგანულ ნაწილადაც მიგვაჩნდა თავი. ნათელი გახდა, რომ სახელმწიფოებრიობა სტატიკური მდგომარეობა, ან მით უფრო, ერთჯერადი აქტი არ არის და მოსახლეობის სასიცოცხლო ინტერესების დაკმაყოფილების მიზნით, აუცილებელია შესაბამისი სახელმწიფოებრივი აზროვნება. საბოლოოდ დადასტურდა, რომ დემოკრატიულ და ლიბერალურ ღირებულებებზე ორიენტირებულ საზოგადოებად ტრანსფორმაციის (გადასვლის) პირველი პერიოდი პოსტკომუნისტური საზოგადოებისათვის მეტად გაძნელდა.

ხშირ შემთხვევაში, ერთადერთი გზა, რომლის საშუალებითაც მოსახლეობას ქვეყანაში მიმდინარე პროცესებისადმი თავისი უარყოფითი დამოკიდებულება შეექმლო გამოეხატა, კანონთა უპატივცემულობა წარმოადგენდა, ანუ კანონიერებისადმი გვერდის ავლა. საქართველოში თავი იჩინა ანთროპოლოგიურმა კრიზისმა (მერაბ მამარდაშვილისეული განსაზღვრება). საქართველოს მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ბოლომდე ვერ აცნობიერებდა ქართული სახელმწიფოებრიობის მნიშვნელობას. ამავე დროს, რიგითი მოქალაქე ცდილობდა, ინდივიდუალურად გამოენახა საერთო ენა ნომენკლატურული ელიტის ცალკეულ წარმომადგენლებთან და ამ გზით მიაღწია თუნდაც მიზერული უზრუნველყოფის დონეს. სწორედ ამ გარემოებით უნდა აიხსნას სოციალური ენერჯის ეკონომიკურობა და გარკვეულ ეტაპამდე ძლიერი სოციალური კატაკლიზმების (ამბოხება, რევოლუცია) არარსებობა მძიმე სოციალ-ეკონომიკური კრიზისის პირობებში. ამ შემთხვევაში კლიენტელური ურთიერთობები სოციალური სტაბილურობის გარანტიად გვევლინება. 1995 წლიდან, როდესაც ძირითადი შეიარაღებული დაჯგუფებები (“მხედრიონი” და ა.შ.) განადგურებულ იქნა, იმდროინდელი პოლიტიკური და ეკონომიკური ნომენკლატურა სრულად დაეუფლა სიტუაციას და ეკონომიკური პროცესები კლიენტელურ ურთიერთობათა ფონზე მიმდინარეობდა. სწორედ ამ ურთიერთობათა ფარგლებში (ე.წ. “კრიშების” სისტემა, ანუ “ქოლგები”) მიმდინარეობდა იმ პერიოდის საქართველოში “სამეწარმეო” საქმიანობა. კლიენტელური ურთიერთობები აღწევს არა მარტო სოციალურ ურთიერთობებში, არამედ ეკონომიკის სისტემაშიც. საშუალო და მსხვილი ბიზნესის ბევრმა წარმომადგენელმა უკვე აქტიურად დაიწყო პოლიტიკაში ჩარევა, რათა ბიუროკრატიასთან ბრძოლის ფარგლებში შეძლებოდა არა მარტო ეკონომიკური, არამედ პოლიტიკური ინტერესების დაცვა. ამიტომაც, არ არის გასაკვირი ის ფაქტი, რომ ქართველ ნუვორიშთა აბსოლუტურ უმრავლესობას პოლიტიკური ელიტისა და სახელმწიფო აპარატის ფუნქციონერები (ბიუროკრატია) წარმოადგენდნენ. აღნიშნული კორუმპირებული ურთიერთობები კი კიდევ უფრო

ზრდიდნენ ერთი პიროვნების მეორეზე დამოკიდებულებასა და მფარველობის ხარისხს.

*ტრაიბალიზმი და ნეპოტიზმი.* ტრაიბალიზმი და ნეპოტიზმი პატრიმონულ ურთიერთობის სახეობებია და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (განსაკუთრებით ცენტრალური აზიის ქვეყნებში) პოლიტიკური ელიტის ქცევათა ნორმების განუყოფელ ნაწილს შეადგენს.

ტრაიბალიზმი გამოიხატება კუთხურობაში და საკვანძო სახელმწიფო თანამდებობაზე ლიდერის (პრეზიდენტის) კუთხის წარმომადგენელთა დანიშვნაში. ნეპოტიზმი გამოიხატება ლიდერის (მმართველის) უახლოესი ნათესაობის დანიშვნაში მაღალ თანამდებობებზე, რაც ასევე საგრძნობი იყო გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოსათვის, განსაკუთრებით რეგიონალურ დონეზე.

გარეგნული ძლიერების მიუხედავად, მცირდება პოლიტიკურ ლიდერთა შანსი, თავისი კონტროლი დაამყარონ კლანურ დაჯგუფებებზე. პოლიტიკური ლიდერები არათუ ძველებურად ვეღარ მართავენ კადრებს, არამედ ამ კადრებზე (ბიუროკრატიულ კლანებზე) ხდებიან დამოკიდებულნი. ამავდროულად, კლიენტის მოთხოვნათა დაკმაყოფილების აუცილებელ წინაპირობად პატრონის თანამდებობრივი დაწინაურება ხდება. ასეთი მაგნე პროცესების განვითარების შედეგად, ყალიბდება ორმხრივი დაინტერესების საფუძველზე წარმოქმნილი ურთიერთობის ფორმა – კლიენტელიზმი, მისი კლასიკური ფორმით.

ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით კი შეიძლება ითქვას, რომ ფორმალური ინსტიტუტებისა და საკანონმდებლო ბაზის დომინირების ნაცვლად, ქცევის ნორმათა განმსაზღვრელი ხდება არაფორმალურ ურთიერთობათა ჩამოყალიბებული სისტემა და მისი უძლიერესი მექანიზმი – კორუფცია. სწორედ კორუფციის აღმოსაფხვრელადაა მიმართული კლიენტელიზმის წინააღმდეგ შედეგიანი ბრძოლა.

**თავი 25. პოლიტიკური ხელისუფლების საფუძველები, სტრუქტურა, რესურსები და ტიპები**

*ხელისუფლების საფუძველი* – ეს გახლავთ მისი ბაზა, ძალაუფლების განხორციელების ბერკეტები, რომელსაც დასახული მიზნების განხორციელების მიზნით ეყრდნობიან ხელისუფლების სუბიექტები მის ობიექტებზე ზემოქმედების მოსახდენად.

*ხელისუფლების რესურსები* - ეს გახლავთ რეალური და პოტენციური საშუალებები, რომლებიც გამოიყენება ან შესაძლებელია გამოყენებულ იქნენ ძალაუფლების განმტკიცებისა და მისი რეალიზაციის ფარგლებში.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ხელისუფლების საფუძველი - ეს გახლავთ მისი ფუნდამენტი, ხოლო ხელისუფლების რესურსები - მისი პოტენციალი და ტექნოლოგია.

ხელისუფლების რესურსებისა და საფუძვლების ერთობლიობა გვაძლევს წარმოდგენას ხელისუფლების პოტენციალზე. ხელისუფლების იმ საფუძვლების დადგენა, რომელიც კონკრეტული ხელისუფლების სუბიექტს გააჩნია და მეორეს მხრივ სახელისუფლებო ნების საწინააღმდეგოდ მოქმედი რესურსების პოტენციალი, რომელიც ობიექტის მხრიდან მომდინარეობს, გვაძლევს საშუალებას შევაფასოთ ხელისუფლების ძალა.

პოლიტიკურ მეცნიერებაში ხელისუფლების საფუძვლებისა და რესურსების განსხვავებული ტიპოლოგიები არსებობს. განვიხილოთ ხელისუფლების საფუძვლებისა და რესურსების ტიპოლოგია საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის სფეროების მიხედვით.

*ეკონომიკური საფუძვლები* ხასიათდება გაბატონებული საკუთრების ფორმისა და ერთ სულ მოსახლეზე ერთობლივი შიდა პროდუქტის მოცულობის, წარმოების სტრუქტურის (სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო, ასევე მომსახურებისა და სახელმწიფო სექტორის თანაფარდობა და ა.შ.), სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბუნებრივი რესურსების, ოქროს რესურსების, წარმოების ტექნოლოგიური დონის მიხედვით. შესაბამისად, ეკონომიკურ რესურსებს წარმოადგენენ საინვესტიციო, სამეცნიერო-ტექნიკური, საგადასახადო, საბაჟო პოლიტიკა, ასევე კაპიტალი, საქონელი და სხვა მატერიალური ღირებულებანი.

*სოციალური საფუძვლები* - ეს გახლავთ ის ხელისუფლების სოციალური ბაზა, ის სოციალური ჯგუფები და ფენები, რომლებსაც ეყრდნობა ხელისუფლება, ამ ჯგუფებისა და ფენების კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც განისაზღვრება ქვეყნის საზოგადოებრივი წყობილებით, მისი პოლიტიკური და კულტურული-ისტორიული ტრადიციებით, სამეცნიერო-ტექნიკური განვითარების დონით და ა.შ. სოციალური რესურსები - ეს არის სოციალური ბაზის გაფართოების საშუალებები, ხელისუფლების მიერ გატარებული ის ღონისძიებები, რომლებიც მიმართულია სოციალური ჯგუფებისა და ფენების ინტერესთა დაცვაზე, მათი სოციალური სტატუსის შენარჩუნებაზე. აგრეთვე, სოციალური რესურსები მოიცავს სახელმწიფოს სოციალური პოლიტიკის მთელ კომპლექსს. სოციალური რესურსები ნაწილობრივ თანხვედრაშია ეკონომიკურ რესურსებთან, რადგან ისინი დაკავშირებული არიან მატერიალურ კეთილდღეობასთან, მაღალ შემოსავალსა და სიმდიდრეზე. ამავე დროს, სოციალური რესურსი დაკავშირებულია თანამდებობებთან, პრესტიჟთან, განათლების სხვადასხვა ფორმებთან და ღონეებთან მისაწვდომობაათან, სამედიცინო და სოციალურ მომსახურებასთან და ა.შ.



*იურიდიული საფუძვლები* – ეს გახლავთ კანონმდებლობა, ასევე იმ ინსტიტუტებისა და ორგანიზაციების ერთობლიობა, რომლებიც უზრუნველყოფენ სამართლებრივი ნორმების ცხოვრებაში გატარებას. იურიდიულ რესურსებს შესაძლოა მივაკუთვნოთ სხვადასხვა სახის ინსტრუქციები და უწყებრივი დოკუმენტები.

*ადმინისტრაციულ-მბრძანებლური საფუძვლები* - ეს გახლავთ სახელისუფლებო დაწესებულებების ერთობლიობა, რომლებიც სახელმწიფოსა და მისი აპარატის სიცოცხლისუნარიანობის მნიშვნელოვან ფუნქციებს განსაზღვრავს. აქ მოიაზრებიან საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სტრუქტურები, ასევე უსაფრთხოების, დაზვერვის და შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოები. შესაბამისად, ადმინისტრაციულ-ძალოვან რესურსებს წარმოადგენენ: სახელმწიფო კადრების დაკომპლექტების სისტემა, სადაც საჯარო სექტორში მომუშავე ადამიანები ფლობენ განსაკუთრებულ პროფესიონალურ თვისებებს, აგრეთვე, ამავე რესურსში უნდა მოვიაზროთ სახელისუფლებო დაწესებულებების შესაბამისი სპეციალური ტექნიკითა და აღჭურვილ უზრუნველყოფა და ა.შ.

*კულტურულ-ადმინისტრაციული (საინფორმაციო) საფუძვლები* - ეს გახლავთ იმ ორგანიზაციათა სისტემა, რომელიც ქვეყნის კულტურული პოტენციალის კონცენტრაციას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, სადაზვერვო ინფორმაციის დამუშავებისა და მოპოვების სისტემის, საერთაშორისო და ეროვნული კომპიუტერული ქსელების ფორმირებას და სხვ. ახორციელებს. შესაბამისად, კულტურულ-საინფორმაციო რესურსებს შესაძლოა მივაკუთვნოთ: ეროვნულ-კულტურული მონაპოვრის დაცვისა და აღრიცხვის სისტემა, სტრატეგიული მნიშვნელობის ინფორმაციის მოპოვებისა და დამუშავების მეთოდები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მუშაობის პრინციპები და მეთოდები, რომლებიც უზრუნველყოფენ საზოგადოებისათვის ობიექტური, სხვადასხვა თვალსაზრისის მქონე ინფორმაციის მიწოდებას.

სხვადასხვა საზოგადოებრივ სისტემებში, ისტორიული განვითარების სხვადასხვა ეტაპებზე შესაძლებელია სახელისუფლებო რესურსების გარკვეული შეცვლა და ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე მათი ძირითადი პრინციპების ხელახალი განსაზღვრა. თანამედროვე ეტაპზე, პოსტ-ინდუსტრიულ ქვეყნებში, სხვადასხვა ექსპერტები თუ პოლიტოლოგები დიდ ყურადღებას ამახვილებენ კულტურულ-საინფორმაციო საფუძვლებისა და რესურსების გაზრდილ როლზე.

სახელისუფლების რესურსები ქვეყნის მთავარ საფუძველს წარმოადგენენ და შესაბამისად, როგორც წესი, რესურსები ხელისუფლების ფუნქციონირებისა და მისი განმტკიცებისკენაა მიმართული.

ხელისუფლების რესურსები სხვადასხვაგვარია, ისევე როგორც მრავალფეროვანია სხვადასხვა მოქალაქეთა მოთხოვნილებათა და ინტერესთა დაკმაყოფილების საშუალებები. არსებობს რესურსთა განსაზღვრის რამდენიმე კლასიფიკაცია: ასე, პოლიტოლოგ ა. ეტციონის აზრით, ისინი იყოფიან უტილიტარულ, იძულებითი და ნორმატიულ რესურსებად (Пугачев В.П. Соловьев А.И. 1997).

*უტილიტარული რესურსები* - ეს არის ის მატერიალური და სხვა სოციალური კეთილდღეობები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხთა ყოველდღიურ ინტერესებთან. მათი მეშვეობით, ხელისუფლების შესაბამის ინსტიტუტებს შეუძლიათ ფინანსური ზემოქმედება მოახდინონ მოსახლეობის ფართო ფენებზე. აღნიშნული რესურსები გამოიყენება როგორც წახალისებისათვის (საჯარო სექტორში ხელფასის მატება, პრემიების გაცემა და ა.შ.), ასევე დასჯისათვის (მაგალითად, არაკეთილსინდისიერი თანამშრომლებისათვის ხელფასის დაქვითვა და ა.შ.).

*იძულებითი რესურსების* რანგში საუბარია ადმინისტრაციული დასჯის მეთოდებზე, რომლებიც გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც ვერ მუშაობს უტილიტარული რესურსები. ასე მაგალითად, გაფიცვის იმ მონაწილეთა სამართლებრივი დევნა, რომლებიც არ შეუშინდნენ ეკონომიკურ სანქციებს.

*ნორმატიული რესურსები* მოიცავენ იმ ზემოქმედების საშუალებებს, რომლებიც დაკავშირებულია ადამიანის ფასეულობით ორიენტაციასა და ქცევის ნორმების განსაზღვრასთან. ისინი მოწოდებული არიან დაარწმუნონ ქვეშევრდომები ხელმძღვანელთა და შემსრულებელთა ინტერესთა ერთობაში, ხელისუფლების სუბიექტთა ქმედებათა გამართლებაში და ა.შ.

ხელისუფლების სხვადასხვა ტიპების გამოსაყოფად ფართოდაა გავრცელებული მისი რესურსების კლასიფიკაცია სიცოცხლისუნარიანობის ფართო სფეროების შესაბამისად. მეცნიერები გამოყოფენ ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ-საინფორმაციო და იძულებით (ძალოვან) რესურსებს.

*ეკონომიკური რესურსები* - წარმოადგენენ იმ მატერიალურ ფასეულობებს, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი დოვლათის შექმნისა და პიროვნული წარმოებისა და მოხმარებისათვის, აქვე აუცილებლად მოიაზრება ფული, როგორც გაცვლის საყოველთაო ეკვივალენტი, ტექნიკა, სასოფლო-სამეურნეო მიწები, სასარგებლო წიაღირსეული.

*სოციალური რესურსები* - ეს გახლავთ მოქალაქის შესაძლებლობა, დაიმკვიდროს თავისი თავისი სოციალური სტატუსი თუ რანგი, ადგილი სოციალურ იერარქიაში. აღნიშნულ რესურსებს ნაწილობრივ თანხვედრა გააჩნიათ ეკონომიკურ რესურსებთან. ასე მაგალითად, შემოსავალი და სიმდიდრე, წარმოადგენს რა ეკონომიკურ რესურსს, ამავე დროს იგი ხშირ შემთხვევაში სოციალურ სტატუსსაც

განსაზღვრავს. ასევე, სოციალური რესურსები შეიცავენ ისეთ მაჩვენებლებს, როგორებიცაა თანამდებობა, პრესტიჟი, განათლება, სამედიცინო მომსახურება, სოციალური უზრუნველყოფა და ა.შ.

*კულტურულ-საინფორმაციო რესურსები* – ცოდნა და ინფორმაცია, ასევე მისი მიღებისა და გაგრძელების საშუალებები: სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინსტიტუტები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ა.შ.

საზოგადოების განვითარების პერიოდში ხელისუფლების ისეთი ტრადიციული რესურსები, როგორიცაა ძალა და სიმდიდრე, თანდათან კარგავს თავის გავლენას, თუმცა არ ხდება მისი ბოლომდე გაქრობა. ცივილიზებულ გარემოში რეალურ ძალაუფლებას კი ცოდნა და ინფორმაციის ფლობა მოიპოვებს. რასაკვირველია, ბევრ ქვეყანაში ცოდნასა და ინფორმაციას ჯერ კიდევ არ გააჩნია პრიორიტეტი ეკონომიკური და ძალოვანი რესურსების წინაშე. ამავე დროს, თანამედროვე მსოფლიოში ძალზედ ნათლად გამოიკვეთება კულტურულ-საინფორმაციო რესურსების, როგორც ხელისუფლების წყაროს, მნიშვნელობის ზრდის ტენდენცია.

*ძალოვანი რესურსები* – წარმოადგენენ სამართლებრივ (რიგ შემთხვევაში ფიზიკური) ზემოქმედების ინსტიტუტებს და სპეციალურად ამ პროცესისათვის მომზადებულ ხალხს. სახელმწიფოში მის ბირთვს წარმოადგენენ არმია, პოლიცია, უსაფრთხოების სამსახური, სასამართლო, პროკურატურა. აღნიშნული რესურსები მოიცავს მატერიალურ ატრიბუტებსაც: შენობები, ტექნიკა და აღჭურვილობა, სასჯელაღსრულების დაწესებულებებს და ა.შ. რესურსების ეს სახეობა ტრადიციულად ითვლება ძალაუფლების ყველაზე მნიშვნელოვან წყაროდ, ვინაიდან მათ გამოყენებას შეუძლია ქვეყანაში მართლწესრიგისა და სტაბილურობის უზრუნველყოფა (თუმცა ავტორიტარული რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში რიგ შემთხვევებში საპირისპირო მოვლენასთან გვაქვს საქმე).

ხელისუფლების სხვადასხვა რესურსი მისი სუბიექტების მიერ ჩვეულებრივ ერთიან კომპლექსში გამოიყენება, ამ სუბიექტთა შორის პირველ რიგში სახელმწიფო მოიაზრება, რომელიც მეტნაკლებად ფლობს რესურსების ყველა სახეობას.

ხელისუფლების სპეციფიურ რესურსს წარმოადგენს თვით ადამიანი. ქვეყნის მოქალაქეები წარმოადგენენ იმ უნივერსალურ, მრავალფუნქციურ რესურსს, რომელიც თავის მხრივ სხვა რესურსებს აწარმოებს.

ადამიანი, ეს არის მატერიალური კეთილდღეობის შემქმნელი (ეკონომიკური რესურსები), ჯარისკაცი და პარტიის წევრი (პოლიტიკურ-ძალოვანი რესურსები), ცოდნისა და ინფორმაციის მფლობელი და გამავრცელებელი (კულტურულ-საინფორმაციო რესურსები) და ა.შ. ამ შემთხვევაში პიროვნება ხელისუფლების ერთ-

ერთ რესურსად გვევლინება, იგი არის არა მხოლოდ ხელისუფლების რესურსი, არამედ მისი სუბიექტიც და ობიექტიც.

## თავი 26. პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობა და მისი სტრუქტურა

ლეგიტიმურობის ქვეშ საზოგადოების მხრიდან კონკრეტული ხელისუფლების აღიარების დონე და ხარისხი მოიაზრება. ვიწრო გაგებით, ლეგიტიმურობა ხშირ შემთხვევაში ხელისუფლების კანონიერებას ითვალისწინებს. ფართო გაგებით – ხელისუფლების შესაბამისობას კანონით დაწესებულ ნორმებთან, ასევე, ამ პრინციპის ქვეშ სახელმწიფოს ფუნდამენტალური მიზნები და საერთოაღიარებული ღირებულებებია გათვალისწინებული.

ლეგიტიმურობა შესაძლოა გაგებულ იქნეს როგორც საზოგადოების უმრავლესობის მიერ მმართველობის კონკრეტული ფორმის მიღება, ამა თუ იმ სოციალური კლასის ძალაუფლება, ამა თუ იმ პოლიტიკური პარტიის ჰეგემონია და ა.შ. ასეთ შემთხვევაში ლეგიტიმურობა საზოგადოებაში დომინირებადი ტრადიციების, ნორმების, ერთიანი საერთო ინტერესებისა და ფასეულობების ერთგვაროვნების დამკვიდრებაში ვლინდება. მაგრამ, ყველაზე უფრო ხშირად ლეგიტიმურობა წარმოადგენს ბრძოლის იმ მეთოდს (პოლიტიკური, იდეოლოგიური), რომელიც გარკვეული პოლიტიკური ძალების გაბატონების მიზნით, ამ ძალების ხელისუფლებაში ყოფნის გამართლების სპეციალური მეთოდის შემუშავებას ითვალისწინებს.

ტერმინი “ლეგიტიმურობა”, სამეფო ხელისუფლების კანონიერი უფლებების აღდგენისათვის ბრძოლის პირობებში ჯერ კიდევ XIX ს. საფრანგეთში წარმოიშვა. თანამედროვე დროში ლეგიტიმურობა – ცივილიზებული ხელისუფლების აუცილებელ ატრიბუტს წარმოადგენს და აუცილებელია მისი კანონიერების აღიარება არა მარტო კონკრეტული ქვეყნის მოსახლეობის, არამედ მსოფლიო თანამეგობრობის მიერ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ აღნიშნული ხელისუფლება აბსოლუტურად მთელი მოსახლეობისათვისაა მისაღები, რადგანაც ყოველთვის არსებობენ კონკრეტული ხელისუფლებით უკმაყოფილო ადამიანები, ასევე, ანარქისტები, კრიმინალები და ა.შ.

ლეგიტიმურობის პრობლემის განსაზღვრის თეორიული შემუშავება დაკავშირებულია მ. ვებერის კონცეფციასთან ლეგიტიმური ხელისუფლების შესახებ. ვებერი აღნიშნავდა, რომ სახელმწიფოში გაბატონება უნდა ეყრდნობოდეს თანხმობას, რომელიც მის ლეგიტიმურობას აღიარებს. გაბატონების ლეგიტიმურობის კუთხით, გერმანელი მეცნიერი ხელისუფლებაში საზოგადოებრივი სტაბილურობის გარანტიასა და სოციალური წესრიგის მხარდაჭერას ხედავდა. ვებერი აღნიშნავდა, რომ “ქცევა, განსაკუთრებით სოციალური ქცევა და ასევე სოციალური

ურთიერთობები შესაძლებელია ორიენტირებულ იქნეს ინდივიდების მიერ მათ წარმოდგენაზე ლეგიტიმური წესრიგის არსებობის შესახებ.”(Береп М. 1990.)

ვებერის მიხედვით, ქვეშევრდომების მიერ ხელისუფლების აღიარება მისი ლეგიტიმურობის საფუძველს წარმოადგენს:

მ. ვებერი ლეგიტიმურობის სამ ძირითად ტიპს გამოყოფდა:

1. *ლეგიტიმურობის ტრადიციული ტიპი* ეფუძნება ტრადიციების, ნორმების, ჩვეულებების, რწმენის ერთობლიობას, რომლებიც საუკუნეების განმავლობაში არეგულირებდნენ ცხოვრებას, ადამიანთა ქცევას. ამ შემთხვევაში ხელისუფლება ეფუძნება არსებულ პატრიარქარულ წესწყობილებასა და რელიგიურ ავტორიტეტს. განხილული ჩვეულებითი ნორმები საზოგადოებაში შექმნილ იმ ურთიერთობათა საფუძველად გვევლინებიან, რომლებიც მართვისა და მორჩილების ურთიერთობითაა წარმოდგენილი. ისინი ფაქტიურად მიგვითითებენ, თუ ვის აქვს უფლება იყოს ხელისუფლებაში და ასევე იმას, თუ ვინ არის ვალდებული დაემორჩილოს ამ ხელისუფლებას. ამავე დროს, საზოგადოების მიერ აღთქმული ტრადიციული ნორმები განიხილება როგორც აბსოლუტურად შეუცვლელი, ხოლო მათგან გადახრას მოსალოდნელია მოჰყვეს გარკვეული სანქციები “დამრღვევის” მიმართ. პოლიტიკური ხელისუფლების ტრადიციული ტიპის დამახასიათებელ თავისებურებას დინამიზმის არარსებობა წარმოადგენს, რადგან, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში პოლიტიკური ხელისუფლება, პოლიტიკური სისტემა საფუძველიანი ცვლილებების გარეშე ფუნქციონირებს. ეს აიხსნება იმით, რომ ხდება საზოგადოებაში დანერგილი ტრადიციების დომინირება ადამიანთა ცნობიერებაზე, ხოლო ბატონობისა და დაქვემდებარების პრინციპების პერმანენტული კვლავწარმოება თაობიდან თაობამდე პერიოდში ვლინდება. ამ დროს კი, ხელისუფლების მთელ სისტემაში ღრმა კონსერვატიზმი ისაღვურებს, ხოლო ტრადიციები მმართველი ელიტის პოლიტიკური ძალაუფლების ძირითად საფუძველად გვევლინებიან. ტრადიციული ნორმები, როგორც მმართველების, ასევე ქვეშევრდომებისათვის სავალდებულო ნორმებად გადაიქცევიან. ასეთი მმართველობის პირობებში, მმართველი წრეების მიერ ხდება არსებული ტრადიციების მკაცრი დაცვა, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში არსებობს იმისი რისკი, რომ პოლიტიკურმა ელიტამ დაკარგოს თავისი ლეგიტიმურობა მოსახლეობის ფართო მასების წინაშე. ტრადიციების დარღვევის შედეგად კი შესაძლებელია მოხდეს ხელისუფლების შეცვლა და ახალი ნორმების დადგენა. ხელისუფლების ტრადიციული ტიპის მაგალითად შესაძლებელია მოყვანილ იქნეს უძველესი აღმოსავლეთის იმპერიების (ეგვიპტე, სპარსეთი, ჩინეთი), ასევე შუა საუკუნეების ევროპის მაგალითები. თანამედროვე პერიოდში, საზოგადოების მიერ მიღებულ ტრადიციულ ტიპს დიდი ალბათობით შესაძლებელია მივაკუთვნოთ საუდის არაბეთი, ბაჰრეინი, ქუვეითი, ომანი. ტრადიციული ტიპის ბატონობის ერთ-ერთ ძირითად

თავისებურებას ასევე წარმოადგენს ისიც, რომ აქ ხელისუფლებას პერსონიფიცირებული ხასიათი გააჩნია.

*ლეგიტიმურობის რაციონალურ-ლეგალური* ტიპი დაფუძნებულია სამართლის, კანონის, ნებაყოფლობით აღიარებული საერთო წესების აღიარებაზე, იურიდიული ნორმების დაფუძნებაზე (რომლებსაც რაციონალური საფუძველი გააჩნიათ) და რომლებიც ბატონობისა და მორჩილების ურთიერთობათა რეგულირებისაკენ არიან მიმართულნი. ხელისუფლების მოცემული ტიპის დამახასიათებელ ფორმას წარმოადგენს კონსტიტუციური სახელმწიფო, რომლის იურიდიული ნორმებიც, ერთის მხრივ, განსაზღვრავენ მისი ფუნქციონირების წესებს, ხოლო მეორეს მხრივ, თვითონ ხდებიან დაკანონებული პროცედურების შესაბამისად მათი შეცვლის ობიექტი. მმართველი წრეების პოლიტიკური ხელისუფლების ლეგიტიმურობა დაფუძნებულია კანონზე. მმართველი ელიტა ამ შემთხვევაში თავის პრეტენზიებს ხელისუფლებაზე დაფუძნებული კანონმდებლობით, პირველ რიგში კი კონსტიტუციით ასაბუთებს. სწორედ კონსტიტუცია, როგორც ქვეყნის ძირითადი კანონი, განსაზღვრავს იმ წესებს, რომელსაც უნდა დაემორჩილონ როგორც მმართველნი, ასევე ქვეშევრდომნი. მითუმეტეს, რომ არსებობენ ის ინსტიტუციური მექანიზმები, რომლებიც მოწოდებულნი არიან დაიცვან აღნიშნული წესები. პოლიტიკური ხელისუფლების ეს ტიპი XXI საუკუნის დასაწყისში უკვე ბევრ ქვეყანაშია გავრცელებული. ამავე დროს, რაციონალურ-ლეგალური ტიპის ორგანიზაციის ფარგლებში, პოლიტიკური ძალაუფლება ღებულობს დიპერსონიფიცირებულ ხასიათს, რადგანაც განმსაზღვრელი ხდება არა ტრადიცია, არამედ პიროვნების მდგომარეობა ორგანიზაციული იერარქიის სისტემაში.

*ლეგიტიმურობის ქარიზმატული* ტიპი ეფუძნება ხელისუფლებისა და მისი პოლიტიკური ლიდერის განსაკუთრებულ ხასიათს. პოლიტიკური ხელისუფლების ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ბელადის ან ისეთი ფიგურის - პოლიტიკური ლიდერის არსებობა, რომელიც ფლობს განსაკუთრებულ ქარიზმას. ამის საფუძველზე საზოგადოებაში იქმნება ინტენსიური ემოციური კავშირები მმართველსა და მასებს შორის, სადაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს ან ქარიზმატული ბელადის ან ლიდერის ისტორიული მისია, ან ისეთი ლიდერის, რომელიც ითხოვს უპირობო მხარდაჭერასა და მორჩილებას. ხელისუფლების ამ ტიპისათვის აუცილებელია, რომ მასებს ან რწმენა, ან კონკრეტული ლიდერის განსაკუთრებული შესაძლებლობების მოლოდინი გააჩნდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პოლიტიკურმა ხელისუფლებამ და მისმა ლიდერმა შეიძლება რისკის ქვეშ დააყენონ საკუთარი თავი და დაკარგონ პოლიტიკური ქარიზმა. ამგვარად, ტრადიციული და რაციონალურ-ლეგალური ლეგიტიმურობის ტიპისაგან განსხვავებით, ქარიზმატული ხელისუფლება შედარებით არამყარია.

პოლიტიკური ხელისუფლების ასეთი ტიპი განიხილება როგორც გარდამავალი, ტრადიციულიდან რაციონალურისაკენ. ხელისუფლების ასეთი ტიპის არსებობას სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში ჰქონდა ადგილი და არ არის დაკავშირებული რომელიმე ფორმაციასთან. ამ ტიპს შესაძლებელია მივაკუთვნოთ ის პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც იულიუს კეისრის დროს არსებობდა რომის იმპერიაში, ნაპოლეონის საფრანგეთში, ჰიტლერის დროს გერმანიაში, მუსოლინის იტალიაში, სტალინის სსრკში და მათ ძედუნის ჩინეთში. თანამედროვე პირობებში, ხელისუფლების ქარიზმატული ტიპი განსაკუთრებით მოდერნიზირებულ საზოგადოებებშია განვითარებული, ასევე, აღნიშნული ტიპი არსებობს აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის ზოგიერთ სახელმწიფოში (Beber M. 1990.)

თავის მხრივ, საკუთარ კლასიფიკაციას გვთავაზობს პოლიტოლოგი დ. ისტონი. მისი პოლიტიკური ხელისუფლების კლასიფიკაცია შემდეგ ტიპებს მოიცავს:

*იდეოლოგიური ლეგიტიმურობა* ეფუძნება ხელისუფლების იმ თანმიმდევრობას, რომელიც საზოგადოებაში დამკვიდრებული პიროვნების სოციალიზაციისკენაა მიმართული და გაბატონებული იდეოლოგიით განისაზღვრება. ლეგიტიმურობის ამ ტიპს გააჩნია იმის საჭიროება, რომ მუდმივად უმტკიცოს საზოგადოებას ხელისუფლების წარმატებები. ხელისუფლების სუბიექტების მხრიდან დაპირებების შეუსრულებლობა მათ მიმართ ნდობის დაკარგვას განაპირობებს. ასეთი ლეგიტიმურობის მრავალფეროვნება – ხელისუფლების ობიექტის სუბიექტთან იდენტიფიკაცია, რაც ტოტალიტარული რეჟიმებისათვისაა დამახასიათებელი, საყოველთაო პროპაგანდის გზით მიიღწევა. მაგალითად, “ხალხი და პარტია ერთიანნი არიან”, “პარტიის წარმატება - ხალხის წარმატებაა” და ა.შ.

*სტრუქტურული ლეგიტიმაცია* დამახასიათებელია იმ ქვეყნებისათვის, სადაც ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის მყარი ურთიერთობები არსებობს, სადაც უკვე დანერგილი წესით ხდება ძალაუფლებრივი სტრუქტურების ფორმირება. ის ძალაუფლების ობიექტის მხრიდან არჩეული პოლიტიკური ძალის მიმართ ნდობის განმტკიცებას ეფუძნება.

*პერსონალიზირებული ლეგიტიმურობა* ხელისუფლების ობიექტის მიერ უშუალოდ კონკრეტული ლიდერის საქმიანობის მიმართ ნდობის განმტკიცებას ეფუძნება. ამავე დროს, ხდება ლიდერის განსახიერება გარკვეულ იდეალებთან. ხალხი მას ენდობა, მაგრამ მთლიანობაში მის საქმიანობას რაციონალური შეფასების პოზიციიდან ეკიდება. ასეთი ლეგიტიმურობა ახლოსაა ქარიზმატულ ტიპთან, მაგრამ არ არის მისი იდენტური. ქარიზმატული ტიპისაგან განსხვავებით, მისი გამყარება იდეოლოგიური და სტრუქტურული ლეგიტიმურობის მეშვეობითაც ხორციელდება.

რაც უფრო მეტია მხარდაჭერა მოსახლეობის მხრიდან, მით უფრო ლეგიტიმურად წარმოადგენს თავის თავს პოლიტიკური ძალაუფლება. ასეთი მხარდაჭერის არქონის შემთხვევაში ის კარგავს თავის ლეგიტიმურობას, თუმცა ის მთლიანად არ ქრება. ამგვარად, საზოგადოებაში ხორციელდება ლეგიტიმური ძალაუფლების ცვლილება. ეს ცვლილება დაკავშირებულია ხელისუფლების ლეგიტიმაცია- დელიგიტიმაციის პროცესებთან. ლეგიტიმაცია - ეს გახლავთ ლიდერისა და პოლიტიკური ხელისუფლების ინსტიტუტების საზოგადოებრივი აღიარების ზრდის პროცესი. დელიგიტიმაცია კი ლიდერისა და პოლიტიკური ხელისუფლების ავტორიტეტის დაცემის პროცესს წარმოადგენს (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 97).

საერთო ჯამში, ხელისუფლების ლეგიტიმაციის დონე მის ეფექტურ ფუნქციონირებასთან პირდაპირ დამოკიდებულებაში იმყოფება, ანუ ლეგიტიმაცია გავლენას ახდენს ხელისუფლების მიერ თავისი ამოცანებისა და ფუნქციების შესრულების ხარისხზე.

ამავე დროს, ადგილი აქვს ლეგიტიმაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებას. ეს გახლავთ ტექნოკრატიული (სახელისუფლებო ნების, საგადასახადო სისტემის, კანონთა ერთობლიობის ტექნიკური და სამეცნიერო დასაბუთება), სოციოლოგიური (უმუშევრობის შემცირება), იდეოლოგიური, ფსიქოლოგიური მეთოდები. ლეგიტიმაციისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება ფასეულობათა პროპაგანდას, რომელზეც დაფუძნებულია არსებული ხელისუფლება და მის მიერ გატარებული პოლიტიკა.

## **თავი 27. კონსტიტუციები, კანონმდებლობა და მართლმსაჯულება**

XX საუკუნის 50-60-იან წლებში კონსტიტუციებთან დაკავშირებული საკითხების კვლევა ინტელექტუალთა, პირველ რიგში სახელმწიფო სამართლის სპეციალისტთა ინტერესების სფეროს პერიფერიაზე აღმოჩნდა. პოლიტიკურ მეცნიერებაში უფრო მეტი აქცენტი პოლიტიკურ კულტურასა და ეკონომიკური თუ საზოგადოებრივი ძალების გადანაწილებაზე იქნა გადატანილი. გარკვეული პერიოდის განმავლობაში, კონსტიტუციების საკითხი ნაკლებად აქტუალურ თემას წარმოადგენდა, თუმცა, გასული საუკუნის 70-იანი წლებიდან პოლიტიკურ ავანსცენაზე სხვა საკითხებთან ერთად თავისი ღირსეული ადგილი კონსტიტუციურმა საკითხებმაც დაიკავა.

### ***კონსტიტუციები***

კაცობრიობის ისტორიის განმავლობაში, კონსტიტუციას ორი გარემოების გამო მიიჩნეოდნენ მნიშვნელოვლად: პირველ რიგში, ბევრი მეცნიერის აზრით, იგი მმართველობის სარკედ და მმართველი ინსტიტუტების ფუნქციების განმსაზღვრელად მიიჩნეოდა; მეორეც – იგი განიხილებოდა როგორც ლიბერალური დემოკრატიის ქვაკუთხედი და მისი მდგრადობის საზომი.



საერთო ჯამში, კონსტიტუცია, ზოგადი გაგებით, დაწერილ თუ დაუწერელ კანონთა კრებულებაა, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტის დანიშნულებასა თუ უფლება-მოვალეობას განსაზღვრავს და ცდილობს მოაწესრიგოს მათ შორის ურთიერთობები, ასევე განსაზღვროს დამოკიდებულება სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის. შეფარდება დაწერილ (ლეგალიზებულ) კანონთა და დაუწერელ, ანუ (საყოველთაოდ მიხნეულ) წეს-კანონთა შორის სხვადასხვა სახელმწიფოებრივ და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული წყობილების პირობებში ერთმანეთისაგან განსხვავდება. აქედან გამომდინარე, კონსტიტუცია ქვეყნის უზენაესი კანონია. იქიდან გამომდინარე, რომ შეუძლებელია ერთ დოკუმენტში ყველა სამართლებრივი ნორმის ერთად თავმოყრა, კონსტიტუცია ამ გაგებით, არ შეიძლება საკონსტიტუციო სამართალთან იქნას გაიგივებული.

მიუხედავად იმისა, რომ იმ დაწერილ კანონთა იდეა, რომლებიც ხელისუფალთა მმართველობას გარკვეულ კალაპოტში მოაქცევდა, უხსოვარი დროიდან მოდის, კონსტიტუციები შედარებით გვიანდელ მონაპოვარს წარმოადგენენ. მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანული კონსტიტუციონალიზმის ისტორიის დაწყების თარიღად “დიადი ქარტიის” (1215) მიღება ითვლება, უფრო მართებული იქნებოდა კონსტიტუციათა გაჩენის ათვლა XVIII საუკუნის ბოლოდან დაგვეწყო. “კონსტიტუციათა პერიოდს” სათავე დაუდო “დაწერილი კონსტიტუციების” მიღებამ: 1787 წ. – ამერიკაში დაიწერა პირველი კონსტიტუცია, ხოლო 1789 წ. გამოცხადდა “ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა” ფრანგული დეკლარაცია. ამერიკისა და რევოლუციური საფრანგეთის მაგალითებმა არა მარტო ფორმასა და შინაარსზე მიუთითა მომავალ კონსტიტუციათა შემქმნელებს, არამედ ნათელი მოჰფინა იმას, თუ საერთოდ როგორ და რატომ იქმნება სახელმწიფოსათვის ესოდენ დიდი მნიშვნელობის მქონე დოკუმენტი (A. Heywood. 2007. P. 395).

### **კონსტიტუციათა კლასიფიკაცია**

კონსტიტუციათა კლასიფიცირება რამდენიმე ნიშნის მიხედვით ხორციელდება:

- მათი სტრუქტურის შესაბამისად (ანუ, კოდექსის სახითაა დაწერილი თუ მხოლოდ დეკლარირებულია);
- ცვლილებების შეტანის პროცედურები;
- რამდენად ქმედუნარიანია რეალობასთან მიმართებაში (გამოყენებადია, ფორმალურად თუ სულაც - დეკორატიული);
- შესაბამისობა კონსტიტუციის ტექსტში ასახულ ინსტიტუციონალურ სტრუქტურასთან (მონარქიულია თუ რესპუბლიკური, ფედერალური თუ უნიტარული, საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო).

კონსტიტუციების განხილვის პროცესში, ტრადიციულად, მთავარი ყურადღება ექცეოდა დაწერილსა და დაუწერელ კონსტიტუციებს შორის სხვაობებს. თეორიულად, დაწერილი კონსტიტუცია კანონებში ჰპოულობს თავის შინაარსს, ხოლო დაუწერელი – სავარაუდოდ, ადათსა და ტრადიციებში. პირველი – ადამიანთა შემოქმედების შედეგია: მეორე – ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე დახვეწილი, ბუნებრივი რეალობა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ თანამედროვე ეტაპზე ეს კლასიფიკაცია ძირითადად, უარყოფილია. ჯერ ერთი, სახელმწიფოთა უდიდესი უმრავლესობა დღესდღეობით უმთავრესი კონსტიტუციური ნორმების განმსაზღვრელი ამა თუ იმ წერილობითი დოკუმენტებით სარგებლობს და დღეს სულ სამად სამი ლიბერალური დემოკრატიის აღმსარებელი სახელმწიფოა დაუწერელი კონსტიტუციების ერთგული: ეს ქვეყნები გახლავთ ისრაელი, ახალი ზელანდია და გაერთიანებული სამეფო; ასევე, დაუწერელი კონსტიტუციები გააჩნიათ რამდენიმე არადემოკრატიული რეჟიმის მქონე სახელმწიფოებს: ბუტანი, საუდის არაბეთი, ომანი, ლაოსი. რაც მთავარია, თავად ამგვარი კლასიფიკაცია იმთავითვე პირობითია: არ არსებობს პრინციპულად დაუწერელი კონსტიტუცია – იმ თვალსაზრისით, თითქოს არც ერთ მის ნორმას არ გააჩნდეს კანონის ძალა და მხოლოდ შეთანხმებას, წესსა თუ ტრადიციას ეფუძნებოდეს.

შესაბამისად, კონსტიტუციათა უმრავლესობა შეგვიძლია დაწერილი და დაუწერელი კანონების ნაზავად განვიხილოთ, რომელთა შორისაც წონასწორობა მკვეთრად მერყეობს. ისეთი დემოკრატიული ქვეყნების შემთხვევაში, როგორებიცაა გერმანია და საფრანგეთი, კონსტიტუციური მნიშვნელობის დოკუმენტებს სახელმწიფოებრივი კოდექსების დანიშნულება გააჩნიათ და ისინი დაწერილებით ასახავენ პოლიტიკური ინსტიტუტების როლსა და ადგილს ამ ქვეყნების ცხოვრებაში, მათ ფუნქციებსა და უფლება-მოვალეობებს და ა.შ. შესაბამისად, აქცენტი ცალსახად დაწერილ კანონებზეა გადატანილი. მეორეს მხრივ, ამერიკული (მსოფლიოში პირველი წერილობითი) კონსტიტუცია მხოლოდ 7000 სიტყვისაგან შედგება და იგი მხოლოდ ზოგად პრინციპებზე ახდენს ყურადღების კონცენტრირებას და არც ხელისუფლებას სთავაზობს მმართველობის მკაცრ ჩარჩოებს.

### *კონსტიტუციის დანიშნულება*

კონსტიტუციები არა მარტო თითქმის ყველა სახელმწიფოს გააჩნია, არამედ ძალიან ბევრი ინსტიტუტი თუ ორგანიზაცია ერთგვარი საკონსტიტუციო ძალის მქონე წესების მიხედვით ახორციელებს თავის საქმიანობას. ეს ისეთ უნივერსალურ თუ რეგიონულ საერთაშორისო ორგანიზაციებსაც ეხება, როგორებიცაა გაერო და ევროკავშირი. სამართლებრივი ნორმების ფარგლებში, ასევე რეგიონალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულები, პოლიტიკური პარტიები, ინტერეს-ჯგუფები, კორპორაციები, კლუბები და ა.შ. მოქმედებენ.

კონსტიტუციას რამდენიმე დანიშნულება გააჩნია და მისი გამოყენება რამდენიმე სხვადასხვა მიმართულებით ხორციელდება. კონსტიტუციის მთავარ ფუნქციებს შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი კომპონენტები:

- სახელმწიფოს გაძლიერება;
- გამაერთიანებელი ღირებულებებისა და მიზნების გამოკვეთა;
- ხელისუფლების მდგრადობის უზრუნველყოფა;
- თავისუფლების დაცვა;
- რეჟიმის ლეგიტიმაცია (Heywood. Politics. New-York, 2007. P.401).

#### *სახელმწიფოს გაძლიერება*

საყოველთაოდ მიღებული ნორმების შესაბამისად, კონსტიტუციები მმართველობის საზღვრებს უნდა ადგენდნენ, თუმცა მათ უფრო მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრიათ, რაც სახელმწიფოს არსებობის საზღვასა და მისი დამოუკიდებელი ხელისუფლების გავრცელების სფეროს შემოფარგვლით განისაზღვრება. ახალი სახელმწიფოების ჩამოყალიბებას აუცილებლად თან ახლავს ქვეყნის უზენაესი კანონის - კონსტიტუციის ამოქმედებაც. მართლაც, მეცნიერთა და ექსპერტთა უდიდესი ნაწილი თანხმდება იმაზე, რომ სახელმწიფო მხოლოდ მაშინ “შედგება”, როდესაც საკუთარ კონსტიტუციას მიიღებს, რადგან მის გარეშე, კონკრეტული ქვეყნის ვერც ერთ რეგიონზე სახელმწიფო ინსტიტუტების კანონიერი იურისდიქცია ვერ გავრცელდება და ვერც ამ იურისდიქციის გამტარებელი მმართველი აპარატი ჩამოყალიბდება.

#### *ღირებულებებისა და მიზნების გამოკვეთა*

ხელისუფლებისათვის მმართველობის ჩარჩოების განსაზღვრის გარდა, კონსტიტუციის შინაარსი აუცილებლად გულისხმობს პოლიტიკური ღირებულებების, იდეალებისა და მიზნების ფართო სპექტრის არსებობას. სწორედ ამიტომ ვერ იქნება ვერც ერთი მათგანი მიუკერძოებელი; ნებისმიერი კონსტიტუცია, მეტ-ნაკლებად, ქვეყანაში გაბატონებული იდეოლოგიური პრიორიტეტების გამომხატველია. შესაბამისად, მათი ავტორებიც – პირველ რიგში სახელმწიფო სამართლის სპეციალისტები, გამაერთიანებელი ღირებულებების სისტემის, იდეოლოგიური დანიშნულების მქონე პრინციპების და იმ ლექსიკონის შემუშავებას ისახავენ მიზნად, რაც ქვეყნის პოლიტიკურ მართვაშიც კპოვებს ასახვას. ასე მაგალითად, 1977 წლის კონსტიტუცია საბჭოთა კავშირს “განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებად” წარმოადგენდა, გერმანიის ძირითად კანონში კი “მსოფლიო მშვიდობაზე ზრუნვის” განზრახვაა გაცხადებული (Heywood. 2007. P.402).

#### *ხელისუფლების მდგრადობის უზრუნველყოფა*

ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტებს შორის ფუნქციებისა და მოვალეობების გადანაწილების გამო, კონსტიტუციებს “ორგანიზაციულ ქარტიებს”, “პოლიტიკურ გზამკვლევებსა” თუ “ინსტიტუციურ ყალიბსაც” კი უწოდებენ ხოლმე. როგორც ყველა ამ ფუნქციის შემსრულებელი, კონსტიტუცია აკანონებს და წარმართავს ურთიერთობებს პოლიტიკურ სუბიექტთა შორის და კონფლიქტებშიც მომრიგებელ და მომგვარებელ როლს ასრულებს. ასე მაგალითად, ინდოეთის კონსტიტუციაში თითქმის 400 მუხლად, დაწვრილებითაა ჩამოყალიბებული ინსტიტუციური უფლებები და ურთიერთობები.

### *თავისუფლების დაცვა*

იმ ქვეყნებში, სადაც ლიბერალურ-დემოკრატიული სისტემის ძირითადი პრინციპებია დამკვიდრებული, თავისთავად იგულისხმება, რომ კონსტიტუციის ძირითად დანიშნულებას ხელისუფლების მოთოკვა და ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვა წარმოადგენს. ამ მიზეზითაა განპირობებული ის ფაქტი, რომ ბევრი ექსპერტი კონსტიტუციებს შეზღუდული მმართველობის დამყარებისა და შენარჩუნების საშუალებად აღიქვამს. მართლაც, სწორედ ქვეყნის უზენაესი კანონი - კონსტიტუცია არეგულირებს ურთიერთობას სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, მკაფიოდ მიჯნავს სახელისუფლებო მართვისა და პიროვნული თავისუფლების სფეროებს. ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის წყალობით, ძალზედ ხშირ შემთხვევაში ისეთი “კლასიკური” თუ ტრადიციული სამოქალაქო თავისუფლებები როგორებიცაა სიტყვის, აზრის გამოხატვის, რელიგიური აღმსარებლობის, შეკრებებისა თუ გადაადგილების თავისუფლება, ასევე ეკონომიკური და სოციალური უფლებები, “ფუნდამენტალურადაა” აღიარებული იმ თვალსაზრისით, რომ მათ სწორედ კონსტიტუცია უზრუნველყოფს.

### *რეჟიმის ლეგიტიმაცია*

საბოლოო ჯამში, ნებისმიერი კონსტიტუციის მიზანს კონკრეტულ სახელმწიფოში არსებული სისტემის დაკანონება წარმოადგენს. სწორედ ამით არის განპირობებული კონსტიტუციის ლამის საყოველთაო გავრცელება ისეთ სახელმწიფოებშიც კი, სადაც მათ უბრალოდ, ფორმალური ან დეკორატიული დანიშნულება გააჩნია. ლეგიტიმაციის ეს პროცესი შეიძლება ორი მხრიდან იქნეს შეფასებული: ერთი, რომ კონსტიტუციის მიღება და ფუნქციონირება გარკვეულ წინაპირობას წარმოადგენს ნებისმიერი ქვეყნისათვის, რათა უზრუნველყოფილ იქნეს ამ სახელმწიფოს საერთაშორისო თანამეგობრობის წევრობა; თუმცა, უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება კონსტიტუციის ავტორიზაციის განსაზღვრას თავად სახელმწიფოს შიგნით ლეგიტიმაციის უზრუნველსაყოფად და ადგილობრივ მოსახლეობაში ნდობისა და პატივისცემის მოსაპოვებლად. ამის მიღწევა კი იმისდა მიხედვით ხდება შესაძლებელი, რამდენად გამოხატავს კონსტიტუცია მმართველი პოლიტიკური

ელიტის ღირებულებებს და კანონიერების რა ატრიბუტებს ანიჭებს მმართველობის სისტემას. ამ თვალსაზრისით, კონსტიტუციების ეფექტიანობის ამაღლების მიზნით, ხშირად თავად ამ დოკუმენტის მნიშვნელობის გაზვიადებას ცდილობენ და მის მიღებას ან ისტორიული მნიშვნელობის მქონე მოვლენად, ანდა ეროვნული მისიისა და ღირებულებების გამომხატველად წარმოადგენენ.

*აქვთ თუ არა კონსტიტუციებს რაიმე მნიშვნელობა?*

კონსტიტუციის მიმართ ყველაზე დიდი პატივისცემა ამერიკის შეერთებულ შტატებში იგრძნობა, სადაც ლუის ჰარტცის (1955) სიტყვებით რომ ვთქვათ, ერთგვარი “კონსტიტუციის” კულტი არსებობს. ეს ნათლად იქნა გამოვლენილი უოთერგეტის სკანდალის შემდგომ, ჯერალდ ფორდის გამონათქვამში: “კონსტიტუცია მოქმედებს”. ეს კი კონსტიტუციონალიზმის დევიზის ერთ-ერთ მთავარ პრინციპს წარმოადგენს. “ჩვენთან კანონი მართავს, და არა ადამიანები.” (Heywood. Politics. 2007. P.405). ამავე დროს, კონსტიტუციის არსებობა ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ხელისუფლება კონსტიტუციის შესაბამისად მოქმედებს. არანაირი უტყუარი საბუთი იმისა, რომ კონსტიტუცია ტირანიასთან და ავტორიტარიზმთან ბრძოლის მთავარ გარანტად გვევლინებოდეს არ არსებობს.

კონსტიტუციური ნორმების პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარებას გარკვეული პირობები სჭირდება, ანუ – კულტურული, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური გარემოებანი. სწორედ ამიტომაც, რომ ახალგაზრდად “დემოკრატიულ” ქვეყნებში ლიბერალ-დემოკრატიული კონსტიტუციის მოდელი “არ მუშაობს”. პიროვნული უფლებებისა და პოლიტიკური კონკურენციის უზრუნველყოფი წესები შესაძლოა სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდეს ისეთ საზოგადოებებში, სადაც კოლექტივისტური ღირებულებები და ტრადიციებია ფესვგადგმული – მით უმეტეს, თუ ამგვარი საზოგადოებები ჯერ კიდევ ცდილობენ, რომ კულტურული, სამართლებრივი, ეკონომიკური და სოციალური განვითარების გარკვეულ სტანდარტებს მიაღწიონ.

ასეთი ვითარება არსებობდა საბჭოთა კავშირში – სადაც 74 წლის განმავლობაში, კომუნისტური მმართველი ელიტის წარმომადგენლები, საბჭოთა მმართველობის სხვადასხვა სხვადასხვა პერიოდში მიღებული კონსტიტუციების მეშვეობით ამაოდ ცდილობდნენ მოსახლეობის უდიდესი უმრავლესობისათვის უცხო და მიუღებელი სოციალისტური “ღირებულებების” თავსმოხვევას. მეორეს მხრივ, იაპონიის 1947 წ. კონსტიტუციას, რომელიც აშშ-ის მხრიდან ზემოქმედების შედეგად იქნა მიღებული, ძირითადი აქცენტი – უფრო ტრადიციული, მოვალეობის კულტის საპირწონედ პიროვნების უფლებებზე გადაჰქონდა. მომდევნო პერიოდში, ამომავალი მზის ქვეყანაში გატარებული რეფორმების შედეგად, აღნიშნული კონსტიტუცია უადრესად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა და საკმაოდ მყარი საფუძველიც შექმნა

ომის შემდგომი აღმშენებლობისა და დემოკრატიული ინსტიტუტების გამყარებისათვის. თუმცა, ისევე როგორც დასავლეთ გერმანიის შემთხვევაში, აქაც მაღალმა პოლიტიკურმა კულტურამ და “ეკონომიკურმა სასწაულმა” ითამაშა თავისი როლი (Heywood. 2007. P.405).

ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რამდენად შეესაბამება კონსტიტუცია ცვალებად პოლიტიკურ გარემოს. თავისთავად, არცერთი ქვეყნის უზენაესი კანონი ბოლომდე არ ასახავს პოლიტიკურ რეალობას და ბევრ სახელმწიფოში ცოტა თუ იქმნება საგანგებოდ ამ მიზნით. თუმცა, წარმატებული კონსტიტუციები ცვლილებებისადმი მეტ მოქნილობას იჩენენ.

### **კანონმდებლობა**

#### *კანონი, ზნეობა და პოლიტიკა*

კანონსა და ზნეობას შორის დამოკიდებულების განსაზღვრას პოლიტიკურ თეორიაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი ენიჭება. ერთი შეხედვით, ისინი თითქოს სრულიად განსხვავებული ცნებებია: კანონი, ეს გახლავთ საზოგადოებრივი კონტროლის განსაკუთრებული ფორმა, რომელიც იძულების საშუალებით მოქმედებს; ის ნათლად მიგვითითებს იმაზე, თუ რისი გაკეთების უფლება გააჩნია მოქალაქეს და რისი არა. მეორეს მხრივ, ზნეობა და მორალი ეთიკურ საკითხებთანაა დაკავშირებული და ერთმანეთისაგან “სწორსა” და “არასწორს” განასხვავებს; ის მიგვითითებს, რა უნდა გავაკეთოთ და რა არა. უფრო მეტიც, რამდენადაც კანონს საზოგადოებრივი დატვირთვა ენიჭება, მას ობიექტური ხასიათი გააჩნია, ზნეობას კი, როგორც წესი, სუბიექტურ მოცემულობად განიხილავენ ხოლმე - პიროვნული შეხედულებისა თუ მრწამსის საგნად. და მაინც, ბუნებრივი კანონების თეორიათა შესაბამისად, რომელთა სათავეებთანაც სოფოკლე, პლატონი და არისტოტელე იდგნენ, ხშირ შემთხვევაში კანონი ამა თუ იმ ზნეობრივ სისტემაშია (ან უნდა იყოს) დანერგილი. ახალი ისტორიის საწყის ეტაპზე ანალოგიური თეორიები ხშირად “ღვთის ბოძებულ” “ბუნებითი უფლებების” იდეას ეფუძნებოდა და უკვე მთელი მეოცე საუკუნის განმავლობაში, კანონსა და ზნეობას შორის სავარაუდო ურთიერთკავშირის დანახვა უფრო ადვილი გახდა, რისი ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელი გახლავთ სამოქალაქო თავისუფლებებისა და ადამიანის უფლებების ცნებათა პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარება.

მართალია, კანონის მთავარი მიზანი თითოეული მოქალაქის უფლებების დაცვაა, ოღონდ ისიც უნდა იყოს გათვალისწინებული, რომ თავად კანონმდებლობის სფერო მკაცრად იყოს განსაზღვრული, ანუ – იგი თავისუფლების არეალის გაფართოებას უნდა ემსახურებოდეს და არა შეზღუდვას. ამ პრინციპის ერთი ნათელი დადასტურება

გახლავთ ჯონ სტიუარტ მილის ლიბერალური განცხადება: “პიროვნება თვითონაა საკუთარი თავის, სხეულისა და გონების უფალი” (Heywood. 2007. P.408).

### *მართლმსაჯულება*

მართლმსაჯულება სახელმწიფო პოლიტიკის იმ მიმართულებას წარმოადგენს, რომლის კომპეტენცია საკანონმდებლო დავის გადაჭრაა. შესაბამისად, მოსამართლეთა მთავარი დანიშნულებაა კანონის “ამოკითხვა”, ანუ ამა თუ იმ ქმედებისათვის მისი მართებულად გამოყენებაა. აღნიშნული ფუნქციის მნიშვნელობის განსაზღვრა სხვადასხვა სახელმწიფოსა თუ პოლიტიკურ და სამართლებრივ სისტემებში სხვადასხვანაირად ხორციელდება. თუმცა, ეს განსაკუთრებით საყურადღებოა დაწერილი კონსტიტუციის მქონე ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციის განმარტებაც დიდ საჭიროებას წარმოადგენს და მოსამართლეები არბიტრებად გვევლინებიან უკვე სახელისუფლებო ინსტიტუტთა შორის წარმოქმნილ დავებშიც და სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის დაპირისპირების პროცესშიც.

საერთაშორისო სამართლის ძირითადი პრინციპების მნიშვნელობის ზრდის შედეგად, მართლმსაჯულებამ კიდევ უფრო მეტი დატვირთვა შეიძინა. ამ მხრივ აღსანიშნავია გაეროს ერთ-ერთი უმთავრესი ინსტიტუტის, საერთაშორისო სასამართლოს (მისი შტაბ-ბინა ჰააგაში მდებარეობს) ფუნქცია, სწორედ ამ სტრუქტურის პასუხისმგებლობის სფეროს მიეკუთვნება სახელმწიფოთა შორის სადაო საკითხების მოგვარება, ამავე დროს, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ საერთაშორისო სამართალი პატივს მიაგებს ქვეყნის სუვერენიტეტის პრინციპს, შესაბამისად, ეს წარმოშობს სახელმწიფოთაშორის დავაში ჩართული მხარის მხრიდან სასამართლოს გადაწყვეტილებებისადმი ნდობის გამოხატვის აუცილებლობას. გასული საუკუნის 90-იანი წლების ბოლოს შექმნილმა სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ და საერთაშორისო ტრიბუნალებმა, ერთგვარად გააცოცხლა 1945-46 წწ. გამართული ნიურბერგისა და 1948 წელს გამართული ტოკიოს პროცესების იდეა და სამხედრო დანაშაულობათა ანუ “კაცობრიობის წინაშე” ჩადენილ დანაშაულობათა გამოძიებას აწარმოებს. სწორედ მან აღძრა სისხლის სამართლის საქმე და დააპატიმრა კიდევ მასობრივ დანაშაულობებში ექვმიტანილი არაერთი პიროვნება, მათ შორის – იუგოსლავიის ყოფილი პრეზიდენტი, სლობოდან მილოშევიჩი, აგრეთვე ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორიაზე მიმდინარე საბრძოლო ოპერაციების დროს მასობრივ მკვლელობებში ექვმიტანილი სხვლე მეთაურები. ამას გარდა, ასევე ფუნქციონირებს რამდენიმე რეგიონალური მასშტაბის საერთაშორისო სასამართლოც, მაგალითად – ევროგაერთიანების საერთაშორისო სასამართლო ლუქსემბურგში და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო – სტრასბურგში.

მართლმსაჯულების ერთ-ერთ უმთავრეს – ლიბერალურ-დემოკრატიულ სისტემებში კი განმსაზღვრელ ფაქტორს – მოსამართლეთა სრული დამოუკიდებლობა და არაპოლიტიზირება წარმოადგენს. სწორედ ამაში ხედავენ კანონმდებლობისა და პოლიტიკის გამიჯვნის სასიცოცხლოდ აუცილებელ წინაპირობას; თუმცა, მართლმსაჯულების ამგვარი ხატი მუდამ მაცდურია: ალბათ უფრო მართებული იქნებოდა, რომ მასში არა უბრალოდ საკანონმდებლო, არამედ სწორედ პოლიტიკური ინსტიტუტი დაგვეჩინა. როგორც სასამართლო პროცესების მთავარი მოქმედი და პასუხისმგებელი პირები, სხვადასხვა სასამართლო ინსტანციის მოსამართლეები გადამწყვეტ როლს ასრულებენ ისეთ ნათლად გამოკვეთილ პოლიტიკურ პროცესებში, როგორცაა კონფლიქტის გადაჭრა და სახელმწიფო ხელისუფლების ლეგიტიმაცია. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება გაჩნდეს ორი შეკითხვა: ა) შეინიშნება თუ არა მსაჯულთა მიერ თავიანთი სამსახურეობრივი საქმიანობის ფარგლებში გარკვეული პოლიტიკური მოტივები და ბ) ახდენენ თუ არა მოსამართლეები გარკვეულ ზემოქმედებას პოლიტიკურ პროცესებზე იმ გაგებით, რომ პოლიტიკოსებს აიძულებენ პასუხი აგონ საკუთარ ქმედებებზე?

*არიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკური ფიგურები?*

ზოგიერთი პოლიტიკური სისტემის პირობებში სასამართლოს მოუკერძოებლობისა და არაპარტიულობის მოთხოვნებს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება. ამის ნათელი მაგალითი გახლავთ კომუნისტური რეჟიმები, სადაც “სოციალისტური წყობილების დაცვის პრინციპი” პირდაპირ ავალდებულებდა მოსამართლეებს სასამართლო გადაწყვეტილება მარქსიზმ-ლენინური პოზიციიდან გამომდინარე გამოეტანათ. გერმანიაშიც, 1933 წელს ნაციონალ-სოციალისტური პარტიის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ სასამართლო ხელისუფლების საქმიანობა ნაცისტური ხელისუფლების მიერ მკაცრად კონტროლდებოდა. ნაცისტები სწორედ რომ სასამართლოს მეშვეობით ახორციელებდნენ იდეოლოგიურ რეპრესიებსა და პოლიტიკურ დევნას.

მოსამართლეთა “გაპოლიტიკურობა” ორ შემთხვევაშია ყველაზე უფრო მოსალოდნელი: გარეგანი ზეწოლისა თუ შინაგანი გაორების შედეგად. პირველი ფაქტორი მაშინ იჩენს თავს, როდესაც პოლიტიკური პარტიები, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ახერხებენ საკუთარი ნება მოახვიონ სასამართლო ხელისუფლებას; შინაგანი გაორების ფაქტორი კი თავად მოსამართლეთა მიკერძოების თუ სიმპატია-ანტიპატიების განწყობილებით შეიძლება იქნეს ახსნილი. გარეგანი ზეწოლის შეკავება სწორედ სასამართლო დამოუკიდებლობის პრინციპის პატივისცემის შემთხვევაშია შესაძლებელი: იმ ქვეყნების უმრავლესობაში, სადაც ლიბერალურ – დემოკრატიული იდეოლოგიაა გამეფებული, სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობა დაცულია მოსამართლეთა თანამდებობრივი ხელშეუხებლობითა და მათი ავტორიტეტით. თუმცა, ამ სისტემის პირობებშიც კი არსებობს გარკვეული



გამონაკლისებიც, რომელიც არ გამორიცხავს პოლიტიკური ინსტიტუტების ჩარევას მართლმსაჯულების სფეროს დაკომპლექტების პროცესში – განსაკუთრებით, არჩევნებისწინა პერიოდში.

აშშ-ში, მაგალითად, “კეთილსინდისიერი სამსახურის” შემთხვევაში მოსამართლემ სიცოცხლის ბოლომდე შეიძლება შეინარჩუნოს თანამდებობა; ამ ქვეყანაში უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეები ამერიკის პრეზიდენტის მიერ ინიშნება, ხოლო მათი კანდიდატურების დამტკიცება სენატის მიერ ხორციელდება და ამ შემთხვევაში, მათი პოლიტიკური შეხედულებები თუ პარტიული სიმპატიები არცთუ უმნიშვნელო ამბავია. გაერთიანებულ სამეფოში ყველა მოსამართლე მოქმედი ხელისუფლების მიერ ინიშნება, უზენაეს მსაჯულებს კი, ლორდ-კანცლერის წარდგენის თანახმად უშუალოდ პრემიერ-მინისტრი ამტკიცებს. შესაბამისად, პოლიტიკურ მოტივაციებს აქაც დიდი ყურადღება ენიჭება.

საფრანგეთის საკონსტიტუციო სასამართლო, რომელიც უფლებამოსილია დაადგინოს კანონების კონსტიტუციურობა და შესაბამისად, გარკვეულ ჩარჩოებში მოაქციოს როგორც ასამბლეა, ისე აღმასრულებელი ხელისუფლებაც, განსაკუთრებით გამოირჩევა თავისი პოლიტიკური ელფერით. მისი წევრების უმრავლესობა საკმაო გამოცდილების მქონე პოლიტიკოსები არიან და არა პროფესიონალი მოსამართლეები. ამ სასამართლოს ერთ მესამედს პრეზიდენტი ნიშნავს, ერთს – ნაციონალური ასამბლეა და ერთსაც სენატი, რაც ძალზე ხშირად, პარტიული სიმპატიების ნიშნით ხდება.

*ქმნიან თუ არა მოსამართლეები პოლიტიკას?*

გამომდინარე იქიდან, რომ კანონს შინაარსით სწორედ მოსამართლენი “ტვირთავენ”, ისინი ავტომატურად პოლიტიკურ პროცესებშიც ჩართულნი არიან. მათი ჩართულობა პოლიტიკურ პროცესებში იმის შესაბამისად განისაზღვრება, რამდენად ნათლად და დეტალურადაა წარმოდგენილი ესა თუ ის კანონი, რამდენად იძლევა ინტერპრეტაციის საშუალებას, რომელი კონკრეტული კონსტიტუცია - დაწერილი თუ დაუწერიელი მოქმედებს ქვეყანაში და ფლობენ თუ არა მოსამართლეები სამართლებრივი შესწორებების შეტანის უფლებას.

## **თავი 28. საკანონმდებლო ორგანოები**

საკანონმდებლო ორგანოებს (რიგ შემთხვევებში მათ პარლამენტი ეწოდებათ, რიგ შემთხვევაში ასამბლეა, კონგრესი და ა.შ.) წამყვანი ადგილი უკავიათ სახელისუფლებო სტრუქტურაში. ტრადიციულად, ისინი განსაკუთრებული პატივისცემითა და სტატუსით სარგებლობდნენ, რადგანაც ხალხის მიერ არჩეული წარმომადგენლებისაგან შედგებიან. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ დაწერილი კონსტიტუციის პირობებში ხელისუფლების ამ შტოს აღმასრულებელი და

სასამართლო ხელისუფლებებთან შედარებით უპირატესი, უფრო საპატიო ფუნქცია ეკისრება. ამგვარი პატივისცემის მიზეზი კი გახლავთ ის, რომ უმეტეს შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოები ხალხის ნდობით აღჭურვილი, ღირსეული ადამიანებითაა წარმოდგენილი და არა სახელმწიფო ბიუროკრატებით. მეტიც, ისინი ეროვნული სათათბიროს, საზოგადოებრივი ფორუმის ფუნქციას ასრულებენ, სადაც საჯაროდ ხორციელდება სამთავრობო პოლიტიკისა და ქვეყნისათვის საჭირო როტო საქმეების განხილვა.

### *საპარლამენტო ორგანოთა მნიშვნელობა*

თითქმის ერთი და იგივე დანიშნულების მქონე პოლიტიკურ ინსტიტუტებს სხვადასხვა ქვეყანაში სხვადასხვა სახელი ეწოდებათ: კონგრესი (აშშ), ეროვნული ასამბლეა (საფრანგეთი), წარმომადგენლობითი პალატა (იაპონია), პარლამენტი (სინგაპური, საქართველო, გაერთიანებული სამეფო), დეპუტატთა სათათბირო (ესპანეთი) და სხვ. ხშირ შემთხვევაში საკანონმდებლო სტრუქტურებს ასამბლეად, ან პარლამენტად მოიხსენიებენ ხოლმე.

სახელის მიუხედავად, აღნიშნული ინსტიტუტების მთავარ დანიშნულებას კანონშემოქმედება წარმოადგენს: საერთოდ კი, როგორც საზოგადოებისათვისაა ცნობილი, სულ სამი სახელისუფლებო შტო გამოიყოფა, რომელთაგანაც:

საკანონმდებლო ქმნის კანონს და უზრუნველყოფს კანონმდებლობის ამოქმედებას. აღმასრულებელი აღასრულებს კანონს.

სასამართლო – განმარტავს კანონს და არბიტრის ფუნქციას ასრულებს.

### *საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემები*

ნებისმიერი პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთ მთავარ დამახასიათებელ ფაქტორს პარლამენტსა და მთავრობას, ანუ – საკანონმდებლო ორგანოსა და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ურთიერთობა და მათ შორის უფლებამოსილებათა გამიჯვნა წარმოადგენს.

იმ სახელმწიფოებში, სადაც ლიბერალური დემოკრატიის პოლიტიკური თუ სამართლებრივი ნორმები დომინირებს, საპარლამენტო მმართველობის ამა თუ იმ ფორმას ენიჭება უპირატესობა. ხშირ შემთხვევებში, ეს ბრიტანული საპარლამენტო მოდელის ერთგვარ მაგალითს წარმოადგენს. “პარლამენტთა დედად” წოდებული უენსტმინსტერის პარლამენტი XIII საუკ. შეიქმნა, როდესაც ბრიტანეთის მონარქმა სამეფო კარზე ქალაქის შეძლებული ფენის წარმომადგენლები დაუშვა და დიდგვაროვნების უფლებები განსაზღვრა. ამ მოვლენამ საფუძველი ჩაუყარა ორი სხვადასხვა (თემთა და ღორდთა) პალატის ჩამოყალიბებას. აღნიშნული

ინსტიტუტები პარლამენტის ფარგლებში XIV საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა, და მასში წარმოდგენილები იყვნენ როგორც რაინდები და შექმნილები, ასევე დიდგვაროვანი და ღვთისმსახურნი. თუმცა, პარლამენტის უზენაესობა სამეფო ხელისუფლებასთან მიმართებაში 1688 წლის “დიდი რევოლუციის” შემდეგ აღიარეს, ხოლო საკანონმდებლო ორგანოს წინაშე მთავრობის ანგარიშვალდებულების მექანიზმის ამოქმედება მხოლოდ XIX საუკ. დემოკრატიული ძვრების შედეგად იქნა უზრუნველყოფილი.

ანალოგიური საპარლამენტო სისტემები ჩამოყალიბებულ იქნა გერმანიაში, შვედეთში, ინდოეთში, იაპონიაში, ახალ ზელანდიასა და ავსტრალიაში. ამ ქვეყნების პოლიტიკური სისტემების მთავარი საერთო მახასიათებელი გახლავთ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ურთიერთდამოკიდებულება. ანუ, მთავრობა საპარლამენტოა იმ თვალსაზრისით, რომ მას საკანონმდებლო ორგანო აყალიბებს და ეს ფაქტორი კი აღმასრულებელი ხელისუფლების საკანონმდებლოს წინაშე ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს. ასეთი სისტემების უპირატესობა ქმედითუნარიან და თან პასუხისმგებელ ხელისუფლებაში უნდა ვეძიოთ.

სამწუხაროდ, საპარლამენტო სისტემები, ხშირად ვერ ამართლებენ ხოლმე ამ დიდ მოლოდინს: რა თქმა უნდა, არსებობს შვედეთის მაგალითი, სადაც საკანონმდებლო ორგანო რიგგადასვს ძლიერი პოლიტიკური გავლენა გააჩნია და მთავრობასთან მუქარის ენით საუბრის წარმოების არანაირი საჭიროება არ არსებობს, მაგრამ საპარლამენტო მმართველობა რიგ შემთხვევებში აღმასრულებელი ხელისუფლების უპირატესობის ნიშნითაა ხოლმე დადდასმული, ასეა, ვთქვათ, გაერთიანებულ სამეფოში, სადაც მკაცრი პარტიული დისციპლინისა და არაპროპორციული საარჩევნო სისტემის ერთობლიობა თითქმის ყველა მთავრობას აძლევს პარლამენტზე გავლენის მოპოვების საშუალებას – თემთა პალატაში მორჩილი და ერთგული უმრავლესობის, ანუ მთავრობის წევრთა თანაპარტიელების წყალობით.

საპარლამენტო მმართველობის ალტერნატიულ მოდელს საპრეზიდენტო მმართველობა წარმოადგენს და იგი სახელისუფლებო შტოებს შორის კომპეტენციათა მკაცრი დანაწილების პრინციპზეა დამყარებული. აღნიშნული სისტემის ერთ-ერთ დამახასიათებელ ფაქტორს წარმოადგენს ის, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება კანონით ერთმანეთისაგან დამოუკიდებელია, ამის მთავარი მიზეზი გახლავთ ის, რომ ორივე სხვადასხვა დროს არის არჩეული. ამის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აშშ, სადაც კონსტიტუციის ავტორები მაქსიმალურად ცდილობდნენ, რომ “კონტროლისა და ბალანსის” პრინციპზე დაფუძნებული საპრეზიდენტო რესპუბლიკა ბრიტანულ მონარქიას არ ჩანაცვლებოდა. ამ ნაბიჯით, პირველივე ეტაპზე, მეტისმეტად ძლიერი აღმასრულებელი ხელისუფლების წარმოქმნის შესაძლებლობა მინიმუმამდე იქნა

დაყვანილი. ამის შედეგად, აღნიშნული სისტემის მთავარ ღირსებას წარმოადგენს ის, რომ შენარჩუნებულ იქნა და მოქმედებს დემოკრატიის ერთ-ერთი მთავარი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, ხელისუფლების არც ერთ შტოს არ გააჩნია საშუალება, ბოროტად გამოიყენოს ძალაუფლება და უზულებელყოს კონსტიტუციის მთავარი ნორმები.

აშშ-ის გარდა, საპრეზიდენტო სისტემები მოქმედებენ ლათინური ამერიკის ქვეყნების უმრავლესობაში, საფრანგეთში კი, მეხუთე რესპუბლიკის დროს, ე.წ. ნახევრად-საპრეზიდენტო სისტემის სინთეზი იქნა ჩამოყალიბებული. ამ სისტემაში “ორმაგი აღმასრულებლის” ფუნქციას ასრულებენ ცალკე, მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი თავისი კაბინეტით, რომელიც ეროვნული ასამბლეის წევრებისაგან ყალიბდება და მინისტრებიც უშუალოდ ამ საკანონმდებლო ორგანოს წინაშე არიან ანგარიშგაღებულნი.

საპრეზიდენტო სისტემის მთავარი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების გამიჯვრებით უზრუნველყოფილია პიროვნული უფლებები და თავისუფლებები.

#### *საკანონმდებლო ორგანოთა დანიშნულება*

მართალია, საკანონმდებლო ორგანოს ფუნქციები სხვადასხვა სახელმწიფოებში და პოლიტიკური სისტემების პირობებში ერთმანეთისაგან გარკვეულწილად განსხვავებულია, ხელისუფლების ეს შტო ნებისმიერ შემთხვევაში მაინც საკმაოდ რთულ საქმეს ასრულებს. უპირველეს ყოვლისა, ასეთი ორგანო ხელს უწყობს ერთმანეთთან ხელისუფლებისა და ხალხის დაკავშირებას; მას შეუძლია როგორც ხელისუფლების მხარდაჭერა და რეჟიმის განმტკიცება, ასევე – იგივე ხელისუფლების იძულება, რათა ამ უკანასკნელმა საზოგადოების სურვილები და მოთხოვნები გაითვალისწინოს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკანონმდებლო ორგანოთა ძირითადი დანიშნულებას წარმოადგენს:

- კანონმდებლობის ჩამოყალიბება;
- წარმომადგენლობითობის უზრუნველყოფა;
- პოლიტიკური პროცესების ზედამხედველობა;
- პოლიტიკური ინსტიტუტების დაკომპლექტება;
- კანონიერების შენარჩუნება (Heywood. 2007. P.425).

#### *კანონშემოქმედება*

კანონპროექტების წარდგენა და კანონების შექმნა ხშირად პარლამენტისა თუ ასამბლეის უმთავრეს ფუნქციად განიხილება, რაზედაც თვითონ ხელისუფლების აღნიშნული შტოს – “საკანონმდებლო” სახელწოდება მიუთითებებს. ამას ორი ძირითადი მიზეზი განაპირობებს: ჯერ ერთი, საკანონმდებლო ორგანო დეპუტატთა იმ თავყრილობას წარმოადგენს, სადაც საჯაროდაა შესაძლებელი შემოთავაზებულ კანონპროექტებზე მსჯელობა და კამათი; და მეორე: თავად პარლამენტის მოწყობის წესი გულისხმობს, რომ კანონებს უშუალოდ “ხალხი ქმნის”. მაგრამ, ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ საკანონმდებლო ორგანო იშვიათად ფლობს ერთპიროვნულ საკანონმდებლო უფლებამოსილებას და საკონსტიტუციო სამართალი, როგორც წესი, მისი კომპეტენციის მიღმა რჩება. ასე მაგალითად, ირლანდიაში კონსტიტუციაში შესატანი შესწორებები რეფერენდუმების, ბელგიაში კი - განსაკუთრებული საკონსტიტუციო შეთანხმების საფუძველზე ხორციელდება.

### *წარმომადგენლობითობა*

საკანონმდებლო ორგანო, როგორც ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის დამაკავშირებელი რგოლი, თეორიულად მაინც, მნიშვნელოვან როლს თამაშობს წარმომადგენლობითობის თვალსაზრისით. აღნიშნულის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს წარმოადგენს XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თანამედროვე აშშ-ის ტერიტორიაზე განვითარებული მოვლენები, როდესაც 13-მა ამერიკულმა კოლონიამ დაიწყო ბრძოლა ბრიტანეთის მმართველობის წინააღმდეგ შემდეგი დევიზით, “თუ ჩვენ წარმომადგენლობა არ გვეყოლა, არც ბეგარას გადავიხდით” (Heywood. 2007. P.425).

წარმომადგენლობა თავისთავად, რთული პრინციპია და მას რამდენიმე ურთიერთდაპირისპირებული ნიშან-თვისება გააჩნია. ასე მაგალითად, საპარლამენტო სისტემის ბრიტანული, ამ ქვეყნის ტრადიციებზე აღმოსცენებული ე.წ. უესტმინსტერული მოდელი პარლამენტის წევრებს იმ ნდობით აღჭურვილ პირებად განიხილავს, რომელთა უპირველესი პასუხისმგებლობაც საკუთარი ჭკუა-გონებით მოქმედებაა – ამომრჩეველთა ნების შესაბამისად.

ამავე დროს, ასევე განიხილება წარმომადგენლობის საპირისპირო თეორია, ანუ სამანდატო დოქტრინა, რომელიც წარმომადგენლობის პრინციპის განხორციელების მთავარ საშუალებად სწორედ პარტიებს მიიჩნევს და არა ზოგადად საკანონმდებლო ორგანოს. მაგალითად, ამერიკის კონგრესსა თუ სენატში საკანონმდებლო ორგანოს წევრებს ძალიან დიდი სურვილი გააჩნიათ, რათა მოცემულ ორწლიან ვადაში მაქსიმალური რესურსების მობილიზებით განახორციელონ თავიანთი საკანონმდებლო საქმიანობა და საკუთარ ამომრჩეველებს სარგებელი მოუტანონ.

### *ზედამხედველობა და მეთვალყურეობა*

პარლამენტთა საკანონმდებლო და წარმომადგენლობით დანიშნულებასთან ერთად, სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა საკანონმდებლო ორგანოთა უნარს, კონტროლი და ზედამხედველობა გაუწიონ აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას. ამ მიზნით, ასამბლეათა უმრავლესობამ შესაბამისი ინსტიტუციური მექანიზმებიც კი ჩამოაყალიბა. ასე მაგალითად, საპარლამენტო სისტემებში საყოველთაოდ გავრცელებული მინისტრების პერიოდული ზეპირი თუ წერილობითი “დაკითხვა” და ბრიტანულ თემთა პალატაში ამ საქმიანობისათვის საამისოდ საგანგებო “კითხვა-პასუხების” დროცაა გათვალისწინებული. გერმანიასა და ფინეთში უფრო შორსაც წავიდნენ და პარლამენტში კენჭისყრის მეთოდით ამოწმებენ მინისტრთა პასუხების დამაჯერებლობას.

საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილებებს ასევე მიეკუთვნება ნებისმიერი ინფორმაციის გამოთხოვა აღმასრულებელი ხელისუფლების შესაბამისი სტრუქტურების მხრიდან.

### *პოლიტიკური ინსტიტუტების დაკომპლექტება*

წესით და რიგით, ქვეყნის პარლამენტი, პოლიტიკოსების “სამჭედლოს” უნდა წარმოადგენდეს, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყნებში, პოლიტიკაში ჩართვის სურვილის მქონე ადამიანებს ნაკლებად მიუწევთ გული ფორმალური პარლამენტებისაკენ, ხოლო საპრეზიდენტო სისტემებში, ძალაუფლების დაყოფის გამო, იმთავითვე გამორიცხულია აღმასრულებელი ხელისუფლების შევსება არსებული პარლამენტის თუნდაც გამორჩეულ წევრთა ხარჯზე. ამერიკაში ბოლო პერიოდში გავრცელებული ტენდენციის თანახმად, პრეზიდენტებად ძირითადად, ყოფილი გუბერნატორები ირჩევიან, თუმცა კენედიმ და ნიქსონმა პირველი ნათლობა კონგრესის წევრთა რანგში მიიღეს. რაც შეეხება საპარლამენტო სისტემებს, აქ დეპუტატობა ბევრადაა დამოკიდებული მინისტრებისა და პრემიერ-მინისტრების კარიერაზე, რაც ხშირად ორივე სკამის შენარჩუნების შესაძლებლობასაც კი არ გამორიცხავს. ბევრ სახელმწიფოში სწორედ საკანონმდებლო ორგანოში არჩევენ და ამზადებენ პოლიტიკური ლიდერების ახალ თაობას – რაც მათი პოლიტიკური კარიერის წარმატების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობას წარმოადგენს.

### *კანონიერების შენარჩუნება*

პარლამენტ/ასამბლეის საბოლოო ფუნქციად მაინც არსებული ხელისუფლებისათვის ლეგიტიმურობის მინიჭების პრინციპი განისაზღვრება. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს იმას, რომ რომ ავტორიტარული და თვით ტოტალიტარული სახელმწიფოებიც კი აღიარებენ საკანონმდებლო ორგანოთა აუცილებლობას, თუმცა, ნათელია, რომ ისეთ ქვეყნებში, სადაც ყველანაირი დემოკრატიული ნორმა უარყოფილია, ხელისუფლების ამ შტოს არანაირი

დამოუკიდებელი საკანონმდებლო და პოლიტიკური ძალა არ გააჩნია. განვითარებული დემოკრატიის ქვეყნებშიც კი, განსაკუთრებით კი ელექტრონული და ბეჭდური მასმედიის განვითარების შემდგომ პერიოდში, საკანონმდებლო ორგანოთა პროპაგანდისტული ფუნქციები ტელევიზიამ, რადიომ და გაზეთებმა გადაინაწილეს და ამან კი ხელისუფლებას მისცა იმის საშუალება, რომ საპარლამენტო დებატებში ჩართვის სანაცვლოდ, უშუალოდ მიემართა მილიონობით ამომრჩევლისადმი. ამგვარად, საკანონმდებლო ორგანოთა გავლენა სულ უფრო დამოკიდებული ხდება არა მათ კონსტიტუციურ სტატუსზე, არამედ იმ ყურადღებაზე, რომელსაც მედია ანიჭებს საპარლამენტო საქმიანობას.

### *საკანონმდებლო ორგანოთა სტრუქტურა*

სხვადასხვა ქვეყნებში საკანონმდებლო ორგანოთა შემადგენლობა ერთმანეთისაგან განსხვავებულია. რა თქმა უნდა, ძირითად შემთხვევაში იგი გახლავთ არჩევითი, თუმცა, რიგ შემთხვევებში იგი შესაძლოა იყოს დანიშნადი, ან სულაც შთამომავლობითი (ბრიტანეთის ზედა პალატის შემთხვევაში). როცა არჩევითობას ეხება საქმე, საკანონმდებლო ორგანოთა პარტიულ სტრუქტურას და პოლიტიკურ ძალთა განაწილებას მოსახლეობა და მისი რაოდენობა განსაზღვრავს – თანაბარი ზომის საარჩევნო ოლქების, შტატებისა თუ რეგიონების სახით; ხოლო საარჩევნო ხმის უფლება სხვადასხვა ტიპის საარჩევნო სისტემების ფარგლებში შესაძლოა შეზღუდული ან საყოველთაო იყოს. ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება პარლამენტართა რიცხოვნობაც: ასე მაგალითად, ჯუჯა რესპუბლიკა ნაურუს საკანონმდებლო ორგანოში სულ 18 წევრია და თითოეული მათგანი დაახლოებით 440 ამომრჩეველს წარმოადგენს. მეორეს მხრივ, ჩინეთის სახალხო კონგრესი 3000 წევრითაა დაკომპლექტებული და თითოეული დეპუტატის უკან 350000 ამომრჩეველი მოიაზრება. თუმცა, საკანონმდებლო ორგანოთა ძირითადი განმასხვავებელი ნიშანი მხოლოდ მათში პალატების რაოდენობითა და მათი საკომიტეტო სისტემათა წესით განისაზღვრება (Heywood. 2007. P 427).

### *ერთი პალატა თუ ორი?*

იშვიათი გამონაკლისის გარდა, მსოფლიო პარლამენტთა უდიდესი უმრავლესობა ერთ ან ორპალატიანია. ერთპალატიანი საკანონმდებლო ორგანოები, ჩვეულებრივ გვხვდება აფრიკის ქვეყნების უმეტესობაში, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში და იმ პოსკომუნისტურ ქვეყნებში, სადაც ეს ტრადიცია წარსულის გადმონაშთად შემორჩა. თუმცა, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, ბევრმა ქვეყანამ ერთპალატიანი პარლამენტის შექმნა ამჯობინა: 1948 წ. ისრაელში ერთპალატიანი ქნესეტი შეიქმნა. ახალ ზელანდიაში (1950), დანიაში (1954) და შვედეთში (1970) მეორე პალატები გააუქმეს. ბევრი ექსპერტის აზრით, აღნიშნული ქმედების მთავარი მიზეზი შეიძლება

ყოფილიყო ის ფაქტი, რომ ერთპალატიანი პარლამენტი უფრო მიზანდასახული და ქმედითუნარიანია (Heywood. 2007. P 428).

როგორც კონტროლისა და დაბალანსების მექანიზმი, ორპალატიანობა, ჩვეულებრივ, ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის ქვაკუთხედად მიიჩნევა. სწორედ აღნიშნული საკითხის განხილვა მიმდინარეობდა ამერიკის “მამა-დამფუძნებელთა” შორის 1787 წ. ამერიკული კონსტიტუციის ჩამოყალიბებისა და ცალკეული მუხლების განხილვის პროცესში. თუ შედარებით ადრინდელ პერიოდში მეორე პალატები (მაგ: ლორდთა პალატა დიდ ბრიტანეთში) ხელისუფლების მძლავრი ეკონომიკური და საზოგადოებრივი ინტერესების გამოსატყვის საშუალებად ითვლებოდა, ჯეიმზ მედისონი, თომას ჯეფერსონი, ჯორჯ ვაშინგტონი და სხვა მათი თანამოაზრე დელეგატები ამერიკულ სენატში – ზედა პალატაში ხელდავდნენ მთავრობის დაბალანსების საშუალებას, რასაც აღმასრულებელი ხელისუფლების სრული გაბატონებისათვის უნდა შეეშალა ხელი.

ორპალატიანი პარლამენტის უპირატესობანი წარმომადგენლობითობის თვალსაზრისით ყველაზე უფრო მეტად თავს იჩენს ფედერალურ სახელმწიფოებში, სადაც უფლებამოსილებათა განაწილება მუდმივად ქმნის გადაუჭრელი კონფლიქტების საფრთხეს ცენტრსა და პერიფერიას შორის. სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ მსოფლიოს 16-ე იმ სახელმწიფოში, სადაც ქვეყნის ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის ფედერალური ფორმაა დანერგილი, ორპალატიანი საკანონმდებლო ხელისუფლება მოქმედებს და მათგან 14-ში, მეორე პალატა პროვინციებისა და მასში შემავალი შტატებისა თუ ფედერალური მიწების წარმომადგენლობისთვისაა გათვალისწინებული.

### *საკომიტეტო სისტემები*

საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობაში მოქმედი კომიტეტების საქმიანობა, ხშირად თანამედროვე პოლიტიკის გამორჩეულ ნიშან-თვისებად განიხილება: თუ პარლამენტის იმ სხდომათა დარბაზს, სადაც სესიები მიმდინარეობს, ერთგვარ “სალაყბოსაც” კი უწოდებენ, კომიტეტები შეიძლება გადაწყვეტილებების “სამჭედლოდ” მოვიხსენიოთ. როგორც ამერიკის პრეზიდენტმა, ვუდრო ვილსონმა აღნიშნა, “კონგრესის მმართველობა – საკომიტეტო მმართველობაა, კონგრესის სესია – საჯარო სანახაობა. საქმე სწორედ კომიტეტებში კეთდებაო” (Heywood. 2007. P. 431).

შესაბამისად, ის საკანონმდებლო ორგანო ითვლება ძლიერად, რომელსაც კომიტეტებიც ძლიერი ჰყავს.

საპარლამენტო კომიტეტები, ჩვეულებრივ, სამი ძირითადი ფუნქციიდან ერთ რომელიმეს ასრულებენ: ჯერ ერთი, მათ გააჩნიათ იმის საშუალება, რომ საკანონმდებლო და ფინანსური პროექტების დეტალური გეგმა შეიმუშავონ. მეორეც,



კომიტეტები შესაძლოა ჩამოყალიბებულ იქნეს სამთავრობო ადმინისტრაციის ზედამხედველობისა და აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის გასაკონტროლებლად. მესამეც, რიგ შემთხვევებში, ე.წ. ად ჰოკ (ad hoc) კომიტეტები საზოგადოებისათვის საჭირობო საკითხების გამოსაძიებლად ყალიბდება.

### *საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობა*

საკანონმდებლო ორგანოთა საქმიანობის შეფასება კიდევ იმიტომაცაა რთული, რომ მათი მოქმედების არე მეტად ფართოა. ისმის კითხვა, რის მიხედვით უნდა განისაზღვროს მათი მოღვაწეობის ხარისხიანობა – მიღებული კანონების აკარგვიანობით, თანხმობის მიღწევით, საზოგადოებრივი აზრის გამოხატვითა თუ სხვა რამ საზომით? პოლიტიკური თვალსაზრისით, უმთავრესი მაინც ის გახლავთ, რამდენად განსაზღვრავენ ან რა გავლენას ახდენენ ისინი მთავრობის რეალურ საქმიანობაზე, რა ურთიერთობა მყარდება საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებათა შორის და როგორ ინაწილებენ ისინი ძალაუფლებას. ამ კუთხით, მსოფლიოში არსებული ყველა საკანონმდებლო ორგანო სამ ძირითად კატეგორიად შეგვიძლია დავეყოთ:

პოლიტიკის “მკეთებელი” საკანონმდებლო ორგანოები, რომელთაც დამოუკიდებლობის მაღალი ხარისხი გააჩნით;

პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მქონე საკანონმდებლო ორგანოები, რომელთაც მხოლოდ პროცესის სახეცვლილება შეუძლიათ – აღმასრულებელთა ინიციატივებზე რეაგირების გზით;

საკანონმდებლო ორგანოები, რომლებზეც აღმასრულებელ ხელისუფლებას დიდი გავლენა აქვს და ფაქტიურად, სიმბოლური პარლამენტი მთავრობის გადაწყვეტილებების ბრმად დაკანონების ფუნქციით კმაყოფილდება.

### **თავი 29. აღმასრულებელი ხელისუფლება**

აღმასრულებელი ხელისუფლება მმართველობის აუცილებელ შემადგენელ მიმართულებას წარმოადგენს. ამა თუ იმ ქვეყნის პოლიტიკურმა სისტემამ შეიძლება იფუნქციონიროს კონსტიტუციის, საკანონმდებლო ორგანოს, მართლმსაჯულებისა და თვით პოლიტიკური პარტიების გარეშე, ოღონდ არ არსებობს სისტემა, სადაც აღმასრულებელი შტო არ განსაზღვრავს პოლიტიკურ კურსს და პოლიტიკური პროცესების მართვას არ უზრუნველყოფდეს. პოტენციურად, აღმასრულებელი ხელისუფლების რესურსი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მსოფლიო ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე, სხვადასხვა სახელმწიფოში ხშირად მიუმართავთ მისი შეკავებისა თუ მოთოკვის ამა თუ იმ მეთოდისათვის, იქნებოდა ეს სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევის მცდელობა თუ აუცილებელი ანგარიშვალდებულების დაწესება

ასამბლეის, სახალხო კრებისა თუ მოქალაქეთა და ქვეშევრდომთა (მონარქიის შემთხვევაში) წინაშე.

### *აღმასრულებელი ხელისუფლების მნიშვნელობა*

*ვინ ვინაა აღმასრულებელ ხელისუფლებაში?*

ხელისუფლების ეს შტო, პირდაპირი მნიშვნელობით, პოლიტიკის აღსრულებასა თუ გატარებაზეა დამოკიდებული. მაგრამ, ამავე დროს, მისი საქმიანობა გაცილებით უფრო ფართო და რთულია. მრავალფეროვანია აღმასრულებელი შტოს სტრუქტურის შემადგენლობაც – მისი წევრების დაჯგუფების პროცესში რამდენიმე ძირითადი ნიშანი გამოიკვეთება: ჯერ ერთი, ერთმანეთისაგან ხშირად გამოყოფენ “პოლიტიკურ” და “ბიუროკრატიულ” ინსტიტუტებს; ამ შემთხვევაში ხაზგასმულია განსხვავება პოლიტიკოსებსა და საჯარო მოხელეებს, ხოლო უფრო ზოგადად კი – საკუთრივ პოლიტიკასა და ადმინისტრირებას შორის. მეორეც, თავად აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები, მდგომარეობის, ფუნქციებისა მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის კუთხით, სხვადასხვა საფეხურზე იმყოფებიან. თუკი საკანონმდებლო ორგანო საკუთარი წევრების ფორმალურ თანასწორობას მაინც აღიარებს, აღმასრულებელი ხელისუფლების სტრუქტურა გამოკვეთილად პირამიდულია და აშკარად იერარქიულ ხასიათს ატარებს.

აღმასრულებელი ხელისუფლების პოლიტიკურ და ბიუროკრატიულ თანამდებობებს შორის განსხვავება ნათლად ვლინდება საპარლამენტო მოდელის შემთხვევაში, სადაც აშკარა სხვაობა შეინიშნება კადრების შერჩევის, ფუნქციებისა და მოვალეობების განაწილების, სტატუსისა და პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით. ხელისუფლების აღნიშნული შტო არჩეული პოლიტიკოსებისგანაა შემდგარი: მთავრობის წევრების კანდიდატურებს საკანონმდებლო ორგანოს შემადგენლობიდან ირჩევენ და მინისტრებიც ამ ორგანოს წინაშე არიან ანგარიშვალდებული. მათი მთავარი ვალდებულებაა საკუთარი პარტიის საშინაო და საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების შესაბამისად განსაზღვრონ პოლიტიკა და მისი ცხოვრებაში გატარებაზეც იზრუნონ.

ამავე დროს, საპრეზიდენტო სისტემების (მაგ. აშშ) პირობებში, აღმასრულებელ ხელისუფლებაში ერთადერთი არჩევითი პირი – თავად პრეზიდენტია. კაბინეტის წევრები, ფაქტიურად დანიშნული მოხელეები არიან: ხოლო სხვა მაღალი თუ საშუალო თანამდებობის პირები – პოლიტიკურად მიუკერძოებელი საჯარო მოხელეები და მხოლოდ ამა თუ იმ ადმინისტრაციის შემადგენლობაში დროებით დასაქმებული ხალხია.

### *აღმასრულებელთა პოლიტიკური ფუნქციები*

მოკლედ რომ აღინიშნოს, პოლიტიკურ აღმასრულებელთა ფუნქცია – წინამძღოლობაა. მათ წარმომადგენლებს რამდენიმე მთავარი უფლება და მოვალეობა აქვთ მინიჭებული. მათგან ყველაზე უფრო უნდა გამოიყოს შემდეგი ფუნქციები:

- წარმომადგენლობით/ცერემონიალური მოვალეობები
- პოლიტიკის შემუშავების ზედამხედველობა
- ხალხის პოლიტიკური წინამძღოლობა
- ბიუროკრატის მართვა
- კრიზისებზე რეაგირება (Heywood. 2007. P 446).

### *წარმომადგენლობით/ცერემონიალური მოვალეობები*

სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაურები, აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირები და ზოგჯერ წამყვანი მინისტრებიც კი – სახელმწიფოს “სახეს” წარმოადგენენ. თუმცა, ეს მოვალეობები ძირითადად, ფორმალურ და ცერემონიალურ ხასიათის ატარებენ და ისეთი ღონისძიებების ფარგლებში სრულდება, როგორებიცაა, მაგალითად, ეროვნული დღესასწაულები, უცხოური დელეგაციების/კოლეგათა ვიზიტები, საერთაშორისო ფორუმები თუ სახელმწიფოთაშორისი და სამთავრობათშორისი ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების ხელმოწერა.

### *პოლიტიკის შემუშავების ზედამხედველობა*

აღმასრულებელი ხელისუფლების მთავარ ფუნქციას სახელმწიფო პოლიტიკის პროცესის წარმართვა და კონტროლი წარმოადგენს. მოკლედ რომ ითქვას, მთავრობისგან “მართვას” ითხოვენ და აღმასრულებელი ხელისუფლების პასუხისმგებლობის ზრდისა და მოქმედების არეალის სულ უფრო გაფართოების საპასუხოდ, XX საუკუნეში მისი, როგორც “მენეჯერის” როლი საგრძნობლად გაიზარდა. სწორედ მთავრობისაგან მოელიან იმ მწყობრი ეკონომიკური და სოციალური პროგრამების შედგენას, რომლებმაც თანამედროვე რთული და პოლიტიკურად არაერთგვაროვანი საზოგადოების მოთხოვნილებებს უნდა გასცენ პასუხი.

ამავე დროს, აღმასრულებელი ხელისუფლება, ჩვეულებრივ, არა მარტო საკანონმდებლო პროგრამების პრაქტიკაში დანერგვის ინიციატორად გვევლინება, არამედ ხშირად თავადვე იღებს კანონის ძალის მქონე დეკრეტებს, ბრძანებულებებს, თუ სხვა სახის დადგენილებებს. თუმცა, არ იქნებოდა მართებული რომ გვეფიქრა, რომ პოლიტიკურ პროცესში აღმასრულებელ ხელისუფლებას დომინირებული

პოზიცია უკავია: პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილის ფორმირება მაინც პარტიებსა და ინტერეს-ჯგუფებზეა დამოკიდებული.

### *ხელის პოლიტიკური წინამძღოლობა*

აღმასრულებელი ხელისუფლებისათვის გაცილებით უფრო მეტად, ვიდრე პოლიტიკური სისტემის ნებისმიერი სხვა განშტოებისათვის, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს მოსახლეობის მხარდაჭერა, რაც ზოგადად პოლიტიკური რეჟიმის სტაბილურობის აუცილებელი წინაპირობაა. მთავრობის მიერ განსაზღვრული პოლიტიკური კურსის ცხოვრებაში გატარება ძალზედ ძნელი იქნებოდა საზოგადოების მხარდაჭერის გარეშე. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ხელისუფლების ამ შტოს პოპულარობა პირდაპირაა დაკავშირებული ზოგადად რეჟიმის ლეგიტიმურობასთან.

### *ბიუროკრატის მართვა*

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მთავრობის შესაბამის ინსტიტუტებს პოლიტიკური კურსის შემუშავება და გატარება ევალებათ, აღნიშნულ სტრუქტურებზე დიდი ბიუროკრატიული და ადმინისტრაციული ვალდებულებებიც ვრცელდება. ამ თვალსაზრისით, პრემიერ-მინისტრები, მინისტრები და დეპარტამენტების ხელმძღვანელები, ერთგვარ “დირექტორატს” წარმოადგენენ, რომელიც აღმასრულებელი მანქანის გამართულად მუშაობაზეა პასუხისმგებელი. აღნიშნული საქმიანობა, ძირითადად, დარგობრივი დეპარტამენტების, სამმართველოებისა და განყოფილებების მეშვეობით ხორციელდება და მაღალი თანამდებობის პირები პოლიტიკის კონკრეტულ მიმართულებაზე არიან პასუხისმგებლები, ხოლო ამ სფეროების ადმინისტრირებისათვის საგანგებოდაა ჩამოყალიბებული ბიუროკრატიული აპარატი. ნათელია, რომ ხელისუფლების მაღალ ეშელონებში პოლიტიკის კოორდინირების აუცილებლობაც არსებობს, რაც ჩვეულებრივ, ამა თუ იმ ტიპის კაბინეტური სისტემის მეშვეობით ხორციელდება.

### *კრიზისებზე რეაგირება*

ძირითადი უპირატესობა, რაც აღმასრულებელ ხელისუფლებას საკანონმდებლოსთან შედარებით გააჩნია, გახლავთ სწრაფი და ქმედითი ნაბიჯების დაუყოვნებლივ გადადგმის უნარი. საშინაო თუ საერთაშორისო პოლიტიკაში კრიზისის არსებობის პირობებში, სწორედ ხელისუფლების ეს შტო რეაგირებს დაუყოვნებლივ, საკუთარი იერარქიული მოწყობისა და პიროვნულ ლიდერზე მორგებული სტრუქტურის მეშვეობით. სწორედ ეს გახლავთ რიგ შემთხვევებში იმის ძირითადი მიზეზი, რომ მაგალითად საომარი ვითარების დროს საკანონმდებლო ორგანო აღმასრულებელ ხელისუფლებას ლამის დიქტატორულ ძალაუფლებას ანიჭებს ხოლმე და ასევე, მთავრობის პასუხისმგებლობის ქვეშ ექცევა საგანგებო

მდგომარეობის უზრუნველყოფა იმ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოში ადგილი აქვს ამა თუ იმ სახის კრიზისს, რაც შეიძლება დაკავშირებულ იქნეს სტიქიურ უბედურებასთან, ჰუმანიტარულ კატასტროფასთან, ტერორიზმისა და დივერსიის საფრთხესთან, ეკონომიკურ თუ ფინანსურ კრიზისთან თუ სამოქალაქო დაუმორჩილებლობასთან.

ამავე დროს, არცთუ ისე იშვიათია, როდესაც მთავრობა აღნიშნულ უფლებებს პოლიტიკურ ოპოზიციაზე დარტყმის მისაყენებლად იყენებს, ხოლო ძირითად საბაბს ამ შემთხვევაში კონსტიტუციური წყობილების დაცვა წარმოადგენს.

### *ძალაუფლება აღმასრულებელ შტოში: ვინ დგას საჭესთან*

ხელოანიშნულიდან გამომდინარე, აღმასრულებელი ხელისუფლების გაგენა და პასუხისმგებლობა XX საუკუნის განმავლობაში სულ უფრო გაიზარდა, რამაც მთავრობას სულ უფრო მეტი პოლიტიკური წონა და საკანონმდებლო პასუხისმგებლობა შესძინა, ასევე, მთავრობამ დამატებითი ბიუროკრატიული მართვის მექანიზმებიც აამოქმედა და საჯარო პოლიტიკისა თუ მას-მედიის ძირითადი საშუალებების ყურადღების ცენტრში მოექცა.

აღმასრულებელი ხელისუფლების რთულ საქმიანობაზე დაკვირვება უფრო ადვილი გახდება, თუკი დეტალურად გავაანალიზებთ, რა როლი და ფუნქცია ეკისრებათ პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებსა და მინისტრთა კაბინეტებს. ოღონდ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ სამივე ამ შემთხვევაში ძალაუფლების სამი განსხვავებული გაგება მოიაზრება:

- კანონიერი – როცა აღმასრულებელი ფუნქციები და პასუხისმგებლობის ინსტიტუციონალური ჩარჩოები თავად ქვეყნის უზენაესი კანონით - კონსტიტუციითაა განსაზღვრული;
- არაფორმალური – როდესაც ძლიერია პიროვნების ხიბლი, მისი პოლიტიკური აღლო და გამოცდილება და აგრეთვე, ყურადსაღებია ისეთი ფაქტორების გაგენა, როგორებიცაა პარტიებისა და მას-მედიის როლი;
- რეალური – ანუ პოლიტიკური, ეკონომიკური, და დიპლომატიური გარემოებების ერთობლიობა.

### *პრეზიდენტი*

რესპუბლიკური მმართველობის სისტემის პირობებში პრეზიდენტი სახელმწიფოს ფორმალური, კანონიერი მეთაურია, ისევე როგორც მეფე თუ იმპერატორი მონარქიული ტიპის მმართველობის შემთხვევაში. თუმცა, არსებობს განსხვავება კონსტიტუციურ და აღმასრულებელ პრეზიდენტებს შორის. კონსტიტუციური პრეზიდენტი არსებობს საპარლამენტო რესპუბლიკის ქვეყნებში, მაგალითად,

ინდოეთში, ისრაელის სახელმწიფოში, გერმანიაში, იტალიაში, ესტონეთში და ა.შ. სადაც პრეზიდენტის მოვალეობები ძირითადად წარმომადგენლობით/ცერემონიალურ ხასიათს ატარებს. ასეთი სისტემის ფარგლებში, აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში პრემიერ-მინისტრი და/ან მინისტრთა კაბინეტი იმყოფება. რაც შეეხება აღმასრულებელ პრეზიდენტებს, ამ ტიპის პრეზიდენტი ე.წ. საპრეზიდენტო ან ნახევრადსაპრეზიდენტო მმართველობის სისტემის ფარგლებში ეწევა თავის პოლიტიკურ საქმიანობას.

აღმასრულებელი პრეზიდენტის მმართველობა შეზღუდული ან შეუზღუდავია. შეზღუდული მმართველობა კონსტიტუციით, დემოკრატიული ღირებულებების მოთხოვნებით, პოლიტიკურ პარტიებს შორის კონკურენციითა და ძალაუფლების განაწილების ამა თუ იმ მოდელით დადგენილ ფარგლებში ფუნქციონირებს. შეზღუდული საპრეზიდენტო მმართველობის ყველაზე ცნობილი მაგალითია აშშ. თუმცა ფრანგული და ფინური ტიპის ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემაც ამავე სტანდარტებს შეესაბამება. თავის მხრივ, ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში, პრეზიდენტს ლამის უსაზღვრო ძალაუფლება აქვს მინიჭებული.

შეუზღუდავი აღმასრულებელი ხელისუფლების სათავეში მყოფი ასეთი პრეზიდენტები არიან ცენტრალური აზიის სახელმწიფოებში, ჩრდილოეთ კორეაში, ინდონეზიაში, სირიაში და ა.შ. ამის მაგალითი იყო მუამარ კადაფის მმართველობა ლიბიაში და სადამ ჰუსეინის მმართველობა ერაყში.

იმ საპრეზიდენტო მმართველობის მოდელს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს, სხვადასხვა პერიოდში მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ მიბაძა, განსაკუთრებით ლათინურ ამერიკაში; “ცივი ომის” დასრულების შემდეგ კი უკვე, ძირითადად ნახევრადსაპრეზიდენტო მოდელი დანერგილ იქნა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, მათ შორის პოლონეთში, უნგრეთში, ჩეხეთის რესპუბლიკაში, ბულგარეთში, რუმინეთში და სხვ. როდესაც აშშ-ის კონსტიტუციის “დამფუძნებელი მამები” აღმასრულებელ ხელისუფლებას პრეზიდენტის ინსტიტუტს ანიჭებდნენ, მათ ძალისხმევა არ დაუკლიათ, რომ როგორმე არ დაეშვათ იმდროინდელი (მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდი) ბრიტანეთის მონარქიისათვის დამახასიათებელი ერთპიროვნული მმართველობა და ამიტომაც თავიდანვე გამიჯნეს საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებები. ამგვარად, თუკი ერთის მხრივ, პრეზიდენტი სახელმწიფოს მეთაურად, აღმასრულებელი ხელისუფლების პირველ პირად, შეიარაღებული ძალების მთავარსარდლად და ქვეყნის უპირველეს წარმომადგენლად იქნა აღიარებული, თუკი მას გააჩნია ვეტოს უფლება საკანონმდებლო საქმიანობაში, მეორეს მხრივ, კონგრესსაც ძალზე დიდი გამაწონასწორებელი უფლებამოსილება დაეკისრა. კერძოდ, კონგრესის კომპეტენციას მიეკუთვნება ომის გამოცხადება, პრეზიდენტის ვეტოს გაზიარება თუ

უარყოფა, სენატს კი – როგორც კონგრესის ზედა პალატას, დანიშვნებისა და ხელშეკრულებების რატიფიცირების უფლება მიენიჭა.

შეზღუდული მმართველობის პერიოდში, პრეზიდენტს თავისი პოლიტიკის გასატარებლად 4 მიმართულებით უწევს ურთიერთობების დალაგება:

კონგრესთან;

ფედერალურ ბიუროკრატიასთან;

უზენაეს სასამართლოსთან;

მას-მედიასთან.

ცხადია, ყველაზე დიდი მნიშვნელობა კონგრესს ენიჭება: ამა თუ იმ პრეზიდენტის წარმატების ხარისხი ხშირ შემთხვევებში სწორედ საკანონმდებლო ორგანოში მის რეიტინგზეა დამოკიდებული – რამდენად მისაღები და მხარდაჭერილი იქნება პრეზიდენტის ესა თუ ის საკანონმდებლო ინიციატივა კონგრესისათვის.

პრეზიდენტის გავლენის შემცირება კიდევ უფრო შესამჩნევი ხდება იმ დროს, როდესაც მას ურთიერთობა უხდება უმრავლესობით მოსულ ოპოზიციურ პარტიასთან, როდესაც ეს უკანასკნელი კონგრესზე კონტროლს აწესებს.

თეორიულად, ფედერალური ბიუროკრატია პრეზიდენტს უნდა ექვემდებარებოდეს, რეალურ ცხოვრებაში კი ის ხშირად დამატებით პრობლემებს უქმნის სახელმწიფოს მეთაურს, რადგან საკუთარ ადმინისტრაციაში, მაღალ თუ საშუალო თანამდებობებზე, პრეზიდენტის მიერ დაახლოებით 4000 მოხელე ინიშნება, მაგრამ ამავე დროს ეს ძალზე მცირე რაოდენობაა ამერიკის პროფესიონალ საჯარო ადმინისტრაციის სპეციალისტთა საერთო რიცხვთან შედარებით, რომელთა რაოდენობამაც უკვე 2 მილიონს გადააჭარბა.

არანაკლები სირთულე იჩენს თავს უზენაეს სასამართლოსთან ურთიერთობაშიც: XX საუკ. 50-იანი წლებიდან, სასამართლო ხელისუფლება მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ამერიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში და კონკრეტულად, მას შეუძლია პრეზიდენტზე საკუთარი გავლენის გაზრდა ქვეყნის პოლიტიკური დღის წესრიგის შემუშავების პროცესში. მიუხედავად იმისა, რომ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს პრეზიდენტი ნიშნავს, სენატს შეუძლია არც დაამტკიცოს სახელმწიფოს მეთაურის მიერ წარდგენილი კანდიდატები.

და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელ საკითხს წარმოადგენს პრეზიდენტის ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან. როდესაც ამერიკის პრეზიდენტი კონგრესთან შეუთანხმებლად აპირებს უშუალოდ მიმართოს

მოსახლეობას, მედიას სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება. ამ თვალსაზრისით, რონალდ რეიგანი – როგორც ყოფილი მსახიობი და ჟურნალისტი – განსაკუთრებით წარმატებით ახერხებდა მედიასთან “თბილი” ურთიერთობების დამყარებას. თუმცა, მედია – როგორც პოლიტიკურ პროცესებზე გავლენის გავრცელების ერთ-ერთი ძირითადი საშუალება, შეიძლება პრეზიდენტის მესოტბედ ან მის მესაფლავედ იქცეს. საკმარისია მაგალითად მოვიყვანოთ პრეზიდენტი ნიქსონი, როდესაც 1974 წელს, “უოშინგტონ პოსტმა” დეტალურად გააშუქა უოტერგეიტის სკანდალი, რის შემდეგ აშშ-ის სახელმწიფოს მეთაური იძულებული გახდა დაეტოვებინა თანამდებობა, ან როცა კლინტონის ადმინისტრაციას შეერყა რეპუტაცია – მონიკა ლევენსკისთან პრეზიდენტის “ახლო ურთიერთობის” პრესის მიერ ფართო გაშუქების შედეგად.

საპრეზიდენტო ინსტიტუტის განსხვავებული ფორმებია წარმოდგენილი იმ ნახევრადსაპრეზიდენტო სისტემებში, რომლებიც საფრანგეთში, ავსტრიაში, ფინეთსა და პორტუგალიაში მოქმედებს. ეს გახლავთ შერეული მოდელი, როდესაც მოსახლეობის მიერ არჩეული პრეზიდენტი მთელი რიგი აღმასრულებელი ფუნქციებითაა აღჭურვილი და საპარლამენტო სისტემის მსგავსად, მთავრობა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული. მაგალითად, ფინეთსა და ავსტრიაში აღმასრულებელი ფუნქციები მკვეთრადაა გაყოფილი, რაც პრეზიდენტს საშუალებას აძლევს ყურადღება ძირითადად საგარეო და ზოგად-საკონსტიტუციო საკითხებზე გაამახვილოს, საშინაო და სოციალ-ეკონომიკური პოლიტიკა კი პრემიერ-მინისტრისა და მისი კაბინეტის კომპეტენციას მიეკუთვნება.

### *პრემიერ-მინისტრები*

აღმასრულებელი ხელისუფლების სისტემა და მისი სტრუქტურა საპარლამენტო და საპრეზიდენტო სისტემებში ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდება. საპარლამენტო სისტემებში აღმასრულებელ შტოს სამი არსებითი ნიშანი გამოარჩევს: პირველი – რამდენადაც აღმასრულებელი ხელისუფლება საკანონმდებლო ორგანოს მიერ ფორმირდება და მას მნიშვნელოვანი კავშირი გააჩნია პარტიულ საქმიანობასთან, სახელმწიფოს მეთაურს (კონსტიტუციურ მონარქსა თუ აღმასრულებელი უფლებით აღჭურვილ პრეზიდენტს) მხოლოდ წარმომადგენლობით/ცერემონიალური ვალდებულებების შესრულება ევალება; მეორე, მთავრობის წევრთა ნაწილი პარლამენტის დეპუტატთა რიგებიდან ინიშნებიან, რაც იმაზე მიუთითებს, რომ საპარლამენტო სისტემაში, საპრეზიდენტო სისტემისაგან განსხვავებით, არ ხდება თანამდებობრივი კომპეტენციების გადანაწილება საკანონმდებლო და აღმასრულებელ მოხელეთა შორის; და მესამე – აღმასრულებელი ხელისუფლება სრული შემადგენლობით, პარლამენტის, ყოველ შემთხვევაში, მისი ქვედა პალატის წინაშეა უშუალოდ ანგარიშვალდებული, ვინაიდან მისი წევრები მთავრობის შემადგენლობაში მანამდე იმყოფებიან, სანამ საკანონმდებლო ორგანოს ნდობით სარგებლობენ.



პრემიერ-მინისტრი (იგივე კანცლერი გერმანიაში, პირველი მინისტრი - ნიდერლანდებში, ან სულაც ძირძველი ადგილობრივი ტიტულატურით შემკობილი, როგორც ვოქვათ, ტიშეკი - ირლანდიაში) მთავრობის მეთაურია, რომელიც ამ თანამდებობაზე საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებული პოლიტიკური პარტიის, ან პარტიათა კოალიციის მიერაა არჩეული. პრემიერად ესა თუ ის პოლიტიკური მოღვაწე იმიტომ აირჩევა, რომ მას აღნიშნული პარტიისა თუ კოალიციის თავმჯდომარის თანამდებობა უკავია. პრემიერ-მინისტრსა და მის აპარატს შედარებით უფრო მოკრძალებული უფლებები გააჩნიათ, ვიდრე აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურ პრეზიდენტებს. პირველ რიგში, მათ არ შეუძლიათ ამა თუ იმ მინისტრის დანიშვნა-განთავისუფლება, დაწინაურება ან დაქვეითება. ზოგადად, პრემიერ-მინისტრის პოლიტიკური მოღვაწეობის სფერო კონსტიტუციის ფარგლებში ხშირად ბოლომდე არ არის დაკონკრეტებული და ამიტომაც, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ თანამდებობაზე პრემიერის პოლიტიკურ პროცესებზე გავლენა მისი “წონადობის” მიხედვით განისაზღვრება.

პრემიერ-მინისტრს ურთიერთობების დარეგულირება ორი ძირითადი მიმართულებით უხდება: ჯერ ერთი, მინისტრთა კაბინეტთან, კონკრეტულ მინისტრთან და მთავრობის კანცელარიასთან და მეორე: საკუთარ პარტიასთან და მისი მეშვეობით, საკანონმდებლო ორგანოსთან და მოსახლეობასთან.

პრემიერ-მინისტრები ხელისუფლების ადმინისტრაციული და პოლიტიკური მიმართულებების სათავეში იმყოფებიან, რაც იმის მანიშნებელია, რომ მათი კაბინეტები ერთგვარი ამერიკული ტიპის სათათბირო ორგანოებად გადაიქცნენ და პოლიტიკის ფორმირებაზე პასუხისმგებლობას ნაკლებად ინაწილებენ. პრემიერ-მინისტრის მმართველობითი ფუნქციების მნიშვნელოვან ზრდაზე XX საუკ. 80-იანი წლების ბრიტანეთში ალაპარაკდნენ, როდესაც მარგარეტ ტეტჩერმა რადიკალური რეფორმები გაატარა ამ ინსტიტუტის გარდაქმნის კუთხით და მისი ავტორიტეტიც განუზომლად აამაღლა. ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელი გახლდათ ის, რომ იგი თავის უპირველეს ღირსებად “დარწმუნების უნარს” მიიჩნევდა და უშუალო მოვალეობების გარდა, ქვეყნის იდეოლოგიურ ლიდერობასაც ითავსებდა – რაც შემდგომში მას-მედიის საშუალებებმა ტეტჩერიზმად მონათლეს. დაახლოებით იგივე მდგომარეობა იქნა შენარჩუნებული ტონი ბლერის მმართველობის პერიოდშიც, რამაც მაიკლ ფოლის (2000) ათქმევინა კიდევც, ბრიტანეთში განსაკუთრებული ტიპის “საპრეზიდენტო ინსტიტუტი” ჩამოყალიბდაო (Heywood. 2007. P. 458).

აღმასრულებელი ხელისუფლების პრეზიდენტიზმთან მიახლოებულ ამგვარ მოდელს შემდეგი ნიშან-თვისებები გამოარჩევს:

ზოგადი წინამძღოლობა: პრემიერ-მინისტრთა გარკვეულ მიზანს წარმოადგენს თავიანთი პარტიებისაგან ერთგვარად დაშორება და ზეპარტიულ პოზიციაზე დაყრდნობით საკუთარი იდეოლოგიური და პოლიტიკური ხაზის გატარება;

პოპულისტური მიდგომა: ანუ, მთავრობის თავმჯდომარეთა მცდელობა, უშუალოდ დაამყარონ კონტაქტი საზოგადოებასთან და მისი პრობლემების მოგვარების თავის თავზე აღება;

პერსონიფიცირებული საარჩევნო კამპანიები: იგულისხმება თანამედროვე მედიის განსაკუთრებული ინტერესი კონკრეტული პიროვნებების მიმართ და პარტიებისა თუ მთავრობების საფირმო ნიშნად მათი ლიდერების წარმოჩენა;

პირადი ნდობის მანდატი: პრემიერ-მინისტრების მიერ ამომრჩევლის წინაშე თავის წარდგენა როგორც პარტიისა და მთავრობის იდეოლოგიური ლიდერი;

პროფესიონალ მრჩეველთა მოწვევა: პრემიერ-მინისტრებისათვის დამახასიათებელი ტენდენცია, როდესაც ისინი მათ მიერვე არჩეულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ მრჩეველებსა და თანაშემწეებს უფრო ეყრდნობიან, ვიდრე მთავრობის წევრებს, დანარჩენ მინისტრებსა თუ დეპარტამენტების ხელმძღვანელებს, ასევე სხვა მაღალი თანამდებობის საჯარო მოხელეებს.

### *კაბინეტები*

კაბინეტი წამყვან მინისტრთა საკრებულოა, რომლებიც, თავის მხრივ, სხვადასხვა სამთავრობო დეპარტამენტსა თუ სამინისტროს წარმოადგენენ. პირველ რიგში, კაბინეტი ხელს უწყობს მთავრობას, რათა ეს უკანასკნელი გუნდურ პრინციპზე დაყრდნობით იქნეს წარმოდგენილი პარლამენტისა თუ საზოგადოების წინაშე. კაბინეტური სისტემის გარეშე მთავრობა შეიძლება მხოლოდ იარაღად იქცეს ერთი რომელიმე პიროვნების ხელში. მეორეც, კაბინეტი ადმინისტრაციულ ინსტრუმენტს წარმოადგენს, რომელიც კოორდინაციას უწევს სამთავრობო პოლიტიკის განხორციელების პროცესს. საერთო ჯამში, შეიძლება ითქვას, რომ კაბინეტის გარეშე მთავრობა, შესაძლოა, ურთიერთდაპირისპირებულ ბიუროკრატიულ ოფისებად დაიშალოს და მათ შორის კონკურენციამ ისეთივე მიუღებელი სახე მიიღოს, როგორც ეს ჰიტლერის დროინდელ ნაცისტურ გერმანიაში მოხდა.

კაბინეტის როლი და პოლიტიკური მნიშვნელობა სხვადასხვა პოლიტიკური რეჟიმისა და სახელმწიფო წყობილების პირობებში ერთმანეთისაგან განსხვავებულია. ამერიკაში, მაგალითად, ის პრეზიდენტის პოლიტიკური მრჩეველის ფუნქციას ასრულებს და პოლიტიკის “კეთება” არ ევალება. განსხვავებული ვითარება გვხვდება იმ სახელმწიფოებში, სადაც კაბინეტი, თეორულად მაინც, აღმასრულებელი ხელისუფლების წამყვანი ძალაა და სადაც კაბინეტური მმართველობის პრინციპია

დომინირებადი. ამის მაგალითია გაერთიანებული სამეფო, ბრიტანეთის თანამეგობრობის ქვეყნების უმრავლესობა, ისრაელი, გერმანია, იტალია, შვედეთი, ნორვეგია და ა.შ. თუმცა სინამდვილეში, რეალურად ძნელად მოსაძებნია იმგვარი კოლექტიური აღმასრულებელი ორგანოს მაგალითი, რომელიც კაბინეტის ამ ან მისი მსგავსი რაიმე ინსტიტუტის მეშვეობით ახორციელებდეს საქმიანობას: მაგალითად, გერმანიაში, დარგობრივი დეპარტამენტების ტრადიციის არსებობის გამო, მინისტრები საკუთარ თავს ერთიანი გუნდის წევრებად ნაკლებად აცნობიერებენ და უფრო კონკრეტულ სფეროებზე აქვთ პასუხისმგებლობა აღებული. თვით დიდ ბრიტანეთშიც კი, სადაც კაბინეტური მმართველობის ტრადიცია დიდი ხანია არსებობს, რთულია ამ სტრუქტურაში გადაწყვეტილებების მიმღები ინსტიტუტის და მით უმეტეს, დემოკრატიული სათათბიროს კვალი შევამჩნიოთ.

მეორეს მხრივ, ალბათ არ იქნებოდა მართებული კაბინეტის, მხოლოდ ფასადურ ინსტიტუტად განხილვა. ბევრ პრემიერ-მინისტრს სხვადასხვა სახის პრობლემა შეექმნა გუნდური პრინციპის იგნორირების გამო: სხვადასხვა საექსპერტო მოსახრებებზე დაყრდნობით, გერმანიის კანცლერს უფრო მეტი გავლენა გააჩნია ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, ვიდრე გაერთიანებული სამეფოს პრემიერ-მინისტრს, რადგან ბუნდესტაგს ფედერალური კანცლერისა და მისი მთავრობის შეცვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეუძლია, თუკი საკანონმდებლო ორგანო არა მხოლოდ მოქმედ მთავრობის თავმჯდომარეს გამოუცხადებს უნდობლობას (როგორც ეს გაერთიანებულ სამეფოში ხდება), არამედ პარალელურად, ალტერნატიურ კანდიდატსაც წარმოადგენს და კენჭისყრით მაშინვე აირჩევს კიდევ: მიუხედავად ამისა, 1982 წელს, კანცლერი შმიდტი იძულებული გახდა გადამდგარიყო, როდესაც მცირერიცხოვანი, დამოუკიდებელ დემოკრატთა პარტია გამოეყო იმ კოალიციურ კაბინეტს, რომელსაც სათავეში სოციალ-დემოკრატიული პარტია ედგა და ჰელმუტ კოლის ქრისტიან-დემოკრატებს შეუერთდა. ამგვარად, კოალიციას ძალუძს დამატებითი სირთულეების შექმნა კაბინეტის მართვის პროცესში, რაც ბევრმა იტალიის პრემიერ-მინისტრმაც არაერთხელ იწვინა საკუთარ თავზე. თუმცა, აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის, ერთპარტიულმა კაბინეტმაც კი რიგ შემთხვევებში შეიძლება დიდი პრობლემა წარმოშვას: ამის ნათელი მაგალითია მარგარეტ ტეტჩერის პრემიერ-მინისტრობიდან გადაყენება 1990 წელს, როდესაც “რკინის ლედიმ” საკუთარ ერთპარტიულ (კონსერვატორული პარტიისაგან დაკომპლექტებულ) კაბინეტში დაკარგა მხარდაჭერა. მოგვიანებით, ტეტჩერმა აღნიშნა, რომ ამის ძირითადი მიზეზი გახლდათ შიდა არჩევნების ჩატარების დროს დაფიქსირებული შედეგი, როდესაც ბრიტანეთის პრემიერმა და პარტიის ლიდერმა, I ტურშივე ვერ უზრუნველყო საკუთარი დამაჯერებელი გამარჯვება (Heywood. 2007. P. 458).

*ბიუროკრატიული აპარატი*

ტერმინ “ბიუროკრატია” რამოდენიმე მნიშვნელობა გააჩნია: თავდაპირველად ეს ცნება მოხელეთა და არა არჩეულ პოლიტიკოსთა მართვის პრინციპის ქვეშ მოიაზრებოდა. საზოგადოებრივ მეცნიერებებში ბიუროკრატია, ჩვეულებრივ, ორგანიზების მოდელს აღნიშნავს. თუმცა, დღევანდელ ეტაპზე, ექსპერტები ამ ტერმინს სახელმწიფოს ადმინისტრაციული მანქანის მნიშვნელობით იყენებენ, თავად ბიუროკრატები კი არაარჩევით თანამდებობებზე მყოფი ის სახელმწიფო თუ საჯარო მოხელეები არიან, რომლებიც, მათი სტატუსიდან გამომდინარე შესაძლოა, ექვემდებარებოდნენ ან არც ექვემდებარებოდნენ პოლიტიკურ კონტროლს.

ბიუროკრატის თაობაზე სამი ძირითადი თეორია არსებობს: გერმანელი პოლიტიკური სოციოლოგის, მაქს ვებერის მოსაზრების მიხედვით, ბიუროკრატია გონივრული მართვის ადმინისტრაციულ მექანიზმს წარმოადგენს და იგი თანამედროვე საზოგადოების ჩამოყალიბებაში უდიდეს როლს ასრულებს. კონსერვატიული მოდელი მთავარ აქცენტს იმაზე ახდენს, თუ რა დონეზეა ასახული ბიუროკრატიაში კლასობრივი ინტერესები და რამდენად შეუძლია მას წინააღმდეგობა გაუწიოს პოლიტიკურ კონტროლს. “გაბერილი” ბიუროკრატის მოდელის თანახმად, აშკარად შეიმჩნევა გადამეტებული მმართველობის ტენდენცია, რის ძირითად მიზეზსაც საჯარო მოხელეთა კარიერისტული, კერძო ინტერესები წარმოადგენს.

ბიუროკრატის მთავარი ფუნქცია კანონისა და პოლიტიკის დანერგვა თუ აღსრულებაა სამთავრობო საქმიანობის ადმინისტრირების მეშვეობით; თუმცა, საჯარო მოხელეები შესამჩნევ როლს ასრულებენ აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებისათვის პოლიტიკური რჩევის მიცემისა თუ კონსულტაციების გაწევის პროცესში. ასევე, აღნიშნული ინსტიტუტი საფუძვლიან როლს ასრულებს პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნების, მთავრობისა თუ ადმინისტრაციის ცვლილების დროსაც.

ბიუროკრატული მანქანის ფორმირება ყოველთვის გარკვეული მიზნისა თუ დანიშნულების საფუძველზე ხდებოდა, რაც მის ცალკეულ დეპარტამენტებად, სამინისტროებად, სააგენტოებად, სამმართველოებად და განყოფილებებად დანაწევრებას უზრუნველყოფს. ბიუროკრატისათვის დამახასიათებელი ასევე გახლავთ ის, რომ მის ფარგლებში ცენტრალიზაციისა თუ დეცენტრალიზაციის ხარისხი მნიშვნელოვნად მერყეობს: მაგრამ, თანამედროვე ეტაპზე, პოლიტიკის ფორმირებისა და მისი განხორციელების ურთიერთგამიჯვნის ტენდენციაც გამოიკვეთა და ის სულ უფრო ითვისებს კერძო სექტორში არსებული სტრუქტურებისათვის დამახასიათებელი მენეჯმენტის ძირითად თავისებურებებს.

ბიუროკრატული ძალაუფლების მთავარ პრინციპებს შორის აღსანიშნავია საჯარო მოხელეთა კონტროლი ინფორმაციის შემოსვლაზე, მიწოდებასა და მიღებულ

გადაწყვეტილებათა გატარებაზე. ბიუროკრატის გაკონტროლების რამდენიმე გზა არსებობს: შესაძლოა, შემუშავებულ იქნას ანგარიშვალდებულების მექანიზმები სამინისტროთა, საკანონმდებლო ორგანოთა, სასამართლოთა თუ სახალხო დამცველთა (ომბუდსმენტთა) წინაშე. აგრეთვე, შეიძლება შეიქმნას ბიუროკრატის საპირწონე – არჩევით პოლიტიკოსთა ალტერნატიული მრჩეველების ინსტიტუტი.

### **თავი 30. საზოგადოების პოლიტიკური სისტემა: განსაზღვრება, სტრუქტურა, ფუნქციები**

თანამედროვე პოლიტიკურ მეცნიერებაში პოლიტიკური სისტემის უნივერსალური განსაზღვრება არ მოიპოვება, რაც შეიძლება ახსნილ იქნეს ისეთი ცნებების სხვადასხვა ინტერპრეტაციით, როგორებიცაა - “ხელისუფლება” და “პოლიტიკა”, რომლებთანაც მჭიდროდაა დაკავშირებული კატეგორია “პოლიტიკური სისტემა”. პოლიტიკური სისტემის თანამედროვე პოლიტოლოგიური კონცეფციის ანალიზი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განხილულ იქნეს სისტემის კონკრეტული თვისებები, მისი სტრუქტურისა და ფუნქციონირების ელემენტები. საზოგადოების პოლიტიკური სისტემის კვლევის პროცესში, ძირითად სამეცნიერო მიდგომებს შორის შესაძლებელია გამოიყოს: ა) მარქსისტული; ბ) სტრუქტურულ-ფუნქციონალური; გ) პიროვნული; დ) კიბერნეტიკული (H.A. Azarov. Г.С. Андрияш. 2001.).

*მარქსისტული მიდგომა* გამოიხატება იმაში, რომ ის პოლიტიკურ სისტემას ახასიათებს როგორც კლასობრივი საზოგადოების პირობებში არსებულ განსაკუთრებულ ელემენტს, როგორც ისეთ წარმონაქმნს, რომელიც ადამიანთა საზოგადოების არსებობის გარკვეულ ეტაპზე იქმნება და იგი საზოგადოებრივი ევოლუციის გარკვეულ პერიოდამდე მოქმედებს. პოლიტიკური სისტემის წარმოშობა და მისი ფუნქციონირება ყოველთვის დაკავშირებული იყო სახელმწიფო ხელისუფლებასთან. პოლიტიკური სისტემის მთლიანობის ჩამოყალიბება ისტორიულ პროცესს წარმოადგენს. პოლიტიკური სისტემის საწყის ინსტიტუტს წარმოადგენდა სახელმწიფო, რომელიც საზოგადოების ანტაგონისტურ კლასებად დაყოფის პირობებში წარმოიშვა. ისტორიის შემდგომ ეტაპზე პოლიტიკური სისტემის განსაკუთრებული გართულება საზოგადოებაში შრომის დანაწილების პროცესის შედეგად მის სოციალურ დიფერენციასთანაა დაკავშირებული. იმისათვის, რომ სხვადასხვა სოციალური ხასიათის მიზნებს თავისი ობიექტური გამოხატულება შეძლებოდათ რომ მიედოთ, ბრძოლის სხვადასხვა ეტაპზე (მაგ: მონების ბრძოლა ექსპლუატატორების წინააღმდეგ და ა.შ.) საზოგადოებრივი კლასები და მოსახლეობის სოციალური ფენები ქმნიან თავიანთ ორგანიზაციებს, პირველ რიგში პოლიტიკურ პარტიებს. ასევე, სხვადასხვა სოციალური ფენების წარმომადგენლების მიერ ჩამოყალიბებულ იქნა რიგი საზოგადოებრივი ორგანიზაციები: პროფკავშირები, მეწარმეთა კავშირები, ქალთა, ახალგაზრდული გაერთიანებები, რომლებიც ამა თუ იმ ფორმით პირდაპირ იყვნენ დაკავშირებულები ამა თუ იმ პოლიტიკურ პარტიასთან.

*სტრუქტურულ-ფუნქციონალური მიდგომა* – ამ მიდგომის არსი იმით შეიძლება იქნეს ახსნილი, რომ ის პოლიტიკურ სისტემას როგორც პოლიტიკურ პროცესს ახასიათებს, ასევე ასაბუთებს პოლიტიკურ ქმედებებს ამა თუ იმ თემის ფარგლებში, რომლებსაც მიეკუთვნება სახელმწიფო, პროფკავშირები, კლუბები, ქალაქები. პოლიტიკური სისტემა ესწრაფვის თანასწორობას, ადამიანთა შორის კონფლიქტების დარეგულირებას და სახელდობრ, ამ მიზნების განხორციელების ფარგლებში მიმდინარეობს სისტემის ნაწილების სხვადასხვა გადაჯგუფება, როდესაც ეს ნაწილები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ და მდგრადობას აღწევენ. ასეთი კავშირები აღნიშნულ სისტემას უფრო სრულყოფენ და არ იძლევიან რევოლუციური აფეთქების საშუალებას.

*პიროვნული მიდგომა* დაკავშირებულია იმასთან, რომ იგი ასაბუთებს პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბებას ერთი საზოგადოების ფარგლებში და ამავე დროს ადამიანთა სხვადასხვა ჯგუფების არსებობის პირობებშიც: ის ხელს უწყობს ერთ ჯგუფს მიიღოს რაღაცა სხვის ხარჯზე, ემსახურება კონფლიქტების დარეგულირებას. ასე მაგალითად, ტ. პარსონსი პოლიტიკურ სისტემას როგორც ინდივიდთა ერთობლიობას განიხილავს, რომლებიც სხვადასხვა როლებში გვევლინებიან. მკვლევართა ერთი ნაწილი პოლიტიკურ სისტემას სახელმწიფოსთან აკავშირებს, მეორე განიხილავს მას როგორც ინდივიდთა და ინსტიტუტების ერთობლიობას, რომლებიც მოქმედებენ ერთობლივად, რათა გამონახულ იქნეს პრობლემათა გადაწყვეტის საერთო გზები. დასავლელი პოლიტოლოგების რამდენიმე ნაშრომში მოცემულია კიდევ უფრო ფართო დახასიათება. მაგალითად, რ. კლარკი თვლის, რომ პოლიტიკური სისტემა – ეს არის პოლიტიკური ბიზნესის არენა, ადგილი, სადაც პოლიტიკური პროცესი ვითარდება. პოლიტიკური სისტემის ფორმირებაში ჩართულნი არიან პიროვნებები, ლიდერები და მათი მიმდევრები, რომლებიც გავლენას ახდენენ პოლიტიკაზე, სტრუქტურებისა და ინსტიტუტების ფუნქციონირებაზე. ამერიკელი პოლიტოლოგის კ. დეიცეს აზრით, პოლიტიკური სისტემა შესაძლებელია გაგებულ იქნეს კიბერნეტიკული მიდგომის თვალსაზრისითაც: ინფორმაციის მიწოდება, პირდაპირი და საპირისპირო კავშირი და ა.შ. (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 100).

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის პოლიტოლოგიური კონცეფციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ეს კატეგორია განასახიერებს პოლიტიკურ საქმიანობას და ხაზს უსვამს საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების სისტემურ ხასიათს. პოლიტიკური სისტემა თავის მხრივ წარმოადგენს პოლიტიკურ სტრუქტურას, რომლის ელემენტებიც ურთიერთდაკავშირებულია და მყარ ერთობას აყალიბებენ.

პოლიტიკურ სისტემაში მთავარ როლს სახელმწიფო ასრულებს, რომელიც საზოგადოების პოლიტიკურ ორგანიზებულობას უზრუნველყოფს. სახელმწიფო ფლობს რიგ მნიშვნელოვან თავისებურებებს. პირველ რიგში, ის გვევლინება ყოვლისმომცველი ორგანიზაციის რანგში, რომელიც თავის ქმედებებს ქვეყნის

მთელს ტერიტორიაზე და ყველა იმ მოქალაქეზე ავრცელებს, რომლებიც ამ სახელმწიფოში იმყოფებიან და ამიტომაც, სახელმწიფო მთლიანად საზოგადოებასაც წარმოადგენს. მეორეც, სახელმწიფო განასახიერებს საჯარო ხელისუფლებას და იქვემდებარებს საზოგადოებრივი ხელისუფლების ყველა მიმართულებებს. იგი იყენებს სახელისუფლებო, მათ შორის განსაკუთრებულ შემთხვევებში ძალდატანების მეთოდებსაც.

მესამე, სახელმწიფო - სამართლის მეშვეობით არეგულირებს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და თავის ნებას საერთოეროვნულ ხასიათს ანიჭებს. მეოთხეც, სახელმწიფო, სპეციალური პროფესიული აპარატის წყალობით, საზოგადოებრივი საქმეების მართვის ძირითად ფუნქციებს ასრულებს და ამ მიმართულებით მის ადამიანურ, მატერიალურ და ბუნებრივ რესურსებს განკარგავს. პოლიტიკურ ინსტიტუტთა შორის სახელმწიფო სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი პოლიტიკურ პარტიებს უკავიათ. დამახასიათებელ თვისებად, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს საზოგადოებრივი მოძრაობებისაგან განასხვავებს, ხელისუფლებისათვის ბრძოლა ან ხელისუფლებაში გავლენის მოპოვების საკითხი წარმოადგენს. პოლიტიკურ პარტიებს, პირველ რიგში, ორგანიზაციის მაღალი ხარისხი გააჩნიათ; პირველ რიგში, ისინი თავიანთი მიზნების რეალიზაციას ხელისუფლებისათვის ბრძოლის მეშვეობით ესწრაფვიან.

პოლიტიკური სისტემის არსებით კომპონენტებს პოლიტიკური ნორმები წარმოადგენენ. ერთმანეთისაგან განსხვავდება ის პოლიტიკური ნორმები, რომლებიც უშუალოდ სახელმწიფო ორგანოების (სამართლებრივი ნორმები), საზოგადოებრივი ორგანიზაციების (კორპორატიული ნორმები) მიერ ყალიბდება და ნორმები, რომლებიც როგორც პოლიტიკური, ეკონომიკური და საზოგადოების სოციალური (მორალი, ჩვეულებები, ტრადიციები) გავლენის ქვეშ ფორმირდება და ვითარდება.

თანამედროვე პოლიტოლოგიაში “პოლიტიკური სისტემის” ცნების ოცამდე განსაზღვრება არსებობს. განვიხილოთ ერთ-ერთი მათგანი. განსაზღვრება პოლიტიკური სისტემა – ეს არის ერთიან ნორმატიულ-ფასეულობით საფუძველზე ორგანიზებული პოლიტიკურ სუბიექტთა ურთიერთქმედებათა (ურთიერთობათა) ერთობლიობა, რომლებსაც უშუალო კავშირი გააჩნიათ ხელისუფლების განხორციელებასა და საზოგადოებრივ მართვასთან. პოლიტიკური სისტემის სტრუქტურაში როგორც ქართველი, ასევე უცხოელი პოლიტოლოგების მიერ გამოიყოფა შემდეგი ქვესისტემები: ინსტიტუციონალური, ნორმატიული, ფუნქციონალური, კომუნიკაციური, კულტურული და ა.შ.

*ინსტიტუციონალური სისტემა* – შედგება პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან, თითოეული მათგანი წარმოადგენს სისტემას – სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელიც თავის მხრივ კერძო

ქვესისტემებისაგან შედგება. წამყვან პოლიტიკურ ინსტიტუტად, რომელშიც მაქსიმალური პოლიტიკური ძალაუფლება კონცენტრირდება, სახელმწიფო მოიაზრება. პოლიტიკურ სისტემაში განსაკუთრებული ადგილი პოლიტიკურ პარტიებს და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებს უკავიათ, მათ შორის პროფკავშირებს, მეწარმეთა ორგანიზაციებს და ა.შ. ერთის მხრივ, ისინი პოლიტიკური პროცესის მნიშვნელოვან მონაწილეებს წარმოადგენენ, რომლებიც თავისებურ შუამავლობას ახორციელებენ სხვადასხვა სახელმწიფო სტრუქტურებსა და მოსახლეობას შორის. ამ მიზეზით, მათ ხანდახან საერთო სახელწოდებას - “პოლიტიკური ინფრასტრუქტურა” უწოდებენ. მათი გავლენის მეშვეობით ხორციელდება სახელმწიფო სტრუქტურების ფორმირება, ადგილი აქვს პოლიტიკური კურსის კორექტირებასა და განისაზღვრება პოლიტიკური განვითარების მიმართულება. მეორეს მხრივ, ამ პოლიტიკურ ინსტიტუტებს არ გააჩნიათ ღრმა პოლიტიკური ხასიათი. მათი ფუნქციონირების პროცესში როგორც პოლიტიკური, ასევე არაპოლიტიკური ასპექტები გადაიკვეთება, მიმდინარეობს სოციალური შემოქმედების პროცესი, შემუშავდება საზოგადოებრივი ცხოვრების ახალი ფორმები. პოლიტიკურ სისტემაში სპეციფიურ ადგილს თავისი ბუნებით ისეთი არაპოლიტიკური სოციალური ინსტიტუტები იკავებენ, როგორებიცაა მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და ეკლესია.

*ნორმატიულ ქვესისტემას* საყოველთაო ნორმები აყალიბებენ, კერძოდ, სამართლებრივი, მორალური, პოლიტიკური ტრადიციები და ა.შ. რომლებიც თავის მხრივ, პოლიტიკურ ცხოვრებას არეგულირებენ.

*ფუნქციონალური ქვესისტემა* – პოლიტიკური საქმიანობის ფორმებსა და მიმართულებებში გამოიხატება, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკური პროცესებში, ხელისუფლების განხორციელების მეთოდებსა და საშუალებებში გამოიხატება. ყველა ეს ასპექტი საერთო განსახიერებას ჰპოვებს ცნებაში - “პოლიტიკური რეჟიმი”.

*კომუნიკაციური ქვესისტემა* მოიცავს ურთიერთშემოქმედების ყველა შესაძლებელ ფორმას როგორც პოლიტიკური სისტემის შიგნით, მაგალითად პარტიებსა და სახელმწიფოს შორის, ასევე პოლიტიკურ და ეკონომიკურ ქვესისტემებს შორის. იგივე შეიძლება ითქვას სხვადასხვა ქვეყნების პოლიტიკურ სისტემებს შორის კავშირზე.

პოლიტიკური სისტემის სტრუქტურა ასევე შესაძლოა სოციალური თვალსაზრისითაც იქნეს გაანალიზებული. აქ მოიაზრება ის პოლიტიკური თანამეგობრობა, რომელიც აერთიანებს ადამიანებს, რომლებიც არ მიეკუთვნებიან უშუალოდ სახელისუფლებო სფეროს. საქმიანობის პოლიტიკური დანაწილების პრინციპების შესაბამისად, თითოეული მოქალაქე შესაძლოა სხვადასხვა როლებში მოგვევლინოს. მათ შორის შეგვიძლია ვისაუბროთ როგორც მუდმივ, მაგალითად გადასახადის გადამხდელი, ასევე გარდამავალ პოლიტიკურ როლებზე –



ამომრჩეველი, სამხედრო მოსამსახურე და ა.შ. პოლიტიკური სისტემის სოციალურ სტრუქტურაში პოლიტიკური ელიტებიც (მმართველი და არამმართველი) არიან ჩართულნი, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ პოლიტიკურ პროცესებში. ეს სოციალური ფენა, როგორც წესი, იერარქიულ მექანიზმს წარმოადგენს და მოიცავს შედარებით მუდმივ (ბიუროკრატias), ასევე თავისი შემადგენლობით გარდამავალ სტრუქტურებს, რომლებიც წარმომადგენლობით საფუძველზე ფორმირდება.

პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება მისი დინამიკის პროცესუალურ ხასიათს განასახიერებს და დაკავშირებულია შემდეგ საკითხებთან – ვინ მართავს და რა სახით, როგორია პოლიტიკური საქმიანობის ეფექტურობა და ა.შ. პოლიტიკური სისტემების ფუნქციები შესაძლებელია სხვადასხვა საშუალებებით განისაზღვროს, რაც პოლიტიკური ცხოვრების მრავალფეროვნებითა და სირთულითაა გამოწვეული. პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების ფარგლებში წამყვან მნიშვნელობას დ. ისტონი მის სტაბილურობას ანიჭებს. ამავე დროს, ხედავს რა პოლიტიკურ სტაბილიზაციაში ყველაზე ეფექტურ გზას ამ პროცესებში, იგი უარყოფს ცვლილებებს, გარდაქმნებს. ამავე დროს, მნიშვნელოვან ფუნქციას თვითგარდაქმნა ასრულებს, რომელიც ან ძალადობის მეშვეობით (რევოლუცია ან სახელმწიფო გადატრიალება), ან ძალადობრივი რეფორმების მეშვეობით ხორციელდება.

ერთ-ერთი პირველი, ვინც პოლიტიკური სისტემის ფუნქციების კლასიფიკაციას გვთავაზობს, გახლავთ გ. ალმონდი. ნაშრომში “განვითარებადი რეგიონების პოლიტიკა” იგი გამოყოფს ორ ძირითად ფუნქციას. პირველს მიეკუთვნებიან პოლიტიკური სოციალიზაცია და პოლიტიკური რეკრუტირება, ინტერესთა არტიკულაცია (გამოხატვა), პოლიტიკური კომუნიკაცია. მეორეს კი – სამართალშემოქმედება, წესების, ნორმების გამოყენება და მათ შესრულებაზე კონტროლი.

პოლიტიკური სოციალიზაცია საზოგადოების წევრების პოლიტიკურ საქმიანობასთან ადაპტირებაში გამოიხატება. პოლიტიკური რეკრუტირების მეშვეობით ხდება პოლიტიკური სისტემის გარკვეული “უჯრედების” შევსება.

ინტერესთა არტიკულაცია გამოიხატება მოთხოვნათა წამოყენებაში იმათთვის, ვინც პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს შეიმუშავებს. მოთხოვნები შესაძლოა წამოყენებულ იქნეს ცალკეული ადამიანებისა და ადამიანთა ჯგუფის მიერ, როგორც ოფიციალური, ასევე არაოფიციალური არხების მეშვეობით.

ინტერესთა აგრეგირება პრეტენზიათა და მოთხოვნათა შეგროვებაში გამოიხატება, ხდება მათი გადაქცევა გარკვეულ პოლიტიკურ პოზიციად, პოლიტიკურ პლატფორმად, პოლიტიკურ განცხადებად, პროგრამად. ეს ფუნქციები ყველაზე ხშირად პოლიტიკური პარტიის მიერ ხორციელდება.

პოლიტიკური კომუნიკაცია სხვადასხვა ურთიერთქმედებათა ფორმით, მათ შორის საინფორმაციო, პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა ელემენტს, ასევე პოლიტიკურ სისტემასა და გარემოს შორის ურთიერთობათა დამყარებით ხორციელდება.

პოლიტიკური სისტემის ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქციაა კანონშემოქმედება, რომლის პროცესშიც ხდება იმ კანონებისა და წესების შემუშავება, რომლებიც პოლიტიკურ ქცევას არეგულირებენ.

ფორმებისა და წესების გამოყენება – გვთავაზობს მათ მოქმედებაში მოყვანასა და შესრულებას. თავისი შინაარსით, იგი ნაწილობრივ ემთხვევა აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობას, თუმცა, ამავე დროს, საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოების საქმიანობასაც მოიცავს. ის ასევე მოიცავს კანონშემოქმედებას, ადმინისტრაციული წესების შემუშავებასა და მიღებას, რომელთაც ხანდახან პოლიტიკური აზრი გააჩნია.

წესების შესრულებაზე კონტროლი – კანონთა ფორმულირებასა და კონფლიქტების დარეგულირებას გვთავაზობს, ასევე კონტროლის ფარგლებში შედის იმ ქმედებათა აღკვეთა, რომლებითაც სხვადასხვა წესების დარღვევას აქვს ადგილი. ეს ფუნქციები უპირატესად სასამართლო ხელისუფლებას მიეკუთვნება.

გ. აღმონდი პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირებას სამ დონეზე განიხილავს, რაც საშუალებას იძლევა მოვახდინოთ პოლიტიკური სისტემის ტიპების შედარებითი ანალიზი:

პირველი დონე – პროცესები, რომლებსაც თვით ამ სისტემის შესაძლებლობების ფარგლებში აქვს ადგილი; აქ იგულისხმება სამთავრობო მიზნების განხორციელების პროცესში მთავრობის საზოგადოებაზე, ადამიანთა აზროვნებასა და ქცევაზე გავლენის ხარისხი.

მეორე დონე – პროცესები, რომლებიც თვით ამ სისტემის შიგნით ხორციელდება (იგულისხმება კონვერსიული პროცესი).

მესამე – აღნიშნული მოდელის ფარგლებში არსებული სისტემის მხარდაჭერის პროცესი და მისი ადაპტაცია, რომელსაც აღმონდი კადრების სოციალიზაციასა და რეკრუტირებას მიაკუთვნებს, რომლის მსვლელობის დროს საზოგადოებას ახალი როლი ენიჭება და ხდება ახალი ხალხის “შექრა” პოლიტიკურ ცხოვრებაში (H.A. Azarov, G.S. Andriyash, 2001).

### **თავი 31. პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგიზაცია**

პოლიტიკური სისტემის შესწავლა თავის მხრივ, არა მხოლოდ შესაბამისი ინსტიტუტების არსებითი თვისებების ანალიზს მოიცავს, არამედ კვლევის სფეროს

ასევე საერთო მახასიათებლების დადგენა წარმოადგენს. გარდა ამისა, შესწავლის ობიექტად შეიძლება განხილულ იქნეს პოლიტიკური სისტემის შედარებითი ანალიზი, იმ პოლიტიკური სისტემების ინდივიდუალური თავისებურებების გამოკვლევა, რომლებიც კონკრეტულ ისტორიულ პირობებში ვითარდებიან. ზემოაღნიშნული მიზნების განსახორციელებლად საჭიროებას წარმოადგენს პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია.

პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაცია დიდი მრავალფეროვნებით გამოირჩევა, რომლებიც სხვადასხვა კრიტერიუმების მნიშვნელოვან ასპექტებზეა დამყარებული. განვიხილოთ პოლიტიკურ სისტემათა საყოველთაოდ მიღებული სხვადასხვა კრიტერიუმები.

სისტემათა ტიპოლოგია, რომელიც *მარქსისტულ მიდგომას* ემყარება, ისეთ კრიტერიუმებს ეყრდნობა, როგორებიც გახლავთ ფორმაციის ტიპი და სოციალ-ეკონომიკური სტრუქტურის თვისებები. შესაბამისად, აღნიშნული მიდგომის ფარგლებში გამოიყოფა მონათმფლობელური, ფეოდალური, ბურჟუაზიული და სოციალისტური პოლიტიკური სისტემები. თითოეული მოცემული დასახელება მიუთითებს არა მხოლოდ სისტემის ფორმაციის ტიპზე, არამედ მმართველ კლასზეც – მონათმფლობელებზე, ფეოდალებზე, ბურჟუაზიაზე და პროლეტარიატზე. ამ ტიპოლოგიის განსაკუთრებულ დამახასიათებელ ასპექტს წარმოადგენს ზემოჩამოთვლილი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ტიპების ერთმანეთთან საკმარისად ხისტი დაპირისპირება.

საკმაოდ გავრცელებულია პოლიტიკურ სისტემათა დაყოფა დემოკრატიულ, ტოტალიტარულ და ავტორიტარულ სისტემებად, რომლებიც თავის მხრივ, პოლიტიკური რეჟიმის ხასიათს ეფუძნებიან. ასევე, ადგილი აქვს პოლიტიკურ სისტემათა კლასიფიკაციას ტრადიციულ და მოდერნიზირებულ სტრუქტურებად. ტრადიციული სისტემების საფუძველს შედარებით ჩამორჩენილი სამოქალაქო საზოგადოების არსებობა წარმოადგენს, შეინიშნება პოლიტიკური როლების სუსტი დიფერენციაცია და ხელისუფლების განხორციელების ქარიზმატული მიდგომა. მოდერნიზირებულ თანამედროვე სისტემებში განვითარებული სამოქალაქო საზოგადოება ფუნქციონირებს და ადგილი აქვს მმართველობის პროცესში პოლიტიკური როლების დივერსიფიკაციას.

ტიპოლოგია, რომელსაც გ. ალმონდი გვთავაზობს, სხვადასხვა პოლიტიკურ კულტურას ეყრდნობა, რომელთაგან გამოიყოფა ოთხი – *ანგლო-ამერიკული, კონტინენტურ-ევროპული, ინდუსტრიალური და ნაწილობრივ ინდუსტრიული, ტოტალიტარული* პოლიტიკური სისტემები (Almond G. Powell G. 1996. P.5).

1. **ანგლოამერიკული** სისტემა ჰომოგენური პოლიტიკური კულტურით ხასიათდება. ის ჰომოგენურია იმ გაგებით, რომ პოლიტიკური მიზანი და მათი მიღწევის საშუალებები პრაქტიკულად ბევრს განსაზღვრავენ. მოცემული პოლიტიკური კულტურისათვის განსაკუთრებული ფუნქციების შესასრულებლად დამახასიათებელია პოლიტიკურ ურთიერთობათა სპეციალიზაცია (პარტიები, ინტერესთა ჯგუფები და ა.შ.). ძალაუფლება და გავლენა პოლიტიკური სისტემის შიგნით დანაწილებულია, ხოლო ამ ჯგუფის პოლიტიკურ სისტემაში როლების სტრუქტურა ღრმადია დიფერენცირებული, ნათლადაა გამოხატული, ორგანიზაციული და ბიუროკრატიული ასპექტები.
2. **კონტინენტურ-ევროპული** სისტემა პოლიტიკური კულტურის ფრაგმენტულობით გამოირჩევა, რომელსაც მთლიანობაში საერთო ფესვები და საერთო მემკვიდრეობა გააჩნია. მისთვის ახალი და ძველი კულტურების თანაარსებობაა დამახასიათებელი. ასეთი ტიპის პოლიტიკური სისტემები პირველ რიგში არსებობენ საფრანგეთში, გერმანიაში, იტალიაში. სკანდინავიურ ქვეყნებსა და ბენილუქსს შუალედური პოზიციები უკავიათ კონტინენტალურ-ევროპულ და ანგლო-ამერიკულ სისტემებს შორის.
3. **ინდუსტრიალური და ნაწილობრივ ინდუსტრიული** პოლიტიკური სისტემებისათვის შერეული პოლიტიკური კულტურაა დამახასიათებელი. კომუნიკაციისა და კოორდინაციის რთული სისტემა, მკვეთრად განსხვავებული პოლიტიკური ორიენტაციები, სისტემის ყველა რგოლში როლების დივერსიფიკაციის სუსტი ხარისხი ძალადობის გამოყენების აუცილებლობას წარმოშობს.
4. **ტოტალიტარული ტიპის** პოლიტიკური სისტემები. ტოტალიტარული პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური აქტიურობის იძულებით ტიპს აყალიბებს. მასში არ არსებობს ნებაყოფლობითი გაერთიანებები, ხოლო პოლიტიკური კომუნიკაცია მმართველი პარტიის მიერ კონტროლდება.

საკმაოდ გავრცელებულია სისტემების ტოტალიტარულ, ავტოკრატიულ და დემოკრატიულ ფორმებად დაყოფა. მათი განაწილების კრიტერიუმად პოლიტიკური რეჟიმი გვევლინება, როგორც პოლიტიკური ძალაუფლების განხორციელების საშუალებათა და მეთოდების ერთობლიობა, ხელისუფლების ხასიათის, საზოგადოების (ხალხის) და პიროვნების (მოქალაქეთა) ურთიერთქმედების საშუალება.

რიგ შემთხვევებში, პოლიტიკური სისტემების კლასიფიკაციის საფუძვლად პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობა განისაზღვრება. ფრანგი პოლიტოლოგი ჟ. ბლონდელი პოლიტიკურ სისტემებს ყოფს ხუთ კატეგორიად: 1. ლიბერალური პოლიტიკური სისტემები, რომლებიც სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ლიბერალიზმის პრინციპებზე დაყრდნობით ფუნქციონირებენ; 2.

კომუნისტური პოლიტიკური სისტემები – სოციალური კეთილდღეობის თანასწორობის პრიორიტეტის დანერგვასა და მათი მიღწევის ლიბერალური მეთოდების უარყოფას ეყრდნობიან; 3. ტრადიციული პოლიტიკური სისტემები, რომლებიც ოლიგარქების მიერ იმართება და სოციალური და ეკონომიკური კეთილდღეობების სრულიად არათანაბარი დანაწევრებით ხასიათდება; 4. პოპულისტური პოლიტიკური სისტემები, რომლებიც ომისშემდგომ პერიოდში განვითარებად ქვეყნებში იქნა ჩამოყალიბებული და რომლებიც ეკონომიკური და სოციალური კეთილდღეობების თანასწორობის მისაღწევად მოქმედებენ. ისინი თავისი ბუნებით ავტორიტარულები არიან, რადგანაც დიდი თანასწორობის მისაღწევად ავტორიტარული საშუალებებია საჭირო; 5. ავტორიტარულ-კონსერვატიული სისტემები, რომელთა დამახასიათებელი თვისებაა შექმნილი უთანასწორობის შენარჩუნებისათვის აქტიური პოლიტიკის გატარება, რომელიც თანასწორობის გაღრმავებასა და პოლიტიკურ მონაწილეობას ეწინააღმდეგება (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 108).

არსებობენ ასევე სხვა, პოლიტიკური სისტემის შედარებით ნაკლებად გავრცელებული კლასიფიკაციები. მაგალითად, ზ. ბუეჟინსკი და ს. ჰანტინგტონი ინსტრუმენტალურ და იდეოლოგიურ პოლიტიკურ სისტემებს გამოყოფენ. პირველები წარმოადგენენ სოციალური და პოლიტიკური განვითარების ბუნებრივ შედეგს, რომლებიც ძალდატანებით, რაციონალურად დასაბუთებული მოდელის მიხედვით ყალიბდებიან. კომუნისტური ტიპოლოგიის საფუძველში პოლიტიკური კონკურენციის კრიტერიუმი შეინიშნება. შესაბამისად, გამოიყოფა ტრადიციული, პატრიარქალური, შერეული და თანამედროვე პოლიტიკური სისტემები, რომლებშიც პოლიტიკური განვითარება შესაბამისად - ავტორიტარულ, ნახევრადკონკურენტულ და კონკურენტულ სტადიებში იმყოფება.

პოლიტიკური სისტემის ტიპოლოგიების სიმრავლე, პოლიტიკური სამყაროს მრავალფეროვნებაზე მიუთითებს, რომელიც, თავის მხრივ სხვადასხვა კრიტერიუმებზე დაყრდნობით, პოზიციათა ანალიზის შესაძლებლობას იძლევა. მრავალფეროვანი პოლიტიკური სისტემების ანალიზისათვის, შესაბამისად, სხვადასხვაგვარი მიდგომის აუცილებლობა არსებობს.

### **თავი 32. მმართველობის ფორმები, სისტემები და რეჟიმები**

პირველი ქალაქ-სახელმწიფოების წარმოშობის დროიდან, პოლიტიკური პროცესების შეფასების ერთ-ერთ მთავარ საკითხს მმართველობის სხვადასხვა ფორმების კლასიფიკაცია წარმოადგენს. ჯერ კიდევ ჩვ. წელთაღრიცხვამდე IV საუკუნეში, ბერძნულ პოლისებში საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრების ანალიზის დროს, არისტოტელემ სხვადასხვა პოლიტიკური სისტემები და მმართველობის ფორმები ისეთი ცნებების გამოყენებით აღწერა, როგორებიცაა

“დემოკრატია”, “ოლიგარქია” და “ტირანია” (არისტოტელე, 2013. გვ. 7). პოლიტიკური იდეოლოგიის კონცეფციის წარმოშობის პერიოდიდან, კერძოდ, XVIII საუკუნიდან – სხვადასხვა მეცნიერი სახელმწიფოებს მონარქიებად ან რესპუბლიკებად, ავტოკრატიულ ან დემოკრატიულ კონსტიტუციურ რეჟიმებად წარმოგვიდგენს. XX საუკუნეში, პოლიტიკური მეცნიერების განვითარებასთან ერთად, აღნიშნული კლასიფიკაცია კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა. მეორე მსოფლიო ომის დამთავრებასა და “ცივი ომის” დაწყებასთან ერთად, ბევრი მეცნიერის აზრით, პოლიტიკური სისტემები “სამი სამყაროს” მოდელის მიხედვით დაიყო. შეიქმნა ისეთი მსოფლიო პოლიტიკური სურათი, რომელშიც ბრძოლა უმთავრესად მიმდინარეობდა დემოკრატიასა და ტოტალიტარიზმს, საბაზრო და ცენტრალიზირებულ გეგმიურ ეკონომიკებს შორის. ამ კონცეფციის მიხედვით პოლიტიკური სამყარო სამ განსხვავებულ ბლოკად იყოფოდა:

- კაპიტალისტური “პირველი სამყარო”;
- კომუნისტური “მეორე სამყარო”;
- განვითარებადი “მესამე სამყარო” (A.Heywood. 2007. P. 49).

სამი სამყაროს აღნიშნულ კლასიფიკაციას თავისი ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, იდეოლოგიური, პოლიტიკური და სტრატეგიული განზომილებები გააჩნდა. წმინდა ეკონომიკური მოსახრებით, დასავლეთის განვითარებული – თავისუფალ საბაზრო ეკონომიკაზე ორიენტირებული რეჟიმები “პირველ სამყაროდ” გამოცხადდა, რადგან აქ მოსახლეობა ცხოვრების ყველაზე მაღალი დონით გამოირჩეოდა და გამოირჩევა. მაგ: 1983 წელს იმ ქვეყნებმა (დასავლეთი ევროპა, აშშ, კანადა, იაპონია, ავსტრალია, ახალი ზელანდია და ა.შ.), რომელთა მოსახლეობა მსოფლიო მოსახლეობის მხოლოდ 15%-ს შეადგენდა, მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) 63% აწარმოეს (მსოფლიო ბანკის მონაცემები 1985 წ.). კომუნისტური – ცენტრალიზირებულ, გეგმიურ ეკონომიკაზე დაფუძნებული რეჟიმები (სსრკ, აღმოსავლეთი ევროპა) “მეორე სამყაროს” იმ ნიშნით მიაკუთვნეს, რომ საკუთარ ქვეყნებში მათ მოახერხეს ეკონომიკის სრული ინდუსტრიალიზაცია, რითაც მათ შეძლეს, საკუთარი მოსახლეობის პირველადი მატერიალური მოთხოვნილებების დაკმაყოფილება; ამ ქვეყნების მოსახლეობა მსოფლიოს 33% შეადგენდა და მასზე მოდიოდა მსოფლიო ეკონომიკის (მშპ-ის) 19%. აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ნაკლებ განვითარებული ქვეყნები “მესამე სამყაროს” წარმოადგენდნენ, რადგანაც, ამ რეგიონებში მდებარე სახელმწიფოებს არ გააჩნდათ ეკონომიკური დამოუკიდებლობა და ხალხის უდიდესი ნაწილი მასობრივი სიღარიბის ზღვარზე ცხოვრობდა. მათი მოსახლეობა სამყაროს მოსახლეობის 52% შეადგენდა და მსოფლიო მთლიანი შიდა პროდუქტის 18% აწარმოებდა (A.Heywood. 2007. P. 49).

გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოსა და 90-იანი წლების დასაწყისში აღმოსავლეთ ევროპასა და პოსტ-საბჭოთა სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა - კომუნისტური იდეოლოგიის კრახი, სსრკ-ის და იუგოსლავიის დაშლა, გერმანიის გაერთიანება და აღმოსავლეთ და ცენტრალურ ევროპაში დემოკრატიული

პოლიტიკური სისტემის შექმნა გამოიწვია. ამიტომაც დღევანდელ ეტაპზე, თანამედროვე რეჟიმების ახალი კლასიფიკაცია განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ ვინ მართავს? როგორ მიიღწევა საზოგადოებრივი თანხმობა: როგორია ხელისუფლების დამოკიდებულება საკუთარი მოსახლეობის მიმართ, იყენებს თუ არა მთავრობა ძალადობრივ ბერკეტებს, თუ ითვალისწინებს საზოგადოების ინტერესს?

ასევე, ჩნდება სხვა კითხვებიც, როგორია მმართველობის სისტემა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფა? როგორი კონტროლისა და დაბალანსების ფაქტორები ზემოქმედებენ კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაზე?

როგორია ძალაუფლების მოპოვებისა და გადაცემის მექანიზმები? რა დამოკიდებულება არსებობს სახელმწიფოსა და მოქალაქეს შორის? როგორია ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური განვითარების დონე და რა პრინციპს და სისტემას ემყარება ეკონომიკა? რამდენად მდგრადია სისტემა?

ამ ფაქტორების გათვალისწინებით შეგვიძლია თანამედროვე მსოფლიოში რეჟიმების ხუთი ძირითადი ტიპი გამოვყოთ:

- დასავლური პოლიარქიები;
- ახალი დემოკრატიები;
- აღმოსავლურ-აზიური რეჟიმები;
- ისლამური რეჟიმები;
- სამხედრო რეჟიმები (A.Heywood. 2007. P. 53).

### **დასავლური პოლიარქიები**

“დასავლური პოლიარქიები” პირველ რიგში “ლიბერალურ დემოკრატიასთან” ან უბრალოდ, “დემოკრატიასთან” ასოცირდებიან. ეს გახლავთ ის პოლიტიკური სისტემები, რომელთა თავდაპირველ გეოგრაფიულ არეალს ჩრდილოეთ ამერიკა, დასავლეთ ევროპა და ავსტრალია-ოკეანია წარმოადგენდნენ. ცნობილი ამერიკელი პოლიტოლოგი სამუელ ჰანტინგტონი ამ რეჟიმების ფარგლებში მსოფლიო დემოკრატიული განვითარების პირველი ორი “ტალღის” შედეგს აფასებდა, რომელთაგან პირველი 1828-1926 წლების პერიოდს განეკუთვნებოდა და აშშ, საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი მოიცავს; მეორე “ტალღა” 1943-1962 წლებზე მოდიოდა და იგი უკვე დასავლეთ გერმანიაზე, იტალიაზე, დასავლეთ ევროპის რიგ სახელმწიფოებში, იაპონიასა და ინდოეთში გავრცელდა. მიუხედავად იმისა, რომ ამ სისტემებმა დემოკრატიზაციის და ლიბერალიზაციის მეტად გრძელი და რთული გზა გაიარეს, მოცემულ შემთხვევაში, ლიბერალურ დემოკრატიასთან შედარებით, უპირატესობას მაინც ტერმინ “პოლიარქიას” ვანიჭებთ, რაც შეიძლება ორი ფაქტორით იქნეს ახსნილი: ჯერ ერთი, ლიბერალური დემოკრატია, უფრო პოლიტიკური იდეალის შემცველ ცნებას წარმოადგენს და შესაბამისად, ზოგადი

ფილოსოფიურ-ეთიკური შინაარსითაა დატვირთული. მეორეც, როდესაც ვიყენებთ ტერმინს – “პოლიარქია”, ვგულისხმობთ, რომ საერთო ჯამში, აღნიშნული სისტემა ჯერ კიდევ ბოლომდე ვერ პასუხობს დასახულ იდეალს.

პოლიტიკური სისტემების განსაზღვრის პროცესში, ცნება “პოლიარქია” დალმა და ლინდლომმა დაამკვიდრეს თავიანთ ნაშრომში “პოლიტიკა, ეკონომიკა და კეთილდღეობა” (Dahl, 1953). მოგვიანებით, დალმა აღნიშნული ცნება კიდევ უფრო ნათლად წარმოგვიდგინა მის ნაშრომში “პოლიარქია: თანამონაწილეობა და წინააღმდეგობა” (Dahl, 1971). სხვადასხვა მეცნიერთა მოსაზრებით, პოლიარქიული რეჟიმები ორი ძირითადი ნიშან-თვისების ამა თუ იმ კომბინაციით გამოირჩევა: პირველი – მათში მიღწეულია განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების მქონე ადამიანების მიმართ ტოლფერანტული განწყობის შედარებით მაღალი დონე, რომელიც საკმარისია იმისათვის, რომ ხელისუფლებას შეეძლოს მისი პოლიტიკის განხორციელების პროცესში გარკვეული კორექტივების შეტანა. პრაქტიკაში ეს პოლიტიკური პლურალიზმისა და მრავალპარტიული სისტემის არსებობით, ინსტიტუციურად გარანტირებული და საიმედოდ დაცული სამოქალაქო უფლებებით, პროგრესულად მოაზროვნე სამოქალაქო საზოგადოების საქმიანობის შედეგად ხორციელდება. მეორე თვისების ძირითადი მახასიათებელი კი გახლავთ ის, რომ პოლიარქიები საზოგადოებას პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის ფართო შესაძლებლობას აძლევენ – ამ შემთხვევაში გადამწყვეტ როლს დემოკრატიისა და ჯანსაღი პოლიტიკური კონკურენციის პირობებში ჩატარებული არჩევნები ასრულებენ; სწორედ ამ ინსტრუმენტის მეშვეობით შეუძლია მოსახლეობას ზეგავლენა იქონიოს და თუ ამის საჭიროება შეიქმნა, შეცვალოს კიდევ ხელისუფლება. ამ თვალსაზრისით, პოლიარქიები ახლოსაა დემოკრატიული ელიტიზმის იმ ფორმასთან, რომელიც ჟოზეფ შუმპეტერმა აღწერა ნაშრომში “კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია” (Schumpeter J. 1942). ამავე დროს, ლინდბრომიცა და დალიც აღიარებდნენ, რომ პოლიარქიებზე მეტისმეტად დიდი ზეგავლენა წამყვან კორპორაციებს გააჩნიათ, ამიტომ ისინი ზოგჯერ ტერმინ “დეფორმირებულ პოლიარქიებსაც” კი იყენებდნენ.

შესაბამისად, მოცემული “პოლიარქიის” ცნება, სულ უფრო და უფრო მეტ რეჟიმს მიესადაგება. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ სადაც კი დემოკრატიული ნორმების შესაბამისი მრავალპარტიული არჩევნები ტარდება, ყველა ეს სახელმწიფო შესაძლებელია, რომ გარკვეული აზრით პოლიარქიებად მოვიხსენიოთ.

ამასთანავე, დასავლური პოლიარქიები მკვეთრად გამოხატული სპეციფიკით გამოირჩევიან – ამ ცნების ფარგლებში არა მხოლოდ წარმომადგენლობითი დემოკრატია და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა მოიაზრება, არამედ ამ შემთხვევაში საუბარია კულტურულ და იდეოლოგიურ ორიენტაციაზეც, რაც



მეტწილად დასავლური ლიბერალიზმიდან იღებს სათავეს. ამ მემკვიდრეობის უმთავრესი მახასიათებელი “ლიბერალური ინდივიდუალიზმის” (ე.ი. პიროვნული თავისუფლების) საყოველთაო აღიარებაა. ინდივიდუალიზმის პრინციპების ერთგულებამ – მოქალაქეთა უფლებების პატივისცემამ, რწმენა იმისა, რომ ხალხის არჩევანი და კონკურენცია საზოგადოებისა და სახელმწიფოს განვითარების მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს, და უკვე გამომუშავებულმა თვისებამ, რომ ეჭვითა და სიფრთხილით მოეკიდონ ნებისმიერ ხელისუფლებას, როგორც პიროვნების თავისუფლებისათვის შესაძლო საფრთხეს – მრავალმხრივი ზეგავლენა იქონია ზოგადად დასავლური პოლიარქიების პოლიტიკურ ცნობიერებაზე.

თუმცა, შეუძლებელია იმის თქმაც, რომ დასავლური პოლიარქიის ძირითადი პრინციპები ყველა დემოკრატიულ სახელმწიფოში ერთნაირად ფუნქციონირებს. ზოგიერთი მმართველობის სისტემა ცენტრალიზაციისა და უმრავლესობის მმართველობისაკენ იხრება, სხვები ხელისუფლების გადანაწილებასა და პლურალიზმისაკენ. სწორედ აღნიშნულ ფაქტორზე გაამახვილა ყურადღება ა. ლიეპპარტმა, როდესაც “მაჟორიტარულ” და “კონსენსუსის” საფუძველზე მოქმედ დემოკრატიებს შორის განსხვავება წარმოგვიდგინა: უმრავლესობის (მაჟორიტარული) დემოკრატიები პარლამენტარიზმის პრინციპებზეა ჩამოყალიბებული – ე.წ. ვენსმინსტერის მოდელის მიხედვით. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი რასაკვირველია, დიდი ბრიტანეთია, თუმცა ხსენებული მოდელის ბევრი ნიშან-თვისება ახალი ზელანდიის, ავსტრალიის, კანადის, ისრაელისა და ინდოეთის პოლიტიკურ სისტემებშიც შეინიშნება. მაჟორიტარული სისტემები ქვემოთმოყვანილი პარამეტრებიდან შესაძლოა ერთ-ერთს, ან ყველა პარამეტრს პასუხობდეს:

- ერთპარტიული მთავრობა.
- ძალაუფლების არასრული გადანაწილება აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის.
- ერთპალატიანი, ანდა სუსტადგამოხატული ორპალატიანი პარლამენტი.
- ორპარტიული სისტემა.
- ერთმანდატიანი ოლქის ელექტორალური სისტემა, სადაც პრეტენდენტისათვის ხმების უბრალო უმრავლესობაა საკმარისი.
- უნიტარული ან ცენტრალიზებული მმართველობა.
- დაუწერელი კონსტიტუცია და სუვერენული პარლამენტი (Heywood. A. 2007. P. 55).

ამ მოდელისაგან განსხვავებით, სხვა ტიპის დასავლურ პოლიარქიებს სახელისუფლებო და პარტიულ სისტემებში ძალაუფლების გადანაწილება ახასიათებთ. აშშ-ის პლურალისტური დემოკრატიის ამერიკული მოდელი ხელისუფლების ინსტიტუციონალურ გადანაწილებას ეფუძნება, რომლის მთავარი

პრინციპებიც ამ ქვეყნის კონსტიტუციაში იქნა ასახული. რაც შეეხება სხვა სახელმწიფოებს, განსაკუთრებით კონტინენტურ ევროპაში, საბოლოო პოლიტიკური კონსენსუსის მისაღწევად სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს შორის უფრო მჭიდრო კონტაქტები არსებობს, რაც მოლაპარაკებებში, “ვაჭრობასა” და ძალაუფლების ურთიერთგანაწილებაში გამოიხატება. ეს ყველაფერი კი უკვე დიდი ხნის განმავლობაში არსებულ ტრადიციას ეფუძნება. მაგალითად, ისეთი ლიბერალური ღირებულებების მქონე ქვეყნებში, როგორებიც გახლავთ ბელგია, ავსტრია და შვეიცარია - ურთიერთთანხმობის დემოკრატია (consociational democracy) განვითარდა, რომელიც უფრო ისეთი საზოგადოებებისათვისაა დამახასიათებელი, სადაც გარკვეული ეროვნული, რელიგიური, იდეოლოგიური, კულტურული, რეგიონალური თუ სხვა ტიპის განსხვავებები არსებობს. აღნიშნული ტიპის, იგივე პლურალისტური ტენდენციების მქონე სისტემაში, შემდეგი ნიშან-თვისებები გამოიყოფა:

- კოალიციური მთავრობა.
- აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების გამიჯვნა.
- ძლიერი ორპალატიანი სისტემა.
- მრავალპარტიულობა.
- პროპორციული წარმომადგენლობა.
- ფედერალიზმი ან უფლებამოსილებათა დელეგირება, “კოდიფიცირებული (დაწერილი)” კონსტიტუცია და უფლებათა დეკლარაცია (Heywood. A. 2007. P. 56).

ყველა პოლიტიკურ სისტემასა და პოლიარქიულ რეჟიმს თავისი მკვეთრად დამახასიათებელი თვისებები გამოარჩევს. ამერიკის შეერთებული შტატებში არსებული სისტემის განსაკუთრებულობა (exceptionalism) შეიძლება იმით იქნეს ახსნილი, რომ ქვეყანას არ გაუვლია ფეოდალიზმის ეპოქა, მას სახელმწიფოს შექმნის პირველ ეტაპზე არც ექსპანსიონისტური პოლიტიკა განუხორციელებია და თუ ბრიტანეთთან ომს არ ჩაეთვლით, არც გარე თავდასხმების საფრთხე განუცდია. ზემოაღნიშნული იმის გარკვეულ სურათს იძლევა, თუ რატომაა აშშ-ში პოლიტიკური კულტურა ესოდენ ინდივიდუალისტური, თუ რატომ გამოიმუშავა ქვეყანამ ასეთი იმუნიტეტი სოციალისტური, ან ამ ტიპის ნებისმიერი სხვა მოძღვრების მიმართ. აშშ-ს მოსახლეობაში დასავლურ პოლიარქიებს შორის რელიგიურობის დონე ერთ-ერთი ყველაზე მაღალია და დასავლურ სამყაროში ეს ქვეყანა ერთადერთია, სადაც ქრისტიანული ფუნდამენტალიზმიც კი მნიშვნელოვან პოლიტიკურ ძალად გარდაიქმნა.

### *ახალი დემოკრატიები*

სამუელ ჰანტიგტონის თანახმად, დემოკრატიზაციის მესამე ტალღამ მსოფლიოს 1974-1975 წლებიდან გადაუარა. ამის დადასტურება გახლავთ ულტრამემარჯვენე ორიენტაციის დიქტატურის დასრულება საბერძნეთში, პორტუგალიასა და ესპანეთში. მოგვიანებით, ადგილი ჰქონდა სამხედრო ხუნტების დამხობას ლათინურ ამერიკაში, აპარტეიდის რეჟიმის გაუქმებას სამხრეთ აფრიკაში და ბოლოს, რაც მთავარია, კომუნისტური სისტემის დამარცხება.

2003 წლისათვის, იმ ქვეყნების 63%-მა, რომელშიც ცხოვრობს მსოფლიო მოსახლეობის 70%, დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მმართველობის მეთოდის ძირითადი ნიშან-თვისებები შეიძინა (Heywood. A. 2007. P. 57).

ამ პროცესის განვითარების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლდათ მრავალპარტიული სისტემის დანერგვა, გამჭვირვალე არჩევნების ჩატარება და საბაზრო ეკონომიკასა და კონკურენციაზე ორიენტირებული რეფორმების დაწყება. ამის მიუხედავად, ბევრი სახელმწიფო ამ ეტაპზეც “გარდამავალ ქვეყნად” – უფრო სწორად, ახალ დემოკრატად, ანუ ნაწილობრივ თავისუფალ ქვეყნად განიხილება. დემოკრატიული გარდაქმნის პროცესი სხვადასხვა რეგიონში რთულად მიმდინარეობდა და მას განსხვავებული და არაერთგვაროვანი თვისებები ახასიათებდა. ახალი დემოკრატები მსოფლიო დემოკრატიული კულტურის დეფიციტს კი არ განიცდიდნენ, არამედ გლობალიზაციით განპირობებულ საგარეო და ეკონომიკურ თუ სავაჭრო პრობლემებსაც უნდა მორგებოდნენ და ძალზე სწრაფ საშინაო ცვლილებებსაც. ახალი დემოკრატების ერთ-ერთ მთავარ უარყოფით ფაქტორად პოლიტიკაში შეიარაღებული ძალების ჩარევა შეიძლება განვიხილოთ: ამის მაგალითებია სამხედრო გადატრიალებები პაკისტანში (1979 წ.) და ტაილანდში (2006 წ.). დემოკრატიზაციის პროცესი არც თუ ისე ადვილი აღმოჩნდა პოსტკომუნისტური სახელმწიფოებისათვისაც.

ტოტალიტარიზმიდან დემოკრატიისაკენ არსებულ გზაზე მთავარ დაბრკოლებად კომუნისტური რეჟიმის მძიმე პოლიტიკურ-კულტურული მემკვიდრეობის დაძლევა განიხილებოდა. როგორც ცნობილია, სოციალისტური ბანაკის წევრ ქვეყნებში, განსაკუთრებით კი სსრკ-ში, ტოტალიტარიზმის მრავალ სიმახინჯეს ჰქონდა ადგილი: უმკაცრესი ცენზურა და განსხვავებულად მოაზროვნე ადამიანთა შევიწროება, რაც კომუნისტური პარტიის ერთპიროვნული და შეუზღუდავი მმართველობით იყო განპირობებული, უკიდურესად ართულებდა თანამონაწილეობის, მოლაპარაკებების, თანხმობის პრინციპებზე ორიენტირებული სამოქალაქო კულტურის შექმნას. სწორედ ეს გახლავთ იმის შედეგი, რომ სსრკ-ის დაშლის შემდეგ, იგივე რუსეთში გაჩნდა სუსტი და დაქუცმაცებული პარტიული სპექტრი, რომელიც აშკარად ვერ პასუხობს რუსული საზოგადოების მთავარ მოთხოვნებს. პარადოქსია, მაგრამ აღნიშნულ სისტემებში ხშირად სტაბილურობის იდეის მატარებლები სწორედ კომუნისტური, თუ ყოფილი კომუნისტური პარტიები არიან. მაგალითად, რუმინეთსა და ბულგარეთში,

კომუნისტური საზოგადოების ბევრმა ინსტიტუტმა მშვიდობიანი ტრანსფორმაცია განიცადა პოსკომუნისტურ ეპოქაში: ხოლო რიგ აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის სახელმწიფოებში და რუსეთში, უკვე სოციალ-დემოკრატიული პრინციპებით შეიარაღებული კომუნისტური პარტიები ისევ გავლენიან ძალას წარმოადგენენ არჩევნებზე.

პრობლემათა მეორე წყება სოციალ-ეკონომიკური ხასიათის რეფორმებთანაა დაკავშირებული: მსოფლიო ბანკისა და საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ რეკომენდირებულმა “შოკურმა თერაპიამ”, ანუ ცენტრალიზებული გეგმური ეკონომიკიდან თავისუფალ საბაზრო კაპიტალიზმზე უსწრაფესად გადასვლამ, ბევრ ადამიანს სამუშაო დააკარგვინა და ინფლაცია გამოიწვია, რამაც პოლიტიკური და ეკონომიკური გარდაქმნების პირველ ეტაპზე მნიშვნელოვნად გააუარესა საზოგადოების სხვადასხვა სოციალური ფენის მატერიალური მდგომარეობა და სოციალური უთანასწორობაც გააღრმავა. თუმცა, ახალი დემოკრატიული მთავრობების მიერ გატარებული პოლიტიკის შედეგად, XX საუკუნის 90-იანი წწ. დასაწყისის ეიფორია, რომელიც საბაზრო რეფორმების მიმართ გაჩენილი პროტესტით იყო გამოწვეული, ეტაპობრივად ჩაცხრა და მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერამაც მკვეთრად იმატა. და ბოლოს, არსებობს სახელმწიფო ხელისუფლების სისუსტით განპირობებული პრობლემებიც. ეს სისუსტე განსაკუთრებით მაშინ ვლინდება, როდესაც სახელმწიფოს კომუნისტური მმართველობის პერიოდში ჩახშობილი, ცენტრიდანული ძალები უპირისპირდებიან. კომუნისტური სისტემის კრახის შემდეგ, ეს ეთნიკურ და ეროვნულ დაპირისპირებაში გამოვლინდა. სსრკ-ში არსებული პოლიტიკური რეჟიმის მარცხმა, ყოფილი საბჭოთა იმპერიის დაშლა გამოიწვია, რის შედეგადაც თხუთმეტი დამოუკიდებელი სახელმწიფო გაჩნდა, რომელთაგან რამდენიმე პოსტ-საბჭოთა ქვეყანაში, რუსეთის ჩათვლით, მწვავე ფორმით იქნა გაღვივებული ეთნიკურ ნიადაგზე წარმოშობილი კონფლიქტები.

1993 წელს არსებობა შეწყვიტა ჩეხოსლოვაკიამ, რომელიც ჩეხეთისა და სლოვაკეთის რესპუბლიკებად გაიყო. თუმცა ამ ქვეყნის დაშლის პროცესი მშვიდობიანად წარიმართა და როგორც ჩეხი, ისე სლოვაკი ხალხის ინტერესებში შედიოდა. ამავე დროს, ბევრად უფრო დრამატული ფორმა მიიღო ნაციონალურ-ეთნიკურმა კონფლიქტმა იუგოსლავიაში, სადაც 1991 წელს იგი ნამდვილ ომში გადაიზარდა სერბეთსა და ხორვატიას შორის. ბოსნიაში სამ ეთნიკურ და რელიგიურ ჯგუფს შორის ოთხი წლის განმავლობაში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა (1992-1996 წწ.), ხოლო კოსოვოში არსებულმა კონფლიქტმა სერბეთის ცენტრალურ ხელისუფლებასა და კოსოვოს სეპარატისტულ ძალებს შორის კულმინაციას 1999 წელს მიაღწია.

გარდამავალი პერიოდის განხილვის ფარგლებში, პოსტკომუნისტურ სახელმწიფოთა შორის მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება: შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიზაციის პროცესი ყველაზე წარმატებით გაიარეს აღმოსავლეთ და ცენტრალური ევროპის უკვე ინდუსტრიულად დაწინაურებულმა და დასავლურ ცივილიზაციაში სრულად ინტეგრირებულმა ჩეხეთმა, უნგრეთმა, პოლონეთმა, სლოვენამ, ესტონეთმა და ა.შ. და მეორეს მხრივ, ადგილი აქვს გარკვეულ ჩამორჩენას რუმინეთსა და ბულგარეთში, რომ არაფერი ვთქვათ რუსეთზე, სადაც ხელისუფლებაში პუტინის მოსვლის შემდეგ, ამ ქვეყანამ დემოკრატიის მიმართულებით სერიოზული უკუსვლა განიცადა. პირველი ჯგუფის ქვეყნებში საბაზრო რეფორმებმა სწრაფად და შედარებით მშვიდად ჩაიარა: მეორე ჯგუფში კი რეფორმები ან ზერელე და არასრული იყო, ან სერიოზული პოლიტიკური დაპირისპირების საფუძველი გახდა. ეს ყველაფერი ასახულ იქნა თუნდაც ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით, როდესაც 2004 წლის მაისში ამ ორგანიზაციაში ისეთი ქვეყნები გაწევრიანდნენ, როგორებიცაა: პოლონეთი, ჩეხეთი, უნგრეთი, სლოვენია, სლოვაკეთი, ბალტიის სახელმწიფოები (ლიტვა, ლატვია და ესტონეთი); ბულგარეთი და რუმინეთი კი ევროკავშირს 2007 წელს შეუერთდნენ, ხოლო ხორვატია 2013 წელს; რაც შეეხება ბალკანეთის სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებს – ალბანეთს, ბოსნია-ჰერცეგოვინასა და სერბეთს – ისინი ჯერაც რიგში დგანან. განსხვავებაა იმ ქვეყნებს შორისაც, სადაც კომუნისტური სისტემა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, წითელმა არმიამ ძალით “დანერგა” და ასევე ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორისაც. თუ ბალტიისპირეთის სახელმწიფოებმა, ამ ქვეყნებში არსებული მაღალი პოლიტიკური კულტურის წყალობით, წარმატებით დაძლიეს გარდამავალი პერიოდი, ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების უმრავლესობამ, რომლებიც დიდხანს იმყოფებოდნენ კომუნისტური და უფრო ადრე, ცარისტული რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, ჯერ ვერ შეძლო სრულყოფილ დემოკრატიულ ქვეყნებად ჩამოყალიბება. და ბოლოს, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ რუსეთი თავისებურად უნიკალური ქვეყანაა, რისი მიზეზიც შესაძლოა, იმპერიული წარსული და რუსული ნაციონალიზმის ავტორიტარული და ექსპანსიონისტური ბუნებაც იყოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ პეტრე დიდის დროიდან მოყოლებული, აქ დასავლური ორიენტაცია და სლავური “მეობა” უპირისპირდებოდა ერთმანეთს; შეიძლება ამით იქნეს ახსნილი, რომ ამ უდიდეს ქვეყანას დღესაც უჭირს განსაზღვროს საკუთარი კულტურული და პოლიტიკური ორიენტაცია დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის.

### ***აღმოსავლურ-აზიური რეჟიმები***

სრულიად მოსალოდნელია, რომ XXI საუკუნის პირველ ნახევარში, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნების სწრაფი სოციალ-ეკონომიკური განვითარება უფრო მნიშვნელოვანი მსოფლიო-ისტორიული პროცესი აღმოჩნდეს, ვიდრე კომუნიზმის სისტემის დაშლა.

თანამედროვე ეტაპზე, მსოფლიო ეკონომიკის სასწორი საგრძნობლად გადაიხარა დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ჯერ კიდევ XX საუკუნის უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში, წყნარი ოკეანის აუზის დასავლეთ სანაპიროზე ეკონომიკური ზრდის მაჩვენებლები საშუალოდ ორ-ოთხჯერ აღემატებოდა ევროპისა და ჩრდილოეთ ამერიკის განვითარებული ეკონომიკის მაჩვენებლებს. თუმცა, აღმოსავლეთ აზიური პოლიტიკური სისტემის რაღაც განსაკუთრებულობაზე ჯერაც არაფერია არ ლაპარაკობს და ექსპერტთა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ აზიაში პოლიტიკური სისტემების მოდერნიზაცია მისი ვესტერნიზაციითაა განპირობებული. პოლიტიკურ ენაზე ეს ნიშნავდა, რომ სამრეწველო კაპიტალიზმი და ლიბერალური დემოკრატია თითქოსდა მუდამ ფეხაწყობით მიაბიჯებენ. ამ პოზიციის გამზიარებლები პირველ რიგში იაპონიაში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მიღწეულ პოლიტიკურ პროგრესზე საუბრობენ, რომლის წინაპირობა შეიქმნა მას შემდეგ, რაც აშშ-მ გაიყვანა თავისი ძირითადი საჯარისო კონტინგენტი ამ სახელმწიფოდან და “ამომავალი მზის” ქვეყანას 1946 წლის კონსტიტუცია “უანდერძა”; ასევე მიუთითებენ მრავალპარტიული საარჩევნო სისტემის წარმატებულობაზე ტაილანდში, სამხრეთ კორეასა და ტაივანში (1980-1900 წწ.). ოღონდაც, ამგვარი მიდგომით მაინც რთულია იმის ახსნა, რატომ ფუნქციონირებს აზიური პოლიარქიული ინსტიტუციები სხვანაირად, ვიდრე ეს დასავლურ სამყაროში ხდება: როგორც ჩანს, არ არის გათვალისწინებული, რა განსხვავება შეიძლება დაინახოთ კონფუციანურ იდეებსა და ფასეულობებზე დაფუძნებულ კულტურებსა და დასავლური ინდივიდუალიზმის გავლენით ჩამოყალიბებულ კულტურებს შორის. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ალბათ მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ განსაკუთრებული, დასავლეთისაგან მკვეთრად განსხვავებული აზიური ფასეულობები მაინც არსებობს.

აღმოსავლეთ აზიაში არსებულ პოლიტიკურ სისტემებს რამდენიმე საერთო თვისებები გააჩნიათ. პირველ რიგში, ისინი უფრო ეკონომიკურ მიზნებზე არიან ორიენტირებულნი, ვიდრე პოლიტიკურზე. აღნიშნული რეგიონის ქვეყნების მთავრობათა მთავარ პრიორიტეტს დასავლური სტანდარტებით პიროვნული თავისუფლებისა და სამოქალაქო უფლებათა არეალის გაფართოება კი არ წარმოადგენს, არამედ ხელისუფლება მუშაობს იმ მიმართულებით, რომ დოვლათის შექმნასა და დაგროვებას შეუწყოს ხელი. აღნიშნული წმინდა პრაქტიკული მიდგომა აღმოსავლეთ აზიის “ხუთი ვეფხვის” ეკონომიკურ აღმავლობაშიც გამოიხატება (სამხრეთ კორეა, ტაივანი, ჰონკონგი, სინგაპური და მალაიზია). ეკონომიკის სწრაფი განვითარება, ერთპიროვნული კომუნისტური მმართველობის პირობებში, ჩინეთის საბაზრო ეკონომიკის მოულოდნელ განვითარებაშიც შეინიშნება (XX ს. გვიანი 70-იანი წლებიდან დღემდე). მეორეც, ყველა ამ ქვეყანაში ძლიერი მმართველობის მოთხოვნილება შეინიშნება – გავლენიანი “მმართველი” პარტიები მაინც გარკვეული ნდობით სარგებლობდნენ და სახელმწიფოს მიმართაც საყოველთაო რიდი იგრძნობა.

გადასახადებისა და საზოგადოებრივი ხარჯების არც თუ მაღალი დონის მიუხედავად (ჩვეულებრივ მშპ-ის 30%-ს არ აღემატება), შეგვიძლია ვილაპარაკოთ განსხვავებაზე დასავლურ - ძლიერ დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებულ სახელმწიფოს პოლიტიკურ მმართველობასა და აღმოსავლეთ-აზიურ სახელმწიფოებში არსებულ სისტემებს შორის. აზიაში საზოგადოება ფიქრობს, რომ სახელმწიფო “მამამარჩენალის” როლს უნდა ასრულებდეს, ნებისმიერ კერძო თუ საზოგადოებრივ გადაწყვეტილებას იღებდეს და ქვეყნის განვითარების ძირითად პრიორიტეტებს თვითონ განსაზღვრავდეს. და მესამეც – კონფუციანურ რელიგიურ და ტრადიციულ ღირებულებებზე დაყრდნობით, აღმოსავლეთ აზიის რეგიონის მაცხოვრებლებს, ლიდერთა მიმართ მოწიწება ძვალ-რბილში აქვთ გამჯდარი. რიგი დასავლელი მეცნიერის აზრით, ყველაფერ ზემოაღნიშნულში ავტორიტარიზმის ფარული თუ აშკარა ტენდენციები შეინიშნება. და ბოლო, მაგრამ არა უკანასკნელი – აზიური საზოგადოებისათვის საზოგადოებრივი და სოციალური კავშირები უადრესად ფასეულია – რაც ოჯახის ფენომენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის მინიჭებით გამოიხატება. საბოლოოდ, შეგვიძლია ვილაპარაკოთ იმაზე, რასაც იაპონელები “ერთად ფიქრს” უწოდებენ და რაც მნიშვნელოვნად ზღუდავს ისეთი ცნებების არეალს, როგორებიც გახლავთ (ყოველ შემთხვევაში, დასავლეთში მიღებული) ინდივიდუალიზმი და ადამიანის უფლებები.

თუმცა, აღმოსავლურ – აზიურ რეჟიმებშიც გარკვეული განსხვავებები შეინიშნება. მათგან უმნიშვნელოვანესია ჩინეთში მათ ძედუნის სიკვდილის შემდეგ საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვა. ამის შედეგად, ჩინეთსა და მის მეზობლებს შორის ეკონომიკის სფეროში მკვეთრი სხვაობა კი წაიშალა, მაგრამ ძირეული პოლიტიკური გამიჯვნა არ შეინიშნება. ჩინეთი, პოლიტიკური თვალსაზრისით მაინც, ხოლო ჩრდილოეთ კორეა – როგორც პოლიტიკური, ისე ეკონომიკურ გაგებითაც – უდაოდ კომუნისტურ რეჟიმებს წარმოადგენენ, სადაც სახელმწიფო მანქანას ჯერაც ერთმმართველი კომუნისტური პარტია აკონტროლებს. ჩინური პოლიტიკური მოდელი მკვეთრად განსხვავდება იაპონიის მყარი და წარმატებული, არჩევითი დემოკრატიისაგან. უფრო მეტიც, სხვა აღმოსავლეთ-აზიური სახელმწიფოების ინდუსტრიალიზაციისა და მზარდი ურბანიზაციის ფონზე, ჩინეთი, თავისი სწრაფი ეკონომიკური ზრდის მიუხედავად, დღემდე აგრარულ ქვეყნად რჩება და სწორედ ამით შეიძლება აიხსნას მისი ეკონომიკური განვითარების განსხვავებული ხასიათი. იაპონიისა და ისეთი “ვეფხვების” ეკონომიკაში, როგორებიცაა ტაივანი და სინგაპური, განვითარება მთელი უკანასკნელი დროის განმავლობაში ტექნიკურ ინოვაციებს, განათლებასა და მუშათა პროფესიულ მომზადებას ეფუძნებოდა, მაშინ როდესაც ჩინეთი თავისი იაფი მუშახელის იმედად იყო. და ერთი კიდევ: თვალსაჩინო კულტურული განსხვავება სრულად ჩინურ სახელმწიფოებსა (ტაივანი და საკუთრივ ჩინეთი), და იაპონიასა თუ ეთნიკურად ჭრელ ქვეყნებს შორის (ვთქვათ სინგაპური და მალაიზია). მაგალითად, სინგაპურის სკოლებში კონფუციის სწავლებისაგან იმ

მოტივით შეიკავეს თავი, ჩვენი მაღაელი და ინდოელი მოქალაქეების უკმაყოფილება არ გამოიწვიოსო. მსგავსი სიტუაცია შეიქმნა მაღაიზიაშიც, სადაც ყველაფერს აკეთებდნენ იმისათვის, რომ ჩინური ზეგავლენა შეეზღუდათ და მაღაური ისლამური კულტურის ელემენტები წამოეწიათ წინ.

### **ისლამური რეჟიმები**

ისლამის, როგორც არა მხოლოდ რელიგიური მიმდინარეობის, არამედ როგორც გარკვეულწილად პოლიტიკური იდეოლოგიის გავრცელებამ, საფუძვლიანი ზეგავლენა მოახდინა ჩრდილოეთ აფრიკის, აზიის მნიშვნელოვანი ნაწილის და პირველ რიგში ახლო აღმოსავლეთის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე. რიგ შემთხვევებში, გასამხედროებული ისლამური დაჯგუფებები არსებულ რეჟიმებს დაუპირისპირდნენ და XX საუკუნის 70-იანი წლებიდან, მარსიზმ-ლენინიზმის იდეების საყოველთაო იმედგაცრუების ფონზე, ჩაგრულთა ინტერესებისა და ისლამური იდეალების დამცველებად ახლა საკუთარი თავი გამოაცხადეს. ბევრ ქვეყნებში, უკვე თავად რეჟიმების ფორმირება მიმდინარეობდა, ან აღვილი ჰქონდა ისლამური იდეოლოგიის შესაბამისად პოლიტიკურ სისტემათა გარკვეულ სახეცვლილებას. 1932 წლიდან, ანუ სახელმწიფოდ გამოცხადების დღიდან, საუდის არაბეთი პირწმინდად ისლამურ ქვეყნად რჩება; ირანში - 1979 წლის ისლამური რევოლუციის შედეგად, აიათოლა ჰომეინის (1900-1989 წწ.) ინიციატივით, ირანის ისლამური რესპუბლიკა იქნა შექმნილი და შემდგომ წლებში, ირანის მაგალითს სუდანმა და პაკისტანმაც მიბაძეს. ისლამის მეტად თავისებური და საკამათო ინტერპრეტაცია საფუძვლად დაედო ისეთი ქვეყნის პოლიტიკას, როგორცაა კადაფის ლიბია, სადაც პოლკოვნიკი კადაფი 42 წლის განმავლობაში მართავდა ჩრდილოეთ აფრიკის ამ ქვეყანას.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ისლამი არასოდეს არსებობდა როგორც მხოლოდ რელიგიური მიმართულება. ის უფრო ცხოვრების იმ წესს წარმოადგენს, რომელიც როგორც მოქალაქეების, ისე ქვეყნების ეთიკური, პოლიტიკური და ეკონომიკური ქცევის ნორმებს განსაზღვრავს. “ისლამის გზა” მუჰამედ მოციქულის (570-632 წწ.) მოძღვრებას ეფუძნება, რომელიც ყურანშია გადმოცემული.

ისლამის ფუნდამენტალისტური მიმართულება, ძირითადად ირანთანაა ასოცირებული. ამ ქვეყანაში მომხდარი ისლამური რევოლუციის შემდეგ, მთელი ათი წლის განმავლობაში, ერის რელიგიური ლიდერი, აიათოლა ჰომეინი სათავეში ედგა კლერიკალური მმართველობის ინსტიტუციონალურ სისტემას – თხუთმეტი უმაღლესი სასულიერო პირისაგან შემდგარ “ისლამური რევოლუციის საბჭოს.” მიუხედავად იმისა, რომ აზიის ამ სახელმწიფოში ფუნქციონირებს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი – “ისლამური სათათბირო ასამბლეის” სახით, ყველა კანონს მაინც “კონსტიტუციის დაცვის საბჭო” ამტკიცებს – ისლამის ნორმებთან შესაბამისობის ფარგლებში. შარიათის სამართალი თანამედროვე პერიოდის ჩათვლით, რჩება



გაბატონებულ სამართლებრივ და მორალურ კოდექსად. მოგვიანებით, უკვე 90-იანი წლების ბოლოს, რევოლუციურმა და რელიგიურმა ფუნდამენტალიზმმა კიდევ უფრო რადიკალური სახე მიიღო 1997-2001 წლებში, როდესაც ავღანეთში ისლამურმა მოძრაობა “თალიბანმა” ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და მკაცრი თეოკრატიული რეჟიმი დაამკვიდრა. შედეგად, მთლიანად გამოირიცხა ქალების მონაწილეობა განათლების, ეკონომიკისა და საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში, განადგურებულ იქნა, ჯერ კიდევ ჩვენს წელთაღრიცხვამდე აგებული ისტორიული – ბუდისტური ძეგლები.

ფუნდამენტალიზმი არანაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს საუდის არაბეთში, სადაც მან, ფაქტიურად, აბსოლუტიზმის ელფერი შეიძინა, თუმცა, ბევრი ექსპერტის აზრით, ქვეყნის სუნიტური კონსერვატიული რეჟიმი შედარებით უფრო ნაკლებად ფუნდამენტალისტური ფორმებით ხასიათდება, ვიდრე შიიტური ირანის ისლამური პოპულიზმი. თუმცა, თავად მაჰმადიანური რელიგიის მიმდევრებს ნებისმიერი ისლამური რეჟიმის “ფუნდამენტალისტურად” შეფასება მეტისმეტად ალიზიანებთ. პოლიტიკურ პლურალიზმთან ისლამის შეუთავსებადობის ერთ-ერთ მაგალითად შეგვიძლია მაღაიზია წარმოვიდგინოთ: მიუხედავად იმისა, რომ ისლამი სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიის ამ ქვეყანაში ოფიციალურ სახელმწიფო რელიგიას წარმოადგენს და ქვეყნის უმაღლესი მმართველი, ამავე დროს, საერო და სასულიერო ლიდერად გვევლინება, სახელმწიფოში სხვადასხვა პოლიტიკური პარტია ფუნქციონირებს, რაც გვაძლევს საფუძველს ავღანიშნით – რომ ქვეყანაში ისლამური რეჟიმის შედარებით ლიბერალური ფორმა არსებობს.

ისლამისა და დემოკრატიის თანაარსებობის ყველაზე ნათელ მაგალითს თურქეთი წარმოადგენს: 1923 წელს მუსტაფა ქემალ ათათურქის (1881-1939) მიერ თურქეთის რესპუბლიკა იქნა დაფუძნებული, რომელმაც ქვეყნის განვითარების სეკულარული გზა აირჩია და დღემდე რჩება ამ პრინციპების ერთგული. მიუხედავად იმისა, 1990-იანი წლებიდან ისლამური პოლიტიკური პარტიების გავლენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თანდათან გაიზარდა, რისი შედეგიც გახლდათ 1996 წლიდან სამთავრობო კოალიციის სათავეში “კეთილდღეობის პარტიის” მოსვლა, სამხედროების პროცესებში ჩარევის შედეგად აღნიშნული კოალიცია დაიშალა. 2002 წლის საყოველთაო არჩევნებში კი დამაჯერებელი გამარჯვება უკვე მისმა მემკვიდრემ, “სამართლიანობისა და განვითარების” პარტიამ მოიპოვა, რომელიც, თავისი ისლამისტური ფესვების მიუხედავად, პოლიტიკურ პლურალიზმსა და ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანებას უჭერს მხარს, რისი შედეგიც გახლავთ ის ფაქტი, რომ აღნიშნულმა პოლიტიკურმა პარტიამ უკვე შემდგომ არჩევნებში კიდევ უფრო დამაჯერებელი შედეგით გაიმარჯვა.

### *სამხედრო რეჟიმები*

პოლიტიკურ რეჟიმთა უმრავლესობა, როგორც წესი, პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და იდეოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით ყალიბდება. თუმცა, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში ფუნქციონირებს ისეთი რეჟიმებიც, რომლებიც მხოლოდ სამხედრო ძალას ეყრდნობა და უმეტესწილად ძალადობასა და რეპრესიებზეა ორიენტირებული. სამხედრო რეჟიმები ზოგადად “ავტორიტარული” რეჟიმების ერთგვარ ნაირსახეობადაც შეიძლება განიხილებოდეს. სამხედრო ტიპის ავტორიტარიზმი ყველაზე ფართოდ ლათინურ ამერიკაში იყო გავრცელებული, განსაკუთრებით “ცივი ომის” პერიოდში, ასევე, აღნიშნული რეჟიმები არსებობდა აფრიკის კონტინენტის რიგ ქვეყნებში და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. მეორე მსოფლიო ომამდე და ომის შემდგომ პერიოდშიც, სამხედრო დიქტატურამ ესპანეთში, პორტუგალიასა და საბერძნეთშიც იჩინა თავი. როგორც წესი, სამხედრო რეჟიმების დროს ძალაუფლება სამხედროთა ხელში გადადის – სამხედრო სარდლობის იერარქიაში მათი მდგომარეობის შესაბამისად; ამავდროულად, შეჩერებულია პოლიტიკური და კონსტიტუციური საქმიანობა. შესაბამისად, ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო, რომლის მეშვეობითაც საჯარო ოპონირებაა შესაძლებელი, მხოლოდ ფიქტიურ როლს ასრულებს ქვეყნის ცხოვრებაში. ასევე, დაწესებულია მკაცრი ცენზურა მას-მედიის საშუალებებზე. იმის მიუხედავად, რომ სამხედრო მმართველობის ნებისმიერი ფორმა თავისი ბუნებით ანტისახალხო და ანტიდემოკრატიულია, მათ შორის მაინც შესაძლებელია რამდენიმე ტიპის სამხედრო რეჟიმებზე საუბარი. ზოგიერთი სამხედრო რეჟიმის პირობებში არმია უშუალო კონტროლს ახორციელებს მთავრობაზე და ასეთი სახესხვაობის კლასიკურ ფორმას ლათინური ამერიკისათვის დამახასიათებელი სამხედრო ხუნტა წარმოადგენს. ეს გახლავთ კოლექტიური სამხედრო მმართველობის ფორმა, როდესაც გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალოდ სამხედრო მეთაურთა საბჭოა ჩართული. უმეტესწილად, მმართველობა შეიარაღებული ძალების სამი სახეობითაა წარმოდგენილი (სახმელეთო, საზღვაო და სამხედრო-საჰაერო). ხუნტაში ხშირად აქვს ადგილი უთანხმოებას ზემოაღნიშნული ჯარების სარდლობათა შორის, რასაც რიგ შემთხვევებში მოსდევს ძალაუფლების გადასვლა ერთი სამხედრო დაჯგუფებიდან მეორეს ხელში.

სამხედრო რეჟიმის მეორე ფორმაა სამხედრო მხარდაჭერით უზრუნველყოფილი პიროვნული დიქტატურა. ანალოგიურ შემთხვევაში წამყვან როლს ერთი რომელიმე პიროვნება ასრულებს და მისი ქარიზმატული გავლენის საფუძველზე ე.წ. პიროვნების კულტი ყალიბდება. ამის ერთ-ერთ მაგალითს წარმოადგენს პოლკოვნიკი პაპადოპულოსი საბერძნეთში (1974-1980წწ.), 1973 წლის გადატრიალების შემდეგ ჩილეს სათავეში მოსული პინოხეტი და გენერალი აბაჩა ნიგერიაში (1993-1998 წწ.). და ბოლოს, რიგ ქვეყნებში ისეთი სამხედრო რეჟიმებიც მოქმედებს, როცა ხელისუფლების განმტკიცების მთავარ მიზეზად შეიარაღებული ძალების ლოიალობა გვევლინება, თუმცა თავად სამხედრო მეთაურები ჩრდილში რჩებიან და ასე

აკონტროლებენ ვითარებას. სწორედ ასე განვითარდა მოვლენები ბრაზილიაში 1945 წელს, როცა არმიამ, ხელისუფლებისათვის ლიგიტიმური სახის შესანარჩუნებლად, პრიორიტეტად დაისახა, რომ პოლიტიკური და სამხედრო ორგანოები, ფორმალურად მაინც, ურთიერთგამიჯნული დაეცოვნენ. თუმცა, ასეთი გამიჯვნის შედეგად, შესაძლებელია, რომ შემდგომ პერიოდში უკვე გაჩნდეს რეალური კონსტიტუციური და წარმომადგენლობითი პოლიტიკური ინსტიტუტების მოთხოვნილებაც, ხოლო ამ ინსტიტუტებმა თავის მხრივ, სამხედრო რეჟიმის უშუალო გავლენა შეასუსტონ და პოლიარქიული ტენდენციებიც წაახალისონ.

### თავი 33. პოლიტიკური სისტემის დინამიკა

საზოგადოების პოლიტიკური სისტემის არსებით მახასიათებელს მისი ცვალებადობა და დინამიკა წარმოადგენს. პოლიტიკური სისტემების ევოლუციის მთავარ მიზეზად საზოგადოებაში კლასობრივი და სოციალური ინტერესების განსხვავება გვევლინება. ცვლილებათა პროცესს ხშირად მწვავე პოლიტიკურ კონფლიქტებამდე, კლასობრივ დაპირისპირებამდე, ეთნიკურ კონფრონტაციამდე მიყვება. პოლიტიკურ ბრძოლაში თითოეული კონფლიქტური მხარე ცდილობს სპეციფიკური მიზნების მიღწევას, თავისი პოზიციების დაცვას. იმ სოციალური ძალების განწყობა, რომლებიც პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობენ, შეიძლება იყოს კონსერვატიული, რეფორმისტული, რევოლუციური ან რევანშისტული. საზოგადოებაში არსებული განწყობების მიხედვით, პოლიტიკური სისტემების ევოლუციის შემდეგი ფორმები გამოიყოფა: ა) რეფორმაციული პროცესები; ბ) რევოლუციური პროცესები; გ) კონტრრევოლუცია; დ) პოლიტიკური უძრაობა.

პოლიკაში უძრაობის პერიოდი პოლიტიკური წყობილების კონსერვაციით ხასიათდება, ადგილი აქვს იმ ძალისხმევათა ბლოკირებას, რომლებიც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების არსებითი ცვლილებებისკენაა მიმართული. უძრაობის პერიოდში ხორციელდება დემოკრატიული პროცესების შეჩერება, პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებაში სახალხო მასების მონაწილეობის შეზღუდვა. პოლიტიკური პროცესების ჩართვაში სახალხო მასების მონაწილეობას ფორმალური პროცედურის ხასიათი გააჩნია. ძლიერდება ავტორიტარიზმი, საზოგადოებრივ პროცესებში სახელმწიფო აპარატის როლი, ფართოდება მისი საქმიანობის სფერო. უძრაობისათვის დამახასიათებელია – ბიუროკრატიზმი პოლიტიკაში, რომელიც სახელმწიფო აპარატის საქმიანობის ისეთ ნეგატიურ თვისებაში იჩენს თავს, როგორცაა საზოგადოებრივი პრობლემების განხილვისადმი ფორმალური მიდგომა. უძრაობის მეორე არსებითი თვისებაა – პოლიტიკური კრიზისი. არ ხდება საზოგადოებრივი პრობლემების გადაწყვეტა, ამის საპირისპიროდ კი აღნიშნული პრობლემები ღრმავდება. გამორიცხულია პრობლემების განხილვის პროცესში რადიკალური გადაწყვეტილებების მიღება იმ შემთხვევაში, თუ ისინი საფრთხეს უქმნიან არსებული პოლიტიკური წყობილების

სტაბილურობას. ამ შემთხვევაში შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს არსებული პრობლემების მოგვარების იმიტაციას.

პოლიტიკური კრიზისის გამწვავების პირობებში, როდესაც უკვე ძალიან რთული ხდება არსებული ხელისუფლების შენარჩუნება ძველი მეთოდებისა და ფორმების საშუალებით, იზრდება იმის აუცილებლობა და შესაძლებლობა, რომ განხორციელდებულ იქნეს პოლიტიკური სისტემის რეფორმა ევოლუციური გზით.

რაც შეეხება რეფორმაციულ პროცესებს, მათთვის დამახასიათებელია პოლიტიკური სისტემის ცვლილება საზოგადოებრივ ურთიერთობათა ცალკეული ასპექტების გამოსწორების მეშვეობით, რაც საბოლოო ჯამში სოციალურ სისტემაში დაძაბულობას წარმოშობს. რეფორმაციული სტრატეგია საზოგადოების კრიტიკულ ზონებში თანდათანობითი რეგულირების ჩატარებით ხასიათდება. სწორედ ამიტომაც, თუ რეფორმაციის მიზნები შედარებით მოკრძალებულია, ის არ ცდილობს საზოგადოების მთლიანად რეორგანიზაციას, არამედ ამის ნაცვლად იგი მუშაობს იმისათვის, რომ განზე გაწიოს წინააღობები, რომლებიც აფერხებენ პოლიტიკური სისტემის ნორმალურ ფუნქციონირებას. რეფორმიზმი პრაგმატიზმის სულით ხასიათდება, ის თავისი თავის წინაშე არ აყენებს ამოცანას საზოგადოების მთლიანი რეორგანიზაციის მიმართულებით - იდეალური მოდელის საფუძველზე. რეფორმები მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუ პოლიტიკური კრიზისის პერიოდში დროულად განისაზღვრება მათი განხორციელების აუცილებლობა. იმ პირობებში, როდესაც კრიზისი პოლიტიკურ კატასტროფაში გადაიზრდება, რეფორმები უძლეურია და მოდის რევოლუციური ცვლილებების დრო.

რევოლუციური პროცესებისათვის პოლიტიკური სისტემის ძირფესვიანი ხარისხობრივი გარდაქმნაა დამახასიათებელი. თავის მხრივ, პოლიტიკური სისტემის რევოლუციური ცვლილების განსახორციელებლად რევოლუციური სიტუაციაა აუცილებელი. ერთის მხრივ, აღნიშნულ რადიკალურ გარდაქმნებს სახელმწიფო ხელისუფლების მწვავე კრიზისი ახასიათებს, რადგანაც გაბატონებული კლასი უუნაროა გაუმკლავდეს არსებულ კრიზისს. მეორეს მხრივ, იქმნება გავლენიანი სოციალური ფენა, რომელსაც გააჩნია მზადყოფნა და განზრახვა, რომ შეცვალოს არსებული პოლიტიკური ხელისუფლება. ამისათვის აუცილებელია, რომ რევოლუციურ ძალებს გააჩნდეთ საკუთარი პარტია, რომელიც შეასრულებს ორგანიზატორისა და ავანგარდის როლს რევოლუციური ცვლილებების პროცესში.

პოლიტიკური სისტემის რევოლუციურ ცვლილებებს რამდენიმე ძირითადი ეტაპი გააჩნიათ: განვითარება, აფეთქება, გამარჯვება და ინსტიტუციონალიზაცია. განვითარების საფუძველზე ფორმირდება რევოლუციური სიტუაცია. სამთავრობო ძალებსა და რევოლუციურ მასებს შორის შეიარაღებულ შეტაკებას მივყვართ აფეთქებამდე. თუ რევოლუციური მოძრაობა იმარჯვებს, დგება ძველი სახელმწიფო წყობილების ნგრევისა და ახლის შექმნის ეტაპი. ახალი სახელმწიფო წყობილების

ფორმირების პროცესში ადგილი აქვს ბიუროკრატიული სისტემის ნგრევას, როდესაც სახელმწიფო აპარატის როლი საგრძნობლად მცირდება. ეს ხდება იმიტომ, რომ ახალი პოლიტიკური ელიტა არ ენდობა წინა რეჟიმის ბიუროკრაციას. ახალი სახელმწიფოს ფორმირების პროცესში რევოლუციური პარტიები ცდილობენ სახალხო მასებს დაეყრდნონ, ჩართონ ისინი პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეალიზაციის შემუშავების პროცესში. დიდ მნიშვნელობას იძენს წარმომადგენლობითი და უშუალო დემოკრატიის ფორმები და მეთოდები. რევოლუციურ გარდაქმნათა დამამთავრებელ ეტაპზე ხდება ახალი პოლიტიკური სისტემის ინსტიტუციონალიზაცია, იქმნება ახალი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული ინსტიტუტები, რომლებიც იწყებენ საზოგადოებრივი ორიენტაციის განსაზღვრას. იზრდება აღმასრულებელი ხელისუფლების როლი, ფორმირდება სახელმწიფო აპარატი, რომელსაც ძალუძს გადაწყვიტოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის ამოცანები, ხდება საზოგადოების ეკონომიკური და სოციალური განვითარების ამოცანების გადაწყვეტა. თუ რევოლუციური ძალები განიცდიან დამარცხებას, მაშინ პოლიტიკურ სისტემაში ხორციელდება რეაქციული პროცესები, რასაც საბოლოო ჯამში მიჰყვართ ფაშისტური, კომუნისტური ან სამხედრო პოლიტიკური რეჟიმის ჩამოყალიბებამდე.

რევოლუციური გარდაქმნები – ეს არის წინააღმდეგობებით აღსავსე პროცესი. იმ საფრთხეებს შორის, რომლებშიც პოლიტიკური რევოლუციები მათი გამარჯვების შემდეგ იმყოფებიან, შეიძლება დაგასახელოთ “პიროვნების კულტი”, რომელიც პრივილეგიებს გარკვეულ ჯგუფებს ანიჭებს და ასევე კორუფცია. სოციალური რევოლუციების ყველაზე მთავარ დამახასიათებელ თვისებას პირველად მიზნებსა და მათი კონკრეტული განხორციელების ფორმებს შორის ურთიერთობა წარმოადგენს. ისეც ხდება, რომ ეს მიზნები რეალურ ცხოვრებაში ისე არ ხორციელდება, როგორც ეს თავიდან იყო წარმოდგენილი, ან მათი მიღწევისათვის საჭიროა გაცილებით ხანგრძლივი ისტორიული პერიოდი. ზემოაღნიშნულმა შესაძლოა ხალხის მასებში გარკვეული უნდობლობა წარმოშვას, რითაც პირველ რიგში რევოლუციური რეჟიმის მოწინააღმდეგეები სარგებლობენ. მოვლენათა ასეთმა განვითარებამ შესაძლოა კონტრრევოლუციამდე მიგვიყვანოს. სხვადასხვა კონტრრევოლუციური ჯგუფების საერთო მიზანს კი დაკარგული პოზიციების აღდგენა და შესაბამისად ძალაუფლების დაუფლება წარმოადგენს.

### **თავი 34. საქართველოს პოლიტიკური სისტემა**

საქართველო მდებარეობს ევროპისა და აზიის გასაყარზე კერძოდ, სამხრეთ კავკასიის რეგიონში მდებარეობს. დასავლეთიდან მას ესაზღვრება შავი ზღვა, ჩრდილოეთით - რუსეთის ფედერაცია, სამხრეთ-აღმოსავლეთით - აზერბაიჯანი, სამხრეთით - სომხეთი და თურქეთი.

ქვეყნის ტერიტორიის ფართობი 69,7 ათას კვადრატულ კილომეტრს შეადგენს (ვ. ნეიძე. 2003. გვ. 13)..

საქართველო უძველესი ცივილიზაციის ქვეყანაა. ეს ტერიტორია ადამიანებით ჯერ კიდევ 1.7 - 1.8 მილიონი წლის წინათ იყო დასახლებული. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ 1999 წელს საქართველოს სამხრეთ-აღმოსავლეთით, ქ. დმანისის ტერიტორიაზე აღმოჩენილ იქნა ჰომო ერექტუსი (გამართული ადამიანის) თავის ქალა და არქანტროპის ქვედა ყბა. დღესდღეობით დმანისელი ადამიანი ევრაზიის კონტინენტის უძველეს მკვიდრად და მას “პირველ ევროპელსაც” კი უწოდებენ (ვ. ნეიძე. 2003. გვ. 13).

### ***სახელმწიფო ხელისუფლება***

საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლება ხორციელდება ხელისუფლების დანაწილების პრინციპზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულია საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების ძირითადი ფუნქციები.

საქართველოს სახელმწიფოს მეთაურს საქართველოს პრეზიდენტი წარმოადგენს. 2013 წლის 17 ნოემბრამდე (საქართველოს ახალი პრეზიდენტის უფლებამოსილების ძალაში შესვლის თარიღი) ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებამდე საქართველოს პრეზიდენტი წარმართავდა და ახორციელებდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას. 2013-2018 წლებში არსებული მდგომარეობის მიხედვით პრეზიდენტი უზრუნველყოფდა ქვეყნის ერთიანობას და მთლიანობას, სახელმწიფო ორგანოთა საქმიანობას კონსტიტუციის შესაბამისად. კონსტიტუციაში აღნიშნული იყო, რომ: „სახელმწიფოს მეთაური საქართველოს უმაღლესი წარმომადგენელია საგარეო ურთიერთობებში“ (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი. მუხლი 69).

2018 წელს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებამდე პრეზიდენტის არჩევნების წესი შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ“ (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი. 70).

ქვეყნის უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებების შედეგად, საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით, დებატების გარეშე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს პარლამენტის შენობაში აირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობასაც ცესკო ამტკიცებს. საარჩევნო კოლეგია შედგება ეგრეთ წოდებული 300 ხმოსნისგან. ხმოსნები არიან საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის

ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ასევე ადგილობრივი საკრებულოების შემადგენლობიდან შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული პირები.

ერთი და იგივე ადამიანის არჩევა საქართველოს პრეზიდენტად მხოლოდ ორჯერ შეიძლება. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30 ხმოსანს. ერთ ხმოსანს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმოსანთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 დაუჭერს მხარს.

თუ პირველ ტურში საქართველოს პრეზიდენტი არ აირჩა, მეორე ტურში მონაწილეობს საუკეთესო შედეგის მქონე 2 კანდიდატი. გაიმარჯვებს ის, ვინც მეტ ხმას მიიღებს. თუ არჩევნები არ შედგა ან ამომრჩეველთა კოლეგიამ საქართველოს პრეზიდენტი ვერ აირჩია, 30 დღის ვადაში იმართება საქართველოს პრეზიდენტის ხელახალი არჩევნები.

რადგან პარლამენტის და პრეზიდენტის არჩევის სისტემა იცვლებოდა და ეს ორი პროცესი ერთმანეთზე იყო დამოკიდებული, ამიტომ 2018 წელს პრეზიდენტი ისევ პირდაპირი წესით აირჩა, მაგრამ ამ წელს არჩეულ პრეზიდენტს მმართველობის ვადა ერთი წლით გაუხანგრძლივდა იმისთვის, რომ მისი შემდეგი არჩევნები 2024 წელს, პარლამენტის პროპორციული სისტემით არჩევას დაემთხვეს.

რაც შეეხება პარლამენტს, საქართველოს პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს წარმოადგენს, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, კონსტიტუციით განსაზღვრულ ფარგლებში კონტროლს უწევს მთავრობის საქმიანობას და ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული პირობების შექმნამდე (იგი ორპალატიანი პარლამენტის შექმნას ითვალისწინებს ) ქვეყნის საკანონმდებლო ორგანო შედგება საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით, 4 წლის ვადით, პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი 4).

საქართველოს კონსტიტუციის მე-4 მუხლის თანახმად, ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე შესაბამისი პირობების შექმნისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ფორმირების შემდეგ საქართველოს პარლამენტის შემადგენლობაში იქნება ორი პალატა: რესპუბლიკის საბჭო და სენატი. რესპუბლიკის საბჭო შედგება პროპორციული წესით არჩეული წევრებისაგან. სენატი შედგება აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში, აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში და საქართველოს სხვა ტერიტორიულ ერთეულებში არჩეული წევრებისა და საქართველოს პრეზიდენტის მიერ დანიშნული 5 წევრისაგან.

2019 წლის ივნისამდე არსებობდა მიდგომა, რომლის მიხედვითაც 2024 წლიდან პარლამენტის 150-ივე წევრის არჩევა პროპორციული სისტემით განხორციელდებოდა; არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ პოლიტიკური პარტიები მიიღებდნენ (და არა ბლოკები); პარლამენტში ფრაქციას ვერ შექმნიდა 7-ზე ნაკლები დეპუტატი (აქამდე 6-ს შეეძლო); ერთი პოლიტიკური პარტიის წარდგენით არჩეული წევრები ვერ შექმნიდნენ ერთზე მეტ ფრაქციას;

პარლამენტის წევრის მანდატები განაწილდებოდა მხოლოდ იმ პოლიტიკურ პარტიებზე, რომლებიც მიიღებდნენ არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა ხმების 5 %-ს მაინც ანუ 5%-იანი ბარიერი უცვლელი რჩებოდა. ხოლო გაუნაწილებელ მანდატებს ანუ იმ პარტიების მიერ მიღებულ ხმებს, რომლებმაც ბარიერი ვერ გადალახეს (საარჩევნო კოდექსით ეს ხმები არ იკარგება, არამედ ბარიერგადალახულ პარტიებზე ბონუსის სახით ნაწილდება) მიიღებდა ის პოლიტიკური პარტია, რომელიც ყველაზე მეტ ხმას დააგროვებდა. მაგრამ იქვე დადგენილი იყო ბონუსის ზედა ზღვარი, რომლის თანახმად გაუნაწილებელი მანდატების რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ამ პარტიის მის მიერ მიღებული ხმების 35%-ზე მეტს. დანარჩენი გაუნაწილებელი მანდატები პროპორციულად სხვა ბარიერგადალახულ პარტიებზე განაწილდებოდა.

დაგეგმილი იყო, რომ პარლამენტის არჩევის ამ წესებიდან უმრავლესობა ამოქმედდებოდა არა მომავალი საპარლამენტო არჩევნებიდან, რომელიც 2020 წელს ჩატარდება, არამედ 2024 წლის არჩევნებზე. 2020 წელს არჩევნებში განსაზღვრული იყო ერთჯერადად 3%-იანი ბარიერის დაწესება და მასში მონაწილეობას ბლოკებად გაერთიანებული პარტიებიც შეძლებდნენ. 2024 წელს კი ერთჯერადად ბონუსის სისტემაც არ ამოქმედდებოდა და გადაუნაწილებელ მანდატებს ბარიერგადალახული პარტიები თანაბრად გაიყოფდნენ.



ზემოაღნიშნული ინიციატივების მიუხედავად, 2019 წლის ზაფხულში განვითარებულმა მოვლენების შემდეგ, საქართველოს ხელისუფლებამ ახალი ინიციატივა წამოაყენა, რომლის მიხედვითაც 2020 წლიდან საარჩევნო სისტემა სრულად პროპორციული გახდება, რაც იმას ნიშნავს, რომ პარლამენტის 150-ვე მანდატი პარტიული სიებიდან შეივსება. ამგვარად, პარტიების მიღებული ხმებისა და საპარლამენტო მანდატების რაოდენობა უფრო მეტად პროპორციული გახდება.

მაგალითისთვის, 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციულად რომ ჩატარებულიყო, 5%-იანი ბარიერით, ქართული ოცნება 115-ის ნაცვლად 83 მანდატს მიიღებდა, რაც საკონსტიტუციო უმრავლესობას გამოორიცხავდა. უფრო ძლიერი იქნებოდა ოპოზიცია - ნაციონალური მოძრაობა, რომელმაც ხმების 27.11% მიიღო, პარლამენტში 27-ის მაგივრად 50 დეპუტატს შეიყვანდა, ხოლო პატრიოტთა ალიანსს (ხმების 5.01%) 17 დეპუტატი ეყოლებოდა.

### **რითი სჯობს სრულად პროპორციული სისტემა არსებულ შერეულ სისტემას?**

პროპორციული სისტემის შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია, რომელიმე პარტიამ საკონსტიტუციო უმრავლესობისთვის საკმარისი რაოდენობის მანდატების აღება და, შესაბამისად, ძალაუფლების სადავეების ერთპიროვნულად ხელში ჩაგდება შეძლოს. არჩევნებში გამარჯვებულ, ანუ ყველაზე მეტი ხმის მომპოვებელ პარტიას პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში აუცილებლად მოუწევს სხვა პარტიებთან კომპრომისებზე წასვლა.

სწორედ ეს არის პროპორციული სისტემის მთავარი პლუსი, რაც ავტომატურად დადებითად აისახება ქვეყნის დემოკრატიის ხარისხზე.

პროპორციული საარჩევნო სისტემის უპირატესობებზე მსჯელობისას უნდა აღინიშნოს, რომ ერთპალატიან საპარლამენტო სისტემაში უმრავლესობის ერთპარტიულობის თავიდან აცილება კრიტიკულად მნიშვნელოვანია.

შეიძლება ითქვას, რომ ერთპალატიანი პარლამენტით საპარლამენტო სისტემაში, სადაც სასამართლო ხელისუფლებას არ შეუძლია პოლიტიკური შტოების შეკავება, კრიტიკულად აუცილებელია თავიდან ავიცილოთ საპარლამენტო უმრავლესობის ერთპარტიულობა. ამის მიღწევა მხოლოდ პროპორციული საარჩევნო სისტემით არის შესაძლებელი.

ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აღნიშნული პროპორციული სისტემის ფარგლებში უქმდება საარჩევნო ბარიერიც. თუმცა, ბარიერი ფორმალურად უქმდება, ბუნებრივი ბარიერი, რომელიც დაახლოებით, 0.66%-ია, მაინც იარსებებს. ანუ, პარტიას,

დაახლოებით, 12 000-დან 15 000-მდე ადამიანის ხმა სჭირდება იმისთვის, რომ პარლამენტში 1 ადგილის მოპოვება მაინც შეძლოს (ტაბულა, 2019).

**საქართველოს მთავრობა** ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღმასრულებელი ხელისუფლების, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებას უზრუნველყოფს. ხელისუფლების აღნიშნული შტო საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე პასუხისმგებელი.

საქართველოს მთავრობა შედგება პრემიერ-მინისტრისა და მინისტრებისაგან. მთავრობის შემადგენლობაში შეიძლება იყოს სახელმწიფო მინისტრი (სახელმწიფო მინისტრები). პრემიერ-მინისტრი უფლებამოსილია მთავრობის ერთ-ერთ წევრს დააკისროს პირველი ვიცე-პრემიერის, აგრეთვე ერთ ან რამდენიმე წევრს - ვიცე-პრემიერის მოვალეობის შესრულება.

საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე (რომლის ფუნქციებიც საკმაოდ გაიზარდა ქვეყნის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებების შედეგად), საქართველოს პრემიერ-მინისტრი განსაზღვრავს მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, იგი ორგანიზებას უწევს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კოორდინაციას და კონტროლს მთავრობის წევრების საქმიანობაზე, მოახსენებს საქართველოს პრეზიდენტს და პარლამენტს მთავრობის საქმიანობის შესახებ და პასუხისმგებელია მთავრობის საქმიანობისათვის საქართველოს პრეზიდენტისა და პარლამენტის წინაშე. საქართველოს პრემიერ-მინისტრი წარადგენს მთავრობის სხვა წევრებს და უფლებამოსილია თანამდებობიდან გაათავისუფლოს მთავრობის წევრები.

**სასამართლო ხელისუფლება** დამოუკიდებელია და მას მხოლოდ შესაბამისი ინსტანციის სასამართლოები ახორციელებენ. სასამართლო ხელისუფლება საკონსტიტუციო კონტროლის, მართლმსაჯულების და კანონით დადგენილი სხვა ფორმების მეშვეობით ხორციელდება.

მართლმსაჯულებას სამოქალაქო, ადმინისტრაციულ და სისხლის სამართალწარმოებათა მეშვეობით ახორციელებენ საერთო სასამართლოები. საქართველოს საერთო სასამართლოებია: რაიონული (საქალაქო) სასამართლო, სააკველაციო სასამართლო, საქართველოს უზენაესი სასამართლო.

მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის, მოსამართლეთა თანამდებობიდან გათავისუფლების და მთლიანობაში, სასამართლო ხელისუფლების წარმატებით ფუნქციონირების მიზნით შექმნილია საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შემადგენლობის ნახევარზე მეტს შეადგენენ საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა თვითმმართველობის ორგანოს

მიერ არჩეული წევრები. საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარეობს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე.

რაიონული (საქალაქო) სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს შექმნა და მათი სამოქმედო ტერიტორიის განსაზღვრა ხდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს გადაწყვეტილებით.

საქართველოს უზენაესი სასამართლო საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლოა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებით სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ირჩევს საქართველოს პარლამენტი არანაკლებ 10 წლის ვადით.

საკონსტიტუციო კონტროლის სასამართლო ორგანოა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო შედგება 9 მოსამართლისაგან - საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებისაგან. სასამართლოს სამ წევრს ნიშნავს საქართველოს პრეზიდენტი, სამ წევრს ირჩევს საქართველოს პარლამენტი სიითი შემადგენლობის არანაკლებ სამი მეხუთედით, სამ წევრს ნიშნავს საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკონსტიტუციო სასამართლოს წევრთა უფლებამოსილების ვადაა 10 წელი ((საქართველოს კონსტიტუცია. თავი 5).

### **თავი 35. პოლიტიკური რეჟიმი: ცნება, დამახასიათებელი თვისებები და ძირითადი სახეობები**

პოლიტიკური რეჟიმი – ეს არის სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის მეთოდებისა და ფორმების ერთობლიობა, რომელიც ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების ხასიათსა და საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების საშუალებას განსაზღვრავს (Акимова. 2003).

პოლიტიკური რეჟიმის ხასიათი დამოკიდებულია აღნიშნული პოლიტიკური სისტემის (სახელმწიფო, პარტია, საზოგადოებრივი ორგანიზაციები) ფარგლებში არსებული სტრუქტურების ფუნქციონირებაზე, საზოგადოებაში დემოკრატიული პრინციპების განვითარების ხარისხზე, პოლიტიკური კულტურისა და ტრადიციების თავისებურებებზე.

კონკრეტული სახელმწიფოს პოლიტიკური რეჟიმი არა მხოლოდ ქვეყნის კონსტიტუციის თავისებურებებით ხასიათდება, არამედ ყურადღება უნდა

გამახვილებულ იქნეს სახელმწიფო ხელისუფლების რეალიზაციის რეალურ საშუალებებსა და მეთოდებზე, რომლებიც ხშირად არ მოდის თანხვედრაში ქვეყნის კონსტიტუციის შინაარსთან.

კონკრეტული პოლიტიკური რეჟიმი საბოლოო ჯამში საჯარო და სამოქალაქო საზოგადოებას შორის არსებული ინსტიტუტების ურთიერთქმედებით ხასიათდება. აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს შემდეგ ურთიერთობებზე: პიროვნებათშორისი, სოციალური ფენების და ა.შ. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული პოლიტიკური ხელისუფლების შესაბამისობა იმ ფასეულობებისადმი, რომლებიც ხალხის უმრავლესობის მიერაა აღიარებული.

პოლიტიკური რეჟიმის არსებითი დამახასიათებელი თვისებების განსაზღვრისას, პოლიტოლოგიაში ორი მიმართულება ჩამოყალიბდა, რომლებიც დაკავშირებულია თვით პოლიტოლოგიის ბუნების ახსნასთან. პირველი – იურიდიულ-სამართლებრივი განსაზღვრება. ასეთი დახასიათების დროს პოლიტიკური რეჟიმის თავისებურებანი მმართველობის ოფიციალურ და ლეგალურ ფორმებთან მიმართებაში განისაზღვრება, რომლებიც თავის მხრივ სახელმწიფო ფუნქციონირების ფორმალურ-იურიდიულ კრიტერიუმებს ემყარებიან, რომლებიც თავის მხრივ კონსტიტუციაში დეკლარირებულ სამართლებრივ ნორმებთან არიან დაკავშირებული. აღნიშნული მიდგომის საფუძველზე, პოლიტიკური რეჟიმის ქვეშ საკონსტიტუციო (კანონიერი) წესების სისტემა და მათი პრაქტიკაში დანეგვის პრინციპები განისაზღვრება.

მეორე – სოციოლოგიური მიმართულება – აქცენტს ახდენს ხელისუფლების, საზოგადოებისა და მოქალაქეებს შორის ურთიერთქმედებაზე. ამ თვალსაზრისით, პოლიტიკური რეჟიმი განსაკუთრებულ სოციალურ მექანიზმს - საზოგადოების მართვის საშუალებას წარმოადგენს, რომელიც აერთიანებს ერთის მხრივ სახელმწიფო ორგანოების ფორმირების საბაზისო მოდელებს და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების საშუალებებს, მეორეს მხრივ – სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობის ასპექტებს. ამ სუბიექტებში მოიაზრება მმართველი ელიტა, პარტიული ლიდერები და ცალკეული მოქალაქეები. აღნიშნული პოზიციიდან გამომდინარე, პოლიტიკური რეჟიმი მოიცავს შემდეგ პარამეტრებს:

- ხალხის პოლიტიკური მონაწილეობის ხარისხი და მისი ჩართულობა სახელმწიფო გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, რომელიც განასახიერებს სოციალური წარმომადგენლობისა და საზოგადოებრივი კონტროლისა და სამოქალაქო ჩართულობის ხარისხს;
- სახელისუფლებო ინსტიტუტების ფუნქციონალური დამოკიდებულების ხასიათი და მისი დამოკიდებულება ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების უზუნდამენტალურ უფლებებთან;

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ფორმირების პროცესში მმართველ და ოპოზიციურ ძალებს შორის კონკურენციის თავისუფლების ხარისხი;
- ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გატარებულ ღონისძიებათა შესაბამისობა სამართლებრივ საფუძვლებთან, რომლებიც კონსტიტუციური ნორმებისა და სხვა კანონების დაცვასა და პატივისცემაში გამოიხატება;
- სახელმწიფო იდეოლოგიის როლი და ადგილი, ოპოზიციურ იდეოლოგიურ მიმართულებებთან ურთიერთობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების საქმიანობის თავისუფლების დონე;
- სახელმწიფო მმართველობის განხორციელების მეთოდები, ხელისუფლების მიერ გატარებული პოლიტიკის მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერის დონე, საზოგადოებაში ინსტიტუციონალური წესრიგის დამყარების ხარისხი (Каменская. 2005. Стр. 108).

ფართოდაა ცნობილი პოლიტიკური რეჟიმების სამი ძირითადი ტიპი: ტოტალიტარული, ავტორიტარული და დემოკრატიული.

როგორც კლასიკური, ასევე პოლიტიკური რეჟიმების თანამედროვე ტიპები სხვადასხვა სახელმწიფოებში სხვადასხვა მოდიფიკაციაში არსებობდნენ და არსებობენ. ისინი ყოველთვის განასახიერებდნენ და განასახიერებენ მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში სამოქალაქო საზოგადოების ხარისხობრივ მდგომარეობას, სახელმწიფო ინსტიტუტების ხასიათსა და მათ შორის ურთიერთქმედებას, მთლიანობაში პოლიტიკური ხელისუფლების და მმართველობის ფუნქციონირების მექანიზმს.

**ტოტალიტარული რეჟიმი** ხასიათდება სახელმწიფოს მისწრაფებით დამყარებულ იქნას სახელმწიფო კონტროლი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროზე, რომლის საბოლოო მიზანს პოლიტიკური ხელისუფლებისა და გაბატონებული იდეოლოგიის მიმართ ადამიანის სრული მორჩილება წარმოადგენს.

ცნება “ტოტალიტარიზმი” ბრუნვაში შემოდებულ იქნა იტალიური ფაშიზმის იდეოლოგიის - ჯ. ჯენტილეს მიერ XX საუკუნის დასაწყისში. 1925 წელს ეს ცნება პირველად იქნა გამოყენებული იტალიის პარლამენტში. იტალიური ფაშიზმის პოლიტიკურმა ლიდერმა, ბენიტო მუსოლინიმ იგი პოლიტიკურ ლექსიკონში შემოიტანა. ამ დროიდან იტალიაში იწყება ტოტალიტარული რეჟიმის ჩამოყალიბება. დაახლოებით იმავე პერიოდში, ტოტალიტარული – კომუნისტური რეჟიმი ჩამოყალიბებულ იქნა სსრკ-ში, რომელმაც სტალინიზმის პირობებში განსაკუთრებით სასტიკი ხასიათი მიიღო. მოგვიანებით, 1933 წელს, ჰიტლერულ გერმანიაში ნაცისტური რეჟიმი იქნა დამკვიდრებული (Каменская. 2005. Стр. 114).

თითოეულ იმ ქვეყანაში, რომელშიც ტოტალიტარული რეჟიმი იქმნებოდა და ვითარდებოდა, აღნიშნულ სისტემას საკუთარი თავისებურებები გააჩნდა. ამასთან ერთად, არსებობს ის საერთო თვისებები, რომლებიც დამახასიათებელია ტოტალიტარიზმის ყველა ფორმისათვის და რომლებიც მის არსებობას განასახიერებენ. მათ მიეკუთვნებიან შემდეგი ნიშნები:

1. ძალაუფლების მაღალი კონცენტრაცია, ხელმძღვანელი აპარატის მიერ საზოგადოების ცხოვრების ყველა სფეროში შეღწევა. ტოტალიტარულ ცნობიერებაში პრობლემა “ხელისუფლება და საზოგადოება” არ არსებობს: ხელისუფლება და ხალხი აზროვნებენ როგორც ერთი მთლიანი, განუყოფელი ორგანიზმი. ამ შემთხვევაში საერთოდ სხვა პრობლემები ხდება აქტუალური, სახელდობრ: ხელისუფლება და ხალხი შიდა მტრების წინააღმდეგ, ხალხი და ხელისუფლება – გარე მტრული გარემოცვის წინააღმდეგ. როგორც პარადოქსული არ უნდა იყოს, მაგრამ ტოტალიტარიზმის პირობებში ხალხს, რომელიც რეალურად დაცილებულია ხელისუფლებას, სჯერა, რომ ხელისუფლება გამოხატავს მის ინტერესებს უფრო ღრმად და სრულყოფილად, ვიდრე მას თვითონ შეუძლია ეს გააკეთოს.
2. ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელია ერთპარტიული სისტემა. არსებობს ერთადერთი მმართველი პარტია, რომლის სათავეშიც ქარიზმატული ლიდერი იმყოფება. მართავენ რა მათ საქმიანობას და ახორციელებენ რა მათზე კონტროლს, აღნიშნული პარტიის პარტიული უჯრედები საზოგადოების ყველა წარმოებით-ორგანიზაციულ სტრუქტურებში აღწევენ.
3. საზოგადოების ცხოვრების იდეოლოგიზაცია. ყველა ტოტალიტარული იდეოლოგია – ისტორიაში განიხილება როგორც კონკრეტული მიზნისაკენ მიმავალი კანონზომიერი მოძრაობა (მსოფლიო ბატონობა, კომუნიზმის მშენებლობა და სხვ.), რომელიც ამართლებს ყველა საშუალებას. მოცემული იდეოლოგია ნერგავს სხვადასხვა მითების სერიას (მუშათა კლასის მმართველი როლის შესახებ, არიული რასის უპირატესობის შესახებ და ა.შ.), რომლებიც მაგიური სიმბოლოების ძალას განასახიერებენ. მოსახლეობის იდეოლოგიური დამუშავების მიმართულებით, ტოტალიტარული საზოგადოება ფართომასშტაბიან ძალისხმევას მიმართავს.
4. ტოტალიტარიზმი ინფორმაციის რესურსებზე ხელისუფლების მონოპოლიითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე სრული კონტროლით ხასიათდება. მთელს ამ ინფორმაციას გააჩნია ერთი საერთო მიმართულება – არსებული წყობილების განდიდება, მისი მიღწევები. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მეშვეობით იგეგმება მასების ენთუზიაზმის ამაღლება იმ მიზნების შესასრულებლად, რომელსაც ტოტალიტარული რეჟიმი თავის წინაშე ისახავს.

5. სახელმწიფოს მონოპოლია შეირადებული ძალების ყველა საშუალებების გამოყენებაზე. არმია, პოლიცია, ყველა სხვა ძალოვანი სტრუქტურები პოლიტიკური ხელისუფლების ცენტრის უშუალო დაქვემდებარებაში იმყოფებიან.
6. ადამიანთა ქვევაზე საყოველთაო კონტროლის დამუშავებული სისტემის არსებობა, ძალადობის სისტემა. ამ მიზნებისათვის იქმნება საკონცენტრაციო ბანაკები, გეტოები, სადაც გამოიყენება მძიმე შრომა, ადამიანთა წამება, მათი წინააღმდეგობის ნების ჩახშობა, ხორციელდება აბსოლუტურად უდანაშაულო ადამიანების მასობრივი რეპრესიები. ასე მაგალითად, სსრკ-ში შექმნილ იქნა ბანაკების მთელი ქსელი – გულაგი. 1941 წლამდე, მასში შედიოდა 53 საკონცენტრაციო ბანაკი, 425 შრომითი და გამოსასწორებელი კოლონიები და 50-მდე ბანაკი არასრულწლოვანთათვის. ამ ბანაკების არსებობის მთელი წლების განმავლობაში მათში 40 მილიონამდე ადამიანი დაიღუპა. ტოტალიტარულ საზოგადოებაში ამუშავებულია რეპრესიული აპარატის მთელი რესურსი. მისი მეშვეობით ინერგება შიში, ხორციელდება ზეწოლა პირადად კონკრეტულ მოქალაქეზე და მისი ოჯახის წევრებზე, ადგილი აქვს დასმენებს და ეჭვებს, ხელი ეწყო ანონიმური წერილების გავრცელებას. ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ ქვეყანაში არ არსებობდეს განსხვავებული აზრი და ოპოზიცია. ძალოვანი ორგანოების მიერ ჩატარებული ოპერაციების მეშვეობით სახელმწიფო აკონტროლებს მოსახლეობის ცხოვრებასა და ქცევას.
7. ყველა ტოტალიტარული რეჟიმებისათვის დამახასიათებელია შემდეგი პრინციპი: “აკრძალულია ყველაფერი, გარდა იმისა, რაც ნაბრძანებია ხელისუფლების მიერ.” ხელმძღვანელებს რა ამ პრინციპით, საზოგადოება ახორციელებს კონკრეტული ხელისუფლებისადმი მისაღები ადამიანის აღზრდას. ტოტალიტარიზმს სჭირდება განსაკუთრებით მოკრძალებული ადამიანები, მოკრძალებული ყველაფერში: სურვილებში, ტანსაცმელში, საქციელში. ისშობა ყველანაირი ინდივიდუალიზმი, უნდა იყოს ისეთი როგორც ყველა, არავითარი ორიგინალობა მსჯელობის დროს; ფართო განვითარებას ჰპოვებს დასმენები და ა.შ.  
 ზემოაღნიშნული გახლავთ ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმების ძირითადი თავისებურებები, რაც ქმნის იმის წინაპირობას, რომ ყველა მათგანი ერთ ჯგუფში იყოს გაერთიანებული (Каменская. 2005. Стр. 115).  
 ამავე დროს, არსებობს სპეციფიური თვისებებიც, რომლებიც საშუალებას იძლევა, რომ ამ ჯგუფში ტოტალიტარიზმის ის სხვადასხვა სახეობები გამოიყოს, რომლებიც მსოფლიო ისტორიისთვისაა ცნობილი. ესენი გახლავთ კომუნისტური ტოტალიტარიზმი, ფაშიზმი და ნაციონალ-სოციალიზმი.

*კომუნისტური ტოტალიტარიზმი* განსაკუთრებული სიცხადით განასახიერებს რეჟიმის დამახასიათებელ თვისებებს. აქ ყველაფერი, ეკონომიკური ცხოვრების ჩათვლით, ტოტალური კონტროლითაა წარმოდგენილი. ხდება კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და შესაბამისად, ისპობა ინდივიდუალიზმის ყველანაირი საფუძველი - საზოგადოების წევრთა ავტონომიურობა.

*ფაშიზმი* - ეს გახლავთ ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმი, რომელიც ხასიათდება ანტიდემოკრატიზმით, რასიზმით, შოვინიზმით. ფაშიზმი ეყრდნობა ძლიერი, დაუნდობელი ხელისუფლების არსებობის აუცილებლობის, რომელიც თავის მხრივ ეყრდნობა ავტორიტარული პარტიის საყოველთაო ბატონობას, ბელადის კულტს. ქვეყნები, სადაც პირველად შეიქმნა ფაშისტური ორგანიზაციები, იყვნენ გერმანია და იტალია. ფაშიზმი იტალიაში 1922 წელს გაბატონდა. იტალიური ფაშიზმისათვის რომის იმპერიის აღორძინებისაკენ ლტოლვაა დამახასიათებელი.

*ნაციონალ-სოციალიზმი* - ეს არის ტოტალიტარული პოლიტიკური რეჟიმის მესამე სახეობა. ის დამკვიდრდა გერმანიაში 1933 წელს, რომელმაც აითვისა როგორც ფაშიზმის, ასევე კომუნისტური ტოტალიტარიზმისათვის დამახასიათებელი თვისებები. ამასთანავე, იგი ზემოაღნიშნული ორი სახეობისაგან მიზნებისა და სოციალური პრიორიტეტების მიხედვით გამოირჩევა. ნაციონალ-სოციალიზმის მიზანია არიული რასის ბატონობა, გერმანელი ერი ცხადდება უმაღლესი რანგის ერად.

*ავტორიტარიზმი* - (ლათინური სიტყვისაგან - *autoritas*-ხელისუფლება) გახლავთ საზოგადოების სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური წყობილება, რომელსაც ერთი ადამიანი ან პოლიტიკური ჯგუფი აყალიბებს. ამავე დროს, სახელმწიფო კონტროლი არ ვრცელდება საგარეო-პოლიტიკურ სფეროებზე: ეკონომიკა, კულტურა, რელიგია და ა.შ. ისტორიული გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ავტორიტარული რეჟიმი, როგორც წესი ყალიბდება იმ სახელმწიფოებში, სადაც ადგილი აქვს საზოგადოებრივი წყობილების ცვლილებას და რომელსაც თან ახლავს პოლიტიკური ძალების მკვეთრი პოლარიზაცია. აგრეთვე, ავტორიტარიზმი შეიძლება გავრცელდეს იმ ქვეყნებში, სადაც სახეზეა ხანგრძლივი ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისები, რომელთა გადაჭრაც შეუძლებელია დემოკრატიული ნორმების გამოყენების საშუალებებით. ვინაიდან მსოფლიო საზოგადოების განვითარების პროცესში, აღნიშნული მოვლენები ხშირად ფიქსირდება, ნათელია, რომ ავტორიტარიზმი მიეკუთვნება საკმარისად გავრცელებულ პოლიტიკურ რეჟიმებს. მსოფლიო ისტორიაში ცნობილია ავტორიტარული რეჟიმების მრავალი მაგალითი. აღნიშნული რეჟიმის ბევრ ქვეყანაში ფუნქციონირება არც თანამედროვე პერიოდისათვისაა უცხო. კერძოდ, XX საუკუნის მეორე ნახევარში ავტორიტარული რეჟიმები შეიქმნა კოლონიალისტური უღლისაგან განთავისუფლებულ რიგ სახელმწიფოებში - აფრიკაში, აზიაში და ლათინურ ამერიკაში. ზოგიერთი მეცნიერის აზრით, სსრკ-ში,



1953 წლის შემდეგ ადგილი ჰქონდა ტოტალიტარული რეჟიმის ავტორიტარულით შეცვლას.

განსაკუთრებული პირობები, რომლებშიც ავტორიტარული პოლიტიკური რეჟიმი იქმნება, განსაზღვრავს მის მიერ შემოთავაზებულ ძირითად მიზანს – დაამყაროს ქვეყანაში წესრიგი, უზრუნველყოს საზოგადოებრივი ცხოვრების ნორმალური პირობები. აღნიშნული მიზანი თავის მხრივ განსაზღვრავს მისი მიღწევის საშუალებებს (პირველ რიგში ეს არის პოლიტიკური ხელისუფლების კონცენტრაცია გადაწყვეტილებათა მიღების ერთიან ცენტრში) და ასევე გასათვალისწინებელია კონკრეტული შესაძლებლობები და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროები და ყველა ის სოციალური ფენა, რომელსაც აღნიშნული რეჟიმის არსებობა შეეხება.

ავტორიტარულ რეჟიმებს შემდეგი საერთო მახასიათებლები მიეკუთვნება:

1. ხალხის დაშორება ხელისუფლებისაგან. ამ შემთხვევაში მმართველობის სუბიექტად გვევლინება ან ერთი ადამიანი ან ადამიანთა ჯგუფი. კონკრეტული პირი შეიძლება იყოს ქარიზმატული ლიდერი, მონარქი, დიქტატორი, პოპულისტი ლიდერი. კონკრეტული ჯგუფი – სამხედრო ხუნტა ან მმართველი, პოლიტიკური პარტია. მათ ეკუთვნით უკონტროლო და შეუზღუდავი ძალაუფლება. ავტორიტარული საზოგადოება წარმოშობს დიდ უფსკრულს პოლიტიკურ ხელისუფლებასა და ხალხს შორის. ამ უფსკრულის შევსებას კი გაურბის როგორც სახელმწიფო, ასევე ხალხიც.
2. ერთიანი იდეოლოგიის არარსებობა. ავტორიტარული ლიდერები (ტოტალიტარიზმისაგან განსხვავებით), არ ცდილობენ ახსნან თავიანთი პოლიტიკური ქმედებები მაღალი მიზნებისაკენ მიზანმიმართული სიარულით, მაგალითად დაარწმუნონ მოსახლეობა იმაში, რომ ისინი გარდაქმნიან მსოფლიოს. ისინი უბრალოდ ცდილობენ წარმოუდგინონ საზოგადოებას ის ფაქტი, რომ ქვეყანა უფსკრულის პირას იმყოფება და ისინი თავის თავზე იღებენ მის გადარჩენას, რომლის შემდეგაც, მათი მტკიცებით, ისინი მზადყოფნას გამოხატავენ, გადასცენ ხელისუფლება სხვა პოლიტიკურ ძალებს.
3. დაყრდნობა ძალაზე, რაც იმის საკმარის პირობას წარმოადგენს, რომ აუცილებლობის შემთხვევაში აიძულონ რეჟიმისადმი დაუმორჩილებელი პირები ხელისუფლების “მხარდამჭერებად” გადაიქცნენ. მაგრამ ასეთი რეჟიმი არ მიმართავს მასობრივ რეპრესიებს, როგორც ეს ხორციელდება ტოტალიტარიზმის დროს. უფრო მეტიც, ის შეიძლება სარგებლობდეს მოსახლეობის პოპულარობით, განსაკუთრებით როცა მისი აქტიურობის გარკვეული დადებითი შედეგები სახეხა.
4. პოლიტიკის მონოპოლიზაცია. მთელი პოლიტიკური საქმიანობა ხორციელდება პოლიტიკური ხელისუფლების მიერ ძალაუფლების კონცენტრაციით. შესაბამისად, პოლიტიკის სხვა სუბიექტების საქმიანობა იკრძალება: აღნიშნულ

სუბიექტებში იგულისხმება პოლიტიკური ოპოზიცია, პოლიტიკური პარტიები და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ცალკეულ შემთხვევებში, ავტორიტარიზმის დროს დაიშვება პროფკავშირებისა და პოლიტიკური პარტიების შეზღუდული რაოდენობა, თუმცა ისინი ხელისუფლების მკაცრი კონტროლის ქვეშ მოქმედებენ.

5. უარი საზოგადოების სრულ კონტროლზე. ავტორიტარული რეჟიმი ყველაზე უფრო გავრცელებული სახით ეფუძნება პრინციპს – “დაშვებულია ყველაფერი, პოლიტიკის გარდა”. ხელისუფლება უარს აცხადებს საზოგადოების საყოველთაო კონტროლზე და მისი კონტროლის ზონებში იტოვებს რამდენიმე სფეროს: საკუთარ უსაფრთხოებას, ეროვნულ თავდაცვას, საზოგადოებრივ წესრიგს, საგარეო პოლიტიკას. გარდა ამისა, პოლიტიკური ხელისუფლება აქტიურად ერევა სოციალური უზრუნველყოფის ორგანიზებაში და განვითარების საერთო სტრატეგიაში. ეკონომიკა, კულტურა, რელიგია, კერძო ცხოვრება რჩება სახელმწიფოს კონტროლის გარეთ.
6. მმართველი ელიტის ფორმირება არადემოკრატიული გზით, კერძოდ, ზემოდან დანიშნის მეშვეობით. შედეგად, ავტორიტარული ლიდერის გარემოცვა შეიძლება პირადი სიმპათიების საფუძველზე და ბელადისადმი ერთგულების გზით, და არა საქმიანი თვისებებისა და შესაძლებლობების მიხედვით (Каменская. 2005. Стр. 117-118).

ზემოაღნიშნული კომპონენტები გახლავთ ის საერთო თავისებურებანი, რომლებიც ავტორიტარული რეჟიმებისათვისაა დამახასიათებელი. თუმცა, ამ რეჟიმებს სპეციფიური თვისებებიც გააჩნიათ, რომელთა შესაბამისადაც ხდება მათი დიფერენციაცია და ტიპოლოგიზაცია. განვიხილოთ ავტორიტარული რეჟიმების ის რამდენიმე სახეობა, რომელსაც ცნობილი პოლონელი პოლიტოლოგი ე. ვიატრი გეტავაზობს (Грязнова. А.г. Звонова Е.А. 2002).

- სამხედრო მმართველობა. ხელისუფლებას ხელში იგდებენ სამხედროები. ამ დროს, პოლიტიკური საქმიანობა ან საერთოდ იკრძალება, ან მკვეთრად იზღუდება. ასე მაგალითად, 1973 წელს ჩილეში ხელისუფლებაში პინოჩეტის მეთაურობით სამხედრო ხუნტის მოსვლის შემდეგ, აკრძალულ იქნა ყველა პოლიტიკური პარტია.

ავტორიტარული სამხედრო რეჟიმის განსხვავებულ ტიპს წარმოადგენს მეორე მსოფლიო ომამდელი პოლონეთი მარშალ პილსუდსკის დროს, როდესაც მართალია დაშვებული იყო პოლიტიკური პარტიების საქმიანობა და არსებობა, მაგრამ მათი საქმიანობა იზღუდებოდა.

- თეოკრატიული ავტორიტარული რეჟიმი. აღნიშნული მმართველობის ფარგლებში, ადგილი აქვს პოლიტიკური ხელისუფლების კონცენტრაციას ფანატიური რელიგიური კლანის ხელში. ასეთი რეჟიმი დამყარებულ იქნა

ირანში 1979 წლის რევოლუციის შემდეგ. ამავე დროს, გარკვეული მახასიათებლების მიხედვით, შეინიშნება თეოკრატიული რეჟიმის ტოტალიტარულთან მსგავსება.

- პერსონიფიცირებული რეჟიმი, როდესაც ხელისუფლება ეკუთვნის პოლიტიკურ ლიდერს, თუმცა სახელისუფლებო ინსტიტუტები (პოლიციის გარდა) სუსტია. ასეთი რეჟიმები ძირითადად ხანგრძლივი დროის განმავლობაში არ არსებობენ, რადგანაც ლიდერს არ ეძლევა იმის შესაძლებლობა, რომ ხელისუფლების სათავეში დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდეს.
- მონარქიული ავტორიტარული რეჟიმები. არსებობენ იორდანიაში, მაროკოში, საუდის არაბეთში და სხვ.
- ნაწილობრივ ავტორიტარული რეჟიმები - გამოირჩევიან მრავალპარტიული სისტემით (მაგალითად მექსიკაში), ოპოზიციის არსებობით, არჩევნებით. თუმცა ადგილი აქვს არჩევნების შედეგების ფალსიფიცირებასა და კორუფციის მაღალ დონეს.

**დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი.** ტერმინი დემოკრატია (ბერძნულ ენაში – demos – ხალხი და kratos - ძალაუფლება) ნიშნავს ხალხის მმართველობას (Каменская. E. H. 2005. Стр. 119) ხალხის ძალაუფლებას. მაგრამ სიტუაცია, რომლის დროსაც პოლიტიკურ ხელისუფლებას ახორციელებდეს მთელი ხალხი ანუ უშუალო დემოკრატია, ეს საკითხისადმი იდეალისტურ მიდგომას წარმოადგენს. რეალური დემოკრატია, ხორციელდება იმ ხელისუფლების პირობებში, რომელიც მოსახლეობის მიერ არის არჩეული. მას წარმომადგენლობითი დემოკრატია ეწოდება. ეს გარემოება საჭიროა გათვალისწინებულ იქნეს დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის განხილვის დროს.

აღნიშნული რეჟიმი შემდეგი თვისებებით ხასიათდება:

ხელისუფლების წყაროდ დემოკრატიულ სახელმწიფოში გვევლინება ხალხი. ის ირჩევს თავის წარმომადგენლებს, ანიჭებს რა მათ უფლებამოსილებას იმუშაონ შესაბამის არჩევით ორგანოში მოსახლეობის ინტერესების დასაცავად. თუ არჩეულები არ აღმოჩნდებიან ის ადამიანები, ვისი ნახვაც სურდათ ხელისუფლების ორგანოებში ამომრჩევლებს, სიტუაცია შესაძლებელია გამოსწორებულ იქნეს მხოლოდ შემდეგი არჩევნების დროს. დემოკრატიის პირობებში კანონი ხელისუფლების თვითნებობისაგან იცავს არა მხოლოდ მოქალაქეებს, არამედ ხელისუფლებასაც მოქალაქეებისაგან. დეპუტატის შეცდომები (თუ მან ამავე დროს

არ დაარღვია კანონი) ან მის მიერ ავტორიტეტის დაკარგვა არ წარმოადგენს მისი გაწვევის საბაზს.

დემოკრატიის პირობებში ხელისუფლებას გააჩნია ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხი და ქვეყნის პოლიტიკა მიღებული კანონების შესაბამისად ხორციელდება. მოქმედებს რა კანონების ფარგლებში, სახელმწიფო ამასთანავე, მოქალაქეებს თავიანთი ინტერესებისა და მოთხოვნების რეალიზაციის ფარგლებში ფართო შესაძლებლობებს ანიჭებს. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმისათვის დამახასიათებელია პრინციპი – “დაშვებულია ყველაფერი, რაც კანონით არ არის აკრძალული”. ამიტომაც, დემოკრატიულ სახელმწიფოებში ფართოა მოქალაქეების ყველა სფეროში ჩართვის შესაძლებლობა, სხვადასხვა გაერთიანებების შექმნა, ორგანიზაციების ფონდების განკარგვა და ა.შ. ეს კი თავის მხრივ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების მაღალ ხარისხზე მიუთითებს.

1. დემოკრატიული რეჟიმისათვის დამახასიათებელია ხელისუფლების სხვადასხვა შტოს დანაწილება. ეს ნიშნავს - ერთმანეთისაგან საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლებების დაყოფას. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – პარლამენტი, უფლებამოსილია კანონების მიღების ექსკლუზიური უფლებით. ცნობილია შემთხვევები, როდესაც ამა თუ იმ შტოს სახელისუფლებო ძალაუფლება ბოროტად გამოუყენებია, შესაბამისად, არსებობს ხელისუფლების ამა თუ იმ ინსტიტუტში პოლიტიკური ხელისუფლების ზედმეტი კონცენტრაციის საფრთხე. ამიტომაც, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის პირობებში - ხელისუფლების სამი შტო ერთმანეთს აბალანსებს. კერძოდ, უმაღლეს აღმასრულებელ ხელისუფლებას (პრეზიდენტი, მთავრობა) მხოლოდ საკანონმდებლო, საბიუჯეტო და საკადრო ინიციატივები გააჩნია. პრეზიდენტი ფლობს ვეტოს უფლებას იმ გადაწყვეტილებებზე, რომელსაც საკანონმდებლო ორგანო იღებს. უმაღლეს სასამართლო ორგანოს გააჩნია უფლება განსაზღვროს გამოცემული კანონების შესაბამისობა კონსტიტუციურ ნორმებთან.
2. დემოკრატიული რეჟიმი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავების პროცესში ხალხის მონაწილეობით ხასიათდება. ეს პროცესი ვლინდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში აზრის გამოხატვით, დემონსტრაციებსა თუ ლობისტურ საქმიანობაში, წინასაარჩევნო კამპანიებში მონაწილეობით და ა.შ. ხალხის პოლიტიკური მონაწილეობა გადაწყვეტილებათა შემუშავების პროცესში კონსტიტუციითაა გარანტირებული.
3. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის მნიშვნელოვან დამახასიათებელ ფაქტორს პოლიტიკური პლურალიზმი წარმოადგენს, რომელიც გვთავაზობს იმის შესაძლებლობას, რომ შეიქმნას მრავალპარტიული სისტემა, რომელიც პოლიტიკურ პარტიებს შორის შეჯიბრებითობის პრინციპებზე იქნება აგებული

და ასევე, კანონიერ საფუძველზე იარსებებს პოლიტიკური ოპოზიცია როგორც პარლამენტის შიგნით, ასევე მის გარეთაც. ახორციელებს რა თავის მისიას, ოპოზიცია სახელისუფლებო ორგანოების საქმიანობის კრიტიკოსად გვევლინება, რომელიც ალტერნატიულ პროგრამას გვთავაზობს. საპარლამენტო ოპოზიცია, ხელისუფლებას თავისი ფრაქციებისა და ბლოკების მეშვეობით აკონტროლებს, ასევე, წარადგენს თავის პოზიციას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში.

4. დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმი ადამიანის უფლებების დაცვის მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მას მიეკუთვნება ნორმები, სახელმწიფოსა და მოქალაქეების ურთიერთქმედების წესები და პრინციპები. ადამიანის უფლებები საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში იმყოფება. მოქმედებს დაახლოებით 50-მდე პოლიტიკურ-სამართლებრივი დოკუმენტი, რომლებიც ადამიანთა უფლებებს უზრუნველყოფენ და ხელს უწყობენ მათი იურიდიული დამკვიდრების პროცესს. მათ შორისაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, რომელიც მიღებულ იქნა გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 10 დეკემბერს, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წ.), ადამიანისა და ხალხების უფლებათა აფრიკული ქარტია (1984 წ.), კონვენცია წამებისა და ადამიანის ღირსების შემლახველი სხვა აქტების წინააღმდეგ (1984 წ.), პარიზის ქარტია ახალი ევროპისათვის (1990). სამართლებრივი ნორმები, ადამიანის უფლებები და თავისუფლებები ამ დოკუმენტებშია ასახული (Basic Facts about the United Nations. 2004. P.228).

თანამედროვე პერიოდში არსებობს დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების სამი სახეობა: საპრეზიდენტო, საპარლამენტო და შერეული.

ხელისუფლების საპრეზიდენტო სისტემა მმართველობის დემოკრატიული პრინციპის მკაცრი დაცვის პირობებში ხორციელდება, როდესაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება ლეგიტიმურობის დონეს. პრეზიდენტი თვითონ აყალიბებს მთავრობას (გუნდს) თავისი შეხედულების – ხშირად პირადი ერთგულების, მაგრამ უფრო ხშირად პროფესიონალური თვისებების განსაზღვრის პრინციპის საფუძველზე. ამავე დროს, პრეზიდენტის ყველა კანდიდატურა (მინისტრები – მრჩეველები, დეპარტამენტების ხელმძღვანელები) მტკიცდება სენატის მიერ, რომელსაც უფლება გააჩნია უარყოს ზოგიერთი კანდიდატურა. არც მინისტრებს, არც პრეზიდენტს არა აქვს უფლება ამავე დროს იყვნენ პარლამენტის წევრები.

მინისტრთა კაბინეტი ექვემდებარება მხოლოდ პრეზიდენტს და მას სახელმწიფოს მეთაურთან სათათბირო ორგანოს სტატუსი გაჩნია. პარლამენტს არ შეუძლია გამოხატოს უნდობლობის ვოტუმი და გადააყენოს მთავრობა. პარლამენტის ზემოქმედებას პრეზიდენტისა და მთავრობის საქმიანობაზე სახელმწიფო ბიუჯეტის დამტკიცებისა და კანონების მიღების დროს შეიძლება ჰქონდეს ადგილი.

აშშ-ის შემთხვევაში, პრეზიდენტს გააჩნია უფლება, წარმოადგინოს საკანონმდებლო წინადადებები (მაგალითად ბიუჯეტის პროექტი), მაგრამ საკანონმდებლო ინიციატივის უფლება მხოლოდ აშშ-ის კონგრესის წევრებს გააჩნიათ. ყველა კანონი, რომელიც მიიღება კონგრესის მიერ (აშშ-ის პარლამენტი), პრეზიდენტთან ხელმოსაწერად იგზავნება, ამ უკანასკნელს კი შეუძლია არ დაამტკიცოს (ვეტოს უფლება) ესა თუ ის კანონპროექტი. თავის მხრივ, პარლამენტი შეუძლია დაძლიოს პრეზიდენტის ვეტო ორივე პალატის მიერ ხელმეორედ ჩატარებული კენჭისყრის დროს, თუ საკანონმდებლო ორგანო შეძლებს კვალიფიციური უმრავლესობით ხმა მისცეს პრეზიდენტის მიერ უარყოფილ კანონს.

პრეზიდენტი ფლობს უფლებას - გამოსცეს ბრძანებულებები, მაგრამ მხოლოდ სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის სფეროში. მას არ გააჩნია უფლება დაითხოვოს კონგრესი და დანიშნოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ახალი არჩევნები. პრეზიდენტი არის უმაღლესი მთავარსარდალი, მას ექვემდებარებიან შეიარაღებული ძალები. მაგრამ, ომისა და ზავის გამოცხადების უფლება ეკუთვნის პარლამენტს.

აშშ-ის სასამართლო ხელისუფლების უმაღლესი ორგანოა უზენაესი სასამართლო – რომელიც შედგება 9 ადამიანისაგან (3 მათგანი არის ქალი). მაგრამ მსაჯულებს ნიშნავს პრეზიდენტი და მოსამართლის თანამდებობა გახლავთ მუდმივი.

იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტს ფართო უფლებამოსილება გააჩნია, აშშ-ის კონსტიტუცია კონგრესის მიერ პრეზიდენტის იმპიჩმენტის (კონგრესის მიერ პრეზიდენტის ხელისუფლებიდან ჩამოშორება) უფლებას იძლევა. აღნიშნული პროცესი შესაძლებელია რამდენიმე შემთხვევაში: თუ ადგილი ჰქონდა პრეზიდენტის მხრიდან კონსტიტუციის დარღვევის ან სახელმწიფო დალატის შემთხვევებს, ან ისეთ ქმედებებს - რომლებიც ლახავენ მთავრობის ავტორიტეტს. იმპიჩმენტის მექანიზმი წარმოადგენს თავისებურ მუხრუჭს, რათა არ მოხდეს სახელმწიფოს მეთაურის მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენება და დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა არ გადაიქცეს ავტორიტარულ მმართველობად.

საპარლამენტო დემოკრატია – წარმოადგენს დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმის ყველაზე გავრცელებულ ფორმას, რომელიც ძირითადად ევროპულ ქვეყნებშია გავრცელებული. მისი დამახასიათებელი თვისებებია: საკანონმდებლო ხელისუფლება ეკუთვნის პარლამენტს, მთავრობა ფორმირდება საპარლამენტო უმრავლესობის მიერ. მთავრობა ანგარიშვალდებულია პარლამენტის წინაშე, რომელსაც შეუძლია მას (მთავრობას) გამოუცხადოს უნდობლობა. თუ პარლამენტმა უნდობლობის ვოტუმი გამოხატა, ხდება პრემიერ-მინისტრის მეთაურობით მთელი მთავრობის გადადგომა. პრემიერ-მინისტრი საერთო ჯამში ხდება საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერი. ის

მთავრობაში არის მხოლოდ “პირველი-თანასწორებს შორის”, ყველა გადაწყვეტილება კოლექტიურ საფუძველზე მიიღება.

საპარლამენტო არჩევნებს დიდი ზეგავლენა გააჩნიათ მთავრობის შემადგენლობის ფორმირებაზე: მისი ფორმირება ხდება ან მხოლოდ იმ პარტიის წარმომადგენლებისაგან, რომლებმაც სადეპუტატო მანდატების უმრავლესობა მიიღეს, ან იმ რამდენიმე პარტიის წარმომადგენელთა მიერ, რომლებიც საპარლამენტო უმრავლესობის ბლოკის ფორმირების მიზნით ერთიან კოალიციაში არიან გაერთიანებული.

ერთპარტიული მთავრობები დამახასიათებელია დიდი ბრიტანეთისათვის, იაპონიისათვის, კანადისათვის. იტალიაში, ბელგიაში, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ისრაელში ხელისუფლების ფორმირება ხშირად კოალიციური მთავრობების შექმნით სრულდება.

საპარლამენტო დემოკრატიის პირობებში სახელმწიფოს მეთაურს ხშირად წარმოადგენს მონარქი, რომელსაც გააჩნია შეზღუდული, თუმცა მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი (დიდი ბრიტანეთი, იაპონია, შვედეთი, ესპანეთი). გარკვეულ პირობებში, მას შეუძლია დაითხოვოს პარლამენტი და დანიშნოს ახალი არჩევნები, ხელი მოაწეროს კანონებს. თუ მონარქი უარს ამბობს კანონის ხელმოწერაზე, დოკუმენტი ბრუნდება პარლამენტში შემდგომი განხილვის მიზნით.

ზოგიერთ იმ ქვეყანაში, სადაც საპარლამენტო სისტემა მოქმედებს, სახელმწიფოს მეთაურად პრეზიდენტი გვევლინება, რომელიც პარლამენტის მიერაა არჩეული. ასეთი ქვეყნებია – გერმანია, იტალია, ისრაელი, სინგაპური.

დემოკრატიული რეჟიმის შერეული ტიპისათვის დამახასიათებელია შემდეგი პრინციპი, ქვეყნის მეთაურია საყოველთაოდ არჩეული პრეზიდენტი, ხოლო მთავრობა პარლამენტის მიერ ინიშნება. პოლიტიკური სისტემის ასეთი ტიპი სტაბილურად არსებობს საფრანგეთში. აღნიშნული სისტემის ფარგლებში პარადოქსალური სიტუაცია შეიძლება შეიქმნას, რომელსაც ადგილი ჰქონდა საფრანგეთში: გასული საუკუნის 80-90-იან წლებში, პრეზიდენტი იყო სოციალისტი, ხოლო პრემიერ-მინისტრი – მემარჯვენე ძალების წარმომადგენელი.

## ნაწილი 5. პოლიტიკური წარმომადგენლობა. არჩევნები და ხმის მიცემა

### თავი 36. საარჩევნო ტექნოლოგიები

#### *საარჩევნო სისტემები*

თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებაში საარჩევნო პროცესი და თვით არჩევნების მიმდინარეობა პოლიტიკური ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. არჩევნები საშუალებას აძლევენ თითოეულ მოქალაქეს – რომელსაც სურს პოლიტიკური მოღვაწეობა, არჩეულ იქნეს პარლამენტის ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკანონმდებლო ორგანოს (მაგალითად, საქართველოს მაგალითზე საკრებულოს) დეპუტატად, რწმუნებულად რომელიმე რეგიონში, გუბერნატორად, ან მთავრობის წევრად და ქვეყნის პრეზიდენტადაც კი. ამავე დროს, წინასაარჩევნო პროცესსა და არჩევნების დღეს, აქტიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში ერთგვებიან უბრალო მოქალაქეები – პოტენციური ამომრჩევლები, რომლებიც იწყებენ თავისი მნიშვნელობის შეგრძნებას, რადგანაც მათ საშუალება ეძლევათ თავიანთი წვლილი შეიტანონ უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა პერსონალური შემადგენლობის ფორმირებაზე. წინასაარჩევნო კამპანიისა და არჩევნების პროცესის ფარგლებში გამოყენებული ტექნოლოგიები უშუალოდ დაკავშირებულია არჩევნების ჩატარებისა და ხმების დათვლის წესზე, იმ სამართლებრივ ნორმებსა და ტრადიციებზე, რომელიც კონკრეტულ სახელმწიფოში არსებობს. მაგალითად, ისეთ სამართლებრივ დოკუმენტში, როგორიცაა მაგალითად საარჩევნო კოდექსი, ასევე სხვა შესაბამის სამართლებრივ ნორმებში ჩამოყალიბებულია ძირითადი მოთხოვნები სახელმწიფო წარმომადგენლობით ორგანოში ასარჩევი კანდიდატის მიმართ. აღნიშნული სამართლებრივი პრინციპები არეგულირებენ ხელისუფლების იმ ორგანოთა საქმიანობას, რომლებსაც მთავარი პასუხისმგებლობა გააჩნიათ არჩევნების ჩატარებაზე. ხდება ამომრჩეველთა, პოლიტიკური პარტიებისა და საარჩევნო გაერთიანებების სტატუსის დადგენა, განისაზღვრება წინასაარჩევნო აგიტაციისა და ხმის გავრცელების პროცედურა, კენჭისყრის შედეგების განსაზღვრის და მათი გასაჩივრების წესი, ხმის დათვლის პროცედურა, საარჩევნო კომისიის სტრუქტურა და შემადგენლობა.

ზემოჩამოთვლილი ნორმების ერთობლიობა განსაზღვრავს ყველა მონაწილის სამართლებრივ უფლებებს და ამავე დროს, ავალდებულებს მათ, იმოქმედონ ერთიანი ელექტორალური თანმიმდევრობის ჩარჩოში. მიუხედავად იმისა, რომ თითოეულ ქვეყანაში საარჩევნო სისტემებსა და ნორმებს ისტორიული, კულტურული, პოლიტიკური, სოციალური თავისებურებებით განპირობებული თავისი სპეციფიკა გააჩნია, რამდენიმე საერთო პრინციპიც არსებობს, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ განვიხილოთ საარჩევნო სისტემის სხვადასხვა ტიპი. თითოეულ სახელმწიფოში საარჩევნო სისტემას თავისი სპეციფიკა ახასიათებს,



რომელიც დაკავშირებულია სხვადასხვა სახის საარჩევნო ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვასთან. პრინციპში, თანამედროვე პერიოდში აღიარებულია საარჩევნო სისტემის სამი მთავარი ტიპი: პროპორციული, მაჟორიტარული და შერეული.

პროპორციული სისტემა განსაზღვრავს არჩევნების ჩატარების წესებს სახელმწიფოში არსებულ მრავალმანდატიან საარჩევნო ოლქებში. ყოველი საარჩევნო ბლოკი ან პოლიტიკური პარტია ამომრჩევლებს აძლევს საშუალებას, რათა წარმომადგენლობით სახელმწიფო ორგანოებში მათ ხმა მისცენ არა ერთ კანდიდატს, არამედ კონკრეტულ პოლიტიკურ გაერთიანებას.

პარლამენტში პოლიტიკური ძალების ზედმეტად დანაწევრების აცილების მიზნით, საარჩევნო კანონი პარტიებისა და საარჩევნო ბლოკებისათვის აწესებს გარკვეულ ბარიერს, რომლის გადალახვაც სავალდებულოა არჩევნებში მონაწილე პარტიებისათვის. მაგალითად: საქართველოში ასეთი ბარიერის დაძლევა ამომრჩეველთა ხმების 5 პროცენტის (ან მეტის) მიღებას გულისხმობს.

ამრიგად, პროპორციული საარჩევნო სისტემის არსებობის პირობებში, მოქალაქე ხმას აძლევს არა ცალკეულ კანდიდატს, არამედ მის მიერ არჩეული პარტიის ან საარჩევნო გაერთიანების მთელ სიას. ის, თუ კანდიდატების სიიდან რომელი მიიღებს პარლამენტარის სტატუსს, წყდება ორიდან ერთ-ერთი პრინციპის საფუძველზე: რიგითობის პრინციპით, რაც ნიშნავს, რომ შეთანხმებით მანდატი გადაეცემა იმას, ვისაც სიაში მოწინავე ადგილები უკავია, ან პრეფერენციულ პრინციპით, რომელიც ამომრჩეველს უფლებას აძლევს უპირატესობა მისცეს სიაში გათვალისწინებულ რომელიმე კანდიდატურას. პროპორციული სისტემა, როგორც წესი, გამოიყენება მარტო კოლეგიალური ორგანოების არჩევნების დროს. მაგ: პარლამენტის.

მაჟორიტარული (ფრანგ. სიტყვა – “უმეტესობა”) საარჩევნო სისტემის საფუძველია უმრავლესობის პრინციპი. არჩევნები ამ შემთხვევაში ტარდება ერთმანდატიან საარჩევნო ოლქებში და გამარჯვებულად ითვლება ის კანდიდატი, რომელიც კონკრეტულ რეგიონში ხმების მეტ რაოდენობას მიიღებს. ამ სისტემის ფარგლებში მონაწილეობენ ის კანდიდატები, რომლებიც შეიძლება არ იყვნენ რომელიმე პოლიტიკური პარტიის წევრები, ან ინდივიდუალურად იყრიან კენჭს ამომრჩეველთა ჯგუფის წარდგენით, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები, ან მათი წარდგენა მოხდეს არჩევნებში მონაწილე რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ. შესაძლებელია, და ძირითად შემთხვევებში კანონი არ ზღუდავს იმის შესაძლებლობას, რომ კონკრეტული კანდიდატი პარტიულ სიაშიც იყოს წარმოდგენილი და მაჟორიტარადაც იყრიდეს კენჭს. ყველაზე გავრცელებულია შეფარდებითი და აბსოლუტური უმრავლესობების სახეობები. პირველ შემთხვევაში

მანდატის მისაღებად კანდიდატისათვის საკმარისია შეაგროვოს მეტი ხმები ვიდრე ნებისმიერმა მისმა მოწინააღმდეგემ დააგროვა წინასაარჩევნო ბრძოლაში. მეორე შემთხვევაში აუცილებელია 50%-ზე მეტი ხმების მიღება (50% პლიუს ერთი ხმა). თუ ვერც ერთი კანდიდატი ვერ შეაგროვებს ხმების საჭირო რიცხვს, მაშინ ტარდება არჩევნების მეორე ტური, რომელშიც მონაწილეობენ პირველ და მეორე ადგილზე მყოფი კანდიდატები, რომლებმაც პირველ ტურში დააგროვეს მეტი ხმა ვიდრე სხვა მონაწილეებმა.

რაც შეეხება მაჟორიტარული სისტემის ძირითად მახასიათებლებს, იგი პროპორციულთან შედარებით უნივერსალურ სისტემას წარმოადგენს. ამ სისტემაზე დაყრდნობა შესაძლებელია არა მხოლოდ საპარლამენტო არჩევნების დროს, არამედ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირების, მაგალითად პრეზიდენტის არჩევის პერიოდშიც.

ამავე დროს, მაჟორიტარულ სისტემას თავისი ნაკლიც გააჩნია, რაც პირველ რიგში მდგომარეობს იმაში, რომ მცირდება პატარა პარტიებისა და პოლიტიკური გაერთიანებების შესაძლებლობები, რათა ამ უკანასკნელებმა თავიანთი წარმომადგენლები გაიყვანონ შესაბამის არჩევით სახელმწიფო ორგანოებში.

ძალიან ბევრ ქვეყანაში მოქმედებს შერეული საარჩევნო სისტემა, რომელიც გულისხმობს პროპორციული და მაჟორიტარული სისტემების კომბინირებას იმ ნაკლოვანებათა მინიმიზაციის მიზნით, რომლებიც ყოველ მათგანს ცალ-ცალკე ახასიათებს. ასეთი კომბინირების შედეგად ვიღებთ შედეგს, როდესაც ქვეყნის პარლამენტის ერთი ნაწილი ირჩევა პროპორციული სისტემით, მეორე კი – მაჟორიტარული. საქართველოში სწორედ შერეული სისტემაა გამოყენებული.

საარჩევნო სისტემა – არა მარტო იმ სამართლებრივი ნორმების ერთობლიობას წარმოადგენს, რომელიც არჩევნების წესრიგის რეგლამენტირებას ახდენს და მანდატების განაწილების საშუალებას წარმოადგენს, არამედ, ყოველი საარჩევნო სისტემა მონაწილეებს სთავაზობს “პოლიტიკური თამაშის” განსაკუთრებულ წესებს, გავლენას ახდენს არჩევნების წინ არსებულ პოლიტიკურ ვითარებაზე, წინასაარჩევნო შეთანხმებასა და კავშირების გაფორმების პროცესზე.

### ***საარჩევნო სისტემები: ღირსებები და ნაკლოვანებები***

საარჩევნო სისტემა არჩევნების ჩატარების წესებისა და პროცედურების ერთობლიობას წარმოადგენს. სხვადასხვა სისტემა ერთმანეთისაგან რამდენიმე კრიტერიუმით განსხვავდება:

- არჩევნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოქალაქეებს ზოგჯერ არჩევანის გაკეთება კანდიდატებს შორის უწევთ, ზოგჯერ კი პოლიტიკურ პარტიებს შორის;
- ზოგ შემთხვევებში ხდება ერთი კანდიდატის არჩევა, სხვა შემთხვევებში ამომრჩეველს გააჩნია უფლება აირჩიოს რამდენიმე კანდიდატი, რიგითობის მიხედვით;
- რიგი ქვეყნების სხვადასხვა რეგიონში იქმნება საარჩევნო უბნები ან ოლქები და მოქალაქეებს ერთი ან რამდენიმე წარმომადგენლის არჩევა შეუძლიათ;
- კანდიდატის ასარჩევად საჭირო მხარდაჭერის დონე უბრალო უმრავლესობით, აბსოლუტური უმრავლესობით, ანდა ამა თუ იმ ტიპის ქვოტით განისაზღვრება.

***საარჩევნო სისტემების ძირითადი სახეობები:***

*უბრალო უმრავლესობით არჩეული ერთწევრიანი სისტემა (“ერთი გამარჯვებულის” პრინციპი)*

ეს სისტემა გავრცელებულია გაერთიანებულ სამეფოში (თემთა პალატა), აშშ-ში, კანადაში, ინდოეთში და სხვ.

ტიპი: მაჟორიტარული

მისი მთავარი განმასხვავებელი ნიშნები გახლავთ შემდეგი:

- ხდება ქვეყნის ჩვეულებრივ, თანაბარი ზომის ერთმანდატიან ოლქებად დაყოფა;
- საარჩევნო სიაში კონკრეტული პრეტენდენტის შემოხაზვით ამომრჩეველები ერთ კანდიდატს აძლევენ ხმას;
- კანდიდატს გამარჯვების მოპოვებისათვის უბრალოდ, სხვებზე მეტი ხმის დაგროვება ესაჭიროება (“ერთი გამარჯვებულის” წესი).

*ორტურიანი სისტემა*

გამოიყენება: როგორც წესი საფრანგეთში (თუმცა, იქ ხშირად აქვს ადგილი საარჩევნო სისტემის ცვლილებებს).

ტიპი: მაჟორიტარული

განმასხვავებელი ნიშნები:

ერთი გამარჯვებულის სისტემის ანალოგიურად, აქაც ერთმანდატიან ოლქებში ხდება ერთი კანდიდატის არჩევა.

პირველივე ტურში გამარჯვების მოპოვებისათვის, კანდიდატს ხმების აბსოლუტური უმრავლესობა ესაჭიროება.

თუ პირველივე ტურში ვერც ერთი კანდიდატი ვერ იმარჯვებს, იმართება მეორე ტური ორ საუკეთესო კანდიდატს შორის.

საარჩევნო სისტემები.

*I. ხმის დიფერენცირებული მიცემა;*

*II. ერთი დამატებითი ხმის უფლება.*

გამოიყენება: I – ავსტრალიაში, წარმომადგენლობითი პალატის არჩევის დროს; II – გაერთიანებულ სამეფოში, ლონდონის მერის არჩევისას.

ტიპი: მაჟორიტარული.

განმასხვავებელი ნიშნები:

- ერთმანდატიანი ოლქები.
- ხმის მიცემა შერჩევითია. I ვარიანტში, ამომრჩეველი რიგითობის მიხედვით ანიჭებს უპირატესობას სასურველ კანდიდატებს: პირველ ადგილს აძლევს ყველაზე მისაღებს, მეორეს – ნაკლებად სასურველს და ა.შ. II ვარიანტში ამომრჩეველს “ყველაზე მისაღების” გარდა, დამატებით მხოლოდ ერთი კანდიდატის შემოსახვის უფლება ეძლევა;
- გამარჯვებულმა უნდა მიიღოს ხმების არანაკლებ 50%;
- ხმები პირველი ადგილების მიხედვით ითვლება. თუკი ვერც ერთი კანდიდატი ვერ აგროვებს 50%-ს, აუტსაიდერები ბრძოლას ეთიშებიან და მათი ხმები დარჩენილებზე პროპორციულად ნაწილდება. ეს იქამდე გრძელდება, ვიდრე ვინმეს აშკარა უპირატესობა არ გამოიკვეთება. II ვარიანტში ბრძოლას ეთიშება ყველა – ორი დაწინაურებულის გარდა.

*საარჩევნო სისტემები: შერეული სისტემა*

გამოიყენება: საქართველოში, გერმანიაში, იტალიაში, რუსეთში, ახ. ზელანდიასა და გაერთიანებულ სამეფოში (შოტლანდიის პარლამენტის და უელსის ასამბლეის არჩევისას).

ტიპი: პროპორციული.

განმასხვავებელი ნიშნები:

- მანდატების გარკვეული რაოდენობა (50% გერმანიაში და უფრო მეტი შოტლანდიაში, უელსსა და იტალიაში) ერთმანდატიან ოლქებში, “ერთი გამარჯვებულის” პრინციპით გამოვლენილ კანდიდატებზე ნაწილდება;
- დარჩენილი მანდატების განაწილება პარტიული სიების მიხედვით ხორციელდება;
- თითოეულ ამომრჩეველს ეძლევა ორი ბიულეტენი, პირველში მათ უნდა შემოხაზონ კონკრეტული პიროვნება – მაჟორიტარობის კანდიდატი და მეორე ბიულეტენის მეშვეობით ისინი კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას აძლევენ ხმას.

*პარტიული სიების სისტემა*

გავრცელებულია: ისრაელში, ბელგიაში, ლუქსემბურგში, შვეიცარიასა და ევროპარლამენტში.

ტიპი: პროპორციული.

განმასხვავებელი ნიშნები:

- ამ შემთხვევაში ან მთელი ქვეყნის ტერიტორია ერთ საარჩევნო ოლქად მოიაზრება, ანდა რეგიონალური პარტიული სიების არსებობის შემთხვევაში, იქმნება რამდენიმე დიდი, მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი;
- პარტიები ამომრჩეველს საკუთარი კანდიდატების სიებს წარუდგენენ უპირატესი თანმიმდევრობის კლასიფიკაციის შესაბამისად;
- ამომრჩეველი ხმას აძლევს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას ან საარჩევნო ბლოკს და არა კანდიდატს;
- პარტიები არჩევნებში მიღებული ხმების პირდაპირპროპორციულად ირიგებენ საპარლამენტო მანდატებს და ადგილებსაც სიის მიხედვით ინაწილებენ;
- შესაძლოა დაწესდეს გარკვეული ბარიერი (მაგ: 5% - გერმანიაში), რათა გამოირიცხოს მცირერიცხოვანი, სავარაუდოდ ექსტრემისტული პარტიების წარმომადგენლობა ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში.

*არჩევანის მოდელები*

ნებისმიერი არჩევნების დროს, აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული ის ფსიქოლოგიური, სოციოლოგიური, ეკონომიკური და იდეოლოგიური ასპექტები, რომლებიც ნებისმიერი არჩევნების თანმდევია და სწორედ ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შესაძლებელია გამოვეყნოთ არჩევანის 4 ძირითადი მოდელი:

- პარტიაზე ორიენტირებული
- სოციოლოგიური
- ხელსაყრელი არჩევანის
- იდეოლოგიური

### *პარტიაზე ორიენტირებული მოდელი*

ამ შემთხვევაში ამომრჩეველი განიხილება როგორც პარტიასთან ფსიქოლოგიურად გაიგივებული პიროვნება, ანუ – მის ხანგრძლივ მხარდასაჭერად, ვისაც მიაჩნია, რომ სწორედ ეს პარტიაა “მისი” პარტია. შესაბამისად, ხმის მიცემაც, უბრალოდ, ერთგულების კიდევ ერთ დადასტურებას წარმოადგენს და შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკურ პროგრამას, ლიდერის პიროვნებას, კამპანიის ხასიათსა თუ მედიის პოზიციას. ეს მოდელი გაკვეთილად იმასაც გულისხმობს, რომ მოქალაქის მხრიდან კონკრეტულ პარტიასთან პოლიტიკურ მიკუთვნილობას გარკვეული წარსული და ოჯახური მემკვიდრეობაც ახასიათებს, ხოლო პოლიტიკური სიმპატიების ხანგრძლივი დროის განმავლობაში არსებობა ერთგვარი მდგრადობისა და მუდმივობის განცდის არსებობას განაპირობებს, რაც რიგ შემთხვევებში მთელი ცხოვრება, არჩევნებიდან არჩევნებამდე გაყვება ხოლმე ადამიანს. ამ კუთხით, თუ შესაძლებელი იქნება ერთგულ მხარდამჭერთა სავარაუდო რაოდენობის დადგენა, წინასწარვე იმის წინასწარმეტყველება, თუ ხმების რა “ბუნებრივ პროცენტს” მოიპოვებს ესა თუ ის პარტია, ხოლო “ბუნებრივი” პროცენტის ცდომილებანი კი მხოლოდ იმაზე მიანიშნებს, რომ რაღაც მოკლევადიანი ფაქტორები იქნა ამოქმედებული. ამ მოდელის ნაკლოვანება იმაში გამოიხატება, რომ ბოლო დროს ბევრ ქვეყანაში ე.წ. “ერთგულთა გაუცხოება” მიმდინარეობს. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიების რეგისტრირებულ წევრთა კლება და “მესამე პარტიებში” გაერთიანებულთა რაოდენობის ზრდა შეინიშნება: თუ 1952 წლისათვის მათი ხვედრითი წილი 6%-ს შეადგენდა, 1992 წლისათვის მოხდა ასეთი ადამიანების რაოდენობის ორჯერ გაზრდა, ხოლო გაერთიანებულ სამეფოში კონსერვატიული და ლეიბორისტული პარტიების “სიკვდილამდე ერთგულ” მხარდამჭერთა ოდენობა 1966-2005 წწ. 43%-დან 15%-მდე შემცირდა (A. Heywood. 2007. P.339).

### *სოციოლოგიური მოდელი*

ეს მოდელი ამომრჩეველის გადაწყვეტილებას მის ჯგუფურ კუთვნილებას უკავშირებს: იგულისხმება, რომ არჩევანი იმ ჯგუფის ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობიდან გამომდინარე განისაზღვრება, რომელსაც ესა თუ ის ადამიანი წარმოადგენს. ამ შემთხვევაში არა მემკვიდრეობით მიღებული, პარტიისადმი ფსიქოლოგიური ერთგულება გამოდის წინა პლანზე, არამედ სოციალური ნიშანი – რაც თავის მხრივ, საზოგადოებაში არსებული დაყოფისა თუ დაძაბულობის ანარეკლია. დაყოფა კი, უმთავრესად – კლასობრივი, სქესობრივი, ეთნიკური, რელიგიური და კუთხურობის ნიშნით ხორციელდება.

ძალზე ხშირად, პარტიული სისტემების განხილვის დროს, საზოგადოების გარკვეული ნაწილი მათ კლასობრივი სისტემის გამომხატველად აღიქვამს, რისი

დადასტურებაც გახლავთ ის, რომ მემარჯვენე ორიენტაციის პოლიტიკური პარტიების პოტენციურ ამომრჩევლად ე.წ. ელიტარულ საზოგადოებასა და საშუალო კლასს (განსაკუთრებით მეწარმეებს), მემარცხენეთათვის კი – მუშათა კლასს მიიხნევენ. ტრადიციულად, ამ კუთხით აღიქმებოდა ლეიბორისტებად და კონსერვატორებად ჩამოყალიბებული ორპარტიული სისტემა გაერთიანებულ სამეფოში, რამაც პიტერ პალზერს 1967 წ. ცნობილი ფრაზა ათქმევინა: “ბრიტანული პარტიული პოლიტიკის ქვაკუთხედი კლასია: სხვა ყველაფერი, დეკორატიული იდეალები” (A. Heywood. 2007. P.340). თუმცა, სოციოლოგიურ მოდელი კრიტიკის ობიექტი სწორედ საზოგადოებრივ ჯგუფებზე ინტერესის გამახვილების გამო ხდებოდა, რადგანაც ამ შემთხვევაში პიროვნებისა და კერძო ინტერესის უგულვებლყოფას ჰქონდა ადგილი. ამ მოსაზრების მიმდევართა პროზიციები კი მას შემდგომ განმტკიცდა, როდესაც თანამედროვე საზოგადოებებში სულ უფრო თვალნათელია კავშირის შესუსტება სოციოლოგიურ ფაქტორებსა და ამა თუ იმ პარტიის მხარდაჭერას შორის. თანამედროვე ეტაპზე – დემოკრატიული თანამეგობრობის ქვეყნებში საზოგადოების კონსოლიდაციის პროცესში, კლასობრივი გაუცხოების ფენომენი გამოიკვეთა, შესაბამისად, დასავლურ საზოგადოებებში ამის არაერთი მაგალითი არსებობს. ასე მაგალითად, მთლიანად კლასობრივი ნიშნით მიცემული ხმების რაოდენობა (იმ ამომრჩევლისა, ვინც “თავიანთ” პარტიას უჭერენ მხარს) გაერთიანებულ სამეფოში 1966 წ. 66% შეადგენდა, 1983-ში კი – მხოლოდ 47%. 1997 წელს, პირველად ისტორიაში, ლეიბორისტულმა პარტიამ გონებრივი შრომით დაკავებულთაგან მეტი ხმა მიიღო, ვიდრე ფიზიკურად მშრომელი ამომრჩევლისაგან (A. Heywood. 2007. P.340).

### *ხელსაყრელი არჩევანის მოდელი*

ამგვარ მოდელს ზოგი სახელისუფლებო პარტიის საქმიანობის ამომრჩევლის მიერ შეფასებად აღიქვამს, ზოგიც ამომრჩეველს – კომერციულ ობიექტში სავაჭროდ შესულ მომხმარებელს ადარებს. მეორე შემთხვევაში ე.წ. “მომგებიანი თემების” მნიშვნელობაა ხაზგასმული: ანუ პარტიებს, არსებული კონიუნქტურის გათვალისწინებით, შეუძლიათ თემატურად “მომხმარებლის” გემოვნებას მორგონ საკუთარი პოლიტიკური რიტორიკა და სწორედ ამ მიმართულებით განახორციელონ წინასაარჩევნო კამპანია. ასეთი მოდელის გავრცელების მთავარ მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ თანამედროვე პერიოდში ადგილი ჰქონდა ბუნებრივად ერთგულ მხარდამჭერთა რაოდენობის კლების ტენდენციასა და კლასობრივ გაუცხოებას. თავის მხრივ, პოსტმოდერნიზმით გამოწვეულმა პლურალიზმმა და ინდივიდუალიზმმაც თავისი გადამწყვეტი როლი ითამაშა. ხელსაყრელი არჩევანის თეორიის ერთ-ერთ მთავარ ნაკლს წარმოადგენს ის, რომ კონკრეტულ ამომრჩეველს მისი საზოგადოებრივი თუ სოციალური კონტექსტიდან მოწყვეტილად განიხილავს.

### *იდეოლოგიური მოდელი*

არჩევანის მოტივაციებთან დაკავშირებით არსებული შედარებით რადიკალური შეხედულებები ყურადღებას იმ ფაქტზე ამახვილებს, თუ კონკრეტულად რა ახდენს პიროვნების არჩევანზე გავლენას - იდეოლოგიური ზეგავლენა თუ პირდაპირი წნეხი. სოციოლოგიური მოდელის თანახმად, აქაც არჩევანის გაკეთება სოციალურ კიბეზე მოქალაქის მიერ დაკავებული მდგომარეობის გამოვლინებად მიიჩნევა, თუმცა არსებობს განსხვავებაც: ეს თეორიები იმაზე ამახვილებენ ყურადღებას, თუ რამდენადაა განპირობებული პიროვნების მიერ საკუთარი მდგომარეობის შეფასება განათლების სისტემის, ხელისუფლების და რაც მთავარია, მას-მედიის გავლენით.

წინა პერიოდში ფართოდ გავრცელებული შეხედულებებისაგან განსხვავებით, როდესაც მას-მედიის საშუალებები უბრალოდ, დაგროვილი განწყობილებების გაძლიერებით შემოიფარგლებოდნენ, იდეოლოგიური მოდელის თეორეტიკოსები ამტკიცებენ, რომ მედიას გააჩნია იმის შესაბამისი რესურსი, რომ საერთოდ დაამახინჯოს პოლიტიკური განწყობილებანი, კონკრეტული პოლიტიკური ძალის (რომელთანაც კონკრეტულ მას-მედიის საშუალებას რაიმე კავშირები - მათ შორის კომერციული შეიძლება გააჩნდეს, ან ამ ძალის მიმართ გარკვეული სიმპატიები გააჩნია) სასურველ კალაპოტში მიმართოს დებატები და ხელოვნურად მოახდინოს ზემოქმედება და მართოს საზოგადოების სიმპატია-ანტიპატიები. ამის შედეგი გახლავთ ის, რომ თუ ამომრჩეველთა განწყობა გაბატონებული იდეოლოგიის მიმართ კეთილმოსურნეა, პარტიები უკვე თავს უფლებას ვეღარ მისცემენ, ამ იდეოლოგიას გადაუხვიონ. ანუ - საარჩევნო პროცესი უკვე არა “არსებულის გაუმჯობესებას”, არამედ არსებულის შენარჩუნებას ემსახურება. აღნიშნული მოდელის ნაკლს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ არ ხდება ცალკეული პიროვნების მოსახრებებისა და მისი კერძო ინტერესების გათვალისწინება და შესაბამისად, ადგილი აქვს ამ ინტერესთა სრულიად უგულებელყოფას.

### *საარჩევნო პროცესი და საარჩევნო კამპანია*

სახელმწიფო ხელისუფლების როგორც ცენტრალურ, ასევე ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში არჩევნების ჩატარება ყოველთვის დაკავშირებულია პოლიტიკური მოღვაწეობის განსაკუთრებულ შემთხვევასთან, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლები – კანდიდატები, კონკურენტულ ბრძოლაში ერთგებიან და სხვადასხვა მეთოდებით ცდილობენ თავიანთ მხარეზე მოიზიდონ პოტენციური ამომრჩეველები. წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების პროცესში, პოლიტიკურ სცენაზე სხვადასხვაგვარი ვითარება იქმნება: ტარდება მიტინგები, კრებები, კანდიდატების შეხვედრები ამომრჩეველთან - მოსახლეობასთან. პოლიტიკური ლიდერები და პოლიტიკური ძალების სხვადასხვა წარმომადგენლები გამოდიან კრიტიკული მოხსენებებით და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გამოყენებით მოსახლეობას საკუთარ პროგრამას აცნობენ, ქუჩებში ჩნდება სარეკლამო პლაკატები, ვრცელდება სააგიტაციო ფურცლები და ა.შ.



სახელმწიფო ორგანოების არჩევნებთან დაკავშირებული მთელი ეს მრავალფეროვნება, შეიძლება ავლნიშნოთ ცნებით “საარჩევნო პროცესი”. საარჩევნო პროცესი - ეს გახლავთ ინტეგრალური კატეგორია, რისი მეშვეობითაც საერთო ხასიათს იძენს არჩევნებთან დაკავშირებული მოვლენების მთელი კომპლექსი. საარჩევნო პროცესის ფარგლებში ელექტორალური საკანონმდებლო ნორმების დახვეწა და რაციონალიზაცია ხორციელდება. არჩევნებიდან არჩევნებამდე ადგილი აქვს პოლიტიკური სტრუქტურებისა და კულტურული ფასეულობების ცვლილებებს, ჯგუფებსა და ინდივიდებს თავიანთი შეხედულებების, პრინციპებისა და იდეალების გამოსახატავად ახალი პოლიტიკური მოთხოვნები უჩნდებათ.

ამასთანავე, არჩევნებში მონაწილე ყოველი კანდიდატი, პარტია თუ საარჩევნო ბლოკი, საარჩევნო ბრძოლაში ჩართვის პერიოდში, ცდილობს გადაწყვიტოს საკუთარი ამოცანები და ამ საქმეს გარკვეულ ძალისხმევას ახმარს. შესაბამისად, საარჩევნო კამპანია შეიძლება დახასიათდეს როგორც პოლიტიკური პარტიების, საარჩევნო გაერთიანებებისა და მათი კანდიდატების ერთობლივი მოქმედება, რომელთა საბოლოო მიზანს წინასაარჩევნო მიზნების პრაქტიკაში დანერგვა წარმოადგენს.

საარჩევნო კამპანია პოლიტიკური მართვის განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მართვის სუბიექტად კონკრეტული გუნდი (პარტიული ორგანიზაცია, თანამოაზრეების ჯგუფი, პოლიტიკური კონსულტანტები) გვევლინება, რომელსაც სათავეში უდგას კანდიდატი, ხოლო ობიექტად ამ შემთხვევაში პოტენციური ამომრჩევლები არიან წარმოდგენილნი. მართვის სტრატეგია და ტაქტიკა იმ ამოცანების შესაბამისად განისაზღვრება, რომელსაც კანდიდატები გეგმავენ. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ზოგიერთ კანდიდატს წინასაარჩევნო ბრძოლის პროცესში გამარჯვების პრეტენზია გააჩნია, ხოლო ზოგიერთი კანდიდატი საარჩევნო კამპანიას აფასებს, როგორც შესაძლებლობას, მაგალითად თავისი წინასაარჩევნო პროგრამის წარდგენით, ამომრჩეველთა ყურადღება მიიქციოს და გაიაროს წინასწარი “მოთელვა” იმ მიზნით, რომ მომავალ არჩევნებში მონაწილეობისათვის შესაბამისი გამოცდილება მიიღოს ან უბრალოდ, მაღალი რეიტინგის მქონე მოწინააღმდეგეს ხმების ნაწილი წაართვას რომელიმე სხვა პრეტენდენტის სასარგებლოდ და ა.შ.

ყოველ საარჩევნო კამპანიას შესაბამისი პოლიტიკური გუნდის წევრები პოლიტიკურ მოწინააღმდეგესთან სასტიკი ბრძოლის პირობებში წარმართავენ. ამის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორი გახლავთ საარჩევნო პროცესის კონკურენტულობის მაღალი დონე, რომლის ფარგლებშიც მძაფრი წინააღმდეგობები იჩენს თავს და ეს შესაძლებელია ახსნილ იქნეს იმით, რომ მეტოქეები ცდილობენ პოლიტიკურ იერარქიაში პრესტიჟული პოზიციებისა და ადგილების დაკავებას, რათა შემდგომში მათ შესაძლებლობა მიეცეთ გავლენა იქონიონ ხალხზე, აკონტროლებდნენ მნიშვნელოვან რესურსებს და ა.შ. იმისათვის, რომ ეს

კონკურენტული ბრძოლა მძაფრ დაპირისპირებასა და დესტაბილიზაციაში არ გადაიზარდოს, ყოველ სახელმწიფოში შესაბამისი ინსტიტუტების ფარგლებში საკანონმდებლო ნორმები ყალიბდება, რაც რეგლამენტირებას უკეთებს საარჩევნო პროცესის მსვლელობას. ამავე დროს, საკანონმდებლო ნორმების რესურსიც შეზღუდულია, რადგანაც შეუძლებელია რეგლამენტს დაექვემდებაროს საარჩევნო პროცესის მონაწილეთა ყველა საქმიანობა, თუმცა მათთვის განსაზღვრული უფლებრივი ჩარჩოები იქმნება და აღნიშნულ ნორმათა უგულვებლყოფა, გარკვეული სანქციების ჩატარებას გულისმობს.

**საარჩევნო ტექნოლოგიები.** საარჩევნო კამპანიის – როგორც პოლიტიკური პროცესის ნაირსახეობის განხილვისა და გაანალიზების პროცესში, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული, თუ ვინ არიან საარჩევნო კამპანიის ინიციატორები, რომლებიც აღნიშნული პოლიტიკური ვითარების ფარგლებში, მართვის სუბიექტის როლში წარმოგვიდგებიან. მათ უფლება არ აქვთ ობიექტს უკარნახონ “თამაშის წესები”, დაუდგინონ ნორმები, რომლებიც მათ ზემოქმედების საშუალების ბერკეტს შეუქმნის. ე. ი. არც ერთ კანდიდატს ან საარჩევნო გაერთიანებას არ შეუძლია გამოსცეს რაიმე განკარგულება ან მითითება, დაადგინოს ელექტორალური ქცევის მოდელი.

მეორე, მართვის სუბიექტს აგრეთვე არ გააჩნია იმის შესაძლებლობები, რომ ლეგიტიმურ ძალადობას მიმართოს, დააწესოს ამომრჩევლებზე სანქციები ან ზემოქმედების სხვა ზომები მიიღოს. დემოკრატიულ საზოგადოებაში არ შეიძლება ადამიანს დააძალო მისცეს ხმა ამა თუ იმ კანდიდატს. მაშასადამე, მართვის სუბიექტის მართვის ობიექტზე ზემოქმედების მეთოდები უნდა იყოს ძალიან სპეციფიური და უშუალოდ დაკავშირებული პიროვნების მოტივაციურ განსაკუთრებულ ფორმებთან. საარჩევნო კამპანიის მთავარი შინაარსი ხდება ადამიანთა განწყობის ჩამოყალიბება, მოსახლეობის მხარდაჭერის მოპოვება. იმ ხერხებისა და მეთოდების ერთობლიობას, რომლებიც უზრუნველყოფენ სასურველ შედეგს, ანუ მასების მხარდაჭერის მოპოვებას, მათში განწყობის ჩამოყალიბების მიზნით, რომ ხმა მისცენ გარკვეულ კანდიდატს, **საარჩევნო ტექნოლოგია** ეწოდება (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 105).

საარჩევნო ტექნოლოგიების მთავარ დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს იმ სოციალურ-ფსიქოლოგიური მექანიზმების ამოქმედება, რომლებიც დაარეგულირებდნენ ამომრჩეველთა ქცევას, მათი ფასეულობების ორიენტაციას, ინტერესებს, განწყობას, მისწრაფებას და იმედებს.

XX საუკუნის თითქმის ბოლომდე საარჩევნო კამპანიების ორგანიზება პარტიული აქტივისტების ძალებით ხორციელდებოდა, როდესაც კონკრეტული კანდიდატის მეგობრები, მოქალაქეები, რომლებიც მოქმედი პოლიტიკოსების მხარდამჭერებს

წარმოადგენდნენ, პირადად იყვნენ ჩართულნი წინასაარჩევნო პროცესში. ამ საქმიანობის მთავარი განმსაზღვრელი გახლდათ პირადი ენთუზიაზმი, იდეისადმი ან პარტისადმი ერთგულება, პასუხისმგებლობის მაღალი გრძნობა და იმის სურვილი, რომ არჩევნებზე გამარჯვების მოპოვებისათვის მაქსიმალური რესურსი უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ასეთ მოქალაქეთა რიგებში ჩნდებოდნენ პოლიტიკური კამპანიების არცთუ ცუდი ორგანიზატორები, მაგრამ ამავე დროს, ეს ადამიანები უფრო ინტუიციასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით მოქმედებდნენ და ამავე დროს, ნაკლებად იყო გამოვლენილი მეცნიერული ცოდნა, ელექტორატის ქცევის თავისებურებებისა და საარჩევნო ტექნოლოგიების ანალიზი.

დღევანდელ ეტაპზე, საარჩევნო ტექნოლოგიებისადმი დანერგილ მიდგომას რიგი განმასხვავებელი თავისებურებანი გააჩნია, რაც პირველ რიგში, პოლიტიკური ბრძოლის პრაქტიკული გამოცდილებისა და მეცნიერული ცოდნის შერწყმის აუცილებლობის გათვალისწინებაში გამოიხატება. ამ შემთხვევაში უმთავრეს ფაქტორს წინასაარჩევნო ბრძოლის პროცესში არა მარტო თავის გამოჩენის ხერხები და მოქმედების მანერები წარმოადგენს, არამედ ასევე შესაბამისი დასკვნა უნდა იქნეს გამოტანილი გამარჯვების ან კონკრეტული ტექნოლოგიების წარუმატებლობის მიზეზებთან დაკავშირებით. ასეთი რამ კი მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, როდესაც საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებს აუცილებელი თეორიული ცოდნა გააჩნიათ და შესწევთ უნარი ადეკვატურად შეაფასონ სიტუაცია, გამოავლინონ მასების განწყობილების ძირითადი ფაქტორები, განსაზღვრონ ხალხის შეგნებასა და მოტივაციაში არსებული მთავარი მახასიათებლები, რომლებზე ზემოქმედებითაც მათი ქცევის შეცვლა საჭირო მიმართულებით იქნება შესაძლებელი. აღნიშნული ვითარება აიძულებს საარჩევნო კამპანიების ორგანიზატორებს, ისარგებლონ პროფესიონალების კონსულტაციებით, ანუ დახმარებისათვის მიმართონ იმ ადამიანებს, რომლებიც სპეციალიზებული არიან პოლიტიკური ტექნოლოგიის სფეროში, რომლებსაც სათანადო ცოდნა, უნარი და ჩვევები გააჩნიათ.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ბევრ ქვეყანაში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთა პროფესიად იქცა წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზება, ჩამოყალიბდა სპეციალური სააგენტოები. 1968 წელს პარიზში შეიქმნა პოლიტიკური კამპანიების მრჩეველების საერთაშორისო ასოციაცია. დღეს არჩევნებში გამარჯვების შანსი უფრო მეტად იმ პარტიებსა და კანდიდატებს გააჩნიათ, რომლებიც პირველ რიგში “თავიანთ ხალხს”, პარტიულ და ადმინისტრაციულ სტრუქტურებს კი არ ეყრდნობიან, არამედ იმათ, ვინც პოლიტიკური კონსულტანტების რჩევებს ითვალისწინებენ და ამ რჩევებს პრაქტიკაში ნერგავენ. კონსულტანტები საარჩევნო შტაბებს მონაცემებს არა მარტო კანდიდატის რეიტინგების შესახებ, არამედ ინფორმაციას მათ ჩამორჩენისა და უპირატესობის მიზეზებზე და ა.შ. აწვდიან

პროფესიონალების ხელში საარჩევნო ტექნოლოგიები საკმარისად ძლიერ იარაღად გადაიქცევა, წინასაარჩევნო კამპანიაში მათი ჩართვა ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ კონკრეტულმა პოლიტიკურმა ძალამ თავის მხარეზე გადაიყვანოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ფენა, მოუპოვოს თავის კანდიდატს ელექტორალური უპირატესობა. თუმცა ამის შესაძლებლობა ჩნდება მხოლოდ მაშინ, როდესაც საარჩევნო ტექნოლოგიები კომპლექსურად გამოიყენება, კერძოდ, როდესაც არსებობს საარჩევნო კამპანიის მეცნიერულად დასაბუთებული სტრატეგია, თუ გათვალისწინებულია პოლიტიკური ოპონენტის (მეტოქის) სტრატეგია და ტაქტიკა, აგრეთვე გაანალიზებულია ის რეალური პროცესები, რომლებიც მასების შეგნებაში მიმდინარეობს.

### ***საარჩევნო კამპანიის სტრუქტურული რგოლები***

*წინასაარჩევნო სიტუაციის ანალიზი.* ყოველ საარჩევნო კამპანიას თავისი ძირითადი მახასიათებლები გააჩნია და შემდეგი არჩევნების პერიოდში, შეუძლებელია ყველა იმ ტექნოლოგიის გამოყენება, რომელიც მანამდე იყო გამოყენებული. მაგალითად, თუ ერთი და იგივე კანდიდატი წლების განმავლობაში კენჭს იმავე საარჩევნო ოლქში იყრის, შესაძლებელია, რომ უკვე მოძველებული იყოს ძველი ლოზუნგები, სარეკლამო ნაწარმი და ადრე დაწერილი გამოსვლის ტექსტი თუ წინასაარჩევნო პროგრამა. ეს ხდება იმის გამო, რომ სხვადასხვა ფაქტორების ზემოქმედების შედეგად იცვლება ხალხის განწყობა, შეხედულებები პოლიტიკურ პროცესებზე, პოტენციურ ამომრჩეველთა ინტერესი და ამიტომ, თითოეული საარჩევნო კამპანია ყოველთვის თავიდან უნდა დაიწყოს.

გამოცდილი პოლიტიკოსები, არჩევნების ვადის გამოცხადებამდე დიდი ხნით ადრე იწყებენ საარჩევნო კამპანიისათვის მზადებას. ძირითად შემთხვევებში, მათი პირველი ნაბიჯი გახლავთ კონკრეტულ საარჩევნო ოლქსა და მთლიანად ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური და სხვ. სიტუაციის ანალიზი. გამოკვლევის ჩატარების პროცესში, საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორები ცოდნის იმ აუცილებელ მინიმუმს ღებულობენ, რომელიც საშუალებას იძლევა შემუშავებულ იქნეს საარჩევნო სტრატეგია, რომელზეც მუშაობა მიმდინარეობს არა ბრმად, მხოლოდ საკუთარ ინტუიციასზე დაყრდნობით, არამედ რაციონალურად, ობიექტური მანევრებლების გათვალისწინებითა და კონკრეტულ სიტუაციაში ადეკვატური ტექნოლოგიური ხერხების გამოყენებით. ამგვარად, საარჩევნო კამპანიის ე.წ. საინფორმაციო-ანალიტიკური უზრუნველყოფა ხორციელდება.

წინასაარჩევნო გამოკვლევებს გამოყენებითი ხასიათი აქვთ, ე.ი. მათი მიმართულება განისაზღვრება საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორების მიზნებით და უპირველეს ყოვლისა იმ აუცილებლობით, რომ თავის მხარეს ამომრჩევლების მაქსიმალური რიცხვი მიიზიდოს.

მაგალითად, კანდიდატის დადებითი იმიჯის ჩამოსაყალიბებლად აუცილებელია მიიღო ინფორმაცია საარჩევნო უბნის მაცხოვრებლების აზრის შესახებ იმაზე, თუ როგორი, რა კონკრეტული ადამიანური თვისებების მქონე კანდიდატურაა მათთვის მისაღები. წინასაარჩევნო პროგრამის შესამუშავებლად, საარჩევნო საქმის ტექნოლოგიები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას ამომრჩევლების ყოფით მდგომარეობაზე; მათ ღირებულებით ორიენტაციაზე, ინტერესებსა და სურვილებზე; აგიტაციის ჩასატარებლად მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ რა რწმენა, რა სახის სტერეოტიპები დომინირებენ მასობრივ აზროვნებაში.

### *როგორია წინასაარჩევნო გამოკვლევების მთავარი მიმართულებები?*

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში მუშაობა წინასაარჩევნო სიტუაციის გაანალიზებით იწყება. უნდა შესაბამისად იქნეს შეფასებული ქვეყნის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა, პოლიტიკური სპექტრი და ძალთა გადანაწილება, ელექტორატის განწყობა, ხელისუფლების და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების იმიჯი და ა.შ. ეს პროცესი უნდა დაწყებულ იქნეს არჩევნებამდე დაახლოებით 6 თვით ადრე (კამპანიის მასშტაბისა და არჩევნების სპეციფიკის გათვალისწინებით). ზოგიერთი სპეციალისტი თვლის, რომ არჩევნებისათვის მომზადება ერთი წლით ადრეც უნდა დაიწყოს. აღნიშნული პერიოდის განმავლობაში მიმდინარეობს ყველანაირი ინფორმაციის (ოქმში მოსახლეობის რაოდენობა, მისი სოციალური და ეთნიკური სტრუქტურა; სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა; რელიგიური ასპექტები; სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო ობიექტები; საფინანსო დაწესებულებები და ა.შ.) შეგროვება. შემდეგ ხდება მოპოვებული ინფორმაციის გაანალიზება და მის საფუძველზე საარჩევნო სტრატეგიის დასაგეგმად შემუშავდება რეკომენდაციები; თუ ეს ამოცანა დროულად და პროფესიულად ამოიხსნება, მაშინ საარჩევნო კამპანიის ეფექტიანობა მკვეთრად იზრდება, იმიტომ რომ მისი ორგანიზატორების მოქმედებები კონკრეტული, ხალხის რეალური განწყობის გათვალისწინებით აიგება. მეორე მიმართულება – ეს გახლავთ საარჩევნო კამპანიის საინფორმაციო-ანალიტიკური მასალებით უზრუნველყოფა. ყველანაირი მიმართველობითი პროცესის შედეგი დიდწილადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად სრულყოფილ ინფორმაციას ღებულობს მართვის სუბიექტი ორგანიზაციული საკითხების გადასაწყვეტად. მოცემულ შემთხვევაში ლაპარაკია მჭიდრო კავშირის ჩამოყალიბებაზე ერთის მხრივ, საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებსა და მეორეს მხრივ – ამომრჩეველთა შორის, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ სუბიექტმა კორექტირება გაუკეთოს მოქმედებას, დროულად დააფიქსიროს არსებული პრობლემები და ადეკვატური რეაქცია მოახდინოს მოწინააღმდეგის გამოხტომებზე. ამ ამოცანის შესრულება დაკავშირებულია სადამკვირვებლო ხასიათის კვლევის ჩატარებასთან, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გააკონტროლო საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების

პროცესში არსებული ცვლილებები და კანდიდატის მიმართ ამომრჩეველთა დამოკიდებულების შეცვლის ძირითადი ასპექტები. ასევე, მონიტორინგის საშუალებით შეიძლება გაანალიზო კონკურენტის მოქმედება და საარჩევნო კამპანიაში მონაწილე სხვა პოლიტიკური აქტორების ქცევა.

საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორებისათვის საჭირო ინფორმაციის მიღება სხვადასხვა საშუალებებითა და მეთოდებითაა შესაძლებელი: პირველი – ოლქის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური მონაცემების მოპოვების, მოსახლეობის დემოგრაფიული და ეროვნული შემადგენლობის, ცხოვრების დონის, წინა წლების არჩევნების შედეგების და ა.შ. შესწავლის გზით; მეორე – მოსახლეობის გამოკითხვის შედეგად (ანკეტირება, ინტერვიუ), რომელიც საშუალებას ქმნის გაარკვიო ხალხის სუბიექტური განწყობა, ვის მხარეზე იხრება პოტენციურ ამომრჩეველთა სიმპატია. მესამე – იმ ფოკუს-ჯგუფებთან მუშაობა, რომლებიც თავიანთ მოსაზრებებს გვთავაზობენ ლოზუნგების ვარიანტებზე, სარეკლამო რგოლებზე, კანდიდატის სავარაუდო ნაბიჯებზე, მისი გამოსვლების ტექსტებსა და ა.შ. ასეთი პოლიტიკის გატარებით ნათელი ხდება, მათ შორის ქვეცნობიერ დონეზე, ადამიანთა რეაქცია საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორთა ამა თუ იმ მოქმედებაზე. მეოთხე – კონკურენტების მოქმედებების მეთვალყურეობის მეშვეობით და აგრეთვე კონტენტ-ანალიზის მეთოდების გამოყენებით, ე.ი. ბეჭდვითი პროდუქციის რაოდენობითი ანალიზის და ლიდერების გამოსვლებით.

**საარჩევნო კამპანიის სტრატეგია.** არ შეიძლება დაიწყო საარჩევნო კამპანია თუ არ არსებობს მიზანდასახული სტრატეგიული ხედვა. თუ კანდიდატს და მის გუნდს სტრატეგია არ გააჩნია, მაშინ მათი მოქმედებები არ იქნება იმდენად ეფექტური, რომ გახდეს არჩევნებში გამარჯვების საწინდარი.

სტრატეგია შემუშავდება იმის გათვალისწინებით, რომ ამომრჩეველი არჩევანში თავისუფალია, რომ არ შეიძლება მასზე ზემოქმედება მოახდინო ხმა მისცეს ამა თუ იმ კანდიდატს, ამისათვის უნდა მოამზადო შესაბამისი ნიადაგი, რომ ამომრჩეველმა ასეთი ნაბიჯი გადადგას. ამის განხორციელება შესაძლებელია მასობრივ ცნობიერებაზე ზემოქმედების გზით, თუ რაციონალურად იქნება გამოყენებული მასობრივი ინფორმაციის საშუალებები. სწორედ ასეთი მეთოდებით უნდა მოხდეს მოსახლეობის მხრიდან დადებითი განწყობის ჩამოყალიბება კონკრეტული კანდიდატის მიმართ. ამომრჩეველმა უნდა ირწმუნონ, რომ კანდიდატი და მისი მხარდამჭერი საარჩევნო ბლოკი თუ პარტია სწორედ ისაა, ვისაც იგი ენდობა, როგორც წარმომადგენელს სახელისუფლებო ორგანოში.

**საარჩევნო სტრატეგია** – ეს გახლავთ საინფორმაციო თემების ერთობლიობა, რომლის შინაარსის პრაქტიკაში დანერგვას ექვემდებარება მთელი საარჩევნო კამპანია. გამოიძევაო სტრატეგია, ნიშნავს განსაზღვრო ასეთი საკვანძო თემები.

აღნიშნული სტრატეგიის გამომუშავება იწყება პასუხის ძებნით კითხვაზე: როგორ ინფორმაციას შეუძლია ეფექტურად იმუშაოს ხალხის მოტივაციაზე და გავლენა მოახდინოს მათ ელექტორალურ ქცევაზე და შესაბამისად წარმართოს საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორების მოქმედება. მაგალითად, რა უნდა იქნეს ნაჩვენები კანდიდატის მოქმედებებში, გარეგნობაში, პროგრამაში ისეთი, რაც აიძულებს ამომრჩეველს განიმსჭვალოს მისდამი ნდობით და მისცეს მას თავისი ხმა? ამ კითხვაზე ჩამოყალიბებული პასუხები ფაქტიურად იქცევიან საარჩევნო კამპანიის, მისი სტრატეგიის მთავარ თემად. არ არის რთული იმის მიხედვით, თუ რა თემები შეიძლება იყოს შემუშავებული ან ამომრჩეველთა რეალური შეხედულებების, განწყობის, მსჯელობების ან კიდევ საკუთარი ინტუიციისა და პრაქტიკული გამოცდილების საფუძველზე. თუმცა, სტრატეგიის შემუშავების ფარგლებში, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ მასების განწყობას ცვალებადობა ახასიათებს, ამიტომ პრაქტიკულ გამოცდილებას გარკვეული შეზღუდული ხასიათი გააჩნია.

თუ საარჩევნო ოლქში სიტუაციის გაანალიზების პროცესში, მოვახერხეთ რეალური სიტუაციის გარკვევა და დავაფიქსირეთ, რომ ოლქის მაცხოვრებლებს ყველაზე უფრო უმუშევრობის პრობლემა და ცხოვრების დაბალი დონე აწუხებთ, ბუნებრივია, რომ პოტენციური ამომრჩევლები შეთავაზებულ კანდიდატში უნდა ხედავდნენ ადამიანს, რომელიც არის პასუხისმგებლობის მაღალი გრძობით აღჭურვილი, პატიოსანი, მზრუნველი და პროფესიონალი, საქმის მცოდნე, ხალხის ჭირ-ვარამის გამზიარებელი, მაშასადამე, საარჩევნო კამპანიის სტრატეგიაში სოციალურმა პრობლემებმა უნდა დაიკავონ ცენტრალური ადგილი.

საარჩევნო კამპანიის ფარგლებში ჩვეულებრივ ხდება ხოლმე რაღაც მთავარი თემის შერჩევა. მაგალითად, პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფა; საგარეო საფრთხეების განეიტრალება; ეკონომიკური ზრდა და ა.შ. მთავარია რომ ის პასუხობდეს ხალხის მოთხოვნილებებს და მოლოდინს, ისინი მზად იქნებიან ითმინონ სოციალური, ეკონომიკური გაჭირვება, თუ მათ შეთავაზებული პროგრამა და მათ უკან მდგომი ადამიანები მოხიბლავთ.

საარჩევნო კამპანიის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავების პროცესში ჩართულ კონკრეტულ მონაწილეებს შორის წინასაარჩევნო მართონში განსხვავება, როგორც წესი, განისაზღვრება იმით, თუ რა ადგილი ეკავათ ამ პიროვნებებს ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებში და რა როლი შეასრულებს საზოგადოების პოლიტიკურ ცხოვრებაში და კერძოდ, რომელ სოციალური ფენების წარმომადგენლებს შორის უნდა იპოვონ მთავარი დასაყრდენი. მოსახლეობის ღირებულებითი ორიენტაციის ინტერესების მრავალფეროვნება იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ საარჩევნო ბრძოლის მონაწილეებმა სხვადასხვა ელექტორალური სტრატეგიები წარმოადგინონ მოსახლეობის წინაშე.

საარჩევნო კამპანიის მიმდინარეობის პროცესში სტრატეგიულმა თემებმა თავისი მხარდაჭერა საინფორმაციო საშუალებებისაგან უნდა მიიღონ, რაც გულისხმობს კონკრეტული არგუმენტების და ფაქტების გამოქვეყნებას და ა.შ. ეს ქმედება შეიძლება შევადაროთ მზარდი ხის განშტოებას, როდესაც ხის ღეროდან (თემა) იწყება მრავალრიცხოვანი ტოტების აღმოცენება (სიუჟეტი). მაგალითად, თუკი საარჩევნო კამპანიის ერთ-ერთი თემა – კანდიდატის პატიოსნებაა, მაშინ სიუჟეტური ხაზის შემუშავება ნიშნავს კონკრეტული მაგალითების ძიებასა და შექმნას. ასეთ მაგალითად შეიძლება გამოდგეს კანდიდატის უარი უკანონო პრივატიზაციაში მონაწილეობაზე, პირად კეთილდღეობაზე უარის თქმა იმ დროს, როდესაც მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს უჭირს და ა.შ.

სიუჟეტური ხაზების შემუშავების პროცესში შეიძლება ისე მოხდეს, რომ ხის ღერომ დაკარგოს სასიცოცხლო ძალა, მას ყლორტები აღარ გამოუჩნდება, ე.ი. არ არსებობს ამის დამადასტურებელი რეალური ფაქტები. საინფორმაციო ექსპანსიისათვის შერჩეული თემა სათანადო და საკმარისი არგუმენტებით ვერ გამაგრდა. ასეთ შემთხვევაში მნიშვნელოვანია თემის შეცვლა, რადგანაც ხელოვნურად შექმნილი მაგალითები, რომლებსაც რეალობასთან მხოლოდ უმნიშვნელო საერთო აკავშირებს, ბოლოს შეიძლება საზოგადოების ყურადღების მიღმა დარჩეს. კონკურენტები აუცილებლად ისარგებლებენ ამ ფაქტით მოსახლეობის თვალში კანდიდატის დისკრედიტაციის მიზნით და შეეცდებიან იმის დემონსტრირებას, რომ კონკრეტული კანდიდატი საზოგადოების შეცდომაში შეყვანასა და მის მოტყუებას ცდილობდა.

ნებისმიერ საარჩევნო ოლქში ჩვენ ვხვდებით სხვადასხვა სახის ამომრჩეველს. ეს არ გახლავთ რაღაც ამორფული მასა, რომლისგანაც, როგორც პლასტელინიდან, შეიძლება რაღაც ფიგურის გამოძერწვა. ეს არის რეალური ხალხი, რომელსაც თავისი ინდივიდუალური და ჯგუფური ღირებულებებით ორიენტაცია, ინტერესები გააჩნია. ამა თუ იმ ქვეყნის ამომრჩეველებს სოციალურ სივრცეში სხვადასხვა პოზიციები უკავიათ, მათ საკუთარი პოზიცია და რწმენა გააჩნიათ, სხვადასხვა ადამიანი სხვადასხვა არასამთავრობო და პოლიტიკურ ორგანიზაციებსა და მოძრაობებშია გაწევრიანებული. საარჩევნო გაერთიანებასთან დამოკიდებულების თვალსაზრისით, კონკრეტული საარჩევნო ოლქის მთელი ელექტორატი შეიძლება ხუთ მთავარ ჯგუფად დაიყოს:

1. ამა თუ იმ პარტიისა თუ კანდიდატის აქტიური მხარდამჭერნი, ე.ი. ხალხი, რომელთა ღირებულებითი ორიენტაცია რიგი მიზეზების გამო ერთმანეთს ემთხვევა (ერთნაირია).

ამ ფაქტორის გათვალისწინებით შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ ამ ადამიანთა ჯგუფი მზადყოფნას გამოხატავს შეგნებულად და მიზანმიმართულად



ითანამშრომლოს კანდიდატთან და მის საარჩევნო შტაბთან, მხარი დაუჭიროს მათ მოქმედებას, მაქსიმალური შესაძლებლობების ფარგლებში დახმარება აღმოუჩინოს კანდიდატს დასახული მიზნების რეალიზაციის პროცესში. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნული ჯგუფი წარმოადგენს ძლიერ ელექტორატს, რომელიც ნებისმიერ შემთხვევაში ხმას მისცემს თავის კანდიდატს ან თავის პარტიას და აგიტაციას გაუწევს სხვებსაც.

2. პასიური მხარდამჭერნი – ეს გახლავთ ელექტორატის ის ნაწილი, რომელიც კანდიდატის ან საარჩევნო ბლოკის მიმართ თანაგრძნობას გამოხატავს, მაგრამ ამავე დროს, თავს იკავებს დამოუკიდებელი მოქმედებებისაგან კონკრეტული კანდიდატის მხარდაჭერის მიზნით. არჩევნებზე აღნიშნული ელექტორატი ალბათობის დიდი წილით ხმას მისცემს თავის კანდიდატს, მაგრამ მათ ქმედებებზე შეიძლება გავლენა იქონიოს სხვა ფაქტორებმაც, რომელსაც ერთი შეხედვით კავშირი პოლიტიკასთან არ აქვს (სამუშაოზე დაკავებულობა, ოჯახური მდგომარეობა და ა.შ.)

3. ნეიტრალურ პოზიციებზე მდგომნი – ე.ი. ხალხი, რომლებსაც უფრო ხშირად არა აქვთ გამოკვეთილი პოლიტიკური პოზიცია, არ აფიქსირებენ გარკვეულ სიმპათიებსა და ანტიპათიებს რომელიმე პოლიტიკური ლიდერის ან პარტიების მიმართ, არ ფლობენ საკმარის ინფორმაციას როგორც თვით პოლიტიკის სუბიექტზე, ასევე მათ მიზნებსა და პროგრამებზე. ისინი მეტწილად საკუთარ პრობლემებში არიან ჩაფლულნი და წინასაარჩევნო ბრძოლისადმი ნაკლები ინტერესი გააჩნიათ; მათ მყარად არ აქვთ გადაწყვეტილი – ვის მისცემენ ხმას და საერთოდ, არ იციან, მიიღონ თუ არა არჩევნებში მონაწილეობა.

4. უნდობლობის განწყობილება. საერთოდ ამ კატეგორიის ფენა წარმოადგენს მოსახლეობის იმ ნაწილს, რომელიც სიფრთხილეს იჩენს ყველა პოლიტიკოსისა თუ პოლიტიკური პარტიის მიმართ. საზოგადოების გულგატეხილი ნაწილი, რომელიც ეჭვის თვალთ უყურებს პოლიტიკურ არენაზე მოღვაწე ადამიანებს, რადგანაც მას მიაჩნია, რომ სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები კონსტრუქციულად ვერ გადაწყვეტენ ქვეყნისა და რეგიონის წინაშე არსებულ პრობლემებს. აქედან გამომდინარე, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, ისინი არ მისცემენ ხმას მოცემულ კანდიდატს ან საარჩევნო გაერთიანებას, იმიტომ რომ დიდი ალბათობით გადაწყვეტილი აქვთ, რომ პრინციპიალურად არ მიიღონ მონაწილეობა არჩევნებში;

5. საწინააღმდეგო განწყობილებანი. პოტენციურ ამომრჩეველთა ამ კატეგორიას მიეკუთვნებიან სხვა პოლიტიკური პარტიებისა და კანდიდატების აქტიური მომხრეები. ისინი თავიანთ მზადყოფნას გამოხატავენ მხარში ამოუდგნენ იმ პოლიტიკურ ძალებს, ვისზეც არჩევანი გააკეთეს და ამ ქმედებით დაუპირისპირდნენ საარჩევნო პროცესის სხვა მონაწილეებს, სხვა კანდიდატებს და ხელი შეუშალონ წარმატების მიღწევაში.

საარჩევნო კამპანიის ორგანიზატორთა საქმიანობა და მცდელობა უნდა ფოკუსირებულ იქნეს იმ მიმართულებით, რომ კიდევ უფრო მეტად გაზარდონ პირველი ორი ჯგუფის წარმომადგენელთა ნდობის ხარისხი, აგრეთვე, დამატებითი ხმების მოპოვების მიზნით იმუშაონ მესამე ჯგუფთან და შეძლებისდაგვარად გააკონტროლონ იმათი მოქმედებები, ვინც მე-4 და მე-5 ჯგუფებს მიეკუთვნებიან. როგორც წესი, მოსახლეობის ის ნაწილი, რომელიც ვერ გარკვეულა თავის ელექტორალურ განწყობაში, ყველაზე მრავალრიცხოვან ამომრჩეველს შეადგენს. სწორედ ეს გახლავთ კონკურენტული ბრძოლის გამწვავების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი. წინასაარჩევნო პროცესში კანდიდატმა და მისმა შტაბმა უნდა გაითვალისწინოს ის, რომ მათ მუშაობა უნდა მოუხდეთ არა ერთფეროვან მასასთან, არამედ თითოეულ ამომრჩეველს თავისი სხვებისაგან განსხვავებული პიროვნული თვისებები, ინტერესები, ცხოვრებისეული მიზნები და ა.შ. გააჩნია. შესაბამისად, ყოველი ამომრჩევლის რეაქცია კანდიდატის პროგრამულ განცხადებებზე, შემოთავაზებულ ლოზუნგებზე, სარეკლამო პლაკატებზე, დიდი ალბათობით ერთმანეთისაგან განსხვავებული იქნება. ამიტომაც, ადამიანური ბუნების მრავალფეროვნების გათვალისწინებით, თითოეული კანდიდატი დგება დილემის წინაშე, როგორ უნდა იქნეს გათვალისწინებული რეალურ პრაქტიკაში ელექტორატის ქცევა? როგორ უნდა იქნენ მოქცეულნი კონკრეტული პოლიტიკური ძალის გავლენის ქვეშ ის მოქალაქეები, რომლებიც სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებს მიეკუთვნებიან?

საარჩევნო ტექნოლოგიებში აღნიშნული პრობლემის მოგვარება ელექტორატის სეგმენტირების გზით, ე.ი. მისი სეგმენტებად დაყოფითაა შესაძლებელი. ამა თუ იმ სეგმენტისადმი (ჯგუფისადმი) ობიექტური კუთვნილება გავლენას ახდენს ხალხის ინტერესებზე, პოლიტიკური ვითარების უკეთ გაცნობაზე, კანდიდატისა და მისი პროგრამისადმი დამოკიდებულებაზე.

თანამედროვე საარჩევნო ტექნოლოგიებში სოციალური დიფერენციაციის ფაქტორის გათვალისწინების აუცილებლობა პროფესიონალების მიერაა აღიარებული. ანუ, ელექტორატის ჯგუფებად დაყოფის ძირითად განმსაზღვრელ ფაქტორს მოსახლეობის სხვადასხვა სოციალური ჯგუფისა და ფენისადმი კუთვნილება წარმოადგენს.

ელექტორატის სეგმენტირების ყველაზე უფრო გავრცელებული კრიტერიუმებია: დემოგრაფიული (სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა), სოციალური (დასაქმების სტრუქტურა და ა.შ.), ტერიტორიული-მოსახლეობის განსახლების პრინციპი (საქალაქო და სასოფლო დასახლება), ეთნიკური და რელიგიური შემადგენლობა (განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ამ ფაქტორის გათვალისწინება მრავალეროვან ოლქში), ქონებრივი მდგომარეობა (მდიდრები, ღარიბები, საშუალო კლასი) და სხვა.

მძაფრი კონკურენტული ბრძოლა მეტოქეებს იძულებულთ ხდის ეძებონ საკუთარი ნიშა კონკრეტულ სოციალურ სივრცეში და პირველ რიგში ორიენტაცია მოახდინონ არა დიდ სოციალურ ჯგუფებზე, არამედ ამ ჯგუფებში შემავალ პატარა სეგმენტებზე. მაგალითად, თუ ერთი პარტია ისწრაფვის ორიენტირება გააკეთოს სტუდენტების იმ ნაწილზე, რომლის მატერიალური მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელოა, მეორე თავის პრიორიტეტად მიიჩნევს ხანშიშესულ ადამიანებთან კონტაქტების გაღრმავებაზე, მაგალითად, საუბარი შესაძლებელია იყოს უფროსი თაობის იმ წარმომადგენლების შესახებ, რომლებიც დაზარალდნენ საბჭოური რეჟიმისაგან და არ უნდათ წარსულში დაბრუნება.

ელექტორატის სეგმენტირება – საარჩევნო კამპანიის თვითმიზანი კი არ არის, არამედ ეს არის ერთ-ერთი მეთოდი – რომ კანდიდატის შტაბის წევრები და თვით კანდიდატი შეხვდეს რიცხოვრივად რაც შეიძლება მეტ ხალხს და მათთან ერთად განხილულ იქნეს ის აქტუალური პრობლემები, რომლებიც ყველაზე უფრო მეტად აწუხებს მოსახლეობას. ამიტომაც, კანდიდატს მნიშვნელოვანი ყურადღების კონცენტრირება მართებს იმაზე, თუ რა სახის პოლიტიკური რეკლამა უნდა იქნეს გაკეთებული კონკრეტულ საარჩევნო ოლქში. ასეთი სამისამართო ჯგუფების შერჩევა თითოეული საარჩევნო კამპანიის პროცესში მეტად რთულ საქმეს წარმოადგენს, რადგანაც აუცილებლად უნდა იქნეს შესწავლილი ცხოვრების წესის სხვადასხვა ნიუანსები, გათვალისწინებულ იქნეს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების მსოფლმხედველობა. შეცდომის შემთხვევაში წინასაარჩევნო კამპანიაში ჩადებული ძალა და ენერჯია უნაყოფოდ დაიკარგება.

საარჩევნო კამპანიაში კანდიდატს ცენტრალური ადგილი უკავია. მაშინაც კი, როდესაც არჩევნები პროპორციული სისტემით ტარდება და მოსახლეობა ხმას აძლევს კონკრეტულ პოლიტიკურ პარტიას, წინასაარჩევნო პროცესში მაინც მთავარ პოლიტიკურ მოთამაშეებად რჩებიან ის სუბიექტები, ვისაც პარტიულ სიაში წამყვანი ადგილი უკავია. იმაზე, თუ როგორ პოზიციას დაიკავებენ ამომრჩევლები კანდიდატებზე, დიდწილადაა დამოკიდებული არჩევნებში პოლიტიკოსის წარმატება ან ჩავარდნა. სწორედ ეს გახლავთ იმის მთავარი განმსაზღვრელი, თუ რა მიზეზითაა განპირობებული კანდიდატის (ლიდერის) იმიჯზე მთელი მისი მხარდამჭერთა ჯგუფის ზრუნვა.

იმიჯი მიზანდასახულად გავრცელებული ინფორმაციის შინაარსზე და კომუნიკაციურ ნაკადებზე კონტროლის გზით ყალიბდება. პოლიტიკური მოღვაწე დიდ ინტერესს გამოხატავს თავისი იმიჯის ასამაღლებლად ჩამოყალიბებული მიმართულების კონსტრუირებით, რადგანაც ამ შემთხვევაში შეიძლება იმიჯს ის თვისებები დაემატოს, რომლებმაც შესაძლებელია მოსახლეობაში კანდიდატისადმი პოზიტიური დამოკიდებულება გააძლიერონ. აღნიშნული მიმართულება წინასაარჩევნო კამპანიაში კანდიდატის მხარდამჭერთა საქმიანობის მთავარ

პრიორიტეტს წარმოადგენს. როგორია კანდიდატის იმიჯის კონსტრუირების მთავარი პრინციპები? ეს ყველაფერი პირველ რიგში კანდიდატის ტიპაჟით განისაზღვრება, ამ შემთხვევაში კი პირველ რიგში იგულისხმება მისი ყველაზე მთავარი პიროვნული თვისებების ერთობლიობა, რომლებიც მისი ადამიანური ბუნების – ნატურის, მთლიანობის შთაბეჭდილებას ქმნიან.

ტიპაჟის არჩევა შემდეგ გარემოებათა გათვალისწინებით ხორციელდება:

- მასობრივ ცნობიერებაში პოლიტიკოსზე მისი პოლიტიკური მოღვაწეობის წინა პერიოდში ჩამოყალიბებული შეხედულება (რამეთუ საარჩევნო კამპანიის მსვლელობის დროს შეუძლებელია ძირფესვიანად შეცვალო ცნობილი პოლიტიკოსის სახე);
- ამომრჩეველთა მოლოდინი (რას ელოდება მისგან მოსახლეობა მოცემულ ვითარებაში);
- საარჩევნო კამპანიის არჩეული სტრატეგია (მთავარი იდეები, საარჩევნო კამპანიის თემები უნდა მუშაობდნენ კანდიდატის იმიჯზე, მის ამაღლებაზე და პირიქით, ამორჩეულმა ტიპაჟმა საკუთარი სახის რეალიზება შემოთავაზებულ პროგრამაში და ლოზუნგებში უნდა მოახდინოს).

ტიპაჟის შერჩევის შემდეგ იმიჯმეიკერები კანდიდატის იმიჯის დეტალურად დამუშავებას იწყებენ. ის, როგორც წესი, იწყება “ბიოგრაფიის შექმნიდან”, როდესაც კანდიდატის ცხოვრებიდან წარმოადგენენ ისეთ ფაქტებს, რომლებიც ცხადყოფენ, რომ ის შემთხვევითი პიროვნება არ არის პოლიტიკურ და სახელმწიფო მოღვაწეობაზე პრეტენზიის მქონე პრეტენდენტთა შორის.

კანდიდატის პიროვნებისა და მისი პოლიტიკური საქმიანობის შესახებ ამომრჩეველთა ცნობიერების ამაღლებას უნდა ემსახურობდეს საარჩევნო კამპანიის მთელი პროპაგანდისტული და სააგიტაციო მუშაობის – გამოსვლების ტექსტები, საპროგრამო განცხადებები, სარეკლამო პროდუქცია, მასობრივი აქციები – ყველაფერმა ამან დადებითი ასახვა უნდა ჰპოვოს კანდიდატის შერჩეულ ტიპაჟზე. მასების წინაშე შტაბის ორგანიზატორთა და თავად კანდიდატის გამოსვლა უნდა ორგანიზებულ იქნეს იმის გათვალისწინებით, თუ რა სახის ტიპაჟს (კანდიდატს) სთავაზობს საარჩევნო შტაბი ამომრჩეველს, თუ არსებობს იმის საჭიროება, რომ მასის წინაშე წარსდგეს მებრძოლი პოლიტიკოსი, მაშინ მისი გამოსვლები უნდა იყოს შემტევი, მისი პროგრამული განცხადებები – რადიკალურ რეფორმებს უნდა ითვალისწინებდეს. მიტინგებზე მან ხალხს აქტიური მოქმედებისკენ უნდა მოუწოდოს.

საარჩევნო კამპანიის პროცესში კანდიდატმა აქტიურად უნდა ითანამშრომლოს ფსიქოლოგებთან. გარეგნული სახით, ხალხთან ურთიერთობით, ქცევით (მანერით),

გამოსვლით, კანდიდატი უნდა შეესაბამებოდეს ამორჩეულ ტიპაჟს. ამასთანავე, აუცილებელია ისეთი მნიშვნელოვანი ფაქტორის გათვალისწინება, როგორც გახლავთ ის, რომ ხალხს კანდიდატის შესახებ შთაბეჭდილება უყალიბდება არა მხოლოდ საჯარო შეკრებებზე გამოსვლით, არამედ ასევე ვიზუალური ზეგავლენის, გარეგნული სახის წარმოდგენის შედეგად. ამომრჩევლები აფასებენ მის გარეგნობას, ჯანმრთელობის მდგომარეობას, ემოციურ დაძაბულობას, მეტყველებას, ჩაცმულობას, ტაქტიანობას. ხშირად ეს ფაქტორები უფრო დიდ როლს ასრულებს, ვიდრე მის წინასაარჩევნო პროგრამასთან რაციონალური დამოკიდებულება.

კანდიდატის გარეგანი სახის სრულყოფის მიზნით ხშირად ამორჩეულ ტიპაჟს ფსიქოტრენინგები (ფსიქოთერაპია) უტარდება, ე. ი. სპეციალური ვარჯიშები, რომელიც სრულდება გამოცდილი ფსიქიატრების მეთვალყურეობისა და კონტროლის ქვეშ. კანდიდატის განსაკუთრებით საპასუხისმგებლო გამოსვლების წინ, მაგალითად ტელევიზიით, ხდება გამოსვლის რეპეტიცია, რომლის გავლის დროს მუშავდება ყოველი წვრილმანი: გამოსვლის ტექსტი, ლაპარაკის მანერა, სად უნდა შეიცვალოს ხმის ტემბრი, რა ტანისამოსი უნდა ჩაიცვას კანდიდატმა, როგორი ჰალსტუხი გაიკეთოს და ა.შ.

კანდიდატის იმიჯის კონსტრუირების პროცესში ყურადღება ყველანაირ წვრილმანს უნდა მიექცეს, ვინაიდან, ყველანაირი წინდაუხედაობა (შეცდომა), ოდნავი მოღუნება კონკურენტებმა შეიძლება მისი დისკრედიტაციისათვის გამოიყენონ.

### **თავი 37. იმიჯი და პოლიტიკა**

*იმიჯის მნიშვნელობა და ტიპები.* პოლიტიკოსის გარეგნული სახის, მისი პიროვნული თვისებებისა და ცხოვრების წესის ფაქტორის განსაზღვრას პოლიტიკაში იმდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ ე.წ. იმიჯოლოგია პოლიტიკური მეცნიერების ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად ჩამოყალიბდა. აღნიშნული დისციპლინა იკვლევს პოლიტიკური ლიდერის სახის (იმიჯის) ფორმირებასა და ადამიანთა ცნობიერებაზე მისი ზემოქმედების კანონზომიერებებს.

იმიჯი – ეს გახლავთ მიზანდასახულად შექმნილი განსაკუთრებული სახე, წარმოდგენა (ხატება), რომელიც ასოცირების მეშვეობით ობიექტს (მოვლენას, პიროვნებას და ა.შ.) ანიჭებს დამატებით ფასეულობებს (სოციალურს, ესთეტიკურს, პოლიტიკურს, ფსიქოლოგიურს და ა.შ.) რის წყალობითაც ხელს უწყობს მის უფრო ემოციურ აღქმას (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 115).

თანამედროვე არჩევნების ფორმების გათვალისწინებით, იმიჯი მეტად მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. ამომრჩეველთა უმეტესობას არ გააჩნია

სრულყოფილი ინფორმაცია კანდიდატის ყველა პიროვნული თვისებების შესახებ. ამიტომაც, მათ მიერ ხდება პოლიტიკოსის - როგორც იმიჯის აღთქმა, რომლის საფუძველზეც ყალიბდება მათი აზრი კანდიდატის შესახებ და ეს ფაქტორი კი გადამწყვეტ როლს ასრულებს ხმის მიცემის პროცესში. ე. ი. წინასაარჩევნო კამპანიის წარმატების ერთ-ერთ უმთავრეს ასპექტს კანდიდატის ეფექტური იმიჯის შექმნა წარმოადგენს.

ფასეულობები, რომლითაც იმიჯი ზემოქმედებს ობიექტზე, შეიძლება კონკრეტულ პოლიტიკოსს ყოველდღიურ ცხოვრებაში სულაც არც გააჩნდეს, მაგრამ ფასეულობებს საკმაო მნიშვნელობა გააჩნიათ იმ ადამიანებისათვის, რომლებიც იმიჯს აღიქვამენ. შექმნილი იმიჯი, როგორც წესი, სიმბოლოა და არა რეალობა.

იმიჯი საკმაოდ რთული ფენომენი, კომუნიკაციური ერთეულია, რომლის ფარგლებშიც ერთმანეთზე სხვადასხვა ფაქტორებია გადახლართული. მისი გაცნობიერება პიროვნების მიერ სხვადასხვა არხის მეშვეობით ხორციელდება და თითოეული მიმართულებით საფუძვლიანი სამუშაო უნდა იქნეს ჩატარებული.

ლიდერის დადებითი იმიჯის შექმნა ხელს უწყობს პოლიტიკოსს ქვეყნის მართვაში, ისევე როგორც საქონლის, პროდუქტის კარგი რეკლამირება უზრუნველყოფს მის სწრაფ რეალიზაციას, ხოლო დემოკრატიულ ღირებულებებზე დაფუძნებული, სტაბილური და კეთილსაიმედო ქვეყნის იმიჯი ხელს უწყობს ამ სახელმწიფოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდას და ინვესტიციებისა და ტურისტების მოზიდვას.

ამასთანავე, იმიჯი მუდმივ სისტემატიურ ხასიათს არ უნდა ატარებდეს, რათა საზოგადოებაში არ მოხდეს კანდიდატზე ჩამოყალიბებული სტერეოტიპების დანგრევა.

**იმიჯის ტიპები.** პოლიტიკაში ფაქტიურად მეორდება რეკლამის მოქმედების კანონი – ერთნაირი თვისებების მქონე ერთნაირი პროდუქტის გაყიდვისას (იქნება ეს სარეცხი ფხვნილი, სიგარეტი, სასმელი თუ პოლიტიკური მოღვაწე), ხორციელდება არა მისი რეალური მახასიათებლების გასაღება, არამედ იყიდება პროდუქტის იმიჯი, ვინაიდან რეალურად ორ ან მეტ ერთი სახეობის პროდუქტს შორის ძირითადი მახასიათებლების განმასხვავებელი ნიშნების განსაზღვრა მეტად რთულია.

იმიჯთან მიმართებაში შესაძლოა სამნაირი მიდგომის გამოყოფა:

1. *ფუნქციონალური* (რომლის დროსაც სხვადასხვა ფუნქციონირებიდან გამომდინარე მისი სხვადასხვა ტიპები განისაზღვრება: სარკისებური, მიმდინარე, სასურველი, მრავალფეროვანი, კორპორაციული, უარყოფითი და ა.შ.);
2. *კონტექსტური* (რომლის დროსაც ფუნქციონირების ამ ტიპებს ჩვენ ვხვდებით რეალიზაციის სხვადასხვა კონტექსტებში);
3. *დაპირისპირებითი ანუ შედარებითი* (რომლის დროსაც ადგილი აქვს ახლომდგომი იმიჯების შედარებას).

*ვინ აკეთებს იმიჯს.* დღეს ჩვენი პლანეტის სხვადასხვა რეგიონში და მათ შორის საქართველოშიც, სულ უფრო იზრდება იმ პოლიტიკოსთა რიცხვი, რომლებიც სარგებლობენ “იმიჯმეიკერთა” (იმიჯის შემქმნელთა) და “სპინრაიტერთა” (მოხსენების დამწერთა) მომსახურებით. მათ პიროვნულ მონაცემებს და კომპანიის სახელწოდებებს აღარავინ მალავს და ისინი საყოველთაოდ ცნობილნი არიან (მაგ: საფრანგეთში ყველაზე პოპულარულია ჟაკ სეგელა, აშშ-ში დევიდ გერგენი და რიჩარდ ვესლინი, დიდ ბრიტანეთში ტიმ ბელი და ერნარდ ინგჰემი და ა.შ.) შექმნილია იმიჯმეიკერული კომპანიები და ასოციაციები, რომლებიც პროფესიულ დონეზე აწარმოებენ ამ საქმეს (ასეთი ანალოგი საქართველოშიც შეიქმნა, მაგ: პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის ასოციაცია და ა.შ.)

*იმიჯის შექმნის სტრატეგია, გზები, და მეთოდები.* იმიჯის შექმნის ძირითად სტრატეგიას პოზიციონირება წარმოადგენს, რომლის დანეგა იმიჯოლოგიაში მარკეტინგიდან იქნა განხორციელებული. იმისათვის, რომ მოხდეს გარკვეული საქონლის რეალიზაცია, პირველ ეტაპზე მისი პოზიციონირება უნდა განხორციელდეს, ანუ მოხდეს მწარმოებლის ენიდან მომხმარებლის ენაზე მისი გადატანა. პოზიციონირების კანონია უპირატესობათა პრიმატი უბრალო მახასიათებლებთან შედარებით. ამ შემთხვევაში პრიორიტეტად მომხმარებლის (ამ შემთხვევაში ამომრჩეველის) თვალსაზრისი გვევლინება. შესაბამისად, უნდა მოხდეს პოლიტიკის მოსახლეობასთან მაქსიმალური დაახლოება, რაც მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებასთანაა დაკავშირებული. როგორ ახორციელებს ამომრჩეველი თავის არჩევანს? ზემოქმედების თეორიის თანახმად, აქ დიდ მნიშვნელობას იძენს უპირატესობის (და არა უბრალო მახასიათებლის) დემონსტრირება. პოზიციონირების ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიზანს ბიოლოგიურ სტანდარტებთან მიახლოება წარმოადგენს. პოლიტიკურ ლიდერს ხალხი აღიქვამს როგორც შეუპოვარ პიროვნებას, ანუ წინამძღოლს, რომელსაც მიღებული აქვს როგორც ხელმძღვანელობის, ისე წახალისების და დასჯის უფლება (შესაბამისად არ მოსწონთ სუსტი, წუწუნა პოლიტიკოსები). კონკრეტულ პოლიტიკურ ვითარებაში, როდესაც იმიჯმეიკერების სურვილია, კონკურენტზე ნეგატიური ინფორმაციის გავრცელება, ხდება მათთვის საინტერესო ობიექტის პოზიციონირება უარყოფითი მახასიათებლის კუთხით. მაგ: ასეთი გზით ახორციელებდა ჯორჯ

ბუში (უფროსი) სადამ ჰუსეინის პოზიციონირებას – როდესაც ეს უკანასკნელი არაბულად მოლაპარაკე ჰიტლერთან იყო ასოცირებული.

დღევანდელ მსოფლიოში იმიჯის შექმნის დიდი გამოცდილებაა დაგროვილი. ფსიქოლოგების, სოციოლოგების, მსახიობების რჩევების საფუძველზე შემუშავებულია რეკომენდაციები, რომლებიც მასობრივი კომუნიკაციის საშუალებათა თავისებურებების გათვალისწინებას ემყარება, რადგანაც სწორედ ისინი ქმნიან და ავრცელებენ პრეტენდენტის სახეს. მაგალითად: ამომრჩევლებთან კანდიდატის ურთიერთობის სტილი მნიშვნელოვნად შეიცვალა რადიოსა და ტელევიზიის გაჩენის შემდგომ პერიოდში.

პოლიტიკოსი, რომელიც ახერხებს კარგად გამოვიდეს მასობრივ მიტინგებზე, შეიძლება უხერხულ მდგომარეობაში აღმოჩნდეს ტელეეკრანზე, თუ არ იქნება გათვალისწინებული ცისფერი ეკრანის თავისებურებები. ტელევიზია ქმნის გაცილებით ინტიმურ ატმოსფეროს, რომლის ფორმატი არა იმდენად მოსახლეობისადმი მიმართვას მოითხოვს, არამედ საუბარს თითქოსდა ყოველ ცალკეულ ინდივიდთან (მაგალითად ცნობილია, რომ რეიგანი და ტეტჩერი უფრო უკეთესად გამოდიოდნენ რადიოთი, ვიდრე ტელევიზიით, სადაც მათ “უჭირდათ”).

განსხვავებულ ტაქტიკას წარმოადგენს ტრადიციული ბეჭდური მედიის საშუალებით ამომრჩევლებისადმი მიმართვა. ამ შემთხვევაშიც შესაბამისი კანდიდატისათვის შესაბამისი მეთოდები უნდა იქნეს შემუშავებული, რადგანაც ერთსა და იმავე კითხვაზე პასუხი და ერთნაირ თემაზე კომენტარის გაკეთება სატელევიზიო და რადიოგადაცემაში თუ პრესაში ერთმანეთისაგან გარკვეულწილად უნდა განსხვავდებოდეს. მაგალითად, რადიოს საშუალებით უკეთესი იქნებოდა გადაცემულ იქნეს სერიოზული ცნობები და განცხადებები, რადგანაც აუდიტორია ინფორმაციის შინაარსს უფრო კარგად აღიქვამს, ტელევიზიაში კი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს მასალის მიწოდებასა და ვიზუალურ მხარეს.

ტელეინტერვიუს დროს რთულ კითხვაზე გაცემული მოკლე პასუხი უფრო სავარაუდოა გამოყენებულ იქნას ახალი ამბების გადაცემის მიმდინარეობისას და ამ შემთხვევაში გრძელი პასუხი არ არის მიზანშეწონილი. ექსპერტთა აზრით, მაქსიმალური სატელევიზიო ეფექტი მიიღწევა დასამახსოვრებელი, მკაფიო, მოკლე, სწრაფი სახეების გამოყენებით. ამიტომ სწორედ ტელევიზია საჭიროებს იპოვოს პრეტენდენტების თავისებურების, ორიგინალობის და გარეგნული მიმზიდველი სახის შექმნის ხერხი (ასეთი იყო ჯ. კენედის “ახალგაზრდული ვარცხნილობა” და “სპორტულობა”, რ. რეიგანის თითქმის ბავშვური ღიმილი).



იმიჯმეიკერები კანდიდატებს რეკომენდაციებს აძლევენ დაიცვან დიეტა, რადგანაც ითვლება, რომ ტელეკამერა წონას აღიდებს, ხოლო ტიპიური თანამედროვე პოლიტიკოსისათვის დამახასიათებელია მოწესრიგებულობა, სპორტული აღნაგობა. ეს უკანასკნელი ქმნის პრეტენდენტის კიდევ ერთ დადებით იმიჯს, რომელიც ჯანსაღი ცხოვრების წესთანაა დაკავშირებული. სპეციალისტთა აზრით, ამომრჩევლებისათვის უფრო მიმზიდველია კანდიდატის სახე, რომელიც არ ეწვეა, ზომიერად მიირთმევს ალკოჰოლს, ჩართულია სპორტულ საქმიანობაში და ყოველდღიურ ცხოვრებაში საზოგადოების კეთილდღეობაზე მუშაობს, შესწევს უნარი გამოხატოს თავისი პოზიცია ქვეყნის ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარე და მტკიცედ იცავს თავის პოზიციას.

წარმატებული პოლიტიკური კარიერის ერთ-ერთ მნიშვნელოვან პირობად ითვლება კარგი ოჯახი, გარემოცვა – იმიჯის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი, რომელიც ამომრჩეველს უადვილებს კანდიდატთან გაიგივებას.

თავმდაბლობა, უბრალოება და მოსახლეობასთან კომუნიკაციის უნარი ასევე იმიჯის ერთ-ერთი ყველაზე ხშირად და ეფექტურად გამოყენებული ნიშნებია, ისევე როგორც საზგასმული რელიგიურობა. ამავე დროს, ლიდერმა, კანდიდატმა უნდა ისწავლოს მისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი თვისების დამალვა. იმიჯმეიკერები სპეციალურად ასწავლიან მათ, ილაპარაკონ გულწრფელად, დამალონ თავიანთი გაუბედაობა (რთულ და საშიშ სიტუაციებში). ანდა შენიღბონ ისეთი თვისებებიც, რომლებიც ხელს უშლიან ურთიერთობებს ადამიანებთან (ეჭვიანობა, ურწმუნობა, აგრესიულობა, მისწრაფება ავტორიტარულობისაკენ), ასევე ძალავენ, ნიღბავენ “გარეგნობის კრიტიკულ ზონებს”, ავადმყოფობას.

ზემოაღნიშნული თვისებების გათვალისწინებით კანდიდატზე წარმოდგენა კომერციული რეკლამის კანონების მიხედვით აიგება. წარმატების მისაღწევად აუცილებელია ხშირი “გაელვება” ეკრანზე ან მასმედიის ფურცლებზე. ამის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს ყურადღების ხელოვნურად მოქცევა – თუ კანდიდატის ირგვლივ არაფერი ხდება, ის ვალდებულია შეიქმნას სიახლე, რომელიც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის ხელსაყრელი და მიმზიდველი იქნება.

პოლიტიკოსის იმიჯი ყველანაირად უნდა შეესაბამებოდეს ელექტორატის (ამომრჩევლის) განწყობას და მოლოდინს, მის წარმოდგენებს კანდიდატზე.

იმიჯის შექმნელი დამატებითი ფაქტორები არის ის პარამეტრები, რომლებიც დაკავშირებულია კანდიდატის არაძირითად მოღვაწეობასთან. ესენია:

- წარსული
- ოჯახი
- სპორტი

- შინაური ცხოველები
- ჰობი
- სისუსტეები.

იმიჯმეიკერებმა კანდიდატის ეს ინფორმაციული უჯრედები აუცილებლად უნდა შეავსონ, სანამ ამომრჩეველები და მოწინააღმდეგეები მას თავისი ფანტაზიით შეავსებენ.

დიდი ყურადღება ენიჭება კანდიდატის გარეგნობას, ჯანმრთელობას და ქონებრივ მდგომარეობას, არაკორუმპირებულობას, ოპტიმისტურ განწყობას.

საერთოდ კი სპეციალისტები გამოყოფენ 3 ფაქტორს, რომელიც იმიჯის ფორმირებაზე მოქმედებს და კანდიდატის თვისებებს გამოავლენს:

1. *საიმედოობა* (უსაფრთხოება) – მას განეკუთვნება ისეთი პიროვნული მახასიათებლები, როგორებიცაა “კეთილი”, “მეგობრული”, “სასიამოვნო”, “პატიოსანი”, “მიმტევებელი”, “წყნარი”, “მომთმენი”, “სტუმართმოყვარე”, “თბილი”, “გულდია” და ა.შ. არაა აუცილებელი შეფასებათა მაქსიმუმის მიღება, მაგრამ ძალზე სასურველია ამ მახვენებელთა მიხედვით მაღალი ქულების დაგროვება.
2. *კვალიფიკაცია* (გამოცდილება, ინფორმირებულობა, უნარი, ავტორიტეტულობა, შესაძლებლობა და მოვლენათა სწორი აღთქმის უნარი). თუ უსაფრთხოების კუთხით კანდიდატს მაღალი რეიტინგი გააჩნია, მაგრამ გარკვეული პრობლემები გააჩნია კვალიფიკაციის კუთხით, მას ძალიან გაუჭირდება არჩევნებში გამარჯვება.
3. *დინამიზმი* (ენერგიულობა, აგრესიულობა, აქტიურობა, სისწრაფე). კანდიდატის წარმატებას ასევე შეიძლება ხელი შეუწყოს თავისი ძლიერი პარტიის იმიჯმაც.

### **თეთრი და შავი “პიარი” (PR)**

ტერმინი “პიარი” შედგება ინგლისური აბრევიატურისაგან (“ფაბლიქ რილეიშენს”, რაც სიტყვასიტყვით “საზოგადოებასთან კავშირს” ნიშნავს).

”პიარი”, როგორც ადამიანის საქმიანობის მნიშვნელოვანი სფერო, XX საუკუნის მეორე ნახევარში აშშ-სა და დასავლეთ ევროპაში იქნა ჩამოყალიბებული. “პიარი” - რეკლამის ერთ-ერთ სახესხვაობას წარმოადგენს, თუმცა რეკლამის ეს სახეობა საფუძვლიანადაა დახვეწილი, რადგანაც იგი სოციალური ფსიქოლოგიისა და ნეიროლინგვისტური პროგრამირების სფეროში ერთ-ერთ უკანასკნელ აღმოჩენას წარმოადგენს და თავის თავში საზოგადოებრივი ცხოვრების მანიპულირების ათასწლოვან გამოცდილებასაც მოიცავს.

ეკონომიკის სფეროში “საზოგადოებასთან კავშირის” პიარის მეთოდმა მეტად წარმატებულად იმუშავა და მისი თავისებურებების შესწავლა პოლიტიკოსებმაც გადაწყვიტეს.

სწორედ აშშ-ში იქნა შემუშავებული პიარ-პოლიტიკის სქემა: ტრადიციულ პოლიტიკურ იდეოლოგიებს (მემარჯვენეობას, მემარცხენეობას, ცენტრისტობას) თანამედროვე მსოფლიოში შედარებით ნაკლები ყურადღება ენიჭება, ხოლო ძირითადი პრიორიტეტი ენიჭება პოპულისტური (ხალხისათვის სასიამოვნო) ფასეულობების მოსახლეობისათვის ნებისმიერი მეთოდით გაცნობას. ამერიკულ ჟურნალ “ფორჩუნის” მონაცემებით, პიარი შეყვანილია მსოფლიო ეკონომიკის 20 ყველაზე სწრაფად განვითარებად დარგთა სიაში. როგორც ხელისუფლებას, ასევე პოლიტიკურ პარტიებსა და “პიარის” სპეციალისტებს შორის ახლო ურთიერთობები მსოფლიოს ყველა წამყვან ქვეყანაში არსებობს. აშშ-ში ყველაზე მეტი ადამიანის დასაქმებას “ფაბრიკ რილეიშენის” სფეროში ფედერალური მთავრობა ახორციელებს.

მსოფლიოში არ არსებულა სისტემა, რომელზე დაფუძნებითაც ჭეშმარიტად თავისუფალი და პატიოსანი, გამჭვირვალე და გაუყალბებელი არჩევნები ჩატარებულიყოს. გამონაკლისი არც დემოკრატიული სისტემის პირობებში არსებობს. ხანდახან პირიქითაც ხდება, სწორედ დემოკრატიის პირობებში (აშშ, დასავლეთ ევროპა და სხვა) დაიწყეს “თეთრი” და განსაკუთრებით “შავი” (ანდა “ნაცრისფერი”) საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენება.

დღევანდელ ეტაპზე, მსოფლიოს წამყვან ქვეყნებში ორი სახის საარჩევნო ტექნოლოგიები გამოიყენება, კერძოდ, “თეთრი და შავი” საარჩევნო ტექნოლოგიები. “თეთრი” ტექნოლოგიების გამოყენების დროს კანდიდატები არსებული კანონმდებლობის და საზოგადოებაში მიღებული ზნეობრივ-ეთიკური ნორმების ფარგლებში მოქმედებენ.

ამ ტექნოლოგიების პრაქტიკაში დანერგვის დროს კანდიდატი აჩაღებს აქტიურ საარჩევნო კამპანიას ამომრჩეველთა სრულმასშტაბიანი “გაბრუებისათვის”. აღნიშნული კამპანიის ფარგლებში, პოლიტიკოსები უმტკიცებენ უბრალო ხალხს, რომ მათი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში ბედნიერი და კარგი ცხოვრება დადგება. დემოკრატიის პირობებში არავინ ითხოვს, თუ რამდენად გულწრფელია ეს ადამიანი პოტენციური ამომრჩევლის წინაშე ან რა სასარგებლო გაუკეთებია მას საერთოდ ცხოვრებაში. ხშირ შემთხვევაში, პოლიტიკური მიზნის მისაღწევად კანდიდატმა კარგად უნდა ისწავლოს დახვეწილი ხერხებით ხალხზე ზეგავლენის მოხდენა, ანდა უნდა მოიპოვოს უბრალო ხალხის “სიყვარული” და აიღოს პასუხისმგებლობა მოსახლეობის წინაშე, რათა იზრუნოს მათზე ისე, რომ თავისთვის რაც შეიძლება მეტი სიკეთე დაიტოვოს.

“შავი პიარის” დროს კანდიდატები თავის მომხრეებთან ერთად მეტოქის დასამარცხებლად ან მის ჩამოსაშორებლად ისეთ მეთოდებს იყენებენ, რომელიც აშკარად არ შეესაბამება საზოგადოებაში მიღებულ ზნეობრივ-ეთიკურ ნორმებს და ახლოსაა სისხლის და სამოქალაქო სამართლის დარღვევის ზღვართან, რომ არაფერი ვთქვათ მორალური პრინციპების აშკარა დარღვევასთან. ბევრ დემოკრატიულ ქვეყანაში, ხშირ შემთხვევაში, წარმატება ვერ იქნება უზრუნველყოფილი მხოლოდ “თეთრი” საარჩევნო ტექნოლოგიების დანერგვის გზით, სამწუხაროდ, გამარჯვების მისაღწევად სულ უფრო ხშირად იყენებენ “შავ პიარს”. უკანასკნელ პერიოდში, სულ უფრო მატულობს ძლიერი ფინანსური რესურსების მქონე პოლიტიკოსთა, პოლიტიკურ პარტიათა, ოლიგარქთა თუ ბიზნესმენტთა გავლენა საარჩევნო პროცესებზე, რის გამოც ღირსეულ კანდიდატთა უმრავლესობა უფულობის გამო უღირსებთან მარცხდება.

### ***“თეთრი” საარჩევნო ტექნოლოგიები***

საარჩევნო კამპანიის დროს ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი პრესას და ტელევიზიას ეკისრება, ამიტომაც მათ ხშირად მასობრივი პროპაგანდის საშუალებებსაც უწოდებენ.

ბევრ ქვეყანაში, ცენტრალური პრესა და ტელევიზია, “როგორც წესი” სახელმწიფო ან ხელისუფლებასთან დაახლოებული მაგნატების და ოლიგარქების ხელშია და შეზღუდული ფინანსური რესურსების მქონე ადამიანებს მათზე ხელი არ მიუწვდებათ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით რეკლამის გავრცელების შემდეგ ესა თუ ის კანდიდატი ერის თუ არა რეგიონის, ან რაიონის “მზრუნველ მამად” მოგვევლინება. მისი რეიტინგის ამაღლებაზე კი სოციალური ფსიქოლოგები და იმიჯ-მეიკერები ზრუნავენ. მათ პოლიტიკოსის პიროვნება თავიდანვე დადებით ასპექტში უნდა წარმოადგინონ, რათა იგი ამომრჩევლებში უარყოფით ემოციას არ იწვევდეს. კანდიდატის მოსახლეობის წინაშე წარდგენის დროს მხოლოდ “თეთრი” ტექნოლოგიები გამოიყენება – ამისათვის იმიჯმეიკერები საზოგადოებისათვის ცნობილ ადამიანებს, მათ შორის მეცნიერებს, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენლებს, გავლენიან ფიგურებს, ბიზნესმენებს მიმართავენ. მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით კანდიდატის წარდგენის წარმოჩენის ძირითადი ხერხები გახლავთ შემდეგი:

1. კანდიდატის მონაწილეობის უზრუნველყოფა სატელევიზიო-ანალიტიკურ პროგრამაში, სადაც კითხვა-პასუხის რეჟიმში პოლიტიკოსი მოსახლეობას წარუდგენს საკუთარ ხედვას ცალკეული პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით;
2. მოკლე ინტერვიუ ახალი ამბების პროგრამისათვის ამა თუ იმ აქტუალურ თემასთან დაკავშირებით;

3. პრესკონფერენცია ჟურნალისტებისათვის, რომლის შინაარსიც შემდგომ ფართოდ გაშუქდება მას-მედიის საშუალებების მეშვეობით;
4. ცნობილი ადამიანების კომენტარი კანდიდატის შესახებ, მათ შორის მისი წარსული და აწმყო საქმიანობის შესახებ და კონკრეტული გამოსვლის შესახებ ამა თუ იმ პროგრამაზე.

ბევრი სპეციალისტის აზრით, რაც უფრო დაუჯერებელი და თავხედურია კანდიდატის ტყუილი და მისი დაპირება, მით უფრო უჯერებს მას მოსახლეობა. ტყუილი გამიზნულია ყველა სოციალური წრისა და ჯგუფისათვის: პენსიონერებს და სტუდენტებს პირდებიან, რომ მათ პენსიას და სტიპენდიას მოუმატებენ (თუმცა ჯერ ძველიც კი არ გაუციათ), დიასახლისებს ატყუებენ, რომ ძალზე ზრუნავენ მათ მეუღლეზე და ეხმარებიან მას, უმუშევრებს ჰპირდებიან, რომ ქვეყანაში ახალი სამუშაო ადგილები შეიქმნება და მათ შემწეობებს დაუნიშნავენ, ავტომანქანების მფლობელებს პირდებიან, რომ ახალი ხელისუფლება ისეთ პოლიტიკას გაატარებს, რომელიც საწვავის გაიაფებაზე იქნება ორიენტირებული, ხალხს ჰპირდებიან, რომ სახელმწიფო ქონების დამტაცებლებს და კორუმპირებულებს უკან დააბრუნებინებენ მოპარულ ფულებს და აღნიშნულ ფინანსურ რესურსებს ხალხს დაუბრუნებენ, მეანაბრეებს ეუბნებიან, რომ ეტაპობრივად დაუბრუნებენ მოპარულ თანხებს, პროფესორ-მასწავლებლებს, პოლიციასა და არმიას პირდებიან ხელფასის მომატებას და მდგომარების გაუმჯობესებას, მთელ საზოგადოებას ჰპირდებიან ნამდვილი, ხალხზე ორიენტირებული რეფორმების და სახელმწიფო დახდევების პოლიტიკის გატარებას და ა.შ.

ამომრჩეველთა მოსატყუებლად (და გასატუტუცებლად) მიმართულ ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენს მოსახლეობის სოციოლოგიური გამოკითხვის შედეგების გამოქვეყნება პრესითა და ტელევიზიით. შესაბამისი ანაზღაურების შემთხვევაში წამყვანი მას-მედიის საშუალებები მალევე დაარწმუნებენ ხალხს, რომ კანდიდატს ყოველკვირეულად მზარდი მაღალი რეიტინგი გააჩნია. საარჩევნო კამპანიის პროცესში ამომრჩეველებმა კანდიდატისაგან ერთი შეურაწმყოფელი სიტყვაც კი არ უნდა გაიგოს თავის კონკურენტებზე, რადგან ეს მისი გუნდის წევრების მიერ ჩუმად, ანონიმურად იქნება გაკეთებული. ამომრჩეველმა უნდა გაიგოს და დაიჯეროს, რომ მხოლოდ კონკრეტული კანდიდატი გახდის მათ ბედნიერს და კმაყოფილს. ამ მიზანს უნდა ემსახურებოდეს სააგიტაციო პლაკატები, ფურცლები, “ბილბორდები”, რომლებიც რაც შეიძლება თვალსაჩინო ადგილზე უნდა გამოიკრას. იგივე მეორდება ამომრჩეველთა მოწყობილ შეხვედრებზე, სადაც კანდიდატს წარადგენენ როგორც თავისი საქმის პროფესიონალს, კარგ მეოჯახეს, ერისკაცს, კომპეტენტურ, გაწონასწორებულ, სამშობლოზე შეყვარებულ პიროვნებას და თავდადებულ, რჩეულ ადამიანს. დღეს განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო ტელევიზიის მეშვეობით ხალხის გრძნობებზე მანიპულირებამ, რასაც “ტელეკრატია” შეიძლება ეწოდოს.

## *“შავი პიარის” სტრატეგია და ტაქტიკა*

კონკურენტ კანდიდატზე შეტევის განსახორციელებლად, “შავი პიარის” ერთ-ერთ მნიშვნელოვან ტაქტიკას სასამართლოსა და პროკურატურის გამოყენება წარმოადგენს.

ასევე დიდი მნიშვნელობა ენიჭება მეტოქეებზე “კომპრომატების” შეგროვებასა და მათი მოსახლეობაში მას-მედიისა და სხვა საშუალებებით გავრცელებას. ხშირად კომპრომატს თან ახლავს შანტაჟის გამოყენება კონკურენტებზე, რათა ეს უკანასკნელნი იძულებულები გახდნენ მოხსნან კანდიდატურები. შანტაჟს თან ახლავს მუქარა, რომ კანდიდატურის არმოსხნის შემთხვევაში, იგი პრესის მეშვეობით საზოგადოების ფართო ნაწილისათვის გახდება ცნობილი.

კონკურენტებზე ზეგავლენის მოსახდენად ხშირად ფინანსური ბერკეტებიც გამოიყენება. მაგალითად, თუ თქვენი კონკურენტი სახელმწიფო ჩინოვნიკია, შეიძლება თქვენ ან თქვენი გუნდის წევრების ფინანსური მდგომარეობა მოულოდნელად შეამოწმოს საგადასახადო სამსახურმა ან პოლიციამ, სახანძრო და სანეპიდსადაგურმა და თუ არ დათანხმდით, დიდი ჯარიმები შეიძლება დაგაკისრონ, ან სასამართლოს გადაგცენ, რაც საბოლოო ჯამში იწვევს კანდიდატის ფსიქოლოგიურ დეზორიენტაციას. ზემოქმედების ერთ-ერთი მეთოდია თავად კანდიდატის ან მისი საარჩევნო კამპანიის წარმომადგენელთა მოსყიდვა, რადგანაც, საარჩევნო შტაბის წევრები თავანთ შეფხე მნიშვნელოვან ინფორმაციას ფლობენ.

კიდევ ერთ მეთოდს წარმოადგენს თავად ამომრჩევლის მოსყიდვა ფულით, პროდუქტებით, ჰუმანიტარული დახმარების საქონლით, მედიკამენტებით, სუფრების მოწყობით. ამომრჩევლებზე ზეგავლენის ერთ-ერთი ხერხია არმიისა და პოლიციის ნაწილების ხელმძღვანელთა გადაბირება, რათა მათ ზემოქმედება მოახდინონ თავიანთ ხელქვეითებზე კონკრეტული კანდიდატისათვის ხმის მიცემის მიმართულებით.

“შავი პიარის” ერთ-ერთი, ზნეობრივი პრინციპებისაგან შორს მდგარი ტაქტიკაა საარჩევნო კომისიის წევრთა მოსყიდვა, კონკურენტებზე წინასწარ მოფიქრებული სცენარით მძიმე და არაკაცური დარტყმების მიყენება, ჭორებისა და ცრუ ინფორმაციის გავრცელება, კონკურენტების ერთმანეთზე გადაკიდება, მათი ყურადღების შეგნებულად მოღუნება, მეტოქეებთან ჯერ შეთანხმება, მერე კი მათი მოტყუება, კონკურენტების პლაკატებზე დაქირავებული ჯგუფის მიერ საღებავის გადასხმა ან ცუდი სიტყვების დაწერა. აგრეთვე, ერთ-ერთი მეთოდია აგენტების შეგზავნა კონკურენტების საარჩევნო შტაბში ინფორმაციის მისაღებად, ყალბი ბიულეტენების დაბეჭდვა, ე.წ. კარუსელების მოწყობა, როდესაც რამდენიმე ასეული ადამიანი სხვადასხვა უბნებში რამდენჯერმე აძლევს ხმას, საარჩევნო სიების

გაყალბება, საარჩევნო ბარათების ამომრჩეველთათვის არდარიგება, გატაცება, ოქმების ფალსიფიკაცია საოლქო და ცენტრალურ საარჩევნო კომისიებში, ჩხუბებისა და დებოშების ორგანიზება საარჩევნო უბნებში, ფარული აგიტაცია არჩევნების დღეს და ა.შ.

“შავი პიარის” წარმოების ერთ-ერთი მეთოდია ამომრჩეველებში არჩევნებისადმი ზიზდისა და პესიმიზმის დანერგვა (რომ მონაწილეობას აზრი არა აქვს, რომ ყველაფერი უკვე წინასწარაა გადაწყვეტილი, რომ მაინც “ის” გაიმარჯვებს, ან “გადახაზეთ ყველა და ხმა არ მისცეთ არავის”). ამ შემთხვევაში, რაც ნაკლები ხალხი მივა არჩევნებზე, მით მეტია მათი გაყალბების შანსი. ხშირად გამოიყენება ამომრჩეველთა დაშინების მეთოდი, რომ კონკრეტული მოწინააღმდეგე ძალის გამარჯვების შემთხვევაში დაიწყება ანარქია, დაპირისპირება, ბევრი ადამიანი დაკარგავს სამუშაოს. “შავი პიარის” ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტრატეგიაა მოატყუო ხალხი ცრუ, არარეალისტური დაპირებების მიცემით, რაც ამორალური და არაკანონიერია.

### **თავი 38. პოლიტიკური მონაწილეობა, არჩევნები და მისი მონიტორინგი**

უშუალო დემოკრატიის დროს მოქალაქეები იკრიბებიან და თვითონ იღებენ გადაწყვეტილებას, ხოლო წარმომადგენლობითი დემოკრატიის დროს კი მოქალაქეები ხელისუფლების საქმიანობას მათ მიერ არჩეული წარმომადგენლების საშუალებით აკონტროლებენ, ხოლო არჩეული პარლამენტარები გადაწყვეტილებებს ხალხის მაგივრად იღებენ.

არჩევნების ინსტიტუტი სახელმწიფოს დემოკრატიული მიმართულებით განვითარების აუცილებელი პირობაა და არა მისი გარანტი. თუმცა, მოქალაქეებს პოლიტიკური ქმედებების სხვა საშუალებებიც გააჩნიათ. პოლიტიკურ დებატებში მონაწილეობა, დაინტერესებული ჯგუფების შექმნა, სახელმწიფო სტრუქტურებთან კავშირი, ოფიციალურ პოსტზე თავისი წარმომადგენლის გაყვანისა და მთავრობის გადაწყვეტილებებისადმი პროტესტის გამოხატვაც კი.

*პოლიტიკური მონაწილეობა* - ეს გახლავთ ცალკეული მოქალაქეების ქმედება, რომლის მეშვეობითაც მათ ხელისუფლების პოლიტიკაზე გავლენის მოხდენისა ან მათთვის მხარდაჭერის სურვილი გააჩნიათ.

პოლიტიკური მონაწილეობა ორ ძირითად ფორმას მოიცავს:

1. ჩვეული (კონვენციური) - არჩევნებში მონაწილეობა, წერილობითი მიმართვების გაგზავნა;

2. უჩვეულო (არაკონვენციური) - მჯდომარე გაფიცვა, შიმშილობები, ქუჩის აქციები და სხვა.

ჩვეული მონაწილეობა ისეთი ქცევაა, რომელიც იყენებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ინსტიტუციურ არხებს, განსაკუთრებით – კანდიდატებისათვის მხარდაჭერისა და არჩევნებში მონაწილეობას.

პოლიტიკური მონაწილეობის უჩვეულო ფორმას კი ისეთი ქმედება წარმოადგენს, რომელიც უპირისპირდება ან ემორჩილება ხელისუფლების ინსტიტუციურ წესებს ან გაბატონებულ კულტურას.

მხარდამჭერი ქცევის ფარგლებში, გამოხატულია ერთგულება ქვეყნისა და არსებული ხელისუფლების მიმართ. ზეგავლენის მქონე ქცევის ძირითად მიზანს კი მთავრობის პოლიტიკის შეცვლა ან მისი რეფორმირება წარმოადგენს.

მონაწილეობის ჩვეული ფორმის მთავარ დამახასიათებელ თვისებას წარმოადგენს არჩევნებში მონაწილეობა და კონკრეტული პოლიტიკური პარტიისა თუ კანდიდატებისთვის ხმის მიცემა.

**არჩევნების არსი და ფუნქციები.** არჩევნები ჯგუფური გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ პროცედურას წარმოადგენს. საარჩევნო ყუთთან მისვლა და ხმის მიცემა კი ისეთი მოქმედებაა, რომელსაც კონკრეტული ადამიანი ასრულებს არჩევნების დღეს და რომელიც კონკურენტ კანდიდატებს (ან პოლიტიკურ პარტიებს) შორის არჩევანის გაკეთებაში გამოიხატება. გამოყოფენ არჩევნების შემდეგ ფუნქციებს:

1. ელექტორატის (ამომრჩეველთა) მრავალფეროვან ინტერესთა გამოსატყობი (არტიკულარული) და გაერთიანება (აგრეგირება).
2. ძალაუფლების ინსტიტუტებზე კონტროლი;
3. საერთო პოლიტიკური ნების ჩამოყალიბება და მრავალგვაროვან შეხედულებათა ინტეგრაცია;
4. პოლიტიკური სისტემის ლეგიტიმაცია და სტაბილიზაცია;
5. ძალაუფლების ინსტიტუტის წარმომადგენელთა და მოქალაქეთა შორის ურთიერთობების გააქტიურება;
6. პოლიტიკურ კონფლიქტთა მშვიდობიანი გზით მოგვარება;
7. პოლიტიკური პლურალიზმის მიღწევა;
8. პოლიტიკური ელიტის რეკრუტირება (გაწვევა);
9. ალტერნატიულ პოლიტიკურ პროგრამათა წარმოდგენა კონკურენციული ბრძოლის მეშვეობით, საზოგადოების განახლების გზების ძიება;
10. კონსტრუქციული და ეფექტური ოპოზიციის ჩამოყალიბება და მისი მომზადება პოლიტიკურ პროცესებში უფრო აქტიური ჩართვის გზით (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 131).



ზემოაღნიშნული ფუნქციების წარმატებით შესრულება იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ ისინი ეფუძნებიან მოსახლეობის საარჩევნო უფლებებს და შემდეგ დემოკრატიულ პრინციპებს:

საყოველთაობა – თითოეულ მოქალაქეს, მიუხედავად სქესისა, ეროვნული, რასობრივი, რელიგიური კუთვნილებისა, სოციალური სტატუსისა თუ პოლიტიკური შეხედულებებისა, გააჩნია არჩევნებში მონაწილეობის აქტიური (ამომრჩეველთა სახით) და პასიური (კანდიდატის სახით) უფლება. სხვადასხვა ქვეყნებში რიგი მოქალაქეების (მაგალითად მათზე, ვინც საპატიმროებში სასჯელს იხდიან) მიმართ არსებობს გარკვეული შეზღუდვები, სხვადასხვა ხასიათის ცენზი, რომელიც კრძალავს არჩევნებში მონაწილეობას.

ასაკობრივი ცენზი - რომელიც არჩევნებში მონაწილეობის უფლებას მხოლოდ სრულწლოვანების (საქართველოში 18 წელი) მიღწევის შემდეგ იძლევა: პარლამენტის დეპუტატობის კანდიდატის შედარებით მაღალი ასაკობრივი ცენზი (საქართველოში ამჟამად 21 წელი);

უუნარობის ცენზი - რომელიც გონებრივად ჩამორჩენილებსა და ფსიქიკურად დაავადებულებს ართმევს არჩევნების უფლებას;

მორალური ცენზი - რომელიც საარჩევნო უფლებას ართმევს პატიმართა უმრავლესობას;

ბინადრობის ცენზი - საარჩევნო უფლების მისაღებად მოცემულ ქვეყანაში ცხოვრების განსაზღვრულ ვადას (მაგ: 10-15 წელი) ითვალისწინებს.

არჩევნების შესახებ საუბრისას უნდა აღინიშნოს იმ ძირითადი პრინციპების შესახებ, რომელიც ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური ინსტიტუტის ფარგლებში არსებობს:

- ა) თანასწორობა – ყოველ მოქალაქეს გააჩნია ერთი ხმა (ერთი პიროვნება – ერთი ხმა).
- ბ) ფარულობა – ამომრჩევლის გადაწყვეტილება არ უნდა იყოს სხვა ამომრჩევლებისათვის თუ საარჩევნო კომისიის წევრებისათვის ცნობილი;
- გ) პირდაპირი ხმის მიცემა – ამომრჩეველი პირადად იღებს უშუალო გადაწყვეტილებას კონკრეტული კანდიდატის არჩევით თანამდებობაზე არჩევის შესახებ.

საარჩევნო კამპანიათა რეგლამენტაციის საფუძველია 3 მთავარი პრინციპი:

- I. არჩევნებში მონაწილე ყველა პარტიისა და კანდიდატისათვის თანაბარი შესაძლებლობის უზრუნველყოფა ინფორმაციის საყოველთაო ხელმისაწვდომობის პირობებში;
- II. ე.წ. ტოლერანტობის პრინციპი, რომლის მიხედვითაც კანდიდატები ვალდებული არიან ლოიალურად იყვნენ განწყობილნი თავიანთი მეტოქეების მიმართ, არ დაუშვან ფალსიფიკაცია და ურთიერთშეურაწყოფა;
- III. სახელმწიფო ინსტიტუტების ნეიტრალიტეტი, მისი ჩაურევლობა წინასაარჩევნო კამპანიაში.

### *საარჩევნო პროცედურები*

საარჩევნო სისტემის მთავარ დანიშნულებას ხალხის ნების წარმომადგენლობითობა და ადგილობრივ თუ ცენტრალურ დონეზე ძალაუფლების ეფექტური ორგანოების ჩამოყალიბება წარმოადგენს.

სახელმწიფოთა უმრავლესობაში, ხელისუფლების ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები უფრო ხანმოკლე პერიოდით აირჩევა, რადგან მათ წინაშე არსებული პრობლემების მოგვარება შედარებით უფრო ადვილია, ხოლო პარლამენტისა და პრეზიდენტის არჩევა უფრო დიდი ხნით ხდება (საქართველოში პარლამენტის არჩევნები ყოველ 4 წელიწადში ერთხელ, პრეზიდენტის კი – 5 წელიწადში ერთხელ ტარდება). იმ ოლქს, სადაც ხდება ერთი დეპუტატის არჩევა, ერთმანდატიანი საარჩევნო ოლქი ეწოდება, რანდენიმე დეპუტატის არჩევის შემთხვევაში კი მრავალმანდატიანი რეგიონი.

### *საარჩევნო კამპანიის ძირითადი სტადიები*

საარჩევნო პროცესი შესაძლოა რამდენიმე ეტაპად დაიყოს:

1. მოსამზადებელი ეტაპი (საარჩევნო კომისიის შექმნა და არჩევნების დანიშვნა);
2. კანდიდატთა წარდგენა, რაც მათი რეგისტრაციით სრულდება;
3. სააგიტაციო – პროპაგანდისტული კამპანიის ჩატარება;
4. ხმის მიცემა და არჩევნების შედეგების შეჯამება.

საარჩევნო კოდექსი ნათლად განსაზღვრავს ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებისა და დამთავრების ვადებს. წინასაარჩევნო შეხვედრების ორგანიზება, საარჩევნო პლაკატების გაკვრა და მას-მედის საშუალებების გამოყენება მხოლოდ ოფიციალური საარჩევნო კამპანიის განმავლობაშია შესაძლებელი.

საარჩევნო კამპანიის პირველი ეტაპი – კანდიდატების ან პარტიების (მათი ბლოკების, მოძრაობების) წარდგენაა. მოქალაქეთა ჯგუფების მიერ კანდიდატთა,

პარტიების, ორგანიზაციების წამოყენების ყველაზე გავრცელებულ ფორმას განსაზღვრული რაოდენობის ხელმოწერების (კანდიდატებისათვის – ათასი, პარტიებისა და მათი ბლოკებისათვის 50 ათასი ხელმოწერა საქართველოში) მოგროვება წარმოადგენს.

კანდიდატთა წამოყენება საარჩევნო ადმინისტრაციაში მათი რეგისტრაციით სრულდება, რომლის შემდეგაც უკვე წინასაარჩევნო ანუ სააგიტაციო-პროპაგანდისტული კამპანია იწყება. ყალიბდება კანდიდატის ან პოლიტიკური პარტიის სპეციალური საარჩევნო შტაბი, რომელშიც ხდება ნდობით აღჭურვილი პირების გაერთიანება, თავის მხრივ, კომპლექტდება კანდიდატის მხარდამჭერთა ჯგუფი, რომელიც შედგება პროფესიონალი იურისტების, იმიჯმეიკერების, პოლიტოლოგების, სპონსორების, აგიტატორებისა და მოხალისე აქტივისტებისაგან.

სააგიტაციო წინასაარჩევნო კამპანია სრულდება არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე, რაც ამომრჩეველს აძლევს საშუალებას, კარგად გაათვითცნობიეროს თავისი მომავალი არჩევანი.

რა თქმა უნდა, მოქალაქეები ხმას იმ კანდიდატს აძლევენ, ვისაც მათი აზრით, არსებული ვითარების მოქალაქეთა სასიკეთოდ შეცვლა შეუძლია.

სხვადასხვა საზოგადოებრივმა კვლევებმა და პრაქტიკულმა გამოცდილებამ აჩვენა, რომ ადამიანები ყველაზე დიდ მნიშვნელობას 10 ძირითად ფასეულობას ანიჭებენ, კერძოდ:

1. ჯანმრთელობა;
2. ფინანსური კეთილდღეობა;
3. რწმენის თავისუფლება;
4. ოჯახური კეთილდღეობა;
5. უზრუნველყოფილი სიბერე;
6. საინტერესო თავისუფალი დრო;
7. სიამოვნების მომტანი სამუშაო;
8. კარგი განათლება შვილებისათვის;
9. საკუთარი საცხოვრებელი ადგილის მფლობელობა;
10. მოგზაურობის შესაძლებლობა.

ხმის მიცემისა და არჩევნების შედეგების დათვლა არჩევნების კულმინაციურ მომენტს წარმოადგენს, რადგან ამ ეტაპზე უშუალოდ გამოიხატება ამომრჩეველთა ნება და ფორმირდება ხელისუფლების შესაბამის ორგანოთა შემადგენლობა. ამ მიზეზის გამო, საარჩევნო ხმების კონტროლისა და დარღვევების მინიმუმამდე დაყვანას ან მათ საერთოდ აღმოფხვრას პრინციპული მნიშვნელობა გააჩნია.

**არჩევნების მონიტორინგი (დაკვირვება).** არჩევნების შედეგებისადმი მოქალაქეთა ნდობის განსამტკიცებლად, იქმნება სპეციალური კომისია, რომელიც საარჩევნო კამპანიის ფარგლებში, წინასაარჩევნო პროცესში ჩართული პოლიტიკური პარტიების ნდობით სარგებლობს. კომისიაში იწვევენ დამოუკიდებელ, მათ შორის ადგილობრივ (მაგ: “სამართლიანი არჩევნები”, “პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია” და სხვა), ასევე საერთაშორისო დამკვირვებლებს უცხოეთის ქვეყნებიდან, მათ შორის ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, როგორებიც გახლავთ ეუთო, ევროპის საბჭო, ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეა და ა.შ. ასევე, საზოგადოების, ეკლესიის, მასმედიისა და ზოგიერთი პარტიის წარმომადგენლები ორგანიზებას უწევენ არჩევნების შედეგების დამოუკიდებელ დათვლას. არჩევნებთან დაკავშირებული მთელი პროცედურების გამჭვირვალედ ორგანიზებას, შედეგების გაუყალბებლობას და ა.შ. დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური ხელისუფლების და სისტემის ლეგიტიმურობის ან მოსახლეობის დიდი უმრავლესობის მიერ შედეგების აღიარებისა და ნდობის მოპოვების თვალსაზრისით.

მრავალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფო, ჯერ კიდევ ძალიან შორსაა არჩევნების ობიექტური და სრულყოფილი ჩატარებისაგან. ადგილი აქვს მრავალ დარღვევას საარჩევნო კამპანიის მსვლელობისა და არჩევნების შეჯამების პროცესში. ამის დასტურია 2003 ნოემბერში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები საქართველოში.

ხმის მიცემის პროცესისა და შედეგების შეჯამების ფარგლებში შესაძლებელია სხვადასხვა ტიპის დარღვევები:

1. ამომრჩეველთა იძულება, მონაწილეობა მიიღონ არჩევნებში კონკრეტული პარტიის ან კანდიდატის სასარგებლოდ (ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა, მუქარა, მატერიალური დაინტერესება);
2. საარჩევნო უბნების გვიან გაღება, ადრე ან გვიან დახურვა;
3. საარჩევნო პროცედურის დადგენილი წესის შეცვლა კომისიის მიერ;
4. არჩევნების ადმინისტრირებაში იმ პირების მონაწილეობა, რომელთაც ამის უფლება არა აქვთ;
5. კენჭისყრის ფარულობის დარღვევა;
6. უკანონო დახმარების აღმოჩენა კომისიის წევრის ან დამკვირვებლის მიერ;
7. აგიტაციის წარმოება ან სააგიტაციო მასალების (პლაკატები, ბუკლეტები, და სხვა) არსებობა საარჩევნო უბანში ხმის მიცემის დროს;
8. დამკვირვებლისათვის საარჩევნო უბანში შემგებზე უარის თქმა, უბნიდან გაძევება და სხვა;
9. ბიულეტენების გაცემა პირადობის დამადასტურებელი მოწმობის გარეშე;
10. ერთი ამომრჩევლისათვის ბიულეტენებზე ერთ კომპლექტზე მეტის მიცემა;

11. სასურველი პარტიის სასარგებლოდ დამატებითი (ზედმეტი) ბიულეტენების საარჩევნო ყუთში ჩაყრა;
12. ერთი და იგივე ამომრჩევლის მიერ (ერთ ან სხვადასხვა უბანში) ხმის რამდენჯერმე მიცემა გარდაცვლილთა, ადგილნაცვალთა და იმათი სახელით, ვინც არ მოვიდა არჩევნებზე;
13. ხმების დათვლის პროცესის გაჭიანურება;
14. ხმების დათვლის პროცედურაში მათი მონაწილეობა, ვინც კომისიის წევრები არ არიან;
15. არასასურველი პარტიის (კანდიდატის) სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების გაფუჭება;
16. საარჩევნო ყუთების განადგურება, მოპარვა ან შეცვლა;
17. დათვლის დროს ყუთიდან გადმოყრილ ბიულეტენებში სასურველი კანდიდატის სასარგებლოდ შევსებული ბიულეტენების შერევა;
18. ამომრჩევლთა რიცხვის ხელოვნური გაზრდა;
19. ხმის მიცემის შედეგების გადაადგილება, როცა პარტიის მიერ მიღებული შედეგები ოქმში შეაქვთ, როგორც პარტიის (კანდიდატის) მიერ მიღებული ხმები და ა.შ. (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 135)

**უშუალო დემოკრატიის ფორმები.** თანამედროვე პერიოდში უშუალო დემოკრატიის ფორმებიდან ყველაზე დიდი მნიშვნელობა რეფერენდუმმა და პლემბისციტმა შეიძინეს. საქართველოს შემთხვევაში, რეფერენდუმი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის საკითხზე 1991 წლის 31 მარტს ჩატარდა. მასში მონაწილეობა მიიღო საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 90%-მა, ხოლო შეკითხვას, “გსურთ თუ არა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე” დადებითი პასუხი გასცა რეფერენდუმში მონაწილეთა 98%-ზე მეტმა ადამიანმა (1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა?).

2003 წელს საპარლამენტო არჩევნების პარალელურად, ჩატარდა რეფერენდუმიც. მისი მიზანი გახლდათ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობის 235-დან 150-მდე შემცირებაზე მოსახლეობის აზრის გამოხატვა. ამომრჩევლთა და რეფერენდუმში მონაწილეთა უმრავლესობამ ამ შეკითხვას დადებითი პასუხი გასცა, რის შედეგადაც, შემდეგი მოწვევის პარლამენტში, მოხდა საკანონმდებლო ორგანოს წევრთა შემცირება.

2008 წლის 5 იანვარს, საქართველოში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების პარალელურად, ორგანიზებულ იქნა პლემბისციტიც, რომლის შედეგის მიხედვითაც უნდა განსაზღვრულიყო საქართველოს მოსახლეობის დამოკიდებულება ქვეყნის ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში – ნატო-ში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მონაწილეთა 77%-ზე მეტმა გამოხატა სურვილი, რომ საქართველო გახდეს ნატო-ს

წერი (საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლენისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი).

### თავი 39. პოლიტიკური მარკეტინგი

*მარკეტინგის არსი.* ტერმინი “მარკეტინგის” საფუძველს წარმოადგენს ინგლისური სიტყვა “მარკეტ” – ანუ “ბაზარი”. ამ ტერმინის გამოჩენა უკავშირდება XIX – XX საუკუნეთა მიჯნას და ნიშნავს ბაზარზე საქონლისა და მომსახურების მოთხოვნილებისა და გასაღების შესწავლას (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 118).

მარკეტინგი, როგორც წარმოებისა და რეალიზაციის მართვის სისტემა, ერთის მხრივ, ითვალისწინებს ბაზრის საფუძვლიან და ყოველმხრივ შესწავლას, რათა მოხდეს მომხმარებლის მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილება; ხოლო მეორეს მხრივ, მარკეტინგი გახლავთ აქტიური ზემოქმედება ბაზარზე და არსებულ მოთხოვნილებებზე, მათი ფორმირების პროცესზე.

“პოლიტიკური ბაზარი”. დემოკრატიულ საზოგადოებაში მიმდინარე სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესები საბაზრო ეკონომიკის პრინციპების ანალოგიურად შეიძლება იყოს აღთქმული. პოლიტიკა არსებითად იგივე ბაზარია, ოღონდ პოლიტიკის სფეროში ბრუნვაშია სპეციფიკური საქონელი: შესაძლო სარგებელი და პრივილეგიები, დაკავშირებული ამა თუ იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებასთან. საქონლის გამსაღებელთა როლში გვევლინებიან პოლიტიკური ხელისუფლების ნამდვილი და პოტენციური მატარებლები, ხოლო მომხმარებელთა როლში – რიგითი მოქალაქეები, არჩევნებში მონაწილე პირები. საქონლის თუ მომსახურების ხელსაყრელი “გაყიდვის” მიზნით პოლიტიკური ძალები ფოკუსირებას ახდენენ მომხმარებლის მოპოვებისა და ბაზრის ათვისების იმ ხერხებზე, მეთოდებსა და წესებზე, რომლებიც კონკრეტულ პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით დიდი ხანია შემუშავებულ იქნა ეკონომიკური და ბიზნეს ადმინისტრაციის მეცნიერებათა მიერ.

არჩევნებსა და საქონლის გასაღებას შორის პარალელების გაკეთების შესაძლებლობების შედეგად წარმოიშვა პოლიტიკური მეცნიერების სპეციალური მიმართულება – პოლიტიკური მარკეტინგი.

სხვადასხვა ექსპერტის აზრით, პოლიტიკური მარკეტინგი თავდაპირველად აშშ-ში იქნა განვითარებული, დუაიტ ეიზენჰაუერის დროს, რომელმაც წინასაარჩევნო კამპანიის ორგანიზაციისათვის პირველმა მიმართა სარეკლამო სააგენტოს პოლიტიკური კონსულტაციების გასაწევად. ე.წ. “პოლიტიკური მენეჯმენტის” პირველი სპეციალიზირებული ორგანიზაცია ჯერ კიდევ 1933 წელს ჩამოყალიბდა კალიფორნიაში ცოლ-ქმარ იუტიკერის და ბექსტერის მიერ. 1933 წლიდან 1955

წლამდე მათ 75 პოლიტიკური კამპანია ჩატარეს და 70 მათგანში გაიმარჯვეს (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 119).

მოგვიანებით, პოლიტიკური მარკეტინგი ფართოდ დამკვიდრდა აშშ-ში და შემდგომში დასავლეთის სხვა სახელმწიფოებშიც. ანალოგიური ორგანიზაციები უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოშიც შეიქმნა. მაგ: პოლიტიკური იმიჯისა და მარკეტინგის საერთაშორისო ასოციაცია და სხვ.

**პოლიტიკური მარკეტინგის არსი.** პოლიტიკური მარკეტინგის კვლევის ძირითად ობიექტს პოლიტიკური ბაზრის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების პრობლემების შესწავლა წარმოადგენს. მას მჭიდრო კავშირი გააჩნია ისეთ სამეცნიერო დისციპლინებთან, როგორცაა პოლიტიკური ფსიქოლოგია, პოლიტიკური გეოგრაფია, პოლიტიკური სემანტიკა, პოლიტიკური სოციოლოგია და სხვ.

პოლიტიკური მარკეტინგის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებას საარჩევნო მარკეტინგი წარმოადგენს. ბევრი ექსპერტი, ხშირ შემთხვევაში საარჩევნო მარკეტინგს მთლიანობაში პოლიტიკურ მარკეტინგთან აიგივებს. თუმცა, ამ შემთხვევაში ორ ცნებას შორის რიგი განსხვავებები არსებობს. “პოლიტიკური მარკეტინგი – ესაა თეორიებისა და მეთოდების ერთობლიობა, რომლითაც შეიძლება ისარგებლონ პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა და ხელისუფლებამ ორი მიზნით: განსაზღვრონ თავიანთი ამოცანები და თავისი პროგრამები; გააძლიერონ მოქალაქეთა ქცევაზე. საარჩევნო მარკეტინგი მხოლოდ ნაწილია პოლიტიკური მარკეტინგისა და მას უფრო შეზღუდული მიზანი გააჩნია: დაეხმაროს პოლიტიკურ პარტიებსა და კანდიდატებს ეფექტური საარჩევნო კამპანიის შემუშავებასა და ჩატარებაში” (დ. ლინდონი) (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 119).

საარჩევნო მარკეტინგი მხოლოდ იმ უბრალო რეკლამას არ წარმოადგენს, რომელიც პრეტენდენტს შელამაზებულად წარმოაჩენს და არარსებულ ღირსებებს მიაწერს. იგი არც მხოლოდ აგიტაციის მეთოდია, როდესაც ერთნაირი საშუალებით ხდება მთლიანად საზოგადოებაზე ზემოქმედება.

საარჩევნო მარკეტინგი ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური და ეროვნული ჯგუფების ინტერესების სპეციალურ შესწავლას და აღნიშნული კვლევის საფუძველზე, ამომრჩეველთა ყოველი კატეგორიისათვის სწორედ პრეტენდენტის იმ რეალური თვისებების და ღირსებების გამოვლენასა და ხაზგასმას, რომელთა მიმართაც პოტენციურ ამომრჩეველთა სხვადასხვა ასაკობრივი თუ სოციალური ჯგუფები მეტ ინტერესს ამჟღავნებენ. საარჩევნო მარკეტინგი ლიდერობის პრეტენდენტს ეხმარება განსაზღვროს, თუ რამდენად თანხვედრაშია მისი ხედვები და პროგრამა “ბაზრის მოთხოვნილებებთან”.

**სოციალური სივრცის მნიშვნელობა.** პოლიტიკური მარკეტინგის გამოყენებისათვის უმნიშვნელოვანეს ფაქტორს წარმოადგენს სრული წარმოდგენის შექმნა იმ

სოციალური სივრცის შესახებ, რომელშიც ხორციელდება მოქმედება. სხვადასხვა ქვეყნის მრავალი პოლიტოლოგის აზრით, არჩევნების შედეგები დამოკიდებულია შემდეგ ძირითად ფაქტორებზე:

- საარჩევნო ოლქის სოციალ-ეკონომიკური პირობები;
- ოლქის სხვადასხვა სოციალური ჯგუფების პოლიტიკურ ტრადიციათა ხასიათი და პოლიტიკური კულტურის დონე;
- რეგიონის პოლიტიკური სტრუქტურის თავისებურებანი;
- საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისა და გაერთიანებების აქტიურობა.

პოლიტიკური მარკეტინგის სოციალურ სივრცეში გამოიყოფა რამდენიმე სეგმენტი:

- მართვადი ფაქტორები. ესაა ფაქტორები, რომლებიც დამოკიდებულნი არიან როგორც თვითონ კანდიდატის და მისი მხარდამჭერი ჯგუფის (შტაბის), ისევე პოლიტიკური მარკეტინგის სპეციალისტების გადაწყვეტილებებსა და მოქმედებაზე;
- უმართავი ფაქტორები. მათ რიცხვს მიეკუთვნება სოციალური სინამდვილის ის მოვლენები, რომლებიც ობიექტურად ზემოქმედებენ წინასაარჩევნო კამპანიის მსვლელობაზე, მაგრამ არ ექვემდებარებიან ზეგავლენას და დამოუკიდებელნი არიან პრეტენდენტის, მისი შტაბის და პოლიტიკური მარკეტინგის სამსახურის მისწრაფებებსა და მოღვაწეობისაგან. აქ გასათვალისწინებელია პოლიტიკური პროცესების ზოგადი ტენდენცია, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების მოქმედება, ეკოლოგიური სიტუაციის თავისებურებანი, ეკონომიკური და სოციალური ტენდენციები;
- უკუკავშირები და ადაპტაცია. უკუკავშირები - ესაა ინფორმაცია სოციალური სივრცის ობიექტური ფაქტორების, პოლიტიკური ბაზრის რეაქციის თაობაზე, ასევე პრეტენდენტისა და მისი შტაბის მოღვაწეობის შესახებ.

მთელი საარჩევნო კამპანიის განმავლობაში, მარკეტოლოგების ერთ-ერთ მთავარ ფუნქციას წარმოადგენს სხვადასხვა სოციალური ჯგუფების დაკმაყოფილების დონის განსაზღვრა წინასაარჩევნო პლატფორმის დებულებებით, ამომრჩეველთა სავარაუდო მხარდაჭერითა და გამოსხმარებებით. ამის შემდეგ, იწყება რეკომენდაციების შემუშავება, რომლებმაც თავიანთი კორექტივები უნდა შეიტანონ საარჩევნო კამპანიის წინა ეტაპზე შემუშავებულ სტრატეგიაში, რათა მოხდეს რეკომენდაციათა პაკეტის ადაპტაცია სოციალური სივრცის ზეგავლენასთან და პოლიტიკური ბაზრის მოთხოვნილებებთან.

*წინასაარჩევნო პლატფორმა.* კანდიდატის წინასაარჩევნო პლატფორმა ის მთავარი პოლიტიკური პროდუქტია, რომლის წარდგენაც ამომრჩეველის წინაშე



ხორციელდება. აქედან გამომდინარე, საკუთრივ მარკეტინგული მიმართულების კომპანიაში, პირველ ნაბიჯს სწორედ წინასაარჩევნო პლატფორმის შემუშავება წარმოადგენს. როგორი უნდა იყოს იგი?

ა) პოზიტიური (კონკურენტების კრიტიკას უნდა სჭარბობდეს პოზიტიური ნაწილი 60:40 შეფარდებით);

ბ) ორიგინალობა (პროგრამა არ უნდა ჰგავდეს სხვების პროგრამებს);

გ) მიზნის მკაფიოდ ჩამოყალიბება;

დ) საშუალებებისა და ვადების განსაზღვრის კონკრეტულობა;

ე) ერთმანეთში არ უნდა იქნეს არეული მიზნები და საშუალებები;

ვ) “ძირითადი რგოლის” სწორედ შერჩევა, დებულება, რომელიც ყველას აღელვებს;

ზ) მოტივაცია – რას მიიღებს ამომრჩეველთა ესა თუ ის ჯგუფი კანდიდატის გამარჯვების შემთხვევაში;

თ) საარჩევნო პლატფორმის ენა უნდა იყოს გასაგები, ზუსტი და ნათელი (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 120).

წინასაარჩევნო პლატფორმა დაფუძნებული უნდა იყოს ზოგადი დებულებებისა და ლოზუნგების გამოყენებაზე. იმ შემთხვევაში, თუ მასში არ იქნება ასახული ინდივიდუალურობა, გულწრფელობა და დამოუკიდებელი აზროვნება, აღნიშნული პლატფორმის ძირითადი პრინციპები უარყოფითად იქნება ასახული წინასაარჩევნო პროცესზე და იგი ვერ მოახდენს ამომრჩეველთა ყურადღების კონცენტრირებას კონკრეტული პოლიტიკური ძალის მიერ წარდგენილ სამოქმედო გეგმასა თუ პროგრამაზე.

### ***პოლიტიკური რეკლამა, მარკეტინგული მოღვაწეობის ორგანიზაცია***

პოლიტიკური მარკეტინგის სფეროში საქმიანობის ორგანიზაციის საფუძველს სტრატეგიული დაგეგმვა წარმოადგენს. იგი 7 ურთიერთდაკავშირებული ეტაპისგან შედგება:

1. წინასაარჩევნო კამპანიის ამოცანების განსაზღვრა;
2. პრეტენდენტის გუნდის წევრების ფუნქციების განაწილება;
3. პოლიტიკური მარკეტინგის მიზნების დადგენა;
4. სიტუაციური ანალიზი;
5. მარკეტინგის სტრატეგიის შემუშავება;

6. ტაქტიკის რეალიზაცია;
7. შედეგებისადმი თვალყურის დევნება

(ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 121).

საარჩევნო კამპანიის გადამწყვეტი ელემენტია პოლიტიკური რეკლამა. მისი შინაარსის ძირითადი ნაწილი (ძირითადი ლოზუნგის სახით) წარმოდგენილია ტრადიციულ პლაკატებზე, ტრანსპარანტებზე, ფურცლებზე. გარდა ამისა, რეკლამირება ხდება ფასიანი თუ უფასო სატელევიზიო რეკლამის ფარგლებში, სარეკლამო რგოლების სახით. პოლიტიკური რეკლამის მთავარ მიზანს პოლიტიკური პარტიის, მისი ლიდერისა და სხვა წარმომადგენლების შესაბამისი იმიჯის ფორმირება წარმოადგენს.

**მესიჯი და ლოზუნგი.** მესიჯის პოლიტიკური პროგრამისაგან ძირითადი განსხვავება იმაში მდგომარეობს, რომ მას უფრო შეკუმშული სახე გააჩნია. იგი საპროგრამო პრიორიტეტების შედარებით გამარტივებულ ფორმას წარმოადგენს, ხოლო მისი შინაარსი რა თქმა უნდა, პროგრამის მიზანს ემთხვევა. მესიჯი უნდა იყოს პოზიტიური და უნიკალურობით გამორჩეული. იგი ვერ შეასრულებს თავის ძირითად ფუნქციას, თუ ამომრჩევლებში მხოლოდ კონკრეტულ კანდიდატთან არაა ასოცირებული. პოლიტიკური პროგრამა შეჯამებულ უნდა იყოს მესიჯში და ორივე ერთად უნდა გამოიკვეთებოდეს და იგულისმებოდეს ლოზუნგში, ისე, რომ სამივე კომპონენტს ერთნაირი ხასიათი, ინფორმაციული დატვირთვა და ასევე ემოციური ერთიანობის დონე გააჩნდეს. ზემოაღნიშნულის მიზანი კი გახლავთ ის, რომ იგი ადვილი გასაგები იყოს კონკრეტული ამომრჩევლისათვის.

### **პოლიტიკური რეკლამა**

იმიჯის შექმნის ერთ-ერთ მთავარ საშუალებას და დამოუკიდებელ მიმართულებას პოლიტიკური რეკლამა წარმოადგენს. იგი ასახულია ადამიანისადმი უპიროვნო მიმართვის ისეთი ფორმის სახით, რომელიც ინფორმაციის თავისუფალი და კონკრეტული არჩევანის ფარგლებში მიმართულია პოლიტიკური პროდუქტის (კანდიდატის, ინსტიტუტის, სიმბოლოს) დადებითი მაგალითის შექმნის მიმართულებით, რომელიც კონკრეტული პოლიტიკური მოდერაწის მხარდაჭერას გულისხმობს. მოკლედ შეიძლება აღინიშნოს, რომ პოლიტიკური რეკლამის საბოლოო მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ემოციურ და ლაკონურ ფორმაში მიაწოდოს ადამიანებს პარტიის პოლიტიკური პლატფორმის არსი, კანდიდატის ან სხვა პოლიტიკური ობიექტის რეალური სახე, რითაც მისი მიზანია არა მარტო ჩამოაყალიბოს დადებითი განწყობა მოქალაქეთა რაც შეიძლება ფართო წრის მხრიდან, არამედ მოახდინოს მათი რეალური მოქმედებების სტიმულირება, რომელიც მიმართული იქნება პოლიტიკური ძალის მხარდასაჭერად.

როგორც მარკეტინგული ტიპის საინფორმაციო ტექნოლოგიის სახესხვაობა, პოლიტიკური რეკლამა თავის თავში ანსახიერებს რეკლამის შემოქმედის მუდმივ დაინტერესებას არა იმდენად მოქალაქეთა ინფორმირების, რამდენადაც მათი აზრის ჩამოყალიბების მიმართულებით. ახდენს რა საინფორმაციო ბაზარზე ამა თუ იმ საქონლის წარმოდგენას, რეკლამა სტიმულირებას უკეთებს ადამიანების მიერ პოლიტიკური პოზიციის თავისუფალ და შეგნებულ არჩევანს, ქმნის პოლიტიკისადმი შინაგანი კარგი განწყობილების კლიმატს. სარეკლამო ტექნოლოგიების მიზანია დაძლეულ იქნეს სახელმწიფოსთან მოქალაქის ფორმალური, სტიქიური დამოკიდებულება. ამიტომაც, ხორციელდება მოქალაქეთა თვითშეგნების განმტკიცება, მისი პოლიტიკური აქტივობისაკენ წაქეზება.

ამა თუ იმ პოლიტიკური ინსტიტუტის, პოლიტიკოსების, პოლიტიკური ლიდერების ან პოლიტიკურ ძალთა მიერ წარმოდგენილი საპროგრამო დოკუმენტების პოზიტიური მიმართულებით ფორმირების პროცესში, რეკლამას ეტაპობრივად გააქვს პოლიტიკურ ბაზარზე განსაზღვრული პოლიტიკური მიზნები და ღირებულებები. ამ თვალსაზრისით, ასეთი პოლიტიკური პროდუქტის გავრცელების ეფექტურობა მოსახლეობის მხრიდან პოლიტიკური მხარდაჭერის დონის მიხედვით განისაზღვრება.

სარეკლამო ტექნოლოგიების გამოყენების ერთ-ერთ არსებით თავისებურებას სათანადო შეტყობინებების გადაცემა წარმოადგენს. ასეთ შემთხვევაში, სარეკლამო მასალების შინაარსს მაქსიმალურად აკონტროლებენ მისი გამავრცელებელი სუბიექტები და არ შეიძლება მათი თვითნებურად შეცვლა გარეშე პირების (ჟურნალისტების, ტელე და რადიო პროგრამების რედაქტორების ან სხვა) მიერ. ამავე დროს, კომერციული რეკლამისაგან გასხვავებით, რიგ შემთხვევაში პოლიტიკური რეკლამა შეიცავს ოპონენტების კრიტიკას, ახდენს იდეური პოზიციებისა და აქცენტების მკაცრ რეგლამენტაციას, გარკვეულ მასალას გადაჭარბებულად წარმოადგენს, ახდენს სინამდვილის დრამატიზაციას, არც თუ იშვიათად ხელს უწყობს მოქალაქეების მიერ სოციალური სიტუაციის მძაფრ, კონფლიქტურ აღქმას. რეკლამაში ფართოდ გამოიყენება პოლიტიკის სამყაროს იუმორისტული ასახვის ელემენტებიც.

პოლიტიკისადმი ადამიანის ყურადღების კონცენტრირებით და რეკლამის მეშვეობით მისი პოლიტიკური გააქტიურების პარალელურად, გათვალისწინებულია მისი კომპონენტების შეგნებულობის, სიმწიფის თვისობრივი ამაღლება. აღნიშნული ტექნოლოგიები ზემოქმედებას ახდენენ პოლიტიკური შეგნების მენტალურ ელემენტებზე, რომელთაც შეუძლიათ შეცვალონ ადამიანის დამოკიდებულება კონკრეტული პოლიტიკოსისა თუ პოლიტიკური ძალის მიმართ რეალური დროის რეჟიმში. ამ თვალსაზრისით, რეკლამის მიზანია კონკრეტული ადამიანის ცხოვრების პოლიტიკური სფეროს აღქმის გაძლიერება და მოქალაქის განსაზღვრული პოზიციის

გამოვლენის ხარჯზე, ამა თუ იმ პოლიტიკური მიზნის კონკრეტული მხარდაჭერის უზრუნველყოფა.

სარეკლამო ტექნოლოგიების შინაარსი და ფორმა უაღრესად მრავალფეროვანია. ისინი დამოკიდებული არიან მიზნობრივ ჯგუფებზე, სარეკლამო შეტყობინებათა გავრცელების ხანგრძლივობაზე, სარეკლამო კამპანიის ხასიათზე, გეოგრაფიულ მდებარეობაზე, კონკრეტული რეგიონის სქესობრივ-ასაკობრივ და ეროვნულ სტრუქტურაზე, მთელ რიგ სხვა ფაქტორებზე.

ზოგადად შესაძლებელია სარეკლამო ტექნოლოგიების შემდეგნაირად კლასიფიცირება:

- აუდიო (რადიორეპორტაჟები, სარეკლამო მიმართვები, საუბრები) და ვიზუალური (ვიდეორგოლები, ტელეჩანაწერები, დებატები, რეკლამირების სხვა სახეები);
- სარეკლამო შეტყობინებათა გადაცემის ბეჭდვითი საშუალებები (პუბლიკაციები, სტატიები, მიმოხილვათა შედგენა, ინტერვიუები და სხვა);
- გარე რეკლამის მეთოდები (სარეკლამო ფარები, აფიშები, ტრანსპარანტები, ფურცლები, წარწერები კედელზე ე.ი. პოლიტიკური გრაფიკები);
- ბეჭდვითი რეკლამის ხერხები (პლაკატები, ღია ბარათები, წერილები, მიმართვები, ბროშურები, კალენდრები, სავიზიტო ბარათები და სხვა);
- პირდაპირი საფოსტო რეკლამების მეთოდთა (საფოსტო შეტყობინებათა გაგზავნა კონკრეტული ამომრჩევლებისათვის);
- სარეკლამო სუვენირების (ნიშნები, მოხსენებები, საქმიანი საჩუქრები გავრცელების მეთოდთა, რეკლამისტიკის კომპიუტერიზებული ფორმები (ინტერნეტი, სპეციალიზებული საინფორმაციო პროგრამები);
- საზოგადოებასთან კავშირის დამყარების მიმართულებით ღონისძიებათა გატარება (მოსახლეობასთან კანდიდატის პირადი შეხვედრები, გამოსვლები მიტინგებსა და კონფერენციებზე და სხვა).

პოლიტიკური რეკლამირების ზემოაღნიშნული მეთოდების თანაფარდობა, პირველ რიგში იმაზეა დამოკიდებული, თუ მოსახლეობის კონკრეტულად რომელ სეგმენტზეა მიმართული კონკრეტული რეკლამა, კერძოდ, ტელედებატები შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს ყველა ამომრჩეველზე, ცალკეული ბეჭდვითი პუბლიკაციები კი ელექტორატის კონკრეტულ ნაწილზე. დიფერენცირებული რეკლამის ფარგლებში, ერთი ტექნოლოგია შეიძლება გამოყენებულ იქნეს იმ ადამიანების მიმართ, რომლებთანაც სააგიტაციო მუშაობა უკვე მანამდე იყო წარმოებული, ხოლო განსხვავებული მეთოდი იმ მოქალაქეთა მიმართ, რომელთაც ჯერ კიდევ არ აქვთ გადაწყვეტილი, თუ რომელ პოლიტიკურ ძალაზე გააკეთონ თავიანთი არჩევანი.

სარეკლამო ტექნოლოგიების შინაარსი და ხასიათი შეიძლება არსებითად იცვლებოდეს არსებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესების გათვალისწინებით. საარჩევნო კამპანიის დროს ფართოდ გამოიყენება შეტევითი და აგრესიული მეთოდები, რომლებიც მოსახლეობაში შესაბამისი განწყობის შექმნისკენაა მიმართული.

აუცილებლობას წარმოადგენს მოსახლეობის მიერ პოლიტიკური ლიდერის საკმაოდ სწრაფად და ფართოდ გაცნობიერებისაკენ მიმართული სათანადო პოლიტიკის წარმოება, რაც თავის თავში მოიაზრებს კანდიდატის ცხოვრებაში არსებული მნიშვნელოვანი ბიოგრაფიული მონაცემების მრავალჯერ გამეორებას, კანდიდატებზე დადებითი იმიჯის შექმნას, შემტევი მასალების გავრცელებას, რომლებშიც წარმოდგენილი იქნება კონკურენტების პოზიციის ნეგატიური მხარეები. ყველა ზემოაჩამოთვლილი ქმედების მთავარი მიზანია ამომრჩევლების დარწმუნება კონკრეტული პოლიტიკური გუნდის სიმართლეში. ამავე დროს, არჩევნების შემდგომ პერიოდში, არჩეული კანდიდატის რეკლამირების პოლიტიკა იცვლება მისი, როგორც საქმიანი ადამიანის დახასიათებით, შედეგების კომპლიმენტარულ შეჯამებაზე. ასევე, წარმოდგენილ უნდა იქნეს გასული კამპანიის შეფასებითი ანალიზი მოცემული კანდიდატის სახის შენარჩუნების მიზნით. წინასწარ, საფუძვლიანად გაანალიზდება რეკლამირების თითოეული კონკურენტის მეთოდები, განისაზღვრება მთავარი მიზნები და შესაბამისი ინფორმაციის გავრცელების საშუალებები, შეირჩევა აქციის ჩატარების ადგილი და დრო, იგეგმება დაფინანსების წყაროები, მომსახურების გადახდის ფორმები და ა.შ.

ამასთანავე, სარეკლამო ქმედებათა ცენტრალიზაცია, პრინციპული მნიშვნელობის საკითხს წარმოადგენს, ე.ი. სამოქმედო გეგმის ჰარმონიზაცია სხვა ჩასატარებელ ღონისძიებებთან ერთად. მაგალითად, მოცემული პარტიის (ლიდერის) ყველა სარეკლამო მასალებსა და აქციების პროცესში გამოიყენება გარკვეული სლოგანი (მოკლე სიტყვიერი სიმბოლო, ფორმულა, რომელიც თითქოსდა ახდენს მოცემული პოლიტიკური საქონლის მარკირებას). ღონისძიებები ხორციელდება მას-მედიის მიერ შემუშავებული გეგმის შესაბამისად, რომელიც აფიქსირებს ურთიერთობას უმნიშვნელოვანეს საინფორმაციო კონტრაგენტებთან და ა.შ.

პოლიტიკური რეკლამის საზოგადოებაში აღიარებულ, ეთიკურად აპრობირებულ მეთოდებთან ერთად მისი პოლიტიკური არსენალი მოიცავს ე.წ. “შავ” ან “ჭუჭყიან” ტექნოლოგიებსაც, რომლებიც ეწინააღმდეგებიან მორალისა და ზნეობის საყოველთაოდ მიღებულ ნორმებს, სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის წესებს, რომლებიც არც თუ იშვიათად უშვებენ სამართლებრივი ხასიათის ნორმების დარღვევასაც კი. მაგალითად, გარდა სიცრუისა და დეზინფორმაციისა, პოლიტიკური მიზნების რეალიზაციის მიზნით, გარკვეული პოლიტიკური ძალები ავრცელებენ მასალებს, რომლებიც წინააღმდეგობაში მოდის მოსახლეობის

ტრადიციებსა და გაბატონებულ ღირებულებებთან, როდესაც კონკურენტის სახელით ქვეყნდება ცნობები, რომლებიც მას უარყოფით პიროვნებად წარმოადგენს აუდიტორიის წინაშე. არჩევნებზე კანდიდატთა კონკურენტებისათვის ახდენენ “ორეულების” რეგისტრაციას, რაც იწვევს ამომრჩეველთა დეზორიენტაციას და რეალური ხმების დაკარგვას. კონკურენტის კომპრომენტირების ფარგლებში, ცალკეული პოლიტიკოსები პოლიტიკური შეფასებიდან გადადიან შეურაწყოფაზე, აშკარა ცილისწამებაზე, რომელიც ლახავს მოწინააღმდეგის პირად ღირსებებს, მის ოჯახურ კავშირებს. ეწყობა სხვადასხვა სახის პროვოკაციები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ ასეთი “შავი” ტექნოლოგიების გამოყენებისაკენ მიდრეკილებას სხვადასხვა სახელმწიფო ინსტიტუტებიც ავლენენ, რომლებიც არცთუ იშვიათად უგულებელყოფენ საარჩევნო ნორმებს, ერევთან წინასაარჩევნო კონკურენციაში და მხარს უჭერენ ამა თუ იმ ძალას და ამ ქმედებათა ფარგლებში თავიანთი სოციალური მდგომარეობით სარგებლობენ. ასეთ შემთხვევაში, “ჭუჭყიანი” ტექნოლოგია წინააღმდეგობაში მოდის კანონთან და მნიშვნელოვნად არყვეს ქვეყნის დემოკრატიული წყობილების საფუძვლებს.

სამართლებრივ სახელმწიფოში, სახელმწიფო ვალდებულია დადგეს საინფორმაციო ბაზრისა და პოლიტიკური რეკლამის გავრცელების სადარაჯოზე. როგორც წესი, საინფორმაციო ურთიერთობებს შესაბამისი ორგანული კანონი არეგულირებს, მაგრამ საინფორმაციო-სარეკლამო ურთიერთობათა რთული და არაერთგვაროვანი ხასიათი ართულებს ამ პროცესს. მსოფლიოში მხოლოდ რამდენიმე სახელმწიფოში მოქმედებს კანონი “რეკლამის შესახებ”.

საქართველოში მოქმედებს რიგი საკანონმდებლო დებულებანი, რომლებიც კოორდინირებას უწევენ პოლიტიკურ სფეროში სარეკლამო ინფორმაციის წარმართვას. მაგალითად, პოლიტიკური რეკლამის ჩამონათვალიდან გამოირიცხება ორგანიზაციები, რომელთა მიზნები ან მოქმედებები მიმართულია კონსტიტუციური წყობილების საფუძველთა ძალადობრივი გზით შეცვლისაკენ, ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის დარღვევის მიმართულებით, სახელმწიფო უსაფრთხოების ძირგამომთხრელი საქმიანობისათვის. კერძოდ, ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობით აკრძალულია “შეიარაღებული დაჯგუფების შექმნა, სოციალური, რასობრივი, ნაციონალური ან რელიგიური შუღლის გაღვივება”. არაკანონიერია იმ მასალების გასაჯაროება, რომლებიც სახელმწიფო საიდუმლოებას განეკუთვნებიან. აგრეთვე აკრძალულია ცილისწამება, შეურაწყოფა, სარეკლამო ცნობების გავრცელების ფარგლებში ფარული ჩანაწერების გამოცემა, რომლებიც გავლენას ახდენენ ადამიანთა შეგნებასა და ფსიქიკაზე. დაუდგენელ ვადებში (ვთქვათ საარჩევნო კამპანიის გამოცხადებამდე) რიგ დაუდგენელ დოკუმენტებთან დაკავშირებით, დაფიქსირებულია ცნება “არასაიმედო რეკლამა”, რომელთა შორის იგულისხმება

ანონიმური მასალების, ცნობების სხვისი სახელების გამოყენება მათი მფლობელების თანხმობის გარეშე. ამ შემთხვევაში ადგილი აქვს აუდიტორიისათვის შესაბამის სტანდარტების გადაცილებულ, შეტყეობით ხასიათის რეკლამას.

ამავე დროს, როგორც პოლიტიკურ ურთიერთობათა სფეროში დანერგილმა პრაქტიკამ გვიჩვენა, მხოლოდ სხვადასხვა სახის საკანონმდებლო დოკუმენტების მიღება არ არის საკმარისი საიმედოდ იქნეს დარეგულირებული პოლიტიკური რეკლამისტიკისა და განსაკუთრებით “ჭუჭყიანი” ტექნოლოგიის გავრცელებასთან დაკავშირებული საკითხები. ბევრი რამ დამოკიდებულია საინფორმაციო ბაზარზე მოქმედი სახელმწიფო და კორპორაციული სტრუქტურებისა და სხვადასხვა პოლიტიკური სუბიექტების (მაგალითად პოლიტიკური პარტიები) მიერ გატარებულ ღონისძიებებზე, რომ თითოეული პოლიტიკური ინსტიტუტი სარეკლამო საქმიანობის პროცესში ხელმძღვანელობდეს გარკვეული ეთიკური სტანდარტებით, პროფესიონალური, მორალური კოდექსებით და ამ იდეათა ფაქტობრივი დანერგვა უკვე განხორციელდა იმ ქვეყნებში, სადაც დემოკრატიული ღირებულებები და იდეალები უკვე ფართოდაა გავრცელებული მოსახლეობის ყოველდღიურ საქმიანობაში. მაგალითად, აშშ-ში თავის საქმიანობას ეწევა სარეკლამო სააგენტოების ამერიკული ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ქვეყანაში მოქმედ პოლიტიკური და სარეკლამო სააგენტოების 80%-მდე (ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. 2002. გვ. 127). ამ ორგანიზაციის მიზანს წარმოადგენს სარეკლამო სფეროში პროფესიონალიზმისა და კომპეტენტურობის პოპულარიზაცია. ამ მიზნით, აღნიშნული ასოციაცია თანამშრომლობს სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო უწყებასთან, აფინანსებს საკანონმდებლო პროგრამებს, გამოსცემს ყოველწლიურ სახელმძღვანელოს საარჩევნო კამპანიების რეკლამირების პროცესში ეთიკური სტანდარტების დაცვის მიმართულებით. ასოციაციის საქმიანობის ფარგლებში დამუშავებულ იქნა ეთიკის კოდექსი, მომსახურების სტანდარტი, რომელიც გარკვეულ ეთიკურ სტანდარტებს უწესებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და სარეკლამო პროცესის მონაწილეების, აგრეთვე რეკლამენტირებას უწევს სააგენტოების დამოკიდებულებას რეკლამის შემქმნელებთან.

ასეთი გაერთიანებები საერთაშორისო დონეზეც ფუნქციონირებენ. ამ მხრივ აღსანიშნავია, სარეკლამო სააგენტოების ევროპული ასოციაცია, რეკლამის საერთაშორისო ასოციაცია და სხვა.

პოლიტიკური რეკლამის “ამორალური” და “ჭუჭყიანი” ინფორმაციის გავრცელების აღმოფხვრის საქმეში უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს საზოგადოებრივი აზრი. დემოკრატიულ სახელმწიფოებში სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებული პრინციპები და ნორმები არსებითად ართულებენ საინფორმაციო ბაზარზე საზოგადოებრივი მორალისათვის მიუღებელი პოლიტიკური ტექნოლოგიების გამოყენებას.

## ნაწილი 6. პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური მოძრაობები

### თავი 40. პოლიტიკური პარტია: არსი, სტრუქტურა და ფუნქციები

ტერმინ “პარტიას” ლათინური წარმოშობა გააჩნია და ქართულად აღნიშნავს კონკრეტული მთლიანის, რაღაცა უფრო მსხვილი ერთობის ნაწილს, ჯგუფს (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. 143). თანამედროვე გაგებით, პოლიტიკური პარტიების წარმოშობა შედარებით უფრო გვიანდელ პერიოდთანაა დაკავშირებული. მაგრამ თვითონ ცნება “პარტია” როგორც ადამიანთა ჯგუფი, რომელიც იბრძვის ძალაუფლების მოპოვებისათვის, კაცობრიობისათვის მსოფლიო ისტორიის აღრინდელი პერიოდიდანაა ცნობილი. აღნიშნული ტერმინი უკვე ანტიკურ პერიოდში (არისტოტელე საუბრობდა მთის, ბარისა და სანაპირო ზოლის მცხოვრებთა პარტიების შესახებ) გახდა ცნობილი. ეს ტერმინი გამოიყენებოდა იმ პოლიტიკოსთა ჯგუფების მიმართ, რომლებიც ბელადის (სულას, კეისრის პარტიები და ა.შ.) უახლოეს გარემოცვაში შედიოდნენ. ეს ცნება ასევე გამოიყენებოდა ადამიანთა იმ დაჯგუფებების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს მმართველობაში იღებდნენ მონაწილეობას (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. 143).

შემდგომი ისტორიული ეპოქები ასევე პარტიების მსგავსი პოლიტიკური დაჯგუფებების ფუნქციონირების მაგალითებს წარმოგვიდგენდნენ. მაგალითად, შუა საუკუნეების ევროპაში – მეფისა ან მთავრის კარზე მრავალრიცხოვანი მტრულად განწყობილი ჯგუფები წარმოიშვნენ. მაგალითად, იტალიის ცალკეულ სახელმწიფოებში ერთმანეთთან პოლიტიკურ ბრძოლას ეწოდნენ გველფების (რომის პაპის მომხრეები) და გიბელინების (მეფის საერო ძალაუფლების მომხრეები) პარტიები. გვიანდელ შუა საუკუნეებში, არისტოკრატიული კოალიციები მათი რელიგიური კუთვნილების შესაბამისად (მაგ: პურიტანები და ანგლიკანები) იქმნებოდა. პარტიების წარმოშობასა და განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნეების დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა. ეს ისტორიული პერიოდი ცნობილია როგორც დასავლეთ ევროპასა და აშშ-ში ბურჟუაზიული სახელმწიფოების შექმნის ეპოქა. ისტორიულ ასპარეზზე გამოდის მესამე ფენა, ადგილი აქვს აბსოლუტური მონარქიის შეზღუდვას, უფრო რთული სახითაა წარმოდგენილი მრავალი სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემა. XIX საუკუნეში, საყოველთაო საარჩევნო უფლებების შემოღების შემდეგ, მკვეთრად იზრდება წარმომადგენლობითი ხელისუფლების როლი. შეიქმნა ვითარება, რომლის დროსაც ძალაუფლების მოპოვება და მისი შენარჩუნება მასობრივ მხარდაჭერას საჭიროებს. სხვა სიტყვებით რომ აღვნიშნოთ, ისტორიამ განსაზღვრა ის პოლიტიკური გარემო, რომელშიც საჭიროებისამებრ პოლიტიკური პარტიები წარმოიშვნენ.



**პოლიტიკური პარტია** – ეს არის სპეციალიზირებული საზოგადოებრივი ორგანიზაცია, რომელიც ამა თუ მიზნების განსახორციელებლად ყველაზე უფრო აქტიურ მხარდამჭერებს აერთიანებს და კონცენტრირებულია პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და გამოყენებისათვის (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 147). ამ მიმართულებით, პოლიტიკური პარტიის შესახებ საუბრის ფარგლებში, აუცილებელია გათვალისწინებულ იქნეს, რომ ნებისმიერი პოლიტიკური პარტიის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენენ:

- პოლიტიკური და სხვა საზოგადოებრივი პრობლემების თავისი შეხედულებისამებრ გადაწყვეტის პრობლემის ძიება;
- იდეურ-პოლიტიკური ორიენტაცია;
- ნებაყოფლობითი და თვითშემოქმედებითი საწყისი;
- ხელმძღვანელი ორგანოების და პარტიული აპარატის არსებობა, ამა თუ იმ ფორმით ადგილობრივი ორგანიზაციების გაშლილი ქსელი, რომლებიც უშუალოდ უწევენ კოორდინაციას რიგითი წევრების საქმიანობას;
- პარტიის პროგრამის არსებობა, რომელშიც მისი მიზნები და მიზნების მიღწევის საშუალებებია წარმოდგენილი;
- აგიტაციურ-პროპაგანდისტური მუშაობა პარტიის რაოდენობრივი შემადგენლობის ზრდისა და პარტიულ საქმიანობაში ახალი წევრების მიღების მიზნით.

პოლიტიკური პარტიის შიდა სტრუქტურა ხელმძღვანელობითა და რიგითი წევრებითაა წარმოდგენილი. ხელმძღვანელობა უმაღლესი დონის ლიდერებითა და ფუნქციონერებითაა დაკომპლექტებული.

უმაღლესი ხელმძღვანელობის წარმომადგენლები – პარტიის ლიდერებს წარმოადგენენ, ისინი არიან პარტიის ყველაზე უფრო ავტორიტეტული და გამოცდილი მოღვაწეები, იდეოლოგები, ინტელექტუალური ცენტრები. ეს გახლავთ პარტიული მმართველობის უმაღლესი ჯგუფი (პარტიული ელიტა), რომელიც პარტიული პროგრამის შემუშავების ფარგლებში განსაზღვრავს საერთო პოლიტიკურ კურსს, მათი მიღწევის კონკრეტულ მიზნებსა და საშუალებებს.

ფუნქციონერები – პარტიულ აქტივისტებს წარმოადგენენ, რომლებიც თავიანთ საქმიანობას როგორც ცენტრალური, ასევე პარტიის ადგილობრივი ორგანოების დონეზე ასორციელებენ თავიანთ საქმიანობას. ეს ადამიანები არიან პარტიის ყველა რგოლის მუშაობის ორგანიზატორები და მისი პოლიტიკური ხაზის გამტარებლები.

პარტიის რიგითი წევრები, როგორც წესი, პირველად ორგანიზაციებში მუშაობენ. ისინი პარტიის პოლიტიკური კურსის შესაბამისად მოქმედებენ და პოლიტიკური

ხელმძღვანელობის დავალებებს ასრულებენ. ყველა პარტია თავისი წევრების რაოდენობის გაზრდას ესწრაფვის.

პარტიის მიერ დასახული მიზნების მიღწევაში უდიდეს როლს ასრულებს მის ფარგლებს გარეთ მოქმედი “პოლიტიკური ელექტორატი”, ანუ ის ადამიანები, რომლებიც ხმას აძლევენ პარტიას არჩევნებზე.

პარტიული საქმიანობის ერთ-ერთ უმთავრეს საკითხს მისი საქმიანობის დაფინანსება წარმოადგენს. პარტიის მატერიალური უზრუნველყოფის ძირითად წყაროებს წარმოადგენენ: 1) თვითონ პარტიის წევრთა შემოწირულობანი; 2) სპონსორებისაგან მიღებული სახსრები; 3) თავიანთი საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი (ძირითადად საგამომცემლო); 3) სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები (საარჩევნო კამპანიის პერიოდში); 4) საზღვარგარეთული წყაროებიდან მიღებული შემოსავალი, რაც რიგ ქვეყნებში კანონითაა აკრძალული.

განვიხილოთ პოლიტიკური პარტიების სხვა გაერთიანებებისა თუ მოძრაობებისაგან დამახასიათებელი ძირითადი განსხვავებები:

1. პოლიტიკური პარტიის უშუალო მიზანს ძალაუფლების მოპოვება ან მის რეალიზებაში მონაწილეობა წარმოადგენს. ასეთ მიზანს არ მისდევენ სხვა საზოგადოებრივი გაერთიანებები (ზეწოლის ჯგუფები, ინტერესთა ჯგუფები, ერთობები, სექტები და ა.შ.). არაპარტიული ორგანიზაციები მიზნად ისახავენ თავიანთი პრობლემები ჩამოყალიბებული მმართველობის რეჟიმის ფარგლებში გადაწყვიტონ. პარტიები კი, საშინაო და საგარეო-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მიზნით – წარმოადგენენ რა თავიანთ პროგრამებს, შეუძლიათ დააყენონ საკითხი ქვეყანაში პოლიტიკური მმართველობის შეცვლის შესახებ.
2. ყველა პოლიტიკური პარტია, სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციებისაგან განსხვავებით საარჩევნო კამპანიის დროს ესწრაფვის მოსახლეობის ფართო მხარდაჭერა უზრუნველყოს;
3. პოლიტიკური პარტიების არსებობა, საქმიანობის ხანგრძლივ პერიოდს ითვალისწინებს (საზოგადოებრივი მოძრაობებისა და ინტერესთა ჯგუფებისგან განსხვავებით, რომლებიც, აღწევენ რა გარკვეულ მიზნებს, ქრებიან ისტორიული არენიდან). დასახული მიზნის მიღწევის შემთხვევაშიც (ხელისუფლების მოპოვება), პოლიტიკური პარტიები აგრძელებენ თავიანთ საქმიანობას, რათა მოხდეს წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში წარმოდგენილი პროგრამების ცხოვრებაში გატარება.

პოლიტიკური პარტიები ასრულებენ რიგ ფუნქციებს, რომლებიც შეიძლება გავაერთიანოდ სამ ჯგუფში: პოლიტიკური, იდეოლოგიური და სოციალური ფუნქციები.

**პოლიტიკური ფუნქციები:** აღნიშნული ფუნქციის მიზანს ძალაუფლებისათვის ბრძოლა, პოლიტიკური ლიდერებისა და მმართველი ელიტის რეკრუტირება წარმოადგენს. პარტიები ყველა პოლიტიკურ პროცესში იღებენ მონაწილეობას და მათ თავიანთი ძირითადი მიზანი გააჩნიათ. ისინი იბრძვიან პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვებისა და გამოყენების, ასევე იმ სხვა ძირითადი მიზნების მისაღწევად, რომლებიც მათ პროგრამებშია წარმოდგენილი. პარტიული ელიტის ფორმირების პროცესში ხორციელდება პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელი შემადგენლობის დაკომპლექტება. წარმოდგენილი პროფესიონალი პოლიტიკოსების გარდა, პარტიის საქმიანობაში ხშირად არიან ჩართულნი პარტიული ანალიტიკოსები და ექსპერტები (მაგალითად ისინი მუშაობენ სახელმწიფო პროგრამების შექმნასა და სტრატეგიული სახელმწიფო კურსის შემუშავებაზე და ა.შ).

**იდეოლოგიური ფუნქციები:** მის ფუნქციას პარტიული იდეოლოგიისა და პოლიტიკური დოქტრინების შექმნა და პოლიტიკური პროპაგანდის წარმოება წარმოადგენს. თითოეული პარტია საკუთარ იდეურ-პოლიტიკურ ორიენტაციას შეიმუშავებს. ამავე დროს, მას შეუძლია სიახლე შეიტანოს იმ კონკრეტული იდეოლოგიის ფარგლებში, რომელიც საზოგადოებას სთავაზობს ახალ პოლიტიკურ შეხედულებებს, მაგრამ ასევე შესაძლებელია, რომ საზოგადოებრივი განვითარების სფეროში პარტია, როგორც ცნობილი იდეალების მხრდაჭერი მოგვევლინოს. პარტიის იდეოლოგიურ-პარტიული ორიენტაცია გარკვეულ ისეთ პოლიტიკურ კონცეფციებსა და იდეალებს ეფუძნება, როგორებიც გახლავთ: დემოკრატია, სოციალიზმი, ავტორიტარიზმი, ლიბერალიზმი, კონსერვატიზმი და სხვა. ეს კი, თავის მხრივ შესაძლებლობას იძლევა იმსჯელო პარტიის გარკვეულ ღირებულებებზე და შესაბამისად მოახდინოს მისი პროგრამების კლასიფიცირება და განიხილოს ისინი როგორც პროგრესული, ან რეაქციული თუ კონსერვატიული მიმართულების ორგანიზაცია. პარტიის ამ საქმიანობის ფარგლებში მნიშვნელოვანი როლი პოლიტიკურ პროპაგანდას უკავია. მისი დანიშნულება მეტად ფართოა და პირველ რიგში მიზნად ისახავს მასების აქტიურ ინფორმირებას იმ პროგრამის უპირატესობების შესახებ, რომელიც ამა თუ იმ პარტიის მიერაა წარმოდგენილი. ასევე მნიშვნელოვანია მოცემული პარტიის მიმართ კეთილგანწყობილი საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება.

**სოციალური ფუნქციები:** სოციალური წარმომადგენლობა და სოციალიზაცია. თითოეული პოლიტიკური პარტია მოსახლეობის გარკვეულ ჯგუფებსა და ფენებს ეყრდნობა და მათ ინტერესებს გამოხატავს. მრავალი პარტია უახლოეს წარსულში ცდილობდა ამ ფაქტორზე ყურადღების გამახვილებას. მაგალითისათვის შეგვიძლია განვიხილოთ ბულგარეთის მიწათმოქმედთა კავშირი, პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია და ა.შ. მაგრამ, თანამედროვე პირობებში თითოეული პოლიტიკური პარტია ესწრაფვის იმას, რომ რამდენადაც ეს შესაძლებელია, გააერთიანოს და

თავისი ინტერესების სფეროში საზოგადოების ფართო ფენები მოაქციოს. ნათელია, რომ წარმატებაზე შესაძლებელია პირველ რიგში იმ პარტიებმა იოცნებონ, რომლებიც საერთოეროვნულ ინტერესებს გამოხატავენ.

პოლიტიკური პარტიების სოციალურ ფუნქციებს შორის, მნიშვნელოვანი ყურადღება მოქალაქეთა სოციალიზაციას ექცევა. აქ პიროვნების პოლიტიკის სამყაროში ჩართულობაზეა საუბარი. ახორციელებენ რა ბრძოლას ამომრჩევლის ხმის მოპოვების მიზნით და უწყობენ რა ხელს მოსახლეობის ინფორმირებას, პარტიები მოქალაქეთა მიერ გარკვეული ცოდნის, ნორმებისა და ღირებულებების მოპოვების მიმართულებით მუშაობენ. ეს იძლევა იმის საშუალებას, რომ მოქალაქეები პოლიტიკურ ურთიერთობათა სრულყოფილ მონაწილეებად გადაიქცნენ. სოციალიზაციის პროცესი სტრუქტურულად შემდეგი რიგი ელემენტებითაა წარმოდგენილი: 1) მოსახლეობის მიერ გარკვეული პოლიტიკური ცოდნისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ასპექტების დაუფლება; 2) მიღებული ცოდნის გაღრმავება; 3) მიღებული ცოდნის შედეგად პოლიტიკური პრინციპების დაცვა; 4) მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა; 5) არსებული პოლიტიკური პირობების ადექვატური საქციელის გამომუშავება.

პოლიტიკური პარტიების აღნიშნულ ფუნქციებს განსაკუთრებით აქტიურად წინასაარჩევნო და საარჩევნო კამპანიების წარმოების პროცესში იყენებენ. ამ დროს პარტიები არა მხოლოდ წარადგენენ თავიანთ კანდიდატებს კონკრეტულ საარჩევნო ოლქებში თუ საკანონმდებლო ორგანოებში ასარჩევად, არამედ აქტიურად ავრცელებენ სხვადასხვა პოლიტიკურ იდეებს. თვით მცირე პოლიტიკური პარტიებიც კი, რომლებსაც არ შეუძლიათ წარადგინონ კონკურენტუნარიანი კანდიდატები, ცდილობენ რა მოსახლეობაში მათი ამოცანებისა და პროგრამების შესახებ პოზიტიური იმიჯის ფორმირებას, წინასაარჩევნო კამპანიას იდეოლოგიური მიზნით იყენებენ.

პარტიებისათვის, რომლებმაც არჩევნებში გამარჯვება მოიპოვეს (ან ის პარტიები, რომლებმაც საკანონმდებლო ორგანოში გარკვეული ადგილები მიიღეს), ძალაუფლების განმტკიცებისა და მისი გამოყენების მიმართულებით დასახული პრიორიტეტების შესრულებისა და რეალიზაციის მიზნით ერთ-ერთი ყველაზე გადამწყვეტი პერიოდი იწყება.

პარტიები იღებენ იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ დააწინაურონ თავიანთი კადრები სახელისუფლებო სტრუქტურებში, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკური ელიტის ფორმირებაში და შედეგად – მიიღონ შესაძლებლობა, ჩართულნი იყვნენ სახელმწიფო გადაწყვეტილებების და შესრულების კონტროლის პროცესში. საარჩევნო კამპანიის ჩატარების შემდეგ, გამარჯვებული პოლიტიკური პარტიები

აქტიურდებიან კავშირებისა და ბლოკების, სხვადასხვა სახის კოალიციების შექმნის, პარტიათაშორისი მრავალმხრივი შეთანხმებების გაფორმების და ა.შ. მიმართულებით.

#### **თავი 41. თანამედროვე პერიოდის პარტიული სისტემებისა და პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგია**

თანამედროვე პოლიტოლოგიაში პოლიტიკური პარტიების შესახებ აღიარებული ტიპოლოგია მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს პოლიტიკურ პარტიათა მრავალფეროვან და რთულ სამყაროში ორიენტირებას.

პოლიტიკური პარტიების ტიპოლოგია ორგანიზების ხარისხის მიხედვით შესაძლებლობას იძლევა გამოყოფილ იქნეს პარტიათა ორი ძირითადი ტიპი: ორგანიზაციულად გაფორმებულები და გაუფორმებელი პარტიები.

**ორგანიზაციულად გაფორმებული პარტიები** – ესენი არიან ის პარტიები, რომელთათვისაც დამახასიათებელია განცხადების საფუძველზე პარტიის წევრობის ოფიციალური გაფორმება, მათი წევრების მიერ პარტიის შემოწირულობების გადახდა, პარტიული ბილეთების არსებობა. მაგალითად, კომუნისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიების კუთვნილების დამადასტურებელი პარტბილეთების არსებობა და ა.შ.

**ორგანიზაციულად გაუფორმებული პარტიები** – წარმოადგენენ ისეთ პარტიებს, სადაც არ არსებობს ოფიციალური წევრობა, შენატანები პარტიულ ბიუჯეტში. აქ საკმარისია საარჩევნო პროცესის დროს (აშშ-ის დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები) პარტიული წარმომადგენლების მიერ ხმათა მიღება.

ორგანიზაციულ სტრუქტურასთან დაკავშირებით და წევრობის ხასიათით გამოიყოფიან მასობრივი და საკადრო პარტიები (მ. დიუვერჟე) (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 152).

**მასობრივი პარტიები** პარლამენტის გარეთ ფორმირდებიან. ისინი თავიანთ სოციალურ ბაზას ძირითადად მოსახლეობის ქვედა ფენების წარმომადგენლებისაგან აყალიბებენ: მუშები, გლეხები, რელიგიური ჯგუფები. ასეთ პარტიებს რთული ორგანიზაციული სტრუქტურა გააჩნიათ, რომელიც მათი არჩევნებში გამარჯვებამდე ფორმირდება. მათთვის დამახასიათებელია იდეოლოგიზაციის მაღალი ხარისხი, რომელიც მასობრივი პოლიტიკური მობილიზაციისათვის გამოიყენება. ასეთ პარტიებში ხელმძღვანელობა ეკუთვნის პროფესიონალ პოლიტიკოსებს, პარტიულ ბიუროკრატებს. მასობრივი პარტიის წევრები არა მხოლოდ იხდიან პარტიულ საწევროებს, არამედ მონაწილეობენ პარტიულ საქმიანობაში. მასობრივად განიხილება ყველა კომუნისტური, სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

**საკადრო პარტიები** – თუ მასობრივ პარტიებში მიზანი რიცხოვრივი თვალსაზრისით მიიღწევა, საკადრო (რაც თვითონ მათი სახელიდან გამომდინარეობს) პარტიებში წარმატება ავტორიტეტული და კომპეტენტური პოლიტიკურ მოღვაწეების შერჩევის შედეგად მიიღწევა. საკადრო პარტიები არ არიან მრავალრიცხოვანნი და არ ფორმირდებიან პოლიტიკური ლიდერების ირგვლივ. მათი პოლიტიკური სტრუქტურის საფუძველს წარმოადგენს პოლიტიკური კომიტეტი (ლიდერები, აქტივისტები). აქ არსებობს წევრობის თავისუფლება. ასეთი პარტიების მაგალითებს წარმოადგენენ დასავლეთ ევროპის პარტიათა უმრავლესობა, ნაწილობრივ დიდი ბრიტანეთის ლიბერალური და კონსერვატიული პარტიები, აშშ-ის რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიები. აღნიშნული პარტიები ორიენტირებულნი არიან საარჩევნო კამპანიის წარმატებით ჩატარებასა და გამარჯვებაზე და ამ მიზნის მისაღწევად ისინი მთელ თავის პროფესიონალიზმსა და მატერიალური რესურსების დიდ ნაწილს მრავალრიცხოვანი ელექტორატის ფორმირებაზე წარმართავენ, ანუ, საზოგადოების იმ ნაწილზე, რომელიც მხარს უჭერს ამა თუ საკადრო ტიპის პოლიტიკურ პარტიას. თანამედროვე საკადრო პარტიებს ორგანიზებულობისა და საარჩევნო კამპანიის ჩატარების დიდი გამოცდილება გააჩნიათ.

პოლიტოლოგიაში ასევე მიღებულია პოლიტიკური პარტიების მათი იდეოლოგიურ-პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით კლასიფიცირება. ამ მიდგომით გამოირჩევიან **კონსერვატიული, ლიბერალური, მემარცხენე, მემარჯვენე და ცენტრისტული პარტიები.**

**“მემარცხენეებს”** პირველ რიგში ულტრამემარცხენე პარტიები მიეკუთვნებიან: მათისტური, ტროცკისტული და სხვა მემარცხენე-რადიკალური ჯგუფები. ისინი რადიკალური (რევოლუცია, ტერორი) ბრძოლის მეთოდებს ქადაგებენ. თანამედროვე ეტაპზე, მათი მომხრეთა წრე არც თუ ისე დიდია, მათ არ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები ევროპის ქვეყნების არც ერთ პარლამენტში. “მემარცხენეებს” მიეკუთვნებიან მსოფლიოს ყველა კომუნისტური პარტია, აგრეთვე შედარებით ზომიერი სოციალისტური და სოციალ-დემოკრატიული პარტიები.

**ცენტრისტული პარტიები** – ესენი არიან პირველ რიგში, კონსერვატიულ პოლიტიკურ იდეოლოგიაზე დაფუძნებული და ასევე, ცენტრისტული პარტიები შეედეთში, ნორვეგიაში და ფინეთში (“ფინური ცენტრი”). ამ ტიპის პარტიებს შორის – დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია, საფრანგეთის რესპუბლიკის მხარდამჭერთა გაერთიანება, დანიის სახალხო-კონსერვატიული პარტია და ა.შ. კონსერვატიულ-დემოკრატიულ პარტიებს ასევე მიეკუთვნებიან ქრისტიან-დემოკრატიული პარტიები, რომლებიც ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან პოლიტიკურ ძალებს წარმოადგენენ. მათ შორისაა გერმანიის ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი, იტალიის ქრისტიან-დემოკრატიული პარტია.

ანალოგიური ტიპის პარტიები უკვე ჩამოყალიბებულნი არიან აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოებში – ჩეხეთში, პოლონეთში, ხორვატიაში, ლიტვაში, ესტონეთში.

*”მემარჯვენე”* პარტიებს მიეკუთვნებიან მემარჯვენე რადიკალური პარტიები, მაგალითად, საფრანგეთში მოქმედი ნეოფაშისტური პარტია “ეროვნული ფრონტი”, გერმანიის ეროვნული კავშირი და გერმანიის რესპუბლიკური პარტია, იტალიური სოციალური მოძრაობა და იტალიის ნაციონალურ-მემარჯვენე ძალები, ავსტრიის თავისუფლების პარტია და ა.შ. ზოგიერთ მათგანს ჰყავს თავისი წარმომადგენლები პარლამენტში (საფრანგეთი, იტალია), თუმცა ისინი არც ერთ ქვეყანაში არ არიან წარმოდგენილნი პოპულარული მასობრივი პარტიების სახით.

პოლიტიკურ ცხოვრებაში არც თუ უმნიშვნელო როლს ოპოზიციური პარტიები ასრულებენ, თუმცა ისინი ერთმანეთისაგან იმ მიზნების მიხედვით განსხვავდებიან, რომლებიც თავიანთი სამოქმედო გეგმის ფარგლებში აქვთ წარმოდგენილი.

*შეურიგებელი ოპოზიცია* არსებული სოციალ-ეკონომიკური წყობილების წინააღმდეგ მებრძოლ რადიკალურ ძალად გვევლინება. ხელისუფლებისა და პოლიტიკური რეჟიმის შეცვლა - არსებული პოლიტიკური პარტიის მთავარ ამოცანას წარმოადგენს. შესაბამისად, ასეთი ოპოზიციური ძალისათვის მიუღებელია ნებისმიერი ხელისუფლება, რომელიც არსებული წყობილების ფარგლებში მართავს ქვეყანას.

განსხვავებულ ოპოზიციურ ძალას წარმოადგენს ისეთი პოლიტიკური პარტია, რომლის საქმიანობა მიმართულია კონკრეტული მთავრობის კრიტიკის მიმართულებით, თუმცა იგი ღოიადღურია არსებული პოლიტიკური წყობილების მიმართ.

*კონსტრუქციული ოპოზიცია.* ასეთი ტიპის ოპოზიციური პარტიები მხარს უჭერენ და აღიარებენ მთავრობის მიღწევებს კონკრეტულ სფეროებში, თუმცა, მათი კრიტიკის ობიექტს წარმოადგენს ხელისუფლების მიერ სხვა მიმართულებებით გატარებული პოლიტიკა.

ზოგიერთი პარტია ეროვნულ ნიადაგზე ეწევა თავის პოლიტიკურ საქმიანობას. ასეთებს მიეკუთვნებიან: ბრიტანეთის ნაციონალური პარტია, საფრანგეთის “ეროვნული ფრონტი”, შოტლანდიის ნაციონალისტთა პარტია და ა.შ.

პროფესიული საქმიანობის საფუძველზე შექმნილია მაგალითად უნგრელ მეწარმეთა პარტია.

მსოფლიოში არსებობენ ისეთი პარტიებიც, რომლებიც საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფებს მათი საერთო ინტერესების საფუძველზე აერთიანებენ. მათ

შორის ყველაზე უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭებათ “მწვანეთა” პარტიებს, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში გარემოს დამცველთა გაერთიანების საფუძველზე არიან შექმნილი. თანამედროვე ეტაპზე, “მწვანეები” მნიშვნელოვან როლს თამაშობენ ისეთი ქვეყნების პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორებიც არიან გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა, საფრანგეთი, ფინეთი და ა.შ. გარდა ამისა, “ინტერესთა მიხედვით” არსებულ პარტიათა რიცხვს მიეკუთვნებიან პოლიტიკური გაერთიანებები ისეთი ეგზოტიკური სახელწოდებებით და პროგრამებით, როგორებიც არიან: ლუდის მოყვარულთა პარტია (პოლონეთი, რუსეთი), სიყვარულის პარტია (იტალია).

საერთო ჯამში, შესაძლებელია ითქვას, რომ მსოფლიოში არსებული პოლიტიკური პარტიებიდან, დაწყებული უკიდურესი მემარცხენეებიდან და დამთავრებული უკიდურესი მემარჯვენეებით, შესაძლებელია გამოყოფილ იქნენ შემდეგი ორიენტაციის პოლიტიკური პარტიები:

1. **კომუნისტური ორიენტაციის პარტიები.** ისინი გამოდიან წარმოების საშუალებებზე საზოგადოებრივი საკუთრების დამკვიდრების ინიციატივით, ყოფილ საბჭოთა სივრცეში მოქმედი კომუნისტური პარტიები კი (პირველ რიგში რუსეთში), საბჭოთა კავშირის აღდგენას უჭერენ მხარს.
2. **სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციის პარტიები.** ისინი საკუთრების ყველა ფორმის თანასწორობას აღიარებენ. აღნიშნული პარტიები ყურადღებას ამახვილებენ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკის რეგულირების აუცილებლობაზე, ქვეყნის სოციალური მიმართულების პოლიტიკის გაძლიერებაზე. ისინი სოციალური თანასწორობის მომხრეებად გვევლინებიან და ამავე დროს, მათთვის მისაღებია პოლიტიკური პლურალიზმი და დემოკრატიული ინსტიტუტების არსებობა.
3. **ლიბერალურ-დემოკრატიული ორიენტაციის პარტიები.** ისინი მიზნად ისახავენ კონკურენტული გარემოს საფუძველზე საბაზრო ეკონომიკის მქონე საზოგადოების შექმნას, სამართლებრივი სახელმწიფოსა და სრულყოფილი სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას.
4. **ნაციონალისტური და ნაციონალ-პატრიოტული ორიენტაციის პარტიები.** ისინი მიზნად ისახავენ ერთი კონკრეტული ერის ინტერესთა დაცვას, ხშირ შემთხვევაში სხვა ერების უფლებათა შეზღუდვის ხარჯზე, პირველ რიგში სახელმწიფო სუვერენიტეტის გაძლიერებას და უარის თქმას სხვადასხვა საერთაშორისო რეგიონალურ ორგანიზაციაში სახელმწიფოს ღრმა ინტეგრაციაზე. რომელიმე კონკრეტულ ქვეყანაში ერთი კონკრეტული ერის წარმომადგენლებისაგან შექმნილი ნაციონალისტური ორიენტაციის პარტია ხშირად მხარს უჭერს გამოსვლას რომელიმე სახელმწიფოს შემადგენლობიდან და საკუთარი სახელმწიფოს შექმნას.



5. **კონფესიური, ან რელიგიური პარტიები.** მათი საქმიანობა რელიგიურ პრინციპებს ეფუძნება. ამ პარტიათა სოციალურ ბაზას პირველ რიგში მორწმუნეები წარმოადგენენ.
6. **მონარქიული პარტიები.** ისინი ამა თუ იმ ქვეყანაში მონარქიის აღდგენის მომხრეებად გვევლინებიან.
7. **ეკოლოგიური პარტიები** – მათი საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა გარემოს დაცვა, ეკოლოგიური კატასტროფის თავიდან აცილება.
8. **მარგინალური, ან არასისტემური პარტიები** – ამ პარტიებს არ გააჩნიათ წმინდა იდეურ-პოლიტიკური მიმართულება. მათ მიზანს გარკვეული აბსტრაქტული, მაგრამ მიმზიდველი ფასეულობები (ბავშვთა დაცვის პარტია, ლუდის მოყვარულთა საზოგადოება) წარმოადგენს.

ფუნქციონირების პროცესში პარტიები პარტიულ სისტემას აყალიბებენ.

**პარტიული სისტემა** – *ეს გახლავთ პარტიათა ერთობლიობა, რომლებიც მონაწილეობას იღებენ სახელმწიფო ხელისუფლების განხორციელების პროცესში* (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 156).

პოლიტიკური პარტიები, რომლებიც ამა თუ იმ სახელმწიფოს ფარგლებში ფუნქციონირებენ, ურთიერთქმედებენ რა ერთმანეთთან, პარტიულ სისტემებს აყალიბებენ. პარტიული სისტემების დახასიათებისას, სხვადასხვა ხარისხობრივი და რაოდენობრივი მახასიათებლები გამოიყენება. მაგალითად, ერთ-ერთ ძირითად ხარისხობრივ კრიტერიუმს პოლიტიკური რეჟიმის ტიპი წარმოადგენს, რომლის ფარგლებშიც კონკრეტული პოლიტიკური სისტემა ფუნქციონირებს. ამ კრიტერიუმების შესაბამისად, პარტიული სისტემები დემოკრატიულ, ავტორიტარულ და ტოტალიტარულ მიმართულებებად იყოფიან. მაგრამ, პოლიტიკური სისტემების ტიპოლოგიზაციის პროცესში, ყველაზე უფრო გავრცელებულ კრიტერიუმს რაოდენობრივი ფაქტორი წარმოადგენს. მის საფუძველზე იტალიელმა პოლიტოლოგმა ჯ. სარტორიმ პარტიული სისტემების შვიდსაფეხურებიანი კლასიფიკაცია წარმოადგინა: სისტემა ერთი პარტიით; სისტემა პარტიით, რომელშიც ერთ-ერთ პარტიას ჰეგემონური მდგომარეობა უკავია; სისტემა შედარებით დომინირებადი პარტიით; ორპარტიული სისტემა; სისტემა შეზღუდული პლურალიზმით; სისტემა უკიდურესი პლურალიზმით; ატომიზირებული სისტემა. განვიხილოთ თითოეული მათგანი უფრო კონკრეტულად:

**პარტიული სისტემა** – წარმოდგენილი ერთი პარტიით ხასიათდება იმით, რომ კონკრეტული მმართველი პარტია პოლიტიკური საქმიანობის მონოპოლიზაციას ეწევა. იგი სახელმწიფოს მმართველ ძალას წარმოადგენს და შესაბამისად, მთავარი პოლიტიკური გადაწყვეტილებები ერთი პარტიის მიერ მიიღება. სხვა

პარტიების საქმიანობა აკრძალულია. ასეთი სისტემა მოქმედებს კუბაში, ჩრდილოეთ კორეაში, გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლომდე ასეთი სისტემა არსებობდა სსრკ-ში და სხვა კომუნისტური რეჟიმის სახელმწიფოებში, 30-იანი წლების ნაცისტურ გერმანიაში.

**პარტიული სისტემა პარტიით, რომელიც ჰეგემონიას ახორციელებს.** ასეთი პარტიული სისტემა ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ყოფილი სოციალისტური ბანაკის ქვეყნებში მოქმედებდა. კერძოდ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, პოლონეთში, ჩეხოსლოვაკიაში და ა.შ. ამ დროს, ხელისუფლებაში მყოფი ერთი პარტიის (კომუნისტური) დომინანტობა, არ ზღუდავდა ხელისუფლების სატელიტი სხვა პარტიების საქმიანობას. ეს სისტემა ხასიათდება იმით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში ფორმალურად არსებობს რამდენიმე პოლიტიკური პარტია, ხელისუფლების სათავეში იმყოფება მხოლოდ ერთი. სხვა პარტიები მხარს უჭერენ მას, და შესაბამისად, არ არსებობს არანაირი ოპოზიცია. დღევანდელ დღეს, აღნიშნული სისტემა არსებობს ჩინეთში, სადაც კომუნისტური პარტიის გარდა, რომლის ხელშიც კონცენტრირებულია პოლიტიკური ძალაუფლება, ასევე კიდევ ოთხი პოლიტიკური პარტია ფუნქციონირებს.

**სისტემა დომინირებადი პარტიით** – ხასიათდება იმით, რომ მიუხედავად იმისა, რომ ყველა პარტიის შესაძლებლობები ერთნაირია (რაც განსაზღვრულია კანონით), ფაქტიურად ხელისუფლებაში მხოლოდ ერთი პოლიტიკური პარტია იმყოფება. ბოლო დრომდე, ასეთ პოლიტიკური პარტიას წარმოადგენდნენ იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია და ინდოეთის ეროვნული კონგრესი.

**ორპარტიული სისტემა.** ამ სისტემის პირობებში, პარტიათა რაოდენობის მიუხედავად, ქვეყანაში გადამწყვეტი მნიშვნელობა მხოლოდ ორ პარტიას ენიჭება და მხოლოდ მათ ძალუბთ ხელისუფლებაში ერთმანეთის შეცვლა. ამ სისტემის კლასიკურ მაგალითს წარმოადგენს აშშ, სადაც ხელისუფლებაში პერიოდულად ერთმანეთს ენაცვლებიან დემოკრატიული და რესპუბლიკური პარტიები. ქვეყანაში რეგისტრირებულნი არიან სხვა პოლიტიკური პარტიებიც, თუმცა ისინი ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე გარკვეულ გავლენას არ ახდენენ. ორპარტიული სისტემა, ეს გახლავთ პოლიტიკურ ძალთა ხანგრძლივი შერჩევისა და მათი კონსოლიდაციის შედეგი. ორპარტიული სისტემის ერთ-ერთ არსებით ნაკლოვანებას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ხდება ყურადღების კონცენტრირება მოწინააღმდეგის კრიტიკაზე და არა თავის ღირსებებზე. გარდა ამისა, ამ სისტემის ერთ-ერთ ნაკლოვანებას წარმოადგენს ის, რომ იგი გამორიცხავს ერთიანი პოლიტიკური ცენტრის წარმოქმნასა და მის ფუნქციონირებას.

**შეზღუდული პლურალიზმის სისტემა.** იგი გახლავთ მრავალპარტიული სისტემის ერთ-ერთი სახეობა, რომლის მთავარი დამახასიათებელი გახლავთ ქვეყანაში მოქმედი ყველა პარტიის მიერ მთავრობის საქმიანობაში მონაწილეობაზე ორიენტაციის აღება. იდეოლოგიური თვალსაზრისით ამ პარტიებს შორის არც თუ ისეთი მნიშვნელოვანი განსხვავებები არსებობს. მის ერთ-ერთ ნათელ მაგალითს ბელგია წარმოადგენს.

**უკიდურესი პლურალიზმის სისტემა.** მრავალპარტიული სისტემის ანალოგიური ტიპი პირველ რიგში იმით ხასიათდება, რომ მასში გაერთიანებულები არიან ის პარტიები, რომლებიც არსებული სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ გამოდიან; მეორე - ოპოზიციური პარტიები მთავრობისაგან ორივე მიმართულებით (მემარცხენე, მემარჯვენე) არიან განლაგებულნი. ისინი ხელისუფლებას როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ფრთიდან აკრიტიკებენ და ამავე დროს, ასევე აკრიტიკებენ ერთმანეთს. მესამეც, რამდენიმე პარტიას “ცენტრისტული” პოზიცია უკავია.

**ატომიზირებული პარტიული სისტემა.** ეს გახლავთ მრავალპარტიული სისტემა, სადაც რამდენიმე ათეული პარტიაა რეგისტრირებული (მალაიზია, ბოლივია და ა.შ.).

**ზემოაღნიშნული პარტიული სისტემები სამი გამსხვილებული ჯგუფის ფარგლებში შეგვიძლია განვიხილოთ:** ერთპარტიული, ორპარტიული და მრავალპარტიული. ამ შემთხვევაში ისმის კითხვა, თუ რომელი სისტემაა ამ სამს შორის ყველაზე მისაღები. თუმცა, აღნიშნული საკითხი, მეტად რთული დისკუსიის საგანს წარმოადგენს.

რიგი სახელმწიფოების (აშშ, ბრიტანეთი, ირლანდია, კანადა, ავსტრალია) გამოცდილება ორპარტიული სისტემის უპირატესობაზე მიუთითებს, რადგან, მას საზოგადოებისათვის მოაქვს სტაბილურობა, შესაბამისი ვითარებიდან გამომდინარე ადგილი აქვს მთავრობის კურსის ცვლილებას, ხოლო მოქალაქეებს თავისუფალი არჩევანის შესაძლებლობა ეძლევათ. რასაკვირველია, აღნიშნული მოდელი არ გახლავთ იდეალური, რადგანაც, იგი “მესამე პარტიების” პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობას ამცირებს.

რიგ ქვეყნებში მეტად წარმატებით ფუნქციონირებს დომინირებადი პარტიის სისტემა (მაგ: იაპონიის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია). ხოლო სხვა სისტემების პირობებში არც თუ წარუმატებლად ფუნქციონირებს ზომიერი პლურალიზმის სისტემა (ნიდერლანდები, ბელგია, დანია, ავსტრია). რა თქმა უნდა, არ არსებობს ამა თუ პარტიული სისტემის უპირატესობის დამამტკიცებელი ერთიანი სტანდარტი. ამავე დროს, პარტიათა საქმიანობის ერთ-

ერთ უმთავრეს კრიტერიუმს წარმოადგენს პარტიული სისტემის შესაძლებლობა, გულისხმიერად მოეკიდოს მოსახლეობის საჭიროებებს და სწორე მიმართულებით აამოქმედოს მმართველი სტრუქტურების დემოკრატიული კონტროლის მექანიზმები.

#### **თავი. 42. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები და მათი როლი საზოგადოების ცხოვრებაში**

*საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა გახლავთ მოქალაქეთა დიდი ჯგუფის სოლიდარული პოლიტიკური აქტიურობა, რომელიც რაიმე საერთო პოლიტიკური მიზნის მიღწევაზეა ორიენტირებული. თანამედროვე პირობებში ასეთი მოძრაობების მეტად დიდი რიცხოვნობა შეინიშნება (Грязнова А.Г. Завялов В.Г. 2002).*

აღნიშნულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობებში შესაძლებელია სხვადასხვა სოციალურ, კონფესიურ, ეთნიკურ ნიადაგზე წარმომადგენელთა გაერთიანება. ამ შემთხვევაში, აღნიშნული ორგანიზაციის ინტერესის სფეროში შეიძლება მოექცეს პოლიტიკური პარტია ან პოლიტიკური ბლოკი. როგორც წესი, პოლიტიკური მოძრაობა ძალიან ხშირად სპონტანურად ყალიბდება და მისი შექმნა გარკვეული პოლიტიკური ამოცანის შესრულებასთანაა დაკავშირებული. აღნიშნული მიზნის განხორციელების შემდეგ, როგორც წესი, აღნიშნული მოძრაობები იშლებიან. არსებობს საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების სხვა დამახასიათებელი ნიშნებიც, რომლითაც ისინი პოლიტიკური პარტიებისაგან განსხვავდებიან:

1. თავიანთი ამოცანების გადაწყვეტის მიზნით აღნიშნული მოძრაობები ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ ხელისუფლებაზე, თუმცა მათ მიზანს ხელისუფლებაში მოსვლა არ წარმოადგენს;
2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების ფარგლებში ხშირ შემთხვევებში არ არსებობს ძლიერი პოლიტიკური ცენტრი;
3. საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცენტრებში ფართოდაა გავრცელებული კოლექტიური წევრობა, რაც პარტიებში (იშვიათი გამონაკლისის გარდა) დაშვებული არ გახლავთ;
4. პოლიტიკურ პარტიებთან შედარებით, პოლიტიკური მოძრაობების იდეურ-პოლიტიკური ორიენტაცია ხშირად ნაკლები კონკრეტულით გამოირჩევა, თუმცა ამავე დროს, დასახული მიზანი უფრო კონკრეტულია.

შესაძლებელია საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების მრავალი მაგალითის მოყვანა.

**რეგოლაციური მოძრაობა** – ამ მოძრაობის მასობრივი ქმედებები არსებული საზოგადოებრივ-პოლიტიკური რეალობის სრული ცვლილებებისკენაა მიმართული,

მათ შორის ორგანიზაციის მიზნებში შედის სახელმწიფოს მრავალი სოციალური ინსტიტუტის – სასამართლო სისტემის, საგანმანათლებლო სისტემის და სხვ. ინსტიტუტებში კარდინალური ცვლილებების განხორციელება.

ამრიგად, რევოლუციური მოძრაობები არსებული პოლიტიკური სისტემის დანგრევისა და ახალი პოლიტიკური და სოციალური წესრიგისა და ახალი სახელისუფლებო სისტემის შექმნაზე არიან ორიენტირებულები.

**რეფორმისტული მოძრაობები** – მასობრივი პოლიტიკური მოძრაობები, რომლებიც ორიენტირებულები არიან არა არსებული სოციალ-ეკონომიკური სისტემის დანგრევაზე, არამედ ისინი რადიკალური რეფორმების განხორციელებას მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლების მიზნით ესწრაფვიან.

**ოპოზიციური მოძრაობები** – მეტ-ნაკლებად მასობრივი მოძრაობები, რომელშიც მონაწილეობენ ის ადამიანები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოხატავენ იმით, რომ სოციალური ხასიათის რეფორმები ქვეყანაში მიმდინარეობს ან ძალიან სწრაფი, ან ნელი ტემპით და არათანმიმდევრულად.

**ეკოლოგიური მოძრაობები** - მასობრივი ქმედებები, რომლებსაც არა მხოლოდ ეკონომიკური თუ სოციალური ხასიათის მოთხოვნები გააჩნიათ, არამედ მათი პირველადი მოთხოვნა იმ ეკოლოგიურ ასპექტებს უკავშირდება, რათა არ იქნეს დაშვებული ქვეყანაში არსებული ბუნებრივი გარემოს დაზიანება და ა.შ.

**ახალგაზრდული მოძრაობები** – მასობრივი მოძრაობები, რომლებშიც ჩართულნი არიან ახალგაზრდა ადამიანები, რომლებიც ახალგაზრდა თაობისათვის შესაბამისი საცხოვრებელი პირობების შექმნას ითხოვენ, მათ სურვილს ასევე წარმოადგენს პროფესიის თავისუფალი არჩევის შესაძლებლობის, ავტონომიის, ცხოვრების სტილის და ა.შ. უზრუნველყოფა.

**ფემინისტური (ქალთა) მოძრაობები** – წარმოადგენენ მასობრივ მოძრაობებს, რომელთა მიზანია ქალთა უფლებების მამაკაცის უფლებებთან გათანაბრება, დედობის ინსტიტუტის ეფექტური დაცვა. აღნიშნული მოძრაობების განვითარება დაკავშირებულია ბურჟუაზიულ რევოლუციებთან საფრანგეთში, ინგლისში, აშშ-ში.

**ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობები** – მათ ახლავთ მასობრივი გამოსვლები, რომლებიც უცხოური ბატონობისგან განთავისუფლებისკენ, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვებასა და შესაბამისად, სუვერენული სახელმწიფოს შექმნისკენაა მიმართული.

**მოძრაობები მშვიდობის დასაცავად** – წარმოადგენენ მასობრივ გამოსვლებს ახალი ომის დაუშვებლობისა და ხალხებს შორის მეგობრობისა და მშვიდობის განმტკიცების და ა.შ. მიმართულებით.

**პაციფიზმი** – ანტისაომარი საქმიანობა, რომლის მომხრეები გამოდიან ომებისა და სამხედრო – პოლიტიკური ბლოკებისა და ალიანსების წინააღმდეგ.

საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები თავიანთ ამოცანებსა და ფუნქციებს ასრულებენ, განსხვავდებიან რა პოლიტიკური პარტიებისაგან, ისინი მოსახლეობის ფართო მასების ინტერესებს გამოხატავენ, აყალიბებენ გავლენიან პოლიტიკურ ძალას, რომელიც გარკვეული პოლიტიკური მიზნის მისაღწევადაა გამიზნული.

### **თავი 43. ინტერესთა ჯგუფები (ლობიზმი)**

*ინტერესთა ჯგუფები და მათი როლი.* მოქალაქეთა კონკრეტული ჯგუფი იმ ინდივიდთა ორგანიზებულ ერთობას წარმოადგენს, რომელსაც კონკრეტული პოლიტიკური მიზნები აერთიანებს და რომელიც ცდილობს გავლენა მოახდინოს პოლიტიკურ გადაწყვეტილებებზე.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ყველაზე ცნობილ ინტერესთა ჯგუფს წარმოადგენენ “ამერიკის შრომის ორგანიზაცია და საწარმოო პროფკავშირების კონგრესი”, “ამერიკის ფერმერთა ბიუროების ასოციაცია” (იცავს ფერმერთა ინტერესებს), “ბიზნესმენტა მრგვალი მაგიდა” (წარმოადგენს მსხვილ ბიზნესს) და “საერთო საქმე” (წარმოადგენს ხელისუფლების მიერ განხორციელებული რეფორმებით დაინტერესებულ მოქალაქეებს). ინტერესთა ჯგუფებს ხანდახან ლობის უწოდებენ, ხოლო მათ წარმომადგენლებს კი – ლობისტებს (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 2005. გვ. 38).

**ლობირების** მიზანია დაარწმუნონ ხელისუფლება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ინტერესების გათვალისწინების აუცილებლობაში. შეიძლება ითქვას, რომ ლობისტები გამოხატავენ საზოგადოების გარკვეული ჯგუფის ინტერესებს და ცდილობენ მიაღწიონ ხელისუფლებასთან შეთანხმებას, რათა დაცულ იქნეს ამ ჯგუფების ცალკეული ინტერესები. ლობისტები გამუდმებით აწვდიან ინფორმაციას ხელისუფლებას იმ ჯგუფის შესახებ, რომელთა ინტერესებსაც იცავენ. შესაბამისად, ხელისუფლებას ინტერესთა ჯგუფებთან თანამშრომლობის შედეგად შესაძლებლობა ეძლევა ფლობდეს შესაბამის ინფორმაციას საკუთარი ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი სურვილებისა და მისწრაფებების შესახებ. ამავე დროს, ლობისტები ხელისუფლების მიერ გადაწყვეტილების მიღების ბიუროკრატიული ტექნოლოგიის სფეროში არიან კომპეტენტურნი.

*ინტერესთა ჯგუფების როლი.* დაინტერესებული ჯგუფის პოლიტიკის “მანკიერი” მხარე ნათელია: თითოეულ ჯგუფს გააჩნია თავისი ეგოისტური ინტერესები, რომელიც ყოველთვის არ ემსახურება საზოგადოების დანარჩენი ჯგუფების ინტერესებს (მაგ: სკანდალი გასული საუკუნის 90-იანი წლების საქართველოს პარლამენტში პიროლიზებული ფისის შემოტანასთან დაკავშირებით, რომელიც მაინე

მინარევებს შეიცავს ჯანმრთელობისათვის), მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი ყოველთვის ცდილობს, რომ დაამტკიცოს საწინააღმდეგო ინტერესთა ჯგუფების “დადებითი” მხარე შეიძლება არც ისე ნათელი იყოს. რა დადებითი მახასიათებლები შეიძლება გააჩნდეს ინტერესთა ჯგუფებს სახელმწიფოს პოლიტიკური სისტემის ფარგლებში?

1. წარმომადგენლობა – (ინტერესთა ჯგუფები წარმოადგენენ ხალხს ხელისუფლების წინაშე);
2. მონაწილეობა – (იძლევიან პოლიტიკური მონაწილეობის საშუალებას საერთო მიზნის მისაღწევად);
3. განათლება – (მიზნის განხორციელების პროცესში თავიანთ წევრებს, მთლიანად საზოგადოებას და მთავრობის მოხელეებს განათლების მიღებაში ეხმარებიან);
4. პოლიტიკური დღის წესრიგის ჩამოყალიბება – (მათ პოლიტიკურ არენაზე გამოაქვთ ახალი საკითხები);
5. პროგრამების მონიტორინგი – (ისინი თვალს ადევნებენ ამომრჩეველთათვის მნიშვნელოვან სამთავრობო პროგრამებს და მათ შესრულებას ადგილებზე) (ე. შუბითიძე ვ. ფერაძე. 39).

ინტერესთა ჯგუფების მიერ კონცენტრირებული ფინანსური რესურსების ნაწილი ლობისტების საქმიანობის ასანაზღაურებლად გამოიყენება, ანუ ხორციელდება ჰონორარების გაცემა იმ ადამიანებისათვის, რომლებიც ორგანიზაციას შესაბამის სამთავრობო სტრუქტურებთან აკავშირებენ. ლობისტების დაფასება ხდება მათი პროფესიონალიზმისა და გამოცდილების გათვალისწინებით. მათ გააჩნიათ ინფორმაცია ხელისუფლების მუშაობის სისტემის შესახებ. ჩვეულებრივ, ეს გახლავთ ხალხი, რომლებიც თავის დროზე ჩართულნი იყვნენ ხელისუფლების საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობაში და ამ სფეროში მუშაობის უშუალო გამოცდილება გააჩნიათ.

არსებობს ლობირების 3 ტაქტიკა:

1. უშუალო ლობირება (მიმართულია პოლიტიკის შემმუშავებელთა მიმართ და ინტერესთა ჯგუფების წარმომადგენელთა საშუალებით ხორციელდება. პერსონალური ლობირება ყოველდღიური პროცესია – მაგ: აშშ-ის ბუნებრივი აირის ასოციაციის ლობისტებს აქვთ ხელისუფლების 1200 წარმომადგენლის სია, რომლებიც “ხშირად უნდა მოინახულონ, რათა არაოფიციალურად ისაუბრონ მათთან და ინფორმაცია მიაწოდონ ასოციაციის საქმიანობის შესახებ”. ლობისტების ჯგუფის მმართველ გუნდს ასევე გააჩნია მაღალი რანგის მთავრობის მოხელეების მოკლე, 104 კაციანი სია. ამიტომაც,

ლობისტები ცდილობენ შესვდნენ თითოეულ მაღალი თანამდებობის პირს დასახული მიზნის მიღწევის მიზნით).

2. ფართო მასების ლობირება (მასში ჩართულნი არიან დაინტერესებული ჯგუფების რიგითი წევრები, აგრეთვე ის ხალხი, რომლებიც არ არიან ამ ორგანიზაციების წევრები, მაგრამ თანაუგრძობენ მათ პოლიტიკურ მიზნებს. თუ ხელისუფლების წარმომადგენლები უპასუხოდ ტოვებენ ლობირების კონვენციურ (ჩვეულ) ტაქტიკას, ჯგუფმა შეიძლება მიმართოს პოლიტიკური პროტესტის რაიმე ფორმას, მაგალითად გაფიცვას, გამოსვლას და ა.შ.).
3. საინფორმაციო კომპანიები (იგი საზოგადოების მხრიდან მხარდაჭერისკენაა მიმართული). ინტერესთა ჯგუფები აცნობიერებენ, რომ საზოგადოებრივი მხარდაჭერა მათ ლობირების პროცესში დამატებით შესაძლებლობებს გაუხსნის. სწორედ ამიტომ, ინტერესთა ჯგუფები საინფორმაციო კამპანიებს აწარმოებენ, ანუ, ისინი საზოგადოების მხარდაჭერის მოპოვებისათვის გამიზნულ ორგანიზებულ საქმიანობას ეწევიან, რომლის მეშვეობითაც ჯგუფი თავის პოზიციას აცნობს შესაბამის დაინტერესებულ პირებს. “პაბლიკ რელეიშენსი” (Public Relations) ერთ-ერთ საინფორმაციო ტაქტიკას წარმოადგენს. ამ პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა შეხვედრების ორგანიზება, ბროშურებისა და პროსპექტების შედგენა და გავრცელება. აღნიშნული ტაქტიკის ერთ-ერთი მეთოდია განცხადებების გამოქვეყნება მას-მედიის საშუალებებში, მაგრამ ეს ძვირადღირებული ტაქტიკაა (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 39).

ინტერესთა ჯგუფები კიდევ ერთი საშუალებითაც ახორციელებენ ზეწოლას თავისი მიზნების მისაღწევად. ეს გახლავთ კვლევის ჩატარება, როდესაც ჯგუფს მიაჩნია, რომ მას შეუძლია კონკრეტულ მკვლევართა ჯგუფს ლობისტთა ინტერესებში შემაჯავლი საკითხის შესწავლის შესახებ მოელაპარაკოს. ზოგიერთი ჯგუფი თვლის, რომ პარლამენტში სახელობითი კენჭისყრის შედეგების გამოქვეყნება საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების კარგი საშუალებაა.

ლობირების ტაქტიკის საბოლოო ასპექტია კოალიციის შექმნა. ამ დროს, ერთობლივი ლობირების მიზნით რამდენიმე ორგანიზაცია ერთიანდება. აღნიშნული ერთობლივი ძალისხმევა ეხმარება ერთიან პოზიციასზე მყოფ ჯგუფებს რესურსების დაზოგვასა და უფრო ეფექტიან გამოყენებაში. კოალიცია ყველაზე ხშირად იქმნება იმ ჯგუფების მიერ, რომლებიც ერთსა და იმავე პოლიტიკურ სფეროში მონაწილეობენ და ერთმანეთთან დაახლოებული პოლიტიკური შეხედულებები გააჩნიათ (მაგ: ქალთა უფლებების დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციები და სხვ.). უკანასკნელ პერიოდში, მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში გაიზარდა იმ ორგანიზაციათა რიცხვი, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც საზოგადოებრივი ინტერესების დამცველი ჯგუფები. საერთოდ, ითვლება, რომ ასეთ ჯგუფებს არ გააჩნიათ პირადი ეკონომიკური



ინტერესი (მაგ: ასეთია გარემოს დაცვის ჯგუფები, რომლებიც დაბინძურების კონტროლის ფარგლებში უფრო მკაცრი კანონების მისაღებად იბრძვიან, ან ჯგუფები, რომლებიც ჯართის და ხე-ტყის გატანის წინააღმდეგნი არიან და სხვ. ასეთი ნორმების დადგენის შედეგად ისინი არ ელოდებიან რაიმე ფინანსურ მოგებას, სარგებელი აქ იდეოლოგიური და ესთეტიკურია).

აგრეთვე, აღსანიშნავია, რომ მთელს მსოფლიოში მატულობს ამა თუ იმ ბიზნესის ლობისტთა რაოდენობა, რომელთა ძალისხმევაც პარლამენტში სამეწარმეო სუბიექტებისათვის სასარგებლო კანონების მიღებისკენაა მიმართული.

ლობისტური ჯგუფი ან ცალკეული ლობისტი შეიძლება წარმოადგენდეს მთელს ქვეყანას მეორე ქვეყნის ხელისუფლების წინაშე. მაგ: საუბრობენ ისრაელის სახელმწიფოსა და სომხეთის ოფიციალურ ლობისტებზე აშშ-ის კონგრესსა და მთავრობაში, რომლებიც იცავენ შესაბამისად ისრაელის (მაგ: ახლო აღმოსავლეთის საკითხებში) და სომხეთის (მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის საკითხებში და სხვ.) ინტერესებს აშშ-ში, ლობირებას უწევენ ისრაელისა და სომხეთისათვის საჭირო და სასარგებლო გადაწყვეტილების მიღებას და ა.შ. ამერიკელ კონგრესმენტთა წლიური ხელფასები ათეულ ათასობით დოლარია და ამ თანხის გადახდა დამჭირავებელი ქვეყნების ხაზინიდან წარმოებს.

მიუხედავად იმისა, რომ ინტერესთა ჯგუფების რიცხვი იზრდება და გარკვეულ ცვლილებებსაც განიცდის, ძირითადი პრობლემა, რომელიც 200-ზე მეტი წლის წინ დააყენა მედისონმა, კვლავ გადაუჭრელი რჩება: თავისუფალ და ღია საზოგადოებაში ჯგუფები ყალიბდება, რათა გაატარონ მათთვის სასარგებლო პოლიტიკა უფრო ფართო ეროვნული ინტერესების ხარჯზე. ინტერესთა ჯგუფების სისტემა საფრთხეს უქმნის პოლიტიკური თანასწორობის იმ იდეას, რომელიც ჩამოყალიბებულია პრინციპში “ერთი ადამიანი – ერთი ხმა” (ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. 42).

## ნაწილი 7. პოლიტიკური შეხედულებები და იდეოლოგიები

**თავი 44. პოლიტიკური ცნობიერება: შინაარსი. პოლიტიკური იდეოლოგიების არსი და ფუნქციები**

*პოლიტიკური ცნობიერება – საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ ძირითად ფორმას წარმოადგენს. მისი წარმოშობა სახელმწიფოსა და საზოგადოებრივ - პოლიტიკური ორგანიზაციის ჩამოყალიბებას უკავშირდება. ამასთანავე, უძველესი მოაზროვნეები - პლატონი, არისტოტელე და სხვები პოლიტიკურ ცნობიერებას საზოგადოებისა სახელმწიფო ინსტიტუტების ფუნქციონირებასა და პოლიტიკურ სივრცეში ადამიანთა ქცევის ნორმათა სისტემას უკავშირებენ. უკვე უძველესი დროიდან იწყება პოლიტიკური წარმოდგენებისა და იდეების ფორმირება, სადაც აღნიშნული ცნება მოიაზრებოდა როგორც სპეციალურ ავტონომიურ სისტემაში შემავალი სოციუმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი (Каменская. 2005. Стр. 163).*

*პოლიტიკური ცნობიერება - საზოგადოებრივი ცნობიერების სფეროს წარმოადგენს, რომელიც სოციალური პროცესების ფარგლებში არსებული წარმოდგენების, შეხედულებების მიხედვით იქმნება და იგი რეალურ პოლიტიკურ ურთიერთობებს განასახიერებს და ამავე დროს, ამ ურთიერთობათა განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს (Каменская. 2005. Стр. 163).*

პოლიტიკური ცნობიერება ინდივიდუალურ შეხედულებებში, ცალკეულ მოქალაქეთა ქმედებებში ჰპოვებს თავის რეალიზაციას. კოლექტიური შეხედულებები თავის მხრივ იმ საზოგადოებრივ გრძნობებს წარმოადგენენ, რომლებიც ინდივიდუალური ცნობიერების ფარგლებს გარეთ არსებობენ.

*პოლიტიკური ცნობიერების შემადგენელი – პოლიტიკური საქმიანობის პროცესში ვლინდება, იგი შეზღუდულია, ინტეგრირებულია პოლიტიკურ სტრუქტურაში და პოლიტიკური პროცესების ფუნქციონირების ფარგლებშია მოქცეული. პოლიტიკური ცნობიერების შემადგენელი აბსტრაქტული წარმოდგენებისა და ხელისუფლებისა და პოლიტიკური ურთიერთობების ფარგლებში ფორმირდება.*

*პოლიტიკური ცნობიერების არსებითი თვისებაა – მისი კონკრეტული ისტორიული ხასიათი. პოლიტიკურ ცნობიერებაში პირველ რიგში საზოგადოებაში გაბატონებული ჯგუფების შესახებ აზრი ვითარდება. პოლიტიკური ცნობიერების არც თუ ისე უმნიშვნელო თვისებაა – მისი დინამიურობა, ცვალებადობა, რაც პოლიტიკური ყოფის ცვალებადობასთანაა დაკავშირებული.*

პოლიტიკური ცნობიერება – ეს გახლავთ მეტად რთული წარმონაქმნი. მასში გადაიკვეთება საერთო სულიერ კომპლექსში არსებული ფსიქოლოგიური ფენომენები და იდეოლოგიური სისტემები, სპეციალიზირებული თეორიული შეხედულებები,

რომლებიც პოლიტოლოგების მიერაა ფორმულირებული და მათ საფუძველზე შემუშავებულია კონკრეტული პოლიტიკური კონცეფციები, დოქტრინები, პროგრამები და ნორმები, პოლიტიკური ცოდნა და მასობრივი ცნობიერება, რომელიც პოლიტიკაზე, ხელისუფლებაზე და რიგითი მოქალაქეების საზოგადოებრივ საქმეებზე წარმოდგენას აყალიბებს. პოლიტიკური სულის რთულ კალეიდოსკოპურ მოვლენებში პოლიტიკის გაგების და პოლიტიკური აღქმის სამი მეთოდი განიხილება:

1. კოგნიტიური, ე.ი. სისტემის აღქმა, მისი ფუნქციონირების წესების, ასევე პრობლემებისა და წინააღმდეგობების გაანალიზება;
2. ემოციური ე.ი. პოლიტიკური რეალობების დადებითი და უარყოფითი ემოციებისა და გრძნობების სახით გაგება;
3. შეფასებითი – ეს გახლავთ პოლიტიკური ქმედებების და მათი შედეგების შეფასება;

პოლიტიკური ცნობიერების შესახებ აღნიშნული კლასიფიკაცია წარმოდგენილ იქნა ამერიკელი პოლიტოლოგების გ. აღმონდისა და ს. ვერბას მიერ (Pygachev B.П. Соловьев А.И. 1997).

პოლიტიკური რეალობის აღნიშნული მეთოდების გაგება ფიქსირდება ცნობიერების ფარგლებში. მოცემული ცნობიერების შემადგენლობაში მოქმედებენ შემდეგი ელემენტები – ჯანსაღი აზრი და პოლიტიკური ილუზიები, სურვილები, რომლებიც პოლიტიკური გარემოს ზემოქმედების შედეგად ფორმირდება.

პოლიტიკური ელემენტების უფრო ღრმა გაცნობიერება ცოდნისა და შეფასებების სისტემაში, თეორიებში, პრინციპებსა და იდეალებში ვლინდება. სხვანაირად რომ ვთქვათ, ისინი ვლინდება **სპეციალიზირებული პოლიტიკური თეორიებისა და იდეოლოგიების** დონეზე. თითოეული ხალხის პოლიტიკური ცნობიერება, ნებისმიერი სოციალური საზოგადოება მისთვის დამახასიათებელი მენტალიტეტის ზეგავლენით ფორმირდება და ფუნქციონირებს. მენტალობის გაგება თავის თავში მოიცავს იმ რაღაცა საერთოს, რომელიც ცნობიერისა და არაცნობიერის, ლოგიკისა და ემოციურის საფუძველში იმყოფება. თავისი შინაარსის მიხედვით, მენტალობა ცნობიერების ელემენტების ერთობლიობას წარმოადგენს: იგი ემოციების, ხასიათების, და მათთან დაკავშირებულ პოლიტიკური ქცევის მოდელებში გამოისახება.

პოლიტიკურ ცნობიერებაში განსაკუთრებულ ადგილს იდეოლოგია იკავებს. იდეოლოგიის საფუძველში რეალობის შესახებ ცოდნა ფიქსირდება. ამასთანავე - იდეოლოგია გახლავთ ის ღირებულებითი სისტემა, რომელიც გამოხატავს თავის დამოკიდებულებას არსებულ საზოგადოებრივ წესრიგთან, იგი აყალიბებს პოლიტიკურ იდეალებს, პრინციპებს, ნორმებს, მიზნებს, ქცევის თავისებურებებს.

იდეოლოგიის მეშვეობით პოლიტიკური ძალები თავიანთ მიზნებსა და აღნიშნული მიზნების რეალიზაციის მეთოდებს შეიმუშავენ. იდეოლოგიის საფუძველზე პოლიტიკური კონცეფციები, დოქტრინები და პროგრამები ყალიბდება. იდეოლოგია ქმნის კოლექტიური პოლიტიკური ქმედებებისა და ქცევის სამოტივაციო ბაზას.

პოლიტიკური იდეოლოგია წარმოადგენს პოლიტიკური ცნობიერების ერთ-ერთ ყველაზე უფრო გავლენიან ფორმას, რომელიც სახელისუფლებო ურთიერთობებზე ზემოქმედებს. ტერმინი “პოლიტიკური იდეოლოგია” დანერგა ფრანგმა მეცნიერმა ა. დე ტრესიმ XVIII ს-ში, კერძოდ 1796 წელს (Heywood A. 1998. P.6).

*პოლიტიკური იდეოლოგია – საზოგადოებრივი ცნობიერების ფუნქციონალურ მახასიათებელს წარმოადგენს, რომელიც საზოგადოებრივ ყოფიერებას და ამა თუ იმ სოციალური ჯგუფების, კლასების, პოლიტიკური ინტერესების პოზიციებს განასახიერებს (Heywood A. 1998. P.5).*

როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების სპეციფიური ფორმა, პოლიტიკური იდეოლოგია ხელისუფლების რეალიზაციის ორგანიზაციაში გარკვეულ ფუნქციებს ასრულებს.

პოლიტიკური იდეოლოგიის ფუნქციები გახლავთ შემდეგი:

- მასობრივ პოლიტიკურ ცნობიერებაზე ზემოქმედება;
- კონკრეტული იდეოლოგიური მიმართულების მიერ წარმოდგენილი პოლიტიკური ხაზის პოზიტიური თვისების ფორმირება, მისი შესაბამისობა მოსახლეობის ინტერესებთან;
- საზოგადოების გაერთიანება, მისი ერთ პოლიტიკურ ორგანიზმად ინტეგრირება;
- როგორც ცალკეული მოქალაქეების, ასევე პარტიებისა და მოძრაობების პოლიტიკური ქცევის სტიმულირება და მოტივაცია.

აუცილებელია ერთმანეთისაგან განვასხვავოთ პოლიტიკური იდეოლოგიის ფუნქციონირების შემდეგი დონეები:

*თეორიულ-კონცეფტუალური* – რომლის ფარგლებშიც ფორმირდება ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც ცალკეული კლასის, ერის, რომელიმე პოლიტიკური გაერთიანების მიმდევრებს და სახელმწიფოს ღირებულებებსა და იდეალებს აყალიბებს.

*პროგრამულ-პოლიტიკური* – რომელთა საფუძველზეც სოციალ-ფილოსოფიური პრინციპებისა და იდეალების ასახვა ხდება პროგრამებში, პოლიტიკური ელიტის

ლოზუნგებსა და მოთხოვნებში. ფორმირებენ რა ამ საფუძველზე, იქმნება შესაბამისი ნორმატიული ბაზა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ შესაბამისი გადაწყვეტილებების მისაღებად და მოქალაქეთა პოლიტიკური ქცევის სტიმულირების მიზნით.

**აქტუალიზირებული** – დამახასიათებელია მოქალაქეთა მიერ კონკრეტული იდეოლოგიის მიზნებისა და პრინციპების დაუფლება, მათი პრაქტიკულ საქმიანობაში და ქმედებებში დანერგვა. აღნიშნული დონე შესაძლოა ხალხის მიერ პოლიტიკური იდეოლოგიური პრინციპების დამკვიდრების მიმართულებით ვერსიათა მეტად ფართო სპექტრით ხასიათდებოდეს, კერძოდ: დაწყებული პოლიტიკური პოზიციების უმნიშვნელო ცვლილებებიდან, რომლებიც მოქალაქეთა პოლიტიკურ მრწამსზე არ ზემოქმედებენ, ხალხის მიერ თავისი პოლიტიკური შეხედულებების, როგორც მეტად ღრმა მსოფლმხედველობითი ორიენტირების ცვლილებებით დამთავრებული.

#### **თავი 45. თანამედროვე მსოფლიოს ძირითადი პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოქტრინები**

თანამედროვე მსოფლიოში ლიბერალიზმის, კონსერვატიზმის, ანარქიზმის, რეფორმიზმის, სოციალიზმის, კომუნიზმის, ფაშიზმის კლასიკური იდეები ტრანსფორმაციას განიცდიან, ისინი ეგუებიან პოსტინდუსტრიული და გარდამავალი ეპოქების იმ რეალიებს, რომლებიც დღევანდელ მსოფლიოში დომინირებენ. თითოეული პოლიტიკური მიმდინარეობის საფუძველს იდეოლოგიური დოქტრინა წარმოადგენს – რაც თავის მხრივ საზოგადოებრივ იდეალებზე არსებულ წარმოდგენათა ერთობლიობას ეფუძნება. იდეოლოგიებზე საუბრისას, ყურადღება ფოკუსირებულია პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემისა და ჩამოყალიბებული კონკრეტული პოლიტიკური დოქტრინების საფუძველზე მასობრივი პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ. თავის მხრივ, თითოეული დოქტრინა თავის მრავალრიცხოვან მიმდინარეობებს წარმოშობს. უკვე XX საუკუნეში, ადგილი ჰქონდა XVII-XIX საუკუნეებში ჩამოყალიბებული პოლიტიკური დოქტრინების ტრანსფორმაციას, ამიტომაც, ორი-სამი საუკუნის წინ შექმნილი იდეოლოგიები დღევანდელ ეტაპზე უკვე შესაბამის ნეოიდეოლოგიებად გვევლინებიან. მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში “ახალი მემარჯვენეებისა” და “ახალი მემარცხენეების”, ნეოფაშისტების, ნეო-ლიბერალების, ნეოკონსერვატორების და ნეოკომუნისტების ჯგუფები ჩამოყალიბდა, ასევე დაიწყო პოლიტიკური ისლამის დაყოფა უფრო ფუნდამენტალურ და თანამედროვე მიმართულებებად.

განვიხილოთ თანამედროვე მსოფლიოს მთავარი პოლიტიკურ-იდეოლოგიური დოქტრინები:

**ლიბერალიზმი** – (liberals-თავისუფალი) ისტორიულ წარსულშიც და თანამედროვე პერიოდშიც ყველაზე უფრო გავრცელებულ, იდეოლოგიურ-პოლიტიკურ დოქტრინას ლიბერალიზმი წარმოადგენს. იგი თავის თავში მოიცავს შეხედულებათა სისტემას თანამედროვე სამყაროზე, აგრეთვე იმ პრინციპებს, რომლებიც ჩადებულია მთავრობათა სოციალ-ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრატეგიებში, პოლიტიკური პარტიების პროგრამებში და ლიბერალური ორიენტაციის პოლიტიკური მოძრაობების პრინციპებში. უფრო მეტიც, ლიბერალიზმი ეს არ არის მხოლოდ თეორია, არამედ იგი გახლავთ სოციალური პრაქტიკაც, საზოგადოებრივი ცნობიერების ტიპი, ლიბერალური იდეების გამზიარებლების აზროვნების საშუალება.

ლიბერალიზმის იდეოლოგია და პოლიტიკა თავის სათავეს იღებს XVIII საუკუნიდან. მისი სამეცნიერო დამუშავება ეკუთვნით ისეთ მსხვილ მოაზროვნეებს, როგორებიც არიან ჯ. ლოკი, ფ. ვოლტერი, შ. მონტესკიე, ა. სმიტი, ი. კანტი, თ. ჯეფერსონი და ა.შ. ლიბერალური თეორიების ფორმირება ფრანგული განმანათლებლობისა და ჰუმანიზმის, გერმანული კლასიკური ფილოსოფიისა და ევროპული (პირველ რიგში ბრიტანული) კლასიკური პოლიტეკონომიის ზეგავლენით მიმდინარეობდა.

ლიბერალიზმის ძირითადი იდეები დაფიქსირებულ იქნა აშშ-ის 1787 წელს მიღებულ კონსტიტუციასა და საფრანგეთის დიდი რევოლუციის დროს 1791 წელს გაცხადებულ ადამიანისა და მოქალაქის უფლებათა დეკლარაციაში. XIX საუკუნეში, ლიბერალური იდეები აშშ-სა და ინგლისის მმართველი პოლიტიკური პარტიების საქმიანობის შედეგად კიდევ უფრო მყარად იქნა დანერგილი. საქართველოში ლიბერალური მსოფლმხედველობის დამკვიდრება XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყო, რაც დიდწილად დაკავშირებული იყო ქართველ 60-იანელთა მიერ შემოთავაზებულ იდეებთან. რა თქმა უნდა, თითოეულ ქვეყანაში ლიბერალიზმის პრინციპებს თავისი თავისებურებები გააჩნდა, რაც მათი ეროვნულ-ისტორიული თავისებურებებით იყო განპირობებული.

კლასიკური ლიბერალიზმი უმაღლეს დირებულებათა რანგში პიროვნების თავისუფლებას განიხილავს და ადამიანის ინტერესებს კოლექტიურ ინტერესებთან შედარებით უპირატესობას ანიჭებს. თავის მხრივ, აღნიშნული იდეოლოგიის ფარგლებში, საზოგადოების ეკონომიკური სისტემა კერძო საკუთრების დომინირების ფაქტორს ეფუძნება, სოციალ-ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში კერძო ინიციატივას ფართო უფლებამოსილებანი ენიჭება, იზღუდება მონოპოლიური საქმიანობა და მხარდაჭერილია თავისუფალი კონკურენცია. სოციალური უზრუნველყოფის პოლიტიკა მთავარ პრიორიტეტს არ წარმოადგენს და ხდება მისი კერძო ფონდებით (საპენსიო, სადაზღვევო და ა.შ) ჩანაცვლება, რომელიც თავის მხრივ, შემოსავლების პრინციპებზეა შემუშავებული. პოლიტიკური სისტემა და მისი საქმიანობა ეკონომიკურ ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩაურევლობასა და პოლიტიკურ

ცხოვრებაში კონკურენციის სისტემის მხარდაჭერაზეა ორიენტირებული, რომელშიც პოლიტიკური ბრძოლა სხვადასხვა პარტიათა მიერ საპარლამენტო თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ერთმანეთთან კონკურენციის გზით ხორციელდება.

წარმოებით ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად, განსაკუთრებით კი მსხვილ სამრეწველო წარმოებაში, XIX საუკუნის ბოლოს ადგილი ჰქონდა კლასიკური ლიბერალიზმის ზოგიერთი პრინციპების მოძველებას და პირველ რიგში კი ეს ეხებოდა ისეთ ასპექტებს, როგორებიცაა წვრილი მეწარმეობის თავისუფლება, სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ საქმიანობაში ჩაურევლობა. გასული საუკუნის 30-იან წლებში განვითარებული ეკონომიკური კრიზისის დროს, ეკონომიკურ საქმიანობაში სახელმწიფოს მხრიდან წარმოების რეგულირებას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ლიბერალიზმმა ნეოლიბერალიზმის ფორმა შეიძინა, რომლის მთავარი თავისებურება გამოიხატება იმაში, რომ ის კლასიკური ლიბერალიზმის თეორიისგან განსხვავებით დაშვებულად მიიჩნევს და რიგ შემთხვევებში მხარს უჭერს კიდევ სახელმწიფოს მიერ ეკონომიკურ პროცესებში გარკვეულ ჩარევას, ასევე მხარს უჭერს საზოგადოების სოციალურ ცხოვრებაში სახელმწიფო რეგულირებასა და სახელმწიფოში სოციალ-ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნების მიზნით საზოგადოების სხვადასხვა სოციალურ თემებსა და პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის თანამშრომლობას.

თანამედროვე ლიბერალებმა იდეოლოგიაზე და მის ადგილზე საზოგადოებაში თავისი შეხედულება გარკვეულწილად შეიცვალეს. თუ წარსულში ისინი უარყოფდნენ ყველანაირ იდეოლოგიას, დღეს ისინი აღიარებენ იდეოლოგიის როლს საზოგადოებრივ განვითარებაში, განიხილავენ სხვადასხვა იდეოლოგიურ სისტემებს შორის თავისუფალი კონკურენციის პრინციპებს და ა.შ. თანამედროვე ლიბერალურ მსოფლმხედველობაში განსაკუთრებული ადგილი საზოგადოებრივ მეცნიერებებს გააჩნიათ, რომელთაც ადამიანური მსოფლმხედველობის ფორმირების პროცესში წამყვანი ადგილი უკავიათ. თანამედროვე ნეოლიბერალების თეორიასა და პრაქტიკაში მნიშვნელოვანი ადგილს სამართლიანობის პრობლემა იკავებს. ნეოლიბერალები უპირატესობას პოლიტიკურ სამართლიანობას ანიჭებენ, აღიარებენ რა ყველა მოქალაქის მიერ კანონის წინაშე თანასწორუფლებიანობას, ისინი ამავე დროს ეწინააღმდეგებიან სოციალური თანასწორობის პრინციპს. მათი მტკიცებით, თანამედროვე სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მოქალაქეთა ერთნაირი უფლებები პოლიტიკურ ცხოვრებაში და თანასწორი შესაძლებლობები სოციალ-ეკონომიკურ სფეროში. სწორედ ეს წარმოადგენს მათი აზრით, უმაღლეს სამართლიანობას. სოციალური თანასწორობა კი მათ მიაჩნიათ იმ უტოპიად, რომელიც არ გამომდინარეობს თვით ადამიანის ბუნებიდან.

ჩვენს დროში მეტად დამახასიათებელია ის ფაქტორი, რომ თითოეულ ქვეყანაში ის ლიბერალური თეორიები, რომლებიც “ახალი კურსის” პრინციპებს ეფუძნებიან,

ამავე დროს, საზოგადოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარის რეფორმირების ინოვაციურ საშუალებებს წარმოგვიდგენენ. მათ საკუთარი თავისებურებანი გააჩნიათ და ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. ნეოლიბერალიზმი სულ უფრო ახალ ფორმებსა და მოდიფიკაციებს დებულობს. თავის მხრივ, ნეოლიბერალთა მთავარი მიზანი კი არის ერთი – საზოგადოების ყურადღების მიქცევა, რათა დაარწმუნონ ამომრჩეველი ლიბერალური კონცეფციების საფუძველზე საზოგადოებრივი განვითარების აუცილებლობაში და აღნიშნული პოლიტიკის გატარების შედეგად მიიღონ არჩევნებში ხმათა ის შესაბამისი რაოდენობა, რომელიც საშუალებას მისცემს აღნიშნული იდეოლოგიის მატარებელ ადამიანებს დაიკავონ ადგილები სახელისუფლებო სტრუქტურებში.

ამრიგად, ლიბერალური იდეურ-პოლიტიკური დოქტრინა, განსაკუთრებით მისი თანამედროვე სახით, რეფორმებისა და თანდათანობითი საზოგადოებრივი პროგრესის დოქტრინას წარმოადგენს. ხელმძღვანელობენ რა აღნიშნული იდეოლოგიის პრინციპებით, თანამედროვე ლიბერალური და ლიბერალურ-დემოკრატიული პარტიები ორ სოციალ-პოლიტიკურ ცენტრებს შორის ლავირებენ: მემარჯვენე კონსერვატიული და მემარცხენე სოციალ-დემოკრატიული. ეს ცენტრებში შესაძლებლობას აძლევს ნეოლიბერალებს მიიღონ ხმათა მნიშვნელოვანი რაოდენობა და მოვიდნენ ხელისუფლებაში.

*კონსერვატიზმი* (ლათინური *conserve* - შენარჩუნება) ლიბერალიზმის მსგავსად მნიშვნელოვან იდეურ-პოლიტიკურ დოქტრინას წარმოადგენს, რომელსაც მსოფლიო საზოგადოების ფართო წრეებში მნიშვნელოვანი გავლენა გააჩნია. ის წარმოადგენს იმ პოლიტიკურ ფილოსოფიას, რომელიც საზოგადოებრივი ცხოვრების ტრადიციული ღირებულებების დაცვისკენაა მიმართული, ამასთანავე, იგი უარყოფს რევოლუციურ ცვლილებებს და სახალხო მოძრაობებისადმი უნდობლობით გამოირჩევა. ასეთი პრინციპებით, კონსერვატიზმი, როგორც იდეურ-პოლიტიკური დოქტრინა, ჩამოყალიბებულ იქნა XVIII საუკუნის ბოლოში და წარმოადგენდა რეაქციას იმ სოციალურ ცვლილებებზე, რომელიც საფრანგეთის ბურჟუაზიული რევოლუციით (1789-1793 წწ.) იყო გამოწვეული. აღნიშნულმა რევოლუციამ საფრთხე შეუქმნა ჯერ კიდევ შენარჩუნებულ ფეოდალურ წესებს, სახელმწიფო ხელისუფლების მონარქიულ ფორმას, ძველი არისტოკრატის ტრადიციულ ძალებს. საფრანგეთში განვითარებული რევოლუციური ცვლილებები საფრთხეს უქმნიდა მათ ევროპაში გავრცელებას და ევროპაში პრივილიგირებული ფენებისა და საზოგადოების შიშს იწვევდა.

თეორიული კონსერვატიზმის დამფუძნებელია ირლანდიური წარმოშობის ფილოსოფოსი და ისტორიკოსი ე. ბერკი. მისი თეორია შენარჩუნებული ინსტიტუტებისა და სოციალური სტრუქტურების დაცვას ეფუძნება და უარყოფითად არის განწყობილი რადიკალური საზოგადოებრივი ცვლილებების მიმართ. ბერკის აზრით, კონსერვატიზმი უნდა გამხდარიყო ადამიანთა ის



მსოფლმხედველობა, რომლისთვისაც დამახასიათებელი უნდა ყოფილიყო მოცემული საზოგადოების ტრადიციათა ერთგულება, მისი სტაბილურობა, რევოლუციური განწყობილებებისა და ქმედებათა მიუღებლობა (Heywood A. 1998. P.67).

შესაბამისად, სოციალური აზრის კონსერვატიული მიმართულება თავიდანვე გამოხატავდა იმ საზოგადოებრივი კლასებისა და ჯგუფების ღირებულებათა ორიენტაციებსა და იდეალებს, რომლებმაც მოჭამეს თავიანთი ეპოქა და ტოვებდნენ ისტორიულ არენას სოციალური პროგრესის სასარგებლოდ. კონსერვატიზმმა თავის თავში აგრეთვე მოახდინა საშუალო კლასისა და მოსახლეობის ღირებულებების ნაწილის ტრადიციული ნოსტალგიური ტენდენციების კონცენტრაცია. ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, არსებული ცნობიერების ფონზე, კონსერვატორები ფრთხილად ეკიდებოდნენ ცხოვრებაში კარდინალურ ცვლილებებს, მაგრამ, ამავე დროს ისინი რა თქმა უნდა თავიანთი, პირველ რიგში მატერიალური ცხოვრების გაუმჯობესებას ნატრობდნენ. ამ ყველაფერს ითვალისწინებდნენ კონსერვატიზმის თეორეტიკოსები, როდესაც ისინი აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით კონკრეტულ ფილოსოფიასა და ძირითად პრინციპებსა და სოციალურ სისტემებს ამუშავებდნენ. ძველი წესების შენარჩუნება, არსებულ საზოგადოებრივ ცხოვრებაში რევოლუციური ცვლილებების არდაშვება, კონსერვატიული აზროვნების ძირითად ლეიტმოტივს წარმოადგენდა.

კონსერვატიზმის საბაზისო იდეებს წარმოადგენდნენ საზოგადოებაში არსებული ძირითადი ღირებულებების შენარჩუნება, გაბატონებული რელიგიის მხარდაჭერა, ოჯახის, ტრადიციული მორალის, ერისა და სახელმწიფოს მთლიანობა, საზოგადოებაში სწრაფი ცვლილებების მიუღებლობა, ჩამოყალიბებულ ბუნებრივ წესრიგსა და სისტემებზე დაყრდნობა. კონსერვატიული პრინციპების შესაბამისად, ყველა პოლიტიკური გადაწყვეტილება ეროვნულ ტრადიციებთან შესაბამისობაში უნდა ყოფილიყო და არა პირიქით. კონსერვატიულ პოლიტიკურ ორგანიზაციებს წარმოადგენენ დიდი ბრიტანეთის კონსერვატიული პარტია, გოლისტური პარტია საფრანგეთში, ქრისტიან-დემოკრატიული კავშირი გერმანიაში, აშშ-ის რესპუბლიკური პარტია და ა.შ.

კონსერვატიზმი, გვევლინება რა სახელმწიფო ხელისუფლების არსებული საზოგადოებრივი ფორმებისა და ატრიბუტების შენარჩუნების მომხრედ, თითოეულ კონკრეტულ ქვეყანაში განსხვავებული ფორმითაა წარმოდგენილი, ამის ძირითადი მიზეზი კი გახლავთ ის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი სისტემა, სოციალ-პოლიტიკური ინსტიტუტები, სულიერი ფასეულობები ერთმანეთისაგან განსხვავდებიან. შეუძლებელია ასევე არ იყოს გათვალისწინებული სხვადასხვა ისტორიული ეპოქების თავისებურებები, რომელშიც ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ კონსერვატიულ შეხედულებათა მომხრეები. მათ ხშირად უხდებოდათ დაეცვათ ერთმანეთისაგან აბსოლუტურად განსხვავებული საზოგადოებრივი წესები,

ეცხოვრათ სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემებშიც, მათ უნდა მოეხდინათ სხვადასხვა ქვეყანაში არსებულ კონკრეტულ პირობებთან ადაპტირება და ა.შ. აქედან გამომდინარეობს ის, რომ კონსერვატიულ იდეურ-პოლიტიკურ დოქტრინაში უნდა განვასხვავოთ ორი მხარე: მყარი თეორიული ბირთვი და “გარდამავალი” ნაწილი, რომელიც კონკრეტული საზოგადოების შეხედულებებსა და ქმედებებთანაა დაკავშირებული.

კონსერვატიზმის თეორიული ნაწილი (კლასიკური კონსერვატიზმი მისი თავდაპირველი სახით) შემდეგ პრინციპებს წარმოადგენს: 1. არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნებისმიერი საზოგადოება მხოლოდ დღევანდელ დღეს მაცხოვრებელ ადამიანებთან იყოს გაიგივებული; იგი წარმოადგენს ეროვნული ტრადიციების და ჩვეულებების სისტემას, მორალურ ფასეულობებს, პოლიტიკური ინსტიტუტების ერთობლიობას, ხელისუფლების იმ ორგანოებს, რომლებიც ფორმირებულ იქნენ წარსულში და ფუნქციონირებენ დღევანდელ დღეს; 2. არსებული წესებისა და ინსტიტუტებისათვის უპირატესობის მინიჭება სხვა ნებისმიერ პოლიტიკურ სტრუქტურებთან შედარებით, ყველა სახის ახალი ინსტიტუტების მიმართ სკეპტიკური დამოკიდებულება; 3. სახელმწიფოს, როგორც ერთიან და ხალხის ნების გამტარებელ და საზოგადოების ინტერესთა დამცველ ინსტიტუტად წარმოადგენა; 4. სკეპტიკური დამოკიდებულება ხალხთა სოციალური თანასწორუფლებიანობის დამკვიდრების, მათ შორის ყველა სახის სოციალ-ეკონომიკური განსხვავებათა ლიკვიდაციის მიმართულებით; 5. კერძო საკუთრებისადმი, როგორც ადამიანის ერთადერთი პიროვნული თავისუფლებისადმი იმ როლის მინიჭება, რომელიც მისი პოლიტიკური უფლებებისა და ღირსებების საფუძვლებს წარმოადგენს.

კონსერვატიზმის “გარდამავალი” შემადგენლის შინაარსი დაკავშირებულია მოცემულ სახელმწიფოში ქვეყნის ხელისუფლების და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფორმებთან, მის სულიერ ფასეულობებთან, რომლებიც განსახიერდება ოჯახში, რელიგიაში, ხალხის ეროვნულ თავისებურებებში და ა.შ.

იდეური მსოფლმხედველობითა და პოლიტიკური ქმედებებით კონსერვატიზმის შიგნით ორი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთება: ფასეულობითი და სტრუქტურული კონსერვატიზმი:

ფასეულობითი კონსერვატიზმი თავის თავში მოიცავს საზოგადოებაში ჩამოყალიბებულ ძირითად სულიერ ფასეულობებს: მორალურ ნორმებს, კეთილშობილების პრინციპებს, ტრადიციებს და ა.შ.

სტრუქტურული კონსერვატიზმი სახელმწიფოში არსებული სახელისუფლებო – პოლიტიკური ინსტიტუტების შენარჩუნების, პოლიტიკური პარტიების და მთლიანობაში პოლიტიკური რეჟიმის დამცველად გვევლინება.

გასული საუკუნის 70-80-იან წლებში იდეოლოგიაში და პოლიტიკაში ის კონსერვატიული მიმართულება, რომელიც დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკაში ხელისუფლებებსა და პოლიტიკურ პარტიებთან იყო დაკავშირებული, კვლავ გახდა პოპულარული. კონსერვატიზმმა ნეოკონსერვატიზმის ფორმა შეიძინა. მოხდა არსებითი ცვლილება ნეოკონსერვატიზმის სოციალ-ფილოსოფიურ მსოფლმხედველობაში, ადამიანთა პოლიტიკურ ქმედებებში. მთავარი არის ის, რომ ნეოკონსერვატორები აღიარებენ საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცვლილებათა აუცილებლობას, რომელიც სოციალურ პროგრესთანაა დაკავშირებული. უფრო მეტიც, წინასაარჩევნო კამპანიის პერიოდში კონსერვატიული მიმართულებების პოლიტიკური პარტიები უკვე ქადაგებენ პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ ცვლილებათა აუცილებლობას, ისინი ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში მოსახლეობას ჰპირდებიან იმ რიგი სიახლეების დანერგვას, რომლებიც ხალხის ცხოვრების დონის გაუმჯობესებისკენაა მიმართული. ამ ტალღაზე, ცხოვრების სხვადასხვა სფეროში რადიკალური ცვლილებები განახორციელებს კონსერვატორებმა, მ. ტეტჩერის მეთაურობით, რომლებიც 1979 წელს მოვიდნენ ხელისუფლებაში დიდ ბრიტანეთში, და ასევე მნიშვნელოვანი რეფორმები ჩაატარა კონსერვატიული მიმართულების რესპუბლიკურმა პარტიამ აშშ-ში რ. რეიგანის მეთაურობით მას შემდეგ, რაც ამ უკანასკნელმა გაიმარჯვა 1980 წელს გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში. ამრიგად, თანამედროვე კონსერვატიზმი (ნეოკონსერვატიზმი) წარმოადგენს მეტად დინამიურ, მოქნილ იდეურ-პოლიტიკურ კონცეფციას, რომელიც დროულად ეხმიანება საზოგადოებაში არსებულ თანამედროვე პრობლემებს. მისი თეორეტიკოსები და პრაქტიკოსები გამოდიან არა მხოლოდ ძველის შენარჩუნების ინიციატივით, არამედ ისინი ქადაგებენ ახალი წესრიგისა და ინსტიტუტების შემქნას, რომლებიც თავის მხრივ ხელს შეუწყობდნენ საზოგადოებრივ პროგრესს.

საქართველოში, გასული საუკუნის 90-იან წლების დასაწყისში - მრავალპარტიული სისტემის დანერგვის შემდგომ პერიოდში, გამოჩნდნენ კონსერვატიული მიმართულების პარტიები, რომლებიც საქართველოში არსებული ეროვნული ტრადიციების დაცვას მოითხოვდნენ და რიგი პოლიტიკოსი ქვეყანაში მონარქიის აღდგენის მომხრედაც მოგვევლინა (მაგალითად გასული საუკუნის 90-იან წლებში ქვეყანაში აქტიურ მოღვაწეობას ეწეოდა საქართველოს ტრადიციონალისტთა კავშირი).

კონსერვატიზმის ერთ-ერთ მრავალსახეობას წარმოადგენს ტრადიციონალიზმი. მისი მიზანია წარსულში არსებულ, “უფრო მართებულ”, კლასიკურ, საფუძვლიან პრინციპებზე დაყრდნობა. ტრადიციონალიზმი დაკავშირებულია გარკვეულ

ტრადიციებთან ქვეყნის სხვადასხვა ისტორიულ რეგიონში, ასევე იგი ეფუძნება რელიგიას, ტრადიციულ კულტურას და ა.შ.

**დემოკრატიული სოციალიზმის დოქტრინა** - მსოფლიო სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის სისტემაში მემარცხენე მიმართულების იდეოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს. როგორც სოციალური აზრის ერთ-ერთი იდეური მიმართულება, ის სათავეს იღებს დასავლეთ ევროპაში და XIX საუკუნის შუა პერიოდში განვითარებულ რევოლუციურ მოვლენებს უკავშირდება, რაც ასახულ იქნა სოციალისტ-უტოპისტების ნაშრომებში. სოციალ-დემოკრატიის ორგანიზაციული გაფორმება მარქსისტული თეორიის გავლენით მიმდინარეობდა. თავდაპირველად, მარქსის მოძღვრებები სოციალ-დემოკრატების მიერ მათი იდეების საფუძველად იქნა მიღებული. თუმცა, უკვე XIX საუკუნის 90-იანი წლებიდან საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის შეცვლის მარქსისტული პრინციპები გადახედულ იქნა ე. ბერნშტეინისა და კ. კაუცკის შრომებში. ბერნშტეინი პირველი გამოვიდა მარქსის რევოლუციური იდეების საწინააღმდეგოდ და არსებულ კაპიტალისტურ სისტემაში მუშათა კლასის ინტეგრაციის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება. ბერნშტეინის აზრით, სოციალიზმი, როგორც თეორია, ლიბერალიზმის, მისი იდეურ-პოლიტიკური პრინციპების მემკვიდრეს წარმოადგენს. მეცნიერის მტკიცებით, სოციალიზმისაკენ მიმავალ გარდამავალ გზაზე, მთავარ მიზანს ბურჟუაზიული დემოკრატიის გაღრმავება და გაფართოება წარმოადგენს. ბერნშტეინი სოციალისტური იდეების სამ ძირითად პრინციპს გამოყოფდა: თავისუფლება, თანასწორობა, სოლიდარობა. პირველ ადგილზე იგი მშრომელი ადამიანების სოლიდარობის პრინციპს აყენებდა.

წარმოშობის პირველ ეტაპზე, სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა არ იყო ერთიანი. ეს იდეოლოგია უფრო რეგიონალურ ხასიათს ატარებდა. არსებობდა ფრანგული, შვედური, ხმელთაშუა ზღვის რეგიონის, ესპანური და სხვა მოდელები. თუმცა, ყველა ისინი დემოკრატიული სოციალიზმის ღირებულებებს ეყრდნობოდნენ.

სოციალ-დემოკრატიზმის იდეოლოგიის ფარგლებში, საბაზისო პრინციპები - თავისუფლება, დემოკრატია, სოციალური სამართლიანობა და სოლიდარობა შესაძლებელია ეტაპობრივად იქნეს მიღწეული. მათ შორის, საზოგადოების რეფორმირების პროცესში და ყოველგვარი რევოლუციური გარდაქმნების გარეშე. მიზანი - სოციალ-დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობა (სოციალ-დემოკრატთა ნაწილი იყენებს ტერმინს დემოკრატიული სოციალიზმი). მოცემული იდეოლოგიის მომხრეთა აზრით, დემოკრატია უნდა შედგეს იქნეს საზოგადოების ყველა (ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური, სულიერი) ქვესისტემაში. თავის მხრივ, აღნიშნული იდეოლოგიის ეკონომიკური მიმართულება (ეკონომიკური დემოკრატია) შერეული ეკონომიკის მოდელს გვთავაზობს - მათ შორის, საკუთრების სხვადასხვა ფორმებს, საზოგადოების მიერ საბაზრო ეკონომიკის პროცესების კონტროლს, ყველა მშრომელის მიერ წარმოებით ურთიერთობებში მონაწილეობას

და ა.შ. სოციალ-დემოკრატია სოციალური უთანასწორობის, დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციას გვთავაზობს. ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტად შეიძლება წარმოდგენილ იქნეს მშრომელთა მიერ იმ არსებული შრომითი უფლებების გარანტია, რომლებიც დაკავშირებულია დასვენებასთან, ჯანდაცვასთან, განათლებასთან და ა.შ. სოციალური დემოკრატიის გარანტად სხვადასხვა ჯგუფების სოციალური პარტნიორობა უნდა მოგვევლინოს. კერძოდ, უნდა იქნეს განმტკიცებული ურთიერთობები მშრომელებს (დაქირავებულებს), მესაკუთრეებს, მმართველებსა და ბიუროკრატias (სახელმწიფოს) შორის. სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგიის პოლიტიკური მიმართულება (პოლიტიკური დემოკრატია) აღიარებს პარლამენტარიზმის ინსტიტუტს, საყოველთაო საარჩევნო უფლებას, პლურალიზმს, კანონის უზენაესობას. სოციალ-დემოკრატია დაფუძნებულია რიგ კონცეფციებზე, კერძოდ, სახელმწიფოს კეთილდღეობის მხარდაჭერის ფარგლებში სოციალური ინსტიტუტების განვითარება (სოციალური უზრუნველყოფა, ჯანდაცვა, განათლება), მასების ფართო ჯგუფების თვითმმართველობა, ფუნქციონალური სოციალიზმი – სოციალიზმის მშენებლობა საკუთრების ფორმების (საწარმოო, სამმართველო, განმანაწილებელი და საკონტროლო) ფუნქციათა შეცვლის გზით, ეთიკური სოციალიზმის მშენებლობა – სოციალიზმის მშენებლობა ადამიანის მორალური სრულყოფის შედეგად.

დემოკრატიული სოციალიზმის კონცეფციის მთავარ შემადგენელ ნაწილს კონკრეტული თეორიული შეხედულებები წარმოადგენენ. ისინი გვთავაზობენ მრავალპარტიულობის პრინციპს, ხელისუფლებაში რამდენიმე პოლიტიკური ძალის (კოალიციური მთავრობა) ერთად ყოფნის შესაძლებლობას, არსებული მმართველი პოლიტიკური ძალის შეცვლას არჩევნების გზით და ა.შ. დიქტატურის ნებისმიერი ფორმა, ერთპარტიული მმართველობა სოციალ-დემოკრატiasთან შეუთავსებელ პოლიტიკურ სისტემას წარმოადგენს. პოლიტიკური დემოკრატიის მთავარ პრინციპს წარმოადგენს ადამიანის უფლებები, მას-მედიის თავისუფლება, პროფკავშირთა დამოუკიდებლობა, სამართლებრივი სახელმწიფოს ფუნქციონირება.

თანამედროვე დროში, მსოფლიოში 80-ზე მეტი სოციალ-დემოკრატიული პარტია ფუნქციონირებს, მათ შორის, სამოცდაათამდე გაერთიანებულია სოციალისტურ ინტერნაციონალში. მრავალ ქვეყანაში, სოციალ-დემოკრატიული პარტიები მმართველ ძალას წარმოადგენენ ან კოალიციურ მთავრობაში არიან გაწევრიანებულები, მათ ჰყავთ თავიანთი წარმომადგენლები პარლამენტში და ამგვარად მონაწილეობენ სახელმწიფო და საზოგადოებრივი საქმეების მართვის პროცესში. თავიანთ პრაქტიკულ საქმიანობაში ხელმძღვანელობენ რა დემოკრატიული დოქტრინის პრინციპით, ეს პარტიები საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარკვეულ შედეგებს აღწევენ. ავსტრალიაში, დიდ ბრიტანეთში, გერმანიაში, ნორვეგიაში, საფრანგეთში, შვედეთში და სხვა სახელმწიფოებში ხელისუფლებაში ყოფნის დიდი ხნის განმავლობაში, მათ

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს მშრომელთა დემოკრატიული უფლებების დაცვის, ამ ქვეყნების სოციალური პროგრესის გზით განვითარებასა და საყოველთაო მშვიდობისა და უსაფრთხოების განმტკიცების საქმეში.

**კომუნიზმი** – (ლათინურიდან communis – საერთო, საყოველთაო) მას როგორც სოციალ-ისტორიულ კატეგორიას სამი მნიშვნელობა გააჩნია: 1. შექმნილ იქნეს იდეალური საზოგადოება, როდესაც ყველა მისი წევრი ფლობს საერთო სიმდიდრეს, ადამიანთა შორის სრული სოციალური თანასწორობაა უზრუნველყოფილი; 2. საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც ასეთი საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლას აწარმოებს. ასეთი მოძრაობის ცენტრს კომუნისტური პარტიების საქმიანობა წარმოადგენს; 3. თეორია, რომელიც თითქოსდა ასაბუთებს კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის შესაძლებლობას.

კომუნიზმი, იდეოლოგიურად და ორგანიზაციულად, როგორც პოლიტიკური მოძრაობა საბოლოოდ XX საუკუნის დასაწყისში იქნა ჩამოყალიბებული. ამავე დროს, აღნიშნული იდეოლოგიის ფარგლებში, ერთმანეთისადმი დაპირისპირებული კონცეფციებიც კი მოიაზრებოდა. აქ ერთმანეთთან “თანაარსებობდნენ” ისეთი დოქტრინები, რომლებიც ერთმანეთის მიმართ საკმაოდ ანტაგონისტურად იყვნენ განწყობილნი. მაგ: ლენინიზმი, სახელმწიფო კომუნიზმი, ტროცკიზმი, სტალინიზმი, მათიზმი და სხვ. კომუნისტური დოქტრინა თავის თავში მოიცავს იმ კლასობრივ თეორიას, რომლის თანახმადაც საზოგადოება დაყოფილია კლასებად, რომლებიც ერთმანეთს უპირისპირდებიან. კომუნისტთა მიზანი გახლდათ – ე.წ. უკლასო საზოგადოების აშენება, სადაც გამორიცხული იქნებოდა ერთი კლასის წარმომადგენელთა მიერ მეორე კლასის წარმომადგენელთა ექსპლუატაცია, ხოლო საზოგადოებრივი სიმდიდრე საერთო-სახალხო ინტერესებს ემსახურებოდა. ასეთი მოძრაობის მთავარ წარმმართველ ძალად გვევლინებიან მშრომელები და მათი ყველაზე უფრო მოწინავე რაზმები. XIX საუკუნესა და XX საუკუნის დასაწყისში ასეთ მოწინავე ძალებად გვევლინებოდნენ მუშათა კლასის წარმომადგენლები.

პოლიტიკურ სფეროში, შეთავაზებულ იქნა მშრომელთა ძალაუფლების დამყარება რევოლუციის განხორციელების გზით, როდესაც დამარცხებული იქნებოდა “ექსპლუატატორთა” კლასი, რომლის საკუთრების ლიკვიდაციაც უნდა მომხდარიყო. ისევე როგორც სხვა იდეოლოგიური მიმართულებები, კომუნისტებმაც თანდათანობით გაათანამედროვეს თავიანთი იდეოლოგიურ-პოლიტიკური დოქტრინა. საქართველოში კომუნისტურმა მიმდინარეობამ სსრკ-ის დაშლის შემდეგ ფაქტობრივად დაკარგა რაიმე პოლიტიკური გავლენა. დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ, ქვეყანაში რამდენიმე კომუნისტური პარტია, ასევე სტალინის საზოგადოება და ა.შ. არსებობდა.

**ანარქიზმი** – ანარქიზმი, იდეალის სახით გვთავაზობს საზოგადოებას, რომელიც თავისუფალია სახელმწიფო ხელისუფლებისაგან და საზოგადოების განვითარება

თვითმმართველობის პრინციპებს ეფუძნება. ანარქისტები, ადამიანის მთავარ მტრად სახელმწიფო ინსტიტუტებსა და ხელისუფლების სისტემას განიხილავდნენ, რომელიც თავის მხრივ ახშობს ადამიანის თავისუფლებას. ადამიანის რეალიზება კი ხდება კომუნაში – საცხოვრებელ კოლექტივში და სინდიკატში – შრომით კოლექტივში, რომლის ფარგლებშიც ადამიანი თავისუფლად ურთიერთქმედებს სხვა ინდივიდებთან. ანარქიზმის ძირითადი პრინციპი - ადამიანთა გაერთიანებაში შესვლის ნებაყოფლობითობა, რომელთა რეგლამენტირება არ ხდება არავითარი კანონებით რასაც ანარქისტები “წარსულის გადმონაშთს” უწოდებდნენ. თითოეული ადამიანი ფლობს მოქმედების თავისუფლებას, რომლის მეშვეობითაც მას შეუძლია საკუთარი შესაძლებლობების განვითარება.

ანარქიზმი წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალური, ასევე კოლექტიური ხასიათის ფორმით. საქართველოში ანარქისტული მიმდინარეობები პრაქტიკულად არ არსებობდა.

**ნაციონალიზმი** – როგორც წესი, გამოყოფენ ნაციონალიზმის სამ ძირითად ტიპს – სახელმწიფო, კულტუროლოგიური და ეთნიკური (რაც დაკავშირებულია ეთნოსთან - ცალკეულ ხალხთან). პირველი ტიპის მიხედვით მთავარ პრინციპს ერის ინტერესები წარმოადგენს – ანუ სახელმწიფოს ყველა მოქალაქის ინტერესთა დაცვა. მეორე (კულტუროლოგიური) დაკავშირებულია იმ მოქალაქეებთან, რომლებიც ეროვნული კულტურის ერთ ტიპს (მაგალითად ქართველებს და ქართულ კულტურასთან დაკავშირებულ ერებს) მიეკუთვნებიან. მესამე ტიპი, როგორც წესი ერთი რომელიმე ეთნიკური ჯგუფის სხვა ჯგუფებზე დომინანტობას ეფუძნება (მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ ნაცისტურ გერმანიაში გაბატონებული იდეოლოგია). ნაციონალიზმის ამ სამი ტიპიდან ერთ-ერთი შესაძლებელია სახელმწიფო იდეოლოგიად გადაიქცეს.

სახელმწიფო ნაციონალიზმი – მსოფლიოში ნაციონალისტური მიმართულების სახელმწიფო იდეოლოგიის ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ტიპს წარმოადგენს, თუმცა, თითოეულ ქვეყანაში ასეთი ტიპის იდეოლოგიას თავისი სპეციფიკა ახასიათებს. სახელმწიფოს ნაციონალისტური იდეოლოგიის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს: სახელმწიფო ინტერესებზე მაღლა ერის ინტერესთა უზენაესობის აღიარება, ერის ისტორიული განვითარებისა და მისი დანიშნულების სპეციფიურობა, სახელმწიფოსა და ერის ერთიანობა. მესამე ტიპის ნაციონალიზმის თეორიებს მიეკუთვნება რასიზმის თეორია – რომელიც ერთი ერის სხვებზე ბატონობის დამკვიდრების პრინციპს ეფუძნება. მეორე ტიპს მიეკუთვნება ერთი სპეციფიკური წარმომადგენელთა ერთიანობის თეორია, მაგალითად პანსლავიზმი, პანთურქიზმი, პანისლამიზმი და სხვ.

**ფაშიზმი** - როგორც სპეციფიკური იდეოლოგია და თეორია XX საუკუნეში ჩამოყალიბდა. ფაშიზმის კლასიკურ დამახასიათებელ თვისებებს წარმოადგენენ:

რწმენა ბელადის განსაკუთრებულ თვისებებში (ქარიზმა), სახელმწიფო იძულებითი აპარატის ყველა უკიდურესი ფორმის საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამოქმედება, სოციალური წესრიგის ძალადობრივი გზით დამკვიდრება, სახელმწიფო ინტერესების ყველა დანარჩენ იდეებსა თუ ინსტიტუტებზე დომინანტობა, დემოკრატიული წესრიგის უარყოფა, ფაშისტური სახელმწიფოსათვის მიუღებელი ინსტიტუტების მიმართ შეუწყნარებლობა, უკიდურესი ნაციონალიზმი (შოვინიზმი).

**ტექნოკრატია.** ტექნოკრატიაში, როგორც წესი რომელიმე პოლიტიკურ ორგანიზაციაზე არ არის ბაზირებული, რადგანაც თავიანთი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე ტექნოკრატები უკვე ორგანიზებულ ძალას წარმოადგენენ; ეს გახლავთ ის პოლიტიკურ-იდეოლოგიური მიმდინარეობა, რომელიც ტექნოლოგიური განვითარების ღირებულებებს ემყარება. ტექნოკრატიაში სამრეწველო და სამეცნიერო სფეროს წარმომადგენლებს ეფუძნება. ტექნოკრატიული თეორია ხშირად გამოიყენება იმ პოლიტიკოსთა მიერ, რომლებიც პოლიტიკური იდეოლოგიებისა და ორგანიზაციების ტრადიციული კონფრონტაციული მოდელებისაგან გამიჯვანას ცდილობენ. როგორც წესი, ამ მიმართულების წარმომადგენლები ტექნოლოგიური მახასიათებლების საზოგადოებრივ ცხოვრებაში დანერგვას ესწრაფვიან.

ტექნოკრატიული მიმდინარეობის ფარგლებში “მენეჯერთა რევოლუციისა” და მერიტოკრატის კონცეფციები იქნა ჩამოყალიბებული. “მენეჯერთა რევოლუციის” კონცეფცია ეფუძნება პრინციპს, რომ დღევანდელ მსოფლიოში მიმდინარეობს კაპიტალის მფლობელებისაგან დაქირავებულ პროფესიონალურ მმართველებზე ძალაუფლების გადანაწილება. მერიტოკრატის კონცეფცია პროფესიულად მომზადებულ მმართველებსა და მართულებს (ხალხის ძირითად მასას) შორის საქმიანობის გამიჯვნის ფარგლებში საზოგადოების დანაწილების აუცილებლობას ამტკიცებს.

**პოპულიზმი** (ლათინური სიტყვისაგან – populous - ხალხი). აღნიშნული პოლიტიკური მიმდინარეობის წარმოშობა და მისი განვითარება შესაძლებელია პირობითად ორ ეტაპად იყოს დაყოფილი. XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისში ტერმინი “პოპულიზმი” ხალხში “სიარულს” ნიშნავდა, რომლის მიზანი გახლდათ მოსახლეობის ფართო მასებისათვის იმის ახსნა, რომ არსებობდა არსებული ხელისუფლების დამხობისა და ახალი საზოგადოების მშენებლობის აუცილებლობა. მაგალითად, რუსეთში XIX საუკუნის ბოლო მესამედში ე.წ. ნაროდნიკული მოძრაობა მოქმედებდა.

თანამედროვე პირობებში პოპულიზმის მთავარ შინაარსს წარმოადგენს ცალკეული პოლიტიკური ლიდერების მიერ ხალხისაკენ დემაგოგიური აპელაცია, რათა ამ ქმედების შედეგად მიღწეულ იქნეს პოლიტიკოსთა პირადი მიზნები, მოხდეს



საკუთარი პოლიტიკური ამბიციების დაკმაყოფილება. ეს მეთოდი მეტად ხშირად გამოიყენება კანდიდატთა მიერ პარლამენტში, ადგილობრივი თუ საპრეზიდენტო არჩევნების დროს საარჩევნო კამპანიის წარმართვის პროცესში.

ეთამაშებიან რა ამომრჩეველს, პოპულისტები არჩევნების პროცესში მოქალაქეთა ხმების მოპოვებასა და შესაბამისად ხელისუფლებაში მოსვლას ცდილობენ. ისინი უხვად არიგებენ დაპირებებს ელექტორატის თითოეული კატეგორიის მოქალაქეებზე და ზუსტ გათვლებს აკეთებენ იმაზე, თუ რისი გაგება სურს ხალხს მოცემული კანდიდატის მხრიდან. რა თქმა უნდა, კანდიდატთა უმეტესობამ ძალზედ კარგად იცის, რომ მისი დაპირებები ხშირ შემთხვევაში შეუსრულებადია სხვადასხვა მიზეზთა გამო (მატერიალური, სულიერი და სხვ.), მაგრამ, ძალაუფლებისადმი ლტოლვა იმდენად დიდია, რომ ადამიანი არ ერიდება არავითარ დემაგოგიას და პირდაპირ ტყუილსაც კი.

**რადიკალიზაცია** - (ლათინური სიტყვისაგან radical - ძირფესვიანი) ნიშნავს პოლიტიკურ (და არა მარტო) განზრახვათა გადამწყვეტ, უკომპრომისო განხორციელებას, ლტოლვას იქითკენ, რომ ძირფესვიანად იქნეს შეცვლილი არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა ან მთლიანობაში პოლიტიკური სისტემა და ა.შ. როგორც იდეურ-პოლიტიკური მიმდინარეობა, რადიკალიზმი XIX საუკუნეში იქნა ჩამოყალიბებული და სხვადასხვა ეტაპებზე იგი გარკვეული გარდაქმნებით ხასიათდებოდა. როგორც წესი, რადიკალური შეხედულებები ჩნდება იმ პერიოდში, როდესაც მოცემული ქვეყნის მმართველ პოლიტიკურ ძალებს არ ძალუბთ ან არ გააჩნიათ ნება გადაწყვიტონ მიმდინარე სოციალური პრობლემები. ამ პირობებში რადიკალები არაორდინალურ ზომებს გვთავაზობენ; ისინი მრავალი ადამიანის ყურადღებას იქცევენ, რაც ამ პერიოდში იწვევს მათი სოციალური ბაზის გაფართოებას.

**პოლიტიკური ექსტრემიზმი** - (ლათინური extremus - უკიდურესი) – იგი გახლავთ საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრისა და პრაქტიკული საქმიანობის ის მიმდინარეობა, რომელიც პოლიტიკური საქმიანობის პროცესში უკიდურესი ზომების მიღებას გულისხმობს. თავიანთი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად, ექსტრემიზმის მომხრეები ნებისმიერ საშუალებებს იყენებენ – ძალადობისა და ტერორის ჩათვლით. ისინი იმ დროსაც კი არ იკავებენ თავს, როდესაც არსებობს ადამიანური მსხვერპლის გაჩენის შესაძლებლობა, უდანაშაულო ადამიანთა სიკვდილი (ხშირ შემთხვევაში მათ აწყობთ კიდევ აღნიშნული მსხვერპლი). ექსტრემისტები ხელმძღვანელობენ პოსტულატით: “მიზანი ამართლებს საშუალებას”. თანამედროვე პერიოდში ექსტრემიზმი თავის გამოვლინებას სხვადასხვა ფორმით ახორციელებს.

**მემარჯვენე ექსტრემიზმი** – იგი დაკავშირებულია ნეოფაშისტური პარტიებთან და რასისტული და შოვინისტური მიმართულებების ორგანიზაციების საქმიანობასთან.

*მემარცხენე ექსტრემიზმი* - კლასობრივ ელემენტებს ეყრდნობა, სხვადასხვა ჯგუფები - ძირითადად ღარიბი ფენების წარმომადგენლები ხელისუფლების უპირობო შეცვლისა და “ახალი საზოგადოებრივი წესრიგის” დამკვიდრების ინიციატივით გამოდიან. აღნიშნული წესრიგი კი მათი აზრით მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილის ცხოვრებას “გააუმჯობესებს”. რეალურად კი აქ ექსტრემისტთა ლიდერების პირადი ინტერესები იკვეთება, რომელიც პოლიტიკური ძალაუფლებისაკენ ლტოლვაში გამოიხატება.

#### **თავი 46. პოლიტიკური კულტურა: არსი, სტრუქტურა, ფუნქციები. პოლიტიკურ კულტურათა ტიპოლოგია**

თავისი წარმოშობის მომენტიდან პოლიტიკას, როგორც ცხოვრების ერთ-ერთ მთავარ საჯარო სფეროს - ნორმატიული განზომილება გააჩნდა, რომელშიც საზოგადოებრივი კეთილდღეობისა და საზოგადოების სამართლებრივი მოწყობის შესახებ ადამიანთა წარმოდგენა გამოიხატება. ყველა ახლადშექმნილი პოლიტიკური ინსტიტუტი, მათი სოციალური დანიშნულება, ხელისუფლებისა და პიროვნების ურთიერთქმედებთა ფორმები და ა.შ. საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური კულტურის მიხედვით განისაზღვრება.

პირველად ტერმინი “პოლიტიკური კულტურა” გამოყენებულ იქნა XVIII საუკუნეში გერმანელი მეცნიერის ი. ჰერდერის მიერ (Heywood. 2007. P. 273). თეორია კი, რომელიც აღნიშნული ტერმინის ფარგლებში არსებულ ძირითად პოლიტიკურ ასპექტებს განიხილავდა, დასავლური პოლიტიკური ტრადიციების ფარგლებში მხოლოდ გასული საუკუნის 50-იან 60-იან წლებში იქნა ფორმულირებული. პოლიტიკური კულტურის შესახებ არსებული თეორიული ასპექტების შემუშავებაში დიდი წვლილი შეიტანეს ამერიკელმა მეცნიერებმა გ. ელმონდმა, ც. ვერბამ, ლ. პაიმ, უ. როზენბაუმმა, რ. რუხმა, რ. შვანცერბერგმა და სხვ. პოლიტიკურ კულტურასთან დაკავშირებით პოლიტოლოგიაში ორი ძირითადი მიმართულება იქნა განსაზღვრული. მეცნიერთა ნაწილი მას პოლიტიკის სუბიექტურ შინაარსთან აკავშირებენ, რომელშიც ისინი სულიერ ღირებულებათა მთელ ერთობლიობას (გ. ელმონდი, ც. ვერბა, დ. დივანი) და სიმბოლოებს (ლ. დიტმერი) გულისხმობენ. არ არის გასაკვირი, რომ მათი უმრავლესობის მიერ პოლიტიკური კულტურა - როგორც ძველი იდეის ახალი ტერმინი ისე ფასდება, რომელიც სახელისუფლებო-პოლიტიკურ ურთიერთობათა კონტექსტთანაა დაკავშირებული. მეცნიერთა მეორე ჯგუფი, პოლიტიკურ კულტურაში ნორმატიულ მოთხოვნათა გამოვლინებასა (ს. ვაითი) და პოლიტიკური საქმიანობის საშუალებას (უ. რეზონბაუმი) და ა.შ. განიხილავს. აღნიშნული მიმართულების წარმომადგენლები პოლიტიკას განსაკუთრებული, სპეციფიური კუთხიდან განიხილავენ.

*პოლიტიკური კულტურა - ეს გახლავთ საზოგადოების სულიერი კულტურის ნაწილი, ისტორიულად ჩამოყალიბებული პოლიტიკური შეხედულებების, ტრადიციათა, მორალურ და ქცევათა ნორმების სისტემა, რომელიც ადამიანთა საქმიანობას პოლიტიკური სისტემისა და სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების ფარგლებში არეგულირებს (Пугачев В.П. Соловьев А.И. 1997).*

ამრიგად, პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური ქცევის წესების ყველაზე უფრო განსაკუთრებულ, ტიპურ მაგალითებს, ხელისუფლების, ინდივიდისა და საზოგადოების ურთიერთქმედებებს განსაზღვრავს.

*პოლიტიკური კულტურის სტრუქტურა* შემდეგი ელემენტებისაგან შედგება:

*პოლიტიკური ცოდნა* - რომელიც თეორიული (სამეცნიერო) და პრაქტიკული მონაცემების ფარგლებში მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით მიიღება. ამავე დროს, აუცილებელია პოლიტიკურ მეცნიერებაში არსებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნისა და გამოცდილების ერთმანეთთან თანაარსებობა: თეორიული ცოდნა ინფორმაციის გარეშე, ისევე როგორც ინფორმაცია მისი სამეცნიერო აღთქმის გარეშე, არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ზუსტად გაანალიზო პოლიტიკის სფეროში არსებული რთული მოვლენები.

*პოლიტიკური აზრის კულტურა* თავის თავში მოიცავს იმის შესაძლებლობას, რომ გაანალიზო სხვადასხვა მოვლენა და ინფორმაცია, მისცე პოლიტიკურ პროცესებს სწორი შეფასება და მათდამი საკუთარი დამოკიდებულება განსაზღვრო, მიიღო გადაწყვეტილება პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის შესახებ.

*პოლიტიკური კულტურის გრძნობები* - კონკრეტული პოლიტიკური საქმიანობის დროს მუდმივად იქმნება ისეთი სიტუაცია, სადაც აღნიშნული გრძნობები განსაზღვრავენ სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერთა და სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების ქცევას და მათი საქმიანობის რეგულატორად გვევლინებიან.

*ადამიანის მოთხოვნილებათა კონკრეტულ პოლიტიკურ გარემოსთან შევების საფუძველზე გამოვლენა* - რომლებიც ბატონობენ მოცემულ საზოგადოებაში. აღნიშნული სურვილები თუ მოთხოვნილებები გარკვეულწილად პოლიტიკური აზროვნების კულტურაზე დამოკიდებული, ასევე პოლიტიკური ორიენტაციის შესაბამისად, ადამიანთა შეხედულებები პოლიტიკური ცოდნისა და გრძნობების კონტექსტში ვლინდება.

*პოლიტიკური კულტურის ფუნქციებს* შეგვიძლია მივაკუთვნოთ შემდეგი:

*იდენტიფიკაციის კულტურა*, რომელიც განსაზღვრავს ადამიანთა მუდმივ მოთხოვნილებებს, რომ მან სწორედ გაათვითცნობიეროს კონკრეტული სოციალური ჯგუფისადმი საკუთარი კუთვნილება, განსაზღვროს მისი პოლიტიკურ პროცესებში

მონაწილეობის დონე და უზრუნველყოფის მოცემული საზოგადოების ინტერესთა დაცვა;

*ორიენტაციის კულტურა* განსაზღვრავს ადამიანის სწრაფვას პოლიტიკურ მოვლენათა აზრობრივ აღთქმასთან, როდესაც ადგილი აქვს საკუთარი შესაძლებლობების გაგებას კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზაციის დროს;

*ადაპტაციის ფუნქცია* ადამიანის ცვალებად პოლიტიკურ გარემოსთან შეგუების შესაძლებლობას გამოხატავს;

*სოციალიზაციის ფუნქცია* ადამიანის მიერ სხვადასხვა თვისებების შექმნასთანაა დაკავშირებული, რომელიც იძლევა იმის საშუალებას, რათა კონკრეტულ პოლიტიკურ სისტემაში უზრუნველყოფილ იქნეს კონკრეტული მოქალაქის სამოქალაქო უფლებები, განისაზღვროს მისი პოლიტიკური ფუნქციები და ინტერესები;

*ინტეგრაციის ფუნქცია*, მოცემული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში სხვადასხვა სოციალური ჯგუფების თანაარსებობის ასპექტებს განსაზღვრავს, რომელმაც სახელმწიფოსა და საზოგადოების მთლიანობის შენარჩუნება უნდა უზრუნველყოს;

*კომუნიკაციის ფუნქცია* ხელისუფლების ყველა ინსტიტუტსა და სუბიექტს შორის საყოველთაოდ მიღებული ტერმინების, სიმბოლოების, სტერეოტიპებისა და ინფორმაციის სხვა საშუალებების საფუძველზე ურთიერთობას უზრუნველყოფს;

სხვადასხვა სახელმწიფოთა და ერების განვითარების გზაზე პოლიტიკური კულტურის მრავალი ტიპი იქნა წარმოდგენილი. აღნიშნული კულტურა გამოიხატება მოქალაქეთა პოლიტიკურ ქცევაში, ხელისუფლების სტრუქტურებთან ურთიერთობების ფორმებში და ასევე ისეთი ელემენტების არსებობაში, რომლებიც სხვადასხვა გეოგრაფიული, სულიერი, ეკონომიკური და სხვა ფაქტორების გავლენით იქნა ჩამოყალიბებული.

პოლიტიკური კულტურის ტიპოლოგიის საფუძველში შესაძლებელია ისეთი ფაქტორების არსებობა, რომლებიც სხვადასხვა პოლიტიკურ სისტემათა (ჰ. ექსტაინი) და ქვეყნებისა და რეგიონების (გ. აღმონდი, ს. ვერბა) და სხვ. სპეციფიკას განასახიერებენ.

პოლიტიკურ მეცნიერებაში განსაკუთრებული პოპულარობა მოიპოვა იმ პოლიტიკურ კულტურათა კლასიფიკაციამ, რომელიც შემოთავაზებულ იქნა გ. აღმონდისა და ც. ვერბას მიერ. გაანალიზეს რა აშშ-ის, გერმანიის, იტალიის, მექსიკის პოლიტიკურ სისტემათა ძირითადი ფორმები და სხვა ძირითადი კომპონენტები, მათ პოლიტიკური კულტურის სამი მთავარი ტიპი გამოყვეს:

1. *პატრიარქალური*, რომლისთვისაც მოქალაქეთა მიერ პოლიტიკური ცხოვრებისადმი ინტერესის არარსებობაა დამახასიათებელი;
2. *ქვეშევრდომული*, სადაც ძლიერია პოლიტიკური ინსტიტუტებისადმი ორიენტაცია, მაგრამ, ამავე დროს არ არის მაღალი მოქალაქეთა ინდივიდუალური აქტივობის დონე;
3. *მონაწილეობითი (აქტივისტური)*, რომელიც მოქალაქეთა პოლიტიკური მონაწილეობის ინტერესს ადასტურებს. ავტორები აღნიშნავენ, რომ პრაქტიკაში პოლიტიკური კულტურის აღნიშნული ტიპები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ, შესაბამისად იქმნება პოლიტიკური კულტურის შერეული ფორმები, რომელშიც ჭარბობს ესა თუ ის კომპონენტი. ამავე დროს, სტაბილურობის უზრუნველყოფის კუთხით ყველაზე უფრო მასობრივ და ამავე დროს ოპტიმალურ კულტურად “მოქალაქეობის” სინთეტიკური კულტურა მიიჩნევა, სადაც ჭარბობს ქვეშევრდომული პრინციპების და ადამიანთა მიერ პოლიტიკაში მონაწილეობის შესაბამისი ფორმები (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 185).

რუსმა პოლიტოლოგმა კ. გაჯიევა პოლიტიკური კულტურის სამი ტიპი (სუპერტიპი) შემოგვთავაზა: ორგანიკული, ლიბერალ-დემოკრატიული და შერეული (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 185).

პოლიტიკური კულტურის *ორგანიკული* ტიპისათვის დამახასიათებელია კოლექტიური, ჯგუფური, თემური ღირებულებების ბატონობა, სადაც საზოგადოებას კერძო პირის წინაშე, ხოლო კოლექტივს ინდივიდუალური უფლებების წინაშე (ინდივიდის კოლექტივისადმი მორჩილება) უპირატესობა ენიჭება. ამ ტიპის კულტურის მატარებელი ადამიანებისათვის დამახასიათებელია საზოგადოებრივ ცხოვრებაში სახელმწიფოს როლის “გაზვიადება”, რომელშიც მოქალაქეები სახელმწიფოს როლის განსაკუთრებულობას აღნიშნავენ. სახელმწიფო განიხილება როგორც ერთიანი ორგანიზმი, რომელშიც სხვადასხვა ინსტიტუტები, ორგანიზაციები, ჯგუფები, ცალკეული აღებული ადამიანები მხოლოდ დაქვემდებარებულ როლს ასრულებენ. ადგილი აქვს პოლიტიკისა და სახელმწიფო მოღვაწეობის სფეროში პერსონალიზაციის ამა თუ იმ ხარისხის სახით გამოვლენას, როდესაც პოლიტიკური მოღვაწე განსახიერდება ამა თუ იმ კონკრეტულ სახელმწიფო ლიდერთან, ბელადთან, “ერის მამასთან” და ა.შ. მოცემული ტიპის ლიდერობის ფორმა ყველაზე უფრო უკიდურესი ფორმით გამოვლინდა სსრკ-ის ტოტალიტარული სისტემის ფარგლებში, ასევე აზიის, ლათინური ამერიკის, აფრიკის განვითარებად სახელმწიფოებში (განსაკუთრებით “ცივი ომის” პერიოდში).

პოლიტიკური კულტურის *ლიბერალურ-დემოკრატიული* ტიპისათვის დამახასიათებელია პლურალიზმი - სოციალური, ეკონომიკური, სულიერი და პოლიტიკური ცხოვრების სხვადასხვა სფეროებში. მის მთავარ ღირებულებას წარმოადგენს ინდივიდუალური თავისუფლება, სადაც გარანტირებულია ადამიანის

თავისუფლება, კერძო საკუთრების უფლება და ა.შ. აღნიშნული პოლიტიკური კულტურის ტიპისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პლურალიზმის ღირებულებები და მათთან დაკავშირებული წარმომადგენლობისა და არჩევითობის პრინციპები (პოლიტიკური თანამდებობების დაკავების ფარგლებში). დიდი როლი ენიჭება აგრეთვე საკუთრებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ ურთიერთობებს. სამართალი, სამართლებრივი სისტემა, ამ ტიპის პოლიტიკური კულტურის გადმოსახედიდან, ინდივიდუალური არჩევანი პიროვნული თავისუფლების გარანტს წარმოადგენს, რომელიც კონკრეტულ მორალურ-ეთიკურ შეხედულებებს ემყარება და თითოეული პიროვნების როლს საზოგადოებაში მისი საქმიანობის სფეროს მიხედვით განსაზღვრავს. საზოგადოებაში უნდა ბატონობდეს კანონი და არა კერძო შეხედულებები. სახელმწიფოს ფუნქციები მოქალაქეებს შორის ურთიერთობათა კანონის საფუძველზე რეგულირებას ეფუძნება. გაჯიევის აზრით, ლიბერალურ-დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის აღნიშნული თვისებები ყველაზე წარმატებით დასავლეთის ქვეყნებში რეალიზდება.

ამავე დროს, პრაქტიკულ ცხოვრებაში წმინდა სახით არც ერთი ზემოაღნიშნული პოლიტიკური კულტურის ტიპი არ გვხვდება. თანამედროვე მსოფლიოში უმეტეს შემთხვევაში მხოლოდ შერეულ ტიპებთან გვაქვს საქმე.

## ნაწილი 8. პოლიტიკური ურთიერთობები და პოლიტიკური პროცესები

თავი 47. პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაცია. პოლიტიკური სოციალიზაციის ეტაპები

პიროვნება პირველად პოლიტიკურ სუბიექტს წარმოადგენს, რადგანაც ცალკეული პიროვნებებისაგან იქმნებიან პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ელიტები, პროფესიული ჯგუფები, მოძრაობები, კლასები, ერები. პიროვნებები ასევე კონკრეტული სახელმწიფოს მოქალაქეებს წარმოადგენენ და ამ მიმართულებით ქვეყნის ხელისუფლებასთან აქტიურად თანამშრომლობენ.

ახასიათებდა რა ადამიანის ბუნებას, არისტოტელემ მას პოლიტიკური ცხოველი უწოდა (Heywood. 200. p.13). ანტიკური პერიოდის გამოჩენილი ფილოსოფოსის აზრით, ადამიანის ხასიათი მის პოლიტიკურ თვისებებში ვლინდება. “ყველა ცოცხალ არსებას შორის – წერდა არისტოტელე, მხოლოდ ადამიანია მეტყველების უნარით დაჯილდოებული. ადამიანთა იმ თვისებებს, რომლებიც მას სხვა ცოცხალი არსებებისაგან გამოარჩევს, მივყავართ იქამდე, რომ მხოლოდ ადამიანს ძალუძს გაათვითცნობიეროს ისეთი ცნებები, როგორებიცაა სიკეთე და ბოროტება, სამართლიანობა და უსამართლობა და ა.შ. ხოლო ამ ყველაფრის ერთობლიობა ოჯახისა და სახელმწიფოს შექმნის საფუძველს აყალიბებს.” (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 187)

იმისათვის, რომ ყოველმა ადამიანმა შეძლოს პოლიტიკური ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, აუცილებელია პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი. პოლიტიკური სოციალიზაცია – ეს გახლავთ ადამიანის მიერ თავისი სტატუსისა და როლის განსაზღვრა, მისი ორიენტაციისა და იმ კულტურული ღირებულებების გათვითცნობიერება, რომლებიც მოცემულ პოლიტიკურ სისტემაში ადაპტირებისა და იქ განსაზღვრული ფუნქციების შესრულების საშუალებას იძლევა. ადამიანი, რომელსაც მოცემული თვისებები არ გააჩნია, ერთვება რა პოლიტიკაში, ხშირად არ ძალუძს მოახდინოს ადაპტირება იმ მთავარ პოლიტიკურ მოთხოვნებთან, რათა დაიცვას საკუთარი პოზიცია და ინტერესები რთული პოლიტიკური ურთიერთქმედების პროცესში.

პიროვნებას მოქალაქეობრივი თვისებები მემკვიდრეობით არ გადაეცემა, არამედ ისინი ფორმირდება საზოგადოებასთან, ჯგუფებთან, სხვა ინდივიდებთან ურთიერთქმედების პროცესში. პოლიტიკური მონაწილეობის გაფართოება, პოლიტიკაში მოსახლეობის სულ უფრო ფართო ფენების ჩართვა, პოლიტიკისადმი ინტერესის ზრდა დღევანდელი მსოფლიო განვითარების გლობალურ ტენდენციას წარმოადგენს. პოლიტიკის რთულ სამყაროში შესვლა ახალ თაობებს გარკვეული პოლიტიკური მიზნებისა და ფასეულობების

ფორმირებას სთავაზობს. აღნიშნულ ასპექტებს მომავალი თაობა კონკრეტულ საზოგადოებაში ეცნობა. პოლიტიკური პროცესების განვითარების დროს, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ ხორციელდება პოლიტიკური დარწმუნებისა და პოლიტიკური ცხოვრების ახალი სტანდარტების დამკვიდრება ახალი თაობის წარმომადგენელთა შორის და როგორ ხდება დამოუკიდებელი და პასუხისმგებელი პოლიტიკური სუბიექტების ფორმირება.

პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაცია სოციალურ ფაქტორთა შემდეგი ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ხორციელდება:

*საზოგადოებრივი ფაქტორები* – ეს გახლავთ ის საზოგადოებრივი პირობები, რომელთაც ადამიანი დაბადებისთანავე აწყდება და რომელშიც მისი, როგორც პიროვნების განვითარება ხორციელდება. აღნიშნულ პროცესს ისტორიის სხვადასხვა ეტაპზე შესაბამისი თავისებურებები გააჩნია: ადამიანური საზოგადოების განვითარებას შესაბამის ისტორიულ მონაკვეთში სხვადასხვა შინაარსი გააჩნია, შესაბამისად, პიროვნების პოლიტიკურ ჩამოყალიბებაზე ისტორიული მოვლენები სხვადასხვა პერიოდში განსხვავებულად ზემოქმედებს. პიროვნების პოლიტიკურ სოციალიზაციაზე გავლენის მოხდენით, ობიექტური ფაქტორები ორ ძირითად სახეობად იყოფა: არაპოლიტიკური და პოლიტიკური ფაქტორები.

*არაპოლიტიკური ფაქტორები* – ეს გახლავთ ის სოციალური გარემო, რომელშიც ადამიანი ცხოვრობს და ვითარდება. მათ რიცხვს მიეკუთვნება ოჯახი, სკოლა, მუშათა შრომითი კოლექტივები, კულტურა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, არაფორმალური გაერთიანებები და სხვ. თითოეულ ამ ზემოქმედებულ ფაქტორებს (განსაკუთრებით სკოლას, კულტურას და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს) თავიანთი ფუნქციონირების პროცესში პოლიტიკური დატვირთვაც გააჩნიათ, რომლებითაც ისინი ადამიანის ცნობიერებასა თუ მის პოლიტიკურ შემადგენელზე ზემოქმედებენ. მთლიანობაში, მოცემული ხალხის მთელი ცხოვრებისეული სტილი, მათ ეროვნულ ტრადიციებსა და ჩვეულებებს პიროვნების პოლიტიკური ცნობიერების ფორმირებაში არსებითი მნიშვნელობა გააჩნიათ, რომელიც მათ პოლიტიკისა და ხელისუფლების სამყაროში შესვლას განაპირობებს.

*პოლიტიკური ფაქტორები* – ეს გახლავთ ადამიანების მიერ შექმნილი ის ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებიც სპეციალური მექანიზმების მეშვეობით ადამიანის პოლიტიკურ ქცევას აკონტროლებენ, აგრეთვე მოცემული პოლიტიკური რეჟიმისათვის კონკრეტული პიროვნების საზოგადოებრივ შეხედულებებს საჭირო მიმართულებით აყალიბებენ. ასეთ ფაქტორებად გვევლინება სახელმწიფო, პოლიტიკური პარტიები და მოძრაობები, სხვა პოლიტიკური ინსტიტუტები. ამ ორგანიზაციათა ოპოზიციური ნაწილი თავისი



მიზნებიდან გამომდინარე ცდილობს ზემოქმედება მოახდინოს ადამიანთა შეგნებაზე.

რეალურ ცხოვრებაში პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაციის პოლიტიკური და არაპოლიტიკური ფაქტორები ერთმანეთთან მეტად მჭიდროდ გადაიკვეთებიან. ადამიანისათვის, პოლიტიკური მნიშვნელობა შესაძლოა ენიჭებოდეს პოლიტიკისაგან ისეთ შორს მყოფ მოვლენებს, როგორცაა შრომითი საქმიანობა, სახელმწიფოს ბუნებრივი პირობები და ა.შ. აღნიშნულ თანხვედრას ადგილი აქვს იმისგან დამოუკიდებლად, თუ რა როლს თამაშობენ სხვადასხვა მოვლენები თუ პირობები სახელმწიფოს საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის მოცემულ მომენტში.

*პიროვნების პოლიტიკური სოციალიზაციის სუბიექტურ ფაქტორებს* წარმოადგენს იმის შესაძლებლობა, თუ როგორ უნდა აღიქვას ადამიანმა გარშემო არსებული პოლიტიკური რეალობა, როგორ უნდა შეეძლოს მას მოახდინოს პოლიტიკური მოვლენებისა და პროცესების ანალიზი, შეაფასოს ცალკეული მოვლენები და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები კონკრეტული მოქალაქის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი ადგილის გარკვევის მიზნით. ზემოაღნიშნული ფაქტორები დამოკიდებულია პიროვნების საერთო კულტურაზე, მის მსოფლმხედველობაზე, მასში ფასეულობითი ორიენტაციის ფორმირებაზე, შინაგანი რწმენის განვითარებაზე, რომელიც ადამიანის საერთო სოციალიზაციისა და მისი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში ფორმირდება.

*სოციალიზაციის აგენტები* – ესენი არიან პოლიტიკური ინსტიტუტები (სახელმწიფო, პარტიები და ა.შ.), პოლიტიკური ლიდერები, ელიტები, დაინტერესებული ჯგუფები, ეკლესია, ოჯახი, რომლებიც ხელს უწყობენ პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესს.

სოციალიზაციის სხვადასხვა ეტაპებზე ამა თუ იმ აგენტის გავლენა დომინირებს.

*პოლიტიკური კულტურის მაგალითები*, როგორ კატეგორიასაც ისინი არ უნდა წარმოადგენდნენ, ეპოქიდან ეპოქაში გადადიან და პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში პოლიტიკური კულტურის კონკრეტული ნიშნები თაობიდან თაობას გადაეცემა. თუ კულტურა კონკრეტულ სფეროში საქმიანობას წარმოადგენს, ადამიანი მას აუცილებლად უნდა დაეუფლოს.

ინდივიდთა მიერ პოლიტიკური კულტურისა და მისი ღირებულებების შემეცნების ის პროცესი, რომელიც კონკრეტული საზოგადოებისათვისაა დამახასიათებელი, იძლევა იმის საშუალებას, რომ ეფექტურად იქნეს გამოყენებული ინდივიდის პოლიტიკური როლი და ფუნქციები და ამით მოხდეს თვით პოლიტიკური საზოგადოებისა და პოლიტიკური სისტემის შენარჩუნება.

ეს ყველაფერი კი საერთო ჯამში პოლიტიკურ სოციალიზაციას წარმოადგენს.

პოლიტიკური სოციალიზაციის კონცეფცია სხვადასხვა სამეცნიერო სკოლებისა და მიმართულებების საქმიანობის შედეგად ყალიბდება. თუმცა, ადამიანის პოლიტიკურ გარემოში ინტეგრაცია მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს და მრავალი ფაქტორითაა გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით, პოლიტიკური სოციალიზაციის კონცეფციის განვითარება პრაქტიკულ პოლიტიკურ მოთხოვნებებთან მეტად მჭიდროდ იყო დაკავშირებული.

პოლიტიკური სოციალიზაციის ამა თუ იმ მოდელის შერჩევა საზოგადოებაში არსებული პოლიტიკური კულტურის დომინირებით იყო განპირობებული. იგი პიროვნებასა და ხელისუფლების შორის ურთიერთობათა განსაზღვრულ მოდელს გვთავაზობდა.

განვიხილოთ პოლიტიკური სოციალიზაციის თეორიები:

*პოლიტიკური სოციალიზაციის კლასიკური თეორია* ინდივიდის მიერ მისთვის პოლიტიკური როლის ათვისების საქმეში სპეციალური მომზადების აუცილებლობას ასაბუთებს. აუცილებლობას წარმოადგენს აღნიშნული თეორიის ხელისუფლების ინსტიტუტებთან მიმართებაში შესწავლა და შესაბამისი “თამაშის წესების” ათვისება (დ. ისტონი, კოენი, პარსონსი, ლიპტონი).

*ბიჰევიორისტული თეორია* პოლიტიკურ სოციალიზაციას იკვლევს როგორც ინდივიდუალური პოლიტიკური ცნობიერების ჩამოყალიბების პროცესს, რომელიც დაკავშირებულია ან შთამომავლობით გადაცემულ (ბ. სკინერი), ან სოციალური ინტეგრაციის შედეგად შექმნილ ღირებულებებსა და ემოციებთან (ა. მასლოუ, რ. უოტერსი, რ. ლეინი).

*ფსიქოანალიტიკური თეორია* პოლიტიკურ სოციალიზაციას პოლიტიკური ქცევის არაცნობიერ, ირაციონალურ მოტივებთან აკავშირებს. ამ შემთხვევაში პოლიტიკური სოციალიზაცია პოლიტიკური გრძნობებისა და წარმოდგენების პროცესს (ერიქსონი, ე. ფრომი) წარმოადგენს.

პოლიტიკური სოციალიზაცია ერთობლიობაში გულისხმობს შემეცნებით, აღმზრდელობით და პრაქტიკულ პოლიტიკურ საქმიანობას. მნიშვნელოვანია აღინიშნოს პოლიტიკური სოციალიზაციის საშუალებათა მრავალფეროვნება: სკოლაში მიღებული განათლებიდან დაწყებული ადამიანთა მიერ სახელმწიფოს მართვის პროცესში უშუალო მონაწილეობით დასრულებული. სოციალიზაციის ინსტიტუტებად გვევლინებიან ყველა ის პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციები, რომლებიც საზოგადოების პოლიტიკურ სისტემას შეადგენენ, ანუ, ხელისუფლების ყველა ორგანო და მისი განხორციელების მექანიზმები. თავის მხრივ, პოლიტიკური სოციალიზაცია თვითონაც წარმოადგენს ხელისუფლების ფუნქციონირების ერთ-ერთ ძირითად მექანიზმს.

პოლიტიკური სოციალიზაცია რიგ ფუნქციებს ასრულებს: 1. განსაზღვრავს იმ პოლიტიკურ მიზნებსა და ღირებულებებს, რომლის მიმართულებითაც

კონკრეტული ინდივიდი მიისწრაფვის და რისი მიღწევაც სურს ინდივიდს უშუალო პოლიტიკური მონაწილეობის მეშვეობით; 2. აყალიბებს წარმოდგენებს პოლიტიკური ქცევის მისაღები ფორმების შესახებ და განსაზღვრავს ამა თუ იმ პოლიტიკურ სიტუაციაში კონკრეტული ქცევის მიზანშეწონილობის შესახებ; 3. განსაზღვრავს ინდივიდის დამოკიდებულებას გარემოსა და პოლიტიკური სისტემის მიმართ; 4. შეიმუშავებს კონკრეტულ დამოკიდებულებას პოლიტიკური სისტემის სიმბოლოების მიმართ; 5 აყალიბებს შესაძლებლობებს გარე სამყაროს შემეცნების შესახებ; 6. კოორდინირებს იმ ურთიერთობებს, რომლებიც პოლიტიკური ცხოვრების ერთგვარ “კოდს” წარმოადგენენ.

სოციალიზაციის პროცესში ერთმანეთთან რამდენიმე სუბიექტი ურთიერთქმედებს: ის, ვისაც უშუალოდ ეხება სოციალიზაციის პროცესი; ინსტიტუტები, ამ ინსტიტუტების შემქმნელები (საგანმანათლებლო დაწესებულებები, პარტიები, საზოგადოებრივი ორგანიზაციები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები და სხვ.); სოციალიზაციის აგენტები (სოციალიზატორები) ან სოციალური ზემოქმედების უშუალო “გამტარებლები” (მასწავლებლები, საზოგადოებრივი მოძრაობების აქტივისტები, საზოგადო მოღვაწეები, ჟურნალისტები და ა.შ.)

გამოყოფენ სოციალიზაციის ორ ეტაპს:

პირველადი სოციალიზაცია: ის მცირე ჯგუფებში პიროვნებათშორისი ურთიერთობების შედეგად ხორციელდება. სოციალიზაციის პირველად აგენტებად ინდივიდის უახლოესი გარემოცვა გვევლინება: მშობლები, ახლო და შორეული ნათესავები, ოჯახის მეგობრები, თანატოლები, მასწავლებლები, მწვრთნელები და ა.შ. ისინი პირველად აგენტებად არა მხოლოდ იმიტომ განიხილებიან, რომ ისინი ყველაზე უფრო ახლოს ურთიერთობენ ინდივიდთან, არამედ იმიტომაც, რომ მათი გავლენა თავისი მნიშვნელობის მიხედვით, პირველ ადგილზე იმყოფება.

მეორადი სოციალიზაცია მსხვილი სოციალური ჯგუფებისა და ინსტიტუტების დონეზე ხორციელდება. მეორად აგენტებს წარმოადგენენ ფორმალური ორგანიზაციები, ოფიციალური დაწესებულებები: სკოლის ადმინისტრაციის წარმომადგენლები, არმია, სახელმწიფო და ა. შ.

პოლიტიკური მხარდაჭერის თეორიაზე დაყრდნობით, დ. ისტონმა და ჟ. დენისმა სოციალიზაციის პროცესის განვითარების გარკვეული სქემა შემოგვთავაზეს. გადამწვეტ როლს ისინი პირველად სოციალიზაციას ანიჭებენ, ანუ იმ ფსიქოლოგიური თვისებების ფორმირებას, რომლებიც ბავშვობის პერიოდში იჩენს თავს. პირველადი სოციალიზაციის პროცესი, მათი აზრით, ოთხ პერიოდს მოიცავს:

1. *პოლიტიზაცია*: ბავშვობის პერიოდში ფორმირდება იმის აღქმა, რომ პოლიტიკური ძალაუფლება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მშობელთა ძალაუფლება;
2. *პერსონალიზაცია*: ბავშვის აღქმაში პოლიტიკური სოციალიზაცია იმ კონკრეტულად განსაზღვრულ სიმბოლოებს ღებულობს, რომლებიც სახელმწიფოს განასახიერებს: პოლიცია, ჯარი, პრეზიდენტი და ა.შ.
3. *იდეალიზაცია*: ბავშვის თვალში რიგი წამყვანი პოლიტიკური ფიგურები გარკვეულ დადებით თვისებებს იძენენ.
4. *ინსტიტუციონალიზაცია* – ბავშვი გადადის ხელისუფლების პერსონალიზაციიდან, ხელისუფლების როგორც ინსტიტუტის აღქმაზე, ანუ მასთან ხელისუფლება უკვე ასოცირდება არა პიროვნებასთან, არამედ ინსტიტუტთან: პარლამენტი, არმია, სასამართლო, პარტიები და ა.შ.

ეს კონცეფცია რიგ დაუსაბუთებელ თეორიულ ასპექტებს ეფუძნება. მაგალითად, პირველი პერიოდი (პოლიტიზაცია) აიხსნება იმით, რომ ბავშვი თავის თავს გრძნობს დაუცველად, რაც მას აიძულებს, რომ მხარდაჭერა პოლიტიკურ ლიდერთა შორის იპოვოს, კონკრეტულად სახელისუფლებო პოლიტიკურ ინსტიტუტებში და არა მშობლებში, თანატოლებსა თუ პირველადი სოციალიზაციის სხვა აგენტებში.

შემდეგ ეტაპზე ხორციელდება იდენტიფიკაცია.

*იდენტიფიკაცია* – ეს გახლავთ აღთქმა იმისა, რომ ბავშვი კონკრეტულ თემს მიეკუთვნება. იდენტიფიკაციის მეშვეობით ბავშვები ღებულობენ სხვადასხვა ღირებულებებს, ნორმებს, პირველადი სოციალიზაციის აგენტთა ქცევას აღიქვამენ როგორც თავის პირადულს და ა.შ.

პოლიტიკური აზროვნების ძირითადი ასპექტების შესწავლა ბავშვებში პიროვნების პოლიტიკური განვითარების შესახებ წარმოდგენების არსებობის საშუალებას იძლევა. ასე მაგალითად, 11-დან 14 წლის ასაკამდე პოლიტიკურ წარმოდგენათა მეტად სწრაფ განვითარებას აქვს ადგილი, 16-დან 18 წლის პერიოდამდე ადგილი აქვს აღნიშნული პროცესის გარკვეული შენელების ტენდენციას. 11 წლის ასაკის ბავშვებისაგან განსხვავებით (რომელიც უაღრესად პერსონიფიცირებულ ხასიათს ატარებს), 15 წლის ასაკის მოზარდთა აზროვნება აბსტრაქციის მნიშვნელოვანი ხარისხით (გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორებიცაა “ხელისუფლება”, “თავისუფლება”, “ადამიანის უფლებები”) გამოიხევა. უშუალოდ სიჭაბუკის პერიოდში იწყება გარკვეულ ქმედებებზე, ასევე კოლექტიურ, არაინდივიდუალურ ქცევებზე, აგრეთვე ცალკეული პოლიტიკური ინსტიტუტების შესახებ წარმოდგენათა ფორმირება.

მოზარდის პერიოდში უკვე ადგილი აქვს პიროვნების მსოფლმხედველობის პრინციპების ფორმირებას. საბავშვო და მოზარდის ასაკში მიღებული და ჩამოყალიბებული პოლიტიკური შეხედულებები ყველაზე მყარ შეხედულებებს წარმოადგენს. სასიცოცხლო ციკლის თითოეულ საფეხურზე ორი ურთიერთშეთავსებადი პროცესი მიმდინარეობს: დესოციალიზაცია და რესოციალიზაცია.

*დესოციალიზაცია* – ეს გახლავთ ისეთი პროცესი, როდესაც ადამიანი უარს აცხადებს ძველ ღირებულებებზე, ნორმებზე, როლებსა და ქცევის წესებზე.

*რესოციალიზაცია* – ეს არის ახალი ღირებულებების, ნორმების, როლებისა და ქცევის წესების შესწავლის პროცესი.

პოლიტიკური სოციალიზაციის მეორე ეტაპი ხასიათდება იმით, რომ იგი დაკავშირებულია ადამიანის პირადი პოლიტიკური გამოცდილების მიღებასთან, რაც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მოქალაქემ გამოიმუშაოს დამოუკიდებელი, ინდივიდუალური პოლიტიკური შეხედულებები, გადაამუშაოს ინფორმაცია და ჩამოაყალიბოს ახალი პოლიტიკური პოზიციები და განსაზღვროს თავისი ახალი სოციალური როლი და ა.შ. სოციალიზაციის მეორე ეტაპის დროს, პიროვნებას შეუძლია წინ აღუდგეს ზეწოლას და ინდივიდუალური პოლიტიკური პოზიციების დაფიქსირებით, ასევე კულტურული ნორმებისა და ტრადიციების გადახედვის მიმართულებით საკუთარი შესაძლებლობები გამოაჩინოს და საკუთარი პოზიცია დაიცვას. აქ გარკვეულ როლს სოციალიზაციის კიდევ ერთი ფაქტორი ასრულებს, რომელიც თვითონ ადამიანის მიერ ინფორმაციის, ნორმების აღთქმასა და ხელისუფლებასთან ურთიერთქმედების შედეგად გამოცდილების მიღების მიმართულებით ცოდნის დაუფლებასთანაა დაკავშირებული.

პიროვნების პოლიტიკური ქცევის შესახებ მაგალითების წარმოდგენა, რომლებშიც მისი პოლიტიკური ცნობიერების დონე, დამოუკიდებლობა და ა.შ. ვლინდება, სადაც უკვე საუბარია იმაზე, რომ თითოეული მოქალაქე საკუთარი პოლიტიკური არჩევანის წინაშე იყოს პასუხისმგებელი, სოციალიზაციის მეორე ეტაპისათვისაა დამახასიათებელი.

სოციალიზაციის ამ სტადიაზე ინდივიდსა და ხელისუფლებას შორის პოლიტიკური ურთიერთქმედების ხასიათი შესაძლებელია ეფუძნებოდეს დიალოგს, კონსენსუსს, თუნდაც კონფლიქტს ინდივიდსა და ხელისუფლებას შორის. ეს ყველაფერი განპირობებულია იმ პოლიტიკური კულტურის ტიპით,

რომელიც კონკრეტულ საზოგადოებაში დომინირებს, აღნიშნული ტიპის ან ერთგვაროვნებით ან მის შიგნით არსებულ სხვადასხვა სუბკულტურათა მიხედვით. ერთგვაროვანი კულტურის და პირველ რიგში ისტორიული და ეროვნული ტრადიციების დონე, კონფესიური გარემოს, ეკონომიკურ და სოციალურ ურთიერთობათა ცნობილი გავლენის პირობებში, იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კონკრეტული საზოგადოებების პოლიტიკური სოციალიზაციის შედარებით უფრო მყარი თვისებები იქნეს გამოვლენილი. დასავლურ პოლიტოლოგიაში - პოლიტიკური ღირებულებებისა და ნორმების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდებს პოლიტიკური ქცევის გარკვეულ თვისებებს ანიჭებენ, პოლიტიკური სოციალიზაციის რამდენიმე ტიპი გამოიყოფა.

ბრიტანულ-ამერიკული ჰომოგენური პოლიტიკური კულტურა პოლიტიკური სოციალიზაციის ჰარმონიულ ტიპს გვთავაზობს, რომელსაც ერთგვაროვანი კულტურული გარემო, მკაფიო დემოკრატიული ტრადიციები და სამოქალაქო საზოგადოება უზრუნველყოფს. ამ საზოგადოებაში ხელისუფლებასა და ინდივიდს შორის ურთიერთპატივისცემის საფუძველზე არსებული დიალოგი არსებობს. უშუალოდ თავისი “მე“-ს ჩამოყალიბების პროცესში, ინდივიდი დომინირებადი პოლიტიკური კულტურის ღირებულებებს ითვისებს.

დასავლეთ ევროპის ქვეყნებში *პოლიტიკური კულტურის პლურალისტური ტიპი* დომინირებს. აღნიშნული რეგიონის სახელმწიფოებში პოლიტიკური კულტურა ფრაგმენტალურ ხასიათს ატარებს. სხვადასხვა დონეზე და შესაბამისი მიმართულების მქონე არსებული სტრუქტურების მნიშვნელოვანი რაოდენობა ინდივიდის პირველად პოლიტიკურ სოციალიზაციას თავისი კულტურულ-ეთნიკური ჯგუფის ფარგლებში გვთავაზობს. თუმცა, პოლიტიკური ურთიერთქმედების მონაწილეებს შორის მათი ლიბერალურ-დემოკრატიული ფასეულობებისადმი ერთგულების გამო (თავისუფლება, კერძო საკუთრება, ინდივიდუალიზმი, ადამიანის უფლებები, პლურალიზმი და ა.შ.). არსებული კონფესიონალურ-კულტურული მრავალფეროვნება პოლიტიკური თანხმობის მიღწევას არ აფერხებს. სწორედ ლიბერალიზმის ფასეულობებისადმი ერთგულება უზრუნველყოფდა ისტორიულად ინდივიდის შესაძლებლობას, პატივი ეცა განსხვავებული პოლიტიკური სუბკულტურებისათვის.

არადასავლური ცივილიზაციის საზოგადოებებისათვის დამახასიათებელია *პოლიტიკური სოციალიზაციის კონფლიქტური ტიპი*. ინდივიდის კლანთან, გვართან, თემის ადგილობრივ ტრადიციებთან მჭიდრო დამოკიდებულება მნიშვნელოვნად აფერხებს პოლიტიკური ქცევის სხვადასხვა ნორმებისა და

პოლიტიკური ფასეულობების მატარებლებს შორის თანხმობის მიღწევას. საზოგადოებაში არ არსებობს ერთიანი, ინტეგრალური ღირებულებები.

ამ ტიპის სოციალიზაციის გარკვეულ სახეობას ე.წ. ჰეგემონური ტიპი წარმოადგენს. იგი ცალკეულ მოქალაქეს პოლიტიკურ ცხოვრებაში შესვლას მხოლოდ გარკვეული კლასის (ბურჟუაზია ან პროლეტარიატი) ან რელიგიური (მაგალითად ისლამი), ასევე იდეოლოგიური (კომუნიზმი, ფაშიზმი, ფუნდამენტალიზმი) ღირებულებების აღიარებით სთავაზობს. პოლიტიკური სოციალიზაციის ამ ტიპისათვის დახურული პოლიტიკური სისტემაა დამახასიათებელი, რომლისთვისაც მიუღებელია განსხვავებული ღირებულებები. აღნიშნული მეთოდით მიმდინარეობდა პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესი სსრკ-ში, ნაცისტურ გერმანიაში, აზიისა (მაგ: ირანი) და აფრიკის რამდენიმე ქვეყანაში.

პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესზე ასევე ზემოქმედებენ ისეთი არსებითი ფაქტორები, როგორებიცაა ოჯახი, განათლების სისტემა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, რელიგიური გაერთიანებები, სახელმწიფო და პოლიტიკური ორგანიზაციები, პოლიტიკური პარტიები, ცალკეული პოლიტიკური მოვლენები, პოლიტიკური სუბიექტის თვითშეგნება და ა.შ. სოციალიზაციის ამა თუ იმ აგენტების როლი ასევე საზოგადოებრივი პირობების მიხედვით განისაზღვრება, მაგალითად, არის თუ არა საზოგადოება ინდუსტრიული თუ ინფორმაციული თვალსაზრისით განვითარებული თუ არა, კულტურის რომელი ტიპი - დასავლური თუ აღმოსავლური დომინირებს საზოგადოებაში, რომელი პოლიტიკური რეჟიმი – დემოკრატიული თუ ავტორიტარული დომინირებს კონკრეტულ ქვეყანაში და ა.შ.

პოლიტიკისადმი ადამიანის დამოკიდებულება თავდაპირველად ოჯახში ვლინდება. მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა საწყისი ორიენტაციების ფორმირება ოჯახის გავლენით ხორციელდება, ამავე დროს, ბევრია დამოკიდებული იმაზე, თუ ვინ არის რეალურად ოჯახში უფროსი, მამა თუ დედა და ა.შ.

*სკოლა* – როგორც პირველადი საგანმანათლებლო დაწესებულება სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ამ შემთხვევაში, ბავშვის ცხოვრებაში პოლიტიკური ცნობიერების გააქტიურება მაგალითად ისტორიის, პოლიტიკური გეოგრაფიის, მხატვრული ლიტერატურის კურსების შესწავლის შედეგად ხორციელდება. სკოლა - ეს გახლავთ ის კონკრეტული განათლების კერა, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ბავშვობის ასაკიდან უკავშირდება სახელმწიფოსა და საზოგადოებას.

*რელიგია და ეკლესია* პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესზე უშუალოდ ზემოქმედებენ, რაც საზოგადოებრივი განვითარების კონკრეტულ პოლიტიკურ და სოციალ-ეკონომიკურ პირობებთან დამოკიდებულებაში აისახება. პოლიტიკური ლიდერები, განსაკუთრებით განვითარებად ქვეყნებში, თავიანთ საქმიანობას ამა თუ იმ რელიგიურ ფაქტორებს უკავშირებენ და ხშირად ცდილობენ პოლიტიკური გადაწყვეტილებების რელიგიური ასპექტებით დასაბუთებას.

თანამედროვე საზოგადოებაში პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მოძრაობებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს უკავიათ. ერთ-ერთი წამყვანი როლი პარტიებს ეკისრებათ, რომლებიც თავის მხრივ პოლიტიკური სოციალიზაციის ფარგლებში საქმიანობის სხვადასხვა ფორმას იყენებენ – ზეპირი პროპაგანდა და აგიტაცია, ბუჭდვითი სიტყვა, ტელე და რადიომაუწყებლობა. სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანიზაციასთან სხვადასხვა ახალგაზრდული ორგანიზაციები არიან დაკავშირებული. ამავე დროს, სხვადასხვა პარტიები განსხვავებული ფერის სიმბოლოებს ატარებენ, მაგ: კომუნისტები წითელს, ანარქისტები შავს, აღმოსავლეთის ისლამურ ქვეყნებში მოღვაწე პოლიტიკური პარტიები კი მწვანეს.

რა თქმა უნდა, დღევანდელ ეტაპზე ნებისმიერი პოლიტიკური პროცესის წარმოდგენა შეუძლებელია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისა და კომუნიკაციის გარეშე. მას-მედია უშუალოდ ზემოქმედებს ადამიანზე და აფიქსირებს თავის უშუალო დამოკიდებულებას პოლიტიკური ფასეულობების მიმართ, იცავს ერთს და უარყოფს სხვა პოლიტიკურ იდეალებს. ქვეყნის ფარგლებში ან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვა მასალის გავრცელების სიჩქარე და სიხშირე იძლევა ინფორმაციის გადაცემის ისეთ შესაძლებლობას, რომელიც გავლენას ახდენს მოსახლეობის მიერ ხელისუფლების ან რომელიმე პოლიტიკური პარტიის მიერ გატარებული ღონისძიებების მხარდაჭერის დონეზე. ემოციურობა, სხვადასხვა სახის ინფორმაციის მხატვრულობა, პოლიტიკური სიმბოლოების გამოყენება და ა.შ. ზემოქმედებს ინფორმაციის გავრცელების ეფექტურობის ხარისხზე. ინფორმაციის მრავალფეროვნება ადამიანის ინტერესს პოლიტიკისადმი კიდევ უფრო აძლიერებს, ასევე იგი გარკვეულ სტანდარტებს აყალიბებს პოლიტიკური არჩევანის თავისუფლებაზე.

ამგვარად, პოლიტიკური სოციალიზაციის პროცესში, ადამიანი შედის პოლიტიკურ ურთიერთობათა განსაკუთრებულ სამყაროში, სადაც იგი გაითავისებს საზოგადოებრივი ყოფიერების პოლიტიკურ მხარეს. ადამიანის პიროვნული თვისებებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე – აითვისოს



და გაიაზროს პოლიტიკური ცხოვრების არსებული ნორმები, ცალკეული მოქალაქე ხდება ან პოლიტიკურად აქტიური, ან პირიქით, პასიური – პოლიტიკისადმი ინდეფერენტული პიროვნება.

#### **თავი 48. პოლიტიკური ურთიერთობები: მათი თავისებურებები და არსებობის ფორმები**

პოლიტიკური ცხოვრების პროცესში ადამიანთა მიერ ჩამოყალიბებული სოციალური თემები ერთმანეთთან ურთიერთობაში იმყოფებიან. ხალხის ფართო მასების პოლიტიკური უფლებებისა და თავისუფლების ბრძოლაში აღნიშნული ურთიერთობები ერთმანეთთან ობიექტურადაა დაკავშირებული. შესაბამისად, ადგილი აქვს სხვადასხვა სახის პოლიტიკური ურთიერთობების დამყარებას სხვადასხვა კლასების, ერების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების და სხვ. წარმომადგენლებს შორის. პოლიტიკურ ურთიერთობათა მთავარ ობიექტებს ხელისუფლება, საზოგადოებაში გაბატონებული პოლიტიკური აზრი და სხვ. წარმოადგენს.

პოლიტიკურ ურთიერთობათა ფუნქციონირება მეტად რთულ და მრავალმხრივ პროცესს წარმოადგენს. მისი არსი, შინაარსი, გამოვლენის მექანიზმები სოციალურ ბუნებასთან და არსებულ პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათთანაა დაკავშირებული, რომლის ფარგლებშიც არსებული პროცესი მიმდინარეობს. სხვადასხვა მეცნიერი პოლიტიკურ ურთიერთობათა აღნიშნული კატეგორიის შემდეგ განსაზღვრებას გვთავაზობს:

*პოლიტიკური ურთიერთობები* – ეს გახლავთ პოლიტიკის სუბიექტებისა და ხელისუფლების ურთიერთქმედება, რომლის დროსაც ხდება სხვადასხვა იდეების, შეხედულებების ურთიერთგაზიარება, რესურსების ურთიერთგაცვლა (გავლენის, ინფორმაციის, ცოდნის და ა.შ.). პოლიტიკური ურთიერთობები საზოგადოებაში ისეთივე მნიშვნელოვან როლს თამაშობენ, როგორც ეკონომიკური, სოციალური, იდეოლოგიური და სხვა სახის ურთიერთობები (Воробьев К. А. 2003).

პოლიტიკურ ურთიერთობათა არსი გამოიხატება იმაში, რომ ისინი ასახავენ კომუნიკაციას სხვადასხვა მსხვილ სოციალურ საზოგადოებებს შორის, სადაც დიდი მნიშვნელობა ენიჭება პირველ რიგში სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ მსჯელობას. ხელისუფლება – პოლიტიკურ ურთიერთობათა მთავარ ობიექტს წარმოადგენს, რომლის გარშემო მთლიანი სისტემა ყალიბდება.

პოლიტიკურ ურთიერთობათა შინაარსი სახელმწიფოსა და საზოგადოებას, ხელისუფლებასა და ხალხს შორის კომუნიკაციის ფარგლებში განისაზღვრება, რომელიც ასევე დამოკიდებულია საზოგადოებრივი და პოლიტიკური პროცესის განვითარების ხარისხზე, სახალხო მასების პოლიტიკური კულტურის დონეზე და ა.შ.

პოლიტიკურ ურთიერთობათა ინტენსივობა ქვეყანაში პოლიტიკური ცხოვრების საერთო ატმოსფეროს შეცვლის შედეგად განისაზღვრება და შეიძლება ან მისი აქტივიზაციისა ან აქტიურობის შემცირების ფარგლებში მერყეობდეს. პოლიტიკური კრიზისების პერიოდში, როგორც ხელისუფლების წარმომადგენელთა, ასევე საზოგადოების გარკვეული ჯგუფების ქმედებების შედეგად, პოლიტიკურ ურთიერთობათა აქტივობა შეიძლება შემცირდეს (მაგალითად: ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების, რეპრესიების დროს) ან განვითარდეს (რევოლუციების პერიოდი, შეიარაღებული დაპირისპირება, დემოკრატიული რეფორმები, რეფერენდუმების ჩატარება).

განვიხილოთ პოლიტიკურ ურთიერთობათა ძირითადი კლასიფიკაციები.

პოლიტიკური სუბიექტების (მხარეები) კატეგორიების მიხედვით პოლიტიკური ურთიერთობები შესაძლოა წარმოდგენილ იქნეს როგორც ურთიერთობები სახელმწიფოებს, სოციალურ კლასებს, პოლიტიკურ პარტიებს შორის.

სუბიექტთა რაოდენობის მიხედვით პოლიტიკური ურთიერთობების ფარგლებში ორმხრივ და მრავალმხრივ კატეგორიებს გამოყოფენ.

მათი წარმოშობისა და არსებობის ისტორიული პერიოდის მიხედვით, განიხილება ანტიკური, შუა საუკუნეების და თანამედროვე პერიოდის პოლიტიკური ურთიერთობები.

სოციალური ხასიათის მიხედვით მონათმფლობელური, ფეოდალური, ინდუსტრიული (კაპიტალისტური), სოციალისტური, პოსტ-ინდუსტრიული, ინფორმაციული და სხვ. საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების ფარგლებში სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და ფენებს შორის ურთიერთობები განიხილება.

პოლიტიკურ ურთიერთობათა ყველაზე უფრო გავრცელებულ ფორმად ორმხრივი ურთიერთობები გვევლინება, ანუ კომუნიკაცია ორ სუბიექტს შორის, რომლებიც ერთმანეთთან ურთიერთობაში ან თანამშრომლობის, ან მეტოქეობის, კონფრონტაციისა და ანტაგონიზმის რეჟიმში იმყოფებიან. ამ შემთხვევაში, პოლიტიკურ ურთიერთობათა მხარეებად გვევლინებიან მმართველი ძალები და ოპოზიცია, პოლიტიკურ დაჯგუფებათა ერთობლიობა, რომლებიც იყოფიან მემარჯვენეებად და მემარცხენეებად (ხანდახან მათ შორის ცენტრისტული დაჯგუფება არსებობს). მათ შორის ურთიერთობები საპარლამენტო საქმიანობის, პარტიათაშორისი და პარტიის შიგნით საქმიანობის პროცესში იჩენს თავს.

გამოიყოფა პოლიტიკურ ურთიერთობათა შემდეგი ძირითადი მახასიათებლები:

- ისინი არსებობენ სხვადასხვა სოციალურ საზოგადოებებს შორის და ისინი პიროვნულ ხასიათს არ ატარებენ, ანუ ადამიანთა შორის ურთიერთობები ამ

შემთხვევაში პოლიტიკურ და სხვა ლიდერებს შორის კომუნიკაციაში გამოიხატება.

- პოლიტიკური ურთიერთობები სხვადასხვა სახით ზემოქმედებას ახდენენ საზოგადოებრივ ურთიერთობებზე. აღნიშნულ ურთიერთობათა ფარგლებში ადამიანთა საჭიროებები, ინტერესები, მოთხოვნილებები აკუმულირდება. პოლიტიკური ურთიერთობები საზოგადოებრივი ცხოვრების მთავარი ფაქტორის - სახელმწიფო ხელისუფლების ირგვლივ ფუნქციონირებს. სახელმწიფო ხელისუფლებაზე კი თავის მხრივ ადამიანთა მოთხოვნილების ყველა საჭიროების დაკმაყოფილებაა დამოკიდებული.
- პოლიტიკურ ურთიერთობათა თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ პირველ რიგში აქ გახლავთ შესაძლებელი კომპრომისების გამონახვა და მხარეთა შორის ურთიერთშეთანხმების და ურთიერთდათმობის მიღწევა. აღნიშნული თავისებურებით საზოგადოებრივ-პოლიტიკური ურთიერთობები გამოირჩევიან იმ სხვა იდეოლოგიურ, მორალურ-ეთიკური და სხვა სახის ურთიერთობებისაგან, სადაც ძირითად საკითხებთან დაკავშირებით კომპრომისების მიღწევა, როგორც წესი, რთულ ამოცანას წარმოადგენს.
- პოლიტიკური ურთიერთობებისათვის დამახასიათებელია მისი სუბიექტების რაოდენობის გაზრდა: იქმნება ახალი პარტიები, ორგანიზაციები, მოძრაობები, რომლებიც ერთმანეთთან პოლიტიკურ ურთიერთობაში შედიან და ერთმანეთთან ხელისუფლებისათვის ბრძოლას აწარმოებენ. ეს პროცესი განსაკუთრებით ჩვენი ქვეყნისათვისაა დამახასიათებელი. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნული ფაქტორების გამო, საქართველოში ადგილი აქვს პოლიტიკურ ურთიერთობათა და პოლიტიკური ცხოვრების გართულებას.
- პოლიტიკურ ურთიერთობათა ფარგლებში სუბიექტებისა და ობიექტების რეალური მრავალფეროვნება გარდაუვლად აისახება მათ სტრუქტურაზე, რომელიც შესაძლოა ორ ძირითად პრინციპზე იყოს აგებული: პოლიტიკურ ურთიერთობათა სუბიექტების მაქსიმალური შემცირება, რამაც საბოლოო ჯამში, შეიძლება პოლიტიკურ ძალთა რაოდენობა ერთამდე დაიყვანოს და შექმნას საფუძველი ტოტალიტარული მოდელის შექმნის მიმართულებით, ხოლო საწინააღმდეგო მიმართულებით, მრავალი სუბიექტის შექმნის შედეგად, პოლიტიკურ ურთიერთობათა პლურალისტული მოდელი იქმნება. საზოგადოებაში არსებული ტოტალიტარული მოდელის ფარგლებში, პოლიტიკურ სუბიექტთა შორის ურთიერთობების საკითხი პოლიტიკურიდან იურიდიულ, ან სისხლის სამართლის სფეროებშიც კი გადადის, როდესაც პოლიტიკის სხვა სუბიექტების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა ან უბრალოდ მათი ფიზიკური განადგურება ხორციელდება. პლურალისტური მოდელის ფარგლებში, პოლიტიკურ ურთიერთობათა შემადგენელი სუბიექტები ერთმანეთთან ან კონფლიქტის პრინციპებზე დაყრდნობით, ან ერთმანეთთან

თანამშრომლობის გზით საერთო მიზნების მიღწევის მიმართულებით ურთიერთობენ.

პოლიტიკურ ურთიერთობათა მთელი სირთულის გათვალისწინებით, ყოველთვის არსებობს აღნიშნულ ურთიერთობათა ორი ძირითადი ფორმა: ან ურთიერთთანამშრომლობა, ან ბატონობა და მორჩილება. დაწვერილებით განვიხილოთ პოლიტიკურ ურთიერთობათა არსებობის ფორმები.

*ბატონობისა და დაქვემდებარების საფუძველზე არსებული პოლიტიკური ურთიერთობები* კლასობრივ-ანტაგონისტურ საზოგადოებებში ანდა დიქტატორული რეჟიმების დროს შეინიშნება. თანამედროვე პირობებში, ბატონობისა და დაქვემდებარების პრინციპი კლასობრივი დაპირისპირების ფარგლებში არსებობს, რადგანაც დღევანდელ ეტაპზე კლასობრივი ურთიერთობების შედარებით შერბილებულ ფორმასთან გვაქვს საქმე. თანამედროვე ეტაპზე, ბატონობისა და დაქვემდებარების პოლიტიკურ ურთიერთობათა ფორმები ძირითადად ტოტალიტარული რეჟიმების მქონე ქვეყნებში არსებობს, სადაც იგი ყველაზე უფრო ხშირად თავს იჩენს სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებსა და პარტიებს შორის ურთიერთობაში, სადაც ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა იმყოფება ხელისუფლებაში, ხოლო მეორე კი ამის შესაძლებლობას სრულიად მოკლებულია.

*თანამშრომლობაზე დაფუძნებული პოლიტიკური ურთიერთობები.* ამ შემთხვევაში შესაძლებელია, რომ პოლიტიკური ურთიერთობები, როგორც პოლიტიკურ ინტერესთა და ქმედებათა კონსენსუსი (შეთანხმება), ისე იყოს წარმოდგენილი, რომლის მიზანია როგორც კლასებს, ასევე პოლიტიკურ პარტიებს შორის გარკვეულ საერთო საკითხებზე თანხმობის მიღწევა. აღნიშნული პოლიტიკური კომუნიკაციის სტილი შეიძლება იყოს გათვლილი როგორც გრძელვადიან პერსპექტივაზე – მნიშვნელოვანი სტრატეგიული მიზნების მიღწევის მიზნით, ან შესაძლოა იყოს მოკლევადიანი – სადაც ნაკლებად სტრატეგიული ამოცანის გადაწყვეტის პროცესი (მაგალითად, საარჩევნო კამპანიის დროს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში კანდიდატთა წარდგენა) მოიაზრება. ჩვენს დროში, სოციალ-ეკონომიკურ სფეროში კონსენსუსის მიღწევას ადგილი აქვს დასავლეთის ქვეყნებში, მაგალითად მეწარმეებს, წარმოების საშუალებების მფლობელებსა და დაქირავებულ მუშებს შორის. ამ ურთიერთობებში თავიანთი წვლილი შეაქვთ სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც შეძლებული ან ღარიბი მასების ინტერესებს გამოხატავენ. კონსენსუსის უმაღლეს გამოხატულებად მეწარმეებსა და მუშებს შორის სოციალური პარტნიორობის მიღწევა შეგვიძლია მივიჩნიოთ. დღევანდელ დღეს, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების მქონე ინდუსტრიულად განვითარებულ ქვეყნებში მუშები, საწარმოს რიგითი მუშაკები ფლობენ აღნიშნული სამეწარმეო სუბიექტის აქციებსა და ობლიგაციებს. შესაბამისად, ისინი ამ ორგანიზაციის თანამფლობელებად გვევლინებიან და აქედან გამომდინარე, საწარმოს მოგების გადანაწილებაში იღებენ

მონაწილეობას. აღნიშნული ფაქტის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მუშები დაინტერესებულები არიან საწარმოს განვითარებით, ისინი არ გამოდიან კერძო საკუთრების აკრძალვის, ან საწარმოს მფლობელთა წინააღმდეგ. ისინი არ იყენებენ სხვადასხვა პოლიტიკურ ღოზუნგებს და არ აწარმოებენ პოლიტიკურ ბრძოლას ამ ქვეყნებში არსებული პოლიტიკური წყობილების წინააღმდეგ.

#### **თავი 49. პოლიტიკური პროცესი: არსი, განვითარების ძირითადი სტადიები და სახეობები**

სახელმწიფო ხელისუფლების ფუნქციონირების მექანიზმის ფარგლებში პოლიტიკური სისტემის ცვალებადობა, პოლიტიკურ ინსტიტუტებში მიმდინარე პროცესები, საზოგადოებაში კონკრეტული პოლიტიკური კულტურის ფორმირება, ანუ საზოგადოების პოლიტიკური ცხოვრების დინამიკა, თავის ასახვას ჰპოვებს ტერმინში “პოლიტიკური პროცესი”.

“პოლიტიკური პროცესი” პოლიტიკური მეცნიერების განსაკუთრებულ, სპეციფიურ კატეგორიას წარმოადგენს. ზოგიერი მეცნიერი მას მთლიანად პოლიტიკასთან (მაგ: რ. დოუზი) აკავშირებს. სხვები კი, პირიქით, პოლიტიკურ პროცესთა სპეციფიკას როგორც პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების შედეგს (ტ. პარსონსი) ისე განიხილავენ. ასევე, სხვადასხვა მეცნიერთა მიერ, პოლიტიკური პროცესი როგორც სხვადასხვა პოლიტიკურ დაჯგუფებებს შორის სახელისუფლებო რესურსებისა და სტატუსის მოპოვებისათვის (რ. დარენდორფი) არსებული კონკურენციის ასპარეზად განიხილება (Dahrendorf R. 1959. pp. 241-248). პოლიტიკური პროცესის ფარგლებში ასევე მოიაზრება პოლიტიკის სუბიექტთა მიერ თავიანთი პოლიტიკური მიზნებისა და ინტერესების მიღწევის მიმართულებით (ჩ. მერიამი) გადადგმული ნაბიჯები.

ზემოაღნიშნული სხვადასხვა მიდგომის ფარგლებში პოლიტიკური პროცესი ქვეყნის შიგნით ან სახელმწიფოთაშორის ურთიერთობების ფარგლებში მიმდინარე მთავარ მოვლენებს წარმოაჩენს. ამავე დროს, პოლიტიკური პროცესის ყველა თეორიული ინტერპრეტაციის განსხვავებათა მიუხედავად, საერთო მიღებულად ითვლება, რომ აღნიშნული ცნება წარმოადგენს პოლიტიკის სუბიექტთა რეალურ სურათს, როდესაც პროცესი განვითარდა არა პოლიტიკური ლიდერების მიზნებისა თუ პარტიის პროგრამების შესაბამისად, არამედ სხვადასხვა შიდა და საგარეო პოლიტიკური ფაქტორების განვითარების შედეგად. პოლიტიკური პროცესი გვიჩვენებს, თუ როგორ ურთიერთქმედებენ ერთმანეთთან და სახელმწიფოსთან ინდივიდები, ჯგუფები, სახელისუფლებო ინსტიტუტები ყველა თავისი სტრუქტურული და მიზნებით. აღნიშნულ ურთიერთობათა ფარგლებში პოლიტიკის თითოეული სუბიექტის სპეციფიური როლი და ფუნქციები განისაზღვრება. ისევე როგორც პოლიტიკური სიტუაცია, ასევე მუდმივად იცვლება ადამიანთა ქცევის სტიმულები და მოტივები. ამიტომაც, პოლიტიკური პროცესი - თავის მხრივ,

გამორიცხავს პოლიტიკური პროცესებისა და მოვლენების განვითარების ფარგლებში რაიმე კონკრეტული სტანდარტების არსებობას.

პოლიტიკური პროცესი აანალიზებს როგორც ზედაპირულ, ასევე პოლიტიკური სისტემის მიმდინარეობის სიღრმისეულ ცვლილებებს, ხსნის ერთი პოლიტიკური მდგომარეობიდან მეორეში გადასვლის ძირითად თავისებურებებს. ამასთანავე, პოლიტიკური პროცესების განხილვის დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ცვლილებებთან ხანგრძლივობას, რომელიც ხელისუფლების ცვლილებებთან, ძალთა თანაფარდობასთან, გადაწყვეტილების მიღების საშუალებებთან და ა.შ. არის დაკავშირებული. საბოლოო ჯამში, შეგვიძლია წარმოვადგინოთ პოლიტიკური პროცესის შემდეგი განსაზღვრება.

**პოლიტიკური პროცესი** - წარმოადგენს ინსტიტუციონალიზებული და არაინსტიტუციონალიზებული სუბიექტების მიერ განხორციელებული ქმედებების ერთობლიობას, ხელისუფლების სფეროში თავისი სპეციფიკური ფუნქციების (დისფუნქციების) განხორციელების მიმართულებით და რომელსაც საბოლოო ჯამში საზოგადოების პოლიტიკური სისტემის განვითარების ან დაცემისაკენ მივყავართ (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 206).

პოლიტიკური პროცესი თავისი ბუნებით ობიექტურია, ის ფუნქციონირებს დროსა და სივრცეში ხალხის ნებისა და სურვილის მიუხედავად. პოლიტიკური ცხოვრების სფეროში მოქცეული თითოეული პიროვნება ამ პროცესს გარკვეულ მდგომარეობაში ღებულობს. ამიტომაც, პოლიტიკურ პროცესს შესაძლოა სუბიექტური ბუნებაც გააჩნდეს, ანუ კონკრეტული პროცესი შეიძლება თვით ხალხის მიერ (ლიდერები, მმართველი დაჯგუფება, ხელისუფლების ორგანოები) იქნეს ორგანიზებული, რომლის საბოლოო მიზანიც გარკვეული პოლიტიკური მიზნების მიღწევა იქნება.

პოლიტიკური პროცესების არსი მათი მონაწილეების მიერ საზოგადოების პოლიტიკური სისტემის სხვადასხვა კომპონენტის (პოლიტიკური პარტიები, პოლიტიკური ინსტიტუტები) ფორმირებისა და კვლავწარმოების პროცესის ფარგლებში მიზანმიმართულ ქმედებებში მდგომარეობს. ასევე, სახელისუფლებო ორგანოების ქმედებებში, არსებული საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცებისა და ქვეყნის მოსახლეობის პოლიტიკური კულტურის გაზრდის, აგრეთვე საარჩევნო კამპანიისა და სხვა დონისძიებების ჩატარების მიმართულებით პოლიტიკის სხვადასხვა სუბიექტის აქტიურ ქმედებებს აქვს ადგილი.

საზოგადოების სოციალურ ურთიერთობათა ამა თუ იმ პოლიტიკური რეგულირების სფეროში პოლიტიკური პროცესები შესაძლოა საბაზო და პერიფერიულ ფორმებად იქნეს დაყოფილი.

პირველისათვის ფართო სოციალური ფენების სახელმწიფოსთან ურთიერთობაში ჩართვაა დამახასიათებელი, როდესაც მოსახლეობას გააჩნია მოთხოვნა მონაწილეობა მიიღოს მმართველობითი ორგანოების მიერ გადაწყვეტილებების მიღებისა და პოლიტიკური ელიტების ფორმირების პროცესში და ა.შ. ამ კონტექსტში შესაძლოა განვიხილოთ პოლიტიკური მონაწილეობისა და სახელმწიფო მმართველობის სფეროში საზოგადოების ჩართულობასთან დაკავშირებული პროცესების შესახებ (გადაწყვეტილებათა მიღება, საკანონმდებლო პროცედურები და ა.შ.) არსებული ინფორმაცია.

პერიფერიული პოლიტიკური პროცესი კი ხსნის ცალკეული პოლიტიკური კავშირების (პარტიების, ზეწოლის ჯგუფების და ა.შ.) ფორმირების დინამიკას, ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებას, პოლიტიკურ სისტემაში იმ სხვადასხვა კავშირებსა და ურთიერთობებს, რომლებსაც ხელისუფლების ქმედებების მეთოდებზე პრინციპული ზემოქმედება არ გააჩნიათ.

სისტემური მიდგომის ფარგლებში, პოლიტიკური პროცესი ოთხ ძირითად სტადიად იყოფა: 1. პოლიტიკური სისტემის ჩამოყალიბება; 2. არსებული პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირება; 3. პოლიტიკური სისტემის განვითარება; 4. პოლიტიკური სისტემის გახრწნა, დაშლა და მისი დაცემა.

ამ სტადიებზე პოლიტიკური პროცესის დანაწილება პირობით ხასიათს ატარებს. თუმცა, პოლიტიკური პროცესის ერთიანობის ფარგლებში, ინარჩუნებენ რა თითოეული მათგანისათვის დამახასიათებელ თავისებურებებს და ასრულებენ რა საკუთარ დანიშნულებას, რომელიც პოლიტიკური ქმედებების სპეციფიური მეთოდებით ხორციელდება, აღნიშნული პროცესები ერთმანეთთან ურთიერთქმედებენ.

ისტორიულად და ლოგიკურად პოლიტიკური პროცესის საწყის სტადიად მისი ჩამოყალიბება მიიჩნევა. ეს არის სტადია, რომელიც როგორც წესი, საზოგადოების განვითარების გარდამავალ პერიოდს ემთხვევა, როდესაც ერთი პოლიტიკური ძალა კარგავს თავის ლეგიტიმურობას და გაბატონებულ მდგომარეობას სხვა ძალები იკავებენ. ეს ახალი ძალები მათი მოთხოვნილებების შესაბამისად ახალ პოლიტიკურ სისტემას ნერგავენ, როდესაც მათ ნებას ხელისუფლების ახალი ორგანოები და პოლიტიკური ინსტიტუტები ახორციელებენ. ამავე დროს, ხორციელდება მანამდე არსებულ სამართლებრივ ნორმებში ცვლილებების შეტანა, რომლის მეშვეობითაც ხდება ხელისუფლების ახლად ჩამოყალიბებული ინსტიტუტების გამყარება.

პოლიტიკური სისტემის ფუნქციონირების სტადია პოლიტიკური განვითარების სტაბილურ პერიოდს ემთხვევა, როდესაც გაბატონებული სოციალური ჯგუფები სხვა სოციალ-პოლიტიკურ ძალთა შორის საფუძვლიან მდგომარეობას იკავებენ. პოლიტიკური პროცესის მოცემულ სტადიაზე ადგილი აქვს კვლავწარმოების

პროცედურებს, როდესაც უკვე ახალი სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების, პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის მხარდაჭერა ხორციელდება.

პოლიტიკური სისტემის განვითარების სტადია პოლიტიკური ძალების განლაგების და გარკვეული გადაჯგუფების პერიოდს ემთხვევა. პოლიტიკური პროცესის მოცემულ ეტაპზე ადგილი აქვს სახელმწიფო ორგანიზაციების სისტემების ნაწილობრივ ცვლილებას, საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად პოლიტიკური პარტიებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის რეფორმირებას და ამავე დროს, იცვლება პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო არენაზე. ხელისუფლებაში განხორციელებული ცვლილებები იწვევს ხელისუფლების სტრუქტურებში ქვეყნის პოლიტიკური ელიტის ახალ დონეზე გადასვლას.

რაც შეეხება დაშლის სტადიას, ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის დაცემა ახალი სოციალური ძალების გაძლიერებას ემთხვევა. აღნიშნული ძალები პოლიტიკური ცხოვრების ორგანიზაციის განსხვავებულ ფორმებს გვთავაზობენ. ამ სტადიაზე ხდება პოლიტიკური პროცესის მიმართულების ცვლილება. ამ დინამიკას მოქმედი პოლიტიკური ხელისუფლების ფარგლებში არსებული ინსტიტუტების მიმართ ნეგატიური დამოკიდებულება გააჩნია. შედეგად, მმართველი პოლიტიკური ელიტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებები კარგავენ თავიანთ გავლენას, ხოლო თვითონ პოლიტიკური ელიტა და მასთან დაკავშირებული ხელისუფლების ინსტიტუტები კი თავის ლეგიტიმურობას. შესაბამისად, პოლიტიკური სისტემის დაცემის პროცესი ხელისუფლების სრულ დელიგიტიმაციასთანაა დაკავშირებული. ამრიგად, სრულდება პოლიტიკური პროცესის ერთი ციკლი, მაგრამ, პოლიტიკური პროცესი გრძელდება. პოლიტიკურ პროცესში ახალი პოლიტიკური ციკლის გაჩენა პოლიტიკური ხელისუფლებისა და პოლიტიკური ინსტიტუტების სუბიექტთა ცვლილებასთან და მანამდე არსებული პოლიტიკური სისტემის სრულ დაშლას უკავშირდება.

#### **თავი 50. საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები**

საქართველო, როგორც სახელმწიფო, ევროპისა და აზიის გზასაყარზე, შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მდებარეობს. მას ჩრდილოეთიდან ესაზღვრება რუსეთი, სამხრეთიდან თურქეთი და სომხეთი, დასამხრეთ-აღმოსავლეთიდან აზერბაიჯანი. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა სამხრეთ - აღმოსავლეთ ევროპისა და დასავლეთ აზიის გზასაყარზე მდებარეობს, იგი სოციო-პოლიტიკური და კულტურული თვალსაზრისით ევროპის ნაწილს წარმოადგენს (ნეიძე ვ. 2003. გვ. 14).



თანამედროვე საქართველოს ტერიტორია ადრეული ქვის ხანიდან მოყოლებული მუდმივად დასახლებული იყო. კლასიკურ ანტიკურ პერიოდში ადგილი ჰქონდა ადრეული ქართული სახელმწიფოების - კოლხეთისა და იბერიის საბოლოო ჩამოყალიბებას, რამაც დასაბამი დაუდო საერთო ეროვნულ ქართულ კულტურასა და სახელმწიფოებრიობას. საქართველოს ტერიტორიაზე ქრისტიანობის გავრცელება ადრეული III საუკუნიდან დაიწყო. სხვადასხვა დამპყრობლებთან წარმოებული ომების შემდგომ, ქვეყნის გაერთიანებულ მონარქიად ჩამოყალიბება 975-1008 წლებში განხორციელდა. თუმცა, მას შემდეგ საქართველომ აღორძინებისა და დაცემის რამდენიმე პერიოდი განვლო სანამ XVI საუკუნის ბოლოს რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად არ დაიშალა. მე-18 საუკუნის ბოლო პერიოდიდან, საქართველოს რუსეთის იმპერიის სახით ახალი დამპყრობელი მოეწვინა. იმპერიულმა რუსეთმა ქართული ისტორიული რეგიონები ნაწილ-ნაწილ 1801—1866 წლებში დაიპყრო (ნეიძე ვ. 2003. გვ. 14).

917 წელს რუსეთში განხორციელებული ბოლშევიკური გადატრიალების შემდგომ, საქართველომ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა მოახერხა. დამოუკიდებელი ქვეყანა — საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918—21წწ.) ბოლშევიკური რუსეთის მიერ 1921 წლის თებერვალში კვლავ იქნა ოკუპირებული და 1922 წლიდან იგი ძალით იქნა შეყვანილი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში. საბჭოთა იმპერიაში საქართველო 70 წლის განმავლობაში იმყოფებოდა (ნეიძე ვ. 2003. გვ. 14).

### **საბჭოთა ოკუპაციის შედეგები**

საქართველოს ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მძიმე დღიდან - საბჭოთა ოკუპაციიდან თითქმის ერთი საუკუნე გავიდა. მართალია, ქვეყანამ 1991 წელს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, მაგრამ ოკუპაცია ჯერ ბოლომდე არ დასრულებულა.

თავისი მდებარეობიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფოებრიობის არსებობის 3000 წლოვან ისტორიაში ყოველთვის უხდებოდა მტერთან შეტაკება და ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. იყო მომენტები, როდესაც ქვეყანას ხარკის გადახდა უკისრია, მეფეები ზოგჯერ სარწმუნოებას იცვლიდნენ რათა ტახტზე ასვლის უფლება მიეღოთ, მაგრამ მეფობა და სახელმწიფოებრიობა 1801 წლამდე რუსეთის გარდა არავის გაუუქმებია. საქართველოს ისტორიას ახსოვს მტრის მიერ მოხდილი ტაძრის გუმბათები, ტაძრის ეზოში გამომწვარი ბერები, მაგრამ სახელმწიფოებრიობის მსგავსად 1811 წლამდე ავტოკოფალიაც არავის გაუუქმებია. 1918 წელს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ თითქოს ყველაფერი უკეთესობისკენ უნდა შეცვლილიყო, მაგრამ მოხდა ისე რომ 3 წელიწადზე ნაკლებ დროში ქვეყანას კიდევ უფრო დიდი ტრაგედია დაატყდა თავს.

1920 წლის 7 მაისს რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა ცნო, მაგრამ მან თავისივე ხელმოწერილი დოკუმენტი გეორგიევსკის ტრაქტატთან შედარებით ბევრად უფრო მალე დაარღვია.

1921 წლის დამდეგისთვის კავკასიაში დამოუკიდებლობას საქართველოდა ინარჩუნებდა. მიუხედავად იმისა, რომ 3 წლით ადრე პირველი მსოფლიო ომიდან 100 000-მდე ბრძოლისუნარიანი ჯარისკაცი დაბრუნდა, 1921 წლის თებერვალში მათი მესამედის მობილიზებაც კი ვერ მოხდა. რუსეთის არმია კი 40 000-ს აჭარბებდა, რომელსაც უფრო მეტი შეიარაღება გააჩნდა და ძალებსაც უკეთ ივსებდა. მართალია 25 თებერვალს თბილისის დაცემის შემდეგ 17 მარტამდე, საქართველოს მთავრობის ემიგრაციაში წასვლამდე, ბრძოლები გრძელდებოდა, მაგრამ რეალურად უკვე ყველაფერი დამთავრებული იყო.

საინტერესოა თუ რა შედეგები მოიტანა 25-მა თებერვალმა საქართველოსთვის? 1918 წელს დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ფართობი 107 600 კვადრატულ კილომეტრს შეადგენდა. სოჭის ანექსია ჯერ კიდევ 1920 წელს საბჭოთა რუსეთმა მოახდინა, უკვე 25 თებერვლის შემდეგ იუსტორიული ჰერეთი (საინგილო) აზებაიჯანს გადაეცა, ლორე სომხეთს, დვალეთი რუსეთს, ტაო-კლარჯეთის დიდი ნაწილი კი თურქეთს. რუსეთმა საქართველოს ისტორიული მიწები თურქეთს ყარსის ხელშეკრულებით 1921 წლის 13 ოქტომბერს გადასცა, ხელშეკრულების რატიფიცირება კი 1922 წლის 13 ოქტომბერს მოხდა. სულ რაღაც 2 წელიწადში საქართველოს ფართობი 69 700 კვადრატულ კილომეტრამდე შემცირდა ანუ დაიკარგა 35.2%. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, ახალი, ამჯერად უკვე ნაწილობრივი ოკუპაციის შედეგად საქართველომ გაეროს მიერ ქვეყნის აღიარებული საზღვრების 20%-ზე კონტროლი დაკარგა. ოფიციალური თბილისის იურისდიქცია დღეს 55 760 კვადრატულ კილომეტრზე ვრცელდება, რაც 1918 წლის დროინდელი საქართველოს მხოლოდ 51.9%-ს შეადგენს.



წყარო: <https://vk.com/democraticrepublicofgeorgia>

უშუალოდ 1921 წლის რუსეთ-საქართველოს ომს 3500-მდე საქართველოს მოქალაქე შეეწირა. 3.5 წლის შემდეგ 1924 წლის აჯანყების შემდეგ გაუსამართლებლად მოკლეს ან დახვრიტეს 12 000-მდე ადამიანი. 1937-ში ოფიციალურად დახვრეტილთა რიცხვი 12 000-ს აჭარბებს, რეალურად ეს 2-ჯერ ან 3-ჯერ მეტიც იყო, სიმართლის დადგენას 1992 წელს გადამწვარი სუკის არქივი ართულებს. გადასახლებაში დაღუპულთა ოდენობა ცალკე სტატისტიკაა (მედია ბიზნესისთვის, 2018).

მხოლოდ ცნობილი ადამიანების ნაწილს თუ გავიხსენებთ მათი არასრული ჩამონათვალი ასეთი იქნება: კოტე აფხაზი, ლევან რაზიკაშვილი, ვალიკო ჯუღელი, მიხა ხელაშვილი, მიხეილ ჯავახიშვილი, სანდრო ახმეტელი, ვახტანგ კოტეტიშვილი, დიმიტრი

შევარდნამე, ნიკოლო მიწიშვილი, ტიცინ ტაბიძე, გიორგი მაზნიაშვილი, მემედ აბაშიძე, ევგენი მიქელაძე, ბესარიონ ჭიჭინაძე, ვლადიმერ ჯიქია... საკუთარი სახლებიდან გამოძევებულ დახვრეტილთა ოჯახის წევრებს წლების განმავლობაში „ხალხის მტრების შვილების“ იარლიყის ტარება უხდებოდათ.

მეორე მსოფლიო ომს 300 000 ქართველი შეეწირა. მტრის არმიის სასარგებლოდ, იქნებოდა ეს არაბთა სახალიფო, მონღოლეთი, თუ სპარსეთი საქართველოს საუკუნეების წინაც უხდებოდა ომი, მაგრამ ასე მოკლე დროში, ამდენი ადამიანი ადრე არ დაღუპულა. რიცხვი 300 000 საქართველოს მოსახლეობის 10%-ს შეადგენდა. რა მოხდებოდა, რომ საქართველო დამოუკიდებელი ყოფილიყო ამ დროს? ჰიტლერმა თითქმის მთელი ევროპა დაიპყრო. ოკუპირებულ საფრანგეთში, ბელგიაში, ნიდერლანდებსა თუ ნორვეგიაში მსხვერპლის ოდენობა 0.5-2 პროცენტის ფარგლებში მერყეობდა, გამოდის რომ ალტერნატიულ ისტორიაში მეორე მსოფლიო ომს 250 000 ქართველით ნაკლები შეეწირებოდა. ომის დასრულების შემდეგ კიდევ ათასობით ჯარისკაცმა სიცოცხლე გადასახლებაში ტყვედ ჩავარდნის ბრალდებით დაასრულა. მხოლოდ ქერჩის რუტეში 70 000-ზე მეტი ქართველი დაიღუპა. არსებობს არც თუ უსაფუძვლო ვარაუდი რომ ეს უბრალო ტრაგედიას კი არა, მიზანმიმართულ გენოციდს წარმოადგენდა (მედია ბიზნესისთვის, 2018).

1956 წლის 9 მარტს სხვადასხვა მონაცემებით 150-დან 500-მდე ადამიანი შეეწირა, ზოგი წყაროს ცნობით უფრო მეტიც. ავღანეთის ომს ოფიციალურად 130, 1989 წლის 9 აპრილს 21 ადამიანი ემსხვერპლა.

საბჭოთა მმართველობის დროს დაიხურა, დაინგრა ან დანიშნულება შეეცვალა 1500-ზე მეტ ეკლესიას. იძლებითმა კოლექტივიზაციამ, დიდი წარმოებისა თუ მცირე დუქნების მესაკუთრეებისთვის ჩამორთმევამ შედეგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოიღო.

უკვე სსრკ-ს მემკვიდრემ რუსეთმა დამოუკიდებელ საქართველოსთან 17 წელიწადში 1991-2008 წლებში 4 ომისა და პუტჩის მოწყობაც მოასწრო. პირდაპირ სამომარ კამპანიებს 30 000-მდე ადამიანი ემსხვერპლა, 300 000-ზე მეტი საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა, დევნილობაში მოკლეს პირველი პრეზიდენტი, რუსეთის აგრესიის შედეგად, გასული საუკუნის 90-იან წლებში 78%-იანი ვარდნის შედეგად სრულიად გაჩანაგდა ეკონომიკა (მედია ბიზნესისთვის, 2018).

**დამოუკიდებლობის აღდგენა** 1990 წლის 28 ოქტომბერს საქართველოში ჩატარდა პირველი მრავალპარტიული, დემოკრატიული საპარლამენტო არჩევნები, სადაც მნიშვნელოვანი უპირატესობით გაიმარჯვა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის მომხრე პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების მემარჯვენე საარჩევნო ბლოკმა

„მრგვალი მაგიდა — თავისუფალი საქართველო“ (თავმჯდომარე: ზვიად გამსახურდია). იმავე წლის ნოემბერში, დაკომპლექტებულ იქნა საქართველოს ახალი მთავრობა, ხოლო უზენაესი საბჭოს პირველივე სესიაზე საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკას ეწოდა „საქართველოს რესპუბლიკა“, დამტკიცებულ იქნა ახალი სახელმწიფო სიმბოლო და სრული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე გარდამავალი პერიოდი იქნა გამოცხადებული.

1991 წლის 31 მარტს საქართველოში ჩატარდა საყოველთაო-სახალხო რეფერენდუმი, რომლის ერთადერთ კითხვას: „გსურთ თუ არა საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე?“ დადებითი პასუხი გასცა ქვეყნის საარჩევნო ხმის უფლების მქონე მოსახლეობის 98%-მა. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღნიშნულ რეფერენდუმში მონაწილეობა მოსახლეობის თითქმის 60%-მა მიიღო. აბსოლუტურმა უმრავლესობამ (მათ შორის აფხაზი ეროვნების ბევრმა წარმომადგენელმა) მხარი დაუჭირა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. რეფერენდუმის შედეგების საფუძველზე, 1991 წლის 9 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ მიიღო „საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“. იმავე დღეს აშშ-ის კონგრესმა საგანგებო რეზოლუციით ლეგიტიმურად სცნო 31 მარტის რეფერენდუმის შედეგები, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის გზაზე მნიშვნელოვან ნაბიჯს წარმოადგენდა (ნეიბე ვ. 2003. გვ. 22).

## დამოუკიდებლობის პირველი წლები

საბჭოთა კავშირი მტრულად შეხვდა 1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმს და რეფერენდუმის საფუძველზე, იმავე წლის 9 აპრილს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენას. ცხადი გახდა, რომ საქართველოს გაუჭირდებოდა საბჭოთა პოლიტიკურ ხელმძღვანელობასთან ურთიერთობების დალაგება. ის ფაქტი, რომ საქართველოს საზღვრებს სსრკ-ს ჯარი იცავდა, ხოლო ქვეყანაში სსრკ-ს სამხედრო ბაზები იყო განლაგებული, დამატებით პრობლემებს ქმნიდა. გარდა ამისა, მოსკოვს შეეძლო საქართველოში ფინანსურ-ეკონომიკური პრობლემების შექმნა. ქვეყანაში ძალიან მძიმე ვითარება იყო. ამავედროულად იზრდებოდა სეპარატისტული განწყობები აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ასეთ მძიმე ვითარებაში საჭირო იყო საქართველოს პოლიტიკური პარტიებისა და ეროვნული ძალების გაერთიანება, თუმცა ეს არ მოხდა. განსაკუთრებით დაიძაბა ვითარება 1991 წლის აგვისტოში, როდესაც მოსკოვში რეაქციულმა ძალებმა სცადეს პუტჩის მოწყობა და პრეზიდენტ მიხეილ გორბაჩოვის ჩამოგდება. 1991 წლის დეკემბერში გამოცხადდა საბჭოთა კავშირის დაშლა, თუმცა საქართველო რეალური დამოუკიდებლობის მიღებას მოუშაადებელი შეხვდა, მეტიც, 1991 წლის დეკემბერში

თბილისის ცენტრში დაიწყო შეიარაღებული დაპირისპირება, რომლის შედეგადაც დაემხო არჩევნებში გამარჯვების გზით მოსული ხელისუფლება და ძალაუფლება გადავიდა სამხედრო საბჭოს ხელში, რომელიც არალეგიტიმური ორგანო იყო.

საქართველოდან დევნილმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ჯერ სომხეთს, ხოლო შემდეგ ჩეჩნეთს შეაფარა თავი.

### ***ვითარება დამოუკიდებლობის პირველ წლებში***

სამხედრო საბჭოს მმართველობის დროს კრიზისი ქვეყანაში სულ უფრო მწვავედებოდა. დევნილ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ბევრი მხარდამჭერი ჰყავდა, რომლებიც აგრძელებდნენ ბრძოლას. საზოგადოება ორ ნაწილად დაიყო – დევნილი პრეზიდენტის მომხრეებად („ზვიადისტები“) და სამხედრო საბჭოს მხარდამჭერებად („პუტჩისტები“). ვითარება კვლავ დაძაბული იყო აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში.

ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის გზად საზოგადოების ნაწილმა მოსკოვიდან ედუარდ შევარდნაძის ჩამოყვანა დაისახა. სამხედრო საბჭომ ანგარიში გაუწია მათ მოთხოვნას. 1992 წლის მარტში ედუარდ შევარდნაძე საქართველოში დაბრუნდა. ედუარდ შევარდნაძის ჩამოსვლის შემდგომ სამხედრო საბჭომ ძალაუფლება სახელმწიფო საბჭოს გადააბარა. სახელმწიფო საბჭოში შედიოდნენ პოლიტიკური პარტიების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების და ინტელიგენციის წარმომადგენლები. სახელმწიფო საბჭოს ხელმძღვანელი ედუარდ შევარდნაძე გახდა. შექმნილ ვითარებაში აუცილებელი გახდა საპარლამენტო არჩევნების ჩატარება, რადგან ძალაუფლება იყო არალეგიტიმური ორგანოს ხელში. 1992 წლის ოქტომბერში არჩეული პარლამენტი აღმოჩნდა ყველაზე მრავალპარტიული საქართველოს ისტორიაში. ედუარდ შევარდნაძეს სახელმწიფოს მეთაურის ფუნქციები მიენიჭა.

თუმცა, საპარლამენტო არჩევნებს წინ აფხაზეთში კონფლიქტის დაწყება უძღოდა. საქართველოში არსებული დაძაბულობით კარგად ისარგებლეს რუსეთის რეაქციულმა ძალებმა, რომლებიც აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფის პროცესს უწყობდნენ ხელს. დაიწყო ადამიანთა გატაცება და თავდასხმები საქართველოში მიმავალ სატვირთო მატარებლებზე მათი გამარცხის მიზნით. სახელმწიფო საბჭოს გადაწყვეტილებით 1992 წლის აგვისტოში სატრანსპორტო მაგისტრალის გაკონტროლების მიზნით აფხაზეთში შევიდა ქართული პოლიცია და ჯარი. ამ პერიოდისთვის საქართველო როგორც სახელმწიფო პრაქტიკულად ჩამოყალიბებული არ იყო, ქვეყნის უმნიშვნელოვანესი ორგანოები ან არ არსებობდა, ან ჩამოყალიბების პროცესში იყო, სუსტი და არაორგანიზებული ჯარი სათანადოდ შეიარაღებული არ იყო. არაორგანიზებული და უდისიპლინო ჯარი ხშირად თვითნებურადაც მოქმედებდა, ამის მაგალითია სოხუმის დაკავება. ასე დაიწყო აფხაზეთის ომი. 1993 წლის ივლისში სოჭში ხელი მოეწერა ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმებას, რომელიც აფხაზმა სეპარატისტებმა დაარღვიეს და საომარი მოქმედებები განაახლეს. ამ ომში აფხაზთა მხარეს იბრძოდნენ დაქირავებული ჩრდილოკავკასიელი ბოევიკები და აფხაზეთის

ტერიტორიაზე განლაგებული რუსული სამხედრო შენაერთები. მათი დახმარებით აფხაზმა სეპარატისტებმა აიღეს გაგრა, შემდეგ დიდი ბრძოლების შედეგად სოხუმი, ოჩამჩირე, გალი და 1993 წლის სექტემბრის ბოლოს ადმინისტრაციულ საზღვარზე, მდინარე ენგურთან დაამყარეს კონტროლი. მოქმედებების დროს აფხაზეთი დატოვა 300 000 ქართველმა და სხვა ეროვნების მოქალაქემ. მათი უდიდესი ნაწილი უსახლკაროდ დარჩა (ჩიტაძე, 2011).

აფხაზეთში მარცხს ხელი შეუწყო ქვეყანაში არსებულმა მძიმე პოლიტიკურმა მდგომარეობამ. ვერ მოხერხდა მთელი ძალების მობილიზება ომისთვის. კერძოდ, შექმნილ კრიტიკულ ვითარებაში შეუძლებელი იყო საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად ზვიად გამსახურდიას მომხრე სამხედრო ფორმირებების და სამთავრობო ჯარების გაერთიანება. უფრო მეტიც, ქვეყანაში პრაქტიკულად დაიწყო სამოქალაქო ომი, რომელიც ზვიად გამსახურდიას მარცხით დასრულდა. 1993 წლის დეკემბერში, დღემდე დაუდგენელ ვითარებაში დაილუპა ზვიად გამსახურდია. 1994 წლის გაზაფხულში სამთავრობო ძალებმა აღმოფხვრეს უკანასკნელი პარტიზანული რაზმების წინააღმდეგობა სამეგრელოში.

1994 წელს ისევ გრძელდებოდა ანარქია და უწყესრიგობა. სახელმწიფო ორგანოები ფაქტობრივად ჩამოშლილი იყო. საქართველოს ეკონომიკა დამოუკიდებლობის გამოცხადებიდან სამოქალაქო ომის დამთავრებამდე დაახლოებით 75%-ით ჩამოიშალა. ასეთი რეცესია ძალიან მძიმედ აისახა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ მდგომარეობაზე. მომძლავრდა კრიმინალი, რომლის წინააღმდეგ პოლიცია უძლური, ზოგ შემთხვევაში კი მასთან შეკრული იყო. გახშირდა ტერორისტული აქტები. მათგან აღსანიშნავია თავდასხმა ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავმჯდომარე გიორგი ჭანტურიაზე. ამ ტერორისტული აქტის დროს გიორგი ჭანტურია დაილუპა, ხოლო მისი მეუღლე და პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ირინა სარიშვილი მძიმედ დაჭრა. ეს ფაქტობრივად პოლიტიკური ტერორის დაწყებას ნიშნავდა.

თავის მხრივ, ავტორიტარული რეჟიმი დამკვიდრდა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, სადაც ასლან აბაშიძემ შეუზღუდავი მმართველობა დაამკვიდრა.

სტაბილურობის მიღწევისთვის აუცილებელი იყო კონსტიტუციის მიღება. საქართველოს კონსტიტუციის მისაღებად შეიქმნა საკონსტიტუციო კომისია ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. კომისიამ შეიმუშავა პროექტი და განსახილველად პარლამენტს გადასცა. 1995 წლის 24 აგვისტოს საქართველოს პარლამენტმა მიიღო ახალი კონსტიტუცია. უპირველეს ყოვლისა, ეს იყო საერთაშორისო თანამეგობრობის სრულყოფილებიანი წევრი ქვეყნის კონსტიტუცია. კონსტიტუციის საფუძველზე დაინიშნა საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები. კონსტიტუცია ოფიციალურად ძალაში შედიოდა ახალი პრეზიდენტის და პარლამენტის არჩევის შემდეგ. ქვეყნის დესტრუქციულ ძალებს ხელს არ აძლევდა ქვეყანაში მდგომარეობის სტაბილიზაცია, შესაბამისად 1995 წლის 29 განხორციელდა ტერორისტული აქტი, რომლის მიზანიც იყო ედუარდ

შევარდნადის ლიკვიდაცია წარმოადგენდა, თუმცა ედუარდ შევარდნაძე სიკვდილს გადაურჩა.

კონსტიტუციის შესაბამისად, საქართველოს სახელმწიფოს ტერიტორია განისაზღვრა 1991 წლის 21 დეკემბრის (სსრკ-ის დაშლის) მდგომარეობით. საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთანავე, ქვეყნის პარლამენტი ორპალატიანი უნდა ყოფილიყო, რომელიც ეროვნული საბჭოსა და სენატისგან უნდა შემდგარიყო. პარლამენტს მიენიჭა საკანონმდებლო ფუნქციები. კონსტიტუციის ძალით საქართველო გახდა საპრეზიდენტო რესპუბლიკა, პრეზიდენტი იყო საქართველოს სახელმწიფოს და მთავრობის მეთაური. 1995 წლის შემოდგომაზე გაიმართა საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნები. საქართველოს პრეზიდენტი გახდა ედუარდ შევარდნაძე. პარლამენტში უმრავლესობა პრეზიდენტის მხარდამჭერმა პარტიამ, „საქართველოს მოქალაქეთა კავშირმა“ მოიპოვა.

1995 წლიდან დაიწყო უკანონო შეიარაღებული ძალების ალაგმვა, რამაც ქვეყანაში მშვიდობა დაამყარა. 1995-1997 წლებში მიმდინარეობდა ეკონომიკური რეფორმები, რომლის შედეგადაც ქვეყნის ეკონომიკამ გარკვეულწილად აღმავლობა დაიწყო, ეკონომიკური აღმავლობა გაგრძელდა 1998 წლამდე. 1998 წლის აგვისტოს რუსეთის ფინანსურმა კრიზისმა საქართველოს ეკონომიკაზე ნეგატიური გავლენა მოახდინა. ქვეყანა უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო არნახულმა კორუფციამაც. ქვეყნის ეკონომიკაზე უარყოფითი გავლენა მოახდინა 1998 წლის მაისში გალის რაიონში დაწყებულმა საომარმა მოქმედებებმაც. ამ საომარ მოქმედებებს მოჰყვა იძულებით გადაადგილებული პირების ახალი ნაკადის გადმოსვლა აფხაზეთის გალის რაიონიდან.

1998 წლის ოქტომბერში ექს-პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას მომხრეებმა ედუარდ შევარდნადის მთავრობის დასამხობად ამბოხება მოაწყვეს. ამბოხება გადაიზარდა სახელმწიფო გადატრიალების წარუმატებელ მცდელობაში. მისი ხელმძღვანელების უმრავლესობა დააკავეს, ხოლო ამბოხების მთავარი სულისჩამდგმელი აკაკი ელიაშვილი მძევლების გათავისუფლების მიზნით მოწყობილი სპეცოპერაციის დროს მოკლეს. ეს იყო უკანასკნელი შემთხვევა, როდესაც ზვიადისტები გაერთიანდნენ და ქვეყნის სათავეში მოსვლა სცადეს.

1999 წლის ოქტომბერში გამართულ საპარლამენტო არჩევნები ყველაზე მეტი ხმა მოქალაქეთა კავშირმა მიიღო, მოქალაქეთა კავშირის შემდეგ ხმების ყველაზე მეტი რაოდენობა ბლოკმა საქართველოს აღორძინებამ დააგროვა (ბლოკის ლიდერი იყო ასლან აბაშიძე). პარლამენტში აგრეთვე მოხვდა პარტია მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს (მისი თავმჯდომარე იყო გოგი თოფაძე). პარლამენტის თავმჯდომარედ აირჩიეს ზურაბ ჟვანია. 2000 წელს ჩატარებულ საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად პრეზიდენტი გახდა ედუარდ შევარდნაძე. ქვეყანაში კვლავ უმძიმესი მდგომარეობა იყო (ჩიტაძე, 2016).



2002 წლის ადგილობრივი თვითმართველობის არჩევნებში მმართველმა პარტიამ მძიმე მარცხი იწვნია. მოქალაქეთა კავშირმა ხმათა 2,5% მიიღო და საარჩევნო ბარიერი ვერ გადალახა. ასეთ ვითარებაში ედუარდ შევარდნაძემ სცადა მოქალაქეთა კავშირის რეფორმირება და ამომრჩევლის თვალში რეაბილიტაცია, თუმცა უკვე დაწყებული იყო პარტიის დაშლის შეუქცევადი პროცესი. ყველაზე თვალსაჩინო იყო იუსტიციის ყოფილი მინისტრის, მიხეილ სააკაშვილის გამოსვლა პარტიიდან. მის გარშემო გაერთიანდა ყველაზე მზარდი ოპოზიციური ძალა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა. 2003 წლის 2 ნოემბერს უნდა გამართულიყო საპარალმენტო არჩევნები, რომლის შედეგებიც მნიშვნელოვან გავლენას იქონიებდა ქვეყნის მომავალზე.

### **ვარდების რევოლუცია და მისი სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური შედეგები**

“ვარდების რევოლუციამ” თავისი ასახვა ჰპოვა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე. ქვეყნის სათავეში ახალი ხელისუფლების მოსვლისა მმართველობის პირველსავე წლებში ეკონომიკის, თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე მართლმსაჯულების, განათლების, ენერჯეტიკის და სხვ. მიმართულებით რადიკალური რეფორმები განხორციელდა. დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე ოლიგარქი, რომელიც შევარდნაძის პერიოდში ეკონომიკისა და ბიზნესის სხვადასხვა სექტორს აკონტროლებდა. ციხეში მოხვედრის შემდეგ მათი უმრავლესობა თანხმდებოდა საპროცესო გარიგებას და სახელმწიფო ბიუჯეტში მილიონობით ლარი შეჰქონდა.

გადასახადების (დღგ, საშემოსავლო გადასახადი, მოგების გადასახადი და სხვ.) შემცირების პარალელურად, ანტიკორუფციული ზომების გატარების შედეგად ბიუჯეტისათვის მოკრეფილი გადასახადების რაოდენობამ სწრაფად იმატა. უკვე 2006 წლის ივლისში, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი რვაჯერ გაიზარდა და 3 მილიარდი დოლარი შეადგინა (Thomas De Waal. 2011. P.6). 2004 წლის ზაფხულში, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში მომუშავე საგადასახადო ინსპექციის ყველა თანამშრომელი – დახლოებით 13 000 კაცი სამსახურიდან დაითხოვეს და მის ნაცვლად კი უფრო ნაკლები საშტატო ერთეულით დაკომპლექტებული, მაგრამ ამავე დროს უკეთესად ანაზღაურებადი, საშემოსავლო სფეროში რეფორმების განხორციელებისაკენ მიმართული ორგანიზაცია იქნა ჩამოყალიბებული. ასევე, ძირფესვიანი ცვლილება საბაჟო სამსახურშიც იქნა განხორციელებული. ყოველდღიური კორუფციის ფაქტობრივი აღმოფხვრა ისევ რჩება შთამბეჭდავ მაგალითად მთელი პოსტსაბჭოთა სივრცისათვის. “ვარდების რევოლუციის” შემდგომ პერიოდში, რიგითი ქართველების უმრავლესობა აღარ იხდიდა ქრთამს შესაბამის სახელმწიფო უწყებებში საბუთების (მაგალითად პასპორტის) აღებისას, ან სახელმწიფო მანქანით სიარულის, ბინის ყიდვისა თუ უმადლეს სასწავლებელში ჩარიცხვის დროს. 2011 წელს ჩატარებული სოციოლოგიური გამოკითხვის დროს, გამოკითხვაში მონაწილე საქართველოს მოქალაქეთა 98%-მა განაცხადა, რომ მათ არ უწევდათ არავისათვის არავითარი ქრთამის გადახდა (Thomas De Waal. 2011. P.6).

აღნიშნული რეფორმების ჩატარების შედეგად, უცხოელ პარტნიორებს უკვე იმ ოფიციალურ პირებთან უწევდათ თანამშრომლობა, რომლებსაც გააჩნდათ კარგი განათლება და მაქსიმალურად იყვნენ დაინტერესებულნი საქართველოში სხვადასხვა სახის რეფორმების განხორციელებით.

ანტიკორუფციუმა რეფორმებმა და გამარტივებულმა საგადასახადო კოდექსმა ეკონომიკას უფრო საიმედო საყრდენი გაუჩინა. ძალზედ სწრაფად გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა და 2007 წელს 2 მილიარდ დოლარს გადააჭარბა (Thomas De Waal. 2011. P.7).

ამავე დროს, კვლავ პრობლემად რჩებოდა სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობის საკითხი, რაც სერიოზულად აფერხებდა ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებას. გარდა ამისა, როგორც შემდგომში განვითარებულმა მოვლენებმა ცხადყო, ადგილი ჰქონდა ადამიანის უფლებათა დარღვევებს ქვეყნის პენიტენციურ სისტემაში.

ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა სექტორში გატარებულმა ცვლილებებმა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში უკმაყოფილება გამოიწვია. 2007 წლის მეორე ნახევარში გაზრდილმა პოლიტიკურმა და სოციალურმა უკმაყოფილებამ პოლიტიკურ კრიზისთან ერთად თბილისის ქუჩებში საპროტესტო აქციები გამოიწვია, რისი საბოლოო შედეგიც გახლდათ 2007 წლის 7 ნოემბერი, როდესაც დემონსტრანტთა ლიდერებმა თავიანთ მომხრეებს ქუჩაში გამოსვლისა და “ხელისუფლების დამთავრებისაკენ” მოუწოდეს. ამის საპასუხოდ პოლიციამ დემონსტრანტების წინააღმდეგ გადამეტებული ძალა გამოიყენა, რის შედეგადაც ბევრი დემონსტრანტი დაშავდა, გარდა ამისა, საპოლიციო ძალების მიერ მნიშვნელოვანი კანონდარღვევებით ტელეკომპანია “იმედის” შენობა იქნა დაკავებული. აღნიშნული პოლიტიკური კონფრონტაციის პირობებში საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით 2008 წლის იანვარში ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები დაინიშნა, რომელშიც გამარჯვება კვლავ მიხეილ სააკაშვილმა მოიპოვა (მან ამომრჩეველთა ხმების დაახლოებით 53% მიიღო) (Thomas De Waal. 2011. P.7).

საპრეზიდენტო არჩევნების შედეგებმა რუსეთის გაღიზიანება გამოიწვია. რუსეთის მიერ გატარებული იმპერიალისტური პოლიტიკის შედეგად უფრო და უფრო მწვავედებოდა ვითარება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებში და რუსეთ-საქართველოს შორის. როგორც ცნობილია, 2008 წლის აგვისტოში, ეს კრიზისი რუსეთთან ომში გადაიზარდა, რაზედაც წიგნის შემდეგ თავებში გვექნება საუბარი.

2008 წლის ომის უბედურებების შემდეგ ბევრი ადამიანის აზრით, მმართველ ძალას – “ერთიან ნაციონალურ მოძრაობას” ძალაუფლების შენარჩუნება გაუჭირდებოდა. 2009 წლის 9 აპრილს საქართველოს პრეზიდენტის გადადგომის მოთხოვნით რადიკალურმა ოპოზიციამ საპროტესტო აქციები დაიწყო, თუმცა, დროთა განმავლობაში აქციის მონაწილეთა რაოდენობა მნიშვნელოვნად შემცირდა. თავის მხრივ, მმართველმა პოლიტიკურმა პარტიამ, ერთგვარ პოლიტიკურ აღორძინებას მიაღწია, შესაბამისად, გაიზარდა პრეზიდენტ სააკაშვილის, როგორც საქართველოს

ყველაზე პოპულარული პოლიტიკოსის რეიტინგი. 2010 წელს ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ პრეზიდენტი, დიდი უპირატესობით, გამოკითხულთა 56 პროცენტის აზრით, ყველაზე სანდო პოლიტიკური ფიგურაა ქვეყანაში. აღნიშნული მონაცემების მიხედვით, მისმა რეიტინგმა 2009 წელთან შედარებით რვა პროცენტით მოიმატა (Thomas De Waal. 2011. P.7).

საქართველოს პრეზიდენტის პოლიტიკური რეიტინგის ზრდას სამი მთავარი მიზეზი გააჩნდა. პირველი გახლავთ მისი პოლიტიკური ნიჭი. მისი ოპონენტებიც კი აღიარებდნენ, რომ სააკაშვილი კვლავ რჩებოდა საქართველოს ყველაზე დინამიურ პოლიტიკოსად. 2010 წლის ბოლოსა და 2011 წლის დასაწყისში, პრეზიდენტის კომუნიკაციის უნარი კიდევ ერთხელ იქნა დადასტურებული ორი დიდი საჯარო ღონისძიების ფარგლებში, როდესაც ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებით იგი რამდენიმე საათის განმავლობაში პასუხობდა საზოგადოების მიერ დასმულ შეკითხვებს.

2010-2011 წლებში პრეზიდენტის პოზიციის გამყარება ასევე ოპოზიციის არაეფექტურ მუშაობას უკავშირდებოდა. 2012 წელს კოალიცია “ქართული ოცნების” ჩამოყალიბებამდე საქართველოში ბევრი ოპოზიციური პარტია არსებობდა, მაგრამ ყველა მათგანი იყო მცირერიცხოვანი და ერთმანეთისაგან გამიჯნული, რომლებიც, როგორც წესი ცალკეული ლიდერების მიერ იმართებოდნენ. 2009 წელს, როდესაც თბილისში ოპოზიციის მიერ დაგეგმილი აქციები იმართებოდა, რადიკალურმა ოპოზიციამ ქუჩის პროტესტის და ხელისუფლებისადმი რადიკალური მოთხოვნების წამოყენების ტაქტიკა არჩია და ასე დაკარგა ამომრჩეველთა მხარდაჭერა. მმართველი პოლიტიკური ელიტა მოთმინებით ელოდა პროტესტის დამთავრებას და 2009 წლის აპრილ-ივნისში თბილისში განვითარებული მოვლენებიდან უფრო გაძლიერებული გამოვიდა.

მესამე ძირითადი მიზეზი იმისა, რამაც ხელი შეუწყო “ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” მიერ რეფორმების გაგრძელების პროცესს, წარმოადგენდა ის უცხოური დახმარება, რომელმაც საქართველოს ეკონომიკა ორმაგი, კერძოდ, რუსეთის მიერ განხორციელებული აგრესიისა და გლობალური ეკონომიკური კრიზისის შედეგად მიყენებული ზარალისგან გამოწვეული შოკისაგან დაიცვა. საქართველომ დასავლეთის სახელმწიფოებისა და წამყვანი საერთაშორისო – საფინანსო ინსტიტუტებისაგან ფინანსური სტაბილიზაციის და ეკონომიკის რეაბილიტაციის მიზნით მნიშვნელოვანი დახმარება მიიღო. 2008 წლის ოქტომბერში ბრიუსელში ჩატარებულმა დონორთა საერთაშორისო კონფერენციამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსათვის დახმარებისა და დაბალპროცენტიანი სესხის სახით 4,5 მილიარდიანი პაკეტის გამოყოფის შესახებ. ფინანსური დახმარების საქმეში თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს აშშ-მა, ევროკავშირმა, იაპონიამ, მსოფლიო ბანკმა, საერთაშორისო სავალუტო ფონდმა, აზიის განვითარების ბანკმა და სხვებმა. სახელმწიფო ბიუჯეტის სტაბილიზაციისათვის აშშ-მ 250 მილიონი დოლარი გამოყო. გარდა ამისა, ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ დადებითად შეაფასა აშშ-ს “ათასწლეულის გამოწვევის” ფარგლებში საქართველოსათვის სხვადასხვა პროგრამების განსახორციელებლად გამოყოფილი

295 მილიონი დოლარის რაციონალური ათვისება. აღნიშნული პროგრამა 2005-2010 წლებში იქნა განხორციელებული, ხოლო თანხა, ძირითადად რეგიონებში ინფრასტრუქტურის მშენებლობაზე დაიხარჯა და 2011 წელს აშშ-სა და საქართველოს შორის კიდევ ერთი შეთანხმების ხელმოწერა უზრუნველყო (Thomas De Waal. 2011. P.8).

## 2012 წლის 1 ოქტომბერს საქართველოში ჩატარებული საპარლამენტო არჩევნები და მისი შედეგები

**საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს არჩევნები (2012)** — საქართველოს მე-8 მოწვევის საპარლამენტო არჩევნები 2012 წლის 1 ოქტომბერს ჩატარდა. ეს გახლდათ პირველი არჩევნები დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში (და პრაქტიკულად პოსტსაბჭოთა სივრცის ისტორიაში), რომელშიც მმართველი პოლიტიკური პარტია დამარცხდა.

2010 წელს განხორციელებულმა საკონსტიტუციო ცვლილებებმა საფუძვლიანი როლი შეასრულა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების მნიშვნელობის ზრდის საქმეში. ამის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი გახლავთ ის ფაქტი, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ქვეყნის უზენაეს კანონში (კონსტიტუციაში) გათვალისწინებული ცვლილებების მიხედვით მთავრობის დაკომპლექტება მთლიანად პარლამენტის უფლებამოსილებას მიეკუთვნება. სწორედ ეს გახლდათ ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი იმისა, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის მზადება ჯერ კიდევ 2011 წლის ზამთარში დაიწყო, როდესაც ჩამოყალიბებულ იქნა 8 პოლიტიკური პარტიის გაერთიანება ე.წ. „ოპოზიციური რვიანი“ და როდესაც საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების მიზნით ხელისუფლებამ და ოპოზიციამ ერთმანეთთან მოლაპარაკება დაიწყო (სივილ ჯორჯია, 2011). თუმცა 2011 წლის ზაფხულში „რვიანი“ დაიშალა, რადგანაც საარჩევნო კოდექსზე შეთანხმებას რამდენიმე პოლიტიკურმა პარტიამ მიაღწია, ეს პარტიები იყვნენ: „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“, „ახალი მემარჯვენეები“, „ეროვნულ-დემოკრატიული პარტია“ და „ჩვენ თვითონ“. კოდექსის მიხედვით ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში 150 დეპუტატი - მათ შორის, 73 მაჟორიტარული, 77 კი პროპორციული წესით უნდა ყოფილიყო არჩეული. მოლაპარაკებათა ფარგლებში განიხილებოდა ხელისუფლების ინიციატივა, რომელიც პარლამენტის წევრთა რაოდენობის 150-დან 190-მდე გაზრდას ითვალისწინებდა. თუმცა, აღნიშნული ინიციატივა არ მოიწონეს რიგმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა. ასევე ამოქმედდა სამოქალაქო კამპანია „მე ვთქვი 150“, შედეგად შენარჩუნდა არსებული მოდელი. წინასაარჩევნოდ შეიქმნა ამომრჩეველთა სიების დაზუსტების სახელმწიფო კომისია. კომისიამ ამომრჩეველთა საერთო რაოდენობა 3 613 851-ით განისაზღვრა, რაც ყველაზე მაღალი მაჩვენებელი გახლდათ 1990 წლის არჩევნების შემდგომ პერიოდში (სივილ ჯორჯია, 2012).

წინასაარჩევნო პერიოდში მნიშვნელოვანი მოვლენა გახლდათ ის ფაქტი, რომ 2011 წლის ოქტომბერში პოლიტიკურ პროცესებში ჩართვისა და არჩევნებში მონაწილეობის სურვილი განაცხადა ბიზნესმენმა ბიძინა ივანიშვილმა, რომელიც მანამდე ცხოვრების არასაჯარო სტილით იყო ცნობილი. იმავე წლის 11 ოქტომბერს სამოქალაქო რეესტრის სააგენტომ გააკეთა განცხადება, რომლის მიხედვითაც ივანიშვილმა საქართველოს მოქალაქეობა დაკარგა. მოგვიანებით, ქართველმა ბიზნესმენმა ჩამოაყალიბა პოლიტიკური პარტია ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო და შექმნა კოალიცია „ქართული ოცნება“ რომელშიც სხვადასხვა ეტაპზე 6 პოლიტიკური პარტია გაერთიანდა. საქართველოში არსებული პოლიტიკური რეალობის გათვალისწინებით, კოალიცია მმართველი ძალის, “ნაციონალური მოძრაობის“ ძირითად კონკურენტად მოგვევლინა.

უნდა აღინიშნოს, რომ წინასაარჩევნო პერიოდში მკვეთრად გაიზარდა პოლიტიკური კონფრონტაცია ორ ძირითად პოლიტიკურ ძალას შორის. ამასთან დაკავშირებით, ადგილობრივმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა და საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიებმა საკუთარი შეშფოთება გამოხატეს. მაგალითად, ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ წინასაარჩევნო გარემო შეაფასა როგორც პოლარიზებული, ხოლო ორი ძირითადი პოლიტიკური ძალის ქმედებებს უწოდა „კონფრონტაციული და უხეში“. წინასაარჩევნო გარემო ევროპის საბჭოს საპარლამენტო დელეგაციამ შეაფასა როგორც კონკურენტული, თუმცა პოლარიზებული და ანტაგონისტური.

### ***მონაწილე სუბიექტები და კამპანია***

არჩევნებზე მონაწილეობის მისაღებად ცესკომ რეგისტრაციაში 18 პოლიტიკური სუბიექტი გაატარა, აქედან მხოლოდ ორი წარმოადგენდა საარჩევნო ბლოკს. საარჩევნო ბლოკად დარეგისტრირდა კოალიცია „ბიძინა ივანიშვილი - ქართული ოცნება“, რომელიც ექვს პარტიას აერთიანებდა. მათი უმრავლესობა 2011 წელს არსებული „ოპოზიციური რვიანის“ წევრებს წარმოადგენდა. „ქართული ოცნების“ გარდა პოლიტიკურ ბლოკად დარეგისტრირებულ იქნა მოქმედ პარლამენტში წარმოდგენილი ორი პარტია: „ქრისტიან-დემოკრატები“ და „ევროპელი დემოკრატები“. სხვა პარტიებმა არჩევნებში მონაწილეობა დამოუკიდებლად მიიღეს.

პარტიებს 73 მაჟორიტარულ ოლქში თავიანთი კანდიდატები ჰყავდათ წარდგენილი. თითოეულ ოლქში 2-დან 10 კანდიდატამდე მონაწილეობდა. ამავე დროს, ყველა საარჩევნო ოლქში საკუთარი კანდიდატურა მხოლოდ ორ სუბიექტს, „ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულმა ოცნებას“ ჰყავდა წარმოდგენილი. თითქმის ყველა ოლქში ჰყავდათ საკუთარი კანდიდატები წარდგენილი „ქრისტიან-დემოკრატებს“, „მემარჯვენეებსა“ და „ლეიბორისტებს“. „ქართულმა დასმა“ ერთის გარდა, ყველა მაჟორიტარობის კანდიდატი მოხსნა „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ.

მაჟორიტარობის კანდიდატები „ქართული ოცნების“ სასარგებლოდ ასევე მოხსნა „თავისუფალმა საქართველომ“.

მმართველი პარტიის საარჩევნო სლოგანი გახლდათ „მეტი სარგებელი ხალხს“. მათ საარჩევნო პროგრამაში მთავარი პრიორიტეტი სოფლის მეურნეობის სექტორის განვითარებას, ჯანდაცვისა და დაზღვევის სისტემის მოდერნიზაციას და 1000 ლარიანი ვაუჩერების მოსახლეობაში გავრცელების საკითხს ეკავა. რაც შეეხება ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ ორიენტაციას, „ნაციონალური მოძრაობა“ ძირითად ყურადღებას საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებზე ამახვილებდა და ხშირად ადანაშაულებდა „ქართულ ოცნებას“ რუსეთთან და ქურდულ სამყაროსთან კავშირებში (სივილ ჯორჯია, 29 სექტემბერი, 2012).

რაც შეეხება „ქართულ ოცნებას“, მან საარჩევნო კამპანია 2012 წლის მაისში თბილისში გამართული ფართომასშტაბიანი მიტინგით დაიწყო. კოალიციის წინასაარჩევნო პროგრამა ასევე აგებული იყო სოციალური პროგრამების, კერძოდ: ჯანდაცვის, დაზღვევისა და სოფლის მეურნეობის სისტემის რეფორმირებაზე. კოალიცია ამომრჩეველს სოფლის მეურნეობის განვითარების მილიარდიანი ფონდის შექმნას პირდებოდა, საგარეო პოლიტიკაში პრიორიტეტად კი ევროკავშირისა და ნატოში ინტეგრაციას და რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზებას ასახელებდა. მაისიდან სექტემბრის ჩათვლით კოალიციამ ფაქტიურად საქართველოს ყველა რეგიონში გამართა აქციები. კამპანია დამთავრდა თბილისსა და ქუთაისში არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე გამართული მიტინგებით.

არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გლდანის ციხეში პატიმართა ცემის ამსახველი ვიდეოები იქნა გამოქვეყნებული, რასაც სამოქალაქო საზოგადოებისა და სტუდენტების ფართომასშტაბიანი საპროტესო აქციები და ორი მინისტრის - სასჯელაღსრულებისა და შინაგან საქმეთა მინისტრების - გადადგომა მოჰყვა. სკანდალმა უარყოფითად იმოქმედა მმართველი პარტიის წინასაარჩევნო პერიოდში არსებულ რეიტინგზე.

საპარლამენტო არჩევნებში მონაწილეობა 2 215 661 ამომრჩეველმა მიიღო. საკანონმდებლო ორგანოში მანდატების მოპოვებისათვის აუცილებელი 5% - იანი ბარიერი მხოლოდ ორმა პოლიტიკურმა სუბიექტმა გადალახა. პირველ ადგილზე გასულმა „ქართულმა ოცნებამ“ პარტიული სიით 44 მანდატი მიიღო. კოალიციამ 41 მაჟორიტარული მანდატი მიიღო: მოიგო ყველა ოლქი თბილისში, გურიასა და მცხეთა-მთიანეთში და შიდა ქართლში, ასევე მოიგო კახეთის და იმერეთის ოლქების უმრავლესობა. მეორე ადგილზე გასულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ 33 მანდატი მოიპოვა პროპორციული წესით და ყველაზე მეტი ხმები მოაგროვა ქვემო ქართლის, სამცხე-ჯავახეთისა და სამეგრელოს ოლქების უმეტესობაში. საერთო ჯამში „ქართულმა ოცნებამ“ 85 მანდატი მიიღო, რაც საკმარისი აღმოჩნდა მთავრობის ჩამოყალიბებისათვის. თუმცა, ამავე დროს, „ქართულმა ოცნებამ“ ვერ მოიპოვა საკონსტიტუციო უმრავლესობა.

ახლადარჩეულმა პარლამენტმა ქუთაისში დაიწყო ფუნქციონირება (ცენტრალური საარჩევნო კომისიის ანგარიში. 2012).

### *არჩევნების შეფასება*

არჩევნების შედეგები აღიარა ყველა საარჩევნო სუბიექტმა. საპარლამენტო არჩევნებს პირველი საქართველოს პრეზიდენტი გამოეხმაურა, რომელმაც განაცხადა, რომ მისი პოლიტიკური გუნდი დამარცხდა არჩევნებში და „ნაციონალური მოძრაობა“ ოპოზიციაში გადადიოდა. აგრეთვე მან განაცხადა, რომ იგი ხელს შეუწყობდა „ქართულ ოცნებას“ ახალი მთავრობის ფორმირების პროცესში. მოგვიანებით ანალოგიური განცხადება დავით ბაქრაძემაც გააკეთა. „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერმა, დავით გამყრელიძემ მისი პარტიის დამარცხების შემდეგ პოლიტიკიდან წასვლის შესახებ განაცხადა.

არჩევნები აღიარეს და დადებითი შეფასებები მისცეს ეუთოს სადამკვირვებლო მისიამ, აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა, ნატოს გენერალურმა მდივანმა, ევროკავშირის წარმომადგენლებმა და ა.შ. (სივილ ჯორჯია, თბილისი. 4 ოქტომბერი. 2012).

### **საქართველოს საპარლამენტო არჩევნები (2016)**

საქართველოს მე-9 მოწვევის პარლამენტის არჩევნები 2016 წლის 8 ოქტომბერს ჩატარდა.

#### *წინასაარჩევნო გარემო*

2016 წლის 8 ივნისს გამოქვეყნდა საქართველოს პრეზიდენტის 3 ივნისის განკარგულება რომლითაც საპარლამენტო არჩევნების თარიღად 2016 წლის 8 ოქტომბერი განისაზღვრა. შესაბამისად, ოფიციალური წინასაარჩევნო პერიოდი 2016 წლის 8 ივნისიდან დაიწყო და 4 თვე გაგრძელდა.

„სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების“ (ISFED) შეფასებით, მიუხედავად არაერთი ინიციატივისა, კვლავაც ვერ მოხერხდა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის საარჩევნო სისტემის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება. მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრების ცვლილებები და ბარიერის ზრდა არ არის საკმარისი საარჩევნო სისტემასთან დაკავშირებული პრობლემების აღმოსაფხვრელად. ასევე წინასაარჩევნო გარემოს საფრთხის ქვეშ აყენებს პოლიტიკოსებზე ძალადობისა და პირადი ცხოვრების კადრების შანტაჟის მცდელობები და მსგავს ფაქტებზე სახელმწიფოს მხრიდან არაეფექტური რეაგირება. მედია გარემოს კუთხით კითხვებს აჩენს ტელეკომპანიების მფლობელობასთან დაკავშირებით მიმდინარე დავები და რამდენიმე თოქ-შოუს დახურვა. წინასაარჩევნო პერიოდში პრინციპულად მნიშვნელოვანია, მმართველი პოლიტიკური ჯგუფების მიმართ კრიტიკულად განწყობილი მედიის არსებობა.

2015 წლის 23 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინებით, ცვლილებები შეიტანა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების საზღვრებში, კერძოდ, საარჩევნო ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობა 15%-იანი ცდომილების ფარგლებში მოაქცია. აღსანიშნავია, ასევე, რომ მაჟორიტარული კანდიდატებისთვის დაწესებული 30%-იანი ბარიერი გაიზარდა 50%+1-მდე.

2015 წელს არასამთავრობო ორგანიზაციებმა, სრული ოპოზიციური პარტიების სპექტრმა, საქართველოს პრეზიდენტის ჩართულობით კონსენსუსს მიაღწია, არსებული საარჩევნო სისტემის სრულად პროპოციული სისტემით ჩანაცვლების თაობაზე, მაგრამ პარლამენტის მიერ იმ პერიოდში შესაბამისი საკონსტიტუციო ცვლილებები არ განხორციელებულა.

საბოლოო ჯამში, ცესკო-ს მონაცემებით, კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1 814 276-მა ადამიანმა, რაც ამომრჩეველთა 51,63%-ია. პარლამენტში მანდატების მოპოვებისათვის აუცილებელი 5% ბარიერი სამმა ძალამ გადალახა, ესენია: ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსი. რაც შეეხება მაჟორიტარული წესით არჩეულ დეპუტატებს, აქ სურათი განსხვავდებოდა და ჩატარდა არჩევნების მეორე ტური, ამავე დროს ქართული ოცნების 23-მა მაჟორიტარობის კანდიდატმა პირველ ტურში მოიგო არჩევნები. მეორე ტურში, 73-ვე მაჟორიტარულ ოლქში „ქართული ოცნების“ კანდიდატთა გამარჯვება დაფიქსირდა. შედეგად, „ქართულმა ოცნებამ“ პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა მოიპოვა (ცესკო, 2016).

### **საქართველოში არსებული საპრეზიდენტო ინსტიტუტი და ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები**

საქართველოს პრეზიდენტის ინსტიტუტი პირველად 1991 წლის 14 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს მიერ მიღებული კანონის საფუძველზე იქნა ჩამოყალიბებული, რომლის თანახმადაც დაწესებულ იქნა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობა და იმ პერიოდში მოქმედ კონსტიტუციაში შესაბამისი ცვლილებები და დამატებები იქნა შეტანილი (საქართველოს 1978 წლის კონსტიტუციაში შეტანილი ცვლილებები). იმავე დღეს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს პრეზიდენტად აირჩია უზენაესი საბჭოს მაშინდელი თავმჯდომარე ზვიად გამსახურდია. პრეზიდენტის არჩევნების წესს დეტალურად განსაზღვრავდა საქართველოს რესპუბლიკის კანონი „პრეზიდენტის არჩევნების შესახებ“. საქართველოს ისტორიაში პირველი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა 1991 წლის 26 მაისს, რომელშიც ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა.

1991-1992 წწ. ქვეყანაში მომხდარი სამოქალაქო ომის შედეგად ხელისუფლებაში მოსულმა სამხედრო საბჭომ და დროებითმა მთავრობამ, ხოლო შემდგომში სახელმწიფო საბჭომ



გარდამავალი პერიოდის კანონი ამოქმედეს, კერძოდ, 1992 წელს საქართველოს რესპუბლიკის ახლად არჩეულმა პარლამენტმა მიიღო კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“, რომლის მიხედვითაც საპრეზიდენტო ინსტიტუტის ნაცვლად შემოღებულ იქნა და დაწესდა სახელმწიფოს მეთაურის თანამდებობა. მის ფუნქციებს ასრულებდა პარლამენტის თავმჯდომარე, რომელიც 1992 წლის 12 ოქტომბერს გამართული საპარლამენტო არჩევნების დროს მოსახლეობის მიერ პირდაპირი წესით იქნა არჩეული, ხოლო მოგვიანებით პარლამენტმა 1995 წლის 24 აგვისტოს მიღებული კონსტიტუციით კვლავ აღადგინა პრეზიდენტის ინსტიტუტი, რომლის უფლებამოსილებებიც კონსტიტუციის მეოთხე თავში იქნა განსაზღვრული (საქართველოს კონსტიტუცია. თავი IV).

ახალი კონსტიტუციის მიღებიდან დღემდე, პრეზიდენტის უფლებამოსილებები რამდენჯერმე შეიცვალა. კერძოდ, კონსტიტუციის თავდაპირველი რედაქციით პრეზიდენტი იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ის გახლდათ პასუხისმგებელი სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის განხორციელებაზე, ამასთანავე, იგი გახლდათ საგარეო ურთიერთობებში ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენელი; პრეზიდენტს ეკრძალებოდა პარალელურად სხვა თანამდებობის დაკავება. 2004 წლის საკონსტიტუციო ცვლილებებით, მთავრობის ინსტიტუტის, კერძოდ პრემიერ-მინისტრის თანამდებობის შემოღებასთან დაკავშირებით, პრეზიდენტის უფლებამოსილება ნაწილობრივ მთავრობის სასარგებლოდ შეიზღუდა, თუმცა პრეზიდენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებაში გარკვეული ფუნქციები შეინარჩუნა. ამასთანავე, პრეზიდენტს უფლება მიეცა რიგ შემთხვევებში დაეთხოვა პარლამენტი. ამავე პერიოდში შემოღებულ იქნა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ინსტიტუტი. 2010 წლის ქვეყნის უზენაეს კანონში შეტანილი ცვლილებების შედეგად, პრეზიდენტის უფლებამოსილება, ამჯერად მთავრობისა და პარლამენტის სასარგებლოდ შეიზღუდა; პრეზიდენტს ჩამოშორდა აღმასრულებელი ხელისუფლების პრაქტიკულად ყველა უფლებამოსილება და მას პარტიული თანამდებობის დაკავება აეკრძალა; თუმცა სახელმწიფოს მეთაურის და საქართველოს სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის ფუნქციები პრეზიდენტის კომპეტენციას მიეკუთვნება.

როგორც წინასწარ იქნა თავებში აღინიშნა, კონსტიტუციაში შესატან ცვლილებებამდე, პრეზიდენტის არჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით ხორციელდებოდა (საქართველოს კონსტიტუცია). ერთი და იგივე პირის პრეზიდენტად არჩევა ზედიზედ მხოლოდ ორჯერ შეიძლებოდა. პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ ყოფილიყო საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში უცხოვრია 5 წელი მაინც და არჩევნების დანიშნის დღემდე ბოლო 3 წლის განმავლობაში ცხოვრობდა საქართველოში. აღნიშნული წესი შემოღებულ იქნა 2011 წლის 1 იანვრიდან. მანამდე პრეზიდენტად შეიძლება არჩეულიყო პირი, რომელსაც საქართველოში ნაცხოვრები

ჰქონდა 15 წელი მინიმუმ და არჩევნების დანიშვნის დღეს ცხოვრობდა საქართველოში (საქართველოს კონსტიტუცია. თავი IV).

შესაბამისად, 2018 წელს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებებამდე პრეზიდენტის არჩევნების წესი შემდეგნაირად იყო განსაზღვრული: „საქართველოს პრეზიდენტი აირჩევა საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი პრეზიდენტად შეიძლება აირჩეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ“ (საქართველოს კონსტიტუცია. მუხლი. 70).

წიგნში უკვე იყო საუბარი იმის შესახებ, რომ ქვეყნის უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში შეტანილი ახალი ცვლილებების შედეგად, საქართველოს პრეზიდენტს 5 წლის ვადით, დებატების გარეშე, ფარული კენჭისყრით, საქართველოს პარლამენტის შენობაში აირჩევს საარჩევნო კოლეგია, რომლის შემადგენლობასაც ცესკო ამტკიცებს. საარჩევნო კოლეგია შედგება ეგრეთ წოდებული 300 ხმოსნისგან. ხმოსნები არიან საქართველოს პარლამენტის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების წევრები, ასევე ადგილობრივი საკრებულოების შემადგენლობიდან შესაბამისი პოლიტიკური პარტიების მიერ დასახელებული პირები.

ერთი და იგივე ადამიანის არჩევა საქართველოს პრეზიდენტად მხოლოდ ორჯერ შეიძლება. პრეზიდენტობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს არანაკლებ 30 ხმოსანს. ერთ ხმოსანს შეუძლია ხმა მისცეს მხოლოდ ერთ კანდიდატს. არჩევნების პირველ ტურში არჩეულად ჩაითვლება კანდიდატი, რომელსაც ხმოსანთა სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3 დაუჭერს მხარს.

## 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

როგორც ცნობილია, საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე ქვეყანას 4 პრეზიდენტი ჰყავდა. საქართველოს მეოთხე პრეზიდენტი გახლდათ გიორგი მარგველაშვილი, რომელმაც 2013 წლის 27 ოქტომბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად თანამდებობა 2013 წლის 17 ნოემბერს დაიკავა.

2013 წლის 27 ოქტომბერს გამართული საპრეზიდენტო არჩევნები რიგით მეექვსე გახლდათ ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობის ისტორიაში.

არჩევნებში კენჭს 23 კანდიდატი იყრიდა და მასში მონაწილეობა ამომრჩეველთა 46,96%-მა მიიღო, რაც წინა საპრეზიდენტო არჩევნებთან შედარებით დაბალი მაჩვენებელი გახლდათ.

კანდიდატა	ხმების რაოდენობა	პროცენტები
გიორგი მარგველაშვილი	1 012 214	62,12%;
დავით ბაქრაძე	354 206	21,73%
ნინო ბურჯანაძე	165 933	10,18%
შალვა ნათელაშვილი	46 958	2,88%
გიორგი თარგამაძე	17 343	1,06%

(ცესკოს ანგარიში 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შესახებ. გვ. 51-53).

“ერთიანი ნაციონალური მოძრაობის” კანდიდატმა და გიორგი მარგველაშვილის მთავარმა კონკურენტმა დავით ბაქრაძემ და მოქმედმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა გამარჯვება მიულოცეს გიორგი მარგველაშვილს.

### 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები

2018 წელს საქართველოში რიგით მეშვიდე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა. პირველი ტური 2018 წლის 28 ოქტომბერს გაიმართა, ხოლო მეორე ტური - 28 ნოემბერს. არჩევნები ორ ტურად ჩატარდა. მეორე ტურში ქართული ოცნების მხარდაჭერილი დამოუკიდებელი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის კანდიდატი გრიგოლ ვაშაძე გადავიდნენ. საბოლოოდ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნებში გამარჯვებულად სალომე ზურაბიშვილი გამოცხადდა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ეს საპრეზიდენტო არჩევნები გახლდათ უკანასკნელი, სადაც საქართველოს პრეზიდენტი საყოველთაო, თანასწორი და პირდაპირი საარჩევნო უფლების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, 5 წლის ვადით აირჩეოდა.

საქართველოს კონსტიტუციაში შეტანილ ცვლილებამდე, საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ ყოფილიყო საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 35 წლის ასაკიდან. ამავდროულად, მას საქართველოში 5 წელი მაინც უნდა ჰქონოდა ნაცხოვრები და არჩევნების დანიშვნის დღისთვის კი ბოლო 3 წელი. ერთი და იგივე პირი

საქართველოს პრეზიდენტად შეიძლება არჩეულ იქნეს ზედიზედ მხოლოდ ორჯერ. არჩეულად ჩაითვლებოდა საქართველოს პრეზიდენტობის ის კანდიდატი, რომელსაც ხმა მისცა არჩევნებში მონაწილეთა ნახევარზე მეტმა.

საპრეზიდენტო არჩევნებს საარჩევნო სუბიექტების 82 904 წარმომადგენელი, 73 ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის 22 032 დამკვირვებელი და 58 საერთაშორისო ორგანიზაციის 1163 საერთაშორისო დამკვირვებელი აკვირდებოდა. საარჩევნო პროცესს აშუქებდა 125 მედია ორგანიზაციის 1957 ჟურნალისტი. აკრედიტებულ მედიასამუშალებებს შორის 31 საერთაშორისო და 94 ადგილობრივი მედია ორგანიზაციას წარმოადგენდა.

### **პირველი ტური**

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) შეფასებით, პირველ ტურში არჩევნებმა სხვადასხვა პროცედურული დარღვევების ფონზე, თუმცა მნიშვნელოვანი დარღვევების გარეშე ჩაიარა.

ორგანიზაციის განმარტებით, კენჭისყრის დღის განმავლობაში, სხვადასხვა სახის პროცედურული დარღვევები დაფიქსირდა, რის შედეგადაც მათ 61 საუბნო საჩივარი წარადგინეს საოლქო საარჩევნო კომისიებში. ეს დარღვევებია: დამკვირვებლის უფლებების შეზღუდვა, მარკირების პროცედურის დარღვევა, ბიულეტენებთან დაკავშირებული პროცედურების დარღვევები, არაუფლებამოსილი პირების უბანზე ყოფნის ცალკეული შემთხვევები, არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემის შემთხვევები, ამომრჩეველთა სიასთან დაკავშირებული ხარვეზები, სხვის ნაცვლად ხმის მიცემა, აგიტაცია საარჩევნო უბანზე და სხვა დარღვევები.

„სამართლიანმა არჩევნების“ განცხადებით, ამ არჩევნების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი იყო ის, რომ პარტიული აქტივისტები ფართოდ იყვნენ წარმოდგენილი უბნებზე და ამომრჩევლებს საკუთარ მხარდამჭერთა სიებს ადარებდნენ, რაც „შესაძლოა ნეგატიურ გავლენას ახდენდეს ამომრჩევლის ნების თავისუფალ გამოვლენაზე და ამომრჩევლის მიერ აღქმული იქნას, როგორც მათზე განხორციელებული ირიბი ზეწოლა“. ორგანიზაციის განმარტებით, ამ პრაქტიკას ქართული ოცნება ფართოდ იყენებდა.

„სამართლიან არჩევნებს“ ქვეყნის მასშტაბით 800 დამკვირვებელი ჰყავდა, რომლებიც 73 საოლქო კომისიაში და 78 მობილურ ჯგუფში იყო მივლინებული. ორგანიზაციის 15 ოპერატორი და 10 იურისტი პოტენციურ დარღვევებს და ინციდენტებს ანალიზებდა და აგვარებდა. „სამართლიანი არჩევნები“ ცესკოს შედეგების გადამოწმების გზით, ხმების პარალელურ დათვლასაც ახორციელებდა.

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის შეფასებით, მიუხედავად იმისა, რომ კენჭისყრის პროცესმა შედარებით მშვიდად ჩაიარა, ორგანიზაციის განმარტებით, მთელი დღის განმავლობაში, მაღალი იყო ამომრჩევლის მობილიზებისა და მისი ნების სავარაუდო კონტროლის ფაქტები. „წინა არჩევნებისგან განსხვავებით, 2018 წლის

არჩევნებზე გარდა კოორდინატორების მიერ ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლისა, პროცესს დაემატა მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი კანდიდატის – სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო შტაბიდან სატელეფონო ზარებით ამომრჩევლის ნების სავარაუდო კონტროლის ტენდენცია“, – განაცხადა საიამ.

ორგანიზაციის შეფასებით, დაფიქსირდა მნიშვნელოვანი დარღვევები, მათ შორის ამომრჩევლის მოსყიდვის სავარაუდო ფაქტი, რომელიც სავარაუდოდ სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნებს შეიცავს, მაგალითად, საარჩევნო ბიულეტენის უბნიდან გატანა.

საიას განცხადებით, ასევე გამოიკვეთა ისეთი პროცედურული დარღვევებიც, როგორცაა ვადაგასული პირადობით ხმის მიცემის ფაქტები, ფიზიკური დაპირისპირების ფაქტები, მარკირებასთან დაკავშირებული პრობლემები და აგიტაცია საარჩევნო უბანზე. საიამ 94 საჩივარი წარადგინა, მათგან 52 საუბნო, ხოლო 42 საოლქო კომისიაში (ცესკო, 2018).

### **არჩევნების მეორე ტური**

რაც შეეხება საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურს, იგი 2018 წლის 28 ნოემბერს გაიმართა. ცესკოს მონაცემებით, სალომე ზურაბიშვილმა ხმათა 59,52 %, ხოლო გრიგოლ ვაშაძემ - 40,48 % მიიღო.

ცესკო - არჩევნების მეორე ტურის კენჭისყრის დღეს საოლქო კომისიებში შეტანილ იქნა 307 საჩივარი.

არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა 56.23% - მა, რაც პირველ ტურთან შედარებით 9%-ით მეტია. შესაბამისად, მეორე ტურში არჩევანი საქართველოს 1 975 845 მოქალაქემ გააკეთა.

შსს-მ გამოძიება სავარაუდო დანაშაულის 11 ფაქტზე დაიწყო (ცესკო, 2018).

### ***ეუთოს საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარ დასკვნა როგორც საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის შეფასების ერთ-ერთი მაგალითი***

ეუთოს დასკვნის შესაბამისად, საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური კონკურენტურ გარემოში ჩატარდა და კანდიდატებს მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად წარემართათ წინასაარჩევნო კამპანია; თუმცა, ერთი მხარე საფუძველს მოკლებული უპირატესობით სარგებლობდა და ორივე მხარის მიერ წარმოებული წინასაარჩევნო კამპანიის უარყოფითი ხასიათი საფრთხის ქვეშ აყენებდა ზოგადად მთელ

საარჩევნო პროცესს. არჩევნები კარგად იყო ადმინისტრირებული; თუმცა, არჩევნების მეორე ტურის ძირითადი ასპექტების მარეგულირებელი კანონმდებლობის არარსებობამ არ უზრუნველყო სამართლებრივი სიცხადე. წინასაარჩევნო კამპანია დააზარალა ხისტმა რიტორიკამ. ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების გაზრდილმა მასშტაბმა კიდევ უფრო წაშალა ზღვარი პარტიასა და სახელმწიფოს შორის. კერძო მედია საშუალებები კვლავაც ინარჩუნებდნენ მკვეთრად პოლარიზებულ და მიკერძოებულ პოზიციას მაშინ, როცა საზოგადოებრივმა მაუწყებელმა არ შეასრულა სარედაქციო პოლიტიკის დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის ვალდებულება. კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა აქტიურობა საკმაოდ მაღალი იყო და პროცესი დადებითად შეფასდა, თუმცა, კენჭისყრის დღეს დამკვირვებლების მიერ დაფიქსირებული ამომრჩეველთა ხმებზე თვალის მიდევნების ფაქტებმა გააძლიერა შეშფოთება ამომრჩეველთა პოტენციული დაშინების გამო. კამპანიის მიმდინარეობისას დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების შემთხვევები და გაკეთდა განცხადება რამდენიმე სოციალური თუ ფინანსური პროგრამის დაწყების შესახებ. კერძოდ კი, სახელისუფლებო პარტიის თავმჯდომარესთან დაკავშირებული ფინანსური ორგანიზაციის მიერ 600 000 მოქალაქისთვის ვალების ჩამოწერის შესახებ. აღნიშნული შემთხვევები და სახელისუფლებო პარტიის მაღალი თანამდებობის პირების წინასაარჩევნო კამპანიაში მონაწილეობამ, კიდევ უფრო წაშალა ზღვარი სახელმწიფოსა და პარტიას შორის. ამომრჩეველთა პირადი მონაცემების შეგროვებისა და მათი პოლიტიკური უპირატესობების დეტალურად შესწავლის მიზნით და ასევე კენჭისყრის დღეს ამომრჩეველთა ხმებზე თვალის მიდევნება დაშინების პოტენციური და შეშფოთებას საფუძველს ქმნის, რადგან სავარაუდო ანგარიშსწორების შიშის გამო ამომრჩევლები ვერ შეძლებენ თავისი ხმის თავისუფლად დაფიქსირებას, როგორც ეს გათვალისწინებულია ეუთოს წინაშე აღებული ვალდებულებებისა (OSCE) და ევროპის საბჭოსა და სხვა საერთაშორისო სტანდარტებით. ხშირ შემთხვევაში საარჩევნო უბნებს გარეთ იკრიბებოდნენ ამომრჩეველთა სიებით შეიარაღებული კანდიდატების მხარდამჭერები, რომლებიც ინიშნავდნენ, თუ ვინ მოვიდა ხმის მისაცემად. საერთაშორისო დამკვირვებლების დაკვირვებით პროცედურები ზოგადად კარგად იყო დაცული, თუმცა არსებობს თვალნათელი მინიშნება იმისა, რომ ადგილობრივი დამკვირვებლები და მედია საშუალებები პოლიტიკური პარტიების სახელით მოქმედებდნენ.

საერთო ჯამში, ეუთოს პოზიციის მიხედვით, "საქართველოს საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტური კონკურენტული იყო და კანდიდატებს ჰქონდათ კამპანიის თავისუფლად ჩატარების საშუალება; თუმცა ერთი მხარე სარგებლობდა გადაჭარბებული უპირატესობით და ორივე მხარეს წარმოებული კამპანიის უარყოფითმა ხასიათმა

პროცესს ძირი გამოუთხარა", - წერია ეუთოს საერთაშორისო დამკვირვებლების წინასწარ დასკვნაში (ეუთო, 2018).

## ნაწილი 9. პოლიტიკური კონფლიქტი

### თავი 51. პოლიტიკური კონფლიქტი: არსი, ტიპოლოგია, პოლიტიკური კონფლიქტის გადაწყვეტის საშუალებები

პოლიტიკური კონფლიქტი თავის მხრივ აღიქმება როგორც ერთი სუბიექტის ბრძოლა პოლიტიკის სხვა სუბიექტებთან. აღნიშნული დაპირისპირების მთავარ მიზეზად კი პოლიტიკურ ურთიერთობათა სისტემაში გავლენის მოპოვება მოიაზრება. ამ შემთხვევაში ბრძოლა მიმდინარეობს რესურსებზე (პოლიტიკური, ეკონომიკური) კონტროლის დამყარებისათვის, საკუთარი ინტერესების მონოპოლიზებისათვის, ანუ ბრძოლა ყველაფერი იმისათვის, რასაც ხელისუფლების მოპოვება და პოლიტიკური ბატონობა წარმოადგენს (Dahrendorf R. C. 1959. pp. 241-248).

გამოიყოფა პოლიტიკური კონფლიქტის შემდეგ თავისებურებები.

1. პოლიტიკური კონფლიქტის საფუძველში დევს პოლიტიკური ინტერესი, რომელიც შესაძლოა განსაზღვრულ იქნეს როგორც ადამიანთა დიდი სოციალური ჯგუფების მხრიდან არსებული სურვილი, რათა გამოყენებულ იქნეს მათი შესაძლებლობები და რეალიზებულ იქნეს მათი მოთხოვნები პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ან მისი შენარჩუნებისა თუ შეცვლის პროცესში. არ არის შემთხვევითი, რომ პოლიტიკური კონფლიქტი სოციალური, ეთნიკური, რელიგიური და სხვა სახის დავეებისა და კონფრონტაციის უკიდურეს გამოხატულებას წარმოადგენს. მშვიდობიანი გზით გადაუწყვეტელი სასიცოცხლო პრობლემები ტრანსფორმირდება უფრო რადიკალურ პოლიტიკურ მოთხოვნებში, როდესაც გარკვეული პოლიტიკური თუ სოციალური ჯგუფისა თუ საზოგადოების გარკვეული ნაწილის მიერ გაისმის ხმამაღალი განცხადებები მთავრობის, პრეზიდენტის, პარლამენტის გადადგომის მოთხოვნისა თუ რეფორმების კურსის შეცვლისა და ა.შ. მოთხოვნით.
2. პოლიტიკური კონფლიქტი პოლიტიკური სიმბოლოებით ოპერირებს. აღნიშნული სიმბოლოები სხვადასხვა ადამიანებისთვის მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენენ. პოლიტიკური სიმბოლოები გარკვეული პოლიტიკური შეხედულებების, იდეოლოგიებისა და დოქტრინების სახით გვევლინებიან.
3. პოლიტიკური კონფლიქტი ყოველთვის დაკავშირებულია პოლიტიკის სამყაროში მოქმედ ადამიანთა პიროვნულ თუ იდეოლოგიურ თავისებურებებთან. პოლიტიკური ოპონენტები ერთმანეთთან ურთიერთობენ შემდეგი ფორმებით: “პოზიცია-ოპოზიცია”, “შეგობარი-მტერი”.



პოლიტიკური კონფლიქტი, ეს გახლავთ სხვადასხვა ძალთა შეტაკება, პოლიტიკურ სუბიექტთა ჭიდილი, რომელიც მათ ინტერესებში, ფასეულობებში, მიზნებში და ა.შ. არსებული წინააღმდეგობებითაა განპირობებული. კონფლიქტი – ეს გახლავთ წინააღმდეგობის ღია ფორმა. ამ შემთხვევაში ობიექტური წინააღმდეგობა კონფლიქტის წყაროდ გვევლინება (Лебедева 1999. С. 19).

პოლიტიკურ კონფლიქტთა ძირითად მიზეზებს წარმოადგენენ შემდეგი ფაქტორები: საზოგადოებრივი დანიშნულება და ფუნქციები, პოლიტიკის არსისა და მისი სიმბოლოების შესახებ არსებული წარმოდგენა და ა.შ. პოლიტიკურ იდეალებთან დაკავშირებით წარმოდგენილი განსხვავებული აზრი, ისტორიული თუ მიმდინარე მოვლენების შესახებ არსებულ აზრთა სხვადასხვაობა; ადამიანთა მოთხოვნილებების ხელყოფა, ან მათი არაადექვატური დაკმაყოფილება; მოქალაქეთა თვითშეფასების პროცესი, როდესაც ისინი თავიანთ თავს აკუთვნებენ გარკვეულ პოლიტიკურ, სოციალურ, რელიგიურ, ეთნიკურ თუ სხვა თემებსა და გაერთიანებებს, რაც განსაზღვრავს კიდევ მათ ადგილს სოციალურ და პოლიტიკურ სისტემებში.

პოლიტიკური კონფლიქტი თავის მხრივ წარმოადგენს დინამიურად განვითარებულ ურთიერთდაკავშირებულ სისტემას, რომელიც გარკვეული კომპონენტებისაგან შედგება, რომელთა შორის გამოყოფენ: კონფლიქტის სუბიექტები; კონფლიქტის მიზეზი, საგანი და ობიექტი; კონფლიქტის დაწყების უშუალო საბაბი; თვით კონფლიქტური ურთიერთობები და მათი დინამიკა; გარემო პირობები, რომელშიც კონფლიქტი მიმდინარეობს, კონფლიქტის ფინალი.

პოლიტიკური კონფლიქტის სუბიექტები (პიროვნებები, ჯგუფები, ორგანიზაციები, სახელმწიფო) მათი იმ როლის შესაბამისად, რომელსაც ისინი ასრულებენ, შემდეგ ჯგუფებად იყოფა: დაპირისპირებული მხარეები (პირველი ჯგუფი), ინსპირატორები (მეორე ჯგუფი) და შუამავლები (მესამე ჯგუფი).

საერთო ჯამში პოლიტიკური კონფლიქტები ორ ძირითად ჯგუფებად იყოფიან:

1. კონფლიქტი მმართველებსა და მართულებს შორის (მასები, საზოგადოება);
2. კონფლიქტი სხვადასხვა იმ მმართველ სუბიექტთა შორის, რომლებიც მოცემული სახელისუფლებო სისტემის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ და მოცემული პოლიტიკური სისტემის ფარგლებში იერარქიის ან ერთ, ან სხვადასხვა დონეზე იმყოფებიან.

პირველი ჯგუფის კონფლიქტის სუბიექტებად გვევლინებიან, ერთის მხრივ, მოსახლეობის დომინირებადი ფენები, მმართველი ელიტები, მათი ინტერესების გამომხატველი პარტიები, სახელმწიფო ინსტიტუტები, ორგანიზაციები, ლიდერები. მეორეს მხრიდან – ორგანიზაციები, რომლებიც მართულ მასებს წარმოადგენენ, აგრეთვე პოლიტიკურად ის აქტიური ჯგუფები, რომლებიც არსებული წესრიგისა და მმართველი პოლიტიკური ხელისუფლების წინააღმდეგ გამოდიან.

კონფლიქტის საგანს ამ შემთხვევაში სახელმწიფო ხელისუფლების არსებული სისტემა, არსებული რეჟიმი წარმოადგენს. კონფლიქტის გადაწყვეტის საბოლოო შედეგია – პოლიტიკური სისტემის შეცვლა. ამიტომაც, მსგავსი ტიპის კონფლიქტებს რადიკალურს უწოდებენ.

მეორე ჯგუფის სუბიექტებად გვევლინებიან პოლიტიკური ინსტიტუტები, ორგანიზაციები, რომლებიც ხელისუფლების ფუნქციონირებასა და მმართველობას აღნიშნული სისტემის ფარგლებში ახორციელებენ, მაგრამ რომელთაც განსხვავებული პოზიციები უკავიათ. ასეთებია მაგალითად სახელისუფლებო ორგანოები და მათში დასაქმებული ადამიანთა ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფო ხელისუფლების სხვადასხვა შტოებს წარმოადგენენ, აგრეთვე ფედერალურ ცენტრსა და ფედერაციის სუბიექტებში, ან ადგილობრივი თვითმმართველობის სტრუქტურებში თავმოყრილი პოლიტიკური ძალები (Galtung J. 1978. p. 565).

აღნიშნული კონფლიქტების საგანს წარმოადგენენ პოლიტიკური სისტემის ცალკეული ელემენტები ან მმართველი წრეების მიერ გატარებული პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა კი საერთო ჯამში არ თანხვდება მოცემული სისტემის ინტერესებსა და მიზნებს, შესაბამისად, ადგილი აქვს მმართველი ძალების ცალკეულ დაჯგუფებებს შორის ინტერესთა კონფლიქტს. წარმოდგენილმა პრობლემამ შესაძლოა სახელისუფლებო სფეროში და მის საქმიანობაში ნაწილობრივი ცვლილებები გამოიწვიოს.

პოლიტიკური კონფლიქტები ასევე განსხვავდებიან იმისდა მიხედვით, თუ პოლიტიკური სფეროს რომელ დონეზე ხდება უთანხმოებათა განვითარება და მათი გაღვივება, კერძოდ: არსებობს თუ არა კონფლიქტი სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს, რეგიონალურ თუ ადგილობრივ დონეზე, პოლიტიკური სისტემის ცენტრში თუ მის პერიფერიაში.

პოლიტიკური ანალიზის პროცესში არც თუ ისე უმნიშვნელო ადგილს იკავებს კონფლიქტების დაყოფა ობიექტურობის პრინციპის მიხედვით:

1. რეალური კონფლიქტი, რომელიც ინტერესთა და მიზნებს შორის ობიექტური წინააღმდეგობებითაა გამოწვეული;
2. შემთხვევითი, პირობითი კონფლიქტი – არსებობს მანამ, სანამ მას მონაწილეები არ აცნობიერებენ;
3. მიწერილი კონფლიქტი, ანუ როდესაც კონფლიქტის მხარეებად მოხსენიებულები არიან არა ისინი, ვინც რეალურად დაპირისპირებულ მდგომარეობაში იმყოფება;
4. ცრუ კონფლიქტი, რომელსაც არ გააჩნია რეალური მიზეზები.

კონფლიქტების კლასიფიკაცია ასევე შესაძლოა მათი გეოგრაფიული არეალის გათვალისწინებით, საგარეო-პოლიტიკურ და შიდაპოლიტიკური კონფრონტაციის ფარგლებში განისაზღვროს.

*კონფლიქტებს საერთაშორისო ასპარეზზე* სხვადასხვაგვარი ხასიათი გააჩნიათ. ეს შესაძლოა იყოს ე.წ. დიპლომატიური ომი (როდესაც კონფლიქტი დიპლომატიური დაპირისპირების ფონზე წარმოგვიდგება), სხვადასხვა სამხედრო შეტაკებები (მსხვილმასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირების დონემდეც კი მისული) და ა.შ. (Wright Q. 1965. Vol. 9. № 4. P. 435).

*შიდა კონფლიქტები.* თუ საგარეო პოლიტიკის სფეროში კონფლიქტები სახელმწიფოებსა და ქვეყნების გაერთიანებებს (ალიანსები, კოალიციები) შორის წარმოიქმნება, შიდაპოლიტიკურ ასპარეზზე კონფლიქტის მხარეებად სახელისუფლებო ურთიერთობათა სუბიექტები (პოლიტიკური ელიტები, პარტიები, ლიდერები), ასევე ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფები გვევლინებიან. აღმონდი და ს. ვერბა შიდაპოლიტიკური კონფლიქტის განსაკუთრებულ ტიპს გამოყოფენ – ელექტორალურ კონფლიქტს, რომელიც ელიტებს შორის ხელისუფლებისათვის პერიოდულ ბრძოლას გულისხმობს.

თავიანთი ფორმისა და გავრცელების ხასიათის მიხედვით კონფლიქტები შესაძლოა კლასიფიცირებულ იქნეს ღია და დახურული ხასიათის კონფრონტაციის ფარგლებში.

ღია კონფლიქტები კონფლიქტში მონაწილე მხარეთა შორის ურთიერთქმედების საჯაროობით ხასიათდება. ამ შემთხვევაში პოლიტიკის სუბიექტთა შორის არსებული დაძაბულობა აქტიურად შუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მიერ. ღია კონფლიქტების მაგალითად შესაძლოა განვიხილოთ სახელისუფლებო პოლიტიკის საწინააღმდეგოდ მიმართული მანიფესტაციები და ღია პროტესტის სხვა ფორმებიც, საარჩევნო კამპანიის დროს კანდიდატთა დაპირისპირება და ა.შ.

დახურული (ლატენტური) კონფლიქტები ფარული (ჩრდილოვანი) მეთოდებით ბრძოლას გულისხმობენ, როდესაც თვითონ კონფლიქტის შესახებ საზოგადოების შეზღუდული ნაწილია ინფორმირებული. კონფლიქტის აღნიშნული კატეგორიისათვის პირველ რიგში მმართველი ელიტის წევრთა შორის დაპირისპირებაა დამახასიათებელი.

პოლიტიკური კონფლიქტები ერთმანეთისაგან დროის ხანგრძლივობის მიხედვითაც განსხვავდებიან.

ხანგრძლივი კონფლიქტები წლების (ზოგჯერ საუკუნეების) განმავლობაში გრძელდება. ამის მაგალითად შესაძლოა მოვიყვანოთ ასწლიანი ომი ინგლისსა და საფრანგეთს შორის, ან მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ დაწყებული “ცივი ომი” კომუნისტურ და დემოკრატიულ ბანაკებს შორის.

ხანმოკლე კონფლიქტებს მიაკუთვნებენ, მაგალითად, მაკომპრომიტირებელი მასალების საფუძველზე ერთი მინისტრის ან მთელი მინისტრთა კაბინეტის გადადგომას და ა.შ.

ხელისუფლების დონისა და ორგანიზაციის ხასიათის მიხედვით, განასხვავებენ ვერტიკალურ და ჰორიზონტალურ კონფლიქტებს.

ვერტიკალური კონფლიქტების ქვეშ ხელისუფლების სხვადასხვა დონეებს შორის დაპირისპირება (მაგალითად ცენტრალური და ადგილობრივი ელიტები, ხელისუფლების ფედერალურ და რეგიონალურ ორგანოებს შორის უთანხმოება და ა.შ.) იგულისხმება;

ჰორიზონტალური კონფლიქტების დროს კი ადგილი აქვს ერთ დონეზე არსებულ ძალებს შორის - ანუ მმართველი ელიტის შიგნით, ასევე ადგილობრივი ან ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელთა შორის დაპირისპირებას და ა.შ.

კონფლიქტურ მხარეებს შორის არსებული პოლიტიკური დაპირისპირების დროს საზოგადოებაში მიღებული ნორმების მიხედვით შესაძლოა გამოყოფილ იქნეს ლეგალური (მაგალითად კანდიდატთა შორის დაპირისპირება საარჩევნო კამპანიის დროს) და არალეგალური ხასიათის პოლიტიკური კონფლიქტი. ამ უკანასკნელმა შესაძლოა მიიღოს საქმიანობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა პოლიტიკური ტერორიზმი, ექსტრემიზმი და ა.შ.

ჩართულობის ხასიათისა და მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით შეიძლება გამოიყოს მასობრივი, ჯგუფური და ინდივიდუალური ხასიათის პოლიტიკური კონფლიქტები. ინდივიდუალური კონფლიქტის მაგალითად შესაძლებელია მოგვევლინოს პიროვნების, მოქალაქის პროტესტი სახელისუფლებო ორგანოს მიერ გატარებული რაიმე ღონისძიების მიმართ.

კონფლიქტების გადაწყვეტის მიმართულებით კონფლიქტები შესაძლოა დაიყოს აგონისტურ (შემრიგებლური) და ანტაგონისტურ (შეურიგებელი) კონფლიქტებად.

აგონისტური ხასიათის კონფლიქტი კონსენსუსის მიღწევის შესაძლებლობებით და კომპრომისული დარეგულირებით ხასიათდება. თუმცა, ამ შესაძლებლობის გაშვების შედეგად შესაძლებელია აღნიშნული დაპირისპირების ანტაგონისტურ კონფლიქტში გადაზრდა, რომლის დროსაც სადაო პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ ერთი-ერთი დაპირისპირებული მხარის განადგურების შემთხვევაშია

შესაძლებელი. თავის მხრივ, თანმიმდევრულმა პოლიტიკამ, კომპრომისებმა და კონფლიქტის პირობების შეცვლამ შესაძლებელია ანტაგონისტურმა კონფლიქტმა აგონისტური ფორმა შეიძინოს, თუმცა ამისათვის ხშირად მეტად ხანგრძლივი პერიოდია საჭირო.

პოლიტიკური კონფლიქტების ფარგლებში პოლიტიკური პროცესის მიმდინარეობაზე ზემოქმედების მასშტაბების მიხედვით, ისინი შესაძლოა დაიყოს კერძო (ლოკალურ), სახელმწიფო, საერთაშორისო და გლობალურ ხასიათის კონფლიქტებად (Глухов А.В. 1993. № 6. С. 5).

კერძო (ლოკალური) კონფლიქტები რეგიონის დონეზე (მაგალითად ადგილობრივი მმართველი ელიტის დაჯგუფებებს შორის დაპირისპირება და ა.შ.) მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფარგლებში ვითარდება.

თავის მხრივ, სახელმწიფო კონფლიქტი მოცემული საზოგადოების პოლიტიკური სისტემის ევოლუციის პროცესზე (მაგალითად რევოლუცია ან სახელმწიფო გადატრიალება, ძველ და ახალ ელიტებს შორის დაპირისპირება და ა.შ.) ახდენს ზემოქმედებას.

სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტი პოლიტიკურ პროცესს ქვეყნებს შორის ურთიერთობების სფეროში, ე.ი. სხვადასხვა სახელმწიფოებსა და მათ კავშირებს შორის არსებული კონფრონტაციის ფარგლებში განიხილავს.

პოლიტიკური ხასიათის კონფლიქტები გლობალურ ხასიათს იმ შემთხვევაში იძენენ, როდესაც სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში არსებული პრობლემების გადაუწყვეტლობა მთელი კაცობრიობისათვის ((მაგ: “ცივი ომი” და ორ სოციალურ, იდეოლოგიურ და გეოპოლიტიკურ სისტემებს შორის დაპირისპირება, ტერორიზმის საფრთხე, მესამე მსოფლიო ომის დაწყების (ბირთვული ომის) საშიშროება)) წარმოადგენს საფრთხეს (Wright Q. 1955. P. 241).

თანამედროვე პირობებში განსაკუთრებული ადგილი ეთნოპოლიტიკური ხასიათის კონფლიქტებს უკავიათ.

*ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები* – ისეთი ტიპის კონფლიქტებს წარმოადგენენ, რომლებიც პოლიტიკური საქმიანობის განსაკუთრებული დონით ხასიათდებიან, რომელთა შემადგენელ ნაწილს წარმოადგენენ საზოგადოებრივი მოძრაობების მონაწილეობა, მასობრივი არეულობების არსებობა, სეპარატისტული გამოსვლები და სამოქალაქო ომიც კი, რომლის ფარგლებშიც დაპირისპირება ეთნიკურ საზოგადოებებს შორის არსებული უთანხმოების შედეგად იჩენს თავს.

ყველაზე უფრო ხშირად ეთნოპოლიტიკური კონფლიქტები კონკრეტული ტერიტორიის სტატუსთან, ან ტერიტორიულ პრეტენზიებსა და დავებთან არის

დაკავშირებული. თუმცა, ამავე დროს, ყველა ეთნოპოლიტიკური კონფლიქტის ერთ-ერთ ძირითად საკითხს ხელისუფლებისათვის ბრძოლა, რესურსების (ფინანსური, ეკონომიკური, პოლიტიკური) კონტროლი, ეროვნული ელიტების პოლიტიკური სტატუსის ამადლება და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტები წარმოადგენს (დავით პიპინაშვილი. 2009. გვ. 9).

პოლიტიკური თეორიის ფარგლებში კონფლიქტების შეჩერების ზოგიერთი ფორმები და მეთოდებია შემუშავებული, რომელთა შორის პოლიტიკური კონფლიქტების დარეგულირება და მათი გადაწყვეტა განიხილება. მათ რიცხვში მოიაზრება კომპრომისი და კონსენსუსი.

კომპრომისი - პოლიტიკური ურთიერთდათმობის ძირითად ფორმად განიხილება. პოლიტიკაში კომპრომისი ნიშნავს მოწინააღმდეგე მხარის პოზიციის გათვალისწინებას – გარკვეულ დათმობაზე წასვლას. ამ შემთხვევაში, ოპონენტ მხარესთან გარკვეულ სფეროში შეთანხმების მიღწევის შედეგად, შესაძლებელია ადგილი ჰქონდეს გარკვეული მოთხოვნების უარყოფას და ა.შ.

ერთმანეთისაგან განასხვავებენ იძულებით და ნებაყოფლობით კომპრომისებს.

იძულებითი ხასიათის კომპრომისები გარკვეული თავსმოხვეული სიტუაციის გარდაუვალობით არის ნაკარნახევი, როდესაც შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დაპირისპირებულ მხარეებს შესაძლოა გარკვეული პრობლემები შეექმნათ.

ნებაყოფლობითი კომპრომისები კი თავის მხრივ გარკვეული შეთანხმების საფუძველზე მიიღწევა, როდესაც გარკვეულ სფეროებში კონფლიქტში მონაწილე ორი ან მეტი მხარის პოლიტიკური ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა. ამგვარი პოლიტიკური კომპრომისების საფუძველზე ხშირად სხვადასხვა პარტიული ბლოკები და პოლიტიკური კოალიციები ყალიბდება.

ნებაყოფლობითი კომპრომისის შემთხვევაში პრაქტიკული საქმიანობის განხორციელების პროცესში დაპირისპირებული მხარეების წინაშე არსებულ შეხედულებებზე, პრინციპებსა და ნორმებზე საერთო შეთანხმებას აქვს ადგილი. იმ შემთხვევაში, თუ კომპრომისი ნებაყოფლობით ხასიათს ატარებს, ის შესაძლოა მიღწეულ იქნეს იმ შემთხვევაში, თუ: 1. მხარეთა შორის კონსენსუსის მიღწევის ინიციატივა კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარიდან მომდინარეობს; 2. კონფლიქტში ჩართული ყველა მხარე სხვადასხვა სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხის გადაწყვეტის გარშემო ძალისხმევას არ იშურებს, რადგანაც პრობლემის მოგვარება თითოეული პოლიტიკური სუბიექტის გადარჩენას უკავშირდება (Burton J. 1990. P. 234-235).

პოლიტიკური ძალების ურთიერთქმედების პროცესში, მათ შორის არსებული კონფლიქტური სიტუაციების ფარგლებში ვითარების მოგვარების ერთ-ერთ მთავარ პრინციპად კონსენსუსი გვევლინება. ამ ტერმინის აზრი მოწინააღმდეგე მხარის არგუმენტების გათვალისწინებასა და საბოლოო თანხმობის მიღწევას უკავშირდება. კომპრომისის ტექნოლოგიების არსებულ ელემენტებს წარმოადგენენ: 1. შესაბამისი პოლიტიკური ინტერესების და მათი გამომხატველი იმ პოლიტიკური ძალების სპექტრის ანალიზი, რომლებიც საზოგადოებრივ არენაზე არსებულ პირობებში არიან გამოსულები; 2. იმ საერთო ღირებულებებისა და მიზნების პრიორიტეტების დასაბუთება, რომელთა საფუძველზე შეთანხმების მიღწევაა შესაძლებელი; 3. სახელისუფლებო ინსტიტუტებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციების სისტემური საქმიანობის ანალიზი, რომლებიც საზოგადოებრივი შეთანხმების უზრუნველყოფის მიზნით დაკავშირებულ ნორმებს, მექანიზმებსა და პოლიტიკურ ურთიერთობათა რეგულირების გზებს უკავშირდება და საერთო მნიშვნელობის საკითხად განიხილება.

**თავი 52. საქართველოში არსებული კონფლიქტები, ოკუპირებული რეგიონები და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პერსპექტივები**

საქართველოს სოციალ-ეკონომიკურ განვითარებასა და კავკასიაში თანამშრომლობას მნიშვნელოვნად აფერხებს რეგიონში არსებული კონფლიქტური კერები. 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან განხორციელებული აგრესიის შემდეგ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული სეპარატისტული რეგიონები რუსეთის მიერ ოკუპირებულ რეგიონებად გადაიქცნენ. გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაწყებული, სეპარატისტული რეგიონები წარმოადგენენ არაკონტროლირებად ტერიტორიებს და შესაბამისად ამ რეგიონებში იქმნებოდა მეტად ხელსაყრელ წინაპირობა უკანონო ვაჭრობის, განსაკუთრებით ნარკოტიკებით უკანონო ბრუნვისათვის, ფულის გათეთრების, ტერორისტული საქმიანობისა და სხვა კანონსაწინააღმდეგო ოპერაციების განსახორციელებლად (ნ. ჩიტაძე, 2011. გვ. 487). გარდა ამისა, სეპარატიზმის არსებობის უდიდეს პრობლემას რა თქმა უნდა წარმოადგენდა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების ფუნქციონირება, რომლებიც შეიარაღებულნი იყვნენ თანამედროვე სამხედრო აღჭურვილობით. რაც მთავარია, სეპარატისტული მოძრაობების განვითარების ერთ-ერთ მთავარ მიზეზს წარმოადგენდა რუსეთის მიერ კონფლიქტის ზონაში მოქმედი დე-ფაქტო სეპარატისტული ხელისუფლებების ჯერ ფარული, ხოლო მოგვიანებით უკვე პირდაპირი მხარდაჭერა, როდესაც “ჩრდილოელი მეზობლის” შესაბამისი სტრუქტურები ფინანსური და სამხედრო ხასიათის დახმარებას უწევდნენ დანაშაულებრივ სეპარატისტულ რეჟიმებს.

რაც შეეხება 2008 წლის აგვისტოს შემდეგ შექმნილ სიტუაციას, როგორც ცნობილია, რუსეთის აგრესიის შემდეგ საქართველო ვერ აკონტროლებს თავისი ტერიტორიის

დაახლოებით 20%-ს (ნ. ჩიტაძე, 2011, გვ. 488). საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს არ ექვემდებარება აფხაზეთისა და ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიები. აღნიშნულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენა მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით ამ ეტაპზე შეუძლებელია, რადგან რუსეთი ყველანაირად შეეცდება ხელი შეუშალოს სხვადასხვა დონეზე გარკვეული კონტაქტების დამყარებას ქართულ და ოსურ, ქართულ და აფხაზურ საზოგადოებებს შორის. ამ კონტაქტებზე უარს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენლებიც იტყვიან, რომლებიც იძულებულები არიან ბრმად დაემორჩილონ თავიანთი პატრონის – რუსეთის ყველა ნება-სურვილს. უნევის ფორმატში მოლაპარაკებათა წარმოებისას (ეს პროცესი დაიწყო 2008 წლის შემოდგომიდან), ორივე ოკუპირებული რეგიონის „ხელმძღვანელობა“ მხოლოდ დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამოდის და არ თანხმდება არანაირი სახით საქართველოს ტერიტორიის ნაწილად აფხაზეთისა და „სამხრეთ ოსეთის“ აღიარებაზე. თითოეულ შეხვედრაზე მხოლოდ ერთი მოთხოვნა გაისმის-ხელი მოეწეროს ხელშეკრულებას საქართველოსა და აფხაზეთს, საქართველოსა და “სამხრეთ ოსეთს” შორის თავდაუსხმელობის შესახებ, რაც აბსოლუტურ აბსურდს წარმოადგენს იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ შეუძლებელია სამხედრო ხასიათის ხელშეკრულების ხელმოწერა საქართველოსა და მის შემადგენლობაში შემავალ სუბიექტებს შორის. საქართველოს დეოკუპაცია, კონფლიქტის მოგვარება და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა შეუძლებელია გადაწყდეს სამხედრო გზითაც, იმ პირობებში, როდესაც საქართველოს თითოეულ ოკუპირებულ რეგიონში დაახლოებით 5000-5000 რუსი სამხედრო ოკუპანტი არის განთავსებული (Nika Chitadze, 2011, pp. 105-117). შესაბამისად, ვითარებას ართულებს ის ფაქტი, რომ ქართული მხარის მიერ ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის ძალისმიერი მეთოდების გზით გამოყენების შემთხვევაში, მას, მოუწევს შეტაკება როგორც უშუალოდ რუსეთთან, ასევე რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოკავკასიური რესპუბლიკების შეიარაღებულ ფორმირებებთან, რაც რა თქმა უნდა არ იძლევა ამ ომებში გამარჯვების გარანტიას. სეპარატისტული რეგიონების მთავარ დასახლებულ პუნქტებზე კონტროლის დამყარების შემთხვევაშიც კი, თუ გავითვალისწინებთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მთიან რელიეფს, არსებობს იმის უდიდესი შესაძლებლობა, რომ სეპარატისტული უკანონო ფორმირებები გადავიდნენ პარტიზანულ მოქმედებებზე, და ამ შემთხვევაში ისინი უზრუნველყოფილ იქნებიან სხვადასხვა სახის შეიარაღებით რუსეთის მხრიდან.

საქართველოს რეგიონების დეოკუპაციის პროცესში ფაქტიურად გამორიცხულია ისეთი ავტორიტეტული საერთაშორისო ორგანიზაციების ჩართვაც, როგორებიცაა გაერო და ეუთო. როგორც ცნობილია, ორივე ამ ორგანიზაციაში რუსეთი ვეტოს უფლებით სარგებლობს (გაეროს შემთხვევაში როგორც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრი), რის შედეგადაც 2008 წლის შემოდგომაზე მოხდა გაეროს



მეთვალყურეთა მისიის (UNOMIG) აფხაზეთის შემთხვევაში და ეუთოს მეთვალყურეთა მისიის სამაჩაბლოს შემთხვევაში საქმიანობის შეწყვეტა. რუსეთი მომავალშიც გამოიყენებს ვეტოს უფლებას იმ შემთხვევაში, თუ მოხდება საქართველოს კონფლიქტურ რეგიონებთან დაკავშირებული ისეთი რეზოლუციის განხილვა, რომელიც კრემლის ინტერესებს ეწინააღმდეგება. ხოლო რაც შეეხება გაეროს გენერალურ ასამბლეაზე მიღებულ რეზოლუციებს, რომლებიც ადასტურებენ საქართველოს ტერიტორიაზე იძულებით გადაადგილებლი პირების თავიანთ საცხოვრებელ სახლებში დაბრუნების უფლებას, ისინი მხოლოდ სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიღებული რეზოლუციების პარალელურად (ნიკა ჩიტაძე. 2011. 490).

ერთადერთი გზა საქართველოს დეოკუპაციისა და არსებული კონფლიქტების გადაწყვეტისა, არის საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარება და დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერება. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ აგრესიის განხორციელებამდე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა სეპარატისტული რეგიონებში საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიებზე (ზემო აფხაზეთი, ლიახვის ხეობის სოფლები, ფრონეს ხეობა) მნიშვნელოვანი პროექტების განხორციელებას ინფრასტრუქტურის აღდგენის მიზნით, რაც მოსკოვის აშკარა გაღიზიანებას იწვევდა.

საქართველოს ეკონომიკური განვითარება გაზრდის დაინტერესებას „ურჩ“ რეგიონებში საქართველოს მიმართ, რამაც შეიძლება საბოლოო ჯამში გამოიწვიოს მათი თანხმობა სხვადასხვა ეკონომიკურ პროექტებში მონაწილეობის მიღებაზე საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის სანაცვლოდ. ამ მხრივ შესაძლებელია მოვიყვანოთ კვიპროსის მაგალითი, სადაც 2004 წელს გამართულ რეფერენდუმზე კვიპროსის თურქული ნაწილის-სეპარატისტული რეგიონის მოსახლეობის 65%-მა მხარი დაუჭირა კვიპროსის კვლავ გაერთიანებას (U.N. 2004. P. 119). ამის ძირითადი მიზეზი იყო ის ფაქტი, რომ ცენტრალური ხელისუფლების დაქვემდებარებაში მყოფმა ტერიტორიამ მნიშვნელოვან ეკონომიკურ წარმატებას მიაღწია, რისი ნათელი დადასტურებაცაა ქვეყნის მიღება ევროპის კავშირში. და ეს ყველაფერი მოხდა იმ პირობებში, როდესაც თურქეთმა თავის დროზე აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკა (ისევე როგორც რუსეთმა აღიარა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი) და ამ რეგიონში ინვესტიციებიც განახორციელა.

გარდა ამისა, ეკონომიკური პროექტების განხორციელება ხელს შეუწყობს ჯავახეთის რეგიონში საქართველოს იურისდიქციის გაძლიერებას. მაგალითად, თბილისი - ახალქალაქის საავტომობილო გზის 2010 წლის ნოემბერში ექსპლუატაციაში შესვლა და ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის ძირითადი ნაწილის დასრულება შექმნის იმის შესაძლებლობას, რომ სომეხი ეროვნების საქართველოს მოქალაქეები მშენებლობაზე დასაქმდნენ და მოხდეს ჯავახეთის რეგიონის თბილისთან დაკავშირება ამ რკინიგზის მეშვეობით.

რაც შეეხება საავტომობილო გზას, მისი მშენებლობის დასრულების შედეგად უკვე რამდენიმე საათით შემცირდა სამგზავრო დრო თბილისიდან ახალქალაქის მიმართულებით და პირიქით, რაც მომავალში დადებით ასახვას ჰპოვებს ჯავახეთის მოსახლეობის ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პროცესზე.

რუსეთ-საქართველოს ომის განხილვამდე, მოკლედ განვიხილოთ საქართველოს ტერიტორიაზე არსებული კონფლიქტები:

### ***აფხაზეთის კონფლიქტი***

აფხაზეთს ავტონომიის უფლება ჯერ კიდევ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის 1921 წ. კონსტიტუციით ჰქონდა მინიჭებული. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საბჭოთა რუსეთის მიერ ოკუპაციის შემდეგ, 1921 – დან 1931 წლამდე საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ-ადმინისტრაციულ მოწყობის საკითხებში ცვლილებებთან ერთად ხდებოდა აფხაზეთის სტატუსის გადასინჯვაც. კერძოდ, 1921 წ. 16 დეკემბერს იგი სახელშეკრულებო რესპუბლიკად გამოცხადდა, 1931 წ. 19 თებერვალს კი გაფორმდა ავტონომიურ რესპუბლიკად საქართველოს შემადგენლობაში (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 185).

აფხაზეთის კონფლიქტის ძირი, აფხაზეთის სტატუსზე სხვადასხვა შეხედულებების გარდა, მის ეთნიკურ შემადგენლობაშიც ძვეს. სსრკ-ის დაშლის დროს ეთნიკური აფხაზების წილი თვით აფხაზეთის მოსახლეობაში 17% იყო, ეთნიკური ქართველების კი 45%. 36%-ს კი სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები შეადგენდნენ. მაგრამ, ამავე დროს საბჭოთა ხელისუფლება თანამდებობებზე დაწინაურებისას ქართველებთან და სხვა ეროვნებებთან შედარებით აფხაზებს ანიჭებდა უპირატესობას. 1991 წლის სექტემბერში, საბჭოთა კავშირის დროს არსებული პრაქტიკის გათვალისწინებით, ჩატარდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები, სადაც 65 სადეპუტატო მანდატიდან 28 ეთნიკურმა აფხაზებმა მიიღეს, 26-ეთნიკურმა ქართველებმა, 11 კი სხვა ეროვნების წარმომადგენლებმა (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 186). გაჩნდა ინტერესთა შეუთავსებლობა ქართულ და აფხაზურ დეპუტაციებს შორის, ასევე, საქართველოში არსებული სამოქალაქო ომის გამო ვერ მოხერხდა თანამშრომლობა თბილისსა და სოხუმს შორისაც. ზემოაღნიშნულით კარგად ისარგებლეს აფხაზური მხარის წარმომადგენლებმა და 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ ვითომდაც საქართველოს სამხედრო საბჭოს მიერ 1921 წლის კონსტიტუციის აღდგენის პასუხად (რომელიც საქართველოში იმ დროს აღარ მოქმედებდა), ხმათა უმრავლესობით და ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად გამოაცხადა აფხაზეთის 1925 წლის კონსტიტუციის აღდგენა, რაც ფაქტობრივად აფხაზეთის საქართველოსგან გამოყოფას ნიშნავდა. აღსანიშნავია ამ გადაწყვეტილების ანტიკონსტიტუციურობა,

რადგან კონსტიტუციის მისაღებად საჭირო იყო დეპუტატთა ხმების აბსოლუტური უმრავლესობა. აფხაზეთის ქართულმა დეპუტაციამ, რომელიც პროტესტის ნიშნად არ ესწრებოდა სესიას, არ ცნო ეს ფაქტი (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 186).

დაძაბულობამ კულმინაციას მიაღწია 1992 წლის 14 აგვისტოს, როცა სარკინიგზო მაგისტრალების უსაფრთხოების დაცვის მიზნით საქართველოს შეიარაღებული ძალები აფხაზეთ მხარესთან შეთანხმებით შევიდნენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, მაგრამ იქ მათ წინააღმდეგობა გაუწიეს აფხაზეთი “გვარდიის” ნაწილებმა. საომარი მოქმედებები 1 წელს გაგრძელდა და რუსეთის იმპერიალისტური ძალებისა და ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩამოსული დაქირავებული ბოვეიკების მხარდაჭერის, აგრეთვე აფხაზეთი მხარის მიერ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულებების სამჯერ დარღვევის შედეგად საომარი მოქმედებები 1993 წლის სექტემბერში ქართული ჯარის დამარცხებითა და აფხაზეთიდან ქართველების გამოდევნით დამთავრდა (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 186).

მოლაპარაკებები თბილისსა და სოხუმს შორის 1994 წლიდან მიმდინარეობდა. მოლაპარაკებებში შუამავლის როლს რუსეთი და გაერო ასრულებდა. აგრეთვე სხვადასხვა სტატუსით მოლაპარაკებებში მონაწილეობდა “გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი” (აშშ, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, გერმანია, რუსეთი). როგორც ცნობილია, რუსეთის ზეწოლის შედეგად კონფლიქტის ზონაში 1994 წლიდან მოქმედებდნენ დსთ-ის “სამშვიდობო ძალები”, რომლებიც მხოლოდ რუსეთის სამხედროებით იყო დაკომპლექტებული.

მოგვიანებით ვითარება დაიძაბა 1998 წლის მაისში, რომელიც გალის რაიონში ქართველ პარტიზანებსა და აფხაზეთი ბანდფორმირებების წარმომადგენლებს შორის მორიგი შეტაკებით აღინიშნა და გალის რაიონიდან ქართველთა ხელახალი გამოდევნით დასრულდა.

ვითარების მნიშვნელოვან დაძაბვას 2006 წლის აგვისტოში კოდორის ხეობაში განვითარებული მოვლენების გამო ჰქონდა ადგილი.

კოდორთან დაკავშირებით აფხაზეთმა და რუსულმა გეგმამ სრული კრაზი განიცადა. ორივე მხარის მიზანი იყო თანამდებობიდან განთავისუფლებული და ამის გამო საქართველოს ხელისუფლებაზე განაწყენებული ემზარ კვიციანის და უკანონო შეიარაღებული ფორმირების “მონადირის” გამოყენება აფხაზეთი და რუსეთის მხარის სასარგებლოდ. ამ მიზნის განსახორციელებლად საჭირო იყო კვიციანის მხარდამჭერთა შეიარაღებული გამოსვლა, რათა მომხდარიყო ამ ჯგუფის მიერ კონტროლის დამყარება ზემო აფხაზეთზე რაც გამოიწვევდა იმას, რომ საქართველო დაკარგავდა კონტროლს ხეობაზე და ეს კი შექმნიდა ხელსაყრელ პირობას აფხაზეთის მიერ ხეობაზე კონტროლის დამყარებისათვის. იმ შემთხვევაში კი, თუ საქართველოს ძალოვანი სტრუქტურები განახორციელებდნენ ხეობაში შეჭრას,

კონფლიქტი უნდა გაგრძელებულიყო დიდი ხნის განმავლობაში და საბოლოო ჯამში გამოიწვევდა საქართველოს დასუსტებას. ამავე დროს, საქართველოს სამხედრო ნაწილების კოდორში შეჭრის შემთხვევაში რუსეთი და აფხაზეთი ბრალს დასდებდნენ საქართველოს 1994 წლის მაისის ხელშეკრულების დარღვევაში. ამ ბრალდების მიზანი იქნებოდა საქართველოს იმიჯის შელახვა საერთაშორისო თანამეგობრობის თვალში - საქართველო წარმოჩენილ იქნებოდა როგორც ქვეყანა, რომელსაც სურს ქვეყანაში არსებული კონფლიქტების ძალისმიერი გზით გადაჭრა, რაც ეწინააღმდეგება იგივე ნატო-ს და ევროკავშირის იმ პერიოდში არსებულ მოთხოვნებს საქართველოს მიმართ (ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმისა და ევროპის სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში), რომელიც ეხება კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაწყვეტას (Nika Chitadze. 2007 p. 15-24).

თუმცა რუსეთის და აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლების ჩანაფიქრმა სრული კრახი განიცადა. საქართველომ შეძლო რამდენიმე დღეში ხეობაზე კონტროლის დამყარება, აფხაზეთის დევნილი მთავრობა გადავიდა კოდორში, ხეობაში დაიწყო სხვადასხვა სახის ეკონომიკური პროექტების განხორციელება, ხოლო ნატო-მ ერთი თვის თავზე კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა საქართველოს, დაამტკიცა რა მასთან ინტენსიური დიალოგის (2006 წლის სექტემბერი) პროგრამა. ამავე დროს, რუსეთის მხარის მცდელობის მიუხედავად, გაეროს მეთვალყურეებმა აფხაზეთში აღნიშნეს, რომ საქართველომ შეასრულა ვალდებულება და გაიყვანა თავდაცვის სამინისტროს ნაწილები კოდორიდან, რაც შესაბამისად ასახულ იქნა გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებაში “ქართულ-აფხაზეთი კონფლიქტის ზონაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით” უშიშროების საბჭოს მორიგი რეზოლუციის მიღების დროს.

ზემო აფხაზეთში განცდილი მარცხის შემდეგ, რუსეთი უკიდურესად რადიკალური ზომების მიღებაზე გადავიდა. 2008 წლის დასაწყისიდან რუსეთი ქართულ მხარესთან შეუთანხმებლად უკანონოდ ზრდიდა თავის სამხედრო კონტინგენტს აფხაზეთში, ხოლო 2008 წლის აგვისტოში მზაკვრული შეტევა განახორციელა ზემო აფხაზეთზე, მიუხედავად იმისა, რომ ქართულ მხარეს არანაირი სამხედრო ოპერაცია აფხაზეთის ტერიტორიაზე ამ პერიოდში არ განუხორციელებია.

### **კონფლიქტი ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში**

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი 1922 წ. 20 აპრილს შეიქმნა ბოლშევიკური ხელისუფლების ინიციატივით, რაც აბსოლუტურად არალეგიტიმური იყო. მიუღებელი იყო თვით ტერმინიც “სამხრეთ ოსეთი”, რადგან “სამხრეთ ოსეთად” წოდებული ტერიტორია ისტორიულად ქართული მიწა-წყალი იყო და საერთო არაფერი ჰქონდა ისტორიულ ოსეთთან (ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთი). ზემოაღნიშნული ტერმინი რუსეთის იმპერიის მესვეურთა ძალისხმევით გაჩნდა მე-19 საუკუნის 30-იან წლებში კავკასიაში გამომავალ რუსულ პრესაში (ნ. ჩიტაძე, 2011. გვ. 502).

მას შემდეგ, რაც გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს საქართველოში ფართოდ გაიშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, სსრკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელობის წაქეზებითა და ინიციატივით შეიქმნა სეპარატისტული ხასიათის ორგანიზაციები. ოსურმა “ეროვნულმა მოძრაობამ”, რომელსაც ორგანიზაცია “ადამონ ნიხასი” ხელმძღვანელობდა, მიზნად დაისახა ე.წ. სამხრეთ ოსეთის გაერთიანება რუსეთის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილოეთ ოსეთთან. 1989 წლის აღწერით, რეგიონში მოსახლეობის უმრავლესობას (დაახლოებით 65%) ეთნიკური ოსები შეადგენდნენ. თუმცა ეს მთლიანად საქართველოში მცხოვრები ეთნიკური ოსების უმცირესობა იყო. 160 ათასი ოსიდან მხოლოდ 60 ათასი ცხოვრობდა ავტონომიურ ოლქში (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 502).

პირველი გამოსვლები ოლქში 1989 წელს დაიწყო, ხოლო პირველი შეტაკებები მოხდა 1990 წელს, როდესაც თბილისთან შეთანხმების გარეშე სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ 1990 წლის 21 სექტემბერს გამოაცხადა “სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის” შექმნა, ხოლო მოგვიანებით ავტონომიურ ოლქში “არჩევნები” ჩატარდა და ახლადარჩეულმა “უზენაესმა საბჭომ” ფაქტობრივად საქართველოსგან გამოყოფა გამოაცხადა. საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ 1990 წლის დეკემბერში გააუქმა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. ამას შეიარაღებული კონფლიქტის გამწვავება მოჰყვა (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 503).

შეიარაღებული სახით კონფლიქტი მიმდინარეობდა 1992 წ. ივნისამდე. იმ პერიოდში საომარი მოქმედებები დამთავრდა საქართველოსა და რუსეთს შორის სოჭში ხელმოწერილი შეთანხმებით, რომლის მიხედვითაც სტატუსის გარკვევამდე რეგიონში სამხრეთი (ქართული, რუსული და ოსური) სამშვიდობო ძალები იმოქმედებდა.

2008 წლის აგვისტომდე მოლაპარაკებები თბილისსა და ცხინვალს შორის ეუთოს და რუსეთის შუამავლობით მიმდინარეობდა. თუმცა, 2008 წლის აგვისტოს შემდეგ მოლაპარაკებათა პროცესი ფერხდება რუსეთის ხელისუფლებისა და ცხინვალის რეჟიმის არაკონსტრუქციული ქმედებების გამო. 2008 წლის აგვისტომდე, აფხაზეთთან შედარებით, “სამხრეთ ოსეთის” კონფლიქტის მოგვარება საქართველოსათვის შედარებით უფრო ადვილ ამოცანას წარმოადგენს რიგი მიზეზების გამო, კერძოდ:

- საქართველოს ხელისუფლება აფხაზეთისგან განსხვავებით (სადაც კონტროლი მხოლოდ კოდორის ხეობაზე ვრცელდებოდა) ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ძალიან მნიშვნელოვან, მათ შორის ოსებით დასახლებულ ნაწილს – დაახლოებით 40%-ს აკონტროლებდა (ახალგორის რაიონი, ლიახვის ხეობა, ფრონეს ხეობა);
- ქართული სამშვიდობო ძალები მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციებში ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე;
- “სამხრეთ ოსეთს” ბევრად უარესი გეოგრაფიული მდგომარეობა გააჩნდა და გააჩნია აფხაზეთთან შედარებით;

- “ოსეთის” ეკონომიკა აფხაზეთის “ეკონომიკასთან” შედარებით გაცილებით ჩამორჩენილი იყო. თუ აფხაზეთს შეეძლო მიეღო გარკვეული შემოსავალი ტურიზმიდან, ცხინვალის რეგიონში შემოსავლის უმთავრეს წყაროს, ისიც მოსახლეობის მცირე ნაწილისათვის მხოლოდ კონტრაბანდა წარმოადგენდა;
- ცხინვალის სეპარატისტული რეგიონის სამხედრო ფორმირებები სამხედრო აღჭურვილობით გაცილებით ჩამორჩებოდნენ აფხაზეთის უკანონო ფორმირებებს;

აფხაზეთისაგან განსხვავებით ოსური საზოგადოების ძალიან მნიშვნელოვანი ნაწილი, მათ შორის ყოფილი ოლქის ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები, მხარს უჭერდნენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამ მხრივ აღსანიშნავია 2006 წელს ქართული მხარის კონტროლირებად ტერიტორიაზე დროებითი ადმინისტრაციის შექმნა, რომლის ხელმძღვანელობა უმეტესად ეთნიკური ოსებით იყო დაკომპლექტებული და მათ ბევრი მხარდამჭერი პყავდათ თვით ცხინვალშიც (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 503).

სწორედ ამ ფაქტებს ითვალისწინებდა რუსეთი, როდესაც ამზადებდა სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ, რაზედაც შემდეგ თავში გვექნება საუბარი.

### ***რუსეთ-საქართველოს ომი და მისი შედეგები***

2008 წელი საპრეზიდენტო არჩევნების წელი უნდა ყოფილიყო: ვადამდელი საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა საქართველოში, პრეზიდენტი აირჩიეს რუსეთში, შემოდგომაზე კი ახალი პრეზიდენტი უნდა აერჩიათ აშშ-ში. „არჩევნების წლისაგან“ უფრო დიდი მასშტაბის პოლიტიკურ მოვლენებს ცოტა ვინმე თუ ელოდა.

2008 წლის 8 აგვისტოს საქართველოში და მის ფარგლებს გარეთაც ყველასათვის ცხადი გახდა, რომ ომის სამიზნე მხოლოდ ქართული ქალაქები არ იყო, არამედ - ავად თუ კარგად შემდგარი ქართული სახელმწიფო და მისი დემოკრატიული მომავალი, როგორც ავტორიტარული მემკვიდრეობის მთავარი გამომწვევა ყოფილ პოსტსაბჭოთა სივრცეში.

რუსეთ-საქართველოს ომის ქვემოთ მოყვანილი ანალიზი შედგება ორი ნაწილისაგან: პოლიტიკის ანალიზი და ეკონომიკის ანალიზი. პოლიტიკური ნაწილი მიმოიხილავს ომის წინა პერიოდში საერთაშორისო ასპარეზზე განვითარებულ მოვლენებსა და კონფლიქტში ჩართული ქვეყნების იმ შიდაპოლიტიკურ პროცესებს, რაც აგვისტოს ომის მთავარი განმსაზღვრელი აღმოჩნდა.

ანალიზის ეკონომიკური ნაწილი მიმოიხილავს იმ ზარალს, რომელიც მიზანმიმართული მოქმედების შედეგად მიადგა როგორც ქვეყნის ინფრასტრუქტურას, ისე ქვეყნის იმიჯსა და ეკონომიკურ სანდოობას.

## პოლიტიკის ანალიზი და შედეგები

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ქმედებების ასახსნელად საჭიროა იმ პროცესების გააზრება, რომელიც მსოფლიოში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ განვითარდა და, რაც უფრო მთავარია, ამ პროცესების აღქმა თავად რუსეთის მიერ. ამ თვალსაზრისით, რუსეთის გარშემო შექმნილ საერთაშორისო გარემოს ოთხი ძირითადი ფაქტორი განსაზღვრავდა:

1. ნატოსა და ევროკავშირის აღმოსავლეთით გაფართოება – ყოფილი სოციალისტური ქვეყნების გაწევრიანება დასავლურ ალიანსებში რუსეთის მიერ საკუთარი უსაფრთხოებისთვის საფრთხედ აღიქმებოდა. განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქმებოდა ნატოსა და ევროკავშირთან ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახლო თანამშრომლობა ან გაწევრიანება. 1999 წელს სამი ცენტრალური ევროპის ქვეყანა, 2004 წელს კი ბალტიისპირეთის და აღმოსავლეთ ევროპის შვიდი სახელმწიფო გახდა ნატოს წევრი, პარალელურად მიმდინარეობდა ევროკავშირის გაფართოებაც.
2. რუსეთის გვერდის ავლით, კასპისპირეთიდან ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განვითარება – 1994 წელს დასავლეთის წამყვან ნავთობკომპანიებსა და აზერბაიჯანის მთავრობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება ნავთობის მოპოვების თაობაზე. ნავთობის ძირითადი ნაწილის ტრანსპორტირებისთვის კი დაიგეგმა ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა, რომლის დასრულების შემდგომ რუსეთის გვერდის ავლით ნავთობის დასავლურ ბაზრებზე გატანა დაიწყო. ნავთობსადენის მარშრუტის პარალელურად ამუშავდა შაჰ-დენიზის გაზსადენიც. რუსეთის პოლიტიკური ელიტის აზრით, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ალტერნატიული მარშრუტების განვითარება პოსტ-საბჭოთა ქვეყნებსა და ევროკავშირზე გავლენის შემცირების მთავარ წინაპირობას წარმოადგენდა, რომ აღარაფერი ვთქვათ სატრანზიტო შემოსავლების შემცირებაზე (CIPDD. 2008).
3. „ფერადი რევოლუციები“ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე – 2003 წლის ნოემბერში საპარლამენტო არჩევნების გაყალბებამ სახალხო პროტესტი გამოიწვია, რასაც მოჰყვა „ვარდების რევოლუცია“ და ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლების შეცვლა. საქართველოს მაგალითი “გადამდები” აღმოჩნდა უკრაინისთვის, სადაც 2004 წლის დეკემბერში ასევე არჩევნების გაყალბების გამო, „ნარინჯისფერი რევოლუცია“ მოხდა და ხელისუფლების სათავეში ვიქტორ იუშჩენკოს პროდასავლური კოალიცია მოვიდა. ერთი წლის შემდეგ, „ტიტების რევოლუციამ“ უკვე ცენტრალურ აზიაში, ყირგიზეთში შეცვალა არჩევნების გამყალბებელი ხელისუფლება. რუსეთის მაღალი თანამდებობის პირები ღიად აღაპარაკდნენ ვაშინგტონის ახალ შეთქმულებაზე, რომელიც რუსეთის მთლიანად ალყაში მოქცევას და შემდეგ უკვე დანაწევრებას ისახავდა მიზნად. მიიღეს დამატებითი კანონები, რომლებიც არასამთავრობო ორგანიზაციების უცხოური ფონდებიდან დაფინანსებას ზღუდავდა. შეიქმნა კრემლიდან მართული ახალგაზრდული ორგანიზაციები („ნაში“) (Leonid Ragozin. 2005). რუსეთი „დემოკრატიზაციის ახალ ტალღას“ რუსეთის

გავლენისა და თავად სახელმწიფოს არსებობისთვისაც დამლუპველად მიიჩნევა.

4. კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას და 1999 წელს სერბეთის დაბომბვას ნატოს შეიარაღებული ძალების მიერ (კოსოვოს პროვინციაში მცხოვრები ეთნიკური ალბანელების უფლებების მილოშევიჩის რეჟიმისაგან დაცვის მიზნით) რუსეთი საერთაშორისო პრესტიჟის განსაკუთრებულ შელახვად აღიქვამდა. კოსოვოს საერთაშორისო აღიარებისთვის წინააღმდეგობის გაწევა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებად იქცა. პრესტიჟის გარდა, რუსეთის წინააღმდეგობის მიზეზს ქვეყნის შიგნით სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის (ჩრდილო კავკასიასა და ვოლგისპირეთში) სეპარატისტული მოძრაობებისთვის პრეცედენტის არდაშეგება წარმოადგენდა. 2008 წლის 17 თებერვალს კოსოვომ ფორმალურად გამოაცხადა დამოუკიდებლობა, რასაც დასავლური სახელმწიფოების უმრავლესობის მხრიდან კოსოვოს სუვერენიტეტის აღიარება მოჰყვა. მაშინდელი პრეზიდენტი პუტინი გლობალური ცვლილებებით დაიმუქრა (Fred Weir. 2008)

კრემლი ღიად აცხადებდა, რომ კოსოვოს აღიარების პრეცედენტი გავრცელებოდა ყოფილ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არსებულ „გაყინულ კონფლიქტებზე“, პირველ ყოვლისა კი, სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე.

კოსოვოს აღიარების შემდეგ გაკეთებულმა მცირეხნიანმა პაუზამ, როდესაც მოსკოვი მხოლოდ მწვავე განცხადებებით შემოიფარგლა, ბევრი დააეჭვა (მათ შორის, არაღიარებულ სეპარატისტულ ერთეულებში), რუსეთის რეალურ შესაძლებლობებში.

პრესტიჟის დაცვის/გაზრდის მოტივაციის გარდა, რუსეთს „თამამი“ ნაბიჯის გადასადგმელად დამატებით რამდენიმე ფაქტორმა უბიძგა:

1. ნავთობისა და გაზის ძალიან მაღალმა ფასებმა მსოფლიო ბაზარზე, რომელმაც მოსკოვს უკანასკნელი 5 წლის განმავლობაში ჭარბი შემოსავალი და ღიდი სავალუტო რეზერვები შეუქმნა;
2. რუსული ნავთობისა და, განსაკუთრებით, გაზის მიწოდებაზე ევროკავშირის მზარდი დამოკიდებულება;
3. ავღანეთსა და ერაყში მიმდინარე საომარ მოქმედებებზე დასავლეთის ყურადღების კონცენტრირება და მიმდინარე საპრეზიდენტო არჩევნებმა შეერთებულ შტატებში (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 571).
4. საკუთარი პრესტიჟისა და „პრივილეგირებული ინტერესების“ დასაცავად ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე რუსეთმა თავისი ქმედებების გააქტიურება 16 აპრილიდან დაიწყო, როდესაც რუსეთის პრეზიდენტმა გამოსცა სპეციალური ბრძანებულება სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან “სპეციალური ურთიერთობების დამყარების შესახებ” (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 571).

2008 წლის მაისიდან რუსეთმა თითქმის უწყვეტი სამხედრო წვრთნები დაიწყო საქართველოს საზღვრის მთელ პერიმეტრზე, მათ შორის შავი ზღვის აკვატორიაში. ყველაზე მასშტაბური წვრთნა „კავკასია 2008“ 8000 სამხედროს მონაწილეობით, 3 აგვისტოს დასრულდა. 8 აგვისტოს მასშტაბური სამხედრო ქმედებების დაწყებით საქართველოს წინააღმდეგ რუსეთი შეეცადა „დასავლური შემოტევისთვის“



საბოლოო პასუხი გაეცა, რისი კულმინაციაც 26 აგვისტოს სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის “დამოუკიდებლობის” აღიარება გახდა (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 571).

რუსეთის ქცევის გასაგებად საერთაშორისო ასპარეზზე ზოგადად და განსაკუთრებით საქართველოსთან მიმართებაში, ზემოთდასახელებულ ფაქტორებთან ერთად არანაკლები მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ყველაზე გავლენიანი პირის ვლადიმერ პუტინის პირადი შეხედულებებისა და ღირებულებების გაგებას.

საქართველოსთან და მის პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილთან პუტინის დაპირისპირება 2004 წლიდან იღებს სათავეს. სააკაშვილი გახდა „ფერადი რევოლუციების“ სიმბოლო პოსტსაბჭოთა სივრცეში. საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა უკრაინასა და ყირგიზეთში მიმდინარე ანალოგიურ პროცესებს ღიად დაუჭირა მხარი, რითაც კრემლის მმართველი კიდევ უფრო გაღიზიანდა (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 572).

2004 წლის შემოდგომაზე გაიმართა დსთ-ის სახელმწიფოთა სამიტი. ერთობლივ პრესკონფერენციაზე სააკაშვილსა და პუტინს შორის ღია დაპირისპირება გაიმართა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პრობლემების შესახებ, რაც უპრეცედენტო შემთხვევა იყო ამ ორგანიზაციის ისტორიაში. სააკაშვილი გახდა პროამერიკული კურსის მთავარი გამტარებელი დსთ-ში, ტერიტორიაზე, რომელსაც პუტინი რუსეთის ექსკლუზიური გავლენის სფეროდ მიიჩნევს.

პირად ანტიპათიას და ანგარიშსწორების სურვილს დაემატა პირადი განდიდებისა და რუსეთში პირველობის დამტკიცების სურვილი. საქართველოსთან ომი სწორედ ის შესაძლებლობა აღმოჩნდა, რომლის მეშვეობითაც ვლადიმერ პუტინს შეეძლო თავისი ორივე მიზნისთვის მიეღწია.

იმის ნათლად საჩვენებლად, თუ როგორ იძაბებოდა ვითარება აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, აუცილებელია მივყვეთ მოვლენათა ქრონოლოგიას 2008 წლის თებერვლიდან, მას მერე, რაც მოსკოვმა კოსოვოს დამოუკიდებლობის თემით მანიპულირება დაიწყო.

14 თებერვალი - ფართომასშტაბიან პრესკონფერენციაზე პუტინმა აღნიშნა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის ცალმხრივად აღიარება დაანგრევდა საერთაშორისო წესრიგს; იგი შექმნიდა პრეცედენტს აფხაზეთთან, სამხრეთ ოსეთთან და დნესტრისპირეთთან მიმართებაში.

17 თებერვალი - კოსოვომ გამოაცხადა დამოუკიდებლობა. მომდევნო დღეებში კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიარეს აშშ-მა, ბრიტანეთმა, გერმანიამ, იტალიამ, საფრანგეთმა.

26 თებერვალი - აფხაზეთის სეპარატისტულმა ხელისუფლებამ გააგრძელა ინფორმაცია 1-5 მარტს დაგეგმილი ფართომასშტაბიანი სამხედრო წვრთნების შესახებ.

6 მარტი - რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ რუსეთი ცალმხრივად გამოდის 1996 წლის დსთ-ის შეთანხმებიდან, რომელიც აფხაზეთისთვის ეკონომიკური სანქციების დაწესებას ითვალისწინებს.

28 მარტი - საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ახალი სამშვიდობო წინადადება შესთავაზა სოხუმს, რომელიც მოიცავდა ერთობლივი თავისუფალი ეკონომიკური ზონების შექმნას, აფხაზეთის წარმომადგენლობას ცენტრალურ ხელისუფლებაში, მათ შორის, ვიცე-პრეზიდენტის ახალ კონსტიტუციურ პოსტს, რომელსაც ექნებოდა ვეტოს უფლება და ერთიანი საბაჟო და სასაზღვრო სივრცის შექმნას. აფხაზურმა მხარემ წინადადება მიუღებლად მიიჩნია.

3 აპრილი - ბუქარესტის სამიტზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება არ შეეთავაზებინა გაწვევრიანების სამოქმედო გეგმა (MAP) საქართველოსა და უკრაინისთვის, თუმცა იმის გარანტია მისცა, რომ ეს ქვეყნები ნატოს წევრები გახდებოდნენ.

15 აპრილი - გაერო-ს უშიშროების საბჭომ აფხაზეთის შესახებ მიიღო რეზოლუცია, რომელშიც მხარი დაუჭირა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და აღნიშნა რუსი “სამშვიდობოების” “მნიშვნელოვანი მასტაბილიზირებელი როლის” შესახებ კონფლიქტის ზონაში. ასევე 6 თვით გაუგრძელა მანდატი საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიას.

20 აპრილი - აფხაზეთის თავზე რუსულმა მიგ-29-მ ქართული უპილოტო თვითმფრინავი ჩამოაგდო.

1 მაისი - აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში შევიდნენ რუსეთის “სამშვიდობო კონტინგენტის” დამატებითი ძალები.

16 მაისი - გაეროს გენერალურმა ასამბლეამ აფხაზეთზე რეზოლუცია მიიღო, რომელიც აღიარებდა დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათ შთამომავალთა აფხაზეთში დაბრუნების უფლებას.

6 ივნისი - სააკაშვილი და მედვედევი სანკტ-პეტერბურგში შეხვდნენ ერთმანეთს.

3 ივლისი - სამხრეთ ოსეთის დროებითი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, დიმიტრი სანაკოევის კორტეჟს თავს დაესხნენ.

6 ივლისი - სააკაშვილი ასტანაში მედვედევს შეხვდა.

9 ივლისი - თბილისში ჩამოვიდა ამერიკის სახელმწიფო მდივანი კონდოლიზა რაისი. იმავე დღეს, საქართველოს საპარლამენტო სივრცე რუსულმა თვითმფრინავებმა დაარღვიეს.

19 ივლისი - ცხინვალმა უარყო ევროკავშირის წინადადება ბრიუსელში პირდაპირი მოლაპარაკების გამართვის თაობაზე.

1 აგვისტო - სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში პოლიციის მანქანის აფეთქების შედეგად 5 ქართველი პოლიციელი დაშავდა.

2 აგვისტო - ცხინვალის რეგიონში სროლების შედეგად შვიდი ქართველი დაშავდა. რუსეთი უარყოფს “სამშვიდობოების” მონაწილეობას ცხინვალის სროლებში.

3 აგვისტო - ჩრდილო ოსეთში ცხინვალიდან ბავშვებით და ქალებით სავსე 14 ავტობუსი და 5 მიკროავტობუსი ჩავიდა.

4 აგვისტო - სოხუმმა გაერო-ს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფთან შეხვედრაზე უარი განაცხადა სამხრეთ ოსეთში არსებული დაძაბულობის მიზეზით.

5 აგვისტო - ესტონეთი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ევროკავშირის სამშვიდობო როლს ემხრობა.

6 აგვისტო - რუსული მხარის თანათავმჯდომარემ შერეულ საკონტროლო კომისიაში (შსკ) დაადასტურა, რომ მხარეებს შორის შეხვედრა 7 აგვისტოს ცხინვალშია დაგეგმილი. სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო ხელისუფლებამ და რუსმა “სამშვიდობოებმა” განაცხადეს, რომ სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონაში ინტენსიური სროლები დაფიქსირდა. სამხრეთ ოსურმა მხარემ მოლაპარაკებებზე უარი განაცხადა. საბოლოოდ კი როგორც ცნობილია, 2008 წლის 8 აგვისტოს, რუსეთმა საქართველოს წინააღმდეგ ფართომასშტაბიანი აგრესია დაიწყო, რაც საბოლოო ჯამში ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის სრული ოკუპაციით დასრულდა (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 575).

## ომის შედეგები

რუსეთის მიერ სამხედრო აგრესიის განხორციელების შემდეგ პირველი დარტყმა რუსეთის ეკონომიკამ მიიღო: სხვადასხვა მონაცემებით ქვეყნიდან რამდენიმე მილიარდ ამერიკულ დოლარზე მეტი გავიდა, საფონდო ბირჟის ინდექსი კრიტიკულ ზღვარს ჩამოსცილდა, რამდენიმე გავლენიანმა ინვესტორმა დატოვა ქვეყანა. ცენტრალურ ბანკს მსხვილი ინტერვენციები დასჭირდა, რათა რუბლის კურსი შეენარჩუნებინა.

ეკონომიკური დანაკარგების გარდა, კრემლის საქციელს სამხედრო შედეგებიც მოჰყვა. ცენტრალური ევროპისა და ბალტიისპირა სახელმწიფოები უფრო მჭიდრო სამხედრო კავშირის დამყარებას ცდილობენ ვაშინგტონთან. საქართველოში რუსეთის შემოჭრის შემდეგ პოლონეთმა სასწრაფოდ მოაწერა ხელი ხელშეკრულებას ქვეყანაში ამერიკული ანტისარაკეტო სისტემის განთავსების თაობაზე.

ევროკავშირის და აშშ-ის ლიდერებმა დაიწყეს რუსეთის ღია კრიტიკა და საერთაშორისო იზოლაციის შესაძლებლობების განხილვა. დიდი ხნის განმავლობაში შეჩერებული იყო რუსეთსა და ამერიკას შორის სამოქალაქო ბირთვული ენერჯის სფეროში თანამშრომლობა. ასევე, შეფერხდა რუსეთის მოლაპარაკებები მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გასაწევრიანებლად. ეს კი რუსეთის მომავალ ეკონომიკურ განვითარებას სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნიდა.

რუსეთმა ვერ მოიპოვა ვერც დსთ-ისა და შანჰაის თანამშრომლობის ორგანიზაციის მხარდაჭერა. დსთ-ში, სადაც რუსეთის გავლენა შედარებით დიდია, კრემლის ზეწოლის მიუხედავად, ყველა სახელმწიფომ თავი შეიკავა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის აღიარებისგან. შანჰაის ორგანიზაციაში კი, სადაც რუსეთსა და დსთ-ის რამდენიმე ქვეყანასთან ერთად ჩინეთიცაა გაწევრიანებული, პეკინმა სეპარატიზმის მხარდამჭერი ყოველგვარი ინიციატივა დაბლოკა (Eurasianet.Org. August 28, 2008).

საქართველოში ინტერვენციით რუსეთი კასპიური ენერგორესურსებისთვის ალტერნატიული მარშრუტების არასაიმედოობის წარმოჩენასაც ისახავდა მიზნად. რუსეთმა, რომელიც საქართველოზე გამავალ მილსადენებს მოსკოვის წინააღმდეგ გადადგმულ მტრულ ნაბიჯად აფასებს, საქართველოში აგრესიის შემდეგ კასპიის აუზის ენერგორესურსებით მდიდარ ქვეყნებს გაფრთხილება გაუგზავნა, თავი აარიდონ რუსეთისგან ალტერნატიული მარშრუტების ძიებას და მათი ენერგორესურსები დასავლეთის მიმართულებით მხოლოდ რუსეთის ტერიტორიაზე გაატარონ.

2008 წლის აგვისტოს მოვლენებმა მნიშვნელოვნად შეცვალა პილიტიკური სურათი საქართველოში: დღეს აღარ არსებობს განყენებული ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზეთური კონფლიქტები. ისინი რუსეთ-საქართველოს კონფლიქტის შემადგენელ ნაწილად იქცა; საქართველო, დღეს, როგორც არასდროს, დამოკიდებულია უსაფრთხოების საერთაშორისო გარანტიებზე და საერთაშორისო თანამეგობრობის თანადგომაზე.

### *შიდაპოლიტიკური შედეგები*

აგვისტოს მოვლენებმა ყველაზე დიდი დარტყმა მიაყენა იმას, რასაც მიხეილ სააკაშვილის მთავრობა მთავარ მიღწევად მიიჩნევდა - ეფექტიან სახელმწიფოსა და

მის ინსტიტუტებში საზოგადოებრივ რწმენას. 2003 წლიდან ახალმა ხელისუფლებამ საზოგადოებრივი მოდერნიზაციის პროექტის განხორციელება დაიწყო. პროექტის მთავარი მიზანი იყო ლიბერალურ ღირებულებებზე დაფუძნებული სახელმწიფოსა და საზოგადოების მოდელის პრაქტიკაში რეალიზაცია. გაძლიერებული სახელმწიფოს მთავარ გამოხატულებად აღიქმებოდა ეფექტიანი უსაფრთხოების სისტემა (არმია, პოლიცია).

2004-2008 წლებში მოსახლეობამ იწრმუნა, რომ საქართველოს სახელმწიფოს უკვე შეუძლია ქვეყნის წინაშე მდგარ მთავარ გამოწვევებთან გამკლავება: 2004 წელს საქართველომ აღადგინა კონტროლი აჭარაზე, 2006 წელს ზემო აფხაზეთზე-კოდორის ხეობაზე. სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკა თესავდა იმედს, რომ ქვეყანას შეეძლო საკადრისი პასუხი გაეცა ყველასათვის, მათ შორის ისეთი ძლიერი მეზობლისთვის, როგორცაა რუსეთი. აგვისტოს მოვლენების შემდეგ კი საქართველოს მთავრობა აკონტროლებს უფრო ნაკლებ ტერიტორიებს, ვიდრე კონფლიქტის ესკალაციამდე, საქართველოს მრავალათიათასიან არმიას დაემატნენ ახალი დევნილები.

ომის დაწყებისთანავე, საქართველოს სუვერენული საკრედიტო რეიტინგები ჩამოაკლო ორივე წამყვანმა საერთაშორისო სარეიტინგო სააგენტომ—Fitch Ratings-მა და Standard & Poor's-მა. Fitch-მა საქართველოს გრძელვადიანი რეიტინგი ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში BB- დონიდან B+ დონემდე დაწია და რეიტინგის შემდგომი შეცვლის პროგნოზად, მანამდე არსებული „სტაბილურის“ ნაცვლად, „ნეგატიური“ დაადგინა. (AAA კატეგორია ენიჭება უმაღლესი სანდოობის კომპანიას ან ქვეყანას, D - მათ, ვისი გადამხდელუნარიანობის ალბათობა 50%-ზე ნაკლებია. საქართველოს რეიტინგის კლება BB-დონიდან B+ დონემდე ნიშნავს, რომ ქვეყანაში მნიშვნელოვანი საკრედიტო რისკები არსებობს) (Reuters, Friday, Aug 8, 2008).

თუმცა, უკვე 2011 წლის დეკემბერში, საქართველოში რეფორმების გაგრძელების შედეგად, "Fitch Ratings"-მა კვლავ აამაღლა საქართველოს IDR (Issuer Default Ratings) რეიტინგი „B+“-დან „BB“-მდე, რაც კიდევ ერთხელ დაადასტურა 2013 წლის ივნისში (ნ. ჩიტაძე. 2011. 579).

### ***2008 წლის ომის შემდგომ პერიოდში რეგიონში შექმნილი ვითარება***

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში უსაფრთხოების სფეროზე რუსეთის კონტროლი ყოველწლიურად იზრდება. კრემლის გავლენის ხარისხი განსაკუთრებით მაღალია ცხინვალის რეგიონში, რომლის ლიდერებიც რუსეთთან გაერთიანების შესახებ ღიად საუბრობენ. ბოლო პერიოდში

განვითარებული მოვლენები ცხადყოფს, რომ ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების სფეროზე სრულ პასუხისმგებლობას რუსეთი იღებს.

#### *რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა და სამხედრო სფეროში ინტეგრაცია*

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ცხინვალის რეგიონში თავდაცვის სფეროში რუსეთის ინტერესების დაცვას და ცხინვალის რეგიონის “უსაფრთხოებას” რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა უზრუნველყოფს. 2016 წლის სექტემბრიდან ბაზის მეთაური ალექსანდრ კრავცოვია. რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა ცხინვალის რეგიონში 2009 წლიდან არსებობს და მის შემადგენლობაში დაახლოებით 4 000 სამხედროა.

რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზა, აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზის მსგავსად, რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია, რომელსაც 2016 წლიდან ალექსანდრ დვორნიკოვი ხელმძღვანელობს. დვორნიკოვი უშუალოდ კურირებს ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში “თავდაცვის” სფეროში მიმდინარე პროცესებს და პროექტებს, რომელთა ინსპექტირებაც მისი პირდაპირი მოვალეობაა.

მხარეების მიერ ბოლო პერიოდში გადადგმული ნაბიჯები მიუთითებს, რომ ცხინვალის რეგიონს საკუთარი არალეგიტიმური სამხედრო დანაყოფები უახლოეს მომავალში აღარ ეყოლება. 2017 წლის 31 მარტს რუსეთისა და ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას სეპარატისტული რესპუბლიკის ცალკეული საჯარისო დანაყოფების რუსეთის შეიარაღებულ ძალებში გაერთიანების შესახებ. ახალი “შეთანხმების” ძალით, ცხინვალის რეგიონის სამხედრო მოსამსახურეები რუსეთის მე-4 სამხედრო ბაზაზე სამსახურსაც შეძლებენ.

ცხინვალის რეგიონის შეიარაღებული ძალების სრულ გაუქმებამდე რუსი სამხედროები მაღალ თანამდებობებს ინარჩუნებენ ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო შეიარაღებულ ძალებში. ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო თავდაცვის მინისტრის პირველი მოადგილე და გენერალური შტაბის უფროსი, აფხაზეთის მსგავსად, რუსეთის წარმომადგენელია. ვიქტორ ფედოროვი, რომელიც 2011 წლის ივნისიდან ცხინვალში ცხოვრობს, გენშტაბის უფროსად დანიშნვამდე ცხინვალის რეგიონის შეიარაღებულ ძალებში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

#### *რუსეთის სამართალდამცავ სისტემაში ინტეგრაცია*

აფხაზეთისგან განსხვავებით, სადაც უსაფრთხოების სფეროში რუსეთთან ერთობლივი პროექტების განხორციელებას საზოგადოებისა და პოლიტიკოსების ნაწილი ღიად აკრიტიკებს, ცხინვალის რეგიონში ადგილობრივი ე. წ. სამართალდამცავი სტრუქტურების რუსეთის სამართალდამცავ სისტემაში ინტეგრაციას დიდი მხარდაჭერა აქვს. ამიტომაც სამართალდამცავ სფეროში კრემლს გაცილებით მეტი უფლებამოსილება აქვს მინიჭებული ცხინვალის რეგიონში, ვიდრე აფხაზეთში. რუსეთთან ინტეგრაციის მაღალ ხარისხზე მიუთითებს ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო შს სამინისტროს

გადაწყვეტილებაც, 2019 წლისთვის ე წ. შ.ს. სამინისტროს თანამშრომლების რაოდენობა 1600-დან 1150-მდე შეამციროს.

„სამართალდამცავ“ სფეროში თანამშრომლობის გაღრმავებისკენ გადადგმული მნიშვნელოვანი ნაბიჯია 2016 წლის 4 ივლისს რუსეთის ფედერაციისა და ცხინვალის რეგიონის შინაგან საქმეთა სამინისტროების ერთობლივი საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის ჩამოყალიბების შესახებ „შეთანხმების“ ხელმოწერა. რუსეთის მხრიდან შეთანხმებას ხელი მოაწერა რუსეთის შს მინისტრის მოადგილემ იგორ ზუბოვმა, რომელიც რუსეთის შს სამინისტროს მხრიდან საქართველოს ოკუპირებული რეგიონების კურატორია.

ზუბოვის შეფასებით, ცენტრი სამართლებრივად დამოუკიდებელი სამსახური იქნება, პრაქტიკულად კი - საერთაშორისო ორგანიზაცია, რომლის პირველი უფროსიც ადგილობრივი იქნება. ცენტრის მიზანია რუსი და ოსი სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა საშიში ტიპის დანაშაულთან ბრძოლაში. დასახული მიზნის მისაღწევად ცენტრმა დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა, ანალიზი და გაცვლა უნდა უზრუნველყოს. ცენტრის საქმიანობას მთლიანად რუსული მხარე დააფინანსებს.

აფხაზეთში მსგავსი ცენტრის ჩამოყალიბებისადმი არსებული ნეგატიური განწყობების მიუხედავად, ცენტრი მუშაობას უკვე შეუდგა და მას ხელმძღვანელიც დაუნიშნეს. ცხინვალის რეგიონში კი, ჯერჯერობით მოსამზადებელი სამუშაოები მიმდინარეობს. 2017 წლის 26 ივნისს ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო პრეზიდენტთან შეხვედრაზე ზუბოვმა განაცხადა, რომ „ცხინვალში საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის შექმნა გადაწყვეტილი საკითხია“. ზუბოვის თქმით, ცენტრის გასახსნელად დაფინანსება არსებობს, რომელიც 2017 წლის ბოლომდე უნდა აითვისონ, რაც შენობის კაპიტალურ რემონტს და ცენტრის თანამედროვე ტექნოლოგიით აღჭურვას მოხმარდება.

ცენტრში ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო შს სამინისტროს 23 თანამშრომელი და რუსეთის შს სამინისტროს 7 თანამშრომელი იმუშავენ. საინტერესოა, რომ აფხაზეთში ცენტრის ფორმირებისადმი არსებული უკმაყოფილების გამო, ცენტრში მხოლოდ 20 თანამშრომელი (10-10 ორივე მხრიდან) იქნება დასაქმებული. ამავე დროს ცხინვალის შემთხვევაში შეთანხმებაში მითითებულია, რომ ცენტრის სამუშაო ენა რუსული იქნება. აფხაზეთისგან განსხვავებით, ცხინვალის რეგიონში ცენტრის ოფიცრებს იარაღის შენახვის, ტარებისა და გამოყენების უფლებაც ექნებათ და ასევე შეეძლებათ ოპერატიული და სამძებრო საქმიანობის განხორციელება.

ცენტრის ამოქმედების შეფერხების გამო, 2017 წლის ოქტომბერში ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო შს სამინისტროში ახალი კოლეგიაც კი შეიქმნა, რომელმაც ცენტრის ფორმირებასთან დაკავშირებული საკითხები უნდა მოაგვაროს.

### **საოკუპაციო ხაზის გამაგრება**

2009 წლის 30 აპრილს რუსეთისა და ცხინვალის რეგიონის ლიდერებს შორის ხელი მოეწერა “შეთანხმებას” „სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ“. რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს პასუხისმგებლობაში ოკუპირებული ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო საზღვრის 467.4 კილომეტრიანი მონაკვეთის „დაცვა“ შედის, მათ შორის საქართველოსთან „საზღვრის“ - 391.4 კმ.-ის.

2017 წლის მარტიდან ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო საზღვრის „დაცვას“ საქართველოს დანარჩენ რეგიონებთან სასაზღვრო სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი ანატოლი უტკინი უზრუნველყოფს. 2017 წლის 30 ივნისს, ცხინვალის რეგიონის ახლად არჩეულმა დე ფაქტო პრეზიდენტმა ანატოლი ბიბილოვმა შეხვედრა გამართა უტკინთან, რომელსაც საქართველოსთან სასაზღვრო უსაფრთხოების გაუმჯობესება მოსთხოვა, კერძოდ ბიბილოვის თქმით, ქართველების მიერ „საზღვრის დარღვევა“ სრულად უნდა აღმოიფხვრას. საოკუპაციო ხაზთან საქართველოს მოქალაქეებს სწორედ უტკინის სამსახური აკავებს. 2009 წლიდან მოყოლებული სამმართველომ ე.წ. საზღვრის კვეთის ბრალდებით 900-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე დააკავა და დააპატიმრა.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ ე.წ. „ბორდერიზაციის“ უკანონო პროცესის ფარგლებში სამმართველო უზრუნველყოფს საოკუპაციო ხაზზე მავთულხლართების, ლობეების, ე.წ. საზღვრის აღმნიშვნელი ბანერების მონტაჟს, ტრანშეების გათხრას და ხანძარსაწინააღმდეგო ხნულების გავლებას, რის შედეგადაც ოკუპაციის ფარგლებში ექცევა ის ტერიტორიებიც, რომლებსაც 2008 წლის ომის შემდეგ საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა.

საოკუპაციო ხაზი, რომელიც ფაქტობრივად რუსეთ-საქართველოს დე-ფაქტო საზღვრად გადაიქცა, ბოლო პერიოდში კიდევ უფრო „დაცული“ გახდა. ცხინვალის რეგიონში ე.წ. სასაზღვრო ზონა შეიქმნა, სადაც ცხინვალის რეგიონისა და რუსეთის მოქალაქეებს შესვლა სპეციალური საშვებით შეუძლიათ. სასაზღვრო ზონის ფართობია 693 კვ./კმ., მინიმალური დაშორება საოკუპაციო ხაზსა და სასაზღვრო ზონის „საზღვართან“ 100 მეტრია, მაქსიმალური კი - 8 კმ.





- ბოლო პერიოდში ცხინვალის რეგიონში კრემლის მიერ გადადგმული ნაბიჯები მიუთითებს, რომ ცხინვალის რეგიონის შეიარაღებული ძალებისა და სამართალდამცავების რუსეთის ანალოგიურ სტრუქტურებში სრული ან ნაწილობრივი ინტეგრაცია შეუქცევადი პროცესია.
- ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების სფეროში რუსეთის გავლენის ზრდას ხელს უწყობს რუსეთთან ინტეგრაციის საკითხზე სეპარატისტულ რესპუბლიკაში არსებული კონსენსუსი. თუმცა, ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთში, სადაც ამ საკითხზე კონსენსუსი არ არსებობს, რუსეთის გავლენა მაინც მზარდია.
- ცხინვალის რეგიონში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს საქმიანობის შედეგად საოკუპაციო ხაზი რუსეთ-საქართველოს დე ფაქტო საზღვრად გადაიქცა. საოკუპაციო ხაზის გასწვრივ რუსი მესაზღვრეების საქმიანობა ყოველდღე უქმნის საფრთხეს საქართველოს მოქალაქეების, განსაკუთრებით, საოკუპაციო ხაზთან მცხოვრები ადამიანების უსაფრთხოებას, კერძო საკუთრებას და ეკონომიკურ საქმიანობას.
- 2008 წლის შემდეგ ცხინვალის რეგიონში და ასევე აფხაზეთში უსაფრთხოების სფეროზე რუსეთის მზარდი კონტროლი და საოკუპაციო ხაზთან სამხედრო ინფრასტრუქტურის განვითარება საქართველოს უსაფრთხოებისთვის უმთავრეს გამოწვევას წარმოადგენს (კომახია, 2017).

### **აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსეთის საოკუპაციო რეჟიმის სამხედრო დასწრების ძირითადი ასპექტები**

2017 წლის 11 ოქტომბერს აფხაზეთში სეპარატისტული რესპუბლიკის “შეიარაღებული ძალების” დაარსების 25 წლისთავი აღნიშნეს. საზეიმო განწყობების მიუხედავად, აფხაზეთი საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილი მიიჩნევს, რომ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთში უსაფრთხოების სფეროში აფხაზების გავლენის ხარისხი იკლებს, რუსეთის კონტროლი კი ყოველწლიურად იზრდება. რუსეთის მზარდი აქტიურობა რამდენიმე მიმართულებით შეიმჩნევა, განსაკუთრებით –

თავდაცვის, საპოლიციო და დე ფაქტო საზღვარზე კონტროლის უზრუნველყოფის სფეროში.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ აფხაზეთში თავდაცვის სფეროში რუსეთის ინტერესების დაცვას და აფხაზეთის სეპარატისტული რესპუბლიკის უსაფრთხოებას რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზა უზრუნველყოფს, რომელსაც 2017 წლიდან იგორ ეგოროვი მეთაურობს. მე-7 სამხედრო ბაზა რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქის დაქვემდებარებაშია, რომელსაც 2016 წლიდან ალექსანდრ დვორნიკოვი ხელმძღვანელობს. დანიშვნამდე დვორნიკოვი სირიაში რუსეთის შეიარაღებული დაჯგუფების მეთაური იყო. სამხრეთის სამხედრო ოლქი 2010 წლიდან არსებობს და რუსეთის სამხრეთი საზღვრის დაცვის ფუნქცია აკისრია. სამხედრო ოლქის შეიარაღებული ძალები აფხაზეთის გარდა განთავსებულია ცხინვალის რეგიონის ტერიტორიაზეც. სამხედრო ოლქის ოპერატიულ დაქვემდებარებაშია რუსეთის ფედერალური უშიშროების სამსახურის სასაზღვრო სამმართველოც, რომელიც საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში 2009 წლიდან საქმიანობს.

დვორნიკოვი უშუალოდ კურირებს აფხაზეთში თავდაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებს და პროექტებს, რომელთა ინსპექტირებაც მისი უშუალო მოვალეობაა. იგი ხშირად სტუმრობს აფხაზეთს. მაგ., 2017 წლის მაისში დვორნიკოვმა აფხაზეთში რუსულ სამხედრო ბაზაზე არსებული ინფრასტრუქტურა და ინფრასტრუქტურული პროექტები, ასევე სამხედრო ტექნიკის მდგომარეობა შეამოწმა.

რუსი სამხედროების გავლენის ხარისხი მაღალია უშუალოდ აფხაზეთის შეიარაღებულ ფორმირებებზეც. რუსეთის ფედერაციის წარმომადგენლებს აფხაზეთის ე.წ. „შეიარაღებულ ძალებში“ მაღალი თანამდებობები უკავიათ. ამ მხრივ უნდა გამოვარჩიოთ ანატოლი ხრულიოვი, რომელიც 2015 წლის 18 მაისიდან აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის „თავდაცვის მინისტრის მოადგილე“ და „გენერალური შტაბის“ უფროსია. იგი 2008 წლის აგვისტოს ომის პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიის სამხედრო ოლქის 58-ე საერთო-საჯარისო არმიის მეთაური იყო. 2008 წლის 9 აგვისტოს ქართული მხრიდან საარტილერიო სროლების შედეგად ხრულიოვი მძიმედ დაიჭრა.

#### საპოლიციო სფეროს კონტროლი

ადგილობრივი საზოგადოებისა და პოლიტიკური ჯგუფების ერთი ნაწილის წინააღმდეგობის მიუხედავად, აფხაზეთის ე.წ. „სამართალდამცავ სფეროში“ რუსეთის როლი სულ უფრო იზრდება. ამ მხრივ მნიშვნელოვანი მოვლენა იყო რუსეთის ფედერაციისა და აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროების

ერთობლივი ე.წ. „საინფორმაციო-საკოორდინაციო ცენტრის“ ჩამოყალიბება, რომლის შესახებ შეთანხმებასაც 2017 წლის 18 მაისს ქ. სოჭში რუსეთის შს მინისტრის მოადგილემ იგორ ზუბოვმა და აფხაზეთის დე ფაქტო შს მინისტრმა ასლან კობახიამ მოაწერეს ხელი. ცენტრის მიზანია რუსი და აფხაზი „სამართალდამცავი ორგანოების“ საქმიანობის კოორდინაცია ორგანიზებული დანაშაულისა და სხვა საშიში ტიპის დანაშაულთან ბრძოლაში. დასახული მიზნის მისაღწევად „ცენტრმა“ დანაშაულთან დაკავშირებული ინფორმაციის აღრიცხვა, ანალიზი და გაცვლა უნდა უზრუნველყოს.

ცენტრის დაფუძნების შეთანხმების „რეატიფიკაცია“ აფხაზეთის დე ფაქტო „პარლამენტმა“ 2017 წლის 26 ივლისს მოახდინა. გადაწყვეტილებას 34 „დეპუტატიდან“ მხოლოდ 23-მა დაუჭირა მხარი, 9 წინააღმდეგი იყო, ორი კი სხდომას არ ესწრებოდა. ცენტრის დაფუძნების საკითხმა აფხაზურ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა გამოიწვია. ცენტრის დაფუძნების მოწინააღმდეგეები აცხადებდნენ, რომ „ერთობლივი ცენტრის დაფუძნებით ხელისუფლებამ უარი თქვა აფხაზეთის დამოუკიდებლობაზე“. მომხრეების შეფასებით კი, ცენტრის საქმიანობა, რომელსაც „ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის“ ჩატარების უფლება არ ექნება, საქმიანობა კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლას გაააქტიურებს. ცენტრის შექმნის მომხრეებს არსებული ნეგატიური განწყობების გათვალისწინება მოუწიათ, რის შედეგადაც ცენტრის თანამშრომლების რაოდენობა 20-მდე შემცირდა. ორივე მხარეს 10-10 თანამშრომელი ეყოლება.

2017 წლის 9 სექტემბერს ცენტრის დირექტორად ბესლან ფარულუა დაინიშნა, რომელიც მანამდე აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკის შს მინისტრის მოადგილე იყო. შეთანხმების მიხედვით, ცენტრის დირექტორის მოადგილე რუსეთის შს სამინისტროს წარმომადგენელი იქნება. არსებული ინფორმაციით, სამი წლის შემდეგ ცენტრის დირექტორი რუსეთის წარმომადგენელი გახდება, მოადგილე კი აფხაზეთის მხრიდან დაინიშნება. ფარულუას კანდიდატურა 2017 წლის აგვისტოში აფხაზეთში რუსეთის შს მინისტრის მოადგილის იგორ ზუბოვის ვიზიტის დროს შეათანხმეს. ზუბოვი რუსეთის მხრიდან აფხაზეთში საპოლიციო სფეროს კურირებს. იგი ხშირად ხვდება აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერებს, მათ შორის – ძალოვანი უწყების წარმომადგენლებს.

რუსეთი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობაში საკადრო პოლიტიკის საპოლიციო მიმართულებით განხორციელებაზეც. მაგ., რუსეთის მხრიდან აფხაზეთში არსებული კრიმინოგენური ვითარების კრიტიკას დე ფაქტო რესპუბლიკის ახალი “შს მინისტრის“ დანიშვნა მოჰყვა. 2017 წლის ზაფხულში აფხაზეთში რუსი ტურისტის მკვლელობის ერთი ფაქტი და თავდასხმის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა. ამ საკითხზე აფხაზეთში რუსეთის დე ფაქტო ელჩმა სემიონ გრეგორიევმა კრიტიკული

შენიშვნებიც გამოთქვა, კერძოდ, მან განაცხადა, რომ აფხაზური ხელისუფლებისათვის პრიორიტეტული ამოცანა უნდა ყოფილიყო რუსი ტურისტების უსაფრთხოების უზრუნველყოფა. გრეგორიევის განცხადებამ აფხაზური საზოგადოების უკმაყოფილება გამოიწვია და მას შიდა საქმეებში ჩარევამაც დასდეს ბრალი. რუსული მხარის უკმაყოფილებას საბოლოო ჯამში 2017 წლის 12 ოქტომბერს შს ახალი მინისტრის – გარი არშბას დანიშვნა მოჰყვა. არშბა წლების განმავლობაში რუსეთის შს სამინისტროსა და აფხაზეთის დე ფაქტო შს სამინისტროში სხვადასხვა თანამდებობაზე მუშაობდა. ბოლოს, 2013 წლიდან დე ფაქტო მინისტრად დანიშნამდე, რუსეთის შს სამინისტროს მთავარ სამმართველოში ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში სხვადასხვა თანამდებობებზე მუშაობდა.

### ***დე ფაქტო საზღვრის კონტროლი***

2009 წლის 30 აპრილს რუსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტებს შორის ხელი მოეწერა შეთანხმებას „აფხაზეთის რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრის დაცვის ერთობლივი ღონისძიებების შესახებ“. ეს დღე აფხაზეთში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს დაფუძნების დღედ ითვლება (ამ დღეს დაიწყო საქმიანობა აფხაზეთში რუსეთის დე ფაქტო საელჩომაც). სამმართველოს მოვალეობაა ოკუპირებული რეგიონის დე ფაქტო საზღვაო და სახმელეთო საზღვრის დაცვა.

2009 წლიდან მოყოლებული სამმართველომ ათასობით საქართველოს მოქალაქე დააკავა ე.წ. სასაზღვრო რეჟიმის დარღვევისათვის. სამმართველო უშუალოდ მონაწილეობს საოკუპაციო ხაზზე არსებული საკონტროლო-გამშვები პუნქტების დახურვაში, ოკუპაციის ხაზის გასწვრივ ფიზიკური ბარიერების აღმართვასა და ე.წ. საზღვრის დემარკაციაში, რაც ნეგატიურად ყველაზე მეტად გალის ქართული მოსახლეობის ყოველდღიურ ყოფაზე მოქმედებს.

სამმართველოს უფროსი 2015 წლის 24 მარტიდან გენერალ-მაიორი დიმიტრი იუდინია, რომელიც ოკუპირებულ რეგიონში გამართული ყველა მნიშვნელოვანი ღონისძიების აქტიური მონაწილეა. მას ახლო სამსახურებრივი ურთიერთობა აკავშირებს აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტ რაულ ხაჯიმბასთან. იგი პერიოდულად ხვდება ხაჯიმბას და ოკუპირებულ რეგიონში არსებულ ოპერატიულ ვითარებას განიხილავს. მაგ., 2016 წლის აპრილში იუდინმა ხაჯიმბას ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვარზე საკონტროლო-გამშვებ პუნქტ „თაგილონის“ დახურვასთან დაკავშირებით არსებულ ვითარებასა და ჩასატარებელ სამუშაოზე მოახსენა. სასაზღვრო სამსახურის უფროსები უშუალოდ არიან

ჩართული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებაში და აფხაზეთის დე ფაქტო ლიდერებთან ერთად საოკუპაციო ხაზის პერიოდულ ინსპექტირებასაც ეწევიან. ბოლო პერიოდში განხორციელებული ინფრასტრუქტურული პროექტები, როგორც დე ფაქტო საზღვრის გამაგრებას, ისე რუსი მესაზღვრეებისა და მათი ოჯახებისთვის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ითვალისწინებს.

აფხაზეთში მოქმედი რუსეთის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლებიდან განსაკუთრებით დაფასებულები არიან მესაზღვრეები. 2010 წლის 30 აპრილს სოხუმში „გმირი მესაზღვრეების“ ქუჩაც კი გაიხსნა. სათანადოდ დაფასდა დაღუპული რუსი მესაზღვრეების საქმეც. მაგ., 2016 წლის 12 იანვარს სოხუმში მემორიალური დაფა გაუხსნეს სასაზღვრო სამმართველოს კინოლოგიური ჯგუფის უფროსს ანდრეი უდალცოვს, რომელიც 2015 წლის 12 იანვარს სამართლადამცავი ორგანოების ერთობლივი ოპერაციის დროს სოფ. რეფო-ეწერში, გალის რაიონში, ერთ-ერთ რუსულ სასაზღვრო პოსტზე დაიღუპა. სოხუმში გახსნილია რუსი მესაზღვრის, ვიცე-პოლკოვნიკ ვასილი კვიტკოს მემორიალიც. კვიტკო 2011 წლის 8 აპრილს მესაზღვრეთა რაზმთან ერთად ადგილის საინჟინრო დაზვერვას ახორციელებდა, როდესაც გალის რაიონის სოფ. ჭუბურხინჯში მიტოვებული სახლების დათვალიერებისას უცნობმა პირებმა ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც დაიღუპა.

### **აფხაზეთში რუსეთის სამხედრო ბაზის ძირითადი მახასიათებლები**

როგორც ცნობილია. 1992-1993 წლებში აფხაზეთში საომარი მოქმედებების განვითარებისა და რუსეთის მხრიდან საქართველოს წინააღმდეგ ირიბი აგრესიის განხორციელების შედეგად, ოფიციალური კრემლის მხრიდან ზეწოლის შედეგად დსთ-ის კოლექტიური სამშვიდობო ძალები იქნა შექმნილი, რომლებიც აფხაზეთში იქნენ დისლოცირებულნი. ასევე ცნობილია, რომ ე.წ. სამშვიდობო ძალები მხოლოდ რუსეთის სამხედრო მოსამსხურეებისაგან შედგებოდა.

რუსეთის საოკუპაციო ძალებისა და აფხაზეთში მოქმედი უკანონო ბანდფორმირებების მიერ 2008 წელს ზემო აფხაზეთის ტერიტორიის დაკავების შედეგად, კრემლმა აფხაზეთის ტერიტორიაზე მუდმივმოქმედი სამხედრო ბაზის განთავსების შესახებ მიიღო გადაწყვეტილება. აღნიშნული ბაზა რუსეთის ფედერაციის სამხრეთის სამხედრო ოლქს დაექვემდებარა.

2009 წლის 1 თებერვლიდან 131-ე მოტომსროლელი ბრიგადა რუსეთის მე-7 სამხედრო ბაზად გადაიქცა. 2010 წლის 17 თებერვალს რუსეთმა და აფხაზეთის მარიონეტულმა

რეჟიმმა ხელი მოაწერეს ე.წ. შეთანხმებას აფხაზეთის ტერიტორიაზე გაერთიანებული რუსული სამხედრო ბაზის შექმნის შესახებ.

აღნიშნული „შეთანხმების“ შედეგად, გაერთიანებული სამხედრო ბაზის შესადგენლობაში შევიდნენ ზომბორას სამხედრო აეროდრომის ე.წ. სამშვიდობო ობიექტები, რომლებიც გუდაუთის რაიონში იყვნენ დისლოცირებულნი. ბაზის შემადგენლობაში შევიდა ოჩამჩირესთან მდებარე სამხედრო პოლიგონი და საზღვაო ნავსადგური, აგრეთვე ე.წ. რუსულ-აფხაზური სამხედრო გარნიზონები, რომლებიც კოდორის ხეობაში და ენგურის ჰესთან იქნენ დისლოცირებულნი. გარდა ამისა, რუსეთი გეგმავს სამხედრო-ადმინისტრაციული და სამედიცინო (სანატორიუმები და დასასვენებელი სახლები) დაწესებულებების სოხუმში, გაგრაში, გუდაუთაში, ახალ ათონსა და ეშერაში, ასევე აფხაზეთის სხვადასხვა სახლებულ პუნქტებში განთავსებას. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ რუსეთის საოკუპაციო და აფხაზეთის მარიონეტულ რეჟიმებს შორის სხვადასხვა სამედიცინო ობიექტების ექსპლუატაციასთან დაკავშირებით გარკვეული უთანხმოებები არსებობს, აღნიშნულის ერთ-ერთ მაგალითს სანატორიუმის სოხუმის სანატორიუმის რეკონსტრუქციისთვის დაკეტვა წარმოადგენს. ყველა ამ ობიექტების გამოყენება რუსეთისა და აფხაზეთის ე.წ. „შეიარაღებული ძალების“ მიერ ერთობლივად იგეგმება, რის გამოც, ბაზის არენდის გადასახადი რუსეთის მხრიდან გათვალისწინებული არ არის. ბაზის ფუნქციონირების ვადად 49 წელი (შემდგომში 15-15 წლით ავტომატური გაგრძელების შესაძლებლობით) განისაზღვრა. სამხედრო მომზადებისთვის აფხაზეთში გუდაუთისა და ნაგვალოუს, ხოლო რუსეთის კრასნოდარის ოლქში მოლკინის სამხედრო პოლიგონები განიხილება.

სამხედრო ბაზის აგრესიულ ხასიათზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ სატანკო და მოტომსროლელი ქვედანაყოფებს 2016 წლიდან „დამრტყმელი“ ქვედანაყოფები ეწოდათ.

აფხაზეთში დისლოცირებული რუსეთის საოკუპაციო ძალების საერთო რაოდენობა 4000 სამხედრო მოსამსახურით განისაზღვრება. მე-7 ბაზის შეიარაღება მოიცავს 40 ტანკს T-90A; 120 ჯავშანმანქანას БТР-80A; 18 თვითმავალ ჰაუბიცას 2С3 «აკაცია»; 12 ყუმბარსატყორცს 2С12 «სანი»; 18 ზალპური ცეცხლის რეაქტიულ სისტემას БМ-21 «გრადი»; საბუქსირე ჰაუბიცებს Д-30, საჰაერო თავდაცვის საზენიტო-სარაკეტო კომპლექსს С-300.

2015 წლის 21 ნოემბერს ხელმოწერილი „ხელშეკრულების“ საფუძველზე შექმნილ იქნა რუსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ჯართა გაერთიანებული დაჯგუფება.

ე.წ. შეთანხმების თანახმად, გაერთიანებული დაჯგუფების მთავარი ამოცანა "შეიარაღებულ თავდასხმაზე ადეკვატური რეაგირება" იქნება.



რუსეთის დსთ-ის საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, ლეონიდ კალაშნიკოვის თქმით, დოკუმენტის რატიფიცირება რუსეთის ინტერესებს პასუხობს, ხელს უწყობს სახელმწიფო სუვერენიტეტის განმტკიცებას და მხარს უჭერს რუსეთის ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფას.

გაერთიანებულ დაჯგუფებაში შევიდა ოკუპირებულ აფხაზეთში დისლოცირებული რუსული სამხედრო ბაზა, ორი აფხაზური მოტომსროლელი ბატალიონი, საავიაციო ჯგუფები, საარტილერიო ჯგუფები და სპეცდანიშნულების ძალების ქვედანაყოფი. დაჯგუფებას კი რუსული საოკუპაციო ბაზის წარმომადგენელი უხელმძღვანელებს (ტაბულა, 2016)



## ძირითადი დასკვნები



2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, რუსეთის მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების შემდეგ, კრემლის პოლიტიკის მიზანია აფხაზეთში მიმდინარე შიდა პროცესებზე, მათ შორის თავდაცვის, საპოლიციო და დე ფაქტო საზღვრის დაცვის სფეროზე სრული კონტროლის დამყარება.

აფხაზეთში სამხედრო, საპოლიციო და დე ფაქტო საზღვრის დაცვის მიმართულებას რუსეთის ძალოვანი უწყებების წარმომადგენლები კურირებენ, რომელთა გავლენითაც ადგილობრივ დონეზე მნიშვნელოვანი საკადრო გადაწყვეტილებები მიიღება.

უსაფრთხოების სფეროში რუსეთის სულ უფრო მზარდი გავლენა აფხაური საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ნაწილის უკმაყოფილებას იწვევს, თუმცა 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ რეგიონში შექმნილი უსაფრთხოების გარემოს გათვალისწინებით, მათ ხელთ არსებული კრემლის პოლიტიკის საწინააღმდეგო ბერკეტები სუსტია და ნაკლებად ეფექტური.

აფხაზეთში რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის სასაზღვრო სამმართველოს საქმიანობა, რომელიც მასშტაბურ სამხედრო და სამოქალაქო ინფრასტრუქტურულ პროექტებს ახორციელებს საოკუპაციო ხაზის სიახლოვეს, ყოველდღე უქმნის საფრთხეს საქართველოს მოსახლეობას, განსაკუთრებით გალის რაიონში მცხოვრებ ქართულენოვან მოსახლეობას (კომახია, 2017).

## ნაწილი 10. პოლიტიკური ლიდერობისა და პოლიტიკური ელიტის ძირითადი თეორიები

**თავი 53. პოლიტიკური ლიდერობის გაგება და თეორიები. პოლიტიკური ლიდერობის ტიპოლოგიები. პოლიტიკური ლიდერის ფუნქციები**

პოლიტიკური ლიდერობა – ეს გახლავთ სახელისუფლებო ან რომელიმე პოლიტიკური ძალის ხელმძღვანელ პოზიციაზე მყოფი ერთი პირის ან პოლიტიკური ჯგუფის მიერ გავრცელებული ლეგიტიმური გავლენა მთელ საზოგადოებაზე ან მის ნაწილზე, ორგანიზაციაზე ან ჯგუფზე (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 223).

ლიდერობის სტრუქტურაში სამ მთავარ კომპონენტს გამოყოფენ: 1. ლიდერის ინდივიდუალური თვისებები; 2. რესურსები, რომელსაც იგი ფლობს; 3. სიტუაცია, რომელშიც ის მოქმედებს და რომელიც ზეგავლენას ახდენს გადაწყვეტილების მიღებაზე.

ლიდერობის თეორიის ახსნა მრავალი თეორიების მეშვეობით ხორციელდება.

*თვისებათა თეორია* ადამიანური ბუნების გამოვლენის საფუძველზე იქმნებოდა, რომელიც იდეალური ლიდერებისათვის – გმირებისათვისაა დამახასიათებელი. ამ თეორიის არსი მდგომარეობს იმაში, რომ გაანალიზებულ იქნეს ლიდერობის ფენომენი ადამიანისათვის დამახასიათებელი თვისებების მეშვეობით. თვისებათა შორის, რომელიც პოლიტიკური ლიდერობისათვისაა დამახასიათებელი, გამოყოფენ აზროვნებას, ძლიერ ნებასა და მიზანდასახულობას, ენერგიას, ორგანიზატორულ თვისებებს და განსაკუთრებით, თავის თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარს (Пугачев В.П. Соловьев А.И. 1997). დემოკრატიულ სახელმწიფოებში პოლიტიკური ლიდერობის განსაკუთრებულ თვისებებად ასევე განიხილავენ ფოტოგენურობას, გარეგნულ მიმზიდველობას, ადამიანებისათვის ნდობის ჩანერგვის შესაძლებლობას და ა.შ. თვისებების თეორიის განსახილველად ფართო კონკრეტული გამოკვლევები იქნა ჩატარებული. აღნიშნული თეორიის სკეპტიკოსებმა საფუძვლიანი ეჭვი შეიტანეს ამ კონცეფციის სისწორეში, რადგანაც გაირკვა, რომ ლიდერის ინდივიდუალური პიროვნების დეტალური ანალიზის პროცესში, აღნიშნული მიდგომა საერთო ჯამში თითქმის ზუსტად ემთხვევა ლიდერის ფსიქოლოგიურ და სოციალურ თავისებურებებს. გარდა ამისა, საქმიანობის ზოგიერთ სფეროში, პირველ რიგში კი სამეწარმეო მიმართულებით, მაღალი ინტელექტუალური და მორალური თვისებები ლიდერის პოზიციის დასაკავებლად, უმეტესწილად წინაღობის და არა წარმატების წინაპირობას წარმოადგენენ. ამასთანავე, ხშირ შემთხვევაში ადამიანთა გამომჩენილი თვისებები მრავალი წლის განმავლობაში, ან მთელი ცხოვრების განმავლობაში გამოყენებას ვერ პოულობენ. თუმცა, ეს არ ნიშნავს თვისებების თეორიის სრულ უარყოფას. ნათელია, რომ კონკურენციის

პირობებში, ხელმძღვანელი პოზიციის დაკავებას მნიშვნელოვანწილად გარკვეული სოციალური და ფსიქოლოგიური თვისებები განსაზღვრავს. თუმცა, ლიდერობის თეორიებზე საუბრისას მნიშვნელოვანია ყურადღება გამახვილებულ იქნეს ცალკეულ ისტორიულ ეპოქებზე, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოებში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე და კონკრეტულ სიტუაციებზე. ამასთანავე მრავალ, პირველ რიგში კი არადემოკრატიულ ქვეყნებში, პოლიტიკური ლიდერები ხდებიან უცნაური, არადემოკრატიული აზროვნების ადამიანები, რომელთა გარკვეული ნაწილი მოკლებულია რეალურ ინდივიდუალობას.

*ფაქტორულ-ანალიტიკური* კონცეფცია ერთმანეთისაგან განასხვავებს ლიდერის წმინდა ინდივიდუალურ და მისთვის დამახასიათებელი იმ ქცევის თვისებებს, რომლებიც გარკვეული პოლიტიკური მიზნების მიღწევას ემსახურება. ლიდერის ამ ორ თვისებას შორის შესაძლოა არსებითი განსხვავებები არსებობდეს.

ლიდერობის თეორიის ფარგლებში მოქცეული ფაქტორულ-ანალიტიკური კონცეფცია განიხილავს იმ მიზნებსა და ამოცანებს, რომლებიც გარკვეულ სიტუაციასთანაა დაკავშირებული. ლიდერის ინდივიდუალური თვისებებისა და მის წინაშე არსებული პოლიტიკური მიზნების გათვალისწინებით, განისაზღვრება მისი ქცევის სტილი, რომელიც მის “მეორე ბუნებას” გამოავლენს. ლიდერის ქცევის სტილი და მისი მიზნობრივი ორიენტაცია გარკვეულ სოციალურ ასპექტებს უკავშირდება.

*სიტუაციური კონცეფცია* ლიდერის გარკვეულ სოციალურ პირობებთან (რ. სტოგდლი, თ. ჰილტონი, ა. გოლდიერი და სხვ.) დამოკიდებულებას აანალიზებს. სიტუაციური მიდგომის პრინციპებიდან გამომდინარე, ლიდერის თვისებები შედარებით ხასიათს ატარებს. ერთ ადამიანს შეუძლია ლიდერის თვისებები მიტინგზე გამოამჟღავნოს, მეორეს – ყოველდღიური პოლიტიკურ-ორგანიზაციული მუშაობის პროცესში, მესამეს პიროვნებათშორისი ურთიერთობების ფარგლებში და ა.შ. საერთო ჯამში, ლიდერებისათვის დამახასიათებელია მიზანმიმართულება, ამა თუ ამოცანის გადაწყვეტისათვის პასუხისმგებლობის აღების მზადყოფნა, ასევე კომპეტენტურობა. სიტუაციური თეორია არ უარყოფს პიროვნების ინდივიდუალურ თვისებებს, თუმცა არ ახდენს მათ აბსოლუტიზირებას.

*კონსტიტუენტების თეორია* ლიდერობას განიხილავს როგორც განსაკუთრებული სახის ურთიერთობებს ხელმძღვანელსა და მის კონსტიტუენტებს შორის, რომლებიც ჯაჭვური ურთიერთკავშირის რგოლების სახით გვევლინებიან: კონსტიტუენტები – მიმდევრები – აქტივისტები - ლიდერი. თანამედროვე მეცნიერებაში ლიდერის კონსტიტუენტების წრე მეტად ფართო სპექტრში განიხილება, აღნიშნულ წრეში არა მხოლოდ პოლიტიკური აქტივისტები თუ მათი ნათლად გამოკვეთილი მიმდევრები მოიაზრებიან, არამედ მათი ამომრჩეველებიც, და

ასევე ყველა, ვინც მათთან ურთიერთქმედებს და მათზე გარკვეულ გავლენას ახორციელებს. კონსტიტუენტების ანალიზი მნიშვნელოვანწილად გვაძლევს იმის შესაძლებლობას, რომ გავიგოთ და ვიწინასწარმეტყველოთ ლიდერის პოლიტიკური ქცევა, რომელიც ხანდახან თავისი პოლიტიკური ჩვევების, სიმპატიებისა და ანტიპატიების საწინააღმდეგოდ მოქმედებს.

ლიდერობის *ფსიქოანალიტიკური* თეორია ამტკიცებს, რომ ლიდერობის საფუძველში დევს დათრგუნული ლიბიდო – უმეტესწილად სექსუალური ხასიათის “არაცნობიერის” მისწრაფებები. სუბლიმაციის პროცესში იგი გარკვეულ ქმედებებში, მათ შორის ლიდერობისაკენ სწრაფვაში ვლინდება.

ბევრ ადამიანში ხელმძღვანელობისაკენ სწრაფვა სუბიექტურ-კომპენსირებულ ფუნქციებს ასრულებს, რომელიც იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ დათრგუნულ ან გადაღახულ იქნეს სხვადასხვა სახის კომპლექსები, მათ შორის არასრულფასოვნების კომპლექსი და ა.შ. ფსიქოანალიტიკური სკოლის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ფრანკფურტის სკოლის მეცნიერებმა - ერის ფრომმა, თეოდორ ადორნომ და სხვებმა, რომლებმაც იმ პიროვნების ტიპი გამოავლინეს, რომელიც ავტორიტარიზმისაკენაა გადახრილი და ძალაუფლების მოპოვებას ესწრაფვის.

*ინტერაქტიული ანალიზი* ლიდერობის კომპლექსურ გამოკვლევას გვთავაზობს. ის ლიდერობის ოთხ ძირითად ასპექტს ითვალისწინებს: ამოცანები, რომელიც ლიდერმა უნდა შეასრულოს; ლიდერის კონსტიტუენტები; მათი ურთიერთობათა სისტემა; ლიდერისა და მისი კონსტიტუენტების ურთიერთქმედების მექანიზმები.

ლიდერობის ფენომენის გამოვლენის სხვადასხვა კლასიფიკაცია არსებობს. ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს ყველა ლიდერის კატეგორიზაცია რიგითი და გამოჩენილი ლიდერების მიხედვით. პირველები ისტორიაში მნიშვნელოვან კვალს არ ტოვებენ და მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენებზე ნაკლებად ზემოქმედებენ. ლიდერთა მეორე კატეგორიას პოლიტიკის საკუთარი ხედვა გააჩნია და მოცემული ლიდერები თავიანთი იმ მიზნების განხორციელებას ცდილობენ, რომლებსაც თან მოსდევს მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური ცვლილებები.

ხელმძღვანელსა და დაქვემდებარებულებს შორის ურთიერთობათა განსაზღვრის მიხედვით შეგვიძლია განვიხილოთ ლიდერთა ორი ძირითადი ტიპი, კერძოდ, ავტორიტარულ და დემოკრატიულ ლიდერთა ტიპი. ავტორიტარული ლიდერობა ურთიერთობათა ერთგვაროვან მიმართულებას გვთავაზობს, რომელიც სანქციების გატარებას, მუქარასა და ძალის გამოყენებაზეა დაფუძნებული. დემოკრატიული

ლიდერობა კი თავის მხრივ ხელმძღვანელის მიერ ჯგუფისა თუ ორგანიზაციის ყველა წევრთა ინტერესების გათვალისწინებას გულისხმობს.

ლიდერობის ერთ-ერთი კლასიკური ტიპოლოგია უკავშირდება მაქს ვებერის შრომებს, სადაც სხვა საკითხებთან ერთად ხელისუფლების ლიგიტიმაციის ძირითადი პრინციპებია განხილული. აღნიშნულ თვისებებთან შესაბამისად გამოყოფენ ლიდერთა შესაბამის ტიპებს: *ტრადიციული ტიპი* (ტომის ბელადები, მონარქები და სხვ.) – მათი ავტორიტეტი წეს-ჩვეულებებსა და ტრადიციებზეა დაფუძნებული. *რაციონალურ-ლეგალური* ტიპი: ამ ტიპს წარმოადგენენ ის ლიდერები, რომლებიც დემოკრატიული გზით არიან არჩეულები; და *ქარიზმატული* ტიპი: მასების აზრით აღნიშნული ლიდერები დაჯილდოებულები არიან განსაკუთრებული კეთილშობილებით, გამოჩენილი თვისებებით, ხელმძღვანელობის განსაკუთრებული შესაძლებლობებით (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 72).

საკანონმდებლო ნორმებთან დაკავშირების თვალსაზრისით ლიდერთა პირველ ჯგუფს მიეკუთვნებიან ის პოლიტიკური მოღვაწეები, რომელთა საქმიანობა კონკრეტულ ნორმებსა და კანონებს უკავშირდება. მაგალითად, მინისტრის თანამდებობაზე დანიშნვა კონკრეტულ საკონსტიტუციო თუ საპროცედურო ნორმებს უკავშირდება. ლიდერთა მეორე კატეგორიაში მოიაზრებიან ის ადამიანები, რომელთა ლიდერობის უფლებების აღიარება ხდება იმ კონკრეტული სოციალური ჯგუფის მხრიდან, რომელთა ინტერესებს ეს ლიდერი გამოხატავს.

ლიდერები შესაძლოა განიხილებოდნენ როგორც მმართველობაში მყოფ და ოპოზიციურ, ასევე დემოკრატიულ და ავტორიტარულ და ა.შ. ლიდერებად.

საქმიანობის ხასიათიდან გამომდინარე გამოყოფენ *სიტუაციურ* (რომლის წარმოდგენა კონკრეტული სიტუაციის ამოცანებით განისაზღვრება) და *უნივერსალურ* ლიდერებს (რომლის წარდგენაც საერთო კანონზომიერებებით პოლიტიკური ორგანიზაციის ფუნქციონირების პროცესში განისაზღვრება).

საქმიანობის ხასიათისა და მასშტაბების მიხედვით გამოყოფენ ლიდერთა სამ ძირითად დონეს: მცირე ჯგუფის ლიდერი, ორგანიზაციის ლიდერი, სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ლიდერი.

1. მცირე ჯგუფში ხელმძღვანელობის უფლებას აღნიშნულ გაერთიანებაში მყოფი ყველაზე ავტორიტეტული ადამიანი მოიპოვებს. ეს ძალაუფლება, რომელიც უშუალოდ ჯგუფის მიერ ერთობლივი საქმიანობის პროცესშია შეფასებული, მისი პირადი თვისებების საფუძველზე ფორმირდება. ამ შემთხვევაში შესაძლოა ლიდერის სამი ძირითადი კატეგორია იქნეს გამოყოფილი. საქმიანი ლიდერი, ინტელექტუალური ლიდერი და საზოგადოებასთან ურთიერთობების ლიდერი. საქმიანი ლიდერისათვის

დამახასიათებელია ორგანიზაციული თვისებები, პრაგმატიზმი. ინტელექტუალური ლიდერის ავტორიტეტი ეფუძნება მის სხვადასხვა შესაძლებლობებს, რთული ამოცანების გადაწყვეტისა და არასტანდარტული გადაწყვეტილებების გამონახვის უნარზე. მისი ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა ჯგუფის “ინტელექტუალური ცენტრის” ფუნქციის შესრულება. ურთიერთობათა ლიდერი თავის მხრივ მოწოდებულია საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში მიაღწიოს ურთიერთგაგებას სხვადასხვა სოციალური ჯგუფების წარმომადგენლებთან.

2. საზოგადოებრივი მოძრაობის, ორგანიზაციის, პარტიის ლიდერი, ეს გახლავთ ის პიროვნება, რომელსაც კონკრეტული სოციალური ჯგუფები უკავშირებენ მათი საკუთარი ინტერესების დაკმაყოფილების შესაძლებლობას. აღნიშნული ჯგუფის ლიდერები თავიანთი პირადი თვისებებიდან გამომდინარე საზოგადოებრივ აზრზე ახდენენ ზემოქმედებას. აღნიშნული ლიდერების პოლიტიკური ამბიციების არსებობის პარალელურად, ისინი ითვალისწინებენ იმ ფაქტორს, რომ მათი მხარდამჭერი ადამიანთა ჯგუფი მოლოდინის მდგომარეობაში იმყოფება: მასობრივი ცნობიერების განსაკუთრებული თვისებას ძლიერი ლიდერის არსებობის მოთხოვნილება წარმოადგენს. მხარდამჭერთა ჯგუფი ლიდერს აძლევს გარკვეულ ავანსს, რაც გარკვეული ნდობის ხარისხთან და პოლიტიკურ მხარდაჭერასთანაა დაკავშირებული.
3. სახელმწიფოსა და მთელი საზოგადოების ლიდერი – ეს გახლავთ ის პოლიტიკოსი, რომელიც მოდგაწეობს სახელისუფლებო ურთიერთობათა სისტემაში, რომელშიც პოლიტიკური ლიდერობა სოციალური ინსტიტუტის ფარგლებში გახლავთ წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში, პოლიტიკოსის საქმიანობა კონკრეტული პოლიტიკური კულტურისათვის დამახასიათებელი თვისებების მიხედვით განისაზღვრება.

ლასუელმა ლიდერთა ის კლასიფიკაცია შემოგვთავაზა, რომელთა საფუძველშიც ლიდერთა ქცევის გარკვეული მოდელისაკენ მიდრეკილებაა წარმოდგენილი. მან გამოყო ლიდერი-ავიტატორები, ლიდერი-ორგანიზატორები და ლიდერი-თეორეტიკოსები (Lasswell H.D. 1930).

*ლიდერი-ავიტატორები* სიტყვის ძალით, ორატორული ხელოვნებით, პირადი მაგალითით საზოგადოებაზე ზემოქმედების მოხდენას ანიჭებენ უპირატესობას.

*ლიდერი-ორგანიზატორები* უპირატესობას კადრებთან მუშაობას ანიჭებენ. მათ ყველაზე უფრო მეტად ორგანიზაციის პოტენციალის გამოყენების შესაძლებლობა იზიდავს, რომელიც თავიანთი გავლენის გაძლიერებისაკენ უნდა იყოს მიმართული.

ლიდერი-თეორეტიკოსები თავიანთ მომხრეებზე ინტელექტის ძალით ზემოქმედებენ.

რ. ტაკერი პოლიტიკური ლიდერების სამ ტიპს გამოყოფს: კონსერვატორები, რეფორმატორები და რევოლუციონერები (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 226).

კონსერვატორების პოზიცია საზოგადოების და პოლიტიკური სისტემის სტატუს-ქვოს შენარჩუნებაში მდგომარეობს. შესაბამისად, პოლიტიკური ლიდერის მთელი აქტიურობა, მისი პროგრამა და ყველა მისი ქმედება პოლიტიკური სისტემისა და საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის (რიგ შემთხვევებში მისი თანამედროვე სახით) შენარჩუნების აუცილებლობის ასხნაში გამოიხატება. პოლიტიკურ ლიდერთა მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ კონსერვატორული მიმართულების იდეებს იზიარებს.

რეფორმატორები საზოგადოებრივი წყობილების რადიკალური გარდაქმნისაკენ ესწრაფვიან, რაც პირველ რიგში სახელისუფლებო სტრუქტურების ფართომასშტაბიანი რეფორმირების სურვილში გამოიხატება. რეფორმატორებს მაგალითად მიეკუთვნებოდა რეფორმატორული მოძრაობის ცნობილი ორგანიზატორი მარტინ ლუთერ კინგი.

რევოლუციონერები თავიანთ მიზნად პრინციპიალურად ახალ საზოგადოებრივ სისტემაზე გადასვლას ისახავენ. ისტორია ცხადყოფს, რომ ამ შემთხვევაში პოლიტიკური რეჟიმის შეცვლის მშვიდობიანი გზა დიდ იშვიათობას წარმოადგენს.

ამერიკელი მკვლევარი მ. ჰერმანი ლიდერის ოთხ ძირითად თვისებას გამოყოფს: მედროშე (დიდი ადამიანი), პოლიტიკური ხელმძღვანელი (მსახური), მეწარმე და მეხანძრე (მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. 2000. გვ. 73).

ლიდერ-მედროშეს ის პოლიტიკური იდეალები გააჩნია, რომლებიც ფართო მასებისათვისაა მიმზიდველი. აღნიშნულ ლიდერს ძალუძს მასების თავის მხარეზე გადაბირება. ასეთი ტიპის პოლიტიკოსებს შეგვიძლია მივაკუთვნოთ მ. განდი, ჰომეინი, კასტრო.

ლიდერი - მსახური – მოქმედებს რა ამომრჩეველთა სახელით, ყოველთვის ცდილობს ამომრჩეველთა ინტერესების გამტარებლის როლში მოგვევლინოს. ლიდერი-მსახურის როლში ხშირ შემთხვევაში პარლამენტარები არიან წარმოდგენილნი.

ლიდერი - მეწარმე (ვაჭარი). მას არა მხოლოდ საკუთარი გეგმები და იდეები გააჩნია, არამედ მას შეუძლია წარმოდგენილ იქნეს ამომრჩეველების წინაშე ისეთ

როლში, რომ მისი “ყიდვის” საშუალება არსებობდეს. ასეთი ტიპის პოლიტიკური მოღვაწე ცდილობს დაარწმუნოს პოტენციური ამომრჩეველი თავისი პროგრამის მართებულობაში და ეცადოს, რათა მისი იდეები პრაქტიკაში იქნეს რეალიზებული.

*ლიდერი - მეხანძრე.* იგი ყოველთვის კონკრეტულ მომენტში არსებულ აქტუალურ საკითხებზე იღებს ორიენტაციას და მოსახლეობის მხრიდან მხარდაჭერას აღნიშნული პრობლემების გადაწყვეტის რადიკალური მიდგომის საშუალებით ესწრაფვის.

რეალურ ცხოვრებაში ასეთი ტიპები იშვიათად გვხვდებიან, საერთო ჯამში ისინი პოლიტიკურ ლიდერობის სხვადასხვა ტიპთან სხვადასხვა ხარისხის მეშვეობით ასოცირდებიან.

შესაძლებელია ლიდერის შემდეგი ფუნქციები იქნეს გამოყოფილი:

1. საზოგადოების ინტეგრაცია, მასების გაერთიანება. ლიდერი მოწოდებულია სხვა ქვეყნებთან ურთიერთობების პროცესში თავის თავში ეროვნულ ერთიანობას განასახიერებდეს. მისი მიზანია მოქალაქეთა საერთო მიზნებისა და ფასეულობების გარშემო გაერთიანება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ლიდერს საშუალება ეძლევა საკუთარ ხალხს ერის სამსახურის კარგი მაგალითი წარუდგინოს.
2. ოპტიმალური პოლიტიკური გადაწყვეტილებების პოვნა და მათი მიღება. მიუხედავად იმისა, რომ ლიდერები არ არიან დაზღვეულნი სხვადასხვა სახის შეცდომებისაგან და მათი მოქმედების ფორმები და საშუალებები ყოველთვის საუკეთესო არ გახლავთ, ისინი თავიანთი შესაძლებლობებიდან გამომდინარე ცდილობენ გამონახონ საზოგადოებრივი ამოცანების გადაწყვეტის ყველასათვის მისაღები გზა, რითაც მართლდება პოლიტიკურ ლიდერთა ყოფნა ხელმძღვანელ თანამდებობაზე.
3. პოლიტიკური ლიდერი არბიტრის როლსაც ასრულებს, რადგანაც, მისი ერთგვარი პატრონაჟით ხდება მოქალაქეთა დაცვა უკანონობისაგან, ბიუროკრატის თვითმარქვიობისაგან, აგრეთვე, სხვადასხვა დონის თანამდებობის პირთა მიერ ძალაუფლების გადამეტების მცდელობის შეზღუდვა, წესრიგისა და კანონიერების უზრუნველყოფა, დასჯისა და წახალისების კონტროლი.
4. მასებსა და ხელისუფლებას შორის კომუნიკაციის უზრუნველყოფა, პოლიტიკური კავშირების არსების გამარტივება და ამით მოქალაქეთა ხელისუფლებისაგან გაუცხოების აღმოფხვრა.



5. განახლების ინიცირება, სოციალური ენერჯისა და ოპტიმიზმის გენერირება, მასების პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისაკენ მობილიზაცია.
6. დიაგნოსტიკური ფუნქცია დაკავშირებულია დიაგნოზის დასმასთან, როდესაც ლიდერი შეისწავლის სიტუაციას, აფასებს მას, განსაზღვრავს ყველაზე უფრო მნიშვნელოვან პრობლემებს, გამორიცხავს ნეგატიურ ტენდენციებს და ადგენს, თუ რა და როგორი გზით უნდა იყოს გამოსწორებული.
7. წყობილების ლეგიტიმაცია. ეს ფუნქცია უმეტესწილად ტოტალიტარულ ან ავტორიტარულ საზოგადოებაში მოქმედი პოლიტიკური ლიდერებისათვისაა დამახასიათებელი. როდესაც პოლიტიკურ რეჟიმს არ ძალუძს მოახდინოს მისი არსებობის გამართლება არც ისტორიულ ტრადიციებზე დაყრდნობით, არც დემოკრატიული პროცედურების მეშვეობით, იგი იძულებულია თავისი გადარჩენის შესაძლებლობა ლიდერების განსაკუთრებულ თვისებებში იპოვოს. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს სხვადასხვა სახის პროპაგანდას, რომ ცალკეული ლიდერები ზებუნებრივი შესაძლებლობებით არიან დაჯილდოებულები და ამა თუ იმ დონეზე ხდება მათი გაღმერთებაც კი. შედეგად, ყალიბდება პიროვნების კულტი. ლეგიტიმაციის აღნიშნული ფორმის ნათელ მაგალითს წარმოადგენს სტალინის პიროვნების კულტი სსრკ-ში, მათ ძე დუნის ჩინეთში, კიმ ირ სენის ჩრდილოეთ კორეაში, ფიდელ კასტროსი კუბაზე და ა.შ.

**თავი 54. პოლიტიკური ელიტა. ელიტის არსი, სტრუქტურა და ფუნქციები**

პოლიტიკური ელიტის თეორიის ერთ-ერთ ფუძემდებლად იტალიელი მეცნიერი გ. მოსკა ითვლება. 1885 წელს მან გამოაქვეყნა სტატია სათაურით “პოლიტიკური მეცნიერების საფუძვლები” (მოგვიანებით აღნიშნულმა ნაშრომმა ახალი სახელი მოიპოვა: “მმართველი კლასი”), რომელშიც მან თავისი ახალი პოლიტიკური კონცეფცია ჩამოაყალიბა (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 230). ამ კონცეფციის შესაბამისად საზოგადოება ორ ძირითად კლასად იყოფა: მმართველთა და მართულთა კლასი. მიუხედავად იმისა, რომ მმართველი კლასი ფაქტიურად ყველა საზოგადოებაში უმცირესობას წარმოადგენს, იგი ძირითად პოლიტიკურ ფუნქციას ასრულებს, იგი ახორციელებს ხელისუფლების მონოპოლიზაციას და შესაბამისად, მოიპოვებს ყველა იმ უპირატესობას, რომელსაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე ყოფნა იძლევა. ამავე დროს, შეადგენს რა თითოეულ ქვეყანაში მოსახლეობის ძირითად მასას, მართულთა კლასი - ნაკლებად არის ორგანიზებული და მმართველი კლასის დაქვემდებარებაში იმყოფება, ხოლო თავის მხრივ მმართველი კლასის ბატონობა შეიძლება როგორც კანონიერ, ასევე ძალადობრივ ხასიათს ატარებდეს. მოსკას თავის ნაშრომებში ტერმინი “ელიტა” არ ჰქონდა გამოყენებული, ამის ნაცვლად

იგი იყენებდა ცნებას “მმართველთა კლასი” და “პოლიტიკური კლასი”. მოსკასთან პოლიტიკური (მმართველი) კლასისადმი კუთვნილება ისეთ ცნებებთან ასოცირდება, როგორებიცაა სიმდიდრე, წარმოშობა, საეკლესიო იერარქიასთან დამოკიდებულება, პიროვნული თვისებები, სამხედრო სიმამაცისა და მმართველობის ხელოვნების ფლობის უნარი და ა.შ. აღნიშნული მახასიათებლები მეცნიერის მიერ ისტორიული გამოცდილების საფუძველზე იქნა გამოყოფილი.

მეცნიერის აზრით, მმართველი უმცირესობის აუცილებელ თვისებებს, წარმოადგენს ორგანიზებულობა და არაორგანიზებულ უმრავლესობაზე სახელისუფლებო უფლებამოსილების ეფექტური განხორციელების ცოდნის უნარი. მოსკამ მმართველი კლასისადმი დამახასიათებელი ორი ტენდენცია გამოყო, უწოდა რა მათ არისტოკრატიული და დემოკრატიული.

არისტოკრატიული ტენდენცია გამოიხატება იმაში, რომ ხელისუფლებაში მყოფი ძალები ესწრაფვიან განამტკიცონ თავიანთი ბატონობა და ძალაუფლება მემკვიდრეობით გადასცენ. ამასთანავე, მოსკას აზრით, მმართველი კლასის “კრისტალიზაცია” შეიმჩნევა, რაც მმართველობის ფორმების გარკვეულ უძრაობაში გამოიხატება, რასაც მეცნიერი კონსერვატიზმს უწოდებს. მმართველ ფენაში მიმდინარე ცვლილებები მეტად ნელი ტემპით მიმდინარეობს.

დემოკრატიული ტენდენცია მხოლოდ მაშინ შეინიშნება, როდესაც საზოგადოებაში ცვლილებები პოლიტიკური ძალების ფარგლებში არსებული გადაადგილებების შესაბამისობაში მიმდინარეობს. მმართველი კლასის დაკომპლექტება მმართველობის ნიჭის მქონე საზოგადოების დაბალი ფენების ყველაზე უფრო აქტიური წარმომადგენლებით ხორციელდება. იმ ფაქტორების გათვალისწინებით, რომელთა მეშვეობითაც მმართველი კლასი საკუთარ თავს აძლიერებს და განაახლებს, მოსკა სამ ძირითად მეთოდს გამოყოფს: მემკვიდრეობითობა, არჩევანი და კოოპტაცია. თუ მმართველი ფენა პრაქტიკულად არ იცვლება, ხოლო ამავე დროს საზოგადოებაში ახალი მძლავრი პოლიტიკური ძალები მწიფდებიან, მაშინ ხელმძღვანელი ელიტის დაკომპლექტება ახალი მმართველი უმცირესობით იწყება. აღნიშნულ პროცესს ადგილი აქვს პოლიტიკური რევოლუციების შემდგომ პერიოდში, რომლის ძირითად მიმართულებას უნდა წარმოადგენდეს არაეფექტური, მოძველებული მმართველი კლასის შეცვლა ახალი, უფრო ეფექტური და სიცოცხლისუნარიანი კლასით.

ვ. პარეტო აქტიურად იყენებდა თვითონ ტერმინს “ელიტა” (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 231). მისი წარმოდგენით ელიტა - საზოგადოების რჩეულ ნაწილს წარმოადგენს, რომელსაც საზოგადოების ყველა დანარჩენი წევრებიც უნდა შეეწყონ. ელიტისადმი კუთვნილება ადამიანის პირადი ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური თვისებებითაა განპირობებული. მთლიანობაში ელიტა, პარეტოს აზრით, თვითკონტროლისა და

თვითშეკავების მაღალი ხარისხით გამოირჩევა. მას გააჩნია კონკრეტული საზოგადოების ძლიერი და სუსტი მხარეების შესაბამისი ცოდნა და აღნიშნული ცოდნის გამოყენებას საკუთარი ინტერესების შესაბამისად ახორციელებს. ამავე დროს, მასები პირიქით, თავისი ემოციების შეკავების უუნარობით გამოირჩევიან. მმართველი ელიტისათვის განსაკუთრებით ორი ძირითადი თვისების ფლობა აუცილებელია: დარწმუნების უნარი და ამით ადამიანის ემოციებით მანიპულირება, და ცოდნა იმისა, თუ საჭიროებისამებრ სად და როდის უნდა გამოიყენო ძალა. ასეთი თვისებების ფლობა ახასიათებს იმ ადამიანებს, რომელთაც პარეტომ მაკიაველის კვალდაკვალ უწოდა “მელიები”. მათში ჭარბობს ბაზისური ინსტინქტები, რომელსაც პარეტომ “კომბინაციის ხელოვნება” უწოდა, ანუ მათ გააჩნიათ ლავირების შესაძლებლობა, რათა არსებული სიტუაციიდან გამოსვლის მიზნით ყველანაირი შესაძლო ვარიანტი გამოიყენონ (Мухаев. Р.Т. Политология. 2009. стр. 219). მეორე ტიპის თვისებები დამახასიათებელია “ლომებისათვის”, ანუ გამბედავი, ხანდახან დაუნდობელი ადამიანებისათვისაც კი, რომლებიც ხშირად (ტოტალიტარული ან ავტორიტარული მმართველობის პირობებში) ძალადობის გამოყენების წინაშეც კი არ ჩერდებიან. სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში სხვადასხვა ტიპის მმართველ ელიტებზე სხვადასხვა მოთხოვნა არსებობდა. თუ ელიტა არ შეესაბამება დროის მოთხოვნებს, ის გარდაუვლად განიცდის დაცემას, ამიტომაც ისტორიას ვ. პარეტო “არისტოკრატის სასაფლაოს” უწოდებდა (Мухаев. Р.Т. 2009. стр. 219). პარეტოსთან ელიტების ცვლილებების მექანიზმი ანალოგიურია იმისა, რაზედაც წერდა მოსკა.

მოსკასა და პარეტოს იდეები ხშირ შემთხვევაში ერთმანეთს ემთხვევა და ერთობლიობაში ელიტის კლასიკურ კონცეფციას წარმოადგენს. აღნიშნული კონცეფციის ძირითადი თავისებურებები შემდეგში მდგომარეობს:

1. საზოგადოება ყოველთვის იყოფა პრივილიგირებულ, შემოქმედებით, მმართველ უმცირესობად და პასიურ, არაშემოქმედებით უმრავლესობად. საზოგადოების ასეთი დანაწილება კანონზომიერია და ადამიანის და საზოგადოების ბუნებითაა გამოწვეული;
2. ელიტა ფლობს განსაკუთრებულ ფსიქოლოგიურ თვისებებს; მისდამი კუთვნილება ბუნებრივად დაჯილდოებული და შესაბამისი აღზრდისა და განათლების მქონე ადამიანებისათვისაა დამახასიათებელი;
3. ელიტისათვის დამახასიათებელია ჯგუფური შეკავშირება; ის გაერთიანებულია სოციალური მდგომარეობის ერთობით, პროფესიონალური სტატუსით და ელიტარული თვითშეგნებით. მას თავის თავზე გააჩნია წარმოდგენა, რომ იგი გახლავთ განსაკუთრებული სოციალური ფენა, რომელიც მოწოდებულია უხელმძღვანელოს საზოგადოებას;

4. ელიტისათვის დამახასიათებელია ლეგიტიმურობა, ანუ მასების მიერ პოლიტიკურ ხელმძღვანელობაზე ელიტის უფლების გარკვეული აღიარება;
5. ხაზგასმულია ელიტის სახელისუფლებო ურთიერთობებში სტრუქტურული მუდმივობა. ანუ, ისტორიის განმავლობაში ელიტის პერსონალური შემადგენლობის ცვლილების შემთხვევაში, მისი გაბატონებული მდგომარეობა უცვლელი რჩება;
6. ელიტების შეცვლა ხელისუფლებისათვის ბრძოლის პროცესში მიმდინარეობს. გაბატონებული მდგომარეობის დაკავებას ცდილობენ ის ადამიანები, რომელთაც განსაკუთრებული ფსიქოლოგიური და სოციალური თვისებები გააჩნიათ, თუმცა ამავე დროს, პრივილიგირებული ფენის მაღალ სოციალურ მდგომარეობას მათ არავინ არ უთმობს. ამიტომაც, პრივილიგილებული მდგომარეობისათვის ფარული თუ ღია ბრძოლა აშკარა გარდაუვალობას წარმოადგენს.

პოლიტიკური ელიტის შემდგომი ანალიზისათვის საფუძვლად მისი შემდეგი განსაზღვრება უნდა მოვიშველიოთ. პოლიტიკური ელიტა – ეს გახლავთ რიცხობრივად შედარებით მცირე პრივილიგირებული ჯგუფი, რომელსაც აქტიური პოლიტიკური საქმიანობის საწარმოებლად შესაბამისი თვისებები გააჩნია და რომელიც ფლობს იმის შესაძლებლობას, რომ პირდაპირი ან ირიბი ზემოქმედება მოახდინოს გადაწყვეტილების მიღების ისეთ პროცესზე, რომელიც სახელმწიფო ხელისუფლების გამოყენებასთანაა დაკავშირებული (B.A. Ачкасова. В.А. Гуторова. 2005).

პოლიტიკურ ელიტას რთული სტრუქტურა გააჩნია და შინაგანად დიფერენცირებულია. სახელისუფლებო სტრუქტურებში მოქცეული პოლიტიკური ელიტის დანაწილების კრიტერიუმად სახელისუფლებო ფუნქციების რაოდენობა წარმოადგენს. ამ კრიტერიუმის მიხედვით განასხვავებენ უმაღლეს, საშუალო, ადმინისტრაციულ ელიტებს.

უმაღლესი პოლიტიკური ელიტა თავის თავში უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას მოიცავს და იმ ადამიანებს, ვისაც მაღალი თანამდებობები უკავია საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო შტოებში (პრეზიდენტი, მისი უშუალო გარემოცვა, პრემიერ-მინისტრი, პარლამენტის სპიკერი, სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელი პირები, წამყვანი პოლიტიკური პარტიებისა და ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოში წამყვანი პოლიტიკური ფრაქციების ლიდერები და ა.შ.). რაოდენობრივი თვალსაზრისით უმაღლეს პოლიტიკურ ელიტას საკმაოდ შეზღუდული წრე (100-200 ადამიანი) გააჩნია, თუმცა იგი იღებს მთელი საზოგადოებისათვის მეტად მნიშვნელოვან იმ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, რომლებიც მილიონობით ადამიანის ბედს ეხება.

პოლიტიკური ელიტის საშუალო ფენა არჩევითი თანამდებობის პირების ფართო რიცხვიდან კომპლექტდება: პარლამენტარები, სენატორები, ადგილობრივი თვითმმართველობის დეპუტატები, გუბერნატორები, მერები, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიების და საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობების ლიდერები, საარჩევნო ოლქების ხელმძღვანელები და ა.შ.

ადმინისტრაციული ელიტა (ბიუროკრატია) - ეს გახლავთ სახელმწიფო მოსამსახურეების უმაღლესი ფენა (ჩინოვნიკები), რომელთაც მაღალი თანამდებობები სამინისტროებში, დეპარტამენტებში და სახელმწიფო მმართველობის სხვადასხვა ორგანოებში უკავიათ.

განვიხილოთ პოლიტიკური ელიტის ფუნქციები:

1. სტრატეგიული ფუნქცია - საზოგადოების განვითარების სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა პოლიტიკური პროგრამის შემუშავებას უკავშირდება. იგი ახალი იდეების გენერირებაში გამოიხატება. აღნიშნული იდეები საზოგადოებრივი განვითარების სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრასა და რეფორმების კონცეფციის ფორმირებაში გამოიხატება. სრული მასშტაბით სტრატეგიული ფუნქცია შესაძლებელია მხოლოდ პოლიტიკური ელიტის უმაღლეს დონეზე იქნეს რეალიზებული. მოცემული სტრატეგიის განსაზღვრაში მონაწილეობენ პარლამენტარები, მინისტრთა კაბინეტის წევრები, ექსპერტები, მრჩეველები, პრეზიდენტის თანაშემწეები, სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტებისა და ანალიტიკური ცენტრების ხელმძღვანელები, წამყვანი მეცნიერები და ა.შ.
2. პოლიტიკური ელიტის საკომუნიკაციო ფუნქცია მმართველი ძალის მხრიდან სხვადასხვა სოციალურ ჯგუფებსა და მოსახლეობის სხვადასხვა ფენებთან ურთიერთობებს განსაზღვრავს. აღნიშნული ფუნქცია პოლიტიკურ პროგრამებში მოსახლეობის ინტერესთა და მოთხოვნილებების (პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რეგიონალური, პროფესიონალური და ა.შ.) გათვალისწინებასა და მათ პრაქტიკულ საქმიანობაში რეალიზაციას უზრუნველყოფს. კომუნიკაცია სხვადასხვა სოციალური თემის განწყობილებათა ცოდნას, საზოგადოებრივ აზრის ფარგლებში მომხდარ ცვლილებებზე პოლიტიკური ელიტის სწრაფ და ზუსტ რეაგირებას გულისხმობს. საკომუნიკაციო ფუნქციას ასევე მიეკუთვნება სოციალური მიზნების, იდეალებისა და ღირებულებების დაცვა (მშვიდობა, უსაფრთხოება, დასაქმება და ა.შ.).
3. ორგანიზატორული ფუნქცია საზოგადოების ორგანიზების აუცილებლობითაა განპირობებული. პოტენციურ პოლიტიკურ ელიტებს შორის (ჯგუფები, რომლებსაც ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია) ყველაზე უფრო ეფექტურ საქმიანობას ისინი აწარმოებენ, რომლებსაც მოსახლეობის მხრიდან თავიანთი პროგრამების მხარდაჭერის უზრუნველყოფა შეუძლიათ. პოლიტიკური ელიტის ორგანიზატორული ფუნქცია თავის თავში მოიაზრებს განსაზღვრული

პოლიტიკური კურსის პრაქტიკაში განხორციელებასა და პოლიტიკური გადაწყვეტილებების ცხოვრებაში გატარებას.

4. ინტეგრაციული ფუნქცია საზოგადოების სტაბილურობის განმტკიცებაში გამოიხატება. იგი გულისხმობს პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემების მდგრადობას, კონფლიქტების არდაშვებას, ანტაგონიზმის, პოლიტიკური სტრუქტურების დეფორმაციის და ა.შ. აღმოფხვრას. ამ ფუნქციის მნიშვნელოვან შემადგენელ ელემენტებს წარმოადგენენ: მოსახლეობის სხვადასხვა ფენების შეკავშირება, მათი სოციალური ინტერესების ჰარმონიზაცია, კონსენსუსის მიღწევა, საზოგადოებაში მოქმედი ყველა ძალის თანამშრომლობისა და მჭიდრო პოლიტიკური ურთიერთქმედების უზრუნველყოფა.

## ნაწილი 11. საერთაშორისო ურთიერთობების, მსოფლიო პოლიტიკის და ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი თავისებურებები

### თავი 55. ეროვნებათშორისი ურთიერთობები. თეორია და პრაქტიკა

როგორც ცალკეული ქვეყნების, ასევე მთლიანად მსოფლიო თანამეგობრობაში მიმდინარე მრავალი პოლიტიკური პროცესი თუ სხვა მოვლენა შეუძლებელია ახსნილ იქნეს ეროვნებათშორისი ურთიერთობების გათვალისწინებისა და მათი ანალიზის გარეშე. ტერმინ “ეროვნული ურთიერთობების” ფარგლებში ეთნიკურ წარმონაქმნებს შორის ურთიერთობათა მთელი სპექტრი განიხილება. ეროვნული პოლიტიკის სუბიექტად ეთნიკური ერთობა, ყველაზე ხშირად კი ერი გვევლინება. ეროვნული პოლიტიკის ობიექტად, მისი ფორმირების ბირთვის საზოგადოებრივი პრობლემების ის ერთობლიობა წარმოადგენს, რომელიც პოლიტიკურ გადაწყვეტილებას საჭიროებს (ე. ჰეიუდი. 2003. გვ. 182-183).

“ეთნიკური ერთობის” ქვეშ მოიაზრებიან განსაზღვრებული ტომები, ეროვნებები და ერები, ასევე ხალხთა ჯგუფები (მაგალითად, კავკასიელთა ეთნიკურ ერთობლიობას შეადგენენ ქართველები, აფხაზები, ჩეჩნები, ჩერქეზები და ა.შ.).

ეთნოსი - ეს გახლავთ ისტორიულად ჩამოყალიბებული ადამიანთა მყარი ერთობა, რომელიც ჩამოყალიბებულია გარკვეულ ტერიტორიაზე, რომელიც ფლობს საყოფაცხოვრებო კულტურის საერთო მახასიათებლებს და ასევე ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. კონკრეტულ ერს განსაზღვრული საკუთარი ცნობიერება გააჩნია, რითაც იგი გასხვავდება სხვა ერებსა თუ ეროვნებებში დამკვიდრებული კულტურული, სოციალური, პოლიტიკური და სხვ. მახასიათებლებისაგან.

ეთნოსის მყარ წარმონაქმნებს წარმოადგენენ:

1. ცხოვრების გარემო პირობები – აღნიშნული ჯგუფისათვის დამახასიათებელი ერთიანი მატერიალური, სოციალური და სულიერი კულტურა: ტექნოლოგიური თავისებურებები, სამეურნეო ურთიერთობათა საშუალებები, არქიტექტურა, ტანსაცმელი, ტრადიციული კერძები, კვების კულტურა, ცხოვრების წესი, ქცევათა სტერეოტიპები, მსოფლმხედველობა, საოჯახო ურთიერთობები, ფოლკლორი და ა.შ. ინდუსტრიული და პოსტ-ინდუსტრიული საზოგადოების პირობებში ადგილი აქვს კულტურის ინტერნაციონალიზაციას (მაგ: “ახალი თაობა ირჩევს პეპსის”). შესაბამისად, გლობალიზაციის პირობებში ერისათვის დამახასიათებელი ზემოაღნიშნული მაჩვენებლების მნიშვნელობა ეცემა.
2. სპეციფიური ფსიქოლოგიური ტიპი (“ეროვნული ხასიათი”), რომელიც ცალკეული ფსიქოლოგიური მახასიათებლებითაა წარმოდგენილი, რეალობის აღქმის განსაკუთრებულობასა და აღნიშნული ეთნოსის კოლექტიურ ქცევას

განასახიერებს, რაც გარემო პირობებითა და ეთნოსის კულტურული საფუძვლებითაა განპირობებული. ინდუსტრიალურ საზოგადოებაში, ეროვნებათშორისი ურთიერთობების განმტკიცების საფუძველზე, აღნიშნული ფაქტორის მნიშვნელობა ეცემა. ზემოაღნიშნულის ერთ-ერთ ძირითად მიზეზს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების გავლენა და საზოგადოების დიფერენციაციის გაღრმავება წარმოადგენს, რომლის შედეგადაც, ჩნდება გარკვეული არაეთნიკური ხასიათის ჯგუფური სტერეოტიპები, რაც ეთნიკური თავისებურებების გარკვეულ ასპექტებს ამცირებს.

3. ენის სპეციფიკა (მაგრამ არსებობს შემთხვევები, როდესაც ერთი და იგივე ენა შეიძლება მშობლიური იყოს სხვადასხვა ეთნოსებისათვის ან გვხვდება სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე ეთნოსებიც).
4. პიროვნების ეთნიკური თვითდენტიფიკაცია ხშირად, განვითარებული ინდუსტრიალური საზოგადოების პირობებში ხდება განმსაზღვრელი. ეთნიკური თვითდენტიფიკაციის ქვეშ პიროვნების მიერ კონკრეტული ეთნიკური ერთობისადმი კუთვნილების აღქმა იგულისხმება (ე. ჰეივუდი. 2003. გვ. 182-183).

ეთნიკური თვითდენტიფიკაცია პიროვნების მიერ იმ კულტურულ, ენობრივ, ფსიქოლოგიურ, ისტორიულ ასპექტებს ეფუძნება, რომლებიც კონკრეტული ეთნოსისთვისაა დამახასიათებელი და რომელსაც ინდივიდი თავისი ეთნიკური სოციალიზაციის პროცესში ითვისებს.

ეროვნება, როგორც ეთნოსების ისტორიულად ჩამოყალიბების საწყისი ეტაპი, აგრარული საზოგადოებების პირობებში ფორმირდებოდა და ეთნოსის მნიშვნელოვანი მახასიათებლები გააჩნდა. ეროვნებისათვის დამახასიათებელი იყო სხვადასხვა ტომობრივი გადმონაშთების, ენაში მრავალი დიალექტის არსებობა და ეროვნული დამწერლობის არარსებობა. მაგრამ, ამავე დროს, სწორედ ეროვნებისათვის იყო დამახასიათებელი ამდღეული თვითმყოფადობა და ეროვნული კულტურის არსებობა და ა.შ. (ე. ჰეივუდი. 2003. გვ. 182-183).

ეროვნების ფორმირების ფარგლებში, სახალხო მასების მიერ თავის კონკრეტულ ეთნიკურ ერთობასთან კუთვნილების, ანუ ეთნიკური თვითდენტიფიკაციის ხარისხი, მინიმალური რჩებოდა.

ინდუსტრიალური საზოგადოების ჩამოყალიბებასთან ერთად ფორმირდებოდა ეთნოსების თანამედროვე ფორმა – ერი. ერისათვის პირველ რიგში დამახასიათებელია ეთნიკური კონსოლიდაციის მაღალი დონე, ენისა და საკუთარი დამწერლობის ფორმირება, განვითარებული სულიერი ცხოვრება. ერის კიდევ ერთ თავისებურებას – ეროვნული თვითშეგნების მაღალი დონე, განსაკუთრებით ეროვნული თვითდენტიფიკაცია და მოცემული ეთნოსის სპეციფიკური ინტერესების



აღქმა წარმოადგენს. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შესაძლებელია გავაკეთოთ შემდეგი განსაზღვრება:

ერი – ეს გახლავთ ეთნოსის განვითარებული ისტორიული ფორმა, რომელიც პასუხობს ინდუსტრიული საზოგადოების სოციალურ პირობებს და რომელიც იმ პირობის შედარებით შეკრულ ჯგუფს წარმოადგენს, რომელიც საერთო თვითშეგნებით, კულტურული ერთიანობის, ფსიქოლოგიური ყაიდის, ენისა და ისტორიული წარსულის საფუძველზე ერთიანდება (ე. ჰეივუდი. 2003. გვ. 185).

ცალკეულ სახელმწიფოებში არსებული მრავალეთნიკური საზოგადოების ჩამოყალიბების პირობებში (შვეიცარია, ბელგია, ინდოეთი, ავსტრალია, აშშ, რუსეთის ფედერაცია და ა.შ.), საერთო სახელმწიფოში სხვადასხვა ეთნოსების ერთმანეთის გვერდიგვერდ ხანგრძლივი თანაარსებობის დროს, რომელიც სხვადასხვა ეკონომიკური, სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული ცხოვრების თავისებურებებთან იყო დაკავშირებული, ზეეროვნული ტიპის სახელმწიფოებრივი ერთობები ფორმირდებოდა. ამიტომაც, დღევანდელ ეტაპზე ჩვენ შეგვიძლია ვისაუბროთ შვეიცარიელი ან ამერიკელი ერის ან ხალხის შესახებ. მრავალეთნიკური ურთიერთობების ნიადაგზე შექმნილი ერთობებისათვის ეროვნებათშორისი ურთიერთობების ფარგლებში საერთო მიღებული ენის გამოყენებაა დამახასიათებელი. ასევე, აუცილებელია აღინიშნოს გარკვეული კულტურული თავისებურებების, მენტალიტეტის, ცხოვრებისა და საქმიანობის სფეროს და ასევე საერთო სახელმწიფოებრივი თვითშეგნების, კერძოდ, მკაფიო სახელმწიფოებრივი თვითიდენტიფიკაციის შესახებ.

დასავლურ პოლიტიკურ მეცნიერებაში გასული საუკუნის 60-იანი და 70-იან წლებიდან განსაკუთრებული სამეცნიერო მიმართულება – ეთნოპოლიტიკა ფორმირდება. მის საგნობრივ სფეროს ეთნოსებსა და პოლიტიკას შორის ურთიერთქმედება მიეკუთვნება, როდესაც საუბარი მიმდინარეობს ადამიანთა ეთნიკური ერთობების პოლიტიკურ საქციელსა და მთლიანად პოლიტიკის სფეროზე გავლენის შესახებ. ამ მიმართულების ფუძემდებლები, ამერიკელი მეცნიერები მ. პარენტი და ჯ. როტშილდი ამტკიცებდნენ, რომ ეთნოპოლიტიკა დაკავებულია ეთნიკურ თვითიდენტიფიკაციასა და პოლიტიკურ არჩევანს შორის ურთიერთკავშირის გამოვლენით (პარენტი), ხოლო ეთნოპოლიტიკის საგანი გახლავთ ეთნიკური სინამდვილის ამსახველი პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი (როტშილდი).

ეთნოპოლიტიკის საგნობრივი ველის ანალიზის პროცესში, უცხოელი ავტორები ეთნოპოლიტიკური ქცევის სხვადასხვა სუბიექტებს გამოყოფენ: პიროვნებას, ეთნიკურ ერთობებს და ჯგუფებს, ეთნოპოლიტიკურ ინსტიტუტებს (პარტიები, მოძრაობები, ასოციაციები და ა.შ.).

პიროვნულ დონეზე მნიშვნელოვან ამოცანად ითვლება ეთნოპოლიტიკური ქცევის ფარგლებში ადამიანის, როგორც აქტიურ პოლიტიკურ სუბიექტად წარმოდგენა, მისი განხილვა რიგით პოლიტიკურ ჯარისკაცად, რომელიც მზადაა იბრძოდეს თავისი ეთნიკური ჯგუფის ინტერესთა დაცვისათვის.

ეთნოსებისა და ეთნიკური ჯგუფების დონეზე მნიშვნელოვანია ისეთი საკითხების განხილვა, რომლებიც ეთნოსების პოლიტიკურ ქცევას უკავშირდება. სხვადასხვა ექსპერტი აღნიშნავს, რომ ეთნოსის პოლიტიკური ქცევა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული საზოგადოების ეთნიკურ სტრუქტურაზე და კონკრეტული ეთნიკური ჯგუფის სტატუსზე. ამავე დროს, განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ე.წ. პრობლემურ ეთნოსებს (რომელთაც კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში ავტონომიურობის შედარებით დაბალი ხარისხი გააჩნიათ). სწორედ ისინი წარმოადგენენ ყველაზე უფრო ხშირად ეთნიკური დაძაბულობისა და კონფლიქტების საფუძველს. მრავალი ეთნიკური პრობლემის გადაწყვეტა ხშირადაა დამოკიდებული სახელმწიფოს ტერიტორიულ მოწყობასა და საზოგადოების ეთნიკურ სტრუქტურაზე. ამ შემთხვევაში, მეტად მნიშვნელოვნად გვეჩვენება ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის ოპტიმალური ფორმის შერჩევა, პიროვნებისა და ხალხთა თვითგამორკვევის უფლებების საკითხის განხილვა.

ეთნოპოლიტიკური მოძრაობების და ქმედებების არსებით სუბიექტებად გვევლინებიან ეთნიკურ ნიადაგზე შექმნილი მოძრაობები და პარტიები (თუმცა ბევრ ქვეყანაში, მათ შორის საქართველოშიც, ეთნიკურ ნიადაგზე პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება აკრძალულია).

პოლიტოლოგიაში რამდენიმე კონცეფცია არსებობს, რომლებიც ანალიზებენ ეროვნებათშორის ურთიერთობებს, მათ ბუნებასა და პრინციპებს. თანამედროვე პირობებში, ყველა ისინი ხაზს უსვამენ ადამიანის ეთნიკური კუთვნილებისადმი უფლების პატივისცემის აუცილებლობას.

თანამედროვე პერიოდში, დასავლეთის ქვეყნების ეროვნებათშორისი ურთიერთობების თეორიებში “ეთნოპლურალიზმის” კონცეფცია დომინირებს.

ეთნოპლურალიზმი, როგორც პოლიტიკის პრინციპი, თითოეული მოქალაქის მიერ თავისი ეთნიკური თვითიდენტიფიკაციის უფლების აღიარებას გვთავაზობს, რომელიც თავის მხრივ, ხელს უწყობს თითოეული ეროვნების თვითმყოფადობის შენარჩუნებას. ამ შემთხვევაში, გათვლა კეთდება იმაზე, რომ არ მოხდეს ეთნიკური ჯგუფების ასიმილაცია ერთიან ორგანიზმში, არამედ ხელი უნდა შეეწყოს თითოეული ეთნიკური ჯგუფის თავისუფალ განვითარებას, რაც თავის მხრივ კონკრეტული სახელმწიფოს ფარგლებში ეროვნებებს შორის მშვიდობიან თანაარსებობას უზრუნველყოფს.

ეროვნებათშორისი ურთიერთობები შესაძლებელია ორ ძირითად ტიპად დაიყოს:

1. ეთნიკურ ერთობებსა და პოლიტიკურ ინსტიტუტებს (სახელმწიფო, პარტიები და მოძრაობები) შორის არსებული ურთიერთობები;
2. ურთიერთობები თვით ეთნიკურ ჯგუფებს შორის, რომელთაც პოლიტიკური ხასიათი გააჩნიათ.

პირველი ტიპი ხასიათდება იმით, რომ ამ შემთხვევაში ეთნოსის სურვილია პოლიტიკურ ხელისუფლებაზე ზემოქმედების მოხდენა. ამ შემთხვევაში, ეთნიკური ჯგუფი სახელმწიფოს წინაშე პოლიტიკურ-სამართლებრივი მოთხოვნის სახით გამოდის. ამ მოთხოვნის საფუძველზე ფუძნდება ეროვნული მოძრაობები, პარტიები, ეროვნული წარმომადგენლობის ინსტიტუტები. ამ სტრუქტურების მეშვეობით ეთნოსის პოლიტიკური ნება ყალიბდება, რომელიც შემდგომში პროგრამებსა და ლოზუნგებში გვევლინება.

ხელისუფლების გარშემო პოლიტიკურ ინტერესთა კონცენტრაცია, თვითგამორკვევის იდეები და ა.შ. ხაზს უსვამს ეროვნული ერთობის როგორც პოლიტიკის სუბიექტის მნიშვნელობას. ამ ურთიერთობათა ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენენ შემდეგი ურთიერთობები: ერების მიერ წარმოებული ეროვნულ - განმათავისუფლებელი ბრძოლა, სახელმწიფოებრივი თვითმყოფადობისათვის ბრძოლა და ა.შ.

მეორე ტიპის ურთიერთობებში სამი ძირითადი სახეობა გამოიყოფა:

1. მსხვილ ეროვნულ წარმონაქმნსა და იმ სხვა ეთნოსს შორის ურთიერთობა, რომელიც რაოდენობრივად პირველზე ნაკლებია (ეროვნული უმცირესობის პრობლემა);
2. მმართველ და მორჩილ ერებს შორის (მაგალითად რუსეთში რუსები და არარუსი ერები და ა.შ.) ურთიერთობა;
3. რაოდენობრივი და სოციალ-პოლიტიკური მდგომარეობით თანასწორ ხალხებს შორის ერთიანი სახელმწიფოს ფარგლებში არსებული ურთიერთობა (მაგალითად, ბელგიაში ფრანკოფონებსა და ფლამანდრიელებს შორის ურთიერთობა).

ეროვნებათშორისი ურთიერთობების პოლიტიკური დარეგულირების პროცესში უნდა გათვალისწინებულ იქნეს შემდეგი პრინციპები:

1. თითოეული ეთნიკური ერთობის უფლება პოლიტიკურ ავტონომიაზე და დამოუკიდებელ კულტურულ და სულიერ განვითარებაზე;
2. შიდა საქმეებში ჩაურევლობა;

3. ეროვნებათშორისი ურთიერთობათა პროცესში თანასწორობის პრინციპის უზრუნველყოფა;
4. მხარეთა ინტერესების პატივისცემის საფუძველზე ყველა ეროვნებათშორისი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარება.

ეროვნებათშორისი ურთიერთობების განხილვის ფარგლებში, მრავალეროვნულ სახელმწიფოებში სტაბილურობის მნიშვნელოვან ფაქტორად (და ასეთი სახელმწიფოები მსოფლიოში უმრავლესობას წარმოადგენენ) მათი შიდა ადმინისტრაციული მოწყობის ეროვნულ-ტერიტორიალური პრინციპი გვეკლინება.

ეროვნებათშორისი პოლიტიკური ურთიერთობების პრობლემის განხილვისას, არ შეიძლება შეუშინეველი არ დარჩეს მათი განვითარების ორი დამოუკიდებელი ტენდენცია, რომელიც თავის მხრივ მთელი კაცობრიობის პროგრესს განსაზღვრავს. ეს გახლავთ ერთის მხრივ, სუვერენული სახელმწიფოს ფორმირებისა და განვითარების ტენდენცია და მეორეს მხრივ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროს ინტერნაციონალიზაციისკენ მიმართული ტენდენცია, როდესაც საუბარი მიმდინარეობს ეროვნული საზღვრების გაუქმებაზე და გლობალიზაციის პროცესის ფარგლებში ურთიერთთანამშრომლობის განვითარებაზე და ა.შ. პირველი ტენდენცია თავს იჩენს ინდუსტრიალიზაციისა და ერების ფორმირების პროცესში. მოგვიანებით, საზოგადოებრივი ცხოვრების ინტერნაციონალიზაციის აუცილებლობასთან ერთად (პირველ რიგში საუბარია ერებსა და ქვეყნებს შორის ეკონომიკურ თანამშრომლობაზე), პირველმა ტენდენციამ ადგილი მეორეს - ინტეგრაციულ პროცესებს დაუთმო. ინტეგრაციული ტენდენციების განვითარების განსახიერებას წარმოადგენს კოლონიური იმპერიების არსებობა, რომელთა დაშლის ძირითადი მიზეზი გახდა დაპყრობილი ხალხების ტერიტორიებზე საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში პირველი ტენდენციის განვითარება. შეიძლება აღინიშნოს, რომ დღევანდელ დღეს მსოფლიო მასშტაბით ინტეგრაციული პროცესები ძალზედ სწრაფი ტემპით ვითარდება.

**თავი 56. საერთაშორისო ურთიერთობები: განსაზღვრება, თავისებურებანი, ძირითადი პრინციპები**

საერთაშორისო პოლიტიკური ურთიერთობები – ეს გახლავთ ქვეყნებს შორის, ასევე სახელმწიფოებრივ და ზესახელმწიფოებრივ ინტერესთა ურთიერთქმედება, მათი დაცვისა და რეალიზაციის პრინციპი (ა. რონდელი. 2003. გვ. 5). კონკრეტული ქვეყნის ხელისუფლება საერთაშორისო ურთიერთობათა და პოლიტიკური პროცესების ძირითად სუბიექტს წარმოადგენს. ქვეყნის შიდა პოლიტიკის ფორმირებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუტებისაგან განსხვავებით, საგარეო პოლიტიკურ ასპარეზზე მოქმედი სახელისუფლებო სტრუქტურები საერთაშორისო საზოგადოების ფარგლებში იცავს ქვეყნის

ინტერესებს. ეს გახლავთ ის ინსტიტუტი, რომელიც ეყრდნობა დიპლომატიურ, აგრეთვე სამხედრო, ეკონომიკურ, სოციალურ, ინფორმაციულ და ბოლოს იდეოლოგიურ პოტენციალს და რომელსაც ძალუძს გავლენა მოახდინოს საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში მონაწილე სახელმწიფოთა პოლიტიკურ ქცევაზე, რათა დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად მიაღწიოს კონკრეტულ შეთანხმებას უცხო ქვეყნების ხელისუფლებებთან ან კონკრეტული საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელობასთან, რაც საბოლოო ჯამში მიღებულ გადაწყვეტილებებში უნდა იყოს ასახული. თავის მხრივ, რაც შეეხება საერთაშორისო ორგანიზაციას, მისი ლეგიტიმურობა შეიძლება განისაზღვროს იმ შემთხვევაში, თუ იგი ეყრდნობა საერთაშორისო საზოგადოების მიერ მიღებულ ნორმებსა (საერთაშორისო კონვენციები და ჩვეულებები) და ინსტიტუტებს. თავის მხრივ, საერთაშორისო ნორმებში ასახულია მნიშვნელოვანი ტრადიციები, რომლებიც ასახავენ ხალხთა შორის ურთიერთობებს, მსოფლიო ცივილიზაციის დონესა და ზოგადსაკაცობრიო მორალს. დღევანდელ ცხოვრებაში, ლეგიტიმურობის ფაქტორის ფარგლებში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს იდეოლოგია და რელიგიური მსოფლმხედველობა, რომლებიც უფრო ნათლად ხსნიან სახელმწიფოთა მიერ თავიანთი მიზნების მიღწევის ამა თუ იმ მეთოდებს (Joshua S. Goldstein. Jon C. Pevehouse. 2010. P. 4-5).

საერთაშორისო თანამეგობრობის ფარგლებში მოქმედი ინსტიტუტები – ესენი გახლავთ საერთაშორისო სახელმწიფოთაშორისი და სამთავრობო, ასევე სხვადასხვა არასამთავრობო, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციები, რომლებსაც თავიანთი საერთაშორისო სტატუსიდან გამომდინარე ძალუძთ მიიღონ საერთაშორისო საზოგადოების ყველა წევრისათვის სავალდებულო (მაგ: გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციები) ან სარეკომენდაციო (მაგ: გაეროს გენერალური ასამბლეის და ევროპარლამენტის რეზოლუციები).

ნებისმიერი ქვეყნის ხელისუფლება, რომელიც საერთაშორისო პოლიტიკის ფარგლებში ძალის გამოყენების მეთოდს გვთავაზობს, საერთაშორისო სამართლის პრინციპებიდან გამომდინარე შეზღუდულია აღნიშნული მეთოდის გამოყენების შესაძლებლობებში, რადგან დღევანდელ საერთაშორისო სამართალში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფარგლებში სამხედრო ძალით პრობლემის გადაწყვეტა ეწინააღმდეგება სახელმწიფო სუვერენიტეტის, ასევე საერთაშორისო საზოგადოების ფარგლებში მიღებულ სხვა ძირითად ნორმებს.

საერთაშორისო პროცესები, ასევე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობები ხშირ შემთხვევაში (სამწუხაროდ არა ყოველთვის) საერთაშორისო სამართლებრივი – იმ იურიდიულ ნორმათა სისტემით რეგულირდება, რომელიც სახელმწიფოთა ნების შესაბამისადაა შექმნილი. აღნიშნული მიმართულებით, ძირითად სამართლებრივ

დოკუმენტს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება წარმოადგენს. გარდა ამისა, საერთაშორისო სამართლის წყაროებს წარმოადგენენ საერთაშორისო კონვენციები და საერთაშორისო ჩვეულებები - როგორც საყოველთაოდ აღიარებული პრაქტიკული ღირებულებები, რომელიც საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ სამართლებივ ნორმადაა აღიარებული. საერთო ჯამში, საქმე გვაქვს სამართლის იმ საერთო პრინციპებთან, რომლებიც ცივილიზებული ქვეყნებისა და საზოგადოების მიერაა აღიარებული. საერთაშორისო-სამართლებრივი ნორმები არსებითად განსხვავდებიან შიდასახელმწიფოებრივ სამართალში არსებული ნორმებისაგან: საერთაშორისო სამართალში არ არსებობს აღმასრულებელი და სასამართლო ხელისუფლების იმ სპეციალურ ორგანოთა სისტემა, რომელთა გადაწყვეტილება სახელმწიფოებისათვის - საერთაშორისო სამართლის სუბიექტებისათვის სავალდებულო ხასიათის იქნებოდა. ამავე დროს, ცალკეული ნორმები ითვალისწინებენ სანქციებს, რომელთა მიღება და პრაქტიკაში გატარება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ ცალკეული სახელმწიფო არღვევს საერთაშორისო სამართლის დაწესებულ ნორმებს. აღნიშნული სანქციები ითვალისწინებს საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ შემუშავებული სამართლებრივი ნორმების - პირველ რიგში კი გაეროს წესდების ფარგლებში - საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ცალკეული ქვეყნისა ან კონფლიქტში მონაწილე რომელიმე მხარის მიმართ შეთანხმებული იძულებითი ღონისძიებების გატარებას (P. Viotti, M. Kauppi. 2012. 5-8).

საერთაშორისო ურთიერთობების მთავარ თავისებურებას მასში მმართველობის ცენტრალური ბირთვის არარსებობა წარმოადგენს. ქვეყნებს შორის ურთიერთობები პოლიცენტრიზმისა და პოლიიერარქიის პრინციპს ეფუძნება. საერთაშორისო ურთიერთობები წარმოგვიდგება იმ სფეროდ, რომელშიც ერთმანეთს ეჯახება და სხვადასხვა დონეზე (გლობალური, რეგიონალური, მრავალმხრივი, ორმხრივი და სხვ.) სხვადასხვა ძალები ერთმანეთთან ურთიერთქმედებს, მათ შორის: სახელმწიფოებრივი, სამხედრო, ეკონომიკური, პოლიტიკური, საზოგადოებრივი და ინტელექტუალური ძალები მოიაზრება.

საერთაშორისო ურთიერთობების განხილვის პროცესში, შესაძლებელია აღნიშნულ ურთიერთობათა ორი ტიპი გამოვყოთ: მეტოქეობა და თანამშრომლობა.

თავის მხრივ, კლასობრივი კრიტერიუმების ფარგლებში, დიდი ხნის განმავლობაში საერთაშორისო ურთიერთობები მმართველ და მართულ (ბრძანებლისა და დაქვემდებარებულის) კლასებს შორის ურთიერთობების კონტექსტში განიხილებოდა, სადაც საუბარი იყო ფეოდალურ და კაპიტალისტურ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციებზე, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემის ფარგლებში, აგრეთვე ორ სისტემას შორის ერთმანეთთან არსებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ, სამხედრო და სხვა ხასიათის

დაპირისპირებაზე, აგრეთვე დღევანდელ დღეს არსებულ იმ კონფლიქტურ ვითარებაზე, რომელსაც ადგილი აქვს მსოფლიოს განვითარებულ (გლობალური ჩრდილოეთი) და განვითარებად (გლობალური სამხრეთი) ქვეყნებს შორის. საერთო კრიტერიუმებიდან გამომდინარე, გამოიყოფა ორი ძირითადი ტიპი: ურთიერთობები - დამყარებული ძალთა ბალანსზე, და ურთიერთობები - დამყარებული ინტერესთა ბალანსზე.

საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულეებს შორის შემდეგი ძირითადი ასპექტები განიხილება:

1. საზოგადოებრივი ცხოვრების სფეროსა და ურთიერთობათა შინაარსის მიხედვით – პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო-სტრატეგიული, კულტურული, იდეოლოგიური და დიპლომატიური;
2. მონაწილეთა ურთიერთქმედების მიხედვით – სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, აგრეთვე სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ტრანსნაციონალურ კორპორაციებს და ა.შ. შორის თანამშრომლობა (ან კონკურენცია);
3. ურთიერთობათა ხასიათიდან გამომდინარე (სამართლებრივი რეგულირების ხასიათი) – როგორც სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, ასევე არასახელმწიფო ხასიათის სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები, შიდასახელმწიფოებრივი ურთიერთობები, რომლებიც თავისი არსით სახელმწიფოს შიდა კომპეტენციას მიეკუთვნებიან და რომლებიც საერთაშორისო-სამართლებრივი რეგულირების სფეროში (საერთაშორისო კერძო სამართალი) არიან ჩართულნი.

საერთაშორისო ურთიერთობებში არსებული მდგომარეობა დაძაბულობის ხარისხის მიხედვითაც განისაზღვრება: სტაბილურობა-არასტაბილურობა, ნდობა-მტრობა, თანამშრომლობა-კონფლიქტი და ა.შ.

საერთაშორისო ურთიერთობები, როგორც ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთშეხების ერთობლიობა, საერთაშორისო არენაზე ჰპოვებს თავის რეალიზაციას. ამ შემთხვევაში, საერთაშორისო ურთიერთობათა საგანს წარმოადგენს კონკრეტული პოლიტიკური მოვლენები, პროცესები და ა.შ. ანუ ყველაფერი ის, რის გამოც ადგილი აქვს სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედებას, მათ შორის, ომისა და მშვიდობის საკითხები, სახელმწიფოთაშორისი კავშირების დამყარება, კოალიციათა შექმნა, საერთაშორისო ხელშეკრულებების ხელმოწერა და ა.შ.

საერთაშორისო, ან იგივე მსოფლიო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობათა ბირთვს წარმოადგენს.

საერთაშორისო პოლიტიკას იმ გადაწყვეტილებათა შემუშავების, მიღებისა და რეალიზაციის ერთობლიობას უწოდებენ, რომელიც საერთაშორისო საზოგადოების ცხოვრებას ეხება. თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში ბევრი სხვადასხვა მონაწილე არსებობს და მოქმედებს.

საერთაშორისო ურთიერთობების სუბიექტი დამოუკიდებელ და აქტიურ საგარეო პოლიტიკას ახორციელებს. ზემოქმედებს რა საერთაშორისო ცხოვრებაზე, დიდი სახელმწიფო საერთაშორისო ასპარეზზე მოქმედ შედარებით უფრო სუსტ მონაწილეებს აიძულებს, რათა ამ უკანასკნელებმა განახორციელონ ესა თუ ის ქმედება. აღნიშნული გზით, უფრო ძლიერი სახელმწიფო ხშირად ცდილობს შედარებით პატარა სახელმწიფოს თავისი პოლიტიკის ორბიტაში მოქცევას. საერთაშორისო პოლიტიკაზე ზემოქმედების მოხდენის შესაძლებლობების, ასევე ტერიტორიის სიდიდის, სამხედრო თუ ეკონომიკური ძლიერების მიხედვით შემდეგი სახელმწიფოები გამოიყოფიან:

ზესახელმწიფოები (სუპერსახელმწიფოები) – სახელმწიფოები, რომლებიც ყველა რესურსს (ადამიანური, ეკონომიკური, დიპლომატიური, გეოგრაფიული, სამხედრო) ფლობენ ისეთი რაოდენობით, რომლებიც მათ საერთაშორისო სისტემაზე დაყველა მის წევრზე ზემოქმედების მნიშვნელოვან შესაძლებლობებს აძლევენ. საერთაშორისო პოლიტიკაში ასეთი გლობალური “ძალების ცენტრებად” “ცივი ომის” პერიოდში აშშ და სსრკ მოიაზრებოდნენ;

დიდი სახელმწიფოები, რომლებიც არსებით გავლენას ახდენენ საერთაშორისო პოლიტიკაზე, მაგრამ საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში ისინი ვერ დომინირებენ. რეალური ვითარება მათ როლს გარკვეული რეგიონითა და საერთაშორისო ურთიერთობათა ცალკეული სფეროთი შემოსაზღვრავს. მათზე არ არის დამოკიდებული გლობალური პრობლემების გადაწყვეტა. ასეთი სახელმწიფოები შესაძლოა იყვნენ რეგიონალური “ძალის ცენტრები”, “კვაზიზესახელმწიფოები” (თანამედროვე პირობებში – დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, რუსეთი, თურქეთი და ა.შ.);

საშუალო სახელმწიფოები, რომლებიც საერთაშორისო ურთიერთობებზე შედარებით სუსტად ზემოქმედებენ, მაგრამ რომლებსაც თავიანთი დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებისათვის საკმარისი შესაძლებლობები გააჩნიათ და ეკონომიკური თვალსაზრისით საკმაოდ ძლიერებიც არიან (მაგ: ნიდერლანდები და სხვ.);

მიკროსახელმწიფოები (აქ კრიტერიუმებად გამოიყენება ტერიტორიის სიდიდე, მოსახლეობის რაოდენობა 1 მლნ. ადამიანი ან ნაკლები და ა.შ.). ასეთ ქვეყნებად



მოიაზრებიან ლიპტენშტაინი, სან-მარინო და სხვ. (Peter J. Teylor. Colin Flint. 2000. 172-173).

ამავე დროს, დღევანდელ ეტაპზე საერთაშორისო ურთიერთობათა მონაწილეების გაფართოების ტენდენცია არსებობს. საერთაშორისო ურთიერთობების ფარგლებში სულ უფრო მნიშვნელოვანი სუბიექტები ხდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები, რომლებიც თავის მხრივ იყოფიან სახელმწიფოთაშორისო, სამთავრობათშორისო და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებად.

სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციები სახელმწიფოთა სტაბილურ გაერთიანებებს წარმოადგენენ, რომლებიც საერთაშორისო შეთანხმებებს ეფუძნებიან და რომლებსაც საერთაშორისო პოლიტიკის კონკრეტულ სფეროში მოქმედების შესაბამისი კომპეტენცია და მუდმივი ორგანოები გააჩნიათ. საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოთაშორისი ორგანიზაციების საქმიანობის სირთულემ, ასევე საერთაშორისო ცხოვრების რეგულირების მოთხოვნილებამ და ა.შ. საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების შექმნამდე მიგვიყვანა. არასამთავრობო ორგანიზაციებს კიდევ უფრო რთული სტრუქტურა გააჩნიათ, ვიდრე სახელმწიფოთაშორის ორგანიზაციებს. ისინი შეიძლება წარმოადგენდნენ წმინდა არასამთავრობო ორგანიზაციებს ან შესაძლოა მათ შერეული სტრუქტურა გააჩნდეთ, ანუ მათ საქმიანობაში ჩართულნი იყვნენ სამთავრობო სტრუქტურებიც და საზოგადოებრივი ორგანიზაციებიც, აგრეთვე ინდივიდუალური წევრებიც კი.

საერთაშორისო ორგანიზაციების რიცხვი მუდმივად მატულობს. საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობა საერთაშორისო ურთიერთობათა სხვადასხვა სფეროს მოიცავს. ისინი იქმნებიან ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, სამართლებრივ და სხვა სფეროებში თანამშრომლობის სურვილის საფუძველზე და თითოეულ მათგანს გარკვეული თავისებურებანი და სპეციფიკა გააჩნია.

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ყველაზე მნიშვნელოვან როლს გაერთიანებული ერების ორგანიზაცია თამაშობს. იგი პრაქტიკულად გახდა ის პირველი საერთაშორისო მექანიზმი, რომელიც სხვადასხვა სახელმწიფოთა შორის ფართო ურთიერთთანამშრომლობის სფეროში - საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, ყველა ხალხს შორის ეკონომიკური და სოციალური პროგრესის მისაღწევად მოღვაწეობს.

1945 წლის 24 ოქტომბერს შექმნილი გაერო საერთაშორისო სისტემის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა. მისი წევრების რაოდენობა 193-ს შეადგენს, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აღნიშნულმა ორგანიზაციამ (რომლის რიგებშიც თავდაპირველად 50 ქვეყანა გაწევრიანდა) პრაქტიკულად სრულ უნივერსალობას მიაღწია. აქედან

გამომდინარე, გაეროს ყურადღების მიღმა არ რჩება არც ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო მოვლენა (ვ. ქარუმიძე, 2004. გვ. 60-61).

გაეროს ფარგლებში სხვადასხვა ორგანიზაცია თუ პროგრამა შეიქმნა. მაგალითად, გაეროს ფარგლებში ჩამოყალიბებულ პროგრამებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP) და ა.შ. ხოლო გაეროს სპეციალიზირებულ დაწესებულებებს შორის შეგვიძლია გამოვყოთ საერთაშორისო სავალუტო ფონდი, იუნესკო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია, მსოფლიო ბანკის ჯგუფი, მსოფლიო მეტეოროლოგიური ორგანიზაცია, შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია, სამოქალაქო ავიაციის საერთაშორისო ორგანიზაცია და ა.შ.

საერთაშორისო არენაზე მნიშვნელოვანი გავლენით აგრეთვე საერთაშორისო მონოპოლიები და ტრანსნაციონალური კორპორაციები (ტნკ) სარგებლობენ. მათ მიეკუთვნებიან ის საწარმოები, დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთა მიზანს კომერციული მოგების მიღება წარმოადგენს და რომლებიც სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე თავისი ფილიალების მეშვეობით ეწევიან თავიანთ საქმიანობას. უმსხვილესი ტნკ-ები ფლობენ უზარმაზარ ეკონომიკურ და ფინანსურ, ასევე ადამიანურ რესურსს, რაც მათ მნიშვნელოვან უპირატესობას ანიჭებს არა მხოლოდ მცირე, არამედ მსხვილი სახელმწიფოების წინაშეც.

საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან სუბიექტებად რელიგიური ორგანიზაციები გვევლინებიან.

საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც სისტემის გაგება შეუძლებელია ისეთ სფეროსთან ურთიერთქმედების გარეშე, როგორცაა საგარეო პოლიტიკა. საბოლოო ჯამში, პირველ რიგში, საერთაშორისო ურთიერთობები სახელმწიფოთა მიერ საგარეო პოლიტიკური საქმიანობის წარმოების შედეგად ფორმირდება, რადგანაც სწორედ სახელმწიფოები წარმოადგენენ საერთაშორისო ურთიერთობათა მთავარ მონაწილეებს, სადაც ისინი დამოუკიდებელი სუბიექტების რანგში გვევლინებიან. ასევე, უმნიშვნელოვანესია ცალკეული ქვეყნების საერთაშორისო ასპარეზზე მონაწილეობის როგორც სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციების წევრების რანგში განხილვა.

**თავი 57. საერთაშორისო ურთიერთობათა ძირითადი თეორიები. საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების თანამედროვე ტენდენციები**

საერთაშორისო ურთიერთობათა სამეცნიერო დასაბუთების გზა იმ საერთო მეთოდოლოგიურ თეორიებთანაა დაკავშირებული, რომლებიც ამ ურთიერთობათა სამეცნიერო ანალიზისა და ძირითადი პრინციპების ფორმულირებისათვის არიან მოწოდებულები.

საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის პროცესში, კლასიკური (ტრადიციული) რეალიზმის მიმართულების ყურადღების ცენტრში (ნ. მაკიაველი, თ. ჰობსი და სხვ.) საერთაშორისო პოლიტიკაში ძალის როლის განხილვის საკითხი იმყოფება.

თავის მხრივ, იდეალისტური მიმართულება (ჰ. გროციუსი, ი. კანტი), პირიქით, კაცობრიობის მორალური და პოლიტიკური ერთობის იდეას ეფუძნება, რომელიც მთავარ ყურადღებას სახელმწიფოსთან მიმართებაში ადამიანის უფლებებზე ამახვილებს თავის ყურადღებას. აღნიშნული თეორიის განხილვის პროცესში მთავარ იდეად სახელმწიფოთა და ხალხთა შორის სამარადისო მშვიდობის მიღწევის საკითხი განიხილება, რომელიც თავის მხრივ, საერთაშორისო ურთიერთობათა მორალური და სამართლებრივი ურთიერთობების დარეგულირების ჩარჩოებში უნდა იყოს მოქცეული. ამავე დროს, აქცენტი კეთდებოდა ცალკეული ხალხების მიერ კეთილი ნების გამოვლინებაზე, რომელსაც უფლებებისა და ინტერესთა რეალიზაციის ძალისმიერი კონცეფცია უნდა შეეცვალა.

მარქსისტული პარადიგმის ასპექტებზე დაყრდნობით, საერთაშორისო ურთიერთობათა განსხვავებული გაგება იქნა წარმოდგენილი. საერთაშორისო ურთიერთობებში ეკონომიკური დეტერმინიზმისა და კლასობრივი ურთიერთობების თეორიის განხილვის ფარგლებში, მთავარ ფაქტორებად გაბატონებული კლასის მხრიდან მორჩილი კლასის ექსპლუატაციის, შესაბამისად, ბატონობისა და მორჩილების, კლასობრივი ბრძოლისა და რევოლუციის განხორციელების აუცილებლობის საკითხი განიხილება.

სამი ძირითადი პარადიგმის ბაზაზე – ტრადიციული, იდეალისტური და მარქსისტული – საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე გარდამავალი თეორიები ყალიბდება და ვითარდება.

“პოლიტიკური იდეალიზმის” (დ. პარკინსი, ფ. ტანენბაუმი, ჯ. შოტლენდი, ტ. კუკი, რ. კლარკი და სხვ.) სკოლის წარმომადგენლები მსოფლიო პოლიტიკას მორალისა და სამართლის კატეგორიის ფარგლებში განიხილავენ (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 248). კვლევის ძირითად თემას საერთაშორისო ურთიერთობათა - საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით, მორალისა და სამართლიანობის საფუძველზე რეგულირების საკითხი წარმოადგენს. აღნიშნული მიმართულების წარმომადგენლები დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის შექმნას, რომლის მთავარ აგენტებად საერთაშორისო ორგანიზაციები უნდა გვევლინებოდნენ.

“პოლიტიკური რეალიზმის” წარმომადგენლები (რ. ნიბური, ფ. შუმანი, ჯ. ქენანი, ჯ. შვანცენბერგერი, კ. ტომპსონი, ჰ. კისინჯერი, ე. ქარი, გ. მორგენტაუ) საერთაშორისო ურთიერთობებს იმ პრინციპების მიხედვით განიხილავენ, რომლის

მიხედვითაც ხელისუფლების დაუფლების მიზნით ძალისმიერი გზით დაპირისპირება “ბუნებრივ პირობას” წარმოადგენს, ყველაფერი ეს კი თავის მხრივ, სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებამდე დაიყვანება (H.J. Morgenthau. 1948). “პოლიტიკური რეალისტების” მიერ საერთაშორისო ურთიერთობათა და საერთაშორისო პოლიტიკის განხილვა, მხოლოდ როგორც რამდენიმე სახელმწიფოს მოღვაწეობის შედეგი და ამავე დროს, მათი მხრიდან საერთაშორისო სისტემის დინამიკის შეუფასებლობამ და საერთაშორისო ურთიერთობათა შესწავლის ტრადიციული მეთოდებისადმი ერთგულებამ, “მოდერნისტების” და “ტრანსნაციონალისტების” მხრიდან რეალისტების კრიტიკა გამოიწვია.

“მოდერნიზმმა” (კ. რაითი, მ. კაპლანი, კ. დოიჩი, დ. სინგერი, ე. ჰაისი და სხვ.), რომელიც რეალიზმის ტრადიციული თეორიის საპირწონედაა წარმოდგენილი, თავისი პრეტენზია განაცხადა, რათა თანამედროვე სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი საერთაშორისო ურთიერთობების მოდელბთან დააკავშიროს. მოცემული თეორიების ფორმირება სამეცნიერო კვლევების რაოდენობრივი მეთოდების ძლიერი ზემოქმედების ქვეშ მიმდინარეობდა (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 248).

საერთაშორისო ურთიერთობები განიხილება როგორც სოციალური ფენომენი – როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობები, რომლის მონაწილეებიც განსაზღვრულ ფუნქციებს ასრულებენ, ხოლო თვით ეს ურთიერთობები გარკვეული ქცევის შედეგად ყალიბდება.

“ტრანსნაციონალიზმის” (ინტეგრაციის თეორია, მსოფლიო განვითარების პროცესში არსებული ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკური ჩამორჩენისა და დამოკიდებულების პრობლემის დაძლევა და ა.შ. - რ. კიოჰენი, ჯ. ნაი, ჯ. როზენაუ, დ. მიტრანი და სხვ.) კონცეფციამ, ეჭვის ქვეშ დააყენა სახელმწიფოს – როგორც საერთაშორისო ურთიერთობების მთავარი მონაწილის შესახებ არსებული კლასიკური თეზისი. ამახვილებენ რა საკუთარ აქცენტს ურთიერთთანამშრომლობასა და ურთიერთდამოკიდებულებაზე, “ტრანსნაციონალიზმის” წარმომადგენლები ერთხმად აღნიშნავენ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ინტეგრაციული პროცესების განვითარებისა და კავშირების განმტკიცების შესახებ. კერძოდ, ეს ცვლილებები საერთაშორისო ურთიერთობებში არსებულ მონაწილეთა და თანამშრომლობის მიმართულებების მრავალფეროვნებაში (სახელმწიფოები, ორგანიზაციები, საწარმოები, ინდივიდები, რომლებიც კულტურულ, სამეცნიერო, ეკონომიკურ თანამშრომლობას ავითარებენ) გამოიხატება და მთლიანობაში, “ინტერნაციონალური” ურთიერთობების “ტრანსნაციონალურ” ურთიერთობებში ტრანსფორმაციას გულისხმობს, რაც პირველ რიგში სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფარგლებს გარეთ გასვლის ფარგლებში განიხილება. ასეთ პირობებში, სერიოზულად იცვლება ეროვნულ ინტერესთა და ძალის (სამხედრო, ეკონომიკური და სხვ.) როლი. აქტუალური ხდება ქცევის საერთო ნორმებისა და

საკონტროლო მექანიზმებისა და რესურსების გადანაწილების მნიშვნელობა. ძალა, რომელიც რესურსების არსებობაზეა დამოკიდებული, ტრანსფორმირდება ძალაში, რომელიც მოვლენათა შედეგებზე კონტროლის ხარისხით გაიზომება (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 248-249).

გასული საუკუნის 80-იან წლებში ევროპის კონტინენტზე განვითარებულ თეორიებში სოციოლოგიური მიდგომის ძლიერი გავლენა იგრძნობა. ის პირველ რიგში საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგიის ფრანგული სკოლის საქმიანობასთან (შ. ზორგბიბი, ს. დრეიფიუსი, ფ. მორო დეფარჟი, პ. გონიდეკი, რ. არონი, გ. ბუტული, რ. ბოეკი, მ. მერლი და სხვ.) ასოცირდება. საერთაშორისო ურთიერთობები “პოლიტიკური რეალიზმის” კონტექსტში იქნა ტრაქტირებული (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 248).

რ. არონის მიხედვით, საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგიის მთავარ ამოცანას დეტერმინანტებისა და კანონზომიერების კვლევა წარმოადგენს. ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს სოციალური და მორალური ფაქტორები, რომლებიც სახელმწიფოთა პოლიტიკას განსაზღვრავენ, აგრეთვე ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნეს საერთაშორისო არენაზე არსებულ ქცევის წესებსა და საერთაშორისო ურთიერთობათა მიმდინარეობაზე.

საერთაშორისო ურთიერთობათა სოციოლოგიური სკოლის ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას პოლემოლოგია (გ. ბუტული, ლ. პუარიე, ჟ. ანეკენი) წარმოადგენს, რომელიც ზუსტი მეცნიერებების მეთოდების გამოყენებით, ე.წ. “კოლექტიური აგრესიულობის” ფორმებს (ომები, კონფლიქტები) შეისწავლის (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 249).

“ნეომარქსიზმის” წარმომადგენლები (პ. ბარანი, პ. სუიზი, ს. ამინი, ი. ვალერსტაინი და სხვ.) თანამედროვე მსოფლიოს მთლიანობასა და ამავე დროს, ურთიერთქმედებათა ასიმეტრიულობას შეისწავლიან, რაც გამოიხატება ეკონომიკურად დაბალგანვითარებული ქვეყნების (პერიფერიების) დამოკიდებულებაში განვითარებული (ცენტრალური) სახელმწიფოების მიმართ, ასევე ეკონომიკური ცვლილებების არათანმიმდევრულობაში და განვითარების ტემპებს შორის განსხვავებაში (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 249).

“ნეორეალიზმი” (“სტრუქტურული რეალიზმი”, “სტრუქტურალიზმი” – ქ. უოლცი, რ. გილპინი, ბ. ბაზანი, დ. დრეიკო), ერთის მხრივ განიხილავს “პოლიტიკურ რეალიზმს”, რომლის მთავარი პრინციპებიც ამჟამად საერთაშორისო სისტემის ანალიზის პროცესში გამოიყენება და რომელიც დიდ სახელმწიფოებს შორის ურთიერთქმედების შედეგად კპოვებს თავის განვითარებას. მეორეს მხრივ, “ნეორეალიზმი” გარკვეული ხარისხით უახლოვდება “მოდერნიზმს” (საერთაშორისო

პროცესების კვლევის მეთოდოლოგიაში) და “ტრანსნაციონალიზმს” (ცალკეულ სახელმწიფოთა, საერთაშორისო ორგანიზაციების და მსხვილი კორპორაციების საერთაშორისო სისტემაში ჩართვის აღიარება). საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევაში სიახლე გახლავთ მოდელების შექმნის აღწერიდან (რომლებიც ფაქტობრივ მონაცემებს ეფუძნება), საერთაშორისო პოლიტიკის საკითხების შესწავლის პროცესში საერთაშორისო საზოგადოების წინ მდგარი პრობლემების განხილვაზე გადასვლა. ამ შემთხვევაში, ადგილი აქვს საერთაშორისო ურთიერთობების, როგორც ურთიერთდამოკიდებული ერთიანი მექანიზმის შესწავლას, სადაც საერთაშორისო წესრიგთან დაკავშირებული პრობლემები, საერთაშორისო ურთიერთობათა გაგება, როგორც მთლიანობაში საერთაშორისო განვითარების პროცესის შემადგენელი ნაწილი განიხილება (Каменская. Е. Н. Стр. 2005. 249).

განვიხილოთ საერთაშორისო ურთიერთობების თანამედროვე ტენდენციები:

პირველი ტენდენცია – ხელისუფლების გადანაწილება. მიმდინარეობს მულტიპოლარული (მრავალპოლუსიანი) სამყაროს გადანაწილების პროცესი. დღევანდელ ეტაპზე საერთაშორისო ცხოვრებაში სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ახალი ცენტრები ასრულებენ. მიმდინარეობს ინტეგრაციული პროცესები ევროპაში. სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში ჩამოყალიბდა ახალი პოსტინდუსტრიული სახელმწიფოები.

პოლიტოლოგთა შორის არ არსებობს ერთიანი აზრი საერთაშორისო ურთიერთობათა მომავალი სისტემის შესახებ. ერთნი იხრებიან იქითკენ, რომ თანამედროვე პერიოდში ადგილი აქვს აშშ-ის, დასავლეთ ევროპისა და იაპონიის კოლექტიური ლიდერობის სისტემის ფორმირებას. სხვა მკვლევარებს მიაჩნიათ, რომ საჭიროა აშშ-ის მსოფლიოს ერთადერთ ლიდერად აღიარება. მესამენი არ გამორიცხავენ ბიპოლარული სისტემის აღორძინებას, სადაც სსრკ-ის ადგილს ჩინეთი დაიკავებს.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობათა მეორე ტენდენციად გლობალიზაცია განიხილება, რომელიც თავის მხრივ დაკავშირებულია ეკონომიკის ინტერნაციონალიზაციასთან, მსოფლიო კავშირგაბმულობის ერთიანი სისტემის განვითარებასთან, ეროვნული სახელმწიფოს ფუნქციების დასუსტებასა და ტრანსნაციონალური არასახელმწიფოებრივი ორგანიზაციების საქმიანობის აქტივიზაციასთან. ამის საფუძველზე სულ უფრო ურთიერთდამოკიდებული და მთლიანი სამყარო ფორმირდება, სადაც ინტეგრაციულმა პროცესებმა სისტემური ხასიათი მიიღო.

საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარების მესამე ტენდენციად საერთაშორისო პრობლემების ზრდის საკითხი განიხილება, როდესაც სულ უფრო

მატულობს სახელმწიფოთა მისწრაფება გლობალური პრობლემების ერთობლივი ძალისხმევით გადაჭრის მიმართულებით. ყველა გლობალური პრობლემა, რომლებიც კაცობრიობის წინაშე არსებობს, შესაძლებელია ოთხ ძირითად ჯგუფად იყოს დაყოფილი: პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური, სოციალური.

თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობების მეოთხე ტენდენციას მსოფლიოს ორ პოლუსად დანაწილება წარმოადგენს. პირველი, ეს გახლავთ მშვიდობის, კეთილდღეობისა და ეკონომიკური განვითარების პოლუსი და მეორე, ომისა და ტირანიის პოლუსი. კაცობრიობის მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ მეორე პოლუსში ცხოვრობს, სადაც გვხვდება სიღარიბე, კონფლიქტები და ა.შ.

მშვიდობის, კეთილდღეობისა და სოციალ-ეკონომიკური განვითარების პოლუსზე დაახლოებით 30-35 სახელმწიფო იმყოფება: დასავლეთ ევროპის სახელმწიფოები, აშშ, კანადა, იაპონია, ავსტრალია და ახალი ზელანდია. აქ ცხოვრობს დედამიწის მოსახლეობის დაახლოებით 15%. ე.წ. “ოქროს მილიარდი”. ამ ქვეყნებში რიგითი მოქალაქის ცხოვრების დონე მეტად მაღალია (ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი 10-დან 40 ათას დოლარამდე მერყეობს), ხოლო სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა დაახლოებით 74 წელიწადს შეადგენს. ასეთი კეთილდღეობის მიღწევა ქვეყანას მხოლოდ მაღალგანვითარებული სამეცნიერო-ტექნიკური პოტენციალისა და კვალიფიციური შრომითი რესურსების ეკონომიკაში გამოყენებით შეუძლია.

მეორე პოლუსზე იმყოფებიან აფრიკის, აზიის, ლათინური ამერიკის სახელმწიფოები. ამ ქვეყნებში (“გლობალური სამხრეთი”) 800 მილიონზე მეტი ადამიანი აბსოლუტური სიღარიბის პირობებში ცხოვრობს. აღნიშნული სახელმწიფოები განვითარებული ქვეყნებისათვის სოფლის მეურნეობის პროდუქციას და ნედლეულს უზრუნველყოფენ, ასევე აქ ხდება განვითარებული სახელმწიფოების კომპანიების მიერ მავნე ნარჩენების გადამუშავება.

საერთაშორისო ურთიერთობათა მეხუთე მიმართულებად განიხილება ის ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, პოლიტიკა – როგორც სოციალ-ეკონომიკური და პოლიტიკური ძალების სტიქიური დაპირისპირების ასპარეზი, სულ უფრო მეტად იხრება პრობლემების რაციონალური და მიზანმიმართული რეგულირებისაკენ, რომელიც სამართალსა და დემოკრატიულ პრინციპებზეა დამყარებული (Радугин. 2001).

საერთაშორისო ურთიერთობების მეექვსე ტენდენციად გადაიქცა როგორც შიდაპოლიტიკური პროცესების, ასევე საერთაშორისო ურთიერთობების დემოკრატიზაცია.

## თავი 58. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა

საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში, სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები – ქვეყნების მიერ განხორციელებული საგარეო პოლიტიკის – როგორც სახელმწიფოთა საქმიანობის განსაკუთრებული სფეროს მეშვეობით ხორციელდება. აღნიშნული პოლიტიკა, საკუთარი სახელმწიფოს – როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტის საერთაშორისო ასპარეზზე პოზიციის განმტკიცებისა და მისი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისკენაა მიმართული. საგარეო პოლიტიკის შინაარსი და მისი შედეგიანობა ბევრ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული. საგარეო პოლიტიკის გატარების ძირითად ასპექტებში გამოიხატება სახელმწიფოს სიძლიერე და სისუსტე, ასევე წარმოდგენილია ქვეყნის მოკლევადიანი და გრძელვადიანი პერსპექტივები და ამოცანები საერთაშორისო არენაზე.

სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის მთავარ მიზანს მისი ყველა თავისი მიმართულებებით ეროვნული უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების უზრუნველყოფა წარმოადგენს.

საგარეო პოლიტიკა – ეს გახლავთ საერთაშორისო ურთიერთობათა სისტემაში ქვეყნის ეროვნული ინტერესების რეალიზაციის მიზნით მიმართული - სახელმწიფოსა და საზოგადოების, ასევე სხვადასხვა შესაბამისი პოლიტიკური ინსტიტუტების მიერ განხორციელებული საქმიანობა (Воробьев К. А. 2003).

საგარეო პოლიტიკის მთავარ სუბიექტად სახელმწიფო გვევლინება. სპეციალურად შექმნილი ორგანოების მეშვეობით – საგარეო საქმეთა სამინისტრო, რიგ სამინისტროებსა და უწყებებში საგარეო ურთიერთობათა სამმართველოები და დეპარტამენტები, სხვა სამთავრობო დაწესებულებები – სახელმწიფო საგარეო პოლიტიკურ საქმიანობას საერთაშორისო არენაზე ახორციელებს. სახელმწიფოსათვის ამ უმნიშვნელოვანეს სფეროში პოლიტიკის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ სახელმწიფოს უმაღლესი თანამდებობის პირები - მონარქები, პრეზიდენტები, მთავრობის მეთაურები, პარლამენტის თავმჯდომარეები, საგარეო საქმეთა მინისტრები. აღნიშნული თანამდებობის პირები სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას მის წინაშე მდგარი ამოცანების შესრულებისაკენ მიმართავენ.

თუმცა, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა სახელმწიფო ორგანოებისა და მათი ხელმძღვანელობის საქმიანობით არ შემოიფარგლება. ამ სფეროში ასევე ჩართულნი არიან სხვადასხვა პოლიტიკური პარტიები, საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობები და არასამთავრობო ორგანიზაციები. ისინი უცხო ქვეყნებში მოქმედ ანალოგიურ ორგანიზაციებთან და მოძრაობებთან თანამშრომლობენ, ატარებენ ერთობლივ კონფერენციებს, სიმპოზიუმებს, რომელთა ფარგლებშიც ისინი თავისი



ხალხის, ქვეყნისა და ორგანიზაციის ინტერესებს იცავენ. აღნიშნული თანამშრომლობის ფარგლებში მზადდება სხვადასხვა შეთანხმება და ხელშეკრულება, აგრეთვე პოლიტიკური ლიდერების ორმხრივი და მრავალმხრივი შეხვედრები. ამრიგად, სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა – ეს გახლავთ როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო დონეზე მოქმედი პოლიტიკური სუბიექტების მიერ წარმოებული ორმხრივი და მრავალმხრივი საქმიანობა. აღნიშნული ურთიერთობები სახელმწიფოთაშორისი, სამთავრობათშორისი და არასამთავრობო ურთიერთობების ყველა სფეროს მოიცავს: ეკონომიკა, კულტურა, ეკოლოგია, სამხედრო საქმე და ა.შ. და ერთიანი მიზნისკენაა მიმართული – უზრუნველყოფილ იქნეს საკუთარი ქვეყნის, როგორც საერთაშორისო საზოგადოების სრულყოფილი წევრის საერთაშორისო პოზიციების გაძლიერება.

საგარეო პოლიტიკა მოცემული სახელმწიფოს უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობებს არეგულირებს, უზრუნველყოფს კონკრეტული ქვეყნის მოთხოვნილებათა რეალიზაციას საერთაშორისო არენაზე. საგარეო პოლიტიკა – იმ ოფიციალური სუბიექტების საქმიანობასა და მათ შორის ურთიერთქმედებას განსაზღვრავს, რომელთაც გააჩნიათ უფლება, მოქმედებდნენ სახელმწიფოსა და საზოგადოების სახელით, გამოხატოს მისი ინტერესები, შეარჩიონ მოქმედებათა რეალიზაციისათვის განსაზღვრული მეთოდები.

საგარეო-პოლიტიკური საქმიანობა, მისი მიზნების რეალიზების მიმართულებით, შემდეგი საშუალებებით მიიღწევა: პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო, საინფორმაციო-პროპაგანდისტული.

პოლიტიკურ საშუალებებს პირველ რიგში დიპლომატია მიეკუთვნება.

სიტყვა “დიპლომატია” ბერძნული წარმოშობისაა. ძველ საბერძნეთში იგი ნიშნავდა დაფას მასზე დატანილი წერილებით, რომელიც სხვა სახელმწიფოებში მოქმედ დესპანებს რწმუნებათა სიგელებისა და დოკუმენტების რანგში გადაეცემოდათ და რომლებიც მათ უფლებამოსილებას ამტკიცებდნენ (ლ. ალექსიძე. 2004. გვ. 91).

დიპლომატია – ეს არის სახელმწიფოს ოფიციალური საქმიანობა, რომლის ფარგლებშიც სპეციალური ინსტიტუტები შესაბამის ღონისძიებებს ახორციელებენ, მათ შორის ოფიციალური დოკუმენტების და ვიზიტების მომზადებას, მოლაპარაკებებს, დიპლომატიურ მიღებებს და ყველა სხვა იმ მეთოდებსა და საშუალებებს იყენებენ, რომლებიც საერთაშორისო სამართლის პრინციპებითაა დაშვებული და რომელთაც კონსტიტუციურ-სამართლებრივი სტატუსი გააჩნიათ.

დიპლომატია მოლაპარაკებათა, ოფიციალური და არაოფიციალური ვიზიტების, სპეციალური კონფერენციებისა და თათბირების, დიპლომატიური მიმოწერის, საერთაშორისო ორგანიზაციებში მუშაობის, შეხვედრების, მრავალმხრივი და

ორმხრივი შეთანხმებების მომზადებისა და ხელშეკრულებათა ხელმოწერის შედეგად ხორციელდება.

საგარეო პოლიტიკის ეკონომიკური ფაქტორები საგარეო-პოლიტიკური მიზნების განხორციელებისათვის მოცემული ქვეყნის ეკონომიკური პოტენციალის გამოყენებას გულისხმობენ.

აღიარებულია, რომ ქვეყნის სამხედრო საშუალებებში სახელმწიფოს სამხედრო სიძლიერე განვიხილოთ, რომელიც თავის თავში მოიცავს არმიას, მის რაოდენობასა და სტრუქტურას, შეიარაღების ხარისხს, მორალურ მდგომარეობას, სამხედრო ბაზების არსებობას, ბირთვული იარაღის ფლობა-არფლობის საკითხს. სამხედრო საშუალებები შესაძლებელია როგორც პირდაპირი, ასევე ირიბი ზემოქმედებისათვის იყოს გამოყენებული. პირველ ფაქტორს მიეკუთვნება ომები, ინტერვენცია, ბლოკადა. ირიბ სამხედრო საშუალებებს მიეკუთვნება გამაღებელი შეიარაღება, რომელიც შეიარაღების ახალი სახეობების გამოცდას ითვალისწინებს, აგრეთვე სწავლებებს, მანევრებს, მუქარას - ძალის შესაძლო გამოყენების შესახებ. საგარეო პოლიტიკის სამხედრო საშუალებებს შეგვიძლია ასევე მივაკუთვნოთ დაზვერვა და შპიონაჟი.

პროპაგანდისტული საშუალებები თავის თავში მოიცავს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების თანამედროვე რესურსების რაციონალურ გამოყენებას, პროპაგანდას და აგიტაციას, რომელიც საერთაშორისო არენაზე სახელმწიფოს ავტორიტეტის გაძლიერებისათვის გამოიყენება, რომელიც ასევე უზრუნველყოფს ნდობის ამადლებას მოკავშირეებისა და პოტენციური პარტნიორების მხრიდან.

ნებისმიერი სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკა როგორც ობიექტური, ასევე სუბიექტური ფაქტორების ზემოქმედებით ფორმირდება და ხორციელდება.

საგარეო პოლიტიკის საგარეო ობიექტურ ფაქტორებს მიეკუთვნებიან: საერთაშორისო ურთიერთობათა საერთო მდგომარეობა დროის მოცემულ მონაკვეთში; სახელმწიფოს სხვა ქვეყნებთან პოლიტიკური და სხვა სახის კავშირების სტაბილურობის თუ არასტაბილურობის დონე, განსაკუთრებით კი იმ სახელმწიფოებთან, ვისი ქმედებები და საერთაშორისო ავტორიტეტი განსაკუთრებულ გავლენას ახდენს მსოფლიო პოლიტიკურ კლიმატზე; მთლიანობაში - საკუთარი ქვეყნის მდგომარეობა, როლი და ადგილი მსოფლიო თანამეგობრობის ფარგლებში (მისი ავტორიტეტი, მისი საგარეო პოლიტიკის პროგნოზირების შესაძლებლობის დონე, საერთაშორისო შეთანხმებებისა და საერთაშორისო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის ხარისხი და ა.შ.).

საგარეო პოლიტიკის შიდა ობიექტურ ფაქტორებს წარმოადგენენ: ქვეყანაში მატერიალური წარმოების დონე, მისი ეკონომიკური სიძლიერე, ძირითადი მატერიალური რესურსებით თვითუზრუნველყოფის დონე; დემოგრაფიული სიტუაცია;

საწარმოო და ტექნიკური მომზადების ხარისხი; შრომისუნარიანი მოსახლეობის რაოდენობა და პროცენტული შემადგენლობა; მეცნიერებისა და ტექნიკის მდგომარეობა, მისი სამეცნიერო-ტექნიკურ პროგრესთან შესაბამისობა; ქვეყანაში ეროვნული და სოციალ-პოლიტიკურ ურთიერთობათა ხასიათი; მოსახლეობის კანონმორჩილების დონე და ა.შ.

საგარეო პოლიტიკის სუბიექტურ ფაქტორებზე საუბრისას, შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ შემდეგზე: მოსახლეობის ინტელექტუალური და პროფესიონალური შესაძლებლობები, იმ ადამიანების რაციონალური საქმიანობის ხარისხი, რომლებიც სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს შეიმუშავენ და ახორციელებენ.

შესაძლებელია გამოიყოს ნებისმიერი სახელმწიფოს საქმიანობის შემდეგი საერთო მიზნები:

საკუთარი სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფა ყველა არსებული – პირველ რიგში კი დიპლომატიური საშუალებებით;

ქვეყნის ეკონომიკური, სამეცნიერო-ტექნიკური, სამხედრო და სხვა პოტენციალის ზრდა სხვა სახელმწიფოებთან სხვადასხვა ურთიერთხელსაყრელი ხელშეკრულებების გაფორმების შედეგად, საერთაშორისო არენაზე რაციონალური ექსპორტ-იმპორტის და საინვესტიციო პოლიტიკის გატარება;

სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლება, საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტის მიმართულებით ქვეყნის გავლენის ზრდა.

თანამედროვე მსოფლიოში, ზემოაღნიშნული მიზნების მიღწევა უნდა განხორციელდებულ იქნეს სხვა სახელმწიფოთა მიზნებისა და ინტერესების გათვალისწინებით, იქნება ეს ტერიტორიული თუ მოსახლეობის რაოდენობის თვალსაზრისით მცირე თუ დიდი სახელმწიფო.

### **თავი 59. საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ასპექტები**

როდესაც სახელმწიფოს გეოპოლიტიკური და გეოგრაფიული მდებარეობისა და საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის მნიშვნელობის შესახებ ვსაუბრობთ, ამ შემთხვევაში ქვეყნის სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკური დაჯგუფების, სავაჭრო-ეკონომიკური კომუნიკაციებისა და განსხვავებული ეთნო-კულტურული ტრადიციების მქონე სახელმწიფოების მიმართ განლაგება იგულისხმება. ვინაიდან მსოფლიო პოლიტიკა და ეკონომიკა უაღრესად დინამიური პროცესების ერთობლიობაა, გეოპოლიტიკური მდებარეობაც ძალზე ცვალებადია სივრცესა და დროში (ნ. ჩიტაძე. 2011. გვ. 479).

*ისტორიული ასპექტი:*

საქართველოს სახელმწიფო ისტორიულ მეზობლებთან ინტენსიური ურთიერთობების ფონზე ყალიბდებოდა. საქართველოს სამხრეთით გაველენის სფეროებისათვის იბრძოდა ორი დიდი იმპერიული სახელმწიფო: ირანი და ოსმალეთი, ჩრდილოეთით კი რუსეთის იმპერია. რუსეთის იმპერიამ ჩამოყალიბებისთანავე დაიწყო ტერიტორიული ექსპანსია და ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად კავკასია აირჩია. ჩრდილო კავკასიის ხალხებს, რომლებიც მანამდე მეტ-ნაკლებად მშვიდად და თავისუფლად ცხოვრობდნენ, რუსეთისაგან თავდაცვის პრობლემა დაუდგათ. მართლმადიდებლური რუსეთისაგან იდეოლოგიურად გასამიჯნავად რეგიონში ფეხი მოიკიდა ისლამმა. მოგვიანებით, ჩვენი სამხრეთელი მეზობლების წაქეზებით ჩრდილო კავკასიელებმა საქართველოზე თავდასხმები დაიწყეს. სწორედ ამით უნდა აიხსნას ქართველი მეფეების სწრაფვა რუსეთისაკენ. მათი ჩანაფიქრით, რუსეთთან კავშირით ქრისტიანული და მაჰმადიანური ძალების გაწონასწორება უნდა მომხდარიყო. ამრიგად, კავკასია ჩამოყალიბდა ბუფერულ ზონად ჩრდილოეთსა და სამხრეთს შორის, სადაც წარმოდგენილი იყო როგორც მაჰმადიანური სამხრეთის, ისე ქრისტიანული ჩრდილოეთის კერძოდ, თურქეთის, ირანის და რუსეთის ინტერესები. აღნიშნულ სამ დიდ გეოპოლიტიკურ ძალთა შორის ურთიერთობა არა მხოლოდ აისახებოდა კავასიაზე, არამედ კავკასია, თავის მხრივ, დიდ როლს თამაშობდა ამ ურთიერთობათა დარეგულირებაში.

აღბათ აუცილებელია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის პოლიტიკურ ასპექტზეც გაგამახვილოთ ყურადღება: დღეისათვის, დიდი გეოპოლიტიკური ძვრების შედეგად, კავკასიაში სამი ახალი სახელმწიფო მდებარეობს: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი. ამას გარდა, სამხრეთ კავკასიის რეგიონის დიდ ნაწილს რუსეთის ფედერაციაში შემავალი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხთა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ავტონომიური რესპუბლიკები ესაზღვრებიან. ყოველ მათგანს აქვს უამრავი პრობლემა, რომელიც პოლიტიკური სიტუაციის მკვეთრი ცვლილებითაა გამომწვეული. ასეთ ვითარებაში კავკასიის ხალხები ცდილობენ მონახონ საიმედო პარტნიორები ძლიერი ქვეყნების სახით, რომლებიც დაეხმარებიან მათ აღნიშნული პრობლემების გადაჭრაში, გახდებიან მათი უსაფრთხოების გარანტები და ა.შ. მაგალითად, აზერბაიჯანში თურქული ორიენტაცია ყალიბდება, რაც თითქოს ბუნებრივიცაა, სომხეთში ძლიერია რუსეთზე ორიენტაცია, ამავე დროს იზრდება ირანთან ურთიერთობის ინტენსივობა. რაც შეეხება საქართველოს, მას კავკასიის სხვა ხალხებთან შედარებით პოლიტიკური მანევრირების მეტი საშუალება აქვს, რადგან მას მეზო-გეოგრაფიული მდებარეობის გამო კავშირების ყველაზე დიდი არჩევანი აქვს, თუმცა დღევანდელ დღეს რუსეთთან არსებული დაძაბული ვითარების ფონზე ქვეყნის საგარეო პოლიტიკა დასავლეთზეა ორიენტირებული (ნ. ჩიტაძე, 2011. გვ. 480).

რადგანაც დღევანდელ მსოფლიოში ძველი სამყაროს რღვევის და ახლის შენების პროცესი მიმდინარეობს, საქართველომ, რომელმაც ცალსახად აირჩია განვითარების დამოუკიდებელი, დემოკრატიული გზა, საკუთარი ადგილი უნდა მოძებნოს მსოფლიოს ცივილიზებულ ერთა თანამეგობრობაში, ინტეგრირებულ იქნეს საერთაშორისო ურთიერთობათა თანამედროვე სისტემაში და ამავე დროს შეინარჩუნოს საკუთარი ეროვნული თვითმყოფადობა.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საქართველომ უნდა შეიმუშაოს საკუთარი სტრატეგიული პოლიტიკური კურსი, რომელიც ჭეშმარიტ ეროვნულ ინტერესებს დაეფუძნება. იმაზე, თუ როგორ წარმართავს საქართველო თავის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკას, მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მისი მომავალი ბედ-იღბალი.

ეროვნული ინტერესების რეალიზაციის უზრუნველყოფას ემსახურება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების სისტემა.

ტრადიციულ ქვეყნებში ეროვნული უსაფრთხოების სისტემები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ყალიბდებოდა. ამ ქვეყნებში საკუთარ ეროვნულ ინტერესთა დაცვა და ეროვნული უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტა ხდებოდა არა მხოლოდ თეორიული გაანგარიშებით, არამედ ხშირ შემთხვევაში ემპირიულ პრინციპებზე დაყრდნობითაც.

სამწუხაროდ, დღევანდელ ეტაპზე საქართველოს ამგვარი ევოლუციური გზის გავლის შესაძლებლობა დროის დეფიციტის გამო არ გააჩნია. დღეს ქვეყნის ხელისუფლებას არ აქვს შეცდომების დაშვების უფლება და ამიტომ საკუთარი ეროვნული უსაფრთხოების სისტემა უნდა შევქმნათ რაც შეიძლება სწრაფად მსოფლიოში არსებული მდიდარი თეორიული და პრაქტიკული გამოცდილების გამოყენებითა და საკუთარი სპეციფიკური პირობების გათვალისწინებით.

უსაფრთხოება ეს არის ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც უზრუნველყოფილია ერის (მოსახლეობის) ფიზიკური არსებობა, თვითმყოფადობა და განვითარება. მოცემული მდგომარეობის მიღწევა და შენარჩუნება სახელმწიფოს უზენაეს ინტერესს წარმოადგენს.

ერის ფიზიკური არსებობა გულისხმობს მოსახლეობის მოცემული რაოდენობის შენარჩუნებას დემოგრაფიული სტრუქტურით, რომელიც თვითმყოფადობის შენარჩუნებას უზრუნველყოფს.

ერის თვითმყოფადობა გულისხმობს საუკუნეების განმავლობაში ისტორიული, გეოგრაფიული და გენეტიკური ფაქტორებით განპირობებულ თავისებურებათა ერთობლიობას.

ერის განვითარება კი ნიშნავს გეოპოლიტიკური მდებარეობით, კულტურული თავისებურებებით და მსოფლმხედველობითი ფაქტორებით განპირობებული ეროვნული ინტერესების შესაბამისი მდგომარეობისკენ წინსვლას.

თვითონ უსაფრთხოების ცნებამ თანამედროვე მსოფლიოში დაკარგა მისთვის დამახასიათებელი მხოლოდ სამხედრო-პოლიტიკური მნიშვნელობა და მოიცავს, აგრეთვე, ადამიანის საქმიანობის ისეთ მნიშვნელოვან სფეროებს, როგორცაა ეკონომიკა, ეკოლოგია, დემოგრაფია, კულტურა, სოციალური და ეროვნებათაშორისი ურთიერთობანი და ა.შ. (ნ. ჩიტაძე, 2011. გვ. 481).

ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში მთავარ სტრუქტურულ ელემენტს პოლიტიკური უსაფრთხოება წარმოადგენს. პოლიტიკური უსაფრთხოება უპირველეს ყოვლისა ქვეყნის პოლიტიკური სუვერენტიტეტის უზრუნველყოფას გულისხმობს. პოლიტიკური უსაფრთხოების არ არსებობის პირობებში ლაპარაკიც კი ზედმეტია ეროვნული უსაფრთხოების მწყობრი სისტემის შექმნაზე. შეიძლება გამოვყოთ პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო და საშინაო ასპექტები.

ქვეყნის პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო ასპექტი ნიშნავს საფრთხისათვის წინააღმდეგობის გაწევის უნარს მისი თავიდან აცილების ან შემსუბუქების მიზნით.

საქართველომ უნდა დაამყაროს და განავითაროს ორმხრივად სასარგებლო და მეგობრული ურთიერთობები სხვა ქვეყნებთან როგორც რეგიონში, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამავე დროს, საქართველოს ინტერესებშია საგარეო პოლიტიკურ ურთიერთობებში იმ ძალთა დაბალანსება, რომელთა ინტერესებიც ფოკუსირდება კავკასიაში და უპირველეს ყოვლისა კი საქართველოში.

საჭიროა განისაზღვროს პოლიტიკური კურსი დიდი სახელმწიფოების მიმართ. ეს ეხება როგორც ჩვენს უშუალო მეზობლებს (რუსეთი, თურქეთი) და ჩვენი ტერიტორიის სიახლოვეს მდებარე სახელმწიფოებს (უკრაინა, ირანი), ასევე ჩვენგან გეოგრაფიულად დაშორებულ ქვეყნებსაც (აშშ, დასავლეთ ევროპის ქვეყნები, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები), ვინაიდან თანამედროვე ინტეგრაციული პროცესების მიმდინარეობა, სატრანსპორტო და საკომუნიკაციო სისტემების განვითარება განაპირობებენ ამ ქვეყნების გარკვეულ დაინტერესებას რეგიონში მიმდინარე მოვლენების მიმართ.

დიდ სახელმწიფოებთან ურთიერთდამოკიდებულების მოწესრიგებასთან ერთად დიდი ყურადღება უნდა მიექცეს ურთიერთობას მეზობელ პატარა სახელმწიფოებთან (სომხეთი, აზერბაიჯანი), აგრეთვე სტრატეგიულ პარტნიორებთან საერთო ენის გამონახვას.

უსაფრთხოების საგარეო პოლიტიკური ასპექტები მუდმივად პრიორიტეტულია ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში. ვინაიდან საქართველოს მოწვევა მსოფლიოში მიმდინარე პროცესებიდან დღეს შეუძლებელია, უფრო მეტიც, ეს პროცესები უდიდეს გავლენას ახდენს საქართველოს განვითარების პირობებზე, სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს ამ პროცესების მუდმივი თვალყურის დევნებაც.

პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო ასპექტებთან მჭიდროდაა დაკავშირებული საშინაო პოლიტიკური ასპექტები. რაც უფრო მდგრადი და სტაბილურია საზოგადოება, მით უფრო მაღალია მისი უნარი წინააღმდეგობა გაუწიოს ნებისმიერ დესტრუქციულ ზემოქმედებას.

მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესთა ლოგიკის თანახმად სულ უფრო იზრდება და თვალსაჩინო ხდება მსოფლიოს ერთიანობა და ურთიერთდამოკიდებულება. თანდათანობით მკვიდრდება იმის გაგება, რომ საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტა ძალისმიერი მეთოდებით შეუძლებელია. თანამედროვე გაგებით ქვეყნის უსაფრთხოება შეუძლებელია უზრუნველყოფილ იქნეს მხოლოდ სამხედრო ძალის მეშვეობით.

მაგრამ, სამწუხაროდ, დღემდე მსოფლიო წესრიგი ისეთი პირობების ფარგლებში არსებობს, რომ ცივილიზებული საერთაშორისო ურთიერთობები, რომელთა დროსაც გამორიცხულია ძალადობა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების ფარგლებში, ჯერჯერობით ჩვენი პლანეტის მხოლოდ შეზღუდულ არეალზე ვრცელდება. უფრო მეტიც, მართალია გლობალური განზომილების ფარგლებში, ბიპოლარული დაპირისპირების გაქრობის შედეგად მსოფლიო უფრო ინტეგრირებული გახდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამით მისი სტაბილურობის ხარისხი არ გაზრდილა. პირიქით, ჯერ კიდევ არ ჩამქრალა ძველი კონფლიქტები, ჩნდება კონფლიქტთა ახალი კერები.

საქართველო სწორედ ამგვარი კონფლიქტებით მოცულ რეგიონში მდებარეობს. სამწუხაროდ, აქ ჯერ კიდევ სუსტად მოქმედებენ ზემოთაღნიშნული საერთაშორისო ურთიერთობათა ცივილიზებული ფორმები და მომავალში კიდევ არა ერთი უშუალო აგრესიის საფრთხეა საბოლოოდ გამორიცხული.

ამის გამო საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში უსაფრთხოების სამხედრო ასპექტების გათვალისწინება ძალზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

სამხედრო უსაფრთხოების ქვეშ სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობა იგულისხმება, ანუ ქვეყნის უნარი შეიარაღებული ძალების მეშვეობით თავიდან აიცილოს ან მოიგერიოს გარეშე სამხედრო ძალის ზემოქმედება.

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების სხვა საშუალება სამხედრო ძლიერებასთან ერთად არის სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეების ძიება (შესაძლებელია სამხედრო-პოლიტიკურ კავშირებში შესვლაც კი), რაც საშუალებას მოგვცემს პარტნიორების ხარჯზე გავზარდოთ ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხი.

პოლიტიკურ და სამხედრო ასპექტებთან ერთად ეროვნული უსაფრთხოების უმნიშვნელოვანეს ელემენტს ეკონომიკური უსაფრთხოება წარმოადგენს.

დღეს ეკონომიკური უსაფრთხოების თვალსაზრისით საქართველოს მდგომარეობა რთულია. საბჭოთა პერიოდში ეკონომიკის ცალმხრივმა განვითარებამ და ტერიტორიულმა სტრუქტურამ, ბუნებრივი რესურსების უთავბოლო ხარჯვამ, რასაც გასული საუკუნის 90-იან წლებში თან დაერთო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კატაკლიზმები, ნეგატიური ასახვა ჰპოვა ქვეყნის სოციალ-ეკონომიკურ განვითარებაზე.

მსოფლიოს ეკონომიკურ სისტემაში ჩართვის გასამარტივებლად აუცილებელია რაც შეიძლება სწრაფად გამოიკვეთოს საქართველოს ეკონომიკური ფუნქცია შრომის საერთაშორისო დანაწილების ფარგლებში. ეს ფუნქცია სასურველია ისეთი იყოს, რომ მასთან რაც შეიძლება მეტი ქვეყნის ეკონომიკური ინტერესები აღმოჩნდეს დაკავშირებული (მაგ. საერთაშორისო სატრანსპორტო-სატრანზიტო კვანძი, საერთაშორისო საფინანსო-საბანკო ცენტრი და ა.შ.).

ამ მიზნების მისაღწევად ყურადღებით უნდა ვადევნოთ თვალყური გლობალურ ეკონომიკურ ტენდენციებს. ამ ტენდენციებმა შეიძლება ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა შეიძინონ და რიგ შემთხვევებში გარკვეული პოზიტიური თუ ნეგატიური გავლენა მოახდინონ ქვეყნის ეკონომიკურ ინტერესებზე.

აუცილებელია უცხოური ინვესტიციების რეგულირების სახელმწიფო სისტემის შექმნა, რომლის უმთავრესი მიზანიც აღნიშნული ინვესტიციების მოზიდვის სტიმულირებასთან ერთად უნდა იყოს საქართველოს ეკონომიკური სუვერენიტეტისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფა.

საგარეო პოლიტიკის ასპექტებზე საუბრისას ალბათ ყურადღება უნდა გავამახვილოთ საქართველოს საგარეო პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებზე. საქართველოს, ისევე როგორც ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს, საგარეო პოლიტიკის უმთავრეს მიზანს ქვეყნის უსაფრთხოების და კეთილდღეობის უზრუნველყოფა წარმოადგენს. დამოუკიდებლობის აღდგენიდან დღემდე აღნიშნული მიზნის მიღწევის თვალსაზრისით საქართველოს საგარეო პოლიტიკის წინაშე მდგარი ამოცანების სპექტრი გარკვეული დინამიკით ხასიათდება. მაგალითად, 1992 წელს საქართველოს საერთაშორისო აღიარება და უცხოეთის ქვეყნებთან დიპლომატიური



ურთიერთობების დამყარება მთავარ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენდა და შეიძლება ითქვას, წარმატებით შესრულდა. დღეს, საქართველო 100 – ზე მეტი საერთაშორისო ორგანიზაციის წევრია, ხოლო დიპლომატიური ურთიერთობები 100-ზე მეტ ქვეყანასთან აქვს დამყარებული. იმავე 1992 წლიდან დღემდე სამაჩაბლოსა და აფხაზეთში კონფლიქტების მიმდინარეობასთან, ხოლო შემდგომ პერიოდში ქვეყნის დეოკუპაციასთან და ტერიტორიული მთლიანობის აღდგენასთან დაკავშირებით სათანადო საზოგადოებრივი (მათ შორის საერთაშორისო) აზრის ფორმირება და საერთაშორისო პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების და მათი რეალიზაციის უზრუნველყოფა ერთ-ერთ პრიორიტეტულ საგარეო-პოლიტიკურ ამოცანას წარმოადგენს (ნ. ჩიტაძე, 2011. გვ. 485).

მთავარი პრინციპი, რითაც საქართველოს საგარეო პოლიტიკა ხელმძღვანელობს, რა თქმა უნდა მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში მდებარე უცხოეთის ქვეყნებთან მეგობრული და პარტნიორული ურთიერთობების განვითარება წარმოადგენს. პირველ რიგში ეს კავკასიის რეგიონში საქართველოს მეზობელ ქვეყნებს ეხება. აღნიშნული პრინციპი, რომელიც ხორციელდება დევიზით „ვეძებოთ და ვიპოვოთ მეგობრები“, ისევე როგორც საერთაშორისო სამართლის ნორმების შესაბამისად წარმართული საქმიანობა - საქართველოს საგარეო პოლიტიკის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია მრავალი ფაქტორით არის განპირობებული. ზემოაღნიშნული მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე, საგარეო პოლიტიკას რამოდენიმე ორიენტირი გააჩნია, მათგან ალბათ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საქართველოს ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს.

საქართველოს სატრანზიტო პოტენციალის გამოყენება, რაც ძირითადად, ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის ამოქმედებასთან არის დაკავშირებული - სამხრეთ კავკასიაში ჩვენს მეზობელ ქვეყნებთან, აგრეთვე უკრაინასთან, თურქეთთან, ირანთან, ცენტრალური აზიის სახელმწიფოებთან, ბალკანეთის ქვეყნებთან და პერსპექტივაში, ჩინეთთან თანამშრომლობის გააქტიურებას გულისხმობს. შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკის აღნიშნული მიმართულებით ორიენტირებაც ზემოაღნიშნულ ფაქტორს ეფუძნება.

მთავარი შედეგი, რაც საგარეო პოლიტიკის სფეროში ბოლო პერიოდში იქნა მიღწეული, არის ის, რომ საქართველო კიდევ უფრო დაუახლოვდა ევროპულ და ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებს (მიუხედავად იმისა, რომ ჯერჯერობით ვერ მოხერხდა საქართველოს ნატო-ს სრულუფლებიან წევრად გახდომა). ეს თავის მხრივ განპირობებული იქნა საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდით, რაც შემდეგში იქნა გამოხატული:

1. სულ უფრო მეტ შინაარსს იძენს ნატო-სთან თანამშრომლობა. როგორც ვიცით, საქართველო ესწრაფვის ალიანსში გაწევრიანებას. 2004 წელს საქართველოსა და ნატოს შორის ხელი მოეწერა ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმას, ხოლო 2006 წლიდან ორივე მხარე ინტენსიური დიალოგის ეტაპზე გადავიდა. 2008 წელს შეიქმნა ნატო-საქართველოს კომისია, ხოლო 2008 დეკემბერში, ალიანსის ბრიუსელის მინისტერიალზე საქართველოსათვის დამტკიცებულ იქნა ყოველწლიური ეროვნული პროგრამა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ყოველწლიურად ასრულებს. რა თქმა უნდა მნიშვნელოვანია ათას ხუთასზე მეტი ქართველი სამხედროს გაგზავნა ავღანეთის ტერიტორიაზე, სადაც საქართველოს შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ნატო-ს წევრი ქვეყნების შეიარაღებული ძალების მხარდამხარ მონაწილეობას იღებენ ანტიტერორისტულ ოპერაციებში (ნ. ჩიტაძე, 2008. გვ. 256-258). 2015 წლიდან საქართველოში ნატო-საქართველოს ერთობლივი სასწავლო ცენტრი ფუნქციონირებს. 2019 წელს ნატო-ს მიერ დამტკიცებულ ახალ სტრატეგიულ კონცეფციაში ჩრდილოატლანტიკური ალიანსის მხრიდან საქართველოსთან – როგორც ნატო-ს ერთ-ერთ საიმედო პარტნიორთან თანამშრომლობას მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა;
2. საქართველო აქტიურ მონაწილეობას იღებს კასპისა და შავი ზღვის რეგიონში მიმდინარე სატრანსპორტო და ენერგეტიკულ პროექტებში;
3. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს წევრობას (იგი ამ ორგანიზაციის წევრია 2000 წლიდან) ქვეყნის მსოფლიო ეკონომიკურ პროცესებში უფრო აქტიურად ჩასართველად უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. 2019 წლის მონაცემებით, საქართველოს საგარეო ვაჭრობის მოცულობა 12 მილიარდ დოლარს აღემატებოდა.
4. უმნიშვნელოვანესია საქართველო-ევროკავშირის შორის ურთიერთობათა განვითარება. 2004 წელს საქართველო გახდა ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკის წევრი, ხოლო 2006 ორ მხარეს შორის ხელი მოეწერა სამოქმედო გეგმას. რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შემდეგ, ევროკავშირის მონიტორებმა დაიწყეს ჩვენი ქვეყნის ოკუპირებული რეგიონების სიახლოვეს საპატრულო ოპერაციების განხორციელება. 2009 წლის მაისიდან საქართველო ხუთ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკასთან ერთად გახდა ევროკავშირის აღმოსავლეთის პარტნიორობის პროგრამის ნაწილი. 2014 წლის ივნისში საქართველოსა და ევროკავშირის შორის „ასოცირების შესახებ“ ხელშეკრულება იქნა ხელმოწერილი, ხოლო 2017 წლიდან საქართველოს მოქალაქეებმა ევროკავშირის წევრი და სხვა შენგენის ზონაში შემაჯავალ ქვეყნებში 90 დღის განმავლობაში უვიზოდ შესვლის ნებართვა მიიღეს. 2018 წლის მონაცემებით, ევროკავშირის ქვეყნებზე მოდის საქართველოს საგარეო ვაჭრობის 20%-ზე მეტი (საქსტატი, 2019).

რუსეთის მხრიდან საერთაშორისო ასპარეზზე ანტიქართული პროპაგანდის მიუხედავად, საქართველო სულ უფრო მეტად აღიქმება, როგორც საჭირო და სანდო პარტნიორი. ქვეყანაში მიმდინარე სასიკეთო ძვრებთან ერთად ეს, პირველ რიგში, საქართველოს ხელსაყრელმა სატრანსპორტო-გეოგრაფიულმა მდებარეობამ

განსაზღვრა. ევრაზიის სატრანსპორტო-საკომუნიკაციო დერეფნის იდეამ, რაც იმთავითვე გახდა ქვეყნის საგარეო პოლიტიკის მნიშვნელოვანი ამოცანა, შედეგი გამოიღო და დღეს ჩვენი რეგიონი საერთაშორისო თანამეგობრობის წამყვანი ქვეყნების, მეზობელი სახელმწიფოების და მსხვილი კომპანიების ყურადღების ცენტრშია.

ზემოთ ჩამოთვლილი ასპექტები, რომლებსაც შეიძლება კონკურენტუნარიანი უპირატესობები ვუწოდოთ, გონიერ გამოყენებას საჭიროებს. შესაბამისად, საჭიროა ბრძნული სახელმწიფო კურსი და მათ შორის ქმედითუნარიანი საგარეო პოლიტიკა, რათა ჩვენი უპირატესობები გამოყენებულ იქნეს.

რა თქმა უნდა, სომხეთს, აზერბაიჯანს, რეგიონის მეზობლებს, გეოგრაფიული მდებარეობისა თუ საგარეო-პოლიტიკური ორიენტაციის თვალსაზრისით, საკუთარი თავისებურებები გააჩნია, რომელთა რეალიზაციაზეც დამოკიდებულია მათი მომავალი. ამ უპირატესობათა გამოყენება სულაც არ ნიშნავს ერთმანეთში შეჯიბრს და ერთმანეთის ხარჯზე წარმატების მიღწევას. პირიქით, თანამშრომლობითა და ურთიერთდახმარებით შესაძლებელი უნდა გახდეს რეგიონის საერთო კეთილდღეობისათვის ამ უპირატესობათა რეალიზაცია. ეს განსაკუთრებით სამხრეთ კავკასიისათვის არის აქტუალური. რეგიონის ქვეყნების პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, აგრეთვე არასტაბილური გეოპოლიტიკური გარემო განაპირობებს იმას, რომ ცალ-ცალკე პატარა და სუსტი საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის განვითარება მნიშვნელოვანწილად არის დამოკიდებული გარე ფაქტორებზე. აქ საერთაშორისო ორგანიზაციებისა და დონორი სახელმწიფოების მხრიდან დახმარებასთან ერთად არასტაბილური გარემოცვიდან მომდინარე საფრთხესაც უნდა გაეწიოს ანგარიში. აქედან გამომდინარე, უსაფრთხოებისა და ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფის გარანტიას გრძელვადიან პერსპექტივაში ძალისხმევის გაერთიანება წარმოადგენს.

## **თავი 60. სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოება და მისი შემადგენელი**

სახელმწიფო – როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია, მოქალაქეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის ძირითად სუბიექტად გვევლინება. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკისა და თავდაცვითი ფუნქციების განსახორციელებლად სახელმწიფო ფლობს სპეციალურ ორგანოებსა და საშუალებებს. შესაბამისი პოლიტიკის განხორციელების შედეგად, სახელმწიფო საკუთარ ეროვნულ უსაფრთხოებას და ამის შედეგად – ყველა მოქალაქის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

ეროვნული უსაფრთხოება – ეს გახლავთ სახელმწიფოს მიერ თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში სახელმწიფოს მიერ მიღებული (ან მისაღები) ზომების

სხვადასხვა დონის სისტემა, რომელიც საფრთხეების განეიტრალებისა და პიროვნების, საზოგადოების, ეკონომიკის და სახელმწიფო ინსტიტუტების მდგრადი განვითარებისაკენაა მიმართული. ეროვნული უსაფრთხოება საგარეო და შიდა უსაფრთხოების მიმართულებებისაგან შედგება (მ. მაცაბერიძე. 1992. გვ. 17-29).

საგარეო უსაფრთხოებას ორი დონე გააჩნია: გლობალური და სახელმწიფოთაშორისი. საგარეო უსაფრთხოების ასპექტების ანალიზის ფარგლებში შეგვიძლია ყურადღება გავამახვილოთ ეკოლოგიურ, სამხედრო, რადიაციულ, კრიმინოგენულ, ეპიდემიოლოგიურ, ბუნებრივ, კულტურულ და მორალურ ფაქტორებზე (D. Snow. 1991. Pp. 5-6).

შიდა უსაფრთხოება - ეკონომიკური ხასიათის პრობლემების აღმოფხვრას, სამხედრო გადატრიალების, ინფორმაციის გაუონვისა და ტერორისტული აქტების თავიდან აცილების, სოციალური, ბუნებრივი, ბიოლოგიური, ტექნიკური წარმოშობის საგანგებო შემთხვევების ლიკვიდაციას, კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტალურ ღირებულებათა დაცვას და ა.შ. გვთავაზობს.

ეროვნული უსაფრთხოების სისტემის უზრუნველყოფა სხვადასხვა დონეებზე ხორციელდება, მათ შორის უნდა განვიხილოთ: საერთაშორისო, სახელმწიფოებრივი, რეგიონალური, ორგანიზაციული და პიროვნული დონეები. წარმოშობის წყაროს მიხედვით შესაძლებელია საფრთხეების შემდეგი ტიპები იქნეს გამოყოფილი:

1. ბუნებრივი ხასიათის (წყალდიდობა, მიწისძვრა, ცუნამი და ა.შ.);
2. ეპიდემიოლოგიური (ეპიდემიები);
3. ტექნოგენური (კატასტროფები, აფეთქებები, ხანძარი და ა.შ.);
4. სოციალური;
5. სოციალურ-ფსიქოლოგიური (Каменская. 2005. Стр. 257).

სოციალ-ფსიქოლოგიური თვალსაზრისით ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ და პირველ რიგში საერთაშორისო და სახელმწიფოთაშორისო დონეზე არსებულ კონცეფციას - კონფლიქტების (პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და ა.შ.) თეორია წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, ყურადღება შესაძლებელია გამახვილებულ იქნეს გლობალური, გეოპოლიტიკური, სახელმწიფოთაშორისი, რეგიონალური, შიდაპოლიტიკური და ა.შ. ხასიათის კონფლიქტებზე. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავების პროცესში - კონფლიქტოლოგიური მიდგომა იმის საშუალებას იძლევა, რომ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი ეროვნული ინტერესები იქნეს განსაზღვრული, მათ შორის - სასიცოცხლო მნიშვნელობის სფეროები და სხვადასხვა საფრთხეების არსებობის საკითხი. ანალოგიურად, შესაძლებელია ნათელი წარმოდგენა შეგვექმნას კონფლიქტების მიზეზებზე, სახელმწიფოებს შიგნით არსებული კონფლიქტების დინამიკაზე, გლობალური

ხასიათის წინააღმდეგობებზე და ა.შ. ასეთი მიდგომა საშუალებას მოგვცემს, ჩამოყალიბებულ იქნეს კონკრეტული სახელმწიფოს (მათ შორის საქართველოს) საგარეო და საშინაო პოლიტიკა ეროვნული ინტერესების პრინციპის დაცვის საფუძველზე. კონფლიქტოლოგიური მიდგომა - სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობების პროგნოზირების გაკეთების საშუალებას იძლევა. ნედლეულის, ტერიტორიული, ხალხთმოსახლეობის, ეკოლოგიური და ა.შ. ასპექტები ამ ურთიერთობებს ამწვავებენ. სახელმწიფოთაშორისი კონფლიქტების მიზეზები იდეოლოგიურ, გეოპოლიტიკურ, ეკონომიკურ და ამა თუ იმ ქვეყანაში მოსახლეობის სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნებაში და სხვა ფაქტორებში უნდა ვეძებოთ. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, სხვადასხვა კონფლიქტური ხასიათის მოვლენებისადმი ადეკვატური რეაქციაა საჭირო. ამის გათვალისწინებით უნდა განხორციელდეს არმიის რეფორმაც. ამავე დროს, გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის ფაქტი, რომ დღევანდელ დღეს ომები, შესაძლებელია სამხედრო ძალის გამოუყენებლადაც, ანუ ინფორმაციული (პროპაგანდისტული ხასიათის სატელევიზიო პროგრამები, კიბერშეტევები და ა.შ.), ეკონომიკური (ემბარგო, ბლოკადა და ა.შ.) და სხვა მეთოდებით იქნეს წარმოებული. ამასთან დაკავშირებით, დღის წესრიგში დგება პიროვნებისა და საზოგადოების საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემის ჩამოყალიბების საკითხი.

აღნიშნული პოლიტიკა თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ ტექნიკურ, ასევე იურიდიულ, არამედ ფსიქოლოგიურ საშუალებებსაც. თანამედროვე მსოფლიოში, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული საზოგადოებების კიდევ ერთ საფრთხედ შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს ეროვნული მენტალიტეტის, კულტურის, ფსიქოლოგიური და მორალური ჯანმრთელობის შერყევა. შესაბამისად, ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ მთავარ - ცენტრალურ ამოცანად კონკრეტულ სახელმწიფოებში მცხოვრები მოსახლეობის კულტურული ფასეულობებისა და ერის სიჯანსაღის შენარჩუნება მიიჩნევა. მოსახლეობის საყოფაცხოვრებო პირობებზე და მენტალიტეტზე ნეგატიური ზეგავლენის მოხდენის ერთ-ერთ მთავარ საფრთხედ “მას-მედიის” რიგი საშუალებების ზემოქმედება განიხილება, მაგ: ინტერნეტის რიგი ვებ-გვერდების (მაგალითად, სადაც ადგილი აქვს ძალადობის აგიტაციას და სხვ.) მავნე ზემოქმედება რიგი ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაზე, ხასიათზე, განწყობილებებზე, მოქალაქეთა მოსაზრებებზე, პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობაზე და ა.შ. ახალი კლასის სპეციალურმა ტექნიკურმა საშუალებებმა, შესაძლებელია ნეგატიურად იმოქმედონ ფსიქიკაზე, თანაც როგორც ცნობიერ, ასევე არაცნობიერ დონეზე, და ამით ყველა ნერვული სისტემის პარალიზება მოახდინონ. ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბება, საშუალებას მოგვცემს, რათა შესაბამისმა სახელმწიფო უწყებებმა ერის მორალური და ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემის გადაწყვეტის მიმართულებით იმუშაონ.

ეროვნული უსაფრთხოების მთელ სისტემაში პოლიტიკური უსაფრთხოება მთავარ ადგილს იკავებს. ეს ნიშნავს იმას, რომ მოცემული სახელმწიფო მსოფლიო პოლიტიკის დამოუკიდებელ სუბიექტად გვევლინება, იგი რომელიმე სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა დაჯგუფების მხრიდან პოლიტიკური დიქტატის დამყარების წინააღმდეგ მუშაობს, ატარებს დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას, არ უშვებს გარედან თავისი ქვეყნის შიდა საქმეებში ჩარევას.

სახელმწიფოს პოლიტიკურ უსაფრთხოებას ორი მიმართულება გააჩნია – საშინაო და საგარეო. პოლიტიკური უსაფრთხოების საგარეო მიმართულება გაწონასწორებული, სტაბილური, საკუთარი სახელმწიფოს სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობების პროცესში თანასწორუფლებიანობის საფუძველზე დამყარებულ ურთიერთობას გვთავაზობს. სხვადასხვა საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების დადების მეშვეობით, სახელმწიფო მაქსიმალურად იცავს საკუთარ ეროვნულ ინტერესებს საგარეო-პოლიტიკურ ასპარეზზე. აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფა საგარეო პოლიტიკის საკითხებზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ინსტიტუტების ამოცანას წარმოადგენს. აღნიშნულ ვითარებაში მნიშვნელოვანი როლი პოტენციურ მოწინააღმდეგეებთან დაძაბულობის განმუხტვას, ასევე საერთაშორისო ვითარების დაძაბვის დროს – განსაკუთრებით კი სამხედრო კონფლიქტის წარმოქმნის შემთხვევაში, უდიდესი მნიშვნელობა საომარ ვითარებაში მყოფ სახელმწიფოსა და მისი მოკავშირეების ნეიტრალიზაციის საკითხს ენიჭება. უზრუნველყოფს რა თავის პოლიტიკურ უსაფრთხოებას, თითოეული სახელმწიფო, ცდილობს თავის გარშემო შექმნას “მეგობრულად”, ან ყოველ შემთხვევაში ნეიტრალურად განწყობილი სახელმწიფოების დაჯგუფება, რომლებიც მოცემული სახელმწიფოსადმი ლოიალურად იქნებიან განწყობილნი. სახელმწიფოს პოლიტიკური უსაფრთხოების შიდა მიმართულებას ქვეყანაში არსებული სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა წარმოადგენს. ამ შემთხვევაში, მთავარი ყურადღება შემდეგ ასპექტებზე უნდა იყოს გამახვილებული: საზოგადოებრივი და პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა; არსებული პოლიტიკური რეჟიმის მხარდაჭერის დონე; მოსახლეობის ნდობის ხარისხი ქვეყნის პოლიტიკური ხელმძღვანელობისა და განსაკუთრებით მისი პირველი პირების მიმართ. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოება ეროვნული ეკონომიკის თავისებურებებთანაა დაკავშირებული, რომელიც ხალხის მატერიალური ცხოვრების უზრუნველყოფასა და საგარეო-ეკონომიკური ფაქტორების დამოუკიდებლად შიდა ბაზრის სტაბილურობასთან ასოცირდება. ეს გახლავთ ქვეყნის ისეთი მდგომარეობა, როდესაც იგი დამოუკიდებლად, საგარეო ჩარევისა და ზეწოლის გარეშე, საკუთარი ეკონომიკური განვითარების გზებსა და ფორმებს განსაზღვრავს და მსოფლიო ეკონომიკის სუვერენულ სუბიექტს წარმოადგენს. სახელმწიფოს ეკონომიკური უსაფრთხოების საფუძველს საწარმოო ძალების განვითარების მაღალი დონე განსაზღვრავს, რომელსაც მთლიანი შიდა (ან

ეროვნული) პროდუქტის მოცულობის ზრდის უზრუნველყოფა შეუძლია. ეკონომიკური უსაფრთხოების სოციალ-პოლიტიკურ საფუძველს გრძელვადიანი ეროვნული მიზნების მიმართ საზოგადოებრივი თანხმობა წარმოადგენს, რომელიც საშუალებას იძლევა მიღებულ იქნეს ეკონომიკური განვითარების სტრატეგია, რომელიც თავის მხრივ ცხოვრებაში სახელმწიფო პოლიტიკის მეშვეობით ხორციელდება და რომელსაც ქვეყნის მოსახლეობის უმრავლესობა მხარს უჭერს.

სახელმწიფოს ეკოლოგიური უსაფრთხოება მსოფლიო ბუნებრივი გარემოს კრიზისის პირობებში (რომელიც ყველანაირ მისაღებ ზღვარს გასცდა და საზღვაო, სამდინარო და საჰაერო სივრცის გატუჭიანებასა და წარმოებაში მავნე ნარჩენების ზრდას, ბუნებაში თანასწორობის დარღვევას, ატმოსფეროში მიმდინარე უარყოფით ცვლილებებს და ა.შ. უკავშირდება) მოსახლეობის გადარჩენასთანაა დაკავშირებული. მიმდინარე ეკოლოგიური კრიზისი შესაძლებელია ეკოლოგიურ კატასტროფაში გადაიზარდოს, რომლის შედეგად ჩვენი პლანეტის ფლორისა და ფაუნის სრული განადგურებაა მოსალოდნელი. თითოეული ქვეყნის ტერიტორიაზე ეკოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა უნარჩენო წარმოების შექმნას, გაწმენდითი მოწყობილობების მშენებლობას, ბირთვული იარაღის გამოცდის შეჩერებასა და ა.შ. სხვა მნიშვნელოვან ფაქტორებს უკავშირდება. სამეცნიერო-ტექნიკური სიახლეების დანერგვის ფარგლებში, ახალი წარმოების დაწყებისას, ეკოლოგიური იმპერატივი, ანუ მკაცრი გაფრთხილება უნდა მოქმედებდეს, რათა გარემოსთვის მიყენებული ზარალი თავიდან იქნეს აცილებული. ზემოაღნიშნული, გლობალურ პრობლემას წარმოადგენს. ეკოლოგიური ფაქტორის განხილვის პროცესში, როგორც არც ერთ სხვა სფეროში, თანამედროვე მსოფლიოს მთლიანობა და ხალხთა შორის მჭიდრო ურთიერთკავშირი შეინიშნება. საერთო ჯამში, ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, შესაძლებელია მხოლოდ საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭებოდეს. საერთაშორისო ეკოლოგიური სამართლის სისტემა მკაცრ მოთხოვნებს უნდა შეიცავდეს. აღნიშნული სისტემის ფარგლებში, ყველა სახელმწიფოზე უნდა დაწესდეს ვალდებულება, რომელიც იმ საჰაერო და საზღვაო სივრცის მოწამლვის წინააღმდეგ გასატარებელ ღონისძიებებს ითვალისწინებს, რომლითაც დედამიწის მთელი მოსახლეობა სარგებლობს.

სახელმწიფოს ინფორმაციული უსაფრთხოება თავის მხრივ, წარმოადგენს სახელმწიფოს შესაძლებლობას, რათა განმტკიცებულ და უზრუნველყოფილ იქნეს საინფორმაციო რესურსების და საინფორმაციო ნაკადების დაცვა, რომლის მიზანი საზოგადოების სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება იქნება. აღნიშნულით შესაძლებელი გახდება საკუთარ ქვეყანაში მოსახლეობის ცნობიერებაზე მავნე ინფორმაციული ზემოქმედების თავიდან აცილება. დღევანდელ დღეს, უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს შესაძლებლობას - ნეიტრალიზება გაუკეთდეს კომპიუტერულ ქსელებზე და ინფორმაციის სხვა საშუალებებზე გარემო

ზემოქმედებას, განსაკუთრებით კი ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრების ისეთ უმნიშვნელოვანეს სფეროებში, როგორებიცაა ეკონომიკური, სამხედრო, დიპლომატიური და სხვ. თითოეულმა სახელმწიფომ სხვა სახელმწიფოებთან ან სხვადასხვა ორგანიზაციებთან საინფორმაციო ჭიდილში თავისი სისტემის უსაფრთხოება უნდა უზრუნველყოს. ამისათვის საჭიროა, რათა შექმნილ იქნეს შესაბამისი საინფორმაციო თავდაცვითი საშუალებები და შესაბამისად, მოსალოდნელი საინფორმაციო დაპირისპირების სტრატეგია იქნეს შემუშავებული.

ზემოჩამოთვლილი ფაქტორები სახელმწიფოს ეროვნული უსაფრთხოების მთავარ ელემენტებს წარმოადგენენ. ამავე დროს, არსებობენ სხვა ისეთი მნიშვნელოვანი ელემენტები, რომლებსაც ენერგეტიკული, სასურსათო, სოციოკულტურული, სულიერ-იდეოლოგიური, დემოგრაფიული, სამხედრო და უსაფრთხოების სხვა სახეობები წარმოადგენენ.

## **თავი 61. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები**

### **რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ**

როგორც ფართო საზოგადოებისათვის ცნობილია, საქართველოს საგარეო პოლიტიკისა და ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთ ძირითად პრიორიტეტს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაცია წარმოადგენს. ამ მიმართულებით უმნიშვნელოვანესი როლი ქვეყნის შიგნით, განსაკუთრებით თავდაცვისა და უსაფრთხოების, ასევე კრიზისების მართვის სფეროში რეფორმების სრულყოფას ეკისრება (ა. რონდელი. 2003. გვ. 89). ეროვნული უსაფრთხოება ეროვნული ინტერესების დაცვას გულისხმობს, საქართველოში მცნება “ეროვნული უსაფრთხოება” საბჭოთა კავშირის დაშლისა და ეროვნული დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ გაჩნდა, მისი სისტემის ჩამოყალიბება კი უკვე გასული საუკუნის 90-იანი წლებიდან დაიწყო (ნ. ჩიტაძე. 2012. გვ. 11-15).

სახელმწიფოსათვის, ეროვნული უსაფრთხოების ყველაზე მნიშვნელოვანი ელემენტი სამხედრო უსაფრთხოებაა, რომელიც ეროვნული ინტერესების გარე და შიდა საფრთხეებისაგან დაცვასა და ეფექტური თავდაცვისუნარიანობის არსებობას გულისხმობს, ხოლო სახელმწიფო, რომელიც ქმედითი თავდაცვის სისტემის შექმნას ესწრაფვის, არ გამორიცხავს მის წინააღმდეგ სამხედრო აგრესიის განხორციელების შესაძლებლობას, განსაკუთრებით თუ ეს ქვეყანა თავისი ტერიტორიის ფართობის გათვალისწინებით პატარა სახელმწიფოს წარმოადგენს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომი პერიოდიდან რუსეთმა გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისიდან 2008 წლის აგვისტომდე საქართველოს წინააღმდეგ ირიბი, ხოლო 2008 წლის აგვისტოში ფართომასშტაბიანი პირდაპირი აგრესია განახორციელა, საომარი



მოქმედებების დასრულების შემდეგ, საქართველო ახალი გამოწვევების წინაშე დადგა. რუსეთ-საქართველოს ომში ოფიციალური კრემლის მთავარ მიზანს საქართველოს სრული ოკუპაცია და ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობა წარმოადგენდა, რუსეთის სურვილი იყო საქართველოში დანიშნული ყოფილიყო მოსკოვის მხრიდან მარიონეტული რეჟიმის წარმომადგენელი და საქართველო სამუდამოდ დარჩენილიყო რუსეთის გეოპოლიტიკურ ორბიტაში. 2008 წლის აგვისტოს ომს სავალალო შედეგები მოჰყვა საქართველოსათვის, რუსეთმა საქართველოს ტერიტორიის თითქმის 20 პროცენტის ოკუპაცია მოახდინა. მიუხედავად ამისა, აგრესორმა ვერ მოახერხა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოსპობა, ხელისუფლების გადატრიალება და ქვეყნის საგარეო – პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსეთის მხრიდან მსგავსი აგრესიის განმეორება არ არის გამორიცხული, თუმცა საეჭვოა რომ ეს იგივე ფორმითა და სცენარით განმეორდეს, მაგრამ ფაქტია, რომ საქართველოს რუსეთის მხრიდან ემუქრება პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ხასიათის საფრთხეები, მათ შესამცირებლად კი შესაბამისი ღონისძიებებია გასატარებელი. იმისათვის რომ არსებული საფრთხეები აცილებულ იქნეს, საჭიროა საქართველოს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება.

თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში არსებული ყველა ის დოკუმენტი და ძირითადი ხედვა, რომელიც საქართველოში 2008 წლის აგვისტოს ომამდე იქნა მიღებული, ამჟამად უკვე მოძველებულად შეიძლება ჩაითვალოს. ამიტომაც, დღევანდელ დღეს საქართველომ უსაფრთხოების გარემოს კუთხით ახალ რეალობას უნდა გაუსწოროს თავალი, შესაბამისად უნდა დაჩქარდეს უსაფრთხოების სისტემის რეფორმირება და ახალი დოკუმენტების შემუშავება. ამ მიმართულებით ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს ასრულებს 2011 წლის დეკემბერში მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, აგრეთვე უკვე 2013 წელს დამტკიცებული დოკუმენტი “თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2013-2016” და 2017 წელს დამტკიცებული დოკუმენტი „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020“.

### *2011 წელს მიღებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია*

2011 წლის დეკემბერში, საქართველომ, სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ პერიოდში მეორედ, დაამტკიცა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. დოკუმენტი ასახავს ქვეყნის უსაფრთხო განვითარების ხედვასა და ეროვნულ ინტერესებს 2008 წლის აგვისტოს შემდგომ პერიოდში, იგი აღწერს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებულ საფრთხეებს, რისკებსა და

გამოწვევებს და შესაბამისად აყალიბებს უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს.

2008 წლის აგვისტოში მომხდარი ომის შემდეგ შეიცვალა ქვეყნის წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები, ამიტომაც, ახალი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის მიღებასთან ერთად შეიქმნა ახალი, ადეკვატური სტრატეგიები და გეგმები.

ზემოაღნიშნულ დოკუმენტს წინ უძღვის საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა: “საქართველოს მოქალაქეების ურყევი ნებაა დაამკვიდრონ დემოკრატიული საზოგადოებრივი წესწყობილება, ეკონომიკური თავისუფლება, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფო, უზრუნველყონ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებანი და თავისუფლებანი, განამტკიცონ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და სხვა ხალხებთან მშვიდობიანი ურთიერთობა...” (საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა).

დოკუმენტის პირველ ნაწილში აღწერილია საქართველოს უსაფრთხოების გარშემო არსებული ვითარება, სადაც საუბარია იმაზე, რომ 2008 წლის რუსეთის აგრესიამ და საქართველოს ორ ისტორიულ რეგიონში საოკუპაციო ძალების განლაგებამ კიდევ უფრო გააუარესა საქართველოს უსაფრთხოების გარემო და გაზარდა მთლიანად კავკასიის რეგიონის არასტაბილურობის ხარისხი. ამიტომაც, საქართველოსათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება მსოფლიოს წამყვან დემოკრატიულ ქვეყნებთან კავშირის შენარჩუნება და ქვეყნის შიგნით დემოკრატიული მონაპოვარის განმტკიცება რეფორმების გაგრძელების გზით.

რაც შეეხება დოკუმენტის მეორე თავს, “საქართველოს ფუნდამენტური ეროვნული ღირებულებები”, აქ აღნიშნულია, რომ აღნიშნულ ღირებულებებს წარმოადგენენ: სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, თავისუფლება, დემოკრატია და კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, მშვიდობა (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. მეორე თავი).

საქართველოს ეროვნული ინტერესები (დოკუმენტის მესამე ნაწილი) ეფუძნება ფუნდამენტურ ეროვნულ ღირებულებებს, მათ შორის სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის და ეროვნული უსაფრთხოების, რეგიონული სტაბილურობის, დემოგრაფიული უსაფრთხოების, საინფორმაციო სივრცის და სოციალ-ეკონომიკური განვითარების უზრუნველყოფას, ეროვნული ერთიანობისა და სამოქალაქო თანხმობის განმტკიცებას, ევროპულ და ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, ენერგეტიკულ უსაფრთხოებას, ქვეყნის სატრანზიტო ფუნქციის განმტკიცებას.

დოკუმენტის ერთ-ერთ მთავარ ნაწილს წარმოადგენს თავი “საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები, რისკები და გამოწვევები”, სადაც საუბარია რუსეთის მიერ განხორციელებულ აგრესიაზე, რომელსაც ადგილი ჰქონდა მე-20 საუკუნის დასაწყისიდან, როდესაც საბჭოთა რუსეთის ექსპანსიის შედეგად საქართველო 70 წლის განმავლობაში იმყოფებოდა საბჭოთა ოკუპაციის ქვეშ, ხოლო ქვეყნის მიერ სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ, გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში აგრესიული სეპარატისტული მოძრაობების რუსეთის მხრიდან მხარდაჭერის შედეგად, აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში არსებული დაძაბულობა შეიარაღებულ კონფლიქტში გადაიზარდა, რასაც მოჰყვა ეთნიკური წმენდა და 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მხრიდან მორიგი სამხედრო აგრესია და ეთნიკური წმენდის ახალი ტალღა. აქედან გამომდინარე, აგრესიის შემდგომ პერიოდში რუსეთის მიერ ოკუპირებული რეგიონების ინტენსიური მილიტარიზაცია და რუსეთის საოკუპაციო ძალების მიერ ადამიანის უფლებების რეგულარული და უხეში დარღვევის ფაქტები განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. გვ. 22).

შესაბამისად, არსებობს ახალი სამხედრო აგრესიის რისკი რუსეთის ფედერაციის მხრიდან, რადგანაც რუსეთი არ ასრულებს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმებით დაკისრებულ საერთაშორისო ვალდებულებებს და ზრდის სამხედრო კონტინგენტს ოკუპირებულ რეგიონებში.

სხვა მნიშვნელოვან საფრთხეებად დოკუმენტში აღიარებულია კავკასიაში არსებული კონფლიქტები, საერთაშორისო ტერორიზმი, ეკონომიკური და სოციალური გამოწვევები, რომლებიც მსოფლიოში არსებულ ეკონომიკურ კრიზისთანაა დაკავშირებული, ენერგეტიკული, ინფორმაციული, ეკოლოგიური, დემოგრაფიული გამოწვევები, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებანი.

საფრთხეებსა და გამოწვევებზე დაყრდნობით, დოკუმენტში განსაზღვრულია “საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითადი მიმართულებები”, რომლის ფარგლებშიც შემდეგი პრიორიტეტებია ჩამოყალიბებული: საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და რუსეთთან დიალოგი ორივე სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის პრინციპების პატივისცემის საფუძველზე, ჩართულობის პოლიტიკის განხორციელება - რომელიც ხელს შეუწყობს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ადამიანების ინტეგრაციას ერთიან ქართულ სივრცეში, თავდაცვისუნარიანობის განმტკიცება, სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერება - რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს დემოკრატიის განვითარებას, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, თანამშრომლობის განვითარება სამხრეთ კავკასიაში, საერთაშორისო კავშირების განმტკიცება ისეთ ქვეყნებთან, როგორებიცაა აშშ, უკრაინა, თურქეთი. ასევე, ურთიერთობების

განვითარებას ისეთ საერთაშორისო უნივერსალურ და რეგიონულ ორგანიზაციებთან - როგორებიცაა გაერო, ეუთო, ევროპის საბჭო (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. გვ. 29-59).

დოკუმენტში მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სწორი ეკონომიკური, ენერგეტიკული და უსაფრთხოების პოლიტიკის განხორციელებას, ჯანდაცვის, სოციალურ და განათლების პოლიტიკას, ინფორმაციულ და ეკოლოგიურ უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საკითხებს, დემოგრაფიული და სამოქალაქო ინტეგრაციის პოლიტიკას (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. გვ. 59-65).

დასკვნის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საბოლოო მიზანია წარმოადგინოს თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკის შესახებ საქართველოს ხელისუფლების თანამედროვე ხედვა. კონცეფცია განსაზღვრავს იმ ძირითად პრიორიტეტებს, რომლებმაც ხელი უნდა შეუწყონ დოკუმენტში არსებული პრინციპების პრაქტიკაში გატარებას. მრავალი პრობლემის არსებობის მიუხედავად, არსებობს შესაძლებლობებიც, რომლებიც მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოყენებული, რაც შესაძლებელი იქნება საქართველოს ხელისუფლებისა და მოსახლეობის ძალისხმევითა და საერთაშორისო თანამეგობრობის ხელშეწყობით.

### **საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებები 2014-2018 წლებში**

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის თანახმად, ეროვნული უსაფრთხოების რაციონალური და მოქნილი სისტემის ჩამოყალიბება ქვეყნის ეროვნულ ინტერესს წარმოადგენს და მას, ამ ქვეყნის ძირითადი კონცეპტუალური დოკუმენტის მიხედვით, სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011). აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტს მოცემული სისტემის ისეთი ჩამოყალიბება წარმოადგენს, რომელიც სახელმწიფოს განვითარებას და მისი თითოეული მოქალაქის უსაფრთხოებას უზრუნველყოფდეს.

ეროვნული უსაფრთხოების სისტემაში, საქართველოს უზენაეს კანონში - კონსტიტუციაში ცვლილებების ამოქმედებიდან გამომდინარე, 2014 წლიდან დაწყებული თანამედროვე პერიოდამდე მრავალი სამართლებრივი თუ ინსტიტუციური დონის ცვლილებას ჰქონდა ადგილი, რაც უსაფრთხოების სისტემის წარმატებით ფუნქციონირების შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენდა. ამის ნათელი დასტურია ის ფაქტი, რომ 2014-2017 წლებში საქართველოში ფუნქციონირებდა ეროვნული

უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის ორი მაკოორდინირებელი ორგანო – საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო პრეზიდენტის დაქვემდებარებაში და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო პრემიერ-მინისტრის დაქვემდებარებაში, თუმცა 2017 წელს განხორციელებული საკანონმდებლო და საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად შექმნილი ვითარებით, ქვეყანას არც ერთი ზემოხსენებული სამსახური აღარ უნდა ჰყოლოდა (კანონი: “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ”).

აღნიშნული ცვლილებებით, კანონის (კანონი: “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ”) შესაბამისად, ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვაზე პასუხისმგებელი - ზემოხსენებული ორი მაკოორდინირებელი საბჭოს (რომელთაგან ერთი, ეროვნული უშიშროების საბჭო, კონსტიტუციურ ორგანოს წარმოადგენდა) ნაცვლად, იქნებოდა მთავრობა. პრემიერ-მინისტრის მრჩეველის თანამდებობა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში გაუქმებულ იქნა. ამასთან, აღმასრულებელი ხელისუფლების ფარგლებში აღარც ეროვნული უსაფრთხოების მიმართულების საკოორდინაციო ფუნქციის მქონე უწყებათაშორისი კომისია მოიაზრებოდა, რომელიც უსაფრთხოების სფეროში კონცეპტუალური დოკუმენტების განახლებაზე იმუშავებდა (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, 2017). ინსტიტუციურმა და სამართლებრივმა ცვლილებებმა აქამდე არსებული სისტემა ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება-კოორდინაციის ნაწილშიც შეცვალა. გარდა იმისა, რომ კრიზისი, როგორც განსაკუთრებული რეჟიმი და ცნება, გაქრა ჩვენი კანონმდებლობიდან (კანონი: “სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ”), შეიცვალა ეროვნული სიტუაციური ოთახის დაქვემდებარების ინსტიტუციური საკითხიც და, შესაბამისად, სტრატეგიულ დონეზე კრიზისების მართვის სისტემა. ეროვნული სიტუაციური ოთახი 2017 წლის ბოლომდე ექვემდებარებოდა კრიზისების მართვის საბჭოს და სტრატეგიულ და ოპერაციულ დონეზე წარმოადგენდა ინსტრუმენტს პრემიერის ხელში კრიზისული სიტუაციების დროს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების, მართვისა და კოორდინაციისთვის. 2017 წლის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად კი, ცენტრი გადავიდა პრემიერის უშუალო დაქვემდებარებაში არსებულ საგანგებო სიტუაციების ახლადშექმნილ სამსახურში, რომელიც ოპერატიულ დონეზე უზრუნველყოფდა კრიზისების მართვას. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ კანონში ცვლილებების თანახმად, ეროვნული მნიშვნელობის საგანგებო სიტუაციაზე რეაგირების პოლიტიკურ და ოპერაციულ დონეზე მართვა სიტუაციური ოთახის გამოყენებით შეიძლებოდა, სისტემა არ იყო გამართული პოლიტიკურ დონეზე. ამ პერიოდის განმავლობაში, საბოლოოდ, საგანგებო სიტუაციების სამსახური შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურულ ქვეგანყოფილად მოიაზრება, ხოლო ყველა ტიპის

კრიზისის პოლიტიკურ დონეზე მართვის და კოორდინაციის საკითხი კვლავაც მომავალში საკანონმდებლო რეგულირებას საჭიროებს.

ზემოაღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით უნდა აღინიშნოს, რომ 1994 წლიდან მოყოლებული საქართველოში პირველად შეიქმნა ვითარება, როდესაც სამართლებრივ თუ ინსტიტუციურ დონეზე არსებობდა ბევრი სუსტი მხარე ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის, ამ პოლიტიკის კოორდინაციისა და ყველა ტიპის კრიზისულ ვითარებაში სტრატეგიულ დონეზე გადაწყვეტილების მიღების და მისი კოორდინაციის მიმართულებით. 2018 წლის ივნისში საქართველოს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე გამოსვლისას, საქართველოს მაშინდელმა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ აღნიშნა, რომ სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია მაკოორდინირებელი საბჭოს შექმნა და რომ სექტემბრამდე მთავრობა გეგმავდა ამგვარი ინსტიტუტის შექმნასთან დაკავშირებით საკანონმდებლო ინიციატივით პარლამენტში შესვლას (ბახტაძე, 2018). როგორც მოგვიანებით, აგვისტოს თვეში, საქართველოს მთავრობის მეთაურმა მას-მედიის წარმომადგენლებთან ინტერვიუში განაცხადა, საბჭოს შექმნის სამუშაო პროცესი შემოდგომაზე უნდა დასრულდეს იმ მიზნით, რომ საქართველოს ეფექტიანი ეროვნული უსაფრთხოების სისტემა გააჩნდეს, ამ შემთხვევაში, ამ სისტემის ფარგლებში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციას – უშიშროების თუ უსაფრთხოების საბჭო უნდა ასრულებდეს. აუცილებლობას წარმოადგენს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინება, კერძოდ, ეს არის ის სამართლებრივი ჩარჩო, რომელშიც მოქმედებაც მოუწევდა უწყებას და რაც ჩვენს შემთხვევაში არის ახალი კონსტიტუცია და მისგან გამომდინარე საკანონმდებლო ცვლილებები; ეროვნული უსაფრთხოების გარემო და ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეები და გამოწვევები; ის ძველი ინსტიტუციური თუ სამართლებრივი გამოცდილება, რაც მიიღო ქვეყანამ ამ სისტემის ჩამოყალიბების გზაზე და პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო თანამედროვე გამოცდილება.

რამდენადაც შექმნილ ვითარებამდე ქვეყანაში ეროვნულ დონეზე არსებობდა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ინსტიტუციური პრაქტიკა, წიგნის ამ თავში შევეცდებით გავაანალიზოთ ინსტიტუციური და სამართლებრივი გამოცდილება 1996 წლიდან 2018 წლამდე და ამის საფუძველზე წარმოვადგინოთ სამომავლო პერსპექტივები, როგორც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის ეროვნულ დონეზე დაგეგმვისა და კოორდინაციის სისტემის მოსაწყობად, ისე ყველა დონის კრიზისის პოლიტიკურ დონეზე მართვისთვის.

### **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო**

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურის მოწყობა და ეროვნულ დონეზე მისი მართვის მექანიზმი სამართლებრივად, კონსტიტუციის დონეზე, 1995

წლიდან მოქმედებდა, რაც, ერთი მხრივ, გამოიხატებოდა ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ კონსტიტუციაში არსებული ჩანაწერით, მოგვიანებით კი – შესაბამისი კანონმდებლობით და ინსტიტუციური მოწყობით. ამასთან აღსანიშნავია, რომ კონსტიტუციის მიღებამდე, 1994 წელს, საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დაქვემდებარებაში, ედუარდ შევარდნაძის ინიციატივით, ასევე შექმნილი იყო სათათბირო უწყება თავდაცვის საბჭოს სახით, რომლის ინსტიტუციური მემკვიდრე უკვე 1996 წლიდან გახდა კონსტიტუციური ორგანო – ეროვნული უშიშროების საბჭო. უშიშროების საბჭო იქმნებოდა კონსტიტუციის 99-ე მუხლით, ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაციისა და სამხედრო აღმშენებლობისთვის და მისი თავმჯდომარე იყო ქვეყნის პრეზიდენტი (აქუბარდია, 2018). საბჭოს საქმიანობას არეგულირებდა ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ, სადაც დეტალურად იყო გაწერილი საბჭოს ფუნქცია, შემადგენლობა, უწყებათაშორისი კომისიები და ის საკითხები, რომელთა განხილვისთვისაც იქმნებოდა ეს ორგანო. მიუხედავად იმისა, რომ საბჭო იყო პრეზიდენტის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურის, სათათბირო ინსტიტუტი, უშიშროების საბჭოს საქმიანობაში კანონით უშუალოდ მონაწილეობდა პარლამენტის თავმჯდომარე და აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოს თავმჯდომარეები. ყოველმა ახალმა პრეზიდენტმა თავის შეხედულებიდან გამომდინარე განახორციელა უშიშროების საბჭოს რეფორმირება. ასე, მაგალითად, 1996 წლის კანონის შესაბამისად, რომელიც 2004 წელს იქნა გაუქმებული, საბჭოს სტატუსი შემდეგნაირად იყო წარმოდგენილი: „ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო სამხედრო აღმშენებლობისა და თავდაცვის ორგანიზაციის, ქვეყნის უშიშროებასთან დაკავშირებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის სტრატეგიულ საკითხებზე გადაწყვეტილებათა მისაღებად“. ამასთან, საბჭოს საკონტროლო და საკოორდინაციო ფუნქციებიც გააჩნდა, ეს უკანასკნელი კი უწყებათაშორისი კომისიების მეშვეობით ხორციელდებოდა.

„2004 წელს მარტვის სისტემის შეცვლისა და მთავრობის, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების განმახორციელებელი, პრეზიდენტის წინაშე პასუხისმგებელი ორგანოს შემოღების მიუხედავად, ეროვნული უშიშროების საბჭოს ფუნქციები მნიშვნელოვნად არ შეცვლილა“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროექტი, გვ. 22). შესაბამისად, 2004 წლის ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ ახალი კანონით, იმასთან ერთად, რომ საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ პრემიერ-მინისტრი და ფინანსთა მინისტრი, საბჭოს მუშაობის პროცესში ჩართვის უფლება კვლავ შეინარჩუნა პარლამენტის თავმჯდომარემ, ამასთანავე, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების წარმომადგენლობითი ორგანოების თავმჯდომარეები ახალი საბჭოს სტრუქტურაში აღარ იყვნენ შეყვანილნი. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს სტატუსის განსაზღვრა იგივე დარჩა,

გაფართოებულ იქნა ეროვნული უსაფრთხოების სფეროს კომპეტენციაში შემაჯავალი საკითხების სია, ასევე განისაზღვრა სტრატეგიული საკითხებზე გადაწყვეტილების მიღების უმაღლესი პოლიტიკური დონე (კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ).

ახალი კანონის თანახმად, საბჭოს უფლებამოსილების ფარგლებში დამატებით კიდევ ერთი პასუხისმგებლობის სფერო იქნა გამოყოფილი – უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და მისი კოორდინაციის მიმართულებით, კონკრეტულად კი, საბჭო პრეზიდენტის ბრძანების საფუძველზე მოამზადებდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციას და „ორგანიზებას უწევდა სახელმწიფო სტრატეგიების შემუშავებას თავდაცვის, სახელმწიფო უშიშროების, სამართალდაცვის, კორუფციასთან ბრძოლის, საგარეო პოლიტიკისა და ქვეყნის უსაფრთხოების სხვა სფეროებში“ (საქართველოს ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ). საბჭოს ინსტიტუციურ მექანიზმს უწყებათშორისი კომისიები წარმოადგენდა, რომლებიც ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდლის აქტით იქმნებოდა და მათ ფუნქციონირებას უშიშროების საბჭოს მდივანი უძღვებოდა. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, საბჭოს აპარატში დაიწყო ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესი, რომლის მიზანი იყო „მოეხდინა ეროვნული უსაფრთხოების არქიტექტურაში არსებული ნაკლოვანებების იდენტიფიცირება. აღმოჩნდა, რომ მთავარი პრობლემა იყო სუსტი უწყებათშორისი კოორდინაცია და მხოლოდ შედეგის დადგომის შემდეგ რეაგირებაზე დაფუძნებული მიდგომა კრიზისის მართვის სფეროში“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სექტორის მიმოხილვის დოკუმენტი, გვ. 36). მიმოხილვის პროცესის ძირითად მიზანს წარმოადგენდა: „უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის შემდეგ ინსტიტუციონალიზაციის განხორციელება და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის განმტკიცება, ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის სისტემის და მისი კომპონენტების ხარვეზების და ძლიერი და სუსტი მხარეების შეფასება. კოორდინაციული მიდგომის საფუძველზე მას უნდა უზრუნველყო იმ პოლიტიკის განსაზღვრა, რომელიც სახელმწიფოს უნდა გაეტარებინა და იმ შესაძლებლობების იდენტიფიცირება, რომელთა განვითარებაც იყო საჭირო“ (ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროექტი, გვ. 37-39). შედეგად, ერთი მხრივ, განხორციელებულ იქნა ფუძემდებლური ეროვნული დოკუმენტების განახლება, მეორეს მხრივ კი, საბჭოს ორგანულ კანონში ცვლილებების შედეგად გაჩნდა ახალი ფუნქცია, რაც ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის ხელმძღვანელობასა და ამ მიზნით უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებასა და კოორდინაციაში მდგომარეობდა (კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ). შედეგად, ეროვნული უშიშროების საბჭოს კომპეტენციის ფარგლებში 1996 წლიდან 2012 წლამდე სამი ძირითადი მიმართულება გახლდათ განსაზღვრული: ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა, ამ პოლიტიკის კოორდინაცია და ყველა ტიპის



კრიზისული სიტუაციების მართვის ხელმძღვანელობა უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, აღნიშნული ამოცანების გადაწყვეტის საქმეში ჩართულნი იყვნენ პრეზიდენტი, როგორც ქვეყნის სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, მთავრობის რამდენიმე წევრი და პარლამენტი, რომელიც წარმოდგენილი იყო მისი თავმჯდომარით.

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებისა და ქვეყნის უზენაეს კანონში-კონსტიტუციაში ცვლილებების ძალაში შესვლის შემდეგ, 2014 წლიდან, ახალმა ხელისუფლებამ უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურაში ცვლილებების შეტანა დაიწყო, რაც განპირობებული იყო კონსტიტუციაში ცვლილებების ამოქმედებით და საპრეზიდენტო ინსტიტუტის პოლიტიკური გავლენის შემცირებით. შედეგად, პრეზიდენტი აღარ იყო აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაური, ათეულობით კანონში შევიდა ცვლილება, მათ შორის ყველაზე აქტუალური გახლდათ ეროვნულ დონეზე პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესისა და მისი ინსტიტუციური მოწყობის საკითხები. პრეზიდენტის დაქვემდებარებაში არსებული კონსტიტუციური ორგანოს – ეროვნული უშიშროების საბჭოს პარალელურად, დამატებით, ჯერ მთავრობის დადგენილებით, შემდგომ კი კანონით, შეიქმნა პრემიერის სათათბირო ორგანო – სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო.

### **ორი სათათბირო საბჭოს პერიოდი 2014-2017 წწ: საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო**

აღნიშნულ ქვეთავში ცალ-ცალკე განვიხილავთ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვასა და კოორდინაციაზე პასუხისმგებელი ინსტიტუტების – ეროვნული უშიშროების საბჭოსა და კრიზისების მართვის საბჭოს – სამართლებრივ და ინსტიტუციურ ჩარჩოს და მათ ურთიერთმიმართებას.

### ***ეროვნული უშიშროების საბჭო 2014-2018 წწ.***

საქართველოს რიგით მეოთხე პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშვილმა, რომელიც თავის უფლებამოსილებას 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შედეგად შეუდგა, 2014 წლის აგვისტოში გამოაქვეყნა თავისი ხედვა ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ. ხედვის თანახმად, რომელიც კონსტიტუციის სულისკვეთებიდან მომდინარეობდა, „ქვეყნის თავდაცვასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ საკითხებზე „პოლიტიკური შეთანხმებების“ მიღების ორგანოდ უშიშროების საბჭო მოიაზრებოდა“ (პრეზიდენტის ხედვა ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ). საბჭოს რეფორმირების შედეგად იგი იქნებოდა ხელისუფლების სხვადასხვა შტოსა და ინსტიტუტის უშუალო კომუნიკაციის ინსტრუმენტი სახელმწიფოს თავდაცვისა და უშიშროების საკითხებში და უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების

ოპერატიულად მომზადების ადგილი. უშიშროების საბჭოს უნდა უზრუნველყო კოლექტიურ ფორმატში უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავება და თავდაცვისა და უშიშროების სფეროში ხელისუფლების უმაღლესი თანამდებობის პირებს შორის კოორდინაცია. ამასთან, პრეზიდენტის ხედვის თანახმად, რაციონალური იქნებოდა, რომ საბჭოს შემადგენლობაში მუდმივ წევრებად შესულიყვნენ პარლამენტის თავმჯდომარე, თავდაცვისა და უშიშროების და საგარეო საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეები, გენერალური შტაბის უფროსი. შედეგად, წარმოდგენილ კონსტიტუციურ ორგანოში უზრუნველყოფილი იქნებოდა სამი სახელისუფლებო ინსტიტუტის – პრეზიდენტის, მთავრობისა და პარლამენტის – წარმომადგენლობა. ამასთანავე, ხედვის თანახმად, პრეზიდენტის მოსახრებით, საბჭოს ფორმატში უნდა განხილულიყო ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტები – “ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია”, “საფრთხეების შეფასების დოკუმენტი” და “სამხედრო სტრატეგია” (საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭო-საქართველოს პრეზიდენტის ხედვა).

მოგვიანებით, პარლამენტმა “ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ ორგანულ კანონში”, 2014 წლის 30 ოქტომბრის ცვლილებების შედეგად, პრეზიდენტის ხედვის მხოლოდ ნაწილი ასახა, რაც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „ეროვნული უშიშროების საბჭო არის საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანო, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს ამ კანონით განსაზღვრული საკითხები უმაღლესი დონის გადაწყვეტილებების მოსამზადებლად“ (ცვლილებები კანონში “ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ”).

1. საბჭოს კომპეტენციაში იქნებოდა მხოლოდ იმ საკითხების განხილვა, რომელთა მიზანი იქნებოდა სამხედრო აღმშენებლობა და ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია და არა – ეროვნული უსაფრთხოების სხვა სფეროებს მიკუთვნებული საკითხები.
2. საბჭო, ეროვნული დონის კონცეპტუალური სამივე დოკუმენტის ნაცვლად, როგორც ეს პრეზიდენტის ხედვით იყო გამოსატული, განიხილავდა მხოლოდ ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას, იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პრეზიდენტი იყო სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალი.
3. საბჭოს მუდმივ წევრთა შემადგენლობას დაემატა პარლამენტის თავმჯდომარე და თავდაცვისა და უსაფრთხოების და საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეები და გენერალური შტაბის უფროსი.
4. ასევე დადგინდა წესი საბჭოს სხდომაზე მოწვეულ პირთა პროცედურის შესახებ, ანუ მთავრობის წევრის დამატებით მოწვევაზე საჭირო იყო

პრემიერთან შეთანხმება, ხოლო პარლამენტის წევრის არამუდმივი წევრის შემთხვევაში – პარლამენტის თავმჯდომარესთან.

5. კანონის კიდევ ერთი სიახლე იყო სამხედრო ძალების რაოდენობის განსაზღვრის საკითხი, რომლის შესახებაც გადაწყვეტილებას, ნაცვლად პრეზიდენტისა, იღებდა საბჭო, უშუალოდ წევრთა 2/3-ის უმრავლესობით, და დასამტკიცებლად წარუდგენდა საქართველოს პარლამენტს (ორგანული კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ).

6. საბჭოში აღარ იქმნებოდა უწყებათაშორისი კომისიები, თუმცა აპარატს ასეთ კომისიებში მონაწილეობის მიღების შესაძლებლობა ჰქონდა.

7. ყველა ტიპის კრიზისის პოლიტიკურ დონეზე მართვა აღარ იყო საბჭოს კომპეტენცია, თუმცა საომარი მდგომარეობის დროს საბჭო იქმნებოდა ის ადგილი, სადაც პრეზიდენტისთვის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მისაღებად მომზადდებოდა რეკომენდაციები და განხორციელდებოდა ამ გადაწყვეტილებათა კოორდინაცია. “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ” კანონით, რომელიც 2015 წელს შემუშავდა, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მაკოორდინირებელ ორგანოებს 2017 წლის ბოლომდე წარმოადგენდნენ ეროვნული უშიშროების საბჭო და სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების საბჭო, მოგვიანებით კი – საქართველოს მთავრობა (ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ).

8. „ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი, როგორც საქართველოს პრეზიდენტის წარმომადგენელი, მონაწილეობდა “საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა და საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტის” პროექტების შემუშავებაში.

9. ამასთან, ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივანი შეიძლება მოწვეულიყო კრიზისების მართვის საბჭოში, როგორც პრეზიდენტის წარმომადგენელი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო საგანგებო სიტუაციებისას, როცა შეიძლება საჭიროება დამდგარიყო სამხედრო ძალების გამოყენებისა საგანგებო სიტუაციების ლიკვიდაციის მიზნით ან ვითარება გადასულიყო საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, რასაც ესაჭიროებოდა პრეზიდენტის სამართლებრივი აქტის გამოცემა.

## *სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო*

“საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს კანონში” ცვლილებების შეტანამდე, ჯერ, მთავრობის დადგენილებით, 2014 წლის 1 იანვარს და შემდგომ, უკვე კანონით, მთავრობამ შექმნა პრემიერის სათათბირო ორგანო “სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭო სახელმწიფო უსაფრთხოების, სტაბილურობისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით” (აქუბარია, 2018). საბჭო თვეში ერთხელ იკრიბებოდა. ამასთან, მის კომპეტენციაში გადადიოდა ჯერ კიდევ უშიშროების საბჭოსათვის კანონით მიკუთვნებული ფუნქცია “ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავებისა და ეროვნული ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების მართვის ხელმძღვანელობის და ამ მიზნით უმაღლესი პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და კოორდინაციის შესახებ” (აქუბარდია, 2018). საბჭოს შემადგენლობაში შედიოდნენ: პრემიერ-მინისტრი, თავდაცვის, საგარეო საქმეთა, ფინანსთა და შინაგან საქმეთა მინისტრები და საბჭოს მდივანი, რომელიც იმავდროულად იყო პრემიერ-მინისტრის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. საბჭო შეიმუშავებდა რეკომენდაციებს პრემიერის გადაწყვეტილების მისაღებად, თუმცა ეს რეკომენდაციები ხმების უბრალო უმრავლესობით მიიღებოდა, ხოლო ხმების გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტი პრემიერის – საბჭოს თავმჯდომარის ხმა იყო. აღსანიშნავია გადაწყვეტილების მიღებისა და გაფორმების პროცედურებიც. ვინაიდან კონსტიტუციით ეროვნულ უსაფრთხოებაზე თავის კომპეტენციის ნაწილში პასუხისმგებელი იყო მთავრობა, როგორც კოლექტიური ორგანო, და არა პრემიერი, გადაწყვეტილებების გაფორმება ხდებოდა მთავრობის დადგენილებით. შესაბამისად, საბჭოს სხდომაზე განხილულ საკითხს დამატებით განიხილავდა მთავრობა და მისი დადგენილებით ხდებოდა გადაწყვეტილებების სამართლებრივი გაფორმება. საბჭოს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია იყო უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვა და უწყებათშორისი კოორდინაციის უზრუნველყოფა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში. საბჭო კოორდინაციას უწევდა სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავებას უწყებათაშორისი კომისიებისა და სამუშაო ჯგუფების მეშვეობით. სიახლე იყო ასევე საბჭოს აპარატში შექმნილი კრიზისული სიტუაციების მართვის ოპერატიული ცენტრი, რომელიც კრიზისული სიტუაციების დროს (ეროვნული უსაფრთხოების ხელყოფა, შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაციის მცდელობა, სტიქიური კატაკლიზმები და სხვა სახის კრიზისი) პრემიერ-მინისტრის პირდაპირ დაქვემდებარებაში გადადიოდა. მის ძირითად ფუნქციებში შედიოდა:

ეროვნული ინტერესებისათვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისულ სიტუაციასთან დაკავშირებული გეგმების შემუშავება; კრიზისული სიტუაციებიდან გამოსვლის პროექტების მომზადება; კრიზისული სიტუაციების დროს სახელმწიფო უწყებების კოორდინირებული მუშაობის ორგანიზება. უნდა აღინიშნოს, რომ უშიშროების საბჭოს პარალელურად პრემიერის სათათბირო საბჭოს შექმნას მოჰყვა გარკვეული კრიტიკა როგორც რიგი პოლიტიკოსების, ისე უსაფრთხოების სფეროში მომუშავე ექსპერტების მხრიდან. ასე, მაგალითად, საქართველოს ატლანტიკური საბჭოს მკვლევარები, რომლებმაც ეროვნული უსაფრთხოების მიმოხილვის პროექტის ფარგლებში ჩაატარეს კვლევა, ვერ ხედავდნენ დამატებითი საბჭოს შექმნის საჭიროებას. ამის მიზეზად ასახელებდნენ იმას, რომ ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი კოლექტიური ორგანო იყო მთავრობა და არა ცალკე პრემიერი. ამასთან, მათი რეკომენდაცია იყო, რომ პრემიერის აპარატში შექმნილიყო ცალკეული სამსახური, რომელიც იმუშავებდა მთავრობის კომპეტენციებს მიკუთვნებული ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე (აქუბარდია, 2018).

მთავრობამ უკვე 2015 წლის 23 მარტს შეიმუშავა და პარლამენტმა დაამტკიცა ახალი კანონი “ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ”. ეს კანონი განსაზღვრავდა ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროებს, ამ პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის პროცესს და მისი დაგეგმვის მაკოორდინირებელი უწყებების უფლებამოსილებებს. ამავე კანონის მეოთხე და მეხუთე მუხლით 2017 წლის დეკემბრამდე განისაზღვრებოდა პრემიერის სათათბირო ორგანოს და მისი აპარატის ფუნქცია-მოვალეობანიც. კანონით დაკონკრეტდა კრიზისების მართვის საბჭოს მანდატი, რომელიც ექცეოდა საქართველოს მთავრობის კომპეტენციისთვის მიკუთვნებულ ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საკითხების ფარგლებში, მათ შორის, კრიზისული სიტუაციების ნაწილში. საბჭოს კომპეტენციაში შედიოდა შემდეგი საკითხები: შიდა და საგარეო საფრთხეების იდენტიფიცირება, ამ საფრთხეების შეფასება და თავიდან აცილება, იმ საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხების გაანალიზება, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველყოფას, უსაფრთხოების თვალსაზრისით ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის, თავდაცვისა და მართლწესრიგის სფეროებში სტრატეგიების და მათი განხორციელებისთვის აუცილებელი ღონისძიებების შემუშავებას, წინადადებების წარდგენას საერთაშორისო უსაფრთხოების სფეროში საქართველოს თანამშრომლობის შესახებ, თავდაცვის, უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის უზრუნველყოფის საკითხებზე კანონებისა და სხვა ნორმატიული აქტების

პროექტების მომზადება, საქართველოს სახელმწიფო ინტერესებისთვის საფრთხის შემცველი ყველა ტიპის კრიზისული სიტუაციების პოლიტიკურ დონეზე მართვის ხელმძღვანელობა (აქუბარდია, 2018). ასევე განისაზღვრა ეროვნული უშიშროების საბჭოსა და კრიზისების მართვის საბჭოს ურთიერთმიმართებაც გარკვეულ დონეზე. კანონით, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის მაკოორდინირებელი ორგანოები იყო კრიზისების მართვის საბჭო და ეროვნული უშიშროების საბჭო, ორგანული კანონით მინიჭებული კომპეტენციების ნაწილში. ამის მიუხედავად, კანონით რთული იყო ამ ორი საბჭოს ურთიერთმიმართების დადგენა. ორი საბჭოს ურთიერთმიმართებისას დუბლირება შემდეგ ორ ძირითად საკითხში იკვეთებოდა: ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვასა და ყველა ტიპის კრიზისის პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღება-კოორდინაციაში. ეროვნული უშიშროების საბჭო, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში, ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვას ახორციელებდა თავდაცვის ორგანიზაციისა და სამხედრო აღმშენებლობის საკითხებზე. თავდაცვის ორგანიზაციის განმარტება “თავდაცვის შესახებ კანონით” იყო შემდეგი: ომის საფრთხის პროგნოზირება და შეფასება, სამხედრო ძალების აღმშენებლობა, მომზადება და საბრძოლო მზადყოფნა, თავდაცვის ღონისძიებათა დაგეგმვა და განხორციელება, სახელმწიფო თავდაცვის მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობა და სხვა. რამდენადაც თავდაცვის ორგანიზაციის საკითხებში პოლიტიკას ასევე გეგმავდა კრიზისების მართვის საბჭო, ამ საკითხში იკვეთებოდა დუბლირება. რაც შეეხება ყველა ტიპის კრიზისის პოლიტიკურ დონეზე მართვას, აქაც სისტემა იყო მოუქნელი და არ შეესაბამებოდა ქვეყნის წინაშე მდგარ რისკებსა და გამოწვევებს, რამდენადაც ორი საბჭოს შორის კომპეტენციები რეალურად ნაწილდებოდა საომარ მდგომარეობასა და სხვა დანარჩენ კრიზისებს შორის. ჰიბრიდული ტიპის ომის წარმოების შემთხვევაში კი, როცა შეიძლებოდა საგანგებო რეჟიმის ოთხივე ვითარება (კრიზისული ვითარება, საგანგებო სიტუაცია, საგანგებო მდგომარეობა და საომარი მდგომარეობა) დროის მოკლე მონაკვეთში გამოვლენილიყო, ყველა ტიპის კრიზისების მართვის სისტემის ეფექტიანობა ვერ იქნებოდა ქვეყნის ეროვნული ინტერესის შესაბამისი. ჰიბრიდული ომების საფრთხის კონტექსტში, საბჭოების ურთიერთმიმართების და უსაფრთხოების სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით, ყველაზე საინტერესო მაგალითი იყო სამეთაურო-საშტაბო სწავლება „დიდგორი“, რომელიც ეროვნულ დონეზე ტარდებოდა 2013 წლიდან და მისი სცენარიდან გამომდინარე, თავდაცვით მოქმედებებს ითვალისწინებდა. სწავლება ყოველწლიურად იმართებოდა და მისი მიზანი იყო კრიზისული და საომარი სიტუაციების დროს სამთავრობო

უწყებებს შორის ურთიერთქმედების დახვეწა. ამასთან, სწავლების ერთ-ერთი ამოცანა იყო იმ ინსტიტუციური ხარვეზების გამოვლენა და მათი გამოსწორება, რომლებიც შეიძლება რეალურ ვითარებაში აღმოჩენილიყო. თუმცა, ნაცვლად იმისა, რომ გამოსწორებულყო სისტემური ხარვეზები, ჯერ საკონსტიტუციო ცვლილებების შედეგად კონსტიტუციიდან ამოღებულ იქნა ჩანაწერი “ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ”, ხოლო პრემიერის სათათბირო საბჭოს გაუქმების შესახებ მთავრობის გადაწყვეტილება სიმბოლურად „დიდგორი 2017 წლის“ სწავლების დაწყების დღეს გამოცხადდა, რომელიც მოგვიანებით საქართველოს პარლამენტმა კანონმდებლობაში ცვლილებების შეტანით გაიზიარა. ბოლო ცვლილება, რომელიც მოჰყვა კრიზისების მართვის საბჭოს გაუქმებას, იყო ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების შესამუშავებლად შექმნილი უწყებათშორისი მუდმივმოქმედი კომისიის გაუქმება. კანონით, ამ ტიპის უწყებათაშორისი კომისიების საქმიანობას და სტრუქტურას განსაზღვრავდა საქართველოს მთავრობა შესაბამისი დადგენილებით. მთავრობის დადგენილებით, ჯერ კიდევ 2014 წლის 11 ივლისს შეიქმნა “სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისია”. დებულების თანახმად, მას ხელმძღვანელობდა კრიზისების მართვის საბჭოს მდივანი, ხოლო წევრები იყვნენ შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა, თავდაცვის, იუსტიციისა და ფინანსთა მინისტრების მოადგილეები და დაზვერვის სამსახურის უფროსი. კომისიის ფუნქცია შემდეგნაირად იყო ჩამოყალიბებული: ა) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმირების პროცესში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების თაობაზე შესაბამისი წინადადებების შემუშავება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; ბ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების და განახლების მიზნით შესაბამისი წინადადებებისა და რეკომენდაციების მომზადება და საქართველოს მთავრობისთვის წარდგენა; გ) საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმირების პროცესში შესაბამისი დონისძიებების განხორციელების ხელშეწყობის მიზნით აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოების საქმიანობის კოორდინაცია. რაც შეეხება მოვალეობებს, კომისია უზრუნველყოფდა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სფეროში არსებული პრობლემატიკის შესწავლა-ანალიზს და შეიმუშავებდა შესაბამის რეკომენდაციებს; ასევე შეიმუშავებდა წინადადებებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სისტემის რეფორმირებისა და სამართლებრივი

ბაზის სრულყოფის მიზნით; შეეძლო მოეწვია ექსპერტები, სახელმწიფო უწყებების, კომერციული ორგანიზაციებისა და ადგილობრივი არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კომისია მთავრობას 6 თვეში ერთხელ წარუდგენდა საქმიანობის ანგარიშს (აქუბარდია, 2018).

2015 წლის 11 აგვისტოს ცვლილებებით კომისიის წევრთა შემადგენლობა გაფართოვდა და მას დაემატა საბჭოს მდივნის მოადგილე, რომელიც კომისიის თავმჯდომარის მოადგილის ფუნქციასაც ასრულებდა და სუს-ის უფროსის მოადგილე. კომისიის ფარგლებში განახლდა “კიბერუსაფრთხოების სტრატეგიის” და “საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტზე” მუშაობა (საქართველოს მთავრობის დადგენილება, 2018).

კრიზისების მართვის საბჭოში ასევე შექმნილი იყო უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფები. მათი ერთ-ერთი სამუშაო ჯგუფი ასევე მუშაობდა ეროვნული სამხედრო სტრატეგიის პროექტზე, რომელიც საბჭოს ლიკვიდაციის მიზნით დოკუმენტის დამტკიცებამდე გაუქმდა. მას შემდეგ, რაც მთავრობის ინიციატივით მოხდა კრიზისების მართვის საბჭოს ლიკვიდაცია, პრემიერ-მინისტრ კვირიკაშვილის ხელმოწერით, 2018 წლის 10 აპრილს, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 11 ივნისის №392 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რაც გულისხმობდა „სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მაკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის ნაცვლად, სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შექმნას (საქართველოს მთავრობის დადგენილება N172). შესაბამისად, ამ ცვლილების შედეგად მთავრობა აღარ უწევდა კოორდინაციას ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტების შემუშავებას და მისი საქმიანობა კონცენტრირებული იყო მხოლოდ თავდაცვის სფეროში ეროვნული დონის კონცეპტუალური დოკუმენტების პროექტების განხილვასა და სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვასა და აღსრულების კოორდინაციის უზრუნველყოფაზე. ეს ვითარება კი შემდეგი სახის პრობლემას იწვევდა: გამომდინარე იქედან, რომ მთავრობას აღარ ექნებოდა ეროვნული უსაფრთხოების საკითხებზე მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი საკოორდინაციო მექანიზმი (კომისია იქნება ეს თუ სათათბირო ორგანო და



მისი აპარატი), ვერ განახლდებოდა საქართველოს საფრთხეების შეფასების დოკუმენტი, რომელსაც ვადა 2018 წელს ეწერებოდა, ასევე, 2019 წლისთვის ვერც კიბერუსაფრთხოების სტრატეგია განახლდებოდა.

წინის ამ ნაწილში განვიხილეთ საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვის, მისი კოორდინაციისა და ყველა ტიპის კრიზისის პოლიტიკურ დონეზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესთან დაკავშირებული სამართლებრივი და ინსტიტუციური გამოცდილება 1996 წლიდან 2018 წლამდე. ანალიზმა ცხადყო ის ხარვეზები, რომლებიც ჯერ ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დამგეგმავი და მაკოორდინირებელი ორი რგოლის – უშიშროების და უსაფრთხოების საბჭოების – გაჩენით წარმოიქმნა და შემდეგ კი – ორივეს გაუქმებით. პარალელური საქმიანობა და ბუნდოვანება, რომელსაც მათ კანონი და შექმნილი გარემოებები უწყობდა, იწვევდა ნაკლოვანებებს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის ნაწილში და არ იყო ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეების ადეკვატური. ამასთან, ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ყველა ტიპის კრიზისის დროს დაუყოვნებელი პოლიტიკური დონის გადაწყვეტილებების მიღების სისტემა არ შეესაბამებოდა კიბერდული ტიპის გამოწვევებს. ამის მიზეზი იყო ის, რომ პოლიტიკური დონის გადაწყვეტილებების მიღება იყოფოდა პრეზიდენტის და მთავრობას დაქვემდებარებულ სათათბირო ორგანოებს შორის და ერთი საგანგებო რეჟიმიდან მეორეში გადასვლის შემთხვევაში არ იყო უზრუნველყოფილი შესაბამისი სათათბირო სივრცე, კომუნიკაციის გზები და კოორდინაციის მექანიზმები. შედეგად, ყოველივე ზემოთქმული ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის ეროვნული ინტერესის – ეფექტიანი უსაფრთხოების სისტემის შექმნას. ნაცვლად იმისა, რომ მომხდარიყო სისტემური ნაკლოვანებების აღმოფხვრა, რომ სისტემა ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეებისა და გამოწვევების შესაბამისი გამხდარიყო, ჯერ კიდევ ფუნქციონირებდა ორი სათათბირო საბჭო, რომელთა საქმიანობა იწვევდა გარკვეული ტიპის დუბლირებას, შემდეგ კი ორივე ინსტიტუტმა ფუნქციონირება შეწყვიტა. ყოველივე ამის შედეგად, შეჩერდა ეროვნული უსაფრთხოების სფეროში კონცეპტუალური დონის სტრატეგიული დოკუმენტების შემუშავების პროცესი, რომ აღარაფერი ვთქვათ საბჭოების აპარატებიდან კვალიფიციური საჯარო მოხელეების გადინებაზე და ბიუჯეტიდან ამ საბჭოებისთვის გახარჯულ ფინანსურ რესურსებზე (აქუბარდია, 2018).

სწორედ ზემოაღნიშნული პრობლემების შექმნის შემდეგ, მთავრობის დაქვემდებარებაში ახალი უსაფრთხოების საბჭოს ჩამოყალიბების საკითხი კვლავ დადგა დღის წესრიგში. უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენდა,

ერთი მხრივ, აწ უკვე არსებული სისტემისა და ხარვეზების გაანალიზება და გაზიარება, მეორე მხრივ კი, ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო, რომ ეროვნული უსაფრთხოების სისტემა ადეკვატურად გამომდინარეობდეს ქვეყნის წინაშე მდგარი საფრთხეებიდან და გამოწვევებიდან. შემდეგ ეყრდნობოდა როგორც ახალ სამართლებრივ ჩარჩოს - კონსტიტუციას, ასევე, იზიარებდეს პარტნიორი ქვეყნების საუკეთესო თანამედროვე მიდგომებს და მათ გამოცდილებას და უზრუნველყოფდეს ეროვნული უსაფრთხოების სფეროზე სამოქალაქო კონტროლის ეფექტიან მექანიზმს. ამისათვის კი მნიშვნელოვანი იყო უსაფრთხოების საბჭოს შესახებ არა მხოლოდ ახალი კანონის შემუშავება, არამედ უსაფრთხოების სისტემა უნდა გაანალიზებულ ყოფილიყო ახალი კონსტიტუციის ჭრილში, მომხდარიყო ქვეყნის წინაშე არსებული რისკებისა და გამოწვევების შეფასება, პარტნიორი ქვეყნების გამოცდილების გათვალისწინება და მხოლოდ ამის შედეგად ჩამოყალიბებულიყო ხედვა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები. ასევე, რამდენადაც ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება პოლიტიკურ პარტიებისა თუ ვიწრო ჯგუფების ინტერესებზე გაცილებით მაღლა დგას, და გამომდინარე იქედან, რომ კონსტიტუციაში აღარ იყო ჩანაწერი უშიშროების თუ უსაფრთხოების საბჭოს შესახებ, სისტემის მდგრადობისა და უწყვეტობისთვის მნიშვნელოვანი იყო როგორც პარლამენტის შიგნით პოლიტიკურ პარტიათა შორის საერთო კონსენსუსის მიღწევა, ისე სამოქალაქო სექტორის ჩართულობა და ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი ეროვნული უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების პროცესში.

### **ახალი ეროვნული უსაფრთხოების საბჭო**

ზემოაღნიშნული პრობლემების გათვალისწინებით, უკვე 2018 წლის ბოლოდან, საქართველოს პრეზიდენტთან არსებული ეროვნული უშიშროების საბჭო დაიშალა და შეიქმნა საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული ეროვნული უსაფრთხოების საბჭო.

დებულების მიხედვით, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო არის სათათბირო ორგანო, რომელიც სახელმწიფო უშიშროების, საგარეო და საშინაო, სოციალურ-ეკონომიკური და ენერგეტიკული, სამოქალაქო, საინფორმაციო უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის საკითხებს იხილავს.

მთავრობის მეთაურის გარდა საბჭოს მუდმივი წევრები არიან: თავდაცვის, შინაგან საქმეთა, საგარეო საქმეთა და ფინანსთა მინისტრები, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის დაზვერვის სამსახურის ხელმძღვანელები და თავდაცვის ძალების მეთაური.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, ინფორმაციის გაცნობის მიზნით უფლებამოსილების ფარგლებში საბჭოს სხდომაზე შეიძლება საქართველოს პრეზიდენტისა და სხვა პირთა მიწვევა.

ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივნის უფლებამოსილება იქნება საბჭოს საქმიანობის ორგანიზება, საბჭოს სხდომების მომზადება და პრემიერ-მინისტრის ცალკეული დავალებების შესრულება.

საბჭოს სხდომები სამ თვეში ერთხელ დახურული წესით ჩატარდება (იმედი ნიუსი, 2018).

## **თავი 62. სამხედრო და პოლიციური ძალები**

მსოფლიოს ვერც ერთ ქვეყანაში, ვერც ერთი პოლიტიკური რეჟიმი ძალაუფლებას ვერ შეინარჩუნებს მხოლოდ პოლიტიკური ლეგიტიმურობისა თუ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების მეშვეობით. პოლიტიკური რეჟიმისა თუ მმართველობის ნებისმიერი სისტემა მეტ-ნაკლებად დამოკიდებულია იძულების ისეთ ინსტიტუტებზე, როგორცაა ჯარი და პოლიცია.

### **ჯარი და პოლიცია**

XIX საუკუნის მეორე ნახევარში, შეიარაღებული ძალები განსაკუთრებულ ინსტიტუტად ჩამოყალიბდა, რომელსაც დანარჩენი საზოგადოებისაგან ცალკე მდგომი პროფესიონალური კადრები ხელმძღვანელობდნენ. აღნიშნული ინსტიტუტის გამორჩეულობას 4 ფაქტორი განსაზღვრავს: პირველ რიგში, ჯარი განიხილება როგორც ომის წარმოების საშუალება, რადგანაც, არმია ფლობს შეიარაღების სრულ მონოპოლიას და შესაბამისად, მას ძალუძს რეჟიმის როგორც დაცვა, ასევე დამხობაც, აქედან გამომდინარე, არმიის სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ერთგულებას სახელმწიფოს სტაბილურობის თვალსაზრისით გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; მეორე – შეიარაღებული ძალები მკაცრად ორგანიზებულ და უაღრესად დისციპლინირებულ სტრუქტურას წარმოადგენს, რომელიც წოდებრივი იერარქიულობით და უსიტყვო მორჩილების კულტურით ხასიათდება. მესამე – სამხედროებს საკუთარი, განუმეორებელი მრწამსი და ღირებულებათა სისტემა გააჩნიათ – ის “მეომარი სულისკვეთება”, რაც ბრძოლისა და სამშობლოს თავდაცვის მუდმივ მზადყოფნას გულისხმობს; მეოთხე – შეიარაღებულ ძალებს ხშირად “პოლიტიკის ფარგლებს გარეთ” მდგომ ფენომენადაც მოიაზრებენ ხოლმე. ეს ყველაფერი კი აიხსნება იმით, რომ საზოგადოების წარმომადგენელთა აზრით, სწორედ ჯარს ეკისრება პასუხისმგებლობა სახელმწიფოს უსაფრთხოებასა და ერთიანობაზე (A. Heywood. 2007. P. 489).

სხვადასხვა სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების ხასიათს კი ბევრი შინაგანი თუ გარეგანი ფაქტორი განაპირობებს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზოგადად,

პოლიტიკურ ცხოვრებაში შეიარაღებული ძალები შეიძლება განსხვავებულ როლს ასრულებდნენ და მათ შორის შემდეგი ფაქტორები გამოიყოფა:

- ომის წარმოება
- პოლიტიკური წესრიგისა და მდგრადობის უზრუნველყოფა
- საკუთარი ინტერესების გამოკვეთა
- სამოქალაქო მმართველობის ალტერნატივის შექმნა (A. Heywood. 2007. P. 491).

### *ომის წარმოება*

შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ომის წარმოება წარმოადგენს. შესაბამისად, არმიას ან თავდაცვითი, ან შემტევი ფუნქცია ეკისრება. სწორედ, სამხედრო მოსამსახურეთა უნარი, დაიცვან ქვეყანა საგარეო აგრესიისაგან, განაპირობებს მათ აუცილებლობას პრაქტიკულად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის. შესაბამისად, შეიარაღებული ძალების არსებობა, თითოეული ქვეყნისათვის ისეთივე აუცილებელია, როგორც პოლიცია, სასამართლო თუ კავშირგაბმულობის სისტემები. ერთის მხრივ, შეიარაღებულ ძალებს მინიმუმ, პოტენციურ აგრესორზე არანაკლები პოტენციალი უნდა გააჩნდეს, რათა იმთავითვე აღკვეთოს ქვეყნის სუვერენიტეტისა თუ მისი ტერიტორიული მთლიანობის წინაშე არსებული ხიფათი. თუმცა, ისიც აღსანიშნავია, რომ გარკვეულ შემთხვევებში, გამალებული შეიარაღება ძალთა ბალანსის შენარჩუნებასა და სამხედრო აგრესიისაგან თავის შეკავებასაც უწყობს ხელს – რაც თვალსაჩინოდ გამოჩნდა “ცივი ომის” პერიოდში.

როდესაც არმია თავდასხმითი მიზნებით გამოიყენება, მისი მნიშვნელობა კიდევ უფრო იზრდება: უცხო ქვეყნების წინააღმდეგ საომარი მოქმედებების განსახორციელებლად, მოქმედი შეიარაღებული ძალები მზად უნდა იყვნენ აგრესიული ქმედებებისათვის (რაც საერთაშორისო ურთიერთობებში სამწუხარო რეალობას წარმოადგენს) და მათი შეტევითი ოპერაციებიც ფართო საზოგადოებრივი მხარდაჭერით უნდა სარგებლობდეს. ექსპანსიონისტური და იმპერიალისტური პოლიტიკის (მაგ: ყოფილი სსრკ და დღევანდელი რუსეთი) მიმდევარი სახელმწიფოები, როგორც წესი სამხედრო ხარჯების მაღალი დონით ხასითდებიან, მაღალჩინოსანი ოფიცრები პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად არიან ჩართულნი და სამოქალაქო საზოგადოებაში მილიტარისტული იდეებისა და პროპაგანდის მეშვეობით მოსახლეობაში მნიშვნელოვანი მხარდაჭერით სარგებლობენ.

### *საშინაო წესრიგის უზრუნველყოფა*

შეიარაღებული ძალების პოტენციალსა და ოპერატიულობას არა მარტო საერთაშორისო პოლიტიკის თვალსაზრისით ენიჭება დიდი მნიშვნელობა.

მიუხედავად იმისა, რომ საჯარისო პოტენციული ჩვეულებრივ, საგარეო აგრესიის განეიტრალებისკენაა მიმართული, იგი შესაძლოა შიდა პოლიტიკის განმსაზღვრელ ფაქტორადაც იქცეს. აგრეთვე, უკანასკნელ პერიოდში სამხედრო ძალები სულ უფრო ხშირად არიან ჩართულნი კრიტიკული ინფრასტრუქტურის დაცვისა და ბუნებრივი კატაკლიზმებისა თუ საგანგებო სიტუაციების დროს.

ზოგიერთ სახელმწიფოში პოლიტიკური დაძაბულობა ისეთ დონეს აღწევს, რომ მუნიციპალური პოლიციის რესურსები არ გახლავთ საკმარისი შიდა საფრთხეების გასამკლავებლად და მოცემულ შემთხვევაში სახელმწიფოს სტაბილურობისა და მისი ტერიტორიული მთლიანობის უზრუნველყოფის ერთადერთ გარანტიად შეიარაღებული ძალები გვევლინება. მაგალითად, 1969 წელს, გაერთიანებული სამეფოს ძალები ჩრდილოეთ ირლანდიაში შევიდნენ – თავიდან მხოლოდ რელიგიურ ნიადაგზე ატეხილი დაპირისპირების შესაჩერებლად, მაგრამ შემდგომ ეტაპზე, დიდი ხნით მოუწიათ იქ დარჩენა, რადგანაც გაჩნდა იმის აუცილებლობა, რომ არმიას თავის თავზე უნდა აეღო იმ მთელი რიგი ტერორისტული აქტების აღკვეთა, რომლებსაც ირლანდიის რესპუბლიკური არმია (IRA) და მსგავსი ტიპის ჯგუფები პერმანენტულად ახორციელებდნენ. 1994 წელს რუსეთმა ჯარები შეიყვანა ჩეჩნეთში, რაც შემდგომში სრულმასშტაბიან ომში და მოგვიანებით კი უსასრულო პარტიზანულ ბრძოლებში გადაიზარდა, რასაც 1999 წელს მოჰყვა რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომი.

ხელისუფლების პოლიტიკური ლეგიტიმურობის კრიზისის პერიოდშიც, მხოლოდ არმია (რიგ შემთხვევებში პოლიციასთან ერთად) რჩება რეჟიმის ერთადერთ საყრდენად და მოქმედ მთავრობას სახალხო აჯანყებისაგან თუ რევოლუციისაგან იცავს. ასეთ შემთხვევებში, კონსტიტუციონალიზმის ყველა ნორმა უგულებელყოფილია, რადგანაც ხელისუფლება თავის და არსებული რეჟიმის გადასარჩენად ძალადობისა და დიქტატურის გზას ირჩევს. ამის დადასტურებას წარმოადგენს 1989 წლის მაისში, ტიანანმენის მოედანზე ჩინეთის კომპარტიის გადაწყვეტილების საფუძველზე დემონსტრანტების წინააღმდეგ ტანკების გამოყენება. მსგავს შემთხვევებში, გადამწყვეტ როლს ასრულებს ჯარისკაცების ერთგულებისა და სანდოობის დონე. მაგალითად, 1989 წლის დეკემბერში, რუმინელი ჯარისკაცები ამბოხებული დემონსტრანტების მხარეს გადავიდნენ, რითიც საბოლოო განაჩენი გამოუტანეს დიქტატორ ჩაუშესკუს რეჟიმს.

### *გამოკვეთილი ინტერესები*

შეიარაღებული ძალები პოლიტიკის იმ საშუალებად მოიაზრება, რომლის მეშვეობითაც ხელისუფლება, შესაძლოა საშინაო თუ საგარეო ასპარეზზე საკუთარ მიზანს აღწევდეს. თუმცა, ჯარის აპოლიტიკურობის მიუხედავად, არ შეიძლება მათი მიუკერძოებელ ძალად განხილვა, რომელსაც სახელმწიფოს მიზნებში საკუთარი ინტერესი არ გააჩნია – პირიქით, ბიუროკრატიისა არ იყოს, სამხედროებიც ერთგვარ

ინტერეს - ჯგუფებს აყალიბებენ და პოლიტიკის ზოგად შინაარსს, გარკვეულწილად, განსაზღვრავენ კიდევ. უპირველეს ყოვლისა, ეს გახლავთ ანგარიშგასაწვევი ტექნიკური არსენალი და მომზადება. მართალია, შეიარაღებულ ძალებს ჩვეულებრივ, სამოქალაქო პოლიტიკოსების მიერ მიღებული გადაწყვეტილებებისადმი მორჩილება და პოლიტიკური ნეიტრალობის დაცვა ევალებათ, რეალურად ხელისუფლებას მაინც არ შეუძლია არ გაითვალისწინოს უმაღლესი ჩინის სამხედროთა რჩევები სტრატეგიულ, თავდაცვით, თუ ზოგადად საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებით.

მეორეც, სამხედროები ერთგვარ “შიდა ჯგუფს” წარმოადგენენ იმ აზრით, რომ მათ საკუთარი წარმომადგენლები ჰყავთ პოლიტიკის გამტარებელ სტრუქტურებში და შესაბამისად, ძალაუფლების ინსტიტუციური ბაზაც გააჩნიათ. ასე მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლებს, გააჩნიათ იმისი შესაძლებლობა, რომ საკუთარი გავლენა გაავრცელონ აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტში (პენტაგონი) და ა.შ.

როგორც “საზოგადოებრივი არჩევანის” თეორეტიკოსები აცხადებენ, საჯარო მოხელეები, უმეტესწილად საკუთარი სამსახურეობრივი ინტერესებით ხელმძღვანელობენ და სწორედ აქედან გამომდინარე, ოპონენტებმა შეიძლება განაცხადონ, რომ უმაღლესი ჩინის სამხედროები პოლიტიკის იმ ხაზს ატარებენ, რაც შეიარაღებული ძალების მასშტაბის გაზრდასა და გავლენის განმტკიცებას, ან მათ მეტ დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს. აღნიშნული პოლიტიკის განხორციელების პროცესში, მათ არაერთი გავლენიანი მხარდამჭერიც მოეპოვებათ იმათი სახით, ვინც აშშ-ის პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა, თავის 1961 წლის გამოსათხოვარ მიმართვაში, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის წარმომადგენლებად მოიხსენია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ იმ პერიოდში აშშ-ის თავდაცვის ხარჯები მთლიანი შიდა პროდუქტის 6%-ს არ აღემატებოდა, ხოლო ყოფილ საბჭოთა კავშირში XX საუკ. 80-იანი წლების პირველ ნახევარში იგივე ხარჯებმა 40% შეადგინა (A. Heywood. 2007. P. 494).

სხვადასხვა ექსპერტის მოსაზრებით, 1991 წელს სპარსეთის ყურეში ომის დაწყება სულაც სამხედროებისა და იარაღის მწარმოებელი კომპანიების ინტერესებში შედიოდა, რათა დადასტურებულ ყოფილიყო ის ფაქტი, რომ უდიდესი ინვესტიციები ტყუილად არ იყო დაბანდებული ისეთი ტიპის ახალ ტექნოლოგიებში, როგორებიც “სტელზის” ბომბდამშენები თუ “კრუზისა” და “პეტრიორიტის” ტიპის რაკეტები გახლდათ.

თავის მხრივ, მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის სამხედროებმა სსრკ-ის დაშლის შემდეგ თანხმობა განაცხადეს ბალტიისპირეთის სახელმწიფოებიდან და აღმოსავლეთ ევროპიდან ჯარების გამოყვანაზე, მათ მაინც მოახერხეს ელცინზე ზემოქმედების მოხდენა და ფაქტიურად ე.წ. “ახლო საზღვარგარეთზე” საკუთარი გავლენის გავრცელებას შეეცადნენ, რასაც მოჰყვა დაძაბულობის ესკალაცია რიგ

პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებთან, მათ შორის საქართველოსთან, მოლდოვასთან, აზერბაიჯანთან და და ტაჯიკეთთან მიმართებაში.

### *სამოქალაქო მმართველობის ალტერნატივა*

შეიარაღებაზე კონტროლი დ სამხედრო ძალა არმიას რიგ შემთხვევებში შესაძლებლობას აძლევს თავად აიღოს ხელში პოლიტიკური მმართველობის სადავეები, რაც უკიდურეს შემთხვევებში, სამხედრო რეჟიმების დამყარებით მთავრდება. ასეთ რეჟიმს რამდენიმე თვისება გააჩნია: ერთ-ერთ ასეთს სამხედრო ხუნტა წარმოადგენს. იგი ერთიანი სამხედრო მმართველობისაგან შედგება, რომელიც როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო და საჰაერო ძალთა სარდლობის უმაღლეს პირებს მოიცავს. მაგალითად, არგენტინაში 1978-1983 წწ. სამხედროებმა უმაღლესი ხელისუფლებიდან მთლიანად განდევნეს სამოქალაქო პირები და პროფუკავშირებისა თუ სხვა პოლიტიკური გაერთიანებების ნებისმიერი საქმიანობაც კანონგარეშედ გამოაცხადეს. სხვა შემთხვევებში მყარდება სამხედრო დიქტატურა, როდესაც თავად ხუნტის რიგებიდან ერთი კონკრეტული პიროვნება თავის თავზე იღებს პოლიტიკურ პასუხისმგებლობას და ერთპიროვნულად მართავს ქვეყანას. ამის ნათელ მაგალითს წარმოადგენს პოლკოვნიკი პაპადოპულოსი საბერძნეთში (1974-1980), გენერალი პინოჩეტი ჩილეში (1973 წ. გადატრიალების შემდეგ) და გენერალი აბაჩა ნიგერიაში – 1993-98 წწ.

თუმცა ისიც აუცილებელია აღინიშნოს, რომ სამხედროები ძალაუფლებას დიდხანს ვერ ინარჩუნებენ: მიუხედავად იმისა, რომ სამხედროების მიერ ქვეყნის სათავეში მოსვლა სამოქალაქო ხელისუფლების და ინსტიტუტების სისუსტის, დაქსაქსულობისაა თუ კორუმპირებულობის შედეგია, ამ პრობლემების გადაჭრას ვერც სამხედროები ართმევენ თავს და ლეგიტიმურობასაც მხოლოდ დროებით, კრიზისებისა თუ პოლიტიკური აუცილებლობის პერიოდში ინარჩუნებენ.

### *შეიარაღებული ძალების კონტროლი*

პოლიტიკაში სამხედროების უშუალო ჩარევის შემთხვევები მაინც იშვიათობას წარმოადგენს, ამ მხრივ გამონაკლისს ლათინური ამერიკის, აფრიკისა და ნაწილობრივ აზიის რიგი ქვეყნები წარმოადგენენ. როგორც დასავლური ლიბერალური დემოკრატიებისათვის, ასევე კომუნისტური რეჟიმის მქონე სახელმწიფოებისათვის ნაკლებად დამახასიათებელია სამხედრო გადატრიალების წარმატებული თუ წარუმატებელი ცდები. 1945 წლიდან, ასეთ შემთხვევებს ევროპაში სულ რამდენჯერმე ჰქონდა ადგილი: მაგალითად, 1958 წელს საფრანგეთში, რასაც მეოთხე რესპუბლიკის დაცემა მოყვა, ანდა თუნდაც გენერალ იარუზელსკის მმართველობის დამყარება პოლონეთში 1981 წელს, ისიც სსრკ-ის კომუნისტური ხელმძღვანელობის დახმარების შედეგად.

შეიარაღებულ ძალებზე სამოქალაქო კონტროლი ორგვარად შეიძლება იქნას განხორციელებული. სამუელ ჰანტინგტონმა 1957 წელს ამ მეთოდებს “ობიექტური” და “სუბიექტური” უწოდა: პირველი, ყველაზე კარგად დასავლურ პოლიარქიებში მუშაობს, რადგანაც კონტროლის ამ ფორმას პოლიტიკური და სამხედრო ვალდებულებებისა თუ პასუხისმგებლობების მკაფიო გამიჯვნა ახასიათებს (A. Heywood. 2007. P. 500). უბრალოდ, შეიარაღებული ძალები პოლიტიკის მიღმა რჩებიან და ამის მიღწევაც რამდენიმე გზითაა შესაძლებელი: უპირველეს ყოვლისა, შეიარაღებული ძალები, კანონმდებლობის შესაბამისად, სამოქალაქო ხელმძღვანელობას ექვემდებარებიან, ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული. მეორე: ზოგადად, თავდაცვის, სამხედრო და ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის სფერო სამოქალაქო პოლიტიკოსთა პასუხისმგებლობის ქვეშაა მოქცეული, სამხედროებს კი მხოლოდ საკუთარი პოზიციის დაფიქსირება, კონსულტაციის გაწევა და გადაწყვეტილებების უყოყმანოდ აღსრულება მოეთხოვებათ. არსებობს მესამე წინაპირობაც: ეს გახლავთ შეიარაღებული ძალების უპირობო პოლიტიკური ნეიტრალიტეტი, რის გამოც, მათ სახელმწიფოს სათავეში მყოფი ნებისმიერი პარტიისა თუ ხელისუფლების ერთგულება უნდა შეინარჩუნონ.

სამუელ ჰანტინგტონის პოზიციის მიხედვით, სამოქალაქო ხელისუფლების მხრიდან შეიარაღებული ძალების კონტროლის მეორე, “სუბიექტური” მეთოდიც არსებობს: ამ შემთხვევაში, სამოქალაქო ხელისუფლება არმიაზე სრულ კონტროლს ამყარებს და საკუთარი ღირებულებებისა და იდეალების მსახურად აქცევს. თუკი სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ლიბერალური მოდელი შეიარაღებული ძალების პოლიტიკიდან გამიჯვნას გულისხმობს, ამ მეორე შემთხვევაში პირიქით – ჯარის სისტემატიურ და მიზანმიმართულ პოლიტიზაციას აქვს ადგილი. მაგალითად ჰიტლერმა, გერმანიის არმიის “პოლიტიკურ ჯარისკაცებად” გადაქცევა მოახერხა, როდესაც 1934 წლის აგვისტოში, მან თავისი თავის - როგორც ფიურერის (ბელადის) წინაშე სამხედრო პირებს ერთგულების ფიცი დაადებინა: ხოლო 1942 წელს, ყველაფერთან ერთად, თავი უზენაეს მთავარსარდლადაც გამოაცხადა. შეიარაღებული ძალების მიმართ, სრულიად საწინააღმდეგო პოლიტიკა გაატარა საბჭოთა ლიდერმა ი.ბ. სტალინმა. 1937-1938 წლების “წმენდების” შედეგად, მან ხუთიდან – სამი მარშალი, თხუთმეტიდან – არმიის 13 მეთაური, უამრავი გენერალი, პოლკოვნიკი და უმცროსი შემადგენლობის ოფიცერი გამოასალმა სიცოცხლეს, რითაც არმიის პროფესიული პოტენციალი კი შეამცირა, მაგრამ მასზე პოლიტიკური კონტროლის განხორციელება მთლიანად საკუთარ ხელში აიღო (A. Heywood. 2007. P. 500).



## *პოლიცია და პოლიტიკა*

პოლიცია, როგორც ჯარი, სახელმწიფო აპარატის იძულების ნაწილს წარმოადგენს, ოღონდ აშკარაა ამ ორ ძალოვან სტრუქტურას შორის სხვაობა: შეიარაღებული ძალების როლი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობაში ვლინდება, ხოლო პოლიციის დანიშნულებაა – სახელმწიფოს შიგნით წესრიგის დამყარების უზრუნველყოფა. პოლიცია, თანამედროვე სახით, მე-19 საუკუნეში ჩამოყალიბდა, როდესაც სამრეწველო-ტექნიკური რევოლუციის ფარგლებში მიმდინარე პროცესებმა დასავლურ საზოგადოებაში სოციალური და პოლიტიკური წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება გამოიწვია. ასე მაგალითად, დიდ ბრიტანეთში, სახელფასო ანაზღაურებით, საგანგებოდ გაწვრთნილი და მომზადებული, სპეციალური უნიფორმით შემოსილი და სრული სამუშაო დღის მქონე ძალები – ლონდონში ჩამოყალიბდა 1829 წელს, ხოლო მთელს ბრიტანეთში კი საპოლიციო ძალები 1856 წლიდან ამოქმედდა (A. Heywood. 2007. P. 501). სხვა სახელმწიფოებმა გაერთიანებული სამეფოს გამოცდილება შედარებით მოგვიანებით გაიზიარეს.

### *პოლიციის როლი*

პოლიციის ხასიათისა და საზოგადოებაში მისი როლის თაობაზე სამი – ლიბერალური, კონსერვატიული და რადიკალური პოზიცია არსებობს:

ლიბერალური თვალსაზრისის შესაბამისად, პოლიციას ნეიტრალური სტატუსი გააჩნია. მისი ამოცანაა, უზრუნველყოს საზოგადოებრივი წესრიგი და დაიცვას ადამიანის ძირითადი უფლებები და თავისუფლებები. ამ შემთხვევაში - პოლიცია ფართო საზოგადოებრივ თანხმობას ეყრდნობა და ლეგიტიმურობის მაღალი ხარისხით ხასიათდება. ვინაიდან მოქალაქეები აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ პოლიცია ხელს შეუწყობს საზოგადოების სტაბილურობას და კონფლიქტის შემთხვევაში იცავს რა მოქალაქეებს ერთმანეთისაგან, მოსახლეობის პირად უსაფრთხოებასაც უზრუნველყოფს. ამასთანავე, იმის გამო, რომ სამართალდამცავი ორგანოები მართლწესრიგის უზრუნველყოფით არიან დაკავებულნი, პოლიციას არ გააჩნია და არც უნდა გააჩნდეს სხვა რაიმე სახის პოლიტიკური ფუნქციები.

კონსერვატიული თვალსაზრისის თანახმად, პოლიციის როლი და ადგილი საზოგადოებაში იმით განისაზღვრება, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს სახელმწიფოს ძალაუფლების განმტკიცებას და ქვეყანაში არსებული კანონის აღსრულება – ანუ მათი პრაქტიკაში გატარება უნდა უზრუნველყოს; აღნიშნული პოზიცია ხაზს უსვამს პოლიციის იმ მნიშვნელობას, რომლის მიხედვითაც იგი საზოგადოების იმ ინსტიტუტს უნდა წარმოადგენდეს, რომელსაც სახელმწიფოს წინაშე არსებული კრიზისის, მაგ: საზოგადოებრივი მღელვარებისა თუ სამოქალაქო უწყესრიგობის შემთხვევაში, ქვეყანაში სტაბილურობის მიღწევის მიზნით რადიკალური ზომების

მიღება უნდა შეეძლოს. ანუ – პოლიცია განიხილება, როგორც პოლიტიკური კონტროლის მექანიზმი.

პოლიციის კომპეტენციასთან მიმართებაში რადიკალური თვალსაზრისი გაცილებით უფრო კრიტიკულია. აღნიშნული მიდგომა სამართალდამცავ სტრუქტურებს როგორც ჩაგვრის ინსტრუმენტს, ისე განიხილავს. რადიკალების აზრით, ძალადობის ბერკეტები პირველ რიგში სახელმწიფოს უპყრია ხელთ და არა საზოგადოებას და პოლიცია პირველ რიგში პოლიტიკური ხელისუფლების და ელიტის სხვა წარმომადგენლების და არა მოსახლეობის ინტერესების გამტარებლად გვევლინება.

და ბოლოს, მეცნიერები და ანალიტიკოსები აღნიშნავენ, რომ საპოლიციო ძალების როლი მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელსაც სამართალდამცავი ინსტიტუტი მიეკუთვნება; ასევე იმაზე, თუ კონკრეტულად რომელი ამოცანების გადასაჭრელად იყენებს საპოლიციო ინსტიტუტს სახელმწიფო ან არსებული ხელისუფლება. ამ პოზიციის თანახმად, ერთმანეთისაგან განსხვავებენ სამოქალაქო და პოლიტიკურ პოლიციას, ეს განსხვავება კი ასახულია უფრო ზოგად დაყოფაში, რომელიც ერთის მხრივ, ლიბერალურ და მეორეს მხრივ, ე.წ. პოლიტიკურ სახელმწიფოს გულისხმობს.

#### *სამოქალაქო პოლიცია*

სამოქალაქო პოლიციაზე საუბრისას ყურადღება იმ კონკრეტულ ძალებზეა გამახვილებული, რომელთა მოქმედების სფერო სისხლის სამართლის საქმეებით შემოისაზღვრება, ანუ – “პოლიცია იმისთვის არსებობს, რომ დანაშაულს ებრძოდეს” (A. Heywood. 2007. P. 502). თუმცა, უნდა გავაცნობიეროთ ის ფაქტი, რომ ერთია საზოგადოებრივი წესრიგის დამყარება, ვთქვათ, აფრიკის რომელიმე ქვეყნის სხვადასხვა პროვინციაში და სრულიად განსხვავებულ ვითარებას ვაწყდებით თანამედროვე ნიუ-იორკში, პარიზსა თუ ლონდონში. ცნობილია, რომ მცირერიცხოვან და ერთგვაროვან საზოგადოებებში საკუთარი ძალებით მართლწესრიგის უზრუნველყოფა შედარებით წარმატებით მიმდინარეობს, ხოლო სრულიად განსხვავებული სურათია უფრო მასშტაბურსა და დანაწევრებულ საზოგადოებებში, სადაც ხალხთა შორის ურთიერთობა დეპერსონიზებულია. პოლიტიკური სისტემებისა თუ პოლიტიკური რეჟიმის მიხედვით ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული ქვეყნების პოლიცია, დანაშაულთა ინტერნაციონალიზაციის შედეგად, ერთი და იმავე მოდელისაგან გამოწვეულ, არსობრივად ისეთ მსგავს პრობლემებს აწყდება, როგორცაა საგზაო დარღვევები, მანქანის გატაცება, ქუჩის დანაშაული, ორგანიზებული დანაშაული და ამიტომაც, პოლიტიკური ძალების სტრუქტურა, მათი მოქმედების სტრატეგია და ტაქტიკა ასევე მსგავსი თვისებებით ხასიათდება.

შესაძლებელია განვიხილოთ სამოქალაქო პოლიციის სხვადასხვა სახეები:

არსებობს კონკრეტული საზოგადოებისათვის დამახასიათებელი პოლიციის მოდელი – კერძოდ, ასეთ საზოგადოებებში განიხილება პოლიციის მუდმივი დისლოკაციის საკითხი ადამიანთა კომპაქტური დასახლების სხვადასხვა ადგილებში, ამასთანავე, არსებობს მაღალი ალბათობა იმისა, რომ მოქალაქეებმა გამოძიებისა და დანაშაულის გახსნის პროცესში პოლიციასთან ითანამშრომლონ. გარდა ამისა, სამართალდამრღვევთა პროფილაქტიკის მიზნით უფრო ზოგადი ამოცანებია დასახული და ამისათვის საზოგადოებაში ისეთი ღირებულებები და ურთიერთობები ინერგება, რაც ამ ამოცანათა მისაღწევად აუცილებელია. აღნიშნული კონცეფცია დიდი ბრიტანეთისა და კიდევ უფრო მეტად იაპონიისთვისაა დამახასიათებელი. იაპონიის მოქალაქეები პოლიციელზე ფლობენ ისეთ ინფორმაციას, რომლის მიხედვითაც სამართალდამცველი საკმაოდ კარგად იცნობს იმ დასახლებულ პუნქტებსა თუ ორგანიზაციებს, რომელიც მის უბანს ეკუთვნის და ამიტომაც ხშირად სტუმრობს მათ. აღნიშნულ პროცესს სპეციალური პოლიციური ჩინი (კობანი) ან კიდევ მუდმივი საპოლიციო განყოფილებები (ჩუბაისო) ემსახურებიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ მეთოდის წარმატება პირდაპირაა დაკავშირებული ისეთ ფაქტორთან, თუ რამდენად პატივცემულ წევრად აღიქმება პოლიციელი საზოგადოების მიერ, ან კიდევ რამდენად მზადაა მოქალაქე, მუდმივად ამგვარი მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდეს.

მეორეს მხრივ, პოლიციის განსხვავებული მოდელიც არსებობს, რომელიც “სახანძრო ბრიგადის” პრინციპით მოქმედებს. ამ შემთხვევაში მთავარი გახლავთ ის ფაქტორი, რომ პოლიციას სამართალდარღვევებზე უსწრაფესი რეაგირების მოხდენა შეუძლია და ამის წყალობით, სამართალდამცავ სტრუქტურას ძალუძს, პროფილაქტიკური ხასიათის ამოცანებიც გადაწყვიტოს. როგორც წესი, ამგვარი მოდელისათვის უფრო ძალისმიერი, ხისტი, მკვეთრი, თითქმის სამხედრო მეთოდებისა და უახლესი ტექნოლოგიების თუ უახლესი ტიპის იარაღის გამოყენებაა დამახასიათებელი. აღნიშნული მოდელი, უპირატესად ავტორიტარული და ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვისაა მისაღები, თუმცა არც ზოგიერთი ლიბერალური სახელმწიფოსთვისაა უცხო. მაგალითად, ნიუ-იორკის პოლიცია მსხვილკალიბრიანი რევოლვერებითა და ხელკეტებითაა შეიარაღებული, პარიზის პოლიცია – მცირეკალიბრიანი, ოღონდ ნახევრად ავტომატური პისტოლეტებით, ხელკეტებითა და ჯავშანუილეტებით, ხოლო კაიროს პოლიცია – ავტომატებითა და ავტომატური შაშხანებით.

### *პოლიტიკური პოლიცია*

პოლიცია “პოლიტიკური” ორი გაგებით შეიძლება აღიქმებოდეს: ერთ შემთხვევაში, როდესაც მისი სამუშაო პროცესის ფარგლებში შესაძლებელია მუდმივად

არსებობდეს გარკვეული ტენდენცია, რომლის თანახმადაც იგი შედარებით ლოიალურია რომელიმე კონკრეტული ჯგუფების (მაგალითად, ხელისუფლების მხარდამჭერი ჯგუფები) მიმართ, ხოლო სხვა ჯგუფებისა თუ ორგანიზაციების მიმართ კი საპირისპიროდ მოქმედებდეს. მეორეც, იგი შეიძლება გასცდეს საკუთარი კომპეტენციის საზღვრებს და გააჩნდეს მცდელობა, საკუთრივ პოლიტიკურ პროცესებზე მოახდინოს ზემოქმედება.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადად პოლიცია საზოგადოებრივ კონტროლს ექვემდებარება, ზემოაღნიშნული მოსაზრებები მთლად უსაფუძვლო ნამდვილად არ გახლავთ. რიგ შემთხვევებში, პოლიციის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებას ლიბერალურ სახელმწიფოებშიც კი აქვს ადგილი. მაგ: აშშ-ის პრეზიდენტის, ლინდონ ჯონსონის მიერ 1967 წლის ე.წ. “გრძელი ცხელი ზაფხულის” არეულობებისა და უწესრიგობების გამოსაძიებლად შექმნილმა საკონსულტაციო კომისიამ სამოქალაქო უწესრიგობების თაობაზე გააკეთა დასკვნა, რომ ფიზიკური დაპირისპირება, ხშირ შემთხვევაში, სწორედაც რომ აფროამერიკული წარმოშობის მოქალაქეთა დასახლებულ უბნებში პოლიციის აგრესიულმა და დისკრიმინაციულმა ქმედებებმა გამოიწვია. 1992 წელს მთელს აშშ-ში ელვის სისწრაფით გაგრძელდა ინფორმაცია ოთხი თეთრკანიანი პოლიციელის მიერ როდნი კინგის ცემის შესახებ. შემდგომში, სასამართლო სტრუქტურების მიერ აღნიშნულ პოლიციელთა გამართლებამ არეულობათა ხელახალი ტალღის აგორება გამოიწვია. გაერთიანებულ სამეფოში იგივე პრობლემები იხილებოდა მაკფერსონის მოხსენებაშიც, სადაც დადასტურდა, რომ 1999 წელს პოლიციის მხრიდან გამოვლენილმა რასიზმმა ვინმე სტივენ ლორენსი იმსხვერპლა. დასკვნა კი პოლიციის ცენტრალური სამმართველოს ინსტიტუციონალური რასიზმი გახლდათ. აღნიშნულ მოხსენებაში სხვა მნიშვნელოვან, აქტუალურ საკითხებთან ერთად შემუშავებულ იქნა რეკომენდაცია პოლიტიკური ძალების მიმართ, რათა პოლიტიკოსებს სპეციალური პროცედურები გამოეყენებინათ რასისტულად განწყობილი პოლიციელების გამოსაფლენად და მათ რიგებში უფრო ფართოდ მოეზიდათ შავკანიანი თანამშრომლები (A. Heywood. 2007. P. 505).

თუმცა, პოლიციელთა მხრიდან ძალაუფლების გადახედვების ფაქტებს სისტემური ხასიათი ავტორიტარულ და ტოტალიტარულ სახელმწიფოებში აქვს ადგილი, სადაც, სახელმწიფო ტერორი სისტემურ დონეზეა აყვანილი და სადაც, ხშირ შემთხვევაში, მაგალითად პოლიტიკურ ოპონენტებზე თუ რეჟიმისათვის სხვა, მიუღებელ პირებზე (მაგალითად ეთნიკური ან რელიგიური ჯგუფები) ზეწოლის მიზნით პოლიციელთა მხრიდან განხორციელებულ უკანონო ქმედებებს შესაბამისი სახელისუფლებო სტრუქტურები და ცალკეული მაღალი თანამდებობის პირები მფარველობენ. ან, როგორც ზემოთ იქნა აღნიშნული, ცალკეული ექსტრემისტული ჯგუფები პოლიციის ლოიალობითა და ხელისუფლების ფარული მხარდაჭერით სარგებლობენ,

მაგალითად “სკინჰედები” რუსეთში, რომელთა მთავარ მიზანს კავკასიური და ცენტრალურ აზიური წარმოშობის, ასევე სხვა არარუსი ეროვნების წარმომადგენლებზე სხვადასხვა ფორმით ზეწოლის განხორციელება წარმოადგენს.

ხშირ შემთხვევაში, “პოლიტიკურად განსაკუთრებით საჩოთირო სახელმწიფო ოპერაციების” შესასრულებლად, ნახევრად სამხედრო სპეციალური პოლიციური რაზმები იქმნება. ამის ნათელ მაგალითად შეიძლება საფრანგეთში უშიშროების რესპუბლიკური სამსახური მივიჩნიოთ, რომელიც სამხედრო ყაიდაზეა ორგანიზებული და მისი თანამშრომლები სპეციალურ გარნიზონებში ცხოვრობენ. სახელმწიფოში პოლიტიკური სტაბილურობის უზრუნველყოფის მიზნით, დიდ ბრიტანეთში - პატრულირების სპეციალური ჯგუფი (SPG) ჩამოყალიბდა. და ბოლოს, პრაქტიკულად ყველა სახელმწიფოს ჰყავს თავისი დაზვერვისა და უშიშროების საიდუმლო სამსახური, რომელთა ფუნქციები ცალსახად პოლიტიკურ ხასიათს ატარებს: მათი პასუხისმგებლობის სფერო იმ ადამიანებსა თუ ჯგუფებს დაკვირვებასა და თვალთვალს მოიცავს, რომელთა საექვო ქმედებებიც, სავარაუდოდ, საფრთხეს უქმნის ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს. საუბარია შინაგანი უსაფრთხოების ისეთ სამსახურებზე, როგორცაა MI5 დიდ ბრიტანეთში, CSI და FBI აშშ-ში თუ ყოფილი სუკ-ი (სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი - КГБ) – სსრკ-ში (A. Heywood. 2007. P. 505).

### *პოლიციური სახელმწიფო*

ტერმინი “პოლიციური სახელმწიფო” ისეთ პოლიტიკურ რეჟიმთან ასოცირდება, სადაც ყოველგვარი სამოქალაქო უფლებები და თავისუფლებები შეზღუდულია და პოლიცია არავითარ კანონს არ ემორჩილება და შესაბამისად არც პასუხს აგებს სასამართლოსა და საერთო ჯამში საზოგადოების წინაშე. შეიძლება ითქვას, რომ ასეთ ვითარებაში პოლიცია პოლიტიკური ელიტის სამსახურში იმყოფება.

სწორედ ამგვარ შემთხვევას ჰქონდა ადგილი ნაცისტურ გერმანიაში, სადაც დაშინებისა და თვალთვალის განსახორციელებლად უზარმაზარი ძალადობრივი აპარატი შეიქმნა. SA-ს რაზმები (იგივე “ყავისფერი პერანგები”) მზად იყვნენ ერთ დამახეზაზე სასტიკად გასწორებოდნენ რეჟიმის ნებისმიერ მოწინააღმდეგეს. გესტაპო საიდუმლო პოლიციის ფუნქციებს ახორციელებდა, SD - ის ქვედანაყოფები კი დაზვერვასა და უსაფრთხოებაზე იყვნენ პასუხისმგებლები, ხოლო SS კი სახელმწიფოს შიგნით ნამდვილ სახელმწიფოდ გადაიქცა. მსგავსი სტრუქტურები შეიქმნა სსრკ-შიც. 1917 წელს ლენინის ინიციატივით შეიქმნა ჩეკა, რომლის მიზანს – ბურჟუაზიასა და საკუთარ პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლა წარმოადგენდა, მოგვიანებით მის ადგილზე აღმოცენდა ОГПУ – ყველა სხვა ამოცანებთან ერთად, იგი კოლექტივიზაციის პროცესზეც იღებდა საკუთარ

პასუხისმგებლობას. სახელმწიფო ძალადობის მანქანის ფუნქციონირების შემდგომი ეტაპი გახლდათ НКВД – ის, როგორც სტალინის მიერ განხორციელებული პირადი ტერორის ინსტიტუტის ჩამოყალიბება და ბოლოს, 1953 წლიდან, შეიქმნა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი – სუკ-ი, ანუ “კგბ” – რომელიც სხვა ფუნქციებთან ერთად, საზღვრის დაცვის სამსახურისა და შრომითი ბანაკების სისტემაზე კონტროლის დამყარების ფუნქციას ითავსებდა. კომუნისტური რეჟიმის მქონე სახელმწიფოებში საიდუმლო პოლიციის მაგალითებს წარმოადგენს “შტაზი” გერ-ში და “სეკურიტატე” რუმინეთში, რომელთა ფარგლებშიც ინფორმატორთა ფართო ქსელი იქნა შექმნილი (A. Heywood. 2007. P. 506).

თუმცა, საკუთარი საიდუმლო პოლიცია ე.წ. “ლიბერალურ” სახელმწიფოებშიც ფუნქციონირებს. მაგალითად, CIA აშშ-ში არაერთგზის იღებდა მონაწილეობას სახელმწიფოს გარეთ წარმოებულ საიდუმლო ოპერაციებში. მაგალითად, გენერალ ავგუსტო პინოჩეტის მიერ განხორციელებული გადატრიალების მხარდაჭერა ჩილეში, კუბის კომუნისტი ლიდერის, ფიდელ კასტროს მკვლელობის მცდელობა, იარაღის მიწოდება სამოქალაქო ომში ჩართული სხვადასხვა გასამხედროებული ჯგუფებისათვის სალვადორსა და ნიკარაგუაში და ა.შ. “პოლიციური ტერორის” მეთოდები გასული საუკუნის 60-იანი წლების ბოლოს ჩრდილოეთ ირლანდიაშიც იქნა განხორციელებული, სადაც დიდი ბრიტანეთის პოლიციის ბრიგადები არა მარტო აკონტროლებდნენ სამოქალაქო დემონსტრაციებს და ებრძოდნენ ირლანდიის რესპუბლიკურ არმიას, არამედ თავიანთი შესაძლებლობების მაქსიმუმს ავლენდნენ ოლსტერის კათოლიკურ უბნებში მოსახლეობის დასაშინებლად. ეს ბრიგადები 1969 წელს დაშალეს, თუმცა ეს მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, რაც პოლიციური ფუნქციები ბრიტანული არმიის ქვედანაყოფებს გადაეცა (A. Heywood. 2007. P. 507).

### *პოლიტიკური კონტროლი და ანგარიშგაღებულება*

როდესაც პოლიტიკურ კონტროლზე ვამახვილებთ ჩვენს ყურადღებას, აუცილებელია გავიხსენოთ არისტოტელეს ცნობილი რიტორიკული შეკითხვა. ვინ დაგვიცავს ჩვენ დამცველთაგან? ვინ გააკონტროლებს თვითონ წესრიგის დამცველებს? ეს უაღრესად რთული პრობლემაა, რომელსაც ორი მხარე გააჩნია – დადებითი და უარყოფითი. პოზიტიური თვალსაზრისი პოლიციის საზოგადოების წინაშე ანგარიშგებას გულისხმობს, როდესაც ძალოვან სტრუქტურებზე პოლიტიკური და სამართლებრივი ზედამხედველობის მექანიზმები არსებობენ და აგრეთვე, ეს გულისხმობს იმ მრავალგვარ შესაძლებლობებს, რომლებიც აღნიშნულ კონტროლთან დაკავშირებულ პრობლემებს წარმოგვიდგენს და მათ წინასწარ დადგენილი წესით აგვარებს. თუმცა, პოლიციურ ძალებზე კონტროლი შეიძლება მის პოლიტიზაციაში გადაიზარდოს, ანუ სწორედ ეს წარმოადგენს პრობლემის ნეგატიურ

მხარეს – მისი იმ ინსტრუმენტად გადაქცევის შესაძლებლობა, რომელსაც მოქმედი ხელისუფლება საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენებს.

ამ ორი პოლუსის გაწონასწორების საქმეში გადამწყვეტ ფაქტორად პოლიციის ორგანიზების ორი – ცენტრალიზებული ან დეცენტრალიზებული ფორმა გვევლინება. დეცენტრალიზაციის დადებითი და მიმზიდველი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ აღნიშნული სისტემის ფარგლებში პოლიციის ფუნქციონირება “ქვემოდან ზემოთ” პრინციპით განისაზღვრება, ამიტომაც ქვეყნის რეგიონებში ლოკალიზებული პოლიცია ცენტრალური ხელისუფლებისაგან მეტ-ნაკლებად მაინც დამოუკიდებელია: ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული გარემოება პოლიციას იმის შესაძლებლობას ანიჭებს, რომ მან გაითვალისწინოს ადგილობრივ დონეზე არსებული პრობლემები, მოსახლეობის ინტერესები და მოთხოვნები და აღნიშნულ ფაქტორებზე დაყრდნობით უფრო ადეკვატურად იმოქმედოს. ამიტომაც, დეცენტრალიზებული პოლიცია, რომელიც რეგიონის მოსახლეობის წინაშე პასუხისმგებელი, პრობლემათა იდეალურ მომგვარებლად განიხილება.

კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა უმრავლესობაში პოლიცია ცენტრალიზებულია. ამის კლასიკურ მაგალითს საფრანგეთი წარმოადგენს, სადაც ისტორიული პროცესების შედეგად პოლიციის ორი ძირითადი მიმართულება ჩამოყალიბდა: ეროვნული პოლიცია, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო კონტროლის ქვეშ იმყოფება და ჟანდარმერია, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სამხედრო კონტროლს ექვემდებარება. ეროვნული პოლიციის კომპეტენციას ქალაქებში კანონისა და წესრიგის უზრუნველყოფა მიეკუთვნება, ხოლო ჟანდარმერია მოქალაქეთა უსაფრთხოებას სასოფლო დასახლებებსა და დაბებში უზრუნველყოფს. თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ ზემოაღნიშნული პასუხისმგებლობის სფეროები ისე ხშირად იკვეთება, რომ ხანდახან გარკვეულ “პოლიციურ კონფლიქტთანაც” კი გვაქვს საქმე, მაგრამ საზოგადოებას ყველაზე მეტად სხვა რამ აწუხებს: თუ რა ვითარებასთან გვაქვს საქმე პოლიტიკური კონტროლის თვალსაზრისით, ვის დაქვემდებარებაში იმყოფება ეროვნული პოლიცია: კერძოდ, საფრანგეთში შინაგან საქმეთა მინისტრი უფლებამოსილია პირადად დანიშნოს მაღალჩინოსნები, პრეფექტებიც კი, რომლებიც ქვეყნის 96 დეპარტამენტის საპოლიციო განყოფილებებს ხელმძღვანელობენ, პრაქტიკულად შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაწყვეტილებათა უბრალო შემსრულებლებად გვევლინებიან, რადგანაც ადგილზე მათი საქმიანობის თავისუფლების ხარისხი შედარებით შეზღუდულია.

მეორეს მხრივ, სკანდინავიის ქვეყნებში არსებულმა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ცენტრალიზებული პოლიციის პრინციპისა და მისი ანგარიშგების მაღალი დონის წარმატებული შეთავსება სავსებით შესაძლებელია. დანიაში პოლიციის კომისარი ცენტრალური ხელისუფლების მიერ ინიშნება და მისი პასუხისმგებლობის სფერო

ძირითადად სტრატეგიული ხასიათის საკითხებით შემოისაზღვრება. ამავე დროს, 72 ადგილობრივი მთავარი კონსტებლის დამოუკიდებლობის ხარისხიც საკმარისად მაღალია, აღნიშნული თანამდებობის პირები საკუთარი შეხედულებისამებრ აკომპლექტებენ მომსახურე პერსონალს და შესაბამის რესურსებსაც თავადვე განკარგავენ (A. Heywood. 2007. P. 508).

შვედეთში პოლიციის ცენტრალიზებული სტრუქტურა 1945 წელს ჩამოყალიბდა, მაგრამ აქ ადგილობრივი საპოლიციო კომიტეტების სისტემა მოქმედებს, რომელიც საშუალებას აძლევს ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომ მკაცრი კონტროლი დაამყარონ საპოლიციო სამსახურების შესაბამის სტრუქტურებზე.

პოლიციის ყველაზე დეცენტრალიზებული სტრუქტურა, ალბათ, ისევ ამერიკის შეერთებულ შტატებში ფუნქციონირებს. ქვეყნის მრავალშტატიანი ფედერალური სისტემის არსებობის შედეგად, აშშ-ის საპოლიციო ინსტიტუტი არანაკლებ ხუთი სახეობის სამსახურს მოიცავს, ესენი გახლავთ: FBI (გამოძიების ფედერალური ბიურო), იუსტიციის სამინისტროსთან არსებული ფედერალური ორგანოები, 50 შტატის პოლიციური ძალები, შტატების დონეზე მოქმედი შერიფისა და შერიფების თანაშემწის ინსტიტუტი, დიდი და მცირე ქალაქების პოლიცია და სოფლებისა და რაიონების პოლიცია (A. Heywood. 2007. P. 508).

რიგ დემოკრატიულ სახელმწიფოში, ხელისუფლებამ საერთოდ უარი განაცხადა ნებისმიერი სახის დეცენტრალიზაციაზე. ამის ნათელ მაგალითს გერმანია და იაპონია წარმოადგენენ. 1950 წლისათვის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის (დასავლეთ გერმანიის) პოლიცია რეგიონების, ე.წ. “მიწების” პრინციპზე დაფუძნებულ ორგანიზებას დაუბრუნდა და შესაბამისად, საერთო-ეროვნული ორგანოებიც იქნა ჩამოყალიბებული, მათ შორის ისეთებიც, როგორცაა კრიმინალური პოლიციის ფედერალური ბიურო და სასაზღვრო პოლიცია. 1954 წელს იაპონიაში, ყველა პოლიციური ძალა ნომინალურად ეროვნულ-საზოგადოებრივი უსაფრთხოების კომისარს დაექვემდებარა. ამავე დროს აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ დღევანდელი პოლიციაც თავის საქმიანობას ემეტესწილად პრეფექტურის დონეზე ახორციელებს.

დიდი ბრიტანეთი ოდითგანვე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის დეცენტრალიზებული სისტემის კლასიკურ მაგალითად ითვლებოდა, რადგანაც აქ საერთო-ეროვნული პოლიცია არასოდეს არსებობდა. გამონაკლისს მხოლოდ ლონდონის პოლიცია წარმოადგენდა, რომელიც უშუალოდ შინაგან საქმეთა მინისტრს ექვემდებარებოდა. ქვეყნის დანარჩენ რეგიონებში კი, სამართალდამცავი სტრუქტურა ადგილობრივ პრინციპებზეა ორგანიზებული და მთავარი კონსტებლებიც უშუალოდ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების წინაშე არიან ანგარიშვალდებული. მაგრამ ამ შემთხვევაშიც კი, დეცენტრალიზაციის სრულყოფილი მოდელი მაინც არ არსებობს. ამის თქმის საფუძველს იძლევა ის



ფაქტი, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის კომპეტენცია რეალურად დედაქალაქის პოლიციის საზღვრებს სცდება და სამართალმოქმედების ყველა სფეროს მოიცავს. შინაგან საქმეთა სამინისტრო მუდმივად აკონტროლებს ნაციონალური პოლიციის ხელმძღვანელ რგოლს, რასაც იგი სხვადასხვა ინსტრუქციების, დირექტივების და ცირკულარების, ასევე, საპარლამენტო კანონმდებლობის მეშვეობით ახორციელებს. გარდა ამისა, ცენტრალიზაციისკენ მიმართული ტენდენცია ეტაპობრივად საერთო ეროვნული ტექნოლოგიების დამკვიდრების მეშვეობით ხორციელდება. ამ შემთხვევაში პირველ რიგში იგულისხმება ეროვნული პოლიციის გამოთვლითი ცენტრი და მონაცემთა ბაზის შენახვის ეროვნული ცენტრი.

### **თავი 63. სახელმწიფოს საინფორმაციო უსაფრთხოება**

ბოლო ათწლეულების განმავლობაში კაცობრიობა საინფორმაციო ცივილიზაციის პერიოდში გადასვლის ეპოქაში იმყოფება. ეკონომიკური ინსტიტუტების, საფინანსო-საბანკო სტრუქტურების ტოტალური კომპიუტერიზაცია თანამედროვე ისტორიის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა და სულ უფრო მეტ განვითარებას ჰპოულობს. მოწინავე საინფორმაციო ტექნოლოგიები ადამიანური საზოგადოების ყველა მოწინავე სფეროშია (თავდაცვა, ჯანდაცვა და სხვ.) დანერგილი და შესაბამისად, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით მთელი გლობალური სივრცის ათვისების პროცესი მიმდინარეობს.

*ინფორმაციული უსაფრთხოება* – მის ძირითად მიზანს ისეთი პირობების შექმნა წარმოადგენს, რომლის შედეგადაც საზოგადოებას ობიექტური ინფორმაციის მიღების შესაძლებლობა უნდა გააჩნდეს. მოცემული პირობების ჩამოყალიბების მთავარ ფაქტორად შესაძლოა მასობრივი ინფორმაციის დამოუკიდებელი და პოლიტიკური ცენზურისაგან თავისუფალი საშუალებები და პოლიტიკური თავისუფლებები მოგვევლინონ (ვ. დემეტრაშვილი – თბ., 2004).

თავის მხრივ, მასობრივი საინფორმაციო საშუალებები ფინანსურად და პოლიტიკურად ნამდვილად თავისუფალნი უნდა იყვნენ. საინფორმაციო უსაფრთხოება საშუალებას იძლევა რომ ადეკვატური საზოგადოებრივი აზრი იქნეს ჩამოყალიბებული, რომელიც ხელისუფლების საზოგადოების მხრიდან კონტროლს უზრუნველყოფს.

საინფორმაციო უსაფრთხოების მთავარ ამოცანებს წარმოადგენს:

- პიროვნების და საზოგადოების უფლება მიიღოს ობიექტური ინფორმაცია;
- ობიექტური ინფორმაციის უზრუნველყოფა - დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებების ფუნქციონირება;

- საინფორმაციო და სატელეკომუნიკაციო სისტემების ფარგლებში კრიმინალური საფრთხეების, სატელეფონო ტერორიზმის, ფულის გათეთრებისა და დამნაშავეობის სხვა სახეების წინააღმდეგ ბრძოლა;
- პიროვნების, ორგანიზაციის, სახელმწიფოს, საინფორმაციო-ტექნოლოგიური საფრთხეებისაგან დაცვის უზრუნველყოფა;
- მოქალაქეებზე და ცალკეულ სახელმწიფო ინსტიტუტებზე დადებითი იმიჯის ფორმირება და ამ მიზნით ბრძოლის წარმოება ცილისწამებასა და ჭორებთან, დეზინფორმაციის გავრცელებასთან და ა.შ.

საინფორმაციო უსაფრთხოების პოლიტიკის წარმოება სხვადასხვა სფეროებში (პოლიტიკა, ეკონომიკა, თავდაცვა) და სხვადასხვა დონეზე (სახელმწიფო, რეგიონული, ორგანიზაციული და პიროვნული) ხორციელდება. შესაბამისად, სახელმწიფო დონეზე საინფორმაციო უსაფრთხოების პრობლემები განსხვავდებიან იმ ამოცანებისაგან, რომლებიც შედარებით დაბალ საფეხურებზე განიხილება. თუ პირველ შემთხვევაში ეროვნული ინტერესებისა და ობიექტური ინფორმაციის მიწოდების და ა.შ. საკითხებია პრიორიტეტული, მეორე შემთხვევაში უკვე კერძო ამოცანები (ორგანიზაციის იმიჯის ფორმირება და მხარდაჭერა, ოპონენტების მხრიდან ცილისწამებასთან და დეზინფორმაციასთან ბრძოლის საკითხი და ა.შ.) განიხილება.

საინფორმაციო უსაფრთხოების განხილვის პროცესში მნიშვნელოვან ამოცანას “საინფორმაციო საფრთხის” ცნების განსაზღვრება წარმოადგენს.

**საინფორმაციო საფრთხე** – ეს გახლავთ პიროვნებაზე, საზოგადოებაზე და სახელმწიფოზე რეალური საინფორმაციო ზემოქმედება, რომელიც შედის ცალკეული პოლიტიკური და სოციალური ძალების ინტერესებში და მიმართულია საზოგადოების, ორგანიზაციისა და პიროვნების განვითარების შესახებ დეზინფორმაციის გავრცელებაზე.

წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარების პროცესში, არც თუ ისე იშვიათად გამოიყენება ე.წ. “შავი პიარი”, რომელიც თავის მხრივ მოიცავს დიფამაციასა და ბოროტ სიტყვას.

**დიფამაცია** – წარმოადგენს ისეთი ცილისმწამებლური განცხადების გაკეთებას, რომელიც გარკვეული ფორმითაა (წერილობითი, რადიო ან ტელეგადაცემა) წარმოდგენილი.

**ბოროტი სიტყვა** – ეს გახლავთ ისეთი ცილისმწამებლური განცხადება, რომელიც მაგალითად საუბრის დროს, სპონტანურად გაუღერდება (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 262).

დიფამაციისა და ბოროტი სიტყვის წინააღმდეგ გამოიყენება შესაბამისი ზომები, თუ, ცილისწამება გახლავთ: ა) ტყუილი; ბ) მიმართულია კონკრეტული სუბიექტის წინააღმდეგ; გ) გახმაურებულია.

საინფორმაციო უსაფრთხოება ხელს უწყობს გადაწყვეტილ იქნეს წინასაარჩევნო კამპანიის ამოცანები, უზრუნველყოფილ იქნეს სოციალური ორგანიზაციის სტაბილურობა იმ დროს, როდესაც კონკურენტები ცდილობენ ოპონენტების იმიჯის, პრესტიჟის შელახვას, რასაც ისინი ახორციელებენ მას-მედიაში ცილისმწამებლური განცხადებების, მონაჭორებისა და დიფამაციის გავრცელებით და ა.შ.

თანამედროვე პირობებში საინფორმაციო უსაფრთხოების დრმა და ყოვლისმომცველი ანალიზი საზოგადოების მნიშვნელოვან სოციალურ მოთხოვნილებად გადაიქცა, რაც თავის მხრივ დაკავშირებულია სოციალური ინფორმაციის ნაკადის ზრდასთან, რომელიც თავის თავში მოიცავს ადამიანებზე ნეგატიური ზეგავლენის განხორციელების შესაძლებლობას, რისი შედეგიც გახლავთ აგრესიის გაძლიერება არა მხოლოდ ცალკეული ინდივიდების, არამედ მთელი სოციალური თემების მხრიდან.

ბევრი მეცნიერი აღნიშნავს, რომ საინფორმაციო უსაფრთხოება – ეს არის პირველ რიგში საზოგადოების უფლება მიიღოს სრულფასოვანი ინფორმაცია, ასევე, იგი უკავშირდება კონფიდენციალური მონაცემებისა და საიდუმლოებების დაცვას და ბრძოლას კომპიუტერულ ქსელში შეღწევისა და პირადი საუბრების სპეციალური აპარატურით მოსმენის წინააღმდეგ; საინფორმაციო უსაფრთხოების სხვა მნიშვნელოვან ფუნქციებს შორის უნდა ავლნიშნოთ საზოგადოების დაცვა საინფორმაციო-ფსიქოლოგიური საფრთხეებისაგან, დიფამაციისა და ცილისწამებისაგან, სატელეკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემებიდან მომდინარე დანაშაულობებთან ბრძოლა და ასევე წინასაარჩევნო კამპანიის დროს საინფორმაციო და პირადი ინფორმაციის დაცვის მიზნით კანონის ფარგლებში შესაბამისი პიარ-ტექნოლოგიების გამოყენება.

ინფორმაციული უსაფრთხოების განხილვის პროცესში, აუცილებელია ყურადღება გამახვილებულ იქნეს არა მხოლოდ ინფორმაციის შენახვისა და დაცვის მეთოდებზე (საიდუმლოების შენახვა, ინფორმაციის გაუონვის საწინააღმდეგო ქმედება), არამედ მართებული ინფორმაციის მიღების რეალურ შესაძლებლობებზე. სწორედ ამაში მდგომარეობს საინფორმაციო უსაფრთხოების არსი. ქვეყნის თითოეული მოქალაქისათვის ობიექტური ინფორმაციის მიწოდება, სწორედ ეს გახლავთ საზოგადოებისა და პიროვნების განვითარების აუცილებელი წინაპირობა.

ბოლო წლებში მრავალი ქვეყნის სამართალდამცავ ორგანოებში მომუშავე მეცნიერები და სპეციალისტები ერთხმად აღნიშნავენ ახალი კრიმინალური მოვლენის

შესახებ – კომპიუტერული დანაშაული. როგორც წესი, დანაშაულებრივი ქმედების ობიექტი და თვითონ დამნაშავე ფიზიკურად სხვადასხვა ადგილას იმყოფებიან. ყველაზე უფრო ხშირად, დანაშაულის ჩადენის ხანგრძლივობა ძალზედ მოკლეა, შესაბამისად, ასეთი ტიპის დანაშაულის ჩადენის დაფიქსირება მეტად რთულ ამოცანას წარმოადგენს. კომპიუტერული სისტემის გამოყენებასთან დაკავშირებული ყველა დანაშაული შესაძლოა ერთდროულად განხორციელდეს როგორც ერთი, ასევე სხვადასხვა სახელმწიფოს ტერიტორიაზე.

კომპიუტერული დანაშაულებები – ეს გახლავთ ის კრიმინალური ქმედებები, რომლის დროსაც დანაშაულის ობიექტად გვევლინება საინფორმაციო სისტემები და კომპიუტერული ქსელი.

ამერიკელი სპეციალისტები მაღალი ტექნოლოგიების კომპიუტერულ დამნაშავეებს შემდეგი კრიტერიუმებით ახასიათებენ:

ჰაკერები (ინგ. hackers) – ადამიანები, რომლებიც კარგად ფლობენ კომპიუტერული სისტემების ტექნოლოგიებს (Sterling, Bruce. 1993.p. 61).

კრეკერები – (ინგ. crackers) ჰაკერები, რომლებიც აღწევენ უსაფრთხოების სისტემაში და მასში განათავსებენ სხვადასხვა არასანქცირებულ ცვლილებებს (Margaret Rouse. 2007);

ფრიკერები (ინგ. phreakers) – ისინი ტელეკომუნიკაციის სხვადასხვა სისტემებს “ტეხავენ” (Margaret Rouse. 2007).

ამერიკელი სპეციალისტები კომპიუტერულ დანაშაულებებთან ბრძოლის შემდეგ ძირითად საშუალებებს გამოყოფენ:

1. სამართლებრივი ღონისძიებები როგორც ცენტრალურ, ასევე რეგიონალურ დონეზე შესაბამისი საკანონმდებლო აქტების შემუშავებას გულისხმობენ. აღნიშნული ქმედებები ისეთი საკითხების რეგულირებასთანაა დაკავშირებული, რომლებიც საზოგადოებრივი უსაფრთხოების შენარჩუნების მიზნით საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებას უკავშირდება.
2. კომპიუტერულ დანაშაულებებთან ბრძოლის ორგანიზაციულ-ტექნიკური საშუალებები პირველ რიგში დაცული ინფორმაციის არასანქცირებული გზით მოპოვების აღკვეთისკენაა მიმართული. აღნიშნული ღონისძიებები თავის თავში მოიცავს ინფორმატიზაციის ელექტრონული სისტემის სპეციალურ შემოწმებასა და კვლევას, პროგრამული უზრუნველყოფისა და ინფორმაციის განთავსების სერტიფიკაციას, რომელშიც თავის მხრივ გამოთვლითი ტექნიკის საშუალებებია დანერგილი. ასევე, კიბერდანაშაულობებთან ბრძოლა იმ სპეციალური ტექნიკური პროგრამებისა და საშუალებების გამოყენებას

გულისხმობს, რომელიც კომპიუტერული სისტემების ფუნქციონირების შეფერხების აღმოფხვრისკენაა მიმართული.

3. სპეციალური საშუალებები სრულად მიეკუთვნება საპოლიციო ორგანოების კომპეტენციას და სხვადასხვა ღონისძიებების გატარებასა და დანაშაულის სხვადასხვა მეთოდების გამოვლინებას მოიცავს.

გამოყოფენ კომპიუტერული დანაშაულობების შემდეგ სახეობებს: 1. ტერორიზმი; 2. ჯაშუშობა (საერთაშორისო და სამრეწველო); 3. ექსტრემისტული დაჯგუფებების (პოლიტიკური, ეკოლოგიური და რელიგიური მიმართულებების) საქმიანობა; 4. თაღლითობა და ორგანიზებული დანაშაული; 5. ჰაკერთა საქმიანობა (ინდივიდუალური და ორგანიზებული ჯგუფები).

ზემოთჩამოთვლილი სახეობების დანაშაულობათა პოტენციურ მსხვერპლს არა მარტო კომპიუტერები, სატელეკომუნიკაციო ქსელები, სატელეკომუნიკაციო კორპორაციების, ბანკებისა და საკრედიტო დაწესებულებების კომერციული საიდუმლოებები, არამედ ასევე სამართალდამცავი ორგანოების მონაცემთა ბაზები წარმოადგენენ. ორგანიზებულ დანაშაულებათა ერთ-ერთ ძირითად ინტერესთა სფეროდ ფულის გათეთრება გვევლინება. აღნიშნული უკანონო ოპერაციების ერთ-ერთი მეთოდი ფინანსური დაწესებულებების კომპიუტერულ სისტემებში არასანქცირებულ ჩართვებს უკავშირდება. კომპიუტერული დანაშაულებების პირამიდის მწვერვალზე ის ჰაკერთა ჯგუფები იმყოფებიან, რომლებიც ტერორისტული მიმართულების სხვადასხვა დაჯგუფებებზე მუშაობენ. დღევანდელ დღეს, ელექტრონული ტერორიზმის წინაშე პირველ რიგში მსოფლიოს უძლიერესი ქვეყანა – აშშ იმყოფება.

ყველაფერი ზემოაღნიშნული გვაძლევს საშუალებას ვისაუბროთ იმაზე, რომ ჰაკერის – როგორც ცალკეული ინდივიდის საქმიანობა მეორე პლანზე გადადის და მის ადგილს ის ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფები იკავებენ, რომლებიც ამა თუ იმ კომპიუტერული დანაშაულის განსახორციელებლად სპეციალიზდებიან და თავიანთი დანაშაულებრივი იდეოლოგია და სტრუქტურა გააჩნიათ. ინტერნეტის გლობალური კომპიუტერული ქსელის მეშვეობით, აღნიშნულ დაჯგუფებათა საქმიანობამ მთელი მსოფლიო მოიცვა და რეალურად ისინი მსოფლიო საზოგადოებისათვის უდიდეს საფრთხეს წარმოადგენენ.

სამხედრო ექსპერტების აზრით, XXI საუკუნისათვის საინფორმაციო ომის წარმოების საშუალებებისა და რესურსების გლობალური განვითარება იქნება დამახასიათებელი, რომელიც თავის თავში იმ ნებისმიერ ქმედებას მოიცავს, რომელიც მოწინააღმდეგის საინფორმაციო საშუალებების დაზიანებისკენაა მიმართული და იგი მოწინააღმდეგის ანალოგიური საქმიანობის აღსაკვეთად საკუთარი (კონკრეტული საჯარო და კერძო ორგანიზაციის) საინფორმაციო

სისტემების დაცვასაც გულისხმობს. ამგვარად, თანამედროვე ეტაპზე საუბარი მიმდინარეობს იარაღის ახალ ტიპზე – საინფორმაციო-ფსიქოლოგიური იარაღის შესახებ.

*საინფორმაციო - ფსიქოლოგიური იარაღი* – ეს გახლავთ იარაღის ის ახალი სახეობა, რომელიც ადამიანის ფსიქიკაზე ძირითადად მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, კომპიუტერული თამაშებისა და ინტერნეტის სისტემის მეშვეობით ზემოქმედებს (Каменская. Е. Н. 2005. Стр. 265).

ცნება “საინფორმაციო ომი” შედარებით ახალ ცნებად განიხილება, რომელიც თავის თავში მოიცავს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციოკულტურული რეალობების სხვადასხვა ასპექტებს. თანამედროვე ცხოვრებაში, კიბერშეტევა პირველ რიგში კომპიუტერულ ვირუსებსა და ახალი ტექნოლოგიების ქურდობასთანაა დაკავშირებული. საინფორმაციო ომის წარმოება ცოდნის მანიპულირების მეშვეობით ხორციელდება, იგი ზემოქმედებს მას-მედიის ფუნქციონირებაზე, განათლებაზე და დიდ ზიანს აყენებს ტრადიციულად ძველ კულტურებს. აღნიშნული ომი იწარმოება პრინციპით - “ყველას ომი ყველას წინააღმდეგ”, მასში არ არსებობენ მოკავშირეები და დამარცხებული მხარე დიდი ხნის განმავლობაში კარგავს საკუთარ პოზიციებს. ადამიანთა მცირე ჯგუფს, რომელიც საინფორმაციო ომის ფარგლებში ფლობს კონკრეტული ბრძოლის მეთოდებს, შეუძლია იდეოლოგიური და ფსიქოლოგიური ზემოქმედება მოახდინოს როგორც ცალკეულ სოციალურ ჯგუფებზე, ისე მთელ საზოგადოებაზე.

საინფორმაციო ომის შესახებ პირველად აშშ-სა და იაპონიაში ალაპარაკდნენ, რადგანაც პირველ რიგში მნიშვნელოვანი მოცულობით სწორედ ამ ქვეყნებმა გაათვითცნობიერეს იმ დიდი პრობლემების არსებობის შესახებ, რომელიც აღნიშნული სახელმწიფოების საინფორმაციო სისტემების შესაძლო დაზიანებას უკავშირდებოდა. შესაძლებელია გაკეთდეს გარკვეული დასკვნა, რომ რაც უფრო მეტად არის სახელმწიფოში საინფორმაციო რესურსები დანერგილი (კავშირგაბმულობის სისტემები, სამოქალაქო და სტრატეგიული ობიექტების სისტემების მართვა და ა.შ.), მით უფრო შესაძლებელია აღნიშნულ საინფორმაციო სისტემებში შეღწევა.

*საინფორმაციო ომი* – ეს გახლავთ კონკრეტულ მოქმედებათა დაგეგმილი სისტემა, რომელიც, ეფუძნება რა საინფორმაციო მანიპულირების პრინციპს - ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ მეორე ჯგუფის ინტერესების ხელყოფისკენაა მიმართული (Winn Schwartau. 1996).

ამ მხრივ აღსანიშნავია არასამხედრო დანიშნულების იარაღის გამოყენების მნიშვნელობა, რომელსაც უკანასკნელი პერიოდის განმავლობაში დიდი

ყურადღება ეთმობა. თანამედროვე სამეცნიერო და ტექნიკური წრეების მიერ ახალი ტექნოლოგიების დანერგვამ, საინფორმაციო შესაძლებლობათა ფართო სპექტრი განავითარა, რომლის მოქმედების არეალი კონტროლიდან გამოსული ხალხის მასებზე ზემოქმედებიდან კავშირგაბმულობის სისტემების მწყობრიდან გამოყვანამდე ვრცელდება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია ხაზი გაესვას იმ ფაქტს, რომ არალეიტალური ტექნოლოგიებიდან პირველ რიგში მოწინააღმდეგის საინფორმაციო და კავშირგაბმულობის სისტემების მწყობრიდან გამოყვანა და ამავდროულად საკუთარი რადიო და სატელევიზიო პროგრამების გავრცელება მოიაზრება. მოქმედებათა წარმოდგენილი სახეობა განსაკუთრებით ეფექტურად იმ შემთხვევაში განიხილება, როდესაც ადგილი აქვს მოწინააღმდეგე მხარის ლიდერთა ჯგუფის არმიისა და მოსახლეობისაგან იზოლირების ფაქტს.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ საინფორმაციო ზემოქმედების მექანიზმი მოსახლეობის მასობრივი ცნობიერების მანიპულაციაზე და ამ ცნობიერებაში მიზანმიმართულად სანდო და არასანდო ინფორმაციის დანერგვას ეფუძნება.

### დასკვნა

პოლიტიკა კაცობრიობის ცივილიზაციის განუყოფელ კომპონენტს წარმოადგენს. მის გარეშე შეუძლებელია სოციალური პროგრესი, საზოგადოებისა და პიროვნების არსებობა. პოლიტიკის სოციალური დანიშნულება იმაში მდგომარეობს, რათა სამართლიანი სოციალური წესრიგის დასამკვიდრებლად საზოგადოების სწორი განვითარება იყოს უზრუნველყოფილი, რაც თავის მხრივ, სახელმწიფოს მხრიდან იძულების შეზღუდვასა და ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის დანერგვას შეუწყობს ხელს. ამავე დროს, პოლიტიკა საზოგადოებრივ ინტერესებს მხოლოდ იმ შემთხვევაში ემსახურება, თუ პოლიტიკის ელემენტების განვითარების კანონებია მართებულად გათვითცნობიერებული და თუ სწორედ ის მექანიზმები მოქმედებენ, რომლებიც ცალკეულ ინდივიდსა და მთლიანად საზოგადოებაზე პოლიტიკის დესტრუქციულ, დამანგრეველ გავლენას ზღუდავენ.

პოლიტიკის დუალიზმი (ორგვარობა) იმაში გამოიხატება, რომ ერთის მხრივ, ის, როგორც წესი, ყველა საწყისისა და განხორციელების ინიციატორს წარმოადგენს, იგი აწესრიგებს ადამიანთა შორის ურთიერთობებს, აყალიბებს წესრიგსა და სამართლიანობას, მაგრამ, მეორეს მხრივ, სწორედ მისი მეშვეობით ხშირად ადგილი აქვს განუკითხაობას, ფეხქვეშ ითელება ადამიანის ღირსება, ხდება ხალხის უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფა. როგორც ეს დიუვერჟემ აღნიშნა, პოლიტიკა - ეს არის “ორთავიანი იანუსი” – ძველი რომაელი ღმერთი ორი სახით.

თითოეული სახე ორ სხვადასხვა მხარესაა მიმართული: ერთი – მომავალში, მეორე – წარსულში (Maurice Duverger. 1959).

იმისათვის, რომ ადამიანისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ პოლიტიკის უზარმაზარი სამობილიზაციო და მარეგულირებელი პოტენციალი მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული, საჭიროა პოლიტიკის კანონების ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა, რათა პოლიტიკით დაინტერესებულ მოქალაქეებსა თუ საზოგადოებრივ ჯგუფებს გააჩნდეთ იმის შესაძლებლობა, რომ სწორედ და ლოგიკურად გაანალიზონ და შეაფასონ სხვადასხვა პოლიტიკური მოვლენა, ის პოლიტიკური საქმიანობა, რომელიც პოლიტიკური ცხოვრების მონაწილეთა ინტერესებითა და მოთხოვნისებებითაა განპირობებული. ამ შემთხვევაში, მნიშვნელოვანია ცნობილი ფრანგი სოციოლოგის, ო. კონტის შენიშვნა: “იცოდეთ, რათა იწინასწარმეტყველო, იწინასწარმეტყველო, რათა იმოქმედო” (Auguste Comte. 1865). ამ შემთხვევაში აუცილებელია აღინიშნოს დიდი ილიას უკვდავი სიტყვები: “როცა ერთი ყოველს მოვლინებას და საქმეს მის გარშემო მომხდარს, ყოველს ნახულს, გაგონილს და ყოფილს საზოგადო მნიშვნელობისას – გონებით დააკვირდება, ღირსსახსოვარს, ავსა თუ კარგს – ხსოვნისათვის აღნუსხავს, გულში ჩაირჩენს და სასწორზედ ასწონის ფასის დასადებად, მაშინ პირდაპირ და უტყუარად შეიძლება კაცმა სთქვას, რომ იგი ერთი გონებითად ჰასაკში შედის, ჭკუა, გული და ცნობიერება დასძვრია მოქმედებისათვის და ფეხი შინიდან გარეთ გამოუდგამს კაცურის ცხოვრებისათვის” (ილია ჭავჭავაძე, 2011. გვ. 444).

იმედი ვიქონიოთ, რომ პოლიტოლოგიის კურსის აღნიშნული სახელმძღვანელო ხელს შეუწყობს საქართველოში სამოქალაქო მშვიდობის, ურთიერთგაგების, მოთმინების, ტოლერანტობის განმტკიცებასა და საზოგადოებაში დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის ამაღლებას.



## **Book Summary**

In the book “Political Science”, author analyses different theoretical and practical aspects of Politics. Particularly, in the introduction part of the research the role and place of politics in the scientific system, determination of politics, foundations of the first departments of political sciences at the educational institutions of the different countries are observed.

In the I part of the book – “politics as a scientific discipline”, which is divided on the 10 chapters, such topics, as politics as a scientific discipline, its subjects and objects, role in the society, politics and law, politics and economics, politics and mass-media means, politics and morality, different views about politics, the methods of politics, its role in the system of social-humanity concepts are considered.

In the part II – “History of political science”, which is divided on five chapters, the main attention is paid to the political concepts of the ancient period, theocratic doctrines of the middle centuries, scientific views during the periods of renaissance, enlightenment and new history, political directions in the western countries, Georgian political thought.

Part III – “The state and its function” – which includes 7 chapters, is dedicated to the discussion about the role of the state in the public life, state systems, functions of the state, local governance, understanding the democratic state, democracy and human rights, models of democracy and modern understanding of the civil society.

Part IV – “Political Power and Political Systems” – which includes 11 chapters presents before the reader the main principles of political power, the basics of governance, structure, resources and types, corruption, the legitimacy of the power, constitutions and justice, functioning of the legislative, executive and judiciary powers, the dynamics of the political system, political regimes, systems of governance etc.

In the Part V – “Political Representation. Elections and Voting” – which is divided on four chapters- the research is implemented in the relation to review the electoral technologies, image and politics, political participation, elections and monitoring, political marketing.

In the Part VI (four chapters) – “Political Parties and Political Movements” the ideas about nature, structures and functions of the political parties, the typology of the political parties, the role of political movements, lobbyist groups in the society life are researched and analyzed.

In the Part VII – “Political Views and Ideologies” (three chapters) the author discusses about principles of political thought, the role of the political ideologies, political culture, politico-ideological doctrines etc.

Part VIII – “Political Relations and Political Processes” (four chapters) the types of political socialization, political relations, political processes, including the political processes in Georgia after the restoration of independence are considered.

Chapter IX – “Political Conflict” (two chapters) is dedicated to the observing the typologies of the political conflicts, ways for the problem`s resolution. Also, conflicts in Georgia and perspectives of their resolution.

Chapter X – “Main theories of the political leadership and political elites” (two chapters) the topics, related to the understanding the political leadership, typologies and functions of the political leaders, the role of the political elite are discussed.

Chapter XI – “International Relations, main characters of the World Politics and National Security” deals with the inter ethnical relations, main principles, concepts and theories of International Relations, foreign policy, national security and information security of the state, the role of the military forces in this process, main foreign policy and national security priorities of Georgia.

In the conclusion part, once more is underlined the role of politics in the scientific system and importance of its study.

## გამოყენებული ლიტერატურის სია

### წიგნები:

ალექსიძე, ლ. (2004). თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი, თბილისი: გამომცემლობა „ჯისიაი“.

არისტოტელე, (2008). პოლიტიკა. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე, თბილისი: „უნივერსალი“.

არისტოტელე (2013). პოლიტიკა, თბილისი: „უნივერსალი“

ასათიანი, ნ. (2003). საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე, თბილისი, „საქართველოს მაცნე“.

დემეტრაშვილი, ვ. (2004). საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამა. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი /00031399 – „საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო- პროგრამის შემუშავება“, თბილისი.

ვაჟა-ფშაველა (2011). ქართული კლასიკური მწერლობა. ტომი 9. თბილისი: შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

იბერი, პეტრე (2012). დიდი ქართველები. ცხოვრების ქრონიკები. (ავტორი:ტარიელ ზოზრაშვილი), თბილისი. გამომცემლობა „პალიტრა“

კომახია, მამუკა (2017). ცხინვალის რეგიონში უსაფრთხოების სფეროზე რუსეთის გავლენა იზრდება: მხარდაჭერა სრული ინტეგრაციის სანაცვლოდ. ხელმისაწვდომია: <https://www.gfsis.org/ge/blog/view/766>

ლოკი, ჯ. (2008) ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე, თბილისი, „უნივერსალი“.

მაისაია, ვ. (2013). საქართველოს საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები და დეტერმინანტები :ცივი ომის შემდეგ (1991-2004), თბილისი, სუბიშვილის სასწავლო უნივერსიტეტი.

მაისაია, ვ. (2013) საქართველოს მაჯისცემა. ოქტომბრიდან ოქტომბრამდე 2012-2013, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

მკურნალიძე, გ. ხამხაძე, მ. (2000). პოლიტოლოგია, თბილისი, საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო- კულტურულ საგანმანათლებლო კავშირი - „საზოგადოება ცოდნა“.

ნეიძე, ვ. (2003). საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი II. სოციალურ- ეკონომიკური გეოგრაფია, თბილისი, გეოგრაფიის ინსტიტუტი.

მაკიაველი, ნ. (2006). მთავარი. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I წიგნი, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

მედია ბიზნესისთვის, 2018. *საბჭოთა ოკუპაციის შედეგები*. ხელმისაწვდომია: <https://m2b.ge/post/248828-98-weli-tragediidan-ra-dakarga-saqartvelom-okupaciiit->

პლატონი (2006). სახელმწიფო. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

რონდელი, ა. (2003). საერთაშორისო ურთიერთობები, თბილისი, გამომცემლობა „ნეკერი“.

რუსთაველი (2010). „ვეფხისტყაოსანი“. ქართული კლასიკური მწერლობა. ტომი II, თბილისი, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

რუსო, ჟ.ჟ. (2008). საზოგადოებრივი ხელშეკრულება. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ქარუმიძე, ვ. (2004). საერთაშორისო ორგანიზაციები, თბილისი, თსუ-ს გამომცემლობა.

შუბითიძე, ვ. (2009). ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი. თბილისი, საგამომცემლო სახლი „ინოვაცია“.

შუბითიძე, ვ. დავითაშვილი, ო. (2002). პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა.

შუბითიძე, ვ. ფერაძე, ვ. (2005). გამოყენებითი პოლიტოლოგია, თბილისი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა.

ჩიტაძე, ნ. (2011). გეოპოლიტიკა, თბილისი, გამომცემლობა „უნივერსალი“.

ჩიტაძე, ნ. (2008). ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი. თბილისი, გამომცემლობა „მაჯენტა პრინტი“.

ჭავჭავაძე, ი. (2011). სერია „ქართული კლასიკური მწერლობა“. ტომი 6, თბილისი, შპს „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“.

ხომსკი, ჰერმანი, „თანხმობის ფაბრიკა“ 1988.

ჯავახიშვილი, ი. (1919). ქართული სამართლის ისტორია, წიგნი მეორე, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ჰობსი, თ (2008). ლევიათანი ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მტერია, ფორმა და ხელისუფლება. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე, თბილისი, ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

ჰეივუდი, ე. (2003). პოლიტიკური იდეოლოგიები. შესავალი კურსი, თბილისი: გამომცემლობა „ლოგოს პრესი“.472

Азаров, Н., Адрияш Г. (2001). Политология . Учебное пособие, Москва : Изд-во МГТУ и.м. Н. Э. Баумана.

Анимова, В. (2003). Политология. Конспект лекций. Таганрог: Таганроцкий Институт.

Ачкасова, В., Гуторова В. (2005 ). Политология. Учебник, Санкт- Петербург: Санкт-Петербургского государственного университета.

Вебер, М. (1990). Основные социологические понятия. Избранные сочинения, Москва: Издательство “Прогресс”.

Воробьев, К. (2003). Политология, Братск: Филиал ИГУ в.г. Братске.

Грамши, А.(1959). Избранные Произведения , Москва: Госполитиздат.

Грязнова, А., Звонова Е. (2002). Курс политологии, Учебник, Москва: 2-е изд испр и доп.-М.: ИНФРА-М.

Каменская, Е.(2005). Политология, Ростов-на-Дону: Южный федеральный университет.

Кин, Д. (1988). Деспотизм и Демократия, Москва: Библиотека Гумер.

Конфуций (1990). Уроки Мудрости, Москва: Эксмо-Пресс

Лебедева, М. (1999) . Политическое урегулирование конфликтов, Москва: Аспект пресс.

Маркс, К., Энгельс Ф.(1955). Сочинения, Москва: Издание второе М.: Издательство политической литературы.

Монтескье, Ш. (1955). Избранные Произведения, Москва: Государственное издательство политической литературы.

Мухаев, Р.(2009). Политология, Москва: Издательство Проспект.

Пугачев, В., Соловьев А.(1997) Введение в политологию, Москва: Аспект пресс.

Радугин, А. (2001) Политология. Учебное пособие вузов, Москва: Центр Цицерон (1966). Диалоги о государстве О законах Москва: Серия “ Литературные памятники”. Репрительное издание.

Шиллер (1980). Манипуляторы сознанием, Москва: Мысль473

Aristotle (1952). The Works of Aristotle Translated into English Under the Editorship of W.D.Ross, 12 vols.

Oxford: Clarendon Press

Almond, G. Powell, G (1996). Comparative Politics Today: A World View, N.Y: Pearson; 10 edition

Balkin, J. (1998). A Theory of Ideology, Yale: Yale University Press.

Baum, W. (2005). Understanding behaviorism: Behavior, Culture and Evolution, Blackwell: Wiley-Blackwell, 2 edition.

Basic Facts about the United Nations (2004). New-York: UN Department of Public Information. Bennet, A. Oliver, J. (2002). International Organizations. Principles and Issues, Mishawaka: Seventh Edition. Pearson.

Bowie, N. Simon, R. (1986). The individual and political order, Washington: Rowman & Littlefield.

Bobonich, C. (2011). Plato`s Laws: a Critical Guide. Cambridge: Cambridge University Press.

Burton, J. (1990). Conflict: Resolution and Prevention. New York: St. Martin`s Press.

Comte, A. Bridges, J. (2009). A General View of Positivism, Cambridge:Trubner and Co., 1865 reissued by Cambridge University Press

Dahl, A. (1953). Politics, Economics and Welfare, New York: Harper & Brothers.

Dahl, A. (1971). Polyarchy: participation and opposition, Yale: Yale University Press.

Dahrendorf, R. (1959). Class and Class Conflict in Industrial Society: Stanford, CA: Stanford University Press.

De Waal, T. (2011). Georgia`s Choices. Charting a Future in uncertain times, Washington: Carnegie Endowment for International Peace.

Duverger, M. (1959). Les methodes de la science politique, Paris: Presses Universitaires de France

Duverger M. (1973). Riements de la science politique, Paris: Presses Universitaires de France

Edward, E. (1990). New developments in political science, New York: Simon and Schuster, Inc.

Foucault, M. (1980). Power/knowledge: Selected interviews and other writings, Washington: Colin Gordon. P. 101474

Galtung, J. (1978). Essays in Piece Research, Copenhagen:Ejers,

- Goodin, R.(2006). Oxford Handbook of Political Theory, Oxford: Oxford University Press
- Goldstein, J. Pevehouse, J. (2010). International Relations, Boston: Priscilla McGeehon.
- Herodotus. (2008). The Histories. Translated by Robin Waterfield. Oxford: Oxford University Press
- Herodotus. Histories. Book V (Terpsichore). The freeing of Athens by Sparta, and its subsequent attacks on Athens. 450-420 BC. Translated by: George Rawlinson, London: Bruce J. Butterfield
- Held, D. (1989). Political Theory and the Modern State: Essays on State, Power, and Democracy, Stanford, California: Stanford University Press, 1989.
- Heywood, A. (2007) Politics, New-York: PALGRAVE.
- Heywood, A. (1998). Political Ideologies. Second Edition, New York: PALGRAVE.
- International` Bibliography of Political Science. (1991). London: Routledge.
- Lasswell, H. (1930). Psychopathology and Politics, Chicago: University of Chicago Press.
- Mc Leisch, Cole, K. (1999). Aristotle: The Great Philosophers. London: Nick Hern Books.
- March, J. Olson, J. (1989). Rediscovering Institutions. The Organizational basis of Politics, New-York: Free Press.
- Mellor, R. (2004). The Historians of Ancient Rome, London: Routledge; 2 edition
- Morgenthau, H. (1948). Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace, New York:
- Plato. (1995). The Republic. Plato – His Philosophy and his life, Princeton: Princeton University Press.
- Rousseau, R. (1754). Discourse on the Origin and Basis of Inequality Among Men, Amsterdam: Marc-Michel Rey
- Schumpeter, J. (1942). Capitalism, Socialism and Democracy, London and New York: Routledge
- Schwartz, W. (1996). Information Warfare: Cyberterrorism: Protecting your personal security in the electronic age, Chicago: Thunder`s Mouth Press, 2nd edition.475
- Snow, D. (1991). National Security: Enduring problems in a changing Defense Environment. 2nd Edition. New York: St. Martin Press.
- Sterling, B. (1993). The Hacker Crackdown. Virginia: Indy Publishing.
- Taylor, P. Flint, C. (2000). Political Geography, Edinburgh University Press.
- Viotti, P. Kauppi, M. (2012). International Relations Theory, New-York: Pearson; 5-th edition.



Wright, Q. (1955). The Study of International Relations, Chicago: Chicago University Press.476

### ჟურნალები

აქუბარდია თეონა (2018). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა - დაგეგმვა, კოორდინაცია და პრაქტიკა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. ნომერი 110.

მაცაბერიძე, მ. (1992). ეროვნული უსაფრთხოება:ცნება და შინაარსი. პოლიტოლოგიის საკითხები, ნომ. 1.

პიპინაშვილი, დ. (2009). სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. სადისერტაციო ნაშრომი.

საქართველოს ატლანტიკური საბჭო (2014). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების სექტორის მიმოხილვის პროექტი, საბოლოო ანგარიში 2014წ. თბილისი, საქართველო. გვ. 52-54

ჩიტაძე, ნ. (2012). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, BSPN შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი, ბიულეტენი №8.

Глухов, А. (1993). Политические конфликты и кризисы. Консесус и политические методы его достижения, Государство и Право. №6. Стр.5

Перегудов, С. (2004). Гражданское Общество как Политический Феномен, Свободная Мысль, №3, Стр.12

Chitadze N. (2007). Conflict in Abkhazia and Perspectives of Resolution, чорноморска Везпека, №№2 (7) стр.15-24

Wright, Q. (1965). Escalation of International Conflict, the Journal of Conflict Resolution, Vol.9. N 4. P.435477

## ელექტრონული წყაროები

ახალი რეიტინგით „ქართული ოცნება“ ლიდერობს, რადიო თავისუფლება 12.09.2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [Http://www.radiotavisupleba.ge/archive/geo-news/20120912/1001.html?id=24706492](http://www.radiotavisupleba.ge/archive/geo-news/20120912/1001.html?id=24706492)

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის პოლიტიკურ რეიტინგებში მმართველი პარტია ლიდერობს 27 მარტი, 2012. სივილ ჯორჯია.

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: <http://www.civil.ge/geo/article.php?id=25285>

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი: ნაციონალური მოძრაობა - 37%, ქართული ოცნება - 12%, ჟურნალი ტაბულა 07/09/12

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [www.freegeorgia.ge/?menuid=48&lang=1](http://www.freegeorgia.ge/?menuid=48&lang=1)

ეუთო, 2018. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (OSCE/ODIHR) არჩევნებზე სადამკვირებლო მისია საქართველოში

<https://www.osce.org/ka/odihr/elections/georgia/399644?download=true>

იმედი ნიუსი, 2018. რა ფუნქციები ექნება ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი 2 სექტემბერი, 2019, წყარო: <https://imedinews.ge/ge/saqartvelo/90023/ra-punqtsiebi-eqneba-erovnuli-usaprtkhoebis-sabchos>

კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 2 აპრილი, 2014, წყარო: [http://www.mof.ge/show\\_law.aspx?id=1008](http://www.mof.ge/show_law.aspx?id=1008)

კვლევა აჩვენებს, რომ ორი პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბდა, სივილ ჯორჯია, თბილისი /8 დეკ.11 / 17:28

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014 წყარო: [civil.ge/geo/article.php?id=24900](http://civil.ge/geo/article.php?id=24900)

კოალიცია „ქართული ოცნება“ NDI-ის პარტიულ რეიტინგებზე, სივილ ჯორჯია, 27/03/2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [civil.ge/geo/article.php?id=25290](http://civil.ge/geo/article.php?id=25290)

კვლევის თანახმად, მმართველი პარტია ლიდერობს, „ქართული ოცნების“ რეიტინგი კი იზრდება, სივილ ჯორჯია, 16/07/2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [civil.ge/geo/article.php?id=25717](http://civil.ge/geo/article.php?id=25717)

მედია ბიზნესისთვის, 2018. *საბჭოთა ოკუპაციის შედეგები*. ხელმისაწვდომია: <https://m2b.ge/post/248828-98-weli-tragediidan-ra-dakarga-saqartvelom-okupaciit->

ლიბერალი (2014). პრეზიდენტის ხედვა: უშიშროების საბჭო უნდა გაფართოვდეს. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 4 სექტემბერი, 2019, 2014, წყარო: <http://liberali.ge/news/view/11629/prezidentis-khedva--ushishroebis-sabcho-unda-gafartovdes>

მმართველი პარტიის დაკვეთით ჩატარებული GQR-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, სივილ ჯორჯია, 26/08/2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [civil.ge/geo/article.php?id=25866478](http://civil.ge/geo/article.php?id=25866478)

ნაციონალური მოძრაობა „Penn Schoen Berland“-ის კვლევას არ ენდობა, news.ge10/082012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: წყარო: news.ge/ge/news/.../26389-natsionaluri-modzraoba-penn-schoen-berland-is-kvlevas-ar-endoba

ნიუ პოსტი (2016). კრიზისების მართვის საბჭო პრეზიდენტის დაქვემდებარებაში - "თავისუფალი დემოკრატიების" ინიციატივა. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 4 სექტემბერი, 2019, წყარო: <http://www.newposts.ge/?id=98841>

ოპოზიციურმა რვიანმა სამოქმედო გეგმა წარადგინა. სივილ ჯორჯია, თბილისი. 7 ივნისი, 2011 წ.

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [data.election-portal.ge/ka/event\\_type/3/event/31](http://data.election-portal.ge/ka/event_type/3/event/31)

პირველი არხი (2017). სამინისტროების რაოდენობა 14-მდე მცირდება. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019, წყარო: <https://1tv.ge/news/saministroebis-raodenoba-14-mde-mtsirdeba/>

საკაშვილი, მ. (2012). 1 ოქტომბერი არის არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის, სივილ ჯორჯია, თბილისი, 29/09/12

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევის თანახმად, მმართველი პარტია მნიშვნელოვნად ლიდერობს, სივილ ჯორჯია, 03/05/2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [www.civil.ge/geo/article.php?id=25417](http://www.civil.ge/geo/article.php?id=25417)

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის კვლევის თანახმად, მმართველი პარტია მნიშვნელოვნად ლიდერობს, სივილ ჯორჯია, 25/07/2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [dd.psidis-course.ge/?61/2165/&pp=32](http://dd.psidis-course.ge/?61/2165/&pp=32)

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [civil.ge/geo/article.php?id=26011](http://civil.ge/geo/article.php?id=26011)

საერთაშორისო შეფასებები საქართველოს არჩევნებზე, სივილ ჯორჯია, თბილისი, 4 ოქტომბერი, 2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [forum.ge/?f=29&showtopic=34445254](http://forum.ge/?f=29&showtopic=34445254)

საქართველოს კონსტიტუცია

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 12 დეკემბერი, 2014, წყარო:

[http://www.parliament.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=180&Itemid=85&lang=ge](http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=180&Itemid=85&lang=ge)

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011. ქვეყნისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის შექმნა. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი: <https://mod.gov.ge/ge/page/70/saqartvelos-erovnuli-usafrtxoebis-koncefcia>

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო (2013). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 30 ნოემბერი, 2013, წყარო: [http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=12479](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12479)

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2018). კანონი საქართველოს თავდაცვის შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 4 სექტემბერი, 2019, წყარო: [https://mod.gov.ge/uploads/public/normatiuli\\_aqtebi/saqartvelos\\_tavdacvis\\_shesaxeb.pdf](https://mod.gov.ge/uploads/public/normatiuli_aqtebi/saqartvelos_tavdacvis_shesaxeb.pdf)

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2017). უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი“. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019, წყარო: <https://mod.gov.ge/ge/news/read/6196/didgori-%20senkai>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2017). უწყებათშორისი სწავლება „დიდგორი“ ღია კარის დღე. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019, წყარო: <https://mod.gov.ge/ge/news/read/5202/„didgori%202016“-is%20Ria%20karis%20dRe>

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო (2017). თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2017-2020. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019, წყარო: <https://mod.gov.ge/uploads/archive/pdf/SDR-GEO.pdf>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014). მთავრობის დადგენილება სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოსთან არსებული საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეპტუალური დოკუმენტების შემუშავების მკოორდინირებელი მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/document/view/2370987?publication=0>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2015). კანონი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=9>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014). მთავრობის 2014 წლის 13 იანვრის №14 დადგენილება. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/document/view/2370987?publication=0>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2017). საქართველოს კიბერუსაფრთხოების 2017-2018 წლების ეროვნული სტრატეგიისა და მისი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/document/view/3548407?publication=0>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014). სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2363013?publication=10>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (1996). საქართველოს კანონი ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 2 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/32938?publication=1>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2004). "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 3 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/28642?publication=7>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2017). საქართველოს მთავრობის დადგენილება №172 სახელმწიფო თავდაცვის პოლიტიკის დაგეგმვის კოორდინაციის მუდმივმოქმედი უწყებათაშორისი კომისიისა და სამუშაო ჯგუფის დებულების დამტკიცების თაობაზე. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 5 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4140434?publication=0>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2011). "ეროვნული უშიშროების საბჭოს შესახებ" საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 3 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1349598?publication=0>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2015). ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი 4 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2764463?publication=5>

საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (2014). სახელმწიფო უსაფრთხოებისა და კრიზისების მართვის საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი 4 სექტემბერი, 2019. წყარო: <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2186268?publication=0>

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლებისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი.

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: <http://cesko.ge/ge/page/saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris-plebiscitis-shedegebis-shemajamebeli-oqmi-2816>

ტაბულა (2016). რუსეთისა და აფხაზეთის მარიონეტული რეჟიმის ჯართა გაერთიანებული დაჯგუფება შეიქმნება. ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 17 ივნისი, 2019. წყარო: <http://www.tabula.ge/ge/story/114160-rusetisa-da-afxazetis-marionetuli-rezhimis-jarta-gaertianebuli-dajgufeba-sheiqmneba>

ტაბულა (2019). პროპორციული საარჩევნო სისტემა 0%-იანი ბარიერით. წყარო: <http://www.tabula.ge/ge/story/151168-proporciuli-saarchevno-sistema-0-iani-barierit-upiratesobebi-riskebi-da-prevenciis>

ცესკო (2012). ამომრჩეველთა რაოდენობა 3 613 851 შეადგენს. სივილ ჯორჯია, თბილისი, 29/09/2012

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [civil.ge/geo/article.php?id=27449](http://civil.ge/geo/article.php?id=27449)

ჩიტაძე, ნ. (2012). საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ. BSPN შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი. ბიულეტენი №8.

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 22 იანვარი 2014, წყარო: <http://www.bspn.gfsis.org>

ცენტრალური საარჩევნო კომისია (2014). საქართველოს პარლამენტის 2012 წლის არჩევნების ანგარიში,

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: <http://www.cesko.ge/uploads/other/26/26434.pdf>

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი.

ცესკო, 2016. ცესკომ 2016 წლის 8 ოქტომბრის არჩევნების შედეგები შეაჯამა. წყარო: <http://cesko.ge/geo/list/show/109980-tseskom-2016-tslis-8-oqtombris-archevnebis-shedegebi-sheadjama>

---

ცესკო, 2018. ცესკომ 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაქვეყნა. წყარო: <https://imedinews.ge/ge/archevnebi-2018/83157/tseskom-2018-tslis-saprezidento-archevnebis-tsinastsari-shedegebi-gamoaqvekna>

CIPDD. 2008:9

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 1 მარტი, 2014, წყარო: [www.cipdd.org/index.php?LanG=2](http://www.cipdd.org/index.php?LanG=2)

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა?

ვებ-გვერდის გამოყენების თარიღი, 17 მარტი, 2014, წყარო: <http://forum.ge/?f=29&showtopic=33949389480>



საერთაშორისო ურთიერთობების, მსოფლიო პოლიტიკის და  
ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი თავისებურებები

Georgia violence hurts Russian, emerging markets, Reuters, Friday, Aug 8, 2008.  
Retrieved on November 2013, from: [www.reuters.com/article/2008/08/08/idUSL8732121](http://www.reuters.com/article/2008/08/08/idUSL8732121)

Rouse Margaret. Definition, Cracker.

Retrieved on Friday, 10, 2014, from: <http://searchsecurity.techtarget.com/definition/cracker>. June 2007. Rouse, M. (2007). Definition. Phreak.

Retrieved on February, 25, 2014, from: <http://searchsecurity.techtarget.com/definition/phreak>. June 2007

Rousseau, J. (1964). Encyclopedia Britannica. P.39

Retrieved on March 4, 2014, from: [http://www.encyclopedia.com/topic/Jean\\_Jacques\\_Rousseau.aspx](http://www.encyclopedia.com/topic/Jean_Jacques_Rousseau.aspx)

Ragozin Leonid (2005), Russian youth on political barricades, BBC News, March 2, 2005  
Retrieved on November 2013, from: [news.bbc.co.uk/2/hi/Europe/4308655.stm](http://news.bbc.co.uk/2/hi/Europe/4308655.stm)

Retrieved on November 2013, from: [www.csmonitor.com/World/Europe/2008/0220/p06s01-woeu.html](http://www.csmonitor.com/World/Europe/2008/0220/p06s01-woeu.html)

Russia: THE KREMLIN TRIES TO PUT ON BRAVE FACE FOLLOWING DIPLOMATIC  
SLAP OVER GEORGIA,

Eurasianet.Org August 28,2008.

Retrieved on November 2013, from: [www.eurasianet.org/resource/tajikistan?page=44](http://www.eurasianet.org/resource/tajikistan?page=44)

Sterling, Bruce (1993). "Part 2(d)". The Hacker Crackdown. "Part 2(d)". McLean, Virginia:  
IndyPublish.com.481

პოლიტოლოგია - ნიკა ჩიტაძე

საქართველოს კონსტიტუცია

საქართველოს კონსტიტუცია, 2014: მუხლი 69

საქართველოს კონსტიტუცია, 2014: მუხლი 70

საქართველოს კონსტიტუცია, 2014: მუხლი 4

საქართველოს კონსტიტუცია, 2014: თავი 5

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ, 2014: თავი 1

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლემბისციტის შედეგების შემაჯამებელი ოქმი

საქართველოს კონსტიტუცია, თავი IV

ცესკოს ანგარიში 2013 წლის არჩევნების შესახებ, 2013, გვ.51-53

საქართველოს კონსტიტუციის პრეამბულა

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ.22

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ.29-59  
საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2011, გვ.59-65482

მკურნალიძე გ. ხამხაძე მ. პოლიტოლოგია. საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის საერთაშორისო სამეცნიერო-კულტურულ საგანმანათლებლო კავშირი - „საზოგადოება ცოდნა“. თბილისი, 2000. გვ. 6. გვ. 10. გვ. 26. გვ. 32; გვ. 37; 72; 73; 143; 185.

Robert E. Goodin. Oxford Handbook of Political Theory. 2006.

Мухаев. Р.Т. Политология. 2009. стр. 9; 12; 16; 62; 207; 219.

Political Science. N.Y. 1991, p.21

Political Theory and the Modern State: Essays on State, Power, and Democracy David Held Stanford, California: Stanford University Press, 1989, pp. 265

Bowie N., Simon R. The individual and political order. Englewood Cliffs, 1986. P.7

რ. პენტო მ. გრაფიტსი. პოლიტიკური მეცნიერების მეთოდები. 1972 წ. გვ. 190 (რუსულ ენაზე).

Duverger M. Riements de la science politique. P. 1973 p. 5

Foucault M. Power/knowledge: Selected interviews and other writings, 1972-1977. Hampstead, 1980. P. 101

Edward Elgar. New developments in political science, Aldershoit. 1990. PP. 126-142

Ed. By March J.G. and Olson J.P. Rediscovering Institutions. The Organizational basis of Politics; N.Y. Free Press, 1989. P. 4.

A. Heywood. Politics. New-York, 2007. P. 26; P.27; P.30; P.33; 55; 56; 57; 109; 231; 233; 273; 314; 304; 306; 308; 339; 340; 395; 401; 408; 425; 426; 428; 446; 458; 489; 494; 500; 501; 505; 506; 507; 508; 509.

Baum, W.M. *Understanding behaviorism: Behavior, Culture and Evolution*. Blackwell. 2005. P. 22

Каменская. Е. Н. Политология. Москва. 2005. Стр. 7; 55; 58; 59; 60; 61; 76; 97; 100; 108; 113; 119; 141; 147; 152; 163; 206; 223; 226; 230; 231; 257; 265.

ვ. შუბითიძე, ო. დავითაშვილი. “პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები”. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. 2002. გვ. 10; გვ. 11; 14; 35.

J.M. Balkin, Yale University, 1998. P.12

გ. შიღერი. “ცნობიერების მანიპულატორები” (ინგლისურ ენაზე). 1980. გვ. 22

ხომსკი, ჰერმანი, “თანხმობის ფაბრიკა” 1988. გვ. 63

Mc Leisch, Kenneth Cole. Aristotle: The Great Philosophers. Routledge. 1999. P. 12-13

Mellor R. The Historians of Ancient Rome. 2004. P. 45

მაკიაველი ნ. „მთავარი“. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I წიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2006. გვ. 175; 178; 196.

Jean-Jacques Rousseau at *Encyclopedia Britannica*. 1964. P. 39

[http://www.encyclopedia.com/topic/Jean\\_Jacques\\_Rousseau.aspx](http://www.encyclopedia.com/topic/Jean_Jacques_Rousseau.aspx)

Dahl A. Politics, Economics and Welfare, 1953. P. 11

Dahl A. Polyarchy: articpation and opposition, 1971. P. 41

Schumpeter J. Capitalism, Socialism and Democracy, 1942. P. 22

Bobonich, Christopher (2011). *Plato's Laws: a Critical Guide*. Cambridge: Cambridge University Press. ISBN 978-1107658684. P. 16

Plato: The Republic. Plato - His Philosophy and his life, allphilosophers.com. Part III: Decline of the Polis.1995. Pp. 543-550; 471-502.

Aristotle (1908–1952). *The Works of Aristotle Translated into English Under the Editorship of W. D. Ross, 12 vols.* Oxford: Clarendon Press p.61; 65

Цицерон. Диалоги о государстве. О законах. М. 1966. Стр. 32

მაკიაველი ნ. „მთავარი“. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I წიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2006. გვ. 196.

არისტოტელე. პოლიტიკა. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე. თბილისი, 2008. გვ. 55-91

მაკიაველი ნ. „მთავარი“. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. I წიგნი. ილია ჭავჭავაძის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2006. გვ. 196.

ჰობსი თ. ლევიათანი ანუ საეკლესიო და სამოქალაქო სახელმწიფოს მატერია, ფორმა და ხელისუფლება. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე. თბილისი, 2008. გვ. 114 – 115.

ლოკი ჯ. ორი ტრაქტატი მმართველობის შესახებ. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე. თბილისი, 2008. გვ. 136-151.

Монтескье Ш. Избранные Произведения. Москва. 1955. Стр.25-26

რუსო ჟ.ჯ. საზოგადოებრივი ხელშეკრულება. პოლიტიკური აზრის აზროვნების ისტორია ანტიკური ხანიდან მე-18 საუკუნემდე. თბილისი, 2008. გვ. 216-244.

ჩიტაძე ნ. გეოპოლიტიკა. გამომცემლობა „უნივერსალი“. თბილისი. 2011. გვ. 74-77.

A. Heywood. Political Ideologies. Second Edition. Published by PALGRAVE. New York. USA. ISBN 0-333-69886-X 1998. p. 5; 6; 66; 67.

Маркс К. Энгельс Ф. Сочинения. Изд. 2-е. – М. 1955. стр. 32-33

Lasswell H.D. Psychopathology and Politics. 1930. P. 1; 65; 69.

ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. გამომცემლობა “ნეკერი”. ISBN 99928-58-79-6. თბილისი. 2003. გვ. 5-7

ვ. შუბითიძე ვ. ფერაძე. გამოყენებითი პოლიტოლოგია. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კათედრა. თბილისი. 2005. გვ. 38; 39; 61; 62; 63; 79; 83; 90; 91; 101; 115; 121; 122; 131; 135.

პეტრე იბერი. დიდი ქართველები. ცხოვრების ქრონიკები. (ავტორი: ტარიელ ზოზრაშვილი). გამომცემლობა “პალიტრა”. თბილისი. 2012. გვ. 50-51

ვ. შუბითიძე ო. დავითაშვილი. პოლიტოლოგია. პოლიტიკური ტექნოლოგიები. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გამომცემლობა. თბილისი. 2002. გვ. 121; 122; 127; 153; 156; 158; 180;181;182;183; 185; 186.

ვ. შუბითიძე. ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი. დავით IV აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი. საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”. თბილისი. 2009. გვ. 85-96

ვ. შუბითიძე. ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი. თამარ მეფე. საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”. თბილისი. 2009. გვ. 104

Конфуций. Уроки Мудрости. Эксмо-Пресс. Москва. 1999. стр. 86

შოთა რუსთაველი. “ვეფხისტყაოსანი”. ქართული კლასიკური მწერლობა. ტომი II. შპს “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”. თბილისი. 2010. გვ. 11; 17; 160; 207; 318.

ი. ჯავახიშვილი. “ქართული სამართლის ისტორია”. წიგნი მეორე. 1919. გვ. 45; 51.

ნ. ასათიანი. საქართველოს ისტორია. უძველესი დროიდან XIX საუკუნემდე. საქართველოს მაცნე”. 2003. გვ. 180

ილია ჭავჭავაძე. სერია “ქართული კლასიკური მწერლობა”. ტომი 6. შპს “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”. თბილისი. 2011. გვ. 444.

ვ. შუბითიძე. ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი. ილია. საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”. თბილისი. 2009. გვ. 291; 292; 294; 295

ვ. შუბითიძე. ყველა დროის 100 უდიდესი ქართველი. ნიკო ნიკოლაძე. საგამომცემლო სახლი “ინოვაცია”. თბილისი. 2009. გვ. 320; 321; 325; 329; 330.

ვაჟა-ფშაველა. “ქართული კლასიკური მწერლობა”. ტომი 9. შპს “ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა”. თბილისი. 2011. გვ. 369-372

Herodotus. The Histories. Translated by Robin Waterfield. Edited with an introduction and notes by Carolyn Dewald. Oxford Paperbacks Oxford World's Classics . ISBN: 978-0-19-953566-8 | Paperback | 17 April 2008. P.454

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის 2008 წლის 5 იანვრის პლენარული შედეგების შემადგამებელი ოქმი. <http://cesko.ge/ge/page/saqartvelos-centraluri-saarchevno-komisiis-2008-wlis-5-ianvris-plebiscitis-shedegebis-shemadjamebeli-oqmi-2816>

1991 წლის 31 მარტის რეფერენდუმი, გსურთ თუ არა საქართველოს დამოუკიდებლობა? <http://forum.ge/?f=29&showtopic=33949389>

Шиллер. Манипуляторы сознанием. 1980

Грязнова А. Г. Завялов В.Г. Курс Политологии.Учебник. 2002

Пугачев В.П. Соловьев А.И. Введение в политологию. 1997. Стр . 57; 92; 99

Вебер М. Основные социологические понятия. Избранные сочинения. 1990. Стр . 61; 62

Almond G. Powell G. Comparative Politics Today: A World View. N.Y. 1996. P.5

Н.А. Азаров. Г.С. Андрияш. Политология.Учебное пособие. 2001 Стр . 50-51

არისტოტელე. “პოლიტიკა”. 2013. თბილისი. გვ. 7

ვ. ნეიძე. საქართველოს გეოგრაფია. ნაწილი II. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია. თბილისი. 2003. გვ.13; 14; 22; .

საქართველოს ორგანული კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ.

Акимова В.В. Политология. Конспект лекций. 2003 Стр . 102

Грязнова. А.г. Звонова Е.А. Курс политологии. Учебник. 2002. Стр . 55

Basic Facts about the United Nations. UN Department of Public Information. New-York. 2004. P.228

კანონი ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. 2005 წლის 16 დეკემბერი

პლატონი. “სახელმწიფო”. შესავალი თანამედროვე აზროვნებაში. თბილისი. 2006. გვ. 7-173

Herodotus. *Histories*. Book V (Terpsichore). The freeing of Athens by Sparta, and its subsequent attacks on Athens. 450-420 BC.

Jean-Jacques Rousseau. WHAT IS THE ORIGIN OF INEQUALITY AMONG MEN, AND IS IT AUTHORISED BY NATURAL LAW? 1754. P.62

Basic Facts About the United Nations. New-York, 2004. P. 119; 228

A. Leroy Bennett, James K. Oliver. International Organizations. Principles and Issues. Seventh Edition. 2002. P. 401-412

ვ. ქარუმიძე. საერთაშორისო ორგანიზაციები. თსუ-ს გამომცემლობა. თბილისი. 2004. გვ. 345; 349; 357; 362.

Перегудов С. Гражданское Общество как Политический Феномен. Свободная Мысль. 1992. Стр . 12

Кин. Д. Деспотизм и Демократия. 1988. Стр . 16

Маркс К. Энгельс Ф. Сочинения. Изд. 2-е. 1955 Стр . 114

Грамши. А. Избранные Произведения. Т.3. 1959 Стр . 82

Грязнова А.Г. Завялов В.Г. Курс Политологии. Учебник. 2002. Стр . 37; 38; 154

Воробьев К. А. Политология. 2003. Стр. 52

Dahrendorf R. Class and Class Conflict in Industrial Society. Stanford, CA: Stanford University Press, 1959, pp. 241-248

Thomas De Waal. Georgia`s Choices. Charting a Future in uncertain times. Carnegie Endowment for International peace. 2011. P. 6; 7; 8.

ოპოზიციურმა რვიანმა სამოქმედო გეგმა წარადგინა სივილ ჯორჯია, თბილისი. 7 ივნისი, 2011 წ.

ცესკო: ამომრჩეველთა რაოდენობა 3 613 851 შეადგენს. სივილ ჯორჯია, თბილისი / 29 სექ. 2012

კვლევა აჩვენებს, რომ ორი პოლიტიკური ცენტრი ჩამოყალიბდა სივილ ჯორჯია, თბილისი / 8 დეკ.'11 / 17:28

NDI-ის პოლიტიკურ რეიტინგებში მმართველი პარტია ლიდერობს სივილ ჯორჯია, თბილისი / 27 მარ.'12 / 14:57

IRI-ის კვლევის თანახმად, მმართველი პარტია მნიშვნელოვნად ლიდერობს. სივილ ჯორჯია, თბილისი / 3 მაი.'12 / 19:05

კოალიცია „ქართული ოცნება“ NDI-ის პარტიულ რეიტინგებზე. სივილ ჯორჯია, თბილისი / 27 მარ.'12 / 19:08

კვლევის თანახმად, მმართველი პარტია ლიდერობს, „ქართული ოცნების“ რეიტინგი კი იზრდება სივილ ჯორჯია, თბილისი / 16 ივლ.'12 / 11:53

IRI-ის დაკვეთით ჩატარებულ კვლევაში მმართველი პარტია ლიდერობს სივილ ჯორჯია, თბილისი / 25 ივლ.'12 / 20:03

ნაციონალური მოძრაობა“ Penn Schoen Berland-ის კვლევას არ ენდობა. news.ge. 10 აგვისტო, 2012

მმართველი პარტიის დაკვეთით ჩატარებული GQR-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები სივილ ჯორჯია, თბილისი / 26 აგვ.'12 / 18:22

NDI: ნაციონალური მოძრაობა – 37%, ქართული ოცნება – 12% ჟურნალი „ტაბულა“ 7-09-2012

ახალი რეიტინგით „ქართული ოცნება“ ლიდერობს რადიო თავისუფლება 12.09.2012

სააკაშვილი: 1 ოქტომბერი არის არჩევანი წარსულსა და მომავალს შორის სივილ ჯორჯია, თბილისი / 29 სექ.'12

ცენტრალური საარჩევნო კომისია. საქართველოს პარლამენტის 2012 წლის არჩევნების ანგარიში. <http://www.cesko.ge/uploads/other/26/26434.pdf>

საერთაშორისო შეფასებები საქართველოს არჩევნებზე სივილ ჯორჯია, თბილისი. 4 ოქტომბერი. 2012

Dahrendorf R. Class and Class Conflict in Industrial Society. Stanford, CA: Stanford University Press, 1959, pp. 241-248

Лебедева М.М. Политическое урегулирование конфликтов. Москва. 1999. С. 19

Galtung J. Essays in Piece Research. Copenhagen: Ejers, 1978. p. 565

Wright Q. Escalation of International Conflict. The Journal of Conflict Resolution. 1965. Vol. 9. # 4. P. 435



Глухов А.В. Политические конфликты и кризисы. Консесус и политические методы его достижения. Государство и Право. М., 1993. № 6. С. 5

Wright Q. The Study of International Relations. N.Y., 1955. P. 241

დავით პიპინაშვილი. სამხრეთ კავკასიის კონფლიქტები და რეგიონული სტაბილურობის პრობლემები. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი, 2009. გვ. 9

Burton J. Conflict: Resolution and Prevention. Washington. DC. USA. 1990. P. 234-235

ნიკა ჩიტაძე. “გეოპოლიტიკა”. მეორე გამოცემა. თბილისი, 2011. ISBN 978-9941-17-328-8. გვ. 479; 480; 482; 486; 487; 502; 503; 571; 575; 579.

Nika Chitadze. Georgia`s National Security and Regional Policy after the August 2008 War. Reassessing Security in the South Caucasus. Regional Conflicts and Transformation. Edited by Annie Jafalian, Universite Jean Moulin – CLESID, France. Published by Ashgate Publishing Limited, Farnham Surrey, United Kingdom. Burlington, USA. September, 2011, pp. 105-117

Nika Chitadze. Conflict in Abkhazia and Perspectives of Resolution. Журнал `Чорноморска Безпека. NN2 (7), 2007, г. Севастополь (Украина) стр. 15-24

2008 წლის აგვისტოს მოვლენების შემდეგ, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების ინსტიტუტი. CIPDD. 2008:9

Leonid Ragozin, “Russian youth on political barricades”, BBC News, March 2, 2005

Fred Weir, “Kosovo independence: Russia warns of separatist storm”, The Christian Science Monitor, February. 20. 2008:7

RUSSIA: THE KREMLIN TRIES TO PUT ON BRAVE FACE FOLLOWING DIPLOMATIC SLAP OVER GEORGIA , Eurasianet.Org August 28, 2008.

Georgia violence hurts Russian, emerging markets, Reuters, Friday, Aug 8, 2008.

Политология. Учебник. В.А. Ачкасова. В.А. Гуторова. – М. 2005 стр.25

ე. ჰეიუუდი. პოლიტიკური იდეოლოგიები. შესავალი კურსი. გამომცემლობა “ლოგოს პრესი”. თბილისი, საქართველო. ISBN 99928-927-7-3. 2003. გვ. 182-183.

ა. რონდელი. საერთაშორისო ურთიერთობები. გამომცემლობა “ნეკერი”. 2003. ISBN 99928-58-79-6. გვ. 5; 89.

Joshua S. Goldstein. Jon C. Pevehouse. International Relations. Boston, USA. ISBN 10: 0-558-52635-7. 2010. p. 4-5

P. Viotti. M. Kauppi. International Relations Theory. ISBN-13: 978-0-205-08293-3. New-York, USA. 2012. P. 5-8.

Peter J. Taylor. Colin Flint. Political Geography. ISBN 0 582 35733 0. Edinburg, UK. 2000. Pp. 172-173.

H.J. Morgenthau. Politics Among Nations: The Struggle for Power and Peace. New York, Alfred A. Knopf, 1948.

Радугин. Политология. Учебное пособие для вузов. М. 2001

Воробьев К. А. Политология. 2003

ლ. ალექსიძე. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი. ლექსიკონი-ცნობარი. გამომცემლობა "ჯისიაი". ISBN 99940-17-04-7. გვ. 91

ნიკა ჩიტაძე. ნატო-ჩრდილოატლანტიკური ალიანსი. მსოფლიოში მშვიდობისა და სტაბილურობის მთავარი გარანტი". თბილისი, 2008. ISBN 978-9941-0-0315-8. გვ. 256-258

მ. მაცაბერიძე. ეროვნული უსაფრთხოება: ცნება და შინაარსი. "პოლიტოლოგიის საკითხები". ნომ. 1. თბილისი. 1992. გვ. 17-29

D. Snow. National Security: Enduring problems in a changing Defense Environment. 2<sup>nd</sup> Edition. St. Martin Press, New York, 1991. Pp. 5-6

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი პრიორიტეტები რუსეთ- საქართველოს ომის შემდეგ. BSPN შავი ზღვის სამშვიდობო ქსელი. <http://www.bspn.gfsis.org> ბიულეტენი N8. აპრილი, 2012. გვ. 11-15

საქართველოს კონსტიტუცია.

[http://www.parliament.ge/index.php?option=com\\_content&view=article&id=180&Itemid=85&lang=ge](http://www.parliament.ge/index.php?option=com_content&view=article&id=180&Itemid=85&lang=ge)

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია.

[http://www.mfa.gov.ge/index.php?lang\\_id=GEO&sec\\_id=12](http://www.mfa.gov.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=12)

დემეტრაშვილი კ. საქართველოს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო პროგრამა. გაეროს განვითარების პროგრამის პროექტი UNDP/GEO/00031399 – „საქართველოში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების ჩარჩო-პროგრამის შემუშავება“ თბილისი., 2004. გვ.12

Sterling, Bruce (1993). "Part 2(d)". *The Hacker Crackdown*. McLean, Virginia: IndyPublish.com. p. 61. ISBN 1-4043-0641-2.

Margaret Rouse. Definition: Cracker. <http://searchsecurity.techtarget.com/definition/cracker>. June 2007.

Margaret Rouse. Definition. Phreak. <http://searchsecurity.techtarget.com/definition/phreak>. June 2007

Winn Schwartau, ed, *Information Warfare: Cyberterrorism: Protecting your personal security in the electronic age*, Thunder's Mouth Press, 2nd ed, (1996) (ISBN 1560251328).

Maurice Duverger. *Les méthodes de la science politique*, P., 1959

Comte, A.; Bridges, J.H. (tr.); *A General View of Positivism*; Trubner and Co., 1865 (reissued by Cambridge University Press, 2009; ISBN 978-1-108-00064-2)













